ფილოსოფიური

წერილები ესსეები ნარკვევები

თბილისი, „მერანი" 1986

83.3 Гр 7
ф 562

წიგნში შესულია გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის რჩეული წერილები, ესსეები და ნარკვევები, რომლებმაც იმთავითვე ლიტერატურული კრიტიკისა და მკითხველი საზოგადოების დიდი აღიარება მოიპოვეს.

შემდგენელი ლევან ასათიანი

70303—135
ф———————————ბრძ—85
М 604(08)—85

© გამომცემლობა „მერანი“

გერონტი ქიქოძე

გერონტი ქიქოძე უაღრესად განათლებული და მრავალის მცოდნე, რაც მთავარია, ხალასი პატრიოტი და მოაზროვნე ადამიანი იყო. თავისი წიგნებით დღესაც ცოცხალ კონტაქტშია ქართველ ერთან, მომავალ თაობებთან და შემწეა მისი გონებრივი თუ ესთეტიკური აღზრდისა და განვითარებისა.

გერონტი ქიქოძე განათლებას წლების მანძილზე გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტებში და წიგნთსაცავებში ეწაფებოდა. მან საფუძვლიანად შეისწავლა ანტიკური, შუა საუკუნეებისა თუ ახალი ფილოსოფია. უკვე ახალგაზრდობაშივე თანაბრად ღრმად იცნობდა ევროპის ძველსა თუ ახალ ლიტერატურას, მხატვრობას, მუსიკას. ერთი მხრივ, ქართველი ერის ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების ღრმა ცოდნა გახდა ის საფუძველი, რომელზეც აღმოცენდა გერონტი ქიქოძის მემკვიდრეობა. აი, რას წერს ამის შესახებ იგი მოგონებებში „განთიადიდან შუადღემდე“: „ევროპულ მეცნიერებაში ამაოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომლებიც მქენჯნიდნენ; ფლობერის რომანებით და შოპენის პრელუდიებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოვსება. ქართული კულტურის ისტორიას ცუდად ვიცნობდი, მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შემეძლო მეპოვნა სანათური, რომელიც ბნელ გზებს გამინათებდა“. გერონტი ქიქოძის ლიტერატურული მემკვიდრეობის მრავალმხრივობაზე პრობლემებისა და საკითხების უბრალო ჩამოთვლაც კი ნათლად მეტყველებს. მას ეკუთვნის წერილები ფილოსოფიის, ეთიკისა და ესთეტიკის საკითხებზე, შექსპირსა და ბარათაშვილზე, ბალზაკსა და ილია ჭავჭავაძეზე, როდენსა და იაკობ ნიკოლაძეზე, მენიესა და დავით კაკაბაძეზე, და ყოველ წერილში ჩანს საკითხის ზედმიწევნით ცოდნა და ნატიფი გემოვნება ავტორისა.

გერონტი ქიქოძის მრავალფეროვან და ხანგრძლივ პუბლიცისტურ და ლიტერატურულ მოღვაწეობას ჰქონდა ერთი მთლიანი, ძალმაგარი ხერხემალი. ეს იყო მისი მოკრძალებული, ერთგული სიყვარული ქართველი ერისა და ქართული კულტურისა. გერონტი ქიქოძე თავისი მა-

ღლიანი კალმით ქართული ლიტერატურისა. და ხელოვნების ისტორიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა. გერონტი ქიქოძეს არ უყვარდა ვრცელი და დაუსრულებელი წერილების წერა, სულ რამდენიმე გვერდზე შეეძლო ღრმად და ამომწურავად დაეხასიათებინა ესა თუ ის მწერალი, ან ლიტერატურული მოვლენა, ეს კი უდიდესი ნიჭია მწერლისათვის. იგი ერიდებოდა მყვირალა ფრაზებსა და ეპითეტებს, წერდა სადად და უბრალოდ. მისი ნაწერებიდან გაცილებით უფრო ნათლად იგრძნობა კლასიკური მწერლობის გენია, ვიდრე მყვირალა შრომებიდან, რომლებიც სავსეა ისეთი ეპითეტებით, როგორიცაა — გენიალური, ბრწყინვალე, გაუმეორებელი, უპრეტენზიო, შედევრი და მისთანანი.

გერონტი ქიქოძის მხურვალე გული არასოდეს ვნებდა მის ფხიზელ თვალს მკვლევარისას. ბევრი ლიტერატურისმცოდნის ნაშრომს აკნინებს, მეცნიერულ სიმწიფეს უკარგავს მოკარბებული ემოციური დამოკიდებულება მშობლიური კულტურისადმი. სწორედ ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გრძნობა უკარნახებდა გერონტი ქიქოძეს, საღად ემსჯელა ქართული კულტურის თვით ყველაზე გამოჩენილ მოღვაწეებზეც კი და ამიტომაც მისი ყოველი ფრაზისა სჯერა მკითხველს. „აკაკი წერეთლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, — წერს გ. ქიქოძე, — უდიდესი ნაწილი ლირიკას უპირავს, მაგრამ მრავალი მისი ლირიკული ლექსი თავის დროზე წარმოიშვა ექსპრომტის სახით ან რაიმე კერძო შემთხვევისა, ან კერძო პირის შესახებ დაიწერა; ამიტომ მკითხველზე ის წინანდებურად ვეღარ ახდენს ესთეტიკურ გავლენას. თვითონ ავტორი თავისი ნაწერების ერთ დიდ ნაწილს წარმავალ მნიშვნელობას აძლევს და არც ფიქრობდა, რომ ის ქართული ლიტერატურის ხელუხლებელ საგანძურში შევიდოდა“. მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის შემოქმედების სწორედ ერთ ნაწილს ასე თამამად და სამართლიანად ტოვებს გერონტი ქიქოძე ჭეშმარიტი ლიტერატურის ფარგლებს გარეთ, მაინც ძნელად რომ ვინმეს ისე სრულად და დამაჯერებლად გაეხსნას დიდი აკაკის ლირიკის უკვდავების საფუძველი, როგორც ეს გერონტი ქიქოძემ შესძლო.

გერონტი ქიქოძისათვის ერთადერთი — ესთეტიკური საზომი არსებობდა ნაწარმოების შესაფასებლად. მას კარგად ესმოდა, რომ ლიტერატურა ერის თვითშეგნების გაღვიძების ერთი უდიდესი საშუალებაა და რომ იგი სინამდვილის შემეცნებას ემსახურება. მაგრამ ყველაფერი ეს მაინც არაა განმსაზღვრელი ლიტერატურისა; არაა მისი თვითმყოფობის გამომხატველი. ლიტერატურა იწყება იქ, სადაც ჭეშმარიტი ხატოვანი აზროვნება და მშვენიერების გრძნობაა. ამიტომ ამ სპეციფიკურ მხარეებს გერონტი ქიქოძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რის

გამოც ზოგიერთნი, ლიტერატურის უტილიტარიზმის იდეის მიმდევარნი, მის ნაწერებში იდეალისტური კონცეპციების ერთგვარ გავლენებს ხედავდნენ. მაგრამ ეს მათ სინდისზე იყოს. გერონტი ქიქოძეს, მაშინაც კი, როდესაც სოციოლოგიზმი და უტილიტარიზმი თითქმის ერთაღერთ ოფიციალურ კრიტერიუმად იქცა ლიტერატურის შესაფასებლად, არ უღალატნია თავისი მრწამსისათვის და ყოველთვის მაღალი ლიტერატურული გემოვნებისა და მომთხოვნელობის ბედნიერ გამონაკლისად თუ ნიმუშად რჩებოდა მისი ნაწერები.

გერონტი ქიქოძე მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწე იყო და ერთ ფასდაუდებელ დამსახურებას ქართული მწერლობის განვითარებისათვის წარმოადგენს მისი ქართული თარგმანები. ვაჟა-ფშაველას ლექსებსა და მოთხრობებთან ერთად, მის ბავშვურ წარმოდგენას ღრმა კვალი დაამჩნია ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობამ „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღე", რომელიც თავის დროზე თედო სახოკიამ თარგმნა. როგორც ჩანს, ამანაც დაარწმუნა გერონტი ქიქოძე, რომ ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის და ერის მაღალი იდეალებით გამსჭვალვისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს მსოფლიო კლასიკის მაღალმხატვრულ თარგმანებს. ამიტომაც შესწირა ასე ბევრი დრო და ენერგია მან თარგმანს. გერონტი ქიქოძე სავსებით დამსახურებულად არის მიჩნეული შეუდარებელ მთარგმნელად. ანატოლ ფრანსის „ღმერთებს სწყურიათ", სტენდალის „იტალიური ქრონიკები", ალფონს დოდეს „წერილები ჩემი წისქვილიდან" და ბევრი სხვა კლასიკური ნაწარმოების ქართული თარგმანი, რომელიც გერონტი ქიქოძეს ეკუთვნის, არანაკლებ მნიშვნელოვანია და საყურადღებო ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის განვითარებისათვის, ვიდრე მაღალმხატვრული ორიგინალური ნაწარმოებები. გერონტი ქიქოძისათვის თარგმნა ისევე სრულფასოვანი შემოქმედებითი მოღვაწეობა იყო, როგორც ორიგინალური ნაწარმოებების წერა. ამიტომაცაა, რომ მისი თარგმანები მიუწვდომელ ნიმუშებად რჩება ქართულ მწერლობაში.

რომაელი ფილოსოფოსი და პოეტი ლუკრეციუსი ამბობდა: სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არის, ხოლო, როცა ისაა, ჩვენ არ ვართ. მაგრამ ასეთი სოფიზმებით ძნელია სიკვდილის შიშის დაძლევა. გერონტი ქიქოძე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წელს იგონებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც დაძლიეს სიკვდილის შიში. ამ გმირული მაგალითების გახსენება გერონტი ქიქოძეს იმისთვის დასჭირდა, რომ ნათელეყო თავისი დასკვნის სიმართლე: საერთოდ სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის თავს სწირავს.

ასეთი უკვდავი იდეა თვით გერონტი ქიქოძისთვის იყო ქართველი ერის, ქართული სიტყვის, ქართული ლიტერატურისა და კულტურის

უკვდავება და რაკიღა ასე უანგაროდ მიუძღვნა მთელი თავისი ცხოვრება ამ იდეას, იგი მშვიდად წავიდა ამ ქვეყნიდან, დარწმუნებული, რომ პირნათლად მოიხადა თავისი ვალი ამ უკვდავი იდეის წინაშე და მადლიერი ქართველი ხალხიც სათუთად შემოინახავს მის აზრებს, წიგნებსა და სახელს თავის მეხსიერებაში.

გურამ გვერდწითელი

ეროვნება, ენა და ესთეტიკური კულტურა

1

იმ საკითხს, რომლის გადაწყვეტასაც ჩვენ აქ ვცდილობთ, ძლიერ დიდი, თითქმის შეუდარებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სოციალური თეორიისა და პრაქტიკისათვის, არამედ საზოგადო მსოფლმხედველობისთვისაც: არსებობს თუ არა, პიროვნების გარეშე და მასზე მაღლა, სოციალური ერთეული, კერძოდ, ეროვნება, როგორც შემომქმედი ფსიქიკური რეალობა და ეთიკური ღირებულება. თუ როგორც პირველი, ისე მეორე მხოლოდ და საკუთრივ პიროვნებას უნდა მივაკუთვნოთ. ამ საკითხსაც თავისი საკუთარი საყურადღებო ისტორია აქვს. ჩვენ მხოლოდ უუმნიშვნელოვანეს მომენტებზე შევჩერდებით.

საშუალო საუკუნეების ქრისტიანული აზროვნებისათვის მხოლოდ ორი ჭეშმარიტი რეალობა არსებობს: პიროვნება და მსოფლიო სამოციქულო ეკლესია. პირველის ეთიკური ღირებულება განსაზღვრულია: იგი სრული არარაობაა ეკლესიის გარეშე; მეორეს პირიქით, აბსოლუტური და დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნელობა აქვს. ყოველი სხვადასხვაობა, რომელიც გამომდინარეობს ენის, ეროვნების, სახელმწიფოს, ისტორიული ბედის, ეთნიკური და გეოგრაფიული პირობებისაგან და ხელს უშლის ეკლესიას აღასრულოს თავისი უნივერსალური დანიშნულება, უნდა უარყოფილ იქნას, როგორც მცდარი პრინციპის ნაშობი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ორტოდოქსალური ქრისტიანობის შეხედულება ეროვნებასა და ენაზე, რომელიც არა ერთხელ გამოთქმულა სასულიერო წოდების მიერ ნაციონალური ტენდენციების გაძლიერების ხანაში.

რაციონალისტურმა ფილოსოფიამაც კი, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულამდე ქრისტიანული პიროვნების ოპოზიციაში განვითარდა და განმტკიცდა, არსებითად

შეინარჩუნა უარყოფითი შეხედულება ეროვნებაზე. ამ ფილოსოფიისათვის ერთადერთი ჭეშმარიტი და ძვირფასი რეალობა პიროვნებაა, პიროვნება არა როგორც სუბიექტი დამოკიდებული და განსაზღვრული სოციალური ობიექტის მიერ, ორგანულად შეკავშირებული სოციალურ ერთეულთან, საზოგადოებრივ წრესთან, წოდებასთან, ეროვნებასთან, სახელმწიფოსთან, არამედ განყენებული, აბსოლუტურად დამოუკიდებელი ინდივიდუუმი, გასაგები თავისი თავის ფარგლებშივე, ყოველივე ისტორიულად აღმოცენებული პირობების გარეშე მდგომი.

რაციონალისტური მსოფლმხედველობა შეეცადა გაენთავისუფლებინა პიროვნება გარეშე ძალთა მაბეზარ მზრუნველობისაგან, ეღიარებინა იგი სრულწლოვანად და დაეყენებინა საკუთარ ფეხზე; დაემტკიცებინა, რომ მას გარდაუვალი და დამოუკიდებელი ღირებულება აქვს, რომ იგი დიადია და მშვენიერი, ან ძლიერი და გონიერი. ამ ცდამ ეს ფილოსოფია უკიდურესობამდე მიიყვანა: მან შექმნა უსისხლხორცო აბსტრაქცია პიროვნებისა, სინამდვილის აჩრდილი, რომელიც მხოლოდ „განათლებულ“ ფილოსოფოსთა აზროვნებაში არსებობდა. ეს ჰიპოტეტური პიროვნება, დეკარტთან ერთად, უკიდურესი სკეპტიციზმით იწყებს: მას ეჭვი შეაქვს ყველგან და ყველაფერში, ეჭვობს ღმერთის, გარეშე ნიეთების, თავის მსგავს არსებათა, თვით თავისივე თავის არსებობაში; ცდილობს განთავისუფლდეს დახავსებული დოგმატებისა და წინასწარი აზრებისაგან. მთელ ამ პროცესში იმისათვის ერთადერთი ფაქტი რჩება შეურყეველად, სახელდობრ ის, რომ იგი აზროვნებს, აზროვნებს მაშინაც კი, როცა ეჭვიანობს და უარყოფს; აზროვნებს, მაშასადამე, არსებობს. ამის შემდეგ თავისივე თავის არსებობაში ღრმად დარწმუნებული, იგი უცნაურ თავგადასავალს განიცდის: ჰობსთან ერთად ის იგნებს, რომ ველური მდგომარეობა საყოველთაო, შეუჩერებელი ომიანობისა მისთვისვე საზარალოა, სდებს პირობას სხვა მასსავით დამოუკიდებელ და თავისუფალ პირებთან და ჰქმნის სახელმწიფოს, რომელზედაც გადააქვს თავისი ნებისყოფის ნაწილი და რომლის სასარგებლოდაც ერთხელ და სამუდამოდ ზღუდავს თავის უსაზღვრო თავისუფლებას. შემდეგ, ჰერ-

დერთან ერთად, იგი ხედავს, რომ საჭიროა იარაღი თავისი აზრებისა და გულისნადების გამოსათქმელად და სხვებისთვის გადასაცემად და ამ მიზნით იგი „სრულიად ბუნებრივად იგონებს ენას“* ლეიბნიცთან ერთად, იგი თავისთავს და მთელ სამყაროს აღიარებს აბსოლუტურად დამოუკიდებელ სულიერ სუბსტანციად.

ის, რაც დეკარტმა, ჰობსმა და ლეიბნიცმა ღრმად და ორიგინალურად გამოსთქვეს, მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებმა და განმანათლებლებმა ზეზეურად და კიდევ უფრო ცალმხრივად განიმეორეს. მათ უყურადღებოდ დასტოვეს ყველა ის განმასხვავებელი თვისება, რომელიც ერთ ადამიანს მეორისაგან ჰყოფს და დაიტოვეს მხოლოდ ის ნაკვთები, რომელნიც ყველასათვის საერთოა. ეს დანარჩენი წარმოადგენს „ადამიანს საზოგადოდ“, ანუ სხვა სიტყვებით: „მგრძნობიარე გონიერ არსებას, რომელიც ტანჯვას გაურბის და სიამოვნებას ელტვის“ და ამიტომ „ეძიებს ბედნიერებას, ე. ი. ისეთს მდგომარეობას, რომელშიაც კმაყოფილება სჭარბობს უსიამოვნებას“, უფრო უკეთ: „მგრძნობიარე არსებას, რომელსაც ძალუძს გონივრულად იმსჯელოს და მორალური ცნებები შეადგინოს.“

ასეთია პოპულარული რაციონალიზმის შეხედულება ეროვნებაზე: როგორც კარტოფილის გროვა სწორედ კარტოფილის გროვაა და სხვა არაფერი, ისე ეროვნებაც განცალკევებულ პიროვნებათა აგრეგატია, ხელოვნური ან შემთხვევითი შეჯგუფება და მას არც ერთი თვისება არა აქვს ისეთი, რომლითაც თვითეული წევრიც არ იყოს აღჭურვილი. ესაა უკიდურესი ატომისტური შეხედულება ეროვნებაზე, მახლობელი ნათესავი ჰობსის „ხელშეკრულების თეორიისა“. ამ უკანასკნელისათვის ერთადერთი რეალობა სხეულია: სული ფანტასმაა, აჩრდილი სინამდვილისა. ეროვნებას არ შეუძლია იარსებოს, როგორც მხოლოდ სულიერ ერთეულს, როგორც ფსიქიურ ორგანიზმს; ეს ეწინააღმდეგება მატერიალისტურ

---

* ჩვენ აქ მხედველობაში ახალგაზრდა ჰერდერი გვყავს, ავტორი „ენის წარმოშობისა“. შემდეგში ჰერდერი თავისი „ისტორიის ფილოსოფიის იდეებში“ იმ აზრს დაადგა, რომ ენა ღვთაებრივი შემოქმედების ნაყოფია.

დოგმას. ეროვნება არ არსებობს, როგორც მატერიალური ორგანიზმი; ამას გვიმტკიცებს ყოველდღიური გამოცდილება, — ვერსად ვერა ვხედავთ ეროვნების მატარებელ სხეულს, როგორც ორგანულ ერთეულს, რეალური ინდივიდუუმის მსგავსს. მაშასადამე, ეროვნება არ არი ჭეშმარიტი რეალობა, იგი გარეგნულად, შემთხვევით შეზავებულ ატომთა ჯგუფია, რომელთაგან თვითეული სხვისდამიუხედევად თავის დამოუკიდებელ ცხოვრებას განაგრძობს; რადგან არც ერთი ძაფი არ არსებობს, რომელიც მას ორგანულად ერთ რომელიმე ასეთს „ეროვნულ აგრეგატთან“ აერთებდეს, ამიტომ მას ადვილად შეუძლია გამოვიდეს ერთი მათგანის წრიდან და მეორეში გადავიდეს, თუკი ამას თავისთვის სასარგებლოდ სცნობს.

ყოველი სხვადასხვაობა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული ენის, რასობრივი ხასიათის, ისტორიული თავგადასავალის, ზნე-ჩვეულების, ხელოვნების, მსოფლმხედველობისა და სარწმუნოების განსხვავებისაგან, უარყოფილია როგორც ისეთი რამ, რასაც არ შეუძლია თავი გაიმართლოს რაციონალიზმის უდიდესი სამსჯავროს — გონების წინაშე. მთელი ეს სხვადასხვაობა ნაშთია უარყოფილი წარსულისა, იმ „ბნელი წარსულისა“, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო განათებული რაციონალისტური და განმანათლებელი ფილოსოფიის შუქით. რაციონალიზმის აღმოცენებასთან ერთად იწყება ახალი ხანა კაცობრიობის ისტორიისა, ხანა განათლებული, თავისუფალი გონების ბატონობისა, რომელიც მთელ მსოფლიოს გარდაქმნის აბსოლუტური, დღესავით ნათელი, მათემატიკურად დამტკიცებული ჭეშმარიტების თანახმად. ეს ის იდეალია, რომლის პრაქტიკულად განხორციელებასაც შემდეგში შეეცადნენ რობესპიერი და სენ-ჟიუსტი, იდეალი მსოფლიო მოქალაქეობის, რომელშიაც მხოლოდ ერთი განსხვავება არსებობს — შედარებითი განსხვავება გონებრივობაში, განათლებაში. მათი მამამთავარი რუსსო, აშკარად ამბობს იმ სიტყვებს, რომლებიც დამახასიათებელია მთელ ამ მიმდინარეობისათვის: „დღეს არ არსებობენ არც ფრანგები, არც გერმანელები, არც ესპანელები და ინგლისელები; არსებობენ კიდევ მხოლოდ ევროპელები, რომელთაც ერთი და იგივე გემოვნება, ერთი და იგი-

ვე სულიერი წყობა, ერთი და იგივე ზნე-ჩვეულება აქვთ, იმიტომ რომ არც ერთ მათგანს არ მიუღია ეროვნული ხასიათი განსაკუთრებული დაწესებულების შემწეობით". იმავე აზრს ეთანხმება დ. ჰიუმიც თავის გამოკვლევებში „ადამიანის გონებაზე": „დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ყველა ეროვნებისა და ეპოქის ადამიანთა მოქმედებაში დიდი ერთფეროვნება სუფევს და რომ ადამიანის ბუნება უცვლელი რჩება თავის პრინციპებსა და მოქმედებაში" (მერვე ნაწილი, თავი 1).

თავის ძირითად შეხედულებებს რაციონალიზმი არ ღალატობს არც ფსიქოლოგიურ თეორიაში, არც სულიერი თვისებების დაფასებაში. უძვირფასესი, უმნიშვნელოვანესი მხარე ადამიანის ფსიქიკისა არი გონება, აზროვნება; იგი დაფუძნებულია წარმოდგენათა მექანიკურ ასოციაციაზე. კიდევ მეტი: თვით აზროვნება ასოციაციის ჯაჭვია და სხვა არაფერი; ის მით უფრო ნათელი და გარკვეულია, მით უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას, რაც უფრო ნაკლებად განიცდის ნებისყოფის და გრძნობის ზეგავლენას. თვით ასოციაციის მიმდინარეობა და, მაშასადამე, აზროვნება, დამოკიდებულია არა ინდივიდუალურ თვისებებსა და ნიუზე, არამედ ობიექტურ კანონებზე, რომელნიც ისეთივე ულმობელი აუცილებლობით მოქმედებენ, როგორც გარეგანი ბუნების კანონები. ამიტომ აზროვნება არსებითად ერთფეროვანია; საკმაოა იგი განთავისუფლდეს ვნებათა ღელვისა, ცრუმორწმუნეობისა და აფექტთა ზეგავლენისაგან, რომ უსათუოდ მიაღწიოს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას და მასთან ერთად ბედნიერებას, რომელიც დამოუკიდებელია დროისა და სივრცის პირობებისაგან და, მაშასადამე, ერთი და იგივეა ყველა გონიერი არსებისათვის აწ უკუღმართად არსებულ წოდებათა, კლასთა და ეროვნებათა განურჩევლად. პირიქით, ადამიანის სულიერი ცხოვრების იმ მხარეს, რომელშიაც ყველაზე უფრო იხატება მისი სუბიექტივობა და ორიგინალობა — გრძნობასა და ნებისყოფას, რაციონალიზმი ან სრულიად არა სცნობს ფსიქიურ რეალობად, ან უმნიშვნელო და უარყოფით როლს ანიჭებს: როგორც ინდივიდუალური, ისე უმაღლესი სოციალური გრძნობები — წოდებრივი, ეროვნული, სარწმუნოებრივი, — აცალკევებენ და აბრმავებენ ადამიანებსა და, მაშასადამე, განკი-

ცხულ უნდა იქნენ საღი გონიერებისა და აბსოლუტური ჭეშ-მარიტების სახელითაო.

2

მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიურმა და მეცნიერულმა მიმდინარეობამ ბოლო მოუღო ფსიქოლოგიურ და სოციალურ ატომიზმს. უწინარეს ყოვლისა, ორმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენამ იქონია ამ მხრივ გადამწყვეტი გავლენა: რომანტი-კულმა ფილოსოფიამ და ჰეგელმა, ერთის მხრივ, ვოლიუნტა-რისტულმა ფსიქოლოგიამ — მეორეს მხრივ. ამ უკანასკნელმა სულიერი ცხოვრების ცენტრად ნებისყოფა აღიარა, ნებისყო-ფა, როგორც მთლიანობა ფსიქიური ენერგიისა, როგორც მიმდინარეობა, როგორც პროცესი, რომელშიაც იხატება მთე-ლი სიმდიდრე და მრავალმხრივობა ადამიანისა. წარმოდგე-ნანი ან აფექტები შედიან, როგორც შემადგენელი ნაწილი ამ პროცესში, მაგრამ როგორც შეცდომა იქნება, მაგ., მდი-ნარე წვეთების უბრალო შეერთებად ვაღიაროთ, ისევე უსა-მართლობა იქნება, რომ ადამიანის ფსიქიკა გარეგნულად შეკავშირებულ წარმოდგენათა სისტემად ვცნოთ და უყუ-რადღებოდ დავტოვოთ მისი მიმდინარეობა და მიმართულება. აქედან წარმოდგება ახალი ცნება სულისა, როგორც აქტიუ-რი პრინციპისა, რომელმაც ძველი მეტაფიზიკური შეხედუ-ლების ადგილი დაიჭირა: ფსიქიური გამოცდილების სფეროში ჩვენ ვხედავთ სულს, არა როგორც სუბსტანციას, „უცვლელს და დამოუკიდებელ არსებას“, არამედ როგორც აქტივობას, „ჯამს თვით ჩვენის შინაგან გამოცდილებათა, ჩვენის წარმოდ-გენისა, გრძნობისა და ნებისყოფისა, როგორც შეგნების მთლიანობას, რომელიც განვითარების საფეხურზე ბოლოს თვით შემეცნებული აზროვნებისა და თავისუფალი ზნეობ-რივი ნებისყოფის სიმაღლეზე ადის“ (ვუნდტი: „ლექციები ადამიანის და ცხოველის სულზე“, ლექცია 30-ე).

რადგან თანამედროვე აზროვნებამ ძირიანად უარყო ის რწმენა, რომ სული მონადაა უკარო და უსარკმლო, რადგან მან სულიერი ცხოვრების დედაარსად აქტივობა აღიარა, უპი-რველესი პრობლემა, რომლისთვისაც ანგარიში უნდა გაე-

წიოს მას, იყო საკითხი ინდივიდუალური შეგნებისა და სოციალური ერთეულის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და უდიდესი ისტორიული ღვაწლი რომანტიკული ფილოსოფიისა, და განსაკუთრებით, ჰეგელისა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მათ საკვლევით სცნეს ამ საკითხის მნიშვნელობა და გზა გაუკვალეს მის სამართლიანად გადაწყვეტას. პიროვნება, არა განყენებული, უსისხლხორცო აჩრდილი, არამედ ისეთი, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ კონკრეტულ სინამდვილეში, განსაზღვრულ ენაზე მოლაპარაკე, განსაზღვრული აზროვნების, ზნე-ჩვეულებების, რწმენის, მორალის და უფლების მატარებელი, გაუგებარია, სანამ მის ვიწრო ინდივიდუალურ საზღვრებიდან არ გამოვალთ. კიდევ მეტი: პიროვნება გასაგებია არა როგორც აბსოლუტურად თავისუფალი და დამოუკიდებელი ინდივიდუალობა, არამედ როგორც სუბიექტი, რომელიც რთულსა და მრავალმხრივ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში იმყოფება სოციალურ ობიექტთან.

რომანტიკული ფილოსოფიისა და ჰეგელისათვის კი სუბიექტური სული არ არი ერთადერთი შემოქმედი ფსიქიური ენერგია: მის ანტითეზას წარმოადგენს ობიექტური სული, რომელიც იხატება უფლებაში, ზნე-ჩვეულებასა და მორალში და ჰქმნის როგორც თავისი გარეგნული განვითარების სიფეხურებს — ოჯახს, სამოქალაქო საზოგადოებას და სახელმწიფოს. უმაღლესი საფეხური შემომქმედი სულისა კი არის მთლიანობა, ანუ სინთეზი სუბიექტური და ობიექტური სულისა, ანუ აბსოლუტური სული, რომელიც ხელოვნებაში, სარწმუნოებაში და ფილოსოფიაში თავის გამოხატულებას, ხოლო უკანასკნელში აგრეთვე თავისვე თავის შეგნებას და აბსოლუტურ დამთავრებას პოულობს.

. განუზომელია ის გავლენა, რომელიც ამ შეხედულებებმა იქონია მეცხრამეტე საუკუნის მსოფლმხედველობაზე: მოაზროვნე პიროვნება იგნებს, რომ იგი წარმოადგენს არა განმარტოებულ კუნძულს ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში, არამედ სოციალური ერთეულის ცოცხალ ნაწილს, როლის ზრდა, განვითარება და აღორძინება იმდენადვე სასარგებლოა მისთვის, რამდენადაც განუვითარებლობა, უკანსვლა და გადაგვარება საზარალოა და სახიფათო; რომ არსებობს სხვა ძალაც მის

გვერდით და მასზე მაღლა, რომელიც ჰქმნის უფრო დიადს და უფრო მშვენიერს, ვიდრე კერძო პიროვნებას ძალუძს; რომ ეს შემომქმედი, აქტიური ძალა წარმოადგენს უფრო მაღალ-ხარისხოვან რეალობას და ღირებულებას, ვიდრე ინდივიდუალური სული; რომ ის თვით უკვდავია და უკვდავყოფს პიროვნებასაც, რამდენადაც პიროვნება ხელს უწყობს იმის წინსვლას... არის დასაწყისი ახალი ხანისა მსოფლმხედველობის განვითარებაში, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია (გერმანელ ისტორიკოს ლამპრეხტთან ერთად) სუბიექტური შეგნების ხანა ვუწოდოთ, წინააღმდეგ წინა საუკუნეების (მეთხუთმეტედან-მეთკრამეტემდის) ინდივიდუალისტური აზროვნებისა.

რა არი ეროვნება თანამედროვე მსოფლმხედველობის თვალსაზრისით?

3

„ერი არი სული, ფსიქიური ერთეული"... ეს დებულება პარადოქსალურად მხოლოდ იმას ეჩვენება, ვინც ძველი ფსიქოლოგიური თეორიის ნიადაგზე დგას და სულის დედაარსს სუბსტანციაში ეძებს; მართლაც და, თუ სული, ვრცეულობას მოკლებული, „მოაზროვნე სუბსტანციაა", როგორც დეკარტემ განმარტა, ან „უცვლელი, აბსოლუტურად განუვითარებელი, უბრალო არსებაა", როგორც ჰერბარტს ეგონა, თუ იგი რეალურ ფსიქიურ მოვლენათა გარეშე ან მათ უკანა დგას, რათა მათ მუდმივ ცვალებადობასა და მიმდინარეობაში დამოუკიდებლობა და იგივეობა შეირჩინოს, მაშინ ეროვნული სულის არსებობა მეტაფიზიკურ პრობლემად ხდება, რომლის გადაწყვეტაც მეცნიერულ ნიადაგზე ყოვლად შეუძლებელია. სოციალური ცხოვრების გამოცდილებაში ეროვნული სულის ასეთ სუბსტანციას, რასაკვირველია, ვერსად შევხვდებით, ან სად უნდა ვეძიოთ იგი? რაიმე ეროვნულ დაწესებულებაში? საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ხელისუფლებაში? ან ეროვნების თვითეულ წევრში, მისი ინდივიდუალური სულის გვერდით, მისთვის ცალკე მიჩნეულ სფეროში? ამაოა ეს ძიება ეროვნული სულის სუბსტანციისა, როგორც ამაო იყო ინდივიდუალური „სულის საჯდომის" ძიება დეკარტეს მიერ, რომელიც მან ბო-

ლოს ვითომდა პატარა ტვინის ქვეშ აღმოაჩინა, ამაოა და უნაყოფო, იმიტომ რომ არც ფსიქიურ, არც სოციალ-ფსიქიური გამოცდილების სფეროში არ არსებობს არც „საჯდომი“, არც თვით სუბსტანცია სულიერ მოვლენათა: ერთიც და მეორეც მეტაფიზიკური კონსტრუქციის ნაყოფია და ყოვლად უადგილოა როგორც ფსიქოლოგიაში, ისე სოციალურ მეცნიერებაში.

სულ სხვა დასკვნამდე მივალთ, თუ იმ ფსიქოლოგიური პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, რომელსაც ზევით აქტივობის თეორია ვუწოდეთ. როგორც ინდივიდუალური სულის შინაარსი წარმოდგენათა, გრძნობათა და ნების ლტოლვათა მთლიანობაში მდგომარეობს და არა მათ უკან დამალულ მეტაფიზიკურს არსებაში, ისე სოციალური ფსიქიკის რეალობაც იმ მოვლენათა ურთიერთობაში იხატება, რომელნიც არსებითად სულიერი შემოქმედების ნაყოფნი არიან, მაგრამ ამასთან ინდივიდუალურ შესაძლებლობაზე შეუდარებლად მაღლა დგანან. ეს სოციალ-ფსიქიური მოვლენანი — ენა, ხელოვნება, სარწმუნოება, მითოლოგია, მსოფლმხედველობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ზნე-ჩვეულება და სხვა, ისევე შეურყეველად მოწმობენ ეროვნული სულის რეალობას, როგორც ინტელექტუალური და ემოციონალური ელემენტების არსებობა მოწმობს ინდივიდუალური სულის რეალობას. როგორც იქ, ისე აქ სულის დედაარსი იხატება აქტივობაში, შემოქმედებაში, მიმდინარეობაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთი მათგანის ასპარეზი უფრო ფართო, დიდი და ამაღლებულია, ვიდრე მეორესი.

ჩემი აზრის განსამარტებლად და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მივმართავ ერთ მეცნიერულ კანონს, რომელსაც თანამედროვე ვოლიუნტარისტული ფსიქოლოგია (სახელდობრ, ვ. ვუნდტი) „ფსიქიური რეზულტატების პრინციპს“ უწოდებს. ამ პრინციპის მიხედვით, რთული ფსიქიური მოვლენა აღჭურვილია ხშირად არამარტო იმ თვისებებით, რომელნიც თვითეულ მის შემადგენელ ელემენტს ეკუთვნიან, არამედ ახალი მხარეებითაც, რომელნიც არც ერთ ელემენტს ცალკე არ ჰქონია. ავიღოთ, მაგალითად, მელოდია. მის შემადგენელ ელემენტებს ტონები და მხოლოდ ტონები წარმოადგენენ.

მიუხედავად ამისა, მას ახასიათებს ისეთი ფსიქიური თვისება, რომელიც არც ერთ ტონში ცალკე არ მოიპოვება და რომელიც მხოლოდ მათი შეერთებისაგან გამომდინარეობს. სიმაღლეც, სიძლიერეც ანუ ინტენსივობაც თვითეულ ტონს ცალცალკე უცილობლად თან სდევს, მაგრამ მას აკლია ის გამოუთქმელი რაღაც, რაც მელოდიას მელოდიად ხდის და რის ძებნაც თვითეულ ტონში ამაოა.

ასეთივეა დამოკიდებულება ეროვნებასა და ცალკე პიროვნებათა შორისაც; ეროვნება შედგება ცალკე პიროვნებათაგან და მხოლოდ მათზე და არა ამოცანისებურ სუბსტანციაზე არი დაფუძნებული მისი არსებობა. მაგრამ, როგორც მელოდია მეტია, ვიდრე უბრალო ჯამი შემადგენელი ტონებისა, ისე ეროვნებაც მეტია, ვიდრე ინდივიდუალობათა კონგლომერატი; თუ გნებავთ, იგი სოციალური მელოდიაა, მხოლოდ უფრო თვითმოქმედი და დიადი. ვიდრე მუსიკალური მელოდია. მისი ფსიქოლოგიური შემოქმედების სალაროში შედის აუცილებლად ისიც, რასაც ცალკე პიროვნება ჰქმნის, მაგრამ მის სიმდიდრეს, მრავალმხრივობას ახასიათებს ისეთი რამ, რაც ცალკე პიროვნებას არასოდეს შეუძლია წარმოშვას.

4

მას შემდეგ, რაც თანამედროვე აზროვნებამ ყურადღება მიაქცია არა მარტო იმას, რაც სხვადასხვა პიროვნებასა და ეროვნებას ერთიმეორეს ამსგავსებს, არამედ იმასაც, რაც მათ ურთიერთისაგან ანსხვავებს და აცალკევებს; მას შემდეგ, რაც მან ისწავლა იმ თავისებურის, ორიგინალურის და განუმეორებლის დაფასება, რომელიც პიროვნებას პიროვნებად, ხოლო ეროვნებას ეროვნებად ხდის. ნიადაგი გამოეცალა ერთფეროვან მსოფლიო მოქალაქეობის იდეალს და მისწრაფებას. დიადია და პროგრესის მამოძრავებელი, უწინარეს ყოვლისა, ის, რასაც ინდივიდუალობა და ეროვნება ჰქმნის ახალს, ანორმალურს, ამ სიტყვის კეთილშობილი მნიშვნელობით, გენიოსურს თავისი მოულოდნელობით, და თავისუფალ კონკურენციაში სხვებთან ერთად კაცობრიობის ცხოვრებას მრავალფეროვნად და საინტერესოდ ხდის. აქ ბუნებრივად იბადება სა-

კითხი, თუ რომელ სფეროში იხატება ყველაზე აშკარად ერის თავისებურება და ინდივიდუალობა, რომელია ის გზები, რომელზედაც იგი არსებითად დამოუკიდებლად დადის და ამით თავის სიმწიფეს გვამცნობს.

მატერიალური კულტურის სფეროში, ტექნიკის, საწარმოო ძალთა განვითარებაში? რასაკვირველია, აქაც, მაგრამ შედარებით ყველაზე ნაკლებად. მატერიალური კულტურის წინსვლას, ისევე როგორც სოციალური და პოლიტიკური წესწყობილების, მეცნიერების, ხელოვნების ფილოსოფიის და სარწმუნოების განვითარებას, საძირკვლად ფსიქიური შემოქმედება უდევს. ეს დღეს არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, გარდა რამდენიმე უკიდურესი მატერიალისტისა. მაგრამ მატერიალური კულტურა, კერძოდ ტექნიკა სწორედ ის სფეროა, რომელშიაც ყველაზე ნაკლებ იხატება სპეციფიკურად ეროვნული, ყველაზე მეტად საერთაშორისო, კაცობრიული სული. თანამედროვე ტექნიკის განვითარებამ საკმაოდ ნიადაგი გამოაცალა იმ შეხედულებას, რომ მის უაღრეს მატარებლად ერთი რომელიმე რჩეული ერი უნდა ჩაითვალოს—ინგლისელები, ამერიკელები ან სხვა ვინმე. კიდევ მეტი: კაპიტალისტური საზოგადოების ტექნიკა არსებითად განსაცვიფრებელი ერთფეროვნებით მეორდება სხვადასხვა ერის წარმოებაში, იაპონიიდან დაწყებული ინგლისამდე და თანამედროვე სოციალური დიფერენციაცია, საზოგადოდ ეროვნული სხვადასხვაობის ზრდა, კერძოდ, გაუგებარი იქნებოდა, მართლაც ტექნიკური განვითარება რომ შეადგენდეს კაცობრიობის წინსვლის გადამწყვეტ ფაქტორს.

ეს გასაკვირალიც არ არი: აქ ადამიანი ბუნების პირისპირ დგას უშუამავლოდ, პირდაპირ; აქ იგი ცდილობს ბუნება დაიპყროს მისივე მექანიკური ძალების საშუალებით, რომელნიც მათემატიკურის, გარდაუვალის აუცილებლობით მოქმედებენ; მოქმედებენ ერთნაირად, ისტორიული და სოციალური წრისაგან თითქმის სრულებით დამოუკიდებლად: ელექტრონის მოქმედება ერთნაირია ჩინეთში, ბრაზილიის ულრან ტყეში და პარიზში; ორთქლი ამერიკის პრერიებში ისეთივე აუცილებლობით ამოძრავებს მანქანებს და მატარებლებს, როგორც მანჩესტერის ქარხნებში ან უნგრულ მაგნატის მამულში. ის განსხვავება, რომელსაც, მიუხედავად ამისა, ვხედავთ

სხვადასხვა ერის ტექნიკურ კულტურაში, რასაკვირველია, დამოკიდებულია ეროვნული ნიჭისა და გონების სიმაღლეზედაც, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იგი ამ ბუნებრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ესა თუ ის ერი ცხოვრობს.

კიდევ უფრო შორს ჭეშმარიტებზე ის შეხედულებაა, რომელიც ეროვნების მნიშვნელოვან და დამახასიათებელ თვისებას აღებ-მიცემობის ქონაში ან უქონლობაში ხედავს; იმ აზრს კი, რომ თანამედროვე ეროვნების წარმოშობის მიზეზი აღებ-მიცემობის განვითარება არისო, რასაკვირველია, სრულიად არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან.

შეიძლება გვიპასუხონ, რომ აღებ-მიცემობა ჰქმნის ეროვნებას იმდენად, რამდენადაც იგი სპობს ეკონომიურ კარჩაკეტილობას და ხელს უწყობს ეროვნული მეურნეობის შექმნას, მასთან ერთად ეროვნების გაერთიანებასო. შეიძლება მიგვითითონ ისტორიულ მაგალითებსა და ფაქტებზე, მაგ., ჩრდილოეთ გერმანიის საბაჟო კავშირზე, რომელმაც მოამზადა და ძლიერ ხელი შეუწყო გერმანელი ერის პილიტიკურ შეერთებას. ეს კავშირი, როგორც ვიცით, წარმოიშვა 1819 წ. და 1835 წლამდის ეკონომიურად პრუსიის წინამძღოლობით გააერთიანა დაქსაქსული გერმანიის ყველა ის სამეფო და სამთავრო, რომელნიც შემდეგ, 1871 წელს, ახალ ეროვნულ სახელმწიფოს, გერმანიის იმპერიის ფარგალში შევიდნენ.

ეჭვი არ არი, რომ საბაჟო კავშირმა, ე.ი. ეკონომიურმა ერთიანობამ, აქ, ისე როგორც სხვაგანაც, ხელი შეუწყო ეროვნულ სახელმწიფოს წარმოშობას, ე. ი. პოლიტიკურ გაერთიანებას. მაგრამ, განა ეს იმას ნიშნავს. რომ აღებ-მიცემობამ და ეკონომიურმა განვითარებამ შექმნა თანამედროვე გერმანელი ეროვნება. განა გერმანელი ეროვნება არ არსებობდა 1871 და 1835 წლებამდის, მაშინაც, როცა მისი სამშობლო ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაქსაქსული იყო, დაყოფილი ათას პაწია სამეფოდ და სამთავროდ, როცა ზოგიერთი მათგანი პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც უცხო ერებთან უფრო მჭიდროდ იყო შეკავშირებული, ვიდრე ურთიერთ შორის: პრუსია-პოლონეთთან, პომერანია-შვეციას-

თან, შლეზვიგი და ჰოლშტეინი-დანიასთან, ჰაროვერი-ინგლისთან, სამხრეთ გერმანიის სამთავროები — საფრანგეთთან. ან იქნება გერმანელი ეროვნება მხოლოდ დღეს არსებობს, ძველი გერმანია კი მხოლოდ გეოგრაფიული ცნებაა, შესაძლებლობა და არა ისტორიული რეალობა, უშინაარსო ფიქცია: ის გერმანია, რომელმაც შეჰქმნა მდიდარი ენა, თავისებური ზნეჩვეულება, რელიგიური რწმენა და მსოფლმხედველობა, დიადი მუსიკალური კულტურა და შეუდარებელი პოეზია; რომელმაც წარმოშვა ლუთერი და მელანხტონი, დიურერი და ჰოლბაინი, ლესინგი, გოეთე და შილერი, ბახი, მოცარტი, ჰაიდნი და ბეთჰოვენი, ლაიბნიცი, კანტი, ფიხტე, შელლინგი და ჰეგელი...

მთელი თანამედროვე აღებ-მიცემობა საერთაშორისო უფროა თავისი ძირითადი ტენდენციით, ვიდრე ეროვნული. მისი უაღრესი სარბიელი მსოფლიო ბაზარია და არა ეროვნების ან სახელმწიფოს მიერ შეზღუდული წრე. ის ეკონომიურად სხვადასხვა ეროვნებას არა ნაკლებ მჭიდროდ აკავშირებს ერთიმეორესთან, ვიდრე თვითეული ეროვნების წევრთ ურთიერთშორის.

ევროპის საგარეო აღებ-მიცემობა ერთი წლის განმაელობაში (1902 წ.) სჭარბობს სამოც მილიარდ მარკას; თუ ამ უზარმაზარ ციფრს სხვა ქვეყნების აღებ-მიცემობასაც მივუმატებთ, დაახლოებით მაინც წარმოვიდგენთ, რა ძლიერი უნდა იყოს აღებ-მიცემობის როლი ინტერნაციონალური ეკონომიური კავშირის განმტკიცებაში. მაგრამ რა მოჰყვა მსოფლიო ბაზრის წარმოშობას და ეკონომიურ განვითარებას? ყოველ შემთხვევაში არა ის, რაც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო „აღებ-მიცემობის“ თეორიის მიხედვით: არა გაერთიანებული „ევროპული“ ან, მით უმეტეს, „მსოფლიო“ ეროვნების შექმნა, არა გაქრობა ან ჩაჩრდილვა არსებულ ეროვნებათა სხვაობისა და წინააღმდეგობისა.

პირიქით: მეცხრამეტე საუკუნე — ეს მსოფლიო ბაზრის საუკუნე, მასთან ერთად ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების ხანაა. თვითეული ერი თავისი, საკუთარი გზით მოდის, იმ გზით, რომელიც იმის სულიერ დედაარსს შეესაბამება, და ეს მსვლელობა არ შეჩერებულა მეცხრამეტე და მეოცე სა-

უკუნეებში, ინტერნაციონალურ ? აღებ-მიცემობის ზრდის მიუხედავად.

აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარება და ეკონომიური გაერთიანება ხელს უწყობს ეროვნების პოლიტიკურ კონსოლიდაციას, როგორც, პირიქით, პოლიტიკური კონსოლიდაცია, თავის მხრით, ხელს უწყობს ეკონომიურ შეერთებას და ეროვნული მეურნეობის შექმნას. პირველი პროცესის ისტორიული მაგალითია გერმანია, უკანასკნელის — იტალია. იტალიელი ეროვნების სახელმწიფოებრივ შენობას საძირკველი 1859 წელს ჩაეყარა, ხოლო 1871 წელს დამთავრდა: მან თავის მხრით ცხოვრებაში ეროვნული აღებ-მიცემობა და მეურნეობა გამოიწვია. იტალიელი ეროვნება კი, რასაკვირველია, მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებამდისაც არსებობდა. არსებობდა ის დიდი იტალიელი ეროვნება, რომელმაც განუმეორებელი სულიერი კულტურა შექმნა, რომელმაც კაცობრიობას უძღვნა დანტე და პეტრარკა, არიოსტო და ტორკვატო ტასსო, რაფაელი და მიქელ-ანჯელო, ტიციანი და კორრეჯიო, გალილეი და ჯორდანო ბრუნო, მაკიაველი და ვიკო, ალფიერი და ლეოპარდი...

5

რა დამოკიდებულება არსებობს ეროვნულ შემომქმედ სულსა და სოციალ-პოლიტიკურ წესწყობილებას შორის? ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ აქაც ისევე, როგორც ტექნიკური კულტურის სფეროში, თვითეული ეროვნება ძლიერ ხშირად შობს სპეციფიურს, ორიგინალურს, შესაბამისს თავის ნაციონალურ ხასიათთან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, სოციალ-პოლიტიკური წესწყობილების სფეროშიც საერთაშორისო, საკაცობრიო ფსიქიური შემოქმედება უფრო აშკარად იხატება, ვიდრე ეროვნული, და ეს მით უფრო გარკვევით, რაც უფრო წინ მიდის საზოგადოებრივი განვითარება. ორი ნიშანდობლივი თვისება ახასიათებს მთელ დღევანდელ კულტურულ კაცობრიობას თითქმის გამოუკლებლად: კლასობრივი საზოგადოება და კონსტიტუციური პოლიტიკური წყობილება. თანამედროვე საზოგადოების ტენდენცია მიმარ-

თულია კლასებად დაყოფილ დემოკრატიისაკენ და ამ ძლიერი ტენდენციის გავლენას ვერც ერთი ეროვნება ვერ გადაურჩა, ვერც ოსმალეთი, ვერც სპარსეთი და აღმოსავლეთის სხვა დესპოტიები, რომელნიც კარგა ხანს წოდებრივი და აბსოლუტისტური წყობილების შეურყეველ კერად ითვლებოდნენ. ის, რაც ყველაზე ადრე ორი მოწინავე ერის — ფრანგებისა და ინგლისელების ენერგიამ და გენიოსობამ შექმნა, დღეს მთელი კაცობრიობის კუთვნილებად ხდება და აშკარად მოწმობს იმ აზრს, რომ ამ მხრით მსგავსება სხვადასხვა ეროვნებებსა და მათ მოთხოვნილებათა შორის უფრო დიდია, ვიდრე განსხვავება.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მეცნიერი და მკვლევარი ეროვნების შექმნაში გადამწყვეტ როლს სწორედ პოლიტიკურ მომენტს აკუთვნებს. მაგალითად, ავსტრიელი სოციოლოგი გუმპლოვიჩი ეროვნებას ახასიათებს, როგორც „საერთო სახელმწიფოს მიერ წარმოშობილ კულტურულ და სულიერ ინტერესთა მთლიანობას, რომელიც ყოველთვის და აუცილებლად არ საჭიროებს საერთო ენაზე ილაპარაკოს“. საქმის ნამდვილ ვითარებას ეს შეხედულება ისევე უკუღმა ატრიალებს, როგორც „აღებ-მიცემობის თეორია“, და ამის დასარღვევად იგივე ისტორიული ფაქტებია საკმაო, რომელნიც ზევით მოვიყვანეთ, არა სახელმწიფო ჰქმნის ეროვნებას, არამედ, პირიქით, ეროვნება იწვევს ცხოვრებაში ეროვნულ სახელმწიფოს, ან, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, თავისი არსებითი მოთხოვნილებების შესაფერი პოლიტიკური ორგანიზაცია მოიპოვოს.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის ისტორია არი ბრძოლა ეროვნებათა ნაციონალური სახელმწიფოს გულისათვის და ეს ბრძოლა დღესაც არ დამთავრებულა. რით აიხსნება დღევანდელი ჩეხების, პოლონელების, ირლანდიელების და სხვა ბევრია ერების „ბრძოლა სახელმწიფოსათვის“, თუ არა იმით, რომ ეროვნება არსებობს საკუთარი პოლიტიკური ერთეულის გარეშეც, ანვითარებს ნაციონალურ თვითშეგნებას და კულტურას სხვის სახელმწოფოშიაც, თუმცა ხშირად გრძნობს ამ მდგომარეობის არანორმალობას, შეუსაბამობას, იტალიელები არასოდეს არ ყოფილან შეერთებულნი საერთო პოლიტი-

კურ ორგანიზმიში 1859 წლამდის. პაწია სამეფოებად დაყოფილი იტალიის ნაწილს ხან გერმანელები ფლობდნენ, ხან ესპანელები, ხან ფრანგები, ხან ავსტრიელები; მიუხედავადა ამისა, არ გაჩენილა ცალ-ცალკე ეროვნება „ორივე სიცილიის სამეფოში", პიემონტში, ვენეციაში, მოდენაში, პარმაში და პაპის სამფლობელოში; არც ნეაპოლიტანელნი გამხდარან ესპანელებად, ნიცელები — ფრანგებად ან ლომბარდიელები და ტიროლელები — გერმანელებად, იმიტომ რომ სახელმწიფო სინამდვილეში არი არა „ლევიათანი", არა „ენით გამოუთქმელი საშინელება", რომელსაც შეუძლია ყოველგვარი შეუძლებლობა სინამდვილედ აქციოს, შექმნას ან მოსპოს ეროვნული ფსიქიკა, არამედ ისტორიულად აღმოცენებული ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განვითარებისა, რომელსაც თვით ეროვნება ხმარობს თავისი ნებისყოფის განსახორციელებლად და გასამტკიცებლად.

როგორც მონა თავისი მონობის მთელ საშინელებას, თავისი გარეგანი ნებისყოფის შებორკვის აუტანლობას მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა სულიერად უკვე განთავისუფლებულია, როცა მან უკვე ისწავლა თავისი ინდივიდუალობის დაფასება და ცდილობს მას გარეგნული მოქმედებაც შეუსაბამოს, ისე ეროვნებაც მხოლოდ მაშინ განიცდის მთელ ტრაგიზმს პოლიტიკური მონობისას, როცა იგი უკვე ასულია ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეზე, როცა აშკარად ხედავს წინააღმდეგობას თავის შინაგან მისწრაფებათა და გარეგან პოლიტიკურ მდგომარეობათა შორის. ეს ტრაგიკული და სახიფათო მდგომარეობაა...

სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიაც კი. სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი მონად დარჩება თვით უთავისუფლეს სახელმწიფოში.

შემცდარია ის აზრი მონტესკიესი და დემესტრისა, რომლის მიხედვითაც ეროვნებად მხოლოდ სუვერენი და არისტოკრატია უნდა ჩაითვალოს, როგორც შემცდარია ის შეხედულება საფრანგეთის მეთვრამეტე საუკუნის რადიკალური ბურჟუაზიისა, რომელიც ოლარმა შემდეგი სიტყვებით დაახასიათა: ეროვნება — ეს შეძლებული და განათლებული საფ-

რანგეთიაო. ეროვნება ყოველივე ამაზე უფრო მაღლა დგას, ამიტომ არი, ყველა საზოგადოებრივი ძალა ერთნაირადაა დაინტერესებული, რომ ის ეროვნება, რომელსაც იგი ეკუთვნის დიადი და კულტურული გახდეს. ეს იმიტომ, რომ პიროვნება, რომელ წრესაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ორგანულადაა შეერთებული ეროვნულ ფსიქიურ ერთეულთან, მთელ მის არსებობასთან, ზრდასთან და განვითარებასთან.

დამოკიდებულება და ერთიერთობა ეროვნებასა და პიროვნებას შორის შეუდარებლად უფრო მჭიდრო და ორგანულია, ვიდრე ეს სოციალ-ატომისტურ თეორიას ეგონა. რასაკვირველია, ეს დამოკიდებულება არ არი ცალმხრივი: პიროვნება არა მარტო ექვემდებარება ეროვნული ერთეულის გავლენას, არამედ თვითონაც აქტიურად მოქმედებს მასზე და მით უმეტეს, რაც უფრო მდიდარი და ძლიერია თვითონ იხ.

ერთი თანამედროვე გერმანელი ისტორიკოსი სრულიად სამართლიანად ამბობს: „ადამიანი საჭიროებს საზოგადოებას არა მარტო როგორც თავის მატარებელს, არამედ როგორც ობიექტსაც, რომელშიაც შეაქვს ის, რაც მასში ცხოვრობს, და რამდენადაც უფრო ავტონომიური და ინდივიდუალური ხდება თვით პიროვნება, იმდენად უფრო გაბედულად და ფართოდ ავლებს ის თავის გარშემო იმ წრეს, რომელმაც მასზე უნდა იქონიოს გავლენა და რომელზედაც აგრეთვე მას სურს იმოქმედოს“.

6

თუ თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება, როგორც ზევით დავინახეთ, მართლაც საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფს შეადგენს, თუ მასში საკაცობრიო სხვადასხვა ეროვნების გამაერთიანებელი ტენდენციები უფრო აშკარად იხატება, ვიდრე გამაცალკევებელი, ცხადია, რომ სპეციფიურად ეროვნული უნდა ვეძიოთ სხვაგან, სახელდობრ, სულიერი კულტურის სფეროში. აქ ვპოვებთ უწინარეს ყოვლისა იმას, რაც ყველაზე ნათლად ხატავს ეროვნების განუმეორებლობას და დამოუკიდებლობას, რაც შეურყევლად მოწმობს მის სხვასთან შეუდარე-

ბელ ნიჭს და გენიოსობას. ეს ეროვნული სული და გენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელშესახებად არსად გამოსჭვივის როგორც ენაში და იმ ფსიქიური შემოქმედების სფეროში, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ენის შემწეობით: ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიკურ და ეთიკურ კულტურაში, საზოგადო და ფილოსოფიურ მხედველობაში, მითოლოგიურ და რელიგიურ რწმენაში.

გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ ძველი, აწ მეცნიერების მიერ უკვე უარყოფილი თეორიები ენის წარმოშობისა. თეოლოგიური აზროვნებისთვის ენა სასწაულებრივი მოვლენაა, განგების მიერ ადამიანთა დასასჯელად ან დასაჯილდოვებლად მოგზავნილი; რაციონალიზმისათვის კი, პირიქით, იგი ბუნებრივი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, მზა იარაღია პიროვნების მიერ თავისი აზრებისა და შინაგანი გამოცდილების გამოსახატავად მოგონილი. არსებითად თუმც გარეგნულად შეცვლილი ფორმით, ეს უკანასკნელი ინდივიდუალისტური თეორია ჯერ კიდევ ცოცხლობს ეგრეთწოდებულ „გამოგონების“ და „წაბაძულობის“ თეორიის სახელით.

თუ ენა დამოუკიდებელ პიროვნებათა მიერ მოგონილი იარაღია, ბუნებრივად იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ შემდეგ ეს ინდივიდუალური იარაღი სოციალურად გარდაიქცა, თავისი წარმოშობის სხვადასხვაობა ერთიმეორეს შეუფარდა და ჩაჩრდილა და მთელი სოციალური ერთეულის გაერთიანებულ გამოხატულებად გარდაიქცა. ყოველისშემძლე წაბაძულობის შემწეობითაო, უპასუხებს ეს თეორია. ეს წაბაძულობა რაღაც უცნაური მისტიკური, გამათანასწორებელი ძალაა, რომელიც ჯადოსნური შესაძლებლობით ინდივიდუალურისაგან ჰქმნის სოციალურს. კიდევ მეტი: საზოგადოება წაბაძულობაა, წაბაძულობა კი ერთგვარი სომნამბულიზმიაო, ამბობს ამ მიმართულების ცნობილი თეორეტიკოსი, ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი თავის თხზულებაში „კანონები წაბაძულობისა“.

ნიჭიერი და არაჩვეულებრივი პიროვნება, ერთადერთი წყარო ყოველგვარი შემოქმედებისა, სრულიად დამოუკიდებლად იგონებს ახალს, უცნობს, გენიოსურს; წაბაძულობის წყალობით ეს ახალი ჯერ იმ ვიწრო წრეში ვრცელდება; რო-

მელიც გამომგონებელს გარს არტყია, შემდეგ კი შეუმჩნეველი ზეკავივით უფრო ფართო და ფართო წრეებს ედება, სანამ ბოლოს არ დაკარგავს თავის ძალას და ერთ საზღვარზე არ შეჩერდება: ესაა საზღვარი გარკვეული სოციალური ერთეულისა... გენიოსი გიპნოტიზიორია, სოციალური სხეული კი — პასიური მედიუმი, რომელც მას აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს. ამით აიხსნება, რომ ენა, რომელიც თავდაპირველად ინდივიდუალური იარაღია, ჩქარა მთელი განსაზღვრული საზოგადოებისათვის განგებ, სულიერი შინაგანობის გამომხატველ საშუალებად ხდება. ნიჭიერი პიროვნება ჰქმნის ენას ან წინასწარ მოსაზრებით, შეგნებულად (ინტელექტუალისტური შეხედულება), ან სრულიად უნებლიეთ, რეფლექტურად, შეუგნებლად (ფიზიოლოგიური თეორია): ფსიქიური აღელვების დროს, ძლიერის გრძნობით, ვნებით ან გულისთქმით გამსჭვალული იგი ცდილობს მოძრაობით, ყვირილით და ხმის მოცემით გამოსავალი მისცეს დაგუბებულ ფსიქიურ ენერგიას; ეს ხმა თავის მხრივ პოულობს გამოხმაურებას ახლო-მახლო წრეებში: თვითეული პიროვნება ცდილობს მდგომარეობა და ხმა ასოციაციურად ერთიმეორეს დაუკავშიროს და შემდეგ ანალოგიურ მდგომარეობაში თვითონაც მსგავსი ხმა გამოსცეს. ამგვარად იბადება ენა, წაბაძულობის ნაყოფი.

ამ თეორიის დასახასიათებლად, საკმაოა გავიხსენოთ' როგორ ხსნის იგი ეგრეთწოდებულ „ხმის ცვლილებათა" ფაქტს. მაგალითად, ცნობილია, რომ ლათინურ სიტყვას „ცეზარს" სხვადასხვა ეროვნება სხვადასხვანაირად სცვლის: გერმანელი ამბობს „კაიზერს", რუსი „ცარს", ქართველი „ქეისარ"-ს ან „ყაისარ"-ს. ამ თეორიის მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ ერთს რომელსამე უსახელო პიროვნებას ლათინური სიტყვა შეცდომით წარმოუთქვამს, მისთვის წაუბაძავთ სხვებს და ამგვარად ბოლოს დამახინჯებული გამოთქმა საერთო ეროვნულ კუთვნილებად გამხდარა.

აქედან ნათლად ჩანს ამ ხელოვნური სოციოლოგიური კონსტრუქციის სისუსტე და ნაკლოვანება: წაბაძულობის თეორიას, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეუძლია ეროვნულ ენათა სხვადასხვაობის ახსნა. როგორ მოხდა, რომ პიროვნებათა იმ

ჯგუფმა, რომელიც შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა ცხოვრობს, რომელსაც შემდეგ ქართველი ერი ეწოდება, გამოუკლებლივ სწორედ „კეისარის“ გამომთქმელს მიბაძა. რა ჯადოსნობამ მისცა სწორედ „კაიზერს“ ასეთი აბსოლუტური ბატონობის ძალა ნემანისა და ჩრდილოეთ ზღვის შუა ან „ცარს“ აღმოსავლეთ ევროპაში? რატომ ყველამ ლათინურ „ცეზარს“ არ მიბაძა? ამ სიტყვას ხომ მთელი ეროვნება ხმარობდა, სანამ იგი გერმუნულ, რუსულ და ქართულ ენაში შევიდოდა? ცხადია, რომ წაბაძულობა თავისთავად გასაგები მოვლენა არ არის. ცხადია, რომ იგი მეორეხარისხოვანი სოციალური ფაქტორია: თუ ქართველი ერი ერთნაირად სცვლის უცხო სიტყვათა გამოთქმას, ამას სჩადის არა წაბაძულობის შემწეობით, არამედ თანახმად თავისი ეროვნული ფსიქიური ბუნებისა; თუ მისი გამოთქმა განსხვავდება გერმანული ან რუსული გამოთქმისაგან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სულიერი ბუნება, რომელიც საძირკვლად უდევს ენის შემოქმედებას, განსხვავდება გერმანული ერის სულიერი ბუნებისაგან.

თვით წაბაძულობა ეროვნული წრის ფარგლებში აიხსნება მხოლოდ იმ მჭიდრო სულიერი ნათესაობით, რომელიც მის წევრთა შორის არსებობს; ენის და გამოთქმის სხვადასხვაობა კი, და ამასთან ერთად შეუძლებლობა საერთაშორისო წაბაძულობისა, გამომდინარეობს ეროვნულ ფსიქიკათა სხვადასხვაობისაგან, რომელსაც ვერავითარი „სომნამბულისტური ძალა“ ვერ დაჩრდილავს. აქ ადგილი არ აქვს „შემთხვევას“, „შეცდომას“, „თავისუფალ მოგონებას“: პიროვნება სიტყვას სცვლის არა ზეშთაგონებით, არა „ვინიცობით“ ან ხელოვნური კომბინაციის წყალობით, არამედ გარდაუვალი აუცილებლობით, იმ სოციალ-ფსიქიური ერთეულის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნის... იგი განმარტოვებული არა დგას ამ შემოქმედებაში; მასთან ერთად ათასი და ათი ათასი სხვა, მასავით უსახელო ეწევა იმავე შრომას, იმავე მიმართულებით და თუ შედეგი ამ შრომისა შეთანხმებული გამოდის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არსებითად ჰქმნიდა არა პიროვნება, არამედ დიადი ეროვნული სული პიროვნების შემწეობით. წინააღმდეგ ტარდისა, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოციალობა, საზოგადოდ, ეროვნება, კერძოდ არი არა წაბაძულობა, არა მედიუმი,

რომელზედაც პიროვნება თავის უცნაურ ექსპერიმენტებს ახდენს, არამედ ფსიქიური აქტივობა, განუზომლობა შემომქმედი გენიოსობისა, რომელიც ინდივიდუალობისაგან მხოლოდ იმას ითვისებს, რაც მის დედაარსს არ ეწინააღმდეგება.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ის პირინციპი ფსიქიური რეზულტატებისა, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. რა არი პიროვნება თავისი ნიჭით, აზროვნებით და მეტყველებით ეროვნების გარეშე? რა არი თვით უუმდიდრესი ენა რობინზონისთვის, რომელიც მოწყვეტილია თავის ეროვნებას? — ასოებად დაწყობილ ხმათა სისტემა, მოკლებული ყოველ რეალურ აზრსა და შინაარსს, ან ამაო მოწოდება და ძახილი ძლიერი გრძნობით აღელვებული სულისა, ან აზრით და გულისნადებით აღსავსე წინადადება, რომელიც ვერავითარ გამოხმაურებას ვერ იპოვის და დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

პირიქით, რა განუზომელს, ყოველი მხრით შეუდარებელ კულტურულ ძალას წარმოადგენს ენა, იგივე არქიტექტონური სისტემა ხმებისა, იმ პიროვნებისათვის, რომელიც ცოცხალი ეროვნული ერთეულის წევრია, შეკავშირებული მის აზრებთან, გრძნობებთან და ნების ლტოლვასთან... რამდენ ახალ თვისებას იძენს ენა სოციალური თვალსაზრისით, სულიერ შინაგანობის წარმოდგენათა და გრძნობათა გამომხატველი უძლიერესი და უგავლენიანესი საშუალება, სოციალური გამოცდილების დამგროვებელი და შემნახველი იარაღი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია კულტურული წინსვლა, სოციალური ნასკვი, რომელიც უფრო მჭიდროდ და საიმედოდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი დაწესებულება, ფსიქიური პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა შედგენა და, მაშასადამე, აზროვნების განვითარება: და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ენა გარეგნული გამოხატულებაა იმ სოციალ-ფსიქიური ჰარმონიისა, რომელსაც ეროვნება ეწოდება და არა ჰეტეროგენულ, ერთიმეორისაგან დამოკიდებულ პიროვნებათა მიერ გამოგონილი იარაღი.

ვუნდტმა აღნიშნა ვილჰელმ ჰუმბოლდტის ღვაწლი, რო-

მელიც ამ მეცნიერს მიუძღვის ენის ფილოსოფიის წინაშე (ვ. ვუნდტი: „ენა და ეროვნება“, ნარკვევები, გამოც. 2, გვ. 27); პირველად ჰუმბოლტმა დაინახა ნათლად ძველი ფილოლოგიის სისუსტე და ნაკლოვანება და დაამტკიცა, რომ ენა არი არა მარტო შედეგი აზროვნებისა, არამედ მისი მიზეზიც, „რომ იგი უწინარეს ყოვლისა არი არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იარაღი, რომელიც მზად არი ყოველ მხრივ მოსახმარად, არამედ თვით იმ სულიერ მოქმედებაში მდგომარეობს, რომელიც მას შეუწყვეტლად ჰქმნის“.

ენა, ამ თეორიის მიხედვით, „გამომხატველი მოძრაობაა“, თუმცა, რასაკვირველია, უფრო რთული, მრავალმხრივი და არქიტექტონულად აშენებული, ვიდრე სხვა „გამომხატველი მოძრაობანი“: გულის და მაჯის ცემა, ცვლილება სისხლის დენაში, სუნთქვა, სახის გამომეტყველება, მიხრა-მოხრა და პანტომიმიკა. ამიტომ ის უწინარეს ყოვლისა იმავე საერთო ფსიქოლოგიურ კანონებს ექვემდებარება, რომელსაც სხვა ელემენტარული „მეტყველი მოძრაობანი“. როგორც, მაგ., სახის ერთგვარი გამოხატულება, სიწითლე, გულის და მაჯისცემის, და სუნთქვის აჩქარება, ხელების მოძრაობა მოგვითხრობს ადამიანის ამაღელვებელ გრძნობებზე; როგორც გაფითრება, სახის შეშლა, გულისცემის და სუნთქვის შეჩერება და ხელების გაშეშება მოწმობს უძლიერეს აფექტს, ისევე ენაც, სიტყვებისა და დალაგებული წინადადებების შემწეობით ხატავს ადამიანის შინაგან გამოცდილებას, ცნებებს, აზრებს, ემოციონალურ მდგომარეობებს, მხოლოდ ბევრად უფრო მდიდარი, ყოველმხრივი, გასაგები, თვითეულ მდგომარეობასთან დეტალურად შესაბამისი საშუალებებით. მაგრამ ერთი ნიშანდობლივი თვისება ანსხვავებს ყველაზე ნათლად ენას სხვა „მეტყველ მოძრაობათაგან“ და ჰქმნის შეუდარებელ იარაღად: ესაა მისი განსხვავებული დამოკიდებულება ადამიანის ნებისყოფასთან.

უმრავლესობა ელემენტარულ „მეტყველ მოძრაობათა“ სრულიად დამოუკიდებელია შეგნებული ნებისყოფის გავლენისაგან და შეუგნებლად, რეფლექტურად მოქმედებს: სირცხვილის სიწითლე, შიშის გაფითრება ან ზიზღის და სიძულვილის ურუანტელი ხშირად მაშინაც კი ააშკარავებს ადამიანის

შინაგან მოძრაობას, როცა მას მისი დამალვა ბევრად ურჩევნია, ძლიერი აფექტების და ვნებათაღელვის ჩაჩრდილვა კი ხომ სრულიად შეუძლებელია, თუნდ უძლიერესი ნებისყოფის საშუალებითაც. სულ სხვაა ენა; ტალეირანმა დიპლომატური გონებასიმახვილით თქვა: ენა იმიტომ მაქვს, რომ თავის დროზე ვსდუმდეო. ეს თავის დროზე დუმილი კი შეუძლებელი იქნებოდა, ენა რომ ნებისყოფას არ ემორჩილებოდეს.

ენა ისევე, როგორც აზროვნება, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციური — აი, მოკლედ ის დასკვნა, რომელზედაც მივიდა თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ საღი, ჭეშმარიტი აზროვნების დროს ადამიანი პასიურად კი არ ეძლევა წარმოდგენათა ასოციაციას, არამედ განუწყვეტელი შეგნებული ნებისყოფის შემწეობით ცდილობს აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს; ცდილობს ცნებათა და იდეათა სისტემა არქიტექტონულად დედააზრს დაუქვემდებაროს და უსარგებლო ბილიკებზე სვლას ააცილოს. ენაც ამ შინაგანი აპერცეფციული პროცესის გარეგნული გამოხატულებაა: ნებისყოფა, რომელიც დალაგებულ აზროვნებას ჰქმნის, იმავე დროს მას მის გარეგან მხარეს — ენას უსაბამებს.

დედაენა არი არა შემთხვევითი დამატება ადამიანისა, არამედ თვით იმის აზროვნებასთან ორგანულად შეზრდილი პროცესი, რომლის გამოცვლა თვით იმ აზროვნების ნაჩვევი მიმდინარეობის გამოცვლას მოასწავებს. ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენათა შორის გამოთქმის, სიტყვათა სიმდიდრის, მოდულაციის, ხმის აწევის, ხმის ცვლილების, წინადადების დაწყობის და აშენების მხრივ, წარმოდგება არა რაიმე გარეგნულ უბრალო შემთხვევისაგან, არამედ თვით აზროვნების სხვადასხვაობისაგან. მაგ., ეჰვს გარეშეა, რომ წინადადებას თვითეული ეროვნება ისე აშენებს, როგორც იგი აზროვნებს და სიტყვათა თანდათანობა შეესაბამება ცნებათა თანდათანობას; ამიტომ, ვისაც შეუმჩნევია ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენას შორის ამ მხრივ, წარმოიდგენს დაახლოებით მაინც, რა დიდი უნდა იყოს განსხვავება მის შექმნილ ეროვნულ ფსიქიკათა შორის.

ენის იგივეობა გულისხმობს ნებისყოფის და, მაშასადამე, შემოქმედი სულის და ნიჭის იგივეობას, ენის სხვადასხვაობა — პირიქით, ნებისყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და სულის სხვადასხვაობასაც. აქედან ცხადად ჩანს მთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ მისი ფსიქიური ბუნებისათვის სრულიად უცხო და შეუსაბამელი ენის ტერმინებში იაზროვნოს, ტრაგიზმი ნორჩი თაობისა, რომელიც იძულებულია თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას. ესაა მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერ შინაგრძნობასა და მის გარეგნულ გამოხატულებას შორის. მუდმივი ბრძოლა ფორმისა შინაარსთან, სურვილისა ასრულებასთან, — უსიტყვო, აუჩქარებელი, ფარული დრამა, რომელიც აუცილებლად პიროვნების დამახინჯებით თავდება.

7

არსებობს სულიერი ურთიერთობა კულტურული კაცობრიობისა, სულ სხვა პრინციპზე აშენებული, ვიდრე მატერიალური ურთიერთობა, თუმცა მასზე უფრო მჭიდრო და გავლენიანი; მატერიალური ინტერესები მხოლოდ სივრცის და დროის ვიწროდ შემოფარგლულ წრის საზღვრებში აკავშირებენ, სულიერი ინტერესები კი ჰქმნიან სივრცისა და დროის შემთხვევითი საზღვრებისაგან დამოუკიდებელ სულიერ ერთობას. იქ ბრძოლა და წინააღმდეგობაა, აქ განსხვავებულ ეროვნულ ძალთა სრული ჰარმონია. კაცობრიობის განვითარება არის შეუჩერებელი ზრდა ამ სულიერი ერთობისა. ეროვნებანი ჰქრებიან და თან მიაქვთ თავიანთი მატერიალური კულტურა: ის კი, რაც მათს ნიჭსა და თავისებურებას შეუქმნია დიადი და გენიოსური, სულიერი კულტურის სფეროში, ხელუხლებელ საუნჯედ რჩება მსოფლიო გონებრივ სალაროში; ამ ნაყოფიერების საშუალებით მათი ორიგინალური სული სამუდამოდ რჩება კაცობრიობის განვითარების ფაქტორად.

ამ მხრივ ეროვნება უკვდავია. ძველი საბერძნეთის მატერიალური კულტურა დიდი ხანია დაიღუპა, გაწყდა ეკონომიურ ინტერესთა ნასკვი, რომელსაც შეეძლო დაეკავშირებინა

კლასიკური ქვეყანა შემდეგ თაობებთან, მაგრამ ელინური სული მაინც ცხოვრობს კლასიკური მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიის და მითოლოგიის სახით, როგორც უდიდესი კულტურული ძალა ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისაკენ მამოძრავებელი. თვით ჩვენი სამშობლოს წარსული მატერიალური მდგომარეობა მოქმედებს ჩვენს დღევანდელ ნაციონალურ არსებობაზე არა პირდაპირ, არა უშუამავლოდ, არამედ სოციალ-ფსიქიური გამოცდილების შემწეობით, რომელიც ერთი თაობიდან მეორე თაობამდე იზრდება და მრავალფეროვნდება. მატერიალური კულტურა წინ მიდის და მისი განვითარების ერთი საფეხური უარყოფს მეორეს, ეროვნება კი, მიუხედავად ამისა, ირჩენს იგივეობას და ნათესაობას თავის წარსულთან სულიერი შემოქმედების საშუალებით.

რა გვაერთებს მაგ., ჩვენ ჩვენი აღორძინების ხანასთან, გარდა იმ ორიგინალური სულიერი კულტურისა, რომელმაც უმშვენიერესი და უმაღლესი (მაგრამ ყოველ შემთხვევაში არა ერთადერთი) გამოხატულება ჰპოვა მაშინდელ ლიტერატურულ შემოქმედებაში. ეკონომიურ ინტერესთა მთლიანობა, რასაკვირველია, დარღვეულია, სავსებით უარყოფილია ის საფეხური მატერიალური განვითარებისა, რომელზედაც ჩვენი შორეული წინაპარნი იდგნენ, მაგრამ ათასი ხილული და უხილავი ძაფი აკავშირებს მთელ ჩვენს ფსიქიურ არსებობას წარსულ თაობათა არსებობასთან შეგნებულადაც, მაგრამ კიდევ უფრო ხშირად მალულად, შეუგნებლად. ჭეშმარიტების ძიებაში, ეთიკურსა და ესთეტიკურ დაფასებაში, უდიადეს სიკეთეთა და მშვენიერებათა აღიარებაში, გრძნობაში, აზროვნებაში, რწმენაში და სასოებაში, ყველა ამ მხარეში აღმოჩნდება თანდათანობა და თავისებურება, საჭიროა მხოლოდ მისი ისტორიის და მრავალმხრივობის შეგნებულად შესწავლა და გათვალისწინება. ეს შესწავლა გვაპოვნინებს სავსებით ჩვენს თავს, ჩვენს ეროვნულ „მეს“ და შეგვაძლებინებს ორიგინალურსა და განათლებული კაცობრიობისათვის შესაფერ შემოქმედებას, უნიჭო და საცოდავი წაბაძულობის მაგივრად.

ეროვნული სულის დამოკიდებულება და რეალობა თითქმის არსად არ იხატება ენის გარეშე ისე აშკარად და თვალსაჩინოდ, როგორც ესთეტიკურ სფეროში, არსად არ ჰქმნის თვითეული

ეროვნება ისე დამოუკიდებლად თავისი საკუთარი არსების სიღრმიდან, როგორც აქ, მიუხედავად იმისა, რომ ესთეტიკური ნიჭი და მშვენიერებისამი ლტოლვა ისეთივე საყოველთაო საკაცობრიო ფსიქიურ მომენტს წარმოადგენს, როგორც ლტოლვა ჭეშმარიტებისა ან უმაღლესი სიკეთისადმი. კიდევ მეტი: იგი ელემენტარულია და უძლეველი და ბუნებრივი პირველყოფილობით მოქმედებს თვით თავის უდიდეს გამოხატულებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რა უზარმაზარი განსხვავება არსებობს სწორედ ესთეტიკური კულტურის მხრივ სხვადასხვა ეროვნებებს შორის...

მეცნიერება ობიექტური ჭეშმარიტების თვალსაზრისით მუშაობს; არსებობს თუ არა ასეთი ჭეშმარიტება. ეს სხვა საკითხია. ყოველ შემთხვევაში ყოველი დარგი მეცნიერებისა აუცილებლად გულისხმობს მის არსებობას. ხელოვნება, პირიქით, ჰქმნის სუბიექტური ღირებულების მიხედვით და მისი სინამდვილე სრულიად შეუდარებელია ჩვეულებრივ სინამდვილესთან. თავისი მიზნის მისაღწევად მეცნიერება მუშაობს ობიექტურ წარმოდგენათა და ცნებათა სისტემით, ხელოვნება კი, პირიქით, ფანტაზიის ფორმებში განსხვავებული სუბიექტური გრძნობების სურათებით. მეცნიერი ცდილობს, სინამდვილე ისე შეიგნოს, როგორც ის არსებობს თავისთავად, სუბიექტური მხედველობის და შეთვისების დამოუკიდებლად; ესთეტიკოსი, პირიქით, ცდილობს დაგვანახოს იგივე სინამდვილე, როგორც იგი მას ეჩვენება, გაატაროს ის ადამიანურ გრძნობათა პრიზმაში და იმის შემადგენელ ელემენტებიდან მხოლოდ ის მხარეები აირჩიოს, რომელიც შემომქმედი ფანტაზიისათვის გამოსადეგია ესთეტიკური სამეფოს ასაშენებლად.

მეცნიერების მიერ მიღწეული საყოველთაოდ სავალდებულო რეზულტატები მოწმობენ ადამიანის აზროვნების ძირითადი კანონებისა და პრინციპების იგივეობას, ხელოვნების მიერ შექმნილი ნაწარმოებნი კი გრძნობათა და ფანტაზიის მოქმედების განუზომელ სიმდიდრეს და მრავალმხრივობას. მთელ თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებას, განსაკუთრებით ბუნებისმეტყველებას და მათემატიკას, საძირკვლად რამდენიმე მარტივ დებულებათა სისტემა უძევს, რომელთა ჭეშმარიტება საყოველთაოდ აღიარებულია. მთელი თანამედროვე ესთეტიკუ-

რი კულტურა, პირიქით, დაფუძნებულია ეროვნულ შეხედულებათა და გემოვნებათა დაუშრეტელ სიმდიდრეზე, რომლის აუცილებლობა და საჭიროებაც არა ნაკლებ საყოველთაოდ მიჩნეულია.

ყოველი ესთეტიკური კულტურა ნაციონალურია და ის ხელოვნება, რომელიც ეროვნული სულიდან არ შობილა, არც ეკუთვნის ნამდვილ ესთეტიკურ კულტურას. ამ აზრის დამამტკიცებელი მაგალითი ბევრი იცის ხელოვნების ისტორიამ, ჩვენთვის კი საკმაო იქნება ეგრეთწოდებულ ცრუკლასიკურ მიმართულებაზე მივუთითოთ მხატვრობაში, ქანდაკებაში და პოეზიაში. სანამ ახალი ეროვნული ესთეტიკური აზროვნება არ განთავისუფლდა იმ წინასწარ ყალბი რწმენისაგან, რომ მშვენიერების აბსოლუტური იდეალი უკვე სავსებით მიღწეულია ბერძნების მიერ, რომ ამ მხრივ წინ ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია, რომ სხვა ეროვნებებს მხოლოდ ის დარჩენიათ, რომ წაბაძონ ფიდიასის და ლიზიპოსის, ესქილეს და სოფოკლეს, ჰორაციუსის და ვირგილიუსის მიერ შექმნილს ნიმუშებს, საეჭვოდ გახდა არა მარტო ზრდა და წინსვლა, არამედ თვით არსებობაც კი ხელოვნებისა.

აბსტრაქტული, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული ცნება მშვენიერების გაქრობას უქადდა ფერთა და ფორმათა სიმდიდრეს, გრძნობათა და განცდათა მრავალმხრივობას, მოულოდნელობას უჩვეულ ესთეტიკურ მოვლენათა შექმნაში, ელემენტარობას და პირდაპირობას კონკრეტულ გამოხატულებაში, ყველა იმ დიად თვისებას, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ყოველი ნამდვილი ხელოვნება. ესთეტიკური კულტურის წინსვლა და დღევანდელი მდგომარეობის მიღწევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემოქმედმა პიროვნებამ ხელოვნებაში შეიგნო ნაციონალური მომენტის მნიშვნელობა და დაეწაფა ხალხური გენიოსობის დაუშრეტელ წყაროს, რომელიც ხშირად შეუგნებლად, მაგრამ თავისებურად შობს დიადსა და ორიგინალურს.

რადგან ესთეტიკურ შემოქმედებას საჭირკვლად ფანტაზიის და გრძნობის მოძრაობა უძევს, ესენი კი, ფსიქიური ცხოვრების ყველაზე მეტად დამახასიათებელი მხარეები არიან, ამიტომ ეროვნული სულის ინდივიდუალობა არსად არ იხატე-

ბა ისე ნათლად, როგორც ხელოვნებაში. ამ მხრივ ეროვნება მართლაც სავსებით განუმეორებელია. იტალიელ ერს — მშვენიერი სხეულის თაყვანისმცემელს, მის ნიჭს მწყობრი, ჰარმონიული ფორმის შექმნაში, მის სიძულვილს განყენებული, უსისხლხორცო იდეისადმი, მის ნაკლებად ფილოსოფიურ და უფრო მხატვრულ, ნაკლებად ასკეტურ და ტრანსცენდენტურ, უფრო ამქვეყნიურ და იმანენტურ ლტოლვას და გენიოსობას არაფერი ახასიათებს ისე კარგად, როგორც ის არსებითად წარმართი ხელოვნება, რომელშიაც მიქელ ანჯელომ, რაფაელმა, ლეონარდომ და სხვებმა გამოხატეს თავიანთი განცვიფრება და აღტაცება ჯანსაღი, ტიტველი ტანის წინაშე.

პიროვნება იბადება და კვდება, ერთი თაობა მეორე თაობას სცვლის, ეროვნება კი იჩენს თანდათანობას და იგივეობას ამ ცვალებადობაში; თავის სულიერ შემოქმედებაში კი ის ხშირად სტოვებს სფინქსივით უცნაურ ძეგლს, ან უკვდავების უზრუნველმყოფელ პირამიდას იდგამს... დღეს შემოქმედმა პიროვნებამ, დროის ამ ახალსა და რთულ ვითარებაში რწმენისა და იმედის სულ სხვა წყაროს აღმოჩენა უნდა შესძლოს.

1909 წ. გაზ. „დროება".

ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში

ვისაც კაცობრიობის სულის ისტორიული განვითარებისათვის თვალყური უდევნებია, ადვილად შეამჩნევდა ერთ საკვირველ და საინტერესო მოვლენას: მეტისმეტ სიჩქარეს და ინტენსივობას ინტელექტუალური მხარის განვითარებაში, რომელსაც შესამჩნევად უკან რჩება სულიერი ცხოვრების ემოციონალური ნაწილი. თითქო ფსიქიური ენერგიის მთელი ძალა იქით იყოს მიმართული, რომ შექმნას ახალ-ახალი ინტელექტუალური ღირებულებანი, ახალ-ახალი წარმოდგენანი და ცნებანი მეტაფიზიკური, მეცნიერული და პრაქტიკული ხასიათისა, გაამდიდ-

რის და გაამრავალფეროს მხოლოდ ჩვენი გონების ბატონობის სფერო.

კლასიკური კულტურის მიერ ნაანდერძევ მეცნიერებათაგან მხოლოდ ორი გადაურჩა ამ სულიერი ევოლუციის გავლენას და დაახლოებით თავისი პირველყოფილი სახე შეირჩინა: არისტოტელეს ფორმალური ლოგიკა და ევკლიდეს ელემენტარული გეომეტრია. დღეს ყველასათვის, ვისაც კი ფეხი შეუდგამს მეცნიერების ლაბირინტში, ცხადია შედეგი ამ მოვლენებისა. ზოგი მათგანი მომწყვდეულია ერთ კუნჭულში, ზოგი ფუსფუსებს მეორეში, რომ მას ერთი უჯრედი კიდევ შეჰმატოს. არიადნას ძაფი კი თითქმის ყველამ დაკარგა: აღარც ოსტატი არის სადმე, რომელმაც არისტოტელივით ან ლეიბნიცივით მთელი შენობის გეგმა და წყობა, თუ არა, ძირითადი სქემა მაინც იცოდეს. მარტო მეცხრამეტე საუკუნემ რამდენი შესძინა ამ მხრივ ცნობიერების მაძიებელ კაცობრიობას: მთელი რიგი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ახალი დარგნი ბუნებისმეტყველებისა, რომელთაგან თვითეული საკმაოა, რომ ადამიანის მთელი ცხოვრება დაიკავოს, მეცნიერული სისტემები და თეორიები, აღჭურვილნი ფაქტებისა და ცნებების თვალუწვდენელ რიცხვით.

დამისახელეთ, პირიქით, თუნდ ერთი გრძნობა, აფექტი ან სულიერი წყობა, რომელზედაც შეგვიძლიან ვთქვათ: აი, ის გრძნობა ჩვენია, ჩვენ მიერ შექმნილი, ჩვენ განვიცადეთ პირველად მისი სიმწარე ან სიტკბოება, ჩვენ შევმატეთ ის სულიერ ღირებულებათა სალაროს, ისე როგორც, მაგ., დარვინმა ევოლუციური თეორია, ფეხნერმა და ვუნდტმა — ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია, სპენსერმა — სოციოლოგიური სისტემა, კლაუზიუსმა და ტომსონმა — სითბოს თეორია, ოსტვალდმა — ფიზიკური ქიმია, ფარადეიმ და მაქსველმა — ახალი ძირითადი ფიზიკური შეხედულებები და ელექტრო-მაგნიტური თეორიები. თითქო შეუძლებელი იყოს შემოქმედება გრძნობათა ცხოვრებაში.

ეს აზრი ჭეშმარიტების მხოლოდ ერთი ნაწილია და მას ცალმხრივად ანათებს; თუ თქვენ ფსიქიურ გამოცდილებას მიუბრუნდებით, ადვილად აღმოაჩენთ მეორე ნაწილსაც, უფრო მნიშვნელოვანს, მაგრამ პირველის საწინააღმდეგოს: ის გეტ-

ყვით, რომ არც ერთი მხარე ადამიანის სულისა არ არის ისე მდიდარი, როგორც აფექტის გრძნობისა და სულიერ წყობის ცხოვრება. ესეც ერთი უცნაური ანტინომია ადამიანის სულისა.

1

ადამიანს ინდივიდუალობას და განუმეორებლობას არაფერი არ ახასიათებს ისე აშკარად, როგორც მისი გრძნობები. ჩემი გრძნობა არის ჩემი გრძნობა, ჩემი განუყოფელი საკუთრება, ჩემი მუდმივი და განუყრელი აჩრდილი, რომელსაც ვერსად გავექცევი, რომელიც ყველგან არის, სადაც არის ჩემი მე: ყველგან და არსად ერთსა და იმავე დროს. ჩემს სევდას მე ვერსად გავეპარები, ვერც ხელს ავაფარებ ჩემს სიამაყეს, ვერც გულისყურს დავუცობ ტანჯვას, მწუხარებას — დაკარგულ ბედნიერებაზე... ისე როგორც შემიძლია ხელი ავაფარო მაბეზარა ფერს ან სინათლეს; ხმას ყური დავუცო, პაპანაქება სიცხეს გავექცე და თავი ჩრდილს შევაფარო. ხშირად ისინი მოულოდნელად, ჩვენი ნებისყოფის დაუკითხავად ამოცოცდებიან ხოლმე ჩვენივე სულის ბნელ და იდუმალ სიღრმიდან, პირზე შავნიღაბ აფარებულნი, უცხონი და საშინელნი, მასთან ჩვენივე სულის ღვიძლი შვილნი, აღჭურვილნი ელემენტარული, უსაშუალო სიძლიერით. უდიდესნი ჩვენს შორის გრძნობენ ამ უძლურებისა და მათგან დამოკიდებულების მთელ ტრაგიზმს:

> სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
> ჩემი გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად.

ანდა ჰქრებიან ისევე მოულოდნელად და ფარულად. ხშირად თან მიაქვთ უკეთესი, უმშვენიერესი ნაწილი ჩვენი სულისა: სარწმუნოებრივი გრძნობა, იმედი ბედნიერ მომავლისა, აღმაფრენა ფრთაგაშლილ ჭაბუკობისა, სიყვარულის აღმგზნები ალი, ტანჯვის გამოუთქმელი სიტკბოება. სად არი მეორე ძალა, რომელსაც შეეძლოს შეავსოს აუტანელი სიცალიერე, გაანათოს სამარისებური მყუდროება უგრძნობი სულისა? ან თვით ისინი სად არიან გარეშე იმავე „მე"-სი, რომელიც ამაოდ მათ ეძახის, მათკენ ხელს იწვდის.

სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა, სამოთხე.
ჭკვამ მოკვეთა ფრთა ჩემ ჭაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა.
ცივად დაარქვა „ფუჭი ალი“ ღვთიურ ტრფობასა,
შან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი.

ამავე მდგომარეობას კიდევ უკეთესად ხატავს მგოსანი მეორე ალაგას:

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში:
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

და მართლაც: წაართვით ადამიანს მისი გრძნობები და თქვენ წაართმევთ და თან გაიყოლიებთ მისი ადამიანობის უუდიდეს და უუმნიშვნელოვანეს ნაწილს — საძირკველს მისის თავისებურებისას, მისის განუმეორებლობისას, მის სულიერ ბეჭედს, რომელიც ყველაზედ უფრო ასხვავებს და აცალკევებს მის „მე“-ს ამ ქვეყანაზე. ამოაცალეთ ნაპოლეონს დიდების სიყვარული, ჩეზარე ბორჯიას — შეუბრალებლობა და მუხანათობა, ბაირონს და ბარათაშვილს — მსოფლიო გოდება, შოპენჰაუერს — პესიმისტური სულიერი წყობა, კორიოლანუსს — სიამაყე, ოტელოს — ბავშვური გულუბრყვილობა შეერთებული იჭვიანობასთან და ველურ ვნებათა ღელვასთან, რიჩარდ მესამეს — ავაზაკური გაიძვერობა, რომეოს და ჯულიეტას — სიყვარულის სინაზე, განდეგილს — სარწმუნოებრივი გრძნობა, დიმიტრი თავდადებულს — სამშობლოს უზომო სიყვარული და ხელში შეგრჩებათ სიწვრილმანე იქ, სადაც სიდიადე იყო, უფერულობა იქ, სადაც მრავალფეროვნება ბატონობდა, უსახელო ადამიანი იქ, სადაც სახელოვანი და ბრწყინვალე პიროვნება იყო. პიროვნება კუნძულია, კუნძული ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში და მისი საზღვრები იწყება იქ, სადაც მისი გრძნობები იწყება.

ჩვენი აზრები, ცნებანი და წარმოდგენანი, ჩვენი ფილოსოფიური, მეცნიერული და პრაქტიკული შეხედულებანი, რელიგიური და პოლიტიკური რწმენანი უფრო იმ ცვალებად სოციალურ და ბუნებრივ წრეს ახასიათებენ, რომელშიც ჩვენ ვტრიალებთ, ვიდრე ჩვენი პიროვნების უცვლელ დედაარსს. გარეგნულ შთაბეჭდილებათა და შეგრძნებათა საძირკველზე

აგებულნი, ისინი ხშირად მოგვითხრობენ პიროვნების აღზრდის და მისი განსაკუთრებული ბედის ისტორიას: ისინი გვასწავლიან თუ როგორ მოხდება ხოლმე, რომ პიროვნების აზრთა და შეხედულებათა მთელი სისტემა ისე იცვლება, ისე სხვაფერდება, რომ პიროვნება თავისთავს დაჰკარგავდა, „მე“ თავის „მე“-ს ვერ იცნობდა, გრძნობათა თანდათანობა და იგივეობა რომ არ შერჩენოდა, — ან გაილესებოდა სოციალურ ჯგუფში, რომელიც ხშირად მასავით აზროვნებს და ფიქრობს, თავისი ინდივიდუალური სული გრძნობათა ცხოვრებაში რომ არ აღებეჭდა.

2

ენის სიღარიბეს და სიმარტივეს არსად არა გრძნობს ადამიანი ისე ნათლად და მწვავედ, როგორც თავის გრძნობათა გამოთქმაში: ეს არის მთელი ტრაგედია კეთილშობილი სულისა, მხატვრულ-ლიტერატურული და მუსიკალური შემოქმედებისა, რომელსაც სწადია გამოსთქვას გამოუთქმელი, გვამცნოს უცნაური, ორიგინალური გამოცდილება, დაგვანახოს უძვირფასესნი მარგალიტნი, მოგვასმენინოს უკეთილხმოვანესი სიმთაყღერანი დიადი სულისა. ეს არის ბრძოლა ადამიანის მრავალფეროვანი ბუნებისა თითქო ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ ენასთან, რომელიც ერთისა და იმავე სიტყვით ლამობს გამოხატოს ათასი და ათი ათასი ნაკვთი გრძნობათა მოძრაობისა. მთელი თანამედროვე მუსიკა ამ ტრაგედიის ღვიძლი შვილია: სად არი ამ ქვეყანაზე ენა, თუნდ უძლიერესი და უმშვენიერესი, რომელსაც შეეძლოს დაახლოებით მაინც გამოსთქვას გრძნობათა და სულიერ მოძრაობათა ის მიუწვდომელი სიმფონია, რომელიც ბახმა და ბეთჰოვენმა, შუმანმა და შოპენმა, ბრამსმა და გრიგმა თავიანთ მუსიკალურ შემოქმედებაში გამოჰხატეს. სად არის ადამიანი, თუნდ შექსპირისებრ გენიოსი, რომელიც შესძლებს სიტყვებით აღწეროს გრძნობათა ის მრავალმხრივობა, რომელიც მარტო ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიაში“ ან ბახის „ქრომატიულ ფანტაზიაში“ იშლება. რომ ხმები ჰაერისებრ უბრალო მოძრაობა არ არის, არც „არითმეტიკული ვარჯიშობაა“, როგორც ლეიბნიცს ეგონა, რომ მა-

ხეში ცხოვრობს გრძნობა, სული მომთხრობი თავის ბედისა, კარგად იციან იმათაც, ვინც თავიანთ გრძნობის გამოსახატავად მხოლოდ სიტყვებს ხმარობენ:

ციური ხმები,
ეს საკვირველნი,
როს მომესმიან,
მსწრაფულ მომითხრობენ,
საიდან რბიან
და სად ცხოვრობენ
და ნელს სიხარულს
მიგალობებენ.

ადამიანის სული მუდამ შფოთი და მუდამ მაძიებელი, ემოციონალური შემოქმედების სფეროში კიდევ უფრო ორიგინალური და ნაყოფიერია, ვიდრე ინტელექტუალურში. თვითეული ჩვენგანი, უბრალო მომაკვდავიდან იმათამდი, ვისი სახელიც უკვდავებას ეკუთვნის, ცხოვრობს თავის ინდივიდუალურ, გარდუვალ და განუმეორებელ გრძნობათა ფარგალში, ჰქმნის თავის საკუთარ, შეუდარებელ, ხშირად სხვებისათვის სრულიად გაუგებარ სიყვარულს და სიძულვილს, იმედს და სასოწარკვეთილებას, ჭმუნვარებას და მწუხარებას, თავმოყვარეობას და თავგანწირულებას. არ არსებობს ერთი და იგივე „გრძნობა სიყვარულისა", როგორც არსებობს, მაგ., ერთი და იგივე წარმოდგენა წითელ ფერზე, ან დაახლოებით ერთი და იგივე მეცნიერული ცნებანი ადამიანის, იმის ისტორიული ბედის, დედამიწის, სამყაროს და უზენაესი არსების შესახებ: ეს სახელი ჩვენმა ღარიბმა ენამ უწოდა სულიერი მოძრაობის ერთ დიად ტიპს, მრავალმხრივს, როგორც თვით ადამიანის ბუნება, და უსაზღვროდ მრავალრიცხოვანს თავის გამოხატულებაში. და თუმცა არ არსებობს გრძნობის მსგავსი მეორე ზღუდე, რომელიც პიროვნებას მასავით გარდაუვლად აცალკევებდეს, მაგრამ მეორე მხრით არც ისეთი ძალა არსებობს, რომელსაც მასავით მჭიდროდ შეეძლოს პიროვნებათა ურთიერთშორის დაკავშირება. ესაა გრძნობის უცნაური მისტერია. ყველა ჩვენგანი გრძნობს მის ჯადოსნურ მომხიბლავ ძალას, როცა ჩვენი გული ათას სხვასთან ერთად ერთისა და იმავე სიყვარულით და ზიზღით, იმედით და სასოწარკვეთილებით სცემს.

უდიდესი შემაკავშირებელი სოციალური ძალნი — კლასობრივი, ეროვნული, საკაცობრიო და სარწმუნოებრივი გრძნობანი აშკარად მოწმობენ ამ აზრს.

შეიძლება ეს, სხვათა შორის, იმითაც აიხსნებოდეს, რომ ადამიანს თავისი გრძნობის გამოსახატავად და სხვისთვის გადასაცემად უფრო ელემენტარული და ინსტიქტიური, თან უფრო მეტყველი და გავლენიანი იარაღი აქვს, ვიდრე სიტყვები და ფრაზებია. ტანჯვისა და უბედურების საშინელებას ვერავითარი ენა ვერ გამოსთქვამს ისეთის მჭევრმეტყველური სიძლიერით, როგორც ის აუტანელი დუმილი, რომელიც წინ უძღვის გოდებას და მოთქმას ბედკრული ადამიანისას. მორის მეტერლინკმა მხატვრულად დაგვისურათა ეს ტრაგიზმი უსიტყვო მდუმარებისა თავის პატარა დრამაში: „იქ შიგნით". თავისი უკეთილშობილესი და უნაზესი გრძნობების გამოსახატავად ადამიანს ხშირად ჩვეულებრივი ფრაზები მეტისმეტად შეუსაბამებლად და უხამსად მიაჩნია; თავის გულისთქმათა და აფექტთათვის კი ის ვერ პოულობს შესაფერ სიტყვებს. მაშინ მისი სახე, მოძრაობა და გარეგნობა მოგვითხრობს იმაზე, რაც ენისთვის მუდმივ მიუწვდომელია:

ნაზი თრთოლა გამოუცდელ სიყვარულზე, გულისცემა მღელვარებაზე, გაფითრება შიშზე, წარბების მოხრა სიამაყეზე, თვალების ალი და სახის ნაოჭები გულისწყრომაზე, ზიზღზე და სიძულვილზე. ამ მხრით ადამიანის სახის და განსაკუთრებით თვალების ნიჭი შეუდარებელია, მაგრამ სხვა ასოებსაც კარგად შეუძლია სულიერ მოძრაობათა გარეგნულად გამოხატვა. ცნობილი გერმანელი მხატვრის ა. ბეკლინის ერთ სურათზე „ქრისტეს დატირება" (ბერლინის ნაციონალური გალერეა) მიცვალებულ ქრისტეს დამტირებელი ქალის სახე შავი ლეჩაქით არის დაფარული, მაგრამ ტანჯვისა და ვაების სიცხოველე აშკარად ხელებში ჩანს: უნგრელი მხატვრის მუნკაჩის „ჯვარცმაზე" (დრეზდენის მუზეუმი) იოანე მოციქულის მწუხარება და სისაცოდავე თითქო ბეჭებიდან და ზურგიდან გამოიყურება; მიქელ ანჯელოს ცნობილ საეკლესიო მხატვრობაზე „შექმნა ქვეყნისა" (სიქსტინის კაპელლა) ღმერთის სიდიადე და სიძლიერე ხელების, სხეულის და ტანისამოსის მოძრაობაში უფრო ჩანს, ვიდრე სახეზე.

გერმანელი ფსიქოლოგი ტ. ლიბსი არ ცდება, როცა იგი გრძნობას „მეს მდგომარეობას“ უწოდებს და ამით იმის სუბიექტივობას წარმოდგენათა და შეგრძნებათა ობიექტივობას ნათლად უპირდაპირებს. ჩვენს სხეულს არა აქვს ცალკე ორგანო გრძნობათათვის, ისე როგორც ფერებისთვის თვალია, ხმათათვის ყური, ხოლო ყნოსვათა შთაბეჭდილებათათვის ცხვირი. „მეს მდგომარეობა“ და არა ჩვენი სხეულის, ფსიქიური და არა „ფსიქოფიზიოლოგიური მოვლენა“, როგორც ზოგიერთს ჰგონია, — ჩვენი მუდმივი ბინადარი „ის“ ისევე უადგილოა, როგორც თვით „მე“. გრძნობაში ფიზიოლოგიური იმდენივეა, რამდენიც რკინაში ხე, „ფსიქოფიზიოლოგიური“ სიყვარული ან კაეშანი ან სიმხდალე ისეთივე უაზრობაა, როგორც „ლურჯი სიხარული“ ან „მიხაკისფერი ქმუნვარება“. წამწამების ძირს დახრაში, ლოყების სიწითლეში და, საზოგადოდ, მთელი სახის და თვალების ერთგვარ განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომლის აღწერაც შეუძლებელია, თითქო მორცხვობის გრძნობა ძევს: თითქო მორცხვობა ადამიანის სახიდან და თვალებიდან გამოიყურებოდეს ან გამოსჭვივოდეს, ისე როგორც, მეორე მხრით, ცრემლებსა და ტირილში მწუხარება და ტანჯვა, ხოლო სიცილში, შვება და მხიარულება იყურება ან იხატება.

ამერიკელმა მეცნიერმა უილიამ ჯემსმა შემდეგ სიტყვებში მოკლედ გამოხატა ის ფსიქოლოგიური თეორია გრძნობებისა, რომელსაც ჩვენ აქ ვებრძვით: „ჩვენ ვტირით იმიტომ კი არა, რომ მწუხარებას ვგრძნობთ, არამედ მწუხარებას ვგრძნობთ იმიტომ, რომ ვტირით; ვფითრდებით იმიტომ კი არა, რომ შიშსა ვგრძნობთ, არამედ შიშსა ვგრძნობთ იმიტომ, რომ ვფითრდებითო“. ჯემსისა და იმის თანამოაზრე დანიელი ფსიქოლოგის კ. ლანგესთვის გრძნობა მუსკულების, გულის, სუნთქვის, სისხლის და სხეულის სხვა ნაწილების მოძრაობათა შედეგია, ან შეგრძნება და სხვა არაფერი. მთელი ჩვენი ფსიქიური გამოცდილება პროტესტს აცხადებს ასეთი შეხედულების წინააღმდეგ: ჩვენ სევდასა და ნაღველს ვგრძნობთ უფრო ადრე, ვიდრე ავტირდებოდეთ და მღელვარებას — სანამ გულისცემა აგვიჩქარდებოდეს; მეტისმეტ სიხარულისაგან ისევე ხში-

რად ვღვრით ცრემლებს, როგორც მეტისმეტი მწუხარებისაგან, გული გვიცემს ისევე ჩქარა სიყვარულისაგან, როგორც გულისწყრომისა და სიძულვილისაგან. როცა თავს აუტანელი უბედურება გვატყდება, გულის გამლბობ ცრემლებს და გოდებას ამაოდ ვეძებთ, სახეგაშეშებული ჩუმად ვართ, მაგრამ ამით ტანჯვა არც გვიმსუბუქდება და არც ლხენად გვექცევა. ყველა ჩვენგანმა კარგად უნდა იცოდეს ის უბრალო და თვალსაჩინო ფაქტი, რომ მორცხვობა არც სიწითლე და არც თვალების დახრა არ არის, რომ სევდა სხვაა და გულის ტკივილი და შეკუმშვა სხვა, რომ, ერთი სიტყვით, გრძნობის გამომხატველი მოძრაობა სხეულის გარეგნული მდგომარეობაა, ხოლო გრძნობა — გრძნობაა, წმინდა ფსიქიური მოვლენა, შინაგანი სულიერი მოძრაობა ანუ მოკლედ „მეს მდგომარეობა“.

როგორც მთლიანი და განუყოფელია თვით „მე“, ისე მთლიანი და განუყოფელია გრძნობა და სულიერი წყობილება, რომელსაც „მე“ განიცდის ერთს რომელსამე განსაზღვრულ წუთში. მას არ ძალუძს ერთიმეორის გვერდზე ცალ-ცალკედ იქონიოს რამდენიმე დამოუკიდებელი გრძნობა, ისე როგორც მას, მაგალითად, შეუძლიან ერთსადაიმავე წუთში ერთიმეორის დამოუკიდებლად ცნობიერების ან ყურადღების ფარგალში ოთხიდან ექვს წარმოდგენამდი მოათავსოს. ერთი გრძნობის ტალღა უერთდება მეორეს და შობს სულიერი წყობის იმ თვალუწვდენელ ზღვას, რომლის მრავალმხრივობაში თვით „მე“ ჰკარგავს თავის თავს. „მე ვეღარ გამოვსულვარ ხმელეთზეო, — ამბობს ერთი გერმანელი რომანტიკოსი. — ჩემი გრძნობა ხტის უმაღლეს სიმაღლიდან უმდაბლეს დაბლობში... გრძნობის ეს უცნაური საქანელა ტკბება ხან სინათლით და ხან ჩრდილით, ეძლევა ცრემლთა სიტკბოებას და ლაღი ლხენის მელანქოლიას, ბედნიერების სიმთვრალეში სიკვდილის სიდიადეს ხედავს არსებობის უმაღლეს მწვერვალზე თავის არარაობას გრძნობს და თავის საკუთარ ტკივილებს იდუმალი სიამოვნებით შესცქერის“.

ასე, მარტივი გრძნობების შედუღებით, იბადება რთული სულიერი წყობა, განუყოფელი და მთლიანი, მასთან მდიდარი ერთიმეორის მოწინააღმდეგე ტალღებით და ზვირთთა რყე-

ვით. მაგალითად, როცა მე რაფიელ ერისთავის იდილიებს ვკითხულობ, იმის შეუდარებელ „ზამთარს“ ან „აღდგომას“ ან „ბზობას“, ვუსმენ მოცარტის ბავშური უმანკოებით და სიცელქით აღსავსე სიმფონიებს და სონატებს, ან ვუცქერი მურილიოს სურათებს, სადაც უდარდელი ბავშვები საზამთროს შეექცევიან, ან გაყიდულ ყვავილებიდან მოგებულ ფულს ითვლიან, ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად ვგრძნობ რაღაც გამოუთქმელს, რთულს და მრავალმხრივს, რისი სიტყვებით გადმოცემა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება... იქ არი სევდა დაკარგულ ბავშვურ ბედნიერებაზე: ის ნეტარი დრო ჩემი უმწიკვლო პაწიაობისა, როცა მეც უნაღვლელად ჩიტებს დავდევდი, თოვლში ვხტოდი და ვკოტრიალებდი არ ვეპუებოდი არც სიცივეს, არც დაღლილობას, არ ვიცოდი, თუ რა არი ზრუნვა, ადამიანის სიმდაბლე და ნამდვილი მუხანათობა, — ეს დრო უმანკო რწმენისა და ცელქობისა სამუდამოდ წავიდა და მისი უკან დაბრუნება არავითარ ძალას არ შეუძლია, მაგრამ არი რაღაც სიტკბოება ამ სევდაში: ჩემი ბავშობა არი ჩემი საკუთრება, რომელსაც მე ვერავინ შემედავება, რომელსაც მე ვერავინ წამართმევს სწორედ იმიტომ, რომ ის წასულია და სამუდამოდ ჩემს მახსოვრობაში იქნება აღბეჭდილი. განვლილი ბედნიერება აღარ იწვევს ჩემში ისეთ შიშს და მზრუნველობას, როგორც ჩემი მომავალი გამოურკვეველი ბედი და ამიტომ ამ სევდაში რაღაც იჭვიანობისა და შიშის მოწინააღმდეგე გრძნობა ძევს; ამასთან მე ვგრძნობ გულჩვილ თანაგრძნობას იმ ბავშვისადმი, რომელმაც არც კი იცოდა, თუ რამდენად სახიფათო და საშიშია პაწია ხელებით ხეებზე აცოცება, რამდენად სახიფათო და საშიშია, საზოგადოდ, ცხოვრება ადამიანისა. და ყველა ამ გრძნობას: სევდას, სიამოვნებას, უზრუნველობას და გულჩვილობას მე განვიცდი არა ცალკ-ცალკე ერთიმეორის გვერდით, არამედ შედუღებულს ერთ გამოუთქმელ სულიერ წყობაში, სწორედ იმ სულიერ წყობაში, რომელსაც ალბათ განიცდის ყოველი თქვენთაგანიც, როცა რაფიელ ერისთავის და ვაჟა-ფშაველას იდილიებს კითხულობს ან მოცარტის და შუბერტის მუსიკას ისმენს.

ჩვენს ესთეტიკურ ყოფაქცევაში იმალება ერთი უცნაური ამოცანა, იდუმალი მიზეზი იმ ღვთაებრივი მტანჯველი სიამოვნებისა, რომელსაც თვითეული ჩვენგანი განიცდის, როცა ბუნების მშვენიერებით და ხელოვნური ნაწარმოებით ტკბება. ეს მოვლენა არის ეგრეთწოდებული „გრძნობის შეტანა“, ადამიანის სულის მისტერიის ერთი უუმნიშვნელოვანესი და უუბნელესი კუთხე, რომლის გასანათლებლად თავს იმტვრევს თანამედროვე ფსიქოლოგიური ესთეტიკა. ყოველ ესთეტიკურ სიამოვნებას, ხელოვნური მშვენიერების მიერ გამოწვეული იქნება იგი თუ ბუნებრივი, საძირკვლად უძევს შეხედულება ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ე. ი. სმენა, მზერა და ფანტაზია; იქ, სადაც თავდება ტონებისა და ხმების, ფერებისა და ფორმების და ადამიანის ფანტაზიის სამეფო, თავდება ესთეტიკური მშვენიერების სამეფოც. ერთის მხრით, ფრანგი ფილოსოფოსის მ. გიუიოს წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლიან თამამად ვთქვათ, რომ ადამიანის სხვა ნიჭთ: ყნოსვას, შეხებას, გემოვნებას, სითბო-სიცივის შეგრძნებას და სხვ. განსაკუთრებით ხელოვნებაში თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვთ, ხოლო, მეორეს მხრით, სპეკულატიურ ესთეტიკის წინააღმდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ განყენებული ცნებანი და იდეანი, უხორც-უსისხლო აჩრდილნი მეცნიერული და მეტაფიზიკური აზროვნებისა, მოკლებულნი არიან ყოველგვარ ესთეტიკურ გავლენას.

ყოველ მხატვრულ ფორმაში, ყოველ მუსიკალურ აკორდსა ან მელოდიაში, ყოველ პოეტურ ფანტაზიის ქმნილებაში ადამიანის გრძნობა ცხოვრობს. თითქო ადამიანისავე სული ფეთქს მშვენიერ ბუნებაში, ხან მოწყენილში და მელანქოლიურში, ხან მხიარულში, ცელქსა და დაუდევარში, ხან უზომოდ გულგრილში. უბრალო, სულჩაუდგმელ ფერებს, ხმებს და ფორმებს არასოდეს არ შეეძლო გამოეწვია ის დიადი, გონებისთვის მიუწვდომელი სიამოვნება, რომელიც „მე“-ს თავისთავს ავიწყებინებს, ავიწყებინებს სინამდვილეს თავისი წვრილმანი და უხამსი ინტერესებით და უკვდავებას უახლოებს. მკვდარი, გრძნობის სიცხოველეს მოკლებული ბუნე-

ბა ის აუტანელი საშინელება იქნებოდა, რომელიც ილია ჭავჭავაძემ დემონისებური სიძლიერით გვამცნო თავის დიდებულ „სიხმარში“, სადაც მხიარულება და სიცილი უაზრო ხარხარმა მოჰკლა, ხოლო ტანჯვა და მწუხარება — კბილთა ღრჭენამ.

რაღაც ბედნიერი, მაგრამ შეუგნებელი ნიჭის ძალით ესთეტიკურ პიროვნებას შეაქვს გრძნობა და სულიერი ცხოვრება ბუნებაში, ისევე როგორც ხელოვნების ნაწარმოებში. შემოდგომის ბუნებაში იგი ხშირად ხედავს სევდას და ნაზ მოწყენილობას, გაზაფხულისაში — მთვრალ, თავდავიწყებულ განცხრომას, ამაყ სიდიადეს და ჯიუტობას მთების ზეცისკენ სრბოლაში და ცელქ უმანკოებას ანკარა რუს ჩხრიალში. ილია ჭავჭავაძემ თავის „ყვარლის მთებში“ თითქმის ტრაგიკულ სიდიადემდე აიყვანა სულიერი მოძრაობა სამშობლო მთებისა.

სადაც ღრუბელნი ვერა ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა...
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,
ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა...
როცა ღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი,
ვითა ფოთოლი — ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.

ამავე პოეტის მეორე დიდი ნაწარმოების — „აჩრდილის“ დასაწყისში კი გრძნობათა მთელი სიმფონიაა და ამ სიმფონიის მატარებელი მისი საყვარელი „მყინვარია“.

იგივ ზვიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ...
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,
თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს...
მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღესა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.

აქ ბუნება იბრძოდა, იტანჯებოდა დიად ტრაგიკულ გმირივით ან როგორც:

> თერგი მრისხანე, თერგი ბდღვინვარე
> ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა,
> ვით შმაგი ლომი, დაკრილი, ცხარე
> ჰრბოდა, ჰბღაოდა, მიღრიალებდა.

ჩრდილოეთის ტრამალებზე კი ის გულგრილი, ლაღი უდარდელობით და უზრუნველობით იყო სავსე:

> ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი,
> მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიები ცისა...

„მშვენიერი სულის“ მეორე დიდი მაძიებელი ნიკოლოზ ბარათაშვილიც ბუნებაში თავისებურ ცხოვრებასა და გრძნობათა მოძრაობას ხედავს: ეს არი პოეტი მელანქოლიური ბუნებისა, ისე როგორც ილია ჭავჭავაძე ტრაგიკული და დიადი ბუნების, ხოლო ვაჟა-ფშაველა ქალწულებრივი ხელუხლებლობით სავსე ბუნების პოეტია. თავის ელეგიაში „შემოღამება მთაწმინდაზე“, ქართული შემომქმედი სულის ამ უდიდეს ძეგლში, ბარათაშვილმა განსაცვიფრებელი პოეტური სიძლიერით „ადგილნი ვერანანი და უდაბურნი“ გარდააქცია მისტიკური და წინააღმდეგობის შინაგანი ბრძოლების ტანჯული სულის გამომხატველ სარკედ.

გერმანელი მხატვრის — ა. ბიოკლინის „მიცვალებულთა კუნძულივით“ ნ. ბარათაშვილის ბუნება მწუხარე და სევდიანია, აღსავსე რაღაც გამოუთქმელი მისტიკური იდუმალებით; მდუმარე და ღრმად ჩაფიქრებული, იგი ნელი, უძრავი ციაგით არის დაფარული; ის მინაზებული და წარმტაცია, მაგრამ ფიქრნი ამაოდ ცდილობენ მასთან შეერთებას, ვერ აღწევენ მის თვალშეუდგამ სიმაღლეს და ჰაერშივე იბნევიან; ის გულს მოკვდავს ავიწყებინებს საწუთროებას, ამა სოფლის ამაოებას და ათასჯერ უფრო უბედურს ხდის იმას, ვინც ვერ პოულობს „სადგურს, ზენაართ სამყოფს“ ან არა სცნობს „განგებას ციურს“.

არა მარტო მშვენიერ ბუნებაში შეაქვს ესთეტიკურ „მე“-ს გრძნობა, ნებისყოფა და ფსიქიური მოძრაობა: უაღრესი და უკეთილშობილესი გამოხატულება ამ მოვლენისა ყოველ შემთხვევაში ხელოვნებაა. რაფაელის „სიქსტინის მადონაზე“ ღვთისმშობლის სახეში და მთელი სხეულის მდგომარეობაში მე ვხედავ რაღაც ღვთაებრივ, არა ამქვეყნიურ ლტოლვას; პაწია ქრისტეს თვალებში, რომელნიც თითქო თავიანთ მომავალ ბედის დიდებულებას და ტრაგიზმს ხედავენ — სიდიადეს და საშინელი აუცილებლობის წინათგრძნობას, მარცხნივ მდგომარე ქალწულში — ბედნიერებას, მოწიწებას და პატივისცემას, ხოლო მარჯვნივ მდგომ წმინდანის ხელებისა და თავის მოძრაობაში — უზომო ნაზ სიყვარულს ქრისტესა და მისი დედისადმი; ძირს, ღრუბლებზე იდაყვდაყრდნობილ ანგელოზების სახიდან კი ბავშვური უზრუნველობა გამოიყურება, შეერთებული მათი სერიოზული მდგომარეობის შეგნებასთან. ხოლო მთელი მხატვრობა საერთოდ იწვევს რაღაც ძნელად გამოსათქმელ სულიერ წყობას, რომელშიაც სიდიადე და ზეციური ლტოლვა შესამჩნევად სჭარბობს.

სულ სხვაა თითქმის ეს სულიერი ცხოვრება, რომელიც გამოკრთის კორეჯიოს „იუპიტერი და იოს“, ლეონარდო-დავინჩის ან მიქელ-ანჯელოს „ლედი დაგედისა“ და ა. ბიოკლინის „ცხონებულთა სავანის“ ან „ტალღების თამაშობიდან“: ადამიანთა და ზღაპრულ არსებათა მშვენიერი, ჯანსაღი, სრულიად გატიტვლებული სხეულნი, გახვეულნი ბაკხანურ ბურუსში, დემონისებრ ვნებათა ღელვა, თავდავიწყება თავბრუდამხვევ ბედნიერებაში, გიჟური, თითქმის ველური სიხარული და აღტაცება თავისი ცხოველური არსებობის გამო. ელემენტარულ, მაგრამ ძლიერ გრძნობათა და ლტოლვათა ეს მოძრაობა თითქო ნათლად იხედება იუპიტერის ხელების მოხვევიდან, იოს მტანჯველის სიამოვნებით მიბნედილ თვალებიდან და ნაზ სხეულიდან, საამო წინათგრძნობით აღგზნებული გედის მოღერილ კისრიდან და მოსახვევად გაშლილ ფრთებიდან, ლედის ტკბილი ლოდინით აღსავსე თვალებიდან და ზღვის ტალღებში ლაღად მცურავ „ცხონებულთა“ აღმგზნებ

თამაშობიდან. ადამიანის ნათესაობა ცხოველთან, გრძნობა კოსმიური ერთიანობისა, კულტურის და სარწმუნოების მიერ აგებული ზღუდეების გადათელვა, სადღესასწაულო დაბრუნება ადამიანისა პირველყოფილი მოშინაურებული ბუნების წიაღში არსად არ გამოთქმულა ასეთი სიძლიერით, როგორც აქ და, საზოგადოდ, ვენეციის სკოლის შემდეგ კი განსაკუთრებით რუბენსის სურათებში.

რომელ მხატვრულ ნაწარმოებსაც უნდა მიჰმართოთ, ყველგან ადამიანის სულს და გრძნობებს შეხვდებით: დრამატიულს და ტრაგიკულს — როგორც მიქელ ანჯელოს, რემბრანდტის, დავიდის, დელაკრუასა ან ფეიერბახის სურათებში, უზომო სინაზით აღსავსეს — როგორც ტიციანის, ლეონარდო-და-ვინჩის, რაფაელის, კორეჯიოს და მურილიოს ქმნილებებში, ან მდიდარს ლირიზმითა და სულიერ მოძრაობით ისეთის მრავალფერადობით, რომ საერთო შთაბეჭდილების აღწერა თითქმის შეუძლებელია — როგორც განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის ლანდშაფტის მხატვრობაში, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებად, ჩემის აზრით, ფრანგი რეალისტები და რომანტიკოსები უნდა ჩაითვალონ. როგორც ბუნებას, ისე ხელოვნურ ქმნილებას ადამიანის მიერ შეტანილი გრძნობა აცხოველებს და სამუდამოდ მკვდარია ის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიც ადამიანის სული არ ცხოვრობს.

თანამედროვე ადამიანის სულიერი ობლობა, მისი მუდმივი ძიება, ლტოლვა გამოურკვეველ მიზნისკენ, უკმაყოფილება თავისი თავით და თავისი ბედით გოდება დაკარგული ბედნიერებისა, მტკიცე რწმენისა და დოგმატებისა, უსაზღვრობა ნებისყოფისა და მისი მუდამ მტანჯველი წყურვილისა, სინარნარე იდუმალ, მიუწვდომელ, თითქმის შეუგნებელ მოძრაობათა არსად არ გამოხატულა ისე ნათლად და აშკარად, როგორც კლასიკურსა და, განსაკუთრებით, რომანტიულ მუსიკაში: თითქო ბერლიოზის, ლისტისა, შოპენის და ჩაიკოვსკის რომანტიული სული იმალებოდეს მათი მუსიკის ტონებში. თითქო ხმები ლაღად ლხინობენ, უმანკოდ და უზრუნველად ცელქობენ, უმწიკვლოდ მხიარულობენ (მაგალითად, სკარლატის პასტორალში) ან სევდიანად და მწუხარედ მიმდინარეო-

ბენ, ღელავენ, ძლიერი, მაგრამ გამოურკვეველი გულისთქმით (მაგ., ბეთჰოვენის სონატები და კონცერტები), ან თვალთცრემლიანნი მოგვითხრობენ კეთილშობილი სულის გამოუთქმელ კაეშანზე, სამშობლოს დიდების დაკარგვაზე, აჯანყებული სულის უსწორ ბრძოლაზე (შოპენის ნოქტიურნები და ეტიუდები), ან იტანჯებიან და სტკბებიან თავიანთიანი ტანჯვითა და მწუხარებით (ჩაიკოვსკის პათეტიური სიმფონია), ან მოსთქვამენ და სტირიან გამოუთქმელი უბედურების გამო, შეძრწუნებულნი დიადი გმირისა ან ძვირფასი პიროვნების დაკარგვით (ბეთჰოვენი, „საგმირო სიმფონია“), ან იბრძვიან, შფოთავენ და დრტვინავენ, განიცდიან ტრაგიკული ბედის აუცილებლობას და იღუპებიან დიდებულ ბრძოლაში (ლისტი—„მიცვალებულთა ფერხული“, ბერლიოზი — „ფანტასტიური სიმფონია“, ბრამსი — „ტრაგიკული უვერტიურა“), შემდეგ განსაცვიფრებელი კომიზმით და ირონიით მოგვითხრობენ დიდ ქარიშხალზე, რომელიც პატარა მიზეზმა გამოიწვია (ბეთჰოვენი — „ვარიაციები დაკარგულს გროშზე“), ანდა ნელი, უსიტყვო, შეუმჩნეველი წამების მშვენიერებაზე (შუმანის ზოგიერთი „ფანტაზია“ და „რომანსი“), მომაკვდავი ადამიანის ლტოლვაზე უკვდავებისა და მარადისობისაკენ და სარწმუნოებრივი ან კოსმიური გრძნობების უძირო სიღრმეზე (ბახის, ჰენდელის, მოცარტის ან ვერდის ორატორიუმები და რექვიემები). ხმები ადიან უმაღლეს მწვერვალებზე, შემდეგ ნელ-ნელა ხელიხელჩაკიდებულნი ეშვებიან ძირს, ან მოჰქრიან თავბრუდამხვევი სიჩქარით, იხლართებიან თვალუწვდენელ სიღრმეში და გრგვინავენ ქვესკნელის ძალთა მსგავსად...

0

ჩვენ დავინახეთ, რომ გრძნობა, ადამიანის სუბიექტური მდგომარეობა, იმის „მეს“ უახლოესი, განუშორებელი თანამგზავრი ფარული და გამოურკვეველი გზით შედის მისთვის თითქო სრულიად უცხო ფორმებში, ფერებში, ხმებში, პოეტური ფანტაზიის ქმნილებებში მარმარილოს, ბრინჯაოს, თიხის ქანდაკებაში, არქიტექტურული შენობის ნაწილებში, ბუნების მოძრაობაში და სხვ. და შემდეგ იქიდან ესაუბრება

იმავე „მე“-ს თავისი უცნაური ბედის ცვალებადობაზე, ყოველთვის უფრო მშვენივრად და წარმტაცად, ვიდრე ეს ადამიანს შეუძლია. ეს ჰქმნის შესაძლებლად იმ მდგომარეობას, რომელსაც უკეთესი სახელის უქონლობის გამო „ესთეტიკური სიამოვნება“ უწოდეს და რომლისთვისაც შოპენჰაუერსაც კი იმედით და შერიგებით სავსე სიტყვები აქვს, და მართლაც, პირველად აქ ურიგდება ადამიანი სინამდვილეს, ხშირად ბედშავს და აუტანელს, ხშირად წვრილმანს და დასაქუცმაცებელს, პირველად აქ პოულობს ის სიტკბოებას ტანჯვაში და ტრაგიკულ განადგურებაში, პირველად აქ გამოდის მისი — „მე“ თავისი საბედისწერო საზღვრებიდან, რომელიც მას ბუნებამ და საზოგადოებამ მიუჩინა და თავისი სულიერ ბატონობის სფეროს დაუსრულებლობამდი და მარადისობამდი აფართოვებს.

„მე“ ხედავს აქ თავისთავს, თავის გრძნობებს და სულიერ წყობას ხორცშესხმულს ესთეტიკურ შეხედულებაში. მაგრამ ეს გარემოება მისთვის ბედნიერ საიდუმლოებად რჩება, სანამ იგი აღტაცებული ხელოვნების უკვდავ ქმნილებათა და მშვენიერი ბუნების წინაშე დგას. მხოლოდ შემდეგ, როცა „მე“ ფხიზელ სინამდვილეს უბრუნდება, ფსიქოლოგიურ თვითანალიზის წუთებში, შეუბრალებელი მეცნიერება ეუბნება მას, რომ ყველა ეს ილუზია, ტკბილი ოცნებაა საჭირბოროტო მღელვარების მიერ დაქანცული სულისა, რომ ეს მის მიერვე შეტანილი გრძნობაა, რომელიც მეფე ლირის სახით უზომოდ იტანჯებოდა ადამიანური უბედურებისა გამო, ან იჭვიანობდა ოტელოსებრ, შურისძიებას ცდილობდა, მაგრამ ვერა ძლებდა ჰამლეტივით, ან განიცდიდა თავმოყვარეობის ჯოჯოხეთურ ლტოლვას ლედი მაკბეტივით.

ადამიანი უბედურია არა მარტო მაშინ, როცა მისი გრძნობა და ლტოლვილება გარეშე პირობების ან ძლიერი მტრების მოწინააღმდეგე მიმდინარეობას ეჯახება და იღუპება. უფრო უბედერია ის მაშინაც, როცა გრძნობათა სიმების ყღერა არავითარ გამოხმაურებას არ პოულობს მის გარშემო, როცა ის უაზრო მანქანებს ხვდება იქ, სადაც მგრძნობიარე და მებრძოლ ადამიანებს ელოდა. სიბოროტით, შურიანობით, ღვარძლით ან სისატიკით დამახინჯებული სახე მხოლოდ საშიშია, —

ყოველ სულიერობას მოკლებული, უძრავ ნიღაბაფარებული, გაქვავებული ან გაშეშებული სახე კი თავზარდამცემია. უდიდესი გენიოსები ყოველთვის სულიერ ობლობას, უთვისტომობას, ბრბოს გაუგებრობას სთვლიდნენ თავიანთ უსაშინელეს სასჯელად. ი. ჭავჭავაძე ტირის არა თავის ტანჯვას, არამედ იმას, რომ ეს მისი ტანჯვა მამულისთვის არავის ესმის:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ საეალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხში კაცი არ არი,
რომ ფიქრნი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზიარო...

და აი, ესთეტიკურ გრძნობათა შეტანა აკმაყოფილებს ადამიანის იმ ინსტიქტურ, უძლეველ მოთხოვნილებას, რომელიც არსებითად პოპულარული ცნობიერებისათვის ანიმისტურ მსოფლმხედველობაში, ხოლო ფილოსოფიური აზროვნებისთვის სტოიკების, შემდეგ სპინოზას, შელინგის და ბოლოს ფეხნერის ფილოსოფიაში გამოიხატა. კიდევ მეტი: ხელოვნების სახით ის ჰქმნის ახალ სინამდვილეს, შეუდარებელს ყოველ სხვა სინამდვილესთან, მშვენიერ ლეგენდარულ კუნძულს, სადაც ადამიანი დღესასწაულობს თავის ხელახლად დაბადებას რეალურ დროსა და სივრცის გარეშე. აქ, კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული ამირანი, ესპანელი გმირი დონ-კიხოტი ან დანიელი პრინცი ჰამლეტი ერთნაირად ახლოა ბერძენთან, ინგლისელთან და ქართველთან. სწორედ იმიტომ, რომ ის თავისუფალია. სივრცის ჩარჩოებიდან, — აქ ყოველი წამი მიზანია თავისთავად. ხშირად უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი, ვიდრე მთელი წლები ჩვეულებრივ ცხოვრებისა, სწორედ იმიტომ, რომ ის აღარ ექვემდებარება რეალური ჟამის ჩარხის ბრუნვას. უკვდავი ხელოვნება სპობს საზღვრებს საუკუნეებს შორის, გენიოსური მომენტების მიერ შექმნილ ნაწარმოებს კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრად ხდის, საწუთროებას მარადისობას უახლოვებს და ამით აკმაყოფილებს ადამიანის მეორე ინსტინქტურ და ელემენტარულ მოთხოვნილებას — ლტოლვას უკვდავებისადმი.

სულის უზენაესი მოვლინება ტრაგიკული გრძნობაა, კიდევ უფრო რთული მოძრაობა, ვიდრე სხვა ესთეტიკური

გრძნობანი, მაგრამ მათსავით შეუგნებლად და ინსტინქტურადაა ხელოვნებაში შეტანილი.

7

მათ შორის, ვინც ქართულად აზროვნებდა, გრძნობდა და სთნზავდა, ტრაგიკული ხელოვნება არავის არ აუყვანია იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ნ. ბარათაშვილი ავიდა თავის ლირიკაში. პირველად მან გვაგრძნობინა, რომ ტრაგიკული სიდიადე, მუდმივი ტანჯვა და ბოლოს დამარცხება ხვედრია თვით მსოფლიოს საბედისწერო და გარდუვალი მსვლელობისა, რომ ტრაგიზმი გამომდინარეობს თვით სამყაროს ტრანსცენდეტალურ არსებობისა, მის მეტაფიზიკურ შუაგულისაგან. თავის ტრაგიკულ გმირად ბარათაშვილმა დაგვისახა დიადი „მე", ზოგადი, ინდივიდუალურ საზღვრებისაგან თავისუფალი პიროვნება, რომლის ბრძოლა, ლტოლვა და ტანჯვა სივრცის, მიზეზობრიობის და მიზანთა ურთიერთობის გარეშე დგას. ეს არ არის ტრაგიზმი ამა თუ იმ დიადი პიროვნებისა, რომელიც განსაკუთრებულ სახიფათო პირობებში დგას, როგორც სოფოკლეს ოიდიპოსი ან ანტიგონე, შექსპირის რომეო, ოტელო ან იულიოს კეისარი.

არისტოტელემ თავის „პოეტიკაში" ის აზრი გამოთქვა, რომ ტრაგიზმისთვის აუცილებლად საჭიროა მოქმედება, რომ არა ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ახდენს ყოველი გმირი, რომელიც უმოქმედოდ დგას ან რაიმე მოქმედების შესრულება სურს და ვერა სძლებს. შემდეგ ლესინგმა და ჰეგელის სკოლის ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკიდურესობამდე მიიყვანეს ეს შეხედულება, რომელიც შეიძლება კლასიკურ საბერძნეთისთვის სრული ჭეშმარიტებაც იყო, მაგრამ დღეს აშკარად ეწინააღმდეგება თანამედროვე ხელოვნების, განსაკუთრებით მუსიკის განვითარებას. თვით დრამატულ ხელოვნებაშიაც კი მეცხრამეტე საუკუნემ წარმოშვა სრულიად სამართლიანი ესთეტიკური ტიპი შემოქმედებისა, ეგრეთწოდებული „სულიერი დრამა", რომელშიაც შინაგანი კონფლიქტი, სულიერი შეტაკება და ბრძოლა შესამჩნევად სჭარბობს, ხშირად სრულიად ჩრდილავს გარეგნულ მოქმედებას, გარეშე მტრებთან შეტა-

კებას და ბრძოლას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კიდევ უფრო ძლიერ ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე „მოქმედების დრამა“.

ის ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე ადამიანის სულიერი შინაგანობა უფრო მადლიერი და ნაყოფიერი ასპარეზია ტრაგიზმის შესაქმნელადვე, ვიდრე გარეგნული მდგომარეობის სახიფათოდ დახლართული პირობები, ცხადჰყო ახალი დრამის განვითარებამ: გოეთეს „იფიგენიამ“, და „ტორკვატო ტასომ“, ბაირონის „კაენმა“ და „მანფრედმა“, შემდეგ, განსაკუთრებით, ჰ. იბსენმა, ბ. ბიერნსონმა, ჰაუპტმანმა, ჰომფასტალმა და მეტერლინკმა. მაგრამ კიდევ უფრო აშკარად, ვიდრე „სულიერი დრამა“, ლირიკული და მუსიკალური ხელოვნება მოწმობს იმ აზრს, რომ გარეგნულ მოქმედების გარეშედაც შესაძლებელია ღრმა ტრაგიზმის შექმნა: ბაირონის, ლეოპარდის, ლენაუს და ჰოელდერლინის ლირიზმი უმეტეს ნაწილად ტრაგიკულია, ისევე როგორც რომანტიული მუსიკის ბევრი ნაწარმოები, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთსა და არც მეორეს არ შეუძლია დრამატული მოქმედება ცოტად თუ ბევრად ნათლად გამოხატოს. მაგრამ ამას გარდა არის ლირიკაში ისეთი მომენტები, რომელნიც მას მუსიკას უახლოვებენ.

მუსიკას შოპენჰაუერმა მეტაფიზიკური ხელოვნება უწოდა. მაშინ, როდესაც ყოველი სხვა ხელოვნება პლატონური იდეის, მეტაფიზიკური ნებისყოფის ობიექტივიზაციის რომელიმე საფეხურის გამოხატულებაა, მუსიკა — ეს, მისი აზრით, უმაღლესი ნაყოფი ადამიანის ესთეტიკური შემოქმედებისა — ხატავს თვით პირველყოფილ მსოფლიო ნებისყოფას პირდაპირ, უშუალოდ. ტონების ჰარმონიაში იხატება უდაბლესი მხარეები მეტაფიზიკურ არსებობისა, მელოდიაში, კონსონანსში და დისონანში კი — შეგნებით განათებული ნებისყოფის ტანჯვა, ღელვა, გათიშვა და შერიგება თავისთავთან. „ის ხატავს არა ამა თუ იმ განსაზღვრულ სიხარულს, ამა თუ იმ ჭმუნვარებას, ან ტკივილს, ან საშინელებას, ან სიამოვნებას და სულის სიმშვიდეს, არამედ თვით სიხარულს, ჭმუნვარებას, ტკივილს, საშინელებას, აღტაცებას და სულის სიმშვიდეს საზოგადოდ. მაგრამ მისი ზოგადობა სრულიადაც არა ჰგავს აბსტრაქციის ცარიელ ზოგადობას, არამედ სულ სხვა ხასია-

თისაა, შეერთებულია ნათლად გარკვეულ განსაზღვრულობასთან". შოპენჰაუერის ხელოვნების მეტაფიზიკაში ეს უკანასკნელი აზრი ყველაზე უფრო ახლოა ჰეშმარიტებასთან: მუსიკის ენა მართლაც ზოგადი და განსაზღვრულია ერთსადაიმავე დროს; გრძნობა აქ ლაპარაკობს პირდაპირ ხმიდან, ტონების შელოდიიდან ყოველი ინტერპრეტაციის, ლოგიკური ან ისტორიული აბსნის გარეშე, ამასთან იმდენად აშკარად და გარკვეულად, რომ შეუძლია ნათელი მოჰფინოს და გაგვაგებინოს რაიმე მხატვრული ან დრამატული სცენა, რომელიც უმისოდ იდუმალი და გაუგებარია. რიხარდ ვაგნერის მუსიკალური დრამა კარგად მოწმობს ამ შეხედულებას.

მეორე მხრით, მუსიკას არ ძალუძს სიტყვების, მოქმედების და პლასტიკის დაუხმარებლად გრძნობისა და სულიერი მოძრაობის ინდივიდუალიზაცია, მას არ შეუძლია დაგვანახოს, რომ ეს განსაკუთრებული გრძნობა, რომელიც მისი ტონებიდან გამოისმის, ამ განსაკუთრებულ პიროვნებასთან, ამ განსაზღვრულ ბედთან არის დაკავშირებული: ამიტომაა, რომ მუსიკალურ ტრაგიზმს რაღაც გამოუთქმელი მეტაფიზიკური, თითქო მთელი სამყაროსთვის საბედისწერო ელფერი აქვს და უფრო საშინელ გავლენას ახდენს, ვიდრე მხატვრული ან დრამატული ტრაგიზმი. ეს კარგად ესმოდათ იმათ, ვინც დრამას და მუსიკას ერთიმეორეს უკავშირებდა, როგორც ესქილე და სოფოკლე ძველ საბერძნეთში ან რიხარდ ვაგნერი თანამედროვე ხელოვნებაში. ბეთჰოვენის „საგმირო სიმფონია", ბერლიოზის „ფაუსტის შეჩვენება" და „რექვიემი", ბრამსის „ტრაგიკული უვერტიურა", ლისტის „კონცერტი" და ვაგნერის „ტანჰეიზერის" და „ტრისტან და იზოლდას" უვერტიურები ისე მოქმედებენ, თითქო ტრაგიზმი ხვედრი იყოს თვით მსოფლიოს მეტაფიზიკური შინაარსისა; თითქო ხმები მოგვითხრობენ ამ უსახელო, მასთან უდიდესი არსების სამარადისო მღელვარებაზე, ტანჯვაზე, გამარჯვებასა და დამარცხებაზე, უმიზეზო და უმიზნო ლტოლვაზე.

8

ასეთივეა ბარათაშვილის ტრაგიზმი, მისი მერანის უგზოუკვლოდ ფრენა, მისი გიჟური ლტოლვა, იგი იტანჯება მუდმივი

დაუკმაყოფილებელი წყურვილით. იგი მუდმივ ცდილობს თავის საზღვრებიდან გამოსვლას, მაგრამ თავის საზღვრებს ვერა ხედავს, ილტვის, მაგრამ ვერ ახერხებს თავისი სურვილის დაკმაყოფილებას, ეძიებს, მაგრამ სავალალოდ ყველაგან თავისავე თავს პოულობს, სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ თვითონ ისაა ერთადერთი „ნამდვილი სინამდვილე", ყოველივე კი, რაც იმის გარეშე არსებობს, არის მოვლენა, აჩრდილი, მაიას ზეწარი; ბარათაშვილის მხედარი, ეს უსახელო ტრაგიკული „მე" დრტვინავს და ღელავს, ჰკვეთს ქარს, აპობს წყალს, მიჰქრის, იტანჯება და ამაოდ ლამობს გაექცეს თავის ბედისწერას, რომელიც ყორანივით მუდამ უკან მისჩხავის, გადაიაროს მისი საზღვარი, რომელიც ისევე გარდაუვალია და აბსოლუტურია, როგორც თვით „მე"-ს საზღვრები. ესაა მისი ბრძოლა თავისთავთან, თავის საბედისწერო საზღვრებთან, ტრაგიკული კონფლიქტი, რომლის ახსნა ან დაცხრობა ყოვლად შეუძლებელია.

ეს კონფლიქტი შეუძლებელი იქნებოდა, ადამიანის ინდივიდუალური ყოფნის და მოქმედების მიზანი მხოლოდ ბედნიერება ან წყნარი, ფილისტერული კმაყოფილება რომ ყოფილიყო. ფრთების შეკვეცა, უზენაესი აღმაფრენის ჩახშობა, შეჩერება და გულში ჩაკვლა უსარგებლო მისწრაფებათა აბსოლუტური ჭეშმარიტებისა და მშვენიერებისადმი, დაკმაყოფილება იმ ვიწრო ფარგალით, რომელიც აუცილებელ ბედისწერას მიუჩენია თვითეული მომაკვდავისთვის, შერიგება იმ აზრით, რომ მას ვერავინ გადაივლის, — უფრო ადრე მიანიჭებდა ადამიანს ბედნიერებას, ვიდრე მოუსვენარი ლტოლვა უსაზღვროებისა და უკვდავებისაკენ. „დაჰყავით მარადისობა უჯრედებად, უცქირეთ მას საპყრობილის სარკმლიდან, შეიგენით, რომ ყოველი ცდა იქიდან თავის დაღწევისა ამაო და ფუჭია და თქვენ მოიპოვებთ სულიერ სიმშვიდეს, ამქვეყნიურ ბედნიერების სარწმუნო თავმდებს". ესაა ევდემონური გონივრობის ძირითადი სიბრძნე. ბევრი მხარე ადამიანის ადამიანობისა, ბევრი რამ, რითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი კულტურა, შეუძლებელი გახდებოდა ჩვენს არსებობას და მოქმედებას რომ მართლაც ეს სიბრძნე დასდე-

ბოდა საძირკვლად: უწინარეს ყოვლისა კი შეუძლებელი იქ-ნებოდა შემეცნების განვითარება.

თითქო ჩვენში არსებობდეს რაღაც უძლეველი ნების ლტოლვა ჭეშმარიტებისადმი, ჩვენ საისელ ყმაწვილივით უში-შრად ფარდას ვხდით ბუნების და სულიერი ცხოვრების უსა-ზარლეს საიდუმლოებებს, ხშირად ვძრწით საშინელ სანახაო-ბის წინაშე, მაგრამ უკან კი არ ვიხევთ, სანამ ცნობიერების წყურვილს არ ვიკლავთ, მაგრამ უბედურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ წყურვილის მოკვლა ყოვლად შეუძ-ლებელია: ბაირონმა თავის „კაენში" და გოეთემ „ფაუსტში" გასაოცარი ხელოვნებით დაგვიხატეს აბსოლუტური ჭეშმა-რიტების მაძიებელი სულის ტრაგედია, მუდმივი დისჰარმონია სურვილსა და შესაძლებლობასა, იდეალსა და არსებულ მდგომარეობას შორის.

შემეცნებაში, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო ცოდ-ნაში არის ერთი მომენტი, რომელიც ამ ტრაგედიას ყველაზე უფრო აახლოებს თვითეულ ჩვენთაგანთან და ადამიანურად გასაგებად ხდის მას იმისთვისაც კი, ვისთვისაც ეს აბსოლუ-ტური მისწრაფებაა ჭეშმარიტებისადმი და მისგან გამომდი-ნარე ტანჯვა უცხო და გაუგებარია, და სწორედ ეს მხარე გვამცნო ბარათაშვილმა თავის „სულო ბოროტოში" და „ფიქ-რი მტკვრის პირად". მსოფლიო ლიტერატურაში ბევრი არაა ისეთი ნაწარმოები, რომელშიაც მთელი კაცობრიობის დამა-ხასიათებელი სულიერი დრამა ისეთი მართლაც და გენიოსუ-რი სიძლიერით გამოთქმულიყოს, როგორც ამ ორ პატარა ლექსში. ეს ტიპიური დრამა მართლაც ყმაწვილურ ოქროს-ფერ იმედებით, წრფელის ნდობით და სასოებით იწყება: ჩვენ მოხიბლულნი და მოჯადოებულნი შევდივართ ცნობიე-რების ტაძარში, რომლის შესავალს მართლაც თავისუფლე-ბის ემბლემა აცისკროვნებს: პირველ საფეხურებზე ჩვენ კიდევ ვოცნებობთ ბედნიერებაზე და სულის მშვიდობაზე, რომელსაც ახალი გზა გვიქადის; მხოლოდ შემდეგ, როცა კარ-გა შორსა ვართ წასული და უკან დაბრუნება აღარ შეგვიძ-ლია, ვამჩნევთ, რომ ჩვენი წინამძღვარი „ბოროტი სულია" გონების აღმაშფოთარი, წრფელ ზრახვათა აღმრევი; აქ ვხე-დავთ, რომ უდიდესი საიდუმლოებანი, რომლის ცნობას შე-

ეძლო მოეკლა ჩვენი წყურვილი, დაეკმაყოფილებინა ჩვენი შეუჩერებელი ლტოლვა, სამუდამოდ დაფარულია მომაკვდავისთვის, რომ პირიქით, ის, რაც ცხადი და სახელდახელოა, ძირს უთხრის ჩვენი ყმაწვილობის სარწმუნოებას და, მაშასადამე, სამუდამოდ აუბედურებს და აობლებს სულს.

ყველაზე საშინელი და აუტანელი მთელ ამ ტრაგედიაში არი, რასაკვირველია, არა მამაპაპური ტრადიციების, შეჩვეულ სარწმუნოებრივი ცნებების და დოგმატების დაკარგვა: ცრუმორწმუნეობისაგან განთავისუფლება, მართლაც, ერთი უბედნიერესი და უკეთილშობილესი მომენტი იქნებოდა ჩვენს ინტელექტუალურ განვითარებაში, მას რომ საბედისწერო აუცილებლობით მეორე არ მოსდევდეს. და სწორედ ეს მეორე ნაბიჯი, ხშირად ჩვენი კეთილი ნებისყოფის და სურვილის წინააღმდეგ გადადგმული, გამანადგურებელ გავლენას აჩენს ჩვენს ზნეობრივ თვითშემეცნებას: იგი სპობს რწმენას უდიადეს და უმშვენიერეს ღირებულებათა შენახვაში, ისტორიულად აღმოცენებული სარწმუნოების ყოველ დედააზრს და საძირკველს. ისე როგორც პოპულარული შეგნებისთვის უძვირფასესი მომენტი სარწმუნოებაში სულიერი უკვდავების რწმენაა, ინტელიგენტური შეგნებისთვის იმავე სარწმუნოებაში უაღრესი და უსაჭიროესი მომენტი არი რწმენა ამ უდიდესი ზნეობრივი, მეცნიერული და ესთეტიკური ღირებულების შენახვისა, რომელთა შესაქმნელად ამდენი კულტურული შრომა და სიცოცხლეა შეწირული. ის პიროვნება, რომელსაც ადამიანური კულტურის ფასი დაახლოებით მაინც ესმის, ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ სულიერი შემოქმედების უძლიერეს, უმშვენიერეს და უნაზეს ქმნილებებს ერთ დროს ბოლო უნდა მოუღოს უაზრო და მოუხეშავი ბუნების მსვლელობამ. რა აზრი აქვს თვით ჩვენი ზნეობრივი ცხოვრების უდიდეს წუთებს, უკეთილშობილეს მოქმედებებს, თუ სუსტ ადამიანს არ ძალუძს, ხოლო უზენაესი არსება არსად არი, რომელიც შეუნახავდა მას უკვდავებას და მარადისობას.

> მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
> მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს...

ამ საშინელ ჭეშმარიტებას ეკი, რომ „ერთხელ სოფელსაც

ბოლო უნდა მოეღოს“, კარგა ხახია ფარდა ახადა საბუხებისმეტყველო შემეცნებამ. ერთი თანამედროვე მეცნიერი ამბობს: „ჩვენი პლანეტების სისტემის ენერგია დაცხრება, მზის სიდიადე ჩაქრება და დაბნელდება, და დროთა ბრუნვას და მოძრაობას მოკლებული დედამიწა ვეღარ შეძლებს ატაროს თავის ზურგზე ადამიანთა ტომი, რომელმაც ერთი წამით მისი მარტოობა დაარღვია. ადამიანი ჩაიღუპება ჯურღმულში და თან წაიღებს თავის აზრებს და გრძნობებს... მოუსვენარი ცნობიერება, რომელმაც მცირე ჟამით შეაჩერა სამყაროს კმაყოფილი მდუმარება, მოისვენებს და დაყუჩდება. მატერია დაჰკარგავს თავისავე თავის შეგნებას: „წარუვალნი ძეგლნი“, „უკვდავნი მოქმედებანი“, თვით სიკვდილი და სიყვარული, რომელიც კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი, იქნებიან ისე, თითქო არასოდეს არ ყოფილან. და ყველა იმას, რაც ადამიანმა უთვალავ თაობათა განმავლობაში შექმნა თავისი შრომით, თავისი გენიოსობით, თავისი ლოცვით და თავისი ტანჯვით, არ შეიძლება შესცვალოს, გააუმჯობესოს ან გააუარესოს ის, რაც მაშინ იქნება“.

9.

ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანის ინდივიდუალური და სოციალური არსებობის ერთადერთ მიზანს ბედნიერება და შეუშფოთებელი კმაყოფილება რომ შეადგენდეს, ის უფრო მოკლე და მშვიდობიან გზას აირჩევდა, რომელიც თუმცა მას საგმირო ბედისწერას არ უქადის, მაგრამ არც იმედის გაცრუებას უმზადებს. მაგრამ „ბოროტი სული“, ჩვენივე ბუნების სიღრმეში შობილი და უნებლიეთ ჩვენ მიერვე ხმობილი ჩვენდა წინამძღვრად, გვიწვევს იმ გზებზე სავლელად, რომელნიც ყველაზე შორს არიან ბედნიერებასთან. და არა მარტო ცნობიერების ინსტინქტი, რომელმაც, საბიბლიო მოთხრობის თანახმად, სამოთხე დააკარგვინა პირველყოფილ ადამიანს, მოწმობს იმ აზრს, რომ ჩვენს სულიერ ყოფნას სხვა უაღრესი საძირკველი უდევს, ვიდრე უტილიტარული აწონ-დაწონვა სარგებლიანობისა და სიამოვნებისა: თვით ფაქტი ტრაგიკულ ხელოვნების არსებობისა შეუძლებელი იქნებოდა ფი-

ლისტერულ კმაყოფილებასა და მშვიდობიანობაზე დაფუძნებულ საზოგადოებაში, მით უმეტეს ის „ტრაგიკული კულტურა“, რომელზედაც ხშირად ოცნებობს კაცობრიობა.

გრძნობა, რომელშიც სჭარბობს ტრაგიზმი, არი უსათუოდ ტანჯვა შეერთებული სიდიადესთან: იბრძვის, იტანჯება და ბოლოს იღუპება არა უბრალო, საშუალო ადამიანი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, დიადი თვით შეცოდებასა და დანაშაულობაში. განსაკუთრებით ბარათაშვილის ტრაგიზმი, სადაც ტანჯვა საბედისწერო დამოკიდებულებაში იმყოფება სიდიადესთან, თითქო ის მხოლოდ იქიდან გამომდინარეობდეს და არავითარი მიზეზი არ სჭირდებოდეს, განსაკუთრებულ პესიმისტურ ელფერს აძლევს ამქვეყნიურ არსებობას: „რა ქვეყანაა ის ქვეყანა, სადაც ტანჯვა და ტრაგიკული განადგურება აუცილებელი ხვედრია ყოველი დიადი არსებისა, რომელიც ყველაზედ უფროა ღირსი ბედნიერებით და კმაყოფილებით ტკბებოდეს“. მაგრამ თუმცა ეს ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელ და საშიშ მხარეებს ააშკარავებს, მიუხედავად ამისა, ყოველი ჩვენგანი გრძნობს იმ აუტანელ სიტკბოებას, რომელიც სწორედ ტრაგიკულმა ხელოვნებამ აიყვანა უმაღლეს წერტილზე.

ტანჯვა და ტრაგიკული სიკვდილი უბრუნებს ადამიანს წართმეულ ღირსებას, გვარიგებს მის ნაკლოვანებებთან და ნათელს ჰფენს მის საუკეთესო მხარეებს. ტრაგიკული განსაცდელი უდიდესი და უტყუარი სასინჯია პიროვნების ავკარგიანობის, მისი სიმხდალისა და სულმოკლეობისა ან მისი გმირობისა და სულდიდობისა: დეზდემონა ანგელოზისებრ სინაზეს ქმრისადმი და სიყვარულის განუზომლობას მაშინ იჩენს, როცა საშინელი კატასტროფა მოახლოვებულია, მაკბეტის დანაშაული მაშინ ხდება ადამიანურად გასაგები და მისატევებელი, როცა სინდისის ქენჯნა და სულიერი გათიშვა შეუძლებლად ხდის მის არსებობას და ღუპავს მტერთან ბრძოლაში. ისტორიულ პირებს შორის რობესპიერმა, დანტონმა და ნაპოლეონმა უდიდესი მხარეები თავიანთი ბუნებისა ტრაგიკულ კატასტროფაში გამოააშკარავეს და ამით თავიანთი მრავალმხრივი ნაკლულევანებანი ჩაჩრდილეს; ნაპოლეონმა თავისი სამხედრო გენიოსობა ლაიპციგის დამარ-

ცხების შემდეგ აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის შეიძლება თავის უბრწყინვალეს გამარჯვებაშიაც არ ასულა.

ბარათაშვილის „მერანი“ დიად „მეს“ ტრაგიზმია, რომელიც ეძებს არა ბედნიერებას, არამედ თავის პიროვნების უსაზღვროდ გაფართოებას, რომელიც ცდილობს თავის ფარგლით შემოზღუდოს მსოფლიოს მსვლელობა, თავის ბატონობას დაუმორჩილოს უზენაესნი ძალანი, თავის გულის მესაიდუმლედ „თანამავალნი ვასკვლავნი“ გახადოს, ხოლო თავის ჭირისუფლად და უბედურების თანამოზიარედ ქარიშხალი და ელვა-ჭექა; ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელიც უძლეველ არაადამიანურ ვნებათა ღელვის ექსტაზში ლამობს გულში ჩაიკრას და განუშორებლივ შეიერთოს მთელი სამყარო, წაშალოს საზღვრები ინდივიდუალურსა და აბსოლუტურს შორის.

რომ ადამიანის მოქმედების უაღრეს მიზანს პიროვნების უსაზღვრო გაფართოვება შეადგენს, ეს ბარათაშვილმა ნათლად გამოსთქვა თავის მეორე ლექსშიც: „ფიქრი მტკვრის პირად“.

> მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთისოფელი,
> თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი.
> ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
> და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს.

და თვით ისინიც კი, ვინც საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე დგანან და შეძლება აქვთ დასტკბნენ ამქვეყნიურ ბედნიერებით, შფოთავენ და დრტვინავენ, ეძებენ ახალ სახიფათო, ხშირად დამღუპველ შეტაკებებს, მხოლოდ იმიტომ რომ გააფართოონ სფერო თავიანთი ბატონობისა. ეს შოპენჰაუერისებრი შეხედულებაა ადამიანის ნებისყოფაზე, მის შეუჩერებელ ლტოლვაზე, მის დაუცხრომელ წყურვილზე და აქედან გამომდინარე ტანჯვაზე. ნებისყოფა, რომელსაც ყოველ წუთში სურს მეტი, ვიდრე მას აქვს, რომელსაც არსებული მდგომარეობა არასოდეს არ აკმაყოფილებს და ყოველთვის ილტვის გადააბიჯოს მის საზღვრებს, უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ არსებითად ვართ იმაზე მეტი, რაცა ვართ, რომ თვითეულ ჩვენს დროებითსა და სივრცით განსა-

ზღვრულ მოქმედებაში იხატება, თან ვერც იხატება სამყაროს ტრანსსუბიექტური, მეტაფიზიკური დედაარსი. ამიტომ შეიძლება მხოლოდ თვითეული, განცალკევებული ნების აქტის დაკმაყოფილება და არა ნებისყოფის საზოგადოდ, ამ ჩვენი მგოსნის სიტყვით „აროდეს აღუვსებელი საწყაულის".

მაშინ, როდესაც შოპენჰაუერისთვის ინდივიდუალურ არსებობას თავისთავად არავითარი ფასი არ აქვს, მაშინ როდესაც მას არ შეუძლია რაიმე ღირებულება შემატოს ნამდვილ სინამდვილეს, მაშინ როცა მისი ერთადერთი ღირსებიანი მიზანი თავისი ინდივიდუალობის მოსპობაა, შედუღება მეტაფიზიკურ დედაარსთან, რომელიც თავისუფალია ინდივიდუალიზაციისაგან, ბარათაშვილისთვის ამავე არსებობას აქვს რეალური ფასიც და აზრიანი შინაარსიც:

> მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან—შვილნი სოფლისა,
> უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა;
> არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს.

10

ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ზოგად „მეს" ტრაგიზმისთვის, რომელიც გამოიხატა ბარათაშვილის პოეზიაში, დამახასიათებელია უსაზღვრობა სურვილისა და მისწრაფებისა, რომელიც ბედნიერებასაც კი გაურბის, თუ კი ამ ბედნიერებაში იგი თავის პირადული საზღვრების შევიწროვებასა გრძნობს. ეს არის „მე"-ს ბრძოლა არა გარეშე ხილულ მტერთან, არამედ თავისთავთან, თავის საბედისწერო აუცილებლობით მოფარგლულ საზღვრებთან, ამიტომ ბარათაშვილის სიტყვები:

> გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
> თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი,—

გამომხატველია ადამიანის სასოწარკვეთილ, მაგრამ ამაოცდისა, რომელიც უსათუოდ დამარცხებით დამთავრდება.

უწინარეს ყოვლისა, თვითეული მეორე ინდივიდუალური — „მე" აბსოლუტური და მუდმივ გარდაუვალი ზღუდეა ყოველი მომაკვდავი არსებისათვის. მას შეუძლია მოსპოს

სფერო მისი ბატონობისა, ან დაუქვემდებაროს თავის გავლენას, გაანადგუროს მისი მატერიალური კეთილდღეობა, დაეპატრონოს თვით მის აზრებს, ნებისყოფას, მოქმედებებს, დაიმონოს მისი უიდუმალესი განზრახვანი და გულისთქმანი, თავისი დაღი დააჩნოს მის სულიერ შემოქმედებას, ანდა სრულიად მოსპოს და მიწის ზურგიდან აღგავოს მისი არსებობა. იმიტომ რომ ინდივიდუალობის საძირკველს შეადგენს არა ესა თუ ის მატერიალური ურთიერთობა, არა ესა თუ ის სულიერი წყობა, შეხედულებათა, ცოდნათა და გამოცდილებათა სისტემა, არა „კონცეფციათა კავშირი" (დ. ჰიუმი), არა „აზრთა მიმდინარეობა" (ვ. ჯემსი), რომელთაგან თვითეულს, ადვილად შეუძლია ათასჯერ განმეორდეს, არამედ აუწერელი, მიუწვდომელი გრძნობა მეობისა, რომელიც ყოველ ჩვენგანს თან დასდევს აზროვნებაშიც და უაზრობაშიც, მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც, სიფხიზლეშიც და ოცნებაშიც, ნების ლტოლვილებაშიც და მოდუნებაშიც. და ეს ელემენტარული, ყოველ გარეშე ძალისთვის აბსოლუტურად მიუწვდომელი გრძნობა, რომ „მე" „მეა" და არა სხვა რაიმე, შეუძლებლად ხდის იმ საბედისწერო ტრაგედიის მშვიდობიანად დამთავრებას, რომელიც ასე დამახასიათებელია კაცობრიობისთვის და რომელიც სხვადასხვანაირად გამოიხატა გოეთეს „ფაუსტში", ბაირონის პოემებში, იბსენის „ბრანდში" და ბარათაშვილის პოეზიაში.

მეორე მნიშვნელოვანი ზღუდე, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადააბიჯებს პიროვნება, არი დროების მიერ შექმნილი საზღვრები. ადამიანური ცხოვრების სიმდიდრე, მრავალმხრიანობა და ბედნიერება აწმყოს ჩარჩოებშია მოთავსებული. რაღაა თვით ეს აწმყო? ბეწვის ხიდი, წარსულისა და მყობადობის თვალუწვდენელ ოკეანეთა შორის გადებული, ერთი წუთის უმცირესი ნაწილი, მოჩვენება, რომლისაკენ მუდმივ ამაოდ იწვდის ხელს ადამიანი. მომავალი ვერც ასწრებს მის ფარგლებში შესვლას და ის უკვე იქცევა წარსულად, ცხოვრების დამუნჯებულ აჩრდილად, მახსოვრობის ტვირთად, რომელიც ამ არსებული სინამდვილის უბადრუკობას ხშირად კიდევ უფრო ცხადჰყოფს. რადგან არსებითად ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია, აწმყო კი თითქმის მხოლოდ ილუზიაა, საწუთროება, რომლის დასახელებასაც ვერ ასწრებს ადამიანი, რომ ის უკვე

დაუბრუნებლად გამქრალა, ამიტომ თვით ბედნიერებასაც ილუზიონური ელფერი ეძლევა. და სწორედ ჩვენი არსებობის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება ბარათაშვილმა ფილოსოფიური სიღრმით სავსე ლექსში: „ვპოვე ტაძარი...“

ეს არი ტრაგედია „სოფლის ღელვით მაშვრალი მწირისა“, რომელსაც ბედნიერებამ ელვასავით ერთი წუთით გაუღიმა, გაუნათა და დაანახვა უდიდესი მშვენიერება და ამით გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით მიანიჭა „განსვენება წრფელის ზრახვით“. გაუღიმა ერთი წუთით, რომ შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყო და ამით მისი ობლობა და მიუსაფრობა კიდევ უფრო აუტანელი გაეხადა:

> მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს.
> განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
> მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
> მის ნაცელად სევდა და წყენიადი დაისადგურებს“.

ეჭვი არ არი, რომ ეს ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, რომლის შესახებაც მგოსანი ამბობს: „მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი: ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი, და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი“, გენიოსური ფანტაზიის ნაყოფია, როგორც ყოველი ესთეტიკური შემოქმედება. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს ესთეტიკური ფანტაზიის ნაზი ნაყოფია და, მაშასადამე, ჩვეულებრივ, ტლანქი სინამდვილის ურთიერთობის გარეშე დგას, მას შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის სულში უდიდესი სიამოვნებაც და უდიდესი ტანჯვაც; მას შეუძლია თავის არსებობით გაამშვენიეროს და გააკეთილშობილოს მოუხეშავი, ულაზათო სინამდვილე, მაგრამ თავისი წინააღმდეგობით და შეუსაბამობით მასთან, შეუძლია აუტანელიც გახადოს მომაკვდავის ცხოვრება, რომელიც ყოველ შემთხვევაში ამ ჩვეულებრივ სინამდვილისაგან ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება. ესთეტიკური სულის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთსა და იმავე დროს აბსოლუტურად ორ შეუდარებელ ქვეყანაში ცხოვრობს; ამიტომ როცა იგი ადამიანობის უმაღლეს მწვერვალებზე ადის, როცა იგი უზენაესობას და უკვდავებას უახლოვდება, მას ჰაუპტმანის ოსტატ ჰაინრიხივით მოესმის ხოლმე დაძირულ ზარის ხმა, რომელიც ახსენებს

მას, რომ ისიც სიკვდილისა და წუთისოფლის ღვიძლი შვილია და მოუწოდებს ბარისაკენ, სადაც მწუხარება და ცრემლთა ფრქვევა.

მაშინ, როცა მეცნიერული აზროვნება ადამიანურ გრძნობას სამყაროს ყოველ კუთხიდან ულმობელად სდევნის და მოვლენათა ახსნას მხოლოდ მექანიკურ ძალთა ურთიერთობიდან ცდილობს, ესთეტიკურ „მეს“ ხელახლად შეაქვს სულიერი ცხოვრება ბუნებაშიაც და ხელოვნურ ფანტაზიის ქმნილებაშიაც: ის ყურს უგდებს, თუ როგორ ფეთქავს გრძნობა და სულიერი მოძრაობა ფოთლების იდუმალ შრიალში, ნიავის ნაზ ჩურჩულში, რუს გაუგებარ ბუტბუტში, ხის ტოტების უცნაურ რხევაში ან დაბურული ტყის მრავალმეტყველ მდუმარებაში.

არის მომენტები ესთეტიკურ სიამოვნებაში, როცა „მეს“ ჰგონია, რომ საბედისწერო ამოცანა ახსნილია, რომ მისი ბრძოლა თავისივე თავთან დამცხრალია, რომ ყოველივე ზღუდე, რომელიც ინდივიდუალურსა და აბსოლუტურს შორის ძევს და მათ შეერთებას ხელს უშლის, განადგურებულია.

„მაგრამ საწუთრო განა ვისმე დადხანს ახარებს“. ესთეტიკურ ექსტაზს და თავდავიწყებას მოსდევს გამოფხიზლება, ღვთაებრივ აღმაფრენას — ფრთების შეკვეცა, მშვენიერ ილუზიას — პირქუში სინამდვილე.

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი,
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი.
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი.
და დავალ ობლად, ისევ მწირი მიუსაფარი.

11

ბარათაშვილი პირველი ქართველი მოციქულია ძლიერი ინდივიდუალიზმისა, დიდი და ტრაგიკული პიროვნებისა, რომელიც თავის დანიშნულებას ხედავს არა არსებობის გაყინვაში და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფერებაში დაუსრულებლობამდე და მარადისობამდე. თავის მოუსვენარ ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენი-

ოსური ინდივიდუალობა, დიადი „მე“, რათა შემდეგ ამავე „მე“-ში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმხრივობა დაენახ-ებინა, და მან მართლაც შესძლო თვალსაჩინოდ გაეხადა, რომ ძლიერი შემომქმედი პიროვნება გრძნობათა და გულისთქმათა დაუშრეტელი წყაროა, რომელსაც შეუძლია ცხოველჰყოს ამ-ქვეყნიური უსულდგმულო არსებობა. ციურ მნათობთა და კოსმიურ ძალთა თუ ვერა, მან მომაკვდავთ მაინც გვაგრძ-ნობინა და გვამცნო, თუ რაოდენი საუნჯე იმალება ინდი-ვიდუალურ ყოფნაში, თუ რა მშვენიერია უდიდესი ადამია-ნობა.

თვით ტრაგიკულ ბრძოლაში, თვით გადამწყვეტ შეტაკე-ბაში ულმობელს ბედისწერასთან, მაშინაც კი როცა ის ხე-დავს, რომ დამარცხება და ბოლოს მოღება აუცილებელია, ის იჩენს იმ მოუდრეკელობას, რომელიც ჩემის აზრით, შო-პენჰაუერის შეხედულების წინააღმდეგ, ასე დამახასიათებე-ლია ყოველ ნამდვილ ტრაგიკული გმირისათვის. არის რა-ღაც გამოუთქმელად ამამაღლებელი ამ ძლიერებაში, რო-მელიც თვით საშინელ კატასტროფაში ცხოვრებას ზურგს არ უბრუნებს, ქედს არ იხრის თვით სიკვდილის წინაშეც და შთამომავლობას მედგრად უთითებს იმ გზისკენ, რომელზე-დაც მან ამაყად პირველმა შესდგა ფეხი: „მეტი ცხოვრება, ფართე არსებობა, ძლიერი პიროვნება“. აი უკანასკნელი ან-დერძი მხედარისა, რომლისათვის თვით ტრაგიკული ტანჯვა და ბრძოლა საშუალება იყო პიროვნების ზრდისა და გაფარ-თოებისა და არა მისი გაყინვისა ან სულიერი გაღატაკებისა. მას მტკიცედ სწამდა, რომ მის ამ ნაანდერძევს ძალა და მნიშვნელობა ექნებოდა მისი სამშობლოს ისტორიულ მსვლე-ლობისთვის, ახალი კულტურული ეპოქისთვის, რომლის კა-რები ესთეტიკურ დარგში მან შეაღო:

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი...
ცუდაც ხომ მაინც არ ჩაიელის ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მომძვესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თეისი შავის ბედის წინ გაძოუკროლდეს!

კაცობრიობას უფრო ფანტაზია ხელმძღვანელობს ვიდრე გონება, სთქვა ცნობილმა დანიელმა კრიტიკოსმა გეორგ ბრანდესმა. და მართლაც, კულტურის ისტორიული განვითარება ჯეროვან საფუძველს აძლევს ამ აზრს: თითქმის ყოველ ახალ ნაბიჯს კაცობრიობა უწინ თავის შემომქმედ ფანტაზიაში სდგამს წინ, რათა შემდეგ ის სინამდვილეშიაც განახორციელოს. ყოველი მეცნიერული ჰეშმარიტება ან თეორია, ყოველი ტექნიკური აღმოჩენა და მით უმეტეს ხელოვნების ყოველი ნაწარმოები მისი შემქმნელის ოცნებაში ცხოვრობს და მწიფდება, მისი იდეალური აღმაფრენით საზრდოობს, სანამ ჩვეულებრივი სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამდეს და საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდეს.

ქართველ მწერალთა შორის პოეტური ფანტაზიის ელემენტარული სიძლიერით ყველას შეუდარებლად რუსთაველი სჭარბობს: „ვეფხისტყაოსანი“ სხვა ღირსებათა შორის უფრო იმითაა დიადი და მიუწვდომელი, რომ იგი ფანტაზიის მოქმედებას განუსაზღვრელ ასპარეზს აძლევს, ბევრად უფრო ფართოს, ვიდრე გრძნობათა სიმდიდრესა და სხვადასხვაობას. ამით აიხსნება ის განუზომელი და იშვიათი გავლენა, რომელიც ამ მგოსანმა იქონია მთელი ქართველი ერის ესთეტიკურ ნიჭზე და მისი კულტურული თავისებურების შენახვაზე, და რომელიც ჩვენი აღორძინების ხანიდან განუწყვეტლივ გრძელდება დღევანდლამდე. ამ მხრივ ყველაზე მეტად შოთას მეცხრამეტე საუკუნეში ი. ჭავჭავაძე მიუახლოვდა.

არა შემოქმედების გრძნობადობაში ძევს ამ მგოსნის სიძლიერე: მისი სარბიელი სტიქიონური ფანტაზიაა და სწორედ ამ სარბიელზე გააშლევინა მან ფრთა თავის გენიოსურ ნიჭს. ის ბევრად უფრო მეტ საზრდოს აძლევს ფანტაზიას, ვიდრე გრძნობას: პირიქით, სადაც ის ცდილობს პირდაპირ, ფანტაზიის დაუხმარებლად გრძნობებზე იმოქმედოს, იგი შედარებით სუსტია და ყოველ შემთხვევაში თავის შესაძლებლობათა სიმაღლეზე ვერ ადის. ი. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ხშირად მშვენიერი ფორმა სჭარბობს შინაარსს, ისე

როგორც ნ. ბარათაშვილის ლირიკაში, პირიქით, ხშირად მდიდარი შინაარსი ებრძვის, მაგრამ გამოხატულებას ვერ პოულობს ჩვეულებრივ ფორმებში და ამიტომ სხვა ენას, სხვა ფანტაზიას ეძებს; ეს უკანასკნელი იმ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც პოეტური აღფრთოვანების დროს გრძნობას ერთიანად, განუყოფლად ეძლევა, გრძნობს გულუბრყვილოდ, თითქმის შეუგნებლად, ელემენტარული ბუნებრივი სიძლიერით და ხშირად წარმოდგენაც არა აქვს, თუ რა ღრმა და კეთილშობილია მისი გრძნობები (სხვა დიდ ქართველ მგოსანთა შორის ამ ჯგუფს ეკუთვნის დ. გურამიშვილი, რ. ერისთავი და ვაჟა-ფშაველა).

სულ სხვაა ილია ჭავჭავაძე: არა გრძნობები ჰფლობენ მას, არამედ, პირიქით, თვით იგი ფლობს და ბატონობს თავის გრძნობებს; ის ერთსა და იმავე დროს გრძნობს და თან აზროვნებს თავისი გრძნობების შესახებ, ან გრძნობს და ეთანხმება თავისსავე გრძნობებს, ან გრძნობს და ცდილობს უფრო ღრმად, უფრო ორიგინალურად იგრძნოს, ამიტომ მისი ფსიქიური ენერგია სავსებით გრძნობებს არასოდეს არ ეკუთვნის, არამედ ყოველთვის მათსა და აზროვნებას ან მათსა და ნებისყოფას შუაა გაყოფილი. ამითვე აიხსნება მისი სისუსტე ლირიკაში და შეუდარებელი სიძლიერე ეპოსში.

ლირიკული ნაწარმოები მით უფრო დიდია, რაც უფრო ნაკლებ საჭიროებს იგი თავისი საზღვრებიდან გამოსვლას თავისავე თავის გასაგებად, რაც უფრო ელემენტარულად ელაპარაკება იგი ადამიანის გრძნობებს; პირიქით, უბადრუკია ის თანამედროვე დეკადენტური ლირიკა, რომელიც ემოციონალური შემოქმედების სიღატაკეს იაფფასიანი ფილოსოფიით ფარავს.

საეპოსო ან დრამატული ნაწარმოები კი მით უფრო მაღლა დგას, რაც უფრო ფრთაგაშლილი და ჯანსაღია მასში შემომქმედი ფანტაზია. აქ გრძნობა და სულიერი თავისებურება არ გამოსჭვივის პირდაპირ სიტყვებიდან, როგორც ლირიკაში.

მიუწვდომელია ის ბედნიერი ნიჭი, რომლითაც ი. ჭავჭავაძეს ადამიანის ფანტაზია აჰყავს უმაღლეს მწვერვალებზე, როგორც, მაგალითად, „აჩრდილში“, რათა შემდეგ მის თვალ-

წინ ჯადოსნური სიძლიერით გადაშალოს წარმტაცი სურათი მშვენიერ სამშობლოსი, ან დაუხატოს შემაძრწუნებელი სურათი ღვთის რისხვას მინებებული კოსმოსის, ან დაატკბოს ფიანდაზად გაშლილი ველის სინარნარით, დაკოდილ ირმის ნაღვლიანი სილამაზით და მიყუჩებული ტყის იდუმალებით.

როგორც გრძნობის შეტანა აკმაყოფილებს ესთეტიკური სულის ერთ უძლეველ მოთხოვნილებას, მის ლტოლვას „მეს" გრძნობის გაფართოებისადმი, ისე ხელოვნური ილუზია საზოგადოდ და ფანტაზიის მოქმედება კერძოდ აკმაყოფილებს მის მეორე, არა ნაკლებ ძლიერ მოთხოვნილებას, განთავისუფლებას წვრილმან, დუხჭირ, ყოველდღიურ სინამდვილისაგან. ადამიანი რაღაც გამოუთქმელ შვებას და არსებობის შემსუბუქებას გრძნობს, როცა იგი ჩვეულებრივი სინამდვილის სფეროდან, რომლის სიმძიმე ხშირად მისთვის აუტანელი ხდება, შედის ესთეტიკურ ილუზიის სფეროში, სადაც პოეტური ფანტაზიის ცოცხალი ქმნილებანი მოკლებულნი არიან სხეულებრივობას, ამ რეალური არსებობის მუდმივ ტვირთს. თუ რამდენად ძლიერია ეს ლტოლვილება, ჩანს იქიდან, რომ ის არა ერთხელ, და უფრო ძლიერადაც, გამოთქმულია კაცობრიობის სარწმუნოებრივ და ფილოსოფიურ აზროვნებაში, რომელიც სხეულს ხშირად სულის სატუსაღოდ და ამქვეყნიური ყოფნის შეჩვენებად სთვლიდა. და მართლაც მაშინ, როდესაც ესთეტიკური სული კმაყოფილდება ფანტაზიის თავისუფლად თამაშობით, მაშინ როცა იგი ჩვეულებრივ სინამდვილეს ესთეტიკურ სინამდვილეს უპირდაპირებს და სიამოვნებას ამ წინააღმდეგობაში პოულობს, სარწმუნოებრივი პიროვნება ცდილობს რადიკალურად და საბოლოოდ განთავისუფლდეს რეალური სივრცის, დროების და სხეულებრივობის საზღვრებიდან მისი დათრგუნვით ან ერთხელ და სამუდამოდ მოსპობით. ეს ცდა ხშირად ბადებს იმ ტრაგედიას, რომლის ერთი უდიდესი მაგალითი ილია ჭავჭავაძის „განდეგილია".

13

„განდეგილში" გამოიხატა თითქმის მთელი კაცობრიობის, ყოველ შემთხვევაში, სარწმუნოებრივი შეგნების ორი

უმნიშვნელოვანესი ტიპის — ბუდიზმისა და ქრისტიანობის დამახასიათებელი ტრაგედია. ორივე სარწმუნოებას აერთებს სწორედ ის თვისებები, რომელთა მატარებელიც განდეგილია: ამაღლება ამქვეყნიურ მატერიალურ არსებობაზე, სიძულვილი სხეულისადმი, მის მოთხოვნილებათა დათრგუნვა, მის ზრახვათა და ვნებათა უარყოფა, ცოდვად და წარწყმენდად მიჩნევა თვით უდიღეს ადამიანურ გრძნობათა და მისწრაფებათა, განყენება წუთისოფლის მაცდურებისაგან და ნირვანის ან მარტოდმარტო დაყუდების დადასტურება. ორივე სარწმუნოებისთვის დამახასიათებელია სულიერი მომენტის გაზვიადება: ქრისტიანობისთვის მისი მიმჩნევა უდიდეს ღირებულებად, ბუდიზმისთვის კი შეხედულება, რომ შეგნება ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია კაცობრიობის განთავისუფლება მუდმივი ტანჯვისაგან. დასასრულ, ორივე სარწმუნოების დედააზრს შეადგენს იდეა ხსნისა და საუკუნო ნეტარებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქრისტიანი ცხონებას ცოდვილ სხეულისაგან განთავისუფლებით აღწევს, ბუდისტი კი თვით ინდივიდუალური არსებობის მოსპობით და მისი შეერთებით გამოუთქმელთან, მიუწდომელთან, შეუქმნელთან, ე. ი. არარაობასთან.

როგორც ნამდვილი წარმომადგენელი ქრისტიანული სარწმუნოებრივი შეგნებისა, განდეგილი ადამიანის უაღრეს დანიშნულებას ხედავს არა ახალ ღირებულებათა შემოქმედებაში, არა ამქვეყნიური ცხოვრების გამრავალფერებაში, არამედ უდიდესი ღირებულების — სულის შენახვაში უკვდავებისა და მარადისობისთვის. ეს ლტოლვა ადამიანისა უკვდავებისადმი, ეს აღიარება სულისა უდიდეს საუნჯედ იმდენად უძლეველი და ინსტინქტურია, რომ მას მართლაც შეუძლია გახდეს მთელი შეგნებული ცხოვრების ღირსად და განდეგილივით მიატოვებინოს პიროვნებას ყოველი სხვა მხარე კულტურულ არსებობისა. თვით შეგნების დედაარსში ძევს რამდენიმე მომენტი, რომელიც აუცილებლად ხდის ამ ლტოლვას: მართლაც და სული როგორც ცნობიერების მოვლენათა ერთიანობა, უდიდესი ღირებულებაა უკვე იმიტომ, რომ ის ერთადერთი მატარებელია ყოველ ღირებულებისაც და ინდივიდუალობისაც. შეგნების გარეშე არ არსებობს არც დაფასე-

ბა, არც ღირებულება: ბუნების უაზრო ძალთათვის რაფაელის „მადონას“ ან ლეონარდოს „სერობას“ იმდენივე ფასი აქვს, რამდენიც უბრალო ტილოს, უდიდეს გენიოსს იმდენივე, რამდენიც ჩვეულებრივ მომაკვდავს. როგორც ბუნებრივ, ისე კულტურულ მოვლენებს შეგნება აძლევს მიზანსაც და ღირებულებასაც.

მეორე მხარე, რომელიც არა ნაკლებ ძვირფასად ხდის ფსიქიურ მომენტს და ასაზრდოებს ადამიანის ლტოლვას უკვდავებისადმი, როგორ ზევით ვთქვით, იმაში მდგომარეობს, რომ შეგნება საძირკველია თვით ინდივიდუალობისაც, რომ მისგან დამოუკიდებლად არც პიროვნება არსებობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ყოველი „მე“ არის აუცილებლად სულიერი „მე“, ხოლო სულიერებას მოკლებული ფიზიკური არსებობა მოკლებულია ინდივიდუალობასაც. ფიზიკური ენერგია იცვლის ფორმებს, ადვილად გადადის ერთი მდგომარეობიდან მეორეში და მოვლენათა სხვადასხვაობას ერთ გარდუვალ კანონს უმორჩილებს, რომლისთვისაც უცვლელი მხოლოდ სამყაროს ენერგიის ჯამია. აქ სიკვდილი და სიცოცხლე არ იმყოფება ისეთ შეურიგებელ წინააღმდეგობაში, როგორც ფსიქიურ სფეროში: ერთი ფორმის სიკვდილი მეორე ცხოვრების დასაწყისია, ძველი მდგომარეობის გაქრობა ახალი არსებობის მომასწავებელია. პირიქით, სულიერ არსებობის სიკვდილი აბსოლუტურია, იმიტომ რომ მისი ინდივიდუალური საზღვრები გარდაუვალია: გრძნობათა, ცნებათა, აზრთა და ლტოლვათა ურთიერთობას აღარ შეუძლია იარსებოს, თუ ის ინდივიდუალური ერთეული მოისპო, რომელშიაც ის თავსდებოდა. განსაზღვრულ ფსიქიურ ხასიათს და წყობას არ ძალუძს გამოვიდეს ერთი პიროვნების საზღვრებიდან და მეორე პიროვნების სახე მიიღოს. ძველი რწმენის წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორედ ჩვენი სხეულია უკვდავი: ის იარსებებს მუდმივ ახალგაზრდა ბუნებაში ჩვენს შემდეგ ისევე, როგორც იგი ჩვენამდე არსებობდა.

ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ერთი ძლიერ გავრცელებული სარწმუნოებრივი ტიპი, რომლის წარმომადგენელიც „განდეგილია“, იმდენად ძვირფასად სცნობს სულს, რომ

მასზე ზრუნვას, მთელ თავის მოქმედების შინაარსად ხდის და საიქიოსთვის მის ღირსეულად მომზადებას თავის უდიდეს მიზნად ისახავს:

ყველაზედ უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთისოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია;

ეს შეხედულება წუთისოფელზე, სულის ბორკილზე, დამახასიათებელია, როგორც ბუდისტური, ისე ქრისტიანული აზროვნებისთვის და გამომდინარეობს მათი ფილოსოფიის ძირითად პრინციპებიდან. სული მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფება მატერიალურ არსებობასთან უკვე იმტომ, რომ მისი გზა ჭეშმარიტებაა, რომელიც ვერასოდეს ვერ შეურიგდება სააქაოს მაცდურებას. ქრისტიანული ღმერთი არის სიტყვა, უდიდესი ჭეშმარიტება ისევე, როგორც ბრაჰმა ინდოელების პანთეიზმისა ბუდდამდის: „ბრაჰმა არის სიტყვა, ბრაჰმა არის სიტყვის ჭეშმარიტება, ბრაჰმა არის სიმართლე". მსოფლიო კი არსებითად ცდომილებაა, არარაობა, რომელსაც გადაფარებული აქვს ეშმაკეული ზეწარი ცოდვისა და წარწყმედისა, ბიწიერების სადგური ან ბოროტების სამეფო,

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე და ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი.

ამიტომ უმოკლესი გზა ხსნისა და ნეტარებისა არის განყენება წუთისოფლიდან, ძირშივე ჩაკვლა ნებისყოფისა ცხოვრებისადმი, თვალის დახუჭვა მაცდური მშვენიერების წინაშე, ყურის დაცობა იმ აღმგზნებ ხმათათვის, რომელნიც წარმტაც, მაგრამ ცოდვით აღსავსე არსებობისაკენ მოუწოდებენ:

სად ყოელი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

„გიყვარდეთ არა სოფელი და ყოველივე, რაიცა იმყო-

ფების მასა შინა, —-ამბობს იოანე მოციქული: — რომელთა უყვართ სოფელი, უყვართ არა შემოქმედი მისი. რამეთუ ყოველივე, რაიცა სუფევს სოფელში არს მცონარეობა ხორცისა და სიტკბოება თვალთა: წარმართი ცხოვრება წარმოსდგების სოფლისაგან და არა მამისაგან ჩვენისა“.

ასეთივე ზიზღი ამქვეყნიურ არსებობისადმი იხატება ბუდას ერთ ქადაგებაში: „სხეული არ არს ჩემი, ის არ არს „მე“ ან „ჩემი მე“: ეს უნდა დაინახოს ჭეშმარიტად ყველამ, ვინც ნამდვილ ცნობიერებას ფლობს. მოწაფენო, ვინც ამას ხედავს, ის ბრძენი, კეთილშობილი მსმენელი ჭეშმარიტი სიტყვისა ზურგს შეაქცევს ყოველ სხეულებრივობას, ყოველ შეგრძნებას და წარმოდგენას, მოქმედებას და შემეცნებას და როცა ის მათ უარყოფს, მაშინ განთავისუფლდება წადილისაგან, ამ განთავისუფლებით ის მოიპოვებს ხსნას; ნეტარში დაიბადება მისი ხსნის შეგნება: ხელახლა შობა მოსპობილია, დამთავრებულია გზა წმინდა მოგზაურობისა, ვალდებულება აღსრულებულია.

განდეგილიც ავიდა სწორედ ამ სიმაღლეზე, რომელიც უბრალო მომაკვდავისთვის მიუწვდომელია: ყოველი ხორციელი გულისთქმა განსვენებული და დამარხულია, სული აყვავებულია, ჩატეხილია ყოველი ხიდი, რომელიც მის სამყოფს აერთებს სოფელთან, კაცთ ურიამულთან, მათ ვნებათა ღელვასთან; განდეგილია „გულიდამ ყველა მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი“ და ბოლოს მიღწეულია ის იდეალი სულიერ მყუდროებისა, შინაგანი ჰარმონიისა თავის თავთან, რომელიც წინააღმდეგობით და გადიშვით ტანჯული სულის მუდმივ ლტოლვას შეადგენს.

მაგრამ განდეგილმა გაიმარჯვა არა მარტო სხეულზე და მის მოთხოვნილებებზე, მან დასთრგუნა არა მარტო ის ბუნებრივი ლტოლვანი, რომელიც გზაზე ეღობებიან ყოველ ასკეტიზმს, ხორცის წამებას, სოფლისაგან განდგომას: ზეკაციური შემძლებლობით მან დაამტვრია მეორე მძიმე ბორკილიც, რომელსაც ისევე, როგორც სხეულებრივობას, მომაკვდავის შეჩვენებად სთვლის სარწმუნოებრივი აზროვნება და ფილოსოფიური სპეკულაცია: განშორდა რა წუთისოფელს, უარყო რა მისი ყოველდღიური ჭირვარამი, იგი განთა-

ვისუფლდა დროების ბრუნვისა ან ჟამთაცვლისგანაც. განდეგილის აზროვნება და გრძნობა სავსებით გამართულია უზენაეს არსებისაკენ. ის ისევე, როგორც პლატონი ან სპინოზა, მსოფლიოს მარადისობის თვალსაზრისით უყურებს (შეად. სპინოზა: „ეთიკა", ნაწ. 5, დებულება 30) და ამიტომ მისთვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დროულ განსაზღვრულ მოვლენათა ცვალებადობას.

14

ის გარეგნული მდგომარეობა, რომელშიაც მგოსანმა განდეგილი ჩააყენა, შეუდარებლად უწყობს ხელს იმ მოვლენათა შექმნას, რომელნიც თან დასდევს ყოველ ასკეტიზმს: მონოიდეიზმს, სარწმუნოებრივ ექსტაზის და სასწაულებრივ ხილვათა გამოწვევას. ადამიანის ცნობიერებას გაუჭირდება მთელი სულიერი ენერგიის კონცენტრაცია ერთი იდეის გარშემო და მას ყოველი მხრიდან მოვლენათა სიმდიდრე და სხვადასხვაობა აღიზიანებს და ხელს უშლის მოადუნოს გრძნობის და შეგნების სხვა მრავალმხრივი მოთხოვნილებანი. საჭიროა ზღუდის აშენება ცნობიერებასა და გარეგნულ შთაბეჭდილებათა შორის, საჭიროა მოვლენათა უცვლელობა და ერთფეროვნება, რომ ადამიანის სულიერი ბუნება მართლაც ისე მოდუნდეს, რომ მან განდეგილივით შესძლოს თავი მისცეს ერთ იდეას, ერთ აზრს უზენაეს არსებაზე და საიქიო ცხოვრებაზე. თავისი მიუწდომლობით თვით ორბთა და არწივთათვის, თავისი ერთფეროვანი სიდიადით და ამაყი განმარტოებით განდეგილის სამყოფელი საუკეთესო ნიადაგს ჰქმნის აბსტრაქტული აზროვნებისა და მონოიდეიზმისთვის: ის ცხოვრობს და იღვწის სულისათვის მყინვარის მწვერვალზე.

სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
ქზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ეარიამული ვერ შესწვდენია.
სად მეუფება ჰექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია...

ერთი იდეით გატაცებას, ყურადღების დახშობას ყოველი

გარეგნული შთაბეჭდილებისათვის კი ადვილად მოსდევს სასწაულებრივი ხილვა, რომელსაც მწირი თავისი მოღვაწეობის უზენაეს დაგვირგვინებად სთვლის, იმის მოწმედ, რომ მისი ზეკაცური იდეალი მიღწეულია, რომ მისი ლოცვა-ვედრება შესმენილია, მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია; სხივის სახით, რომელიც მის ლოცვას იჭერს, განდეგილს მოევლინა უდიდესი ღვთაებრივი წყალობა, უდიდესი ძალა, რომელიც მას აშორებს ადამიანობასა და ბუნებრივობას და წმინდანად ან ზეკაცად ხდის:

ოდეს უდაბნოს გასწვრივ მის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ლოცულობდა, ამ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.

ამგვარად, ტიტანისებური ნებისყოფის ძლიერებით განდეგილმა შეჰქმნა სააქაო ცხოვრებაში თავისი საკუთარი ქვეყანა, რადგან ამ სიმაღლეზე, სადაც ეს ზეკაცი იმყოფება, „თუ არა ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა“, განდეგილისთვის ერთი შეხედვით არ არსებობს შესაძლებლობა ტრაგიკული კონფლიქტისა, ბრძოლისა და დაღუპვისა, მით უმეტეს რომ ის სარწმუნოებრივი იდეალი, რომლისკენაც იგი ილტვის, მისაწვდომი აღმოჩნდა მისთვის, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ განდეგილს არც მტერი ჰყავს და არც მოყვარე, რომელსაც შეეძლოს გადაეღობოს მას გზაზე, მიუხედავად იმისა, რომ ის მარტოდმარტოა თავის თავთან თავის შეურყეველი რწმენით, სასოებით, იდეალებით და მოჩვენებებით, მისთვის შესაძლებელი ხდება ტრაგიკული ბრძოლაც და დამარცხებაც მასზე უაღრეს მტერთან შეტაკებაში. და რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ეს ხდება არა ბრმა შემთხვევის ძალით, არამედ საბედისწერო გარდუვალი აუცილებლობის შემწეობით.

ტრაგიკული კონფლიქტი, რომელშიაც ვარდება განდეგილი, არი კონფლიქტი თავის თავთან; მტერი, რომელმაც შესძ-

ლო ასულიყო მის სიმაღლეზე და შეტაკებოდა მას, არის მისი მეორე „მე“. ძალა, რომელმაც ბოლო მოუღო მას, არი მისი ბუნება, საშინელი შურისმაძიებელი, აჯანყებული თავისი დამმონებლისა და დამთრგუნველის წინააღმდეგ.

მშვენიერი ქალწულის სახით განდეგილის შეგნებაში ამოცოცდა მისი ბიწიერი „მე“, რომელიც მას სამუდამოდ მკვდარი ეგონა, მის გულისყურამდე მოაღწია სულმა დედამიწისამ, წარმტაცმა ხმამ, რომელიც მას ბარისაკენ იწვევს. უამბობს, თუ რა ლამაზი, მომხიბლავი და მრავალფეროვანია წუთისოფელი:

ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოვ!
მერე, იცი კი რა რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.

განდეგილის ცნობიერება დაკავებული იყო ერთი აზრით, ერთი იდეით, რომელიც ყველაზე მეტად მიწიერებას და საქაოს სიტკბოებას აშორებდა. ამ მოწოდებამ კი გამოხმაურება ჰპოვა მისი სულის იდუმალსა და ბნელ სიღრმეში, სადაც შეგნების შეუმჩნევლად აღმოჩნდნენ ძალები, რომელნიც მის ზეკაცურ ბუნებას გონების მიერ უარყოფილს ადამიანობასთან აკავშირებდნენ.

ერთმა თანამედროვე ფსიქოლოგმა თქვა, რომ ადამიანი იმიტომ იცნობს ასე ნაკლებად თავის თავს, რომ. მასში ფსიქიკური შესაძლებლობა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე ფსიქიკური სინამდვილე ერთ რომელიმე მომენტში ან ცხოვრების მთელ ხანაშიო. სულიერ შემოქმედებაში, ძლიერ გრძნობებით გატაცებაში ან ინსტინქტურ ლტოლვათა გაღვიძების დროს, ის რაც ჩვეულებრივ მომენტებში ფსიქიკურ შესაძლებლობად რჩებოდა, სინამდვილედ იქცევა და ხშირად სრულიად სცელის პიროვნების შეგნებას. ადამიანი განცვიფრებული დგას თავის ახალ შეხედულებათა, გულისთქმათა და უცნაურ გრძნობათა წინაშე, ხშირად სრულიად დაპყრობილია მათ მიერ და არ იცის, თუ რა ჯადოსნურ ძალას მიაწეროს მათი წარმოშობა. განსაკუთრებით ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა განდეგილის ტრაგიზმი — სქესობრივი ინსტინქტი — შეკავშირებულია ნახევრად შეგნებულ, ან სრულიად გაუგებარ უცხო

მოძრაობასთან და მღელვარებასთან, რომელიც ხშირად სრულიად აკარგვინებს ადამიანს თავის თავს და მის სულიერ ცხოვრებაში ძირითად რევოლუციას ახდენს. როგორც ახალგაზრდა, რომელმაც პირველად იგრძნო ამ ინსტინქტის გამოღვიძება, განდეგილი უმწეოდ, გაოცებული უგდებს ყურს ამ მისთვის უცნობ სიმთა ჟღერას. ჰხედავს თავის უძლურობას სუსტი, ნორჩი ქალის წინაშე. საშიშია არა ეს ნაზი არსება თავისთავად: საშიშია ის ძლიერი მოწინააღმდეგე, რომელიც მისი სულის წყვდიადიდან ამოცოცდა უხილავი ჯაჭვის შემწეობით, რომელსაც ვერსად გაექცევა განდეგილი, რომელიც უქადის ერთი დაკვრით გაანადგუროს ის, რაც მის მოღვაწეობას, ლოცვა-ვედრებას და სასოებას წელთა განმავლობაში აუშენებია. ამ სულიერი დრამის საძირკველი უკვე შეურყეველადაა ჩადგმული, როცა მწირი გაშტერებული, ტყვედქმნილი დგას მძინარე ქალის წინ და ძალაუნებურად ეძლევა ელემენტარულ ლტოლვის გავლენას:

დიდ-ხანს დასცქერდა...: ნეტა რა სხიეი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამაო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა.
თუ ცოდვა არის, ეგრედ რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა.

15

ის ლტოლვა, რომელიც სთვლემდა, სანამ განდეგილი სულისთვის იღვწოდა და რომელმაც პირველ მოხერხებულ შემთხვევისთანავე წამოჰყო თავი და ამით შეურიგებელი დისჰარმონია შეჰქმნა მის შეგნებაში, ერთი უკეთილშობილესი და უმშვენიერესი მომენტია ადამიანურ ცხოვრებაში. ეს არი უძლეველი და მძაფრი ლტოლვა ქალწულებრივისა, გაუშლელისა,

გაუფურჩქვნელისაკენ — ბუნებრივი მოთხოვნილება, რომელსაც ასე ხშირად ეწინააღმდეგება და ჩაგრავს კულტურა და სარწმუნოება. უწინარეს ყოვლისა ის იხატება იმ თავდამავიწყებელ სიამოვნებასა და სიმთვრალეში, რომელსაც ადამიანი გრძნობს გაზაფხულის ბუნების წინაშე, როცა ყოველ კოკორში, გაუშლელ კვირტში, ახლად თავამოყოფილ მწვანეში, ნაზად აბიბინებულ ჯეჯილში ხედავს მომავალ დიად ნაყოფიერების ჩანასახს, ჯერ ნორჩს და ქალწულებრივ ხელუხლებელს. რაღაც გამოუთქმელი მიმზიდველობა იმალება ყოველ არსებაში, როცა იგი პაწია და გაუფურჩქვნელია, მაგრამ ამ სიპატარავეში უკვე მომავალ შესაძლებლობათა სიდიადეს გვამცნობს.

თანამედროვე ტექნიკური კულტურა, რომელიც ცდილობს ყოველი ბუნებრივი შესაძლებლობა სინამდვილედ გახადოს, თანამედროვე ქალაქის ცხოვრება, რომელიც ანადგურებს ელემენტარულსა და პირველყოფილს და ჰეტერების ხელოვნებით სტკბება იქ, სადაც მარტივი ბუნებრივობა იყო, ჰკლავს ადამიანში ამ მოთხოვნილებას, ყოველ შემთხვევაში, ხელს უშლის მის თავისუფლად განვითარებას.

სულ სხვა მხრიდან ეწინააღმდეგება მას ქრისტიანული სარწმუნოება: ქალწულებრივობის განაყოფიერება ერთი უდიდესი ცოდვაა. რომელმაც ებრაული და ქრისტიანული აზროვნების მიხედვით პირველყოფილ ადამიანთ სამოთხე დააკარგვინა და შემდეგ თაობათათვის თვით დაბადება შეჩვენებად და წყევლა-კრულვად გადააქცია. ამიტომ ერთი უმნიშვნელოვანესი მცნება ამ სარწმუნოებისა ესაა დახშობა ამ ლტოლვისა, მისი სიტკბოების უარყოფა, მისი წარმტაცი მშვენიერების მაცდურამდე მიჩნევა; განთავისუფლება მიწიერ სიყვარულისაგან ახლობელისადმი, ბუნებრივ უფლებათა და მიდრეკილებათა ჩაქოლვა, საკუთარი მაბეზარი ასოების ძირიანად ამოგლეჯა ან დამახინჯება, ბუნების მიერ ჩანერგილი ინსტინქტების ჩაკვლა, თვით სიძულვილი თავისსავე სულისადმი და ხელახალი სულიერი დაბადება ქრისტეში, — აი, ის იდეალი, რომელიც ისტორიულმა ქრისტიანობამ წამოაყენა (შეად. მათ. 5, 39; 14, 26; მარკოზ, 8, 34), და რომელიც განდეგილმა შეითვისა, როგორც უდიდესი ჭეშმარიტება რელი-

გიურ აზროვნებისა. არა ყოველმხრივი გაშლა და განვითარება იმ ნიჭთა და შესაძლებლობათა, რომელიც ადამიანსა და ბუნებაში იმალება, არა მშვენიერი ადამიანების შექმნა, არამედ ღვთისაგან დასაბამითვე შექმნილ ერთხელ და სამუდამოდ მომწიფებული ღირებულების შენახვა შეადგენს უაღრეს მიზანს ამ ცალმხრივ, ასკეტურ ფილოსოფიისას.

მწირის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ის, რაც თავისთავად უდიდესი ადამიანობის გამოხატულებაა, უკუღმართი ისტორიული, ბედისწერის წყალობით შეურიგებელ წინააღმდეგობაში იმყოფება ორტოდოქსალური ქრისტიანობის მსოფლმხედველობასთან, რომლითაც ისაა გამსჭვალული. ამ წინააღმდეგობით საზრდოობს საშინელი სულიერი დრამა, მით უფრო სახიფათო და საბედისწერო, რომ აქ თვით განდეგილის სულში ორი ინსტინქტური, შეურიგებელი ძალა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას მართავს ერთიმეორესთან. ქრისტიანულმა ასკეტიზმმა არ იცის, რა არის კომპრომისი: ოცნებაში ცუდი ზრახვის გავლება ისეთივე შეცოდებაა, როგორც ნამდვილი სიმრუშე; ამიტომ მწირის ბედი უკვე გადაწყვეტილია მაშინ, როცა მან სულიერი მთლიანობა დაჰკარგა, როცა მან სავალალოდ თავის ბუნებაში აღმოაჩინა უცხო და თან ასე ნაცნობი, ნათესაური ელემენტი, შეურიგებელი მის წმინდანობასთან. ერთი ნაბიჯის წინ წადგმა მოასწავებს მის წმინდან „მეს“ და მასთან ერთად საუკუნო ნეტარების დაღუპვას:

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით.
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლალის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა.
უცებ გაშეშდა...

ზიუხედავად ამ უკანასკნელ სასოწარკვეთილებით აღსავსე ცდისა, მწირში ბოლოს მაინც ადამიანურმა მხარემ გაიმარჯვა

მის ზეკაციურ ლტოლვაზე: ის ზღუდენი, რომელთაც სარწმუნოება მართავს ადამიანსა და ბუნებას შორის, ვერ აღმოჩნდნენ საკმაოდ მკვიდრნი, რომ შეეჩერებინათ უკან დაბრუნება წუთისოფლისაკენ, რომ ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიათ იმ ძალთათვის, რომელნიც ადამიანს ბუნებასთან აკავშირებენ:

> მაგრამ ეგ რაა?.. „წაწყმდი თუ არა"....
> ეს ვინ ჩასძახის ნიშგებით ყურში!
> „დაგძლიე თუ არ!.." ეგ ვინ გაჰკივის
> გახარებული იმის მკვდარ გულში!

მომაკვდავ „მეს" ამ გამარჯვებას კი უძლეველი აუცილებლობით მოჰყვა საბოლოოდ დაკარგვა ყველა იმ თვისებისა და ნიშნისა, რომელნიც მწირს აცალკევებდნენ ამ ქვეყანაზე და მის პიროვნებას განუმეორებლობის დაღს ამჩნევდნენ: გაჰქრა სასწაულებრივი ხილვა, გაჰქრა ბატონობა შეგნებისა გრძნობებსა და ვნებათაღელვაზე („სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად, გული სხვას ამბობს, არა ნებდება") და ბოლოს ყამთა ვითარებამაც ამცნო თავისი შეურყეველი სიძლიერე („დღემდე თვით ყამი არა რა იყო და ეხლა წუთიც რად უძნელდება"...)

განდეგილი რომ უბრალო ფილისტერი ყოფილიყო, ზერელე გრძნობის და აზროვნების ადამიანი, ადვილად შესძლებდა საბოლოოდ დაეთმო თავისი ძველი იდეალი, შერიგებოდა ახალ ბედს და წყნარად დაბრუნებულიყო ბარში, რათა აქ მშვიდობიანად დაელია დღენი თავისი ცხოვრებისა. მაგრამ მისი ტრაგიზმი სწორედ იმიტომაა აუცილებელი, რომ ეს თითქო რკინისაგან ჩამოსხმული პიროვნება ადამიანთა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც იდეალი სავსებით ჰფლობს, რომელსაც იდეალი იმდენად აქვს სისხლსა და ხორცში გამჯდარი, რომ მისი დაკარგვა ინდივიდუალური არსებობის მოსპობას იწვევს: მისთვის ცხოვრების თვალუწვდენელ ზღვაში არ არსებობს ნავთსაყუდარი და ამიტომ თუ დარმა უმუხთლა, ის იალქნებს უშვებს და უფსკრულში ეშვება. ამგვარად მწირის სიკვდილი ერთადერთი შესაძლებელი დაბოლოებაა მისი სულიერი ტრაგედიისა, მას შემდეგ რაც იგი დარწმუნდა, რომ

უნაყოფოა თვით ცდა ერთხელ კიდევ იხილოს საიმედო სასწაული:

დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქვე სხივ-ქვეშ უტივა სული.

განდეგილთან ერთად დამარცხდა ის იდეალიც, ის განუსაზღვრელი მსოფლმხედველობაც, რომლის უძლიერესი წარმომადგენელიც ის იყო: როგორც გოეთეს ფაუსტში, ისე აქ, პირველად ქართულ პოეზიაში, ქრისტიანულმა იდეალმა ქედი მოიხარა ჰუმანიტარული იდეალის წინაშე, რომელმაც ცალმხრივ ზეკაცობას, ასკეტურ წმინდანობას დაუპირდაპირა იდეა ყოველ მხრივ, ჰარმონიულად განვითარებული კაცობრიობისა და ადამიანის დანიშნულებად დასახა არა მზადება საიქიო ცხოვრებისათვის, არამედ ამქვეყნიური არსებობის გარდაქცევა მოქმედების მიზნად და სარბიელად. ეს დიადი ჰუმანიტარული იდეალი აკავშირებს ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილთან და მასთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო ლიტერატურულ მიმდინარეობასთან.

16

თანამედროვე ადამიანის აზროვნებასთან დიმიტრი თავდადებული ბევრად უფრო ახლო დგას, ვიდრე განდეგილი. მისთვის საქაო არსებობა არის არა მხოლოდ შესავალი საიქიო ცხოვრებაში, ამქვეყნიური ცხოვრება არის არა წარმავალი და უმნიშვნელო პრელუდია ნამდვილ, საუკუნო ნეტარებისა, არამედ დამოუკიდებელი ასპარეზი მოქმედებისა, რომელსაც თავისი აბსოლუტური გარდუვალი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. საქართველოს ისტორიაც მოგვითხრობს, რომ მეფე დიმიტრის ესმოდა წუთისოფლის სიტკბოებათა ფასი, რომ ის არ შედრკა საკუთარ სურვილთა დასაკმაყოფილებლად წინ გადაედგა ისეთი ნაბიჯიც კი, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების მიერ ნებადაურთველია და, მაშასადამე, დიდ ცოდვად ითვლება; მაგრამ ამასთანავე ის იღვწოდა თავისი ქვეყნის აღორძინებისა და წარმატებისთვის

და ბევრიც მოარიგა ამ მხრივ და თუმცა მგოსანმა ისტორიული პიროვნება მშვენიერი ფანტაზიის ბურუსში გაახვია და ამით იგი პოეტურ ქმნილებად გარდააქცია, არსებითად მაინც შეუნარჩუნა ეს ძირითადი თვისება ხასიათისა.

ამქვეყნიური არსებობის ბნელ და დუხჭირ მხარეებს დიმიტრი თავდადებული ისევე კარგად ხედავს, როგორც განდეგილი: მაგრამ მაშინ, როცა ამ უკანასკნელს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ერთადერთი გამოსავალი განყენება და პიროვნული ხსნისთვის ცდა და მსადეგაა, მეფე დიმიტრი თავისი წარჩინებული დანიშნულების უდიდეს მიზანს იმაში პოულობს, რომ ხელი შეუწყოს ბედნიერებისა და სიკეთის გამარჯვების უბედურებასა და ბოროტებაზე. ის ცდილობს ტვირთი შეუმსუბუქოს და თანამშრომლობა გაუწიოს თავის სამეფოს არა ლოცვა-ვედრებით, არამედ პირადის მონაწილეობით იმ საერთო კულტურულ მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს სოციალური ერთეული:

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.
მოუვლიდა ქვრივს და ობერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა
მოწყალებას და საზრდოსა.

წინააღმდეგ განდეგილისა მეფე დიმიტრის ტრაგიზმი გამომდინარეობს არა იმის სულიერ შინაგნობიდან, არამედ უმეტეს ნაწილად იმ გარეგნულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩააყენა ისტორიულმა ბედისწერამ; ეს არ არის ტრაგიზმი გაორკეცებული, დისჰარმონიული, რომელიც თავისსავე თავთან ბრძოლაში იქანცება და იღუპება; ეს არ არის ტრაგიზმი ადამიანისა, რომელიც საშიში კონფლიქტების საფრთხეს თავისსავე ბუნებაში ატარებს: თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდი, თვით ისეთ მომენტებში, როცა უძლიერესი პიროვნებაც კი ქედს იხრის გარეშე ძალის წინაშე, მეფე დიმიტრის არ უღალატნია თავის თავისთვის, ოდნავადაც არ დაუთმია ის, რისთვისაც გადასწყვიტა თავი დაედო.

პირველი მოქმედება დრამისა, რომელსაც უძლეველის აუცილებლობით მოსდევს დიმიტრი თავდადებულის დაღუპვა, არსებითად შორეულ უცხოეთში წარმოებს, მისი ნებისყოფისაგან სრულიად დამოუკიდებლად. რასაკვირველია, როგორც ყოველი ნამდვილი ტრაგიკული გმირის, ისე რამდენიმედ მისი პირადული თვისებებიც უწყობენ ხელს ტრაგიკული მდგომარეობის შექმნას: მას რომ თავის დროზე მდგომარეობა აეწონა, ეღალატნა თავის მოკავშირისათვის და უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეს მოსდგომოდა, თავს აარიდებდა გამარჯვებული ყეენის წყრომასაც და საჭირბოროტო განსაცდელსაც. მაგრამ საშიშ მდგომარეობას სწორედ ის ამწვავებს, რომ მეფე დიმიტრის არ ძალუძს უღალატოს თავის თავს, თავის ერთხელ მიცემულ სიტყვას:

მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის —
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.

ამ შეუდარებლობას, ერთგულებას დასახული მიზნის მიღწევაში, არაჩვეულებრივ სულიერ მთლიანობას იგი იჩენს შემდეგაც, განსაკუთრებით ორ კრიტიკულ მომენტში: პირველად, როცა თავის სამშობლოს ეთხოვება, სამუდამოდ სტოვებს უკან მომტირალ ხალხს და შემდეგ გააფთრებული ყეენის წინაშე, როცა ის თავის მსაჯულად თავისავე სინდისს სცნობს და ამასთანავე ეთიკური ნებისყოფის სრულ დამოუკიდებლობას აღიარებს:

შენ წინ მოთქმა რას მიქვიან.
რას მიქვიან შენანება.
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.

თავის სტოიკურ ბუნებას და მსოფლმხედველობას ის არ ღალატობს შემდეგაც, როცა აუტანელი ტანჯვის შემდეგ შეძლება ეძლევა გაიპაროს საპყრობილედან და ბოლოს თავის მოკვეთის დღეს, როცა ის ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ, რაც ასე ადვილად მოსალოდნელია ყოველი ადამიანის-

შვილისაგან, თავს უწვდის ჯალათს და ამით ბოლოს ულებს თავის ტრაგედიას, რომელსაც მის შინაგან მთლიანობაზე სრულიად დაღი არ დაუჩენია.

უდიდესი ღირებულება, რომელსაც თავი შესწირა დიმიტრი თავდადებულმა, არის ეროვნული თვითარსებობა. წინააღმდეგ განდეგილისა, რომელიც უდიდეს საუნჯედ ინდივიდუალურ შეგნებას სთვლის, მის იდეას სოციალური და სააქაო მნიშვნელობა აქვს: ისტორიულად აღმოცენებული ეროვნული კულტურა, ამქვეყნიური კეთილდღეობა სამშობლო ქვეყნისა, თავისებურება აზროვნებაში, რწმენაში და გარეგნულ არსებობაში — აი ის განძი, რომლის დასაცველად იბრძვის და ბოლოს იღუპება მეფე დიმიტრი. თვით პირად უკვდავებას ის ამ სოციალური თვალსაზრისით უცქერის: მისთვის ინდივიდუალური უკვდავება არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის სულიერი შემოქმედების ნაყოფი რეალურ ძალად რჩება მომავალ თაობათა ხსოვნაში და ხელს უწყობს მათ წინსვლას ამქვეყნიურ ცხოვრებაში:

მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის პირთა მძლეა?
თუნდაც მოკვდეს ქვეყნისათვის,
ეს სიკვდილი სიცოცხლეა.
არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდარად ის თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.

მაშინ, როცა მწირის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თვით მის სულიერ შინაგნობაში აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მის ლტოლვას წმინდანობისა და ცხონებისადმი, დიმიტრი თავდადებულის ტრაგედია წარმოიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ იმის სამშობლოს მეზობლად აღმოჩნდა ტლანქი გარეგნული ძალა, რომელიც სრულიად არა სცნობს მის მიერ მიჩნეულ ღირებულებას ღირებულებად და განადგურებასაც უქადის მას. ამ გარეგნულ ძალასთან შეტაკებაში იღუპება მეფე დიმიტრი.

საზოგადო ანალიზი ტრაგიკული გრძნობისა უფრო ადვილი შესაძლებელია მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით მის საუკეთესო კონკრეტულ გამოხატულებებს ქართულ პოეზიაში: ნ. ბარათაშვილის ლირიკას და ი. ჭავჭავაძის პოემებს. ეს რთული მასთან ერთად მთლიანად ესთეტიკური გრძნობაა, მაგრამ ელემენტი, რომელიც მასში ჭარბობს და რომელსაც ყველაზე ადრე მიაქცია ყურადღება ესთეტიკამ არის გრძნობა ტანჯვისა: ტრაგიზმის ამ აუცილებელ შემადგენელ ელემენტზე უკვე არისტოტელემ მიუთითა თავის „პოეტიკაში". ჩვენ დავინახეთ, რომ ეს გრძნობა ტანჯვისა, არა მცირე და უმნიშვნელოა, არამედ იმდენად ძლიერი და დემონისებური, რომ მისი ძალა განადგურებას უქადის თვით ინდივიდუალობას, აშკარად გამოიხატა ქართულ პოეზიაში: ბარათაშვილს სტანჯავს ლტოლვათა უსაზღვრობა, განდეგილს — სულიერი გათიშვა, დიმიტრი თავდადებულს — ულმობელი, სისხლის მწყურვალე მტრის შურისძიება. ამასთანავე ეს გამანადგურებელი გავლენა ტანჯვისა იმდენად აუტანელია, რომ როგორც ყოველთვის, ისე აქაც, ტრაგიკულ გმირთა არსებობა ინდივიდუალობის მოსპობით თავდება ან ამ მოსპობას გვამცნობს ერთადერთ შესაძლებელ დაბოლოებად.

მაგრამ ცხადია, რომ მარტოდმარტო ტანჯვას არ ძალუძს გამოიწვიოს ტრაგიკული შთაბეჭდილება: როგორც ჩვეულებრივი სინამდვილე, ისე ხელოვნური შემოქმედების სფეროც აღსავსეა ტანჯვისა და მწუხარების მაგალითებით, მაგრამ ყოველ მათგანს არ შეუძლია შეჰქმნას ნამდვილი გრძნობა ტრაგიზმისა, თუ ის პიროვნება, რომელიც იბრძვის და იტანჯება, მოკლებულია სიძლიერეს და სიდიადეს, საკაცობრიო მნიშვნელობას და ღირებულებას. ტანჯვა თავისთავად, როგორც პიროვნების მოწინააღმდეგე, უარმყოფელი ძალა მოკლებულია ყოველ ესთეტიკურ მნიშვნელობას: მხოლოდ მაშინ, როცა იგი შეერთებულია სიდიადესთან, როცა იგი ხელს უწყობს პიროვნებას გაშალოს მთელი თავისი მრავალმხრიობა, დაგვანახოს მთელი სიღრმე ადამიანობისა, მხოლოდ მაშინ ეძლევა მას ფასი და ესთეტიკური წონა.

იმ გარემოებას, რომ ტრაგიზმს ყოველთვის სიდიადის ელფერი აძევს, ყველაზე უფრო ყურადღება გერმანელთა სპეკულატურმა ესთეტიკამ მიაქცია: განსაკუთრებით შელინგმა გადააჭარბა ამ მხარის მნიშვნელობა, როცა მან მოითხოვა, რომ ტრაგედიის გმირებად მხოლოდ ღმერთები და ნახევარ-ღმერთები დაესახათ. ჩვენს პოეზიაში განსაკუთრებით ბარათაშვილის ლირიკა იწვევს მიუწვდომელი სიდიადის გრძნობას: აქ სიდიადე ისე მჭიდროდაა შეკავშირებული ტანჯვასთან, თითქოს ის მისი ერთადერთი მიზეზი იყოს, თითქო ტანჯვა აუცილებელი ხვედრი იყოს ყოველი დიადი ბუნებისა. ი. ჭავჭავაძის პოემებში ეს დამოკიდებულება შედარებით უფრო შორეულია: მართალია, დიმიტრი თავდადებული და განდეგილი რომ ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილიყვნენ, მათ შეიძლება თავიდან აეცილებინათ ტრაგიკული ბედისწერა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში პიროვნების სიდიადის გარდა აქ სხვა მიზეზებიც მოქმედებენ სახიფათო მდგომარეობის შესაქმნელად. არაჩვეულებრივი პოეტური სიძლიერით მგოსანმა უწინარეს ყოვლისა „განდეგილში“ აიყვანა ეს სიდიადის გრძნობა უმაღლეს წერტილამდე, როცა მწირის სახით თითქმის ზეკაცი მოგვიელინა, ღმერთსა და ადამიანს შუა მდგომარე წმინდანი, მიუწვდომელი უბრალო მომაკვდავისათვის. სიდიადის ბეჭედივე აზის მეფე დიმიტრის, განსაკუთრებით მის რკინისებურ მტკიცე ნებისყოფას და ამაღლებულ იდეალს.

ამ ორი გრძნობის ურთიერთობისაგან აუცილებლად გამომდინარეობს მესამე განცალკევებული ელემენტი ტრაგიკულ შთაბეჭდილებისა, რომელსაც განსაკუთრებით ყურადღება თანამედროვე ფსიქოლოგიურმა ესთეტიკამ მიაქცია: ესაა კონტრასტის გრძნობა, რომელსაც ჰქმნის წინააღმდეგობა ტანჯვასა და სიდიადეს შორის. ერთი თანამედროვე ესთეტიკოსი ამბობს: „ამ კონტრასტის გრძნობის შემწეობით დიდი ადამიანის ტანჯვა დამახასიათებლად იზრდება და მწვავდება. სიდიადე გვაჩვენებს მას (ტანჯვას) მთელი მისი სიმძაფრით და საშინელებით, ამასთანავე შლის მთელი მისი ბუნების ბნელსა და ამოცანისებურ სიდუხჭირეს. აქ განსაკუთრებული სიძლიერით ჩნდება ის უაზრობა და აუტანლობა, რომელიც ტანჯვაში იმალება“ (ფოლკელტი: „ესთეტიკა ტრა-

გიკული ხელოვნებისა"). ეს გრძნობა ი. ჭავჭავაძემ „განდეგილში" იმით გააძლიერა, რომ მან დამღუპველი ძალა მის სულში მაშინ გამოაღვიძა, როცა მწირმა თითქმის უკვე საესებით მიაღწია თავის ღვთაებრივ მიზანს. ბარათაშვილის ლირიკიდან კონტრასტი ყველაზე მეტად საგრძნობელია მის ლექსში: „ვპოვე ტაძარი", სადაც მგოსანი ჩვეულებრივი მდგომარეობის სიდუხჭირეს მით უფრო აუტანელად გრძნობს, რომ მან უკვე იხილა ერთხელ მშვენიერების ტაძარი, რომელსაც შეეძლო სულიერი მშვიდობა მიენიჭებინა მისთვის, მაგრამ ულმობელი ბედისწერის შემწეობით ხელახლა დაჰკარგა იგი.

ბოლოს არ შემიძლია, არ მივუთითო იმ ამამაღლებელ გრძნობაზე, რომელსაც იწვევს ყოველი ტრაგიკული ხელოვნება და რომელიც ხშირად ჩრდილავს ტრაგიზმის ღრმა პესიმიზმს და საშინელებას. მართალია, დიდი პიროვნება იტანჯება და იღუპება საბედისწერო აუცილებლობით, მართალია, ამით ხშირად აშკარავდება თვით მსოფლიო არსებობის ბნელი და შემაძრწუნებელი მხარეები, მაგრამ ტრაგიკული გმირის ქცევაში ყოველთვის არის რაღაც განმასპეტაკებელი და აღმაფრთოვანებელი, უდიდესი ადამიანობის მატარებელი. ეს გრძნობა უფრო ნათლად გამოიხატა „ფიქრში მტკვრის პირად", „მერანში" და „დიმიტრი თავდადებულში", სადაც ტრაგიზმის განვითარება უთითებს იმ საქმის მომავალ გამარჯვებაზე, რომლის გულისთვისაც დაიღუპა ძლიერი პიროვნება.

1909 წ. გაზ. „დროება".

ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი

1

ჩვენ ყველანი მომავლის იდეალებით ვცხოვრობთ, თვით მაშინაც კი, როცა ზნეობა ადამიანობის ზედმეტ დამატებად მიგვაჩნია და არსებობის აზრს „მომენტის შერჩევაში“ ვხედავთ. წარსული ჩვენს წარმოდგენაში ხშირად სევდის მომგვრელ სასაფლაოსა ჰგავს ან კიდევ „მიტოვებულ ქალაქს“, როგორც ერთმა მგოსანმა სთქვა.

მომავალი ოცნებაა, „მუდმივი ზღაპარი მზის სამეფოზე“ და საუკეთესო ნაწილი ჩვენი სულისა სწორედ ამ ოცნებაშია შეტანილი. ადამიანი ან, მით უმეტეს, მთელი ხალხი უიდეალოდ, რაღაც დაუმთავრებელ არსებად მიგვაჩნია, გაუგებრობად, შინაგან წინააღმდეგობად. ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ ადამიანისაგან, რომ ის ყოველ თავის მოქმედებაში ცხოვრების იდეით ხელმძღვანელობდეს და პირუტყვულად ვთვლით ისეთ ყოფაქცევას, რომელიც მომენტების მოთხოვნილებებს ვერ გასცილებია... ზნეობრივ პიროვნებას და ზნეობრივ იდეალს ვეძებთ ადამიანში და მიზანთა წინდაყენება ადამიანობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით ამ კეთილშობილ ნიჭს ადამიანისას, ადვილად დავინახავთ, რომ იგი დაფუძნებულია იმის მეორე საყურადღებო მხარეზე, რომელიც არა ნაკლებ გარკვევით არჩევს მას ცხოველებისაგან: ადამიანი ისტორიული არსებაა...

ადამიანი ისტორიული არსებაა და უწინარეს ყოვლისა ეს არი საძირკველი მისი განსაკუთრებული ბედისა თუ უბედობისა, საძირკველი მისი ადამიანობისა. ცხოველმა არ იცის ისტორია. აქ წინაპართა გავლენა მხოლოდ ფიზიკურია. მოდგმის თუ გვაროვნობის წარსული შეუგნებლად მოქმედებს პირუტყვულ ინდივიდუალობაზე და სრულიად შეუძლებლად ხდის, რომ მან თავის მოქმედებაში იმ ვიწროდ მოფარგლულ საზღვრებს გადააბიჯოს, რომელნიც მოდგმის ფიზიკურ ბუნებაზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ცხოველი მოკლებულია პიროვნებასაც. ფიზიკური აუცილებლობით ის იმავე გზით მიდის, რომელზედაც იმის წინაპრებსა და მოძმეებს

უვლიათ, იმავე ლტოლვილებსა და ინსტინქტებს ემორჩილება, რომელნიც იმის თანაარსთა მოქმედებას საზღვრავენ. წარსული აქ სავსებით შეგნების გარეშე იმყოფება. ამიტომ ცხოველმა ნაკლებად იცის, თუ რა არის მოტივთა ბრძოლა მოქმედების დროს და ის აუცილებლად იმ ლტოლვებს ექვემდებარება, რომელსაც მომენტის მოთხოვნილებანი უკარნახებენ. თვითნებობას მოქმედებაში კი იგი სავსებით მოკლებულია.

სულ სხვაა ადამიანი: რაც უნდა განუვითარებელი იყოს იგი, რაც უნდა დაბალ საფეხურზე იდგეს გონებრივად, მხოლოდ მას შეუძლია ამაღლდეს თავის თანაგრძნობაში წუთიერობაზე, გასცილდეს მახლობელთა ვიწრო წრეს, იტანჯოს და იმხიარულოს შორეულ წინაპართა ტანჯვით და სიხარულით. შეუდარებელია გაფართოება პიროვნებისა, რასაც ცხოველი მოკლებულია!

წარსულის შეუგნებლად შეუძლებელია შეგნება მომავლისა. ადამიანის ცნობიერებაში მომავალი ყოველთვის და აუცილებლად არსებობს, როგორც შესაძლებლობა და არა როგორც ობიექტური რეალობა. ამიტომ ის არსება, რომელიც მოკლებულია წარსულის ცნობიერებას, თავისუფალია დროის წარმოდგენისაგან საზოგადოდ, იმიტომ, რომ აწმყო მხოლოდ მომენტია, ერთიმეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი მომენტებისაგან კი დროის წარმოდგენის შედგენა ყოვლად შეუძლებელია. დრო მიმდინარეობაა და ვინც ამ მიმდინარეობას თავის უკან ვერ ხედავს, ის აუცილებლად ბრმაა მომავლისათვის, იმიტომ, რომ მაშინ მის შეგნებაში მხოლოდ აწმყო არსებობს რეალურად: როგორც მომენტი, როგორც დამოუკიდებელი წერტილი.

ხშირად ხდება ხოლმე, რომ ის მჭიდრო კავშირი, რომელიც არსებობს აწმყოსა და ისტორიულ წარსულს შორის, სუსტდება ან თითქმის სრულიად ქრება სოციალურ და ინდივიდუალურ შეგნებაში. ორი ავადმყოფობა იკიდებს მაშინ ფეხს საზოგადოებაში: „ზეკაცთა“ „წუთის ყლაპიობა“ და დონკიხოტობა ჰიქისფეხებიანი ბუმბერაზებისა. „ცხოვრება მხოლოდ მომენტებში მდგომარეობს, — ამტკიცებენ პირველნი, — საჭიროა, რაც შეიძლება უფრო ინტენსიურად ვისარ-

გებლოთ ამ მომენტებით, დავეწაფოთ ცხოვრების სიტკბოებას და ამოვწოვოთ, რისი ამოწოვაც კი შეიძლება". „ცხოვრება ისტორიულად აღმოცენებული და განმტკიცებული შეცდომებისა, უაზრობისა და ბოროტების ნაყოფია", — ამბობენ მეორენი, — ერთი გმირული დაკვრით უნდა მოსპობილ იქნას მთელი ეს ნაყოფი მოუმწიფებელი გონებისა, რათა ადგილი განთავისუფლდეს რაციონალური შემოქმედებისათვის".

დროთა მიმდინარეობის, ჟამთაბრუნვის გრძნობა ორივეს ძლიერ დაჩლუნგებული აქვს: პირველთ აკლიათ ნიჭი სავალდებულოსა და იდეალურისათვის, მეორეთ კი — ისტორიულისა და ობიექტურისათვის; პირველნი სრულიად ბრმანი მაშინ არიან, როცა წინ იცქირებიან, მეორენი მაშინ, როცა უკან მობრუნდებიან. ორივენი ბევრს ლაპარაკობენ ზეკაცობაზე: ადამიანობის მხრივ კი ორივენი ერთნაირად კოჭლობენ.

მდიდარი და საგმირო მომავალი იმას უღიმის, ვისაც მდიდარი და საგმირო წარსული აქვს; ფილისტერები არც კი ოცნებობენ სხვა რამეზე, გარდა თბილი ხალათისა და სრული ფოსტლებისა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის, ვინც თავისი არარაობა წარსულში საკმაოდ შეურყეველად დაამტკიცა, ვერც მომავალში შესძლებს მთების გადაბრუნებას. უძლიერესი ზნეობრივი, სოციალური და ესთეტიკური იდეალები მდიდარ და მრავალმხრივ ისტორიულ ნიადაგზე აღმოცენდნენ, სოციალიზმის იდეალიც — უდიდესი და უკეთილშობილესი იმ ნაყოფთა შორის, რომელიც ადამიანურ სამართლიანობას ოდესმე გამოუღია, იმ ერებმა წამოაყენეს, რომელთა ისტორია თვალსაჩინო მოწამეა დიდ საქმეთა, დიდ ლტოლვათა და დიდ გმირობათა...

შენ მას არ მოსძებნიდი, რომ უკვე აღმოჩენილი არ გყავდესო, — ამბობს სადღაც პასკალი ადამიანის მიერ ღვთაების ძიების გამო. თავის შინაგან არსებაში პოულობს ადამიანი ღვთაებრივს და იდეალურს; სრულიად უცხოს და გაუგებარს არასოდეს არ შეეძლებოდა მასზე ის გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა, რომელსაც იდეალები ახდენენ.

* * *

არა მარტო მომავლის შეგნებას და იდეალების წამოყენების ნიჭს უნდა ვუმადლოდეთ არსებითად იმ გარემოებას, რომ ჩვენ „ისტორიული არსებანი“ ვართ ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. ისტორიული შემეცნების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სიკვდილის იდეაც, რომელიც ესოდენ მძიმე ლოდად აწევს კაცობრიობას: ნაღვლიანი ხატება ჩვენს გაფართოებულ ჰორიზონტზე, დაუშრეტელი წყარო სევდისა და ვარამისა!

წინათცოდნა, აი ჩვენი მტერი, — წამოიძახა რუსომ. მართლაც, რარიგ ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ სიკვდილი და უბედურება ისე გვეპარებოდეს ხოლმე, როგორც მსდალი ქურდი ღამეში და შესაძლებლობის სახით არ გვტანჯავდეს, სანამ სინამდვილედ გარდაიქცეოდეს.

როგორც განცდა, შეიძლება სიკვდილი სრულადაც არ არი მტანჯველი. ძლიერი შესაძლებელიცაა, რომ უკანასკნელ წუთებში ცხოვრება უკვე სავსებით კარგავს თავის ფასს და მომაკვდავის შეგნება აღარ გრძნობს მწვავედ წინააღმდეგობას ყოფნასა და არყოფნას შორის. შეგნება სიკვდილის უაზრობას და სიტლანქეს მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა ცხოვრება ახალგაზრდაა, მდიდარი და მშვენიერი, ე. ი. სწორედ მაშინ, როცა არყოფნა მხოლოდ შესაძლებლობაში არსებობს, იდეაში. და რაც უფრო ძვირფასია ცხოვრება, მით უფრო გარდუვალი და მწვავეა ეს წინააღმდეგობა ყოფნასა და არყოფნას შორის. თუ კაცობრიობის კულტურას მომავალში სიბერე და მოქანცულობა მოელის, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, მაშინ მისი ბედი სრულიადაც არა ყოფილა ტრაგიკული. როგორც ბებერი მნათე ძველ სამრეკლოზე, იგი მშვიდობიანად მიიძინებს დაფლეთილ სავარძელზე, და ზარს აღარავინ ჩამოჰკრავს იმის საცნობად, რომ შეწყდა ფრიად მოსაწყენი, ფრიად ერთფეროვანი და სისხლგაყინული ცხოვრება ღვთისმოსავ არსებისა. კაცობრიობის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის არასოდეს არ გადაიქცევა „ბებერ მნათეთ“, ხოლო მისი სულიერი კულტურა „გახუნებულ სავარძლად“. სულიერმა კულტურამ არ იცის, თუ რა არის და-

ბერება: მუდმივ ზრდაშია იგი, თავის ძალთა და შესაძლებლობათა დაუსრულებელ გაშლაში და ამ განვითარებას, წინსვლას, „სინთეტიკურ შემოქმედებას“ არა აქვს სხვა საზღვარი, გარდა სიკვდილისა. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ, მაგალითად, ელინთა მიერ ნაანდერძევმა ხელოვნებამ, პოეზიამ და ფილოსოფიამ დაჰკარგოს თავისი მუდმივი ახალგაზრდული მშვენიერება, ჯანსაღობა და მიმზიდველობა, ან დაბერდეს დანტე, შექსპირი, ბეთჰოვენი, მიქელ-ანჯელო, რემბრანტი — მარად განუყრელი მესაიდუმლენი ადამიანობისა?! შეიძლება ისინი კიდევ უფრო ძვირფასნი გახდნენ მომავალ თაობათათვის, ვიდრე ჩვენთვის არიან!..

სიკვდილის წინათგრძნობა იმ ერთადერთი „ისტორიული არსების“ ხვედრია, რომელსაც მსოფლიო თავის წიაღში ატარებს. „ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც ტირილის ნიჭი აქვსო“, — სთქვა ერთმა თანამედროვე ფსიქოლოგმა. ცხოველსაც შეუძლია თავის ტანჯვასთან ერთად სხვისი ტანჯვაც იგრძნოს, იმანაც იცის თანაგრძნობა მწუხარებაში, მაგრამ ამ გრძნობაში მას არ ძალუძს აწმყოს ვიწრო ფარგლებს გასცილდეს; მხოლოდ ადამიანი მაღლდება ამ მხრივ წუთიერობაზე, ევლება შორეულ წარსულს, და საიდუმლო მომავალს, მხოლოდ მას შეუძლია თავისი ტანჯვა მსოფლიოს გოდებად გარდააქციოს.

* * *

ზნეობრივი შეცოდების საფრთხეც მხოლოდ ადამიანისათვის არსებობს; სხვა არსებანი გამოუკლებლივ ბოროტებისა და სიკეთის წინაალმდეგობათა გარეშე დგანან. არა შეუგნებელი ლტოლვანი, არამედ მხოლოდ მოსაზრებული მოქმედებანი ექვემდებარებიან ზნეობრივ დაფასებას, მხოლოდ თავისუფალი გონიერი პიროვნება შეიძლება ჩაითვალოს ბოროტად ან კეთილად. პირუტყვი კი მონაა თავის გრძნეულ ლტოლვათა. მორალური პიროვნება აუცილებლად გულისხმობს მოქმედების მოტივთა სიმრავლეს. იმ მოქმედებას, რომელსაც წინ მხოლოდ ერთი მოტივი უძღვის, ჩვენი ეთიკური შემეცნება სრულიად გულგრილად უცქერის; აქ შეუძლებელია

გარჩევა საეალდებულოსა და არსებულის, დასადასტურებელ-
სა და უარსაყოფელს შორის. უცნაური იქნებოდა სიქველე
და სათნოება მოგვეთხოვა მშიერი მგლისთვის, რომელიც თა-
ვის წინაშე უპატრონო კრავს ხედავს, იმიტომ რომ ერთად-
ერთი მოტივი, რომელიც ასეთ შემთხვევაში იმის მგლურ
არსებაში მოქმედებს, უსათუოდ შიმშილის მოკვლაა, ხოლო
ერთადერთი მიზანი — კრავის შეჭმა. მორალური აღშფოთე-
ბაც უადგილო იქნებოდა აქ. რასაკვირველია, სადაც მოქმე-
დებას წინ არჩევანი არ მიუძღვის, იქ არ არსებობს შეგნება
თავისუფლებისა და სადაც თავისუფლების შეგნება არ არის,
იქ არ არი განსხვავებაც ბოროტებასა და სიკეთეს შორის.

ადამიანში კი, პირიქით თითქმის ყოველთვის არსებობს
ეს შეგნება თავისუფლებისა ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქ-
მედების წინაშე, ეს შესაძლებლობა მოტივთა არჩევისა. მშიე-
რია ის თუ მაძღარი, კმაყოფილი თუ უკმაყოფილო, ის თავისი
თანაარსის წინაშე აუცილებლად სხვა მოტივებსაც განიც-
დის. მრავალ გრძნობათა და მოსაზრებათა ურთიერთობასა
და ბრძოლაზეა დამოკიდებული ჩვეულებრივად მისი ნების-
ყოფა და გადაწყვეტილება, თუ რასაკვირველია, ის სომნამ-
ბულისტურ მდგომარეობაში არ არი, ან არ არი მთვრალი, ან
შეპყრობილი მორალური სიგიჟით. ამ შემთხვევებში კი იგი
მართლაც ცხოველს უახლოვდება, რადგან მისი ცნობიერება
მოწყვეტილია მისსავე წარსულს და მისი ნებისყოფა მექანი-
კური აუცილებლობით, მომენტალური გრძნობით და მოსა-
ზრებით ან, უკეთ ვთქვათ, მოუსაზრებლობით ისაზღვრება.
ადამიანობა კი არასოდეს არ იშლება მარტო ნივთიერებაში:
ერთს განსაზღვრულ მომენტში იგი შეიძლება ყოველ მხეცზე
უმხეცესი აღმოჩნდეს. მომენტის თვალსაზრისით ადამიანობა
ხშირად უბადრუკია, უნიჭო, სულიერად ღარიბი. ისტორიუ-
ლად გაშლილი კი, იგი ყოველთვის მდიდარია, მრავალმომქ-
მედი, სულიერად განუზომელი, როგორც კეთილის, ისე ბო-
როტისკენ.

პიროვნების ეს სიფართოვე, მოტივების ეს მრავალფერა-
დობა აუცილებელი პირობაა ზნეობრივი მოქმედებისათვის. თა-
ვისუფლების გრძნობაც, რომელიც თან სდევს ჩვეულებრივ
ჩვენს მოქმედებას, აქედანვე გამომდინარეობს. ჩვენი ნების შე-

ბოქვას ჩვეულებრივ ჩვენ მხოლოდ ძლიერი აღელვების დროს ვგრძნობთ, როცა რაიმე ძლიერი აფექტით გამსჭვალულნი მარტოდმარტო თავზარდამცემ შიშს ან აღშფოთებას, ან მძულვარებას, ან უსაზღვრო სიყვარულს ვემორჩილებით. მაგრამ თვით ასეთ წუთებშიაც არ ძალგვიძს ჩავახშოთ ის ხმა, რომელიც შეიძლება ყრუდ, მაგრამ ყოველთვის დაჟინებით გვახსენებს, რომ ჩვენი პიროვნება ბევრად მეტია, ვიდრე ერთი რომელიმე თუნდ უძლიერესი აფექტი. ესაა საფუძველი პიროვნული თავისუფლების შეგნებისა; ჩვენ შეურყეველად გვწამს, რომ ჩვენი ნებისყოფის აქტი, ჯერ კიდევ შეუსრულებელი მოქმედება, მომავალი გადაწყვეტილება, ჩვენს ხელთაა, რომ ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რომელი გაიმარჯვებს იმ მრავალრიცხოვან მოტივთა შორის, რომელნიც თითქმის ყოველთვის ჩვენს ფსიქიკაში იბრძვიან. ჩვენ თავისუფლებას ვგრძნობთ მომავლის წინაშე.

ნებისყოფის თავისუფლებას მხოლოდ ეს ვიწროდ განსაზღვრული აზრი აქვს. ინდეტერმინისტული მოძღვრება კი, რომელიც ნებისყოფას ფსიქიური მიზეზობრივობის გარეშე აყენებს, სავსებით ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ მდგომარეობას, ამიტომ რომ არავითარ ფსიქიკურ გამოცდილებაში არ არსებობს მოქმედება, რომელიც განსაზღვრული არ იყოს რაიმე მოტივით. არა უმიზეზობა, არამედ მიზეზთა და მოტივთა ბრძოლა და არჩევაა წყარო იმ თავისებური განცდისა, რომელსაც ჩვენ შეგნებული პიროვნების და მისი ნების თავისუფლებას ვუწოდებთ.

ჩვენ ქვევით დავინახეთ, რომ ზნეობრივი იდეალების და ნორმების ფსიქიკური ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ხელს უწყობენ უმაღლეს მოტივებს — გაიმარჯვონ უმდაბლესებზე, და რომ ამიტომ არვის შეუძლია თავისი უზნეობა იმით გაამართლოს, თითქო მისი ბუნება და ხასიათი ერთხელ და სამუდამოდ ისეა მოწყობილი, რომ აუცილებლად დასაძრახისი და უარყოფითი ინსტინქტები დღესასწაულობენ იდეალურსა და კეთილშობილზე.

ამგვარად არჩევანის თავისუფლება, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო მდიდარი და მრავალმხრივია პიროვნება, რაც უფრო ფართოა მისი გონებრივი ჰორიზონტი, სრუ-

ლიად ეწინააღმდეგება იმ ყოვლად უსაფუძვლო აზრს, რომ-ლითაც ეგრეთწოდებული ინდეტერმინისტული თეორია ხელ-მძღვანელობს ადამიანის მოქმედების ახსნაში. ყოვლად შეუძ-ლებელი იქნებოდა პიროვნების მორალურად დაფასება და გასამართლება, რომ მისი ნებისყოფა და მოქმედება ფსიქი-კურ ურთიერთობათა გარეშე მდგარიყო, ე. ი. უმიზეზო ყო-ფილიყო და განუსაზღვრელი თავის გამოხატულებაში. არ შეიძ-ლება პასუხისმგებელი გავხადოთ ვინმე ისეთი მოქმედებისა-თვის, რომლის მიზეზი მის შინაგან ბუნებაში არა დევს. ფსი-ქიკურად გაბრუებული ადამიანის ნებისყოფა და მოქმედება სწორედ იმიტომ რჩება ეთიკური განსჯის გარეშე, რომ მათი მიზეზი უწინარეს ყოვლისა არა შინაგან ხასიათში უნდა ვე-ძებოთ, არამედ რაიმე გარეგან ძალაში: ჰიპნოზში, ნარკოზში ან ალკოჰოლში.

სულის სიმაღლე და სიფაქიზე სამართლიანად მხოლოდ მაშინ გვერიცხება აქტივში, ხოლო სულის სიმდაბლე და სი-დუხჭირე პასივში, როცა როგორც ერთში, ისე მეორეში მთელი ჩვენი შეგნებული პიროვნება გამოსჭვივის ისე, რო-გორც ის არი თავისთავად, გარეშე ძალთაგან დამოუკიდებ-ლად. კეთილშობილება, რომელიც შემთხვევით ან რაიმე უცნაური გაუგებრობის წყალობით აღმოცენებულა, დაახლოე-ბით იმდენადვე ფასობს, რამდენადაც შეშლილის ვაჟკაცობა ან ხელგაშლილობა და გულწრფელობა შეზარხოშებული მო-ქეიფესი.

ცხადია, რომ ნებისყოფის თავისუფლება იმ მნიშვნელო-ბით, რომელსაც მას ჩვენ აქ ვაძლევთ, აუცილებლად გუ-ლისხმობს თავისი შინაგანი „მეს“ გამორკვევას, თავისი კერ-ძო წარსულისა და იდეალის გათვალისწინებას; უბადრუკია და შესაბრალისი ის პიროვნება და ხალხი, რომელსაც თავისი თავი ვერ უპოვნია ან დაუკარგავს თავისი ისტორიულად შე-მუშავებული ინდივიდუალური თუ სოციალური ხასიათი. მისი თავისუფლება, მისი ზნეობრივი ძალა შემცირებული და დაკნინებულია, მისი ნიჭი დამოუკიდებელი შემოქმედებისა ძლიერ საეჭვოა, მისი მორალური ღირებულებანი და კულტუ-რა — უფერული და უგავლენო... თანდათანობითი და შეუწყ-ვეტელია ცხოვრება და განვითარება შეგნებისა, როგორც

ინტელექტუალურ და ემოციონალურ, ისე ნებისყოფის სფეროშიაც; არსად არსებობს ნებისყოფის აქტი, რომელსაც შეწყვეტილი ჰქონდეს ყოველივე კავშირი დანარჩენ ფსიქიკურ ენერგიასთან, რომელიც შინაგან მიზეზობრივ დამოკიდებულებაში არ იმყოფებოდეს შეგნების წარსულ ცხოვრებასთან. უმიზეზობა სულიერ განცდათა სფეროში ისევე უაზროა, როგორც ფიზიკურ მოვლენათა სამეფოში, ისევე როგორც სხვაგან, მსოფლიოში.

ამ გარემოებისაგან გამომდინარეობს მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების იდეის დამატებად ან კორელატად. ჩვენ თვითნებობას ან რჩევის თავისუფლებას მხოლოდ მომავლის, ჯერ შეუსრულებელი მოქმედების წინაშე ვგრძნობთ. პირიქით, როცა შესაძლებლობა სინამდვილედ იქცევა და მომავალი წარსულად, ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ჩვენ თავისუფალი გადაწყვეტილების ნაყოფი გვეგონა, აუცილებელი ყოფილა და რაც მოხდა — მოხდა სწორედ ისე, როგორც უნდა მომხდარიყო. საბედისწერო ელფერი ეძლევა წარსულს ამ გარემოების წყალობით. ჩვენი მომავლის მჭედლები თვით ჩვენა ვართ ჩვენი ღრმა რწმენის მიხედვით, თუმცა ესე მომავალი იმ გრდემლის და კვერისაგანაცაა დამოკიდებული, რომელიც არსებითად ჩვენი ბუნებისაგან განსხვავდება. მაგრამ განა ჩვენ ჰეფესტოსი ბევრად უფრო მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნია, ვიდრე ვულკანი — მისი ღვთაებრივი სამჭედური?! და აი, საკმაოა ამ „ჰეფესტოსმა“ უკან მოიხედოს, საკმაოა რეალობის თვალსაზრისით შეხედოს იმას, რაც აქამდის იმის შეგნებაში იდეალობის ან შესაძლებლობის სახით არსებობდა და სულ ადვილად დაინახავს, რომ მისი ადამიანური არსება ისევე ექვემდებარება აუცილებლობას და მის კანონებს, როგორც ყოველი სხვა არსება, უკანასკნელი ლითონისაგან დაწყებული უდიადეს ზეციურ მნათობამდე.

ამით მე იმის თქმა არ მინდა, რომ თავისუფლების გრძნობა მხოლოდ ილუზიაა, გონების შეცდომა ან უშინაარსო მოჩვენება, — რომელიც შეიძლება მოსპობილ იქნას ლოგიკური შრომისა და თვითგაწრთვნის შემწეობით. შეურყეველი ფსიქიკური ფაქტია ეს გრძნობა, ისევე როგორც შეგნება მომავ-

ლისა, რომელთანაც იგი განუყრელადაა შეკავშირებული. კიდევ მეტი: თვით აუცილებლობის განცდა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ჩვენს სულიერ გამოცდილებაში არ არსებობდეს იდეა პიროვნული თავისუფლებისა. როგორც ბევრი სხვა კორელატური ცნებანი, როგორც, მაგალითად, იდეანი — სიცოცხლისა და სიკვდილისა, სუბიექტისა და ობიექტისა, წარსულისა და მომავლისა, ისე აუცილებლობა და თავისუფლებაც ყოველთვის ურთიერთს გულისხმობენ. და ერთი მათგანის აღმოფხვრა უსათუოდ მეორესაც გაიყოლებდა თან ცნობიერებისაგან.

ჩვენ რომ მარტო მომავლის შეგნება გვქონოდა, ჩვენი თავი აბსოლუტურად თავისუფალი გვეგონებოდა, ჩვენ ყოველ მომენტში გამოვიდოდით როგორც მიზეზი მოვლენათა და არა როგორც შედეგი. პირიქით, მარტო წარსულის ცოდნით კი ბედისწერის კლანჭებში ვიგრძნობდით თავს. წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის იგივე წარსულისა და მომავლის წინააღმდეგობაა ადამიანის ხელში, ის დისჰარმონიის და ტრაგიზმის უდიდეს წყაროდ უნდა ჩაითვალოს; ჩვენ ნათლად ვგრძნობთ, რომ „მერანს“ თავისუფლად მივაქანებთ მომავლისაკენ, მაღალ მიზნებისაკენ, ბედნიერი, მშვენიერი ან ფართო და მდიდარი არსებობისაკენ, — მაგრამ შეუწყვეტლად გარკვევით გვესმის, თუ როგორ მოგვდევს უკან კვალდაკვალ ჩვენი წარსული, ხშირად შეიძლება უარყოფილი, ხშირად შეიძლება ჩვენი „შავბედითი შავი ყორანი“, — და რაც უფრო შორს მივდივართ განვითარების გზაზე, მით უფრო იზრდება ეს სამეფო „ისტორიული აუცილებლობისა“; დიახ, ჩვენი თვითნებობა, არჩევანის შეძლება, თავისუფლების შეგნება მოტივთა სხვადასხვაობასა და სიმრავლეზეა დამყარებული, მაგრამ თვითეული გრძნობა და წარმოდგენა, რომელიც ჩვენი მოქმედების მოტივებად თუ მიზეზად გამოდის, უკანასკნელი რგოლია ფსიქიკურ მოვლენათა გრძელი ჯაჭვისა, რომლის დასაბამი იკარგება დაუსრულებლობაში; ინდივიდუალური შეგნების აწმყოს ის აერთებს მის წარსულთან, შემდეგ ახლო ნათესაობის, გვარტომობის, ეროვნების, ბოლოს მთელი კაცობრიობის სულიერ ცხოვრებასთან. არსად არ წყდება ეს კავშირი, თუმცა ხშირად იგი სუსტია, შეუგნებელი.

საბედისწერო ტრაგიზმი ჩვენი „ისტორიული გუნებისა“ სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ „შეხედულების ფორმა“, რომელშიც ის იშლება, დროება, ბევრად ნაკლებ აძლევს ასპარეზს თავისუფლებას, ვიდრე, მაგალითად, გამოცდილების მეორე მატარებელი — სივრცის წარმოდგენა. უკანასკნელი სამდიმენსიონალურია და ჩვენ შედარებით თავისუფლად შეგვიძლია მოძრაობა ექვსი მხრით სამივე მიმართულებაში ან ერთს ადგილზე გაჩერება, დროება კი მხოლოდ ერთდიმენსიონალურია და აქაც ყოველთვის მხოლოდ ერთი მხრისკენ მივდივართ, სახელდობრ, წარსულიდან მომავლისაკენ. აწმყოდან წარსულისაკენ კი ხიდი ყოველთვის ჩატეხილი გეხვდება. გარდუვალია ეს ვიწრო, მაგრამ უძირო უფსკრული, დროების მიერ გათხრილი ზურგს უკან; ჩვენ შეგვიძლია ხელი გავუწოდოთ იმას, რაც ამ უფსკრულს გაღმა დარჩა, შეგვიძლია მახსოვრობაში გავაცოცხლოთ განვლილი ჟამის აჩრდილნი. მუდმივ ახლობელნი, მაგრამ მაინც მუდმივ მიუწვდომელნი არიან ისინი ჩვენთვის, იმიტომ რომ დროთაბრუნვასთან თვით ჩვენ ვიცვლებით, თვით ჩვენს სულს აჩენს ის წარუშლელ, აღმოუფხვრელ ბეჭედს.

ეს მძაფრი წინააღმდეგობა აუცილებლობასა და თავისუფლებას შორის არ იარსებებდა ჩვენთვის, მარტო სივრცის ჩარჩოებში რომ ვყოფილიყავით მოთავსებულნი ან, მაგალითად, დროება რომ მხოლოდ სივრცის მეოთხე დიმენსია ყოფილიყო და არა ფორმა მთელი ჩვენი შინაგანი და გარეგნული გამოცდილებისა. მაგრამ მაშინ არ იარსებებდა არც მისწრაფება იდეალისადმი. თუ ჩვენს ზევით სადმე მართლაც არის უზენაესი არსება თავისუფალი ჟამთა მიმდინარეობისაგან, არსება, რომლისთვისაც ერთ მომენტში მარადისობა ძევს, მას უეჭველად არ ეცოდინება, თუ რა არი დისჰარმონია საეალდებულოს და არსებულს შორის, თუ რა არი ადამიანური სევდა და ლტოლვა ახალი იდეალებისა და ახალი ცხოვრებისადმი.

2

პლატონის მეტაფიზიკურ მორალს საბერძნეთის და რომის აზროვნებაში შეიძლება არც ერთი ეთიკური სისტემა არ მიახლოვებია იმდენად, რამდენადაც სტოიციზმი და ის „მსოფ-

ლიო კაეშანის“ ფილოსოფია, რომელმაც ელინთა ამაყი და უდრეკი სტოა შესცვალა ძველი საზოგადოების დაღუპვის წინა დღეებში.

უდიდესი სიკეთე სტოიკური ეთიკისათვის დამოუკიდებელი, ზნეობრივი პიროვნებაა, ხოლო საბოლოო მიზანი, — რომლისკენაც ყოველი ადამიანური შეგნება უნდა მიილტვოდეს. — სულიერი მშვიდობა, გარეგნული ბორკილისაგან განთავისუფლება და თავის თავით დაკმაყოფილებაა. გარეგნული ღირებულებანი თავის თავად არც სიკეთენი არიან და არც ბოროტებანი; სიმდიდრეს, მატერიალურ კეთილდღეობას, ჯანსაღობას, გვარიშვილობას, ოჯახს და ეროვნებას არავითარი მორალური ფასი არა აქვს შეგნებული პიროვნების დამოუკიდებლად, რომელსაც შეუძლია მათი საშუალებით თავისი შინაგანი ბუნება გამალოს. მხოლოდ ხასიათის, მხოლოდ შინაგანი „მეს“ დაფასება შეიძლება ზნეობრივად, მხოლოდ ის შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად, ბოროტად ან კეთილად. თვით ეთიკური მოქმედების ფასიც ამ შეგნებულ „მეზეა“ დამოკიდებული; დასადასტურებელი მხოლოდ ისეთი მოქმედებაა, რომელსაც კეთილშობილი ხასიათი უძევს საძირკვლად, ხოლო უარსაყოფი ისეთი, რომელიც საძრახ მოსაზრებიდან გამომდინარეობს, თუმცა შეიძლება პირველმა გარეგნულად საზარალო შედეგები გამოიწვიოს, ხოლო მეორემ — სასარგებლო. არა მოქმედება, არამედ ხასიათია ობიექტი ზნეობრივი გასამართლებისა.

არსებითად ეს გასამართლება მდგომარეობს უბრალო ფაქტების აღნიშვნაში და არა აღშფოთებაში იმის გამო, რომ არსებული არ ეთანხმება სავალდებულოს. რაც არსებობს არსებობს გარდუვალის აუცილებლობით და ბრძენს, რომელმაც ეს გარემოება შეიგნო, შეშვენის თავი მოიხაროს „ფატუმის“ წინაშე. ერთხელ და სამუდამოდ მიჩენილი ბუნების თანახმად მოქმედებაა ამიტომ შინაარსი ყოველი მორალისა. ადამიანის ბუნებაში კი ბოროტების დაუშრეტელი წყარო ვნებათა ღელვანი და აფექტები არიან: სიამოვნება, ნდომა, გულისთქმა, ჭმუნვარება, შიში და სხვა ავადმყოფობანი სულისა, რომელთა მოსპობა მიაღწევინებინებს მას ზნეობრივ ჯანმრთელობას და ბუნებრივობას, ე. ი. აპატიოს. გონების შეუზღუდავი ბატონობაა ზნეობის საძირკველი და იგივე ანიჭებს ადამიანს ბედნიერება-

საც, რომელიც უნდა ჩაითვალოს არა ზნეობის მიზნად, არამედ მის აუცილებელ შედეგად.

ორმხრივი ძლიერ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა ბერძნების მიერ შემუშავებულმა სტოიკურმა იდეალმა და მორალმა, როცა ის ისტორიულმა ბედმა რომაულ ნიადაგზე გადაიტანა და ორივე ეს ცვლილება ახალი ეროვნული კულტურის პირობებისაგან გამომდინარეობდა აუცილებლად. რომაელების ეროვნული სული უფრო მოუხეშავი იყო, შეუდრეკელი ნათელ ლოგიკურს აზროვნებაში, უშიშარი ერთხელ არჩეულ გზაზე მსვლელობაში და წინასწარ მოსაზრებისაგან დასკვნების გამოყვანაში, შეუბრალებელი და უკან მიუხედავი ერთხელ წინ დაყენებული მიზნების მიღწევაში. ის უფრო უნიჭო იყო, ვიდრე ელინთა ხალხი მშვენიერი ფანტაზიის სფეროში, ნაზ და მიუწვდომელ გრძნობათა განცდაში, მხატვრულსა და ფილოსოფიურ შემოქმედებაში, მაგრამ სამაგიეროდ შესამჩნევად სჭარბობდა მას პრაქტიკულ რეფლექსიაში და პიროვნულ უფლებრივ შეგნებაში. ჭეშმარიტება დამოუკიდებელი სარგებლობისაგან და მშვენიერება დამოუკიდებელი სიამოვნებისაგან მას ნაკლებად აინტერესებდა. პიროვნული ღირსების შეგნება და ოჯახური გრძნობა მას ბევრად უფრო ჰქონდა განვითარებული, ვიდრე ეროვნული და სოციალური შემეცნება. რწმენაშიაც ის ადვილად ეთვისებოდა სხვის ღმერთებს და თაყვანს სცემდა მათ, თუ ეს არ ეწინააღმდეგებოდა მის ეგოიზმს, მის გაუმაძღარ თავმოყვარეობას და ბედნიერების, კეთილდღეობის მუდმივ დაუცხრომელ წყურვილსა და მოთხოვნილებას. ეს განსხვავებული ეროვნული სული ეთიკურ შემეცნებაში უეჭველად ყველაზე ნათლად ციცერონმა გამოხატა, რომლის უტილიტარიზმი ინდივიდუალისტური და უნივერსალურია ერთსა და იმავე დროს და რომლისთვისაც უკვდავების რწმენა მხოლოდ მიტომაა მაღალზნეობრივი, რომ ის სასარგებლო და მანუგეშებელია ადამიანისათვის.

მაგრამ შემდეგ, როცა ამ ამაყი, სიამოვნებას მოჭარბებული ტომის მზე სამხრობისკენ გადაიხარა და ბოლოს სრულიადაც ჩაესვენა, როცა სარგებლიანობის მორალმა მას უმტყუნა, ხოლო ძველმა ღმერთებმა იდუმალი ბრწყინვალება დაკარგეს, ყოველი წუთიერის არარაობამ, მოახლოებული სიკვდილის წი-

ნათგრძნობამ, იმედმა და შიშმა ბნელი მომავლის წინაშე წარმოშვა ის სულიერი წყობა „მსოფლიო სევდად“ წოდებული, რომლის საუკეთესო მატარებელნი ფილოსოფიურ ეთიკაში ეპიქტეტი, მარკ ავრელი და სენეკა არიან. ბრძენ მონას, ბრძენ იმპერატორს და ბრძენ პატრიციელს ერთი და იგივე უიმედობა და სასოება აერთებს; ზნეობრივად დაუნდობელია ადამიანი, ბუნებრივად ბოროტი, უბადრუკი და არც იმდენი ძალა შესწევს, რომ ამ ცხოვრებაში დამოუკიდებლად თავი დააღწიოს ამ ნაკლოვან მდგომარეობას. მხოლოდ ღმერთია წყარო ყოველივე სიკეთისა და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ დაიწყება სულისთვის იდეალური არსებობა, თავისუფალი ხორციელი სასჯელის, ცოდვისა და ბორკილებისაგან. სიკვდილის ნატვრა და უზენაესი არსების ძიება არი უკანასკნელი ფილოსოფიური სიტყვა ძველი რომისა, რომელიც მან მოახლოებულ ქრისტიანობას უანდერძა.

* * *

ქრისტიანულმა მორალმაც თავის მხრივ საფუძვლიანად ისარგებლა პლატონის და არისტოტელის, ციცერონის და სენეკას მიერ ნაანდერძევი ფილოსოფიური ეთიკით და განსაკუთრებით უკიდურესობამდე მიიყვანა ის უნდობლობა ადამიანის ზნეობრივ ბუნებისადმი, რომელიც კლასიკურ ქვეყანაში გამონაკლისს შეადგენდა, ნაყოფს უკვე დამჭკნარი და იმედდაკარგული საზოგადოებისა. ამ უნდობლობაში ადამიანებისადმი ძევს ერთი უდიდესი განსხვავება ელინურსა და ქრისტიანულ მორალს შორის. მართლაც სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ელინური ზნეობა ავტონომიურია, დამოკიდებული სარწმუნოებისა და მისი დოგმატებისაგან. ადამიანი, რომლისთვისაც სიკეთე სრულიადაც არ წარმოადგენს რაღაც უცხოს, ღვთაების მიერ ნაჩუქარს, თავისი დამოუკიდებელი გზით მიდის ცოდვისა და მადლის გარჩევაში, მაშინაც კი, როცა ამ გზას ის ზეგრძნულ და ტრანსცენდენტალურ სფეროებისკენ მიჰყავს, როგორც ეს პლატონის ფილოსოფიაში ხდება. ციური მადლი თვით ადამიანურ ბუნებაშია ჩამარხული, ხშირად როგორც ფარული განძი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში როგორც მისი მონა-

ო�sაეე. მახლობელი ძალა, რომლის პოვნა მას ღმერთების დაუსმარებლადაც ადვილად შეუძლია.

ქრისტიანული აზროვნებისათვის კი ადამიანი ბოროტია, თავიდანვე შეჩვენებული უზენაესი მსაჯულის მიერ და მას ცოდვა ნიადაგ თან დასდევს, როგორც განუყრელი აჩრდილი. მუდმივ უწლოვანოა ის ზნეობრივად, უნიჭო, ძნელი სანდობი. მისი ხსნა მორალური უბადრუკობისა და ცოდვისაგან ხდება არა მისი პირადი დამსახურების საშუალებით, არამედ მისთვის ჯვარცმული ღვთაების წყალობით, ეს „მოწყალების" იდეა, რომელიც ყველაზე მეტად ეზიზღებოდა თავისუფალი ელინური სულით გამსჭვალულ ნეოპლატონიზმს. ასეთი დამცირება ყოველივე ადამიანურისა, უზენაესი ძალის წინაშე ცოდვილი თავის მოხრა, ბოლოს ის აზრი, რომ პიროვნების ხსნა ბოროტებისაგან მისივე შეგნების გარეშე ხდება, ერთხელ და სამუდამოდ სხვის მიერ შეწირული მსხვერპლის შემწეობით, მართლაც საესებით ეწინააღმდეგებოდა კლასიკურ ერთა ზნეობრივ გრძნობას და შემეცნებას.

არა თავისი თავის დადასტურებით, არამედ, პირიქით, მისი უარყოფით და განადგურებით მიაღწევს ადამიანი ქრისტიანული ეთიკის მიხედვით უდიდეს სიკეთეს და იდეალს. ამქვეყნიური ცხოვრების არარაობად მიმჩნევა, მისგან განყენება, მისი კეთილდღეობის უკუგდება მიანიჭებს უკვდავ სულს საუკუნო კმაყოფილებას და ნეტარებას. ეს სამაგიერო „დაჯილდოების იდეა" განსაკუთრებით პავლე მოციქულმა განავითარა თავის ეპისტოლეებში და ამით იმ ფართო, უბედური მასების ღრმა ეგოიზმი და ნეტარების გაუმაძღარი მოთხოვნილება დააკმაყოფილა, რომელშიაც ქრისტიანობა პირველად გავრცელდა. ამასთანავე ეს მეორე მუხლია, სადაც ახალაღმოცენებული მორალი ყველაზე მეტად სცილდება კლასიკურს. უკანასკნელისთვის ზნეობრივი მოქმედება თავისავე წიაღში ატარებს თავის ჯილდოს და დამაკმაყოფილებელ შედეგს სრულიადაც საიქიოში არ ეძებს. იქ ბედნიერება თითქმის ყველა ეთიკური სისტემისათვის თვით ზნეობის ეფექტია და არა მისი იმქვეყნიური ჯილდო.

აქედან ცხადია, რომ ის აზრი სინოპტიკური სახარებისა, რომლის მიხედვით ადამიანი ბოროტებას წინ არ უნდა აღუდ-

გეს, არამედ მას სრული მორჩილება უნდა გაუწიოს — სავსებით ეთანხმება ქრისტიანული მორალის ძირითად მოძღვრებას. ეს ქვეყანა ამ მორალისთვის სრულიადაც არ არი გიგანტური ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, როგორც ეს ზოროასტრას რელიგიას ეგონა და მისი ისტორია სრულიადაც არ მოწმობს ნათელი ორმუზდის თანდათან გამარჯვებას ბნელ არიმანზე. ძლიერ სუსტია მომაკვდავი იმისთვის, რომ მან თავისი აქტიური ზნეობრივი შემოქმედებით ხელი შეუწყოს მადლის საბოლოო ძლევამოსილებას ცოდვაზე და ეს ძლევაც ყოვლად შეუძლებელია საქაო ცხოვრებაში. იდეაში ბოროტება და ცოდვა უკვე განადგურებულია ხორცშესხმული ღვთაების ტრაგედიით და სიკვდილით, საბოლოოდ კი ის თვით ამ სოფელთან ერთად მოისპობა.

ხელის აღება ზნეობრივ აქტივობაზე, ასკეტიზმი, სრული რეზიგნაცია, მოდუნება და ოპტიმისტური იმედებით აღსავსე ლოდინი მეორედ მოსელისა ბუნებრივი შედეგია იმ პასიური სულიერი წყობისა, რომლითაც გამსჭვალულია პირველყოფილი ქრისტიანობა დიდხანს, მაგრამ ამაოდ უცადა მან ანგელოსთა საყვირების და ცოდვილთა ძრწოლის ხმას, რომელსაც პირველად უნდა ემცნო მართლმორწმუნეთათვის, რომ ბოლო მოეღო ყოველ დროულს, ისტორიულს და მოვიდა მეუფება მუდმივისა და წარუვალისა; დედამიწა ცოტა უფრო მჭიდრო და ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე იმათ ეგონათ, ვინც მას სულის წუთიერ სადგურად სთვლიდა. „მეორედ — მოსვლის“ იდეა ძალაუნებურად ნელ-ნელა გადავიდა „საიქიო ცხოვრების“ იდეაში, ხოლო აბსოლუტურმა უარყოფამ ადგილი მისცა ამქვეყნიური ზნეობრივი პრობლემების შეგნებას. ამ გარეგნულ შერიგებას ცხოვრებასთან, რომელიც შინაგანად მუდმივ უარყოფილი რჩება, აუცილებლად თან სდევს ის ღრმა წინააღმდეგობანი, რომელთაგან ქრისტიანობა ვერ განთავისუფლდება, სანამ ის თავის თავს ორი მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქედ სთვლის. ეს წინააღმდეგობანი მდიდარი წყაროა იმ ღრმა სულიერი კონფლიქტებისა, რომლითაც ქრისტიანული ზნეობრივი პიროვნება ასე თვალსაჩინოდ ირჩევა ელინთა ან რომაელთა მთლიანი და ჰარმონიული შეგნებისაგან.

* * *

ახალი დროის უდიდესი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი შეეცადა გაენთავისუფლებინა მორალი იმ ცალმხრივი მონური დამოკიდებულებისაგან სარწმუნოებასთან, რომელშიაც ის დოგმატურმა ქრისტიანობამ ჩააყენა და ამით დაებრუნებინა მისთვის დიდი ხნით დაკარგული ავტონომია, მან არსებითად სრულიად შეაბრუნა არსებული ურთიერთობა ამ ორ სულიერ ძალთა შორის და, პირიქით, მორალი დაუდო საძირკვლად სარწმუნოებას. ქრისტიანობისთვის უზნეობად ითვლება ყველაფერი, რაც სარწმუნოებას ეწინააღმდეგება, კანტისთვის პირიქით, დასაგმობ ცრუმორწმუნეობად, რაც ზნეობას არ ეთანხმება. ქრისტიანი მორალურად ვალდებულია სარწმუნოებისა და ეკლესიის ბრძანება შეასრულოს, თუნდ ეს მის სინდისს ეწინააღმდეგებოდეს, კანტის მორალისთვის კი, ამის წინააღმდეგ, სავალდებულო მხოლოდ ის არი, რაც სუბიექტურ სინდისთან იმყოფება სრულ ჰარმონიაში.

ადამიანის შინაგანი ხმაა ზნეობრივი კანონი და სწორედ ამ ხმის იდუმალ ბრძანებას უნდა მიაპყროს გულისყური იმან, ვისაც სურს აღასრულოს სავალდებულო. „ორი საგანი, — ამბობს კანტი, — ავსებენ ჩემს სულს: ვარსკვლავებით მოჭედილი ზეცა ჩემს ზევით, მორალური კანონი ჩემში. მაგრამ არსებობს ერთი ღრმა გარდუვალი განსხვავება ამ ორ დიად საგანს შორის: ის ზეცა და მნათობნი ჩვენი ფენომენალური ქვეყნის უმაღლესი და უმშვენიერესი მოვლინებანი არიან. ჩვენ მათ ვიცნობთ მხოლოდ იმგვარად, როგორც ისინი ჩვენ გვევლინებიან, და არა როგორც ისინი არიან თავისთავად, შემცნობი სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. დროის, სივრცის, მიზეზობრივობის და სხვა კატეგორიების ჩარჩოებშია მომწყვდეული მთელი ჩვენი გრძნობადი ემპირიული ქვეყანა, თვით ეს ჩარჩოები კი ჩვენივე აზროვნების და შეხედულების ფორმები არიან და არა აბსოლუტური რეალობანი, როგორც ეს პოპულარულ შემეცნებას ან დოგმატურ ფილოსოფიას ჰგონია. ჰედანტურად მშრალი ენით, მაგრამ წარმტაცი სიძლიერით გამოააშკარავა კანტმა ის სამარადისო ტრაგედია ადამიანური შემეცნებისა, რომელიც განუწყვეტლივ აბსოლუტურ სიმართლეს

ეძებს და ყოველთვის თავის განსაზღვრულ ადამიანურ ჭეშმარიტებას პოულობს: თეორეტიულ შემეცნებაში მას არ ძალუძს თავისივე ბუნების საზღვრებიდან გამოვიდეს, როგორც არ ძალუძს იმ თავისივე თმებში ხელებჩაჭიდებულ ლეგენდარულ გმირს თავი წუმპეს დააცხწიოს, მისი ბუნებისთვის კი მხოლოდ საგანთა მოვლენანი არსებობენ. ესაა ძირითადი წინააღმდეგობა: მოვლენა უსათუოდ რაიმეს მოვლინებაა და აუცილებლად თავისივე ზღუდეების გარეშე უთითებს მაძიებელის აზროვნებას, ის რაიმე კი მუდმივ მიუწვდომელი რჩება მისთვის.

მაგრამ არსებობს ერთი სფერო, სადაც ეს „ნამდვილ სინამდვილეზე" გადაფარებული ბნელი და იდუმალი ზეწარი თხელი და გამჭვირვალე ხდება მოკვდავისათვის: ესაა სფერო, ზნეობრივი მოქმედებისა ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ვალდებულების შეგნებისა. ორი ძირითადად განსხვავებული ქვეყნის ღვიძლი შვილია ადამიანი და ორივე თავისებურად ისახება მის არსებაში: როგორც ემპირიული ყოფნის მატარებელი, ის გრძნობადია, დროით განსაზღვრული, მიზეზთა ჯაჭვზე დამოკიდებული; როგორც ზეემპირიული, ტრანსცენდენტური არსება, ის ზნეობრივია, უკვდავი, აბსოლუტურად თავისუფალი; ეთიკური შეგნებისაგან გამომდინარეობს ამ იდეათა სამეფოს აუცილებლობა, იმიტომ რომ შინაგანი ზნეობრივი კანონი ისეთი რამაა, რაც თუმცა ემპირიულად არსად არსებობს და არც როდისმე იარსებებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავს გვამცნობს აბსოლუტურ, გამოუკლებლივ ვალდებულებად, დაუსაბუთებელ კატეგორიულ ბრძანებად. ასეთი საზოგადო კანონის წყარო არ შეიძლება გამოცდილება იყოს; ის ქვეყანა, რომლის შესაძლებლობა თვით არი აპრიორულ პრინციპებზე დამოკიდებული და რომლის ნორმები ყოველთვის პირობებს, და გამონაკლისებს გულისხმობენ, ითხოვს, ზეემპირიულ, ტრანსცენდენტურ რეალობას, ვალდებულების შეგნებას და არა მექანიკური აუცილებლობის სფეროს.

მაგრამ ამასთანავე ის ნებისყოფის სრულ ავტონომიასაც ითხოვს: კატეგორიულმა ბრძანებამ არ იცის გამონაკლისი საავალდებულოს აღსრულებაში, ემპირიული ნებისყოფა კი, რომელიც მიზეზებსა და მოტივებზეა დამოკიდებული, ყოველ-

თვის განსაზღვრულია თავის მოქმედებაში და მაშასადამე, ვერ შესძლებს უპირობო და დაუსაბუთებელი კანონის აღსრულებას. ამას გარდა, ის ითხოვს უკვდავებას ზნეობრივი პიროვნებისათვის, რათა მან მიაღწიოს იმ სამარადისო იდეალს, რომელიც მასშია ჩანერგილი და რომლის განხორციელება დროის საზღვრებში შეუძლებელია, და ბოლოს ის ითხოვს უზენაეს არსებას, როგორც კანონმდებელს ამ ამაღლებული იდეალური წესწყობილებისათვის, და როგორც ადამიანის დამხმარეს მორალური მიზნის მიღწევაში.

კანტის ეთიკამ არ იცის სხვა ღირებულება, რომელიც თავისუფალი, ზნეობრივი პიროვნების ფასს შეედრებოდეს ან მით უმეტეს მას სჭარბობდეს რომელიმე მხრით. არც ბედნიერება, არც სიამოვნება, არც თვით ამქვეყნიური ცხოვრება არ შეიძლება ჩაითვალოს ზნეობრივი შემოქმედების უკანასკნელ მიზნად; ეს მიზანი მხოლოდ და მხოლოდ შეგნებული პიროვნებაა, რომელიც თავის მხრით არასოდეს არ უნდა გარდაიქცეს მარტო საშუალებად, აქედან გამომდინარეობს კანტის მკაცრი ოპოზიცია ყოველი პოზიტივური ევდემონიზმის, ჰედონიზმის და მოქმედების მორალის წინააღმდეგ. არა ის, რასაც აღწევს მოქმედება გარეგნულად, აძლევს მას ზნეობრივ ფასს და ღირსებას, არამედ ის, რაც მასში შეაქვს ბოროტ თუ კეთილ ნებისყოფას. არა მოქმედების ეფექტი, არა მის მიერ მოტანილი ზარალი ან სარგებლობა არი ობიექტი მორალური დადასტურებისა ან უარყოფისა, არამედ თვით ხასიათი, რომელიც აქ თვალსაჩინოდ მეტყველებს და რომელსაც დუმილითაც შეუძლია შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებელი ღირებულება.

ყოველთვის უსრულოა ამქვეყნიური მორალი მიწიერ ლტოლვათა, გრძნობათა და აფექტთა გავლენის ქვეშ და ამიტომ ეს „კეთილი ნება", ეს „ზნეობრივი პიროვნება" მხოლოდ სიკვდილის შემდეგ ავა სათანადო სიმაღლეზე, იმ იდეალურ ყოფნაში, სადაც აღარ არსებობს ეს მუდმივი მტანჯველი კონფლიქტი გრძნობადსა და ზნეობრივს შორის, იმ თავისუფალ გონებრივ მიზანთა სამეფოში, სადაც მექანიკური მიზეზობრივი აუცილებლობა მოსპობილია, ხოლო მატერიალური უკუგდებული, ბრძენი კანონმდებლობის და მსაჯულის შემწეობით მიაღწევს მომაკვდავის უკვდავებას, სისრულეს და ნამდვილ

არსებობას. იდეალური დამთავრება სიკვდილის შემდეგ და ცხოვრების იქით, — აი ის დასკვნა, რომელზედაც შეჩერდა კანტის ეთიკა პლატონის და ქრისტიანობის მსგავსად.

კანტის შემდეგ კი იმ ადამიანმა, რომელიც თავის თავს მისი ფილოსოფიური ნაანდერძევის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ სთვლიდა, არტურ შოპენჰაუერმა, უკიდურეს ლოგიკურ შედეგამდე მიიყვანა ეს სიძულვილი ცხოვრებისადმი. მან მთელი ფენომენალური არსებობა ასწონა ეთიკურად და ძლიერ მჩატედ აღიარა: ცხოვრება კიდევ ნაკლებია, ვიდრე არარაობა, ის უარყოფითი რაოდენობაა. ცხოვრება სიკვდილის შემდეგ იმდენსავე ფასობს, რამდენსაც ცხოვრება სიკვდილამდე, უკვდავება უდიდესი სასჯელი და ბოროტებაა. ამიტომ უმაღლესი ზნეობრივი ვალდებულება თვით ცხოვრების ნებისყოფის აღკვეთაა, ხოლო უზენაესი სიკეთე — არყოფნა.

* * *

საყვარელია პლატონი, მაგრამ კიდევ უფრო საყვარელია ჭეშმარიტებაო, — ემეორებს მოწინავე კაცობრიობა თაობიდან თაობამდე ფრაზას, რომელშიაც იხატება მისი ღრმა მოწიწება უდიდესი ადამიანური ღირებულებისადმი, კიდევ უფრო ძვირფასისადმი, ვიდრე გონების ყველა კერპი ერთად აღებული. აი, ამ „საყვარელი ჭეშმარიტების“ სახელით უნდა ვაღიაროთ, რომ პლატონიზმისაგან გამომდინარე ეთიკური მიმართულება, რომელმაც ეს ცხოვრება დაამცირა და შეაჩვენა ან საიქიო ეიდეალებისათვის მზადებად გარდააქცია, ყოვლად უსაფუძვლოა თეორეტიულად, ხოლო ძლიერ სახიფათოა პრაქტიკულად. შევჩერდეთ ცოტათი პირველ, ჩვენთვის აქ ნაკლებ მნიშვნელოვან მხარეზე.

ცხადია, უკვდავება აუცილებელი წინასწარი მოსაზრებაა იმ მორალისთვის, რომელიც რადიკალურად უარყოფს დროულ არსებობას და თავის განსახორციელებლად და დასამთავრებლად საიქიო მარადისობისკენ უთითებს. სულის უკვდავებაა საფუძველი ეიდეალური სისრულისა.

სამი საბუთი მოიყვანა პლატონმა სულის უკვდავების დასამტკიცებლად თავის იმ დიალოგში, სადაც მხატვრული სიძ-

ლიერით ასწერა სოკრატის უკანასკნელი წუთები სატესაღოში. ყოველი მსოფლიო მოვლენა, ამბობს ერთი საბუთი მოკლედ, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ერთგვარი არსებობიდან მეორე სავსებით მოწინააღმდეგე არსებობაში გადადის; სულის ამქვეყნიურ ცხოვრებას წინ უძღოდა სავსებით განსხვავებული ყოფნა იდეათა სამეფოში და ნამდვილ არსება ცქერა; ამას უტყუარად ამტკიცებს ის გარემოება, რომ ყოველი სწავლა არი არა ახალის შეძენა, არამედ ძველის, უკვე ნაცნობის გახსენება. ამიტომ ამქვეყნიურ ცხოვრებას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ხელახლა მისი მოწინააღმდეგე საიქიო ყოფნა. მეორე არგუმენტი ცოტათი უფრო ძლიერია: რაიმეს მოსპობა ესათუოდ რთული საგნის შემადგენელ ელემენტებად დაშლაა; ყოველივე უბრალო კი მუდმივ დაუშლელია და მაშასადამე, უკვდავი; ასეთია მხოლოდ იდეა, და მაშასადამე ასეთივეა სულიც, რომელიც მას სცნობს იმიტომ, რომ ერთმანეთის ცნობა შეუძლიათ მხოლოდ მონათესავე ძალებს. მესამე საბუთი კონტრადიქტორული წინააღმდეგობის დებულებიდან გამომდინარეობს; სული ცხოვრების პრინციპია, სიკვდილი კი ცხოვრების სრული წინააღმდეგობა, ამიტომ არ შეიძლება, რომ სული მისი მონაწილეც იყოს... „და ამგვარად, თქვენ, მამაკაცნო, ეს ულირსია ყურადღებისა, რომ თუ სული უკვდავია, ის ზრუნვას და მოვლას საჭიროებს არა მარტო იმ დროისათვის, რომელსაც ჩვენ ცხოვრებას ვუწოდებთ, არამედ მთელი ჟამისთვის და კაცნიერების მთელი საშინელებაც საკმაოდ მაშინ გამოჩნდებოდა, რომ ვინმეს ეს გარემოება დაევიწყებინა“.

მთელი ამ არგუმენტაციის წინააღმდეგ საკმაოა მოკლედ ის განვიმეოროთ, რაც კანტმა საზოგადოდ ონტოლოგიური მეთოდის წინააღმდეგ სთქვა. რაიმე შესაძლებლობა აზროვნებაში სრულიადაც არ მოასწავებს მის არსებობას ან მით უმეტეს, აუცილებლობას სინამდვილეში, კენტავრები, ნიმფები და სხვა ლეგენდარული არსებანი აზროვნებაში თავისუფლად თავსდებიან და არც არავითარ რაციონალურ ან სილოგისტურ ლოგიკას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ აქედან მათი რეალობა სრულიადაც არ გამომდინარეობს. საგნის ცნებისაგან ვერასოდეს ამავე საგნის არსებობას ვერ გამოვიყვანთ, იმიტომ რომ არსებობა არ არი პრაქტიკული, ან თვისება ცნებებზე აშენებული სპეკუ-

ლატური აზროვნებისა. „მამაკაცის თავი“ ან „დედაკაცის ზედატანი“, როგორც ცნებანი, ლოგიკურად სრულიადაც არ ეწინააღმდეგებიან „მერანის სხეულს“, „თხის ფეხებს“ ან „თევზის კუდს“, მაგრამ ეს გარემოება კიდევ არ კმარა, რომ სინამდვილედ ვაღიაროთ ის ფანტასტიკური არსებანი, რომელთაც განვითარებული შეგნებისთვის მხოლოდ სიმბოლისტურ პოეზიაში ან მხატვრობაში აქვს ადგილი. რაიმე ნივთის არსებობა მხოლოდ მაშინ არის სარწმუნო და დასაბუთებული, როცა იგი მთელი ჩვენი გამოცდილების ურთიერთობაში იმყოფება და იმის სხვა ნაწილებს ეთანხმება. მხოლოდ ემპირიულ დამოკიდებულებას შეუძლია შეურყევლად დაამტკიცოს რაიმე ცნების, წარმოდგენის ან საგნის სინამდვილე. ონტოლოგიური მეთოდის მიმდევარს კი სრულიად უსაფუძვლოდ ჰგონია, რომ თუკი მან რაიმე ცნება შინაგან წინააღმდეგობათაგან გაანთავისუფლა ან უშეცდომოდ აღიარა, ამით უკვე ამ ცნების რეალობაც უზრუნველყოფილია. მაგრამ საკვლევი ის არი, რომ მშვენიერი ქალის მკერდსა და ოქროს ქერტლიანი თევზის თავს ბოლო მაინც არ მოებმება, თუმცა ჩვენ შეიძლება ძლიერაც გვენატრებოდეს ზღვის ცელქი დედოფლის ნახვა. ხოლო მომაკვდავი უკვდავად არ გადაიქცევა, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ბევრსაც ვეცადოთ სულის და უკვდავების ცნების ურთიერთშორის ლოგიკურად დაკავშირება.

რაც შეეხება კანტს, მისთვის უკვდავებაც, ღვთაებაც და ნების თავისუფლებაც პრაქტიკული გონების პოსტულატები არიან, სულიერი მოთხოვნანი ზნეობრივი ხასიათისა და მათი თეორეტიულად დამტკიცება ყოვლად შეუძლებელია. რწმენის საქმეა უკვდავება, გულწრფელი რწმენის წინაშე კი მეცნიერული კრიტიკა სდუმს. ამიტომ ჩვენც ამ ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებას მივაქცევთ, რომ როგორც პლატონი, ისე კანტიც პირად უკვდავების შესახებ ლაპარაკობენ, ეს საკითხი კი ნაკლებ საყურადღებოა თანამედროვე ზნეობრივი შეგნებისათვის.

ჩვენი მორალური გრძნობა თავისუფალია პიროვნების ღირებულების გადაჭარბებისაგან, რომელიც ასე დამახასიათებელია მეთვრამეტე საუკუნის აზროვნებასა და მასთან ერთად კანტისათვის. ჩვენ დღეს ობიექტურ სულიერ კულტურას ბევრად უფრო ვაფასებთ, ვიდრე თუნდ უკეთილშობილეს პიროვ-

ნებას და პლატონის და კანტის ნაწარმოებთა მომავალი უფრო გვაფიქრებს, ვიდრე მათი შემქმნელთა საიქიო არსებობა. ჩვენ ნაკლებად გვაწუხებს ის აზრი, რომ შეიძლება „სათნოიანი“ ათინელი ბრძენი ან „ვალდებულებით გამსჭვალული“ პრუსიელი ფილოსოფოსი ვერ ტკბებიან უკვდავებით და ნეტარებით იდეათა სფეროებში; ის აზრი კი რომ ერთხელ მთელ კაცობრიობასთან და სულიერ კულტურასთან ერთად მათი სიბრძნეც უნდა მოისპოს, აუტანელია და შემაძრწუნებელი. იმ ფაქტს, რომ ყოველ წუთს თან მიაქვს ასი და ათასი ადამიანური ცხოვრება, სამუდამოდ, დაუბრუნებლად, რომ შეიძლება მათში ისეთებიც ურევიან, რომელნიც ჩვენთვის ძვირფასნი არიან, მახლობელნი, საყვარელნი — ჩვენი ზნეობრივი ბჟნება შედარებით ადვილად ურიგდება. ის აზრი კი, რომ ერთ დღეს შეიძლება მთელი ხალხის და მისი კულტურის, ან მით უმეტეს მთელი კაცობრიობის სიკვდილის ჟამმა ჩამოჰკრას, ღრმად შეურაცხმყოფელია ყოველ ცოტად თუ ბევრად განვითარებული შეგნებისათვის. პირადი უკვდავება დაუცხრომელი ევდემონისტური წყურვილის ნაყოფია და სრულიად უმნიშვნელოა ეთიკურად: პიროვნების ღირსებას არაფერი შეემატება, თუ ის მართლაც სამარადისო ნეტარებას მოიპოვებს. მისი ფასი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გაატარებს ის ამქვეყნიურ ცხოვრებას; ამქვეყნიური ცხოვრების ადამიანურად გატარება კი აუცილებლად გულისხმობს იმ კულტურული კაცობრიობის არსებობას, რომლის ისტორიული ნაყოფი, სხვათა შორის, ზნეობაცაა.

ადამიანობის ყოფნა არყოფნის საკითხების ეს ობიექტური მხარე პლატონის და კანტის ეთიკური სისტემისათვისაც ისევე უმნიშვნელოა, როგორც ქრისტიანობისთვის. სულიერი და მატერიალური კულტურა შეიძლება გაჰქრეს, მაგრამ რა? სად წერია, რომ მან უნდა იარსებოსო, გვიპასუხებენ ისინი: მით უკეთესი უკვდავი სულისთვის და ტრანსცენდენტალური მორალური იდეალისთვის, თუ მათ აღარ დასჭირდებათ ჩამოეშვან ღვთაებრივი სიმაღლეებიდან ამ ცოდვის და მწუხარების უბადრუკ სადგურში.

სწორედ ამ საკითხის სხვათა მიერ უყურადღებოდ მიტოვებულ ობიექტურ მხარეს შეეხო და მას დადასტურებით უპა-

სუხა იმ ეთიკოსმა, რომელსაც შეიძლება ამ ქვეყანაზე არავინ სძაგდა ისე ძლიერად და გულწრფელად, როგორც კანტი, პლატონი და ქრისტიანობა: ფრიდრიხ ნიცშე უკვდავად სთვლის კაცობრიობის კულტურას. ამ რწმენას იგი ძველ პითაგორელებისაგან ნასესხებ, „მუდმივი განმეორების“ ანუ „მსოფლიო წელიწადის“ იდეაზე ამყარებს. სამყარო განუსაზღვრელია დროში, მაგრამ განსაზღვრული სივრცეში; ყოველივე ის, რაც სივრცის მხრივ დაუსრულებელი არ არი, არც შემადგენელ ელემენტთა მხრივ შეიძლება იყოს დაუსრულებელი და უსაზღვრო. ელემენტთა განსაზღვრული რიცხვი, რაც უნდა დიდი და მიუწვდომელი იყოს ის წარმოდგენისათვის, ყოველთვის კომბინაციათა და ურთიერთობათა განსაზღვრულ რიცხვს იძლევა. ამიტომ მუდმივ დაუბოლოებელ დროის განმავლობაში უსათუოდ მოაღწევს ისეთი წუთი, როცა კოსმიური პროცესი დაამთავრებს ყველა შესაძლებელ ურთიერთობას და იძულებული იქნება სავსებით განიმეოროს ერთხელ უკვე განვლილი მდგომარეობა. ერთი და იგივე მიზეზი კი ყოველთვის ერთსა და იმავე შედეგს იწვევს; ამიტომ მსვლელობის ერთი სტადიის განმეორებას, მეორეს და მესამეს განმეორება მოჰყვება. სამყაროსაც აქვს თავისი წელიწადი და თვითეული მათგანი სავსებით წინანდელზეა გამოჭრილი. მეორდება კულტურაც, მსოფლიო განვითარების ეს უმაღლესი გამოხატულება: მარადისობისთვის ცხოვრობს ადამიანი და ყოველი მისი მოქმედება უკვდავების მჭეებზეა აღბეჭდილი.

მთელი ეს პოეტური გონებამახვილობა შემცდარ წინასწარ მოსაზრებაზეა აშენებული. ის შეხედულება, რომ სამყარო სივრცის მხრით განსაზღვრულია და, მაშასადამე, განსაზღვრული ელემენტებისაგან შესდგება, ბერძენთა ასტრონომიის ცდომილებაა და სავსებით ეწინააღმდეგება ახალი დროის მსოფლმხედველობას. ბერძენს კოსმოსი ჰარმონიულ-სფერულ ბურთად აქვს წარმოდგენილი, რომლის ცენტრში ბრტყელი დედამიწა იმყოფება, ხოლო მასზე ადამიანი, მიზანი და გვირგვინი ყოველი არსებულისა. თანამედროვე აზროვნებისათვის კი კოპერნიკის, ჯორდანო ბრუნოს და გალილეის შემდეგ მხოლოდ დედამიწა და სხვა მნათობები არიან სფერული ბურთნი, სამყარო კი გონებისთვის მიუწვდომელი უსაზღვრობაა, რომლის

საიდუმლოება მით უფრო ეზრდება, რაც უფრო ცდილობს მის განათებას მოკვდავის გონებრივი ლამპარი. ადამიანი თავისი კულტურით უმნიშვნელო წვეთია ამ უძირო ზღვაში. განუსაზღვრელია სამყარო როგორც სივრცის, ისე ელემენტთა რიცხვის მხრივ და უცნაური იქნებოდა განმეორებაზე ლაპარაკი იქ, სადაც შესაძლებლობას არასოდეს არ უჩანს დასასრული.

თვით განმეორებასაც მხოლოდ მაშინ ექნება აზრი და მნიშვნელობა სულიერი კულტურისათვის, რომ ადამიანს შერჩენოდა მახსოვრობაში წარმოდგენა წინანდელ არსებობაზე: რაც ცნობიერებისათვის არ არსებობს, ის უმნიშვნელოა კულტურული მსვლელობისთვის, უკვდავებაზე ლაპარაკი იქ არ შეიძლება, სადაც ერთი ხანმოკლე მომენტი მეორე მომენტისაგან ბნელი შეუგნებელი უფსკრულითაა გაყოფილი: ასეთ შემთხვევაში „განმეორება" არ განირჩევა ხელახალი წარმოშობისაგან, ხოლო „უკვდავება" სიკვდილისაგან.

რაც შეეხება ნიცშეს შეხედულებას, რომ ცხოვრების ღირებულება — მდგომარეობს არა მთლიანობაში, არამედ მის უდიდეს გამოხატულებაში, მის უძლიერეს ეგზემპლარებში, ცხადია, ის ამით ხელახლა ადამიანურ ცხოვრებას საშუალებად ხდის იდეალური ყოფნის ან „ზეკაცობისათვის" და ძალაუნებურად უახლოვდება მის მიერვე ათვალისწუნებულ ეთიკურ მიმართულებებს. „დიადი, განუმეორებელი წუთების" გადაჭარბებული დაფასება კი მას „ბედნიერების მორალს" უნათესავებს, თუმცა თვით ის უარყოფს ამ არასასიამოვნო ნათესაობას.

3

„ბედნიერების მორალი" ისევე ძველია, როგორც ფილოსოფიური ეთიკა საზოგადოდ, იმიტომ, რომ სოკრატი შეიძლება სრულიად სამართლიანად ჩაითვალოს როგორც ერთის, ისე მეორის მამამთავრად. არა ბოროტი ნებისყოფა, არამედ ინტელექტუალური სისუსტე, უცოდინარობა არის წყარო ზნეობრივ სიდუხჭირისა და შეცოდებისა, ცოდნის და უცდომელ აზროვნებისაგან კი აუცილებლად სიქველე და სათნოება გამომდინა-

რეობს. არავინ ჩაიდენს განზრახ ბოროტებას, არავინ მისცემს მას უპირატესობას სიკეთის წინაშე, იმიტომ რომ ბოროტების შედეგი უბედურებაა, კეთილმოქმედების შინაგანი ეფექტი კი ბედნიერება და კმაყოფილება. ბოროტი ნებისყოფა საზოგადოდ არ არსებობს, ვინაიდან შეცოდების და ბოროტების მიზნად დასმა უბედურების ნდომა იქნებოდა, უბედურება კი არავისთვის არ არის სასურველი, საზოგადოების და პიროვნების ბედნიერებაა ზნეობრივი მოქმედების საშინჯი და საბოლოო მიზანი ანუ, უკეთ ვთქვათ, უშუამავლო ეფექტი.

მაგრამ ბედნიერების ცნების ფორმალობა და ნაკლოვანება თითქმის მაშინვე გამოაშკარავდა, როგორც კი წამოყენებული იქმნა იგი ფილოსოფიური ეთიკის მსგავს პრინციპად. რა არი ეს ბედნიერება? ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ბედნიერებას არა სთვლიდეს თავის შეგნებული ლტოლვის მიზნად, მაგრამ იშვიათად მოიძებნება ორი ისეთი პიროვნება, რომელთაც ერთი და ივიენ შინაარსი შეჰქონდეთ ამ გამოურკვეველ საგანში. ხშირად ერთი უდიდეს ბედნიერებად სთვლის სწორედ იმას, რასაც მეორე შეიძლება უსაშინელეს უბედურებად მიიჩნევდა. და მართლაც, ორივე ის ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ეთიკური სკოლა, რომელიც სოკრატის მოძღვრებისაგან გამოვიდა, ევდემონიას აღიარებს ზნეობრივი მოქმედების მიზნადაც და უდიდეს სიკეთედაც. მაგრამ მაშინ, როცა ანტისთენისა და ცინიკურ მიმართულებისათვის, მისი შინაარსი მოთხოვნილებათა შემცირებაში და აღკვეთაში, გარეშე ძალთაგან დამოკიდებულებასა და თავისთავად კმაყოფილებაში, უბრალოებასა და ბუნებრიობაში მდგომარეობს, არისტიპოსისა და ცირენაიკელებისთვის ის, პირიქით, აუცილებლად უზრუნველ განცხრომას, მეტ სიამოვნებას, ცხოვრების სიხარულს, მოხერხებულ მომენტით სარგებლობას და ცხოვრების ფიალის ბოლომდის დაცლას გულისხმობს. ცინიკოსი ბედნიერებას ცარიელ კასრშიც კი პოულობს და სავსებით კმაყოფილი იქნებოდა, რომ ალექსანდრე მაკედონელი წინ დგომით გამათბობელ მზის სხივებს არ დაუფარავდეს, ცირენაიკელისთვის კი ბედნიერება მხოლოდ ცხოვრების მხიარულსა და შფოთიან ნაციმშია, ისევე ხანგრძლივში, როგორც თვით ამქვეყნიური არსებობა. ძნელია უფრო თვალსაჩინო განსხვა-

ვებინ წარმოდგენა, ვიდრე ისაა, რომელიც ამ ორ მიმართულებას ჰყოფს თუმცა ორივეს თითქო ერთი და იმავე „ბედნიერების“ ძიება უძევს საძირკვლად. რა აქვს ცინიკურს და ჰედონისტურს „ევდემონიას“ საერთო, გარდა უშინაარსო სქემისა, უსისხლხორცო ცნებისა?

შემდეგაც თვითეულ ეთიკურ მიმართულებას თავისებურად ესმის ბედნიერება და თვითეული მათგანი განსხვავებულ სურათს ხატავს ცარიელ „ევდემონისტურ“ ჩარჩოებში. მაგრამ სქემატური ჩარჩო მაინც სქემატურ ჩარჩოდ რჩება, ჩონჩხისებური ფორმა კი არასოდეს არ შეიძლება ჩაითვალოს ისეთი რამის მიზნად, რაც თვითონ ცხოვრების განუზომელი შინაარსითაა აღვსილი. ყოველ ჭეშმარიტად ზნეობრივ მოქმედებაში, რა გინდ მცირედი და უმნიშვნელო იყოს იგი პირველი შეხედვით, ძლიერ მრავალმხრივი, ხშირად მიუწვდომელი და განუსაზღვრელი ფსიქიური განცდანია დამალული, რომელნიც არასოდეს არ მოთავსდებიან ვიწროდ გამოჭრილ ჩარჩოებში და არც შეეპუებიან მათ გასარღვევად.

ევდემონისტია დიდი არისტოტელეც. ეს ერთი მუდმივ შეურყეველი ქვაკუთხედთაგანი ყოველგვარი ადამიანური ცოდნისა, პიროვნება, რომელმაც თითქო მართლაც ერთ „მეში“ რამდენიმე მოათავსა და განახორციელა. მაგრამ მას თავის მხრივ კიდევ სულ სხვანაირად ესმის ზნეობრივი იდეალისა და უდიდესი სიკეთის შინაარსი: მისი ევდემონია აშკარად განსხვავდება როგორც სოკრატის ცალმხრივი ინტელექტუალური მორალის და პლატონის ტრანსცენდენტალური ნეტარებისა, ისე ცინიკურ და ჰედონისტური კმაყოფილებისაგან.

ყოველი ლტოლვა, როგორც თეორეტიკულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, აუცილებლად რაიმე სიკეთისკენ არი მიმართული. დიდია ამ სხვადასხვა სიკეთის რიცხვი და ვითარებითი განსხვავებაც არსებობს მათ შორის; თვითეულ მათგანს ფასი აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მეორე უფრო მაღალი სიკეთის საშუალებად ითვლება; მაგალითად, ჯანსაღობა ძვირფასია მხედრისთვის სიმამაცის მისაღწევად, ხოლო სიმდიდრე — ხელგაშლილი ადამიანისთვის ქველმოქმედების საწარმოებლად ან ცხოვრების სიტკბოების მაძიებლისათვის სწორედ ამ სიტკბოების შესაქმნელად. თავის მხრივ სიმამაცე. ქველ-

მოქმედება და სიამოვნება საშუალებანი არიან გამარჯვებისა და კეთილდღეობისთვის, მაგრამ არსებობს ერთი სიკეთე, რომელიც შეადგენს ყოველი ლტოლვის უკანასკნელ მიზანს და რომელიც აღარ შეიძლება სხვა რაიმე უფრო მაღალი ღირებულების საშუალებად ჩაითვალოს; ეს არის ბედნიერება, მდგომარეობის სისრულე, დამაკმაყოფილებელი თავისთავად, სხვა ნივთის დაუდასტურებლადაც.

რაღაა შინაარსი იმ სრულყოფისა, რა უნდა ჩაითვალოს ადამიანისათვის უდიდეს ბედნიერებად? თავისი განსაკუთრებული ბუნების მიხედვით მოქმედება, ე. ი. უწინარეს ყოვლისა, აზროვნება, გონებრივი შემოქმედება, ფილოსოფიური შემეცნება! ყოველი არსებისათვის ბედნიერების უტყუარი წყარო იმ სპეციფიკურ ძალთა და თვისებათა ხეირიანად მოხმარებაა, რომელნიც მისთვის მიუნიჭებია ბუნებას, როგორც მაგალითად, მუსიკის ვარგულობა ძლიერ მუსიკალურ ნიჭში აშკარავდება, ხოლო მოქანდაკისა — ძლიერ მხატვრულ შესაძლებლობაში, ისე ადამიანის ერთეული სიავკარგე საზოგადოდ უპირველესად მისი განსხვავებული ნიჭის მოქმედებაში ისახება. ადამიანობის დამახასიათებელი ნიჭი კი, რომელიც მას ყველა არსებაზე მაღლა აყენებს, გონებაა. ამიტომ სიბრძნე — სინტეზი ბუნებრივ ჭკუისა და შეძენილი მეცნიერებისა — არი უდიდესი სათნოება, ხოლო თეორეტიული შემოქმედება ანუ აზროვნება — ჭეშმარიტი შინაარსი სრული ევდემონიისა.

დიადია ის სიამოვნება, რომელიც გონებრივი შემოქმედებისაგან გამომდინარეობს; ღვთაების და უკვდავების სიახლოვეს გრძნობს აქ ადამიანი და ამიტომ მას შეშვენის რაც შეიძლება ინტენსიურად და ფართოდ ისარგებლოს ამ თავისი ზეციური უპირატესობით. მაგრამ მის ბუნებაში მოქმედებს ბევრი სხვა ნიჭიც, რომელნიც უნათესავებენ მას სხვა დაბალ არსებათ: აფექტნი, ვნებათა ღელვანი, გრძნეული გულისთქმანი და ნდომანი. აქ ზნეობრივი პიროვნების ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ ერთის მხრივ, მათ შორის ჰარმონია შექმნას და განამტკიცოს, ხოლო, მეორე მხრით, მთელი ეს სფერო გონების ბატონობას დაუქვემდებაროს. ესაა საძირკველი კეთილი ნებისყოფისა: ორ უკიდურეს გულისთქმას შორის პიროვ-

ნება ეძებს სწორ საშუალო მდგომარეობას და საზრიან მიზანთა შუქით ანათებს მას.

მთელ ამ ეთიკურ აზროვნებისაგან ნათლად გამოსჭვივის გადამეტება ჭკუა-გონების მნიშვნელობისა. იმ ხალხის წარმომადგენელი, რომელიც თითქმის ყოველგვარ შრომას, გარდა ხელოვნებისა და ფილოსოფიისა, პოლიტიკისა და ომისა, სამარცხვინოდ და დამამცირებლად სთვლიდა, თეორეტიკული შემოქმედების და დატკბობის გარეშე მართლაც ბედნიერებას სრულ ბედნიერებად ვერ მიიჩნევდა. მაგრამ გადაჭარბება სხვა მხრივადაც არის საგრძნობელი. დღეს ჩვენთვის საიდუმლოებას არ შეადგენს არა მარტო ის ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი ადამიანობა ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე გონებრივი შემოქმედება და შეთვისება, რომ შეიძლება მის განსხვავებულ ბუნებას სხვა ფსიქიური თვისებანი არა ნაკლებ ახასიათებენ, ვიდრე მშრალი თეორეტიკული განსჯა და მოსაზრება: ჩვენ არც თეორეტიკულ „ბედნიერებას“ და „სათნოებას“ ვაყენებთ ისე მაღლა. შემეცნების სფეროში ჩვენ ნაგემები გვაქვს მწარე ნაყოფი იქვიანობისა და სკეპტიციზმისა, გონებრივი მომწიფების შედეგი, ბევრგზის უცნობი დოგმატიურის რწმენით გამსჭვალული ელინური ფილოსოფიისათვის. „რა არს ჭეშმარიტება?“, — ვკითხულობთ ჩვენ პილატესავით და როგორც მას, ისე აღარც ჩვენ არ გვაკმაყოფილებს ის პასუხი, რომელსაც ქრისტე იძლევა ამ საკითხზე. სრული ჭეშმარიტება სფერიულ წრეში მომწყვდეული არ აღმოჩნდა და არც ისე ადვილად ხდება კაცობრიობის საკუთრებად, როგორც ეს ბერძენ კოსმოლოგებს ეგონათ, ან პლატონს და არისტოტელეს. იმის შესახებ ხომ ლაპარაკიც მეტია, რომ ბევრისთვის ჩვენ შორის მძიმე უსიამოვნო ტვირთია უკვე თავისთავად, იმისდა მიუხედავადაც დამაკმაყოფილებელ შედეგებამდე მიიყვანს ის თუ არა. სადღაა ბედნიერება?

და კიდევ ერთი ახალი პასუხი და კიდევ ერთი ახალი ევდემონისტური სისტემა ფილოსოფიურ ეთიკაში: ბედნიერება სიამოვნებაშია, მაგრამ არა წუთიერში, არა ყოველგვარში, როგორც არისტიპოსს ეგონა, არამედ გამტან, ხანგრძლივ კმაყოფილებაში, ირწმუნება ეპიკურეიზმი. არსებობს სიამოვნებათა თავისებური სკოლა. გონებრივი და ზნეობრივი ცხოვრების ხე-

ლოვნება, რომლითაც ადამიანი განსხვავდება მომენტის მიერ დამონებულ ცხოველისაგან, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის ხელმძღვანელობს ინდივიდუალური მთლიანობის იდეით და ცდილობს საბოლოო ბალანსი გადახაროს კმაყოფილებისა და სიხარულისაკენ; ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი უპირატესობას აძლევს უფრო საიმედო და მაღალ სიამოვნებათ დაბალ და საეჭვოთა წინაშე. მხოლოდ ის არსებობაა ბედნიერი, რომელშიაც ჯანსაღ და ბუნებრივ სიამოვნებათა ჯამი სჭარბობს ტანჯვის და მწუხარების ჯამს.

მაგრამ თუ მართლაც სიამოვნება უდიდესი სიკეთეა, ხოლო ტანჯვა უდიდესი ბოროტება, თუ მათ ზევით არა არსებობს რა, რასაც დამოკიდებული დადებითი და უარყოფითი ღირებულება ჰქონდეს, თუ მხოლოდ ისინი არიან ყოველი ზნეობრივი მოქმედების საზომი, მაშინ როგორღა შეიძლება „ნამდვილი“ და „ბუნებრივი“ სიამოვნების გამოყოფა „არანამდვილისა“ და „არაბუნებრივისაგან“. სადღაა კრიტერიუმი, რომლითაც ეპიკურეიზმს შეუძლია ისარგებლოს, როცა ის მაგალითად, გონებრივ სიხარულს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ხორციელ კმაყოფილებას. განა სილაღის გრძნობა კარგი სადილის შემდეგ ისევე ბუნებრივი არ არი, როგორც კარგი რომანით ან კარგი მუსიკით დატკბობა. ჰედონიზმი იძულებულია უარყოს პრინციპიალური განსხვავება სიტკბოებასა და სხვადასხვა შესაძლებლობას შორის, თუ მას არა სურს აუხსნელ წინააღმდეგობაში ჩავარდეს თავისსავე თავთან. თუ მართლაც მხოლოდ სიამოვნებაა აბსოლუტური სიკეთე და მიზანი მორალური შემოქმედებისა, მაშინ დასადასტურებელია ყოველი სახე ამ გრძნობისა, რომელიც კი რეალურად არსებობს ადამიანის შეგნებაში, პირუტყვული იქნება ის თუ ღვთაებრივი. ჰედონიზმისთვის ხომ სხვა უფრო დიდი ღირებულება არ არსებობს, რომლის თვალსაზრისით შეიძლებოდეს სხვადასხვა სიამოვნებათა და სიტკბოებათა ღირსების გაზომვა, ზოგის მიღება და ზოგის კიდევ უარყოფა.

არა ნაკლებ საყურადღებო და მნიშვნელოვანია მეორე შეურიგებელი წინააღმდეგობა, რომელშიც გაება ეპიკურეიზმი და რომელიც საბედისწერო აჩრდილივით დასდევს თან ყოველ ჰედონისტურ სისტემას დღევანდელ დღემდე. ზნეობრივად

სრული და იდიალური მდგომარეობის მისაღწევად, ამ მორალის მიხედვით, საჭიროა ყოველივე ტკივილის, მწუხარების და უსიამოვნების მოსპობა, ან, ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე შემცირება და სულიერი ნეტარების და შეუშფოთებელი მშვიდობის მაქსიმალურად აყვანა, განმტკიცება. მაგრამ სიტრფოების მოტრფიალეთა სავალალოდ ადამიანის ბუნება, როგორც სხვა მგრძნობიარე ორგანიზმიც, სწორედ ისეა მოწყობილი, რომ თითქმის ყოველი ინტენსიური სიამოვნება აუცილებლად წინასწარ უსიამოვნებას გულისხმობს და თავის აღმგზნებ მიმზიდველობას დაჰკარგავდა, რომ ის არასასურველი მდგომარეობა არ მიუძღოდეს წინ. ვისაც შიმშილის, წყურვილის და სიცივის მტანჯველი უსიამოვნება არასოდეს არ განუცდია, ის ვერც ფიზიკურად დაკმაყოფილების და გათბობის სიამოვნებას იგრძნობს მთელი შესაძლებელი სიძლიერით. ვინც არ იცის, რა საშინელია საყვარელი საგნის დაკარგვა, ის ვერც საუნჯის ქონას დააფასებს ღირსეულად. მუდმივ მაძღარნი და მუდმივ უზრუნველყოფილნი ხშირად მოკლებულნი არიან იმ „ბედნიერებას“, რომელსაც საწყალი მუშა გრძნობს, როცა შავი პურით თავის შრომისაგან და ზრუნვისაგან დასუსტებულ სხეულს აკმაყოფილებს.

ჰედონიზმი იმავე შტოს სჭრის ძირში, რომელზედაც თვითონ ზის: მოსპეთ უსიამოვნებისა და ტანჯვის წყაროები და დაინახავთ, რომ მასთან ერთად დაშრება სიამოვნების და სიხარულის ბევრი ანკარა რუც, რომელნიც ასე ძვირფასნი არიან თვით იმ მორალისტებისთვის. ეს ორი გრძნობა მოპირისპირე შესაძლებლობანი არიან ერთი და იმავე ემოციონალური მიმართულებისა და ერთი მათგანის აღმოფხვრა მეორეს კი არ გააძლიერებდა, არამედ პირიქით, თან გაიყოლებდა და, მაშასადამე, სულიერი კმაყოფილების მაგიერ რეზიგნაციას ან შტერულ გულგრილობას გამოიწვევდა. ეს გარემოება კარგად ესმოდათ ისეთ ღრმა მოაზროვნეთ, როგორიც იყვნენ პლატონი და შოპენჰაუერი და თუ ის ჰედონისტებისთვის აქამდის საიდუმლოებად რჩება, ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ მათ უმეტეს ნაწილად სასურველი ფილოსოფიური სიღრმე აკლიათ, არამედ იმითაც, რომ მათ აბრმავებთ მუდმივ სანატრელი სიამოვნების ელვარება.

კერძოდ ეპიკუროსის და მის რომაელ მიმდევართა შესახებ ეს, რასაკვირველია, არ ითქმის: არც თეორეტიული გონებასა-მახვილე რელიგიურ ცრუმორწმუნოებასთან ბრძოლაში, არც ბუნებრივი კეთილშობილება ზნეობრივ მოქმედებაში, მათ არ აკლიათ. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი და არც მეორე არ გამომდინარეობს პირდაპირ მათი ეთიკური მსოფლმხედველობის საფუძველთაგან. პირიქით ამ თეორეტიულ საფუძველთაგან წინასწარ მოსაზრებებს სავსებით და ჰარმონიულად ეთვისებიან ის სპეციალური დარიგებანი, რომელთაც ისინი იძლევიან „სათნოების" მისაღწევად: განშორება ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, მარტოობა, მოთხოვნილებათა შეკვიწროება, ეგოისტობა, უყურადღებობა თანაარსთა ჭირ-ვარამის და სოფლის მღელვარებისადმი, უმოქმედობა და პასიური თეორეტიული შემეცნება, ცხოვრების გაღარიბება და გაყინვა ამქვეყნიური ნეტარების სახელით, — აი, ზნეობრივი იდეალი, რომელიც უანდერძა ეპიკურეიზმმა ყოველ ხალხთა და დროებათა მომავალ ჰედონისტებს.

* * *

ჩვენ აქ არ ვფიქრობთ იმ ხშირად სავსებით ერთიმეორესთან შეურიგებელ ეთიკურ შეხედულებათა ისტორიის წერას, რომელთაც გარეგნულად მხოლოდ ევდემონიზმის სახელი აერთებთ. ყოველი ევდემონისტი, ჰედონისტი თუ უტილიტარისტი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მხოლოდ იმის მიერ წამოყენებული ზნეობრივი იდეალი ფარავს ჭეშმარიტი ბედნიერების შინაარსს, მაგრამ საკმაოა ცოტათი დაუკვირდე კაცი ამ რწმენას და მტკიცებას და ძლიერ ადვილად აღმოჩნდება, რომ რაც მას ჭეშმარიტებად მიაჩნდა, ის მხოლოდ ერთი მხარეა ნამდვილი ჭეშმარიტებისა, ხოლო რაც ცხოვრების იდეალად — ის ამ ცხოვრების მრავალმხრივობის სიმდიდრის სუსტი აჩრდილია. ადვილად მოსაქნელ ზნეობრივ ფორმულაში თვითეულს სწორედ ის იდეალი შეაქვს, რომელიც მისი პიროვნებისთვის არი ძვირფასი და მახლობელი, ადამიანური ცხოვრების დანარჩენ შინაარსს კი ცალმხრივად გაგებული მიზნის საშუალებად ხდის.

ასე ფართოდ გაგებულ ევდემონიზმის ფარგლებში ბევრი ახალი ფილოსოფიის და მოაზროვნის მოთავსება შეიძლება თავისუფლად. ევდემონისტურად აზროვნებს რამდენიმე გამოჩენილი წარმომადგენელი აღორძინების ხანისა და განსაკუთრებით იტალიაში. შემდეგ ბეკონი, რომელიც კეთილსა და სასარგებლოს სრულ იგივეობად აღიარებს. აგრეთვე ჰობსი თავისი უკიდურესი მატერიალისტური და ინტელექტუალისტური მორალით, რომლის სფეროდან ყოველი გრძნობა და გულისთქმა გადევნილია: ადამიანი თავის მოქმედებაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა ემოციონალური მოტივებით, არამედ მხოლოდ გონებრივი ანგარიშით და მოსაზრებით. ზნეობრივი მოქმედება ის არი, რომელსაც სარგებლობა მოაქვს, უზნეობა კი გონების უბრალო შეცდომაა, იმიტომ რომ განზრახ თავის საზარალოს არავინ ისურვებს. სხვაფრივ კი თვით სახელმწიფომ უნდა დააკანონოს პრაქტიკულად, თუ რა უნდა ჩაითვალოს ცალკე შემთხვევებში ზნეობრივად, სასიქადულოდ და რა სამარცხვინოდ, როგორც ის უბრძანებს, თუ რა უნდა იქმნას აღიარებული სარწმუნოებად და ცრუმორწმუნეობად.

სპინოზას მორალი კი უკვე სავსებით აღარ თავსდება ამ ფარგალში: ყოველი საგანი ცდილობს, რაც მასში არი, თავის არსებობაში შეინახოსო, ამბობს სპინოზა თავის „ეთიკაში“ და ამით მთელი რაციონალისტური აზროვნების ერთ ძირითად დებულებას ნათლად ხატავს, იმ მკვეთრი ინდივიდუალიზმისა, რომელიც თუმცა ხშირად უერთდება მეტაფიზიკურ უნივერსალიზმს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ზნეობრივ პიროვნებაში მთელ ქვეყანას ხედავს, თავისთავად არსებულს და გარეშე თანაარსთა მიერ დამოკიდებულს. არა მარტო არსებობის შენახვა, არამედ მისი გაფართოებაა — ამ შეხედულების წინააღმდეგ — თანამედროვე მორალის ერთი ძირითადი პრინციპი.

თავისი მეტაფიზიკური მსოფლმხედველობის მიხედვით სპინოზა უარყოფს წინააღმდეგობას სავალდებულოსა და არსებულს შორის: ბუნება და ყოველი მისი მოვლენა აუცილებლად ისე არსებობს, როგორც უნდა არსებობდეს. ზნეობრივს და არა ზნეობრივს მხოლოდ ადამიანის განსაზღვრულ შემეცნებისთვის აქვს მნიშვნელობა, თვით ღმერთი ანუ სუბსტანცია, ე. ი. ნამდვილი ბუნება, არც ბოროტია და არც კეთილი, ეს ამ

ეიწრო წინააღმდეგობათა ზევით იმყოფება და თავის ყოფნისთვის არავითარ მორალურ გამართლებას არ საჭიროებს:

სპინოზას თანამედროვე ჯონ ლოკი — პირიქით, ნათლად გამოკვეთილი უტილიტარისტია, ბეკონის და ჰობსის ეთიკური ტრადიციების ღირსეული მემკვიდრე და გამამტკიცებელი. საერთოდ ძლიერ საყურადღებო და დამახასიათებელია, რომ ბედნიერებისა და სარგებლობის მორალმა ძლიერად სწორედ იმ ხალხში გაშალა ფრთები, რომელიც თანამედროვე ერთა შორის შეიძლება ყველაზედ მეტად წააგავს ძველ რომაელებს. თითქმის ყველა შესანიშნავი ევდემონისტური სისტემა ბეკონიდან დაწყებული მილლის და სპენსერამდე დიდი ბრიტანეთის ნიადაგზე აღმოცენდა. ანგლო-საქსონთა ამაყმა და ძლიერმა ტომმა, ამ თანამედროვე მნიშვნელობისა და მსოფლიოს ვაჭრობის შემქმნელმა ხალხმა თავის მატერიალურ ნაწარმოებთან ერთად მთელ ქვეყანას მოსდო ის სპეციფიკურად ვაჭრული და კეთილშობილი ანგარიშიანობის მორალი, რომელიც განმარტოებული ალბიონის საუკეთესო შვილებმა შეიმუშავეს, ინგლისის ერი თითქმის განგებ შეუქმნია ბუნებას გულგრილი და უკანდაუხვევი პრაქტიციზმის განსახორციელებლად: თავისი სრული უნიჭობა ისეთ სავსებით არაპრაქტიკულ ხელოვნებაში როგორიც მუსიკაა, მან კარგა ხანია ისევე ბრწყინვალედ დაამტკიცა, როგორც სოციალური პოლიტიკის და აღებ-მიცემობის სფეროში, პირიქით, შეუდარებელი სიმარჯვე და ყოჩაღობა; მთელი ქვეყნის მბრძანებლად და არისტოკრატიად აღიარა მან თავისი თავი, იმიტომ რომ მთელს ამ ქვეყანას თავისი ეგოისტური მიზნების საშუალებად სთელის, ძლიერი ინტელექტით და რკინისებური ნებისყოფით აღჭურვილმა, მან გასაოცარი უგრძნობლობა გამოიჩინა თითქმის ყველა იმაში, რაც სხვის ჭირ-ვარამს ეხება და, პირიქით, გადამეტებული მგრძნობიარება იმისადმი, რაც მის თავმოყვარეობას ეთანხმება ან ეწინააღმდეგება. ინგლისში, სადაც მუშები პოლიტიკური და უტილიტარული მოსაზრებით ხშირად კონსერვატორობენ, ხოლო ბურჟუები რადიკალობენ, ალბათ მართლაც იშვიათია ზნეობრივი მოქმედება, რომელსაც წინ მისი სარგებლიანობის ჭკვიანი აწონ-დაწონვა და გამოანგარიშება არ მიუძღვოდეს.

ბენტამი არი ტიპიური წარმომადგენელი ამ პატიოსან და

სინდისიერ აღებ-მიცემობაზე დაფუძნებული „ჰედონისტური სათნოებისა“ და მორალისა, ის იერარქია ბენტამი, რომელიც მარქსმა თავის „კაპიტალში“ მისთვის ჩვეული ულმობელი დაცინვის მიზანში ამოიღო. იგი მიემხრო არსებითად უკვე ლოკის, ჰიუმის და სტიმის მიერ გამოთქმული „სოციალური ბედნიერების“ პრინციპს და მთელი თავისი რეფორმისტული თეორია და პრაქტიკა მასზე ააშენა, უდიდესი სიკეთე, ყოველი ზნეობრივი მოქმედების მიზანი საყოველთაო კეთილდღეობაა, „შესაძლებლად დიდი რიცხვის დიდი კეთილდღეობა“ ანუ „ბედნიერების მაქსიმაცია“. ბედნიერება და სიამოვნება კი განსაზღვრულ მიზეზობრივ დამოკიდებულებაში იმყოფება ქონებასა და სიმდიდრესთან; ვინც უფრო შეძლებულია, ის ჩვეულებრივად უფრო ბედნიერიცაა, მაგრამ ეს ბედნიერება არ მატულობს იმავე პროპორციით, როგორც შეძლება, არამედ ყოველთვის უკან რჩება მას; მაგალითად, არ შეიძლება ითქვას, ორჯერ უფრო მდიდარი ორჯერ უფრო ბედნიერი და კმაყოფილიც იყოს. ამიტომ, დაასკვნის ბენტამი, სასურველია საკუთრებათა წინააღმდეგობის შემეცნება, მისი დაახლოება გათანასწორებასთან და საშუალო მესაკუთრეთაგან შემდგარი საზოგადოება უფრო ინტენსიურად იგრძნობს კეთილდღეობის მცირე მომატებასაც. სრული გათანასწორება და მით უმეტეს სოციალიზმი კი, თუმცა ისინი შეხედულებებისაგან ლოგიკურად უნდა გამომდინარეობდნენ. ბენტამის აზრით, სრულიად არაა მისაღები სხვადასხვა მოსაზრების გამო, რომელიც უმეტეს ნაწილად მის საიდუმლოებად დარჩა.

ამ უცნაურ „ეთიკას“ საძირკვლად არა ნაკლებ უცნაური „ფსიქოლოგია“ უძევს. თავდაპირველად ადამიანი აუცილებლად ეგოისტია ბენტამის აზრით; ის სრულ იმმორალისტურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან იმის მოქმედებას მხოლოდ პირადი კეთილდღეობის მოტივები ხელმძღვანელობდნენ. მაგრამ შემდეგ ის ამჩნევს, რომ მისთვისავეა სახელდახელო და სასარგებლო ხანდახან თავი ალტრუისტადაც აჩვენოს. ბოლოს კი, განმეორებითი ცდის და დაფიქრების შემდეგ, ის რწმენამდე მაღლდება, რომ არა თუ ნაჩვენები და ილუზიონური, არამედ ნამდვილი ალტრუიზმიც ხელსაყრელი ყოფილა მისი კერძო ინტერესებისათვის. ამ ჭეშმარიტების დანახვის შემდეგ

ადამიანი ზნეობრივ არსებად ხდება და მისი მოქმედება იმით იზომება, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას საზოგადოებისათვის: ეთიკურად სასიქადულო მხოლოდ ის ნაბიჯებია, რომელსაც სოციალ-ალტრუისტული მოტივები უდევთ საძირკვლად და დასაგმობია ისეთნი, რომელნიც ვიწრო ეგოისტური სარგებლიანობის თვალსაზრისს ვერ გასცილებიან.

ამგვარი სიბრძნის წინააღმდეგ ვუნდტმა, თავის „ეთიკაში", თუ არა ვცდებით, სამართლიანად შენიშნა, სინამდვილისაგან მოჩვენების წარმოშობა ძლიერ ადვილი შესაძლებელია, მაგრამ მოჩვენებას რომ სინამდვილე შეექმნას, ეს ჯერ არ გაგონილაო. პირფერული და ნაძალადევი სანტიმენტალობით თამაში ძლიერ გავრცელებული ხელოვნებაა, მაგრამ აქედან გულწრფელი გრძნობა არ დაბადებულა და არც როდისმე დაიბადება. გრძნობა არითმეტიკული დასკვნა არაა, რომ მისი ბუჰალტერულ წიგნებიდან ამოკითხვა შეიძლებოდეს. ვინც გაუსწორებელ ეგოისტად გაჩენილა, იმას ვერავითარი მშრალი რაციონალური რეფლექსები, თუნდ უუსათნოეს უტილიტარიზმისაგან აღებულნი, თავგანწირულ ალტრუისტად ვერ გარდაქმნის. და თუ დღეს ჩვენ ვამჩნევთ, რომ ადამიანი ყველგან (მე სახეში მყავს ნამდვილი ადამიანი და არა მხოლოდ ადამიანის სახელის მატარებელი) „მეს" გრძნობასთან ერთად თანაგრძნობის ნიჭითაც არის აღჭურვილი, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ როგორც ეგოისტური, ისე სოციალური გრძნობა შეგნების პირველყოფილი ფაქტია და მათი ერთიმეორეს გარეშე წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია. არავითარ ევოლუციას არ ძალუძს დამოუკიდებელი ეგოიზმიდან თანდათან ჭეშმარიტი ალტრუიზმი გამოიყვანოს; ასე „განვითარებული" ალტრუისტული თუ სიმპატიური გრძნობა მართლაც მუდმივ აჩრდილად და მოჩვენებად დარჩება. როგორც სუბიექტის, ე. ი. „მეობის" შეგნება გულისხმობს ობიექტის, თვით „არამეობის" წარმოდგენას და ევოლუციურად მისგან არ შეიძლება გამოვიდეს, ისე „მეს" დაფასებაც აუცილებლად პარალელურად მისდევს თანაარსთა დაფასებას და სიყვარულს, წინ კი ხანგრძლივად ვერასოდეს ვერ გაუსწრებს. თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტია ის გარემოება, რომ ადამიანები, რომელთა თვალში სხვის ცხოვრებას ღირსება დაკარგუ-

ლი აქვს, თავის თავსაც ძლიერ იაფად აფასებენ და თვითმკვლელობას ადვილად სჩადიან.

პირველყოფილი ადამიანი, რასაკვირველია, სრულიადაც არა გავს იმ ანგელოსს, რომლადაც ის რუსსომ მიიჩნია, მაგრამ ის არც მხოლოდ მძაფრი ეგოიზმით გამსჭვალული მხეცია, როგორც ეს ჰობსს ეგონა. ამ მხრივ სცდება არა მარტო ინგლისის მატერიალიზმის შემქმნელი ლოკსა და ბენტამთან ერთად, არამედ თვით ჰერბერტ სპენსერიც, რომლის მიხედვით ალტრუისტული გრძნობანი მემკვიდრეობის პრინციპის საშუალებით თანდათან ვითარდებიან ეგო-ალტრუისტულთაგან, ისევე, როგორც თავის მხრივ ეს უკანასკნელი ევოლუციონურად წმინდა ეგოისტურ სულიერ მოძრაობათაგან გამოდიან. პირიქით, ლორდი შეუფსტბერი, ძველ ეთიკოსთა შორის, თანამედროვე ფსიქოლოგები ლიპპსი, ვუნდტი და სხვანი, რომელნიც ალტრუიზმს და „თანაგრძნობას“ ისეთსავე დამოუკიდებელ და პირველყოფილ ფსიქიურ ფაქტად სთვლიან, როგორც ეგოიზმს და „მეს გრძნობას“, ჩვენის რწმენით, სავსებით ეთანხმებიან საქმის ნამდვილ ვითარებას.

სოციალური აფექტი სწორედ ისეთ ისტორიულ დამოკიდებულებაში იმყოფება ინდივიდუალურთან, როგორც საზოგადოება პიროვნებასთან. ეს უკანასკნელი კი თუმცა შეუწყვეტელ ურთიერთობაში ვითარდებიან ისტორიულად, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება, რომ ერთი რომელიმე მათგანი აღმოცენდა ევოლუციონურად მეორეს ნიადაგზე. პირიქით, ურთიერთობა მხოლოდ იქაა შესაძლებელი, სადაც ორი დამოუკიდებელი ძალა მაინც არსებობს; საზოგადოება არაა ისტორიული შედეგი ცოტად თუ ბევრად განვითარებული ინდივიდუალობის რაციონალური და უტილიტარული ანგარიშისა და მოსაზრებისა, მაგრამ არც პიროვნებაა, პირიქით, მხოლოდ სოციალურ ევოლუციის ნაყოფი. კაცობრიობის ისტორიის შესავალში არც სრულიად განმარტოებული ინდივიდუალობა დგას, არც სავსებით ინდივიდუალურ თვისებებს მოკლებული უპიროვნო ჯოგი. ამ საყურადღებო გარემოებას ხშირად ივიწყებს როგორც უკიდურესი „ინდივიდუალისტური“, ისე უკიდურესი „კოლექტივისტური“ მსოფლმხედველობა; თანამედროვე კულტურულ საზოგადოებასა და პიროვნე-

ბასთან შედარებით ველური ურდოც და ველური ინდივიდუალობაც, რასაკვირველია, საცოდავ, განუვითარებელ ჩანასახად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ჩანასახნი პარალელურად არსებობენ. მათი არსებობის ფსიქიური გამოხატულება კი „მეს გრძნობა“ ან „ეგოიზმი“ და „თანაგრძნობა“ ან „სიმპატიაა“. პირველყოფილი ადამიანი არც ანგელოსია და არც სათაელი; მის ბუნებაში სწორედ იგივე ძალა და ნიჭი სთვლემს, რომელიც შემდეგ კულტურულ განვითარებაში მძლავრად და ყოველმხრივად იშლება.

* * *

თვით ის „ეთიკური“ ზედნაშენი უტილიტარული ფილოსოფიისა, რომელიც ამ სუსტ, ნაკლოვან ფსიქოლოგიურ საძირკველზე დგას, კიდევ უფრო უცნაური და დაუსაბუთებელია. „სოციალური უტილიტარიზმი ანუ ევდემონიზმი“ უწოდა ჯონ სტუარტ მილლმა იერემია ბენტამის და ჯემს მილლის მორალს, რომელიც არსებითად მის საკუთრებასაც შეადგენს, და ამ სახელწოდებით უკვე გამოააშკარავა ერთი საეჭვო და სუსტი მხარე ამ შენობისა: ლოგიკურად მტკიცე და უკან დაუხევი „ევდემონიზმი ანუ უტილიტარიზმი“ არ შეიძლება სოციალური იყოს, თუ უდიდესი ზნეობრივი სიკეთე ბედნიერებაა, ხოლო ყოველი ზნეობრივი მოქმედების საზომი მის მიერ მოტანილი სარგებლობის რაოდენობა, ცხადია, სავალდებულოდ ხდება ის გზა, რომელიც ყველაზე მეტად ჩქარა მიიყვანს რაც შეიძლება ინტენსიურ ბედნიერებასა და სიამოვნებასთან. ეს გზა კი აუცილებლად ინდივიდუალისტურია: ყველაზე ინტენსიურად, მრავალმხრივად, უშუამავლოდ ადამიანი თავის საკუთარ ბედნიერებას გრძნობს. ყველაზე ძლიერად და გულწრფელად ის თავის საკუთარი სიამოვნებით ტკბება. თუ ადამიანობის უზენაესი ლტოლვის მიზანი რაც შეიძლება მეტი ბედნიერების მოპოვებაა, მას უჯობს მხოლოდ ინდივიდუალურ ბედიღბალზე იზრუნოს, იმიტომ რომ ბედნიერება და სიამოვნება სუბიექტური განცდაა.

ბედნიერება, უწინარეს ყოვლისა, ჩემი ბედნიერებაა. გარეშე მგრძნობიარე „მეობისა“ ის არსად არსებობს. „სხვის ბედ-

ნიერებას მხოლოდ მაშინ აქვს ჩემთვის რეალური ფასი, როცა ის „ჩემს“ შეგნებაში ისახება, როცა ის „ჩემს“ ბედნიერებადაც ხდება. არ შეიძლება ბედნიერების ძიებაში ადამიანი თავისი ინდივიდუალური საზღვრებიდან გამოვიდეს; არ შეიძლება მან სხვის კმაყოფილებას უპირატესობა მიანიჭოს, თუ ის მართლაც რაც შეიძლება მეტი, რაც შეიძლება ძლიერი სიამოვნების მოპოვებას ცდილობს. თუკი ის თავის თანაარსთა ბედნიერებას მაინც უფრო მაღლა აყენებს, მიუხედავად მისი ნაკლებ სიძლიერისა და ინტენსივობისა, თუ ის მილლთან ერთად „სოციალურ უტილიტარიზმზე ანუ ევდემონიზმზე“ ლაპარაკობს, ცხადია, ის თავისდაუნებურად სხვა ზნეობრივ საზომს აღიარებს, ცხადია, ის ნამდვილი ევდემონისტი აღარაა. ყოველი ევდემონისტი ინდივიდუალისტი და ეგოისტი უნდა იყოს, თუ მას არა სურს უღალატოს თავისსავე ძირითად შეხედულებას. მან მაქს შტირნერივით უშიშრად და პირდაპირ უნდა აღიაროს, რომ მისი ბედნიერება სწორედ მისი ბედნიერებაა, სხვა კი ამ ქვეყანაზე მას არა რა ეხება. მისთვის სხვისი კეთილდღეობა უნდა არსებობდეს მხოლოდ როგორც სარჩული, როგორც საშუალება თავისავე კეთილდღეობის გასაძლიერებლად. ეგოისტური ევდემონიზმი ანუ უტილიტარიზმი, აი ლოგიკურად სამართლიანი მსოფლმხედველობა; მას სმენისთვის ის მუსიკალური მიმზიდველობა აღარა აქვს, რასაკვირველია, როგორც ბენტამის და მილლის „სოციალურ ევდემონიზმს ანუ უტილიტარიზმს“, მაგრამ სამაგიეროდ არც იმ შინაგანი წინააღმდეგობით არის გამსჭვალული.

აუხსნელ საიდუმლოებად რჩება კიდევ ერთი მხარე ამ მორალისა. თუ საკუთარი სიამოვნებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვა ეთიკურად სავალდებულოდ არ შეიძლება ჩაითვალოს, თუ მას არავითარი ზნეობრივი ფასი არ აქვს, რა ჯადოსნური ძალა ანიჭებს სხვისი სიამოვნებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას და მოქმედებას აბსოლუტურ სიკეთის მნიშვნელობას, რა ხდის მის უზენაეს ციურ ვალდებულებად. განა „სხვა“ ისეთივე პიროვნება არ არის, როგორც „მე“. განა თვით უდიდესი „საზოგადოება“ სუბიექტური გრძნობის და განცდის თვალსაზრისისათვის ასეთ „მეებისაგან“ არ შესდგება. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ „არარაობათა“

უბრალო შეერთება ჯამში რამეობას ან, მით უმეტეს, უდიდეს ეთიკურ ღირებულებას მოგვცემს. ან კიდევ: რომელ ზნეობრივ ვალდებულებას შეუძლია მომთხოვოს თავისთავის უარყოფა, თავგანწირულება სხვისი კმაყოფილების, სხვისი სიტკბოების, სხვისი „სულიერი ნეტარების“ სახელით. რითი მტკიცდება სხვისი ევდემონისტური უფლება ჩემს ნიჭზე, ჩემს შრომაზე, ჩემს ცხოვრებაზე. განა მე ვალდებული ვარ ვიტანჯო, ვიბრძოლო, ვიშრომო, ფიზიკური და სულიერი მოთხოვნილებები შევივიწროვო, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვებმა ამით ისარგებლონ“, „ისიამოვნონ“, „ილაღონ“, იმ ხშირად ჩემთვის უცნობმა სხვებმა, რომელნიც შეიძლება მხოლოდ ჩემს შემდეგ დაიბადებიან, რომელნიც ზნეობრივად, გონებრივად და ფიზიკურად სრულიადაც ჩემზე მაღლა არ იდგომებიან. რა ღრმა, რა უძირო ფილისტერობით არი გამსჭვალული მთელი ეს ევდემონისტური და უტილიტარული სიბრძნე...

ბედნიერების მორალის სახელით თავგანწირულობის და გმირობის მოთხოვნა არ შეიძლება, არც მისი გამართლება მოხერხდება ეთიკურად, მაგრამ ეს კიდევ არ არი უსუსტესი მხარე ევდემონიზმისა. მისი უსუსტესი მხარე ის არი, რომ ცხოვრების იდეალი, რომელიც მას წამოუყენებია არსებითად იდეალი კი არა, უბრალო ბიოლოგიური ფაქტია. ყოველი შეგნებული ქმნილება ბედნიერებას და სიამოვნებას პოზიტიურ მოვლენადა სთვლის უბედურებასა და უსიამოვნოებასთან შედარებით; ის ჩვეულებრივ ელტვის პირველთ და გაურბის მეორეთ, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა განვითარებული არსება რაიმე უმაღლეს მოსაზრებით ტანჯვასა და სიკვდილს არჩევს, ვიდრე ბედნიერებას და შეუშფოთებელ ცხოვრებას. მაგრამ სიამოვნების სალტოლველ მოვლენად მიჩნევა მაინც საყოველთაო ბიოლოგიურ ფაქტად რჩება, განსაკუთრებით წუთიერებით განსაზღვრული ცნობიერებისათვის. და მერმე რა? განა ეს უბრალო ბიოლოგიური ლტოლვა, რომელიც ადამიანს პირუტყვთან აერთებს, რომელიც ყოველ ეთიკურ კულტურას წინ უძღვის, შეიძლება სავალდებულოდ გარდაიქცეს, ზნეობრივი იდეალის სახელით მოინათლოს? განა ბედნიერი, უზრუნველყოფილი არსებობა ზნეობრივად უფრო მაღლა დგას, ვიდრე უბედური, ზრუნვით აღსავსე? განა სიამოვ-

ნების გრძნობა უკვე თავის თავად აკეთილშობილებს ადამიანს? არა, და ათასჯერ არა, პირიქით, მუდმივი ბედნიერება სულიერად აჩლუნგებს და აღარიბებს ადამიანს; უწინარეს ყოვლისა ის თავისსავე ბედნიერებას ვეღარ გრძნობს სათანადო სიძლიერით; შემდეგ მას არ ესმის სხვისი ტანჯვა, სხვისი უბედურება; ის უგრძნობი და გულქვა ხდება სხვისი ვარამის, სხვისი მწუხარებისადმი. ბედნიერნი და ცხოვრებით კმაყოფილნი ყოველთვის უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენენ ზნეობრივი განახლების, ზნეობრივი წინსვლისათვის, ჰქმნიან იმ „მაძღარ სათნოებას", რომელიც შეიძლება მართლაც ყოველ დანაშაულზე უსაზიზღრესია.

ბედნიერება ძვირფასი და გასამართლებელი არი, არა როგორც საბოლოო და შეურყეველი მდგომარეობა, არა როგორც უდიდესი ზნეობრივი იდეალი, არამედ როგორც შინაგანი ეფექტი, მუდმივ შეუჩერებელი ცხოვრების განვითარებისა როგორც ხშირი შედეგი ზნეობრივი სისრულისა და შემოქმედებისა. ერთი პოლონელი მგოსანი სადღაც კარგად ამბობს: ნუ ეძებთ ბედნიერებას, — ის თვით მოვა. მშიშარა ფრინველია, ადვილია მისი დაფრთხობა. იმ წუთებში, როცა თქვენ შრომით დაქანცულნი თავს დავიწყებას მისცემთ, ის თქვენს ხეზეც შემოჯდება...

4

ცხოვრების გარეშე და მასზე მაღლა არარა არსებობს, რაც შეიძლება მის მართებულ მიზნად ჩაითვალოს, მას შემდეგ არარა მოსდევს, რაც შეიძლება მის ზნეობრივ დამთავრებად გადაიქცეს: მხოლოდ სიკვდილია სიცოცხლის უახლოესი მემკვიდრე და დასასრული, სიკვდილი კი უდიდესი ბოროტებაა, უდიდესი ცოდვა და შეჩვენება. ამიტომ უდიდესი ღირებულება, უდიდესი ზნეობრივი სიკეთე თვით ცხოვრებაა. არა ერთი რომელიმე მხარე ცხოვრებისა, არა მარტო ინდივიდუალობა ან მარტო სოციალობა, არა მარტო ბედნიერება, სიამოვნება და კმაყოფილება ან, პირიქით, თავგანწირულება, ტანჯვა და უბედობა, არამედ ცხოვრება როგორც მთლიანობა როგორც განუზომლობა ძალთა და შესაძლებლობათა, როგორც დაუშრე-

ტელი სიმდიდრე ნიჭთა და თვისებათა; და ცხოვრება არა სიკვდილის შემდეგ, ცხოვრება არა მაშინ, როცა ჩვენ მკვდრეთით აღვსდგებით, არამედ სანამ დავიხოცებოდეთ, სანამ ცხოვრება მართლა ცხოვრებაა.

ესაა უბედურება მეტაფიზიკური და ევდემონისტური მორალისა, რომ ის ცხოვრების მიზანს იმაში ეძებს, რაც ცხოვრების უარყოფაა ან მხოლოდ მისი ერთი, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მხარე. და ესაა ბედი და უბედობა კაცობრიობისა, რომ უკეთესი სიკეთე, უმაღლესი და უმშვენიერესი იდეალი, რომლისკენაც ის მიილტვის, მუდმივ მახლობელი, მაგრამ მასთან ერთად მუდმივ მიუწვდომელია მისთვის. მუდმივ შეუსვენებელი დევნა იდეალისა, რომლის აღმგზნები სიახლოვე მისთვის ასე საგრძნობელია, რომლის ბოლო მას თითქოს ხელში ეგულება; მუდმივ დაუცხრომელი წყურვილი ცხოვრებისა, მეტი ცხოვრებისა, რომელიც მით მეტად ძლიერდება, რაც უფრო ცდილობენ მის დაცხრომას, — განა ეს ხვედრი ტრაგიკული არ არი ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით. განა ბედნიერების მიღწევა ამ შმაგ დაუსრულებელ სრბოლასთან შედარებით ბევრად უფრო ადვილი არ იქნებოდა?

არსებობს ერთგვარი სულიერი ავადმყოფობა, რომელიც გარეგნულად უაზრო, გამოუთქმელ ნეტარებით აღსავსე ღიმილში იხატება. თუ გარეგნული გამოსახულება აქ დაახლოებით მაინც შეესაბამება შინაგან მდგომარეობას, შეიძლება ითქვას, რომ ის შესაბრალისი არსებანი, რომელნიც ამ ავადმყოფობით არიან შეპყრობილნი, უუბედურეს ადამიანებად უნდა ჩაითვალნენ ამ ქვეყანაზე. მაგრამ რომელ გონიერ ადამიანს არ მოჰგვრის ზიზღის და ძრწოლის ჟრუანტელს ასეთი „ბედნიერი მომავლის“ შესაძლებლობა. ვინ არ არჩევს ცხოვრებას სავსეს ბრძოლით, საფრთხით და ტანჯვით ასეთ სულიერ ნეტარებას?!

დარვინმა სამართლიანად თქვა, რომ ადამიანის, ისევე როგორც უფრო დაბალი ცხოველების ინსტინქტებიც, მოდგმის საერთო გაუმჯობესებისკენ ვითარდებიან და არა ბედნიერებისკენ (ჩ. დარვინი: „წარმოშობა ადამიანისა“, თავ. 4). არსებობის გაუმჯობესება კი, მისი ყოველმხრივი გაღრმავება და გაფართოება, მის წიაღში ჩამალული ენერგიის და ნიჭის ყო-

ველმხრივი გაშლა და განვითარებაა. და ეს განვითარება, ეს ლტოლვა მეტი ცხოვრების, მეტი არსებობისკენ იდეალად ხდება როცა, მას შეგნების შუქი ანათებს.

რაც უფრო მაღალ საფეხურზე ადის ცნობიერებით აღჭურვილი არსება, რაც უფრო პირდაპირ, ძლიერად, უშუამავლოდ გრძნობს ის თავის ბუნებაში ცხოვრების სიმდიდრეს და დაუსრულებლობას, მით უფრო უძლეველი ხდება მასში სევდა კიდევ უფრო ფართო, კიდევ უფრო ინტენსიური ყოფნისადმი, მით უფრო იზრდება მასში ნდომა მიუწვდომელ, იდეალურ ყოველმხრივობისადმი, სულ ერთია მარტო სიამოვნებას და სიტკბოებას უქადის ეს ყოველმხრივობა თუ არა, ესაა ის კოსმიური დრამა, რომლის ადამიანური მხარე გამოუთქმელი სიდიადით გამოსჭვივის ყოველ ჭეშმარიტად ტრაგიკული ხელოვნებიდან.

ცხოვრების ამ შინაგან დისჰარმონიაზეა აშენებული ის წინააღმდეგობა არსებულსა და ზნეობრივად სავალდებულოს შორის, რომელიც ეთიკური შეგნების ძირითად ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ეს არაა წინააღმდეგობა ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურს შორის, როგორც ამას თეოლოგიური ეთიკა ფიქრობს; იმქვეყნიური ყოფნა არავითარ ამქვეყნიურ შეგნებაში არ მოიპოვება, როგორც რეალური განცდა. შეგნებაში საიქიო არსებობს მხოლოდ როგორც გამოურკვეველი აჩრდილი, როგორც უსისხლხორცო მოჩვენება, როგორც ლანდი სააქაო ცხოვრების მიერვე ნასროლი; მოჩვენებას კი არ ძალუძს დაუპირდაპირდეს რეალური შინაარსით აღსავსე სინამდვილეს, როგორც ისეთი რამ, რაც ეთიკურად სავალდებულოა და სალტოლველი. ეს არაა აგრეთვე წინააღმდეგობა გრძნობადობასა და გონებას შორის, როგორც ეს რაციონალისტურ ეთიკას ჰგონია; გრძნეულება (გრძნობადობაც) და გონებაც ერთნაირად შეიძლება განხილულ იქმნას, როგორც არსებულის, ისე სავალდებულოს თვალსაზრისით. გრძნეულება (გრძნობადობა) არ არი მხოლოდ ზნეობრივად უარსაყოფი რამ, გონების ბატონობა. არ შეიძლება ყოველთვის დასადასტურებლად და სავალდებულოდ იქმნას აღიარებული. განა იმ, რაციონალიზმის მიერ ათვალისწუნებულ, „გრძნეულ გრძნობებში" ხშირად ათასჯერ უფრო ნათლად არ იხატება ადამიანის ზნეობრივი სისპეტაკე

და კეთილშობილება, ვიდრე უგრძნობ და მშრალ ჭკუა-გონებითს შემოქმედებაში?!

გრძნობადობის გაშუქება და გაკეთილშობილება გონებით და გონების გამსჭვალვა გრძნობაია ცხოველმყოფელი სითბოებით! — აი, იდეალი ზნეობრივი სისრულისა, იდეალი, რომელიც გაურბის ნათესაობას ყოველ გადაჭარბებულ ცალმხრივობასთან.

* * *

ცხოვრება რომ ისეთი რამ ყოფილიყო, რაც უცვლელად ერთგვარად არსებობს და ამ უცვლელი არსებობით სავსებით ისაზღვრება, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ის ძირითადი წინააღმდეგობა არსებულსა და სავალდებულოს, სინამდვილესა და იდეალს, ფაქტიურსა და ნორმატიულს შორის, რომელიც ადამიანური ცნობიერების აუცილებელ ფაქტს შეადგენს და რომელიც აუხსნელი რჩება როგორც თეოლოგიური, ისე რაციონალისტური მორალის მიერ. მაგრამ ცხოვრება შეუჩერებელი ცვალებადობაა; თვით ცხოვრების არსში ძევს პრინციპი განვითარებისა, წინსვლისა, გაფართოებისა. ცხოვრების დედააზრს შეადგენს განვითარება, განვითარებისას კი — ყოველი უკვე მიღწეული საფეხურის უარყოფა, შემდგომი, უფრო მაღალი საფეხურის სახელით. აქ არი ძირითადი წყარო სიკეთის და ბოროტების გათიშვის, ზნეობრივად სავალდებულოს გამოყოფისა; ადამიანური თვალსაზრისით სავალდებულო და კეთილია ის, რაც ცხოვრებას შეგნებულად ამდიდრებს, აძლიერებს, ამრავალფერებს; უზნეო და ბოროტი ის არი, რაც მას აღარიბებს, ასუსტებს, აკნინებს. აქ არი აგრეთვე ძირითადი წყარო კაცობრიობის ტრაგედიისა: მუდმივ მიუღწეველია ზნეობრივად სავალდებულო, თუმცა მუდმივ მისკენ არი მიმართული ცხოვრების მსვლელობა. მომავლის ჰორიზონტზე არა ჩანს ისეთი საზღვარი, სადაც ისტორიული განვითარების შეჩერება შეიძლებოდეს, იმ რწმენით, რომ ადამიანური ვალი აღსრულებულია და აღთქმული ქვეყანა მიღწეული. ვერასოდეს ვერ მოჰხრის მოსასვენებლად თავს მუდმივ შფოთი და მუდმივ მაძიებელი კაცობრიობა, სანამ სიკვდილი — ბუნებრივი დასას-

რული ყოველი სიცოცხლისა, თავის რკინისებრ მძიმე ხელს არ დააღებს მის მიერ შექმნილ სულიერ კულტურასაც.

მაგრამ არა მარტო იდეალის მიუღწეველობაში და სიკვდილის აუცილებლობაში ძევს კაცობრიობის ტრაგიკული ხვედრის მიზეზი. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ რაც უფრო განვითარებული ხდება ადამიანი, რაც უფრო მაღლა ადის იგი გონებრივად და ზნეობრივად, მით უფრო შესამჩნევი და გადამწყვეტი ხდება მისი ბუნებისთვის ისტორიული წარსულის გავლენა.

ისტორიულად განუვითარებელი შეგნება თავის თავს აბსოლუტურად თავისუფლად სთვლის: მხოლოდ ისტორიულად გაფართოებული ცნობიერება გრძნობს მთელი სიმძაფრით თავისი არსების განსაზღვრას შეუცვლელი წარსულის მიერ, თავის ცალმხრივ დამოკიდებულებას ისტორიულად განვლილი სამართლიანობის თუ უსამართლობის, სიკეთის თუ ბოროტების, დიდბუნებოვანობის თუ უბადრუკობისაგან. რა საშინელებით და რა სიდიდით არის აღვსილი ერთსა და იმავე დროს ეს ცოდნა, რომ შენი სულის ყოველი უწვრილესი სიმი, შენი ბუნების უსაიდუმლესი კუნჭული მიზეზობრივს ურთიერთობაში იმყოფება უშორეს, ხშირად გონებით მიუწდომელ ისტორიულ მდგომარეობასა და არსებასთან.

მხოლოდ ამ ისტორიული თვალსაზრისით შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობა ტრაგიკულ გმირად, ხოლო მისი წარსული ბედისწერის იდეის მატარებლად. თუ ჩვენ მას მხოლოდ ინდივიდუალისტური საზომით გავზომავთ, თუ ადამიანობას მისი ისტორიულად გაშლილი ობიექტური კულტურისაგან გამოვთიშავთ და ცალ-ცალკე, ურთიერთშორის დამოუკიდებელ ელემენტად დავყოფთ, მაშინ ის შეიძლება მართლაც უფრო უაზრო კომედიანტს დაემსგავსოს, რომელიც ყოველთვის სხვის მოტყუებას ცდილობს და ყველაზე მეტად თავისავე თავს ატყუებს. ამ უმართებულოდ ვიწრო, განსაზღვრული შეხედულებისთვის შეიძლება შოპენჰაუერი მართლაც ჭეშმარიტებას ჰლაღადებდეს: ადამიანი იაფფასიანი, მდარე საქონელია, რომელსაც ბუნება — ეს უზარმაზარი ფაბრიკა — ნარდად ისვრის ბაზარზე; და ორი თვისება ახასიათებს ამ ცოცხალ საქონელს — ღრმა სისულელე და უაზრო ბოროტება. ძლიერ, ძლიერ იშვი-

ადიად, ერთხელ მთელი საუკუნეების განმავლობაში, ის ამ ნაგავშიც გამოურევს ხოლმე ობოლ მარგალიტს. გენიოსურ პიროვნებას და იმასაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამით კიდევ უფრო ნათელჰყოს ადამიანობის საერთო უნიჭობა და სიბადრუკე. და მართლაც, თუ „ისტორიულ ადამიანს" ისტორიულსავე პერსპექტივას ძალდატანებით მოვაშორებთ, თუ დამოუკიდებელ ატომად მივიჩნევთ იმას, რაც ნამდვილად მხოლოდ დიად ორგანულ მთლიანობაში ცხოვრობს, მაშინ არა თუ საშუალო მომაკვდავი, არამედ თვით ლეონარდო და ვინჩი და მიქელ-ანჯელო მოგვეჩვენება უსრულო და განსაზღვრულ არსებად, ერთი რომელიმე მნიშვნელოვანის მხრივ მაინც ყოველ შემთხვევაში უდიდეს და უნიჭიერეს პიროვნებასაც შეიძლება აღმოაჩნდეს პატარა ნაწილაკი იმ ორი „დამახასიათებელი თვისებისა", რომელთაგან უკანასკნელი არც თვით „ფილოსოფიურ გენიოსს და ბრძენს" შოპენჰაუერს ჰკლებია თვალსაჩინოდ. და მართლაც, ვინ არი ეს ადამიანობის პესიმისტი მსაჯული, რომლის ობიექტურ-კულტურული შემოქმედება და ანდერძი გერმანელთა ისტორიის ამამაღლებელ და გამაკეთილშობილებელ ფურცლებს წარმოადგენს? მხდალი ეგოისტი ფართო თვალებით სხვის ნაკლოვანების დასანახავად და მიჩლუნგებულ ალღოთი თავისივე საკუთარ ცოდვების საგრძნობლად!

საჭიროა ავმაღლდეთ ამ უღირს ატომისტურ და ინდივიდუალისტურ შეხედულებაზე, საჭიროა ადამიანობას ვუცქიროთ, ისე როგორც იგი სინამდვილეშია, ე. ი. როგორც იგი არა მარტო ჩვენს აბსტრაქციაში, არამედ თავის ისტორიაში იშლება, საჭიროა დავინახოთ, რომ კაცობრიობა მეტია, ვიდრე უბრალო გროვა ხშირად უმნიშვნელო, ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ ელემენტთა და ჩვენში აღმოცენდება ღრმა გულწრფელი რწმენა ადამიანური სიდიადის, მშვენიერებისა და გენიოსობისადმი. ხშირად კაცს ადამიანები ცალ-ცალკე უფრო სძულს, ვიდრე უყვარს, მაგრამ მაინც ადამიანობის თაყვანისმცემელი რჩება და ხშირად კაცს ეზიზღება თავის თანამემამულეთა სილაჩრე, სულმოკლეობა, უნიჭობა და მცონარობა, მაგრამ მაინც ძლიერი პატრიოტიზმით არი გამსჭვალული: ეროვნული და ჰუმანიტარული გრძნობა არ არი არჩილების ან ალფრედების სიყვარული და პირველთა ან მეორეთა არჩევა სან-

ტიმენტალური ცრემლების დასაფრქვევად; არც პირველნი და არც მეორენი ცალ ცალკე შეიძლება სრულიადაც არ ფასობენ იმდენად, რომ მათთვის ღირდეს თავის შეწუხება, მით უმეტეს თავის განწირვა. პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი არი, უწინარეს ყოვლისა, სიყვარული და მოკრძალება დიად ეროვნულ და კაცობრიულ გენიოსობის წინაშე, იმ ისტორიულ სულის წინაშე, რომელიც ობიექტურ კულტურულ შემოქმედებაში თავისი უკვდავების ძეგლს იდგამს. თავის თავის ცნობა ამ ისტორიული ძალის ნაწილად, თავისი პიროვნების, ე. ი. სუბიექტური სულის მის ქვემდებარე ნაწილად აღიარება და შემოქმედება იმ მხრივ რა მხრივაც ის უნდა ვითარდებოდეს, — აი, ნამდვილი შინაარსი ნათლად გაგებული ნაციონალური და ჰუმანიტარული გრძნობისა, რომელიც ხშირად ადამიანთა და მათ სისუსტეთა სიძულვილით და მხილებით საზრდოობს.

დიდი ზნეობრივი ტრაგედიაა კაცობრიობის ისტორია საერთოდ, თუმცა ცალკე პროვნებათა ცხოვრება შეიძლება უფრო ხშირად უშინაარსო და ზნეობრივად ულირს ფარსს ჰგავდეს. მართლაც, რა არი აღმოსავლეთის, საბერძნეთის, რომის, პირველყოფილ ქრისტიანობის ისტორია, ან ჯვაროსანთა ომები, აღორძინების ხანა რეფორმაცია, „ბრძოლა ესპანეთის მემკვიდრეობისათვის“, „ბრძოლა თეთრსა და ალისფერ ვარდს შორის“, „ოცდაათი წლის ომები“, რევოლუციის ეპოქა, ნაპოლეონის ომები, ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, თუ არა უზარმაზარი, შემაძრწუნებელი მოქმედებანი მსოფლიო დრამისა, რომელიც შეუწყვეტლივ, საბედისწერო აუცილებლობით, ეხლა გათვალისწინებულით უუმცირეს მიზეზებამდე, ამხობს და ანადგურებს ცხოვრებას, რათა მეტი ცხოვრება შექმნას. სადაა ამ ტრაგედიის დასასრული, თუ არა მის ზნეობრივ გამართლებაში, თუ არა თვით უზენაესი ადამიანობის იდეაში, რომელიც მიღწეული უნდა იქნას, მაგრამ რომელიც სავალალოდ ჭეშმარიტად არასოდეს არ იქნება მიღწეული...

განა მთელი ეს სანახაობა, უაღრესი და უბრწყინვალესი ყოველ სანახაობათა შორის, იმავე მოდგმის ქმნილება არ არი, რომელიც თავის ყოველდღიურ არსებობაში თავისსავე წარსულს და, მაშასადამე, მთლიანობას მოწყვეტილი, ხშირად ასე გაუტანელია, მხდალი, ეგოისტური, სულმდაბალი, უნიჭო. თვით

ქართველი ერი, რომელსაც თუ ინდივიდუალისტური დახასიათების თვალსაზრისით შევხედავთ, ასე ნათლად ეტყობა დღეს მცონარობა, პასივობა, თავისი თავის უპატივცემლობა, რომელსაც ძვალსა და რბილში წამბაძველობა აქვს გამჯდარი და უკუღმართი მსახიობობა, მსახიობობა შინაც და გარეთაც, მხიარულებაშიც და მწუხარებაშიც; უმოქმედობაშიც და იდეალებისთვის ბრძოლაშიც; განა ეს, დღეს შინაურების და გარეულების მიერ ყბად აღებული ქართველი ერი როგორც მთელი, როგორც ისტორიული არსება, ჭეშმარიტი ტრაგიკული გმირი არ არის? რა განსაცვიფრებელი ზნეობრივი ენერგია არ გამოააშკარავა მან საუკუნეთა განმავლობაში თავის დამოუკიდებელ ეროვნულ მეობის შესანახად. განა საფიქრებელია, რომ ეს ენერგია სამუდამოდ გაქრა, რომ ის ეხლა აღარ არსებობს. რასაკვირველია, არა! საჭიროა მხოლოდ „დაკარგული მთლიანობის“ აღდგენა, საჭიროა მხოლოდ პაწია, ხშირად სმენისათვის მიუწვდომელი ხმების „მწყობრ მელოდიაში“ შეერთება...

* * *

ზემოთ ნათქვამიდან ცხადად ჩანს, თუ რატომ არ შეუძლია ჩვენი მორალური გრძნობის დაკმაყოფილება ფრ. ნიცშეს რადიკალურ და ჟ. მ. გიუოს ზომიერ ინდივიდუალიზმს, თუმცა როგორც ერთი, ისე მეორე სწორედ ცხოვრებას აღიარებს უდიდეს სიკეთედ. არა „ზეკაცობა“, რომელიც ხელახლა ასაზრდოებს და შლის ველურ ინსტინქტებს, არამედ „ადამიანური“ ცხოვრებაა უდიდესი ეთიკური ღირებულება; ეს უკანასკნელი კი ინდივიდუალობას აუცილებლად ქვემდებარე როლს ანიჭებს საზოგადოებასთან შედარებით. მაგრამ აქედან სრულიადაც ის უკიდურესი ანტი-ინდივიდუალისტური დასკვნა არ უნდა გამოვიყვანოთ, რომელიც შოპენჰაუერმა გააკეთა, რომ პიროვნებას არავითარი დამოუკიდებელი ზნობრივი ღირებულება არა აქვს, რომ მას თავისივე თავის წინაშე არავითარი ზნეობრივი ვალდებულება არ უწერია, რომ მარტოდმარტო თანაგრძნობა და თავის უარყოფა უნდა ჩაითვალოს ეთიკურად გასამართლებელ მოტივად. პირიქით, არსებობს ძლიერ მძიმე და სერიოზული ზნეობრივი ვალდებულება თავისივე პიროვნების წინაშე და

ვინც ამ პირდაპირ და მახლობელ ვალდებულებას ივიწყებს, ის ვერც იმ უდიდეს მოთხოვნილებათა სიმაღლეზე ავა, რომელთაც მას საზოგადოება უყენებს წინ.

ამ მხრივ გიუომ ძლიერ კარგად გამოხატა ჭეშმარიტება. მისი ეთიკის ძირითადი დებულება ამბობს, რომ ინდივიდუალურ ცხოვრების ინტენსივობა პირდაპირ და აუცილებელ დამოკიდებულებაში იმყოფება მის ექსტენსივობასა და სოციალურ გაშლასთან. საჭურისები, გაუთხოვრად დამჭკნარი ქალწულები, ბავშვები, რომელნიც ზედმეტს ენერგიას საჭიროებენ ზრდისათვის, ავადმყოფნი, სულიერად და ხორციელად სუსტი არსებანი და საიქიოსთვის გამზადებულნი, რომელთაც სააქაო ცხოვრებისთვის ძალა აღარ შესწევთ, უფრო ხშირად ეგოისტები არიან, ვიდრე მათი თანაარსნი: „ყოველთვის, როცა სიცოცხლის წყაროს დენა გაუმეტებლად ხდება, ყოველ არსებაში ძლიერდება მოთხოვნილება რაც შეიძლება ძუნწად, რაც შეიძლება გამოზოგვით მოეპყროს თავის ძალებს, რომ ცოტა რამ თავისთვისაც დაიტოვოს. ასეთი არსება შიშობს, არ დაღვაროს გარეთ ერთი წვეთიც ცხოველმყოფელ წყაროდან". პირიქით, როცა ჩვენი ინდივიდუალური ცხოვრების წყარო სჩქეფს და გადმოდუღს, როცა ჩვენი ფიზიკური, გონებრივი და ემოციონალური ძალნი მეტნი არიან, ვიდრე პირადად ჩვენ თვისაა აუცილებლად საჭირო, მაშინ ჩვენში იბადება მოთხოვნილება სხვისთვის მოქმედებისა, ექსტენსიურად გაშლისა, თავგანწირულებისა: „ჩვენ აღარ გვყოფნის ჩვენი თავი; ჩვენ მეტი ცრემლები გვაქვს, ვიდრე ჩვენ საკუთარ ტანჯვას სჭირია და მეტი მზა სიხარული, ვიდრე მას ჩვენი საკუთარი ბედნიერება მოითხოვს. ჩვენ იძულებულნი ვართ თავი სხვასაც გავუზიაროთ, იძულებულნი ვართ, აზრთა და გრძნობათა გაზიარებით ჩვენივე არსება გავამრავლოთ", ამ შინაგან იძულებიდან გიუოს ვალდებულების გრძნობის უარყოფა გამოჰყავს: „დიდი პანი — ბუნების ღმერთი მოკვდა, იესო — ღმერთკაცი მოკვდა; დარჩა ვალდებულება, ეს შინაგანი და იდეალური ღვთაებაა: შეიძლება ისიც მოკვდეს ერთ დღეს". (ჟ. მ. გიუო: მორალი თვინიერი ვალდებულებისა და დადასტურებისა", გერმანული თარგ., ლეიპც., 1909, გვ. 79 და 7).

ეს ჭეშმარიტი შეხედულება სრულიად უმართებლო დას-

კენით თავდება. მართალია, თავის პიროვნების ყოველმხრივი გაღრმავება და გაძლიერება უპირველესი და უახლოესი საფეხურია ზნეობრივი განვითარების კიბეზე, მაგრამ ის სრულიადაც არ არის ერთადერთი ან უმაღლესი, როგორც ინდივიდუალიზმს ჰგონია, და მისი მიღწევა ვერავითარ შემთხვევაში ვალდებულების მოსპობას ვერ გამოიწვევს, როგორც ეს გიუოს სწამს. ზნეობრივი არსების სიღრმეშია ვალდებულების შეგნება ჩამარხული და იმ მწვავე კონფლიქტებით და წინააღმდეგობებით საზრდოობს, რომელიც ადამიანობის მუდმივ განუყრელ ხვრელს შეადგენს. ერთ ამ წინააღმდეგობაზე, რომელიც თვით უდიდესი ზნეობრივი ღირებულების, ე. ი. ცხოვრების დედაარსში იმალება, ჩვენ უკვე მივუთითეთ. მეორე პიროვნების და საზოგადოების ურთიერთობის ღვიძლი შვილია და ზნეობრივ მოქმედების მოტივთა ბრძოლისაგან გამომდინარეობს.

რაც უნდა განვითარებული იყოს პიროვნება, მასში აუცილებლად მდაბალი და ნაკლებ ფასიანი ფსიქიური მოტივებიც მოქმედებენ. კიდევ მეტი:(რაც უფრო განვითარებული და მდიდარია სულიერად პიროვნება, მით უფრო მოსალოდნელია, რომ იმის ბუნებაში აღმოჩნდება ყოველგვარი ადამიანური განცდა, როგორც შესაძლებლობა ან როგორც რეალობა. სულიერი განვითარება სრულიადაც არა ნიშნავს ყველა მდაბალი და საძრახისი ინსტინქტის მოსპობას; პირიქით, ის უწინარეს ყოვლისა, ინსტინქტთა, გრძნობათა, აზრთა და შეხედულებათა გამრავალფერებას მოასწავებს. კულტურული წინსვლა აძლიერებს როგორც ეგოისტურს, ისე უფრო მაღალ ინდივიდუალურ და სოციალურ გრძნობებს, როგორც ბოროტების და დანაშაულობის, ისე კეთილ და სასიქადულო მოქმედების ნიჭს და ზნეობრივი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მრავალმხრივ, ერთიმეორეს მოწინააღმდეგე ძალთა შორის სათანადო ურთიერთობა დაამკვიდრეს; საჭიროა ეგოისტური მოტივები უფრო სპეტაკ ინდივიდუალისტურ მოტივებს დაექვემდებარნენ, ხოლო ეს უკანასკნელნი — სოციალურ გრძნობებს და ადამიანობის იდეას. დიდბუნებოვანობა სწორედ ამ სახიფათო შინაგან ბრძოლაში და საბოლოო გამარჯვებაში აშკარავდება. პირიქით, ძლიერ იაფად ფასობს იმ უსუსურ არსებათა ზნეობრივი მოქმედება, რომელთაც დანაშაულობის ჩადენა მხო-

ღრად იმიტომ არ ძალუძთ რომ მათი ღარიბი სული ძლიერ ვიწროა, რათა ბოროტების და შეცოდების გულისთქმანი დაიტიოს თავის საზღვრებში.

შინაგან დიფერენციაციის ზრდაშია მტკიცე საძირკველი ზნეობრივი ამაღლებისა, მოტივთა კონფლიქტში, უზენაეს გულისთქმათა შეგნებულ ან შეუგნებელ დღესასწაულობაში, მარტო დიდი მიზნის დასახვა, მარტო ცხოვრების გაფართოებისათვის ზრუნვა ვერასოდეს ვერ მიანიჭებს ადამიანის მოქმედებას იმ გამოუთქმელ ფსიქიურ თვისებას, რომლიდანაც მისი ზნეობრივი ფასი გამომდინარეობს, უეჭველია, რომ ის ადამიანი, რომელიც დიდ სიკეთეს მოიმოქმედებს, რომელიც ცხოვრებას თავისი ნიჭითა და შრომით ბევრ მატერიალურ და სულიერ ღირებულებას მატებს, მაგრამ ყოველთვის ფარულ ეგოიზმით, პირად სარგებლობით გაუმაძღარი ბედნიერების მოთხოვნილებით ხელმძღვანელობს, ბევრად დაბლა დგას ეთიკურად, ვიდრე ის, რომელიც შეიძლება დიდი მიზნებისაკენ არ ილტვოდეს და არც ძალა შესწევდეს ზეციდან ვარსკვლავების საკრეფად, მაგრამ სამაგიეროდ თავის მოქმედებაში ყოველთვის სპეტაკი გრძნობისა და მოსაზრებებისაგან გამოდიოდეს. ზნეობრივი მოქმედების ღირსება მარტო შინაგან მოტივებზე არ არი დამოკიდებული, როგორც ეს უკიდურეს ინტუიციონურ მორალს ჰგონია, მაგრამ ის არც მარტო გარეგნული მიზეზებით და შედეგებით განისაზღვრება როგორც ამას უკიდურესი თელეოლოგიზმი ირწმუნება. პიროვნება, რომელიც სიკეთეს ყოველთვის ცუდის განზრახვით შვრება, სწორედ იმდენსაც ფასობს ეთიკურად, რამდენსაც მისი მოპირდაპირე ცალი, რომელიც არაფერს აკეთებს, თუმცა ყოველთვის „საუკეთესო ზრახვით და სათნოებითაა“ გამსჭვალული, საჭიროა გარეგნული მიზნებიც და შინაგანი მოტივებიც, საჭიროა შეთვისება და ჰარმონია მათ შორის, რომ მოქმედება მართლაც ზნეობრივ მოქმედებად გადაიქცეს.

ცხადია, ამ შეთვისების მისაღწევად ზნეობრივად სავალდებულოა, რომ ტლანქი და მოუხეშავი ეგოიზმი დაექვემდებაროს ფაქიზი „მეობის გრძნობას“, ხოლო ეს უკანასკნელი — „თანაგრძნობას“ თუ ალტრუიზმს, სულ ერთია, რომელ სოციალურ გულისთქმადაც უნდა გამოიხატოს ის. ამ შემთხვევაში

ჭეშმარიტმა ზნეობამ არ იცის, თუ რა არი კომპრომისი; ადამიანური ცხოვრების თვალსაზრისით შეგნებული პიროვნება უფრო მაღლა დგას, ვიდრე უსიცოცხლო საგანი, ეროვნება კიდევ უფრო მაღლა, ვიდრე თუნდ უძვირფასესი პიროვნება, კაცობრიობის სიდიადე კი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იმის წინაშე თავი უნდა მოიხაროს უძლიერესმა და უკულტურესმა ერმაც; მის წინაშე უნდა დადუმდეს ყოველი ვიწრო ინდივიდუალისტური და ნაციონალისტური ინტერესი, რომელიც ადამიანობის ამაღლებულ იდეალს ეწინააღმდეგება.

აქ ვხედებით ჩვენ სინდისის ფენომენს, როგორც აუცილებელ ზნეობრივ ძალას. შინაგანი ხმაა ის, იდუმალი „დემონი", როგორც სოკრატმა თქვა: არა „ღვთაების" (თეოლოგიური ეთიკა), არა ჩვენი „ზეგრძნობადი არსების" (ი. კანტი), არა „ფაქტების" (ტ. ლიპპსი), არამედ ხმა ადამიანობისა, რომელიც მოგვიწოდებს საზოგადოებას მის წინაშე უპირატესობა მივანიჭოთ, ხოლო პიროვნება უპიროვნო ნივთზე მაღლა დავაყენოთ, და, გვქენჯნის უწყალოდ, როცა ამ სავალდებულო ურთიერთობას ვარღვევთ მოქმედების მოტივთა შორის.

გიუოს მოჰყავს პირინეის მთა-მაღაროების მუშების ცხოვრებიდან მაგალითი იმისა, თუ რამდენად იმპულსიურად და ელემენტარულად იხატება სოციალური ინსტინქტი და სინდისის შეგნება ჭეშმარიტად ზნეობრივ მოქმედებაში, რომელიც შორსაა წინასწარ რეფლექციებიდან და სარგებლობის რაციონალური აწონ-დაწონისაგან. მისი მსგავსი ამ უკანასკნელ ხანებშიაც განმეორდა რამდენიმე უბედურ შემთხვევის დროს: „ერთი მუშა ჩაეშვა მღვიმეში რაღაცის მოსაწესრიგებლად და უცებ უგრძნობლად მიწაზე დაეცა, მეორე გაეშურა დასახმარებლად, მაგრამ მასაც ის ბედი ეწია. დედაკაცმა, რომელიც უბედურებას დაესწრო, ყვირილი მორთო დამხმარეთა მოსაწოდებლად. მოცვივდნენ სხვა მუშები: მესამედ ჩაეშვა კაცი გაცხელებულ მღვიმეში და დაიხრჩო. მეოთხე, მეხუთე ჩახტა შიგ, მაგრამ ისინიც დაიხოცნენ. მხოლოდ ერთიღა დარჩა: ის მივიდა და მოემზადა ჩასავარდნად, მაგრამ იმას ტანისამოსში მაგრა ჩაეჭიდა იმის გვერდით მდგომარე ქალი, ნახევრად გიჟი ამ თავზარდამცემი საშინელებისაგან... შემდეგ, როცა უბედურების ადგილზე სამსჯავრო მოვიდა ჩვენების მოსასმენად,

ცოცხლად დარჩენილს გამოჰკითხეს მისი დაუფიქრებელი თავგანწირულების შესახებ და ერთმა მოხელემ თავი შეიწუხა იმის სერიოზულად ასახსნელად, თუ რამდენად უაზრო იყო მისი მოქმედება. ამაზე მუშამ განსაცვიფრებელი პასუხი მისცა: „ჩემი ამხანაგები კვდებოდნენ; მე იძულებული ვიყავი, ჩავმხტარიყავი“.

აქ კომენტარები მეტია თვით ჰედონისტებისა და უტილიტარისტებისათვის...

სინდისის და ზნეობრივი ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელიც ეგოისტურ გრძნობას „მეობის გრძნობაზე“ მაღლა აყენებს, ე. ი. რომელიც გარეგნული კეთილდღეობისა, სიმდიდრისა, კარიერისა და სხვა უპიროვნო, უსიცოცხლო საგნების გულისთვის თავის „მეს“ ღირსებას ივიწყებს და მიზნად ხდის იმას, რაც ყოველთვის თავისუფალი პიროვნების საშუალებად უნდა დარჩეს. სინდისის და ვალდებულების წინააღმდეგია ის მოქმედება, რომელსაც წინ ინდივიდუალურ გრძნობათა გამარჯვება უძღვის სოციალურზე და რომელიც პიროვნებას ცენტრად ხდის, ხოლო საზოგადოებას და თანაარსთ პიროვნული ბატონობის ასპარეზად აქცევს.

* * *

ყოველ პიროვნებაში, ხშირად სუსტად და შეუგნებლად, ხშირად მძაფრად და შეგნებულად ცხოვრობს ლტოლვა, რომელმაც უნდა გაარღვიოს და გააფართოოს თავისი ინდივიდუალური საზღვრები, უნივერსალურ პრინციპად აქციოს თავისი ინდივიდუალური პრინციპი. ძლიერ შინაგან დრამას შობს განვითარებულ პიროვნებაში ამ ლტოლვის შეტაკება სოციალურ ინსტინქტთან, ძლიერ ფსიქიურ და ეთიკურ საფრთხეს წარმოადგენს ის ადამიანისათვის.

მართალია სოციალური ინსტინქტი ძლიერდება კულტურულ განვითარებასთან ერთად, სწავლა, კვლევა-ძიება, მეცნიერება, ხელოვნება და საზოგადოდ ყოველგვარი სულიერი შემოქმედება ერთის მხრით უეჭველად აახლოვებს ადამიანთ ურთიერთს შორის.

მაგრამ ამ გარემოებამ არ უნდა დაგვავიწყოს, რომ ეს დაახლოვება, განსაზოგადოებრივობა ხშირად მხოლოდ გარეგნუ-

ლია და თავის სიღრმეში შესამჩნევ ინდივიდუალურ განსხვავებებს ატარებს. „კრეიცერის სონატას“ ან „მეცხრე სიმფონიას“ მთელი დარბაზი ერთად უსმენს, მილლეს პეიზაჟს და როდენის ქანდაკებას ათეულნი და ასეულნი ერთად შესცქერიან, მაგრამ თვითეულს ერთსა და იმავე ობიექტურ მხატვრულ ნაწარმოებში თავისი განსაკუთრებული სუბიექტური სული შეაქვს, თავისი განსაკუთრებული სიხარული თუ ტანჯვა, ბედი თუ უბედობა, სასოება თუ სასოწარკვეთილება და ბევრი სხვა გამოუთქმელი, გაუგებარი, განუმეორებელი, ნარნარი ფსიქიური მოძრაობა. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ მუსიკა.

მართლაც, როგორც კულტურული კაცობრიობა წარმოუდგენელია ეროვნულ განსხვავებათა გარეშე, ისე განვითარებული საზოგადოებაც შეუძლებელია იქ, სადაც ძლიერი ინდივიდუალური თავისებურება, განუმეორებლობა და ბრძოლა არ არსებობს. ძლიერი მუსიკალური ნაწარმოები უმაღლესი სულიერების გამოსახატავად, ლეიტმოტივთან და კონსონანსთან ერთად; აუცილებლად ქვემდებარე მოტივებს და დისონანსაც საჭიროებს, ხოლო ძლიერი საზოგადოებრიობა — ინდივიდუალურ ნიჭთა განსხვავებას. კონკურენციას, შეტაკებას, დიფერენციაციას და დისჰარმონიას მოკლებული საზოგადოება უთვითმოქმედო და უსუსურია, როგორც ერთფეროვანი, მოსაწყენი სპარსული მუსიკალური მელოდია.

ესაა უბედურება თანამედროვე ადამიანისა, რომ მისივე ცხოვრების კულტურული სიმდიდრე და მრავალმხრივობა მისი ტრაგიკული კონფლიქტების დაუშრეტელ წყაროდ გარდაიქცა. მაგრამ სოციალური დიფერენციაციის ზრდით და მისგან გამომდინარე წინააღმდეგობებით კიდევ არ თავდება კულტურული კაცობრიობის სულიერი დრამა.

რამდენად „ბედნიერია“ ამ მხრივ ჰილოცოისტური პირველყოფილი შეგნება. მისთვის დუალობა სულსა და სხეულს შორის არ არსებობს, იგი უსულო, მკვდარ მატერიას ვერსად ხედავს, ყოველი საგანი სულჩადგმულია, ყოველი სულიერი მატერიალურია, მაგრამ ჰილოცოიზმი გაქრა და მისი ადგილი მატერიალიზმმა, იდეალიზმმა და დუალიზმმა დაიჭირა, რომელთა გავლენის ქვეშ იმყოფება მთელი თანამედროვე პოპულარული და მეცნიერული აზროვნება, დეკარტის დუალისტური ფი-

ლოსოფია დგას ახალი დროის შესავალში: სული მოაზროვნე არსებაა, გრძნობადობისათვის მიუწვდომელი, მატერიალურისაგან სავსებით განსხვავებული, მატერია, პირიქით. მკვდარი, პასიური პრინციპია, მექანიკური ძალების მატარებელი. მცენარე, ცხოველი მოხერხებულად შეწყობილი ავტონომია, უსულო, უგრძნობო. მეთვრამეტე საუკუნის მატერიალიზმისათვის, რომელიც ხშირად თავის თავს სამართლიანად დეკარტის მემკვიდრედ აღიარებს, მანქანა არი თვით ადამიანიც, მექანიკური ავტომატი, აუცილებელი ფიზიკური ძალებით განსაზღვრული.

სული სადღაა? სული სადღაც გაქრა, „პატარა ტვინის" ქვეშ ან „ატომთა ერთობაში", რომლის წარმოდგენა არავის შეუძლია? სული იდუმალ მისტიურ მოჩვენებად გარდაიქცა, რომელიც ყველგანაა, მაგრამ არსად ერთსა და იმავე დროს. თანამედროვე ადამიანი ყველგან ამ ცხოველმყოფელურ სულს ეძებს, მაგრამ ვერსად პოულობს. ყველგან „გარეგნული გამოხატულება" სულისა. ყველგან „შავი ნიღაბი", რომლის უკანაც. ვინ იცის, რა იმალება, რასაც შენ შენს თანაარსში ხედავ, ის მხოლოდ სხეულია, მატერიალური გარეგნობა, ხორციელი გამომეტყველება. სხვისი არსება, სხვისი „მე" კი შენთვის მუდმივი საიდუმლოებაა, მუდმივ აუხსნელი ამოცანა, „დაფლული ტაძარი", რომლის შინაგანი აკლდამები წყვდიადით არი მოცული. ვინ არი თავმდები, რომ მისი სიცილის უკან მართლაც მხიარულება, ხოლო ტირილსა და ცრემლებში მწუხარება იმალება. განა კლოუნის ნიღაბი ხშირად უსაშინლეს სულიერ დრამას არ ჰფარავს? განა მისი დემონისებური წარმტაცი წამოსასხამის ქვეშ ხშირად უნიჭო და უშინაარსო მსახიობობა არ იმალება?!.

მაგრამ კიდევ უბადრუკი და შესაბრალისი ის პიროვნება თუ ეროვნებაა, რომელმაც არა თუ სხვისი, თავისი საკუთარი ისტორიულად განმტკიცებული სულიერი „მე" დაკარგა, რომელმაც თვით აღარ იცის თავისი ვინაობა და რომელიც ყოველ მომენტში ანდრეევის ლორენცოსავით მზადაა თავისივე თავი განგმიროს. ეს უკვე ნამდვილი ტრაგიზმი არაა; ეს ფარსია, რომელიც მხოლოდ ძლიერ სამწუხაროდ თავდება...

ძველი ღმერთები ქრებიან; ძველი მოძღვრებანი, რომელნიც კაცობრიობას სათუთი ნებიერებისა და უმოქმედო ნეტარებისაკენ მოუწოდებდნენ, კარგავენ თავიანთ ბრწყინვალებას და მიმზიდველობას. მათ ადგილს იჭერს იდეა აქტიური, ტრაგიკული ადამიანებისა, საჭიროა ავმაღლდეთ ამ სერიოზული გარემოების შეგნებამდე. საჭიროა დავინახოთ, რომ ცხოვრება სახუმარო ვოდევილი კი არ არი, რომელიც ინტრიგებით იწყება და ყველასათვის სასიამოვნო მხიარულებით თავდება, არამედ დიადი დრამა, რომლის თვითეული მომენტი უძლიერესი თვითმოქმედების, უფართოესი შესაძლებლობის გამოაშკარავებას მოითხოვს, საჭიროა თავი დავანებოთ სასწაულის ლოდინს და ვიწამოთ, რომ „მკვდრეთით აღდგომა“ ამავე ცხოვრებაშია შესაძლებელი და ზნეობრივად სავალდებულო...

დიდმა ტრაგიკულმა შემოქმედებმა ბევრჯერ გვაგრძნობინეს ესთეტიკურ სფეროში ცხოვრების ეს განუზომელი სიმდიდრე, მიუწვდომელი კოსმოსური სიდიადე, და „მშვენიერი საშინელება“...

1910 წ. გაზ. „დროება“.

მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა

თანამედროვე კრიტიკაში რამდენიმე მიმართულება ებრძვის ერთიმეორეს. ერთი მხრით დგას ეგრეთ წოდებული პუბლიცისტური კრიტიკა, რომელიც არაესთეტიკური საზომებით ხელმძღვანელობს და მხატვრული ნაწარმოების ღირსებას მისი სოციალ-პოლიტიკური შედეგების მიხედვით აფასებს. ეს ჟანრი კრიტიკისა უფრო წარსულს ეკუთვნის, ვიდრე მომავალს. მის წინააღმდეგობას ესთეტიკური კრიტიკა წარმოადგენს, რომელიც შეგვიძლიან ოთხ სხვადასხვა გვარად დავყოთ: სოციოლოგიური, ევოლუციური, ფსიქოლოგიური და იმპრესიონისტული მიმართულების კრიტიკად.

ესენი ესთეტიკური საზომით ხელმძღვანელობენ, მაგრამ

თვალსაჩინოთ განსხვავდებიან ურთიერთშორის ძირითადი პრინციპებითა და შეხედულებებით.

სოციოლოგიური კრიტიკის მამამთავარი და უდიდესი წარმომადგენელი მეცხრამეტე საუკუნეში გახლავთ იპოლიტე ტენი. თავისი მეთოდით ის ხელმძღვანელობს როგორც მხატვრობის, ისე სიტყვაკაზმული მწერლობის გარჩევაში. „ხელოვნების ფილოსოფიის“ პირველ ტომში ტენი წერს: „ჩვენ აღვიარებთ, რომ როგორც რომელიმე მხატვრული ნაწარმოების, ისე შემომქმედის ან შემომქმედთა მთელი ჯგუფის გასაგებად საჭიროა იმ ეპოქის ზოგადი სულიერი მდგომარეობის და ზნე-ჩვეულებების სისწორით გათვალისწინება, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. აქ არის ძირითადი საფუძველი, აქ იმალება ძირითადი მიზეზი, რომელიც ყველაფერს დანარჩენს ხსნის და საზღვრავს“.

ამ სიტყვებში კარგად ჩანს როგორც ღირსება, ისე ნაკლი ტენის მეთოდისა. ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ეს მეთოდი მხატვრულ ნაწარმოებში არ ხედავს განყენებულს, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გამოთიშულ მოვლენას, არამედ მას სოციალური სულის ყოველმხრივ შემოქმედებას უკავშირებს. მაგრამ მეორე მხრით უეჭველია, რომ მხატვრული ნაწარმოების სავსებით სოციალ-ფსიქიკური თვალსაზრისით ახსნა ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა ინდივიდუალური მომენტის სახეში მიღებაც. განსაზღვრული ეპოქის და განსაზღვრული საზოგადოების სულთან ერთად ხელოვანის ფსიქიკის და მისი ინდივიდუალური შემოქმედის გათვალისწინებაც იმიტომ, რომ ყოველი ნამდვილი შემომქმედი, ყოველი ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოები იმდენად განსხვავებული, განუმეორებელი შეუდარებელი მოვლენაა, რომ მისი სავსებით გარეშე მდგომარეობისაგან გამოყვანა არ ძალუძს არავითარ მეცნიერულ გონება-მახვილობას და შორსმხედველობას. სოციოლოგიური კანონით შეიძლება მისი ახსნა, რაც ზოგადი და არა პიროვნულია საერთოდ შემომქმედ ადამიანში და არა იმის, რაც პირველყოფილი, შინაგანი და თავისებურია მასში. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ტენმა თავისი „ხელოვნების ფილოსოფიაში“ და „ინგლისის ლიტერატურის ისტორიაში“ მშვენივრად შესძლო ეპოქათა სტილის გამორკ-

ვევა, მაგრამ ცალკე პიროვნებათა სტილს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია.

ტენის დიადი მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ ნათლად გამოააშკარავა ნაციონალური საფუძველი ესთეტიკური შემოქმედებისა და კულტურისა. ის ამბობს, რომ „შესაძლებელია რომელიმე ერის შემომქმედმა სულმა დროებით ქედი მოიხაროს სხვისი გავლენის ქვეშ, ყოველ შემთხვევაში ის ბოლოს მაინც გასწორდება წელში, იმიტომ რომ უცხოელთა გავლენა დროებითია, ეროვნული სული კი უკვდავია“.

ჩემის აზრით ამ გარემოების სანახევროდ მივიწყება შეადგენს ევოლუციური კრიტიკის უდიდეს ნაკლს. ეს მიმართულება საბუნებისმეტყველო მეთოდით ხელმძღვანელობს. მას ხელოვნების სფეროში გადააქვს თანამედროვე ბიოლოგიის მიერ შემუშავებულ ცნებათა სისტემა, მხოლოდ მოთხოვნილებათაგვარად სცვლის მას. ამ მიმართულების უნიჭიერესი წარმომადგენელი ფ. ბრიუნეატიერია. თავის მრავალრიცხოვან და მრავალმნიშვნელოვან ნაწარმოებში ბრიუნეტიერი ამტკიცებს, რომ ლიტერატურის მსვლელობა არსებითად იმავე თანდათანობის, ევოლუციის კანონს ექვემდებარება, რომელსაც ბიოლოგიურ სახეთა განვითარება. მისი შეხედულებით არსებობს ლიტერატურულ ჟანრთა ბრძოლა, რომელიც ბიოლოგიურ გვართა ბრძოლას წააგავს, რომ ამ ბრძოლაშიც საბოლოოდ ის იმარჯვებს, ვინც დროებისა და მდგომარეობის პირობებთან უფრო არის შეგუებული. როგორც ბუნებისმეტყველი თავის ყურადღებას უწინარეს ყოვლისა იმ თვისებებს აქცევს, მემკვიდრეობით რომ გადადიან მომავალ თაობაზე და მაშასადამე, მნიშვნელოვანნი არიან მოდგმის განვითარებისათვის, ისე ისტორიკოსმა და კრიტიკოსმაც უფრო მნიშვნელოვნად ის მხატვრული ნაწარმოებები უნდა ჩასთვალოს, ლიტერატურულს ტრადიციას რომ ჰქმნიან, ე. ი. ჟანრთა ცვალებადობაზე რომ სტოვებენ კვალს.

ბრიუნეტიერის აზრით, ეს ცვალებადობა არსებითად ერთი და იგივეა სხვადასხვა ერთა ლიტერატურაში და ის ერთ ტიპიურ სქემაში შეიძლება გამოიხატოს: კლასიციზმს ცვლის რომანტიკული სკოლა, რომანტიკულ სკოლას რეალიზმი, ეს

უაკნასკნელი გადადის ნატურალიზმში, ხოლო ნატურალიზმის ადგილს ბოლოს სიმბოლიური და ნეორომანტიკული მიმართულება იკავებს. არსებობს საერთო ევროპული ლიტერატურა, ეროვნული ლიტერატურანი კი წარმოადგენენ არა დამოუკიდებელ ინდივიდუალობათ, არამედ ამ დიდი მცენარის შტოებს.

ეს შეხედულება, ჩემის აზრით, დიამეტრალურად ეწინააღმდეგება სინამდვილეს: რეალურად არსებობს უწინარეს ყოვლისა ნაციონალური ლიტერატურა, როგორც კონკრეტული ინდივიდუალობა, „ევროპული ლიტერატურა" კი განყენებული ცნებაა, მეცნიერული აზროვნების მიერ შემუშავებული. ეჭვი არ არის, ამ ცნებას სინამდვილეში საფუძვლად სხვადასხვა ლიტერატურათა ურთიერთობა უძევს, მაგრამ ეს ურთიერთობა იმდენად ძლიერი არ არის, რომ მან საკუსებით ჩაჩრდილოს ფაქტი ფრანგული, გერმანული ან სკანდინავური ხელოვნების არსებობისა. იმიტომ რომ ნაციონალური გენიოსობა ენის გარდა ისე აშკარად და ელემენტარულად არსად საჩიერდება, როგორც ხელოვნებაში.

ამას გარდა ბრიუნეტიერის ევოლუციურ მეთოდს ერთნაირი ძალმომრეობა შეაქვს ესთეტიკურ კრიტიკაში. ის დიდ ადგილს უთმობს ისეთ მწერლებსა და ნაწარმოებებს, რომელთაც გავლენა იქონიეს ლიტერატურათა ევოლუციაზე, დააჩქარეს ან შეაფერხეს ის, სხვებს კი სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ასეთი ყოფაქცევა სრულიად უმართებულოა: ადვილი შესაძლებელია, რომელიმე მწერალი ან რაიმე თხზულება ლიტერატურული ტრადიციის და ევოლუციის გარეშე იდგეს, მაგრამ ამასთან ერთად ის დიდმნიშვნელოვანი იყოს თავისთავად.

ამგვარი ცალმხრივობისაგან თავისუფალია ფსიქოლოგიური კრიტიკა. ამ მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელი გ. ბრანდესი ცდილობს განავითაროს და გააღრმავოს ის ნაყოფიერი აზრი, უკვე ტენმა რომ გამოსთქვა „ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში": „მე ვკისრულობ ერთი ლიტერატურის ისტორიის დაწერას და მაშასადამე ერთი ხალხის ფსიქოლოგიის გამოკვლევასო". ბრანდესის შეხედულებითაც ეროვნების ფსიქოლოგია უწინარეს ყოვლისა მის მწერლობასა და ხელოვნებაში იხატება. კრიტიკოსი რაც შეიძლება

ღრმად უნდა ჩასწვდეს როგორც ნაწარმოების, ისე მწერლის სულს, აღმოაჩინოს მისი ფარული ადგილები და უხილავი კუნჭულები და შემდეგ თავისი შეხედულება რაც შეიძლება პლასტიკურად, რაც შეიძლება ხელშესახებად გამოხატოს. მთელი სიფართოვის გაზომვა, ყოველი წვრილმანის აღნიშვნა იმდენად არაა საჭირო, რამდენადაც ინდივიდუალური და დამახასიათებელი თვისებების აღნიშვნა და განათება.

ამ ფსიქოლოგიურ დახასიათებაში კრიტიკოსი უშიშრად უნდა გასცილდეს სალონის საზღვრებს, სადაც ადამიანები და მათი გრძნობანი გაშალაშინებულნი და გალაქულნი არიან ავეჯეულობის მსგავსად. მან უნდა შესტოპოს ცხოვრების მორევში, მან უნდა აღმოაჩინოს თუ როგორ იბადებიან გრძნობანი და ვნებათა ღელვანი ადამიანის გულში. ადამიანის გული კი არც წყნარი ჭანჭრობია, არც ტყის იდილიური ტბა; ის ოკეანეა, თავის უფსკრულში რომ ზღაპრულ მცენარეებსა და საშინელ ცხოველებს ჰფარავს. აქ, ადამიანის სულიერ განცდათა აღმოჩენაში და აღნიშვნაში კრიტიკოსმა რაც შეიძლება მეტი ობიექტივობა და მიუდგომლობა უნდა გამოიჩინოს. ბოტანიკოსის მსგავსად მან ერთნაირის ინტერესით უნდა გამოიკვლიოს როგორც ნარი, ისე ვარდი, როგორც სურნელოვანი, ისე შხამიანი მცენარე. თავის ძიებაში და მსჯელობაში უნდა ხელმძღვანელობდეს არა იმით, თუ რამდენად კეთილშობილი და სასარგებლოა ლიტერატურულ ნაწარმოებში გამოთქმული გრძნობანი, არამედ იმით, თუ რამდენად მშვენიერია ის ფორმის მხრივ და მდიდარი შინაარსით, ე. ი. სრული ესთეტიკურად. მაგრამ, ბრანდესის აზრით, არი ხელოვნებაში ერთი რამ, რაც კიდევ უფრო უკვდავია, კიდრე მშვენიერება: ესაა ცხოვრება. მაღალ შეფასებას იმსახურებს მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელიც ცხოვრების სისრულეს იძლევა.

იმპრესიონიზმი უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მხატვრობასა და ლიტერატურაში. კრიტიკის სფეროში ის ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ესთეტიკურ დაფასებაში ადამიანი 'უნდა ხელმძღვანელობდეს არა წინასწარ შეძენილი ცოდნით, არა მზა-მზარეულად მოპოებულ ცნობით და სისტემით, არამედ იმ პირდაპირი, უშუამავლო შთაბეჭდილებით, თვით ესთეტიკური ობიექტი რომ ახდენს თავისთავად. კრიტიკოსი უნდა მიუახ-

ლოვდეს მხატვრულ ნაწარმოებს რამდენადაც შეიძლება გულ-გაშლილად, რამდენადაც შეიძლება გულუბრყვილოდ. შემდეგ მან უშიშრად უნდა გამოხატოს თავისი უშუამავლო შთაბეჭ-დილება, იმისდა მიუხედავად, ეთანხმება ეს უკანასკნელი სა-ზოგადად მიღებულ თეორიებს და შეხედულებებს თუ არა. იმიტომ რომ ცოცხალი შთაბეჭდილება უტყუარია, წინასწარ აჩემებულ ცნებათა სისტემა კი ხშირად ასუსტებს შთაბეჭდი-ლების სიცხოველეს.

მაგალითად, მკითხველი ხელში იღებს ემილ ზოლას რომა-ნებს იმ წინასწარი რწმენით გამსჭვალული, რომ ზოლა უკი-დურესი ნატურალისტი და მატერიალისტია. ეს რწმენა მას ად-ვილად შეუშლის ხელს დაინახოს ის სიმბოლიური და იდეალი-სტური ელემენტები, რომელნიც უხვად არიან გაბნეულნი ფრა-ნგი რომანისტის ნაწარმოებებში. ან ვთქვათ, ბუნების მოყვა-რულმა ადამიანმა შეიძინა ის წინასწარი ცოდნა, რომ კავკასიის ბუნება დიადი და მიუწვდომელია, ხოლო შვეიცარიისა უფრო ნაზი და ხელმისაწვდომი; ასეთი ცოდნა გავლენას ადვილად იქონიებს მის მხედველობაზე და ხელს შეუშლის მას ჩვენს სა-მშობლოში ნაზი მხარეები დაინახოს. ხოლო შვეიცარიაში ვე-ლური და მიუწვდომელი. ამით, რასაკვირველია, იმპრესიონიზ-მი კრიტიკოსისგან იმას კი არ ითხოვს, რომ ის უმეცარი იყოს, არამედ იმას, რომ მან ესთეტიკურ დაფასებაში პირადულ გან-ცდას უპირატესობა მისცეს ტრადიციული დახასიათებებისა და შაბლონური შეხედულებების წინაშე. ყველა ცხვირისთვის ერ-თი და იმავე ზომის სათვალეები არ გამოდგება: ხელუხლებელი ნაკვთების და გარდამავალი ტონების შესათვისებლად საკუთა-რი ორგანოს გამახვილებაა საჭირო. ესაა ძირითადი შეხედულე-ბა იმპრესიონისტური კრიტიკის, როგორც მას, მაგ., ჟ. ლემეტ-რი იცავს.

* * *

ზევით, რამდენადაც შეიძლებოდა, მოკლედ დავახასიათეთ თანამედროვე კრიტიკის ოთხი უდიდესი ოსტატი: სამი გამო-ჩენილი ფრანგი და ერთი გამოჩენილი დანიელი, რომელთაც ეპოქა შეჰქმნეს ევროპის ახალ ლიტერატურაში. ტენმა საძირ-

კველი ჩაუყარა მეცნიერულ კრიტიკას, ბრიუნტიერმა ის მსოფლმხედველობის სამოსელში გახვია, ხოლო ბრანდესმა და ლემეტრმა მხატვრული ფორმა მისცეს მას.

თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა ბევრს ვერ გეგებს, თუ ის ისარგებლებს იმ მეთოდებით და იდეებით, ამ გონებამახვილმა ევროპელებმა რომ შეიმუშავეს. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა რვალის ოქროსგან გამორჩევა ჭეშმარიტი საუნჯის აღმოსაჩენად.

ეჭვი არ არი, რომ ეროვნულ მომენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ესთეტიკურ შემოქმედებაში, კერძოდ სიტყვაკაზმულ მწერლობაში. აქ შეიძლება კიდევ უფრო დიდი, ვიდრე სხვაგან, იმიტომ რომ ცხოველი სიტყვა ბევრად უფრო მჭიდროდ არი შეკავშირებული ეროვნულ ფსიქიკასთან, ვიდრე მაგ., ხუროთმოძღვრების, მხატვრობის ან მუსიკის ფორმათა ენა. სიტყვაკაზმულმა მწერლობამ უწინარეს ყოვლისა უნდა გადმოსცეს ეროვნული სინამდვილე, განსაზღვრული ხალხის აწმყო და წარსული, მისი გრძნობანი და იდეალები; ეგზოტიკურ ექსკურსიებს უფრო ქვეყნებსა და შორეულ ეპოქებში ყოველთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს: იმიტომ რომ, მაგ., კლასიკური დროის ბერძნებმა და აღორძინების დროის იტალიელებმა ბევრად უფრო ძლიერად და უშუალოდ გამოხატეს თავისივე თავი, ვიდრე ეს დღევანდელ ქართველებს ან თუნდ დღევანდელ ფრანგებსა და გერმანელებს შეუძლიათ.

მაგრამ მეორე მხრით მხოლოდ შოვინისტურ, გონებრივ სივიწროვეს შეუძლია უარყოს ის დიდმნიშვნელოვანი როლი, ლიტერატურასა და ხელოვნებაში რომ ინტერნაციონალური ურთიერთობა თამაშობს. თანამედროვე კულტუროსან კაცობრიობას აკავშირებს ერთნაირი გაცვლა-გამოცვლა იდეათა და შეხედულებათა, არა ნაკლებ ნაყოფიერი და სასარგებლო, ვიდრე ეკონომიური აღებმიცემობაა. ეს გაცვლა-გამოცვლა განსაკუთრებით ჩვენსავით ჩამორჩენილი ერებისათვის არი საკეთილდღეო. მოწინავე ერების გენიოსობამ წამოაყენა ღრმა პრობლემები, შეიმუშავა ამაღლებული აზრები ადამიანობისა და მისი დანიშნულების შესახებ, და გონებრივ მომწიფებულად მხოლოდ ის ხალხი შეიძლება ჩაითვალოს, რომე-

ლიც თავისებურად პასუხს აძლევს ამ პრობლემებს, ანგარიშს უწევს ამ აზრებს. ყოველ შემთხვევაში დღეს არც ერთ ხალხს არ ძალუძს ფეხი ააყოლოს კულტურის აჩქარებულ ტემპს, თუ ის სულიერად განმარტოებულია და მხოლოდ თავის საკუთარ ძალ-ღონეზეა დამყარებული.

და, აი სწორედ აქ ეშლება წინ ხელოვნებისა და ლიტერატურის კრიტიკას დიადი ასპარეზი. ყოველი ესთეტიკური კრიტიკა არსებითად ნორმატიულია: ის აღნიშნავს არა მარტო იმას, რაც არი, არამედ იმასაც, რაც უნდა იყოს. ის არ კმაყოფილდება მხატვრულ ნაწარმოებთა ახსნით, ის ახალ იდეალებს, ახალ ნორმებს, ახალ შესაძლებლობას უჩვენებს. ეს კი, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა კრიტიკა სცილდება ვიწრო თემის გატკეპნილ ბილიკებს და უნივერსალური ურთიერთობის სიმაღლეზე ადის.

ბევრი რამ, რაც ჩვენ დღეს სიბრძნისა და მშვენიერების უკანასკნელ სიტყვად მიგვაჩნია, ევროპამ კარგა ხანია, იმ ჩარდახზე გაამგზავრა, სადაც ძველი ავეჯეულობა ინახება. ხოლო ბევრი რამ, რაც ევროპაში მართლაც ახალი და საყურადღებოა, ხშირად სრულიად გაუგებარია ჩვენთვის. ფლობერმა, ზოლამ და მოპასანმა ახალი რომანი შეჰქმნეს, იბსენმა და მეტერლინკმა ახალი დრამა, ბოდლერმა და ვერლენმა საძირკველი ჩაუყარეს თანამედროვე ლირიკას, მანემ, სეზანმა და ვან გოგმა — მხატვრობას, როდენმა — ქანდაკებას, ვაგნერმა — მუსიკას. სხვებთან ერთად ამ ხელოვანებმა გარდაქმნეს სტილი, ფორმა, გადააბრუნეს ძველი ხელოვნების ნიადაგი და მასზე უხვად ნაყოფიერი იდეები განაბნიეს. ჩვენთვის კი ეს სახელები და მოვლენები ან სრულიად არ არსებობენ ან თუ არსებობენ, ისე მკრთალად და ბუნდოვნად თითქოს შორეული სიზმრის მოჩვენებანი იყვნენ.

ამ სულიერი კონსერვატორობის განადგურება ესთეტიკური კრიტიკის უაღრესი დანიშნულებაა. ყოველი ჭეშმარიტი კრიტიკა არსებითად რევოლუციურია. ის უჩვენებს ძველ საზღვრებს და ახალ შესაძლებლობებს. ის ხელოვნებას უცქერის როგორც ეროვნული ცხოვრების გამოხატულებას და ამიტომ ხელოვნების კრიტიკას მრავალმხრივ თვით სოციალური ცხოვრების კრიტიკად სთვლის.

მაგრამ ხელოვნება კიდევ მეტია, ვიდრე ცხოვრების მჭევრმეტყველი გამოხატულება; ის ეროვნული აღორძინების უდიდესი ძალაა. ეროვნების აღზრდა ესთეტიკურად, მისი რეგენერაცია მრავალფერად ესთეტიკურ კულტურაში, მისი ხელახლა შობა ხელოვნების შემწეობით, ეს ის ამაღლებული, წარუვალი იდეალია, შილერმა, ჰეგელმა და ვაგნერმა რომ წამოაყენეს. როგორც შემომქმედი, ისე კრიტიკოსი უნდა განიმსჭვალოს იმ აზრით, რომ ხელოვნებას დიადი ნაციონალური მისია აქვს შესასრულებელი. ამიტომ როგორც პირველს, ისე მეორეს აუცილებლად სჭირია სახელმძღვანელო იდეები.

სახელმძღვანელო იდეები და არა სისტემები! ხელოვნებას არაფერი არ ემტერება ისე, როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, გაქვავებული დოგმები. ხელოვნება სარწმუნოება არ არის, თუმცა ისიც მასავით კოსმიური გრძნობითაა გამსჭვალული. მან არ იცის რა არის მწვალებლობა, რა არის რწმენისათვის დევნა; მის სამფლობელოში ადგილი აქვს ყოველგვარ რწმენას უკიდურესი მეტაფიზიკური იდეალიზმიდან დაწყებული უკიდურეს ნატურალიზმამდე, უკიდურეს არისტოკრატულ ინდივიდუალიზმიდიან დაწყებული უკიდურეს დემოკრატიულ სოციალიზმამდე: ზოლა და მეტერლინკი, სტრინდბერგი და ტოლსტოი ერთად თავსდებიან ამ სფეროში.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ესთეტიკური შემოქმედება და ესთეტიკური კრიტიკა თავისუფალი უნდა იყოს ძირითადი პრინციპებისაგან. პირიქით, უკიდურესი იმპრესიონიზმის წინააღმდეგ ვაღიარებ, რომ განსაკუთრებით კრიტიკა უნდა დაეყრდნოს ფართო მსოფლმხედველობას და ხელოვანისაგან მოითხოვოს არა უკავშირო სინემატოგრაფული შთაბეჭდილებანი, არამედ მთლიანი სურათი, ღრმა ფონზე დახატული.

მაგრამ კრიტიკოსი ფილოსოფოსი ან სიბრძნის მასწავლებელი როდი არი. მისი უაღრესი ვალდებულება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ სხვებს თეორეტული ცოდნა გადასცეს, არამედ იმაში, რომ დოგმატური თვლემით შეპყრობილნი ძილისაგან გამოარკვიოს. კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებამ უნდა შეიტანოს საზოგადოებაში ის გრძნობა მღელვარებისა, თვით მას რომ სტანჯავს. მან უნდა გამოააშკარავოს თავისი

ინტელექტუალური მოუსვენრობა, თავისი მუდმივი ძიება, გაღიზიანოს ფრთებშეკვეცილი ფანტაზია, და ცოდნის წყურვილი და შემოქმედებისადმი ლტოლვა აღძრას.

ამისათვის არ არი საჭირო, რომ კრიტიკოსმა ყველაფერი თქვას, რისი თქმაც შეიძლება განსაზღვრული ლიტერატურული თუ მხატვრული მოვლენის შესახებ. პირიქით, ნახევრად გამოთქმული შეხედულება, უცებ შეწყვეტილი და კითხვის ნიშნით დაბოლოვებული აზრთა მსვლელობა, გადაკვრით ნანიშნები პრობლემა უფრო ამოძრავებს ადამიანის ფანტაზიას, ცნობისმოყვარეობასა და ნებისყოფას, ვიდრე მძივივით ძაფზე აცმული დეტალები.

არც ის არის საჭირო, რომ კრიტიკოსმა სავსებით ამოსწუროს მთელი შინაარსი მხატვრული ნაწარმოებისა, რომელსაც ის არჩევს, ან თვით ხელოვანის უტყუარი ფოტოგრაფია შექმნას. უკვე ერთხელ ნათქვამის განმეორება მის გავლენას ვეღარ გააძლიერებს, ფოტოგრაფიული სურათი კი პიროვნების სულს და შინაგან ხასიათს ვერასოდეს ვერ გადმოსცემს, რაგინდ კეთილსინდისიერად არ უნდა იყოს ის შესრულებული. პირიქით, ცოცხლად გადმოცემული შთაბეჭდილება ნახშირით დახატული სილუეტი, ორიოდე ძლიერი ხაზით გამოყვანილი პროფილი უფრო კარგად გვაგრძნობინებს პიროვნების და ნაწარმოების დამახასიათებელ, განუმეორებელ თვისებებს. ამა თუ იმ ესთეტიკური მოვლენის შესაგნებად ხშირად პატარა კრიტიკული ესკიზი უფრო სასარგებლოა, ვიდრე მრავალტომიანი ფილოლოგიური გამოკვლევა.

1914 წ. „სახალხო გაზეთი“.

ლიტერატურა და ეროვნული ენერგია

თანამედროვე კულტურისანი ერების ცხოვრებაში ლიტერატურა დიდ სოციალურ ძალას წარმოადგენს. ის ხატავს ეროვნულ შემოქმედებითს ძალას და მრავალმხრივობას და

თავის მხრით ხელს უწყობს ეროვნული ენერგიის გაღვივებას. უწინამძღვრებს ესთეტიკური აღზრდის საქმეს, მაგრამ ამასთან ზნეობრივ გაფაქიზებასა და გაღონიერებასაც ემსახურება.

თანამედროვე ქართული ლიტერატურა ღარიბია მხატვრული სახეებით და იდეური შინაარსით. ამ ლიტერატურის ყველაზე მეტად განვითარებული დარგი ლირიკაა. ლირიკა კი ახლო დგას მუსიკასთან და იმდენად განსაზღვრულ იდეებს და გამოკვეთილ სახეებს არ ითხოვს, რამდენადაც უსაზღვრო, გამოურკვეველ და გარდამავალ ემოციებს.

ლირიკული და მუსიკალური ელემენტი აუცილებლად საჭიროა განვითარებულ ესთეტიკურს კულტურაში, მაგრამ მას ზედ უნდა დაერთოს დრამატული და ეპიკური ხელოვნებაც. ამას მოითხოს ეროვნების არსებითი ინტერესი: მიტომ რომ იდეები და პრობლემები ნათლად და გარკვეით უფრო დრამატულ ან ეპიკურ ფორმაში შეიძლება გამოითქვას.

დღეს საქართველოში ბევრად მეტი ლირიკული ლექსი იწერება, ვიდრე მოთხრობა, რომანი ან დრამა. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს მწერლობას შემოქმედებითი ენერგია აკლია. ყოველი მომქმედი ხალხი და ყოველი მომქმედი ეპოქა თავის თავს ეპიკურ ან დრამატულ ხელოვნებაში ჰხატავს. ჰომეროსის „ილიადა“, ფირდოუსის „შაჰნამე“, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, გოეთეს „ფაუსტი“, ბაირონის „კაინი“, ჰიუგოს „საუკუნეთა ლეგენდები“ ან კიდევ კალდერონის, შექსპირის და იბსენის დრამები მოძრავი, მღელვარე და ენერგიული თაობების ესთეტიკური სახეა. ლირიკა ხშირად ეთნიკური დაღლილობის მაჩვენებელია და მისი გადაჭარბებული ლირიზმი ეროვნული ხასიათის გარბილებას იწვევს...

დიდი ეპიკოსები იმედის მოციქულნი იყვნენ მაშინაც კი, როცა დაშორებულნი იყვნენ ზეზერეულ ოპტიმიზს. ნაყოფიერი ფანტაზიის შემწეობით ისინი ჰქმნიდნენ სახეთა და იდეათა ქვეყანას, უფრო ამაღლებულს და მშვენიერს, ვიდრე ჩვეულებრივი სინამდვილეა. ეს მხატვრული ქვეყანა მით უფრო მოქმედებდა ხალხის გრძნობაზე და ფანტაზიაზე, რომ ის მასში თავის იდუმალ სულს ხედავდა. ყოველ დიდ ეპიკურ ნა-

წარმოებს საფუძვლად სოციალური შემოქმედება უძევს: ის იკვებება ისტორიული გადმოცემებით, ხალხური თქმულებებით და ლეგენდებით. საუკუნეთა მაჯისცემას უმთავრესად ხალხი ეროვნულ ეპოსში გრძნობს და ეს მაჯისცემა მისთვის უფრო გასაგებია, ვიდრე ლირიკული ლექსის ნაზი სუნთქვა.

ხშირად ისტორიული ეპოსი ან რომანტიკული პოემა თვით ხდება ხალხური თქმულებების წყაროდ. ასეთია ჩვენი „ვეფხისტყაოსანი". ამ შემთხვევაში მისი სოციალური გავლენა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. „ვეფხისტყაოსანმა" ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული ხასიათის დაცვას, ჩვენი ეროვნული ტრადიციის განმტკიცებას.

მეცხრამეტე საუკუნე სოციალური და ფსიქოლოგიური რომანის საუკუნეა. ამ სალიტერატურო დარგში გამოიხატა თანამედროვე ევროპული კულტურის სიმდიდრე, ძალოვნება, მრავალფერადობა. მართალია, დიდი რომანისტები — ბალზაკი, ფლობერი, ზოლა, მოპასანი პესიმისტები და მიზანტროპები იყვნენ, მაგრამ მათი შემოქმედებითი ენერგია და მათი ზნეობრივი თუ ესთეტიკური იდეალები ფარავდა მათ უიმედობას.

ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ შეუქმნია თანამედროვე რომანი. ეს იმას ნიშნავს, რომ მას ჯერ არ აღმოუჩენია თავისი ესთეტიკური სახე. ქართული ლიტერატურა დღეს ძიების ხანას განიცდის და დღევანდელი ლირიკული ენაწყლიანობა პრელუდიაა მომავალი მჭევრმეტყველი ხელოვნებისა.

ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობას რომ აღორძინება მოელის, ამის საბუთს ჩვენი დღევანდელი სინამდვილე და ჩვენი ისტორიული წარსული იძლევა. პირველი აღსავსეა დრამატული და ფსიქოლოგიური მომენტებით, მეორე მდიდარია ნაშთებითა და ძეგლებით, რომელნიც აღვივებენ ფანტაზიას და ოცნებას.

მაგრამ ჩვენ გვესაჭიროება ენერგიული ხელოვანი, რომელსაც რევოლუციონერის ტემპერამენტი აქვს და მხატვრული სინთეზის ძალა შესწევს.

ჩვენს დღევანდელ ლიტერატურას ძირითადი რეფორმა სჭირია: ის დახავსებულია ტექნიკურად და ღარიბი იდეურად.

მას არ ძალუძს კონკურენცია გაუწიოს უცხოელების მიერ შექმნილ მდიდარ მწერლობას.

მაგრამ, როცა ის გადახალისდება და ფერს იცვლის, როცა ის შეითვისებს ახალ ფორმათა ენას და ახალ იდეებს, როცა ის ღრმად გაიდგამს ფესვებს მშობლიურ მიწაში და მისი ჰაერისა და მზის სხივებს შეისრუტავს, ის უძლეველი გახდება ზღაპრულ დევგმირივით.

ქართული სალიტერატურო ენის ერთი საუცხოო თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ის ახლო დგას ხალხურ ენასთან. ქართველი ხალხი ადვილად ითვისებს უმაღლეს კულტურულ ღირებულებებს და უფაქიზეს იდეალებს, მაშინაც კი, როცა ის უწმინდეს სალიტერატურო ფორმაშია ჩამოსხმული.

ამიტომ სიტყვაკაზმული მწერლობა ერთი უდიდესი ელემენტია ჩვენი ეროვნული ენერგიის გასაძლიერებლად და გასავითარებლად.

1914 წ. „სახალხო ფურცელი".

ენა და ეროვნული ენერგია

ეროვნული სულის სიმდიდრე და სიძლიერე ან კიდევ მისი სიღარიბე და უილაჯობა არსად არ იხატება ისე ნათლად და ხელშესახებად, როგორც ენაში. ენა ააშკარავებს როგორც აზრთა მორჭმულობას და გრძნობათა მრავალფერადობას, ისე ეროვნული ტემპერამენტის სიცხოველესაც. ეს იმიტომ, რომ ენა არი სიტყვათა და გამოთქმათა მკვდარი ლექსიკონი, ის ცოცხალი სალაროა იდეათა და ემოციათა.

დღეს საყოველთაო ჭეშმარიტებადაა ცნობილი ის დებულება, რომ ენა და აზროვნება ორი სხვადასხვა მხარეა ერთი და იმავე სულიერი პროცესისა. იდეას მხოლოდ სიტყვის შემწეობით ეძლევა ნათელი და მკვეთრი კონტური, წინადადების ანუ სიტყვიერი გამოთქმის წყობილება სავსებით ეთანაბრება აზროვნების მიმდინარეობას. ამიტომ ენის სხვადასხ-

ვაობა ყოველთვის აზროვნებისა და სულის სხვადასხვაობას მოწმობს მრავალ გზით. ორ მეზობელ ერს ვერავითარი ბუნებრივი და ხელოვნური ზღვდე ვერ აშორებს ისე, როგორც მათი ენა.

მაგრამ ენა არ არი მხოლოდ გათიშვის იარაღი: ის ძლიერ შემაერთებელი და შემადუღებელი ელემენტიცაა. მისი შემწეობით ეროვნული ენერგია უდიდეს კონცენტრაციას აღწევს იმიტომ, რომ ის აკავშირებს არა მარტო ცოცხალ თაობებს ურთიერთ შორის, ის ერთიმეორეს უახლოვებს წარსულს, აწმყოს და მომავალსაც. აი, აქ იჭერენ მიცვალებულნი ცოცხალთ. ისინი მათ ანდერძად უტოვებენ სიტყვათა და გამოთქმათა საუნჯეს. მაგრამ, რადგან სიტყვა იდეის კალაპოტშია, შთამომავლობა წინაპრებისაგან სიტყვასთან ერთად ტრადიციულ იდეასაც ღებულობს მემკვიდრეობით.

აქედან ცხადია, რომ რაც უფრო მდიდარია ამა თუ იმ ერის ისტორიული წარსული, მით უფრო მდიდარია მისი სული, მით უფრო მრავალფეროვანია მისი ენა. კულტუროსანი ენის რიტმი მარტო გარეშე საგანთა ფხიზელ შთაბეჭდილებას როდი იძლევა. ის ააშკარავებს ძველისძველ ჩვეულებებს, დრომოჭმულ ტრადიციებს, აჩრდილისებურ ცრუმორწმუნეობებს, ის ხატავს უღრან ტყეებს და თვალუწვდენელ მინდვრებს, რომელნიც ერთ დროს ცის ტატნობს საზღვრავდნენ, ის გვანიშნებს საგანთა ბნელ სულთ, რომელნიც ჩვენ შორეულ წინაპართათვის არსებობდნენ და ჩვენთვის აღარ არიან.

ამიტომაა, რომ შეგნებული ერი არც ერთს თავის სიმდიდრეს არ ეპყრობა ისეთი სიფრთხილით და ყურადღებით, როგორც თავის ენას. ის მას ერთი მხრით სწმენდს უცხო ელემენტებისაგან, მეორე მხრით მის გარეთ გატანას ცდილობს. ამგვარად იბადება ორი მიმდინარეობა, ორივე დამახასიათებელი ეროვნული ენერგიისათვის: მოძრაობა პურისტული და მოძრაობა ექსტენსიური. პირველი უწინარეს ყოვლისა სინტაქსისა და ლექსიკონის სფეროში აშკარავდება, მეორე კი ყველაზე ძლიერ სიტყვაკაზმული მწერლობის შემწეობით ხორციელდება. ენის ლექსიკონი იზრდება და იწმინდება ეროვნული აქტივობის წყალობით, მისი სინტაქსი თანდათან ყალიბდება. ამგვარად განმტკიცებული ენა უპირდაპირდება

დაუმთავრებელ, უსუსურ, უკულტურო ენებს და ამარცხებს მათ: ამარცხებს არა ძალმომრეობით, არამედ პოეზიისა და ლიტერატურის შემწეობით.

ენერგიული ერები — ფრანგები, ინგლისელები, რუსები, გერმანელები თავიანთ ენას თანდათან უფართოებენ სამოქმედო ასპარეზს, როგორც ამას ძველი რომაელები შვრებოდნენ. როგორც ერთ დროს ლათინური, ისე ახლა ფრანგული, გერმანული და ინგლისური სცილდება ნაციონალურ საზღვრებს და ინტერნაციონალურ კუთვნილებად ხდება. ენა უფრო ბასრი იარაღი აღმოჩნდა, ვიდრე შუბი ან ხმალი იყო და პოეზიამ შესძლო ის, რაც ვერ შესძლო ვერც თოფმა, ვერც ზარბაზანმა.

ძველი ქართველობა ენერგიული ერების რიცხვს ეკუთვნის. მისი ენერგია გამოიხატა არა მარტო მის მიერ გათხრილ არხებსა, მის მიერ აგებულ ტაძრებსა და ციხე-კოშკებსა, მის მიერ განცდილ ომებში: ეს ენერგია მის ენასა და ლიტერატურაშიც გამოაშკარავდა. თავის მეზობლებს ქართველობამ შეათვისებინა თავისი საეკლესიო ენა და სასულიერო ლიტერატურა, თავის მეზობლებს მან თვალწინ დაუყენა საუკეთესო ნიმუში ეროვნულად გამოკვეთილი საერო პოეზიისა. თვით ნასესხებ, უცხოეთიდან გადმოტანილ ლიტერატურაში მან ძლიერი ნაციონალური ელემენტები შეიტანა. სპარსული პოემები და რომანები მან უფრო გადმოაქართულა, ვიდრე გადმოთარგმნა: ერთი გერმანელი მეცნიერისა არ იყოს, „ვისრამიანი“ კიდევ უფრო თამამად შეიძლება ქართულ ეპოსად ჩაითვალოს, ვიდრე „ტრისტანი და იზოლდა“ გერმანულად.

ქართული ენის სამოქმედო ასპარეზი თანდათან შეეიწროვდა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში; მან ზედიზედ დაკარგა სახელმწიფო დაწესებულებები, სკოლა, ოჯახი. ამასთან ერთად ის შეირყვნა და გადაგვარდა უცხო ელემენტების გავლენით.

საღი აზროვნება ყოველთვის განსაზღვრული, ნათლად გამოკვეთილი ენის ტერმინებში ყალიბდება, დღევანდელი ქართველობა კი არ ხმარობს ასეთ განსაზღვრულ ენას. ამიტომ მისი აზროვნება უფორმო და უენერგიო. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არ არსებობს ძლიერი,

ფართო მასშტაბის ქართული აზროვნება. იოანე პეტრიწის, შოთა რუსთაველის, ვახტანგ მეექვსისა და დავით გურამიშვილის მემკვიდრეები იშვიათად სცილდებიან პაწია ესკიზებსა, მინიატურებსა და კუპლეტებს და უზომოდ იტანჯებიან, როცა რაიმე შემთხვევა მათგან მეტ გონებრივ ენერგიას მოითხოვს.

აუცილებელზე აუცალებელია ჩვენი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა. ამისათვის კი საჭიროა არა მარტო ჩვენი კლასიკური მწერლობის შესწავლა, არამედ ხალხური ენის გაცნობაც. ქართული ლიტერატურული ენა ისე უნდა გაიწმინდოს, რომ არ გაღარიბდეს. მწიგნობართა ენა უწინარეს ყოვლისა აბსტრაქტული ტერმინებითაა მდიდარი: მხატვრული, ცხოველფერადებიანი სიტყვები უფრო ხალხურ ლაპარაკში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ხალხი სხვადასხვა კილოს ხმარობს სხვადასხვა პროვინციაში. ცხადია, ლიტერატურულ ენას საფუძვლად უნდა დაედოს განსაზღვრული პროვინციის კილო, რომელიც ისტორიული, სოციალური და ესთეტიკური უპირატესობით არი აღჭურვილი. ასეთი კილო ქართლურია.

რასაკვირველია, ქართლის ლექსიკონი უნდა გამდიდრდეს სხვა პროვინციებიდან შემოტანილი სიტყვებით, მაგრამ სამწერლო ენის ძირითადი ფონდი მაინც ქართლური უნდა დარჩეს. ასეთი ენა გამოგვიყვანს თანამედროვე ბაბილონისებურ მდგომარეობიდან, ასეთი ენა საუკეთესო იარაღი იქნება მთლიანი საქართველოს იდეის გასამტკიცებლად. ის ხელს შეუწყობს ძლიერი ეროვნული აზროვნების განვითარებასაც.

მაგრამ მარტო ენის გაწმენდა როდი კმარა ეროვნული ენერგიის გასაღვივებლად: ენისათვის საჭიროა ფართო სოციალური საფუძვლის შექმნაც, ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი გვაქვს გასაკეთებელი. ჩვენს დედაენას ხელახლა უნდა დავუპყროთ ის პოზიციები, უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში რომ დაჰკარგა.

დღეს შეგვიძლია იმის თქმა, თუ სად შეჩერდება მომავალში ეს ლტოლვა. მართალია, თანამედროვე ქართველობას ალარ ძალუძს ფართო საერთაშორისო პოლიტიკის წარმოება; მართალია, ქართული ლიტერატურა ისეთ ღირებულებას არ წარმოადგენს, რომ მისი შემწეობით შეიძლებოდეს სხვა ერე-

ბის სულიერი დაპყრობა, მაგრამ თვით ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე მოიპოვებიან სხვა ერების წარმომადგენლები, რომლებიც ძალაუნებურად დაემორჩილებიან ჩვენი ენის და კულტურის ზეგავლენას, თუკი სათანადო ენერგიას გამოვიჩენთ. ჩვენ არვის ვაიძულებთ ჩვენ სამშობლოში ეძიოს ბედნიერება. მაგრამ რაკი უცხოელები თავისი სურვილით მოდიან და ჩვენს მიწაწყალზე ესახლებიან, ჩვენ ზნეობრივი უფლება გვაქვს ვურჩიოთ, რომ ჩვენი კულტურა შეითვისონ, ჩვენი ენა შეისწავლონ.

წმინდა ქართული ენა იმდენად მდიდარი, კულტურული და კეთილხმოვანია, რომ ის ჭეშმარიტად ღირსია მეტი პატივისცემისა. ის მზადაა გამოხატოს უმძიმესი ფილოსოფიური იდეები და უმსუბუქესი ეროტული სენსაციები. ის ხან მკვეთრი და ძლიერია, ვით გრდემლის და კვერის შეხვედრა, ხან ნაზი და ტკბილი, ვით პირველი ღიმილი შეყვარებული ქალვაჟისა. ის ხატავს ჩვენს მოღუშულ მთებსა და მოღიმარე მდელოებს, ვეშაპის ხმიან ჩვენს ჩანჩქერებსა და ჩხრიალა მდინარეებს, ჩვენს ულრან ტყეებსა და პიტალო კლდეებს. მის რიტმში ჩვენ გვესმის შორეული სიმღერა ომში მიმავალი რაინდებისა.

1914 წ. „სახალხო ფურცელი".

პოეზია და სინამდვილე

სიტყვაკაზმული მწერლობის განვითარება არსებითად სინამდვილის თანდათანობითი დაპყრობაა. ეს განვითარება კი, როგორც ვიცით, ზეპირი სახალხო პოეზიით იწყება. ამიტომ, ვისაც სურს გამოარკვიოს ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს სინამდვილესა და პოეზიას შორის, მან უწინარეს ყოვლისა ამ უკანასკნელის პირვანდელ ფორმას — საგმირო ეპოსს უნდა მიჰმართოს.

საგმირო ეპოსს სინამდვილესთან მეტისმეტად ცალმხრივი

დამოკიდებულება აქვს: აქ მხოლოდ ცხოვრების ერთი პაწია კუთხე შედის ესთეტიკური შემოქმედების სფეროში და ისიც იმდენად არი გაზვიადებული და გადაჭარბებული, რომ ხშირად სრულიად აღარ შეესაბამება ჩვეულებრივი სინამდვილის ურთიერთობას. პირველყოფილ მგოსანს არ შესწევს იმდენი შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია, რომ სინამდვილის მთლიანობა გადმოგვცეს მხატვრულად, უბრალო, ყოველდღიურ მოვლენათა აღსანიშნავად კი მას ხალისი აკლია. მის ყურადღებას უწინარეს ყოვლისა ფიზიკური სიძლიერე იპყრობს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ჩვენს საუკეთესო ხალხურ თქმულებაში ამირანზე:

ცოტა კაცია ამირან,
ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუღა კამეჩი,
ეახშმად არც სამი ეყოფა.

ან კიდევ:

ამბრი ჩაჰქონდა დედასა,
თორმეტ უღელსა ხარსაო;
გადმოვარდნოდა ბარკალი,
მიწას არღვევდა მყარსაო.

მაგრამ ასეთი გაზვიადების მიუხედავად, თვით მგოსანხალხს ღრმად და შეურყეველად სწამს ამ მოვლენათა ჭეშმარიტება. „კაცმა ისეთი უნდა სთქვას, შიგ ტყუილი არ ერიოსო“, ამბობს ფშაველი გლეხი, როცა ამირანის ლექსს ათავებს. ეს გარემოება ანიჭებს სახალხო მითებს და ლეგენდებს იმ განსაცვიფრებელ ესთეტიკურ მეტყველებას და დამაჯერებელ ძალას, რომელსაც ბევრი თანამედროვე ნაწარმოებია მოკლებული; იმიტომ, რომ დღეს ხშირად თვით ავტორს არა სწამს თავის ქმნილებათა შესაძლებლობა, ის თვითონვე გრძნობს, რომ მის თხზულებაში ბევრი „ტყუილი“ ურევია. ის ლეგენდები და მითები კი თავისი დროისთვის რეალისტური ნაწარმოებნი იყვნენ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ხალხმა მათში უშუამავლოდ და მძლავრად გამოსთქვა თავისი შეხედულებანი, რწმენანი და გულისთქმანი. საუკუნეთა მაჯისცემას გრძნობს ადამიანი ამ თქმულებებში და ეს მაჯისცემა იმდე-

ნადვე რეალურია, რამდენადაც მისი გარეგნული გამოხატულება ფანტასტიკური.

ამ ფანტასტიკური სამოსელის მიუხედავად სახალხო პოეზიაში ბევრია ისეთი ადგილები, სადაც აშკარავდება ხალხის რეალისტური ალღო, მისი სინამდვილის გრძნობა და დაკვირვების ნიჭი. მაგრამ ეს ნიჭი თავდაპირველად ცალმხრივია. უძველეს ლექსებში გადმოცემული შთაბეჭდილებანი და დაკვირვებანი გამოუკლებლივ ფიზიკურსა და ფიზიოლოგიურ მოვლენათა სფეროს ეკუთვნიან. პირველყოფილი მგოსნისათვის თითქმის სრულიად არ არსებობს ფსიქიურ განცდათა სამეფო. მისი პოეზია ერთგვარი ფიზიოლოგიური იმპრესიონიზმის გამოხატულებაა: მისი ყურადღებისა და შემოქმედების ფარგალი ვიწროა, მაგრამ სამაგიეროდ, ორიოდე ხაზის მოსმით ცოცხლად და ხელშესახებად ხატავს მოვლენას, ამ ფარგალში რომ არი მოქცეული. ის სიტყვებს ძუნწად ხმარობს, იმიტომ რომ მისი ფანტაზია გადადის ერთი სურათიდან მეორეზე. შთაბეჭდილებას შთაბეჭდილება მოსდევს, კავშირი კი მათ შორის სუსტია და ამიტომ მთელ ნაწარმოებს აკლია არქიტექტონიკა. ეს, სხვათა შორის, იმით აიხსნება, რომ სახალხო პოეზიაში ასოციაციური აზროვნება სჭარბობს ლოგიკურ რეფლექსიას.

ამირანის ლექსში უხვადაა გაბნეული ამ „ფიზიოლოგიური იმპრესიონიზმის“ ნიმუშები:

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა,
საქმარედ გამზადებულსა,
უსუპი — ბროლის ციხესა,
თავ-ბოლოდ გამაგრებულსა,
ამირან — შავსა ღრუბელსა,
საავდროდ გამზადებულსა...

მეორე ადგილას, როცა ქარცეცხლს დედა ჰკითხავს, დარეჯანიანი ხომ არავინ ჩაგიყლაპიაო, ის უპასუხებს რომ ჩაყლაპულ კაცს „საცერივით თვალები ჰქონდა და ერთი ოქროს ცბილი ედგაო“.

დაკვირვების ნიჭი და სინამდვილის ალღო ცხოველთა ეპოსში კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ზემოთ მოყვანილ ლექსში; ცხოველთა ეპოსი კი უფრო ახალი ჟანრია სახალხო პოე-

ზიისა, ვიდრე საგმირო თქმულება. „დედაბრის წვეულებაში“ მაგალითად ცხოველების და ფრინველების მთელი ლაშქარია გამოყვანილი ლომიდან დაწყებული გნოლსა და კაჭკაჭამდე; ამასთან ერთად თვითეული მათგანი ინდივიდუალურად არის დახასიათებული.

მაგრამ უმაღლეს მწვერვალს ეს პირველყოფილი რეალიზმი ისტორიული ხასიათის პოეზიაში აღწევს, თამარ მეფის ლექსებში ის კიდევ იმდენად ძლიერი არ არის: აქ შთაბეჭდილებანი უფრო მკრთალნი არიან, ნაკლებ მჭევრმეტყველნი. სამაგიეროდ „ერეკლეს გლოვა“ პირდაპირ შეუდარებელია, როგორც სინამდვილის დაკვირვების, ისე მისი პოეტურად გადმოცემის მხრით. ბრძოლის ფიზიოლოგიური შთაბეჭდილებანი აქ იმდენად პლასტიკურადაა გადმოცემული, რომ ეს ლექსი შეიძლება ხალხური გენიოსობის საუკეთესო ნიმუშად ჩაითვალოს:

...გაშალე დროშა მძლეველი,
წვერ-მახვი, მტერთა ზარია,
მოყმეთა ნახონ ფრიალნი,
მუნ მოსქდეს მთა და ბარია.
ქუხდეს მაქარი, შაშხანა,
ვით ზეცით მეხის გვარია,
გავფანტოთ მტერნი ჩვეულად,
ვასვათ სასმელი მწარია.
განიფრთხე ძილი, აღსდეგი,
შთაიცვ წვრილ-თვალა რკინისა,
აღიღე ხელთა მაქარი,
მტერთა გამბნევი ტვინისა...

სახალხო პოეზიის ფარგლებში მომწყვდეული სინამდვილე თანდათან ფართოვდება კულტურის განვითარებასთან ერთად. გარეშე საგნების დაკვირვებას მოსდევს თვითდაკვირვება, ფიზიკურ მოვლენათა აღნიშვნას — სულიერ განცდათა აღნიშვნა: „ფიზიოლოგიური იმპრესიონიზმის გვერდით ნელ-ნელა ტლანქი „ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმის“ ჩანასახი ვითარდება ამ განვითარების ნაყოფია, მაგალითად, „აბესალომ და ეთერი“, ეს მელანქოლიური ჰიმნი უბედური სიყვარულისა. ის ბევრად უფრო შინაგანია, ვიდრე „ამირანი“, მასში ფსიქიკურ მხარეს ბევრად მეტი ყურადღება აქვს მიქცეული, ვიდრე ზე-

მოთმოყვანილ ლექსებში. მაგრამ ლოგიკური კავშირის მხრივ ისიც უსრულოა. ამის გარდა სიყვარული აქ დახატულია როგორც ტიპიური გრძნობა, ადამიანს რომ „გულზე ედება ცხელ ქადასავით". მხედველობა იმდენად გამახვილებული არ არი, რომ გრძნობათა ცხოვრების ინდივიდუალური ნაკვთები აღნუსხოს, მაგრამ სქესობრივი განსხვავება სიყვარულის განცდაში, მამაკაცური ეგოიზმი და დედაკაცური თავგანწირვა მაინც შესანიშნავად არი დანახული და გადმოცემული.

ფსიქოლოგიური რეალიზმის ნიშანი არი შემდეგი პატარა ლექსიც, სადაც ფსიქოლოგიურ მოვლენათა აღნიშვნაც უმაღლეს წერტილს აღწევს:

ქვეშ-ქვეშ შემოგცქერს, თოლს შეგყრის,
ეუეუნა სვილის ფერია,
თავს დახრის, წყნარად გაივლის,
ვითომდა არაფერია.
ეტყვი: რად დამჭერ?
იძახის:
ბეჩა, რა ჩემი ბრალია,
კვესო, შენ ცეცხლსა მიაყრი
და ნუ იფეთქებ ფალია...

* * *

ლიტერატურის განვითარება ბრძოლაა ესთეტიკური სინამდვილის გასაფართოებლად. დიდი მწერლები ამ ბრძოლაში გამოჩენილი სარდლების როლს თამაშობენ: ისინი ან ხელუხლებელ ციხეებს იღებენ, ან უკვე დაპყრობილ ნიადაგზე ახალ სიმაგრეებს აშენებენ. რომანტიკოსები და სიმბოლისტები ისევე მედგრად და მხურვალედ იბრძვიან, როგორც რეალისტები და ნატურალისტები. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ პირველნი ესთეტიკური სინამდვილის შექმნას ლამობენ, მეორენი კი ხელოვნების ემპირიულ სინამდვილესთან შესაბამებას.

ყოველი დიდი ხელოვანი კოლუმბივით ახალი გზების აღმოჩენაზე ოცნებობს: ის აჩენს ახალ ქვეყანას. ხელოვნების ასპარეზი იზრდება, ესთეტიკური ჰორიზონტი ფართოვდება, თითქო უფრო შორს წასვლა შეუძლებელია. მაგრამ არა!

ცხოვრების სისრულე განუზომელია, მისი მრავალფერადობა დაუსრულებელი და სინამდვილის წიაღში არ არი არც ერთი ისეთი უმნიშვნელო მოვლენა, რომ ის ღირსი არ იყოს ესთეტიკურად გადმოცემისა. ჩვეულებრივი და ყოველდღიური მოვლენანი — ჩიტის გადაფრენა, გაყვითლებული ფოთლის ჩამოვარდნა, გამოთხოვების სალამი ისევე კარგად შეიძლება პოეზიისა და მხატვრობის საგნად გახდეს, როგორც სამშობლოსათვის და კაცობრიობისათვის თავგანწირვა ან სხვა რაიმე დიადი და ტრაგიკული თავგადასავალი.

ჩვენს ძველ მწერლობაში სინამდვილის სისრულე და მრავალფერადობა ყველაზე ძლიერად რუსთაველმა გადმოსცა. მან პოეზიას დაუპყრო ისეთი კუთხეები ცხოვრებისა, რომელნიც მის წინამორბედთათვის სრული წყვდიადით ეყენენ მოცულნი. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი" იმდენად მაღლა დგას „ოქროს წყაროებსა", „სამოთხის ყვავილებსა", ჩახრუხაძის და შავთელის „შესხმათა" ან დავით აღმაშენებლის „სინანულის გალობაზე", რამდენადაც ცოცხალი ადამიანი უსიცოცხლო აჩრდილზე. აქ არ ვეხები იმ საკითხს, თუ რამდენად რეალისტური ნაწარმოებია „ვეფხისტყაოსანი", თუ რამდენად შეესაბამება მისი შინაარსი საქართველოს სინამდვილეს მეთორმეტე საუკუნეში. ყოველ შემთხვევაში ჩვენს წინაპართა ზნეჩვეულებების და მსოფლმხედველობის შესაგნებად ის ბევრად უფრო ძვირფას განძს წარმოადგენს, ვიდრე მთელი ჩვენი ძველი სიტყვაკაზმული მწერლობა ერთად აღებული. ის იძლევა პიროვნებათა მთელ რაზმს, ის ხატავს სულიერ მოძრაობათა მრავალმხრივობას სქესობრივ მეძავობისაგან დაწყებული უწინარეს რომანტიკულ სიყვარულამდე. ეს გარემოება აყენებს შოთა რუსთაველს ისე მაღლა, რომ მასში შემოქმედებითი ენერგია და რეალისტური ალღო ჰარმონიულად არი შეკავშირებული: აშკარად ჩანს, რომ ეს დიდი მგოსანი გრძნობს სინამდვილეს და ქმნის სინამდვილეს.

შემდეგ ჩვენს მწერლობაში ეს ჰარმონია დაირღვა. არჩილ I, ვახტანგ VI და იოსებ ტფილელი არ არიან მოკლებული განვითარებულ რეალისტურ ალღოს, მაგრამ მათ უმეტეს შემთხვევაში იმდენი შემოქმედებითი ენერგია არ შესწევთ, რომ სინამდვილე დასძლიონ, ესთეტიკურად გარდაქმნან და დამთავ-

რებული მხატვრული სახე მოგვცენ, სინამდვილის ელემენტები დაუმუშავებელ მასალად რჩება მათ ნაწარმოებებში: ესთეტიკური სურათის მაგივრად ისინი ხშირად გალექსილ მშრალ აღწერას იძლევიან. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დავით გურამიშვილი. მისი შემოქმედებითი დიაპაზონი უფრო ფართო და მრავალმხრივია...

ბესიკი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები პირიქით, ძლიერი მხატვრული ენერგიით და სტილით არიან აღჭურვილნი, მაგრამ მათი პოეტური ჰორიზონტი შედარებით ვიწროა. ცხოვრების თვალუწვდენელ ოკეანეზე ისინი მხოლოდ პაწია კუნძულს ამჩნევენ და ამ კუნძულზე ბესიკისა და ალ. ჭავჭავაძისათვის მხოლოდ სევდით გამსჭვალული ეროტიკული გრძნობა ბატონობს, ორბელიანებისათვის კი უფრო რომანტიკული პატრიოტიზმი.

ყველაზე დიდი და პრინციპულად მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ, სინამდვილის დაპყრობაში, რუსთაველის შემდეგ ბარათაშვილმა და ი. ჭავჭავაძემ გადადგეს. პირველი ძლიერია როგორც შემომქმედი, მეორე — როგორც მეთვალყურე. მომავალ თაობათა ხსოვნაში პირველი იცოცხლებს როგორც დიდი მგოსანი, მეორე როგორც „ადამიანური დოკუმენტების“ შემგროვებელი. მათი შემწეობით განსჯიან ჩვენი ეროვნული ბუნების თვისებებს, იმიტომ რომ მათში ქართველობის ორი მოპირდაპირე მხარე განსახიერდა ხელშესახებად. პირველმა ფილოსოფიური ლირიკის საშუალებით გამოხატა ჩვენი გრძნობა მუსიკალური რიტმისა, ჩვენი არისტოკრატიული ინდივიდუალიზმი, მეორემ ეპიური შემოქმედების წყალობით ჩვენი პლასტიკური სტილი, ჩვენი ჰუმანისტური ლტოლვანი, ჩვენი გონების სიფხიზლე და დაკვირვების ნიჭი.

ბარათაშვილმა თავისი პოეზიის საზღვრები შინაგან განცდათა სფეროთი შემოფარგლა. აქ მან აღმოაჩინა ახალი საუნჯენი, რომელნიც ფარულნი დარჩნენ თვით რუსთაველის უნიჭერსალური სულისათვის.

ი. ჭავჭავაძე კი პირიქით თანამედროვე აზროვნების ნიადაგზე დგას ორივე ფეხით. გარეშე ქვეყანა მას აინტერესებს თავ-სთავად, სულიერი განწყობილების მიუხედავად; ის სცნობს მის დამოუკიდებელ ფასსა და მნიშვნელობას. მისი

შემოქმედება უძლიერესი რეაქციაა იმ უშინაარსო ფორმალიზმისადმი, რომლის ტიპიური წარმომადგენელი ანტონ კათალიკოსი იყო; გრამატიკულად ჩამოყალიბებულ ფორმების ადგილას ის ცოცხალ ენასა და სტილს ჰქმნის, განყენებული კატეგორიების სისტემას ის ინდივიდუალურად დახასიათებულ სინამდვილეს უპირდაპირებს.

მგოსანი იმთავითვე გამსჭვალულია რეალისტური წყურვილით. მასში თვით უმნიშვნელო და ყოველდღიური მოვლენა იწვევს იმ სიხარულს, იმ სურვილს შეგნებისა და აღწერისას, რომელიც ასე დამახასიათებელია თანამედროვე ადამიანისათვის. „მგზავრის წერილებში“ მყინვარის, თერგისა და ჩვენი სამშობლოს მშვენიერი ბუნების გვერდით ის გვიხატავს ფოსტის სადგურს, ძველი რუსი ოფიცრის სასაცილო ფიგურას, საფოსტო ეტლს ტყავგამძვრალი ცხენებით, უზრდელი მეეტლით და ბოლოს შეუდარებელ მოხევეს მთელი მისი საჭურველითა და ფილოსოფიით. აქ ყოველი საგანი თავისი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. და სწორედ ეს არი დამახასიათებელი თანამედროვე აზროვნებისათვის, რომ მაშინ, როცა ძველი მსოფლმხედველობა მთელ სამყაროს მისტიურ ბურუსში ახვევს, ახალი აზროვნება, პირიქით, თვითეული მოელენის ცალკე გამორკვევას ცდილობს.

„კაცია ადამიანსა“, „კაკო ყაჩაღსა“, „გლახის ნაამბობსა“, „ოთარაანთ ქვრივსა“ და სხვა უფრო პატარა ნაწარმოებებში ი. ჭავჭავაძე ჰქმნის ქართული სინამდვილის სარკეს. ეს სარკე არ არი ყველგან პირსწორე; ის ალაგ-ალაგ პირშეხრილია და ამიტომ სინამდვილის უტყუარი სურათის მაგივრად ხშირად დაგრძელებულ და დამოკიდებულ ფიგურებს იძლევა. ელემენტები სინამდვილიდანაა აღებული, მხოლოდ მათ შორის პროპორცია არ არი დაცული. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ დიდი სარკის ზედაპირზე ბევრად მეტი საგანი გამოსჭვივის, ვიდრე ზოგიერთი ოსტატის გალაქულ და გაშალაშინებულ დაზგაზე.

ყოველდღიური და ტრივიალური მოვლენების გადმოცემაში ავტორი არაჩვეულებრივ გამბედაობას იჩენს. საკმაოა, გავიხსენოთ ზოგიერთი სცენები „კაცია ადამიანისა“ ან „ოთარაანთ ქვრივისა“. აქ ის ხშირად უახლოვდება იმ საბედისწუ-

რო საზღვრებს, სადაც რეალიზმი ტრივიალიზმში გადადის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ის მხატვრული ალღოს შემწეობით სძლევს საფრთხეს; მისი სტილი რეალისტური რჩება ზოგიერთი გადაჭარბების მიუხედავად.

ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ ზემოთ მოყვანილი ნაწარმოებნი გამოუკლებლივ აწმყოს ეხებიან; აწმყოს ესთეტიკურად გადმოცემა კი ზოგიერთი მხრივ უფრო ძნელია, ვიდრე წარსულის. დროების მიმდინარეობა საგანს თავისთავად ახვევს პოეზიის ბურუსში; ის, რაც აწმყოში მოსაწყენი პოზაა, წარსულში გადატანილი ხშირად სიდიადის და პოეტური მიმზიდველობის ელფერს იძენს. ამგვარსავე გავლენას ახდენს საგანთა ესთეტიკურ ტონზე მათი დაშორება სივრცეში: შორეული და მიუწვდომელი უფრო მშვენიერი ჩანს, ვიდრე ახლობელი და ხელშესახები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენს მგოსნებს რუსთაველიდან დაწყებული გურამიშვილამდე თავის ნაწარმოებთა მოქმედების ადგილი ან უცხოეთში გადაჰქონდათ ან წარსულში.

ი. ჭავჭავაძე აქაც რეფორმატორია: ის ერთი პირველი ქართველი მწერალთაგანია, პოეზიას რომ თავის სამშობლოს უახლოესი სინამდვილე დაუდო საძირკვლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან თავის ხელოვნებას უფრო მარჯვედ ააცდინა ტრივიალიზმის საფრთხე, ვიდრე ზოგიერთმა ძველმა მწერალმა. ამ ეფექტს მან იმით მიაღწია, რომ წვრილმანი და შაბლონური მოვლენანიც იმ დიდი მსოფლმხედველობის პერსპექტივაში მოაქცია, სადაც დიადნი და არაჩვეულებრივნი იმყოფებიან. ეს მსოფლმხედველობა სამშობლოს უზომო სიყვარულით არი გამსჭვალული და ადამიანის გონებისადმი რწმენით.

ჩვენი მგოსანი არც საქართველოს ისტორიულ წარსულს სტოვებს უყურადღებოდ. თუმცა მის „დედასა და შვილში“ და „მეფე დიმიტრი თავდადებულში“ ისტორიული კოლორიტი არაა დაცული, მაგრამ ამ ნაწარმოებებში ყოველ შემთხვევაში ბევრად მეტი სიცოცხლე და სინამდვილეა, ვიდრე ბევრ ჩვენს გრძელ ისტორიულ დრამებში. ეროვნული გრძნობის ტრაგედია, შეტაკება ვალდებულების შეგნებისა და ადამიანურ ლტოლვათა შორის, ორივეჯერ ძლიერად არი გადმოცე-

მული. ამას გარდა „დიმიტრი თავდადებული“ მომხიბლავია თავისი გულუბრყვილო ხალხური ტონით.

ი. ჭავჭავაძე საერთოდ რეფლექსებით გამსჭვალული მწერალია და სხვაგან იშვიათად აღწევს ასეთ გულუბრყვილობას; ეს გარემოება ხშირად ასუსტებს მისი ლირიკული ლექსების გავლენას, მაგრამ ამ ლექსებს აკლია პოეტური უშუალობა და არა სინამდვილის გრძნობა. მკითხველი აქაც ნათლად ხედავს რომ მგოსანი, ზღაპრული ანთეოსის მსგავსად, უძლეველი რჩება, სანამ ის ორივე ფეხით დედამიწაზე დგას. და მართლაც რამდენად მდიდარია ფიზიკური და ფიზიოლოგიური შთაბეჭდილებებით, მაგ., „ყვარლის მთები“, „ელეგია“, „მუშა“, „იანიჩარი“. „გეთნისდედა“, „ბაზალეთის ტბა“ და სხვ... აქ მგოსანმა ესთეტიკურად დაამთავრა ის ფსიქოლოგიური იმპრესიონიზმი, პირველად რომ ზემოთ მოყვანილ სახალხო ლექსებში გამოხატა.

მაგრამ „ბაზალეთის ტბა“ უკვე სცილდება რეალისტური ლირიკის საზღვრებს: აქ თვითეული საგანი ნიშნავს არა მარტო იმას რაც არი, არამედ იმასაც, რაც მის უკან იმალება. ტბას, აკვანს, წალკოტს „მუდმივი გაზაფხულით“, სირინოზთ და მომავალ ვაჟკაცს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. ესაა უმშვენიერესი ნიმუში სიმბოლიური პოეზიისა, იმიტომ რომ იდეები და პრობლემები აქ გადმოცემულია არა განყენებულ ცნებებში, არამედ უბრალო მხატვრულ სურათებში.

ასეთივე სიმბოლური ნაწარმოებია „განდეგილიც“: ღრმა ფილოსოფია და ცოცხალი სინამდვილე ისე ძალდაუტანებლად არი შეერთებული, რომ ეს პოემა ამ მხრით უბადლო მოვლენას წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში. მასში აშკარავდება ზოგადი საკაცობრიო პრობლემა, მაგრამ არა აბსტრაქტულად, არამედ ქართველის თვალით დანახული და საქართველოს ბუნებაში გახვეული. წინ ცოცხალი ადამიანები და რეალური საგნები მოსჩანან, მაგრამ უკან მათი აჩრდილნი ნელ-ნელა გრძელდებიან, ფორმებს იცვლიან და წარუვალი პრობლემების სახეს იღებენ. ამგვარად, მხატვრული ჯადოსნობის წყალობით, ინდივიდუალურად დახასიათებული მოვლენა შეუმჩნევლად ზოგად ფილოსოფიურ პრობლემაში გა-

დადის. ხოლო ეროვნული ელფერი თანდათან საკაცობრიო ფონზე იკარგება.

• • •

დიდი ხელოვანი თავისი სულის სიღრმეში მთელ ქვეყანას ატარებს. ეს უკანასკნელი მით უფრო მდიდარია, რაც უფრო ძლიერია მისი მატარებლის შემოქმედებითი ნიჭი. მაგრამ მსოფლიო კიდევ უფრო მდიდარია, ვიდრე თუნდა შექსპირის და გოეთეს შინაგანი ქვეყანა.

როგორც მეცნიერების იდეალს მთელი სამყაროს თეორეტულად შეგნება წარმოადგენს, ისე ხელოვნების იდეალი იმაში მდგომარეობს, რომ საბოლოოდ მთელი სინამდვილე სძლიოს ესთეტიკურად და პოეტურ, მხატვრულ, პლასტიკურ ან მუსიკალურ ენაში გამოთქვას. ამ საბოლოო იდეალთან შედარებით ყოველი განსაზღვრული პიროვნების და ეპოქის შემოქმედება ღარიბი და უსრულოა.

განსაზღვრულია ი. ჭავჭავაძის პოეზიაც. ქართული ლიტერატურის განვითარება არ შეიძლება, რასაკვირველია, აქ შეჩერდეს. სინამდვილე იზრდება. მასთან ერთად მახვილდება ჩვენი გრძნობა სინამდვილისა. თანამედროვე პოეზია მაშინ შეასრულებს ღირსეულად ჩვენი მგოსნის ანდერძს, როცა ის შესამჩნევად გასცილდება მას სინამდვილის დაპყრობაში.

ეჭვს გარეშეა ის, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები სინამდვილის მკერდზე საზრდოობს; უკიდურესი რომანტიკოსების სუბიექტური განცდანი ისევე ნამდვილი არიან ესთეტიკური თვალსაზრისით, როგორც უკიდურესი ნატურალისტების ობიექტური საგნები. მომავალი მკვლევარი ჩვენი ეპოქის სულიერი კულტურის განსჯაში მეტერლინკის თხზულებითაც ისევე კარგად იხელმძღვანელებს, როგორც ზოლას და გონკურის რომანებით ან იბსენის დრამებით.

რეალისტი დგას ბუნების წინაშე და გადმოსცემს თავის სიხარულს სინათლისა, ფერებისა და ფორმების მიერ გამოწვეულს. რომანტიკოსი ეძებს მივარდნილ კუთხეებს, საღამოს მწუხრში გახვეულს: ქედებსა და მთებში ის გაქვავებულ გველვეშაპს ხედავს, ჩანჩქერის ჩხრიალში ალის სიმღერას,

ტყის შრიალში ფერიების ეროტულ ჩურჩულს. ხელოვნება სცნობს როგორც ერთის, ისე მეორის უფლებას. ის სცნობს, რომ თითოეული მათგანი თავისებურად ჰქმნის ესთეტიკურ სინამდვილეს და მათგან მხოლოდ გულწრფელობას ითხოვს.

საყურადღებოა, რომ ყოველ დიდ ხელოვანს გულწრფელად სწამს თავისი შემოქმედების ჭეშმარიტება ან შესაძლებლობა. ამ მხრივ ნატურალისტებსა და რომანტიკოსებს შორის განსხვავება თითქმის არ არსებობს. ფლობერი თვითონვე გრძნობდა დარიშხანის გემოს, როცა მადამ ბოვარს საწამლავით თავს აკვლევინებდა, იმდენად ღრმად სწამდა მას თავისი დიადი რომანის სინამდვილე. მაგრამ ასეთივე რწმენით იყო გამსჭვალული, მაგ., გერმანელი რომანტიკოსი ჰოფმანიც, მიუხედავად იმისა, რომ მისი საშინელი მოჩვენებანი და გრძნეულებანი მხოლოდ მის აღვირახსნილ ფანტაზიაში არსებობდნენ. ი. ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“ ან „განდეგილი“ იმიტომ ახდენენ ასეთ ბუნებრივ შთაბეჭდილებას, რომ ისინი თვით ავტორს განუცდია ღრმად და გულწრფელად.

ჩვენი ეხლანდელი მწერლები (ორიოდეს გამოკლებით) ამ მხრივ დაახლოებითაც ვერ შეედრებიან ვერც სკეპტიკოს ფლობერს, ვერც ფანტაზიორ ჰოფმანს და ვერც ჩვენს რაციონალისტ მგოსანს. ხშირად აშკარად ჩანს, რომ ისინი თემას „ეძებენ“, გრძნობას „ჰქმნიან“, ფიგურებს „აკოწიწებენ“; ზოლას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისინი ლაპარაკობენ შემთხვევებზე, რომელნიც არსად მომხდარა და პირებზე, რომელნიც არავის უნახავს“. ძნელი დასაჯერებელია, რომ მკითხველს შეეძლოს იმის განცდა, რაც ავტორს არ განუცდია.

სუბიექტურ ჭეშმარიტებას მოკლებული ხელოვნება ჰკარგავს დამაჯერებელ ძალას და მანერაში გადადის: მანერად ქცეულ ხელოვნებას კი არასოდეს არ ძალუძს შეასრულოს დიადი ზნეობრივი როლი ხალხის აღმზრდელისა.

დღეს ჩვენ ჭეშმარიტების ფანატიკოსები გვჭირია ხელოვნების ყოველ სფეროში. ლირიკაში საბოლოოდ უნდა უარვყოთ ტრადიციული ფორმალიზმი, ტრადიციული ლამაზი გამოთქმანი და გულწრფელ გრძნობასთან ერთად ვეძიოთ იმანენტური რიტმი, რომელიც ისე ეკვრება შინაარსს, როგორც თხელი პირბადე ქალის პირისახეს; აქ ფორმა ყოველთვის

შინაარსისაგან უნდა გამომდინარეობდეს და მასთან ერთად იცვლებოდეს.

სუბიექტურ ჭეშმარიტებას, გამოცდილებას და დაკვირვებას უნდა დაეყრდნოს ჩვენი მომავალი რომანი და ნოველაც. ჩვენმა ახალმა სიტყვაკაზმულმა მწერლობამ უწინარეს ყოველისა უნდა მოგვცეს ის, რაც, ჩვენდა სამარცხვინოდ, აქამდის არა გვაქვს: ჩვენი განათლებული საზოგადოების ანუ ეგრეთწოდებული ინტელიგენციის მხატვრული სახე. ამასთანავე მან ნაწარმოებთა შინაარსი ფსიქოლოგიურად უნდა გააღრმავოს. ამ მხრივ კი ძლიერ ბევრია გასაკეთებელი. მას აქ ხელმძღვანელობას გაუწევენ ის ევროპელი მწერლები, რომელთაც ფსიქოლოგიური რომანების მთელი სერია შეჰქმნეს.

მაგრამ ჩვენმა ხელოვნებამ უნდა თანდათან დაიპყროს არა მარტო ქართველი ადამიანის სულიერი სიღრმე, არამედ ჩვენი სამშობლოს მრავალმხრივი ბუნება და მისი მდიდარი ისტორიაც; როგორც ერთში, ისე მეორეში ბევრი მშვენიერება მოიპოვება, საჭიროა მხოლოდ ამ მშვენიერების დანახვა, მისი განცდა, მისი ესთეტიკურად გამოთქმა.

1914 წ. სახალხო ფურცელი".

ხელოვნების ფსიქოლოგიიდან

შემოქმედის მონასტრის ერთი სვეტი მუდამ ნესტიანია ადამიანის სიმაღლეზე. ამბობენ ეს სვეტი გაქვავებული ქალწულიაო. ლოდის ძარღვებში თითქო ჩანს მკერდის რელიეფი, საიდანაც ცრემლნარევი რძე უნდა ჟონავდეს განუწყვეტლივ. ეს ცხოველი სვეტია. ხალხის რწმენით ასეთი სვეტი ბევრი იყო საქართველოში.

ეს რწმენა არაა შემთხვევითი მოვლენა. ის ჩვენი ერის ფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს და ჩვენი ესთეტიკური შემეცნების ერთ ელემენტს წარმოადგენს. გრძნობის შეტანას გარეშე მოვლენებში არსად არ მიუღია ისეთი ფართო და საყო-

ველთაო ხასიათი, როგორც საქართველოში. ყველაფერი ადამიანურად გაიგო ქართველობამ: ქრისტიანული რელიგიაც, ეთიკაც, ხელოვნებაც; ყველგან შეიტანა ადამიანური ღიმილი, თრთოლა, ცახცახი, ცრემლთაფრქვევა.

იმ დროის განმავლობაში, როცა ჩვენმა წინაპრებმა ჩვენს სამშობლოს ქვის საუცხოო ტანსაცმელი ჩააცვეს არშიებით, ფოთლებით და ყვავილებით შემკობილი, დასავლეთ ევროპაში წარმოიშვა ზებუნებრივი და ზეადამიანური არქიტექტურა, რომელიც ზეცისაკენ მიილტოდა თავისი კოშკებითა და წვეტიანი ისრებით. გოთური ტაძრების გრეხილები და სარტყელები დაღმეჭილი ქიმერებით იყო დასახლებული, კედლებიდან და თაღებიდან კი სისხლნაკლები, უძრავი და მიუკარებელი მადონები და წმინდანები გამოიყურებოდნენ. ეს იყო კულტურის გამოთიშვა ბუნებაში, გეომეტრიისა და მექანიკის გამარჯვება უფორმო მასაზე.

ქართული ხუროთმოძღვრების სტილი, პირიქით, ორგანული იყო და არა მათემატიკური. ჩვენი ტაძრები და კოშკები ზეცისკენ როდი მიილტვოდნენ. მიწაზე იდგნენ და მიწასვე უბრუნდებოდნენ მცენარეების მსგავსად. მკაცრი სიმეტრია არ იყო დაცული. პირიქით, შენობის ზედაპირი და სილუეტი ატმოსფეროს ცვალებადობასთან იყო შეფარდებული. უმეტეს შემთხვევაში ქართული ტაძარი მთის კალთაზე, გორაკზე და ბორცვზეა აღმოცენებული. შენობის კორპუსი თითქო ნიადაგის სიღრმიდანაა ამოზიდული. კორპუსზე იზრდება გუმბათი, რომელიც მთელი შენობის გვირგვინს წარმოადგენს. მაგრამ ის კორპუსს როდი აწვება და ამძიმებს ბიზანტიური სფერული გუმბათების მსგავსად. პროპორცია იდეურად არი დაცული: სიმძიმის მატარებელი ძალა სავსებით ეთანხმება თვით სიმძიმეს.

ეს გარემოება ჩვენი წინაპრების განვითარებულ გემოვნებას მოწმობს. ამაშია აგრეთვე ჩვენი ხუროთმოძღვრების თავისებურება. საზოგადოდ, ეროვნული სტილისთვის ხუროთმოძღვრებაში ყოველთვის უფრო პროპორციები და დეტალებია დამახასიათებელი, ვიდრე ძირითადი პლანი. ძირითადი პლანი საშუალო საუკუნეების განმავლობაში თითქმის უცვლელი იყო მთელ საქრისტიანოში. რომაელებისაგან ქრისტიან-

მა ერებმა ბაზილიკის სისტემა ისესხეს, აგრეთვე მრგვალი სამლოცველო. თავის მხრივ ჯვრის გეგმის ეკლესია შეჰქმნეს. ამ სამი მთავარი ტიპისაგან წარმოდგა სხვადასხვა ვარიანტი დასავლეთ ევროპაშიც და წინა აზიაშიც. ქართველობამაც, რასაკვირველია, შეითვისა ქრისტიანული არქიტექტურის ძირითადი აზრი. მაგრამ აზრის განვითარებაში მან ისეთი თავისებურება და დამოუკიდებლობა გამოიჩინა, რომ თამამად შეგვიძლია რომანული, ბიზანტიური და გოთური სტილის გვერდით ქართული სტილიც დავაყენოთ.

კლასიკურ პერიოდში, ე. ი. ბაგრატ III, ბაგრატ IV და დავით აღმაშენებლის ხანაში შენობის კორპუსი ნაწილდება, კედლები ცხოველთა ნიშნებით, ნახევარ სვეტებით და კამარებით, გუმბათი უფრო წერწეტი ხდება, დეკორატიული ელემენტები ძლიერდება. მაგრამ ეს დანაწილება და შემკობა არ არღვევს მთელი შენობის მიერ გამოწვეულ შთაბეჭდილებას ორგანული მთლიანობისას. ბოლოს, დაცემის ხანაში შენობის დანაწილება უკიდურესი ხდება, მთლიანობა თითქმის ირღვევა და გადაჭარბებული დეკორაციის ქვეშ ისპობა უბრალოება და მონუმენტალობა.

მაგრამ ჩვენი ეროვნული ტემპერამენტის დოკუმენტები მარტო ხუროთმოძღვრებაში როდი უნდა ვეძიოთ. საყურადღებოა აგრეთვე სკულპტურული მოტივები, განსაკუთრებით ცხოველებისა და მცენარეების რელიეფები ან კიდევ ნადირობის სცენები, რომელიც რამოდენიმე ალაგას აღმოაჩინეს რელიგიური სცენების გვერდით (მაგ., აფხაზეთის ერთ ეკლესიაში, რომელიც ახლა მემამულე ვორონოვს ეკუთვნის). მაგრამ სკულპტურაში ქართულ გენიოსობას არ შეეძლო ფრთების გაშლა: თავისუფალი პლასტიკა აკრძალული იყო ორტოდოქსიის მიერ, რელიეფებს კი მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი ჰქონდა მიჩნეული. სამაგიეროდ მხატვრობა ფართო ასპარეზს იძლეოდა, სადაც ჩვენმა წინაპრებმა გასაოცარი ნიჭი გამოააშკარავეს და რამდენიმე უკვდავი შედევრი დაგვიტოვეს.

ამ შედევრებს შორის ერთი უპირველესი ადგილი, უეჭველია გელათის ღვთისმშობლის ხატს უჭირავს, ეგრეთ წოდებულ „ბაგრატის ლოცვას". ეს ხატი მეთერთმეტე საუკუ-

ნეს ეკუთვნის, ე. ი. იმ ხანას, როცა ბიზანტიაში უკვე ხელოვნების დეკადანსი იწყება, ხოლო დასავლეთ ევროპაში მხატვრობა ჯერ კიდევ ფეხაუდგმელია. ამ საუკუნის განმავლობაში ხელოვნების ყოველ დარგში საქართველო უცილობლად პირველ ადგილს იჭერს კულტუროსან ერებს შორის. ოქრომჭედლობა, მინანქარის ხელობა, ქსოვა, ხელნაწერების შემკობა უმაღლეს მწვერვალამდე ვითარდება, აგრეთვე ხუროთმოძღვრება, რომელიც უბადლო ძეგლებს ტოვებს ბაგრატის, მარტვილის და მოქვის ტაძრების სახით. „ბაგრატის ლოცვის“ ხატსაც ნათლად ატყვია ამ დიადი ეპოქის ბეჭედი. ღვთისმშობელი მთელი ტანით არი გამოსახული. მისი სახის გამომეტყველება წყნარი და სერიოზულია. დიდი თვალები, ენერგიული ტუჩები, კეთილშობილი თავის დაჭერა. ტანისამოსის უბრალო ნაოჭები ღვთაებრივ ელფერს აძლევს მთელ ფიგურას. მაგრამ ეს მაინც დედაა და არა უსქესო არსება, როგორც ამ დროს ხშირად ხატავდნენ ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში. მარცხენა ხელში პატარა იესო უჭირავს, მარცხნივ დაჩოქილა ბაგრატი სამეფო გვირგვინით და სამეფო ტანისამოსით შემკული; მთელი ხატი თბილი ტონებითაა შესრულებული და სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს როგორც ენერგიული კომპოზიციისა, ისე სხეულის რელიეფურად გადმოცემის მხრით.

შემოქმედის ღვთისმშობლის ხატი ნაკლებ სრულია ტექნიკურად, მაგრამ ფსიქოლოგიური მეტყველების მხრივ არა ნაკლებ საყურადღებოა. დედობის გრძნობა აქ კიდევ მეტი სიძლიერითაა გადმოცემული. ქალწული პაწია იესოს მგრძნობიარედ იხუტებს. ბავშვს ხელები დედის კისერზე აქვს შემოჭდობილი. ღვთისმშობლის სახე გრაციით და სინაზითაა აღსავსე და მის არსებაში აღარაფერია ზეადამიანური და ზებუნებრივი. ზოგიერთი სიმპათიური და გულუბრყვილო დეფექტები, მაგალითად, მეტისმეტად დაგრძელებული ასოები შეუმჩნეველი რჩებიან და არ არღვევენ მჭიდრო კომპოზიციას. ჩარჩოზე მოთავსებული რელიეფებიც საუცხოოდ ამშვენებს მთელ ხატს.

ამ ნაწარმოებში ქართულმა მხატვრობამ დაარღვია ვიწრო სამონასტრო ტრადიციები, უარყო ღვთისმშობლის დოგმატური კონცეფცია და ტიპიური სქემის მაგივრად გრძნობებით

გამთბარი პიროვნება მოგვცა. ამგვარად, ქართულ ხელოვნებაში უკვე XII საუკუნეში იჩინა თავი ზოგიერთმა ელემენტმა, რომელიც ევროპულ, განსაკუთრებით იტალიურ რენესანსს ახასიათებს: ღვთაების ადამიანური შემეცნება, მისი მოთავსება ბუნებრივ ჩარჩოებში.

მაგრამ ქართული ხელოვნების ნათესაობა რენესანსთან არსად არ ჩანს ისე ნათლად, როგორც ბეთანიის ფრესკებზე. ცნობილია, რომ ამ ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე წმ. გიორგისა და წმ. დიმიტრის შუა თამარ მეფე, გიორგი III და ლაშა გიორგიანი მოთავსებული. ეს ისტორიული პორტრეტები სუსტი ნაწარმოებებია. მათ აკლიათ სწორედ ის, რაც ყველაზე უფრო საჭიროა პორტრეტისათვის: ინდივიდუალობის ბეჭედი, ფსიქოლოგიური დახასიათება. ნათლად ჩანს, რომ მხატვარს მოდელი თვალწინ არ ჰქონია, მისი თავისუფლება კი შებოჭილი ყოფილა. მას დაუხატავს მეფეები, როგორც ეს მიღებული იყო სასახლეში საუკუნეთა განმავლობაში. უფრო ხელმწიფური სიდიადის გადმოცემას ცდილა, ვიდრე რეალური ნაკვთებისას. სამაგიეროდ საკურთხevლის მხატვრობაში ხელოვანს მთელი თავისი შემოქმედებითი ძლევამოსილება გამოუაშკარავებია. მას შეუქმნია გასაოცარი ანსამბლი, რომელიც სამი პარალელური სარტყელისაგან შედგება და მოძრაობათა მთლიან სიმფონიას ჰქმნის. ზევითა ზონაში წინასწარმეტყველებია მოთავსებული, შუათანაში — მოციქულები, ხოლო ქვევითში — საეკლესიო მამები. მაგრამ ეს ადამიანები საშუალო საუკუნეების მწირებსა და განდეგილებს როდი ჰგვანან. ნიადაგზე ორივე ფეხებით მტკიცედ დგანან და მოქნილი სხეულის კუნთებს ტანსაცმლის ნაოჭებში ვეღარ მალავენ. მათ სახეებსაც ჩამოსცლია ტრადიციული ნიღაბი: ზოგიერთი მათგანის გამომეტყველება იმდენად ბუნებრივი და დამახასიათებელია, რომ თუ არ მოდელების შემწეობით, სხვაფრივ მათი შექმნა შეუძლებელი იქნებოდა. მხატვარს კარგად ჰქონია შესწავლილი ადამიანის ანატომიაც: საფიქრებელია, რომ კედელზე ჯერ ტიტველი სხეულის ესკიზები დაუხატავს და შემდეგ ტანსაცმლით დაუფარავს. ამგვარად შეუქმნია ეს საუცხოო მხატვრობა. სადაც დაკვირვება, ფანტაზია და ბრძნული ტექნიკა ერთმანეთს ეჯიბრება.

ბეთანიის ფრესკები ძლიერ საინტერესო მოვლენას წარმოადგენენ კულტურული თვალსაზრისით. საშუალო საუკუნეების ადამიანი ეკრძალვოდა სხეულის გატიტვლებას. მატერიას სულიერ საპყრობილედ სთვლიდა და მის დათრგუნვას ცდილობდა. მხატვრები და მოქანდაკეები ადამიანის სხეულს ან ტანსაცმელებში მარხავდნენ, ან კიდევ ისეთ ფორმებს აძლევდნენ, რომ მასში არაფერი ყოფილიყო მიმზიდველი. როგორც ჩანს, ჩვენს მზიან სამშობლოში შედარებით ადრე იგრძნეს ამ მსოფლმხედველობის სიდუხჭირე და შედარებით ადრე გამოხატეს ადამიანის სხეულის მიერ გამოწვეული სიხარული. ეს გასაკვირალი არაა: ხალხი, რომელიც პოეზიაში ტარიელის და ავთანდილის საროსტანსა და თინათინისა და ნესტანდარეჯნის ბროლის მკერდს უგალობდა, მხატვრობაში გაშეშებული და სისხლნაკლები წმინდანებით ვეღარ დაკმაყოფილდებოდა. ბეთანიის ფრესკებიც საქართველოს ეროვნული აყვავების ეპოქას ეკუთვნის და იმავე სულითაა გაჟღენთილი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი" შეჰქმნა. აქაც და იქაც უარყოფილია საშუალო საუკუნეობრივი დოგმა, რომელიც პიროვნებას, ბოჭავდა უზენაესი ჭეშმარიტების სახელით და დადასტურებულია ძლიერი პიროვნება.

რენესანსის ელემენტებს ქართულს ხელოვნებაში უცხოელებმაც მიაქციეს ყურადღება. ფრანგი მოგზაური მურიე ამბობს, რომ გელათის ზოგიერთი მხატვრობა საოცრად წააგავს იტალიური რენესანსის პირველ ნაწარმოებებს (იხ. ჟ. მურიეს, ხელოვნება კავკასიაში, მეორე გამოცემა. ბრიუსელი, 1907 წ., გვ. 73). მაგრამ მურიე ამ მსგავსებას იმით ხსნის, რომ კონსტანტინეპოლის ოსმალების მიერ აღებამდე საქართველოს მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემობა ჰქონდა გაჩაღებული გენუელებთან და ადვილად დაექვემდებარებოდა იტალიური ხელოვნების გავლენას (იქ.გვ. 74). ჩვენ გვგონია, რომ ეს შეხედულება სრულიად უსაფუძვლოა. იტალიის ქალაქებში გენუა სწორედ იმით გამოირჩეოდა, რომ ყველაზე ნაკლებ ნიჭსა და ნაყოფიერებას იჩენდა ხელოვნების სფეროში. ამ რესპუბლიკაში უფრო კომერცია იყო განვითარებული, ვიდრე ესთეტიკური კულტურა. ამას გარდა გელათის მონასტრის მხატვრობა სავსებით ბეთანიის ფრესკების მიერ შექმნილ კალაპოტ-

ში დგას. იმდროინდელ ქართველებს არ სჭიროდათ შორეულ უცხოეთში მხატვრული იდეებისა და ფორმების ძებნა, იმიტომ რომ ეროვნული ხელოვნება უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. მეთორმეტე საუკუნეში, როცა ბეთანიის ფრესკები უნდა იყოს დახატული, იტალიური მხატვრობა ჯერ კიდევ ფეხაუდგმელი იყო და წასაბაძ ნიმუშად ვერ ჩაითვლებოდა. ევროპული რენესანსის პირველი მახარობელნი ჯერ კიდევ დაბადებულნიც არ იყვნენ.

ყოველი მსგავსება გავლენის შემწეობით როდი აიხსნება. არსებობს იდეათა და ფორმათა პარალელიზმი, რომელსაც კულტურულ პირობათა ანალოგია ბადებს. საქართველოს კულტურა მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეში რამდენიმედ წაგავს იტალიის კულტურას რენესანსის ეპოქაში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩვენ სამშობლოში ბაგრატ მესამის, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქაში თავი იჩინა ზოგიერთმა ესთეტიკურმა ძიებამ, რომელიც სავსებით მხოლოდ იტალიაში გამოაშკარავდა შემდეგი საუკუნეების განმავლობაში. ჩვენში კი ეს ძიებანი თან გადაიტანა საშინელმა კატასტროფამ, რომელმაც მთელი ჩვენი კულტურა იმსხვერპლა, სასელდობრ, მონგოლების შემოსევამ.

1915 წ. „სახალხო ფურცელი".

ხელოვნების აღორძინებისათვის

თითქო ახალი ქვეყანა გაიხსნა ჩვენს თვალწინ — ნაცნობი, მაგრამ დავიწყებული. ასეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის ძველი ქართული მხატვრობის გამოფენა, რომელიც ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ მოაწყო „დიდების ტაძარში". როგორნი ვყოფილვართ იმ დროს, როცა ჩვენი მატიანის საუკეთესო ფურცლები დაიწერა? ხელში მშვენიერი ტაძარი გვეჭირა ბეჭა პირველსავით, გულზე ერთთავიანი არწივი გვეხატა სარგის მეორესავით, ხოლო თავს ზევით უხილავი ხელი გვეფარა,

როგორც სამცხის ათაბაგების ჯგუფს, არსენ თბილელმა რომ დახატა. შეუდარებელი კულტურული მნიშვნელობა აქვს ასევ ხილვას. ჩვენი სამშობლოს ასაღორძინებლად მარტო პოლიტიკური ბრძოლა არ კმარა; ეროვნული განახლება ხელოვნების შემწეობითაც უნდა მოხდეს. მშვენიერების ძიებამ და მშვენიერების განცდამ ფართო სოციალური ხასიათი უნდა მიიღოს. დემოკრატია უნდა გაუმჯობესდეს რჩეული სულის შეხებით.

ჩვენი ისტორიული ტრადიცია საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს ხალხისა და ესთეტიკური კულტურის შესაულლებლად. ქართული ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა განკერძოებული და მიუწვდომელი; ქართველ მწერლებს, ხუროთმოძღვრებსა და მხატვრებს არასოდეს არ ჰქონიათ მიუკარებელ ქურუმთა კასტის ხასიათი. მათი შემოქმედება გულგაშლილი იყო სამხრეთის მზის სინათლესავით, რომელიც ერთნაირი სიუხვით უნათებს ყმასა და მბრძანებელს. ჩვენი ხელოვნება დამწყვდეული არ ყოფილა არც პირამიდებში, სადაც მხოლოდ ფარაონებს სძინავთ, არც ციხე-კოშკებში, სადაც მხოლოდ რაინდები ცხოვრობენ, არც სალონებში, სადაც მხოლოდ არისტოკრატები მოძრაობენ. ქართული ტაძრები და სასახლეები ხშირად ბორცვებსა და გორაკებზე შენდებოდა, რათა ყოველ თვალხილულ არსებას შესძლებოდა მათი დანახვა, შენობის კედლები ჩუქურთმებითა და მხატვრობით იყო დაფარული, რათა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო დიდი ხელოვნება.

ქართული მწერლობა ამაღლებული და ხალხოსნური იყო ერთსა და იმაკე დროს. მოიპოვება თუ არა დედამიწის ზურგზე მეორე მგოსანი, რომელიც თავის სამშობლოში ისევე პოპულარული ყოფილიყოს, როგორც ჩვენში შოთა რუსთაველი იყო? აზროვნების სიღრმისა და ფორმათა მშვენიერების მიუხედავად მისი პოემა ადვილად გასაგებია ყოველი ქართველისათვის, რომელსაც წერა-კითხვა უსწავლია. შვიდმა საუკუნემ ვერაფერი დააკლო მის მიმზიდველობას: დღევანდელ თაობას თამამად შეუძლია მისი ბრძნული აფორიზმები გაიმეოროს, მისი იდეები შეითვისოს და მისი გრძნობები განიცადოს.

მართალია, უკანასკნელ საუკუნეებში ჩვენი ხელოვნება გა-

დაგვარდა და ჩვენი ესთეტიკური გემოვნება გაველურდა. ჩვენს ფაქიზ ბუნებას პირველად სპარსული დეკადანსის ყვავილი დაემუნო. თავისუფალი ქართული ლექსი სპარსულმა მაჯამამ წარყვნა, უბრალო ქართული ჩუქურთმა — ჭრელმა სპარსულმა ფარდაგმა. შემდეგ უსახელო და ბოროტმა ადამიანებმა, რომელთა რიცხვი ლეგიონია, ფრესკები დაჯღაბნეს ან შეათეთრეს, როგორც, მაგალითად, სვეტიცხოველში, ჩუქურთმებიანი კედლები შელესეს, როგორც კაბენის ეკლესიაში, ქართული სტილის ტაძრებს ხახვისთავიანი გუმბათები დაადგეს, როგორც საფარის მონასტერში. შემდეგ უკულტურო ხალხად გამოგვაცხადეს.

მართლაც, ჩვენი უკულტურობა იმაში გამოჩნდა, რომ ჩვენმა ბუნებამ სათანადო წინააღმდეგობა არ გაუწია ასეთ ძალმომრეობას, იმდენად მოდრეკილი და მოდუნებული იყო ჩვენი შინაგანი ძალა.

მაგრამ თუ ჩვენს სხეულს პირველქმნილი მშვენიერება განეძარცვა, ჩვენი სული სავსებით როდი მიმქრალა. მართალია, უფსკრულში ძლიერ დაბლა დავეშვით, მაგრამ გზის მაჩვენებელი ძაფი ჯერ არ გამწყდარა. ფარული კულტურული ფონდი სავსებით არ განიავებულა და ჩვენს შეუგნებელ ბუნებაში სიზმრის მოჩვენებასავით თვლემს დიდი ქართული სტილის გრძნობა. კიდევ შეიძლება მისი აღდგენა. პოეზიის განახლებაში შოთა რუსთაველები დაგვეხმარებიან, ხუროთმოძღვრების განახლებაში — ბასილ ხუციძეები; ოქრომჭედლობის ტექნიკას ბექა ოპიზარნი გვასწავლიან, მხატვრობისას — არსენ თბილელნი. ძველ კამარათა შემკვრელების წყალობით კი ქართული წიგნის შემკობასა და ფაქიზად მოპყრობას შევეჩვევით.

დღეს ქართველი ხალხი ხელახლა აღმართში მიდის. შეიძლება ხვალ უმაღლეს მწვერვალებზე ავიდეს. მაშინ იგი ადვილად დაინახავს მდევების მხრებს, რომელზედაც ჩვენი ძველი ეროვნული კულტურის შენობა ასვენია.

1917

ვაჟა-ფშაველას ფშავ-ხევსურეთი

იმ საკმაოდ მდიდარ ლიტერატურაში, რომელიც ქართულ და უცხო ენებზე ფშავ-ხევსურეთის შესახებაა გამოქვეყნებული, ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფიულ წერილებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ; მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ თვით პოეტის შემოქმედებაშიც. ამ წერილებში ვაჟა-ფშაველა, უწინარეს ყოვლისა, მხატვრად რჩება; ამ გარემოებას თვით ის განსაკუთრებით აღნიშნავს იმით, რომ თავის უმთავრეს ნაშრომს — „ფშაველს და წუთისოფელს", რომელიც პირველად საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულის „ძველი საქართველოს" II ტომში დაიბეჭდა 1913 წელს, ეთნოგრაფიულ მოთხრობას უწოდებს. მართლაც, ეს ნამდვილი მხატვრული ნაწარმოებია, ვაჟას პროზის ერთი საუკეთესო ნიმუში, სადაც მოცემულია ფშაველი კაცის ცხოვრების უმთავრესი მომენტი დაქორწინებიდან გარდაცვალებამდე (მხოლოდ შებრუნებული რიგით). სხვა წერილებიც, რომლებიც უმთავრესად „ივერიაში" დაიბეჭდა 1886—1889 წლებში, უფრო მხატვრული ნარკვევის დარგს ეკუთვნის, ვიდრე წმინდა მეცნიერული კვლევა-ძიებისა. მაგრამ, რადგან ვაჟა-ფშაველა წარმოშობით ფშაველი იყო და თავისი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ფშავ-ხევსურეთში გაატარა, რადგან ის თავის სამშობლო კუთხესაც მშვენივრად იცნობდა და მეცნიერულ ცოდნასაც არ იყო მოკლებული, მისი ეთნოგრაფიული წერილები რაფიელ ერისთავის, ნ. ურბნელის, დ. ხიზანიშვილის და სხვ. შრომების გვერდით საუკეთესო მასალას წარმოადგენენ რევოლუციის წინადროინდელი ფშავ-ხევსურეთის შესასწავლად; და ამ მასალას უკვე უხვად იყენებს ჩვენი ახალგაზრდა ეთნოგრაფიული მეცნიერება.

თანამედროვე ეთნოგრაფიის და სოციოლოგიისათვის კი რევოლუციის წინადროინდელი ფშავ-ხევსურეთი მეტისმეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს: აქ მოცემულია ქართველი ერის უძველესი საზოგადოებრივი ფორმაცია, მაგრამ ის მოცემულია, ასე ვთქვათ, არა ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპონატების სახით, არამედ ცოცხალ ლაბორატორიაში. აქ საჭირო არ არის სასაფლაოთა გათხრა ვაწარმოოთ, რათა სა-

ქართველოს პრეისტორიის ნაშთები აღმოვაჩინოთ. თუ კაცობრიობის პირველყოფილი კულტურის შესასწავლად ანთროპოლოგებს, ეთნოლოგებს, ლინგვისტებს და სხვ. ხშირად შორეულ კონტინენტებსა და კუნძულებზე უხდებოდათ მოგზაურობა, თუ ხშირად ისინი ეგრეთწოდებულ ველურ და ბარბაროსულ ტომებში სახლდებოდნენ, რათა მათი ენა და ზნე-ჩვეულებანი, მათი მორალური და რელიგიური წარმოდგენანი შეესწავლა, აქ სანდო მასალას გვაროვნულ და თემობრივ წესწყობილებაზე გვაწვდის მაღალნიჭიერი მწერალი, რომელიც თვით ამ წესწყობილებიდანაა გამოსული.

თავისთავად ცხადია, რომ ვაჟა-ფშაველას მიერ აღწერილ ფშავ-ხევსურეთს მარტოოდენ საქართველოს უძველესი კულტურის ისტორიისათვის როდი აქვს მნიშვნელობა. როგორც სხვა საზოგადოებრივ ისტორიულ ფორმაციებს, როგორც მაგალითად, ფეოდალიზმს ან კაპიტალიზმს, ისე გვაროვნულ წესწყობილებასაც, გარდა ნათესაობის პრინციპისა, რომელზედაც იგი დაფუძნებულია, აქვს რამდენიმე ძირითადი დამახასიათებელი თვისება, რომელიც თითქმის ყველგან გვხვდება: ესაა თემური მიწათმფლობელობა, კლასობრივი დიფერენციაციის უქონლობა ან მეტისმეტი სისუსტე, საადათო სამართლის და ზნეობრივ წარმოდგენათა კონსერვატულობა, პიროვნების გათქვეფა თემში, ბოლოს ანიმიზმი, ე. ი. ბუნების ყველა საგნის გასულიერება და საიქიოს ცხოვრების წარმოდგენა, როგორც სააქაოს ცხოვრების უბრალო, უშუალო გაგრძელებისა. ყველა ეს თვისება, რასაკვირველია, ვაჟა-ფშაველას ფშავ-ხევსურეთსაც ახასიათებს მეტ-ნაკლებად; მაგრამ, რადგან ფშავ-ხევსურეთი პოლიტიკურად საქართველოს ფეოდალურ მონარქიის განუყოელ ნაწილს შეადგენდა და ქართლ-კახეთის სამეფოსთან ერთად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ყოფილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, ის ასე თუ ისე, საუკუნეთა განმავლობაში, თავისი განკერძოებული გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად, მაინც განიცდიდა ან უშუალოდ ბარის საქართველოდან, ან ბარის საქართველოს გზით მომავალ მძლავრ კულტურულ მიმდინარეობათა ზეგავლენას: ბერძნულ-რომაული კულტურისა, მაზდეანური ირანისა. ქრისტიანობისა, მაჰმადიანობისა, რუსეთის ბიუროკრატი-

ული იმპერიისა, ბოლოს, ყველაზე ხანგრძლივად, თვით ქართული ფეოდალიზმისა, ამიტომ ცხადია, ფშავ-ხევსურეთის გვაროვნულ წესწყობილებას თავისი დამახასიათებელი ატრიბუტებით, თემური მიწათმფლობელობით, საზოგადოებრივი დიფერენციაციის უქონლობით, საადათო სამართლითა და ანიმიზმით ჩვენამდე არ მოუღწევია შეურყვნელად; მაგრამ ანალიზის შემწეობით ყოველთვის შეიძლება დაახლოებით მაინც გავარჩიოთ ეს ელემენტები, რომელნიც ხალხის შემოქმედებითი ძალების ნაყოფს წარმოადგენდნენ, და ის ელემენტები, რომლებიც გარედან უნდა იყოს შემოტანილი.

როგორც ცნობილია, არც ფშაველებსა და არც ხევსურებს ბატონყმობის უღელი არ უტარებიათ, მათ ბოლომდე შეინარჩუნეს თემური თავისუფლება, მიუხედავად იმ მძაფრი იერიშებისა, რომელნიც მათ წინააღმდეგ დროგამოშვებით ქართულ ფეოდალიზმს მიჰქონდა. მაგრამ ფშავ-ხევსურეთის თემმა, რომელმაც უკუაქცია ფეოდალიზმის იერიშები, ნაკლები წინააღმდეგობის უნარი გამოიჩინა ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიული სახელმწიფო შემოტევის წინააღმდეგ და რღვევის პროცესი განიცადა XIX საუკუნეში. განსაკუთრებით ფშაეში გაჩნდა მსხვილი მესაქონლეობა და ჩარჩული კაპიტალის ელემენტები, შეძლებული მეკომურები შეეცადნენ მიმძლავრებით ან მიწის აღებმიცემობის შემწეობით ხელთ ეგდოთ არა მარტო საუკეთესო სახნავ-სათესი, არამედ სათემო საძოვრები და ტყეებიც. მოსახლეობის ღარიბმა ნაწილმა წინააღმდეგობა გაუწია ამ პროცესს და სამოციან-სამოცდაათიანი წლებიდან ფშავში ნაწილობრივ კიდევაც შეაფერხა ის: შეშოღებულ იქნა მიწის პერიოდული განაწილება, ე. ი. „წილის ყრა". მაგრამ არსებითად ეს პალიატივი იყო, რომელიც საბოლოოდ ვერ შეაჩერებდა ფშავის ბურჟუაზიულ განვითარებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას არ მოესწრო.

თემურ წესწყობილებას თან სდევს სოციალური ინსტინქტების სიძლიერე, რაიცა იმაში იხატება, რომ თემის წევრები ერთმანეთს ეშველებიან, როგორც მუშაობის დროს, ისე ლხინსა და ჭირში. ნადი, ოჩხარი, შესაწირავი, წასაბურავი და სხვ. მთელ საქართველოში გავრცელებული მოვლენები იყო, მაგრამ, როგორც ვაჟა-ფშაველას წერილებიდან ჩანს, მათ ფშავ-

ხევსურეთში განსაკუთრებით ძლიერ ჰქონიათ ფესვები გადგმული. მეტისმეტად თავისებური მოვლენაა „ხელარჯობა“, ე. ი. სათემო გლოვა, „სადაც ერთი მრავალის მიცვალებულს ჰგლოვობს და მრავალი ერთისას“. მაგრამ ფშავ-ხევსურული ქორწილისა და გლოვის აღწერის დროს, ვაჟა-ფშაველა მიუდგომლად გვიჩვენებს ამ სოციალური ინსტინქტების უარყოფით მხარეებსაც, მათ გადაგვარებასაც, იმ აუტანელი ხარჯების ტვრითს, რომელსაც თემის წევრს ქორწილი ან მიცვალებულის რიგი აკისრებს.

თუ ფშავ-ხევსურული გვარის ეკონომიურ საფუძველს სათემო მიწათმფლობელობა წარმოადგენს, მისი შემაკავშირებელი იდეოლოგიური ძალა, უწინარეს ყოვლისა, მიცვალებულთა კულტია. საერთოდ შფავ-ხევსურების რელიგიურ რწმენას, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკლექტიზმი ახასიათებს; მაგრამ იმ თავისებური წარმართული კერპებისა, ქრისტიანული წმინდანებისა და გაღრმავებული ისტორიული პირებისაგან შემდგარ პანთეონში, რომელიც ფშაველის და ხევსურის ფანტაზიას შეუქმნია, წინაპრებს ყოველთვის საპატიო ადგილი უკავიათ. ფშავ-ხევსურული თემი მკაცრად ეგზოგამიურია: ვაჟს ნება არა აქვს თავისივე თემის ქალი შეირთოს ცოლად. ამასთანავე ერთი თემიდან მეორეში გადასვლა ფშაველს და ხევსურს არ შეუძლია. მაგრამ თემი დაკეტილი არ არის გარეშე პირისათვის, ამ უკანასკნელს ადვილად შეუძლია თემში ჩაირიცხოს ანუ „თემს გაეფიცოს“. თემთან გაფიცვა კი ნიშნავს არა მარტო ცოცხალთა რიგებში ჩადგომას და იმ ვალდებულებათა შესრულებას, რომელთაც თავის წევრს თემი აკისრებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმ წინაპართა კულტის აღიარებასაც, რომელთა მთავარი საკურთხეველი ოჯახის კერაა, ხოლო მთავარი მსხვერპლთ შეწირვა ე. წ. „სახელის შადებაში“ მდგომარეობს. კერის ცეცხლის ჩაქრობა, კერის გაციება ფშავლისა და ხევსურისთვის უდიდესი უბედურებაა, ისევე როგორც ყველა იმ ერისთვის, რომელიც წინაპართა კულტს აღიარებენ.

ადამიანის გარდაცვალება, ფშაველისა და ხევსურის რწმენით, სრულიადაც იმას არ ნიშნავს, რომ მან სრულიად კავშირი გასწყვიტა ცოცხალ თაობებთან და საბოლოოდ გაჰქრა.

ავადმყოფობა და სიკვდილი არის შედეგი არა ორგანიზმის ბუნებრივი დაშლისა, არამედ მტრულად განწყობილი ძალების მოქიშპე გვარებიდან გამოსული და სხეულში ჩასახლებული ბოროტი სულების ზემოქმედებისა; ამიტომ მიცვალებულის გვამი უწმინდურია, მას ყველა ვერ შეეხება, მისი გაბანვა, მოვლა და დასაფლავება ეგრეთწოდებულ „ნარევების“ ვალდებულებაა. შეიძლება ამ შემთხვევაში საქმე გვქონდეს ზოროასტრის რელიგიის გავლენასთან: როგორც ცნობილია, „ავესტა“ სიკვდილს ხსნის როგორც სულის გაყრას სხეულთან, რომელშიც ჯოჯოხეთიდან მოსული „გვამის ქაჯი“ სახლდება, რაიცა მიცვალებულს უწმინდურად ხდის და ყველას აუწმინდურებს, ვინც მას მიუახლოვდება. ამიტომ ფშაველების და ხევსურების „ნარევების“ მსგავსად ირანელებსაც ჰყავთ ეგრეთწოდებული მიცვალებულთა მზიდავნი, რომელნიც დედამიწის გაუწმინდურების შიშით კი არ მარხავდნენ მიცვალებულთ, არამედ აკლდამებში ათავსებდნენ მათ.

სიკვდილი ნიშნავს „სამზეოდან“ „ბნელეთში“ გადასვლას. საიქიოში არსებობა თავისუფალი არ არის ხორციელი მოთხოვნილებისაგან. ამიტომ მიცვალებულს სჭირდება ანკარა წყარო, ცეცხლი, თუთუნი, საგზალი, ხოლო განსაკუთრებით „სულის ცხენი“ ანუ „სულის ტაიჭი“. მას ხვდებიან „მეგობრები“, ე. ი. მიცვალებულთა შემხვედრნი და გზის მაჩვენებელნი, მას გზას უნათებს „მკვდრის მზე“. განსაკუთრებით პირველი წლის განმავლობაში მიცვალებული კავშირს არ სწყვეტს თავის ოჯახთან, ხშირად ესტუმრება თავის სახლს. თვალყურს ადევნებს მას, ხოლო დამარხვის მეორე კვირაში შაბათ დღეს, ეგრეთ წოდებულ სულთა კრეფას, მიცვალებულთა სულები ერთად იკრიფებიან და სოფელს ეწვევიან. მათი შეხვედრა ამ დღეს ხდება ლუდით, სამარხო საჭმელით, ნალეკვი მთვარის (ღვეძლის) მსგავსი, ან კიდევ ჯვარედინი და რქიანი პურებით; ეს პურები თოფისა და მშვილდ-ისრის სანიშნოა. მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად იმართება ყაბახი და დოღი, ეს იმ ბრძოლების გაგრძელებაა, რომელთაც მიცვალებული მტრების წინააღმდეგ ეწეოდა სააქაოს. თვით სულთმობრძავ ვაჟკაცს სჭირდება ხმალი, რომელსაც მას სიკვდილის წინ ხელში აძლევენ, ან სიკვდილის შემდეგ გულზე

ადებენ, რათა მისი შემწეობით საიქიოში გზა გაიკვლიოს მტრულად განწყობილი გენიების წინააღმდეგ. შემდეგ მას სჭირდება მრავალი რიგი — „ცრემლობა“, „სანთლობა“, „წელთაევება“, „თავმოსაპარსი“, „პირის ახსნა“, რომელიც ძველი ეგვიპტელების „პირის ახსნას“ წააგავს. თუ ამ რიგებს იმ ზემოაღნიშნულ „სახელის შადებას“ დავუმატებთ, რომელსაც დიასახლისი ყოველდღე, ხოლო განსაკუთრებით ახალწელიწად დღეს ასრულებს, როცა სადილსა, ხილსა და სასმელს ის სამ ნაწილად ჰყოფს — „ოჯახის მიცვალებულთათვის“, „მეგობარ მიცვალებულთათვის“ და „ოხრის სულისთვის“, ნათლად წარმოვიდგენთ, თუ როგორ განვითარებული იყო ფშავ-ხევსურეთში მიცვალებულთა კულტი.

თუ ფშავ-ხევსურის ბნელეთი ანუ სულეთი თავისთავად არაფერს წარმოადგენდა სახარბიელოს, მით უმეტეს ეს შეიძლება ითქვას ცოდვილ სულთა სამყოფელზე — „ჯოჯოხეთზე“. მისი ბეწვის ხიდითა, კუპრის ტბით და დიაცის უბეში ჩამსხდარი გველებით. ამიტომ მიცვალებული ცდილობს ნაწილობრივ მაინც აღსდგეს „სამზეოში“, იგი „შეჰბრუნავს“ რომელიმე მონათესავე ბავშვს, ატირებს და აანჩხლებს მას, სანამ ცოცხლები მკითხავის შემწეობით არ გამოარკვევენ, რომელ მიცვალებულს სურს „მოსახლე“ გაიჩინოს ამქვეყნად და თავის თავს დაამსგავსოს ახლად შობილი. ამის შემდეგ ისინი ბავშვს მიცვალებულის სახელს არქმევენ.

თუ ფშაველების და ხევსურების რელიგიური რწმენის ერთი წყარო მიცვალებულთა კულტია, მეორე — ბუნებრივ ძალთა გაღმერთებაა. ამ ძალების ტიპიური წარმომადგენელია „ადგილის დედა“, რომლის კულტი ფშავ-ხევსურეთში, როგორც ჩანს, საყოველთაოდ ყოფილა გავრცელებული და რომელიც ნაწილობრივ ელინთა ნაყოფიერების ღმერთ ქალს ცერერას წააგავდა, ხოლო ნაწილობრივ ქრისტიანების ღვთისმშობელს. ასეთივე ეკლექტიკური ხასიათი აქვს იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომარე ღმერთებსაც: მაგალითად, „გულთამხილავი“ და „თვალით ფართო“ მამა ღმერთი მორიგეა, ის წესრიგს აძლევს ქვეყნიერებას, მაგრამ თვით როდი ერევა მის მმართველობაში; ქრისტე ერთი უბრალო წევრია ფშავ-ხევსურეთის პანთეონში და მიცვალებულთა ღმერთად

განოდის; წმინდა გიორგის სახელობის გუდანის ხატი მოლაშქრე ღმერთია, ხახმატის ხატი საქონლისა და ჯოგის გამმრავლებელია; თეთრი სამება მეკობრეობის და ნადირობის ღმერთია, პირიმზე — ცა-ღრუბლის; კოპალა და იახსარი დევების, ალეგის და მაჯლაჯუნების მებრძოლი კეთილი გენიები არიან. შეიძლება ისინი მაზდეანური დუალიზმის ნაშთს წარმოადგენდნენ ფშავ-ხევსურეთში; ბოლოს კვირია ხმელთა მოურავია და სხვ.

მაგრამ შეიძლება ყველაზე დამახასიათებელი მოვლენა ფშავ-ხევსურეთის სარწმუნოებაში ისტორიული გმირების, სახელდობრ, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის გაღმერთება იყოს. თამარ მეფე მკურნალ ღმერთად ითვლებოდა, მას ხალხი განსაკუთრებულ მსხვერპლს, ეგრეთ წოდებულ „წამლის სახსარს" სწირავდა. მას ხატის ხევში ივრის ნაპირას პატარა მონასტერიც ჰქონდა, ერთადერთი მონასტერი საზოგადოდ მთელ ფშავ-ხევსურეთში. ოთხმოციანი წლების დასასრულს ამ მონასტერში სამი ქალი, ერთი ბერიკაცი და რამდენიმე მეცხვარე ყოფილა, რომელნიც წმინდანებად ითვლებოდნენ, დაუღალავად შრომობდნენ, მაგრამ ზნეობის თვალსაზრისით, ცოტა არ იყოს, ბოკაჩიოს მონაზვნებსა და მწყემსებს წააგავდნენ თურმე. (ნ. ურბნელი, „ჩემის რვეულიდან", „ივერია", 1887 წ., № 263). თამარ მეფის ხატს ჰყავდა თავისი ცხვრის ფარა, რომელიც ხშირად ათას სულს აღემატებოდა, და ჰქონდა თავისი ზვარი სოფელ ახმეტაში, თამარის ცხვარი იკვლოდა თამარის დღეობაში, ხოლო თამარის ზვრის ღვინით — კულუხით ხდებოდა ფშაველების დამწყალობება; ეს იყო ერთგვარი თავისებური, ქრისტიანული ზიარების მსგავსი მისტერია.

რაც შეეხება ლაშარის ჯვარს, ის უძლიერეს ხატად ითვლებოდა მთელ ფშავში, და მას ლოცულობდნენ აგრეთვე ხევსურები, თუშები, მთიულები და ყვარლელი კახელები. ის იყო ომის ღმერთი, რომელიც გიშრის ფაფრიან ლურჯაზე იჯდა და მოულოდნელად დახმარებას უწევდა თავის ყმას. მაგრამ მის კულტშიც იყო რაღაც ბახუსური; თავიანთ თავაშვებულ ღრეობას ლაშარის ჯვრის ხატობაში თვით ფშაველები იმით

ხსნიდნენ, რომ ლაშა გიორგისაც ღვინო და ქალები ჰყვარებია.

ლაშარის ჯვრის ხევისბერი ანუ თავხევისბერი, როგორც ეტყობა, ლაშქართ უფროსიც იყო, მოგვიც და მსაჯულიც, ე. ი. თავის პიროვნებაში სამხედრო, საეკლესიო და სამოსამართლო ხელისუფლებას აერთიანებდა. მაგრამ ეს არ ითქმის ყველა ხევისბერსა და ხუცზე საზოგადოდ: როგორც ფშაველების ხევისბერები, ისე ხევსურების ხუცები, უწინარეს ყოვლისა, ხატის მსახურნი, ე. ი. მოგვები იყვნენ. განსაკუთრებით ხევსურეთში ხატისკაცების მთელი იერარქია იყო შექმნილი. უმაღლესი საფეხური ამ იერარქიაში ეჭირა ხუცეს, მას მოსდევდა ხატის მეკალოვე და მებეღლე — შულტა, ხოლო სულ ბოლოს მოდიოდა ხატის მზარეული და ლუდის მხარშავი — დასტური. ხუცს ხევსურეთში, ისევე როგორც ხევისბერს ფშავში, თვით ხატი ირჩევდა თავისი მკითხავის შემწეობით, ხოლო შულტასა და დასტურს ხალხი აყენებდა ერთი წლით. ხევისბერები და ხუცები არ წარმოადგენდნენ არც მემკვიდრეობითს კასტას, არც კარჩაკეტილ წოდებას. ყოველი ფშაველი და ხევსური შეიძლებოდა ხევისბერი ანუ ხუცი გამხდარიყო, თუ იგი ამას თავისი ქველი ცხოვრებით დაიმსახურებდა და თუ ხატი „მოუწოდებდა". მხოლოდ მას უნდა დაეცვა ფიზიკური სიწმინდის ზოგიერთი მცნება: ცოლთან არ დაწოლილიყო თვენახევრის განმავლობაში ხატის დღეობამდე, მებოსლე ქალს არ დალაპარაკებოდა, ტანი გაებანა ხატობის წინ, მხოლოდ რქიანი საქონლის ხორცი ეჭამა და სხვ. მისი ღვდელმსახურება სრულიად მარტივი იყო და უმთავრესად გამოიხატებოდა სრულიად ბუნდოვანი ფორმულების წარმოთქმაში, სადაც ქრისტიანული და წარმართული ცნებები ერთმანეთში შეუბრალებლად იყო არეული. ამას ზედ ერთვოდა წმინდა წარმართული მსხვერპლთშეწირვა ხატობაში, რომელიც ხევისბერ-ხუცების და მათი თანაშემწეების მთავარ საარსებო წყაროს იძლეოდა, ვინაიდან მსხვერპლად შეწირული საქონლიდან მათ განსაზღვრული წილი ერგებოდათ; ხოლო რა ზომისა შეიძლებოდა ეს წილი ყოფილიყო, იქიდან ჩანს, რომ მარტო ხახმატის დღეობაში 500—600 ცხვარი და 20—40 მსხვილი რქოსანი საქონელი იკვლოდა. ყოველდღიურ ცხოვრებაში ის სრუ-

ლიად ჩვეულებრივ მოქალაქედ ითვლებოდა; მხოლოდ ხატობის დროს გამოირჩეოდა ხალხისაგან იმით, რომ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ხატის „საბრძანისის“ გალავნის გარეთ რჩებოდა, ეგრეთწოდებულ საჯარეში, ხევისბერ-ხუცები და მათი თანაშემწეები გალავანში შედიოდნენ, სადაც სხვადასხვა შენობები იყო მოთავსებული: საბერო, სალუდე, სადასტურო, საზარე, სასანთლე და სხვ.

ასეთი სახე ჰქონდა ხევისბერობას და ხუცობას რევოლუციის წინადროინდელ ფშავ-ხევსურეთში. მაგრამ სანამ თავის დამთავრებულ ფორმას მიაღწევდა, ამ ინსტიტუტმა, როგორც ეტყობა, ხანგრძლივი ევოლუციის გზა განვლო. ამ ევოლუციის გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პროცესების გამოსარკვევად, რომლის შემწეობით პირველყოფილ თემში წოდებრივი დიფერენციაცია იწყება. როგორც ნ. ურბნელმა გამოარკვია, ხევისბერი თავდაპირველად სრულიადაც საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლის როლს ასრულებდა მთაში. ეს იყო ფეოდალი მოხელე, ლაშქართ თავადი, მსაჯული, ადმინისტრატორი და პოლიციელი ერთსა და იმავე დროს; იგი ერისთავსა და გამგებელს ექვემდებარებოდა, ხოლო მათი მეშვეობით სამეფო საბჭოს (დარბაზს). მისი თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა, ხოლო თუ გარდაცვლილი ხევისბერის გვარში შესაფერი მემკვიდრე არ აღმოჩნდებოდა, მაშინ ერისთავსა და გამგებელს შეეძლოთ მეფის ერთგული კაცი ამოერჩიათ და დარბაზის ნებართვით ხევისბერად დაეყენებინათ. ის მაღლა იდგა წმინდა სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელსა — ციხისთავზე, რაიცა იქიდან ჩანს, რომ მაშინ, როცა ამ უკანასკნელის სისხლი 3500 თეთრი ღირდა, ხევისბერის სისხლი 6000 თეთრად იყო დაფასებული.

ზემონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ მაშინ როცა საქართველოს სხვა უფრო შეძლებულ პროვინციებში ფეოდალური მოხელეები საუკუნეების განმავლობაში ეკონომიურად მომაგრდნენ და თანდათან მემკვიდრეობით მიწათმფლობელ არისტოკრატიად იქცნენ, საქართველოს მთაში იგივე ფეოდალური მოხელეები — ხევისბერები ნაწილობრივ გადაგვარდნენ, დაქვეითდნენ, თუ დროშა არა, ყოველ შემთხვევაში, ციხე დაჰკარგეს და ბოლოს ისეთი ფუნქცია მიითვისეს, რომელიც

თავდაპირველად სრულიად მათ კომპეტენციას არ შეადგენდა, სახელდობრ საეკლესიო ხელისუფლება. ასეა თუ ისე, ხევისბერობა და ხუცობა თავიანთი პრიმიტიული და შეზღუდული პრივილეგიებითურთ წოდებრივობის პირველ სუსტ ჩანასახს წარმოადგენდა გვაროვნულ პრინციპზე აგებულ პირველყოფილ თემში.

თუ საეკლესიო ხელისუფლება ფშავ-ხევსურეთში გამოყოფილი იყო, იგივე არ შეიძლება ითქვას სამოსამართლო ხელისუფლებაზე. უზენაესი სამსჯავრო სახალხო ყრილობა იყო, იგი აწესებდა უმაღლეს სასჯელს, დამნაშავის ჩაქოლვას ან მოკვეთას თემისაგან: როგორც ეტყობა, იგი იყენებდა შუა საუკუნეების კანონმდებლობაში თითქმის საყოველთაოდ მიღებულ გამოსაცდელ ღონისძიებას, გახურებულ შანთსა და მდუღარე წყალს, მაგრამ ჩვეულებრივ სამოქალაქო სადავო საქმეების გადასაწყვეტად ფშაველი და ხევსური სამედიატორო სასამართლოს მიმართავდა, შუამავლობის მიერ არჩეულ ბჭეებს, რომელთა გასამრჯელოს მცირე გადასახადი და გამასპინძლება შეადგენდა. ბჭობა სოფლის გარეთ ხდებოდა, ჭალაში, წყლის პირას, ან გორაზე და იშვიათად გრძელდებოდა ორ-სამ დღეზე მეტს. იგი საადათო სამართლით ხელმძღვანელობდა.

აქ არ შევჩერდებით ამ საადათო სამართალზე, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ის ადასტურებდა ქალის უფლებრივ დაქვემდებარებას მამაკაცისადმი. მაშინ, როცა ვაჟის სისხლი 80 ძროხა ღირს, ქალისა მხოლოდ 60 ძროხად ფასობს: ქმარს უფლება აქვს მოღალატე ცოლი „გაახეიბროს", ე. ი. ფიზიკურად დაამავოს, მას უფლება აქვს იგი „კვეთილში ჩასვას", ე. ი. სხვაზე გათხოვება აუკრძალოს. დედაკაცობის უფლებრივი და ზნეობრივი დამცირების მაჩვენებელი იყო აგრეთვე მებოსლეობა, ე. ი. ქალის უწმინდურად გამოცხადება მენსტრუაციის და მშობიარობის დროს და მისი მოთავსება ცალკე აგებულ ბოსელსა ან „სამრეველოში". ეს შეიძლება ძველ ირანულ ზნეჩვეულებათა გავლენის ნაშთი იყოს: „ავესტა" მოითხოვდა, რომ დედათა წესის დროს ქალი საგანგებოდ მოწყობილ ბინაში მოთავსებულიყო, რათა მას შეხედვითაც კი არ წაებილწა ოჯახის კერა. ბოლოს ფშაველი და ხევსური ქალის დაქვემდებარებულ მდგომარეობას მოწმობდა ის, რომ მისი საკუთრე-

ბის უფლება შეზღუდული იყო საადათო სამართლის მიერ. მეორე მხრივ სხვა მოვლენები, როგორიცაა, მაგალითად, წაწლობა ფშავში, სწორფრობა ხევსურეთში, დიასახლისობის ინსტიტუტი, ქალის მანდილის პატივისცემა მოქიშპე, თვით ხმალამოწვდილი მამაკაცების მიერ, დედაკაცის მიერ მიცვალებულთა კულტის შესრულება და სხვ. სრულიად საწინააღმდეგო კულტურულ გავლენათა არსებობას მოწმობდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ფშავ-ხევსურეთს რევოლუციამდე ახასიათებდა მკვეთრი წინააღმდეგობა პრიმიტიულობასა და უმაღლეს კულტურულ მისწრაფებათა შორის. ეს ხელოვნურად შეთხზული ამბავი არ არის, რომ ვაჟა-ფშაველა თავის „ფშაველსა და მის წუთისოფელში“ ქეიფით მოწყენილ ახალგაზრდა ფშაველებს „ვეფხის-ტყაოსანს“, „კალმასობასა“ და გურამიშვილის ლექსებს აკითხებინებს. სხვა მეთვალყურეები და მკვლევარებიც ადასტურებენ, რომ ფშაველი მწყემსები ერთიმეორეს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, და ყველაზე ბედნიერი მათ შორის ის იყო, რომელსაც ჩანთაში „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ედოო. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, ეს პატარა ტომი ვერ შექმნიდა ისეთ მდიდარ სახალხო პოეზიას, როგორიც მან შექმნა, და ვერ წარმოშობდა ისეთ დიდ მწერალს, როგორიც ვაჟა ფშაველა იყო.

1936

ჩაქუჩიანი მამაკაცი

ქვაბლიანის ხეობაში, ასწლოვანი ვაკლის ხეებქვეშ ჭულების მონასტერი სთვლემს მთის წყაროს რაკრაკში. ამ მონასტრის კედლებზე ჩაქუჩიანი მამაკაცის ქანდაკება აღმოაჩინეს. ზევით წარწერა ჰქონდა: ხურციძე ბასილი. ამავე გვარს ზარზმის მონასტრის ერთ წარწერაში ვხვდებით. ბასილ ხურციძე ალბათ ამ ორი მონასტრის ხუროთმოძღვარი იყო. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ზარზმა და ჭულები მცირე მან-

ძილზეა ერთმანეთისაგან დაშორებული და ორივე ტაძარს ერთი და იგივე გეგმა უძევს საფუძვლად.

მაგრამ ეს რელიეფი საყურადღებოა თავისთავად. ჩაქუჩიანი მამაკაცი ძველი საქართველოს ნათელი სიმბოლოა, ისევე, როგორც მახვილიანი ან ჯვრიანი მამაკაცი.

დღეს ძველ საქართველოს შესახებ მეტისმეტად ცალმხრივი წარმოდგენა გვაქვს. გვგონია, რომ ჩვენი წინაპრები გამუდმებით სისხლს ღვრიდნენ ურწმუნოებთან ბრძოლაში ან კიდევ ფეხთმოკეცილნი დავითნსა და ვეფხისტყაოსანს კითხულობდნენ. ჩვენს ფანტაზიაში ნათლად ვხედავთ იმ ძველ საქართველოს, რომელიც იბრძოდა და ოცნებობდა, მაგრამ ხშირად ვეღარ ვამჩნევთ იმას, რომელიც აზროვნობდა და მოქმედებდა. ეს კი ძლიერ დიდი უმართებულობაა. კულტურული შემოქმედების ნიჭი ჩვენს ძველებს დიდად ჰქონდათ განვითარებული. ამით აიხსნება, რომ მათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უთვალავი ძეგლებით მოჰფინეს მთელი საქართველო.

დედამიწის ზურგზე ცოტაა ისეთი ქვეყანა, სადაც ასე მცირე ტერიტორიაზე ამდენი ნაშთი მოიპოვებოდეს. ერთი უცხოელი მეცნიერი, რომელმაც ჩვენი სამშობლო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მოვლო, ამტკიცებს, რომ მარტო ეკლესიების რიცხვი ორიათასს უნდა აღემატებოდეს. ეს ციფრი არაა გადაჭარბებული. ბევრი ძველი ტაძარი გავერანებულია და უდაბნოებში ან უღრან ტყეებშია დაკარგული, ბევრი გადაკეთებულია მაჰმადიანების ჯამედ, სომხების სამლოცველოდ ან რუსის ბერების სავანედ.

ჩვენ სრულიად არ ჩაგვიბარებია წინაპრების მიერ დატოვებული მემკვიდრეობა. თავისთავად ის მეტისმეტად მდიდარი და მრავალფერადი იყო. ძველი ქართველები მარტო ტაძრებს როდი აშენებდნენ, მათ ბევრი საუცხოო ციხე-გალავანი, დარბაზი, კოშკი, ქარვასლა, ხიდი და არხი გააკეთეს. ეს შენობები უმეტეს ნაწილად ადრე მოიშალა და გაქრა: მტრები მათ ნაკლები მოკრძალებით ექცეოდნენ, ვიდრე ეკლესიებსა და მონასტრებს.

შეცდომაა იმის ფიქრი, თითქო ძველ საქართველოში საერო ხუროთმოძღვრება ნაკლებ ყოფილიყოს განვითარებული.

თუ უცხო და ქართველ მემატიანეებს დაეჯერება, არტანუჯი, ნეკრესი, გრემი, ურბნისი, მცხეთა, ქუთაისი, თბილისი მშვენივრად გაშენებული ქალაქები უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი მათგანი ალბათ, არაფრით ჩამოუვარდებოდა ანისს. მაგრამ ანისის ნაშთი მაინც გადაარჩინა შემთხვევამ, ჩვენი ქალაქები კი რამდენჯერმე გადათელეს ველურმა ურდოებმა.

ვინ იცის, რამდენი საუნჯეა დამალული დედამიწის გულში იქ, სადაც წინათ ქალაქები იყო და ახლა მხოლოდ ნაქალაქევებია? ურბნისის ნიადაგი ოციოდე წლის წინათ ზეზერეულად მოჩიჩქნეს რუსის მკვლევარებმა და შიგ გიშრის ბეჭმენდის და აყიყის მძივები აღმოაჩინეს, ბროლის ლარნაკები და საცრემლეები, ოქროს და ვერცხლის რგოლები, ბეჭდები და საყურეები, ბრინჯაოს კლიტეები და ზარები. ეჭვი არ არი, ამ ნიადაგქვეშ დიდი შენობების ფუძეებიც იქნება დამარხული. ადამიანები, რომელნიც ძვირფას სამკაულით ირთობოდნენ და მშვენიერ ლარნაკებს ხმარობდნენ, უბრალო ქოხმახებში არ იცხოვრებდნენ. მათ ალბათ თაღიანი დარბაზები ექნებოდათ, აუზიანი ბაღები და ქვაფენილიანი ქუჩები თუ მოედნები.

და მართლაც, სრა-სასახლეების, კოშკების, აბანოების და ქარვასლების ნაშთები ნიადაგის ზედაპირზეც საკმაოდ აღმოაჩინეს მკვლევარებმა. მაგრამ საჭიროა ცხოველი ფანტაზია, რომ ამ ნაშთების მიხედვით მთელი ჩვენი ნივთიერი კულტურის ბრწყინვალება წარმოვიდგინოთ. საჭიროა, აგრეთვე ის ნიჭი განჭვრეტისა, რომლის შემწეობით ადამიანი ნაწილში მთელს ხედავს, ხოლო ხილულში — უხილავს. მხოლოდ იმას, ვისაც ეს ნიჭი და ეს ფანტაზია აქვს, შეუძლია დაახლოებით მაინც გაზომოს ის უტეხი ენერგია, რომელიც დუღდა ძველ საქართველოში.

ზოგიერთ ერს თავისი თავი დევგმირების და ცალთვალა ციკლოპების შთამომავლად მიაჩნდა. მათ მიაწერდა ვეებერთელა ყორეების და მიწის ზვინების გაკეთებას. ამ რწმენას საქართველოში არანაკლებ მტკიცე საფუძველი აქვს, ვიდრე სხვაგან. ჩვენი წინაპრები მართლაც, ცალთვალა დევების მსგავსი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ. ვახუშტი ბატონიშვილი ზოგიერთ ქართულ ტაძარს სამართლიანად გმირთ-

ნაკვეთს უწოდებს: მათი ბოძები, თაღები და კედლის ლოღები ისეთი ზომისაა, რომ მხოლოდ გმირებს შეეძლოთ მათი გამოკვეთა. ასეთი იყო მაგალითად, ბანის ტაძარი ტაოში, ართანუჯისა — კლარჯეთში, ბაგრატისა — იმერეთში, თიღვისა ქართლში. მაგრამ გასაოცარი იყო არა მარტო დიდი ზომა და პროპორციები, გასაოცარი იყო ისიც, თუ სად და რა პირობებში აშენებდნენ ტაძრებს და სხვა შენობებს. ზოგიერთი ტაძარი და ციხე სიმაგრე თვალუწვდენელ კლდეზეა აზიდული, ზოგიერთი მონასტერი უდაბნოშია გაშენებული, ან კიდევ ისეთ მივარდნილ ადგილას, სადაც „არა აქუნდათ ცული და წერაქვი, არცა სხვაი ეგე ვითარი სახმარი... და არცა მსოფლიოში ერისკაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაისა". მაგრამ შეუდრეკელი ენერგიის წყალობით ჩვენი წინაპრები ყოველგვარ დაბრკოლებას სძლევდნენ: ქვა და კირი „ფიცხელ კლდეზე" ზურგით აჰქონდათ, წყალი არხებითა და მილებით აჰყავდათ, ხოლო საქმის დასაჩქარებლად დღესა და ღამეს ასწორებდნენ. „რაც შეძლება მქონდა დღე და ღამე მოუსვენრად ვშრომობდი, არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა ვიდრემდის განასრულებდნენ მონასტერსა ამას", ამბობს ანანურის ტაძრის ერთს წარწერაში ხუროთმოძღვარი ბაღსარაშვილი.

გასაკვირი არ არი, რომ ამ თავდადებულმა ხუროთმოძღვრებმა საუცხოო სასახლეები და ტაძრები ააგეს, ან კიდევ მიუვალი სიმაგრეები, რომელთაც შემდეგ ქაჯებისა და მგლების ციხეებს უწოდებდნენ. თუ საქართველომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მტრის გაშმაგებულ იერიშებს გაუძლო, ამას მარტო ფარ-ხმლიან რაინდებს როდი უნდა ვუმადლოდეთ: მათ ჩაქუჩიანი და ცულდიანი ოსტატები ედგათ გვერდში; და სწორედ ეს ოსტატები კვეთდნენ იმ გალავანს, რომელზედაც იმსხვრეოდნენ შემოსეული ურდოები.

მაგრამ თუმცა ქართველ ხუროთმოძღვარს ხელში მძიმე ლითონის იარაღი ეჭირა, მისი სული მაინც თავისუფლად მიისწრაფოდა მაღალი უცნობი სფეროებისაკენ. ამ მხრივ ის ღვიძლი შვილი იყო ძველი ქართველობისა, რომელშიც სიფხიზლე და აღფრთოვანება იყო შეუღლებული. ძლიერ დამახასიათებელია ის მშვენიერი ლეგენდა, რომელიც ხერთვისის ციხესთან არის დაკავშირებული:

„ხერთვისის ლამაზ ცხენს ორი დიდი კოშკი აქვს, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. კოშკების აშენების ამბავს ხერთვისელები ასე მოგვითხრობენ: თამარ მეფემ უბრძანა ორ კალატოზს აეშენებინათ ორი კოშკი. ერთი იყო ოსტატი და მეორე მისი შეგირდი. ოსტატს უნდა აეშენებინა აღმოსავლეთის კოშკი, ხოლო შეგირდს — დასავლეთისა. მეფე დაპირდა, — უსვად დავაჯილდოვებ, ვინც უფრო კოხტა და ლამაზ კოშკს ააგებსო. ოსტატი და შეგირდი გულმოდგინედ შეუდგნენ საქმეს. ჯერ არ დაემთავრებინათ ხელოსნებს მუშაობა, რომ ხალხმა ყაყანი დაიწყო, — შეგირდის ნაშენობა სჯობია ოსტატისასო. მართლაც, თამარს შეგირდის კოშკი უფრო მოეწონა და წინდაწინვე უსვად დააჯილდოვა ხელოსანი. საშინლად გაბრაზდა ოსტატი, იხელთა დრო და თავის შეგირდს კიბე გამოაცალა სწორედ მაშინ, როდესაც შეგირდი კოშკის თავს ასრულებდა. რა ექნა შეგირდს? რაკი უკიბოდ ძირს ვეღარ ჩამოვიდოდა, ადგა და გაიკეთა ფრთები ორიოდე დარჩენილი ფიცრისგან. ცულდი წელში გაირჭო და გაფრინდა ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. მაგრამ ძირს ისე უხერხულად დაეშვა, რომ ცულდით დაიჭრა და გარდაიცვალა. ამ ადგილს ხერთვისელები ახლაც მსხვერპლის ადგილს ეძახიან“. (ა. ფრონელი, „დიდებული მესხეთი“).

1915

მესხეთი

ვინც ძველი საქართველოს რუქას ცოტათი მაინც დაჰკვირვებია, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობის თავისებურებას ნათლად დაინახავდა. დასავლეთ საქართველოს პონტისა ანუ შავი ზღვისაკენ აქვს პირი და ბიზანტიას უცქერის. აღმოსავლეთი საქართველო სპარსეთისკენაა დაფერდებული, ხოლო მესხეთი თავისი სამხრეთ-დასავლეთი წვერით მცირე აზიაში იჭრება.

გეოგრაფიულ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ფსიქოლოგიისა და ისტორიისათვის; ჩვენი სულიერი

თვისებები და ჩვენი წარსული, სხვათა შორის, ჩვენი გეოგრაფიული წარსულითაც აიხსნება. საშუალო საუკუნეებში საქართველომ შუამავლის როლი შეასრულა. მან ბედნიერად შეაკავშირა სამი მნიშვნელოვანი ელემენტი კულტურისა: ბიზანტიური, ორიენტალური და ელინისტურ-კლასიკური. მაგრამ ეს შეკავშირება ისე მოხდა, რომ წარმოიშვა სრულიად ახალი ეროვნული სახე, რომელიც ნათლად განსხვავდებოდა როგორც ბიზანტიისა და სპარსეთის, ისე წინა აზიის კულტურისაგან.

ბიზანტიის და სპარსეთის გავლენა საქართველოს კულტურაზე ასე თუ ისე შესწავლილია; ყოველ შემთხვევაში უცილობლად მიჩნეულია ის აზრი, რომ ამ ორმა ქვეყანამ ბევრი ტექნიკური, ფორმალური და იდეური ღირებულება მოგვცა. წინა აზიის მნიშვნელობა კი პირიქით, არაა საყოველთაოდ ცნობილი.

ეს არაა გასაკვირი. თვით ევროპულმა მეცნიერებამ მხოლოდ ამ ბოლო დროს მიაქცია ყურადღება იმ როლს, რომელსაც წინა აზიის ქვეყნები ასრულებდნენ საშუალო საუკუნეების დასაწყისში. ეს როლი ძლიერ მნიშვნელოვანი იყო, თითქმის ისევე მნიშვნელოვანი, როგორც საკუთრივ ბიზანტიისა.

ბიზანტიის კულტურა შედარებით ნაკლებ ორიგინალური და ნაკლებ ნაყოფიერი იყო. მას აკლდა ახალგაზრდული უშუალობა და გულუბრყვილობა, ცნობისმოყვარეობა და ძიების სურვილი. ამიტომ ნაადრევად დაბერდა და გაშეშდა. გონებამ და ლოგიკამ ჩაახშო ინსტინქტი და ინტუიცია, კვლევა-ძიების ადგილი დოგმატიკურმა სპეკულაციამ და გონებამახვილმა პაექრობამ დაიჭირა. ბიზანტიის კულტურა შესანიშნავი იყო არა იმით, რომ ახალ ფორმებს და იდეებს შობდა, არამედ იმით, რომ სისტემატიურად ალაგებდა ძველ იდეებს, ხოლო ნასესხებ ფორმებს სინთეზს უკეთებდა. მისი ორი უდიდესი ძეგლი, იუსტინიანეს კოდექსი სჯულდებაში და სოფიის ტაძარი ხუროთმოძღვრებაში, უფრო კომპილაციას ჰგავდა, ვიდრე ორიგინალურ ნაწარმოებებს. პირველი არსებითად რომაული კანონების კრებული იყო, მეორე კი საბერძნეთის და აღმოსავლეთის არქიტექტურული ფორმების შეერთება.

მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ბიზანტიურ კულტურაში ქრისტიანული სულისა და ქრისტიანული სქოლასტიკის გვერდით კლასიკური ფილოსოფიის, ლიტერატურის და ხელოვნების ტრადიციებიც სთვლემდა. მხოლოდ ეს ტრადიციები არა ნაკლებ ძლიერი იყო სირიასა და მცირე აზიაში. ყოველ შემთხვევაში ორიგინალური შემოქმედების სული აქ უფრო ახალგაზრდა და ნაყოფიერი იყო.

პირველად წინა აზიის ნიადაგზე შეხვდნენ ერთმანეთს ელინური და ორიენტალური კულტურები, ალექსანდრე მაკედონელის ომებმა დააახლოვა საბერძნეთი და აღმოსავლეთი: ალექსანდრიაში, ანტიოქიაში და პერგამონში განათლების ბრწყინვალე ცენტრები შეიქმნა. შემდეგ ეს კერა დიდხანს არ განელებულა. სლავიანურმა და გერმანულმა ტომებმა ევროპაში გაანადგურეს კლასიკური კულტურა, მცირე აზია კი გადაურჩა ამ ტომების შემოსევას. ამიტომ პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში მან, განსაკუთრებით პლასტიკური ხელოვნების და ხუროთმოძღვრების სფეროში, შესამჩნევად წინ გაუსწრო დასავლეთ ევროპას.

თანამედროვე მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარება აღმოსავლეთით დასავლეთისაკენ მიდიოდა და არა პირუკუღმა. მცირე აზიელებმა ასწავლეს ბიზანტიელებს და დასავლეთ ევროპელებს ცენტრალური ტაძრის გეგმა, თაღის, კამარის და გუმბათის ფორმა. სოფიის ტაძრის ხუროთმოძღვრები — ანთიმეოსი და ისიდოროსი მცირე აზიელები იყვნენ, ამავე შენობის სვეტები მცირე აზიიდან იყო გადმოზიდული.

მაგრამ საქართველო კიდევ უფრო ახლო იდგა სირიასა და წინა აზიასთან, ვიდრე დასავლეთი ევროპა. ივერიის ეკლესია ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა: იქიდან ღებულობდა როგორც მირონსა და სამონასტრო წესწყობილების ფორმებს ისე საეკლესიო ლიტერატურასაც.

მისიონერებს გარდა წინა აზიიდან საქართველოში სოვდაგრები და აქლემთა ქარავნებიც მოდიოდნენ. არტანუჯსა, ქაჯთა ქალაქსა თუ ოძრხეში მათ კომერციული გზით შემოქონდათ, რის შემოტანაც არ შეიძლებოდა იერარქიული გზით. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ საქართველო ევროპაზე ადრე

ეეცნო დიდ კლასიკურ აზრებს, რომელნიც ქრისტიანულ ტანსაცმელში გახვეულნი შეუშფოთებლად ცხოვრობდნენ ანტიოქიას, ეფესოსა და ედესაში.

მაგრამ ყველაზე დაახლოებული მცირე აზიასთან მაინც მესხეთი იყო, განსაკუთრებით ის პროვინცია, რომელსაც ტაო-კლარჯეთი ერქვა. მას უფრო ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდა ბიზანტიასთან. ამიტომ საშუალო საუკუნეების პირველ ნახევარში საერთოდ მესხეთი და კერძოდ ტაო-კლარჯეთი ჩვენი ქვეყნის მეთაური იყო. მესხი სჭარბობდა ამერსა და იმერს არა მარტო ნივთიერი და სულიერი კულტურით, არამედ მამულიშვილური შეგნებითაც.

ცნობილია, რომ პატრიოტული გრძნობა ბრძოლასა და წინააღმდეგობაში მტკიცდება. ტაო-კლარჯეთის ნიადაგი მწირი იყო, ბუნება ნაკლებ ნაყოფიერი. „მცირე ვენახნი და აგრეთვე მტილები“ დიდის გაჭირვებით იყო დანერგილი. ამიტომ ეს ქვეყანა კიდევ უფრო ძვირფასი იყო მკვიდრთათვის, რომელთა საოცარმა ენერგიამ ის ააყვავა და წალკოტად აქცია.

ამას ზედ ერთვოდა ის გარემოება, რომ ტაო-კლარჯეთი ხელიდან ხელში გადადიოდა საუკუნეების მსვლელობაში. მეექვსე საუკუნემდე ის ქართველების ნათესავ ლაზებს ეჭირათ, მეექვსედან მერვის ნახევრამდე — სომხებს. ბოლოს ხელახლა ქართველები გაძლიერდნენ და მთელი კუთხე ოლთისსა და ხახულამდე ნაბიჯ-ნაბიჯ დაიპყრეს. ამ ბრძოლამ გააძლიერა მდუღარე პატრიოტიზმი, რომელიც შემდეგ არაჩვეულებრივ კულტურულ აქტივობაში გამოიხატა. მწირი, უკაცური, ტყით დაბურული ტაო-კლარჯეთი გადახალისდა ამ აქტივობის შემწეობით: გზებითა და არხებით დაისერა, ქალაქებითა და სოფლებით აჭრელდა და ტაძრებითა და სასახლეებით შეიმკო.

ცნობილია, რომ ერთობლივი ქართლის იდეა პირველად ტაო-კლარჯეთში განმტკიცდა. აქ გაძლიერდა პირველად ბაგრატიონთა გვარი და აქედან მთელი საქართველო სამეფო სკიპტრის ქვეშ გაერთიანა. საქართველოს ისტორიაში ტაო-კლარჯეთმა იგივე როლი შეასრულა, რომელიც გერმანიის ისტორიაში პრუსიას ერგო, ხოლო იტალიისაში — პიემონტს. ეს გარემოება არასოდეს არ უნდა დაივიწყოს შთამომავლობამ.

მით უმეტეს, რომ საქართველოს გაერთიანება მეტისმეტად ძნელი საქმე იყო, რადგანაც ძლიერი იყო განსხვავება სხვადასხვა პროვინციებს შორის.

ეს სხვადასხვაობა ერთი მხრით სასარგებლოც იყო, რასაკვირველია. ბუნების მრავალფერადობა ნაყოფიერ ინდივიდუალიზმს ასაზრდოებდა. თვითეული კუთხე განსაკუთრებულ სულიერ ბეჭედს ატარებდა და ამიტომ საქართველოს კულტურა უფრო დრამატულად მძაფრი, მოქნილი და მოძრავი იყო, ვიდრე იმ ერებისა, რომელნიც ერთფეროვან ბუნების წიაღში ცხოვრობენ. ერთობლივ ქართლში არ ჩაჩრდილულა ტომობრივი, თემობრივი და პიროვნული განსახვავებანი. პირიქით, შეერთებულმა და ძლიერმა სამეფომ სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ ფართო ასპარეზი მისცა შეჯიბრებისა და დაწინაურებისათვის.

თუ ამ შეჯიბრებაში მესხები სხვა ქართველებს ხშირად სჯობნიდნენ, ეს, როგორც აღვნიშნეთ, უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ მათი ქვეყანა უფრო ახლოს იყო იმდროინდელ განათლებულ ქვეყნებთან. მათ ნიადაგზე ხვდებოდა ერთმანეთს ორი დიდი კულტურის ტალღები. იქ უკავშირდებოდა ერთმანეთს ორიენტალური და ელინისტური განათლება და იქიდან შემდეგ მთელ საქართველოს ეფინებოდა. იქ იყო საუკეთესო მონასტერები, რომელთაც მდიდარი წიგნთსაცავები ჰქონდათ, იქ ყვაოდა აკადემიები და იქ ითარგმნებოდა ბერძნული სასულიერო და საერო თხზულებები. ამიტომ გასაკვირი არ არი, რომ მესხეთში დაიბადნენ ჩვენი საუკეთესო მწიგნობრები, მგოსნები, მხატვრები და ხუროთმოძღვრები.

1916

ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან

როცა ადამიანი ძველი მცხეთის სასაფლაოს ათვალიერებს, ამ უზარმაზარ ნეკროპოლს, რომელიც სამთავროს ეკლესიასთან იწყება და თითქმის ბებრის ციხემდე აღწევს, შეუძლე-

ბელია ის მისი პირველი გამომთხრელის — ავსტრიელი მეცნიერის ფრიდრიხ ბაიერნის სიტყვებს არ დაეთანხმოს, მცხეთა დიდი და მდიდარი ქალაქი ყოფილა, კომფორტის მოყვარული და მეომარი ხალხით დასახლებულიო. არქაული და ელინისტურ-რომაული ეპოქის მცხეთელ ქალებს რომ კომფორტი ჰყვარებიათ, ამას მოწმობს ბრინჯაოს, ვერცხლის და ოქროს სამკაულები, მშვენიერი სამაჯურები და ყელსაბამები, საყურეები და ქინძისთავები, სარტყელები და თავსაკრავები. ბოლოს, კლასიკური გემმები, რომელთა რიცხვმა უკანსაკნელი წლების გათხრების დროს, თუ არ ვცდებით, ოთხმოცს მიაღწია ნახევარი ჰექტარის ფართობზე; ხოლო ძველი მცხეთელი მამაკაცების მხედრულ სულს მათი საომარი იარაღის სიუხვე ამეღვანებს მათი ბრინჯაოსა და რკინის შუბები. მახვილები და ორლესული ხანჯლები; ამასვე მოწმობს მათი გაჩეხილი თაეის ქალები, რომელნც უფრო მაშინ გვხვდებიან, როცა მიცვალებულნი ცალკე კი არ მარხიან, არამედ ჯგუფად, ერთგვარ არქაულ ძმათა სასაფლაოში. ბაიერნს ეგონა, ეს ჯგუფური სამარხები ამტკიცებენ, რომ ძველ იბერიელებს ძალიან მკაცრი ღმერთები ჰყოლიათ და მათ ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა მასობრივად უწარმოებიათო. ეს შეცდომაა: ნამდვილად სამარხები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს ვაჟკაცური ერთსულოვნება გამოუჩენიათ შეტევასა და თავდაცვაში.

რით აიხსნება, რომ სამთავროს არქეოლოგიური გათხრები ასეთი ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ მათი ინვენტარი აშუქებს საქართველოს პრეისტორიის და ისტორიის ბნელ საუკუნეებს, მოყოლებულთ თითქმის ათას ხუთასი წლიდან ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე? მცხეთა რომ იბერიის პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი იყო ელინისტურ და რომაულ ეპოქაში, ეს უდავოდ მტკიცდება ჩვენი ისტორიული გადმოცემებით და წერილობითი წყაროებით, აგრეთვე ბერძენი და რომაელი ავტორების მოწმობით. უფრო ძნელი დასამტკიცებელია, რომ პრეისტორიულ ეპოქაშიც, რომელმაც სამთავროს სამარხებში ასეთი მდიდარი თიხის ჭურჭლის და ბრინჯაოს სამკაულის თუ საჭურვლის ინვენტარი დაგვიტოვა, მცხეთის ძირითადი მოსახლეობა იბერიელებისაგან შედგებოდა. ამის დასამტკი-

ცებლად, ურყევი ისტორიული საბუთების უქონლობის გამო, საჭიროა რთული ანთროპოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება ჩონჩხებისა და თავის ქალების მიმართ, რომელთაც მიწის ქვეშ სძინავთ სამი-ოთხი ათასი წლის განმავლობაში. ეს მეტად რთული საქმეა.

ასეა თუ ისე, მცხეთა ყოველთვის დიდი სააღებმიცემო ცენტრი უნდა ყოფილიყო იმ ბინდბუნდით მოცულ პერიოდშიც, საიდანაც ჩვენ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, და საქართველოს ისტორიის გარიჟრაჟზეც, როდესაც იბერიელები, სამხრეთიდან მტკვრის ხეობაში შემოჭრილნი თუ ძველთაგან აქ ბინადარნი, ამ ტერიტორიას ბაღ-ვენახებით ფარავდნენ, კრამიტის სახურავიანი ქვის შენობებითა, ქულბაქებითა და ფორუმებით ამკობდნენ და მტკიცე სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ჰქმნიდნენ, მაგრამ დიდ იბერიელთა ტომს, რომელიც თითქო ორჯერ გამოფხიზლდა მრავალსაუკუნოვანი ძილისაგან. ერთხელ მაშინ, როდესაც ის პართიელი არშაკიდების სამეფოს გამოეყო და თავისი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო დააარსა, ხოლო მეორეჯერ, როდესაც ქრისტიანობა მიიღო. თავის პირველ სატახტო ქალაქში არასოდეს არ უწარმოებია ვიწრო განკერძოების პოლიტიკა, და მცხეთა, იბერიელთა ეროვნული თვითგამორკვევის შემდეგაც ისეთ დიდ საერთაშორისო ცენტრად დარჩა, როგორიც მანამდე იყო.

დიდად დამახასიათებელია ძველი ქართული ქრონიკების ცნობა, რომ მცხეთაში თავშესაფარი ჰპოვეს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ ოტებულმა ებრაელებმაც, რომელნიც მცხეთის ხელისუფლებამ არაგვის პირას დაასახლა, „წყაროსა, რომელსაც ჰქვიან ზანავი“, ვესპასიანე იმპერატორის დროს გამოქცეულმა ებრაელებმაც, რომელთაც იქვე ჰპოვეს თავშესაფარი და სპარსეთის მეფის ქაიხოსროსაგან ოტებულმა ბუნთურქებმაც, რომელნიც მცხეთის დასავლეთით დასახლდნენ, მათ მიერ მტკიცედ შემოზღუდულ სარკინეთში. საფიქრებელია, რომ მცხეთის აყვავების პერიოდში იქ სხვა ერებსაც ექნებოდათ თავიანთი მეტად თუ ნაკლებად განკერძოებული უბნები.

მაგრამ თუნდაც მცხეთის ხელისუფალთ უცხოელების მიმართ ნაკლებ შემწყნარებელი პოლიტიკა ეწარმოებინათ, ეს

საუცხოო ადგილი, სადაც არაგვის მშფოთვარე ტალღები მტკვრის ტალღებში წყნარდება, მაინც ქარავნების და დიდვაჭრების შესახვედრ ადგილად გადაიქცეოდა. სად უნდა დაესვენათ მიდიიდან ან პართიიდან პონტოს ზღვისაკენ მიმავალ ქარავნებს, თუ არა მცხეთაში? და სად უნდა დაეწყოთ სკვითიიდან ან სარმატიიდან მომავალ ვაჭრებს თავიანთი ბეწვეულობა, თუ არ იმავე მცხეთაში? და რა ენა უნდა ყოფილიყო ხალხური იბერიული ენის გვერდით გავრცელებული ამ დიდ კომერციულ ცენტრში, თუ არა დამწერლობის და ლიტერატურის მქონე საერთაშორისო ენები — ბერძნული, ფალაური, არამეული?

მაგრამ საკმაო არ არი, რომ ესა თუ ის ქალაქი ერმრავალი და მდიდარი იყოს, რათა მისი ნეკროპოლიც მდიდარი აღმოჩნდეს. საჭიროა აგრეთვე ცოცხალ თაობებს სწამდეთ, რომ მიცვალებულნი ამქვეყნიური ცხოვრების მსგავსს არსებობას განაგრძობენ საიქიოში. რომ მათ ის სამკაული და ჭურჭელიარაღი უნდა იქონიონ, რომელიც ამ ქვეყანაში უყვარდათ ან სჭირდებოდათ. ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ მარადისობის ეს შეგრძნობა, განსხვავებული როგორც ქრისტიანული სპირიტუალიზმის შეგნებისაგან. რომელიც მიცვალებულის სულისთვის ზედმეტად სთვლის ყოველ უტილიტარულ ნივთსა და სამკაულს, ისე მატერიალური რწმენისაგან, რომელსაც სულის დამოუკიდებელი არსებობა არ სწამს. ბოლოს, საჭიროა, რომ ნეკროპოლის გაძარცვა ადვილი არ აღმოჩნდეს, როდესაც ხალხს რელიგიური სკეპტიციზმი და ნიღილიზმი ეუფლება.

ცნობილია, რომ ძველი ეგვიპტის სატახტო ქალაქ თებეში ეგრეთ წოდებული მიცვალებულთა ქალაქის დაცვას უფრო მრავალ რიცხოვანი და ფხიზელი პოლიცია სჭირდებოდა, ვიდრე ცოცხალთა ქალაქისას. როდესაც რელიგიური და ზნეობრივი ტრადიციები იმდენად შეირყა, რომ სამარხების ძარცვამ მასობრივი ხასიათი მიიღო, ეგვიპტელი მოგვები იძულებული გახდნენ თებეს ნეკროპოლიდან ოცდაათზე მეტი ფარაონის მუმია ამოეღოთ და ფარულად ლიბიის უდაბნოს გამოქვაბულებში დაემარხათ, ხოლო ამ თავისებური დამკრძალავი პროცესიის მონაწილე მონები დაეხოცათ. მცხეთელ მოგვებს, რო-

მელნიც, როგორც ეტყობა, მათთვის საგანგებოდ განკუთვნილ უბანში ცხოვრობდნენ. ასეთი არაჩვეულებრივი ღონისძიების მიღება არ დასჭირებიათ. მართალია, როგორც არმაზის, ისე განსაკუთრებით სამთავროს სასაფლაოზე მრავალი სარკოფაგი და სამარხი განძარცულია, მაგრამ საერთოდ არმაზის და კოდმანის კლდეებს ისინი უკეთ დაუცავთ, ვიდრე პოლიციას და სამღვდელოებას შეეძლოთ დაეცვათ.

საქმე ისაა, რომ რადგან მცხეთის ორივე ნეკროპოლი ქედების ძირშია მოთავსებული, ნიაღვრების მიერ მოზიდულ მიწას, ქვიშას და ღორღს მათი ნიადაგი თანდათან აუმაღლებია, ისე რომ მრავალი საფლავი, რომელიც თავის დროზე მიწის ზედაპირთან ახლო ყოფილა, დღეს საკმაოდ ღრმა ქვედა ფენაში მოქცეულა. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სამთავროს სასაფლაოზე, რომელიც დაახლოებით ორჯერ უფრო ხნიერი უნდა იყოს, ვიდრე არმაზის პიტიახშების სასაფლაო, და უფრო ტიტველი და, მაშასადამე, უფრო ადვილად ჩამოსარეცხი კოდმანის ქედის გასწვრივაა მოთავსებული. ამრიგად, სამთავროში შექმნილა მიცვალებულთა ქალაქის რამდენიმე სართული, რომლის გაცნობა ნათელს ჰფენს ჩვენში შორეული წინაპრების მატერიალური კულტურის პროგრესს და რწმენის ევოლუციას დაახლოებით ათას ხუთასი წლის მანძილზე ქრისტიანობის დამყარებამდე საქართველოში.

ქონებრივად მეტად ღარიბი, ხოლო აზროვნებით მეტად პრიმიტიული უნდა ყოფილიყო ის საზოგადოება, რომელსაც თავისი მიცვალებულები უკუბოოდ პირდაპირ მიწაში დაუმარხავს, ხშირად მზისკენ პირმობრუნებული, და მათთვის თავთან უბრალო თიხის ხონჩა დაუდგამს, ხოლო ფეხებთან თიხისავე ღვინის ფიალა. ასეთია სამთავროს უძველესი სამარხები. ნეკროპოლის მეორე სართულში ასასვლელად ჩვენს წინაპრებს რამდენიმე საუკუნის ქონებრივი და ზნეობრივი პროგრესი დასჭირებიათ. მათ თავიანთ მიცვალებულთათვის უფრო მკვიდრი ბინის აგება დაუწყიათ რიყის ქვისა, კრამიტისა, ან კიდევ გვერდზე მწოლარე ან მოპირქვავებული თიხის ქვევრისაგან. მიცვალებულის მდგომარეობაც სხვადასხვანაირია, ხანდახან ის მოკრუნჩხულია, ხანდახან ერთგვარი დაფიქრების პოზა აქვს.

ძალიან ხშირად ცოლ-ქმარი ერთად მარხია. ერთ ვეებერთელა კამეჩის თეძოიან მამაკაცს, რომელსაც შეიძლება სავაჭროდ დარიალის გზით სკვითიაში ან სარმატიაში უხდებოდა მგზავრობა, ან იქიდან შემოსული მტრის რაზმებისაგან არაგვის ხეობის დაცვა ევალებოდა, თავის გვერდით უნაზესი ქალი დაუმარხვინებია: უმისოდ მას საიქიო, ალბათ, მეტად მოსაწყენი ეჩვენებოდა. მეორე საფლავში პატარა მწყემსისთვის თან ძვლის სალამური და საყვარელი ხარის თავი ჩაუტანებიათ; მესამეში კევრის ნაშთი აღმოჩნდა. ყოველივე ეს სამეურნეო ცხოვრების წინსვლას და უფრო ფაქიზი გრძნობების წარმოშობას გულისხმობს. დასაფლავების სხვადასხვა წესი იმასაც უნდა მოწმობდეს, რომ მცხეთის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა საკმაოდ ჭრელი უნდა ყოფილიყო თვით წინაელინისტურ პერიოდში, როდესაც ჩვენს წინაპრებს კულტურული და კომერციული კავშირი ექნებოდათ ქვით ღარიბ ქალდეასთან, სადაც აგურის, კრამიტის და თიხის ჭურჭლის მომზადება და გამოყენება განსაკუთრებით გავრცელებული იყო.

ელინისტურ და რომაულ ეპოქაში იბერიელები, ისევე როგორც მათი ახლო მონათესავე კოლხები, საბოლოოდ იმდროინდელი მაღალკულტუროსანი ერების წრეში შედიან. ამის დამადასტურებელი ცნობები უხვად მოიპოვება ძველი ბერძენი და რომაელი მწერლების ნაწერებში. ამ ცნობების საუცხოო შემოწმებას ქართველი არქეოლოგების მიერ წარმოებული გათხრები და კვლევა-ძიებანი წარმოადგენენ. საკმაოა კაცმა უფლისციხის დარბაზები დაათვალიეროს, ან არმაზის რომაული აბანო, რათა სრულებით დარწმუნდეს სტრაბონის ცნობის სისწორეში, რომ იბერია ძლიერ მდიდარი და დასახლებული ქვეყანაა, რასაც ზღუდეშემოვლებული ქალაქების და სოფლების სიმრავლე, კრამიტით დახურული და არქიტექტურული წესით აგებული შენობები და კარგად მოწყობილი ბაზრები და ქარვასლები გვიმტკიცებენო.

პომპეუსის ცხოვრების აღწერაში პლუტარქი ამბობს, იბერთა მეფემ პომპეუსს საწოლი, მაგიდა და ტახტი მიართვა. ყოველივე ბაჯაღლო ოქროსაგან გაკეთებული, და სთხოვა: ბიიღე როგორც ჩემი მეგობრობის საწინდარიო; პომპეუსმა ყო-

ველივე ეს ქვესტორებს გადასცა სახელმწიფო საალაროში შესანახადო. ეს ცნობა დამახასიათებელია არა მარტო იბერიის მეფის სიმდიდრისა, არამედ მისი ფსიქოლოგიისთვისაც. არტაგ მეფე ანტირომაული კოალიციის წევრი იყო, ამ კოალიციას პონტის მეფე მიტრიდატე ევპატორი და სომხეთის მეფე ტიგრან დიდი მეთაურობდნენ. პომპეუსმა სამიოდე წლის განმავლობაში სასტიკად დაამარცხა ორივე მოწინააღმდეგე; სომხეთის მეფეს მან კაპადოკია, კილიკია, სირია, ფინიკია და ქურთისტანი ჩამოართვა, ხოლო თვით ტიგრანი იძულებული გახდა მის წინაშე გამოცხადებულიყო, მუხლებზე დაცემულიყო და მისთვის მორჩილების ნიშნად თავისი ცხენი, მახვილი და გვირგვინი გადაეცა. მხოლოდ ამის შემდეგ შეირიგა იგი რომის პროკონსულმა. რაც შეეხება მიტრიდატეს, პომპეუსმა საერთოდ უარი თქვა მასთან რაიმე შეთანხმებაზე და რომის რესპუბლიკის ეს შეურიგებელი მტერი, ბოლოს, იძულებული გახდა თავი მოეწამლა პანტიკაპეაში (ახლანდელ ქერჩში).

იბერიის სატახტო ქალაქს პომპეუსის ჯარი სომხეთის და ალბანიის დამორჩილების შემდეგ მიადგა აღმოსავლეთის მხრიდან. როგორც ამჟამად წარმოებული არქეოლოგიური გათხრები ამტკიცებს, ამ მხრიდან მცხეთას დიდი ციხე იცავდა, თლილი ქვისაგან ნაგები გალავნითა და კოშკებითა და პალატებით. ეს, როგორც ეტყობა, მთავარი ნაწილი უნდა იყოს იმ უზარმაზარი ციხე-სიმაგრის სისტემისა, რომელიც, ალბათ, მცხეთას სხვადასხვა მხრიდან ჰკეტავდა; ის ერთ ძველ ქართულ მატეანეში მრავლობით რიცხვში იხსენიება—„არმახნი". ეს მთავარი ციხე იბერიის დედაქალაქს აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან იცავდა და პირდაპირ გაჰყურებდა სევსამორის, ე. ი. წიწამურის სიმაგრეს, რომელიც ჩრდილოეთიდან მომავალ გზას ჰკეტავდა.

რომაელმა მხედართმთავარმა ადვილად აიღო არმაზის ციხე, არტაგ მეფემ ის უბრძოლველად დასცალა, მტკვარზე გადავიდა, ხიდი დასწვა და თავისი ჯარითურთ ტყიან მთებს შეაფარა თავი. აქედან მან ბრძოლა განაგრძო რომაელების ჯარის წინააღმდეგ. იბერიელების მედგარმა წინააღმდეგობამ, მათი მთიანი ტერიტორიის შეუვალობამ პომპეუსი იძულებული გახადა მეტი ზომიერება გამოეჩინა არტაგ მეფის მიმართ,

ვიდრე მასზე უფრო ძლიერი მფლობელების — ტიგრან დიდისა და მიტრიდატე ევპატორის მიმართ გამოიჩინა. დიდად დამახასიათებელია ისიც, რომ არც შემდეგდროინდელი რომაელი მბრძანებლები — ვესპასიანე და ადრიანე იმპერატორები თაკილობდნენ იბერიელი ერისა და მეფეებისათვის თავიანთი მეგობრები ეწოდებინათ.

* * *

ჩვენ გვგონია, რომ არსად არ შეიძლება ძველი იბერიელების ფსიქოლოგიის გაცნობა ისე კარგად, როგორც მცხეთაში, სადაც ის პირველად ჩამოყალიბდა ბრძოლისა და შემოქმედების პროცესში. დახედეთ იბერიელი პიტიახშების პორტრეტებს, რომელნიც საუცხოო გემმებზე არიან გამოჭრილნი, ყველა ამ ასპარუგ, ძევახ და არშუშა პიტიახშების სახეებს და დამეთანხმებით, რომ მათში არი რაღაც უაღრესად კეთილშობილი და ონავრული ერთსა და იმავე დროს. და ეს ადვილი გასაგებია: ამ ეპოქის იბერიელები ახლახან იყვნენ გამოსული გვაროვნული წესწყობილებიდან; ხანგრძლივ სამოქალაქო კულტურას ისინი ჯერ კიდევ არ მოეთვინიერებია. ისინი ჯერ კიდევ თავიანთ თავს უფრო ლაღად საასპარეზო მოედნებზე ან მთის მდინარეში გრძნობდნენ, ვიდრე თლილი ქვის პალატებში ან რომაულ ტერმებში. იბერიელი მეფეები და ერისთავები თავიანთ ციხე-კოშკებში, ალბათ, ისე ისხდნენ, როგორც არწივები კლდის ბუდეებში და იქიდან ყოველ მხრივ ათვალიერებდნენ თავიანთ სამყოფელოს, რათა მტრის მოძრაობა არ გამოჰპაროდათ.

ტაციტის ცნობილი მოთხრობიდან, სადაც იბერიის უფლისწულის რადამისტის და მისი ცოლის ზენობიას თავგადასავალია აწერილი, კარგად ჩანს, რა ძლიერად იცოდნენ ძველმა იბერიელებმა სიყვარული და სიძულვილი, რა დაუნდობელი იყვნენ ისინი, როდესაც საკითხი მათ პირად ბედნიერებას შეეხებოდა.

პატივმოყვარე რადამისტმა იბერიალთა ჯარით აიღო სომხეთის მთავარი ციხე, რომელსაც რომაელების გარნიზონი

იცავდა, და ვერაფერულად მოჰკალა სომხეთის შეფე მიტრიდატი, რომელიც მისი ბიძა, დის ქმარი და სიმამარი იყო ერთსა და იმავე დროს. მაგრამ რადამისტმა დიდხანს ვერ გასძლო სომხეთის ტახტზე. მისი სიმკაცრით აღშფოთებულმა სომხებმა აჯანყება მოაწყვეს მის წინააღმდეგ, და რადამისტი იძულებული გახდა იბერიისაკენ გამოქცეულიყო. რომაელი ისტორიკოსის თქმით, რადამისტი გადაარჩინეს ფეხმარდმა ცხენებმა, რომლებზედაც ისა და მისი ცოლი იჯდნენ. ზენობია ორსულად იყო. უკან დადევნებული მტრის შიშმა და ქმრის სიყვარულმა ქალს ერთხანს ადვილად გადალტანინა ფიცხელი მგზავრობის სიძნელეები, მაგრამ როდესაც შეუწყვეტელი ჭენების გამო მას ფერდები და მუცელი საშინლად ასტკივდა, ქმარს შეევედრა, პატივსადები სიკვდილით გადამარჩინე საძრახის ტყვეობასო. რადამისტი თავდაპირველად გულზე იკრავს თავის ცოლს, შემდეგ მას ამხნევებს. ის ერთი მხრით გაოცებულია მისი სულის სიძლიერით, ხოლო მეორე მხრით შეძრწუნებულია იმ აზრით, რომ მას სხვა ვინმე დაეპატრონება, თუ აქ მიატოვა. ბოლოს მის გულში მეშურნეობა სძლევს, ის მახვილს იშიშვლებს და ქალს ჩასცემს. შემდეგ არაქსისკენ წაათრევს და მდინარის ტალღებს მისცემს, რადგან ეშინია, რომ მისი გვამი ვინმემ ხელში ჩაიგდოს. საშობლოში დაბრუნებული რადამისტი განიზრახავს ისეთივე ბედი ვანუმზადოს თავის მამას — ფარსმან მეფეს, როგორც თავის ბიძას განუმზადა, და მცხეთის ტახტის დაპყრობით არტაქსატის ტახტის დაკარგვა აინაზღაუროს, მაგრამ ფარსმან მეფე მას მოაკვლევინებს.

ეს პირქუში სული, ეს სტიქიონური ვნებათა ღელვა ძლიერ დამახასიათებელია ძველი იბერიელებისათვის. როდესაც ჩვენ არმაზის ნეკროპოლიდან ამოღებულ პორტრეტულ გემმაზე ბერძნულ წარწერას ვკითხულობთ, ქალის მიერ ქმრისადმი მიძღვნილს — „ძევახოს, ჩემო სიცოცხლევს“, ეს უბრალო სანტიმენტალურ ფორმულად კი არ უნდა მივიღოთ, არამედ გულის სიღრმიდან ამოხეთქილ ძახილად. რომელიც შეიძლება ქმრის ნაადრევი სიკვდილით იყო გამოწვეული.

არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ეს ადამიანები მოკლებულნი ყოფილიყვნენ მაღალ მხატვრულ და გონებრივ ინ-

ტერესებს. პირიქით, ვერცხლის ფეხებიანი სარეცლები, რომელზედაც იბერიელი წარჩინებულნი წოლილან, ბარელიეფიანი ლანგრები და სურები, რომლებიც მათ სუფრაზე წყობილა, მოწმობენ, რომ ისინი ცდილან სილამაზე შეეტანათ თვით ელემენტარული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში; მით უმეტეს განვითარებულ გემოვნებას მოწმობენ მათი სამკაულები, რომლებითაც ისინი ცდილან მხატვრული ნაწარმოების შთაბეჭდილება მოეხდინათ თავიანთი გარეგნობით; საუცხოოა მათი სარტყელის ბალთები, წამოსასხამის დუგმები, ოქროს სამკლავეები და საკოჭეები, ხოლო განსაკუთრებით ძვირფასი ქვებით მოლივლივე ბეჭდები, სამაჯურები და ყელსაბამები. ბოლოს, ტექნიკის დაწინაურებას მოწმობს ზოგიერთი სარკოფაგი თავისი ბანისებური ან ორფერდიანი სახურავით.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ეს მხატვრული ნაწარმოები იბერიაში უცხოეთიდან ყოფილიყოს. შემოტანილი ღლებ-მიცემობის ან საჩუქრად მიძღვნის გზით. უფრო დასაჯერებელია, რომ კავკასიის ტერიტორიის ფარგლებში, სადაც ბრინჯაოს ეპოქიდან ამდენი მნიშვნელოვანი საგანძური დარჩა, მხატვრული ხელოსნობის ტრადიცია არ შეწყვეტილა მომდევნო ეპოქებშიც, და რომის ეპოქის იბერიელი ოსტატები ისევე მარჯვედ მუშაობდნენ ძვირფასი ლითონის და თვალმარგალიტის მასალაზე, როგორც მათი წინამორბედები ბრინჯაოზე ან თიხაზე მუშაობდნენ. რასაკვირველია, ეს არ უარყოფს, რომ ზოგიერთი იბერიელ ოსტატს, ხუროთმოძღვარი იქნებოდა ის, მხატვარი თუ ოქრომჭედელი, უცხოელი მასწავლებლის სკოლა გაევლოს. საზღვარგარეთ ან თვით იბერიაში, ერთი საფლავის ლოდის წარწერიდან, რომელიც სიმონ ყაუხჩიშვილმა წაიკითხა, ჩანს, რომ მცხეთაში ბერძენ მხატვართუხუცესს და ხუროთმოძღვარს, ვინმე აქოლისს უმუშავნია: ის, ალბათ, სამეფო კარის და სახელმწიფო დავალებას ასრულებდა.

უფრო ნაკლებ საფიქრებელია, რომ ძველ იბერიელებს თავიანთი ეროვნული დამწერლობა და ლიტერატურა ჰქონდეთ. თუ მღვდელთმსახურება და მსხვერპლთ შეწირვა იბერიელი მოგვებისაგან რელიგიური ჰიმნების და ფორმულების

წარმოთქმას მოითხოვდა დედა ენაზე, ისინი ამის, ალბათ, ზეპირად ასრულებდნენ ბოლოდროინდელი ხელსური ხევისბერეებისა და დეკანოზების მსგავსად, ხოლო თუ მათ დამწერლობა სჭირდებოდათ, ალბათ, ბერძნულს, ფალაურს და არამეულს იყენებდნენ.

ძნელი დასაჯერებელია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში რამდენიმეჯერ გამოთქმული აზრი, თითქოს იბერიელებს განვითარებული წარმართული მწერლობა ჰქონდეთ და ქრისტიანობას სრულიად გაენადგურებიოს იგი. არსად დედამიწის ზურგზე ეს ქრისტიანობას არ ჩაუდენია, ძნელი დასაჯერებელია, რომ მარტო იბერიაში ჩაიდენდა. ქრისტიანობას რომ თავისი ისტორიული მისია წარმართული ხელოვნების და მწერლობის ძეგლების სრული განადგურებით დაეწყო. იგი ვიწრო ებრაულ სექტად დარჩებოდა მრავალი იმდროინდელი სექტის მსგავსად და ვერასოდეს მსოფლიო რელიგიად ვერ გადაიქცეოდა. ქრისტიანობამ ძველი წარმართული კულტურა კი არ მოსპო, არამედ გადალახა. ე. ი. ამ კულტურიდან უკუაგდო. რაც თავისთავის მიუღებლად მიაჩნდა, და აითვისა, რაც მისთვის აუცილებლად საჭირო ოყო. მან თავისი საკულტო მიზნებისათვის გამოიყენა რომაული ბაზილიკა, მოზაიკა და ფერწერა ნაწილობრივ თვით წარმართული ჰიმნოგრაფია. ქრისტიანულმა აზროვნებამ ბევრი რამ აითვისა პლატონის, არისტოტელეს, ნეოპლატონიკოსების, სტოიკოსების ფილოსოფიიდან; მას არ გაუნადგურებია თვით წარმართული ბერძნული და რომაული მხატვრული ლიტერატურის ძეგლები. პირიქით, ამ ძეგლების დიდი ნაწილი თანამედროვე კაცობრიობას ქრისტიანულმა მონასტრებმა შეუნარჩუნეს.

ბოლოს, ქრისტიანულმა საზოგადოებამ შეინარჩუნა ანტიკური სასწავლებელი, რომელიც მხოლოდ შემდეგ დაემხო, როდესაც დასავლეთ რომის იმპერიის ნანგრევებზე ბარბაროსები დასახლდნენ. რაც შეეხება ქრისტიანულ აღმოსავლეთს, აქ ანტიკური სკოლის ტრადიციებმა ბევრად უფრო დიდხანს გასძლო.

არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ახლად მოქცეული ქართველი ქრისტიანები უფრო შეურიგებლად ყოფილიყვნენ განწყობილი წარმართული კულტურის ძეგლებისა

და მწერლობისადმი, ვიდრე ევროპული და წინააზიელი ქრისტიანი ერები იყვნენ. პირიქით, ცნობილია, რომ არც წინაფეოდალური ეპოქის და არც შუა საუკუნეების ქართველ ქრისტიანებს სექტანტებისა თუ სხვა სჯულის მიმდევრებისათვის არასოდეს ისეთი კოცონები არ დაუნთიათ, როგორსაც მათთვის დროგამოშვებით ბიზანტიელები და ევროპელი კათოლიკები ანთებდნენ. ეს გარემოება უმთავრესად ძველი ქართველების აზროვნების თავისებურებით უნდა აიხსნებოდეს, მათი რელიგიური შემწყნარებლობით, ისევე დამახასიათებელით, როგორიც მათი პოლიტიკური ვნებიანობა იყო.

როდესაც ძველი ქართველი მემატიანე არჩილ მეფის დროის შესახებ ამბობს, „აზნაურთა სტეფანე წმინდაი აღაშენეს არაგუსა ზედა, და მოგუნი მოგუთას მოგობდეს ცეცხლისა მსახურებასა ზედაო“, ამით ის ერთ უმთავრეს მოვლენას აღნიშნავს ჩვენი რელიგიის ისტორიიდან. მართალია, მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში ცეცხლის თაყვანისცემის დროებითი აღორძინება აღმოსავლეთ საქართველოში მაზდეიანური სპარსეთის პოლიტიკური ზეგავლენით მოხდა. მაგრამ ძლიერი წარმართული ქვენაკადი ქართველი ერის აზროვნებაში არასოდეს არ დაშრეტილა და ეს მის ზნე-ჩვეულებასაც ეტყობა და მის რწმენასაც. სულ ბოლო დრომდე ქართულ საეკლესიო დღესასწაულებზე საკურთხის მიტანა ხდებოდა მიცვალებულთათვის და მსხვერპლთა შეწირვა ცოცხალთა სადღეგრძელოდ; ზოგიერთი ეკლესია (მაგალითად. სვეტიცხოველი, ზედაზენი, არმაზი, მცხეთის ჯვარი), როგორც ჩანს, წარმართული ტაძრებისა, სამსხვერპლოებისა და ბომონების ადგილას შენდებოდა, რათა ხალხს მეტისმეტად მტკივნეულად არ ეგრძნო ძველი სარწმუნოებიდან ახალზე გადასვლა.

დიდად საგულისხმოა, რომ ქართულმა მხატვრულმა აზროვნებამ აითვისა წარმართული ფალაური ლიტერატურის უდიდესი ძეგლი „ვისრამიანი“ და ბერძნული წარმართული მითოლოგია. დიდად საგულისხმოა აგრეთვე, რომ სპარსულ მაჰმადიანურ ლიტერატურასთან არც ერთი წინააზიელი ქრისტიანი ერის ლიტერატურას არ ჰქონია ისეთი ვიწრო ურთიერთობა, როგორიც ქართულს ჰქონდა.

თუ ქართული წარმართული ლიტერატურის ძეგლები არ

დაგვრჩა, საფიქრებელია, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ ისინი ქრისტიანობამ მოსპო. არამედ იმით, რომ ისინი საზოგადოდ არ არსებულან. ძნელი წარმოსადგენია, რომ მებრძოლ ქრისტიანულ ეკლესიას ყველა წარმართული შინაარსის პაპირუსი და პერგამენტი გაენადგურებინოს; მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ ქრისტიანები აკლდამებში შეჭრილიყვნენ და იქ ყველა წარმართული დროის ქართული წარწერა მოესპოთ, ხოლო ბერძნული, არამეული, ებრაული წარწერები ხელუხლებლად დაეტოვებინოთ.

ქრისტიანობის შემწეობით მოხდა ქართული ენის თვითგამორკვევა. ქრისტიანობამ, როგორც უფრო დემოკრატიულმა რელიგიამ, წარმოშვა მოთხოვნილება ხალხური ენის გამოყენებისა მღვდელთმსახურებისა და ქადაგებისათვის, და გვგონია, რომ ქართული მწერლობის წარმოშობის თარიღი ქართლის მოქცევის დღიდან უნდა ვეძებოთ. ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ უკვე ერთი საუკუნის შემდეგ ეროვნული დამწერლობის შემოღებიდან ქართულ ენაზე ისეთი მაღალხარისხოვანი ლიტერატურული ნაწარმოები შეიქმნა, როგორიცაა „შუშანიკის წამება“: იაკობ ხუცესის წინამორბედნი „ზენდავესტის“ ტექსტებსა და პლატონის დიალოგებს, ალბათ, დედანში კითხულობდნენ.

რატომ მოხდა, რომ იბერიელების უახლოესმა ნათესავებმა, დაახლოებით მათი კულტურული დონის სიმაღლეზე მდგომმა კოლხებმა ვერავითარი დამწერლობა და ლიტერატურა ვერ შექმნეს ვერც წარმართობისა და ვერც ქრისტიანობის ეპოქაში? ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ მათი ეროვნული, თვითგამორკვევა დაგვიანდა, რომ მათ ქრისტიანობა იბერიელებზე უფრო გვიან მიიღეს და ისიც არა ირანულ მაზდეიანობასთან ბრძოლაში, არამედ მაღალკულტუროსანი ბიზანტიელების ზეგავლენით, ხოლო როდესაც ისინი ამ ზეგავლენისაგან ნელ-ნელა განთავისუფლდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს უკვე განვითარებული ქრისტიანული მწერლობა ჰქონდა, და ბაგრატიონების დინასტიამ და მცხეთის კათოლიკოსატმა ის კოლხეთის ჩამომავალ ლაზ-მეგრელებსაც მიაღებინა. ამრიგად, ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ქართველი ერის თვითგამორკვევის და გაერთიანების პროცესის დამთავრებას.

მცხეთის და არმაზის სასაფლაოთა საუკეთესო ეპიტაფიას შეიძლება მარკ ავრელიუსის სიტყვები წარმოადგენდეს: „მოვა დრო, როდესაც შენ ყველას დაივიწყებ და ყველანი, თავიანთი მხრივ, შენ დაგივიწყებენ". შუა საუკუნეებში სამთავროში მონასტერი იყო, იქ, სადაც, გადმოცემის თანახმად, პირველად წმინდა ნინო დასახლდა მაყვლის ბუჩქებით დაბურულ ადგილას. აქ ბერ-მონაზვნებს მიწაში ქვევრები ჩაუდგამთ საზედაშე თუ ძმათა სატრაპეზო ღვინის შესანახად. მაშინ, ალბათ, ფიქრადაც არავის არ მოსვლია, რომ ამ ღვინის ქვევრების ქვეშ სხვა ქვევრები იწვა; მიცვალებულთათვის განკუთვნილნი, რომელთა მდუმარე ბინადართ შეიძლება ერთ დროს ხელში ღვინით სავსე ფიალა ეჭირათ მზის, მთვარისა და ცთომილი ვარსკვლავების შესაქებად ან სამსხვერპლოს აღგზნებულ ცეცხლზე დასასხმელად. ხოლო უკვე ჩვენს დროში ამავე მონასტრის მახლობლად ბროწეულის ხე აღორძინებულია, თავისი ფესვებით სასაფლაოში ღრმად შეჭრილა, და ისინი ძვირფასი სერდოლიკის ყელსაბამის თვლებში გაუყრია, რომელიც შეიძლება ერთ დროს უმშვენიერესი ქალის გულ-მკერდს ამკობდა.

ლეგენდა და სინამდვილე

ცამეტი სირიელი მქადაგებლის საქართველოში მოსვლის და მოღვაწეობის საკითხი ერთ-ერთი ურთულესი და ნაკლებ გარკვეული პრობლემაა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ჩვენი მეცნიერები კამათობენ იმის შესახებაც, მართლა ცამეტი იყო მათი რიცხვი თუ მეტი ან ნაკლები. საიდან მოვიდნენ ისინი, მარტო ანტიოქიიდან თუ ედესიდან და სხვა ქალაქებიდანაც? უცხოელები იყვნენ თუ უცხოეთში აღზრდილი ქართველები? ერთად მოვიდნენ საქართველოში თუ ჯგუფ-ჯგუფად? მონოფიზიტობას აღიარებდნენ თუ დიოფიზიტობას? აუცილებელია მხოლოდ, რომ ისინი იყვნენ, არა მარტო დიდი ქრისტიანი პროპაგანდისტები, არამედ აგრეთვე დიდი ასკეტები

და მათ აღმოსავლეთ საქართველოში მეექვსე საუკუნეში საძირკველი ჩაუყარეს მეუდაბნოებას და სამონასტრო ცხოვრებას. ისინი ქართლ-კახეთში დაბინავდნენ და არა დასავლეთ ან სამხრეთ საქართველოში, ალბათ, იმიტომ, რომ სპარსეთის პოლიტიკური გავლენა და მაზდეანობის იდეოლოგიური შემოტევა აქ უფრო ძლიერი იყო და აქაური ბუნება უკეთეს პირობებს ჰქმნიდა საასკეტო და სამონასტრო მოღვაწეობისათვის.

კორნელი კეკელიძე ამტკიცებს, ასკეტიზმს საქართველოში არ ჰქონია ისეთი მკაცრი ხასიათი, როგორც ბიზანტიაში და სხვა ქვეყნებში ჰქონდა, თვით ისეთი ავტორიტეტის მქონე სამონასტრო მოღვაწე, როგორიც ექვთიმე მთაწმინდელი იყო, თავის წესდებაში ანგარიშს უწევდა ადამიანის ფიზიკურ ბუნებასა და თვით დაყუდებული ან მარტომყოფელი ბერისაგან არ მოითხოვდა, რომ მას რიგორისტულად დაეცვა ლოცვა-ვედრების და საშმელ-სასმელის მიღების ზეადამიანური რეჟიმიო.

როგორც სირიელი მქადაგებლების ცხოვრების აღწერიდან ჩანს, ისინიც დაშორებული ყოფილან უკიდურეს ასკეტიზმს, მათ აზროვნებაში ძლიერი ყოფილა ჰუმანისტური ნაკადი. დავით გარეჯელი განსაკუთრებით კოლორიტულ ფიგურად გვეჩვენება ამ რელიგიურ მოღვაწეთა შორის: როგორც მისი ბიოგრაფია, რომელიც ალაგ-ალაგ სცილდება აგიოგრაფიულ შაბლონს, ისე ლეგენდა, რომელიც ხალხმა მისი პიროვნების გარშემო შექმნა, მას მკვეთრად ანსხვავებს მის თანამოღვაწეთაგან და მის ფიგურას ერთგვარ დრამატულ განათებას აძლევს.

თუ ფრანცისკ ასიზელზე მოგვითხრობენ, მისი სიყვარული ყოველ სულიერ არსებაზე ვრცელდებოდა და ის ფრინველებსაც უქადაგებდაო, დავით გარეჯელი, მისი ბიოგრაფიის მიხედვით, მფარველობს არა მარტო ირმებს და მონადირეების მიერ დამფრთხალ კაკბებს, არამედ თვით ვეშაპსაც, რომელმაც მასაზრდოებელი ფურ-ირმის ნუკრი ჩანთქა. მაგრამ, მგონია, შეცდომა იქნებოდა წარმოვიდგინოთ, რომ ის უნივერსალური მიტევების მორალს აღიარებდა და ყოველ წყენას და შეურაცხყოფას უდრტვინელად იტანდა.

შეიძლება ძალიან ვცდებოდე, მაგრამ მე დავით გარეჯელი

წარმოდგენილი მყავს ხმელ, ძარღვიან, კანგარუჯულ, თვალებანთებულ მამაკაცად, გონებამახვილ და ვნებიან პოლემისტად, კარგად განსწავლულად აღმოსავლეთის რიტორიკულ სკოლებში, ღირსეულ თანამემამულედ წმინდა იოანე ოქროპირისა, რომელიც აგრეთვე ანტიოქელი იყო წარმოშობით. გარდა სირიულისა, ბერძნულისა, ქართულისა, მას, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ჩანს, სომხური ენაც სცოდნია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის კარგად იცნობდა თავისი დროის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურას და საჯარო პაექრობის დროს, ალბათ, მარჯვედ იყენებდა სახელოვანი ქრისტიანი პოლემისტის არისტიდეს აპოლოგიას, რომელიც, სხვათა შორის, ცეცხლის თაყვანისმცემლობის გაბათილებასაც შეიცავდა.

მაშინ, როდესაც სხვა სირიელი მოღვაწეები, მაგალითად, იოანე, შიო, ანტონი, ეზდერიოსი, ზენონი შედარებით უფრო მყუდრო ადგილებში დამკვიდრდნენ, ზედაზენსა, მღვიმესა, მარტყოფსა, იყალთოში, დავითმა ყველაზე მღელვარე და სახიფათო ადგილი აირჩია, თბილისის გარეუბანი, საიდანაც მას შეეძლო თვალყური ედევნებია სატახტო ქალაქის მოგვებისათვის და დიდი საჯარო დისკუსიები გაემართა მათთვის.

ხალხური ლეგენდა მოგვითხრობს, ერთი ასეთი პაექრობის დროს ცეცხლის თაყვანისმცემელმა მოგვებმა ვერ შესძლეს მამა დავითის დამარცხება და სცადეს დამსწრე საზოგადოების თვალში სახელი გაეტეხათ მისთვის: მათ მამა დავითს ერთი ახალგაზრდა ქალის დაორსულება დააბრალესო. ქალი იქვე იმყოფებოდა, წინ წამოდგა და ურცხვად დაემოწმა მოგვებსო.

ადვილი წარმოსადგენია, რა საშინლად გაბრაზდებოდა მამა დავითი. მან თავისი კვერთხი ქალს მუცელზე მიაბჯინა და შესძახა: ქვა შვი, შეჩვენებულო ცილისმწამებელოო. ლეგენდა უმატებს, ახალგაზრდა ქალმა მართლაც ქვა შვა და ამ სასწაულის მოსაგონრად საპაექრო მოედანზე ქრისტიანებმა შემდეგ ქვაშვეთის ეკლესია ააგესო.

ამ სასწაულის მიუხედავად, მამა დავითი, როგორც ეტყობა, თავის თავს მაინც მთლად უდანაშაულოდ არ გრძნობდა საბრალო თბილელი ქალის გაუბედურებაში. ის რაღაც მოუ-

სვენროპას შეუპყრია და მას აღარ უსურვებია თბილისის მახლობლად დარჩენა. თავისი საბედისწერო კვერთხი აუღია, თავისი ერთგული მოწაფე თან გაუყოლებია და გარეკახეთის უდაბნოს გამოქვაბულში დამკვიდრებულა, რათა იქ გარესკას, ე. ი. თვითგვემას შესდგომოდა და ყველა თავისი ნებით და უნებლიე შეცოდებანი მოენანიებია. მაგრამ საბოლოოდ ვერც აქ უპოვნია სულიერი სიმშვიდე: პილიგრიმების ქარავანს შეერთებია და პალესტინაში გამგზავრებულა, მაგრამ იერუსალიმის კარიბჭესთან შეჩერებულა, ვინაიდან თავისი თავი ულირსად უცნია მაცხოვრის მიერ ნაკურთხი ადგილები ეტკეპნა თავისი ცოდვილი ფეხებით.

გამოტეხილად უნდა ვთქვა, რომ პირადად მე დავით გარეჯელის შეცოდება ცოტა უფრო სხვანაირად მაქვს წარმოდგენილი, ვიდრე მისი ცხოვრების ამწერლებს ან ლეგენდის შემქმნელებს ჰქონდათ. ვშიშობ კი, რომ ჩემმა ვარიანტმა გულისწყრომა არ გამოიწვიოს მართლმორწმუნე ადამიანებში და მკრეხელობა არ დამბრალდეს. საქმე ისაა, რომ ჩემი აზრით, ადრინდელი შუა საუკუნეების ღვთისმოსავი ბიოგრაფები დაუფლებული არ იყვნენ არც კრიტიკული და არც სოციალისტური რეალიზმის მეთოდს და სინამდვილეს ვერ არჩევდნენ ფანტასტიკური მოჩვენებისაგან. ისინი არ იცნობდნენ მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებლების ნაწერებს და არც ვოლტერის „ფილოსოფიური ლექსიკონი“ ჰქონდათ წაკითხული, არც მერიმეს „კლარა გაზულის თეატრი“, არც ფლობერის „წმინდა ანტონის ცთუნება“ და არც ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“. ამიტომ გასაკვირალი არაა, რომ მათს და ჩემს ვარიანტებს შორის დიდი განსხვავება აღმოჩნდება.

აი ჩემი ვარიანტი: ქადაგებისა თუ პაექრობის დროს მამა დავითი თავის მსმენელებს შორის თვალს მოჰკრავს ერთ მშვენიერ იბერიელ ქალს, რომელიც აღტაცებით უცქერის მის აღგზნებულ სახესა და ხარბად ნთქავს ყოველივე მის სიტყვას: არასოდეს ამის მსგავსი მას არ გაუგონია. ორატორსა და მის მსმენელს შორის რაღაც უხილავი კონტაქტი მყარდება. დავითის სიტყვა უფრო შთაგონებული, მისი რეპლიკები უფრო გესლიანი ხდება.

ორატორი იცქირება ციხისუბნისაკენ, სადაც ბომონზე

ცეცხლი გიზგიზებს. როგორ შეიძლება ცეცხლის გაღმერთება — გაიძახის ის აღშფოთებით: თუ ცეცხლი ღვთაებაა, უფრო დიდი ღვთაება ყოფილა ადამიანი, რომელიც მას ანთებს და აქრობს თავისი სურვილის მიხედვით.

ქალთა აუდიტორიაზე განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს დავითის ცეცხლოვანი ტემპერამენტი და მისი ვაჟკაცური ლოგიკა. შინ დაბრუნებული ქალიშვილი მოუსვენრობას გრძნობს. დიდად შეშფოთებულია სენაკში დაბრუნებული წმინდანიც.

მაისის ერთ მშვენიერ ხუთშაბათ საღამოს მსუბუქად შემოსილი ახალგაზრდა ქალი, რომლის ტუნიკა ამხელს მისი მკვრივი ნაკვთების მოყვანილობას, მთაწმინდაზე ადის ჩქარის ნაბიჯით, მამა დავითის სადგომში იჭრება კარის დაუკაკუნებლად და მის ფეხთქვეშ ემხობა, რათა მას აღსარება უთხრას და ცოდვათა განტევება სთხოვოს. ამ მძაფრი მოძრაობის დროს მას უნებლიედ გრუზა წაბლისფერი თმა ეშლება. განდეგილში ამ გაშლილი თმის სურნელება სიჭაბუკის დღეების უძლიერეს შთაბეჭდილებებს იწვევს; თითქოს ლიბანის კედრის სურნელებას გრძნობს, თითქოს ოაზისის პალმების შრიალი ესმის. დიდი ასკეტის თეძოებს და გულმკერდს გენიის ალი ედება. ეჩვენება, ეშმაკმა შაბიამანი ჩამისხა ძარღვებშიო. ის დაუყოვნებლივ მახლობლად მოჩუხჩუხე წყაროსკენ გარბის თავპირის გასაგრილებლად. ყოველივე ამაო აღმოჩნდება. როდესაც უკან ბრუნდება, ხედავს, რომ ახალგაზრდა ქალი იმავე პოზაშია დაჩოქილი, მხოლოდ მკერდი გაღღია და დიდად შეძრწუნებული ჩანს. წმინდა მამა ცდილობს მას ნუგეში სცეს, მაგრამ, ეტყობა, სრულიად გამოუცდელი და ხელმარცხია ამ საქმეში. ქალი უმწეოდ ეყრდნობა მის მკერდს და სთხოვს ყური დაუგდოს მის გულისცემას. მღელვარებისა თუ უცოდინარობის გამო მამა დავითი დიდხანს და, რაც მთავარია, შეუიარაღებელი ყურით ეძებს ახალგაზრდა ქალის გულს და ბოლოს რწმუნდება, რომ ნამდვილად ამოვარდნაზეა. აქ მას ავიწყდება არისტოტელების ტრაქტატები, მას ეჩვენება რომ თითქო ჯერ ზეცის მეშვიდე სფეროში აფრინდა, ხოლო შემდეგ იქიდან ჯოჯოხეთის უღრმეს ჯურღმულში ჩავარდა, და

მთაწმინდის პირქუშად დაღარული ფერდობი საღამოს ბინდ-ბუნდში მას სატანის გაშლილ ფრთებად წარმოუდგება.

თავისთავად ცხადია, რომ ეს დემონოლოგიური სურათები სუბიექტური განცდებით იქნებოდა გამოწვეული და მთაწმინდა ამის შემდეგაც მთაწმინდად დარჩებოდა. ყოველ შემთხვევაში ქართველ ხალხს არასოდეს არ უფიქრია, რომ ეს წმინდა ადგილი ოდესმე ზნეობრივად შებღალულიყოს, და სულ ბოლო დრომდე ახალგაზრდა ქალები იქ ხუთშაბათობით ფეხშიშველი ადიოდნენ, რათა მამა დავითისთვის უნაყოფობისაგან განკურნება ეთხოვათ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სამწუხარო ეპიზოდები რელიგიურ მოღვაწეებს სრულიადაც ხელს არ უშლიდნენ წმინდანები გამხდარიყვნენ. როგორც ცნობილია, მარიამ ეგვიპტელი კარგა ხანს ძალიან მხიარულად ცხოვრობდა ალექსანდრიაში, სადაც მის დროს, როგორც დიდ სააღებმიცემო და გონებრივი კულტურის ცენტრში, მრავალი ვაჭარი, მეცნიერი და მეზღვაური იყრიდა თავს, დახარბებულნი მხიარული ქალიშვილების საზოგადოებას. მაგრამ, როგორც ეტყობა, თვით მარიამ ეგვიპტელს მოსწყინდა ბერძენი სოვდაგრების და ალექსანდრიის მუზეუმის თანამშრომლებისა და მნახველების ალერსი და გადასწყვიტა პალესტინაში მიმავალ ხომალდს გაჰყოლოდა, რათა იერუსალიმში ჯვართამაღლების დღესასწაულს დასწრებოდა. მას არც ფული ჰქონდა, არც საგზალი, ამიტომ მეზღვაურებს აღუთქვა, მოგზაურობის დროს არ მოგაწყენთ, თუ უფასოდ წამიყვანთო. ეს დაპირება მან პირნათლად შეასრულა, მაგრამ ჯვარი პატიოსანის დღესასწაულმა მასზე ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, რომ გადასწყვიტა მონათლულიყო და თავისი უწესრიგო ქალიშვილობის ცოდვები მოენანიებია. ხოლო წმინდანის ხარისხი მან ასკეტური ცხოვრებით მოიპოვა იორდანის გაღმა მდებარე უდაბნოში, სადაც ის დიდხანს დარბოდა შიშველი და თმაგაშლილი და კინაღამ ჭკუაზე შეარყია წმინდა ზოსიმე, რომელმაც ბოლოს მაინც გონება მოიკრიფა და მას თავისი წამოსასხამი აჩუქა.

ასეა თუ ისე, ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ იმ გარემოებისა, რომელმაც მამა დავითი გარეჯის უდაბნოში მიიყვანა. ამ უდაბნოში და მის გარშემო აღორძინებულ მონასტრებში,

დოდოს რქაზე, ნათლისმცემელში, ბერთუბანში და სხვაგან. მომდევნო საუკუნეებში ინტენსიური კულტურული მუშაობა გაჩაღდა. რამდენი ადამიანი, სულხან-საბა ორბელიანივით, დროებით ან სამუდამოდ განრიდებია ამქვეყნიურ მღელვარებას და თავი შეუფარებია ამ კლდეებში გამოჭრილი თაღების ჩრდილში! რამდენ მორჩილს აქ სწავლა-განათლების და სულიერი დისციპლინის კურსი გაუვლია! რამდენი წიგნი გადაწერილა ზამთრის გრძელ ღამეებში! რა ანთებული სულის მხატვრებს უმუშავიათ აქ, რათა ეკლესიების კედლები მოძრავი და შთაგონებული ფიგურებით შეემკოთ და, სხვათა შორის, ისტორიული პირების — თამარ მეფის, ლაშა გიორგის, დიმიტრი თავდადებულის პორტრეტებიც დაეხატათ! ბოლოს, რა მონუმენტური გრძნობა უნდა ჰქონოდათ იმ არქიტექტორებს, რომელთაც ეს გასაოცარი ანსამბლები შეუქმნეს.

სხვა წმინდანებიც არღვევდნენ მეექვსე და მეცხრე მცნებას, მაგრამ ამას ყოველთვის საბედისწერო შედეგები არ მოსდევდა.

ებრაელების მეფე დავითი, რომელიც აგრეთვე კარგ მეშურდულედ, ქნარის დამკვრელად, მგალობლად, პოეტად და წინასწარმეტყველად ითვლებოდა, ქალის სილამაზის დიდი თაყვანისმცემელიც იყო. ერთ საღამოს თავისი სასახლის ტერასიდან მან დაინახა ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავის ღია აივანზე აბაზანას ღებულობდა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო მშვენიერი ბერსაბე, გათხოვილი ჰურია ხეთელზე, რომელიც „მეამად ჯარში იმყოფებოდა და სამშობლოს მტერს ებრძოდა. დავით მეფემ სასახლეში მოაყვანინა ბერსაბე და ღამე გაატარა მასთან. ქალი დაორსულდა, რაიც დაუყოვნებლივ აცნობა დავით მეფეს. მეფემ თავის მხედართმთავარს შეუთვალა დროებით იერუსალიმში გამოეგზავნა ბერსაბეს ქმარი, რომელმაც არაფერი იცოდა თავის ოჯახის შერცხვენის შესახებ. ეს იყო ვაჟკაცი მხედარი და, მეფის ბრძანების მიუხედავად, არ ისურვა ღამე თავის ცოლის ლოგინში გაეთია, როდესაც მისი თანამებრძოლები მიწაზე წვებოდნენ სამხედრო ბანაკში: ის სასახლის კარიბჭეში დაწვა მეფის მსახურებთან ერთად. მეორე დღეს დავით მეფემ ჰურია ხეთელი სუფრაზე მიიწვია, დაათრო და მხედართმთავართან დაბეჭდილი წერილი გაა-

ტანა: უბრძანებდა, ამ წერილის მომტანი ისეთ სახიფათო ადგილას დააყენე, რომ მას მტრის ისარი არ ასცდესო. როგორც კი დავით მეფემ გაიგო, რომ საბრალო მხედარი განგმირეს, მისი ყოფილი ცოლი სადიაცოში გადმოაყვანია. მისგან ეყოლა სოლომონ ბრძენი, ღრმააზროვანი იგავებისა და „ქებათა ქების“ ავტორი; სოლომონს აგრეთვე უაღრესად პესიმისტური წიგნის „ეკლესიასტის“ ავტორადაც სთვლიან. როგორც ეტყობა, კაცი შეიძლება უბედნიერესი მეფე იყოს, ეგვიპტის ფარაონის სიძე, დიდებული ტაძრის აშენებელი და უმშვენიერესი ქალების ჰარამხანის პატრონი და მაინც ამბობდეს, სიკვდილის ჟამი სჯობია დაბადების ჟამსო; დიდი ხნის წინათ გარდაცვლილნი უფრო ბედნიერნი არიან, ვიდრე ცოცხალნი, ხოლო ყველაზე ბედნიერი ის არი, ვინც სულ არ დაბადებულაო.

ჩვენთვის, ქართველებისათვის, კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ დავით წინასწარმეტყველს, მგონია, სწორედ იმავე ბერსაბესაგან მეორე ვაჟიც ეყოლა, რომლისაგანაც ჩვენი ნაციონალური გადმოცემის თანახმად ქართველი ბაგრატიონები წარმოსდგნენ.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დავით წინასწარმეტყველი, უეჭველია, თავის საუცხოო სინანულის ფსალმუნებს ვერ შეთხზავდა, თუ თავისუფალი ყოფილიყო ყოველი შეცოდებისაგან. მკითხველს შეიძლება ისიც ახსოვდეს, რომ ჩვენი დავით აღმაშენებელიც, თავისი ბიბლიური წინაპრის მსგავსად, რაღაც შეცოდებას ინანიებს თავის საგალობელში.

ამ ბიბლიური მოთხრობებიდან, რასაკვირველია, ის მორალი არ გამომდინარეობს, რომ მამაკაცებმა თავიანთი მოქიშპეები უნდა დახოცონ, რათა მათს ცოლებს და სატრფოებს დაეუფლონ. მართალია, დიდი სულის ადამიანებს მთელი თავიანთი ცხოვრების ღვაწლით შეუძლიათ გამოისყიდონ თვით უდიდესი დანაშაული, რომელიც მათ ბრმა ვნებათაღელვის კარნახით ჩაუდენიათ, მაგრამ ყველა დამნაშავე მამაკაცი დავით წინასწარმეტყველი არაა და ყველა ქმარგაყრილ დედაკაცს არ შეუძლია სოლომონ ბრძენი და ბაგრატიონის წინაპარი შობოს.

ბოლოს, ავტორი ბოდიშს იხდის სპეციალისტების წინაშე, თუ თეოლოგიის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნა და წმინდანების ბიოგრაფიების გადმოცემაში შეცდომები დაუშვა.

არ ვიცი, რამდენად სწორია აფხაზების მტკიცება, ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი სახელწოდება აბსნი სულის ქვეყანას ნიშნავს, ხოლო აბსუა — სულის ხალხსო; უცილობელია მხოლოდ, რომ აფხაზეთის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები ხელს უწყობდა იქ თავისებური კულტურა განვითარებულიყო. იგი პირმიბრუნებული იყო ევქსინის ზღვისკენ, რომელიც სრულიადაც ისეთი არასტუმართმოყვარე არ იყო, როგორც მისი დღევანდელი სახელწოდების მიხედვით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, და რომლის ტალღებს ანტიკურ ეპოქაში ფინიკიელების და ბერძნების, ხოლო შუა საუკუნეებში გენუელების და ვენეციელების ხომალდები სერავდნენ. ზურგით აფხაზეთი მიბჯენილი იყო კავკასიონის ქედის მაღალ კედელს, რომელიც მას იცავდა ცივი ჩრდილოეთის ქარებისა და ველური ნომადებისაგან. ვიწრო გაგრის ყელი სრულიად ადვილი დასაცავი იყო. აღმოსავლეთით კი აფხაზეთის ეთნიკურად და კულტურულად მახლობელი ტომები მეზობლობდნენ.

ეს ნაზი ჰავა და ნაყოფიერი ნიადაგი, სადაც ურთხელის და კაკლის ხეების გვერდით ადვილად ხარობს ზეთისხილი, ლეღვი და ბროწეული და სადაც დაფნა და სურო ათასწლოვან ნანგრევებს და სასაფლაოებს ჰფარავს, მოსახლეობას ათავისუფლებდა გადაჭარბებული, ღონისგამომცლელი შრომისაგან და ხელს უწყობდა, რომ მასში სტუმართმოყვარეობის, ქალების და მოხუცების პატივისცემის, ჭირის და ლხინის თანაზიარობის სული განვითარებულიყო.

ისტორიაც აფხაზეთს ხელს უწყობდა, რომ მისი კულტურული განვითარება თავისებური გზით წარმართულიყო. გავიხსენოთ ზოგიერთი მეტნაკლებად ცნობილი ფაქტი. ჯერ კიდევ მეექვსე-მეხუთე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე მცირეაზიელმა ბერძნებმა თავიანთი ახალშენებით შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები დაჰფარეს. ბერძნულმა კოლონიზაციამ, საერთოდ, კეთილისმყოფელი კულტურული გავლენა მოახდინა აბაზგების და კოლხების მოსახლეობაზე. ნაწილობრივ ამ გავლენით უნდა აიხსნებოდეს, რომ ელინური მითოლოგიური

წარმოდგენანი დღემდე ცოცხალი არიან მეგრულ და აფხაზურ ფოლკლორში; ნაწილობრივ ამითვე აიხსნება, რომ როგორც ძველ კოლხებსა და აბაზგებს, ისე თანამედროვე მეგრელებს და აფხაზებს თავისუფლების სიყვარული და ცნობისმოყვარეობა ახასიათებს, რომ მათი ბუნებრივი პლასტიკური ნიჭი ადვილად გამოვლინდა მათ არქიტექტურულ ძეგლებში, ხოლო დღეს მათ გარეგნობასა და მიხრა-მოხრაში ვლინდება. ბოლოს, ნაწილობრივ ამ გავლენით უნდა აიხსნებოდეს მათი ყოფაცხოვრების კლასიკური უბრალოება. ანტიკურ ეპოქაში ცნობილი კულტურული და ეკონომიური ცენტრების — ტრაქეის და დიოსკურიის, ფასიდის და არქეოპოლისის მოქალაქეების სული დღემდე არ მომკვდარა აფხაზეთსა და სამეგრელოში.

რომის და ბიზანტიის ეპოქაში აფხაზეთი და კოლხეთი, ანუ ეგრისი, ხშირად დიდი საერთაშორისო შეჯახების ასპარეზს წარმოადგენდნენ: აქ იმართებოდა სისხლისმღვრელი ომები რომის რესპუბლიკის და პონტის სამეფოსა, ბიზანტიის იმპერიასა და ერანს შორის. მაგრამ რადგან ეს ქვეყნები დიდი ხმელთაშუა ზღვის კულტურის სფეროში რჩებოდნენ, ისინი განვითარებული აღებმიცემობის და სულიერ ღირებულებათა გაცვლა-გამოცვლის შემწეობით ადვილად იშუშებდნენ უცხოელი არმიების მიერ დაჭდობილ იარებს. ამას გარდა თავიანთი ხელმძღვანელობის შორსმჭვრეტელი და მოქნილი პოლიტიკის წყალობით ისინი თავიდან იცილებდნენ ნაციონალურ კატასტროფას.

როგორც ცნობილია, ეგრისელებმა და აფხაზებმა დაახლოებით ორი საუკუნით უფრო გვიან მიიღეს ქრისტიანობა, ვიდრე იბერიელებმა. მაშინ როდესაც იბერიის გაქრისტიანებამ გარდაუვალი წინააღმდეგობა შექმნა მასა და მეზობელ ცეცხლთაყვანისმცემელ ერანს შორის, ეგრისელების და აფხაზების გაქრისტიანებამ ისინი კიდევ უფრო დაუახლოვა ბიზანტიის იმპერიას, რომელსაც უაღრესად განვითარებული საერო- და საეკლესიო ლიტერატურა ჰქონდა. კულტურული და კომერციული ურთიერთობისათვის ქრისტიან ეგრისელებს და და აფხაზებს ისევე სჭირდება ბასილი დიდის და იოანე ოქროპირის ენა, როგორც მათს წარმართ წინაპრებს ჰომეროსის

და პლატონის ენა სჭირდებოდათ. ამ გარემოებამ შეაფერხა მათი დამწერლობის და ლიტერატურის წარმოშობა. როდესაც აფხაზეთი და ეგრისი ბიზანტიის პოლიტიკური მეურვეობისაგან განთავისუფლდნენ. იბერიელებს უკვე განვითარებული ქრისტიანული მწერლობა ჰქონდათ და ქართულმა ენამ ჯერ სახელმწიფოებრივი დაწესებულებიდან, ხოლო შემდეგ ეკლესიიდან თანდათან განდევნა ბერძნული ენა.

მაგრამ ბიზანტიის გავლენას არ შეეძლო ხელი შეეშალა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების და მხატვრობის განვითარებისათვის აფხაზეთსა და ეგრისში, სადაც ბიჭვინთის, მოქვის, ბედიის, ჭყონდიდის და სხვა ტაძრების სახით შეუდარებელი შედევრები დაგვრჩა. თუ რა აღტაცებას იწვევდნენ ეს ძეგლები ხელოვნების მცოდნე უცხოელებში, შვეიცარიელი არქეოლოგის დიუბუა დე მონპერეს სიტყვებში ჩანს: მან ბიჭვინთის ტაძარი მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში ინახულა, „ჩვენ შევედით იმ დანგრეული ოთხკუთხედი გალავნის კარიბჭეში და აღმოვჩნდით ყველაზე გრანდიოზული და მხატვრული ნანგრევების წინაშე, როგორიც ოდესმე მინახავს. ჩემთვის წინათაც აღტაცებით უამბნიათ ამ შენობის შესახებ, მაგრამ სინამდვილემ ყოველ მოლოდინს გადააჭარბა; ეს კეთილშობილი და თამამი სტილი გაკვირვებას იწვევს აფხაზეთის პირველყოფილი ბუნების წიაღში“.

აფხაზეთის მეორე შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლი — ბედიის ტაძარი ბაგრატ III დროსაა აგებული; ეს მეფე აფხაზი იყო დედით და ქართველი მამით; განსაკუთრებით მან ჩაუყარა საძირკველი გაერთიანებული აფხაზეთ-საქართველოს ფეოდალურ მონარქიის ძლიერებას, და მას ეკუთვნის ძველი ქართველი ისტორიკოსის სიტყვები: „ვისაც გენებოს განიცადო სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ“. მაგრამ ამ ეპოქაში მარტო ტაძრები როდი შენდებოდა, ქართული საინჟინრო ხელოვნების საუცხოო ძეგლს წარმოადგენს. მაგალითად, ბესლეთის ხიდი სოხუმის მახლობლად, რომლის ქართული წარწერა მოწმობს, რომ იბერიული კულტურის ზეგავლენა მე-X—XI საუკუნეებში აქ მარტოოდენ საეკლესიო ენის სფეროთი არ განისაზღვრებოდა.

თუმცა მურვან ყრუს მეთაურობით შემოსულმა არაბებმა

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ეგრისი და აფხაზეთამდე მიაღწიეს და მათი მთავარი ქალაქები ციხე-გოჯი და ცხუმი აიღეს, მაგრამ იქ დიდი ხნით ფეხი ვერ მოიკიდეს და, საერთოდ, აფხაზეთი „კრძალულ იყო შიშისაგან სარკინოზთაისა". ამიტომ დასავლეთი საქართველო და აფხაზეთი, ისევე როგორც ტაოკლარჯეთი, არაბების შემოსევის დროს თავშესაფარად იქცა ქართლელი ემიგრანტებისათვის, რამაც ხელი შეუწყო არა მარტო მათი ეთნიური შემადგენლობის შეცვლას, არამედ მთლიანი საქართველოს შეგნების შეტანას მათს მოსახლეობაში; და საქართველოს გაერთიანება, თბილისის საემიროს გარემოცვა, რაიცა მისი სრული განადგურებით დასრულდა, სწორედ აფხაზეთ-იმერეთიდან და ტაოკლარჯეთიდან დაიწყო. ამას, სხვათა შორის, ხელი შეუწყო აფხაზეთის მეფეების ენერგიულმა და შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამაც: ჯერ კიდევ VIII საუკუნის დასასრულს ლეონ II ხარაზების დახმარებით განთავისუფლდა ბიზანტიის იმპერატორების სუვერენიტეტისაგან და თავისი რეზიდენცია გაქართველებული პროვინციის ცენტრში ქუთაისში გადაიტანა. ხოლო შემდეგ საქართველოს გაერთიანების საქმისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ტაოკლარჯელი ბაგრატიონების დამოყვრებას აფხაზეთის დინასტიასთან.

საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში აფხაზეთი ერთ-ერთ მდიდარ, მჭიდროდ დასახლებულ კეთილმოწყობილ პროვინციას წარმოადგენდა. აფხაზეთის კეთილდღეობას შუა საუკუნეებში, იმ პერიოდში, რომელიც არაბების შემოსევას მონგოლების შემოსევისგან ჰყოფს, მისი მატერიალური კულტურის ნაშთებიც მოწმობს, ისტორიული ქრონიკებიც და უცხოელთა წყაროებიც. როდესაც, მაგალითად, გამოჩენილი ერანელი პოეტი ხაკანი, რომელიც მუდამ ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა და ვერსად მოსვენებას ვერ პოულობდა, ამბობდა „ამ ხუჭუჭთმიანი, სახენათელი ქალის გულისთვის აფხაზეთის მცხოვრები გავხდი და ქართულად დავიწყე ლაპარაკი", ეს იმას ნიშნავს, რომ უკვე მეთორმეტე საუკუნეში ქართული ენა მთელი საქართველოს ტერიტორიაზე იყო გავრცელებული.

მწუხრი, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთისთვის მონგოლების შემოსევის შემდეგ დაიწყო, კიდევ უფრო ბნე-

ლი გახდა ბიზანტიის იმპერიის დამხობისა და თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ. დიდი საქარავნო საზღვაო გზები გადაიჭრა. ციხე-დარბაზები დაცარიელდა და სუროთი და ხავსით შეიმოსა, ხიდები ჩაშვავდა, გზები მოლით დაიფარა. ოქროს ვერძის ლეგენდარულ ქვეყანას, რომელიც ანტიკურ ეპოქასა და შუა საუკუნეებში საბერძნეთის, ბიზანტიის და გენუის სავაჭრო ხომალდებს თავისი მიწათმოქმედების და ხელოსნობის პროდუქტებით უხვად ამარაგებდა, თითქმის აღარაფერი დარჩა უცხოეთის ბაზარზე გასაზიდი, გარდა ჯანსაღი ჭაბუკებისა ოსმალეთის ენგიჩართა რაზმების შესავსებად და ლამაზი ქალიშვილებისა ოსმალეთის ჰარამხანების დასამშვენებლად.

საჭირო არ უნდა იყოს მეცხრამეტე საუკუნის საყოველთაოდ ცნობილ ამბებზე დიდხანს შეჩერება. აფხაზეთის შემოერთება რუსეთის იმპერიის მიერ ჯერ კიდევ 1810 წლიდან დაიწყო. ამის შემდეგ ამ ქვეყანამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში კიდევ შეინარჩუნა მოჩვენებითი ავტონომია. ავტონომიის მოსპობას და მთავრის გადასახლებას აფხაზებმა აჯანყებით გასცეს პასუხი. ყველაზე დიდი აჯანყება აფხაზეთში 1877 წელს მოხდა; მას მოჰყვა მოსახლეობის მასობრივი აყრა და ოსმალეთში გადასახლება. ამ დიდი ემიგრაციის დროს აფხაზეთმა თავისი მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი დაჰკარგა. გადასახლებულთა ადგილ-მამული უცხოელმა ახალშენებმა დაიჭირეს. აფხაზეთის ძირეული ტერიტორია ეთნიურად აჭრელდა.

ამ იმპერიალისტური ძალმომრეობის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველმა და აფხაზმა ინტელიგენტებმა, აკაკი წერეთელმა, გიორგი შერვაშიძემ და სხვებმა, რომელთაც ხელი შეუწყვეს მეგობრობის და კულტურული კავშირის ტრადიციის აღდგენას ამ ორ მონათესავე ერს შორის.

* * *

გიორგი შერვაშიძე იყო მემკვიდრე აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილისა. დედამისი ძველებურად განათლებული ქალი იყო. მან შეასწავლა თავის ვაჟს ქართული წერა-კითხვა და

ჩაგონა სიყვარული საქართველოსა, მისი კულტურისა და ლიტერატურისადმი, გიორგი შერვაშიძე 18 წლის ჭაბუკი იყო, როდესაც რუსეთის მეფის ადმინისტრაციამ მამამისი დაატუსაღა. ამ ფაქტმა ღრმა წთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ის სიკვდილამდე რუსეთის მეფის რეჟიმის შეურიგებელ მტრად დარჩა.

1866 წელს აფხაზეთში აჯანყება მოხდა. მთავრობამ ეს აჯანყება ჩააქრო, მეთაურები დახვრიტა, ხოლო გიორგი შერვაშიძე, როგორც ერთ-ერთი მონაწილე, შიდა რუსეთში გადაასახლა. ცოტა ხნის შემდეგ მას დანაშაული ეპატივა, მიწვეულ იქნა პეტერბურგის სასახლეში და მეფის ამალაში დაინიშნა ფლიგელადიუტანტის ხარისხით. არისტოკრატიული წარმოშობა, საუცხოო გარეგნობა, ფართო ევროპული განათლება მას წინ სახარბიელო სარბიელს უხსნიდა. მან რომანოვების კარისკაცობას თავისი ჩაგრული სამშობლოს მოქალაქეობა ამჯობნა: ის საქართველოში დაბრუნდა და, რადგან აფხაზეთში ცხოვრება აუკძალეს, ქუთაისში დასახლდა; აქ საუკეთესო ქართველი ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, მეგობრობდა აკაკი წერეთელს; მამია გურიელს და სხვებს ხანდახან მალულად უბრალო ჩოხაში გამოწყობილი, აფხაზეთში მოგზაურობდა, რომლის სიყვარული მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინურჩუნა, ისე კი რომ არასოდეს არ განელებია მეორე დიდი გულისთქმა — სიყვარული საქართველოსადმი.

მისი პოეტური მემკვიდრეობა, რაოდენობის თვალსაზრისით, არ არი დიდი, მაგრამ ის მოწმობს მისი განცდების გულწრფელობას და უშუალობას. როგორც ეტყობა, ის დიდ მნიშვნელობას არ აძლევდა თავის პოეტურ ცდებს და, ორიოდე ლექსის გამოკლებით თავის სიცოცხლეში არაფერი დაუბეჭდავს. როგორც პოეტს მას მხოლოდ მისი მეგობრების ვიწრო წრე იცნობდა ხელნაწერების შემწეობით. მისი ლირიკული მემკვიდრეობა საზოგადოებას პირველად აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ გააცნო თავის პატარა მონოგრაფიაში. რაც შეეხება გიორგი შერვაშიძის დრამატულ ნაწერებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული დრამა „გიორგი მესამეა“, ისინი წინათ იდგმებოდნენ თბილისის და ქუთაისის სცენაზე.

. ერთს თავის სახუმარო პოეტურ ეპისტოლეში გიორგი შერ-

ვაშიძე თავის თავს აკაკი წერეთლის შეგირდს უწოდებს. ის აკაკისთან მართლაც ახლო დგას თავისი ლექსის ფორმის უბრალოებით, გამჭვირვალობით და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით. აკაკი წერეთლის მსგავსად მასაც ახასიათებს უიმედობიდან მხნე განწყობილებაზე გადასვლა. ზოგიერთ მის ლექსს ვაჟა ფშაველას იდეური გავლენა ეტყობა („ლომი", „ფშაურ ხმაზედ"). საინტერესოა ეს შესიტყვება პატრიოტულად მოაზროვნე აფხაზისა პატრიოტულად მოაზროვნე ფშაველთან.

ვიცი, ძმაო, ვიცი, მანდა ხარ
სევდით მოცული სახითა:
ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ
ვითა ყაყაბი მახითა...
გვერდით გიყრია ქანგული
ყირიმი, ფარი, ხმალია,
ვერცა გაჰფერავ, ვერც იხმარ,
მტერმან აგიბა თვალია,
აგერ მერანიც ჭიხვინებს,
ლამის მოახტეს მხედარი,
მხედარი, შენებრ ვაჟია,
ბარქვი, მეორე სად არი?

ერთს გამოუქვეყნებელ. ლექსში („ჩემი ჩანგი"), სადაც პოეტი ამბობს, ჩემს ჩანგს იმას ვერ დავმღერ, რაც კერძოდ მე შემეხება, მისი სიმები მხოლოდ მაშინ დაიკვნესებენ, როცა ჩემს ყურს ჩაგრული ხალხის მწუხარების ხმა მოესმისო, გადმოცემულია იდეური ტენდენცია, დამახასიათებელი მთელი მეცხრამეტე საუკუნის ქართული დემოკრატიული ლიტერატურისათვის. საუკეთესოდ გიორგი შერვაშიძის ლირიკულ ლექსებში მისი „ვარადა" უნდა ჩაითვალოს, სადაც ხალხური სიმღერის ფორმა პატრიოტული გრძნობის გამოსახატავადაა გამოყენებული.

პერიოდულ გამოცემებში გიორგი შერვაშიძე უფრო ხშირად პუბლიცისტური ხასიათის წერილებს აქვეყნებდა, ის იცავდა ქართული ლიტერატურული ენის სისუფთავეს და ილაშქრებდა უცხო ტერმინების გადაჭარბებით და უადგილოდ ხმარების წინააღმდეგ. დიდად საინტერესოა ერთი მისი წერილი, სადაც ის ამტკიცებს, შოთა რუსთაველის ტრადიცი-

ული პორტრეტი ისეა შექმნილი, რომ სრულიად არ შეეფერება ნაციონალური სტილის გრძნობას და, თუ ქართველი ერი არ გადაშენდა, ამ სურათს ჩვენი მომავალი თაობები უმწიფარი გონების ნაყოფად ჩათვლიანო.

თავის უკანასკნელ პუბლიცისტურ წერილში გიორგი შერვაშიძემ იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის დიდი რევოლუცია მის სამშობლოს თავისუფლებას მოუპოვებდა: „იმ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწული ხალხისა ხელგულდაკრეფილი იდგა საფლავებზე, დღეს უეცრად, გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა. დაჭრა საქართველომ ნაღარა“.

გიორგი შერვაშიძე სოხუმში გარდაიცვალა 1918 წლის 19 თებერვალს, დასაფლავებულ იქნა მოქვში, საგვარეულო აკლდამაში.

როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შერვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა, და ის დედაც ,რომელმაც თავისი რძით გამოჰკვება, მას მათთვის არ უღალატია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა.

თამარ მეფის და შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის

როცა ადამიანი შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემებზე ფიქრობს, შეუძლებელია ის ერთმა გარემოებამ არ გააოცოს. უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე არ დარჩენილა არც ერთი მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი ქართველი მწერალი, რომელიც ასე თუ ისე არ შეხებოდეს რუსთაველსა და მის პოემას, ან თავისი სიყვარული და მოკრძალება არ გამოეთქვას მის მიმართ, როგორც ამას ქართველ მწერალთა დიდი უმრავლესობა შვრება, ან სიძულვილით და ათვალისწუნებით არ ელაპარაკოს მასზე ტიმოთე გაბაშვილსა

და ანტონ კათალიკოსივით. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის მწერლები ხანდახან დიალოგებსაც კი მართავენ მასთან ლიტერატურის აქტუალურ საკითხებზე, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს. მაგრამ გადაიკითხეთ მისი თანამედროვე ან უშუალოდ მომდევნო ისტორიკოსების ნაწერები, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის ქრონიკები, ჟამთააღმწერლის მატიანე, თქვენ იქ ერთ ლიტონ სიტყვასაც ვერ იპოვით შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. მართალია, როცა, მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსი ამბობს, „ერთბაშად მოვიდეს ლომი და ხარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა“, ეს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სტრიქონებს მოგვაგონებს: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“. მაგრამ ეს არ არის ციტატი: აქ არც რუსთაველია მოხსენებული და არც მისი პოემა. ამავე დროს მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის ქართველი ისტორიკოსები შოთა რუსთაველზე ბევრად ნაკლებ მნიშვნელოვან მწერლებს ასახელებენ: მაგალითად, თამარ მეფის მემატიანე, დიდად განათლებული, მაგრამ ჩვენი დღევანდელი შეხედულებით ერთფეროვანი და მაღალფარდოვანი, იოანე შავთელის შესახებ ამბობს: „იოანე კაცი შავთელი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღვაწეებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“. იმავე მემატიანის ცნობით შავთელი თამარ მეფესთან ერთად ოძრხეში (ახლანდელ აბასთუმანში) დარჩა ბოლოსტიკეს ომის დროს, მათ აქ გაიგეს ამ ომის შედეგი. ჟამთააღმწერელი სარგის თმოგველს, რომელსაც ჩვენ უფრო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ვიცნობთ, ვიდრე მწერლობით, უწოდებს „კაცს სწავლულს და ფილოსოფოსს და მრავალ ღონეს“.

ეს, პირველი შეხედვით, უცნაური გარემოება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რითაც საზოგადოდ აიხსნა დიდი ადამიანების უგულებელყოფა მისი თანამედროვე გონებაშეზღუდული კონსერვატიული ელემენტების მიერ. ამ მხრივ რუსთაველის ბედი არაფერს შეიცავს არაჩვეულებრივს: ის ინაწილებს დანტეს, შექსპირის, რემბრანდტის და სხვა მრავალთა ბედს.

მაგრამ რუსთაველის მოუხსენებლობა შავთელის, ჩახრუხაძის, სარგის თმოგველის და სხვების გვერდით შეიძლება

თვით მის მიერ გამოწვეული ცთომილებით აიხსნებოდეს. ცნობილია, რომ ამა თუ იმ გამოჩენილი მოღვაწეების დაფასებაში ხშირად მარტო მათი თანამედროვეები როდი სცდებიან: ხშირად ხდება, რომ ესა თუ ის მოღვაწე თვითვე უმართებულოდ აფასებს თავის შემოქმედებითს მუშაობას. მაგალითად, ბოკაჩიო სიბერეში უფრო დიდათ აფასებდა თავის კომენტარებს დანტეს „ღვთაებრივი კომედიისადმი“ და თავის „სახელოვან მამაკაცთა და დედაკაცთა ბიოგრაფიებს“, ვიდრე თავის „დეკამერონს“. სულხან-საბა ორბელიანი განსაკუთრებული მოკრძალებით მუშაობდა თავის „კატეხიზმოსა“, „სამოთხის კარსა“ და „ბიბლიის სიმფონიაზე“. მას შეიძლება ისიც კი ეგონა, რომ ეს ნაწარმოებნი უფრო დიდხანს გაძლებდნენ, ვიდრე მისი შესანიშნავი ლექსიკონი, ან მისი ღრმაზროვანი „სიბრძნე სიცრუისა“. ფრანგი მწერალი აბატ პრევო თავის ბ'მვენიერ რომანს „მანონ ლესკოს“ თავისშესაქცევ სათამაშოდ სთვლიდა; ის ოცნებობდა მთელი თავისი ძალ-ღონე ისტორიული კვლევა-ძიებისათვის შეეწირა. თუ მათი თანამედროვეები ნაწილობრივ შეიძლება ეთანხმებოდნენ ბოკაჩიოს, სულხან-საბა ორბელიანის ან აბატ პრევოს თვითდაფასებას, ეს აღარ შეიძლება ითქვას ჩვენ დღევანდელ თაობაზე: ჩვენ დღეს დავიწყებული გვაქვს ამ მწერლების თეოლოგიური და სქოლასტიკურ-მეცნიერული ძიებანი, მათი მხატვრული შედევრები კი დღესაც გვხიბლავენ.

ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ მიუხედავად თავისი პოეტური შემოქმედების ღრმა ორიგინალობისა, ან შეიძლება სწორედ ამ არაჩვეულებრივი სიღრმისა და ორიგინალობის გამო, შოთა რუსთაველი როგორც პოეტი, ღირსეულად დაფასებულ არ იქნა მისი თანამედროვეების მიერ; შეიძლება, რომ უცნაური ცთომილების წყალობით არც საკუთარ თვალში, არც თავისი თანამედროვეების თვალში ის აგრე რიგად არ ფასობდა, როგორც მხატვარი მწერალი და მისი რომელიმე ამჟამად დაკარგული ან დავიწყებული ასტრონომიული ან ფილოსოფიური ტრაქტატი უფრო მნიშვნელოვან ნაწარმოებად ითვლებოდა, ვიდრე მისი რომანტიკული პოემა.

ბოლოს ისიც შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწედ ით-

ველებოდა. შეიძლება მისმა თანამედროვე ისტორიკოსებმა და ქრონიკერებმა უფრო დეტალური ცნობებიც კი დასტოვეს მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ ეს ბიოგრაფიული და ისტორიული ლიტერატურული ცნობები დაიკარგა იმ საშინელი კატასტროფის დროს, რომელიც საქართველოს კულტურას ეწვია მეცამეტე და მეთოთხმეტე საუკუნეში, მონღოლების, ჯალალ-ედინის და თემურ ლენგის შემოსევის დროს. ამაში არაფერია მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ, რომ იმ კატასტროფამ ჩანთქა ბევრი ქართული კლასიკური ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ნაწარმოები, ბევრი ისტორიული და მეცნიერული შრომა, ბევრი არქიტექტურული ძეგლი, განსაკუთრებით საერო ხასიათისა. მარტო თბილისი ჯალალ-ედინის ჯარებმა ორჯერ, ხოლო თემურ ლენგის ჯარებმა შვიდჯერ აიღეს და დაანგრიეს. რა გასაკვირველია, რომ ამის შემდეგ არ გადარჩენილიყოს შოთას ბიოგრაფია, როცა არ გადარჩა და ჩვენამდე ვერ მოაღწია ისეთი დიდი ისტორიული პირის ქრონიკამ, როგორიც იყო მეფე გიორგი ბრწყინვალე, მსხვილი ქართველი ფეოდალების შემმუსვრელი და მონღოლების დამამარცხებელი?

ჩვენ დღეს, რასაკვირველია, სრულიად დაშორებული ვართ იმ აზრს, რომ შოთა რუსთაველის მოღვაწეობაში რაიმე მხარე მის პოეტურ შემოქმედებაზე მაღლა დავაყენოთ; მაგრამ რადგან მის ნამდვილ პორტრეტს ჩვენამდე არ მოუღწევია, ისევე როგორც არ მოუღწევია არც მისი პოემის ავტოგრაფს, და მისი ფიზიკური გარეგნობის წარმოდგენა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნაციონალური სტილის გრძნობასა და ძველი ქართული მხატვრობის ძეგლების ცოდნაზეა დამოკიდებული, მე ჩემს თავს ნებას მივცემ ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება გამოვთქვა შოთა რუსთაველის ამჟამად მიღებული იკონოგრაფიული სახის შესახებ.

ის პორტრეტი, რომელიც დღეს შოთა რუსთაველის გამოხატულებადაა აღიარებული, ნამდვილად მომდინარეობს უცნობი მხატვრის მინიატურიდან. რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია დახატული და „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ იმდროინდელ ხელნაწერს ამკობდა. მეჩვიდმეტე საუკუნეში კი საქართველო ირანის ვასალური სახელმწიფო გახდა, თბილისში ტახ-

ტზე გამაჰმადიანებული ბაგრატიონები ისხდნენ. მთელი ქართული კულტურა, ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება. მხატვრული მწვრილობა, მუსიკა, ფერწერა ირანის კულტურის ზეგავლენას დაექვემდებარა. ამ გავლენას მხატვრულ შემოქმედებაში ვერ გაექცა ისეთი ანტიირანული პოლიტიკური ორიენტაციის მოღვაწეც კი, როგორც თეიმურაზ პირველი იყო. ის ირანელებს დაუნდობლად ებრძოდა, როგორც საჭელმწიფოს მეთაური, მაგრამ მათი ეპიური და ლირიკული პოეზიის გავლენას ემორჩილებოდა როგორც პოეტი.

განსაკუთრებით ძლიერი აღმოჩნდა ირანული ფერწერის და მინიატურული მხატვრობის გავლენა ქართულ მხატვრობაზე. ჩვენმა მხატვრებმა დაჰკარგეს კეთილშობილი და მკაცრი ქართული მხატვრული სტილის გრძნობა. კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის" ზოგიერთი ხელნაწერი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეშია შესრულებული, შემკულია პირტიტველი, ქალუბად ნაზი ჭაბუკებით, რომელნიც ვითომდა ტარიელსა, ავთანდილსა და ფრიდონს წარმოადგენენ; მათ სდგ ერთვის ფეხმორთხმული ჭრელხალათიანი მოხუცების სურათები. რომელნიც ვითომდა ფარსადან ან როსტევან მეფეს გაგოჰხატავენ. როგორც ირანული მხატვრული სტილის ნიმუშები, ეს მინიატურები თავისთავად არაა ცუდი, მაგრამ მათ არავითარი კავშირი არა აქვთ კლასიკური ქართული ფრესკის და მინიატურების ტრადიციასთან და უფრო ნიზამის პოემების დასასურათებლად გამოდგებოდნენ, ვიდრე „ვეფხისტყაოსნისა".

ჩვენ არას ვამბობთ ზოგიერთი ხელნაწერის (ავალიშვილისეულის, ზაზასეულის) საუცხოო აშიის შესახებ, რომელიც დეკორაციული ხელოვნების შედევრს წარმოადგენს, მაგრამ უშუალოდ დაკავშირებული არაა თვით „ვეფხისტყაოსნის" ტექსტთან. „ვეფხისტყაოსნის" ახალმა ილუსტრატორებმა, ჯერ უნგრელმა მხატვარმა ზიჩიმ, ხოლო შემდეგ ახალგაზრდა ქართველმა მხატვრებმა: სერგო ქობულაძემ, ირაკლი თოიძემ. თამარ აბაკელიამ და სხვებმა სრულიად მართებულად უარჰყვეს ეს ირანული ტენდენცია და სცადეს პოეტის ტექსტის შესაფერი მხატვრული სამკაული მოეცათ. ეს ცდა ღირსია მისალმებისა და წაქეზებისა; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ჯერჯერობით ძიების პროცესში იმყოფება, და დღემდე

ჩვენ არ გვაქვს შოთა რუსთაველის პოემის კონგენიალური ილუსტრაცია.

უკეთეს მდგომარეობაში არ არის თვით შოთა რუსთაველის სკულპტურული და მხატვრული პორტრეტის საქმე. ის, რასაც ზოგიერთი ქართველი მოქანდაკე და მხატვარი შოთა რუსთაველის პორტრეტად ასაღებს, ბიზანტიური ფრესკოს და ირანული მინიატურის არაბუნებრივი შეუღლების ნაყოფს წარმოადგენს.

ჩვენმა ძველმა მხატვრებმა, ფრესკის და მინიატურის ოსტატებმა საუცხოო ინდივიდუალური გამოხატულებანი დაგვიტოვეს ჩვენი ისტორიის კლასიკური ეპოქიდან. შედით საქართველოს მუზეუმის დარბაზებში, სადაც რუსთაველის იუბილეასთან დაკავშირებით დიდად საყურადღებო გამოფენაა მოწყობილი. და თქვენ ნახავთ იმ ადამიანების პორტრეტულ გამოხატულებათ. რომელთა შორის, ალბათ, შოთა რუსთაველი ტრიალებდა. ეს კარისკაცები. დარბაისლები და პროვინციის მმართველები ანუ „საქვეყნოდ გამრიგენი", რომელნიც იქ არიან გამოხატულნი, ეს პირქუშად ან სერიოზულად გამოყურე. მდიდრულად ჩაცმული დიდებულები, ეს ჩორჩანელები, ხერციძეები, სამცხის ათაბაგები და რაჭის ერისთავები, შეიძლება სიცოცხლეში პირადად იცნობდნენ შოთა რუსთაველს, როგორც თანამოლაშქრეს და თანაგამრიგეს; ისინი ალბათ გაოცდებოდნენ, ჩვენ რომ მათთვის ჩვენი ფანტაზიის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველი წარმოგვედგინა. თანამედროვე ქართველი მოქანდაკეების და მხატვრების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შექმნან შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც თავისი გამომეტყველებით, მოძრაობით, ჩაცმა-დახურვით შეეფერებოდეს ამ მეთორმეტე საუკუნის ფეოდალურ საზოგადოებას.

ძველ ქართველ მხატვრებს ტექნიკურ ოსტატობასთან ერთად დიდი რეალისტური ალღოც ჰქონდათ; ამას გარდა სირიული და ბიზანტიური სკოლების მეშვეობით ისინი კლასიკური ბერძნულ-რომაული და ელინისტური მხატვრობის ტრადიციებთან იყვნენ დაკავშირებული. შეხედეთ, როგორ მიუფერებლად ხატავენ ისინი მაგალითად პირხმელ მამაკაცს, თამარ მეფის მამას, გიორგი მესამეს, ამ მაკიაველის იდეალურ

პრინცს ,რომელმაც თავის ბუნებაში გააერთიანა ლომის ძლიერება მელიის ცბიერებასთან. თუმცა ვარძიის და ბეთანიის კედლებზე ის საკურთხევლისაკენ ხელგაშვერილი დგას, მაგრამ ეს არაფერს ამბობს მისი ხასიათის შესახებ: როგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში ღვთისმოსავობა ადამიანს ხელს არ უშლიდა, თვალები დაეთხარა ან თავი მოეკვეთა თავის მოწინააღმდეგისათვის. „კეთილად ღვთის მსახურმა და ეკლესიათა მშენებელმა“ გიორგი მესამემაც მიმძლავრებით სამეფო ტახტი წაართვა კანონიერ მემკვიდრეს, თავისივე ძმისწულს დემნას, ხოლო როცა ამ ბატონიშვილმა სცადა დიდი ფეოდალებისა და უცხო ძალის დახმარებით ამბოხება მოეხდინა და თავისი უფლება აღედგინა, დასაჭურისებით და თვალების დაწვით დასჯა ის, რასაც მისი ნაადრევი სიკვდილი მოჰყვა.

აღასანიშნავია, რომ არა მარტო შოთა რუსთაველის მორალური იდეები, არამედ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობაც რაინდული წრიდან გამოსული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი, როგორც დიდგვარიანი ფეოდალებისათვის, რომელნიც გიორგი მესამისა და თამარ მეფის დროს, უმეტეს ნაწილად, ოპოზიციაში უდგნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, ისე, მით უმეტეს, ეკონომიურად სუსტი და უფლებრივად შეზღუდული ბურჟუაზიისათვის ძნელი იქნებოდა ასეთი იდეოლოგიის და ფსიქოლოგიის მატარებელი პოეტის წარმოშობა.

მე მგონია, რომ განსხვავება შოთა რუსთაველის პოეტურ ენასა და მისი დროის ფილოსოფოსების და მწერლების ბუნდოვან ან მაღალფარდოვან მეტყველებას შორის იმითაც უნდა აიხსნებოდეს, რომ თავისი ფართო და ყოველმხრივი განათლების მიუხედავად, შოთა ალბათ არ იყო ვიწრო მწიგნობარი, როგორც უებარ რაინდს შეეფერება, მხნე მეომარსა და მოასპარეზეს, ის ალბათ უფრო მეტ დროს მზით განათებულ დარბაზებში, მეგობრულ ბანკეტებზე და ბრძოლის ველზე ატარებდა, ვიდრე ბნელ თაღიან წიგნთსაცავებში. გადაიკითხეთ ერთხელ კიდევ ის ადგილები, სადაც ხმელეთის და ზღვის ომია აღწერილი, მაგალითად, ტარიელის ბრძოლა ხატაველებთან, ან ავთანდილის შეტაკება მეკობრეებთან, და დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ ასეთი ცოცხალი ფერებით ომის ეპიზოდების ასახვა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია,

რომელსაც თვითონ რამდენჯერმე საკუთარი თვალით უნახავს იგი და მონაწილეობაც მიუღია მასში. ჰიპერბოლიზაცია, რომელიც დღეს შეიძლება საჩოთიროდ გვეჩვენოს, საერთოდ შუა საუკუნეების კულტურის სტილით აიხსნება; გარდა ამისა, იმდროინდელ ომში პირად მამაცობას მთავარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ საუცხოო ბატალურ სურათებში გადმოცემულია დეტალები, რომელთა ასახვა სხვაფრივ არ უყვარს ამ მონუმენტური სტილის მხატვარს: შუბის გამორთმევა ტარიელის მიერ აბჯართ მტვირთველისათვის, მუზარადის დახურვა, გაპენებულ ცხენზე გაწოლა, მტრის რაზმის წყნარად და აუშლელად დგომა; ან კიდევ ავთანდილის გულზვიადი მიმართვა „ჯაბანნი ვაჭრებისადმი". დიდად დამახასიათებელი წოდებრივი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, მათი გასტუმრება საომარი გემის კარჩაკეტილ ერდოში, მეკობრეთა ლაშქრის საომარი შეძახილი, სახნისიანი ძელის დაძგერება და სხვა.

* * *

შეიძლება რუსთაველის მიერ საგნების და ადამიანების ღრმა ცოდნა ისე არსად ჩანდეს, როგორც სიყვარულის ვნების ასახვაში. გავიხსენოთ, როგორ ხატავს სიყვარულის პირველ გაღვიძებას, მაგალითად, მისი უფროსი თანამედროვე ფრანგი ტრუვერი, „ტრისტანისა და იზოლდას" ავტორი. ტრისტანისა და იზოლდას საბედისწერო სიყვარული, რომელიც მათი დაღუპვით მთავრდება, ჯადოქრობის შედეგია: ის გამოწვეულია შელოცვილი სასმელით, რომელიც ქალ-ვაჟმა, სრულიად შემთხვევით, ერთად დალია. თუ იზოლდას სიყვარულის სამსალა ტრისტანთან კი არა, მარკოზ მეფესთან ერთად დაელია, როგორც ეს თავდაპირველად დედამისის მიერ იყო განზრახული, ეს ახალგაზრდა ქალი მუდამ თავისი კანონიერი ქმრის ერთგული იქნებოდა და ტრისტანს არ გაუმიჯნურდებოდა. სიყვარულის წარმოშობის ასეთი გაგება დღეს სრულიად უცხოა ჩვენთვის.

გადავიდეთ ახლა „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირებზე. ნესტანი და ტარიელი ბავშვობაში ერთად იზრდებოდნენ. როცა ქალი შვიდი წლისა გახდა, ხოლო ვაჟმა „ომში შესვლა" შე-

სძლო, რაიცა შუა საუკუნეებში ფეოდალებისა და რაინდების წრეში ძლიერ ადრე ხდებოდა, ისინი ერთმანეთს დააშორეს. ტარიელი სპარტანულად ცხოვრობს, ნადირობს, ბურთაობს. ერთი წლის განმავლობაში თავის გარდაცვლილ მამას გლოვობს; ასეთი ცხოვრება ხელს უწყობს ჯანსაღი და ძალოვანი გრძნობების გაღვიძებას. ნესტანი უფრო განმარტოებით ცხოვრობს საგანგებოდ მისთვის აგებულ სასახლეში, სწავლობს მამიდის ხელმძღვანელობით, ნარდს თამაშობს. ასეთი ცხოვრება ხშირად ხელს უწყობს გრძნობიერობის გაღრმავებას, ერთ ღღეს ნადირობიდან დაბრუნებული ვაჟი, მხევლის მიერ აზიდულ სარაფარდის უკან, სრულიად მოულოდნელად ხედავს თავის ბავშვობის მეგობარს, რომლის სახე ალბათ სთვლემდა მის ქვეშეცნობილ სულიერ ცხოვრებაში; მხოლოდ ის უკვე ბავშვი კი არა, მოწიფული ქალიშვილია. და აი მასში უძლეველი ვნება იღვიძებს, სიყვარულის წარმოშობის ასეთი გაგება სრულიად ბუნებრივია ჩვენი თვალსაზრისით.

ავიღოთ მეორე მაგალითი, ავთანდილი უფრო დარდიმანდ, გონებადამჯდარ, განათლებულ კაცად გვევლინება. ის უფრო ცივი ტემპერამენტითაა დაჯილდოებული და ვნებათა ღელვის შთაგონებას ხშირად გულგრილად აწონ-დაწონილი გონიერი საბუთებით ახშობს. ტრფობის გრძნობას ის ისე არ ჰყავს დამორჩილებული, როგორც ტარიელი ან რამინი, რომელიც სატრფოს ეუბნება, დღისა სინათლე შენისა პირისაგან მაქვს და ღამისა სიბნელე შენისა თმისაგანო. მისთვის სამყარო არ ისაზღვრება მარტოოდენ სატრფოთი, მიჯნურობაზე მაღლა ის მეგობრობას აყენებს, პირველს მინანქარს ადარებს, მეორეს იაგუნდს. მისთვის სიყვარული არ არის მარტო შმაგობა, როგორც ტარიელისთვის, ის რამდენადმე ბრძნული ხელოვნებაც არის.

ეს დასრულებული რაინდი, ეს სტოიკოსების და ოვიდიუსის მოწაფე რამდენიმე წლით სწყდება იმ საზოგადოებას, სადაც ის ტრიალებდა: ჯერ ტარიელს ეძებს, შემდეგ ნესტან-დარეჯანს. ამ ხანგრძლივი მოგზაურობის წლებში ის ჯანსაღ მამაკაცად რჩება, ჯანსაღი გრძნობებითა და ვნებათა ღელვით. ამიტომ ადამიანურად გასაგებია, რომ როცა უდაბნოში ხეტიალით და ვარსკვლავების თუ გარეული მხეცების საზოგადოებით, ცოტა არ იყოს, დაქანცული და მოწყენილი ავთანდილი

მდიდარ და კეთილმოწყობილ ქალაქში შედის, ის სინდისის უქ-ენჯნელად ისვენებს ვნებიანი და სანდომიანი ფატმანის მკერდ-ზე.

ბოლოს გავიხსენოთ ტარიელის მიერ ლომისა და ვეფხვის დახოცვის ეპიზოდი, რომელიც როგორც აზროვნების სილრმი-სა, ისე მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით უცილობლად ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია „ვეფხისტყაოსანში". მთელი ეს სცენა, ჯერ ლომისა და ვეფხის სასიყვარულო ალერსი და შემდეგ დაუნდობელი შებრძოლება, ტარიელის მიერ ვეფხვში ნესტან-დარეჯანის მსგავსების აღმოჩენა, ჯერ მისი მია-ლერსება და შემდეგ მოკვლა, ამტკიცებს რომ შოთა რუსთა-ველს მშვენივრად ესმოდა ბუნების შინაგანი მთლიანობის იდეა; მას ესმოდა იმ მსოფლმხედველობის ღრმა აზრი, რომლის ნია-დაგზე მდგომარე ეგვიპტელ ფარაონებს და ასურელ მეფეებს დიდ ქებად მიაჩნდათ, როცა მათ გაუხედნელ მოზვერებს ან ონა-ვარ მხეცებს ადარებდნენ. შოთა რუსთაველს კარგად ესმოდა ისიც, რომ ქალ-ვაჟის სიყვარული არის არა მარტო შეყრა, არა-მედ შეტაკებაც, რომ სქესობრივ სიყვარულში არის ბრძოლის და სიძულვილის მომენტიც, რომ ის საბედისწეროდ უახლოვ-დება სიკვდილს.

რით აიხსნება, რომ შოთა რუსთაველს ასეთი სწორი წარ-მოდგენა ჰქონდა სიყვარულის წარმოშობასა და განვითარება-ზე, რომ ის მიჯნურებს რაღაც განუკვრეტელ ბურუსში არ ხვე-ვდა, როგორც ეს ხშირად შუა საუკუნეების მწერლებს სჩვე-ვიათ, რომ ის მიჯნურობას სთვლიდა არა ბელზებელის სენად ან ჯადოქრობად, არამედ ადამიანის ძალთა სისავსის გამოხა-ტულებად? ალბათ პირადი გამოცდილებითაც. ვინც მიჯნური არაა, ის არც მამაკაციაო, ნათქვამია „ვისრამიანში". ხოლო შოთა რუსთაველი რომ ყოველმხრივად სრულქმნილი მამაკა-ცი იყო და არა მარტო მიჯნურობის წესების კანონმდებელი და შაირობის სიბრძნის თეორეტიკოსი, ეს ყველაფერი ცხადი უნ-და იყოს, ვისაც „ვეფხისტყაოსნის" აღგზნებული სტრიქონები განუცდია. უყვარდა თუ არა მას თვით თამარ მეფე, როგორც ამას ხალხური გადმოცემა და ლიტერატურული ტრადიცია ამ-ტკიცებს და როგორც ნართაულად თვითვე უნდა ანიშნებდეს თავის პოემის წინასიტყვობაში? შეიძლება, ჰო.

თამარ მეფეს შფოთიან და მღელვარე საეკლესიოში მოეხდა ბაგრატიონის ტახტზე დაჯდომა. მისი ბავშვობის ნათელი დღეები დაინისლა მისი ბიძაშვილის დემნას აჯანყების გამო. მამის გარდაცვალებისთანავე მას გავლენიანი ქვეშევრდომები აუმხედრდნენ და მისი ხელისუფლების შესლუდვა განიზრახეს. შემდეგ პოლიტიკურ მოსაზრებათა კარნახით ის აიძულეს არასასურველი ქმარი შეერთო. ეს პირველი ქმარი, მემატიანის სიტყვით, გონებით ბარბაროსი, მრავალ უშვერთა და საძაგელთა საქმეთა მქნელი აღმოჩნდა. მაგრამ თამარმა ამ სახიფათო მომენტში ძლიერი ნებისყოფა და ნამდვილი მეფური სიბრძნე გამოიჩინა. მან შესძლო თავისი ტახტის ინტერესების და თავისი გულის უფლებების დაცვა. მან ბიზანტიურად მოქნილი დიპლომატიის შემწეობით შეთქმულთა დიდი ნაწილი შეირიგა, ხოლო პირველ ქმარს გაეყარა, რაკი დარწმუნდა რომ ის გამოსადეგი არ იყო არც სამეფო გვირგვინისა, არც სამეფო სარეცელისათვის. მან თავის გარშემო უნიჭიერეს სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებს მოუყარა თავი, უმეტეს ნაწილად საშუალო საზოგადოებრივი წრეებიდან დიდად გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები და ინტენსიური კულტურული და სააღმშენებლო მუშაობა გაშალა. მაგრამ პირადმა მღელვარებამ და უსიამოვნებამ თამარს ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე, და ის შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა.

როგორც ეტყობა, თამარ მეფე ეკუთვნოდა იმ საშიშ ქალთა რიცხვს, რომელნიც უფრო ხშირად სხვებში იწვევენ ვნებათა ღელვას, ვიდრე თვით ექვემდებარებიან მას. შოთა რუსთაველი მას უწყალო ჯიქს უწოდებს თავისი პოემის წინასიტყვაობაში. ნიზამი მას სემირამიდას ადარებს თავის რომანტიკულ პოემასა „ხოსრო და შირინში“, რომელშიც ჯერ კიდევ გაუთხოვარი თამარი შემირას სახელით უნდა იყოს შექებული. „მას არა ჰყავს ქმარი, მაგრამ აქვს ხელისუფლება და სიხარულში ატარებს თავის სიცოცხლეს. მას მეტი ვაჟკაცობა აქვს, ვიდრე მამაკაცებს. ზაფხულში ის სომხეთის მთებში მიემგზავრება: ყვავილიდან ყვავილზე გადადის, ბულბულიდან — ბულბულზე. ვარდის ფურცლობის დროს მისი სამყოფი მუღანშია, ვინაიდან მიწა, რომელსაც მისი ფეხები სთელავენ მუდამ მწვანეა. შემოდგომაზე აფხაზეთში ნადირობს. ზამთარ-

ში მას ბარდავში ყოფნის სურვილი იპყრობს, ვინაიდან ბარ-
დავის ჰავა თბილი ზონისაა“.

თამარის დროს მხატვრებმა მისი სურათი დაგვიტოვეს ვარძიასა, ყინწვისსა, ბეთანიასა, ბერთუბანში. ამ პორტრეტებ-ზე მისი ქალური სინაზე და სილამაზე, ცოტა არ იყოს, დაფა-რულია ბიზანტიური სამოსელით, სამეფო გვირგვინით, პორ-ფირის ფეხსაცმელით. თუმცა რუსთაველი მის თვალებსა და თმას გიშერს ადარებს, მაგრამ შეიძლება ეს უბრალო, ტრა-დიციულად მიღებული მეტაფორა იყოს. კედლის მხატვრობა-ზე თამარის გვერდით ჩვეულებრივ მოთავსებულნი არიან მი-სი მამა და მისი ვაჟი, ისინი თითქო ღია ფერის მამაკაცებად ჩანან; შეიძლება თვით თამარიც წაბლისფერთმიანია, მწვანე ან ლურჯთვალებიანი ქალი ყოფილიყოს, ფარული ცეცხლის სულით (მისი მემატიანის შედარება რომ ვიხმაროთ), რომე-ლიც თითქო გამოჭკრთის სადაფის კანში. რასაკვირველია, ის მთელ დღეებს ალექსანდრიიდან მიტანილი ბამბის დართვაში არ ატარებდა, ხოლო ღამეებს ხელაპყრობილ ლოცვაში, რო-გორც ერთი მისი კლერიკალურად მოაზროვნე მემატიანე გვარწმუნებს. ის ალბათ იყო მონადირე არტემიდე, რომელიც ამორძალივით დაჰქროდა თავისი სახელმწიფოს ერთი კუთ-ხიდან მეორეში; პირველი მისი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ქალურ სინარნარესთან ერთად მას რაინდული სული ჰქონდა: „ხოლო სხვანი ზნენი და ქცევანი, გამარჯვებანი და აღმატება-ნი საზღვართა მამა-პაპათანი, და ყოვლისა მამაცობისა მიმართ სიმარჯვენი, ოდესმე რაინდობანი და მხედართა სიხელოვნენი და მკვირცხლ მოქმედებანი, ოდესმე ნარნარად მშვიდ და წყნა-რად მეტყველებანი და სიბრძნით შეპასუხებანი, ესე ყოველ-ნი წინამდებარისა სიტყვისაგან გაუწყენ ყოველთა“.

თამარის გულის მოსანადირებლად უცხოეთიდან მოსული მაჰმადიანი პრინცები მზად იყვნენ სარწმუნოება შეეცვალათ. გავიხსენოთ შირვანშაჰის აღსართანის ან სელჯუკების უფ-ლისწულის მუტაფრადინის ეპიზოდები. რა გასაკვირველია, რომ ასეთ ქალს ფარული ან გამეღავნებული გულისთქმა ჩაე-გონებინოს მაღალნიჭიერი პოეტისათვის, შოთა რუსთაველი-სთვის, რომელმაც შეიძლება სწორედ მისი მფარველობის წყალობით რაინდთა წოდებიდან უმაღლეს სახელმწიფო თა-

ნამღებრბელ მიადწია და მართლაც მეფის მთავარი მდიადი გახდა, როგორც ზოგიერთი ძველი მწერალი გადმოგვცემს?

გარდა პირადი გამოცდილებისა, სიყვარულის გრძნობის სწორ ასახვაში, შოთა რუსთაველისათვის შეეძლო ხელი შეეწყო ქართული და საერთაშორისო ლიტერატურის იმ დიდ ცოდნას, რასაც ის ამჟღავნებს თავის პოემაში. „ვეფხისტყაოსანში" დასახელებული ან ნაგულისხმევია პლატონი, ფახრედინ გურგანელი („ვისრამიანის" ავტორი), ნიზამი, ესპანეთის ებრაელარაბი მწერალი ეზროსი, რომელმაც პირადად განიცადა ტრაგიკული სიყვარული თავისი ბიძაშვილისადმი, და სხვ.

ბოლოს, შოთა რუსთაველის მდიდარ ფსიქოლოგიურ მასალას მისცემდა მის გარშემო არსებული არისტოკრატიული საზოგადოების ცხოვრების დაკვირვება, სადაც ვნებათა ღელვა ასეთ დიდ როლს ასრულებდა. გავიხსენოთ მრავალ მოტრფიალეთა „შორით ბნედა, შორით კვდომა" თამარ მეფის გულისათვის; შემდეგ ლაშა გიორგის მიერ დროსტარება რაინდებთან და ქალებთან ერთად და მისი რომანი ველისციხელ ქალთან, მისი დის — რუსუდან დედოფლის მიჯნურობა სასახლეში მძევლად აღზრდილ ვაჟთან (ორტულის შვილთან), ულუ დავითის ცოლის, ესუქან დედოფლის და უჯარმელი ჭყონდიდელი ეპისკოპოსის რომანი, რომელიც ტრაგიკულად დასრულდა: მეფემ თავისი ცოლის საყვარელი სიკვდილით დასჯა, მაგრამ თვით მოწამლულ იქნა შურისმაძიებელი დედოფლის მიერ. ბოლოს გავიხსენოთ პოლიგამიური მიდრეკილებანი მეფე დიმიტრი თავდადებულისა, რომელსაც ერთად სამი ცოლი ჰყავდა: ტრაპიზონელი პრინცესა, მონგოლთა ნოინის ქალი და სამცხის ათაბაგის ბექას ასული ნათელა, დედა გიორგი ბრწყინვალისა. მართალია, უკანასკნელად მოხსენებული ფაქტები „ვეფხისტყაოსნის" დაწერის შემდგომ პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ მათი ხელისშემწყობი საზოგადოებრივი ატმოსფერო, ალბათ, რუსთაველის დროსაც და მასზე წინათ არსებობდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის რომანტიკული ეპიზოდები, რომელიც თამარ მეფის წინადროინდელ მემატიანეებს და გიორგი მერჩულეს აქვთ მოხსენებული.

თუ ამ მრავალმხრივი ლიტერატურული და სოციალ-ფსიქოლოგიური გავლენების მიუხედავად რუსთაველმა სიყვა-

რულის სრულიად თავისებური იდეალი დასახა, რომელიც არც პლატონიურია და არც ტლანქად სენსუალისტური, არც მისტიკურია და არც ინტელექტური, არამედ თავისებურად რუსთაველურია, ეს მისი შემოქმედებითი გონების დიდი ორიგინალობით აიხსნება. შოთა რუსთაველის შეხედულებით უზენაესი სიყვარული მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ის ენით ძნელად გამოსათქმელი საიდუმლოებაა. მისი მიწვდომა შეუძლებელია მარტოოდენ გონებით, ის ერთგვარი შმაგობაა, რომელიც ადამიანის აღმაფრენას და ღვთაებასთან დაახლოებას იწვევს. სიყვარული არის ტანჯვა ანუ ლმობა; სიკვდილი ტანჯვის დასასრულია, მაგრამ ის არ არის სიყვარულის დასასრული: სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე თვით სიკვდილი, გარდაცვლილი მიჯნურები ღვთაებაში, მზის სინათლეში ერთდებიან. მეორე, უფრო მდაბალი დარგის ტრფობა მისაწვდომია ჩვეულებრივი მომაკვდავისათვის. „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდენ გაყრისა ლმობასა“.

შოთა რუსთაველი

სამეფო ტახტზე მჯდომარე ბაგრატიონებს შორის თამარ მეფის შემდეგ არც ერთის სახელი ისე მჭიდროდ დაკავშირებული არ არის შოთა რუსთაველთან, როგორც ვახტანგ მეექვსის სახელი. არა მარტო იმიტომ, რომ მან პირველად დაბეჭდა და კომენტარებით აღჭურვა „ვეფხისტყაოსანი“, არამედ იმიტომაც, რომ პირველად სწორად გადაწყვიტა ერთი უმთავრესი საკითხი, რომელიც ამ პოემასთანაა დაკავშირებული, სახელდობრ მისი სიუჟეტის ორიგინალობის საკითხი: „ეს ამბავი სპარსში არ არის და სპარსთა კაი მელექსეობა იცოდნენ, და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითომ ეს მასზედ მოინდომა: ასეთი ამბავი სხვაშიად რატომ იყოსო, რომე ქართლშიც არ იყოსო. და უბრძანა მის მდი-

ვანს რუსთველს, ქართულითა ენითა კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს, რომ სპარსთაგან ვთარგმნეო, რადგან სპარსულის მიბაძვით ათქმევინა თამარ მეფემ".

ვახტანგ მეექვსის მიერ ამ მნიშვნელოვანი საკითხის სწორი გადაჭრა მით უფრო დასაფასებელია, რომ თუმცა ის კარგა ხანს ცხოვრობდა ირანში და ირანულ ენასა და ლიტერატურას, როგორც ეტყობა, რიგიანად იცნობდა, მაგრამ მას არ შეიძლება ხელთ ჰქონოდა ის მეცნიერული მასალა, რომელიც დღეს გვაქვს, როცა მთელი ირანული ლიტერატურა, არათუ დიდი ნაციონალური და რომანტიკული პოემები, არამედ თვითოეული ოთხსტრიქონიანი რუბაია ყოველმხრივად შესწავლილია გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი და რუსი მეცნიერების მიერ. დღეს თითქო უცილობელია, რომ ირანულ ლიტერატურაში არ არსებობს ნაწარმოები, რომელიც სიუჟეტით შორიდან მაინც ჰგავდეს „ვეფხისტყაოსანს", რომ შოთა რუსთაველს არ გამოუყენებია მოხეტიალე არაკი, როგორიც, მაგალითად, მისმა თანამედროვე ტრუვერებმა და მინეზინგერებმა გამოიყენეს საფრანგეთსა და გერმანიაში, როცა თავიანთი „მრგვალი მაგიდის რაინდების" რომანებს, ან კიდეე ნოველებს საფუძვლად კელტური ან აღმოსავლეთური სიუჟეტები დაუდეს.

მაშ რად ამბობს თვით რუსთაველი, რომ მან იპოვა და ლექსად გარდაქმნა ხელიხელ საგოგმანები სპარსული ამბავი? ადვილი შესაძლებელია, პოეტი გულისხმობდეს არა ლიტერატურულად დამუშავებულ სიუჟეტს, არამედ ერთი ერის ფოლკლორიდან მეორისაში გარდამავალ ზღაპრულ არაკს, ფაბულის თარგს, რომელზედაც მან თავისი გობელენი ამოქარგა, სადაც მისთვის ნაცნობი რაინდული საზოგადოებაა გამოხატული. ამაში არაფერია მოულოდნელი, თუ გავიხსენებთ, რომ უდიდესი მწერლები, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში და რენესანსის ეპოქაში, ხშირად ისტორიიდან და ფოლკლორიდან სესხულობდნენ ფაბულას, მხოლოდ შემდეგ ხელოვნურად დამთავრებულ ფორმას აძლევდნენ მას. ასე იქცეოდნენ დანტე, ბოკაჩო, ჩოსერი, შექსპირი, ჩვენი სულხან-საბა ორბელიანი და სხვა. მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ეს სიტყვები ნაწარმოებში მართლაც პოეტის მიერ შეტანილია ერთ-

გვარი მისტიფიკაციის სურვილის კარნახით, ერთგვარი მოკრძალებული ფარდის ჩამოსაფარებლად მახლობელ მოვლენებზე, რომელთა ასასახავად უსათუოდ რომანტიკული დისტანციის დამყარება იყოს საჭირო. ნაციონალური ეპოსის, ირანული „შაჰნამეს“, ფრანგული „როლანდის სიმღერის“, ესპანური „სიდის“ ავტორებს მოქმედება ისტორიულ წარსულში გადაჰქონდათ; „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ნაციონალური ეპოსი, მისი მოქმედება შორეულ უცხოეთშია გადატანილი. მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ მაინც საკმაოდ რეალიეფურად ასახავს არა მარტო საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებებს, გემოვნებას და იდეოლოგიას, არამედ მთავარ პოლიტიკურ ამბავსაც, რომელსაც მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნის მიჯნაზე არსად პარალელი არა ჰქონია საქართველოს გარეშე: ესაა ხანში შესული მეფის გიორგი მესამის მიერ თავის სიცოცხლეშივე თავისი ახალგაზრდა ქალის — თამარის სამეფო ტახტზე აყვანა. რასაკვირველია, შუა საუკუნეების რომანტიკულ პოემას თანამედროვე რეალიზმის მოთხოვნილებას ვერ წარვუდგენთ: რასაკვირველია, როსტევანი გიორგი მესამეს არ წარმოადგენს, ხოლო თამარი პირდაპირ ნესტან-დარეჯანის ან თინათინის სახით არაა მოცემული. მაგრამ დიდად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ თინათინის მსგავსად თამარიც მამის სიცოცხლეში ადის ტახტზე, რომ ამ უკანასკნელს, როსტევანისა არ იყოს, სხვა შვილი არა ჰყავს, გარდა ერთი ასულისა. დიდად ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ნესტან-დარეჯანის მსგავსად თამარიც იძულებულია თავისი გულის უფლებები დაიცვას თამამი და მტკიცე მოქმედებით, ვინაიდან პირველად, მისი სურვილის წინააღმდეგ, პოლიტიკური მოსაზრების კარნახით, არასასურველ ადამიანს მიათხოვეს.

***

შოთა რუსთაველის შემოქმედება ამთავრებს გრძელ პერიოდს ქართული ლიტერატურის განვითარებაში; ეს პერიოდი რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა და ის მეტად მდიდარია იდეურად ორიგინალური და მაღალმხატვრული ძეგლებით.

მაგრამ უშუალოდ რუსთაველის შემდეგ იწყება ერთი უბნელესი ეპოქა ქართველი ერის ისტორიაში: მონღოლების, ხვარაზმელების, თემურ-ლენგის ზედიზედ შემოსევა თითქმის ორასი წლის განმავლობაში ანადგურებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და სულიერ ძალებს; საქართველო პოლიტიკურადაც ნაწილდება; ხალხის შეგნებაში დიდი ხნით იჩრდილება სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა.

ქართული ფეოდალური ლიტერატურა და ხელოვნება თავისი აყვავების პერიოდში, სახელდობრ, მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში, ხშირად დეტალებში წააგავს იმავე დროის ევროპულ ლიტერატურასა და ხელოვნებას, მაგრამ ის გამოხატავს უფრო დაწინაურებული, უფრო თავისუფლად მოაზროვნე, კლასიკური საბერძნეთისა და რომის მსოფლიოსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული საზოგადოების იდეოლოგიას. ბაგრატ მეოთხის, დავით აღმაშენებლის და გიორგი მესამის ქრონიკები, იოანე პეტრიწონელის და ეფრემ მცირეს ფილოსოფიური და ფილოლოგიური კვლევა-ძიებანი, შავთელის და ჩახრუხაძის ოდები, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", შემდეგ ახტალის, ბეთანიის, ყინწვისის, უბისის ფრესკები ნამდვილი რენესანსის სულითაა გამსჭვალული. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების მოწინავე ქართველი საზოგადოება შეიძლება თავისი გონებრივი ინტერესებით და თავისი კულტურული დონით უფრო ახლო იდგეს მეთოთხმეტე-მეთხუთმეტე საუკუნის განათლებულ ფლორენციელებთან, ვიდრე თავის თანამედროვეებთან, ტლანქ დასავლეთ ევროპელ ჯვაროსნებთან.

მაგრამ დახეთ, როგორ უკან გადასროლილი და ჩამორჩენილი ჩანს იგივე ქართველი საზოგადოება XVII საუკუნის დასაწყისში, როცა საშინელი ეროვნული კატასტროფის შემდეგ, რომელიც ლამობდა საბოლოოდ წაელეკა ყველა კულტურული ღირებულება, ხალხი თითქო ხელახლა გონს მოდის და საღი ინტუიციით ახალ გზებს ეძებს სულიერი და პოლიტიკური აღორძინებისათვის. როგორ უნდა მოხდეს ეს აღორძინება? ქალაქები დანგრეულია, დიდი მსოფლიო სავაჭრო გზები გადაჭრილია, თვით საქართველო წინა აზიის მოწინავე სახელმწიფოდან, რომელიც ერთ დროს გავლენას

ახდენდა საერთაშორისო პოლიტიკაზე, გადაქცეულია ვიწროდ შემოზღუდულ პროვინციად; მის ლიტერატურას და მხატვრულ კულტურას აღარ აქვთ ადრინდელი ბრწყინვალება და გაქანება. მეცნიერებათა და ხელოვნებათა თავისებური აღორძინების მატარებლად მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუნეების საქართველოში გამოდის არა ჰუმანისტურად განათლებული ბურჟუაზიული ინტელიგენცია, როგორც, მაგალითად, ორი საუკუნის წინათ იტალიასა, საფრანგეთსა ან გერმანიაში გამოვიდა, არამედ ფეოდალური საზოგადოების მოწინავე რაზმი, რომელიც თანდათან იცვლის პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციას და ირანიდან პირს იბრუნებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპისკენ. ქართული ლიტერატურა თავდაპირველად ყოყმანით, თითქო ის უკან იხედებოდესო, შემდეგ უფრო მტკიცე ნაბიჯით მიდის ამ გზით. ის მდიდრდება იდეებით, რომელნიც ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან მოდიან, ის ნელ-ნელა თავისუფლდება ირანული ეპიური პოეზიისა და ეროტიული ლირიკის ტრაფარეტებისაგან, რეალისტური და ნაციონალური ხდება, მაგრამ ეროვნული ბურჟუაზიული კულტურის განუვითარებლობის გამო ქართული ლიტერატურა ტიპიური ბურჟუაზიული ჟანრების დარგში, (მაგალითად ავანტიურის ან სალონის რომანის დარგში, ოჯახური დრამის დარგში და სხვ.) ვერ ქმნის შედევრებს, რომელთაც შეეძლოთ გვერდში ამოდგომოდნენ ევროპული ბურჟუაზიული ლიტერატურის შედევრებს.

ჩვენი უძველესი ლიტერატურული ძეგლები, რომელთაც დამოუკიდებელი მხატვრული მნიშვნელობა აქვთ, დაკავშირებული არიან ქრისტიანობის შემოსვლასა და პროპაგანდასთან საქართველოში. ესაა ეგრეთ წოდებული ჰაგიოგრაფიული მწერლობა, რომლის უძველესი, დღემდე აღმოჩენილი ნიმუშები მეხუთე-მეექვსე საუკუნეებს ეკუთვნიან. ეს მწერლობა ჩვენში თავდაპირველად უფრო ხნიერი ქრისტიანი ერების, სირიელების, ბიზანტიელების, სომხების მწერლობასთან ურთიერთობაში განვითარდა. როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა, რასაკვირველია, ასკეტურია თავისი ძირითადი ტენდენციებით. მაგრამ როგორც კულტურული შემოქმედების სხვა დარგებს, ისე ამ

მწერლობასაც ქართველმა ერმა აღრე დააჩნია თავისი ორიგინალური გენიის ბეჭედი. მასში შედარებით ნაკლებია მისტიციზმი და მეტია ჯანსაღი, გულუბრყვილო რეალიზმი. ხშირად ის სრულიად თავისუფალია სქოლასტიკური სულისაგან. თავის საუკეთესო ძეგლებში ეს მწერლობა ლაკონური, ენერგიული ენით მკვეთრად ასახავს წინაფეოდალური და ფეოდალური ქართული სახოგადოების ყოფა-ცხოვრებას და ზნე-ჩვეულებებს. როგორც მხატვრული, ისე ისტორიული თვალსაზრისით ამ დარგში ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია ნიკო მარის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება". ესაა ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის იშვიათი შედევრი. ასკეტური მორალი, ტრფობის გაგება, როგორც ეშმაკის მანქანებისა, ავტორს ხელს არ უშლის მხატვრულად ასახოს ტაო-კლარჯეთის და აფხაზეთის პეიზაჟი, სიყვარულით მოეპყრას მატერიალური ცხოვრების დეტალებს, ღრმა ფსიქოლოგიური რეალიზმით გადმოსცეს აშოტ და ადარნესე კუროპალატების ღალატი კანონიერი მეუღლეებისადმი და მათი ტრფიალი „სიძვის დედაკაცებისადმი", ან „სახელოვანი ეაბუკის" ზენონის ბერად აღკვეცა მისი დის რომანტიკული თავგადასავლის ზეგავლენით.

სხვა ქართველ წმინდანთა ცხოვრების ამწერლებიც სინამდვილის ასახვის თვალსაზრისით არ ჩამოუვარდებიან „გრიგოლ ხანძთელის" ბიოგრაფს. მათ მიერ დახატული ფიგურები — ყველა ეს შუშანიკები, სერაპიონ ზარზმელები, ილარიონ ქართველები და ეკვთიმე მთაწმინდელები ნაკლებ ჰგვანან აბსტრაქტული სამყაროს უსიცოცხლო სქემებს, ისინი ხორცშესხმულ ადამიანებად გვევლინებიან. თუ „შუშანიკის მარტვილობაში" აღწერილია სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობის ბუნება „ცეცხლებრ შემწველი მხურვალე მზით, ხორშაკი ქარებით და მავნებელი წყლებით, სნეულებისაგან დასივებული და გაყვითლებული მკვიდრით", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" სამხრეთ საქართველოში გადავყავართ მისი „კეთილად შეზავებული მზითა და ჰაერით, ურიცხვი ბაღნარებითა და საამო წყალთა სიმრავლით, ველოვანი ადგილებითა და შემწყნარებელი ფართობით.

შემდეგ გაიხსენეთ, როგორი რეალიზმითაა გადმოცემუ-

ლი შფოთი, მამულის გაყოფის გამო სერაპიონ ზარზმელისა და ილარიონ ქართველის ბიოგრაფიებში. ბოლოს გაიხსენეთ, რა მონუმენტურად მარტივ და ამავე დროს რეალისტურ ხაზებშია მოცემული „ევთიმე მთაწმინდელის ცხოვრებაში" იმ დიდი სამონასტრო მეურნეობის აღწერა, რომელსაც მეათე-მეთერთმეტე საუკუნეში ათონის ქართული მონასტერი წარმოადგენდა. ბერების ფიცხელი შფოთი, წვერთ გლეჯა, გინა მიმთხვევა, ურჩი ძმების შებოჭვა, მიწაზე განრთხმობა და ღვედით ცემა, ისე რომ ამის შემდეგ ზოგი ორი კვირა იწვა და ზოგიც სამი, კერაზე კოპობის მიდგმა გაუმაძღარი ბერების მიერ, რომელნიც არ კმაყოფილდებოდნენ საერთო ტრაპეზით, ფარულად ტანისამოსის ყიდვა-გაყიდვა, ხორბლის გადმოზიდვა ნავით, ვენახის ასარვა თუ აჯოჯვა, მუშაობის და კვების ორგანიზაცია ყანასა, ბოსტანსა და სახელოსნოებში, მამა ევთიმეს ჩამოვარდნა დაფეთებული ჯორიდან, ბოლოს „უწვერულთა მუშათა არ შეწყნარება, რათა ძმათ არა ევნოს რა ან გონებითა ან შეხედვითა".

ეს ჰაგიოგრაფები შოთა რუსთაველის წინამორბედები არიან, არა იდეოლოგიით და ზნეობრივი შეხედულებებით, რასაკვირველია, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც ისინი სინამდვილისადმი იჩენენ, ადამიანის სულის ღრმა ცოდნით, ადამიანურ გულისთქმათა რეალისტური სახვით. შუა საუკუნეების ქართველი რელიგიური მოღვაწეობის მსგავსად, რუსთაველის პოემის მთავარი გმირიც უდაბნოში გარბის, მაგრამ მას სწვავს არა სარწმუნოების, არამედ მიჯნურობის ცეცხლი, ღვთისმშობლის კულტის ადგილი მის შეგნებაში უკვე საყვარელი ქალის კულტს აქვს დაჭერილი.

მაგრამ თუ რუსთაველი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ჯანსაღი ტრადიციის დამცველი და გამგრძელებელია, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მან ამ ლიტერატურის რეფორმა მოახდინა. „ვეფხისტყაოსანთან" შედარებით ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები დღეს მაინც არ-ქაულად გვეჩვენება. სალიტერატურო ენის განახლებით, ხალხის სალაპარაკო ენასთან დაახლოებით რუსთაველმა თავის პოემას გასაოცარი გამძლეობა მიანიჭა საუკუნეთა მანძილზე. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, „ვეფხისტყაოსანი" ვერ

გადაიქცეოდა ერთ-ერთ უდიდეს საორგანიზაციო სულიერ ფაქტორად, რომელმაც ხელი შეუწყო ქართველი ერის დაცვას უდიდესი შეპირვებისა და ვიწროობის დროებში. მის მიერ გამოყენებული ხალხური ლექსის ნომა, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, თითქმის სრულიად უცნობია, ძველი მეხოტბეებისა და ჰიმნოგრაფებისათვის. ბოლოს, აღსანიშნავია, რომ მის მიერ შექმნილი თავშესაქცევარი სიუჟეტი დიდი ოსტატობითაა დაკავშირებული ახალ ფილოსოფიურ და ეთიკურ მსოფლმხედველობასთან.

გადმოცემა ამბობს, განათლება მან ბიზანტიაში მიიღო. ეს ადვილი შესაძლებელია. ის ამყარებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ემპიდოკლეს, არისტოტელეს, პლატონის ცოდნას; უცილობლად იცნობს ნეოპლატონიკოსებსაც. სად შეეძლო მას ამ ფილოსოფოსების საუკეთესოდ გაცნობა? საფიქრებელია, რომ კონსტანტინოპოლში, სადაც სასელოვანმა პროფესორმა და მწერალმა მიქელ ფსელოსმა ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში აღადგინა პლატონის ფილოსოფიის სწავლება, მაშინ, როცა მთელ დასავლეთ ევროპაში არისტოტელეს ფილოსოფია ბატონობდა შეუზღუდველად. თვით ფსელოსი ამბობს, რომ ის ნეოპლატონიზმიდან და „საკვირველი პროკლედან“ ნელ-ნელა ამაღლდა, „პლატონის წმინდა სიმაღლემდე“. მაგრამ შოთას შეეძლო პლატონისა და ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიას გაცნობოდა გელათსა ან იყალთოშიც, სადაც დავით აღმაშენებელმა აკადემიები დააარსა, რომელთაც კონსტანტინეპოლის პროფესორების ქართველი მოწაფეები, იოანე პეტრიწონელი და არსენ იყალთოელი სელმძღვანელობდნენ.

რუსთაველის გმირებიდან პლატონის და ნეოპლატონიკოსების ფილოსოფიას ყველაზე უკეთ ავთანდილი და ნესტანი იცნობენ, როგორც ეტყობა, ამ უკანასკნელის აღმზრდელს — ქაჯეთში დაქვრივებულ დავარს მისთვის ელინური წარმართული სიბრძნის ყველა საიდუმლოება გაუცვნია. მისი წერილი, ქაჯეთის ციხიდან საყვარლისადმი მიწერილი, მოწმობს, რომ მას უკითხავს პლატონის დიალოგები, ნეოპლატონიკოსების თხზულებანი, შეიძლება სტოიკოსების ეთიკასაც გაცნობია. ამგვარ ფილოსოფიურ ეპისტოლეებს ჰუმანისტურად განაღლე-

ბული იტალიელი ქალები მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეში წერდნენ. ნესტანი ადამიანის სულს მზის ნაწილად სთვლის, ამ სოფელს ჭირთა და ცრემლთა ველად, ადამიანის გარდაცვალებას ოთხი სტიქონიდან — მიწისა, წყლისა, ცეცხლისა და ჰაერისაგან — გათავისუფლებად. მზე'ზე ეუფლებიან საბოლოოდ ერთმანეთს შეყვარებული არსებანი, იქ ისინი დღისით და ღამით ელვათა კრთომას უცქერიან. ავთანდილზე და ნესტანზე ნაკლებ ფილოსოფიურ ინტერესს იჩენს ტარიელი, მაგრამ, ეტყობა, არც მისთვისაა სრულიად უცნობი პლატონისა და პროკლე დიადოხოსის იდეები: დამშლიან ჩემნი ელემენტები („კავშირნი), შერთვიან სულთა წყებასა („სირასა"), ეუბნება ის ავთანდილს, როცა ეს უკანასკნელი მას უდაბნოში იპოვის მის მიერ დახოცილ ლომსა და ვეფხვს შუა: სიკვდილის მოახლოება ლხენის მოახლოებას ნიშნავს, აქ გაყრილნი მიჯნურნი იქ გავიხარებთ ერთმანეთის ნახვით.

მაგრამ დიდი უკეღმართობა იქნებოდა შოთა რუსთაველი პლატონის სკოლის მწიგნობარ ფილოსოფოსად მიგვეჩნია, რაკი მისი გმირები პლატონურ ან ნეოპლატონურ გამოთქმებს სმარობენ. რუსთაველი, უწინარეს ყოვლისა, პოეტია და არა ფილოსოფოსი. მით უმეტეს ვიწრო სკოლის ფილოსოფოსი. უკეღმართობა იქნებოდა აგრეთვე რუსთაველის პოემაში დაგვენახა მხოლოდ მხატვრული გაფორმება საქართველოს სინამდვილის ფაქტების და საბერძნეთ-რომის მსოფლიოსთან მომავალი იდეებისა. „ვეფხისტყაოსანი" წარმოადგენს კლასიკური კულტურის, შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლეთის და მუსლიმანური აღმოსავლეთის ელემენტების მეტად ორიგინალურ სინთეზს, რომელსაც ბადალი არა აქვს საერთაშორისო ლიტერატურაში. ეს მხატვრული სინთეზი შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოში, ორი კულტურული მსოფლიოს მიჯნაზე, ის შესაძლებელი იყო მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში, როცა ბაგრატიონების ფეოდალურმა მონარქიამ უმაღლეს ძლიერებასა და ბრწყინვალებას მიაღწია, როცა მან თითქმის მთელი ტერიტორია დაიპყრა კავკასიის ქედსა და არზრუმს შორის, როცა ტრაპიზონის იმპერია, სომხეთი და შირვანი მასთან მეგობრულ ან ვასალურ ურთიერთობაში აღმოჩნდნენ. ვიწრო ნაციონალური და რელიგიური ზღუდეე-

ბი გადალახულია. უმაღლეს არისტოკრატიასა და სახელმწიფოს მმართველ წრეებში ქართველების გვერდით სომეხი გრიგორიანელებიც იწყებენ აქტიური როლის შესრულებას, ხშირი ხდება ქრისტიანი პრინცესების დაქორწინება მაჰმადიან მფლობელებზე და პირუკუღმა.

თურქების საბოლოო დამარცხებისა და თბილისის საამიროს მოსპობის შემდეგ დავით აღმაშენებელს სრულიადაც არ გამოუჩენია სარწმუნოებრივი შეუწყნარებლობა. პირიქით, როგორც ქართველი და არაბი ისტორიკოსები ამტკიცებენ, მას საგანგებო შენობა აუგია მაჰმადიანი სუფიებისა და პოეტებისათვის, მათთვის სუბსიდიების გაცემა დაუწყია სახელმწიფოს ხაზინიდან და არ უთაკილნია პირადად დასწრებოდა მათს საღღესასწაულო სხდომებს, შესულიყო მათს ჯამეში. საერთოდ ეს ფიზიკურად და სულიერად სრულქმნილი ადამიანი, ეს სკეპტიკოსი, რომელსაც ეპვი შეჰქონდა ქრისტიანულ ლეგენდებში, ეს დახელოვნებული მეომარი, მონადირე, ასტრონომი და პოეტი, რომელიც თავის არჩეულ ბიბლიოთეკას ჯორით და აქლემებით თან ატარებდა ლაშქრობის დროს, ეს „ახალი ათინის“ დამაარსებელი გელათში, რენესანსის ნამდვილ წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ის დიდ პატივს სცემდა არაბულ მეცნიერებას. და მართლაც, თუ ქართველი ახალგაზრდობა ღეთისმეტყველებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათ ბიზანტიის სკოლებში სწავლობდა, მედიცინის და ასტრონომიის გაცნობა მას, მეტის წარმატებით, არაბების შემწეობით შეეძლო; ეს ნათლად ჩანს რუსთაველის პოემიდანაც, სადაც თითქმის ყველა მედიცინური და ასტრონომიული ტერმინი არაბული წარმოშობისაა.

ქართველი ერის განთავისუფლებას რელიგიური და ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან და საერო პოეზიის აყვავებას განსაკუთრებით ხელი შეუწყო ირანული მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების გაცნობამ გადმოთარგმნისა და გადმოკეთების შემწეობით; თვით ირანული მხატვრული ლიტერატურა სწორედ ამ პერიოდში აღწევს თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს. „ტრისტანისა და იზოლდას“ აღმოსავლეთური ვარიანტის, „ვისრამიანის“ ქართული პროზაული თარგმანი, ალბათ, „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდე შესრულდა;

მაგრამ, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზიდან ჩანს, რუსთაველს სცოდნია გურგანელი პოეტის რომანის ორიგინალიც. ის ასახელებს „ვისრამიანის“ მთავარ გმირებს, ის იქიდან მხატვრულ სახეებსაც სესხულობს. ვისის (აგრეთვე იზოლდას) მსგავსად თინათინსაც მიჯნურთან შეხვედრის დროს ტიტველ ტანზე ყარყუმის წამოსასხამი აცვია, რამინის მსგავსად ავთანდილი თავისი სიმღერით ქვებზეც კი ახდენს გავლენას. მაგრამ ფახრედინ გურგანელისათვის სრულიად უცხოა შოთა რუსთაველის ზნეობრივი იდეალიზმი, კერძოდ, მისი ქალ-ვაჟნი სიყვარულს მძაფრად, სენსუალისტურად განიცდიან, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსთაველის გმირების სიყვარული არ არის წმინდა ინტელექტუალური სიყვარული, „სიყვარული შორეული პრინცესისადმი“, რომელსაც ხშირად უგალობდნენ მისი თანამედროვეები, პროვანსელი ტრუბადურები: ბოლოს, მრავალ დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ, რუსთაველის ქალ-ვაჟნი მაინც ამ ქვეყანაში ერთდებიან. და ეს მომენტი მას ანსხვავებს მეორე ირანელი პოეტისა, მისი სახელგანთქმული თანამედროვისა, ნიზამი განჯელისაგან.

თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ნიზამიმ საქართველოს მეზობელ მაჰმადიანურ სამეფოებში გაატარა: ის ხან ადარბადაგანელი ათაბაგების კარზე ცხოვრობდა განჯაში, ხან შირვანელი შაჰების კარზე შამახიაში. ადვილი შესაძლებელია, რომ შოთა რუსთაველი პირადად იცნობდა მას; ის მას შეიძლებოდა შეხვედროდა როგორც მშვიდობიანი მოქიშპე პოეტურ ტურნირებში, რომელიც, როგორც ეტყობა, უცხოელი სტუმრების მონაწილეობით საქართველოს მეფის სასახლეში იმართებოდა მეთორმეტე საუკუნეში; ის მას შეიძლებდა ბრძოლის ველზეც შეხვედროდა როგორც მოწინააღმდეგე, თუ ისეთ მშვიდობიან და მისტიკურად განწყობილ პოეტს, როგორიც ნიზამი იყო, ოდესმე ხელში მახვილი სჭერია. ყოველ შემთხვევაში, უცილობელია, რომ რუსთაველი კარგად იცნობს ნიზამის ერთ-ერთ მთავარ ნაწარმოებს, მის რომანტიკულ პოემას „ლეილ-მეჯნუნიანს“ თავის პოემაში ის ახსენებს კაენს, ეს იგივე ყაისი ანუ მეჯნუნია. ქართველ და ირანელ პოეტს ზოგიერთი მეორეხარისხოვანი მომენტი საერთო აქვთ: „ვეფხ-

ი.ტყაოსანშიც“ და „ლეილ-მეჯნუნიანშიც“ შეყვარებულ ქალ-ვაჟს დაბრკოლება ხვდება დედ-მამის მხრივ, აქაც და იქაც შეყვარებული ჭაბუკი უდაბნოში გარბის; მხეცებთან ცხოვრობს და სხვ. მაგრამ ნიზამის გმირები სრულიად მოკლებულნი არიან იმ ძლიერ ზნეობრივ სტოიციზმს, რომლითაც რუსთაველმა აღჭურვა თავისი ვაჟები და თავისი ქალები, ეს უკანასკნელნი კიდევ უფრო მეტად, ვიდრე პირველნი. თინათინის, ნესტან-დარეჯანის, ასმათის პარალელების აღმოჩენა ადვილი არ არის თვით იმდროინდელი ევროპის ლიტერატურაში: ისინი არაჩვეულებრივ აქტივობას და თაოსნობას იჩენენ, ცხოვრების სახიფათო წუთებში ხასიათის ძალასა და სიდიადეს, ნებისყოფის გამძლეობას და ჭკუის სიფხიზლეს ამჟღავნებენ და ხშირად სწორ გზას უჩვენებენ გულისთქმით გონებადაბნეულ რაინდს. არც ნიზამის რომანებში, არც, მით უმეტეს შემდეგი დროის ირანულ ლიტერატურაში არ მოიპოვება ასეთი დიდბუნებოვანი ქალების ტიპები, რაიცა ადვილი გასაგებია, თუ გავიხსენებთ, რომ ისლამის გავრცელებისა და საჰარამხანო რეჟიმის შემოღების გამო ქალმა ირან-არაბეთის მსოფლიოში თანდათან დაკარგა ის დამოუკიდებელი მდგომარეობა, რომელიც მას წარმართობის დროს ეჭირა.

„ლეილ-მეჯნუნიანის“ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდი მკვეთრად ანათებს იმ უფსკრულს, რომელიც ნიზამის და რუსთაველის მორალურ იდეებს ჰყოფს ერთმანეთისაგან. ტარიელის მსგავსად მეჯნუნმაც შეიძინა მეგობარი, ნოფალი, რომელიც მზადაა თავისი ძმადნაფიცის უფლებანი დაიცვას და მარტოდმარტო შეებრძოლება მის მტრებს. ამ უთანასწორო ბრძოლას მეჯნუნი ნეტარი შეუშფოთველობით უცქერის გორაკიდან: „ნოფალი მოწინააღმდეგეთ ჭრილობებს აჭდობდა და მუსრავდა, მეჯნუნი კი ლოცულობდა, ოხრავდა და იტანჯებოდა; ნოფალი ლეილას გულისთვის მახვილს ანავარდებდა, მეჯნუნი კი სულით და გულით თავისი მტრების მხარზე იყო“. ეს თავისებური სუფისტური პასივობა სრულიად უცხოა რუსთაველის გმირებისათვის, როგორც მათთვის უცხოა ბედნიერების შეზღუდვა სულთა შეერთებით საიქიოში, რომლის მისტიკური ხილვით თავდება ნიზამის პოემა. შეიძლება ითქვას, რომ ამ ორი დიდი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში ორი

სრულიად განსხვავებული სამყარო უპირისპირდება ერთმანეთს: აქ რეალიზმი, იქ მისტიციზმი, აქ აქტივიზმი და ოპტიმიზმი, იქ პასივიზმი და ბოროტების მიღება, როგორც გარდაუვალი აუცილებლობისა.

* * *

როცა იმ ლიტერატურული გავლენების შესახებ ვლაპარაკობთ, რომელიც შეიძლებოდა რუსთაველს განეცადა, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ერთი საყურადღებო გარემოება. მართალია, პოეტის ბიოგრაფია არ შენახულა, მაგრამ თუ მისი პოემის მიხედვით განვსჯით, აგრეთვე ანგარიშს გავუწევთ ეპოქის სტილს და ტრადიციულად გადმოცემულ ცნობებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის არ უნდა ყოფილიყო არც ვიწრო სენაკში მომწყვდეული სქოლასტი, არც უსახლკარო მენესტრელი ან აშუღი, რომელიც ერთი მფარველის კარიდან მეორე მფარველის კარსე გადადის. უფრო საფიქრებელია, რომ ის იყო განათლებული დარდიმანდი, დარბაისელი კარისკაცი და მამაცი მხედარი ერთსა და იმავე დროს, კარგად გამობრძმედილი სასახლის პოლიტიკასა და ხმელეთის თუ ზღვის ომში. რუსთაველი კარგად იცნობს სამეფო დარბაზის ეტიკეტს. მაგრამ ის არა ჰგავს იმ დარბაზის ყმებს ან, მით უმეტეს, კარის გამრიგეებს, რომელნიც მთელ თავიანთ სიცოცხლეს სამეფო სასახლის შეხუთულ ჰაერში ატარებენ. თავის პოემაში ის ხშირად სიყვარულით უბრუნდება ბრძოლის აღწერას: ამ შემთხვევაში მისი სტილი განსაკუთრებით ფერადოვანი და დინამიკური ხდება. მაგრამ ის კარგად იცნობს ფეოდალური საზოგადოების სხვა წრეების ცხოვრებასაც. ადვილი წარმოსადგენია, რომ რუსთაველი ამ საზოგადოების უფრო დემოკრატიული ფენიდან წარმოსდგა და შემდეგ ამაღლდა პირადი ღირსების შემწეობით. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარ მეფის დროინდელი ფეოდალური საზოგადოება კასტის პრინციპზე არ იყო დამყარებული; პირიქით, ხდებოდა განუწყვეტელი მოძრაობა ქვევიდან ზევით და ზევიდან ქვევით. მრავალი დიდგვარიანი ფეოდალი განიძარცვა ან დაემხო, მრავალი „უგვარო და უბამი“ ამაღლდა.

„ეთვალავ ფერიანი სამყაროს“ ათვისებაში, ახალგაზრდა ქალის თვალ-წარბის ან კბილების სილამაზის, ან კიდევ ძვირფასი ქვების, ელვარების და ძვირფასი ქსოვილების შრიალის აღტაცებით ასახვაში, მას ეტყობა, რომ ის არ უნდა ეკუთვნოდეს არისტოკრატიულად განაზებულ და დაღლილ თაობათა ჩამომავალთ; მას ყოველივე ეს გულუბრყვილოდ ხიბლავს და ახარებს. ის არ ერიდება პილპილიან გამოთქმებს, ვულგარულ სიტყვებს, საკმაოდ სარისკო ეროტულ სცენას: ეს ყოველივე დიდად დამახასიათებელია რენესანსის ადამიანისთვის, რომელიც გათავისუფლდა ეკლესიისა და მეფის კარის მიერ დაწესებული ნორმებისაგან. ის არ უფრთხის უნიკო პოეტს ჯორი უწოდოს, ხოლო ბოზ დიაცს — ბოზი დიაცი. ეს იგივე გიჟმაჟური სულია, რომელიც შემდეგ იტალიაში ბოკაჩიომ, საფრანგეთში ფრანსუა რაბლემ გამოამჟღავნა.

ის კარგად იცნობდა ბურჟუაზიასაც. ზღვის სამეფო გულანშარო ისეთი მკვეთრი ფერადებითაა დახატული, რომ მკითხველი ადვილად შეიძლება წარმოდგენით რომელიმე იმდროინდელ ზღვის სანაპირო რესპუბლიკაში, მაგალითად, ვენეციასა ან გენუაში გადავიდეს: მათ სწორედ რუსთაველის ეპოქაში სავაჭრო ფაქტორიები დააარსეს და გაცხოველებული აღებ-მიცემობა გააჩაღეს შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებში, კერძოდ, საქართველოში. ვაჭართა უხუცესის ცოლის ფატმანის სახე ერთი მეტად მართალი და მეტყველი სახეა პოემაში; ის რეალისტი მხატვრის მახვილი თვალითაა დანახული. მრავალფერად პეიზაჟზე, რომელიც ხან უდაბნოებს მოგვაგონებს, ხან ჩრდილოვან ოაზისებს, ხან ალპური ყვავილებით აჭრელებულ ზეგნებს, ხან მომღიმარ სამხრეთის ზღვებს, მას ეტყობა, რომ ბევრი უმოგზაურია. როგორც ჰაგიოგრაფიული ლიტერატურისა, „ქართლის ცხოვრებისა“, ჩახრუხაძის „თამარიანიდან“ ჩანს, მოგზაურობის სიყვარული ერთი უძლიერესი გატაცება ყოფილა შუა საუკუნეების საქართველოში. მოგზაურობდნენ არა მარტო პილიგრიმები, სოვდაგრები, ელჩები, არამედ პოეტები, ბატონიშვილები და მეფეებიც: მაგ. თამარ მეფის შვილიშვილმა ულუ დავითმა, ნაწილობრივ პოლიტიკური გარემოების იძულებით, თითქმის მთელი აღმოსავლეთი შემოიარა: მცირე აზია, ვოლგის მხარე, ციმბირი, მონღოლეთი, მესოპოტამია.

როგორც ბევრის მნახველ და ბევრის განაცად ბრძენს შეეფერება, შოთა რუსთაველი სრულიადაც თავისი გმირების იდეალიზაციას არ ახდენს. თავისი დროის მასშტაბით ის დიდი ოსტატია ადამიანის ხასიათის დახატვაში; მისი გმირების გვერდით მრავალი იმდროინდელი აღმოსავლეთური და ევროპული პოემის და რომანის პერსონაჟი იკონოგრაფიის შთაბეჭდილებას ახდენს. ის გვიხატავს საზოგადოებას, რომელიც საკმაოდ შორს წასულა ინდივიდუალური დიფერენციაციის გზაზე. ვულგარული და ავხორციანი ფატმანის გულში ადგილი რჩება უანგარობისა და თავგანწირულებისათვის; კეთილშობილი და განათლებული ნესტანი, ნაწილობრივ პატრიოტული მოტივების კარნახით, ზნეობრივად გაუმართლებელ სიმკაცრეს იჩენს უდანაშაულო ხვარაზმელი უფლისწულის მიმართ. ტარიელი ხან თითქო ბედის წინაშე ქედმოხრილი და პასიურია, ხან ფიცხელი, გრძნობამორეული და ვნებით ანთებული. არ შეიძლება ითქვას, რომ მეტოქის მოკვლა, რომელსაც მშვიდობიანად ეძინა თავის კარავში, სასიქადულო იყოს მისი ადამიანური ღირსებისათვის. ყოველ შემთხვევაში, ეს საქციელი სრულიად ეწინააღმდეგება რაინდულ მორალს, რომელიც მოსწრებულად გამოთქვა შუა საუკუნეების არაბმა პოეტმა: „ჩემი ტაიჭის ჭიხვინი შირს გაისმის უდაბნოში; მე შეჩვეული არა ვარ მტერთან ფარულად მიპარვას". რაინდული კოდექსის თვალსაზრისით ყოველთვის უძრახველი არ არის არც უფრო წინდახედული და თავდაჭერილი ავთანდილის ყოფაქცევა: ისიც, ფატმანის ჩაგონებით, ფარულად კლავს მის ყოფილ საყვარელს და სჭრის ძვირფასი ბეჭდით შემკულ თითს. საერთოდ ეს ადამიანები, პოეტის მიერ ასე სწორად და მიუდგომლად დახატულნი, ეს მტკიცე ნებისყოფის ქალ-ვაჟნი არავითარი დაბრკოლების წინაშე არ იხევენ და არავითარ საშუალებას არ ზოგავენ, რათა თავიანთ მიზნებს მიაღწიონ.

მაგრამ მეორე მხრივ იგივე ადამიანები არათუ უდიდეს თავგანწირულობას იჩენენ მეგობრობაში, არამედ მტრებსაც კი გასაოცარი ჰუმანიურობით ეპყრობიან. გაიხსენეთ ტარიელის მოპყრობა მუხანათი ხატაელებისადმი, ფარსადან მეფის მსრუნველობა დაჭრილი და დატყვევებული რამაზის მიმართ, ბო-

ლის, ავთანდილის ანდერძი, საუკეთესო ადგილი პოემაში, სადაც პოეტი უმაღლეს პათოსს აღწევს.

ამ გარეგნული წინააღმდეგობის ასახსნელად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რუსთაველის გმირები ორი განსხვავებული მსოფლიოს მიჯნაზე მდგომარე საზოგადოების წარმომადგენლები არიან: ისინი ნაწილობრივ მომავალ შუა საუკუნეებს ეკუთვნიან, ხოლო ნაწილობრივ აღმოცენების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებას, რომელსაც ჰუმანიზმის და მსოფლიო მოქალაქეობის იდეები ახასიათებს. თამარ მეფის და ლაშა გიორგის დროის მოწინავე ფეოდალური რაინდული საზოგადოება ჩვენ გვეხატება, როგორც გაფაქიზებული და ტლანქი ერთსა და იმავე დროს, თავისუფალი რელიგიული ფანატიზმისაგან, მაგრამ მრავალი ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილი; იგი გულგრილად უნდა ეპყრობოდეს საეკლესიო წესებს, ნაწილობრივ სკეპტიკურად უნდა იყოს განწყობილი, ხოლო ნაწილობრივ, შეიძლება, დეისტურად ან პანთეისტურადაც. ამ საზოგადოების მორალი ირყევა სტოიციზმისა და ეპიკურეიზმს შორის; მისი ინტერესი მიმართულია არა მარტო უმაღლესი გონებრივი სიამოვნებისადმი, პოეზიისა, მხატვრობისა, რელიგიური და ფილოსოფიური დისკუსიებისადმი, არამედ აგრეთვე სამხედრო ავანტურებისა, ნადირობისა, ასპარეზობისა, ღვინის სმისა, შორეული და სახიფათო მოგზაურობისადმი. ადამიანმა გარეგნულად დარდიმანდობა შეიძინა, მაგრამ ის ჯერ კიდევ აულაგმავი, პირველყოფილი ინსტინქტების გავლენის ქვეშ იმყოფება. ნადიმის დროს, გაშლილ სუფრაზე მან შეიძლება თავი გამოიჩინოს გონებამახვილი ეპიგრამით, ციტატები მოიტანოს მოციქულებიდან და პლატონიდან, მაგრამ ღამის წყვდიადში ადვილად მახვილს ჩასცემს თავის მტერს, ან თვალს მოსთხრის მას, ასეთი რამ შეემთხვა ლაშა გიორგის, რომელმაც ცალი თვალი დაკარგა რაინდებთან დროსტარებაში.

რელიგიური შემწყნარებლობის მხრით ამ ქართველმა საზოგადოებამ ბევრად წინ გაუსწრო თავის თანამედროვე ევროპულ და ბიზანტიურ საზოგადოებას და, შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე პოეტია შუა საუკუნეებში. ტარიელი და ავთანდილი გარეგნულად თითქო მაჰმადიანები არიან, მაგრამ ისინი ისევე დაშორებული არი-

ან ყოველივე ვიწრო ორთოდოქსიას, როგორც მათი განათ-ლებული თანამედროვეები, მაგ. ბიზანტიელი და ქართველი ნეოპლატონიკოსები, ან კიდევ ირანელი სუფისტები და პან-თეისტები. ტარიელი დიდი ათვალწუნებით ლაპარაკობს ყუ-რანსა და მის კომენტატორებზე. ტარიელთაგან გაპარვის წინ ავთანდილი მიზგითში ლოცულობს, მაგრამ ის მიმართავს არა ალლაჰს, არამედ კოსმიურ ძალას, რომელმაც მიჯნურობა წარმოშვა და მის კანონებს აწესებს. გზაში ის ჰიმნს მიუძღვ-ნის მზეს, „ვის ხატად ღვთისად გიტყვიან ფილოსოფოსნი წი-ნანი". ის შეიძლება, ნიკო მარის თქმისა არ იყოს, გულისხ-მობდეს უძველესი კულტურიდან მომავალ მზის გაღმერთებას, სოლარულ მონოთეიზმს, გაღრმავებულს ნეოპლატონიკოსე-ბის მიერ, რომელთაც ხილული მზე არამატერიალური, გონებ-რივი მზის სიმბოლოდ გამოაცხადეს. იმავე ჰიმნში მთვარე მიჯნურობის სენის გამომწვევად არის გამოცხადებული. მეო-რე სახელგანთქმულ ჰიმნში, რომელსაც იგივე ავთანდილი ხუთ პლანეტას უგალობს მულღაზანზარის გზაზე. თავისებურადაა შეერთებული უძველესი ქალდეური წარმოდგენანი, პტოლო-მეოსის და ნეოპლატონიკოსების იდეები და ქართული წარ-მართობის მოგონებანი.

რაც შეეხება მთავარ ზნეობრივ ძალას, რომელიც „ვეფხ-ისტყაოსნის" მიერ ასახულ საზოგადოებას აკავშირებს, მას, როგორც ცნობილია, მეგობრობა წარმოადგენს. აქ მეგობრო-ბა გაგებულია სტოიკური ფილოსოფიის მიხედვით, ე. ი. რო-გორც სულიერი ნათესაობა, დამოუკიდებელი ეროვნული და სარწმუნოებრივი ზღუდეებისაგან. უანგარო და აქტიური მე-გობრობის განხორციელებას, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირ-ველია, ავთანდილი წარმოადგენს: ის იდეალური ძმადნაფიცია; მაგრამ მისი პარალელები ასე თუ ისე ბევრი გვხვდება იმ-დროინდელ დასავლეთ ევროპულ და აღმოსავლურ მხატ-რულ ლიტერატურაში: მაგალითად, ერთგული ძმადნაფიცია კაჰერდინი „ტრისტანსა და იზოლდაში", ნოფალი „ლეი-ლასა და მეჯნუნში". ვეფხისტყაოსნის" თავისებურება შეიძ-ლება მდგომარეობდეს არა იმდენად ძმადნაფიცობაში, რამ-დენადაც და-ძმადნაფიცობაში; ამის საუცხოო გამოხატულებაა ტარიელისა და ასმათის მეგობრობა, იშვიათი ზნეობრივი კავ-

შირი, რომელიც უდიდეს თავგანწირულებას გულისხმობს ქალის მხრივ.

მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ რუსთაველის რწმენით, მეგობრობის მომენტი შემადგენელ ნაწილად შედის თვით ტრფობაშიც. ნესტანი და ტარიელი, თინათინი და ავთანდილი მარტო მიჯნურები კი არა, მეგობრებიც არიან. ისინი ერთმანეთს ისე უცქერიან, როგორც თანასწორნი თანასწორთ. მათთვის უცხოა ის ფსიქოლოგია, რომელიც შუა საუკუნეების რაინდს ხშირად თავს ამცირებინებდა საყვარელი მანდილოსნის წინაშე; მათთვის გაუგებარია ის ფსიქოლოგიაც, რომელიც ვნებით ანთებულ ელიოზას ათქმევინებდა აბელარის მიმართ:— მე მესიამოვნება შენს ნანდაურად, საყვარლად, გასართობად, ხასად, გარყვნილ ქალად ვიწოდებოდეო.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მეგობრობის გრძნობა კი არ უარყოფს, პირიქით, გულისხმობს ვაჟის მოკრძალებას საყვარელი ქალის მიმართ. თავდაჭერილობა, მოთმინება, გულისთქმის დამალვა უდიდეს სათნოებადაა აღიარებული. ამის საუკეთესო ილუსტრაცია არის უსიტყვო სცენა, სადაც შეყვარებული ნესტანისა და ტარიელის პირველი შეხვედრაა გადმოცემული: ასმათის თანდასწრება, მდუმარე ნესტანის ალერსიანი თვალების გამომეტყველება, ნესტანის მიერ ასმათის მიხმობა და ამ უკანასკნელის მიერ შემკრთალი და ალმოდებული ტარიელის გასტუმრება ამ სცენას დიდ ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას ანიჭებს; მასში უეჭველად მაღალი ფეოდალური წრის ყოფა-ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი მომენტი დიდი რეალიზმითაა ასახული.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგია მრავალ წერტილში თანაემთხვევა დასავლეთ ევროპის რენესანსის იდეოლოგიას, მაგრამ მისი ძირითადი მორალური ტენდენცია მაინც მკაფიოდ ანტიბურჟუაზიულია. „ვეფხისტყაოსანი“ ასახავს ძალიან მდიდარ საზოგადოებას, მკითხველს თითქმის ყოველ გვერდზე თვალს სჭრის ოქრო-ვერცხლის ბრჭყვიალი და თვალ-მარგალიტის ციმციმი. ეს თამარ მეფის დროის ფეოდალურ-რაინდული საზოგადოებაა, გამდიდრებული არა იმდენად აყვავებული აღებ-მიცემობით და მრეწველობით, რამდენადაც ბედნიერად დასრულებული სამ-

ხედრო ექსპედიციებით. თამარ მეფის ისტორიკოსი მოგვითხრობს, შამქორის ომის შემდეგ ტყვეები და ნადავლი დიდების ველზე განაწყეს და ლარაკიდებულმა ცხენებმა და ჯორ-აქლემებმა მთელი მანძილი დაიპირეს ქალაქის კარიბჭიდან დაწყებული გლდანის ხევამდე; ბოლოსტიკეს ომის შემდეგ მეფის პალატებში ვერცხლის ჭურჭელს პატივი აღარ ჰქონდა, ყოველივე ოქროსა და ბროლისა იყო, ინდური ქვებით შემკული. სწორედ ასეთივე ამბებია აწერილი „ვეფხისტყაოსნის" მრავალ ადგილას. პოემის გმირები ოქრო-ვერცხლს მეკობრეებივით ხვეტავენ, ამიტომ მას მეკობრეებითვე ათვალისწუნებულად აფასებენ. მათი დამოკიდებულება სიმდიდრისადმი გამოხატულია მრავალ სცენასა და მორალურ სენტენციაში, მაგრამ ყველაზე დამახასიათებელია ცნობილი აფორიზმი: „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია".

ამ მხედრულ-რაინდული ფსიქოლოგიის სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენს კაპიტალის დაგროვების სული, რომელმაც დასავლეთ ევროპაში თავი ადრე იჩინა, მაგრამ განსაკუთრებით რენესანსის ეპოქაში გაძლიერდა, როცა ის ოქროს ძიების ციებ-ცხელებაში გადავიდა. ამ ახალმა ბურჟუაზიულმა სულმა გამოიწვია ამერიკის აღმოჩენა, აფრიკის ირგვლივ შემოვლა, მექსიკოს და პერუს დაპყრობა, კოლონიური იმპერიების შექმნა, ბოლოს მსოფლიო აღებ-მიცემობის და ინდუსტრიის აყვავება. ყოველივე ეს შეუძლებელი იქნებოდა, თუ ბურჟუაზიული კულტურის პიონერები, რენესანსის ეპოქის მოგზაურები, აღმომჩენლები და დამპყრობლები ტარიელივით და ავთანდილივით იმ აზრის ყოფილიყვნენ, რომ ძვირფასი ნივთი უნდა დაფასდეს მხოლოდ როგორც ლამაზი ქალის ან ვაჟის სამკაული, რომ მთელ ქვეყნად ფასობს კარგი ჯაჭვ-მუზარადი, იარაღი და საჯდომი ცხენი.

1937

სიბრძნე ბალავარისა

ძველი და ახალი შენიშვნები

„სიბრძნე ბალავარისა“ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ლიტერატურული ძეგლია. იგი, პირველი შეხედვით, თითქო ჰაგიოგრაფიული მწერლობის დარგს ეკუთვნის, მაგრამ როგორც თავისი შინაარსით, ისე თავისი ფორმით არსებითად განსხვავდება ამ დარგის ცნობილი ტიპიური ნიმუშებისაგან. რელიგიური მოღვაწეების, ბალავარის და იოდასაფის ბიოგრაფიასა, მათი ცხოვრების და ღვაწლის აღწერასთან ერთად ის შეიცავს თეოლოგიური და მორალური ხასიათის მსჯელობათ, რაიცა მას ღრმა თეორიულ ღირებულებას აძლევს. ავტორი მსჯელობს, ანუ უკეთ ვთქვათ, თავისი მოთხრობის მოქმედ პირებს ალაპარაკებს დოგმატიკურ ან ეთიკურ საკითხებსა, ღვთის არსებობასა, სულის უკვდავებასა, მატერიის და სულის ურთიერთობასა, საიქიო ცხოვრებასა, საამქვეყნო ცხოვრების სიამოვნებათა მიმღეობასა და უარყოფასა. პიროვნებისა და მორწმუნეთა კრებულის ურთიერთობაზე და სხვა. ეს საკითხები სპირიტუალისტური ფილოსოფიის და ასკეტური მორალის თვალსაზრისითაა განხილული. ამქვეყნიური ცხოვრება წარმოდგენილია ვითარცა აჩრდილი, რომელიც წარვალს, და ვითარცა კვამლი, რომელიც განქარდების.

მაგრამ ამ ნაწარმოების ავტორი არის არა მარტო ღრმა მოაზროვნე, რომელიც საუცხოოდ ერკვევა რელიგიურ და ეთიკურ საკითხებში, ის აგრეთვე დიდი მხატვარიცაა: ის დრამატიულად ანვითარებს თავის სიუჟეტს და მასში, თავისი აზრების გასამტკიცებლად, დიდი ხელოვნებით ურთავს არაკებს ან პატარა ნოველებს, რომელნიც ამ ნაწარმოებს განსაკუთრებით საინტერესო საკითხავ წიგნად ხდიან. როგორც თავისი იდეოლოგიით, ისე მხატვრული ფორმის შეგრძნობით ავტორი ეკუთვნის ორი დიდი სამყაროს, ბუდისტური აღმოსავლეთის და ქრისტიანული დასავლეთის მიჯნაზე. მისი შეხედულება აშკარად ორი უდიდესი მსოფლიო რელიგიის, ბუდიზმის და ქრისტიანობის, გავლენის ნიშანს ატარებს.

თუმცა „სიბრძნე ბალავარის“ გარშემო თითქმის ყველა კულტურულ ენაზე მრავალი მეცნიერული გამოკვლევა დაიწერა, მაგრამ მისი წარმოშობის საკითხი დღემდე საბოლოოდ არაა გამორკვეული. წიგნში მოთავსებულია ქრისტიანობის გავრცელების ამბავი ინდოეთში მეფისწულის იოსაფატის ანუ იოდასაფის მიერ, ეს სახელი ბუდის ანუ ბოდისატვის შეცვლილ ფორმას წარმოადგენს. ევროპელ მეცნიერთა ერთი დიდი ჯგუფი იმ აზრისაა, რომ მოთხრობის პირვანდელი ვარიანტი დაწერილი უნდა ყოფილიყოს ფალაურ ენაზე და ბას თავდაპირველად წმინდა ბუდისტური ტენდენცია უნდა ჰქონდეს. შემდეგ ის თითქო მეექვსე-მეშვიდე საუკუნეში ფალაურიდან სირიელმა ქრისტიანებმა თავიანთ დედა ენაზე გადათარგმნეს, ინდოელი პრინცი და რელიგიური მოღვაწე ქრისტიან წმიდანად აქციეს და მთელი ნაწარმოების იდეოლოგია ქრისტიანული დოგმატიკურ-მორალური აზროვნების მოთხოვნილებათ შეუთანხმეს. მაგრამ რადგან არც ფალაური და არც სირიული ვარიანტი დღემდე აღმოჩენილი არ არის და არც რაიმე ნიშანი არსებობს, რომ ისინი მომავალში აღმოჩნდებიან, ზემომოყვანილი აზრი ამ მოთხრობის წარმოშობის შესახებ ჰიპოთეზად რჩება.

თუმცა დღეს მიუღებლად უნდა ჩაითვალოს ე. თაყაიშვილის მიერ ფრთხილად გამოთქმული მოსაზრება, რომ „სიბრძნე ბალავარის“ ავტორი შეიძლება საბას ლავრაში მცხოვრები ქართველი ბერი ყოფილიყოს და ეს მოთხრობა თავდაპირველად ქართულად დაწერილიყოს და არა სხვა რომელიმე ენაზეო, მაგრამ ქართულ რედაქციას მაინც უდიდესი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ქართული ვარიანტი ყველაზე ნაკლებ დატვირთულია სქოლასტიკურ-ღვთისმეტყველური ელემენტებით; თავისი უშუალობით და არქაულობით ის ყველაზე ახლო დგას ქრისტიანული აზროვნების პირველწყაროებთან. ამას გარდა დღეს აუცილებლად დამტკიცებულად უნდა ჩაიოვალოს, რომ ყველა შემდგომი ქრისტიანული რედაქცია ბერძნული, ლათინური და ახალევროპული, ქართული ვარიანტიდან მომდინარეობს. ევროპელმა მეცნიერებმა და შალვა ნუცუბიძემ ურყევი საბუთით დაამტკიცეს, რომ სწორია გიორგი მთაწმინდელის ცნობა, რომელიც ევთიმე მთაწმინდელის

ცხოვრების აღწერაში ამბობს, ამ უკანასკნელმა ქართულიდან ბერძნულად, სხვათა შორის, „სიბრძნე ბალავარისა“ თარგმნაო. როგორც ცნობილია, ანალოგიური ცნობა ევთიმე მთაწმინდელის მიერ ამ მოთხრობის ბერძნულად გადათარგმნის შესახებ მოიპოვება ორ ძველ ბერძნულ ხელნაწერშიც (ვენეციის წმ. მარკოზის და პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკებში).

მაგრამ ევთიმე მთაწმინდელის მიერ შესრულებული ბერძნული რედაქცია არ წარმოადგენს „სიბრძნე ბალავარის“ ქართული ვარიანტის ზუსტ თარგმანს. მას ის შეუვსია, განუვრცია, დაუტვირთავს დოგმატიკური მსჯელობებით და ქრისტიანი ბერძენი მწერლებიდან ნასესხები ციტატებით. დაახლოებით ოცი წლის შემდეგ ევთიმე მთაწმინდელის სიკვდილიდან, მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში „სიბრძნე ბალავარისა“ უკვე ბერძნულიდან ლათინურად უთარგმნიათ, ან უკეთ ვთქვათ, გადაუკეთებიათ. ლათინური ენიდან მოთხრობა ახალევროპულ ენებზე გადაითარგმნა და საერთოდ მთელი ევროპული ქრისტიანული სამყაროს კუთვნილებად იქცა.

„სიბრძნე ბალავარისა“ საყვარელ საკითხავ წიგნად ითვლებოდა მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და, როგორც ხელნაწერთა შედარებითი სიმრავლე ამტკიცებს, ის პოპულარული ყოფილა ძველ ქართველ საზოგადოებაშიც. დასავლეთ ევროპაში მან გავლენა მოახდინა არა მარტო ფილოსოფიურ აზროვნებასა და მორალურ შეგნებაზე, არამედ მხატვრულ ლიტერატურაზეც. კერძოდ, ესპანელი დრამატურგების ლოპე დე ვეგას „Barlan y Josafa“ და კალდერონის „La vida es cueno“ (ცხოვრება სიზმარია) თითქო „სიბრძნე ბალავარის“ ზეგავლენის ნიშანს უნდა ატარებდეს.

***

ისეთი ლიტერატურული ნაწარმოების წარმოშობა, როგორიც „ბალავარის სიბრძნეა“, პირველი შეხედვით, ძნელად გასაგებ მოვლენას წარმოადგენს, დაახლოებით ოცი საუკუნის წინათ იორდანეს ნაპირებზე, ხოლო ოცდახუთი საუკუნის წინათ განგის ნაპირებზე შეიქმნა რელიგიური სისტემები, რო-

მელნიც თავიანთი ფილოსოფიური სიღრმით და ზნეობრივი შინაარსით ყველა სხვა რელიგიურ სისტემას სჯარბობენ. ბუდაც და ქრისტეც რეფორმატორის როლში გამოვიდნენ, პირველი ბრამანიზმის, ხოლო მეორე იუდაიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მათ მიერ წარმოებული რეფორმა, უწინარეს ყოველისა, მორალის დარგს შეეხო: მათ ან თითქმის ხელუხლებლად დასტოვეს, ძველი კოსმოგონიური და მეტაფიზიკური შეხედულებანი, ან კიდევ მათი განახლება მომდევნო თაობებს უანდერძეს.

ქრისტიანული კოსმოგონია და მეტაფიზიკა რადიკალურად განსხვავდება ბუდისტური კოსმოგონიისა და მეტაფიზიკისაგან. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქრისტიანობას ბრძოლის წარმოება უხდებოდა წარმართულ პოლითეიზმთან, ებრაულ მონოთეიზმთან, მაჰმადიანობასთან, მწვალებლურ სექტებთან; ბუდიზმთან კი მას თითქოს მჭიდრო ურთიერთობა არ ჰქონია არც ტერიტორიის, არც იდეოლოგიის დარგში. ეს უდიდესი რელიგიები, რომელთაც დღეს თითქმის მთელი კაცობრიობის ნახევარი აღიარებს, წარმოშობისთანავე ერთმანეთს საკმაოდ დაშორებული იყვნენ ტერიტორიულად. ვერც ერთმა მათგანმა საბოლოოდ ფეხი ვერ მოიკიდა თავის პირვანდელ სამშობლოში: მათ თითქოს ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და პალესტინიდან გაძევებულმა ქრისტიანობამ წინა აზია და ევროპა დაიპყრო, ხოლო ინდოეთიდან გაძევებულმა ბუდიზმმა — ტიბეტი, მონგოლეთი, ჩინეთი, იაპონია, ბირმა და ცეილონი. ამრიგად წარმოიშვა ორი უზარმაზარი მსოფლიო, რომელნიც თითქმის სრულიად უცხონი არიან ერთმანეთისათვის.

მაგრამ როგორც ეტყობა, ეს ყოველთვის ასე ყოფილა: მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევრამდე, სანამ მაჰმადიანობა თავის ძლევამოსილ მსვლელობას დაიწყებდა და ქრისტიანულ დასავლეთსა და აზიის კონტინენტს შორის სოლივით შეიჭრებოდა, ქრისტიანებსა და ბუდისტებს მშვიდობიანი შეხვედრები უნდა ჰქონოდეთ ირანის, სირიის ან თვით ინდოეთის მიწაწყალზე. ხვეთა შორის, ასეთი შეხვედრები შეიძლებოდა მომხდარიყო სახელოვანი შაჰის ხოსრო ანუშირვანის კარზე (531—570), სადაც ნეოპლატონიკოსები, ნესტორიანელები,

მანიქეველები იყრიდნენ თავს. ამ შეხვედრების ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანული და ბუდისტური ფილოსოფიურ-მორალურ შესედულებათა ორიგინალური სინთეზი, რომელიც საფუძვლად უდევს „ბალავარის სიბრძნეს“.

ამ სინთეზის შექმნა ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან, წინააღმდეგ ქრისტიანული აზროვნებისა, ბუდიზმი არ სცნობს, რომ სამყარო შემოქმედი ღმერთის მიერ იყოს გაჩენილი და ნაწილობრივ კეთილი საწყისის განხორციელებას წარმოადგენდეს. მაშინ, როდესაც უდიდესი ქრისტიანი ფილოსოფოსი წმინდა ავგუსტინე ამტკიცებდა, სამყარო კეთილი ღმერთის მიერ არარაობისაგან არის გაჩენილი და თავის თავში პოზიტიურ და ნეგატიურ ელემენტს შეიცავსო, ბუდიზმი სამყაროს არსებითად მხოლოდ არარაობად და ბოროტებად სთვლიდა. ბუდიზმი ყველაზე პესიმისტური რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემაა, რომელიც კაცობრიობას ოდესმე შეუმუშავებია. ის, რაც ჩვენ რეალობად გვეჩვენება, ბუდიზმის შეხედულებით მხოლოდ მოჩვენება და ცთუნებაა, მაიას საბურველი, მთრთოლვარე ფერების და ფორმების ბალღური თამაში. თვით ადამიანის სიცოცხლე მხოლოდ ციებცხელებიანი სიზმარია, უდიდესი ბოროტება დაბადებაა, ხოლო უდიდესი სიკეთე — არყოფნა.*

ადამიანის ტანჯვა არ ისპობა თვით სიკვდილის შემდეგაც: მას დაუსრულებელი მიგრაცია, დაუსრულებელი გარდახორციელება ელის: ის შეიძლება, ოცდარვა ჯოჯოხეთის გავლის შემდეგ, ხელახლა მიწიერი არსებობის ვიწრო საკანში დაბრუნდეს და ისიც უკანასკნელი ვიგინდარის ძონძებში გახვეული, ან, რაც კიდევ უფრო სავალალოა, ქვის, მცენარის, ჭიის, გომბეშოს, ჯოჯოს სახით, შეიძლება მამაკაცს უბედურება ეწვიოს და ქალად იქცეს, მაგრამ ისიც. შეიძლება, რომ სრულქმნილი ქალი მამაკაცად გარდახორციელდეს.

როგორ შეუძლია ადამიანს თავი დააღწიოს ამ საშინელ პერსპექტივას, გავიდეს არა მარტო ცხოვრებიდან, არამედ არსებიდანაც და საბოლოო მიზანს — არყოფნას მიაღწიოს?

---

* შეად. ი. ტენის წერილი „ბუდიზმი“, მოთავსებული მის „ახალ კრიტიკულ და ისტორიულ ეტიუდებში“.

ამისათვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს: უარის თქმა თავის განცალკევებულ არსებობაზე, თავის მეობაზე, ყველა მიწიერი ილუზიის უარყოფა, ყველა გრძნეული გულისთქმის ჩახშობა, ბოლოს, რაც მთავარია, თვით სიცოცხლის ნებისყოფის დათრგუნვა და აღკვეთა. ამრიგად, ადამიანი ბუდისტური ზეცის უფორმო და უფერადო სფეროში — ნირვანაში ადის, სადაც მას სამოთხის ნეტარება კი არ ელის, არამედ განთავისუფლება ყოველი აზრისა და უაზრობისა, ყოველი ტანჯვისა და სიამოვნებისაგან, და სადაც მისი სული უსაზღვრო სიცარიელეში ინთქება.

ძნელია რომელიმე მეორე მსოფლმხედველობის წარმოდგენა, რომელიც ისე დაშორებული იყოს ქრისტიანობას, როგორც ეს უკიდურესად პესიმისტური მსოფლმხედველობაა. მით უფრო გასაოცარია, რომ ამ რელიგიებმა რამდენიმედ მაინც საერთო ენა გამონახეს წმინდა ზნეობრივი მოძღვრების დარგში.

როგორც ახალგაზრდა უფლისწულს შეეფერებოდა, საკია მუნი, გადმოცემის თანახმად, ნებიერ ცხოვრებას ატარებდა, სანამ ის ბუდა, ე. ი. ცნობიერი და ნათელმოსილი გახდებოდა. მას ცოლ-შვილი ჰყავდა. სასახლის გალავანმა ის ვერ დაიცვა, რომ სნეულებისა და სიბერისაგან მიხრწნილი ადამიანები და სამგლოვიარო პროცესიები დაენახა. ოცდაცხრა-ოცდაათი წლის ასაკში საკია მუნიმ დაიწყო სიბერის და სიკვდილის ამოცანაზე დაფიქრება, რამაც მას ჭაბუკური მხიარულება წაართვა. მან თმა და წვერი მოიპარსა, ყვითელი ტანისამოსი ჩაიცვა და საღარიბო მოგზაურობა დაიწყო ჯამით ხელში.

ქრისტეს მსგავსად ბუდაც ტანჯულ კაცობრიობას მსხნელად, მაცხოვრად მოევლინა. ქრისტეს მსგავსად ბუდაც თავისი ქადაგებით მთელ ხალხს მიმართავდა კასტის, ეროვნების და სქესის განურჩევლად: მეფეებს და პარიებს, ბრამანებს და ხელოსნებს, ქალწულებს და მეძავ ქალებს.

ისევე, როგორც ქრისტიანობაში, ბუდიზმში უპირველესი მცნება მოყვასის შეწყალება და სიყვარულია. სოციალური ან რასობრივი ზღუდეები გადალახულია და კაცობრიობა წარმოდგენილია როგორც ძმური გაერთიანება. ბუდისტი ამ სიყვარულის კავშირს უფრო ფართოდ ავლენს, ვიდრე თვით ქრისტიანი, ის მას ცხოველებზედაც ავრცელებს. თავმდაბლო-

ბა, ბოროტებისათვის წინააღმდეგობის გაუწევლობა უდიდეს სათნოებად არის მიჩნეული. დაგმობილია ყოველი სისხლის ღვრა, თვით დავდაცვითი ომიც. გამოცხადებულია, რომ ხსნა უფრო ძნელია მდიდრებისათვის, ვიდრე ღარიბებისათვის, რომ მისი მიღწევა მხოლოდ პირადი ზნეობრივი ღვაწლით შეიძლება. ბოლოს, დამახასიათებელია, რომ ბუდას შობაც, ლეგენდის მიხედვით, უმანკო ჩასახვის შემწეობით ხდება: როდესაც მან გადაწყვიტა ამქვეყნად მოვლენილიყო, მთელ სამყაროს გადაავლო თვალი და აირჩია ერთი დიაცი მაიადევი, რომლის წიაღში ჩაანათა ხუთფერიანი სინათლის სახით.

ბუდიზმის და ქრისტიანობის დამოკიდებულება ქალისადმი ორმაგია: მათ გააუმჯობესეს ქალის მდგომარეობა, მაგრამ ამასთანავე ის ბოროტების ჭურჭლად გამოაცხადეს. ყველაზე დიდი ცთუნება, რომელიც ადამიანს შეიძლება ცხოვრების გზაზე შეხვდეს, სქესობრივი ცთუნებაა. ბუდიზმის ცნება, რომ მორწმუნე მამაკაცმა სულ არ უნდა შეხედოს გზათ მიმავალ დიაცს, ხოლო თუ შეხედავს, ხნიერში თავისი დედა, ახალგაზრდაში თავისი და უნდა დაინახოს, რომ სქესობრივ ურთიერთობაში ის უმწიკვლო ლოტოსად უნდა დარჩეს, ქრისტიანული მორალის მცნებას მოგვაგონებს.

რამდენიმე ეპიზოდი ბუდას ცხოვრებიდან და „ბალავარის სიბრძნიდან“ საუკეთესოდ ასურათებს ამ ორმაგ დამოკიდებულებას ქალისადმი.

ბუდას ბიოგრაფია მოგვითხრობს, ერთმა მდიდარმა მეძავმა ქალმა გაიგო, რომ ბუდა თავის მოწაფეებითურთ მახლობელ ქალაქში იმყოფებოდა და ისინი თავის სახლში მიიპატიჟაო. ბუდამ უარი უთხრა კეთილშობილ ჭაბუკებს, რომელთაც იგი იმავე დღეს ნადიმზე მიიწვიეს, და მეძავ ქალს ესტუმრა თავის სულიერი ძმებითურთო. მეძავმა ქალმა მათ თავისი ხელით მიართვა ტკბილი ბრინჯი და ნამცხვარი, ხოლო შემდეგ ბუდას ფეხებთან დაჯდა; რათა მისი დარიგება მოესმინაო. „მოძღვარო, ამ სახლს მე ვუძღვნი გლახაკთა საზოგადოებას, რომელსაც შენ ხელმძღვანელობ“, უთხრა მან ბუდას. და ბუდამ სიამოვნებით მიიღო ეს ძღვენი.*

* ღმერთის და მეძავი ქალის სიყვარული პოეტურად გამოჰხატა გოეთემ თავის ბალადაში „ღმერთი და ბაიადერა“.

„სიბრძნე ბალავარისაში“ მოთხრობილია, რომ აბენეს მეფემ თავის ვაჟს იოდასაფს უმშვენიერესი და უსაწადლესი ქალები მიუჩინა, მემგოსნენი და მეჩანგენი, რათა მასში სქესობრივი გულისთქმა აღეძრა. მათ ბევრი იცეკვეს და იმღერეს მის წინაშე, ბევრი ქება შეასხეს სტვირითა და ჩანგით, მაგრამ, როგორც კი იოდასაფი სქესობრივ გულისთქმას იგრძნობდა, მაშინვე სანთელს აანთებდა, თითს მიუპყრობდა და თავის თავს ეტყოდა: „ჰოი, იოდასაფ საწყალო, უკეთუ ვერ დაუდგამ აწ ცეცხლსა შენსავე აღნთებულსა და კვალად დამრეტადსა, ვიდრე დაუდგნე ცეცხლსა დაუშრეტელსა და ვითარ მოითმენ ბნელსა მას გარესკნელსა? აწ დასცხერ ბოროტისაგან და ცოდვისა“.

სქესობრივი გრძნობა სტიქიონური სიძლიერით მოქმედობს ადამიანზე. „სიბრძნე ბალავარისაში“ ერთი დამახასიათებელი ეპიზოდია გადმოცემული. ერთმა მეფემ ბნელ გამოქვაბულში მოათავსა ახლად დაბადებული ვაჟი, რადგან მკურნალებმა ურჩიეს ათ წლამდე მზის შუქი არ ეჩვენებინათ მისთვის, რათა მას თვალის სინათლე არ მოჰკლებოდა. როდესაც ათი წლის შემდეგ ყმაწვილი ბნელეთიდან გამოიყვანეს, მან, სხვათა შორის, დაინახა ქალები და მათი ვინაობა იკითხა. მას უპასუხეს, ეშმაკნი არიან, რომელნიც წარსწყმედნენ კაცსაო. მაგრამ უფლისწული უკვე სქესობრივი გულისთქმით იყო შეპყრობილი და თქვა: არა. რაი ვიხილე უმშვენიერეს და უსაწადლეს იმა ეშმაკთაო.

ბუდა ქრისტიანობასთან ახლო დგას აგრეთვე ოჯახის, კერძო საკუთრების და გრძნობად სიამოვნებათა უარყოფით და ასკეტიზმის ქადაგებით. მის მიერ დაარსებული ასკეტური ორდენი ქრისტიანულ დასავლეთში წარმოშობილ საღარიბო ბერმონაზნურ ორდენებს ჰგავს. მხოლოდ რვა საგანი სჭირდება აუცილებლად მართლმორწმუნე ბუდისტს: დაფლეთილი ტანისამოსის სამი ნაჭერი, რომელიც მან შეიძლება სადმე სანაგვე ყუთში აკრიფოს, სარტყელი, სამათხოვრო ჯამი, წყლის სურა, ნემსი და სამართებელი.

ამ მორალმა, რომელიც დღეს არაბუნებრივად და არაადამიანურად გვეჩვენება, თუმცა ის უნივერსალური სიყვარულის და სიბრალულის პრინციპზეა დაყრდნობილი, საუკეთესო

მხატვრული განსახიერება ჰპოვა „ბალავარის სიბრძნეში“. ამ მოთხრობის მთავარი მოქმედი პირი უფლისწული იოდასაფი იგივე ბუდაა, მხოლოდ გაქრისტიანებული. მისი თავგადასავალი ბუდას თავგადასავალს მოგვაგონებს. ვერავითარი საგანგებო ღონისძიებანი, თვით მეფის მიერ მისთვის აშენებული სალხინო ქალაქი, მისთვის მიჩენილი აღმზრდელი და მცველები მას, ბოლოს, ხელს ვერ უშლიან ამქვეყნიური ცხოვრების სწრაფლწარმავლობა და ამაოება შეიგნოს. ის უარს ამბობს სამეფო ტახტზე, ფლასით შეიმოსება და მძოვრებთან ანუ მეუდაბნოებთან მიდის, რათა მათთან ერთად ქრისტეს სჯული იქადაგოს.

უნდა ითქვას, რომ ასკეტის იდეალი, რომელიც ბალავარის და იოდასაფის სახითაა წარმოდგენილი, სრულიად ეწინააღმდეგება სრულქმნილი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი ადამიანის იდეალს, რომელიც კლასიკურ საბერძნეთში შემუშავდა, რენესანსის ეპოქაში განახლდა და რამდენიმედ თანამედროვე კაცობრიობის იდეალსაც წარმოადგენს. ის ეწინააღმდეგება იმ ჰეშმარიტ ჰუმანისტურ წარმოდგენასაც ადამიანობაზე, რომელიც ქართველმა ერმა შექმნა თავისი ისტორიის ბედნიერ პერიოდში. ამის ნათელსაყოფად საკმაოა ბუდისტ-ასკეტის გარეგნობა გავიხსენოთ: „ხოლო ბალავარ განიძარცუა სამოსელი იგი, რომელი ემოსა ზედა კერძო, და იყო ყოველი გუამი მისი გამხმარ და დამჭკნარ და ტყავი ოდენ ეკრა ძუალთა ზედა; ყოველი ასო აღირიცხოდა; ხოლო ემოსა ნახეთქი რაიმე ძაძისაი, რომელი შემოედვა უპითგან ვითარცა ნახევარ წვივამდე“.

იოდასაფი ქრისტიანული და ბუდისტური ეთიკის ძირითად მცნებას გამოჰხატავს, როდესაც ამბობს: „ესე არს მცნება ღვთისა, რათა რომელი გინდეს თავისა შენისათვის, უყო მოყვასსაცა შენსა და რომელი შენ არ გინდეს, სხვას არა უყო“. ჰირვანდელი ქრისტიანობისა და ბუდიზმისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ერთგვარი ეკლესიური დემოკრატიზმის ქადაგება, იმ შეხედულების დაცვა, რომ მეფენი და მონანი, ერისთავნი და ერნი თანასწორნი არიან ღვთის სამსჯავროს წინაშე.

მაგრამ „ბალავარის სიბრძნეში“ არის სტრიქონები, სადაც ავტორი თითქოს ეკამათება ბუდიზმს. ასეთია, მაგალითად, ის

ადგილები, სადაც ის მკვდრეთით აღდგომაზე ლაპარაკობს, როდესაც უზენაესი მსაჯული ყოველ ადამიანს მისი ღვაწლის მიხედვით მიუსჯის. მეორედ მოსვლის იდეა, ამრიგად გამოხატუტული, სრულიად უცხოა ბუდისტური აზროვნებისთვის. ხოლო განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ადგილი, სადაც ავტორი იმ საბუთით, რომლის მსგავსი ჯერ კიდევ კლასიკური ეპოქის და შუასაუკუნეების მოაზროვნეებმა წარმოადგინეს, ღვთის არსებობის დამტკიცებას სცდილობს: როგორც რაიმე ჭურჭლის ან შენობის დანახვა ჩვენში მეჭურჭლის ან ხუროთმოძღვრის იდეას იწვევს, თუნდაც თვით მეჭურჭლე და ხუროთმოძღვარი არ გვენახოს, ისე ცისა და ქვეყნის ხილვიდან ჩვენ ვასკვნით, რომ სამყაროსაც ჰყავს შემოქმედი, რომელმაც, ადამიანიც დაბადა და გამოჰხატა მისდა დაუკითხავად და რომელიც მას მისსავე დაუკითხავად გაიყვანს ამ ცხოვრებიდან. „უკეთუ მე ვიყავ დამბადებელი თავისა ჩემისაი, უმეტესმცა ვყავ თავი ჩემი სიმშვენიერითა და სისრულითა ჰასაკისათა: ხოლო რომელმან დამბადა, მყო რომელთამე უდარეს, ან რომელთამე უმჯობეს“.

ცხადია, რომ მოთხრობის ავტორი აქ ქრისტიანული აზროვნების საფუძველზე დგას და ლამობს გააბათილოს ბუდისტური მოძღვრება, რომელიც პირველადი მატერიის და პირველადი მიზეზის ე. ი. შემოქმედის არსებობას უარყოფს. ქრისტიანული აზროვნების თვალსაზრისით იგი ებრძვის აგრეთვე ადამიანის გაღმერთების იდეას, რომელსაც, მისი შეხედულებით, აუცილებლად მივიღებთ, თუ სამყაროს შემქმნელი და მომწესრიგებელი უზენაესი ძალის არსებობა უარვყავით.

***

„ბალავარიანის“ არაბული პროზაული რედაქცია, რომელიც გამოჩენილ ორიენტალისტ ბარონ როზენს გადაუთარგმნია რუსულად და 1947 წ. გამოქვეყნდა აკადემიკოს კრაჩკოვსკის რედაქციით, დაახლოებით ოთხჯერ უფრო ვრცელია, ვიდრე ქართული. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, „ბალავარის სიბრძნის“ არაბული პროზაული რედაქცია შესრუ-

ლებული უნდა იყოს ბაღდადში მერვე საუკუნის მეორე ნახევარში, სახელოვანი ხალიფის ჰარუნ-ალ-რაშიდის დროს, როდესაც არაბულმა კულტურამ თავის მწვერვალს მიაღწია. ამავე ეპოქას უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე არაბული გალექსილი ვარიანტი, შესრულებული ცნობილი პოეტის ლახიკის მიერ.

„ბალავარის სიბრძნის“ არაბი რედაქტორიც წარმართულ რელიგიას ებრძვის, ისევე როგორც ქართველი, მაგრამ არა ქრისტიანობის და არა მაჰმადიანობის, არამედ საერთოდ მონოთეიზმის თვალსაზრისით. ის არაფრით არ ამბობს, რომ მუსლიმანია და ყურანს იცნობს; მაგრამ მას საუბროდ უცვნია თავის ვარიანტში შეეტანა სახარების იგავი მთესავზე, რომელიც ქართულშიც არის, ბერძნულშიც და ლათინურშიც. მისი გემოვნება ყოველთვის არ დგას მისი განათლების სიმაღლეზე. ის ძალიან სიტყვამრავალია: თავის მოთხრობას ართულებს და აბუნდოვანებს სქოლასტიკური მსჯელობებით რაობასა და არარაობასა, სიკვდილსა და სიცოცხლესა, ჯანმრთელობასა და სნეულებასა, დიდებასა და დამცირებაზე და სხვ. მაგრამ მას ხელუხლებლად დაუტოვებია მოთხრობის ბუდისტური ფილოსოფიური საფუძველი.

არაბულ ვარიანტში ვკითხულობთ: „ბუდასფმა თქვა: რას ჰგავს ყველაზე მეტად საქაო ცხოვრება? ბალაუხარმა თქვა: მძინარე კაცის სიზმრებს“.

არაბულ ვარიანტში შეტანილია რამდენიმე არაკი, რომელნიც ქართულში არ მოიპოვებიან, შეიძლება იმიტომ, რომ ისინი არ იყვნენ მოთხრობის პირველ წყაროში, ან შეიძლება იმიტომ, რომ ქართველი მთარგმნელის თუ რედაქტორის ზნეობრივი გრძნობა და გემოვნება ვერ შეგუებია მათ. ერთ არაკს შეიძლება ვუწოდოთ „არაკი მაიმუნების მიერ აღზრდილ უფლისწულებზე“.

ერთმა მეფემ თავისი მტრების ქვეყანა დალაშქრა, დაარბია და უკან დაბრუნდა დიდი ნადავლით. მას თან წაყვანილი ჰყავდა ორი პატარა ვაჟიშვილი, ისინი მას ჩამორჩნენ და გზას აცდნენ. უგზოუკვლოდ ხეტიალში ბავშვები, ბოლოს, უკაცრიელ უდაბნოში აღმოჩნდნენ, კლდეებით შემოზღუდული წყაროს ნაპირას. მათ თავი შეაფარეს ერთ გამოქვაბულს. საღამოს მათ დაინახეს მრავალი სხვადასხვაგვარი მხეცი, ლომები, და ავა-

ზები, დათვები და მგლები, რომელნიც მახლობელ ბუნაგში მოთავსდნენ. ბავშვებმა საშინელი შიში და მარტოობა იგრძნეს. მაგრამ ჩქარა მათ გამოქვაბულში შემოვიდა მთელი ხროვა მაიმუნებისა. მათ მოუალერსეს ბავშვებს, თან მოტანილი ტყიური ხილით გაუმასპინძლდნენ და ცეცხლი დაუნთეს. ბავშვებმა თქვეს: „რა ბედნიერებაა, რომ მაიმუნების გამოქვაბულში მოვხვდით, ვინაიდან სხვადასხვაგვარ მხეცებს შორის არ არის არც ერთი, რომელიც ისე გვგავდეს ჩვენ და ისე ალერსიანი იყოს, როგორიც მაიმუნია". გავიდა დრო და ყმაწვილები დავაჟკაცდნენ. დედალი მაიმუნები მათთან დაწვნენ და დაორსულდნენ, მათ შვილები ეყოლათ. ჩქარა უფლისწულების ბედნიერებას ბოლო მოეღო: ისინი აღმოაჩინეს მეფის მიერ ყოველ მხრივ გაგზავნილმა მალემსრბოლებმა. მათ თან მოიყვანეს ცხენები, თან მოიტანეს აგრეთვე ძვირფასი ტანსაცმელი და საჩუქრები. მაგრამ შინ დაბრუნება მხოლოდ ერთმა უფლისწულმა ისურვა: მეორეში დასძლია სიყვარულმა თავის ბავშვებისადმი და თავისი მაიმუნი ცოლებისადმი.

არა ნაკლებ დამახასიათებელია არაბული „ბალავარიანის" მეორე არაკი. ერთი დიდებული მეფე აღიჭურვა, რათა მეზობელ მეფეს შებრძოლებოდა და მისი სამფლობელო დაეპყრო. სხვათა შორის მან თან წაიყვანა თავისი ცოლ-შვილიც. თავდამსხმელი დამარცხდა და უკუიქცა. საღამოს ის თავისი ცოლით და შვილებით ერთი მდინარის პირას აღმოჩნდა და ხშირ ლელიანში დაიმალა უსაკვებოდ. ის ვერ ბედავდა საფარიდან გამოსვლას, ვინაიდან შორიახლოს მტრის ცხენების თქარათქური და ჭიხვინი ისმოდა. ბავშვები დაიმშნენ და ტირილი დაიწყეს. მესამე დღეს ერთი ბავშვი მოკვდა, ის მდინარეში გადაადგეს. მაშინ მეფემ თქვა: ჩვენ დაღუპვის პირას ვართ; სჯობია ზოგიერთი დაიღუპოს, ხოლო სხვები გადარჩნენ. ერთ-ერთი ჩვენი ბავშვი მოვკლათ და საკვებად გამოვიყენოთ ჩვენთვის და ბავშვებისათვის; ველოდოთ, სანამ ღმერთი დახმარებას გაგვიწევს. ცოლი მეფეს დაეთანხმა, მათ ერთი შვილი დაკლეს და ნაჭერ-ნაჭერ შესჭამეს.

ამ არაკებიდან ნათლად ჩანს, რა უფსკრული სთიშავს ქართული და არაბული „ბალავარიანის" ვარიანტების ზნეობრივ შემეცნებას. ამ ნაწარმოების ქართველი რედაქტორი ქრის-

ტიანული იდეოლოგიის საფუძველზე დგას, ამ იდეოლოგიამ კი ადამიანი რადიკალურად გამოსთიშა ცხოველთა სამყაროდან, ის ღვთაებრივი სახის და სულის მატარებელ არსებად აღიარა. არაბ რედაქტორს, როგორც ეტყობა, უკრიტიკოდ მიუღია ძველი ინდოეთიდან და ირანიდან მომავალი წარმოდგენა, რომელიც ადამიანს ცხოველის მახლობელ ნათესავად სცნობს. რაც შეეხება ცეცხლის აღმოჩენას ან გამოყენებას, ქართველი ერი ბერძნებსა და დასავლეთის სხვა ერებთან ერთად ყოველთვის ფიქრობდა, რომ ის ადამიანის პრივილეგიას წარმოადგენს. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, კაცობრიობის კულტურის პირველ საფეხურზე დგას არა მაიმუნი — ადამიანი, არამედ პრომეთე — ამირანი, რომელმაც ცეცხლი ღმერთებს გამოსტაცა და ის პროგრესის იარაღად აქცია.

1945

სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“

სულხან ორბელიანი 1658 წელს დაიბადა ქვემო ქართლში, სოფელ ტანძიაში, ქალაქ დმანისის მახლობლად; ეს ქალაქი შუა საუკუნეებში მნიშვნელოვანი ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო, მეჩვიდმეტე საუკუნეში კი თითქმის მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენდა. სულხანის მამა ვახტანგი დიდი ფეოდალი და გავლენიანი ხელისუფალი იყო: იგი ქალაქ თბილისის მდივანბეგის თანამდებობას ასრულებდა, ხოლო მისი და როდამი ქართლ-კახეთის მეფე ვახტანგ მეხუთესა ანუ შაჰნავაზზე იყო გათხოვილი; როდამისაგან მეფეს ჰყავდა ვაჟები გიორგი, არჩილი და ლევანი, მამა ვახტანგ მეექვსისა.

სულხანმა თავის დროისათვის საუცხოო განათლება მიიღო ჯერ თავის მამის, ხოლო შემდეგ თავისი მამიდაშვილის, მეფე გიორგი მეთერთმეტის ხელმძღვანელობით. როგორც მისი ნა-

წერებიდან და ავტობიოგრაფიული შენიშვნებიდან ჩანს, მას შეუსწავლია სამღვთო წერილი, საერო ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია და ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნაწერები, რაც კი მის დროს ქართულ ენაზე მოიპოვებოდა. თუმცა ის ამბობს, საფუძვლიანად მხოლოდ დედაენა ვიცოდიო, მაგრამ უცხო ენების ლექსიკური მასალის შემოწმებაც შესძლებია.

როგორც ეტყობა, სულხანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გიორგი მეთერთმეტის სამეფო კარზე. თავისი ლექსიკონის ბოლოში ის ამბობს, ვიყავი ერისკაცი წარჩინებული, სოფლის საქმეთაგან მოუცლელიო. ამ მოუცლელობის მიუხედავად, მას ახალგაზრდობაში, დაახლოებით ოცდაათი წლის ასაკის მიღწევამდე უნდა დაესრულებინოს „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ შედგენა და მწიგნობრობის მოყვარული მეფის დაკვეთით მუშაობა დაეწყოს ლექსიკონის შესადგენად.

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი სულხან საბა ორბელიანმა მღელვარებით და ხიფათით სავსე ეპოქაში გაატარა. მაჰმადიანი მეფეების როსტომის და შაჰნავაზის დროს ქართლ-კახეთი შედარებით მშვიდობიანად ცხოვრობდა, როგორც სპარსეთის ვასალური სახელმწიფო. გიორგი მეთერთმეტე ტახტზე ასვლისთანავე შეეცადა, ქართლ-კახეთი სპარსეთის დამოკიდებულებისაგან გაეთავისუფლებინა და ეროვნული კულტურის შერყეული ტრადიციები აღედგინა. მას შებრძოლება მოუხდა არა მარტო შაჰთან, არამედ ქართველი ფეოდალების ერთ ნაწილთან და თეიმურაზ პირველის შვილიშვილთან, ერეკლე პირველთან, რომელმაც მაჰმადის სჯული მიიღო და ერანელი ჯარის დახმარებით შესძლო თბილისის ტახტზე დამჯდარიყო ნაზარ-ალი-ხანის სახელით.

სანამ ქართლ-კახეთში ერანოფილურ და ნაციონალურ პარტიებს შორის მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა, სულხან ორბელიანი ენერგიულ დახმარებას უწევდა ამ უკანასკნელს. ის არ შეშინებია მამულის კონფისკაციას, რითაც ნაზარ-ალი-ხანი თავის მოწინააღმდეგე ფეოდალებს სჯიდა; სულხანი ახალციხეში გადასულა თავის სიმამრსა ათაბეგ ხალი-ფაშასთან და უცდია მისი გადაბირება. გიორგი მეფის დამარცხების შემდეგ სულხანმა ნაზარ-ალი-ხანისაგან ამნისტია მიიღო და სამშობლოში

დაბრუნდა. მაგრამ პოლიტიკური ცხოვრების ცვალებადობამ სამოქალაქო ცხოვრების არევ-დარევამ, მაღალი ქართველი საზოგადოების ზნეობრივმა დაქვეითებამ, როგორც ეტყობა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ორმოცი წლის ასაკს მიღწეულ სულხანზე, ის ოჯახს გაშორდა და საბას სახელით ბერად შედგა დავით გარეჯის მონასტერში.

ამ დროს სულხან-საბა ევროპელი მისიონერების შემწეობით უკვე კარგად იცნობდა კათოლიციზმს და ფარულად გადახრილი იყო მისკენ. როდესაც 1703 წელს ნაზარ-ალი-ხანმა, შაჰის ბრძანების თანახმად, ქართლის გამგებლობა გიორგი მეფის ძმისწულს ვახტანგ მეექვსეს დაუთმო, სულხან-საბამ ადვილად დასტოვა მონასტრის სენაკი და რეფორმატორი მეფის გულმხურვალე თანამშრომელი გახდა პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეობის ასპარეზზე.

ვახტანგ მეექვსის ნაციონალურმა პოლიტიკამ იშვიანობა გამოიწვია ერანში. 1712 წელს შაჰმა ვახტანგი ისპაჰანაში გაიწვია და მას მაჰმადის სჯულზე გადასვლა მოსთხოვა. რადგან ვახტანგმა სჯულის გამოცვლაზე კატეგორიულად უარი განაცხადა, ის დატყვევებულ იქნა, ხოლო მის მაგივრად ქართლის მეფედ მისი ძმა — გამაჰმადიანებული იასე დაინიშნა, სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც ვახტანგს თან ახლდა ისპაჰანში, სამშობლოში დაბრუნდა, ხოლო აქედან ფარულად საფრანგეთში გაემგზავრა კონსტანტინოპოლის გზით, ერთი ფრანგი მისიონერის თანხლებით.

ევროპაში სულხან-საბამ დაახლოებით სამი წელიწადი დაჰყო; მან იქ ოფიციალურად მიიღო კათოლიკობა. 1714 წლის აპრილში სულხან-საბა, როგორც ვახტანგ მეფის ელჩი, ვერსალის სასახლეში წარუდგა ლუი მეთოთხმეტეს. თავის მოხსენებაში მან საფრანგეთის მეფეს გააცნო საქართველოს მდგომარეობა და სამასი ათასი ეკიუ სთხოვა ვახტანგ მეექვსის გასათავისუფლებლად. სამაგიეროდ აღუთქვა, რომ ვახტანგი ხელს შეუწყობდა კათოლიკობის პროპაგანდას თავის სამეფოში და აღებმიცემობის გაჩაღებას საქართველოსა და საფრანგეთს შორის. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანმა არსებითად უარი მიიღო თავის წინადადებაზე, ვინაიდან ხანგრძლივი ომით სისხლდაცლილი და დავალიანებული საფრანგეთის მთავრო-

ბას იმისთვის არ ეცალა, რომ ხარჯი გაეღო შორეულ მაჰმადიან სახელმწიფოში დატყვევებული ქრისტიანი მეფისათვის.

საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნება სულხან-საბა ორბელიანს აღწერილი აქვს მოგზაურობის დღიურის სახით. მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია რომს, სადაც მას პაპი კლიმენტ XI უნახავს. ის ამბობს, კუნძულ მალტაზე რამდენიმე ქართველი და აფხაზი ტყვე შემხვდა ევროპელი ქრისტიანების მიერ თურქებისათვის წართმეულიო; მათ დედა ენა კარგად იცოდნენო. ის დიდ ყურადღებას აქცევს იტალიის კულტურულ ცხოვრებას. აგვიწერს გენუის ბაზარს, ფლორენციის არქიტექტურას ან მუზეუმებს, რომის მოედნებს და კატაკომბებს, პიზის დახრილ კოშკს, სხვადასხვა ქალაქის ბიბლიოთეკებს, საავადმყოფოებს, ობოლთა და სულით ავადმყოფთა თავშესაფრებს და სხვა. განსაკუთრებით მძიმე პირობებში მოუხდა სულხან-საბას თურქეთში მოგზაურობა: ჯერ გონიოს და შემდეგ არტაანის მახლობლად და ის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გაძარცვეს, წაართვეს საფრანგეთის ელჩის მიერ გზის სახარჯოდ მიცემული ფული და პაპის მიერ ნაჩუქარი ძვირფასი ნივთები.

ქართველმა სამღვდელოებამ მოინდომა სამშობლოში დაბრუნებულ სულხან-საბას გასამართლება კათოლიკობის მიღებისათვის. ის მიიწვიეს საეკლესიო კრებაზე და პაპის გმობა მოსთხოვეს, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს: სულხან-საბამ შეუდრეკელი ერთგულება შეინარჩუნა თავისი რწმენისადმი.

1719 წელს ვახტანგ მეექვსე ტყვეობიდან განთავისუფლდა და ისევ ქართლის სამეფოს ტახტზე ავიდა. მაგრამ მისი მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ის დაუკავშირდა პეტრე დიდს, რომელმაც კასპიის ზღვის სანაპიროების დაპყრობის მიზნით კავკასიისკენ გამოილაშქრა კიდეც, მაგრამ ჩქარი საომარი მოქმედება შეაჩერა და უკან დაბრუნდა. ამ გარემოებამ ვახტანგი აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა გამძვინვარებული ერანის და თურქეთის წინაშე. ის იძულებული გახდა ოჯახისა და მთელი იმდროინდელი ქართველი თავადაზნაურობის და სამღვდელოების დიდი ნაწილით რუსეთში გადასახლებულიყო. მას თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც, რომელიც მეფემ ასტრახანიდან თან გაიყოლა მცირე ამალაში,

რათა პეტერბურგის მთავრობას წარსდგომოდა. მაგრამ დაღლილმა და დაავადმყოფებულმა სულხან-საბამ ვეღარ აიტანა ხანგრძლივი და მძიმე მოგზაურობა და 1725 წლის იანვარში მოსკოვის მახლობელ სოფელ ვსესვიატსკოეში გარდაიცვალა არჩილ მეფის სასახლეში და იქვე დასაფლავებულ იქნა კარის ეკლესიის ეზოში.

***

მშფოთვარე ცხოვრების მიუხედავად სულხან-საბა ორბელიანის ლიტერატურული მუშაობა მეტად მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო. აქტუალური მნიშვნელობა არ დაუკარგავს მის ლექსიკონს, რომელიც დღემდე საფუძველს წარმოადგენს ქართული ლექსიკოლოგიისათვის, და „სიბრძნე სიცრუის წიგნს", რომელიც შეიძლება ქართული მხატვრული პროზის შედევრად ჩაითვალოს.

„სიბრძნე სიცრუის წიგნი" ქართველი ერის საყვარელ საკითხავს წარმოადგენდა მისი დაწერის დღიდანვე. იგავ-არაკების, ნოველების, ზღაპრების, ანეგდოტების უმრავლესობა, რომელიც ამ წიგნშია თავმოყრილი, ავტორს უსესხია ნაწილობრივ ჰინდური, სპარსული, სომხური, არაბული, ბერძნული, დასავლეთ-ევროპული იგავ-არაკების წიგნებიდან; ზოგიერთი არაკი ავტორს ქართული ხალხური შემოქმედებიდან აქვს აღებული, ბოლოს ზოგიერთი მის მიერაა შეთხზული. მაგრამ როგორც ნაწერები, ისე შეთხზული სიუჟეტები ავტორს სრულიად თავისებურად დაუმუშავებია და ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „სიბრძნე სიცრუის წიგნი" ორიგინალური შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

ზოგიერთ იგავ-არაკს „სიბრძნე სიცრუის წიგნში" ნოველის ხასიათი აქვთ; ამ იგავ-არაკებში გასაოცარი რეალიზმითაა ასახული ადამიანის ფსიქოლოგია ან ყოფა-ცხოვრების დეტალები. გავიხსენოთ, მაგალითად, „გრძნეული ცოლის პატრონი". ამ საუცხოო მოთხრობას აღმოსავლეთში გადავყავართ, ისპაჰანში ან ბაღდადში. ჩვენ თვალწინ ძველი სპარსეთი და არაბეთი იშლება თავისი ქარავნებითა, მერწყულებითა და ბაზრის მცველებით. შეუდარებელი ოსტატობითაა

გადმოცემული მაჰმადიანთა სამღვდელოების მეთაურის თვალთ-მაქცობა, როდესაც ის დღისით ქალაქში გამოდის, ორი წინ-მავალი მსახური ცოცხით გზას უგვის, ვითომდა ცოდვა არ ჩაიდინოს და რაიმე მწერი არ გაჭყლიტოსო, ღამით კი თორ-მეტი ქურდისგან შემდგარ რაზმს მთელ ქალაქს აძარცვინებს. საუცხოოდაა გადმოცემული აგრეთვე ქმრის მოღალატე ქა-ლის ფსიქოლოგია: ის სულიერობას ჩემულობს, დღისით ხუთ ლოცვაზე ნაკლებს არ ამბობს, ნასვამი წყლით ხელს არ იბანს, ხოლო ღამით, როდესაც ქმარი მასლობლად არ ეგულება, სა-ყვარელს ეპატიჟება, მასთან ერთად ილხენს, მღერის და ცეკ-ვავს.

აღმოსავლეთის კოლორიტი მრავალ სხვა არაკშიც კარგა-დაა დაცული. გავიხსენოთ, სხვათა შორის, „უბედური დიდვა-ჭარი“ „ინდოელთა მეფის ვეზირი“, „ორი მოლა“, „რამაზანის მთვარე“, „უსამართლო შირვან-შაჰ“, „ხალიფა და არაბი“, „ქოსა და ყადი“, „ყადი და ჯორი“ და სხვ.

ზოგიერთ არაკს, პირიქით, თითქოს დასავლეთ ევროპაში გა-დავყავართ. „იტალიელ მხატვრებში“ საუცხოოდ იგრძნობა იტალიელი ერის სიყვარული რეალისტური მხატვრობისადმი, რომლის ტრადიცია ამ ქვეყანაში არ შეწყვეტილა იმპერატო-რების რომიდან დაწყებული დღემდე. დღესაც იტალიის ქა-ლაქებში, გენუასა, მილანოსა, ვენეციასა, ბოლონიაში და სხვა-გან მოქალაქეებს უყვართ თავიანთი ტალანების და დარბაზე-ბის კედლების შემკობა დეკორაციული სურათებით, სადაც პერსპექტივა ისე კარგადაა ნაგრძნობი, ისე რეალისტურადაა გადმოცემული, რომ მაყურებელს ილუზია ექმნება და მას ჰგო-ნია, ჩემ წინ ლამაზი ქუჩა იშლება, ან ფრინველებით სავსე ბაღი, ან კიდევ მწიფე ყურძნის მტევნებით დაყურსული ტა-ლავერიო. საფიქრებელია, რომ „იტალიელ მხატვრებში“ სულ-ხან-საბა ორბელიანი ისეთ ამბებს მოგვითხრობს, რაც მან იტა-ლიაში მოგზაურობის დროს თავისი საკუთარი თვალით ნახა ან უშუალოდ გაიგონა.

დასავლეთის სამყაროში გადავყავართ აგრეთვე „ცოცხლად დამარხული კაცის და უსახოთ დიდი ადამიანების“ თავგადა-სავალს. როდესაც „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ თარგმანი 1895 წელს ინგლისურად გამოქვეყნდა, ერთმა ინგლისელმა რეცენ-

ზენტმა აღნიშნა, ეს მოთხრობა სვიფტის „გულივერის მოგზაურობას“ მოგვაგონებსო. რასაკვირველია, სულხან-საბა ორბელიანს არ შეიძლებოდა სცოდნოდა „გულივერის მოგზაურობა“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბეჭდა. საფიქრებელია, რომ ქართველ და ინგლისელ მწერლებზე ერთმა და იმავე ლიტერატურულმა წყარომ, შეიძლება „ათას ერთმა ღამემ“ და მისგან მომდინარე ზეპირმა თქმულებებმა იქონია გავლენა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ „ცოცხლად დამარხულ კაცის თავგადასავალში“ საკმაოდ თამამი ეროტიკული სცენები გვხვდება, რასაც ავტორი სხვაგან საერთოდ გაურბის. ბოლოს, დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების — ბიზანტიის და საფრანგეთის ატმოსფეროში გადავყავართ „სიბრძნე სიცრუის წიგნის“ ერთ-ერთ საუკეთესო ნოველას — „კეისრის მაგისტროსს“. აღმოსავლეთის უდაბნოების, აქლემთა ქარავნების, გრძნეული ექიმების, მექრთამე ყადების მაგივრად აქ მღელვარე ზღვასა, გემებსა, დოსტაქრებსა, კეისრის მაგისტროსსეა ლაპარაკი. მაგისტროსი ჰუმანისტური იდეალების მატარებლად გვევლინება, ის სახიერების გულმოწყალე სამარიტელს გვაგონებს, როდესაც თავის პერანგს გაიხდის და შიშველ მკვდარს ჩააცმევს, ან კიდევ როდესაც სახედრიდან ჩამოხტება, ზედ საპყარს შესვამს და მას ერთ ფლურს მისცემს. ჰუმანისტური და ქრისტიანულია აგრეთვე ამ მოთხრობის ტენდენცია: მაგისტროსს სამაგიერო მიეზღვება მისი ქველმოქმედებისათვის და მის მიერ პერანგგადახურული მკვდარი, რომელიც ქრისტედ უნდა ვიგულისხმოთ, მას მოტეხილ და მოსაკრელ ფეხს მოურჩენს.

როგორც ცნობილია, „სიბრძნე სიცრუის წიგნში“ ორი ზნეობრივი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს: პესიმისტური და და მიზანტროპიული მორალის დამცველად საჭურისი რუქა გამოდის, ხოლო ჰუმანიზმის დამცველად მეფისწულის აღმხრდელი ლეონი; და აშკარად ჩანს, რომ თვით ავტორის სიმპატია ყველგან ამ უკანასკნელის მხარეზეა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ არსად ავტორი აბეზარი მორალისტის და ჭკუის დამრიგებლის როლში არ გამოდის, ის მკითხველს ანდობს ზნეობრივი დასკვნა დამოუკიდებლად გამოიტანოს მისი არაკებიდან.

თუ თავისი „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ სულხან-საბა ორ-

ბელიანს, როგორც ხელნაწერების წარწერიდან ჩანს, ახალგაზრდობაში აქვს შედგენილი, დასრულებული სახე მისთვის, ყოველ შემთხვევაში, უფრო გვიან უნდა მიეცეს, როდესაც მას მრავალი ქვეყანა ჰქონდა ნახული, მრავალი ერის და საზოგადოებრივი წრის ადამიანებს იცნობდა და მათს ნაკლსა და ხასიათის თვისებებს გამოცდილი და ირონიული ჭკუის სიმაღლიდან აფასებდა.

მკითხველის თვალწინ ყოველი საზოგადოებრივი წრის წარმომადგენლები გაივლიან: მეფეები და ვეზირები, დიდვაჭრები და აზნაურები, მოლები და ყადები, საჭურისები და დავრიშები, გლეხები და ხელოსნები, მხატვრები, ექიმები, ჯამბაზები, მეკობრეები, და მათხოვრები. არ შეიძლება ითქვას, რომ მწერალი განსაკუთრებულ სიმპატიას ამჟღავნებდეს რომელიმე საზოგადოებრივი წრისადმი: ის უსამართლო ან თავის თავის გამაღმერთებელ მეფეებს ისევე თამამად დსცინის როგორც მექრთამე მსაჯულებს ან ფარისეველ სასულიერო პირებს. ხშირად ის ცხოველთა ეპოსს მიმართავს და, მაგალითად, იერუსალიმს სალოცავად მიმავალი მელის, სოფლის მაშენებელი ძაღლის და მამლის ან მდინარეს მიმდგარი კუს და მორიელის. კატის მიერ გაზრდილი ლომის და სხვათა სახით ღრმააზროვანი სატირის შედეგრებს ჰქმნის. ზოგიერთ არაკში, როგორიცაა, მაგალითად, „მეპატრონე და მემარნე", ან „ცალთვალა მეფე და მხატვარი", ისეთი ზოგადი ადამიანური ურთიერთობა და ნაკლია ასახული, რომ მათი ანალოგიები ყოველ ეპოქაში იპოვება, და ყველგან, თვით ისეთ არაკებშიც, რომელთაც ერთი შეხედვით მხოლოდ მკითხველის გასართობი ანეგდოტების ხასიათი აქვთ, სულხან-საბა ორბელიანი ადამიანის საღი აზრის, პატიოსნების, ლმობიერების, სამართლიანობის, ერთობის, ფხიზელი გონების აპოლოგეტად გამოდის უგუნურობისა, უსამართლობისა, სისასტიკისა, შურღლისა და უპატიოსნობის წინააღმდეგ.

„სიბრძნე სიცრუის წიგნი" დაწერილია ხალხური ენით, იმდენად სურათოვანით და სხარტულით, რომ შეუძლებელია, უფრო ლაკონიურად აზრის გამოთქმა. ავტორის სტილი მოწმობს, რომ არც მონასტერში ყოფნას და არც უცხოეთში მოგზაურობას იგი არ დაუშორებია ხალხური შემოქმედების ან-

კარა წყაროებისათვის და ის ქართველ ხალხთან ახლო იდგა თავის აზროვნებით და მეტყველებით. მისი ენა, მისი თხრობის ოსტატობა დღესაც წასაბაძ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს მრავალ მხრით.

1945

დავით გურამიშვილი

დავით გურამიშვილი ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული და ყველაზე მონუმენტური ფიგურაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ვინ შეედრება მას ამ მხრივ? მონღოლთა ეპოქის ისტორიკოსი, ჟამთააღმწერლად წოდებული? იგი დიდი მჭევრმეტყველობით, დიდი ზნეობრივი პათოსით ლაპარაკობს ქართველი ერის ტრაგიკულ ბედზე მეცამეტე და მეთოხესმეტე საუკუნეში, მაგრამ არაფერს გვამცნობს თავის პირად ცხოვრებაზე; და ჩვენ არ ვიცით, რამდენად დაკავშირებული იყო მისი პირადი ბიოგრაფია ერის ბიოგრაფიას. სულხან-საბა ორბელიანი? როგორც მხატვარი და როგორც მოაზროვნე, ისიც იმავე სიმაღლეზე დგას, როგორც დავით გურამიშვილი, მაგრამ თავისი არაკების წიგნში ადამიანის ცხოვრებას იმ ფილოსოფიურად მოაზროვნე გონების მწვერვალიდან უცქერის, საიდანაც ნაციონალური ზღუდეები იჩქმალება ან სრულიად ჰქრება და ბოროტება და სიკეთე ერთმანეთს უპირდაპირდებიან როგორც ზოგადი ადამიანური, ზეისტორიული კატეგორიები. დიდად ტრაგიკული პიროვნებანი იყვნენ თეიმურაზ პირველი და ვახტანგ მეექვსე, მაგრამ მათ პოეტური ძალა არ ეყოთ თავიანთი თავის და თავიანთი ეპოქის ტრაგედია მხატვრულად დასრულებული ეპოსის ფორმებში გადმოეცათ.

რა წარმოადგენს დავით გურამიშვილის შთაგონების წყაროს? სრულიად არ შეიძლება ითქვას, რომ ის მწიგნობრული შთაგონების პოეტი იყოს, რომ ის რომელიმე ლიტერატურული ტრადიციის ან, მით უმეტეს, რომელიმე ლიტერატურული

სკოლის ტყვეობაში იმყოფებოდეს. განთავისუფლდა რა სპარსული ეპოსის და ლირიკის არტახებისაგან, „ჰენრიადის“, „მესიადის“ და „როსიადის“ ავტორების ეპიგონი არ გამხდარა: ის ჭეშმარიტად ორიგინალური და ნაციონალური პოეტი დარჩა, როგორიც ბევრი არ ყოფილა არც მის წინ, არც მის შემდეგ. გურამიშვილი კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრებას“, ბიბლიას, განსაკუთრებით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნსა, სოლომონ მეფის იგავებსა და ეკლეზიასტეს; კარგად იცნობს აგრეთვე ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლებს, აპოკრიფებს, ბოლოს ხალხური პოეზიის ნიმუშებს; მაგრამ მისი პოეტური შთაგონების მთავარი წყარო მაინც მისი პირადი განცდილი ამბები და მისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეა. ამ სინამდვილეს პოეტი პირდაპირ უცქერის და არაფერი შეედრება მის მიუკერძებლობას, მის ვაჟკაცობას მისი დროის ხელისუფალთა დახატვაში და ზნეობრივ გასამართლებაში.

მე თუ გინდა თავიც მომჭრან, ტანი გაბდეს გასაბერად,
ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.

შეადარეთ გურამიშვილის მიერ დახატული ისტორიული პირების და მაღალი საზოგადოების სურათი იმ სურათებს, რომლებსაც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნის ქართველი პოეტები და მემატიანეები იძლევიან და თქვენ დაინახავთ, რა მიუწვდომლად მაღლა დგას ის მათთან შედარებით, როგორც ადამიანი და როგორც მწერალი. ყველა ეს ფეშანგი ფაშვიბერტყაძეები, იასე ტლაშაძეები, ფარსადან გორგიჯანიძეები, სეხნია ჩხეიძეები, ომან ხერხეულიძეები და სხვები ფერმკრთალნი ჩანან მის გვერდით: ისინი ხშირად ენის ბორძიკით ლაპარაკობენ და ძალიან ადვილად ჰკარგავენ გზას გაცვეთილ ალეგორიებში, უსარგებლო დეტალებსა ან არაფრის მთქმელ მაღალფარდოვან ფრაზეოლოგიაში. კომპოზიციის გრძნობის სისუსტე მათ ხელს უშლის გაარჩიონ, რა არის მთავარი და რა არის მეორეხარისხოვანი მათ მიერ აწერილ ამბებში. პირიქით, გურამიშვილი თავისუფალია ემპირიული მოვლენების ტყვეობისაგან, ის ჰქმნის ჰარმონიულ პოეტურ სამყაროს, რომლის გვერდით მისი თანამედროვეების პოემები

და ქრონიკები ხშირად, ცოტა არ იყოს, ქაოტურ შთაბეჭდილებას ახდენდა.

„დავითიანი“ ისტორიული შენეცნების წყაროსაც წარმოადგენს. პოეტი ძუნწ, მაგრამ ნათელ და სწორ ცნობებს იძლევა თავისი დროის ქართლ-კახეთის, ერანის და რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. პოეტი ძალიან რელიეფურად ჰხატავს შაჰ თამაზსა და ნადირ შაჰს, პეტრე პირველსა, ვახტანგ მეექვსესა და ბაქარს, კონსტანტინე მეფესა და იესეს. ის მათ მორალურადაც აფასებს. ქართლელების და კახელების შუღლი, რომელიც მასში, როგორც ქართველ პატრიოტში, აღშფოთებას იწვევს, მის თანამედროვეს იესე ტლაშაძეს თავის პოემაში „კათალიკოს-ბაქარიანში“ ისე აქვს აწერილი თითქო საქმე უცხო ერებს ეხებოდეს:

ქართველთა დასჭრეს თავები თუშთა, კახთა და თათრისა,
მოართვეს ვახტანგს, შეიქნა მდივნისგან წერა დავთრისა,
ეს მე მოვჭერო, ეს ამან, აღარვის ჰქონდა ხათრისა,
მტერი დაჩაგრეს, გალაღდნენ, აწ ეშინიათ მათ რისა?

თუ გურამიშვილი სხვებს არ ინდობს, არც თავის თავის დაფასებაშია ლმობიერი. მრავალ ადგილას თავის წიგნში ის ძალიან იაფად აფასებს თავის პოეტურ ნიჭს. ამტკიცებს, შემთხვევით გავერიე მერანთ ჯოგში და ძლივს მიეჯაგჯაგებ მათ უკანაო. ნაკლებ პოეტურად მიაჩნია თავისი გარეგნობაც, განსაკუთრებით სიბერეში, როდესაც მას თითქოს გულ-მკერდი ნახშირივით გაშავებია, თავი გამელოტებია, პირისახე ჩირივით დასჭკნობია, ხოლო ჩიჩვირი დაღმა დაშვებია.

ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი ადამიანები თავის თავის მოტრფიალე ნარცისებს დაინდობდა რომელიმე დარგში; და, მართლაც ეტყობა, მას ყველაზე მეტად ეჯავრებოდა ადამიანები, რომელნიც არასოდეს არ იღლებიან თავიანთი თავის გუნდრუკის კმევაში:

ერთს კიდევ გეტყვი იგავსა, თქვენგნით დამერთვის თუ ნება,
ზოგს კაცსა საკმლად მიუჩანს თვისი სიმყრალის სუნება.

• • •

თავის წინამორბედებთაგან დავით გურამიშვილი ყველაზე მეტად შოთა რუსთაველს აფასებს და მას საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის შემდეგ ქართული პოეზიის ვენახი განიძარცვა და „დავითიანის“ ავტორს მხოლოდ ნამცვრევი ერგო წილად. მაგრამ თუ გურამიშვილი, პოეტური ფორმის სრულყოფის თვალსაზრისით, მართლაც რუსთაველის მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს, ისიც უნდა ითქვას, რომ მათი მსოფლმხედველობა რამდენიმედ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობა უაღრესად ფილოსოფიური და ესთეტიკურია, ის თავისი გმირების მოქმედებას, უწინარეს ყოვლისა, მშვენიერების თვალსაზრისით აფასებს. როგორც ტარიელის და ნესტან-დარეჯანის, ისე ავთანდილის და ფატმანის ყოფაქცევაში დღევანდელ მკითხველს ბევრი რამ მორალურად უმართებულოდ ეჩვენება. ამას გარდა პოეტი არაფერს გვიმხელს, თუ როგორ აფასებს ის ზნეობრივად თავისდროინდელ საზოგადოებას, რომელიც არსებითად ძალიან მღელვარე იყო: რუსთაველი მოწმე უნდა ყოფილიყო დემნა ბატონიშვილის აჯახყრებისა გიორგი მესამის წინააღმდეგ, მისი დამარცხებისა, თვალების დათხრისა და დასაჯურისებისა, ორბელთა შემუსვრისა, გიორგი რუსის გაძეგებისა და მის მიერ მოწყობილი ორი დიდი -აჯანყებისა თამარ მეფის წინააღმდეგ, ბოლოს, შეიძლება, იმ პოლიტიკური და ზნეობრივი დეგრადაციისა, რომელიც ლაშა-გიორგისა და რუსუდან დედოფლის დროს დაიწყო.

ამ მეთორმეტე საუკუნის პარნასელის წინააღმდეგ დავით გურამიშვილი ძალიან ვნებიანი რეალისტია და ის ქრისტიანული მორალის თვალსაზრისით უდგება თავის დროის საზოგადოებას. მას არასოდეს არ ავიწყდება ქრისტიანობის პირქეში პარნასი — გოლგოთა და იქ დაღვრილი სისხლი. მას არასოდეს არ სტოვებს შეცოდების და ნაცვალგების შეგნება. მაგალითად, როდესაც კიუსტრინის ბრძოლის დროს თავისი ცხენითურთ ლაფში ეფლობა. მას ეჩვენება, ცოდვის მორევში ჩაეფალიო. როგორც მისი „გოდებიდან“ ჩანს, ვაჟკაცობის ასაკ-

ში ის ვიღაც ლამაზი ქალის მიჯნური გამხდარა; ამას ჭკუაზე შეცდომად, მცნების გარდახდომად სთვლის: როგორც ვიგემე, ეგრეთ ვიგვემეო, ამბობს ის. მას მუდამ თან სდევს სიკვდილის აჩრდილი მჭლეტანიანი კაცის სახით; მას მუდამ ჯოჯოხეთი ემუქრება.

მაგრამ არის ერთი მეტისმეტად მნიშვნელოვანი პუნქტი, სადაც დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობა ვიწროდ უკავშირდება შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობას: ესაა მზის კულტის აღიარება. რაზეც უნდა ლაპარაკობდეს დავით გურამიშვილი — სამშობლოზე, სატრფოზე, ქრისტეზე, მას მუდამ სინათლის დასაბამი — მზე, მზეთა-მზე ახსენდება; და „დავითიანის" მკითხველი ხშირად გაოცებული ეკითხება თავის თავს: ვისთან აქვს მას საქმე, დოგმატიკური ქრისტიანობის თუ სოლარული მონოთეიზმის აღმსარებელთან.

მეორე პუნქტი, სადაც გურამიშვილი შოთა რუსთაველს რამდენიმედ უახლოვდება, ქალ-ვაჟის სიყვარული იდეალისტური გაგებაა. გურამიშვილის „ზუბოვკა" უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო ლირიკული ლექსია ქართულ ლიტერატურაში. ეს ლექსი იმდენად ორიგინალურია, რომ მის პარალელურ მოვლენას ამაოდ მოვძებნიდით მსოფლიო ხელოვნების შედევრებს შორის. როდესაც ევროპელი პოეტები და მხატვრები, შუა საუკუნეებში იქნებოდა ეს თუ ახალ ეპოქაში, საყვარელი ქალის გაღმერთებას ახდენდნენ, მას ხშირად ღვთისმშობელს უკავშირებდნენ. დავით გურამიშვილის შეგნებაში შავთვალწარბა, შავხალიანი, გათხოვილი უკრაინელი ქალის კონკრეტული სახე თანდათან რელიგიურ იდეაში გადადის და ქრისტეს წარმოდგენას უკავშირდება. რაა საერთო ლამაზ ახალგაზრდა ქალსა და განკაცებულ ღვთაებას შორის? პლატონი ამტკიცებდა, მშვენიერება სიკეთის გრძნობადი გამოვლინებაოო. შეიძლება ეს აზრი უცნობი არ იყო გურამიშვილისათვის.

შეიძლებოდა თუ არა ასეთი ადამიანი გულგრილად მოპყრობოდა თავისი დროის ქართველ საზოგადოებას, რომელმაც თავისი წინაპრებისაგან მრავალ სათნოებასთან ერთად მრავალი მანკი მიიღო მემკვიდრეობით, ხოლო კიდევ უფრო მეტი უცხო დამპყრობლებისაგან შეიძინა? ის ჰკიცხავს ქართ-

ლის და კახეთის მეფეებს, რომელნიც ერთმანეთს ექიშპებიან და უგუნურად ყურს უგდებენ უსინდისო დამსმენლებს, არისტოკრატიას, რომელიც ლეკებსა და ოსმალებს იწვევს შინაური უთანხმოების გადასაჭრელად, გულგადედლებულ მხედრობას, ანგარებით დაავადებულ ბერებს, რომელნიც დიპლომატიური მისიის შესასრულებლად არიან მოწოდებულნი, ნამდვილად კი მხოლოდ ინტრიგების ქსელის გაბმასა, ზურგიელით გაძღომასა და ატენური ღვინით დათრობაზე ოცნებობენ.

არის რაღაც ბიბლიური გურამიშვილის გოდებაში მშობელი ერის დამხობის გამო; ასე მხოლოდ ძველი ებრაელი წინასწარმეტყველები დასტიროდნენ ისრაელის ბედს. ამ გოდებაში სამშობლოს სიყვარული რელიგიურ, მეტაფიზიკურ სიმაღლეზეა აყვანილი. ემპირიული საქართველოს უკან ის სხვა უფრო რეალურ საქართველოს სჭვრეტს. საქართველო წარმოდგენილია როგორც უღრუბლო ქვეყანა, მზეთა-მზით განათებული, ხოლო ქართველი ერი „როგორც სარკის მზის შუქით ციალი". ამ თავის ნამდვილ სამშობლოს ის ესაუბრება უცხოეთიდან, ის მზადაა მას საფლავიდან, საფლავის უღრმესი უფსკრულიდან, თვით ჯოჯოხეთიდან ესაუბროს:

> გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო,
> ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო.

ადვილი გასაგებია, რომ ასეთი ბუნების ადამიანი არ შეიძლებოდა დენაციონალიზაციის პროცესს დამორჩილებოდა. ბავშვობის უძლიერესი შთაბეჭდილებანი მან ქართლის სოფელში მიიღო. ჭაბუკი იყო, როდესაც ლეკებმა დაატყვევეს და დაღესტანში გაიტაცეს. თავის დატყვევების და გაქცევის ამბავი მას მოთხრობილი აქვს სტრიქონებში, რომელნიც არავითარ შეფასებას არ საჭიროებენ არც ესთეტიკის, არც ეთიკის თვალსაზრისით; მათზე უკეთესი ჩვენს დედაენაში არაფერი დაწერილა ათას ხუთასი წლის მანძილზე. ეს სტრიქონები გაოცებასთან ერთად ყოველთვის მხნეობას იწვევდნენ და მომავალშიც გამოიწვევენ ქართველი მკითხველების ერთიმეორის მომდევნო თაობებში. ჯერ რუსეთში, შემდეგ განსაკუთ-

რებით უკრაინაში მან მეორე სამშობლო იპოვა, თავისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან უცხოეთში გაატარა. ამისდა მიუხედავად ნაციონალური პოეტი დარჩა, უფრო ნაციონალური, ვიდრე ბევრი სხვა პოეტი, რომელიც მთელი თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში სამშობლოს საზღვრებს არ გასცილებია. ის ამბობს, მე უბედური ვიყავი, იმიტომ, რომ ჩემი სამშობლო იყო უბედური. ამით თითქოს მომავალ თაობებს უანდერძებს სამშობლოს ბედნიერებაზე იზრუნონ, თუ უნდათ ბედნიერი იყვნენ პირადად.

ეს შეიძლება კიდევ იმდენად გასაკვირველი არ იყოს. უფრო გასაკვირველია ის, რომ მან ასე ცხოვლად შეინარჩუნა ცხოვრების პირველი შთაბეჭდილებანი და სიბერეში ისე ლაპარაკობს თავის სამშობლოზე, თითქო მას უშუალოდ ხედავს ახალგაზრდული თვალებით; გასაოცარია მისი ცოდნა ქართული სოფლის ცხოვრებისა, ქართული მიწათმოქმედებისა, სამეურნეო იარაღებისა, ქართული სახალხო პოეზიისა; გასაოცარია მისი ლექსიკონის სიმდიდრე, მისი სინტაქსის სისწორე და ქართული ენის სტიქიონის შეგრძნება. გასაოცარია, რა ახლო დგას მისი ენა ხალხურ მეტყველებასთან, თვით მისი ქრისტე ისე ლაპარაკობს, თითქო ბეთლემსა და ნაზარეთში კი არ იყოს დაბადებული და აღზრდილი, არამედ ქართლ-კახეთში, სადღაც საგურამოს მახლობლად.

ქართულ ლექსს ასეთი რეფორმატორი არ ჰყოლია შოთა რუსთაველის შემდეგ. მისი მეტყველება აფორისტულია, მისი სტილი ლაპიდალური და ენერგიული; მას არაჩვეულებრივად მდიდარი მეტაფორული ინვენტარი აქვს. ხშირად იყენებს შინაგან რითმასა და ალიტერაციას. აშკარად ჩანს, რომ ახალგაზრდობაში დიდი გულისყურით უსმენია ქართული ხალხური ლექსი და სიმღერა, ხოლო მომწიფებისა და სიბერის ასაკში დიდად დაინტერესებულა რუსულ-უკრაინული პოეტური და მუსიკალური ფოლკლორით. ყოველივე ამას ხელი შეუწყვია მისი ლექსი მოქნილი, რითმულად მდიდარი და კეთილხმოვანი გამხდარიყო.

მაგრამ ცნობილია, რომ ვერავითარი ხალხური გუნდი, ვერავითარი მუსიკალური სკოლა ვერ უშველის ადამიანს, რომელსაც სმენა დახშული აქვს. თუ ანტონ კათალიკოსის და

ტრედიაკოვსკის ეპოქაში, როდესაც ქართველი და რუსი პოეტები მკითხველებს თითქოს ათფუთიან რკინის ზოდებს ურტყამდნენ თავში, გურამიშვილის ლექსი ასე მსუბუქად და თავისუფლად გაისმოდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ თვით მას ემღერებოდა; ემღერებოდა როგორც სიჭაბუკის ასაკში, ისე ღრმა სიბერეში, როდესაც ცალთვალა რაფსოდი გახდა, მაგრამ დაუბერებელი გული შეინარჩუნა.

სიბერძნე უდროოდ კაცს არ აბერებს,
თუ გული მთლად აქვს, კიდეც ამღერებს.

მისი პასტორალი „ქაცვია მწყემსი“ ანუ „მხიარული ზაფხული“ ნაწილობრივ ქართული ხალხური პოეზიითა შთაგონებული, ხოლო ნაწილობრივ, როგორც ჩანს, რუსულ-უკრაინულით. ესაა საუცხოო იდილია, ოდნავ გაჟიანურებული, მაგრამ შესანიშნავი ქალ-ვაჟის ფსიქოლოგიური დახასიათებისა, პეიზაჟის ასახვისა და ყოფაცხოვრების რეალისტურად გადმოცემის თვალსაზრისით. ხალხური მეტყველება, ხალხური ხუმრობა და ენაწყლიანობა მას მომხიბვლელს ხდის. ავტორი ალაგ-ალაგ ძალიან თამამ გამოთქმებს ხმარობს; არ ერიდება, საგნებს მათი სახელი უწოდოს. პოემაში ორი მთავარი ეპიზოდია გადმოცემული. ესაა ორი თაობის ქალ-ვაჟის აბმავი: პირველში ქალი ცდილობს ვაჟი შეაცდინოს. მეორეში ვაჟი აცდენს ქალს. „ქაცვია მწყემსის“ მორალი ძალიან მარტივიცაა და ძალიან ძველიც: ადამიანს ბედნიერებას მხოლოდ ცოლქმრული სიყვარული ანიჭებს, ყოველი სხვაგვარი სიყვარული ეშმაკისგანაა. მაგრამ თუ გავიხსენებთ ამ ჟანრის ყველაზე სახელგანთქმულ ნაწარმოებებს, თეოკრიტეს და მოსხუსის იდილიებს, ლონგუსის „დაფნისს და ქლოეს“, ტორკვატო ტასოს „ამინტას“, დავრწმუნდებით, რომ თუმცა გურამიშვილი თავის პასტორალში მათს სიმაღლეზე ვერ ადის, მაგრამ იძლევა მათს ქართულ ვარიანტს, პატარა შედევრს, სადაც სისხლსავსე ქართველი გლეხკაცები იდილიური ქართული ტყე-ველების ფონზე არიან დახატული და სადაც ტლანქ სურათებს პოეტური ოცნებანი ენაცვლებიან.

არის რაღაც წარმართული ბუნების გაღვიძების შეგრძნობაში, როგორც ის „მხიარულ ზაფხულშია“ გადმოცემული:

თითქოს თხის რქებიანი და თხის ჩლიქებიანი პანი იღვიძებს გაზაფხულის გამარჯვებასთან ერთად, შეზარხოშებული დიონისეს და ნიმფების ფერხულში ებმება და ყოველ სულიერ არსებას მოუწოდებს თავისი ტოლი იპოვოს და თავისი ცოლი დანერგოს.

* * *

„ქართლის ჭირი" ყველაზე პირქუში წიგნია ქართულ ლიტერატურაში. მისი მთავარი გმირი ქართველი ერია, რომელიც მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში თითქო თავისი ისტორიული ტრაგედიის მეხუთე აქტს აღწევს. მეორე მისი გმირი თვით დავით გურამიშვილია, რომელიც სისხლით და ოფლით მორწყმულ გზას გადის ლამისყანიდან თერგის ნაპირამდე, იქიდან ჯერ მოსკოვში გადადის, ხოლო შემდეგ მირგოროდში. ბოლოს, ღრმად ტრაგიკული ფიგურაა ვახტანგ მეექვსე: ის მსხვერპლია შინაური შუღლისა, თავისი უმცროსი ძმის იესეს მსგავსი ადამიანების ინტრიგებისა, მძლავრი აგრესორების შემოტევისა, რუსეთის პოლიტიკის ცვალებადობისა. გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს ვახტანგის ცხოვრების დასასრულის აღწერა, მისი ასტრახანში დარჩენა ათიოდ მსახურით, გამოთხოვება ქართველ ემიგრანტებთან, ბოლოს, სიკვდილი.

მაგრამ დავით გურამიშვილს თავისი პირადი და თავისი სამშობლოს ტრაგედია განცალკევებულად არ აქვს წარმოდგენილი; ესაა თითქო ერთი ეპიზოდი კაცობრიობის ტრაგედიისა. დავით გურამიშვილი ერთგვარ ეთიკურ დუალიზმს აღიარებს: ის ფიქრობს, რომ კაცობრიობის ისტორია არსებითად სიკეთისა და ბოროტების ორთა ბრძოლას წარმოადგენს, სინათლეს სიბნელე სცვლის; სატანა ებრძვის ღმერთს, მან თავდაპირველად გაიმარჯვა; აქედან წარმოსდგა ადამიანის პირველშობილი შეცოდება. ადამმა ხელშეკრულება დასდო სატანასთან და მას სული დაუგირავა:

ადამ მიუთხრა სატანას, თუ რამ იცოდეო,
ევასა სტკივა მუცელი, წამლად დანადეო.
სატანამ უთხრა, მაგისი ჩემზე მაადეო.

მე შენ რაც გთხოვო სახსრადა, იმას მომცემდეო:
გული გირაოდ მომეც და ამას დასწერდეო,
თავით, ცოლითა, შვილითა ნათესავამდეო...
ადამ მიუგო, ეგრეთ ვყო, ვით შენ ითხოვდეო;
მიჰყიდა სული, ჩავარდა ჯოჯოხეთამდეო.

თუ ქართველი ხალხი ცოდვილი და უბედურია, ეს იმიტომ, რომ, მთელი კაცობრიობაა ცოდვილი და უბედური; საქართველოს ხსნა შეიძლება მხოლოდ მთელს მსოფლიოს ხსნასთან ერთად. ხოლო კაცობრიობის ხსნის საწინდარს წარმოადგენს სინათლის ღმერთის, ქრისტეს მზეთა-მზის საბოლოო გამარჯვება ბნელეთის ძალებზე. მოხდება ადამიანის ზნეობრივი განახლება და ფიზიკური გაახალგაზრდავება, მისი განკაცება, მისი ღვთაებასთან დაახლოება. ამრიგად „დავითიანი", რომელიც ღრმად ტრაგიკული და პესიმისტური ჩანს თავის ცალკეულ ნაწილებში, მთლიანად სიკეთის გამარჯვების რწმენითაა გაერთიანებული.

ეს რწმენა დაკავშირებულია, ერთი მხრით, ქრისტიანული გამოხსნის იდეასთან, ხოლო მეორე მხრით რაციონალისტურ მსოფლმხედველობასთან. ქრისტემ თავის ჯვარცმით და ჯოჯოხეთის წარტყვევნით ადამიანი იხსნა პირველშობილი ცოდვილისაგან; ის ეუბნება ადამიანს:

საფლავით აღვსდეგ, სიკვდილით სიკვდილი ვთურგნეო,
ჯოჯოხეთშიგან სატანა რისხვით მივბნიდეო...
თუ გულმხურვალედ ეს ბოდიში შენ მოიხადეო,
მერმე შენი განსვენება ჩემზე მაგდეო,
თუ ვითარ გაგაყმაწვილო, აღარ დაბერდეო,
არა გაქვნდეს რა საჯავრო, სულ იხარებდეო.

მაგრამ გურამიშვილი ცხოვრობდა მეთვრამეტე საუკუნეში, გონების კულტის და განათლების ეპოქაში, როდესაც ვოლტერმა და ენციკლოპედისტებმა ქრისტიანული დოგმების წინააღმდეგ გამანადგურებელი იერიშები მიიტანეს. მირიან ბატონიშვილის ძმისწულებიდან ერთი მონტესკიეს მთარგმნელი იყო, მეორე ლოკის და კონდილაკის ფილოსოფიის მცოდნე და ნაწილობრივ მიმდევარი. ქართველ ემიგრანტებს შორის, რომელთაც გურამიშვილი ხვდებოდა და მიწერ-მოწერას აწარმოებდა, უეჭველია დეისტებიც იქნებოდნენ და თავისუფალი მოაზ-

როვნეებიც; ხოლო მათ შორის ფრანკ-მასონების არსებობას მოწმობს დიმიტრი სააკაძის ნახევრად სახუმარო ლექსი, მიწერილი დიმიტრი ბაგრატიონისადმი:

> თქვენი მოგვესმა, პატრონო, შეკქმნილ ხართ ფარმაზონია,
> ზოგთა ესმქვეს, „არის მართალი", და ზოგთა არა ჰგონია,
> ხრისტეს უარის მყოფლობა მე თქვენგან არა მგონია,
> თუ მართალია, მოიქეც, სხვა მეტი არა ღონია.

თუმცა დავით გურამიშვილი არსად მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებლებს და ენციკლოპედისტებს არ ასახელებს, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ის იმოწმებს მათს შორეულ წინაპარს, ბერძენ ფილოსოფოსს ეპიკურს, როგორც გონების აპოლოგეტს, როგორც ენებათაღელვის დათრგუნვის მქადაგებელს! და შეუძლებელიცაა დავით გურამიშვილს, მოსკოვსა და უკრაინაში გატარებული ხანგრძლივი წლების განმავლობაში, ევროპელი გამანათლებლების არსებობა და მათი ძირითადი იდეები არ ცოდნოდა. მას არ შეეძლო არ შეესუნთქა ის ჯანსაღი და გამახალისებელი ჰაერი, რომელსაც მოწინავე თაობები ისუნთქავდნენ პარიზიდან დაწყებული მოსკოვსა და თბილისამდე. და როდესაც გურამიშვილი თავის დიდაქტიკურ ლექსებში გონების, განათლების, თავდაჭერილობის, სულიერი მხნეობის აპოლოგიას იძლევა, ცხადი ხდება, რომ ის არ იყო ვიწრო დოგმატურ სალტეებში მოქცეული ადამიანი, რომ ქრისტიანული მორალი მას ფართო ჰუმანისტური თვალსაზრისით ჰქონდა გაგებული. ის ცდილობდა თავისი ზნეობრივი შეხედულებები ყველაზე პროგრესულ ფილოსოფიურ აზროვნებასთან დაეკავშირებინა.

1955

იოანე ბატონიშვილი

მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ზღურბლზე დგას ადამიანი, რომელიც შეიძლება მწერალი სრულიადაც არ გამხდარიყო, თუ ბედს მისთვის უფრო ფართო სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ასპარეზი არ წაერთმია. ერთ-ერთ ყველაზე ვაჟკაცური იარაღის — ხმლის გაცვლა ბატის ფრთის კალამზე ადვილი არ უნდა ყოფილიყო ბაგრატიონის გვარის უფლისწულისთვის, რომლის წინაპრები საქართველოს სამეფოს მეთაურობდნენ როგორც მისი ძლიერების და აყვავების, ისე ტრაგიკული განსაცდელის ეპოქაში. მაგრამ, როგორც ეტყობა, იოანე ბატონიშვილი არ ყოფილა პატივმოყვარეობით შეპყრობილი ადამიანი. თუმცა როგორც მამამისი, გიორგი მეფე, ისე მიუკერძებელი უცხოელი დესპანები და მოგზაურები მას ყველაზე უფრო კეთილგონიერად და განათლებულად სთვლიდნენ ქართველ უფლისწულთა შორის, თვითონ ის მზად იყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტი ყველა პრეტენდენტზე გვიან მიეღო, რაიცა ადვილი საქმე არ იყო, ვინაიდან მას თექვსმეტი და-ძმა და თორმეტი ბიძა და მამიდა ჰყავდა, ისინი ყველანი სამეფო ტახტზე დაჯდომას ოცნებობდნენ.

იოანე ბატონიშვილი 1772 წელს დაიბადა, ის სამი წლით უმცროსი იყო ტახტის მემკვიდრეზე დავითზე. როგორც ცნობილია, დავით ბატონიშვილმა (1769—1819) თავის დროისათვის საუკეთესო საერთო აღზრდა-განათლება მიიღო თბილისში, დავით რექტორის, რომელსაც ის თავის ლალას უწოდებდა, ავსტრიელი მეცნიერის გეტინგის, საქსონელი მეცნიერის, პოტიომკინის პოლიტიკური აგენტის რეინეგსის, აგრეთვე იტალიელი მისიონერების შემწეობით; შემდეგ საგანგებოდ შეისწავლა საარტილერიო საქმე. ის გახდა ვოლტერისა და ფრანგი გამანათლებელი ფილოსოფოსების იდეების ერთ-ერთი პირველი მიმდევარი და პროპაგანდისტი საქართველოში. რის გამოც სამეფო კარის გარშემო თავმოყრილ კონსერვატორულ წრეებში ოპოზიცია გამოიწვია. დავით ბატონიშვილმა, როგორც არტილერიის მეთაურმა, მონაწილეობა მიიღო კრწანისის ომში. მამის სიკვდილის შემდეგ ის ცოტა ხანს ქართლ-კახეთის სამეფოს გამგედაც ითვლებოდა. საქართველოს რუსეთთან შეერ-

თების შემდეგ ის იძულებით გადასახლებული იქნა პეტერ-ბურგში, სადაც გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და სენატორობა მიიღო და საკმაოდ ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა აწარმოვა. მან დასწერა „ნამდვილი ისტორია ანუ მოთხრობა ახალი“, რომელიც მეცნიერული კეთილსინდისიერებით შედგენილ სანდო მასალას წარმოადგენს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის და მეცხრამეტე საუკუნის პირველი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად, შეადგინა, „სამართლის წიგნი“, რომელიც ფრანგი რაციონალისტების მოწინავე აზრებზეა აგებული და ქართულად გადმოთარგმნა მონტესკიეს „სპარსული წერილები“ და „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“.

დავით ბატონიშვილმა კალამი სცადა აგრეთვე ლირიკის დარგშიც, და ზოგიერთი მისი სატირული ლექსი მოკლებული არაა ისტორიულ ინტერესს. მის მთავარ მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს პატარა რომანი „ახალი შიხი“, რომელიც ჟანჟაკ რუსოს „ახალი ელოიზას“, გოეთეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებათა“ და კარამზინის „საბრალო ლიზას“ მსგავსად შეყვარებული ქალ-ვაჟის მიწერ-მოწერის ფორმაშია შედგენილი. მაგრამ „ახალი შიხი“ წარმოდგენას არ იძლევა არც ეპოქაზე, არც რეალურ ადამიანებზე, არც მათს განცდებზე, და მას, არსებითად არც სიუჟეტი აქვს. მისი ორი გმირი უფრო სქემას ჰგავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. მათი მიწერ-მოწერა უფრო განსაზღვრული იდეების პროპაგანდას წარმოადგენს, ვიდრე რაიმე ამბავის მოთხრობას ან სულიერი განცდის გადმოცემას. ამისდა მიუხედავად „ახალი შიხი“ დიდად საინტერესო ლიტერატურული მოვლენაა, როგორც ეპოქის დამახასიათებელი იდეოლოგიური ნაწარმოები, სახელდობრ, როგორც ევროპული მოწინავე აზროვნების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში.

„ახალი შიხის“ რუსულ თარგმანს, რომელიც 1804 წ. პეტერბურგში გამოქვეყნდა მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, წამძღვარებული აქვს პატარა შესავალი; ეს შესავალი ვითომ რომანის შინაარსის მოკლე გადმოცემას წარმოადგენს. ჯერ განმარტებულია, რომ შიხი სასულიერო წოდების მეთაურს ნიშნავს ალის სექტის მაჰმადიანებში. შემდეგ მოთხ-

რობილია, რომ სახელოვანი სპარსელი შიხი სანანი ერანიდან საქართველოში მოვიდა და შეიყვარა ერთი გლეხი ქალი, ფერია. აღგზნებულმა სიყვარულმა შიხი აიძულა ამ ქალის ხელი ეთხოვა. მაგრამ ფერიამ უპასუხა, მხოლოდ იმ შემთხვევაში გავხდები შენი ცოლი, თუ ღვინოს დალევო; რადგან მაჰმადიანებს, მით უმეტეს შიხებსა და მოლებს, ამ სასმელის დალევა აკრძალული აქვთ, შიხი სანანი ფერიას გაშორდა; მაგრამ ის ჩქარა სინანულმა შეიპყრო და მან დაიწყო წერილების წერა ქალისადმი. ფერიამაც ამ წერილების წაკითხვის შემდეგ სინანული იგრძნო, რაიცა აღიარა თავის საპასუხო წერილებში.

ამ წინასიტყვაობას არავითარი კავშირი არ აქვს არც „ახალი შიხის" ქართულ ორიგინალურ ტექსტთან, არც რუსულ თარგმნილ ვარიანტთან. ის მხოლოდ მისი რელიგიურ-მორალური ტენდენციის დასაფარავადაა წამძღვარებული. ნამდვილად გამიჯნურებული ქალ-ვაჟის წერილებში ლაპარაკი არ არის არავითარ რელიგიურ დაბრკოლებებზე, რომელიც მათ შეერთებას ხელს უშლიდეს, და საერთოდ ის ქრისტიანობა და მაჰმადიანობა ერთი სიტყვითაც არ არის ნანიშნები. კიდევ მეტი: ამ რომანში ქრისტიანული და მაჰმადიანური პოეზიის დამახასიათებელი იდეები და სახეებიც არ არის გამოყენებული. ნამდვილად სანანი და ფერია აღიარებენ „ბუნებითს სჯულს", ე. ი. მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებელი ფილოსოფოსების ვოლტერისა და რუსოს დეისტურ რელიგიას. ეს რელიგია კი არ სცნობდა არც ალაჰს, არც ქრისტეს, არც სამებას, ის უარყოფდა პიროვნულ ღმერთს, გამოცხადებას, განგებას და მხოლოდ გონებას აღიარებდა ჭეშმარიტი სარწმუნოების წყაროდ. დეიზმი გარდამავალ საფეხურს წარმოადგენდა პანთეიზმისკენ, რომლის ნიშანი ნათლად ჩანს სანანის ერთ წერილშიც ფერიასადმი: „ესე არა უწყია, რომელ გარდა სიტყვიერთა სხვათა ცხოველთაცა უწყიან ყვარვა და თავაზაი და თითქმის მათცა, რომელნიცა ცხოველობასა ქვეშ დაწესებულ არიან, ვითარცა მდინარე ალფეოსი მტრფობი ერეთუთასი, რომელმანცა სიყვარულითა მისით განკვეთა ზღვაი და მოიწია საწადელისადმი თვისისა; და თავაზაცა მისი განიხილე, რომელ სიმწარე იგი ზღვისა არა თან შეიტყო მან, რათა არა აბეზარ ჰყოს საყვარელი თვისი". დეისტების თანახმად დავით ბატონიშვი-

ლიც იმ აზრისაა, რომ თვით საღი მორალი ბუნების სწორ შემეცნებაზეა დამყარებული: „სადაცა არ არს ცნობა ბუნებითისა სჯულისა, მუნ არა აქვს ადგილი სინდისსა, სადაცა არა არს შედგომა ბუნებითისა სჯულისა, მუნ არ არის საკანი პატიოსნებისა". კეთილმოქმედება არს ჩვეულება წარმართებისათვის თვისთა საქმეთა ბუნებითისამებრ რჯულისა" და სხვ.

მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ მოაზროვნეებს გარდა, დავით ბატონიშვილი, როგორც ეტყობა, კარგად იცნობდა სპარსულ „შაჰნამესა" და „ლეილმეჯნუნიანს", ევროპული და რუსული სენტიმენტალური სკოლის მწერლებს და კლასიკურ მითოლოგიას: ის ახსენებს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს, ოქროს წვიმად ქცეულ იუპიტერს, ელისეს მინდვრებს, აქერონს, ციკლოპებს, გორგონას და სხვა. მისი გმირები ცდილობენ მეტისმეტად ანთებული ვნების ენით ილაპარაკონ. მაგრამ მათი წერილების სტილი მაინც მწიგნობრული ვარჯიშობის შთაბეჭდილებას ახდენს.

რეალური ინდივიდუალური სითბო აქვს მხოლოდ ერთ ადგილს, სადაც დავით ბატონიშვილი სანანის პირით თითქო თავის ბედს უჩივის: „ვგონებ უსაცოდავესი ჩემისა პირსა ზედა ყოვლისა ქვეყნისასა არა რადა იპოებოდეს: მდევნა ბოროტ შემთხვეულობითა, იავარმყო მამულისაგან ღირსებითა და ქონებითა, კეთილობა ჩემი დაამწარა და აწ, უკანასკნელ, სრულჰყო საწადელი თვისი, რომელ მოყვრისა ჩემისაგან უცხო მჰყო". მაგრამ იმისდა მიუხედავად, რომ „ახალი შიხი" მხატვრულად სუსტი ნაწარმოებია, ის მაინც მნიშვნელოვან ლიტერატურულ ძეგლათ უნდა ჩაითვალოს, როგორც ევროპული მოწინავე აზროვნების ერთ-ერთი პირველი გამოვლინება ქართულ მწერლობაში.

ევროპული მეცნიერების, განსაკუთრებით ფრანგი ენციკლოპედისტების ძლიერი ზეგავლენა ეტყობა იოანე ბატონიშვილსაც (1772—1839), მაგრამ მას თავის ძმასთან შედარებით მეტი ორგანული კავშირი აქვს საქართველოს სინამდვილესთან. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იოანე ბატონიშვილმა ჩინებული პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის ნიჭი გამოააშკარავა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა თავისი ცოდნით, სიდინჯით და ზომიერებით. მან მონაწილეობა მიიღო

რამდენიმე ომში, რომელიც იმ მშფოთვარე დროს ასე ხშირად უხდებოდა საქართველოს. განსაკუთრებით სახელი გაითქვა ნიახურის ბრძოლაში, სადაც შეერთებულმა რუს-ქართველმა ჯარმა ლეკები დაამარცხა, ხოლო იმაზე ადრე კრწანისის ბრძოლაში, სადაც იოანემ თავისი ვაჟკაცობით დატყვევებას გადაარჩინა თავისი მოხუცი პაპა-ერეკლე მეორე. „მაშინ მოეახლდნენ სპარსნი, სადაცა იგი იყოფოდა მეფე და მომართეს აღმატებულითა ძლიერებითა და კნინღა მოჰკლიდეს მეფესა ანუ შეიპყრობდეს, უკეთუ შვილიშვილი ამა მეფის იოანე არა იყომცა მუნ. ეკვეთა მეფის ძე იოანე. მახლობელ პაპისა მისისა მოსულთა სპარსთა და უკუაქცივნა და განარინა ხელთაგან მათთა მეფე“ (თეიმურაზ ბატონიშვილის მოგონებანი).

1799 წელს იოანე ბატონიშვილმა შეადგინა ფართო ხელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი, რომელიც შემდეგი მიმართვით იწყებოდა: „უმაღლესო და უმოწყალესო ხელმწიფევ და მამავ, მეფეო სრულიად საქართველოსაო და სხვათა გიორგი, უქვეშევრდომილესი ჩემ მიერ წინადადებანი“. ეს პროექტი სამხედრო, ეკონომიური, ფინანსიური, ადმინისტრაციული და კულტურული ცხოვრების რეორგანიზაციას ითვალისწინებდა ევროპული სახელმწიფოების ნიმუშის მიხედვით, მაგრამ ამასთანავე ანგარიშს უწევდა საქართველოს ხინამდვილის განსაკუთრებულ პირობებს. პროექტი ვერ განხორციელდა გიორგი მეფის სიკვდილისა და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების გამო, რასაც ჩქარა თვით იოანე ბატონიშვილის რუსეთში გადასახლება მოჰყვა.

იოანე ბატონიშვილი, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო საქმის რეორგანიზაციას მოითხოვდა. ის განსაკუთრებული პირობებისათვის უცვლელად სტოვებდა საყოველთაო სამხედრო მობილიზაციის ძველ წესს, ქუდზე კაცის გაყვანას და ხხვა, მაგრამ მოითხოვდა მუდმივი ჯარის შექმნას რუსეთის და ევროპის მაგალითის მიხედვით: „ათმან კომლმან მოსცეს ერთი კაცი ხუთს წელიწადს. დღეში რომ ორი შაური მიხცენ 'მავი პურის მაგიერ, უმჯობესი იქნება, რომ იქს წელიწადში ხამ თუმანს, ექვს მინალთუნს და ათ შაურს. ის კარგად ეყოფა საჭმელად ერთ კაცს პურისა და შესატანებლისათვის“, მაგრამ იოანე ბატონიშვილს კარგად ესმოდა, რომ რა მილიტარული

ორგანიზაციაც უნდა შეექმნა საქართველოს, მას არ შეეძლებოდა აგრესიული პოლიტიკა ეწარმოებინა: ამიტომ ის მეფეს, ურჩევდა ფრთხილი დიპლომატიური გზა გამოეყენებინა, განსაკუთრებით ძლიერი მეზობლების მიმართ.

ადმინისტრაციის რეფორმა ამ პროექტით მის გამარტივებას და გაიაფებას გულისხმობდა. იქმნებოდა ერთი მწყობრი სამმართველო აპარატი უწყების მთავარი ხელმძღვანელისა, ე. ი. მინისტრიდან დაწყებული ადგილობრივ მოურავებსა, მამასახლისებსა და გზირებამდე. მოხელეებს ჯამაგირი შერეული წესით უნდა მისცემოდა, ნაწილობრივ ფულით, ნაწილობრივ ნატურით; ჯამაგირი უნდა მისცემოდა აგრეთვე მეფესა, დედოფალსა და უფლისწულებს, მაგრამ მათ მამულის შემოსავალიც რჩებოდათ.

ამ ადმინისტრაციაში ახალ და განსაკუთრებით საყურადღებო მოვლენას წარმოადგენენ „განათლების მოხილე“, რომელსაც სკოლებისა და სტამბების საქმე უნდა დაქვემდებარებოდა და თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ერთგვარი სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, რომელსაც არამარტო დავრდომილთა და ქვრივ-ოხერთა საქმე უნდა განეგო, არამედ ალიმენტების და მუცლის მოშლის საკითხიც მოეწესრიგებინა: „აგრეთვე ნაბიჭვართა ვინც შობდენ, ნუ ექმნებიან დედანი ორსულნი მუცლის წახდენის მიზეზად და ნურცა მოშთობისა: ესეცა ამავე მოხელეს ეკითხებოდეს. თუ თავადის ბავშვი იყოს, ისევ თავადმან აღზარდოს იგი თავისად, ეკლესიისა ეკლესიამან აღზარდოს და სამეფოსა სამეფომან“.

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხების გადასაწყვეტად, განსაკუთრებით ომის გამოსაცხადებლად და ზავის ჩამოსაგდებად, იოანე ბატონიშვილს საჭიროდ მიაჩნდა სათათბირო ორგანოს დაარსება, რომელშიაც ბურჟუაზიის წარმომადგენლებიც შეევიდოდნენ. „იყვნენ თორმეტი ჭკვიანნი კაცნი, კარგი შთამომავლობისანი, გამორჩეულნი, სამი ქართლიდამ სამი კახეთიდამ, სამი თათრებიდამ, სამი მოქალაქეებიდამ; ესენი ყოველთვის იყვნენ რჩევასა ქვეყნის სარგებლობისასა და ანუ რაიცა საქმე მოხდებოდეს, ან აშლა ვისთანმე, ანუ შერიგება, ანუ მძიმე საქმეები; მეფის ბრძანებით განისილაე-

დნენ ამას და თავისსა განზრახულსა ერთად შეამოწმებდენ და მერეთ ისე დაამტკიცებდენ იმა საქმესა“.

შემდეგ პროექტის ავტორი მოითხოვდა სასამართლოს პროცესის გამარტივებასა და გაუმჯობესებას, სისხლის სამართლის კოდექსის შერბილებას, ისე რომ, მაგალითად, დამნაშავე მხოლოდ იმ შემთხვევაში დასჯილიყო სიკვდილით, თუ ის სამ მკვლელობას ჩაიდენდა; მაგრამ ამავე დროს იოანე ბატონიშვილი მკაცრ ღონისძიებას მოითხოვდა სამშობლოს მოღალატეების მიმართ: „გინდ მეფისძე იყოს, გინდ მონათესავე ანუ სხვა ვინმე გვამი, მამულის მუხანათს არღა ჰქონდეს გარჩევა“.

განსაკუთრებით ფართო გეგმა ჰქონდა ავტორს წმინდა კულტურული აღმშენებლობის დარგში. მას საჭიროდ მიაჩნდა ორკვირეული გაზეთის გამოცემა, უმაღლესი სასწავლებლის გახსნა თბილისსა, თელავსა და გორში, სადაც რუსულ და კავკასიურ ენებს გარდა ბერძნული და ლათინურიც უნდა ესწავლებინათ და სადაც თავად-აზნაურთა გარდა „პირველნი მოქალაქეს შვილებიც“ უნდა მიეღოთ. „აგრეთვე იყოს ამაზედ მდაბალი სასწავლებლები: ამას შინა ისწავლიდნენ მდაბლური ვაჭრის შვილები, აგრეთვე გლეხისაც, ვის როგორად შეეძლოთ... ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფის ხარჯითა, მოწაფენი თავეთ მშობელთ ხარჯითა, ვიდრე შემოსავალთ განვრცობამდე“. ცხადია, იოანე ბატონიშვილს სასურველად მიაჩნდა, რომ პირველდაწყებითი სწავლა-განათლება სრულიად უსასყიდლო ყოფილიყო, მხოლოდ ამის განხორციელება, მისი აზრით, უნდა გადადებულიყო „შემოსავალთ გავრცობამდე“, ე. ი. სანამ ქართლ-კახეთის სახელმწიფო ხაზინა მოღონიერდებოდა. ბოლოს, რეფორმების პროექტი ითვალისწინებდა ფოსტის, აფთიაქის, დავთარხანის ანუ არქივის, ბიბლიოთეკის, მუზეუმის დაარსებას და სხვ.

საქართველოს დაქსაქსვა ცალკე სამეფოებად და სამთავროებად პატრიოტულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეებს ყოველთვის დიდ უბედურებად მიაჩნდათ, და, როგორც ცნობილია, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერის მოწინავე წრეებში განსაკუთრებით გაძლიერდა საქართველოს გაერთიანების იდეა. როგორც გულმხურვალე პატ-

რიოტს, იოანე ბატონიშვილს, რასაკვირველია, არ შეეძლო უგულებელეყო ეს დიდათ მნიშვნელოვანი პოლიტიკური პრობლემა, ის თავის წინადადებას ადგენს მის გადასაჭრელად: „ოდეს ერთ-ერთი მეფე გარდაიცვალოს ქართლსა და იმერეთსა, უწინ დაშთომილი მეფე დასონ საზოგადოდ ქართველთა და იმერთა. შემდგომად მეფობა იყოს მორიგეობით: ხან აქეთური მეფისძე და ხან იქითური მეფისძე დაჯდებოდეს მეფეთ“.

იოანე ბატონიშვილს, რასაკვირველია, კარგად ესმოდა, რომ ასეთი ფართო ხასიათის პოლიტიკური და კულტურული რეფორმები საღ ეკონომიურ საფუძველს გულისხმობდა, რომ „ოდეს იკონომია მოვა თავის წესსა შინა, მაშინ ყოველივე შესაძლებელს არს წარმართავად“; ამიტომ ის განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა ფინანსების მოწესრიგების, სახელმწიფოს შემოსავლის გადიდების, მეურნეობის და მრეწველობის აყვავების, აღებ-მიცემობის გაძლიერების საკითხებს. მას საჭიროდ მიაჩნდა იჯარის სისტემის ფართოდ გამოყენება მრეწველობის დარგში, ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერება სახელმწიფოებრივი კრედიტის დახმარებით: „ჩვენ თითქმის სომხებისა და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველნი ვართ, და ეს ძლიერება იქნება ჩვენი, ოდესცა ვაჭარნიცა ჩვენნი იქნებიან... ქართლიდამ, კახეთიდამ, სომხეთიდამ სამი ათასი კომლი კაცი, ვინც იყვნენ დიდის სოფლებიდამ თუ მცირედამ, შეხვედრით ავყაროთ და ქალაქში დავაყენოთ. სხვებცა შეწევნა ვუყოთ... გარდა ამისა, სომეხთა და თათართა ისე ივაჭრონ, როგორთაც უვაჭრიათ პირველ“.

ბოლოს დიდათ საყურადღებოა, რომ იოანე ბატონიშვილს როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ისე ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აუცილებლად მიაჩნდა თავისებური ფეოდალური კოლექტიური მეურნეობის შექმნა სოფლად: „გარნა ეს უმჯობესი იქნების, უკეთუ ყოველი ბარის სოფლებმა, ვისიც გინდა ყმა იყოს, შეძლებისამებრ ვთქვათ ოცდახუთის დღის მიწიდამ ვიდრე ოცდაათამდის მოხნან საზოგადოდ და დათესონ ნახევარში პური და ნახევარში ქერი; თითონვე მომკან, გალეწონ და შეინახონ ამბრებში ქერი და

პური, ხოლო ბზე — საბძელში. უკეთუ ქვეყანას დასჭირდეს, მაშინ იგინი აღარ შეწუხდებიან, პური მზად იქნების და იქიდან დაიხარჯება“.

თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი იოანე ბატონიშვილმა პეტერბურგში გაატარა. აქ მან ხელი მოჰკიდა მეცნიერულ და ლიტერატურულ მუშაობას. „დღედაღამ ათევთ წერითა, რათამცა სარგებლობანი შესძინოთ ერსა“, სწერს მის შესახებ მისი მეგობარი იონა ხელაშვილი. ეს მუშაობა უანგარო ზნეობრივ ღვაწლს წარმოადგენდა, ის უფრო მომავალი თაობის საჭიროებისათვის იყო განზრახული, ვიდრე თანამედროვეებისათვის; სტამბის უქონლობის და მანძილის სიშორის გამო იოანე ბატონიშვილს საშუალება არ ჰქონდა ცოტად თუ ბევრად მრავალრიცხოვან ქართველ მკითხველ საზოგადოებას გამოლაპარაკებოდა: მის აუდიტორიას მისი ძმები, ნათესავები, მეგობარი ემიგრანტები წარმოადგენდნენ.

იოანე ბატონიშვილმა შეადგინა რამდენიმე სახელმძღვანელო, განსაკუთრებით გრამატიკისა, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დარგიდან, დაწერა ენციკლოპედია და მრავალტომიანი რუსულ-ქართული ლექსიკონი; ამის გარდა ქართულად გადმოთარგმნა ფრანგი სენსუალისტების მეთაურის აბატ კონდილიაკის „ლოგიკა“ და შოტლანდიელი მორალისტ-ფილოსოფოსის ადამ ფერგიუსონის „ზნეობითი ფილოსოფია“. როგორც ეტყობა, ის კარგად იცნობდა ფილოსოფიას: მეფის ძემან იოანემ განმიმარტა ფილოსოფია ძველი ათინელთა და ახალი გერმანიისაო, ამბობს მის შესახებ იგივე იოანე ხელაშვილი.

იოანე ბატონიშვილის მთავარი ლიტერატურული შრომა, რომელსაც დღემდე არ დაუკარგავს აქტუალური მნიშვნელობა, მისი „ხუმარსწავლა ანუ კალმასობაა“. ეს თავისებური ენციკლოპედიაა, სადაც ავტორი ცდილობს თავისი დროის მეცნიერების მიღწევანი ხელმისაწვდომი გახადოს ქართველი მკითხველისათვის, ამისთვის ის მეტად ორიგინალური ხერხს მიმართავს. ის სამონასტრო ღალისა და ნებაყოფლობითი შეწირულების ასაკრეფად სოფელ-სოფელ ატარებს ქვაბთახევის განსწავლილ ბერს იონა ხელაშვილს, რომელსაც მან თავისე-

ბური სანჩო პანსა — ზურაბ ღამბარაშვილი ახლავს. საღამოს დაღლილი მოგზაურები, ჩვეულებრივ, რომელიმე ადგილობრივი ფეოდალის ან მოხელის სახლში შედიან დასასვენებლად, სადაც იონა ბერი ვახშმობის დროს მასპინძელთან საუბარს მართავს ამა თუ იმ ფილოსოფიურ, მეცნიერულ ან პრაქტიკულ საკითხებზე.

„კალმასობას“ საფუძვლად გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა უძევს. ავტორი ეთანხმება სენსუალისტებს, რომ როგორც გარეშე სამყაროს, ისე თავის თავს ადამიანი შეგრძნობათა შემწეობით შეიცნობს, რომ მას თანდაყოლილი იდეები არა აქვს: „რაისადმი სახმარ არიან გრძნობანი ესე (ე. ი. ხედვა, ყნოსვა, სმენა, შეხება და გემება?) საშუალებათა ამა ხუთთა გრძნობათა სული ჩვენი მიმღებლობს მცნობელობასა არა თუ ოდენ მისთვის, რაიცა სხეულსა შინა მისთა, არამედ მისთვისაცა, რაიც გარეშე მისთა იმოქმედებიან“. ეთიკის დარგში იგი ეგრეთ წოდებულ ევდემონისტურ მიმართულებას ემხრობა, ე. ი. ფიქრობს, რომ ადამიანის მორალური მოქმედების მიზანი ბედნიერების მიღწევაა. მაგრამ ამასთანავე ის ადამიანისაგან ერთგვარ სტოიკურ სიმტკიცესაც მოითხოვს: „რაი არს კეთილი და რაი ბოროტი? კეთილი არს ყოველივე იგი, რაიცა შეგვიქმს ჩვენ კეთილ შემთხვეულობასა, ხოლო ბოროტი არს იგი, რომელიც გვყოფს ჩვენ უბედურად... უბედურებასა შინა ნუ შესწუხდები, ბედნიერებასა შინა ნუ მოუძლურდები“ და სხვ.

მაგრამ დღეს „კალმასობას“ საინტერესო საკითხავ წიგნად ხდის არა მისი ფილოსოფიური ან მეცნიერული მსჯელობანი, არამედ მხატვრული ნაწილი, სადაც იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ადამიანების ფსიქოლოგიაა ასახული. ეტყობა სამშობლოდან გადასახლებამდე იოანე ბატონიშვილს კარგად შეუსწავლია საქართველოს ყოველი კუთხე და გაუცნია ქართველი საზოგადოების ყოველი წრე; ის ადამიანების და საგნების დიდ ცოდნას ამჟღავნებს, როგორც მოსალოდნელი იყო მწერლისაგან, რომელიც ჯერ კიდევ თავის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში მოითხოვდა, რომ საქართველოს მეფეს სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ მაინც შემოევლო თავისი სამფლობელო,

კვირაში ორჯერ მაინც აივანზე გამოსულიყო ხალხის საჩივრის და თხოვნის მოსასმენად და სამეფო მეჯლისზე დიდებულთ გარდა ვაჭარნი და მდაბიონიც დაეპატიჟნა.

იოანე ბატონიშვილი ძლიერ გონებამახვილი მწერალია, მისი იუმორი ხშირად დაბალი ხალხის ჯანსაღ და ტლანქ ხუმრობას უახლოვდება; მაგრამ „კალმასობის“ ძირითადი ტონი მაინც დიდად სერიოზულია. ესაა ღრმა პატრიოტული და ჰუმანისტური ტენდენციით დაწერილი წიგნი, ფეოდალური საქართველოს ორგანიზმი. „კალმასობის“ მიხედვით, მეტისმეტად დაავადებული ჩანს, „ქართლში არასოდეს სამართალი არ ქნილა და არც იქნებაო“, — ამბობს ავტორი ერთ-ერთი თავისი გმირის პირით. როცა მგზავრობის მესამე დღეს იონა ბერი თანამგზავრებთან ერთად სოფელ ჭალაში მიდის თავად აბაშიძეებისას, მათ კოშკიდან მოესმით „ხმა რაიმე მწუხარებისა“. აღმოჩნდება, რომ კოშკში გლეხები არიან დატყვევებულნი, აბაშიძე მათ სამაჰმადიანოში გაყიდვას უპირებს. ვახშამზე, სადაც კეთილშობილი მანდილოსნებიც სხედან და სადაც საუბარში ნატურ-ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ეთიკური საკითხების გარკვევა ხდება, სხვათა შორის, ამ ტყვეებზე ჩამოვარდება ლაპარაკი. თავად აბაშიძეს და მის ვასალს პაპუა ორჯონიკიძეს სრულიად საკალალოდ არ მიაჩნიათ მათი ბედი. ისინი ასე მსჯელობენ: ეგვიპტეში მრავალმა ქართველმა ტყვემ ბეგობა მიიღო, ადამიანისათვის კი, ბოლოს, სულ ერთია, სად იცხოვრებს ის ბედნიერად, სამშობლოში თუ მის გარეთ. მათი აზრით ქართველი ტყვის ბედი სახარბიელოცაა: თუ მან ცთუნებას და ძალდატანებას გაუძლო, ქრისტიანულ საიქიოში სამოთხეს დაიმკვიდრებს, ხოლო თუ სატანჯველი ვერ აიტანა და რჯული გამოიცვალა, მაჰმადიანურ ქვეყანაში ბეგი ან ფაშა გახდება.

ამ თავისებურ ცინიკურ ბანკეტს ტრაგიკომიზმით აღსავსე ამბავი მოსდევს. ვახშმობის შემდეგ თავის ბინაზე მისულ იონა ხელაშვილს შეეშინდა, ვაითუ აბაშიძემ და ორჯონიკიძემ ჩემი გაყიდვაც განიზრახონ, მით უმეტეს, რომ ერთი კაცი აკლიათ, რათა ტყვეების რიცხვი ათად შეასრულონო. ის მაინცდამაინც ვერც თავის თანამგზავრს ღამბარაშვილს ენდო-

ბოდა, ვინ იცის, ეგებ სიხარბემ სძლიოს და რამდენიმე ოქროში გამცვალოსო. ამიტომ იოანე ხელაშვილი ცხენს მოახტა და ხაშურისაკენ გაჰქუსლა. ხაშურთან შეამჩნია, რომ აბაშიძის მდევრები მოსდევდნენ. ერთი უცნობი გლეხის სახლში შევარდა. სადაც მხოლოდ დედაბერი დახვდა, რომელმაც ქვეშაგებში ჩააწვინა, ხოლო თვითონ ზევიდან დააჯდა, ვითომდა აქ არაფერიაო. მდევრები კვალდაკვალ მიჰყვნენ. მაგრამ საბედნიეროდ აღმოჩნდა, რომ თავად აბაშიძეს ისინი მისთვის დასაჭერად კი არა, უკან დასაბრუნებლად და დასასაჩუქრებლად დაედევნებია. მათ იოანას რამდენიმე ბაჯაღლო ოქრო გადასცეს, შეიძლება წინათ გაყიდული ტყვეების საფასურად აღებული, და დამშვიდებულმა ბერმა ამ ოქროს პათოსით და ირონიით აღსავსე ჰიმნი მიუძღვნა, რომელიც ღირსეულ დასასრულს წარმოადგენს ამ სასაცილო და სატირული თავგადასავლისა.

„კალმასობაში“ მრავალად მოიპოვება ასეთი მკვეთრი სურათი, რომელიც ახასიათებს მიმავალი ფეოდალური საქართველოს ზნეობრივ კრიზისს. ლეკები სურამელ გლეხებს არბევენ და ნახირს იტაცებენ. სურამის მოურავი დახმარების მაგივრად გადარჩენილ საქონელს ეპატრონება: ეს ჯარიმაა, რატომ მდევარში არ გამოხველითო. სოფელ საღოლაშენში ათასიმ თავს ზაზა ამირეჯიბს ცხენები საუცხოოდ ჰყავს მოვლილი: მეჯინიბეები მათ ქვეშ უგვიან და უსუფთავებენ. ამირეჯიბის ჭუჭყიანი ბავშვები კი ნეხვში თამაშობენ. მცხეთის კათალიკოსი თავის პალატის ფანჯრებს ახურვინებს, არავინ დამინახოს, რომ დიდ მარხვაში ცისკრის წინ ახალდაჭერილი ორაგულით ვძღებიო. დავით ბატონიშვილის ცერემონიმეისტერი იმდენად უმეცარია, რომ ცოლის მოწერილი წერილი ვერ წაუკითხავს. ასეთ ხელისუფალთა რიცხვი ლეგიონია, მათ არაფერი გააჩნიათ, გარდა უსაზღვრო მადისა. მღვდელს ანჯიქო ბებურიშვილს ავაზაკების ბრბო ჰყავს, ის მათ ქურდობისა და მძარცველობის სხვადასხვა ოინს ასწავლის. მღვდლები და დიაკვნები ჟამნისა და სახარების კითხვის დროს „დია ხლტებიან“ და „ბევრ სიტყვას უშვებენ“, მაგრამ საუცხოოდ იციან ყანწის მომარჯვება და მეტანიის გაკეთება ღვინით სავსე ქვევრის წინაშე. თბილელი მიტროპოლიტი საქათმეში ხვდება თავის სტუმრებს, ის აღშფოთებული არკვევს, რომ მის ათს ყველულს ერთი ცალი

აკლია. თვით იონა ბერი ერთ საღამოს მღვდელ არონ ალექსიშვილის სახლში დანაყრდება და შეზარხოშდება. ღამით წყურვილი გამოაღვიძებს, წამოდგება, დოქის ძებნას დაიწყებს ხელების ფათურით და მასპინძლის ცოლის ლოგინს წააწყდება. ამას მოჰყვება ქმრის გამოღვიძება, სტუმარ-მასპინძლის ჩხუბი, ცემა-ტყეპა და წვერთა გლეჯა.

თუ თავის სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტში იოანე ბატონიშვილმა გამოარკვია, რომ შეიძლებოდა, მისი აზრით, საქართველოს ფეოდალური მონარქიის გადარჩენა, „კალმასობაში“ მან დაგვანახა, რატომ დაიღუპა ბაგრატიონების სამეფო. მან დაგვანახვა, რომ სრსვილი ღრღნიდა მთელ სოციალურ ორგანიზმს, რომ ყველაზე მეტად სწორედ მთავარი ორგანოები, ე. ი. გაბატონებული და მმართველი წრეები იყვნენ დაავადებული. როგორც განათლების ეპოქის შვილს შეეფერებოდა, ფრანგი და გერმანელი რაციონალისტ-ფილოსოფოსების მიმდევარს, ის თავისი სამშობლოს ერთ-ერთ მთავარ უბედურებას ევროპული განათლების უქონლობაში ხედავდა: „პირველ რომ, როგორც რიგია, ვერ იზრდებიან სწავლითა მეფის ძენიცა და თავადნიც, ხოლო მეორე, რადგან აზიელთ ჩვეულება შემოსულა ამ ქვეყანაში, ისე ვიქცევით ჩვენ და ამისთვის ვითარცა მათ შორის არის ძმათა ამბოხება და ურჩება, აგრეთვე აქაც მოუღიესთ“.

რა საშუალება იყო საჭირო, იოანე ბატონიშვილის აზრით, ამ დაავადებული ორგანიზმის მოსამჯობინებლად და მოსარჩენად? უწინარეს ყოვლისა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების რეორგანიზაცია, რომლის პროექტი მან მეფეს წარუდგინა, სანამ სამშობლოში იმყოფებოდა. მაგრამ უცხოეთში გადახვეწის შემდეგ მას აღარ შეეძლო ამ პროექტის განხორციელებაზე ეოცნება. მას ისღა დარჩენოდა, რომ პეტერბურგიდან თავისი ნაწერებით მეცნიერული და მორალური იდეების პროპაგანდა გაეწია. ის შეებრძოლა პატრიოტული შეგნების დაჩლუნგებას, მორალის დაშლას, ეგოიზმს, უმეცრებას. ის იყო პირველი ქართველი გამანათლებელი, სამშობლოს საზღვრებიდან გაძევებული, მაგრამ ღრმად დაფიქრებული თავის სამშობლოს ტრაგიკულ მდგომარეობაზე.

1940

რომანტიკოსების თაობა

ჩვენს რომანტიკოსებს რამდენიმე საერთო თვისება ახასიათებს: პატრიოტული გრძნობის გულწრფელობა და სიღრმე, სიყვარულის განცდის იდეალისტური სინატიფე, რელიგიური მოკრძალება დიდი ისტორიული ნანგრევების და სასაფლაოების წინაშე, ბოლოს ფეოდალური კულტურის შეგრძნობა არა როგორც შორეული წარსულისა, არამედ როგორც უშუალო ყოველდღიური რეალობისა.

ეს უკანასკნელი გარემოება თავისებური ობიექტური პირობებით აიხსნება, დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმი, როგორც ეკონომიური წესწყობილება, უკვე მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეში მოკვდა; საფრანგეთის რევოლუციამ ის პოლიტიკურად დაასამარა. საქართველოში ფეოდალიზმი ცოცხალი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ბევრი რამ, რაც გერმანელი, ფრანგი ან ინგლისელი რომანტიკოსებისათვის შორეული წარსულის ხილვა იყო, ბინდბუნდით მოცული ტაძრები, შევარდნებით მონადირე რაინდები, ასპარეზობა, ყანწებით და აზარფეშებით ღვინის მსმელი თანამესუფრეები, დაჩრდილულ ბაღებში მოსეირნე ქალვაჟები, ეს ყოველივე ქართველი რომანტიკოსებისათვის ნაწილობრივ ცოცხალი სინამდვილის მოვლენებია.

თვით ქართველი რომანტიკოსები უფრო შუა საუკუნეების ოსტატებს ჰგვანან, ვიდრე თანამედროვე პროფესიულ მწერლებს. ისინი ცოტას წერენ, მათი ლექსები დიდხანს მხოლოდ ხელნაწერების შემწეობით ვრცელდება, ალექსანდრე ჭავჭავაძეს და ნიკოლოზ ბარათაშვილს თავიანთი ორიგინალური ნაწერები დაბეჭდილი არც კი უნახავთ. არც ერთი მათგანს არასოდეს არავითარი ჰონორარი არ მიუღია, მათი შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა შინაგანი იძულება იყო. ბოლოს, ისინი უფრო ერთ ლიტერატურულ ოჯახს წარმოადგენენ, ვიდრე ლიტერატურულ სკოლას ან მიმართულებას: თანამედროვე გაგებით: ისინი ურთიერთშორის ნათესაობით ან მეგობრობის გრძნობით არიან დაკავშირებულნი. ისინი ყველანი არისტოკრატები არიან არა მარტო წარმოშობით, არამედ აზროვნებით და ცხოვრების შეგრძნობით.

გრიგოლ ორბელიანი ერეკლე მეფის ქალის ელენეს შვილისშვილია, ხოლო ვახტანგ ორბელიანი იმავე მეფის ქალის თეკლეს შვილი; ეს თეკლე ბატონიშვილი თვითონაც ნიჭიერი პოეტი იყო. ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა ორბელიანის გვარის ქალი იყო; გრიგოლ ორბელიანი მის ოჯახთან დაკავშირებულია ხანგრძლივი მეგობრობით, თავისი საუკეთესო სატრფიალო ლექსები მან მის ქალებს ნინოს და ეკატერინეს მიუძღვნა. მეგობრობისა და რომანტიკული ტრფიალის გრძნობები აკავშირებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც გრიგოლ ორბელიანის საყვარელი დის ეფემიას ვაჟი იყო. ამას გარდა რომანტიკოსები ერთმანეთს დიდი პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობიან, როგორც ადამიანებს და როგორც პოეტებს.

ამ პოეტთა თაობის აზროვნებაზე ორმა დიდმა ისტორიულმა თარიღმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა: 1801 წელმა, როცა რუსეთის იმპერატორის მანიფესტით საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო, და 1832 წელმა, როცა ქართველი პატრიოტული თავადაზნაურობის და ინტელიგენციის შეთქმულება გამომჟღავნდა და დამარცხდა.

ჩვენი რომანტიკოსების დამოკიდებულება პირველი ამბისადმი, თითქმის ერთნაირია: ძველი საქართველო მათს აზროვნებაში წარმოდგენილია როგორც იდეალური სამეფო, რომელიც ნამდვილ ნეტართა კუნძულად იქცეოდა, თუ ის ველური და სისხლისმსმელი მტრებით არ ყოფილიყო გარშემორტყმული. იქ ყოველი ბიწიერება მოსპობილია და ყოველი სათნოებაა გამეფებული; მეფეები კაცთმოყვარენი და ბრძენნი არიან, მხედარნი ყოვლად უებრონი და მამაცნი, ხოლო მანდილოსანნი ყვავილებივით სურნელოვანნი და ნაზნი. უკანასკნელნი ამ ქვეყნად მიმოდიან ტანის ოდნავი მიმოხრევით, წელზე მათ ცისარტყელები არტყიათ; როცა ისინი ტბის ან მდინარის ჭავლში იცქირებიან, მთვარე თავს დაჩაგრულად გრძნობს და ილრუბლება. ასე აქვს წარმოდგენილი ძველი საქართველო როგორც „გოგჩის ტბის“ ავტორს, ისე „სადღეგრძელოს“, „ობლისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორებსაც.

მაგრამ მათი პატრიოტიზმი მარტო ისტორიული წარსულის იდეალიზაციაზე როდია დაყრდნობილი. სამშობლოს სი-

ყვარულს ისინი ძალიან მძაფრად გრძნობენ, ძალიან კონკრეტულად. ამ გრძნობას ურყევი ბიოლოგიური საფუძველი აქვს. მათ თავიანთი სამშობლოს ჰავა სხვანაირად შეზავებულად მიაჩნიათ, თავიანთი სამშობლოს ზეცა განსაკუთრებით ლურჯად, თავიანთი სამშობლოს მდელოები განსაკუთრებით ამწვანებულად. მათს პატრიოტულ გრძნობას პირველყოფილი ინსტინქტების სიცხოველე აქვს შენარჩუნებული. „ოჰ, ეს ტაბახმელის ჰაერი! — წერს ერთ კერძო წერილში ოთხმოცი წლის ბებერი სატირი გრიგოლ ორბელიანი, — მისი სუფთა გამაგრილებელი, გამაცოცხლებელი ნაკადი ჩვენამდე პირდაპირ მოჰქრის ყაზბეგის მყინვარებიდან, და ჩვენც ხარბად ვეწაფებით მას. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ვსვამთ ჯანმრთელობას, ძალ-ღონეს, მხიარულებას, ჩვენი სული მსუბუქი ხდება, და იღვიძებენ დიდი ხნით დავიწყებული სურვილები: „ადამიანს გინდა ისეირნო, იმღერო, მშვენიერი ქალების საზოგადოებაში იყო“. მეორე წერილში იგივე გრიგოლ ორბელიანი წერს: „ბორჯომი ჩემია, მე გამიწევია მანდ ლაზათები მაშინ, როცა სახლების მაგიერ გვედგა კარვები; მუზიკის ნაცვლად ჰგალობდნენ ბულბულები; სადაც არ იყო გზა და ჩვენც ვიმალებოდით ჭალაკებში, ბუჩქებში“.

ასეთივე თავისებურად უშუალო და ცხოველი გრძნობით აქვთ ათვისებული სამშობლოს ბუნება ალექსანდრე ჭავჭავაძის („ჰძგერს გლახგული, საყვარელო“, „აჰა, ეს ვარდ-ზამბახი, შენთა ელფერთ მომპარველნი“ და სხვ.), ნიკოლოზ ბარათაშვილს („შემოღამება მთაწმინდაზე“, „ღამე ყაბახზე“, „ფიქრი მტკვრის პირას“, „ჩინარი“ და სხვ.) ვახტანგ ორბელიანს („მოგონება“, „არის ადგილი“, „ჯვარი ვაზისა“, „კიდევ კახეთს“, „ვის გინახავს“ და სხვ.), ბოლოს, თვით გრიგოლ ორბელიანს თავის პოეტურ შედევრებში („ღამე“, „საღამო გამოსალმებისა“ და სხვ.)

მაგრამ თუ ქართველი რომანტიკოსების პატრიოტული გრძნობა მტკიცე და ორგანულია, იგივე არ ითქმის ნაციონალურ პროგრამას და მათს პოლიტიკურ მოღვაწეობაზე: აქ მათ— ყველას მერყეობა და გაორება ეტყობა. სანამ საქმე ეხება სამშობლოს სიყვარულს, მისი ისტორიული წარსულის დაფასებას, მისი ბუნების მშვენიერების შეგრძნებას, რომანტიკოს

პოეტებს შორის ერთსულოვნება სუფევს, მაგრამ როცა მათ თვალწინ საქართველოს მომავალი პოლიტიკური განვითარების საკითხი დგება, მათი გზები ითიშება, და მათ შორის ინდივიდუალური განსხვავება იჩენს თავს.

* * *

ყველაზე ნაკლებ რადიკალურად განწყობილი ეროვნულ საკითხში ქართველ რომანტიკოსებს შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ის ყველაზე ხნიერია მათ შორის; ის რამდენიმედ მაინც დაკავშირებულია კოსმოპოლიტურად მოაზროვნე მეთვრამეტე საუკუნესთან, აღზრდილია რუსეთის, საფრანგეთის და ირანის კულტურის ტრადიციებზე, მისი მამა, ერეკლე მეფის დიპლომატიური წარმომადგენელი რომანოვების სამეფო კარზე, გარკვეული რუსოფილი იყო. იგი უხვად დაჯილდოებულ იქნა ეკატერინე მეორის, პავლე პირველისა და ალექსანდრე პირველის მიერ. თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე ეკატერინე მეორემ ამოიყვანა ემბაზიდან; ნათლიის მიერ ნაბოძები მაყვლისფერი ხავერდის ბალიში ჭავჭავაძის ოჯახში დიდხანს ინახებოდა თურმე, როგორც უძვირფასესი რელიქვია. ეპოქის საუკეთესო მემატიანეებს, დავით ბატონიშვილს და მის ძმებს 1811 წლის თარიღს ქვეშ აღნიშნული აქვთ: „აპრილის ხუთს მოკვდა ჭავჭავაძე გარსევან ეშყაბაში წყალმანკით პეტერბურხს, გამცემი მეფისა და მამულისა თვისისა ორგული“.

სიუაბუკის ასაკში ალექსანდრე ჭავჭავაძე მოწმე გახდა ბაგრატიონთა სამეფოს სულთმობრძაობისა. ის თხუთმეტი წლისა იყო, როცა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტი გამოცხადდა: 1804 წლის სექტემბერში ალექსანდრე თავის მამას გაექცა და აჯანყებულ მთიულებს მიემხრო, რომელთაც ბატონიშვილი ფარნაოზი მეთაურობდა. ამბოხების დაცხრობის შემდეგ ის მთავრობამ რუსეთში გადაასახლა. მაგრამ დანაშაული ჩქარა ეპატია და პაჟების კორპუსში იქნა მიღებული. 1812 წელს ის უკვე როგორც რუსეთის ერთგული ოფიცერი აჯანყებული კახელი გლეხების წინააღმდეგ გამოვიდა და ფეხში დაიჭრა კიდეც. ასე რომ, ნაპოლეონის საწინააღმდეგო

კამპანიაში ოდნავ დაშავებულმა მიიღო მონაწილეობა და პარიზში კოალიციის ჯართან ერთად კოჭლობით შევიდა. ამან მას ხელი არ შეუშალა ევროპის პოლიტიკური წესწყობილების და კულტურის უპირატესობა ეგრძნო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან რამდენიმე სანიმუშო ნაწარმოები გადმოთარგმნა კორნელიდან, რასინიდან, ლაფონტენიდან, ვოლტერიდან.

ახალგაზრდა ქართველი არისტოკრატის სული სავსებით დახშული არ ყოფილა გამათავისუფლებელი იდეებისათვის, რომელიც რუსეთის ოფიცრობამ უხვად შეისუნთქა დასავლეთ ევროპაში და განსაკუთრებით პარიზში ყოფნის დროს. ამას მოწმობს ალექსანდრე ჭავჭავაძის ერთი ლექსის ტაეპები, ერთად-ერთი სოციალური მოტივი მთელ მის შემოქმედებაში:

სამეფონი ურთიერთსა მცველობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეცლობენ,
მდიდრდებიან, რომელნიც მრევლობენ,
მდიდრდებიან
და ყვავილოვნობენ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით...
რომელიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას!
არ მარადის იშვიათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

1832 წლის შეთქმულება ნაწილობრივ დასავლეთ ევროპის და პოლონეთის რევოლუციური და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოძახილი იყო საქართველოში. ალექსანდრე ჭავჭავაძეს მასში, როგორც ეტყობა, აქტიური მონაწილეობა არ მიუღია; მაგრამ მას დიდი ავტორიტეტი ჰქონია შეთქმულ ახალგაზრდობაში, სცოდნია თვით შეთქმულების მზადების ამბავი და ამიტომ მთავრობას დაუსჯია დაუსმენლობისათვის. მან მხოლოდ ორიოდე წელი გაატარა ტამბოვში, შეწყალებული იქნა ნიკოლოზ პირველის მიერ და ისევე სამშობლოში დაბრუნდა. ამის შემდეგ მისი სამხედრო კარიერა ბრწყინვალე იყო, მისი ცხოვრება ნებიერი, ის შეწყვიტა უაზრო შემთხვევამ, გაქანებული ეტლიდან გადმოვარდნამ.

პოეტი ძოკვდა იმ რწმეხით, რომელიც შან თავის „კავკასიაში“ გამოთქვა: „გაიხსნა გზა და ეშვათ ივერიელთ სასოება, რომ მუნით (ე. ი. რუსეთიდან) შევიდეს მათ შორის განათლება“.

ეროტიკულმა და ბაქხურმა ლირიკამ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძალიან თავისებური ხასიათი მიიღო. შესაძლებელია, ის უშუალოდ არ იცნობდა ამ ლირიკის კლასიკურ წარმომადგენლებს, ძველ ბერძენ პოეტებს — საფოს, ალკეოსს, ანაკრეონტს; მაგრამ ის ალბათ ორიგინალებში ან თარგმანებში იცნობდა მათი რომაელი და ევროპელი ეპიგონების ზოგიერთ ნაწარმოებს. რაც შეეხება ჰაფიზს და მის სკოლას, მათ ალექსანდრე ჭავჭავაძე უცილობლად კარგად იცნობს, ის მათ ლექსებს ბაძავს, მათგან სესხულობს სახეებსა და მელოდიას. ამისდა მიუხედავად ალექსანდრე ჭავჭავაძე მეტის-მეტად ორიგინალურ პოეტად უნდა ჩაითვალოს.

როცა ალკეოსი ან ანაკრეონტი მშვენიერ ქალებს, ვაჟებსა ან ღვინოს უმღერიან, ისინი რეალურ საგნებს და რეალურ განცდებზე ლაპარაკობენ. მათ შემოქმედებას აქვს უშუალობის ელფერი, რომელიც დღესაც გვხიბლავს, და აზის გულახდილობის ბეჭედი, რომელიც დღეს შეიძლება საჩოთიროდ გვეჩვენოს. პირიქით, როცა ჰაფიზი და მისი მიმდევარი პოეტი ღვინოს და სატრფოს უმღერის, ის ლაპარაკობს წარმოდგენილ საგნებსა და წარმოდგენილ გრძნობებზე, იმიტომ რომ, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნის ირანელი ღვინოზე უფრო ხშირად შარბათს სვამს და ჰარამხანაში დამწყვდეულ ქალს შორიდან ეალერსება. ჰაფიზის და მისი ეპიგონების შემოქმედებაში ღვინოს, სატრფოს, სიყვარულს ალეგორიული, პირობითი ან მისტიკური მნიშვნელობა აქვს. სატრფიალო და საწადიმო ლექსების წერა ერთგვარი მოდის, ერთგვარი მანერის საქმეა. მაგალითად, როცა ქვეყნების დამპყრობელი თურქი სულთანი სელიმ I თავისი ირანული ლექსების „დივანში“ ამბობს, ჩემი უდიდესი სურვილია ძაღლივით კარის რიდესთან ვეგდო, რათა სატრფომ გადმომაბიჯოსო, რომ ჩემი უკანასკნელი აზრი სიკვდილის წინ მას ეკუთვნისო და სხვ., აქ რეალური განცდის ნატამალიც არ არის. არავითარი შეუბრალებელი სატრფო სულთან სელიმს არ ჰყოლია, მისი ჰარამხანა სავსე იყო ცოლებით და ოდალისკი ქალებით. ის მხოლოდ იმეორებდა იმას, რაც მასზე ადრე მრავალჯერ თქმულა ირანულ ეროტიკულ ლირიკაში.

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ღვინოს უმღერის, ის ნამდვილ კახურ ღვინოს გულისხმობს, და მასში არც ერთი წვეთი შარბათი არ ურევია; როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე სატრფოს უმღერის, ის ნამდვილ ქართველ ქალს გულისხმობს, რომელსაც არასოდეს პირზე ჩადრი არ ჰფარებია და ჰარამხანის შეხუთული ჰაერი არ უსუნთქავს. მაგრამ თავისი რეალური და კონკრეტული განცდების გამოსათქმელად ის, ნაწილობრივ ბესიკის და საიათნოვას წაბაძულობით, ირანული პოეზიის მეტაფორულ ენას მიმართავს. ამიტომ მკითხველი ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობს, თითქო ლაპარაკი იყოს არა ინდივიდუალურ საგნებსა და გრძნობებზე, არამედ მათს პირობით ნიშნებზე და იდეურ აბსტრაქციებზე.

ეს ირანული მანერა ანუ „ყაიდა" თანამედროვე მკითხველს ძალიან უშლის ხელს ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო და სანადიმო ლირიკა იგემოს და დააფასოს. მისი ლექსის ფორმა მრავალ შემთხვევაში მეტისმეტად ხელოვნურია, ენა დატვირთულია არქაიზმებით და ირანიზმებით; ის ხშირად ხმარობს ეგრეთწოდებულ მაჯამას; მისი თეჯნისების და მუხამბაზების გაგება ძნელდება არა შინაარსის სიღრმისა, არამედ ფორმალური ჯამბაზობის გამო. მას ზედ ერთვის ირანელი პოეტების მიერ შეუბრალებლად გაცვეთილი ალეგორიებისა და მეტაფორების ხმარება. ბულბული შეყვარებული ვაჟია, ვარდი მისი სატრფო, ხოლო ყვავი მისი მოქიშპე. ქალის ტანი ყოველთვის ლერწამივით წერწეტია ან კვიპაროსივით და ალვის ხესავით ატყორცნილი; თმა ან გიშერია ან გველი, წარბი მშვილდივით მოხრილია, წამწამები ან ისრები არიან, ან შავი ჰინდონი; მკერდი ბროლის ველია, თვალები მელნის ტბები, ძუძუები ორ ნარინჯს წარმოადგენენ. თვით ირანული სუფისტური პოეზიის საუცხოო ალეგორიები — ფარვანა და სანთელი, რომელთაც გოეთემ გასაოცარი სიახლე მისცა, ცოტა არ იყოს, ფერმკრთალად გამოიყურებიან ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკაში:

> შენ არ ხარ სანთელი, კრულ ვარ თუც მას გადარო,
> არც მე ფარვანა, რომე დამწვა, რა გეკარო.

თუ გვინდა გავიგოთ ის დიდი აღტაცება, რომელსაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები მის თანამედროვეებს შორის იწ-

ვევდა, მისი ეპოქა უნდა წარმოვიდგინოთ. იქ ცხელი ზაფხულის საღამოს, სამხრეთის ცის ქვეშ ან ვაზის ფოთლებით დაბურულ ფანჩატურში, სუფრაზე, რომელზედაც ყველა სანათური დაქრობილია ან ოდნავ ბჟუტავს, გარდა ვნებით აგზნებული თვალებისა, მუსიკალური ინსტრუმენტების აკომპანიმენტით შესრულებული მისი სიმღერები უკვე არც მშრალად გვეჩვენება და არც მონოტონურად. ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს არის ნამდვილი პრინცი აშულთა შორის, შუა საუკუნეების ტრუბადური ან მენესტრელი, სადღაც წინანდალში დარჩენილი, რომელსაც იქ ცოტათი, ასე ექვსიოდე საუკუნე დაგვიანებია; ის არის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი იმ პოეტებისა, რომელთა ლექსები განზრახულია არა სასტამბო დაზგის ასახრიალებლად, არამედ შეყვარებულთა და მოქეიფეთა ასამღერებლად. წარმოვიდგინოთ მის გვერდით მდგომარე მშვენიერი ჭაბუკი, ახლად მოვლენილი ნარცისი, რომელიც, რათა თავის სილამაზით დასტკბეს, ღვინოში იცქირება წყლის მაგივრად, მაგრამ შნოს და ადამიანურ ღირსებას არ ჰკარგავს ორგიებში:

შენ ნარგიზი ახალი ხარ, შენსა თავსა ჰსტრფობ და ჰყვარობ,
მაგრამ წყალში ჭვრეტის ნაცვლად წითელს ღვინოს სარკედ ჰხმარობ;
სახე შენი მას ღვინოში ჰსჩანს ვით ვარდი, ზედა ხარობ,
მერმე ეშხით აღნატაცი თავსა შთანთქმად აღარ ხარობ.

შემდეგ წარმოვიდგინოთ სატრფოს ლოდინი ღამის სიბნელით მოცულ ხეივანში, აჩრდილის მიღება-სინამდვილედ, შეკრთომა შერხეული ფოთლების შრიალზე, გიშრის თმის გადასვლა წყვდიადში, ბროლის მკერდისა — ცის გაელვარებაში, ნიავის ნელის ქროლისა — ვნებიან სუნთქვაში, ბოლოს პოეტის მუდარა, რომ სატრფომ ის არ დაჰგმოს ინტიმურ გრძნობათა გამომჟღავნებისა და ლაღად გამოთქმისათვის: — რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვასა გრილთა ენას!

რა არის ეს? პაემანი სატრფოსთან თუ რომანტიკული სულის შეერთება დაუსრულებელ ბუნებასთან, ვნებიანი დიალოგი, რომლისთვისაც პოეტი ტყუილუბრალოდ იხდის ბოდიშს, ვინაიდან ნამდვილად ეს შეიძლება მხოლოდ მონოლოგი იყო.

ვინც პოეზიას უფრო თვალით ითვისებს, ვიდრე ყურით, მას გაუჭირდება ზოგიერთი მისი ლექსების მელოდიურობის დაფა-

სება. მისი „ჟამნი რბიან, შენცა მელტვი “, „ჰსძგერს გლახგული, საყვარელო“, „აჰა, ესე ვარდ-ზამბასნი, შენთა ელფერთ მომპარველნი“ ნამდვილი შედევრებია მუსიკალობის თვალსაზრისით. მაგრამ ის ფერადმწერალ და მოაზროვნე პოეტად გვევლინება იმ ლექსებში, სადაც თავისუფლდება ირანული ლირიკის ვიწრო არტახებიდან და თავისი საკუთარი ორიგინალური შემოქმედებითი გენიის შთაგონებას უგდებს ყურს: ასეთია მრავალი მისი ნაწარმოები, ხოლო განსაკუთრებით მისი ცნობილი „გოგჩის ტბა“.

* * *

ქართველ რომანტიკოსებს შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა შეიძლება გრიგოლ ორბელიანი იყოს. ესაა ვეჟაცურად თავდაჭერილი ტემპერამენტის ადამიანი, ერთნაირად ძლიერი როგორც სიყვარულში, ისე სიძულვილში. ის რომანტიკოსია თავის პატრიოტულ განცდებში, პოლიტიკურ იდეალებსა და პოეტურ შემოქმედებაში, მაგრამ მის პრაქტიკულ-ადმინისტრაციულ და სამხედრო მოღვაწეობაში სრულიად არაფერია რომანტიკული: ამ უკანასკნელ დარგში ის მეცხრამეტე საუკუნის ყველა რეალისტის დიდი მასწავლებლის ნაპოლეონის და მისი ქართველი წამბაძველის პავლე ციციანოვის მიმდევრად გვევლინება.

გრიგოლ ორბელიანი სწორედ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის საზღვარზე დაიბადა. მას ყველაზე მეტად ეტყობა ის გაორება, რომელიც მთელი მისი პოეტური თაობისათვის დამახასიათებელია. სხვა რომანტიკოსების მსგავსად მანაც საუცხოო ძველი ქართული ტრადიციული შინაური აღზრდა მიიღო დედის შემწეობით; ეს აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, ბავშვის სოციალური ინსტინქტების განვითარებასთან ერთად ნებისყოფის და ხასიათის მტკიცედ გამოჭედვას გულისხმობდა. უმთავრესად ამ სწორი აღზრდით აიხსნება, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნა ზნეობრივი ვალდებულების მტკიცე შეგნება თავისი ოჯახისა, საზოგადოებისა, საშშობლოს წინაშე; მაგრამ მან განვლო რუსული საშუალო სკოლის და საარტილერიო სასწავლებლის კურსიც. შეითვისა ევ-

როპულ-რუსული კულტურა და ბოლომდე რომანოვთა რუსეთის იმპერიალიზმის ერთგული მებრძოლი დარჩა. დაღისტნის დაპყრობაში მან მეტი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა, ხოლო მის მართვაში მეტი ტაქტი, ვიდრე რუსი გენერლებისა და გუბერნატორების დიდმა უმრავლესობამ. ის ოცნებობდა, რომ როცა იქნებოდა, გამოეთხოვებოდა სატვირთო ზანდუკებს, დაღისტნის კლდეებს, ჩაჩნეთის ტყეებს და სპილოებზე ამხედრებული ჯარით, „ყარამანიანის" გმირების მსგავსად, ინდოეთის დასაპყრობად წავიდოდა.

მთიელთა ომებში და დაღისტნის მმართველობაში გრიგოლ ორბელიანმა დაამტკიცა, რომ ის ღირსეული მოწინააღმდეგე იყო შამილისა.

როგორც იმპერიალისტური რუსეთის გამობრძმედილ სარდალს და პოლიტიკოსს შეეფერებოდა, ის ერთი ხელით შეუბრალებლად სჯიდა ორგულებს და მეორე ხელით ეალერსებოდა დამორჩილებულებს; მისი წერილები, რომელნიც დაღისტნის ბრძოლის ასპარეზიდან არიან მოწერილი, დიდად საინტერესო მასალას იძლევიან მისი პიროვნების გასაცნობად. ის ცხოვრობს სპარტანულად, თავის ჯამაგირს დაპყრობილი და დამორჩილებული ქვეშევრდომების გულის მოსანადირებლად ხარჯავს, ან კიდევ თავის ნათესავებს უგზავნის, თუმცა თვითონ სიღარიბეში აღიზარდა, აქ დაპყრობილ ხალხში ნამდვილ მეფურ გულუხვობას იჩენს. როცა ის ლეკების სოფლებს პირისაგან დედამიწისა ჰგვის და ამბოხებულ თავებს აჭრევინებს, მას სწამს, რომ ქართველი პატრიოტის ვალდებულებას ასრულებს, იმიტომ რომ შამილის წინაპრები, განსაკუთრებით მისი პაპის ერეკლე მეორის მეფობაში, არბევდნენ და აოხრებდნენ ქართლ-კახეთს. მის წერილებში, რომელიც დაღისტნიდანაა მოწერილი, გვხვდება სტრიქონები, სადაც ლაპიდარული, ენერგიული სტილით უსასტიკესი შურისძიების გრძნობაა გამოთქმული.

სანამ მთიელების დამპყრობელი, „ავარიის ხანი", სახელმწიფო საბჭოს წევრი და ნამესტნიკის მოადგილე გახდებოდა გენერალ-ადიუტანტის ჩინით და უამრავ რუსული ორდენით დაჯილდოებული, გრიგოლ ორბელიანმა საკმაოდ ოღროჩოღრო ცხოვრების გზა განვლო. მან მონაწილეობა მიიღო რუსეთ-

ირანის და რუსეთ-თურქეთის ომებში (1826—1829 წ.) და, სხვათა შორის, ერევნის აღებას დაესწრო. აქ დაწერა მან თავისი „სადღეგრძელოს“ პირველი ვარიანტი, ანთებული პატრიოტიზმის გრძნობით გამსჭვალული პოემა, სადაც მოკლედ საქართველოს მთელი წარსული თავგადასავალია მოთხრობილი. მაგრამ ამ პოემას არ აქვს სიუჟეტი, იქ დაცული არ არის არც ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, არც ისტორიული კოლორიტი. თუ გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ დავუჯერებთ, საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არც მოღალატეობა, არც მხდალი სულმოკლეობა, არც შინაგანი შუღლი, ეს ერთი განუწყვეტელი გმირობის და მარტვილობის ეპოპეაა. „სადღეგრძელოში“ დაცული არ არის არც სწორი მასშტაბი: ფარნაოზ მეფის, ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და პატარა კახის გვერდით მოხსენებული არიან მეორე და მესამე ხარისხოვანი მოღვაწეები ფეოდალების წრიდან. თავი და თავი კი ისაა, რომ „სადღეგრძელოს“ საბოლოო ვარიანტში რუსეთის მფლობელობის დამყარება წარმოდგენილია როგორც ორგანული გაგრძელება საქართველოს ნაციონალური ისტორიისა, ხოლო ნიკოლოზ პირველი — როგორც თამარ მეფის დიდების დღეთა აღმდგენელი. ამისდა მიუხედავად ეს პოემა მნიშვნელოვანია არა მარტო პოეტის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად, არამედ როგორც მაღალ ხარისხოვანი მხატვრული ნაწარმოები. ისეთს ტაეპებს, როგორიც არის „თამარის დროშა გაშალეს“ ან „სხვა საქართველო სად არის“, დიდხანს მღეროდა ქართველი ხალხი.

რუსეთში ყოფნამ, რომელიც თავდაპირველად ნებაყოფლობითი იყო, ანუ უკეთ ვთქვათ, სამსახურის ვალდებულებით გამოწვეული, ხოლო შემდეგ იძულებითი, როგორც სასჯელი მისი პოლიტიკური გატაცებისათვის რუსის დეკაბრისტებისა და 1832 წლის შეთქმულთა იდეებით, კიდევ უფრო გაამძაფრა გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული შეგნება. თავის ცნობილ ლექსში — „იარალის“ მან ისეთივე ვნებიანი და კონკრეტული ენით გამოთქვა უცხოეთში გადახვეწილი ქართველი პატრიოტის სევდა, როგორც მასზე ადრე დავით გურამიშვილმა და დიმიტრი საკაძემ გამოთქვეს. სამშობლოს ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედია გერმანიაში გადასახლებულმა ფრან-

გმა მწერალმა შამისომ შეადარა იმ ადამიანის განცდას, რომელმაც დაკარგა თითქო რაღაც არამატერიალური, მაგრამ არსებითი, სახელდობრ თავისი საკუთარი ჩრდილი. გრიგოლ ორბელიანისთვის ემიგრაცია ნიშნავს მადის გამღვიძებელი, ყნოსვის დამატკბობელი ჯეირნის მწვადის, ღვინით სავსე აზარფეშის, მწვანილით და მოთალით აჭრელებული სუფრის, მცხუნვარე მზის და გამაგრილებელი ნიავის, ბოლოს გმირულ ისტორიულ მოგონებებთან დაკავშირებული ადგილების დაკარგვას და სამაგიეროდ კვასისა, ყინვისა და უგარის მიღებას.

ძნელია მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც ასეთი მატერიალისტური ენით გამოეხატოს სამშობლოს სიყვარული. მაგრამ გრიგოლ ორბელიანი თავისი მსოფლმხედველობით მატერიალისტი არ იყო. მას აქვს თბილი რელიგიური გრძნობა, რომელსაც მოკლებულია ეპიკურეელი ალექსანდრე ჭავჭავაძეც და სკეპტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილიც. სიყვარული მას წარმოდგენილი აქვს როგორც საუკუნის განცდა ერთ წუთში, როგორც ჟამთა შეჩერება, როგორც „უენოთ ქმნილ“ არსებათა განსვლა ამა სოფლით, რასაც ბოლოს განშორება მოსდევს. საყვარელი ქალის სახე მეტისმეტად მოულოდნელ გამოხატულებას ღებულობს მის ლირიკაში: ესაა ვარდის სურნელების და ცის გაელვების შერევა, სულად გადაქცეული და დამკვიდრებული უმანკო, წრფელ და სრულქმნილ გულში. ის გვარწმუნებს, რომ სატრფოები მას სულში უძვრებიან, წამწამებზე უსხდებიან, ან გაურბიან ძველი საბერძნეთის ლეგენდარული ფაეტონის მსგავსად. როცა მათ ხელში ვარდი უჭირავთ, გაურკვეველი რჩება ვინ ვის ყნოსავს, ქალი ვარდს თუ ვარდი ქალს. იმ ქალების უმრავლესობა, რომელსაც გრიგოლ ორბელიანი და სხვა რომანტიკოსები უმღეროდნენ, ჩვენთვის ცნობილია მხატვრული პორტრეტებითა და ფოტოგრაფებით. მათ კარგად განვითარებული მკერდი და თეძოები აქვთ, და საერთოდ ისინი ნაკლებ ჰგვანან ქერუბიმებს და სერაფიმებს. მაგრამ პოეტის ენებიან და თავშეკავებულ ტემპერამენტს ნემსის ყუნწში გაჰყავდა მათი ნარნარი წელი.

ამ ზეციერი სიყვარულის გვერდით გრიგოლ ორბელიანს თავის დღიურში ერთგვარი თავდაცინვით ნაამბობი აქვს თავისი მიწიერი სიყვარულის ერთი ეპიზოდი: ლიტვის რო-

მელიღაც დაბაში გაჩერება აღლუმის დროს, ლამაზ დიასახლისთან დაბინავება, ამხანაგების წასვლა რედუტში, კურკური დიასახლისთან, რომელიც მიუკარებელი აღმოჩნდა, მთელი ვნებიანი მეჭერმეტყველების გამოყენება მის დასაყოლიებლად, გაბუტვა და დასაძინებლად წასვლა; შუაღამისას ქალის ოთახის კარების გაღება და ბედნიერი მოქიშპის ფეხების ხმა; უძილობა და ორმოცდაათი ათასი რეალური და წარმოდგენილი რწყილის შემოტევა.

წოდებათა და სქესთა ურთიერთობის დარგში და გვაროვნული თუ ოჯახური მორალის საკითხში გრიგოლ ორბელიანის შეხედულებები ღრმად კონსერვატიულია. არც ერთ ქართველ რომანტიკოსს ისეთი გამახვილებული წოდებრივი გრძნობა არ ჰქონია, როგორც გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა. მას გულს უკლავს ქართველი არისტოკრატიის გაღატაკება და დაქვეითება. „მოვიდა ჩვენზე (ე. ი. თავადაზნაურობაზე) წარღვნა, და არსად სჩანს ნოეს კიდობანი“, ამბობს ის ერთ წერილში, ეს მას დიდ უბედურებად მიაჩნია საერთო სახელმწიფოებრივი თვალსაზრისითაც: მისი რწმენით ქართველი თავადაზნაურობა საუკეთესო ელემენტებს იძლევა ქვეყნის მართვა-გამგეობისათვის, და „მას ვერ შეცვლიან ვერც თათრის ბეგები, ვერც სპარსეთ-ოსმალეთიდან გადმოხვეწილი სომხები, ვერც რუსის მოხელეები, შეუდარებელნი ხალხთა სიძულვილის გამოწვევაში“. მას აშფოთებს, რომ გაუთხოვარი ქართველი ქალები ყავახანებში შედიან ახალგაზრდა ვაჟებთან ერთად; მას ეშინია, ვაითუ ჩემი საყვარელი ძმისწული ახალი ფრანგული ათეისტური ფილოსოფიის და პარიზის გამრყენელი და მომხიბლავი ცხოვრების გავლენას დაემორჩილოსო. ამავე კონსერვატიზმთანაა დაკავშირებული გრიგოლ ორბელიანის აქტიური ბრძოლა ისეთი ხალხური მოძრაობის წინააღმდეგ, როგორც იყო გურული გლეხების აჯანყება 1841 წელს და თბილისის წვრილი ვაჭრების და ხელოსნების აჯანყება 1865 წელს.

ამ იდეოლოგიური კონსერვატიზმის მიუხედავად გრიგოლ ორბელიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ლირიკული პოეზიის განახლების საქმეში. მან ამ პოეზიაში შეი-

ტანა დრამატიულად აღელვებული პეიზაჟის გრძნობა; მისი „საღამო გამოსალმებისა“, სადაც გრანდიოზული ბუნების ფონზე დიდად ინტიმური გრძნობებია გამოთქმული, უდაოდ ერთი საუკეთესო ლექსია ახალ ქართულ პოეზიაში. საუცხოოა აგრეთვე „თამარ მეფის სახე ბეთანიაში“, სადაც უღრმესი ტრაგიკული პატრიოტული განცდაა გადმოცემული.

ნაწილობრივ რუსი პოეტების, ჟუკოვსკის, პუშკინის და სხვათა ზეგავლენით გრიგოლ ორბელიანმა დაარღვია ძველი ქართული ლექსთწყობის ნორმები და თამამად გამოიყენა ე. წ. თავისუფალი, თეთრი ლექსი. მან გააცოცხლა კოლორიტული ფიგურები ძველი თბილისის მხიარული მეთევზეებისა და მეკრივეებისა, დარდიმანდი ყარაჩოღელებისა და ბედის უღელქვეშ. ქედმოხრილი მეკურტნეებისა, ამ ადამიანების განცდაზე ის ლაპარაკობს არა გულდახშობილი არისტოკრატისა და ბიუროკრატის ქედმაღლობით, არამედ იმ მხატვრის ენით, რომლისთვისაც ყველა ამქვეყნიურ სამეფოებზე მაღლა მაინც პოეტების რესპუბლიკა დგას, სადაც ღვინით ან უღვინოდ მთვრალ ლოპიანას, ბეჟანას და მირზაჯანას მეტი სამოქალაქო უფლებები აქვთ, ვიდრე ყველა გვირგვინოსან მეფეს და მათ ნიკრისის ქარებიან კარისკაცებს.

თავის ერთ წერილში, მეგობარი ქალისადმი მიმართულში, სამოცდათხუთმეტი წლის ორბელიანი გვიხატავს დროსტარების სცენას ძველს მხიარულს თბილისში: მთვარიანს საღამოს ორთაჭალის ბაღებში მტკვრის პირას თავს იყრიან არისტოკრატი ყმაწვილი კაცები, რომელთაგანაც ყველაზე ახალგაზრდა სამოცი წლის მაინც იქნება; სუფრაზე სხდებიან ზურნით, ჭიანურით და ლაზათიანი მომღერლებით. ამ დროს შუა მტკვარში ჩნდება ნავი მთელი დასტით, რომელსაც „კუნძუას ძმა, ყასაბი ადმირალობს“. იქაც სუფრა იშლება და თაფლის სანთლები ინთება. იმართება ალავერდ-იახშიოღლი ბაღში მოქეიფეებს და ნავში მოქეიფეებს შორის. ცხელ-ცხელი მწვადების გამოსატანად ნავიდან ნაპირზე ტიტლიკანა მოცურავეები გამოდიან. ნაშუაღამევს ლხინი სწყდება, და გაჩირაღდნებული ნავი ნელ-ნელა მისცურავს მეტეხის ხიდისაკენ.

გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი ოთხსტრიქონიანი და ორსტრიქონიანი ლექსი თითქოს ომარ ხაიამის პესიმიზმითაა გამსჭვალული, ხოლო მთავარი აკორდი, რომელიც ამ აქტიური და მრავალმხრივი პოეტის ცხოვრებას ამთავრებს, ღრმად ტრაგიკულია:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

* * *

თუ გრიგოლ ორბელიანი დიდ ბავშვად დარჩა სიკვდილამდე, მისი დისწული ნიკოლოზ ბარათაშვილი ნაოქებიანი შუბლით დაიბადა. ესაა არა იმდენად ნაადრევი სიბერით, რამდენადაც ფილოსოფიური დაფიქრებით გამოწვეული ნაოქები. ის მოაზროვნე პოეტია, იმ ხაზის გამგრძელებელი, რომელიც ქართულ მწერლობაში შოთა რუსთაველმა დაიწყო და დავით გურამიშვილმა განავითარა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველაზე დეკლასიურია ქართველ რომანტიკოსებს შორის. ის მეტად ახლო დგას ერეკლე მეორის ეპოქასთან, დედის ხაზით დანათესავებულიც არის მეფის ოჯახთან, ამიტომ განსაკუთრებულად მწვავედ განიცდის თავის ოჯახის გაღარიბებას, რაიც ნაწილობრივ მამამისის ხელგაშლილი ცხოვრებით იყო გამოწვეული. პირველდაწყებითი განათლება მან კალოუბნის სამრეველო სკოლაში მიიღო. აქ ის ღია ცის ქვეშ სწავლობდა. როგორც ძველ საბერძნეთში ლიცეუმების და გიმნაზიების მოწაფეები სწავლობდნენ, ხოლო სწავლის გადასახადს ნატურით იხდიდა შუა საუკუნეების სკოლარივით. თუ 1832 წელს ის ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ჭაბუკი არ ყოფილიყო, ალბათ მონაწილეობას მიიღებდა თვითმპყრობელური რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. მან ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოამჟღავნა ოპოზიციური სული. მისი მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი ამ შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელთაგანი იყო. ამას გარდა შეთქმულება-

ში მისი ოჯახის ნათესავები და მეგობრები ღებულობდნენ მონაწილეობას.

სხვათა შორის, გიმნაზიაში ყოფნის დროს ის თანამშრომლობდა რუსულ ხელნაწერ ჟურნალში, „გიმნაზიის ყვავილში". იქ მას მოუთავსებია „ვისრამიანის" თარგმანის ნაწყვეტები და წერილი „პაპის ხელისუფლების აღორძინებასა და დამხობაზე". პირადმა უსიამოვნებამ, ოდნავმა დაკოჭლებამ უბედური შემთხვევის გამო, მამის დაავადმყოფებამ, ნაადრევმა შებმამ სამსახურის უღელში, „მოხელეთა წრემ, ნაკლებ შესაფერმა ზნეობის გასავითარებლად", ბოლოს სამშობლოს დაშორებამ და ნაადრევი სიკვდილის წინათგრძნობამ უხვი საკვები მისცეს მის თანდაყოლილ მელანქოლიას.

როგორც ეტყობა, ის გადაჭარბებით მგრძნობიარე ადამიანი იყო, მოკლებული ჯანსაღ სულიერ წონასწორობას. მისი ბიოგრაფები და თანამედროვეები მას მხიარულ ახალგაზრდად გვიხატავენ, დამცინავად, გონებამახვილად, კარგ მოცეკვავედ, თარისა და ჭიანურის დამკვრელად, ქალების მოტრფიალედ, მეგობართა წრის სულად და გულად. თავის ლექსებსა და კერძო მიწერ-მოწერაში კი ის გვევლინება შავწამოსასხამიან და შავტაიჭოსან დემონურ არსებად, პესიმისტად, სკეპტიკოსად, მიზანტროპად. თავისი მსოფლშეგრძნებით ის ახლო დგას დასავლეთ ევროპელ რომანტიკოსებთან — ბაირონსა, ნოვალისსა, მიცკევიჩთან. ამ უკანასკნელს ის, ალბათ, თავისი მეგობრებისა, პოლონელი ემიგრანტების შემწეობით იცნობდა. მასში სუსტია კავშირი ირანული ლიტერატურის ტრადიციებთან.

ის ნაკლებ აქტიური ადამიანია, ვიდრე ბიძამისი, გრიგოლ ორბელიანი. „ჩვენი დანიშნულების მიზნის მიუწვდომლობა,— სწერს ის თავის მეორე ბიძას ზაქარია ორბელიანს. — ადამიანთა სურვილთა უსაზღვროება და მთელი ცისქვეშეთის ამაოება ჩემს სულს საშინელი სიცარიელით ავსებს. მომეცი პატარა დამოუკიდებელი შემოსავალი და ახლავე ყველაფერს თავს დავანებებ, ქვეყანასაც, გაუმაძღარ ადამიანებსაც და მშვიდობიანად, წყნარად, პატრიარქალურად, უბრალოდ ვიცხოვრებ ბუნების წიაღში, რომელიც ესოდენ მშვენიერი და დიდებულია ჩვენს სამშობლოში".

სხვა რომანტიკოსებთან შედარებით ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო პათეტურია, მაგრამ უფრო ღრმაც. მას ახასიათებს ნათელი აზროვნება, შინაარსის და ფორმის ჰარმონიული მთლიანობა. ძირითადი იდეა, რომელიც ლეიტმოტივად გაისმის მის პოეზიაში, არის პესიმისტური იდეა ცხოვრების ამაოებისა, ადამიანის მისწრაფებათა უნაყოფობისა, რჩეული სულის ობლობისა, სამყაროს მოსალოდნელი დაშლისა. ეს არსებითად მეტისმეტად განყენებული იდეაა, მაგრამ პოეტმა შეძლო მისი დაკავშირება ღრმა პირად განცდებთან და ლირიკული პეიზაჟის გარემოცვასთან; ამიტომ მისი პოეტური მონოლოგი არ ახდენს მშრალი ფილოსოფიური მსჯელობის შთაბეჭდილებას: პირიქით, ის ძალიან გულწრფელი, მღელვარე და ვნებიანი სულის აღსარებას ჰგავს.

თავის შემოქმედებაში ნიკოლოზ ბარათაშვილი შედარებით ნაკლებ დაკავშირებულია თავის გარემომცველ წრესთან და ნაკლებ ასახავს თავის თანამედროვე საზოგადოების პირობებს. მას თავისი პიროვნება რაღაც ზესაზოგადოებრივ, მეტაფიზიკურ სიმაღლეზე ჰყავს აყვანილი. მას ბუნება წარმოდგენილი აქვს როგორც საიდუმლოებით აღსავსე ტაძარი, სადაც მშფოთვარე და დაღლილ სულს შეუძლია დასვენება იპოვოს მუსიკის ხმებში და საკმეველივით სურნელოვანი ყვავილების გარემოცვაში. ბოლოს, არაჩვეულებრივად გასულიერებული არიან ის ქალებიც, რომელთაც პოეტი თავის სამიჯნურო სტრიქონებს მიუძღვნის. რა უცნაურნი არიან ეს ქალები! საეჭვოა, რომ მათი ცოლად შერთვა ან, მით უმეტეს, საყვარლად ყოლა შეიძლებოდეს. ისინი მეტად ჰაეროვანნი, მეტად უსხეულონი ჩანან. მათ გასაოცარი ყურები და საყურეები აქვთ: შეყვარებულ ვაჟკაცს შეუძლია მათ ჩრდილში დაისვენოს, გული გაიგრილოს, უკვდავების შარბათი დალიოს, მაგრამ ბოლოს მაინც იქვე მოკვდეს. მათ ჩვეულებრივ ფეხების მაგივრად „ბუდეშურის ფეფები“ აქვთ. ესაა ვნებათა ღელვის აყვანა ცის სფეროებში, ემპირიული სინამდვილის დანახვა ახალი და მოულოდნელი თვალსაზრისით, ფიზიკური საგნების დემატერიალიზაცია და სულის მატერიალიზაცია. „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის“, ამბობს პოეტი თავის „ჩინარში“; „რაც

ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“, ამბობს ის „ბედი ქართლისაში“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური აზროვნებისათვის დიდად დამახასიათებელია მისი ლექსი მიძღვნილი კავკასიის ომებისადმი. აქაც ლეკებისა და ჩაჩნებისადმი იგივე შეუბრალებელი შურისძიების გრძნობაა გამომჟღავნებული, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა გამოამჟღავნა თავის წერილებში, აქაც რუსეთის იმპერატორი ერეკლე მეფის პოლიტიკის გამგრძელებლადაა წარმოდგენილი.

ირაკლი მეფის საფლავისადმი მიძღვნილ ლექსსა და „ბედი ქართლისაში“, ნიკოლოზ ბარათაშვილმა პატარა კახის ღრმად ტრაგიკული და ადამიანურად მიმზიდველი ფიგურის ასახვა მოგვცა. ეს „ეული მეფე“, რომელიც არ დაინდეს არც მტრებმა, არც ცოლ-შვილმა, არც ქვეშევრდომებმა, ამართულია ძველი ტაძრის კედლების ფონზე ან არაგვის ატეხილს ჭალებში, როგორც სიმბოლო საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა, მონუმენტური თვით დამარცხებასა და დამცირებაში. ძნელია იმის გამორკვევა, რას უფრო სცემს პატივს პოეტი: მის სამხედრო ნიჭს და გმირულ სულს თუ მის პოლიტიკურ გამჭრიახობას. ყოველ შემთხვევაში უცილობელია, რომ თუ პოეტის პოლიტიკური აზროვნება გაორებულია, როგორც გაორებული იყო მთელი მისი თაობის აზროვნება, მისი სულის იდუმალი ზრახვები თავისუფლების იდეას ეკუთვნის:

> რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
> გალიაშია დატყვევებული?..
> ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
> თუ მოაკლდება თავისუფლება?

როგორც ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა, ის სრულიად ახალგაზრდა მოკვდა სამშობლოს გარეთ. თითქმის ნახევარი საუკუნე მისმა გვამმა უცხო ცისქვეშ გაატარა. ილ. ხონელმა 1891 წ. დიდად მგრძნობიარე წერილი მიუძღვნა მის „დავიწყებულ საფლავს“ („ნოვ. ობოზ“. 29/V). მისმა თბილისში გადმოსვენებამ 1893 წ. საბაბი მისცა გრანდიოზულ ნაციონალურ დემონსტრაციას, რომლის მსგავსი მანამდე გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებამ გამოიწვია, ხოლო შემ-

დეგ — ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისამ. როცა მისი ნეშტი ვაგონიდან გამოასვენეს, ხალხმა უხმოდ მუხლი მოიდრიკა რაღაც რელიგიური მოკრძალების ნიშნად. ქართველმა ერმა ის უხილავ პანთეონში მოათავსა, სანამ ქართველი მწერლების პანთეონი შეიქმნებოდა მთაწმინდაზე; ეს პანთეონი ნიკოლოზ ბარათაშვილმა მთელი საუკუნის წინათ აკურთხა თავისი მშშენვარე ფიქრებით და თავისი ანთებული სულის ლოცვით.

ზოგიერთი მისი ლექსი ადვილად იმღერება, თუმცა უნდა ითქვას, რომ მას, არა აქვს დ. გურამიშვილის და ბესიკის მუსიკალობა. მას ლურჯი ფერი უყვარდა, როგორც სიმბოლო შორეულისა და დაუსრულებლობისა. მან ღრმად ჩაიხედა ცხოვრებაში და აღმოაჩინა, რომ ის უიმედოდ პირქუშია. მან დაგვანახვა, რომ ადამიანობის ტრაგედია გამომდინარეობს არა შემთხვევითი კონფლიქტებისა და გარეგნული წინააღმდეგობებისაგან, არამედ თვით მისი სულიერი ცხოვრების შინაგანი თვისებებისაგან, მისი შეტაკებისაგან ბედისწერასთან, მისი მისწრაფებისაგან ყოველი ინდივიდუალური საზღვარი გადალახოს და აბსოლუტურს მიაღწიოს. „ვეფხისტყაოსნის“ და გურამიშვილის „დავითიანის“ გვერდით მისი ფილოსოფიური ლექსები უღრმესი აზროვნების პროდუქტია ქართულ პოეზიაში.

* * *

ფლობერი ერთ თავის წერილში ამბობს, ბუნების დამოუკიდებელ მშვენიერებას ვერ ვგრძნობ, რათა პეიზაჟი ვიგემო, საჭიროა, მას რაიმე ისტორიული ძეგლის ნანგრევები ამთავრებდესო. ვახტანგ ორბელიანს უფლება აქვს ეს სიტყვები გაიმეოროს, თუ ალექსანდრე ჭავჭავაძე პოეზიაში მუსიკოსია, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ფილოსოფოსი, ჩვენ ვიტყოდით ვახტანგ ორბელიანი არქეოლოგია-თქო, თუნდ არქეოლოგის ინტერესთან მას დაკავშირებული არ ჰქონდეს მორალისტის, დიდაქტიკოსის, პატრიოტულ იდეათა პროპაგანდისტის ინტერესი. მხოლოდ ორიოდე ლექსი აქვს მას ისეთი, სადაც სამშობლოს ბუნების ფონზე ან ცენტრში ისტორიული

ნანგრევები არ იყოს ამართული; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს წარსულის ნაშთი მისთვის პეიზაჟის უბრალო მხატვრულ დეკორაციას არ წარმოადგენს: ის მას სთვლის ერის ზნეობრივი ენერგიის შენივთებად, ის მასში პოულობს მომავლის იმედის, თვით ოპტიმიზმის დაუშრეტელ წყაროებს:

გწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათა არ განქრებიან,
გწამდესო, შთენნი დიდებულად კვლავ აღდგებიან.

ვახტანგ ორბელიანი ყველაზე შეურიგებელი ნაციონალისტია ქართველ რომანტიკოსებს შორის. ის ოცი წლის ჭაბუკი იყო, როცა თავის უფროს ძმასთან, ალექსანდრესთან ერთად მონაწილეობა მიიღო 1832 წლის შეთქმულებაში. როგორც შეთქმულების აქტიურ წევრებს, ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს რუსეთის მთავრობამ მკაცრი სასჯელი მიუსაჯა, სახელდობრ სიკვდილი ასოთა მოკვეთით; მაგრამ შემდეგ განაჩენი შეუმსუბუქა და ორივენი კალუგაში გადაასახლა. სასჯელის მოხდისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვახტანგ ორბელიანი რუსის ჯარის ოფიცერი გახდა, მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ლაშქრობაში და გენერლის ჩინს მიაღწია. მაგრამ როგორც თავის სამშობლოს პოლიტიკური დამონების მოწმეს, მას პირადად მის მიერ განვლილი გზა ბედნიერად არ მიაჩნდა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მოხუცი პოეტი გულისტკივილით და სინანულით აღსავსე სიტყვებს უძღვნიდა თავის სამშობლოს და თავის ქალიშვილს:

განვლე გზა გრძელი,
ბნელი და ძნელი,
და მივაღწიე იმ დიდს კარის ბჭეს,
სითაც ცხოველს არსს,
ამა სოფლის კაცს
გზა აღარა აქვს, უკან დაბრუნდეს,
სხვას არას ველი,
არავის ვწყეველი,
თუმცა ამ სოფელს არცა რას ველოცავ;
მაგრამ კი შენთვის
და სამშობლოსთვის
იმ დიდს კარს წინა ცრემლით ვილოცავ.

ერეკლე მეორის კულტი, რომელიც ქართულ პოეზიაში გრიგოლ ორბელიანმა და ნიკოლოზ ბარათაშვილმა შემოიტა-

ნეს, ვახტანგ ორბელიანმა უმაღლეს წერტილამდე განაკითარა, და შეიძლება ითქვას, რომ ის თავის გვირგვინოსანი პაპის ერთგულ მეგობრობაზე და ტრაგიკულად დარჩა სიკვდილამდე. ვახტანგ ორბელიანმა ბაგრატიონთა გადასული დინასტიის მიმართ გამოიჩინა ვასალის მოკრძალება, რომელიც მის წინაპრებს ტახტზე მჯდომარე ბაგრატიონების წინაშე არ გამოუჩენიათ. თამარ მეფისა და პატარა ქახის სიყვარულმა მას მრავალი სტრიქონი ჩააგონა, ზოგიერთი ოდნავ რიტორიკული და მორალისტურ-დიდაქტიკური, ოდნავ პროსაიზმებით შებღალული; მაგრამ მრავალი მაღალპოეტურიც. მისი „ირაკლი და კოსტა ბელადი“ შედევრია ბატალიერი სცენების ასახვისა, გულწრფელი პატრიოტული პათოსით გამომჟღავნებისა, ბუნების მშვენიერების პანთეისტური შეგრძნობის თვალსაზრისით:

მოყვასნო, წაველ ამ ქვეყნით, მოველ ეღები, ქახეთს ღამმარხეთ,
გულდაწყლულებულს სოფლისგან მით, ძმანო, სული მიხარეთ;
ჩემს საფლავამდინ აღწევდეს ალაზნის ტკბილი ბიბინი,
ხმა ფერხისისა სოფლითგან, ორპირის ტკბილი ღიღინი.
ერთის მხრით ცამდის ასული ამაყთ მთათ რიგი დამეჭერდეს,
მეორით — მწვანე გომბორი, იმის ნიავი დამბერდეს!
იმ არეს ახლო, მოყვასნო, საღაც მარხია თამარი,
იმ ეაზებს შუა უდროეთ სჩანს მისი ნმინდა სამარი!

თავისი მსოფლმხედველობით ვახტანგ ორბელიანი ნამდვილი დასავლეთელია, ევროპის ორიენტაციის მომხრე, ელინური და ევროპული კულტურის თაყვანისმცემელი. ამ მხრივ ის ნამდვილი წინამორბედია ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულთა თაობისა. მას არ უყვარს ირანული პოეზიის გადამღერება, „კილო მუხამბაზისა, კინტო კილო, კილო შუაბაზრისა“, თავის ერთ მეგობრისადმი მიმართულ ეპისტოლეში, რომელიც რომაელი პატრიციების და პოეტების ეპისტოლეს ჰგავს, ის წერს:

მოდი, აქ მიძევს თვალთა წინ რუსთველის დიდი ქმნილება,
იმის ფურჩქვნილის ლექსებით სული და გული დაეიტკბოთ;
გეტე, შექსპირი, შილერი კელავ ერთად გადაეიკითხოი,
გული საუბარს მივანდოთ და მოვიგონოთ წარსული,
სამშობლოს ისტორიისა გადავხსნათ დიდი რეული.

თუმცა ვახტანგ ორბელიანის მორალი გარკვეულად ანტიბურჟუაზიულია, თუმცა მას აღშფოთებს, რომ ჩარჩები ხელთ იგდებენ მის „უმცროს ძმებსა“ — გლეხებს, მაგრამ ის ოცნებობს მეურნეობის და მრეწველობის აყვავებაზე, განათლებული და აქტიური თაობის მოსვლაზე, რომელიც „მაგარის ხელით“ საქართველოს ბუნების „წიაღს აღმოიკვლევს“. ის ეტრფის ჰუმანისტური საუკუნის მოახლოებას, აზრის თავისუფლების დამყარებას („ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა, დეე მაღლა სთქვას, წარმოსთქვას, მაშია ყოფნა ნებისა“), მაგრამ, როგორც ბრძენს სტოიკოსს შეეფერება, თავისთვის ოცნებობს იდილიურ არსებობაზე ღარიბ ქოხში, ვენახის გვერდით, ლამაზ ველზე, სადაც მთებიდან უფსკრულში გადავარდნილ წყალთა ქუხილი ისმის და სადაც ცხოვრება უზრუნველი და მიამიტია („მოგონება“) ამ კლასიკურად უბრალო ან ტიტანური ბუნების წიაღში ეძებს ის დაღლილი, შეძრწუნებული ან ეჭვით შეშფოთებული სულის დასვენებას და განახლებას.

ბოლოს ვახტანგ ორბელიანს ძალიან გარკვეული წარმოდგენა აქვს ქართული კულტურის ისტორიულ საფუძვლებსა და მომავალი განვითარების პერსპექტივებზე. მას სწამს, რომ ქრისტიანობის დამყარებამ საქართველოში გამოიწვია ჩვენი ერის გამოსვლა ბარბაროსობისაგან, რომ „ელლინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი შთამოიყვარა, და განათლდა გონება ბნელი“ („ჯვარი ვაზისა“). მას სწამს, რომ ქართული ეროვნული გენიის უდიდესი გამომხატველი შოთა რუსთაველი „ჰომერის და თემისტოკლის დიდმა სამშობლომ იშვილა და იძმო“ („ობოლი“), რომ, ბოლოს, „სწავლისა და განათლების დიდი ქვეყანა“ ევროპა მისი შემწეობით გაიცნობს და დააფასებს ნანგრევებად ქცეულ საქართველოს, რომელსაც დიდი მომავალი აქვს, რადგან წარსულიც დიდი ჰქონდა („ნანგრევთა შუა ლამპარი“, „ორი შენობა“).

1938

ნიკოლოზ ბარათაშვილი*

არსებობენ პოეტები, რომელთა ხმა ბუკ-ნაღარასავით გაისმის და რომელნიც თავიანთ აუდიტორიად მთელს ერს ან მთელ კაცობრიობას სთვლიან. ასეთია, მაგალითად, ჰიუგო ან ბაირონი. სხვები, უპირატესად, ქალთა ან შეყვარებულთა საზოგადოებას მიმართავენ ჰაინესა და მიუსესავით. ზოგიერთებს კიდევ ბოჰემური სარდაფის ან რევოლუციური ქუჩის მოწონება და ტაში აინტერესებთ ფრანსუა ვიიონსა ან ბერანჟესავით. ნიკოლოზ ბარათაშვილი არც ერთს მათგანს არ ჰგავდა. ის თავდაპირველად თითქოს ვერავითარ აუდიტორიას ვერ ხედავდა და თითქოს თავის თავთან, თავის სულთან მართავდა დიალოგს. შეიძლება, ამ მხრივ ის ნაწილობრივ დაკით გურამიშვილის მემკვიდრედ ჩაითვალოს.

მისი ორმოციოდე ლირიკული ლექსი, ერთი პატარა პოემა და რამდენიმე წერილი ერთად სულ პატარა კრებულს შეადგენს, ცნობილია, რომ არც ერთი სტრიქონი ამ კრებულიდან მის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. როგორც პოეტს, მას სიცოცხლეში და კარგა ხანს სიკვდილის შემდეგაც მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრე იცნობდა. დიდხანს მისი საფლავი მიჩქმალული იყო, მისი ლექსები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. მაგრამ ბარათაშვილი არასოდეს მაინც ვიწრო კამერის პოეტი არ ყოფილა არც თავისი ლექსების ფორმით, არც მათი იდეური შინაარსით. პირიქით, ის თანდათან ქართველი ერის რჩეული ჰეროლდი ანუ მაცნე გახდა. ქართველმა საზოგადოებამ ის თითქოს ორჯერ აღმოაჩინა: ერთხელ ორმოცდაათიან და სამოციან წლებში, როდესაც მისი ლექსების ბეჭედი დაიწყო „ცისკარსა“ და „საქართველოს მოამბეში“, ხოლო მეორეჯერ 1893 წელს, როდესაც მისი ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს.

ეს იყო უდიდესი პოლიტიკური დემონსტრაცია, ნიშანი ქართველი ერის თვითშეგნების გაღვიძებისა. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ მას რკინიგზის სადგურიდან დიღუ-

---

* სიტყვა წარმოთქმული მწერალთა სასახლეში პოეტის გარდაცვალებიდან ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე.

ბის ტაძრის ეზოში მიასვენებდნენ; ქალები თავიანთ ბავშვებს აჩოქებდნენ, რათა მათ სარწმუნოებრივი მოკრძალებით ეამბორათ სამშობლოში დაბრუნებული პოეტის ნეშტისათვის.

როგორც ეტყობა, მისი სული გათიშული იყო დისონანსებით, მაგრამ ეს დისონანსები, ბოლოს, ერთდებოდნენ რაღაც უმაღლეს ჰარმონიაში; მას უყვარდა საღამოს ბინდ-ბუნდი, სასაფლაოს მდუმარება, მდინარის ტალღების ლივლივი მთვარის შუქზე; მაგრამ მას უყვარდა აგრეთვე ჭაღების უხვი სინათლით გაშუქებული დარბაზები, ცეკვა-თამაში, სიმღერა, მეგობრებთან შეხვედრა სანადიმო სუფრაზე ან ქაღალდის ჭადრაკის სათამაშო მაგიდის გარშემო. ძნელია უფრო მორიდებული და გაუბედავი შეყვარებული ჭაბუკის წარმოდგენა, ვიდრე როგორადაც ის გვევლინება თავის იდილიურ „ღამეში ყაბახზე“: მას აქ ახალგაზრდა ქალის შემოცინება სჭირდება, რათა გამხნევდეს და გულისძგერით წარსდგეს წინ, ის იქ ვერც კი ბედავს ქალის ფეხებს მათი ნამდვილი სახელი უწოდოს. სამიოდე წლის შემდეგ კი „საყურეში“ ის უთამამეს ეროტიკულ გამოთქმებს იყენებს.

ის ირონიულად ლაპარაკობს თავის ნაცნობ თბილისელ ქალებზე, „მათს დიდ დაძგერებაზე, მათს მიდრეკილებაზე ახალი ქვეყნის და მოდაში შემოსული ოთხმოცი წლის მოხუცებისადმი“, თავის მეგობრებს ის აფრთხილებს, „არ შეემსვალონ მოკისკასე კეკელა ქალსა, სულის დამტყვევნელს და გრძნობათა ცრუდ მომღერალსა“. ამავე დროს ის უღრმეს სტრიქონებს უძღვნის ცისიერ, უხრწნელ სიყვარულს და კაცთა ენით გამოუთქმელ გრძნობას. შეიძლება თუ არა უფრო ენებიანი სახის ხმარება, ვიდრე გველად ქცეული დალალების მოძრაობაა ქალის სპეტაკ მკერდზე და შეიძლება თუ არა სიყვარულის უფრო იდეალისტურად წარმოდგენა, ვიდრე პოეტი მშვენიერ სულთა შეუღლების სახით იძლევა თავის ლექსში — „რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო, პირუმტკიცობას?“

ეს ადამიანი, რომელმაც ჰუმანისტური მორალური სენტენციით დაასრულა თავისი პესიმისტური ლირიკული შედევრები „მერანი“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“, ხოლო თავის მელანქოლიურ „შემოღებას მთაწმინდაზე“ ოპტიმისტური დაბოლოვება მისცა, თავისუფალი არ იყო მიზანტროპიის შეტე-

ვებისაგან, ის ოცნებობდა, გაუმაძღარ ადამიანთა საზოგადოებას გაქცეოდა და მწირივით ეცხოვრა იდილიური ბუნების წიაღში. მაგრამ ამავე დროს მას ადამიანზე ძალიან ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდა როგორც ღვთაების ნაწილაკზე. თვით მისი ლექსის ორკესტრი მდიდარი იყო როგორც ლითონისა, ისე სიმებიანი საკრავებით, და მას ეხერხებოდა როგორც მაჟორული, ისე მინორული ტონების აღება. აქ მერნის თქარა-თქურის და ყორნის ჩხავილის გვერდით ბავშვის ტიკტიკის ხმა გაისმის, ჩონგურის ოხვრის გვერდით სუმბულის ნაზი ჩიეილი, მაგრამ ყველა ამ ხმას მაინც ღრმად ტრაგიკული პათეტიკა ჰფარავს:

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი!
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი.
დრომ უკამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი აღგილი!
აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჭკნობს,
მოძულებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატებობს:
მაგრამ მჰსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგების დაკარგვა სიხარულისა.

საიდან წარმოსდგებოდა ეს მდუმარე უდაბნოს შეგრძნება, ეს გულში დასადგურებული სევდა და წყვდიადი, ეს დანგრეული ტაძრის, ჩამქრალი ლამპრის, დახშული კარების ხილვა?

უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური და მორალური ატმოსფერო, განსაკუთრებით მკაცრი და სუსხიანი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველი ერის მდგომარეობა თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის ტყვეობაში, ქართლის ბედზე დაფიქრება თავისთავად საკმაო იყო, რომ ქართველ პოეტს, უნაზესი სულიერი აღნაგობის მქონეს, ობლობა და მიუსაფარობა ეგრძნო ამ ქვეყანაზე. მსგავსმა საზოგადოებრივმა პირობებმა დავით გურამიშვილის ტრაგიკული მსოფლმხედველობა წარმოშვა ერთი საუკუნით ადრე, მაგრამ როდესაც ამ ორ დიდ ფიგურას ვადარებთ, ყველაზე ტრაგიკული ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ვამჩნევთ, რომ წინამორბედი შინაგანად უფრო მთლიანია, ხოლო მემკვიდრე უფრო სულიერი კონფლიქტებით გათიშული.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მორწმუნე ოჯახსა და საზოგადოებაში დაიბადა, პირველი სიტყვები, რომელნიც მან გაიზვ-

პირა, ქრისტიანული სიტყვები იყო. მაგრამ, როგორც ეტყობა, მას რწმენა შეერყა თანამედროვე მეცნიერების ზეგავლენით.

ბაგრატიონთა შთამომავალი კანცელარიაში მსახურობდა საკმაოდ დაბალი მოხელის თანამდებობაზე: ის ქართველი პატრიოტი იყო და იძულებული გახდა რომანოვთა ბატონობას შერიგებოდა. მისი სატრფო სხვაზე გათხოვდა, როგორც ეტყობა, არა გულის, არამედ ანგარიშის კარნახით. მან ერთდროულად რამდენიმე კატასტროფა განიცადა როგორც მორწმუნე ადამიანმა, როგორც არისტოკრატმა, პატრიოტმა და მიჯნურმა.

როდესაც ის ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს ხელნაწერ ჟურნალში სტატიას ათავსებდა პაპიზმის ამაღლებასა და დამხობაზე, ალბათ, გრძნობდა, რომ კრიზისი განიცადა არა მარტო დასავლეთის კათოლიკობამ, არამედ ქრისტიანულმა რელიგიამ საერთოდ უფრო გვიან თავის ფილოსოფიურ და რელიგიურ ლირიკაში, რომელიც თავისი სიღრმით და გულწრფელობით დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს მოგვაგონებს, მან დიდი მჭევრმეტყველობით გადმოსცა ის შეშფოთება და სიცალიერე, რაიცა ადამიანის სულში მყარდება სარწმუნოების შერყევისა და დაკარგვის შემდეგ:

> განვედ ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!
> რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო?
> ჰაუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი,
> ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

ხშირად ხდება, რომ ის ვინც პიროვნული ღმერთის რწმენას ჰკარგავს, ხსნას ეძებს ბუნების გასულიერებისა და გაღმერთებაში და თეისტური იდეებისაგან განთავისუფლებული ადამიანი პანთეისტი ხდება. არ შეიძლება ითქვას, რომ ბარათაშვილი პანთეისტი ყოფილიყოს ამ ცნების ტრადიციული გაგებით. მაგრამ უცილობელია, რომ ის ბევრად ახლო იდგა პანთეიზმთან, ვიდრე მექანისტური ბუნებისმეტყველების იდეოლოგიასთან. მხოლოდ პანთეისტურად განწყობილ ადამიანს შეეძლო გადმოეცა ეს შეყვარებული მტკვრის ოხვრა სევდიანად თავის მრხეველი ჩინარის ფეხთ ქვეშ („ჩინარი"). განა

პანთეისტის თვალით არ არის დანახული ეს წმინდა ტაბლასავით გაშლილი ველი, საიდანაც ყვავილნი სამადლობელ გუნდრუკს უკმევენ მთაწმინდის კლდეებს, ეს საიდუმლოებით აღსავსე ნაპრალები, საიდანაც ღელეთა კვნესა ისმის, ეს თითქოს ლოცვით მოქანცული, დისკოგადახრილი მთვარე და მიჯნურივით მისი მადევარი ვარსკვლავი? („შემოღამება მთაწმინდაზე"), განა პანთეისტური რწმენით არ არის ნაკარნახევი პოეტის ეს სურვილი, რომ ის განთიადის მორბედ ვარსკვლავად, ან კიდევ უკეთესი, მზედ იქცეს, რათა მისმა ციაგმა ნამად ქცეული სატრფო შეიშროს და მასთან ერთად შკეპა მოჰკონოს მცენარეთა სამყაროს სოფლის დასასრულამდე? („არ უკიჟინო, სატრფო"). თვით ნასესხებ და გადაკეთებულ თემას („ცისა ფერს, ლურჯსა ფერს") ნიკოლოზ ბარათაშვილმა პათეისტური განხრა მისცა: მან სიყვარულის ეშხით დადნობაც და პირადი სიკვდილიც წარმოიდგინა როგორც შეერთება ლურჯ ცასთან.

მაგრამ ცხადია, მისთვის ადვილი არ იყო ტრადიციულ რელიგიურ იდეებთან გამოთხოვება, ის უბრუნდებოდა პირადი ღმერთის რწმენას და, მაგალითად, „ჩემს ლოცვაში" თითქო ქრისტიანი ჰიმნოგრაფის სიტყვებს იმეორებდა:

> ცხოვრების წყაროვ, მასვ წმინდათა წყალთაგან შენთა,
> დამინოქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
> არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
> არამედ მოეც მას სადგური მუუდროებისა!

ამ ადამიანს, რომელიც ასე განმარტოებული იყო თავის სანშობლოში და რომელსაც უცხოეთში ნახევარი საუკუნის ლოდინი დასჭირდა, სანამ აკლდამის კარს გაუღებდნენ საქართველოს პანთეონში, მრავალი სულიერი ნათესავი ჰყავდა თავის თანამედროვეებს შორის. ესენი იყვნენ ტიტანური მიზწრაფების ადამიანები, ძლიერი პიროვნების კულტის ქადაგებენ, დემონიზმის და ინდივიდუალიზმის მოციქულები „კაენის" და „მანფრედის", „კონრად ვალენროდის" და „ფარისის", „ჩვენი დროის გმირის" და „დემონის" ავტორები, რომელნიც ვერ შეურიგდნენ პოლიტიკური სახელმწიფოს არტახებს და მედუქნის ქისის გაბატონებას და, რაკი დაინახეს, რომ ბარიკადებზე და საომარ ასპარეზზე თავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლა დამარცხდა, ის პოეზიის სფეროში გადაიტანეს.

კაცობრიობას ხშირად სჭირდება ასეთი ადამიანების მოვლინება; კაცობრიობას ფრთები სჭირდება, ორი დიდი ფრთა რათა ცხოვრების პროზა, გმირული სინამდვილე მაღალი პერსპექტივიდან დაინახოს, ის დასძლიოს და გადალახოს. ამ დიდ ფრთებს პლატონს იდეათა მოძღვრება აძლევდა, პავლე მოციქულს, გრიგოლ ღვთისმეტყველს, წმინდა ავგუსტინეს — ქრისტიანული რელიგია და სამოთხის რწმენა, ჯორდანო ბრუნოს პანთეიზმი და სამყაროს დაუსრულებლობის შეგრძნობა, ჟან-ჟაკ რუსოს, სენ-სიმონს, ფურიეს, მარქსს უფრო სრულყოფილი საზოგადოების ხილვა, ბაირონს, მიცკევიჩს, ბარათაშვილს რომანტიკული პოეზიის ფრთოსანი მერანი. და თუ ასეთი ადამიანები არ ყოფილიყვნენ, კაცობრიობა ვერასოდეს ვერ გამოვიდოდა გვიმრაში მცოცავი არსების მდგომარეობიდან, ის საბოლოოდ ემპირიზმის ჭაობში ჩაეფლობოდა.

1945

ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე

მხატვრული სიტყვის ოსტატებს შორის საქართველოში რუსთაველის შემდეგ შეიძლება არავინ არ არის ისე პოპულარული, როგორიც ილია ჭავჭავაძე. მათ ერთმანეთისაგან შვიდი საუკუნე ჰყოფს. მათი მოღვაწეობა სხვადასხვაგვარ კულტურულ და პოლიტიკურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა; სხვადასხვაგვარია მათი მსოფლმხედველობა, მათი პოლიტიკური იდეები და ზნეობრივი ფიზიონომია. შოთა რუსთაველი ილია ჭავჭავაძეს დიდად სჭარბობს მხატვრული შემოქმედების ძლიერებით, აზროვნების სიღრმით. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის ევოლუციაში მათ რამდენიმედ ანალოგიური როლები შეასრულეს, რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინა. მან ის გაათავისუფლა არქაული, მწიგნობრული ნორმებისაგან და ხალხის სალაპარაკო ენას დაუახლოვა; რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან, მან ქართული ლიტერატურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცო-

ბრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა. მხოლოდ რუსთაველის დროს ყველაზე მოწინავე წინა აზიის და ბიზანტიის კულტურა იყო, ილია, ჭავჭავაძის დროს კი დასავლეთ ევროპის კულტურა.

მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, როდესაც ფეოდალურმა საქართველომ ყოველ მხრივ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია, წინა აზიაში, ან უკეთ ვთქვათ, ხმელთაშუა ზღვის ბასეინის აღმოსავლეთ ნაწილში, შეიქმნა დიდი კულტურული მსოფლიო, რომელშიც საქართველოს გარდა, ბიზანტია, ბაღდადის ხალიფატი და სომხებით, სპარსელებით და ბერძნებით დასახლებული სახელმწიფოები და სამთავროები შედიოდნენ. ამ მსოფლიოს ერთ მთავარ საფუძვლად ალქსანდრე მაკედონელის და რომის იმპერიის ომების ეპოქიდან დარჩენილი ელინისტური ტრადიციები ედო. კულტურის აღორძინება საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში ელინიზმის ნიადაგზე დაიწყო: ამ აღორძინებამ, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ადამიანის აზრის განთავისუფლებას რელიგიური ფანატიზმისაგან და ფხიზელი ფილოსოფიური და მეცნიერული ძიების სულის შექმნას. წარმოიშვა აგრეთვე მოწინავე კაცობრიობის ინტერესთა ერთიანობის აზრი, ერთგვარი ჩანასახი მსოფლიო მოქალაქეობის იდეისა, რომლის ნიშანი ატყვია თითქმის ყველა იმდროინდელ დიდ პოეტს: ხაყანის, ნიზამის, ომარ ხაიამს, საადის, ბოლოს რუსთაველს.

თვით შოთა რუსთაველი, როგორც ყოველი დიდი შემოქმედი, თავისი სამშობლოს ნიადაგზე იდგა, მაგრამ მან თავის პოემაში, როგორც ეს ილია ჭავჭავაძემ სწორად აღნიშნა, ზოგადი ადამიანური ტიპები მოგვცა, რომელთა მოქმედების არე სცილდება ვიწრო ეროვნულ და რელიგიურ ზღუდეებს. მან მთელი იმ დროს ცნობილი მსოფლიო მოხაზა ეგვიპტიდან დაწყებული ჩინეთამდე.

ფართო გეოგრაფიული და გონებრივი ჰორიზონტი მარტო შოთა რუსთაველისთვის როდია დამახასიათებელი კლასიკურ ქართულ ლიტერატურაში: ასეთი ჰორიზონტი აქვს „თამარიანის“ ავტორს ჩახრუხაძეს, რომლის ფსევდონიმი, მაშა მეხელი, რაიცა ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტის აზრით მეხ პილიგრიმს ნიშნავს, ხოლო ზოგიერთის მოხეევე პილიგრიმს, მოწმობს,

რომ ის მაძიებელი, მოხეტიალე ადამიანი უნდა ყოფილიყო. ზოგიერთი ჩვენი მკლევარი ამტკიცებს რომ ჩახრუხაძე ერთ ადგილას თავის პოემაში უნდა დასტიროდეს თავის მეგობარს, რომელსაც, როგორც საფიქრებელია, უბედური სიყვარულით გამოწვეული სევდის გასაქარვებლად მოგზაურობა დაუწყია. ამ თავისებურ ქართველ მარკო პოლოს, როგორც სჩანს, მთელი იმ დროის ცნობილი მსოფლიო შემოუვლია: ინდოეთი, ხატაეთი, ჩინეთი, ხაზარეთი, რუსეთი, ბიზანტია, ეგვიპტე, არაბეთი, იამანი. სამშობლოში გამდიდრებული დაბრუნებულა ვენეციელი ნეგოციანტივით. მაგრამ გზაში გარდაცვლილა.

დიდი გონებრივი ინტერესით აღჭურვილი მწერლები არიან ექვთიმე და გიორგი ათონელები მეთერთმეტე საუკუნეში და „აბდულმესიანის" ავტორი, იოანე შავთელი მეთორმეტე საუკუნეში. ისინი ყველანი ელინოფილები არიან. მხოლოდ პირველთა ინტერესები ბიზანტიურ მწერლობისა და თეოლოგიისადმი მიმართული, უკანასკნელის კი კლასიკური რომაულ-ბერძნული კულტურისადმი. დამახასიათებელია, რომ თავის „აბდულმესიაში" ის ახსენებს არა მარტო ათინას და რომს, არამედ ელინისტური განათლების კერას ტარსსაც. ბრძენ ფილოსოფოსებს სოკრატეს, პარმენიდს, ზენონს, პროკლე დიადოხს, პერიპათეტიკოსებს და სხვ.

როგორც ქრისტიანულ ბიზანტიასა და სირიას, ისე ქრისტიანულ საქართველოს არაოდეს კავშირი არ გაუწყვეტია წარმართული საბერძნეთის კულტურულ ტრადიციებთან; ამიტომ მას არ დასჭირვებია ხელახლა კლასიკური ბერძნული კულტურის აღმოჩენა, როგორც ეს რენესანსის ეპოქაში დასავლეთი ევროპის ქვეყნებს დასჭირდათ. ამიტომ განსაკვირველი არ არის, რომ ადამიანი რენესანსის და ჰუმანიზმის ეპოქის სუნთქვას გრძნობს ჩვენს კლასიკურ მწერლობაში. რენესანსისებურია მისი გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვე, მისი ინტერესი რეალური ქვეყნიერებისადმი და კლასიკური, კულტურისადმი, მისი მოუსვენარი, მაძიებელი სული.

მეთერთმეტე საუკუნის გამოჩენილ ბიზანტიელ ჰუმანისტებზე, მიქელ ფსელოსსა და იოანე იტალზე ხშირად ამბობენ, ისინი თითქმის რენესანსის ადამიანები იყვნენო. იგივე შეიძლება ითქვას მათს ქართველ მოწაფე იოანე პეტრიწზე. პლატო-

ნიზმის პროპაგანდა ევროპაში ფლორენციის აკადემიის დაარსებიდან დაიწყო, ე. ი. მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხოლო არისტოტელის ფილოსოფიის ღრმა შესწავლა კორდოვოს არაბული უნივერსიტეტის აყვავების დროიდან, ე. ი. მეათე საუკუნიდან. საქართველოში კი კლასიკური ბერძნული ფილოსოფიის ინტერესი სავსებით არასოდეს არ გამქრალა, ხოლო მის ზედმიწევნით შესასწავლად უკვე მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში აკადემიები გვქონდა გელათსა და იყალთოში. დიდად დამახასიათებელია, რომ როცა ჩვენს ძველ მწერლებს სურდათ განსაკუთრებით შეექოთ გელათი, მას ახალ ელადას უწოდებდნენ.

ამ ფართო ჰუმანისტური და კოსმოპოლიტიკური ინტერესით გამსჭვალულ განათლებულ ქართველ საზოგადოებასთან შედარებით გიორგი ბრწყინვალის და ბაგრატ დიდის მომდევნო ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილად და საკმაოდ შეზღუდულად გვეჩვენება. შევიწროვებულია გონებრივი ჰორიზონტი, შევიწროვებულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეური ურთიერთობის არეც. ჩვენი XVI და XVII საუკუნის მწერლები, სერაპიონ საბაშვილი, ხოსრო თურმანიძე, ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზ I და სხვ. თითქო სხვა კულტურულ მსოფლიოს არც კი იცნობენ გარდა ირანისა, ისინი ცალმხრივ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ირანული ეპიკური პოეზიისაგან. მაგრამ საქმე ისაა, რომ თვით ირანის მხატვრულ ლიტერატურას XVI — XVII საუკუნეებში უკვე კარგა ხანია განვლილი აქვს ბრწყინვალე აყვავების ეპოქა, თვით იმდროინდელი ირანელი პოეტები თავიანთი დიდი წინამორბედების, ირანელი კლასიკოსების ეპიგონები არიან, გარდა ამისა, XVI—XVII ს. ქართველი მწერლობისათვის, რომელნიც უფრო ორთოდოქსალური ქრისტიანები არიან, ვიდრე XI—XII საუკუნის მწერლები იყვნენ, იმიტომ რომ ქრისტიანობა მათთვის, სხვათა შორის, ეროვნული ვინაობის დამცველ იარაღადაც იქცა, უმეტეს შემთხვევაში სრულიად მიუღებელია ირანული პოეზიის მაჰმადიანური იდეოლოგია და სუფისტური მორალი: ისინი ცდილობდენ ერთიცა და მეორეც განდევნონ თავიანთი ქართული თარგმნებისა და ვარიანტებისაგან. ამით აიხსნება, რომ ირანული მხატვრული ლიტერატურის გავლენა

XVI და XVII საუკუნის ქართულ მწერლობაზე უაღრესად ფორმალისტურია და იმ ცხოველმყოფელ იმპულსებს ვერ იძლევა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება ფორმის მხრით ნაკლებ დამთავრებულს, მაგრამ იდეოლოგიისა და მორალის მხრით უფრო ახალ მდგომარე ლიტერატურას მოეცა.

ნაციონალური და რეალისტური ოპოზიცია ირანული ტენდენციის წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში თავდაპირველად თითქო გარეშე გავლენების დამოუკიდებლად დაიწყო; ამ ოპოზიციის საუკეთესო წარმომადგენლები არჩილ მეფე, იოსებ ტფილელი, დავით გურამიშვილი საქართველოს აწმყოსა და წარსულში პოულობდნენ როგორც შემოქმედების იმპულსს, ისე სიუჟეტურ მასალას. შეიძლება ითქვას, რომ მათ შექმნეს ტრაგიზმის გრძნობით გამსჭვალული ნაციონალური ეპოსი. ეს ლიტერატურა ძალიან ვნებიანია, ძალიან ადამიანური, დავით გურამიშვილის პოეზია დიდ სიმაღლეზე დგას ფორმალურ მიღწევების თვალსაზრისითაც. მაგრამ გურამიშვილის შემოქმედების გამოკლებით ეს ლიტერატურა ვიწროდ არისტოკრატიულია თავისი თემით და იდეოლოგიით და მოწყვეტილია თავისი დროის მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას.

იმ რკინის სალტეებიდან თავის დაღწევა, რომელშიც საქართველო მოექცა ბაღდადის ხალიფატის და განსაკუთრებით კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, პირველად იმავე ნაციონალური ტენდენციის მწერლებმა სცადეს და, შეიძლება ითქვას, რომ პირველი თერგდალეულნი: არჩილ მეფე, სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ვახუშტი, დავით გურამიშვილი, ანტონ I და სხვ. არიან.

მაგრამ ადვილი გასაგებია, რომ XVII და XVIII საუკუნის რუსეთის კულტურას არ შეეძლო დიდი მოკრძალება გამოეწვია არც რაინდულად აღზრდილ, „ვისრამიანის“ გამლექსავ და „ალექსანდრიანის“ მთარგმნელ, ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა მცოდნე არჩილ მეფეში, არც ევროპის კულტურასთან გაცნობილ და კათოლიკობისადმი მიდრეკილ სულხან-საბა ორბელიანში, არც „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორსა და „ეეფხისტყაოსანის“ კომენტატორ ვახტანგ VI, არც დიდ ისტორიკოსს და გეოგრაფ ვახუშტში. საჭირო იყო, რომ ჯერ თვით

რუსული აზროვნება და მხატვრული სიტყვა ასულიყო სათანადო სიმაღლეზე, აქტიური მონაწილეობის მიღება დაეწყო დიდ საერთაშორისო იდეურ მოძრაობაში და მნიშვნელოვანი ძეგლები შეექმნა. ეს კი მხოლოდ XIX საუკუნეში მოხდა, როცა რუსეთის კულტურის ასპარეზზე ისეთი ოსტატები გამოვიდნენ, როგორიც რეალისტური ლიტერატურის დარგში პუშკინი და გოგოლი იყვნენ, კრიტიკაში — ბელინსკი და დობროლუბოვი, პუბლიცისტიკაში — ჩერნიშევსკი და გერცენი, მეცნიერებაში — კოსტომაროვი, პიპინი, კაველინი და სხვ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა, რომ ქართველ ახალგაზრდას თერგი გადაელახა არა რუსული ზარბაზანების გრგვინვის მოსასმენად, რუსული ჯვრის სამთხვევად და ლაზარეს პურის მისაღებად, არამედ დიდ საერთაშორისო კულტურის საზიარებლად.

და აი, ასეთი თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე იყო, ის ნამდვილი ჩრდილო-დასავლეთელი იყო თავისი კულტურული ორიენტაციით. მას მოსწონდა არა სლავიანოფილებისა და მილიტარისტების რუსეთი, არამედ პროგრესის გზით, მიმავალი, დემოკრატიული და რევოლუციური რუსეთი, რომლის საუკეთესო გამომხატველად ის რუსულ მწერლობასა და მეცნიერებას სთვლიდა. ის სავსებით ეთანხმებოდა იმ აზრს, რომ „თერგდალეული აღიზარდა რუსულს მწერლობასა და მეცნიერებაზე და შეითვისა, შეიხორცა ნათელი აზრები რუსეთის განათლებულის საზოგადოებისა და ხელსავსე მოვიდა სამშობლო ქვეყანაში“. ამ ახალი რუსეთის მასწავლებელი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაწინაურებული ევროპა იყო, საიდანაც რუსეთმა გადმონერგა საკუთარ ნიადაგზე სწავლა-მეცნიერება და საიდანაც დღესაც ეზიდება წყალსა და ჯავარს განათლებისას“ („თერგდალეულნი და ახალი თაობა“). ამრიგად, ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ქართული აზროვნება ხელახლად დაუკავშირდა კლასიკური კულტურის საფუძველზე დაყრდნობილ ევროპის მოწინავე კაცობრიობას, რომელთანაც ის ახლო იდგა როგორც თავისი ნორჩობისა, ისე ვაჟკაცური სიმწიფის ასაკში და რომელსაც წინააზიური კულტურის ჩაშვავების გამო ის მოწყვეტილი იყო ექვსი საუკუნის მანძილზე.

* * *

ძირითადი იდეა, რომელიც ილია ჭავჭავაძის აზროვნებას ფლობს, არის იდეა ადამიანის გონების ძლევამოსილებისა და კაცობრიობის დაუსრულებელი პროგრესისა; ეს იდეა მისი თანამედროვე გაგებით უცნობია როგორც ძველი კულტურული ერებისა, ისე წმინდა აღმოსავლური ცივილიზაციისაც. ეს, ყველაზე ნათლად და გარკვეულად ის ფრანგმა გამანათლებლებმა გამოთქვეს. კერძოდ, კონდოსემ განავითარა XVIII საუკუნეში. პროგრესის იდეა გაბატონებულია XIX საუკუნის ევროპის აზროვნებაშიც, კერძოდ იმ ადამიანების აზროვნებაში, რომელთაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა ილიაზე ან მის რუს თანამოაზრეებზე; ესენია ფრანგი სოციალისტ-უტოპისტები და გერმანელი ფილოსოფოსები, ჰეგელი, ფეიერბახი და სხვ. ბოლოს პროგრესის იდეისთვის იბრძოდნენ ის პოეტები, რომელთა მეხი სიტყვა და მღელვარე ცხოვრება ილიას უფრო მოსწონდა, ვიდრე ოლიმპიურად შეუშფოთებელი მღვდელთმსახურება ხელოვნების ცივ პარნასზე: ესენი იყვნენ ბაირონი, ჰეინე, ვიქტორ ჰიუგო და სხვ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ილია ჭავჭავაძე არასოდეს ევროპული და რუსი გამანათლებლების უბრალო ეპიგონი არ ყოფილა. მისი მოწინააღმდეგეები მაშინაც კი აჭარბებდნენ, როცა ბრძოლის ასპარეზზე ახლადგამოსულ პოეტს ეუბნებოდნენ, ფარის მაგიერად ბელინსკის ტომებით ხარ აღჭურვილიო. შემდეგ თავის მეცნიერულ-პოლემიკური წერილებით ილიამ დაამტკიცა, რომ მეცნიერების მრავალ დარგში, განსაკუთრებით ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, სამართლისმცოდნეობის, პედაგოგიკის და სხვ. დარგებში ის არ ყოფილა დილეტანტი, მით უმეტეს ის დილეტანტი არ ყოფილა საქართველოს წარსულის და აწმყოს ცოდნის დარგში, რომლის მნიშვნელობას, მისი თქმისა არ იყოს, ვერავინ ვერ უარყოფს, „რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია“ („თერგდალეულნი და ახალი თაობა“).

ეს სრულიადაც შემთხვევითი მოვლენა არ არის, ეს ილია ჭავჭავაძის ყოველმხრივი გონებრივი ინტერესით, ჭეშმარი-

ტების სიყვარულით და რეალური ცხოვრების ცოდნით აიხსნება, რომ მას კლასთა ბრძოლის როლზე თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში საერთოდ უფრო ნათელი და სწორი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე მისი ახალგაზრდობის დროის მასწავლებლებს. ამ მხრივ მისი აზროვნება გასცილდა ბელინსკის, პრუდონს, ბასტიას და სხვ., რომელთა ნაწერები მან თავისი ჟურნალის „საქართველოს მოამბეს" ნომრებში მოათავსა 1863 წელს. მაგრამ ყოველი გაუგებრობის ასაცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ნაციონალური ინტერესების კარნახით, რუსეთის ცარიზმის მიერ შებოჭილი საქართველოსთვის მას საჭიროდ მიაჩნდა კლასთა ბრძოლის შენელება და წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდის" აღდგენა.

თავისთავად ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძეს პროგრესის იდეა სრულიადაც ისე არ ესმოდა, როგორც რუს ნიჰილისტებს ან როგორც ევროპული ვულგარული მატერიალიზმის მიმდევარს პისარევს. ილია ამბობდა, ცარიელი უარმყოფელობა, კრიტიკული აზროვნების დამოუკიდებლად, დიდი უაზრობაა, რომ ერთადერთი გზა ცდომილებიდან ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ჰოს და არას დაპირისპირებაა. „არისტოტელი არამცთუ სწუნობდა დღეს სამართლიანად გაკიცხულსა და მოსპობილს ბატონყმობას, არამედ იგი უფრო უარესის მონობის მომხრეც იყო, და განა აქედან ის გამოდის, რომ არისტოტელი სულელი იყო და ქვეყნის მუხანათი?" („ურმყოფელობა ჩვენში"). ამ კრიტიკული აზროვნებიდან გამომდინარეობდა ილიას მიდგომა რევოლუციის იდეისადმი; თვით სიტყვა რევოლუცია, თუ არ ვცდებით, მან პირველმა იხმარა XIX საუკუნის მხატვრულ ლიტერატურაში. მას რევოლუცია სწამდა არა როგორც თვითმიზანი, არა როგორც პერმანენტული პროცესი, არამედ როგორც ცხოვრების განახლების და განწმენდის საწყისი. „ესეა ყოლიფერი ამ ქვეყანაზედ: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე", — ამბობს ის „მგზავრის წერილებში".

ჰუმანისტური და სოციალისტური აზროვნების ზეგავლენით ილია ჭავჭავაძეს პროგრესი წარმოდგენილი ჰქონდა არა როგორც მარტოოდენ ტექნიკისა და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, არამედ როგორც ადამიანის გონებ-

რივი ჩამორჩენილობის და მორალური სიდუხჭირის გადალახვა და წინსვლა სრულქმნილი ადამიანობისა და სოციალური ჰარმონიისკენ. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, აზრისა კი თავის დღეში არა“, ამბობს ის საპროგრამო წერილში, რომელიც „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერს წარუმძღვარა: „ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა, იმიტომ რომ გრეხილი აზრისა გაუწყეტელია... მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“. თვით მომავალი წესწყობილება, როცა შრომას ბორკილები აეხსნება, როცა ცად მიღწეული მძლავრი კავკასიის ტომნი ერთი აზრით განდიდდებიან, ხოლო ქართველობის სახელი საამაყოდ ექნება საქართველოს ყოველ ერთგულ შვილს, ილია ჭავჭავაძეს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ჭეშმარიტების გულისთვის ჯაჭვრული ბრძოლის შედეგი. ეს იდეები მან პოეტურად გამოთქვა თავის „აჩრდილში“.

ამ რაციონალისტურ აზროვნებასთანაა დაკავშირებული ილიას ბრძოლა ასკეტიზმისა, მისტიციზმისა, ფატალიზმისა, პესიმიზმისა და ყველა იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელნიც, მისი შეხედულებით, ადამიანს ხელს უშლიან მის ბუნებაში დამარხული ნიჭი და შესაძლებლობანი ყოველმხრივად განავითარონ. „მგზავრის წერილებში“ ის შეჩვენებას უგზავნის ბნელ ღამეს, მისი სიზმრებითა და ადამიანის გონების დამაფრთხობელი მოჩვენებებით და ჰიმნს მიუძღვნის დღის სინათლეს; ეს მზის ჰიმნი დიდათ დამახასიათებელია ილიასათვის, როგორც ერთი მხრით დასავლეთ ევროპის და რუსეთის გამანათლებლების მიმდევრისათვის, ხოლო მეორე მხრით რუსთაველის და გურამიშვილის მემკვიდრისთვის. „განდეგილში“ მან ბუდისტურ-ქრისტიანულ სპირიტიკალიზმს და ასკეტიზმს, რომელიც ყველაზე უკეთ გამოითქვა ბუდას ქადაგებაში, რომ სხეული არ არის ჩემი. ის არ არის მე ან ჩემი მეო, ან ჩვენი „სიბრძნე ბალავარის“ სიტყვებში, რომ ცხოვრება არის ჩრდილი, რომელიც წარვალს, და კვამლი, რომელიც ქანქარდებისო, ბოლოს, გურამიშვილის სენტენციაში „ამად სჯობს ხორცი უარჰყო, სულსა უწირო, ულოცოო“, დაუპირისპირა ელინიზმიდან და საქართველოს ეროვნული ტრადიციებიდან მომავალი ჰუმა-

ნიზმი და ბედნიერების მორალი და ამ უკანასკნელს გაამარ-ჯვებინა.

ამ მხრივაც ილია ჭავჭავაძის აზროვნება სრულიად ეთან-ხმება დასავლეთ ევროპის XIX საუკუნის მოწინავე ადამია-ნების აზროვნებას, რომელიც ამ საკითხში საუკეთესოდ ტე-ოფილ გოტიემ გამოხატა: „ქრისტე ჩემთვის ამ ქვეყნად არ მო-სულა და მე წარმართი ვარ როგორც ალკიბიადე: გოლგოთის მწვერვალზე ენების ყკავილები არასოდეს არ დამკრეფია და არც ოდესმე იმ მდინარეში მიბანავია, რომელიც ჯვარცმულის მკერდიდან მთელ მსოფლიოს თავს გადაესხა. ჩემს ამბოხე-ბულ სხეულს არ სურს სულის ბატონობის ალიარება, ჩემს ხორცს არ სწადიან თავისი ჯვარცმა. მე ქანდაკება უფრო მომ-წონს, ვიდრე მოჩვენება. ნათელი დღე უფრო, ვიდრე საღამოს ᲫᲬᲣᲮᲠᲘ“.

მაგრამ იყო ერთი დარგი, სადაც ილია ჭავჭავაძე შუა საუ-კუნეების ასკეტებს უახლოვდებოდა თუ თავისი იდეოლოგიით არა, ყოველ შემთხვევაში თავისი განცდებით; ეს იყო ეროვ-ნული მოღვაწეობის დარგი, მისი პატრიოტიზმი ასკეტური ხასიათისა იყო, სამშობლოს სამსახური მას ისე ჰქონდა წარ-მოდგენილი როგორც მსხვერპლთ შეწირვა. ის ამბობდა, რომ „ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მარტო მამული, რომ დიდი არის ღვთის წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვი-თა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება“. ის იმეორებდა ერთი გამოჩენილი მწერლის სიტყვებს, რომ რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, პატიოსან გულში მას მაინც დიდი ადგილი უჭირავსო: თუმცა ილიას უახლოესი თანამშრომელი და პირველი ბიოგრაფი გიგა ყიფშიძე გვარწმუნებს, ბავშვო-ბაში ის ბერად შედგომაზე ოცნებობდაო. მაგრამ შემდეგ არც თავის აზროვნებაში, არც თავის ბუნებაში არაფერი გამოუმ-ჟღავნებია განდეგილობის შესაფერი. პირიქით, სტუდენტობის დროს ის იტალიაშიც კი აპირებდა წასვლას გარიბალდის რა-ზმში ჩასაწერად. ცნობილია, რომ მისი სუფრა არა ჰგავდა სა-მონასტრო ტრაპეზს; მას უყვარდა ქალები, შეიძლება ახალგა-ზრდობაში უფრო პლატონურად, ვიდრე სიბერეში. მას უყვარ-და აზარტული თამაშობა. რამდენჯერმე ის ბარიერთან მდგა-რა როგორც ენებიანი დუელისტი. მაგრამ როგორც მებრ-

ძოლ პატრიოტს მას მღვიძარე სული ჰქონდა ექვთიმე მთაწმინდელივით:

> მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
> ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
> შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
> ღამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება.

ეს მღვიძარე პატრიოტიზმი სრულიადაც არ გულისხმობდა სხვა ერების დაჩაგვრას ან უპატივცემულობას: ის მხოლოდ თავდაცვის იარაღი იყო კატკოვების, იანოვსკების, რუსი ექსარხოსების, პატკანოვების, მუხრან ბატონების შემოტევისაგან.

„სხვისი ნუ გინდა რა, შენი იკმარე, — ეს არის კაცთა ურთიერთობის ქვაკუთხედი, ეს არის დედაბოძი ზნეობისა, —ამბობს ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადში", — ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთსულ და ერთხორც მკვიდრთა, ყოველი პატიოსანისა და ჭკუით მყოფელი ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყოველ შემთხვევაში და მისი ასე თუ ისე გაუპატიურება, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელია". ისეთ ისტორიულ მოღვაწეებში, როგორც დავით აღმაშენებელი იყო, ილია ჭავჭავაძეს ისე არაფერი არ აკვირვებდა, როგორც „მისი კაცთმოყვარეობა, პატივისცემა სხვისი ეროვნებისა, სხვისი სარწმუნოებისა, საკვირველი და საოცარი მაგალითი მეთორმეტე საუკუნის კაცისაგან". მაგრამ, თავისთავად ცხადია, რომ ილიას აზროვნება სრულიად თავისუფალი იყო ყოველი განყენებული კოსმოპოლიტიზმისა, ყოველი გულისამჩუყებელი სენტიმენტალობისაგან. მას ისე არაფერი არ ეჯავრებოდა როგორც „ცრუპენტელა ლიბერალები", „ლიბერალობის ბერიკები", რომელნიც მზად იყვნენ თავიანთი ეროვნული ვინაობის და ინტერესების დაცვაზე ხელი აეღოთ იმის შიშით, ვაითუ ნაციონალისტობა და შოვინისტობა დაგვწამონო.

ილიას ინტელექტურ პატიოსნებას მოწმობს ის გარემოება, რომ ის სრულიადაც თავისი დროის ქართველობის იდეალიზაციას არ ახდენდა ზოგიერთ გონებაშეზღუდულ ნაციონალისტივით. საკმაოა ამის საილუსტრაციოდ მისი „ბედნიერი ერი" ან „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით" გავიხსენოთ, ეს უმძაფრესი სატირა, რომელიც ოდესმე რომელიმე პოეტს თავისი

ერის ზნეობრივი მანკიერების წინააღმდეგ დაუწერია. ის ებრძოდა მოღალატეობას, ქვემძრომლობას, ენატანიაობას, სოციალური ინსტინქტების დაშლას, ერთი სიტყვით იმ ზნეობრივ ანარქიას, რომელმაც XIX საუკუნის ქართველობის მაღალი წრეები მოიცვა, ის მათ სულიერი სიმტკიცის და ხასიათის მთლიანობის იდეალს უყენებდა თვალწინ. „მძლედ მობურთალნი ქვეყნიერობის მოედანზედ მარტო დიდ ხასიათის კაცნი არიან, ქვეყნის ღერძს მარტო ის ატრიალებს, ვისაც მიჰმადლებია გულთა სრულობა, დიდ ხასიათობა, იმისდა მიუხედავად ტრიალი ემარჯვებათ თუ ემარცხებათ“, ამბობს ის თავის წერილში დიმიტრი ყიფიანის შესახებ. „მხოლოდ დიდ ბუნებიანთა კაცთა თვისება ერთხელ რწმენილი და აღიარებული გაიხადონ თავის სიცოცხლის საგნად და, თუ საჭიროება მოითხოვს, შესწირონ თავი თავისიცა ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად უღირთ, ვიდრე საკუთარი სიცოცხლე“, წერს ის ლუარსაბ მეფის დღესასწაულის გამო.

თუ ილია ჭავჭავაძე მოწინავე ევროპულ აზროვნებას დაუკავშირდა თავისი ძირითადი იდეებით, სახელდობრ პროგრესის ანტიასკეტური მორალის, ჰუმანიზმის, საღად გაგებული პატრიოტიზმის იდეებით, მით უმეტეს ის მას დაუკავშირდა იმ იდეით, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს მის მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში: ესაა იდეა დემოკრატიისა არა ვიწრო კლასობრივი, არამედ ფართო ჰუმანისტური და კულტურულ-ეთიკური გაგებით. მას სწამდა, რომ ჩაგრული ერების განთავისუფლება მოხდებოდა შრომის განთავისუფლებასთან ერთად, ეს რწმენა მან თავის „აჩრდილში“ გამოხატა. მას სწამდა, რომ „ტვირთმძიმეთ და მაშერალთ მხსნელი დიდი დროშის დაშლა“ შეაფერხებდა ისტორიას, ეს რწმენა მან გამოსთქვა თავის ლექსში „1871 წლის 23 მაისი“ („პარიზის კომუნა)“. ილიას პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიზმი დღეს უდავოდ არის ცნობილი და ზედმეტ განმარტებას აღარ საჭიროებს, მაგრამ შეიძლება ბევრისთვის ასევე ნათელი არ იყოს ის როლი, რომელიც მან წმინდა მხატვრული აზროვნების დემოკრატიზაციის საქმეში შეასრულა. მან შეურიგებელი ტერორი გამოუცხადა დაძველებულ ორთოგრაფიას და გილიოტინაზე გაგზავნა ყველა ეს

დრომოქმული უბრალგვილები, ჰიები და ჰოები, ვინაიდან მას ძალგად ესმოდა, რომ არქაული მეტყველება არქაული აზროვნების საფარი იყო. ძნელია მეორე ქართველი მწერლის დასახელება, რომელსაც ჩვენი სალიტერატურო ენა ასე გაემდიდრებინოს ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით და სიტყვის მასალით, როგორც ეს მან ჰქმნა „ოთარაანთ ქვრივში", „ქვათა ღაღადში" და სხვ.

ქართული ლიტერატურის ევოლუციის თვალსაზრისით არა ნაკლებ საგულისხმოა ის, რომ მან სალიტერატურო ჟანრების და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა: ძველ ქართულ მწერლობაში გაბატონებულ ისტორიულ და რომანტიულ ეპოსს, რელიგიურ ჰიმნებს და ოდებს, სადაც მაღალი ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრება, სულიერი მისწრაფება და გემოვნება იყო გამოხატული, მან რეალისტური მოთხრობის, რეალისტური ლირიკის და ფილოსოფიური პოემის ჟანრი დაუპირდაპირა, სადაც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების წრეებია ასახული, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით და თავიანთი აზროვნებით, ან მათი ზნეობრივი იდეალები გამოხატული. თვით ილიას, რასაკვირველია, ძალიან კარგად ესმოდა თავისი როლი ქართული ლიტერატურის ისტორიაში: „სამოციან წლებამდეო, — წერს ის თავის წერილებში ქართულ ლიტერატურაზე, — ჩვენი პოეზია თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულისთქმას, თითქო უკადრისობდა ამათ გარე რაიმე საგანი ეპოვნა პოეზიისთვის. სამოციან წლებში იმ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენი პოეზიისას თავისი ტალღა გადაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიც არის ადამიანური გულისთქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არა მეტი, ნაკლები მარგალიტი არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა, რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა".

ილია ჭავჭავაძეს მჭმუნვარე და ვნებიანი სული ჰქონდა, მისი პოეტური ტემპერამენტი იმდენად სტიქიონისებრ ძლიერი იყო, რომ მკითხველი ადვილად ვერ ამჩნევს მის ნაკლს,

მუსიკალური სმენის სისუსტეს, თუმცა მისი მხატვრული ნაწარმოებნი რაიმე სოციალური, მორალური ან ფილოსოფიური პრობლემის გარშემო ტრიალებენ, მაგრამ რადგან მას გასაოცარი პლასტიკური ხილვის ნიჭი აქვს, ის იძლევა სრულიად გამოკვეთილ და ნათელ კონტურებს, გამჭვირვალე ატმოსფეროში გახვეულთ. ის პეიზაჟის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატია ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ წინამორბედთაგან მხოლოდ ბარათაშვილი და გრიგოლ ორბელიანი, მემკვიდრეთაგან მხოლოდ ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა შეედრებიან. მის პეიზაჟს ქართული აზროვნების დამახასიათებელი ბუნების კულტი ახლავს თან. საკმაოა ამის საილუსტრაციოდ გავიხსენოთ ბუნების აღწერა „კაკო ყაჩაღის“ დასაწყისში ან „ელეგიაში“, ირემზე ნადირობა „გლახის ნაამბობის“ შესავალში. „განდეგილის“ და „აჩრდილის“ მონუმენტური ფონი, ბოლოს პეპიას სიკვდილი კავკასიონის მთების კალთებზე, სადაც მზე სანთლისა და კელაპტრის მაგიერობას სწევს, ხოლო დილის ნამის ორთქლი—საკმევლისა. მას იშვიათად ღალატობს მხატვრული ზომიერების გრძნობა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ის სოციალური უსამართლობის ან მორალური დეფექტების წინააღმდეგ ილაშქრებს, ან რაიმე აჩემებული აზრის მხატვრულად ასახვას ცდილობს. სხვაფრივ მას ესმის, რომ ადამიანი რთული მოვლენაა, რომ ყოველს სულიერში ღეთაებრივი ნაპერწკალი ღვივის, რომ სიკეთე და ბოროტება ამ ქვეყანაზე თანაბრადაა შეწონილი. თუ ლუარსაბის და დარეჯანის სახეები ცოტა არ იყოს გაშარჟებულია, ვინაიდან „კაცია ადამიანში“ ილია, უწინარეს ყოვლისა, სოციალური სატირის შექმნას ცდილობს, ბასრი იარაღის გაჭედვას დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების შესამუსრავად. სამაგიეროდ დათიკოს სახე „გლახის ნაამბობში“ დიდი მხატვრული მიუდგომლობითაა გადმოცემული. დათიკოს რაინდული ქცევა მის მიერვე დაღუპული პეპიას და გაბოს მიმართ, მისი ვაჟკაცური სიკვდილი გაბოსთან შეტაკების დროს გასაოცარი დამაჯერებელი სიძლიერითაა აღწერილი, და ეს გარემოება მკითხველს რამდენიმედ მაინც არიგებს მასთან.

პლასტიკურ ნიჭთან ერთად ილია ჭავჭავაძეს სოციოლოგიური განზოგადების ნიჭი აქვს. თავის მოთხრობაში „საღრჩო-

ბელაზე", სადაც მან ყალბი კულტურის მიერ შეურყვნელი, გულალალი გლეხის ტიპი მოგვცა, მან დასვა აგრეთვე პრობლემა საზოგადოების პასუხისმგებლობისა ინდივიდუალური დანაშაულობისათვის; ამ პრობლემის დასმა და გადაჭრა ამტკიცებს, რომ ის იცნობდა ევროპის მოწინავე ფილოსოფიური და სოციოლოგიური სკოლების შეხედულებას ამ დარგში. ისეთივე როგორც თავისი „გუთნის დედით" და „ოთარაანთ ქვრივით", ამ პაწია მოთხრობითაც ილიამ დაამტკიცა, რომ კარგად იცნობდა ქართველი გლეხის ფსიქოლოგიას და მსოფლშეგრძნებას, „განდეგილში", რომელიც ქართული ხალხური ლეგენდის საფუძველზეა შექმნილი, მაგრამ საერთაშორისო თემის ქართულ პარალელს წარმოადგენს, მან დასვა ზოგადი საკაცობრიო პრობლემა საუკუნო ბედნიერების მიღწევისა და თავისებური პასუხიც გასცა მას. მან აღიარა, რომ წარუვალი ნეტარების მოპოება არ შეიძლება ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფით და განადგურებითო.

თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ის ოპტიმიზმის და აქტივიზმის დამცველად გამოვიდა. ეგრეთ წოდებული ორგანული სოციოლოგიური სკოლის წინააღმდეგ მან ის აზრი გამოთქვა, რომ ეროვნების დაბადება და სიკვდილი უქმი სიტყვაა, რომ მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის: ინტენსიური კულტურის განვითარებას კაცობრიობა დაძაბუნებისა და დაუძლურებისაკენ კი არ მიჰყავს, არამედ ენერგიის გაშლისაკენ; ის ადამიანის გაფოლადებასა და გამოჯიქებას იწვევს, ის მას სწვრთნის არსებობისათვის საჭიდაოდ. ამით იხსნება, რომ ილიას თავისი სამშობლოსათვის ისე არაფერი არ ენატრებოდა, როგორც ყოველმხრივ განვითარებული სულიერი და მატერიალური კულტურა. ერის ბიოლოგიურ ძალას ის განსაკუთრებით გვირისტით შეკერილ, ფოლადივით გამოწრთობილ გლეხკაცობაში ხედავდა, რომლის გრძელი კვნესაც კი სიმღერაში გადადის. მდაბიო ხალხს სთვლიდა ის საქართველოს ისტორიის მთავარ უსახელო გმირად. მას სწამდა, რომ ქართველი ერი გადაშენებას სოფლის დემოკრატიამ გადაარჩინა, ამ დემოკრატიის საღ ეკონომიურ საფუძველს კი საქართველოს ისტორიული წარსულის საუკეთესო ეპოქებში, მისი აზრით, სათემო და საკომლო მიწათმფლობელობის სწო-

რი განაწილება წარმოადგენდა. ის ამბობს, რომ საქართველოს უბედურება დაიწყო იმ დროიდან, როცა „ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიური წყობისას ყური აღარ ათხოვეს: გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლეულობამ, ჩამოვარდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში“ („ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“). ილიას სწამდა, რომ ქართველ დემოკრატიას გაცვეთილი არ ჰქონდა თავისი ძალ-ღონე და დიდი შემოქმედებითი ენერგია შესწევდა მომავალი მშენებლობისათვის. „ჩვენი ქვეყანა ბევრ სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა, — ეუბნებოდა ის თავის ცნობილ სიტყვაში წინამძღვრიანთკარელ გლეხებს:—არც ჩვენ თითონა ვართ უხეირონი, ღმერთ-რჯული, მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონე მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ცხოვრებაში არ წარმომდგარა არც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც ილია არ შეხებოდეს ან თავის მხატვრულ შემოქმედებაში, ან თავის პუბლიცისტურ წერილებში. აღარას ვამბობთ იმ მრავალმხრივ და ენერგიულ პრაქტიკულ მუშაობაზე. ლიტერატურული და პრაქტიკული მუშაობის ჰარმონიული შეერთებით ილია ჭავჭავაძე ახალი ქართული კულტურის აღორძინების საუკეთესო წარმომადგენელია, ღირსეული მემკვიდრე დიდი ისტორიული ქართველი მოღვაწეებისა.

1936

აკაკი წერეთელი

აკაკი წერეთელი არისტოკრატიული ოჯახიდან წარმოდგებოდა. დედამისი ეკატერინე იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის ქალიშვილის დარეჯანის შვილიშვილი იყო. როგორც ცნობილია ეს მეფე, ნაწილობრივ რუსის ჯარის დახმარებით, ცვალებადი წარმატებით ებრძოდა თურქებს და რამდენჯერმე ისინი სასტიკად დაამარცხა. თავად წერეთლების გვარი შე-

დარებით გვიან გაჩოვიდა ისტორიულ ასპარეზზე. იმერეთის მეფეები მეთვრამეტე საუკუნეში ხშირად ამ გვარის უფროსი შტოდან ნიშნავდნენ თავიანთ სახლთუხუცესებს, სარდლებსა და ელჩებს. იმერეთის უკანასკნელი სახლთუხუცესი, ცნობილი ზურაბ წერეთელი რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო და დიდად შეუწყო ხელი რუსეთის ხელისუფლების განმტკიცებას იმერეთში. სხვათა შორის, მან რეპრესიული ღონისძიებანი მიიღო აკაკის მამის ოჯახის წინააღმდეგ, რომლის წევრები იმერეთის უკანასკნელ მეფეს სოლომონ მეორეს გაჰყვნენ ტრაპიზონში. რადგან პოეტის დედის მამა ივანე აბაშიძე 1820 წლის აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას და რუსეთის მეფის მთავრობის მიერ აკლებულ და დატუსაღებულ იქნა, აკაკი წერეთელმა ბავშვობა რუსული ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ატმოსფეროში გაატარა.

აკაკი დაიბადა საქართველოს პროვინციაში, რომელიც ყოველთვის შედარებით უკეთ იყო დაცული უცხოელების ზეგავლენისაგან. თავისი ბავშვობა მან გაატარა მრისხანე მოდინახეს ციხის ძირში, რომელიც თითქო ამოზრდილია საჩხერის კლდეებიდან, სავანის ტაძრის გვერდით, რომელიც თავისი მცირე ზომის მიუხედავად გვაოცებს თავისი ხაზების ჰარმონიულობით და პროპორციულობით, საზოგადოებრივ წრეში, სადაც გამძაფრებული იყო ისტორიული ტრადიციების შეგნება. ამ პროვინციას ერთ დროს დიდი სამხედრო გზა სჭრიდა. ის იწყებოდა ძველი ქუთათისიუმსა და უქიმერიონთან, გადიოდა სიმონეთსა, სკანდასა, საჩხერესა და კორბოულზე და ზემო ქართლში ეშვებოდა ალთან. ამ სამხედრო გზით მეექვსე საუკუნეში კოლხეთში სპარსეთის მეფის ხოსროს ჯარები შეიჭრნენ, რათა არქეოპოლისისა, მუხარიზისისა და პეტრადან ბიზანტიის იმპერატორის გარნიზონები გაერეკათ და შავი ზღვის (პონტის ზღვის) ნაპირებზე დამკვიდრებულიყვნენ. მაგრამ შემდეგ მტერს იშვიათად გამოუყენებია ეს გზა. ლიხის მთა თავისი ჯაგრიანი მკერდით იმერეთს ციხესიმაგრეზე უკეთ იცავდა მტრის ურდოებისაგან. ამიტომ შეიძლება არსად ქართველი ერი ეთნიურად ისე სუფთად არ იყოს დაცული, როგორც ყვირილის და წყალწითელას ხეობაში, არსად ხალხი ასეთ წმინდა ქართულს არ ლაპარაკობდეს, არსად ისეთ სა-

უცხოო ჭონას არ მღეროდეს. აქ მოსახლეობამ ბოლო დრო-მდე შეინარჩუნა თავისი ძველი სტუმართმოყვარეობა, თავისი ძველი სიმღერები და ადათები. სულ ბოლო დრომდე ეს ერთი ყველაზე პატრიარქალური კუთხე იყო დასავლეთ საქართველოში.

ძველი ქართული ფეოდალური ადათის მიხედვით პატრონების შვილები ხშირად რამდენიმე წელიწადს ვასალების ოჯახებში ატარებდნენ. მეფისწულები თავადების ოჯახებში, თავადებისა — აზნაურიშვილებისაში, ხოლო აზნაურიშვილებისა — გლეხებისაში. ამ გზით ხდებოდა მმართველი და ქვეშევრდომი ელემენტების დაახლოება, თვით ერთგვარი დამოყვრება. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმაც თავისი ბავშვობა შვიდ წლამდე გაატარა არა მამაპაპისეული ქვიტკირის პალატებში, რომელიც დღემდე შენახულია მის სამშობლო სოფელ სხვიტორში, არამედ მეზობელ სოფელ საკანეში, ძიძასთან, გლეხის უფანჯრო, უსაკვამურო ქოხში, კერასთან, სადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხარ-თეძოზე წამოწოლილი დეკვივით იდო დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. „ხუთი-ექვსი წლისამ ძალიან კარგად ვიცოდი, თუ როგორ უნდა პირუტყვის ყურისგდება, ფრინველის მოვლა, სადილ-ვახშმის მზადება და მრავალი სხვა საწვრილმანო რამეები. შესწავლილი მქონდა, თუ როდის და როგორ უნდოდა ხვნა-თესვა, თოხნა, მკა, სხვლა და სხვანი, ასე რომ ჩემი შესაფერი ხელსაწყო რომ მქონოდა. ყველაფერს მოვახერხებდი. არ ვიცოდი მხოლოდ წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვა და ისიც იმიტომ, რომ ამბობდნენ, ქალის ხელსაქნარი კაცისთვის დიდი ცოდვა არისო, და მეც მჯეროდა... არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“.

აკაკი წერეთელმა გლეხკაცის ოჯახში მიიღო არა მარტო ჯანსაღი, სპარტანული აღზრდა, რომელმაც მას შემდეგ ცხოვრების გზაზე მრავალგვარი გაჭირვება გადაატანინა: აქ მან კერის პირას თუ მინდორში გაიგონა ის ხალხური სიმღერები, ლექსები და ზღაპრები, რომელთაც ასეთი კეთილისმყოფელი გავლე-

ნა იქონიეს მის გამჭვირვალე და ნათელ პოეტურ შემოქმედებაზე. აქ მან, სხვათა შორის, კონკრეტულად შეიგნო, რომ კოლექტიური შრომის რიტმსა და მუშური სიმღერის რიტმს შორის თანხმობა არსებობს.

„ხალხი აკაკის დემოკრატობას კარგად გრძნობს და ამიტომ უფრო მხურვალედ უყვარს, თუმცა აკაკი ჩამომავლობით არისტოკრატია“, წერდა იაკობ გოგებაშვილი 1908 წელს პოეტის ორმოცდაათი წლის იუბილეს გამო. მართლაც, აკაკისათვის ქართველი მდაბიო ხალხის სიყვარული იყო არა განყენებული პოლიტიკის საკითხი, არამედ მსოფლშეგრძნობის ძირითადი ელემენტი, ის მას თითქო ორგანულად, ძიძის რძესთან ერთად ჰქონდა შეთვისებული. ამის საილუსტრაციოდ საკმაოა მისი ლირიკის ზოგიერთი შედევრი გავიხსენოთ, მაგალითად, „იმერული ნანინა“, რომელშიაც ასე გასაოცრად იგრძნობა ჯანსაღი გლეხი ქალის მკერდის სითბო, მისი ადამიანური ღირსების და სიამაყის გრძნობა, „მუშური“, რომელშიც სოფლის მუშა თავის ყანას ისე ეალერსება, თითქო ის ცოცხალი, საყვარელი არსება იყოს, ბოლოს „სიმღერა მკის დროს“, სადაც მოცემულია ნამდვილი ქართული ნადური შრომის რიტმი, ქართული პეიზაჟის ასახვა, ქართული ზნე-ჩვეულების შეგრძნობა:

მეთაურო, დაგვაცალე,
ჯერ, ეს ყანწი გამოცალე,
მერე გნახავთ, რაც ბიჭი ხარ,
ნამვალი დაატრიალე!
მკაში არც ჩვენ ჩამოგრჩებით,
ჩვენც გვერდში ამოგიდგებით,
გულგაღებული, პერანგა,
პერს ცეცხლივით მოვედებით!

როგორც პოეტის ავტობიოგრაფიიდან ნათლად ჩანს, არც ქუთაისის გიმნაზიას და არც პეტერბურგის უნივერსიტეტს მაინცდამაინც ნაყოფიერი გავლენა არ მოუხდენია მის სულიერ განვითარებაზე. დიდად დამახასიათებელია, რომ მას არც ატესტატი მიუღია და არც დიპლომი, როგორც ეტყობა, პირველად საშუალო სასწავლებლის გაკვეთილებმა და უნივერსიტეტის ლექციებმა ჩააგონეს მას ის სიძულვილი რუსიფიკატორული სკოლის, გონებაშეზღუდული ჩინოვნიკების, გადაგვარებული

ინტელიგენციის, გაქნილი ვაჭრების მიმართ, რომელიც მას შეეხო მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე.

თავისი მკაცრი და არსებითად ტენდენციური მსჯავრი სამოციანი წლების ქართულ ლიტერატურას აკაკი წერეთელმა უფრო გვიან დასდო, როცა მან სასტიკად გააკრიტიკა როგორც ეგრეთ წოდებული წმინდა ხელოვნების მიმდევარნი, ისე, განსაკუთრებით, ვიწრო უტილიტარული ხელოვნების იდეა. მან გაიხსენა ის დრო, „როცა თამამად და გულწრფელად ამტკიცებდნენ, რომ მოცარტის და ბეტჰოვენის მუსიკაზე გოჭის ჭყიანილი უფრო სასიამოვნო გასაგონია, რომ ორთეოსის სიმღერას ძაღლის ყეფა სჯობიაო... ეს საშიში სენი ჩვენც გადმოგვედვა მაშინ და უფრო მეტი ვნებაც მოგვიტანა, ვიდრე რუსეთს... შეცდომით ვეძახით მესამოცე წლებს ჩვენში წარმატების და აყვავების ხანას ხელოვნების მხრით: ეს თითქმის ნახევარი საუკუნე შავ ლაქად დარჩება სალიტერატურო ისტორიაში. შეიძლება მითხრან, თუ ყველა არა, ორიოდე შესანიშნავი მნათობი მზე ჩვენცა გვყავდაო; მაგრამ ეს თავის მოტყუებაა: მე მგონია, რომ ფუტურო მივიღეთ ნამდვილ მნათობად... ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება“ („განთიადი“, „კვალი“, 1896 წ; № 21).

დიდად საყურადღებოა, რომ „რუსეთუმეში“, რომელიც პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა (1861—1863 წ.) და რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა აკაკი წერეთლის იდეოლოგიის გამოსარკვევად, ახალი თაობის წარმომადგენელი სრულიად დადებთ ტიპად არ არის წარმოდგენილი, ის ღამეს ქაღალდის თამაშში ატარებს, დღეს — ძილში; მისი ოცნებაა ორასი წლის ნიგვზის ხე მოსჭრას ეზოში, ფიცრებად აქციოს და გაჰყიდოს. მაგრამ არც ძველი თაობის წარმომადგენელია იდეალური გმირი. ისაა ლუარსაბ თათქარიძის იმერული ვარიანტი. ის არაფერს აკეთებს გარდა ჭამისა და ძილისა. სამაგიეროდ იდეალიზებულია მოდინახეს ციხე და სოლომონ პირველის დრო.

მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანი ხშირად სცდება არა მარტო სხვისი, არამედ თავისი საკუთარი როლის დაფასებაშიც. როგორც აკაკი წერეთელმა 1905 წლის რევოლუციის და მომდევნო რეაქციის დროს დაამტკიცა, როცა მან ახალგაზრდული

პათოსით აღგზნებული ლექსები გამოაქვეყნა, ის მდაბიო ხალხთან ახლო იდგა არა მარტო ინსტინქტებით, არამედ შეგნებითაც. იმასვე მოწმობს 1910 წელს პარიზში დაწერილი სცენები „რეაქცია". მის დემოკრატიულ შეგნებაზე კი აუცილებლად ერთგვარი გავლენა იქონია იმ ჰუმანისტურმა და რადიკალურმა, იდეოლოგიამ, რომელმაც თავის ზენიტს სწორედ სამოციან წლებში მიაღწია. ამიტომ მისი მსჯელობა იმ ეპოქის ადამიანებზე და მწერლობაზე დღეს, ცოტა არ იყოს, უმართებულოდ გვეჩვენება, უმართებულოდ თვით საკუთარი თავის მიმართ.

როგორც ხშირად სჩვევიათ მნიშვნელოვან ადამიანებს, რომელნიც თავიანთ თავს ეულგარულ საზოგადოებრივ გარემოცვაზე მაღლა გრძნობენ, აკაკი წერეთელიც ცხოვრებაში მრავალ ნიღაბს ატარებდა, მიზანტროპისა, პილპილიანი ნაკვესების ოსტატისა, ქაღალდის მოთამაშისა, გულცივი მოაშიკისა. ის ხშირად გაქცევას აპირებდა საქართველოდან, იმიტომ რომ დროგამოშვებით მართლაც დევნას განიცდიდა, როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე მტრულად განწყობილი ქართველი არისტოკრატიის ზოგიერთი ელემენტის მხრივ. თავის თანამედროვეებზე ის ახდენდა სახარების ფრინველის შთაბეჭდილებას, რომელიც არ მკის და არ სთესს და რომელსაც ყოველ შემთხვევაში ხელში ფული არ მიეცემა. მართლაც მას წარმოდგენა არ ჰქონდა არც მარტივ, არც ორმაგ ბუღალტერიაზე, და თუმცა პირველმა აღმოაჩინა ჭიათურის შავი ქვა და მისი მნიშვნელობა სწორად დააფასა, ვერავითარი რეალური სარგებლობა ვერ ნახა ამ უმდიდრესი მადნის ექსპლოატაციიდან.

მაგრამ მოხსენით მას ეს ყოველდღიური ნიღაბები და თვენ დაინახავთ, რომ მისი სახე ღრმა ჩაფიქრების სევდის ნაოჭით არის დაღარული. გაიხსენეთ მისი ისტორიული პოემები და დრამები, მისი პატრიოტული და ეროტიკული ლექსები, წაიკითხეთ ზოგიერთი მისი კერძო წერილი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის თორნიკე ერისთავის, ცოტნე დადიანის და პატარა კახის თანამებრძოლი, რაინდული და იდეალისტური მიჯნურობის გმირი, საქართველოს უანგარო ტრუბადური, რომელსაც თითქო რამდენიმე საუკუნე დაუგვიანია და იმის მაგივრად, რომ თავისი პოეტური შემოქმედებით ძველი საქართველოს

ლაშქარი აღეფრთოვანებინა, გაიძვერა ადვოკატების და გონებაჩლუნგი მედუქნეების წრეში მოხვედრილა.

ბალზაკივით ის მრავალ პრაქტიკულ საქმეს ჰკიდებდა ხელს, თეატრის ანტრეპრიზას, წიგნის და გაზეთის გამომცემლობას, ვერცხლის და ნავთის ბუდობების აღმოჩენას. ის სცდილობდა ევროპელი კაპიტალისტები დაეინტერესებინა საქართველოს მადნეულობის ამოღებაში. ცნობილია, რომ ჭიათურის შავი ქვის პირველი პარტია ევროპის ბაზარზე აკაკი წერეთლის სახელით გავიდა. მაგრამ თვით მას მიწის წიაღის სიმდიდრე იმისათვის აინტერესებდა, რომ მოგებული კაპიტალით უფრო ძვირფასი სიმდიდრე გადაერჩინა, სახელდობრ, ქართველი ერის წიაღში დამარხული ხალხური პოეზია.

„ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო, კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებრივისათვის კი ჩემს დღეში არ მიღალატებია", — ამბობს ის. მართლაც ის პირველი შეხედვით ცვალებადი, მერყეები ბუნების ადამიანად გეჩვენებათ; მაგრამ ჩაიხედეთ უფრო ღრმად მის არსებაში და თქვენ თვალწინ კერპი ხასიათის, თვით მკაცრი ზნეობრივი ვალდებულების ადამიანი აღიმართება. მას შეიძლება დაავიწყდეს რამდენი ფული გესესხათ ან რამდენი გასესხათ, შეიძლება დაავიწყდეს ოჯახური ვალდებულების შესრულება, მაგრამ არასოდეს არ დაავიწყდება თავისი სამოქალაქო და პატრიოტული ვალდებულების მოხდა. მას თამამაც შეეძლო ანტონ I სიტყვები განემეორებინა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან".

ამ შეუდრეკლობას, ამ სიკერპესთან ერთად მას ჰქონდა საკუთარი ადამიანური ღირსების გრძნობა, რომელიც, როგორც ეტყობა, ერთი მხრით მისი წარმოშობით და აღზრდით აიხსნებოდა, ხოლო მეორე მხრით საკუთარი პოეტური გენიის განცდით, არც ამ ღირსების გრძნობისათვის უღალატნია მას არასოდეს. ნაწილობრივ პირადი დაუდევრობისა და უანგარიშობის, ნაწილობრივ უკეთესმართი საზოგადოებრივი პირობების წყალობით მას ხშირად დიდი მატერიალური გაჭირვება ვადასტურებია; ერთხელ ის იძულებული გამხდარა ცოლ-შვილი მოყვრებში გაეგზავნა, ხოლო თვითონ ზნეობრივი გამხნევება

ეძებნა ნიკოლაძის და ხელთუფლიშვილების ოჯახებში. მისთვის გავლენიან პირებს სახელმწიფო სამსახური ან ბანკში მუშაობაც შეუთავაზებიათ. მაგრამ დამოუკიდებლობის სიყვარულს ყოველთვის დაუძლევია, და პოეტი ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა ამ ცდუნებისაგან. ამიტომ სრული უფლება ჰქონდა თავის „საბრალო გულში“ ეთქვა:

მაშ, ნუ გწყინს, გულო, კაცთაგან გმობა,
ხელი გეძახონ, ნუ გენაღვლება,
შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა
და აღასრულე დანიშნულება.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ისიც ითქვას, რომ ამ ბრძოლაში აკაკი წერეთელს, მისივე მოწმობით, მხარში უდგნენ საზოგადოების უფრო მგრძნობიარე ელემენტები, ქალები, ახალგაზრდები და ქართველი დემოკრატიის უსახელო წარმომადგენლები, სასტუმრო „კოლხიდის“ და „ივერიის“ პატრონები, გიორგი ჭილაძეები და სხვანი, რომელნიც ოთახსა და საჭმელსასმელს სთავაზობდნენ, ოღონდ მას ქედი არ მოეხარა მტრის წინაშე.

ბოლოს მას გასაოცარი მოქალაქეობრივი გამბედაობა ახასიათებდა. მან ცნობილი „გაზაფხული“, 1881 წლის პირველი მარტით დათარიღებული, სწორედ „დროების“ შავარშიაშემოვლებულ ნომერში დაბეჭდა, სადაც ალექსანდრე მეორის მკვლელობა იყო გამოცხადებული. იაპონელი ჯარების გამარჯვებას მანჯურიის ომის დროს ის მიესალმა გურული ნანინათი, სადაც მისამღერში მეორდება გამარჯვებული იაპონელი გენერლის ოაიამას სახელი, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დროს მან გამოაქვეყნა თავისი „ხანჯალი“, რომელიც, როგორც ირკვევა, ოცი წლით ადრე დაუწერია და არალეგალური ანაბეჭდების და ხელნაწერების შემწეობით გაუვრცელებია, სანამ ბოლოს, ხელისშემწყობ პირობებში, აშკარა შურისძიების და ამბოხების მოწოდებად აქცევდა.

ამ ლექსების თვითოეული ტაეპი საკმაო იყო პოეტის გასაციმბირებლად, თუ მეფის საცენზურო კომიტეტი, მისდა საბედნიეროდ, ისე არ ყოფილიყო მოწყობილი, რომ ვინც იქ ჭკუადამჯდარი იყო, ის პოეტს საიდუმლოდ მფარველო-

ბდა, ხოლო ვინც მას მტრობდა, ის უიმედოდ გინებაგაბულუ-ნგებული და მაშასადამე, ადვილი მოსატყუებელი იყო.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში აკაკი წერეთლის სახელი, უწინარეს ყოვლისა, დარჩება როგორც პატრიოტული პოეზიის ოსტატი.

„საქართველოს კარგად ვიცნობ, მომიყვარია კიდით კიდე“, ამბობს ის ერთ ლექსში. ის შთაგონების წყაროებს ეძებდა ქართულ ხალხურ პოეზიაში, ისტორიულ ქრონიკებში და აგიოგრაფიულ ძეგლებში, კლასიკურ ბერძენ-რომაელი ავტორების ცნობებში ძველი იბერიის და კოლხიდის შესახებ, ბოლოს საქართველოს მშვენიერ ბუნებაში და მისი თანამედროვე ქართველი ხალხის ნაციონალურ და დემოკრატიულ იდეალებში, მის მისწრაფებებში სამართლიანობისა და ადამიანობისადმი. თავისი აზრების გამოსახატავად ის მონუმენტურ სტილს ეძებდა და მონუმენტურობა დამახასიათებელია არა მარტო მისი ოლიმპიური ფიგურისთვის, არამედ მისი ისტორიული პოემებისა და მოთხრობებისთვისაც, „თორნიკე ერისთავისა“, „მედეასა“, „პატარა კახისა“, „თამარ ცბიერისა“, „ნათელასა“ და სხვ. მოხუცი თორნიკე ერისთავის, რომელიც ბერის ტანისამოსს იხდის და მხედართმთავრის ჯავშანს იცვამს, რათა მცირეწლოვან ბიზანტიელ იმპერატორებს — კონსტანტინეს და ბასილის — დახმარება გაუწიოს აჯანყებულ ბარდა სკლეროსის წინააღმდეგ, ენებიანი და მომხიბლავი იმერეთის დედოფალი თამარ ცბიერი, რომლის გულისათვის მეჩვიდმეტე საუკუნეში ერთმანეთს ებრძოდნენ იმერეთის მეფე, სამეგრელოს და გურიის მთავრები, გელათის არქიეპისკოპოსი და ახალციხის ფაშა, გლეხკაცობის საყვარელი მეფე პატარა კახი — ერეკლე მეორე, რომელმაც თითქმის სამოცდაათი წელი ბრძოლის ცეცხლში გაატარა, ძლიერი პორტრეტისტი-მხატვრის ხელით არიან ასახული. მართალია, პოეტი ყოველთვის ანგარიშს არ უწევს ისტორიულ ფაქტებს, ყოველთვის რეალისტურად არ გადმოსცემს ამა თუ იმ დეტალს, მაგრამ ის სწორად გრძნობს ეპოქის სტილს და აღწევს როგორც მხატვრულ ეფექტს, ისე სასურველ იდეოლოგიურ ზემოქმედებას. მისი მთავარი იდეოლოგიური მიზანი კი ის არის, რომ ისტორიული

გმირების ჩვენებით პატრიოტული სული განამტკიცოს მკითხველში და ზნეობრივად აამაღლოს ის.

აკაკი წერეთლის პატრიოტულ ლირიკას და პოემებს ახასიათებს გადასვლა პესიმიზმიდან ოპტიმიზმისაკენ, თანამედროვე ქართველობის გმობიდან წინაპრების იდეალიზაციისაკენ. თუ რა გასაოცარი შთამგონებელი ძალა ჰქონდა აკაკი წერეთლის პატრიოტულ პოეზიას არა მარტო საღად მოაზროვნე ქართველ დემოკრატიაზე, არამედ ეროვნულად გადაგვარებულ ქართველ ახალგაზრდობაზეც, ჩანს, მაგალითად, ივ. ბუქურაულის „მოგონებებიდან", სადაც ავტორი გვიამბობს, რომ 15-16 წლამდე თავის თავს სრულიადაც ქართველად არ ვგრძნობდი და პირველად ჩემში რაღაც სტიქიონურმა პატრიოტიზმმა იმ დღეს გაღვიძა, როცა მასწავლებელმა კლასში ახლად გამოსული „თორნიკე ერისთავი" წაგვიკითხაო. არაფერი არ შეედრება იმ სიამოვნებას, რაც ამ კითხვის დროს განვიცადეო („აკაკის საიუბილეო კრებული", 1908 წ.).

თვით ამ სტრიქონების ავტორს არასოდეს არ დაავიწყდება ის გასაოცარი იდეური და მხატვრული ზემოქმედება, რომელიც მასზე ბავშვობის ასაკში აკაკი წერეთლის „ქართველმა ქალმა" იქონია, ახალგაზრდა ქალის მიერ ჩონგურზე დამღერებულმა.

ეს გავლენა შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ აკაკი წერეთლის პატრიოტული პოეზიის შედევრებში ტრაგიკულ მოტივებს იმედის, ცხოვრების გამარჯვების ძახილი ან ბედისწერასთან შერიგების წყნარი აკორდები სცვლის.

ხანდახან მას რაღაც წინასწარმეტყველური პათოსი იპყრობს და ეს ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალის" გადმომკეთებელი იოანე წინამორბედის ენით ლაპარაკობს: „თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ გაყვდეთ წინამძღოლი, ეუბნება ის 1912 წელს მის პატივსაცემად შეკრებილ ხალხს რაჭა-ლეჩხუმში: — ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და აუშვას ამირანი, სხვა არის. ის მოგევლინებათ ახალი მოდგმისაგან. მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლის ღირსი არ ვარ ხამლი გავხადო ფერხთა მისთა, და თუ მე — უბრალო მახარობელს, უბრალო მომაკვდავს ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება?"

არსებითად იმავე სიტყვებით მიმართა მან თელავში 1911 წელს ათასწლოვანი ვადრიო ქვეშ გამართულ ბანკეტზე თავმოყრილ საზოგადოებას. „ის ხალხი, რომელმაც წარმოშვა ვახტანგ გორგასალი, თამარი, გიორგი ბრწყინვალე, დიდი მოურავი, მთაწმინდელები, პეტრიწი, რუსთაველი და სხვა მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს იმისთანა გმირს, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ და რომელსაც მსოფლიო მოელის“.

პატრიოტული გრძნობა ისეთი სიძლიერით ჰფლობს აკაკი წერეთლის ცნობიერებას, რომ ხშირად თვით მის უძლიერეს ეროტიკულ განცდებსაც ჩრდილავს, და მკითხველს უჭირს გამოიცნოს, ვის უმღერის პოეტი, საყვარელ ქალს თუ სატრფოს სახით წარმოდგენილ სამშობლოს. თვით ეროტიკულ ლირიკაში აკაკი წერეთელმა დიდი კონკრეტულობა შეიტანა. მართალია, ის იშვიათად იძლევა თავისი საყვარელი ქალების ფიზიკური გარეგნობის გამოკვეთილ პორტრეტს, მაგრამ თვითეული მათგანის სულიერი ფიზიონომია ნათლად აქვს ასახული. მშვენიერი ალექსანდრა იშვიანი და პირქუშია, კეკლუცი ნინო იმდენად თავქარიანია, რომ ძვირფასი თვლები საყვარლებში გაუბნევია და ერთი საბარდის ანაბარა დარჩენილა; ეთერი უსიტყვო და მოკრძალებულია: თუმცა მასში ძლიერი ტრფობის ალი ჰღვივის, მაგრამ ვერც თვითონ ბედავს და არც პოეტს აბედვინებს ჩუმი გულისთქმა გამოაცხადოს. აკაკი წერეთლის სატრფოებს შორის მოიპოვებიან ისეთი ქალები, რომელთაც ვნებათა ღელვა არასოდეს არ ეღებათ, ცივი და ამაყი გული აქვთ, მაგრამ მაინც დიდი ნეტარების მინიჭება შეუძლიათ თავიანთი ეშხით; არიან ისეთებიც, რომელნიც პოეტს შორიდან ეჩვენებიან წარმწყმენდელ ეშმაკივით, ისეთებიც, რომელთა გულში სიყვარული ოთხმოცდაცხრამეტჯერ გამოცვლილა და მეასედაც ადვილად წაიშლება.

მაგრამ თვით ტრფობა, ინდივიდუალური გამოვლინების დამოუკიდებლად, აკაკი წერეთელს წარმოდგენილი აქვს როგორც რაღაც კოსმიური ძალა, რომელიც დედამიწასა და ზეცას აკავშირებს, და მთელი ბუნებისა და ადამიანის გარდაქმნას იწვევს:

რამ ამამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს იმ სანეტაროს,
მზა ვარ სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!

ამ ტრფობის სფერულ ჰარმონიაში პოეტის სიკვდილის წინ ტრაგიკული მოტივები იჭრება; სიყვარული ქრება ლამპარივით, მასთან ერთად ქრება ინდივიდუალური არსებობაც:

აღარ გსურს ჩემი ანთება,
მნათე ხარ სხვისი ლამპრისა!..
დაბნენებელი ბულბულის,
გიყვარს ჭიკჭიკი სხვა მხრისა!..
უშენოდ ვეღარ ჭიკჭიკობს,
ენა ჩავარდა ბულბულსა.
მიუახლოვდა სიკვდილი,
შხამი აპკურა მის გულსა.
მაგრამ ეს შენთვის ერთია,
ცოცხალი ვიყო, გინდ მკვდარი!..
აღარ აენთვის აწ სხვისგან
ჩემი ჩამქრალი ლამპარი!!

ეს ლექსი სამოცდათხუთმეტი წლის პოეტს უნდა მიეძღვნა ქალისათვის, რომელიც მას ოც წელზე მეტ ხანს უყვარდა, და რომელთანაც ის სულიერად ტრაგიკულმა შემთხვევამ გააშორა.

როგორც წარსულ საუკუნეებში შოთა რუსთაველმა, სულხან-საბა ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა, ისე მეცხრამეტე საუკუნეში აკაკი წერეთელმა და ილია ჭავჭავაძემ ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინეს და ის ხალხურ მეტყველებას დაუახლოვეს. აკაკი წერეთლის ხელში ქართულმა ლექსმა მოიპოვა მოქნილობა და მუსიკალობა, რომელიც მას არ ჰქონია დავით გურამიშვილის და ბესიკის შემდეგ. თუმცა მას არ აქვს არც ნ. ბარათაშვილის ფილოსოფიური სიღრმე და არც ილ. ჭავჭავაძის პუბლიცისტური ვნებიანობა და ბურჟუაზიული სინამდვილის ცოდნა, მაგრამ ის უფრო მრავალმხრივი და ნაყოფიერია, ვიდრე რომელიმე ქართველი

ლირიკოსი მეცხრამეტე საუკუნეში. ცნობილია, რომ ბევრი მისი ლექსი სასიმღეროდ იქცა, იმიტომ რომ თვითონ იყო გამოსული ხალხური სიმღერიდან. ფოლკლორის გავლენა ატყვია აკაკი წერეთლის მთელ ლირიკას, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ისეთ შედევრებში, როგორიცაა „ალვის ხე აყვავებულა“, „მინდვრად ეგდო თეთრი ქვა“, „ჩემო ლამაზო ბეკეკა“, „ურიული ტირილი“ და მრავალი სხვა. როცა ადამიანი ამ შედევრებს კითხულობს, მას თითქოს ვერ გაუგია, ვისი ხმა ესმის, მთელი ქართველი ხალხისა, თუ მისი რჩეული ჰეროლდის აკაკი წერეთლისა:

ალვის ხე აყვავებულა,
ამშვენებს არემარესა,
გარს იხვევს ქვეყნის მშვენებას,
თავს ივლებს მზეს და მთვარესა.
„ეს შენ ხარ აკოკრებული,
მზეთუნახავ თინაო,
მშვენიერებამ შეგამკო,.
ცით მადლი გადმოგფინაო!“
ზედ უკვდავების წყალი სდგას,
ფიალი თვალის მომჭრელი,
გრძნობა-გონებას იტაცებს,
არ ეკიდება კი ხელი!
„ეგ, ქალო, შენი გულია,
შიგ გრძნობა ნაგუბარიო,
არ ეკარება ჯერ ტრფობა,
შორს არის მეგობარიო!“

მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ქართველ ერს პოლიტიკური დამოუკიდებლობა აღარ ჰქონდა, დიდმა ქართველმა მწერლებმა ილ. ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა ეროვნული გემის მესაჭეობა იკისრეს ქარიშხლიან ზღვაზე. მათ ძალიან ამაღლებული წარმოდგენა ჰქონდათ თავიანთ როლსა და მოვალეობაზე. აკაკი წერეთელს აქვს ერთი მშვენიერი პატარა მეტად დამახასიათებელი მოთხრობა „დავითის გვირგვინი“. სამეფო წინასწარმეტყველი უდაბნოს გამოქვაბულში ჩანგებს აკეთებს და დროდადრო ბილიკზე სდებს, რათა გამვლელ-გამომვლელმა ებრაელმა მწყემსებმა ადვილად შეამჩნიონ. მწყემსები მართლაც ხედავენ ჩანგებს, მაგრამ რადგან მათი ნამდვილი დანიშნულება არ გაეგებათ, პრაქტიკული მიზნებისათვის იყენებენ:

ზოგი შიგ ფქვილს ჰყრის, ზოგი სიმებს აცლის, ერთად გრეხს და საბელს აკეთებს. მხოლოდ დავითი აწყობს სიმებს და ჩანგის დაკვრას იწყებს. სამუელ წინასწარმეტყველი მაშინვე მიხვდება, რომ სწორედ ეს ახალგაზრდა მწყემსია ხალხის წინამძღოლად მოწოდებული და მას ებრაელთა მეფედ აკურთხებს.

პოეზიის და სამშობლოს მეთაურობა ერთიმეორეს ემთხვეოდა აკაკის შეგნებაში. ცხოვრება საქართველოსთვის, ცხოვრება ხელოვნებისთვის — ასეთი იყო ამ დიდი ადამიანის გზა.

1940

ვაჟა-ფშაველა

ოცმა წელმა განვლო მას შემდეგ რაც ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა. ამ ხნის განმავლობაში ყოველივე რადიკალურად შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში — საზოგადოებრივი ურთიერთობაც, ადამიანის ფსიქოლოგიაც, თვით პეიზაჟიც. ქალაქში ბურჟუაზია მოისპო, ხოლო სოფელში თავადაზნაურობა და ძველი გლეხკაცობის ზედა ფენა; ინდივიდუალური მეურნეობის ადგილი კოლექტიურმა მეურნეობამ დაიჭირა. ჩქარის ნაბიჯით წინ წავიდა მიწათმოქმედების მექანიზაცია: იქ, სადაც წინათ გლეხისდედის და მეურმის სევდიანი ღიღინი გაისმოდა, ახლა ხშირად ტრაქტორის გუგუნი გაისმის. გაუვალი ჭაობები და უნაყოფო გვიშბნარები ჩაის, ფორთოხლის და ნარინჯის პლანტაციებმა დაჰფარა. ფშავი საავტომობილე გზამ გადასერა, ნათის მწვერვალებს, რომელნიც ვაჟას ასეთი ამაყი და მიუჯდომელი მიაჩნდა, თავზე ჰაეროპლანებმა გადაუარეს. შეიძლება ჩვენი ეპოქა ვაჟას მრავალმხრივ უფრო უცხოდ და გაუგებრად სჩვენებოდა, ვიდრე თავისი ეპოქა ეჩვენებოდა, რევოლუციის წინადროინდელი თავადაზნაურულ-წვრილბურჟუაზიული საქართველო, რომელიც თითქო სრულიად დაშორებული იყო მის იდეალებსა და ზნეობრივ შეხედულებებს. ჩვენთვისაც, სოციალისტური საქართველოს მოქალაქეებისათვის

თითქო უცხო და გაუგებარი უნდა გამხდარიყო ვაჟას პიროვნება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რასაკვირველია, ჩვენ ამ დიდი პოეტის მიერ დატოვებულ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ვერ მივიღებთ და არც ვღებულობთ უკრიტიკოდ, მაგრამ იგი ისეთივე ცხოველ ინტერესს იწვევს. როგორც უდიდესი ქართველი კლასიკოსები იწვევენ. კიდევ მეტს ვიტყვით: ის მღელვარება, ის პროტესტისა და თანაგრძნობის სული, რომელიც ვაჟას პირველმა ლიტერატურულმა დებიუტებმა გამოიწვია, დღემდე არ განელებულა, თითქო იგი დღესაც ცოცხალი იყოს და ჩვენს მებრძოლ რაზმებში იდგეს თავისი რაინდული მუზარადით და შავქარქაშიანი ხანჯლით.

ამის მიზეზი არ შეიძლება ვეძებოთ მარტოოდენ ესთეტიკურ სფეროში. არასოდეს შემოქმედ პიროვნებას, ხელოვნების რა დარგში უნდა მუშაობდეს იგი, არ ძალუძს მარტოოდენ მხატვრული მიღწევებით ააღელვოს და შეაშფოთოს თავისი თანამედროვეები ან მით უმეტეს თავის მომდევნო თაობები: საჭიროა, რომ მან თავის მოქალაქეობრივ მოღვაწეობასა, თავის მსოფლმხედველობასა და ზნეობრივ იდეალებში აღმოაჩინოს აუმღვრეველი წყაროები, რომელსაც უდაბნოს მექარავნეებივით დაეწაფებიან ისინი, ვინც უღრმეს ადამიანობას ეძიებენ მოწყურებული. ალფრედ დე-მიუსსე სადღაც ამბობს: პოეტი პელიკანს ჰგავს, რომელიც მკერდს იპობს და გულს იგლეჯს, რათა მისი ნაფლეთებით თავისი მშიერი ბარტყები გამოკვებოსო. ვაჟას ხშირად უხმარია ანალოგიური სახეები: მან თავისი სიტყვა მთიდან გადმომდგარი ხარის ყვირილს შეადარა. მხოლოდ თავის გარდაცვლილ მეგობარზე ალექსანდრე ყაზბეგზე სთქვა, იგი ამოღებული ხანჯლით, ცრემლად დამდნარი და მტრის ჯავრით დაღლილი გულით მივა მამაპაპასთან. მათ უბით საქართველოს პირობას მიუტანს და სისხლიან კალამს უჩვენებსო.

თუ დღეს ვაჟა-ფშაველას მიერ დატოვებულ მხატვრულ მემკვიდრეობას ისე არ ვუცქერით, როგორც მკვდარ კაპიტალს, თუ მის პოეზიაში ცოცხალი სიცოცხლის მაჯისცემას ვგრძნობთ, თუ მას კიდევ უფრო ვაფასებთ, ვიდრე მისი თანამედროვეები აფასებდნენ, ეს, რასაკვირველია, აიხსნება არა მარტო მისი პოეზიის წმინდა მხატვრული ღირსებით, არამედ განსაკუთრებით იმითაც, რომ თუმცა იგი თავისი მოქალაქეობრი-

ვი იდეალებით და თავისი მსოფლმხედველობით უცილობლად დაგვშორდა ჩვენ, მრავალ წერტილში მაინც უშუალოდ ეხება ჩვენს ეპოქას.

რა ახასიათებს, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს თანამედროვე სოციალისტურ საზოგადოებას და რას მოვითხოვთ მწერლისაგან, რომელიც ამ საზოგადოებას ასახავს მხატვრულად? ჩვენს თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს გმირული ბრძოლა უფრო ნათელი და უფრო ვაჟკაცური კულტურის დასამყარებლად, ვიდრე გადაგვარებული კაპიტალისტური კულტურაა, ჩვენ ხელოვანისაგან, მწერალი იქნება იგი, მხატვარი თუ მუსიკოსი, მოვითხოვთ, რომ გვაგრძნობინოს ამ ბრძოლის ჯანსაღი რომანტიკა, მხატვრულად განგვაცდევინოს ის რაინდული სული, რასაც ამ საზოგადოების მშრომელნი ამყღავნებენ ან უნდა ამყღავნებდნენ ახალი ადამიანური იდეალებისათვის ბრძოლაში. და აი, სწორედ აქ შეიძლება ვაჟა-ფშაველას შემოქმედება გამოყენებული იქნას, თუ მას რასაკვირველია მივუდგებით არა ყალბი იდეალიზაციისა, არამედ საღი კრიტიკის თვალსაზრისით, შევითვისებთ რაც ცხოველმყოფელია მის მემკვიდრეობაში, ხოლო უკუვაგდებთ, რაც იქ მოძველებული და გამოუსადეგია.

პირველი შთაბეჭდილება, რომელსაც ვაჟა-ფშაველა იწვევს თავისი პიროვნებით და თავისი შემოქმედებით არის ვაჟკაცობა, შეერთებული ღრმა და ფაქიზ გრძნობიარობასთან. თითქო მასზეა ნათქვამი რუსთველის სიტყვები: „სიმტკიცე ჰგვანდის ნაპედსა, ვთქვი ცეცხლად შენართაულად“. ვაჟკაცურია არა მარტო მისი ლიტერატურული ფსევდონიმი, არამედ ვაჟკაცურია მისი ცხოვრების გზაც, მისი ლირიკაც, მისი ეპოსის პერსონაჟიც და ის მთის პეიზაჟიც, რომელიც მისი შემოქმედების ბუნებრივ ფონს შეადგენს. რასაკვირველია, ამ მხრივ ვაჟა-ფშაველა რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენს ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში. შორეული მაგალითები რომ გავიხსენოთ, გმირული სულითაა შთაგონებული ჩვენი ძველი ჰაგიოგრაფიული მწერლობა, ყველა იმ მოწამეების ცხოვრების აღწერა, რომელიც ცეცხლის კოცონზე მიდიოდნენ ქრისტიანული სარწმუნოებისათვის; შემდეგ გმირული სულითაა შთაგონებული ჩვენი რაინდული და ისტორიული ეპოსი „ამირან-დარეჯანიანი“,

„ვეფხისტყაოსანი“, გურამიშვილის „დავითიანი“, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“, ბოლოს, ეკალოესი მაგალითები რომ დავასახელოთ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ილია ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“, აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „პატარა კახი“ და სხ.

მაგრამ კლასიკური ქართული მწერლობა შეზღუდული წოდებრივი და კლასობრივი მორალითაა გაჟღენთილი; ხშირად ის გვიხატავს დისჰარმონიულ ადამიანს, შინაგანი წინააღმდეგობით გათიშული საზოგადოების წარმომადგენელს; ამ მწერლობის ჰეროიკა უმთავრესად საეკლესიო მიღვაწეების, ფეოდალური არისტოკრატიის ან რაინდული წოდების ჰეროიკაა; თავისთავად ცხადია, რომ ქართველი კლასიკოსები ბურჟუაზიის ან ჩაგრული კლასების მხატვრულ სახეებსაც იძლევიან; მაგრამ როცა ქართველი კლასიკოსი წარმოშობით თვით არისტოკრატია, ის ბურჟუა-მოქალაქეში უფრო ხშირად მხოლოდ გროტესკულ მხარეებს ჰხედავს, გლეხსა და მუშაში მხოლოდ ბედთან შერიგებას და სასოწარკვეთილებას; მხოლოდ ისეთი მწერლები, რომელნიც თვით ჩაგრული წოდებიდან გამოვიდნენ, გაუბედავად და ეპიზოდურად ასახავენ დაბალი ხალხის გმირობას.

ვაჟა-ფშაველა არაა გაბატონებული კლასის მორალით შეზღუდული მწერალი: არ შეიძლება ითქვას, რომ მისი მსოფლმხედველობა ფეოდალურ-არისტოკრატიული, კლერიკალური ან ბურჟუაზიული იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის შეიძლება ითქვას, რომ ის მტკიცედ და გარკვეულად რომელიმე ჩაგრული კლასის ან წოდების თვალსაზრისზე იდგეს. მართალია, ახალგაზრდობაში ის ერთნაირი ბუნდოვანი ნაროდნიკული იდეებითაა გატაცებული, მაგრამ მომწიფების ასაკში რაფაელ ერისთავს უცილობელი ზეგავლენით, სწერს „გლეხის სიმღერას“, რომლის მთავარი მოტივი იგივე ბედთან შერიგებაა, ხოლო ძირითადი ჩარჩო იგივე სოფლის შეუშფოთებელი იდილია:

ღმერთმა დამბადა მუშადა,
იმან მიკურთხა მარჯვენა,
უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო,
და გამოვკვებო ქვეყანა.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ვაჟას არ აქვს თავიდან ბოლომდე მოფიქრებული პოლიტიკური პროგრამა, რომ ის არ არის მოქალაქეობრივი მოტივების პოეტი ამ ცნების ვიწრო გაგებით, რომ ის თუ გნებავთ პოლიტიკურად ოდნავ კიდეც ქანაობს სხვადასხვა თვალსაზრისს შორის; მაგრამ საერთოდ მისი ხასიათი და მისი ფილოსოფიური და ეთიკური მსოფლმხედველობა თავისუფალია რყევისა და კომპრომისებისაგან. მისი შემოქმედება ნამდვილი ამბოხებაა რევოლუციის წინადროინდელი საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც დახლზე „ჩოთქისა" და „არშინის" გვერდით ხმალს სდებდა, ის ოცნებობს ჰარმონიული, ყოველმხრივ დამთავრებული, შინაგანი წინააღმდეგობით გაუთიშავი ადამიანობის განხორციელებაზე:

გულს ნუ გაიტეხ, მგოსანო,
ხმალი აიღე ფხიანი,
მოკეთეს ემოკეთეე
და მტერს მიეცი ზიანი...
რა ტერფა სანახავია
ქეეყანა ჭკვათა მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა
განმტკიცებელი სოფელი!
მტერს რა ლამაზად დახვდება
არსებით განუყოფელი! („მგოსანს").

მონოლიტურ ქანდაკებათა შთაბეჭდილებას ახდენენ აგრეთვე მისი ეპოსის მთავარი გმირები. ისინი დეევებივით მიაბოტებენ, ხარებივით ბუბუნებენ, ზვავივით მოძრაობენ. ძნელია მათი დაბადება-გარდაცვალების თარიღების და მათი სოციალური ბუნების გამორკვევა. რომელ საუკუნესა და რომელ საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნიან ალუდა ქეთელაური, მუცალი, გოგოთური, აფშინა, ზვიადაური, ჯოყოლა და სხვები? პოეტს უმეტეს შემთხვევაში, ისინი არ შეუქმნია მარტოოდენ თავისი შემოქმედებითი ფანტაზიით, არც მარტოოდენ თავის გარშემო არსებულ სინამდვილეში დაუნახავს, მას ისინი გამოუწვევია ხალხური პოეზიის სიღრმეებიდან, ათასწლოვანი ბნელი მითოსიდან, ხოლო შემდეგ თითქო დიდი ოსტატის კვერითა და საკვეთით გამოუქანდაკებია და ერთმანეთთან შეუთავსებია თავისი მხატვრული მიზნების მიხედვით. თითქო რაღაც

ფანტასტიური „დროების მანქანით“ ვეფას ეპოსს იმ პრეისტორიულ ეპოქაში გადავყევართ, როცა ენგელსის თქმის არ იყოს, კაცობრიობა ჯერ კიდევ დაყოფილი არ იყო მოწინააღმდეგე და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ კლასებად და პირველყოფილი თემი საზოგადოების ძირითად ფორმას წარმოადგენდა, როგორც ძველ კონტინენტზე, ინდოეთიდან ირლანდიამდე, ისე ამერიკაშიც და, სხვათა შორის, შეიძლება ამითაც აიხსნებოდეს, რომ ვეფას ეპოსი, სადაც ასახულია პირველყოფილი საზოგადოება, რომელიც უკვლია თავისი ათასწლოვანი ტრადიციებით, გაცხოველებულ ინტერესს იწვევს ჩვენს თანამედროვე კულტურულად დაწინაურებულ საზოგადოებაში.

ბევრად უფრო ადვილია ვეფას გმირების გვარტომობის გამორკვევა: ისინი ან ქართველი მთიელები არიან, ან ჩრდილო კავკასიელები. განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთი წარმოადგენს მათი მოქმედების რჩეულ ასპარეზს. ეს არაა შემთხვევითი მოვლენა. ცნობილია, რომ განსაკუთრებული გეოგრაფიული და ისტორიული პირობების წყალობით ამ პროვინციის საზოგადოებრივი განვითარება დაახლოებით სტრაბონის მიერ აღწერილ საფეხურზე შეჩერდა. მართალია, პირველყოფილმა თემმა, ხევისბერების და ბერისპეების ინსტიტუტმა, საადათო სამართალმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საუკუნეების მანძილზე, მაგრამ საერთოდ ფშავ-ხევსურეთი გადაურჩა როგორც ქართველი ფეოდალიზმის, ისე უცხოელი დამპყრობლების შემოტევას, როგორც ზურაბ ერისთავის, ისე შაჰბაზის რაზმებს, მას არასოდეს არ უტარებია ბატონყმობის მძიმე უღელი და მოუდრეკელი თავისუფალი სული მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდე. თვით მეცხრამეტე საუკუნეში იქ უფრო მძლავრად იჩინა თავი სოციალურმა დიფერენციაციამ, ქონებრივმა უთანასწორობამ, გაჩნდა მსხვილი მეცხვარეობა და ქორვაჭრობა, მაგრამ პატრიარქალური წესწყობილების საუკუნეობრივი ნაშთები მთებში იმდენად ძლიერი იყო, ხოლო რუსეთის კანონმდებლობის და ბიუროკრატიის გავლენა კი იმდენად სუსტი, რომ ადვილი არ აღმოჩნდა ძველი თემური სულის აღმოფხვრა.

მაგრამ ფშავ-ხევსურეთმა თავისებურება შეინარჩუნა არა მარტო სოციალური და პოლიტიკური წესწყობილების დარგ-

ში, არამედ იდეოლოგიის, განსაკუთრებით რელიგიის სფეროში, ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ქრისტიანობას და ბოლო დრომდე შეინარჩუნა ბუნების კულტი თავისი კოპალა-იახსარებითა, მუხის ანგელოზებითა, ლაშარის ჯვრებითა, ადგილის დედებითა, მგელუქმეებით და შავეთის, ე. ი. საიქიოს წმინდა სენსუალისტური წარმოდგენით. იქ ბოლო დრომდე არ მოსპობილა მოგვების, ე.ი. ხევისბერ-ხუცების ინსტიტუტიც. რასაკვირველია, თვით ვაჟა-ფშაველა არ შეჩერებულა ცრუმორწმუნეობით გაჟღენთილ პირველყოფილ, ტლანქ წარმართობაზე. მაგრამ ამ წარმართული ბუნების კულტიდან იმ თავისებურ პანთეიზმამდე, რომელიც ვაჟას შემოქმედებას უძევს საფუძვლად, დიდი ნაბიჯის გადადგმა არ იყო საჭირო და ამ ნაბიჯის გადადგმაში მას, როგორც მისი ბიოგრაფები ადასტურებენ, გოეტეს აზროვნების გაცნობამ შეუწყო ხელი.

* * *

ვაჟას თავისუფლად შეეძლო თავისი ავტობიოგრაფიის ეპიგრაფად გამოეყენებია ის ხალხური ლექსი, რომელიც მას ერთ თავის ეთნოგრაფიულ წერილში მოჰყავს ფშაველების გმირობის იდეალების დასახასიათებლად:

> კაი ყმა ლაშქარს მოკედება
> სწორების მჯობინობასა,
> ცუდაი — ბოსლის ყურესა,
> ქალებთან ლოგინობასა.

ვაჟა ნამდვილი სპარტანელი იყო, თავისი აღზრდით და თავისი ცხოვრების სტილით, მან ნამდვილი გმირული გზა განვლო ჩამორჩენილი მთიდან კულტურულად დაწინაურებული ბარისაკენ, ხელახლა მთას დაუბრუნდა ვაჟკაცობის ასაკში, რათა ბოლოს სული ბარში დაელია. ვაჟა რომ სამუდამოდ მთაში დარჩენილიყო, ფშავის მივარდნილ თემში, შეიძლება მას თავისი წილი შეეტანა ხალხური პოეზიის სალაროში, მაგრამ ჩვენთვის ის დღესაც ისევე უცნობი იქნებოდა, როგორც უცნობია მრავალი ანონიმური პოეტი, რომელთაც ჩვენი მდიდარი ფოლკლორი შეჰქმნეს. მეორე მხრით ის რომ მთას მოწყვეტილიყო და საბოლოოდ ბარში დასახლებულიყო, შეიძ-

ლება მნიშვნელოვანი მწერალი გამხდარიყო, მაგრამ მის შემოქმედებას არ ექნებოდა უშუალობისა და ორიგინალობის ელფერი, რაიცა მისი მომხიბლაობის მთავარ ელემენტს შეადგენს. ბედნიერი შემთხვევის წყალობით, რომლის მსგავსი კაცობრიობის კულტურის ისტორიაში იშვიათად განმეორებულა, ვაჟამ თავის პოეზიაში მოგვცა ორი ერთიმეორეს დაშორებული სოციალურ-კულტურული ფორმაციის სინტეზი, რომელთაგანაც ერთი თბილისის პრეისტორიულ ხანას ეკუთვნის, ხოლო მეორე კაცობრიობის განვითარების უკანასკნელ საფეხურს. მის შემოქმედებაში ორგანიულად შეერთებულია კაცობრიობის დილის და მწუხრის, გულუბრყვილო სიჭაბუკისა და მომწიფებული ვაჟკაცობის შეგრძნება; მისი გმირებიდან ზოგიერთნი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, რომელნიც უზრუნველად თამაშობენ უცოდველი ბუნების წიაღში, ზოგიერთნი კი დაფიქრებულ ბრძენთ, რომელთაც შუბლი დანაოჭებული აქვთ მტანჯველი იქვით.

თავის ავტობიოგრაფიულ ნარკვევში „ჩემი წუთისოფელი", რომელიც სამწუხაროდ დაუმთავრებელი დარჩა, ვაჟა ორიოდე დამახასიათებელი ხაზის მოსმით გვიხატავს თავის ბავშობას და თავის დედმამის სურათს. თუ ამ ავტობიოგრაფიულ ესკიზს პოეტის ბიოგრაფიების მიერ მოწოდებულ ცნობებს დავუმატებთ, ნათლად თვალწინ წარმოგვიდგება ვაჟას მიერ ბედნიერად გატარებული პირველი წლები მძლავრი ბუნების წიაღში და-ძმებთან ერთად, რომელთაგანაც ორი — ბაჩანა და თედო — შემდეგ აგრეთვე ცნობილი მწერლები გახდნენ. როგორც თვით პოეტი, ისე მისი ბიოგრაფები განსაკუთრებული სიყვარულით იგონებენ ვაჟას დედას, ძველებურად სტუმართმოყვარე და ხელგაშლილ ქალს, რომელიც თვით სახალხო პოეტთა ოჯახიდან წარმოდგებოდა და, თუმცა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ ძროხიდან ან თევზაობიდან და ჭიდაობიდან დაბრუნებულ პატარა ვაჟას, თუ მას დაღლილობის გამო საჩეჩლის წკრიალში არ ჩაეძინებოდა, ხალხურ ლექსებს ეუბნებოდა ღაჟაურასა და სხვა ფშაველი გმირების შესახებ. წერა-კითხვა ვაჟამ თავისი მამისაგან ისწავლა, რომელიც ჩვეულებრივ ხანჯლით სახინკლე ხორცს ჭეპავდა იმ დროს, როცა ბავშვს პირველი ასოები გამოყავდა ფიქალზე, შემდეგ

მას ბიბლიურ მოთხრობებს უამბობდა დავითსა და გოლიათსა, სამსონ უძლეველსა და სხვებზე. მან თავის ვაჟს შეაყვარა „ევფხისტყაოსნისა“, „მზეჭაბუკისა და ჯიმშერის“ კითხვა და გაუღვიძა მოკრძალება თავისი საყვარელი გმირების — ძლიერი ნებისყოფისა და თვითრწმენის ადამიანების — დავით აღმაშენებლისა, ნაპოლეონისა, ლეონ გამბეტასა, ვიქტორ ჰიუგოსადმი. ამ შინაურ მასწავლებელთა გალერიას ამთავრებს ვაჟას მესამე აღმზრდელი, მისი მამის უმცროსი ძმა, ბოიგარი, მძლავრი ბრგე ვაჟკაცი და სახელოვანი მონადირე, რომლის პორტრეტი ვაჟამ თავის „მოგონებაში“ დაგვიხატა და რომელმაც მას ბუნებისა და ნადირობის სიყვარული ჩაუნერგა.

ამ ფიგურებიდან ყველაზე დამახასიათებელია ვაჟას მამა — პავლე მღვდელი. ესაა პატარა ტანის მთიელი, ამაყი და ენერგიული, მჭევრმეტყველი და ცნობისმოყვარე, ღირსეული შვილისშვილი პირუთვნელი იმედა გოგოჭურ რაზიკაშვილისა, რომელმაც ხალხური ისტორიული გადმოცემის თანახმად ერეკლე მეფეს შეჰკადრა: — ბატონო, ორი რომ შენი მიბრძანო, ერთი ჩემიც უნდა გაიგონოვო. ვაჟას მამა ჯიუტი ავტოდიდაქტია, წერა-კითხვა მწყემსობაში აქვს შესწავლილი, ქურდულად, თავის მამის ფარულად, რომელიც სწავლას სჯულის და თემის ღალატად სთვლიდა და თავისი შვილი კინაღამ თოფით მოჰკლა, როცა ხელში დაწერილი ფიქალი დაუნახა. მაგრამ პავლე რაზიკაშვილი ყოველ დაბრკოლებას სძლევს, სწავლა-განათლებას ამთავრებს მონასტერში, კარგად ეცნობა არა მარტო საღმრთო წერილს, არამედ საერო ქართულ ლიტერატურასაც, მღვდელი ხდება იმის მაგივრად, რომ ხევისბერი ან დეკანოზი გამხდარიყო, ქრისტიანული წირვა-ლოცვის წესს ასრულებს ნახევრად წარმართულ ფშავ-ხევსურეთში და იმავე დროს ვაჭრობასაც მისდევს, დუქნებს ხსნის გზაჯვარედინებზე, სადაც თელაველი ნოქრები უყენია.

თელავის სასულიერო სასწავლებელი, სადაც ვაჟამ ექვსი წელი დაჰყო შინაური აღზრდის დასრულების შემდეგ, მისი ავტობიოგრაფიული ნარკვევის მკვეთრი დახასიათებით ნამდვილ ძველ საპყრობილეს წარმოადგენდა, სადაც სულისშემხუთავი სახაზინო სული იყო გამეფებული და სადაც მედი-

ლეგეების როლს გონებაჩლუნგი მასწავლებლები ასრულებ-დნენ. — პირველად ჩემთვის თავისუფალი ადგილიც არ აღ-მოჩნდა სკოლის მერხზე, ბუხარში ვიჯექი და იქიდან სასაცი-ლოდ გამოვიყურებოდი, უამბობდა ხშირად ვაჟა თავის ძმებს. ქართული ენა განდევნილი იყო პროგრამიდან. მთელი სას-კოლო სიბრძნე ამოიწურებოდა მისტიკური ბერძნულ-ლათი-ნური ფრაზების და რუსული ბილინების გაზეპირებით. გო-ნებაგახსნილი და ცნობისმოყვარე ვაჟა დაეწაფა წიგნების კი-თხვას, მაგრამ რადგან წიგნები ადვილი საშოვნელი არ იყო. უსისტემოდ კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუ-ვარდებოდა, განსაკუთრებით ასტრონომიული შინაარსის წი-გნებს, რომლისაც, რასაკვირველია, ბევრი არაფერი გაეგებო-და.

თუ თელავის სასულიერო სასწავლებელმა ვაჟას გონება-სა და ფანტაზიას ჯანსაღი საკვები ვერ მიაწოდა, სამაგიეროდ მან აქ განაგრძო ის სპარტანული თვითაღზრდა, რომელიც თავის სამშობლო სოფელში დაიწყო. მან გაითქვა კარგი მო-ჭიდავის და მობურთავის სახელი, კარგად შეისწავლა ქართუ-ლი სპორტი-კრივი, რომელიც იმ დროს თითქმის ყოველ შა-ბათ-კვირას იმართებოდა თელავსა და აღმოსავლეთ საქართვე-ლოს სხვა ქალაქებში და ყველასათვის ფართო ასპარეზს წა-რმოადგენდა ძალღონისა და სიმარდის გამოსაჩენად.

თელავის პერიოდს ეკუთვნის ვაჟას პირველი სიყვარული. „ათი წლისა უკვე შეყვარებული გახლდით, მაგრამ რამდენა-დაც ძლიერი იყო ეს ჩემი სიყვარული, იმდენად გაუბედავი და მალული, უსიტყვო, ისე რომ, ვგონებ, ვინც მიყვარდა, იმანაც არ იცოდა. მე კი თუ მუდამ დღე თვალით არ მენახა, მოვკვდებოდი. ამიტომ, როცა დროს ვიხელთებდი, იქ უნდა გავქცეულიყავი, საცა ჩემი სატრფო მეგულებოდა. ჩემი სი-ყვარულის მეევ მრცხვენოდა, ეს სიყვარული დანაშაულად მიმაჩნდა და სატრფოს როგორ განვუცხადებდი“.

ასეთივე გაუბედავი იყო ვაჟას მეორე სიყვარულიც, რო-მელიც მან უკვე ტფილისში განიცადა, როცა ის ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის მომწიფებული ჭაბუკი საოსტატო ინსტიტუ-ტთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში სწავლობდა. „ეს სიყვარულიც პირველს ჰგავდა: შორით კვდომა, შორით დაგ-

ვა იყო ჩემი ნუგეში. ვიდრე არ დავევაჟკაცდი და საყვარელი ქალის ცოლად შერთვა არ განვიზრახე, ვერც სიყვარულის გამოცხადება გავბედე".

თუ თელავსა და ტფილისში ყოფნიდან ვაჟამ ბევრი ვერაფერი გამოიტანა გარდა გაუგებარი ბერძნულ-ლათინური ფრაზეოლოგიისა, კრივსა და ჭიდაობაში დახელოვნებისა, ბუნდოვანი ასტრონომიული ცნებებისა და „ვეფხის ტყაოსნის" იდეებით ჩაგონებული პლატონური სიყვარულის მოგონებისა, სამაგიეროდ გორის საოსტატო სემინარიამ, სადაც მან სამი წელი დაჰყო, სახელდობრ, 1879 წლიდან 1882 წლამდე, დიდი გავლენა იქონია მის შემდგომ სულიერ ევოლუციაზე.

გორის საოსტატო სემინარია იმ დროს საუცხოოდ დაყენებული სასწავლებელი იყო, მას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი რუსი და ქართველი პედაგოგები. ამას გარდა გორი წარმოადგენდა რადიკალურად და რევოლუციურად მოაზროვნე ინტელიგენციის ცენტრს, აქ არსებობდა საიდუმლო წრე, რომელიც დაკავშირებული იყო თბილისის და რუსეთის ნაროდნიკულ წრეებთან. გორის რევოლუციური ინტელიგენციის მეთაური იყო ცნობილი მიხეილ ყიფიანი, რომელიც, სანამ მთავრობა ჩრდილოეთში გადაასახლებდა, ქართულ ენას ასწავლიდა გორის საოსტატო სემინარიაში. ამას გარდა სამოცდაათიანი წლების დასასრულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში გორში დროგამოშვებით ან ხანგრძლივად ცხოვრობდნენ მათე კერესელიძე, ანტონ ფურცელაძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ნიკო ლომოური, შიო დავითაშვილი, ნიკო ხიზანიშვილი, სვიმონ სალარიძე და სხვ., რომელნიც მეტად თუ ნაკლებად რუსეთის ხალხოსნური ან ევროპის სოციალისტური იდეების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აი, ამ ინტელიგენციის იდეური ზემოქმედების წრეში მოხვდა ვაჟა-ფშაველაც ზოგიერთ თავის სკოლის ამხანაგთან ერთად. სოფრომ მგალობლიშვილის და სვ. სალარიძის მოწმობით, ის ამ დროს გულმოდგინეთ კითხულობს არა მარტო არალეგალურ ლიტერატურას, არა მარტო ლავროვის „ისტორიულ წერილებს" და ჟურნალ „ვპერიოდს", არამედ ძველი და ახალი ფილოსოფოსების ნაწერებსაც და კლასიკოს პოეტებსაც: ჰომეროსს, დანტეს, შექსპირს, მილტონს, გოეტეს; ამასთანავე რე-

ფერატებს წერს საქართველოს ისტორიულ და ჯერ საკილაში კითხულობს, შემდეგ ლერმონტოვში.

შიო დავითაშვილის მემუარების თანახმად ვაჟას ამ დროს საპასუხისმგებლო კონსპირაციულ დავალებას აკისრებენ, როგორც ყველაზე საიმედო ახალგაზრდას. სე. სალარიძე ვეარწმუნებს, ვაჟა მონაწილეობას იღებდა საიდუმლო კრებაზე, რომელიც 1882 წელს გაიმართა უფლისციხის კლდოვან დარბაზში ფეოდალური საკუთრების კონფისკაციის და პატარა ერების საკითხის გადასაჭრელადო; მას არ სწამდა პრაქტიკიზმი, „პატარა საქმეები", მისი ლოზუნგი იყო „ან ყველაფერი ან არაფერი", მისი ფეიერბახისეული ჰუმანიზმი კოსმიურ საზღვრებამდე აღწევდაო. უფლისციხის დარბაზში მან ფაფრაყრილი ლომივით შეარყია თავისი ფალავნური ბეკები და გაშმაგებით წამოიძახა: ან თავისუფლება ან სიკვდილიო.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ გორის პერიოდში ვაჟა საერთოდ უფრო დიდი ეგოცენტრისტის შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ხალხში სიარულით გატაცებული ნაროდნიკისა. — აი ადამიანი რომელიც დადის როგორც მარტორქა, — ამბობენ მის შესახებ მისი ამხანაგები. — მე ვტრიალებ ჩემი ღერძის ირგვლივ, — უპასუხებს ის თავის ამხანაგებს, როცა ისინი უსაყვედურებენ, რად არ დადიხარ კრებებზეო. ის დროს ანაწილებს სხეულის კულტურასა და გონებრივ შრომას შორის. მთელი თავისი პიროვნებით და ყოფაქცევით ის უფრო ძველ სტოიკოსს ჰგავს, რომელიც კლასიკური კულტურის ნგრევიდან ალალბედზე გადარჩენილა სადღაც საქართველოს მიუვალ მთებში. როგორც ეტყობა გორში ყოფნის დროს ყალიბდება საბოლოოდ ვაჟას მსოფლმხედველობა, რომელიც ძველი ბერძნების ჰილოზოიზმს ჰგავს, ვინაიდან მთელი მატერიალური სამყაროს გასულიერებას აღიარებს.

* * *

გორის საოსტატო სემინარიის დასრულებით მთავრდება ვაჟას „შეგირდობის წლები" და იწყება მისი „ხეტიალის წლები". იგი ერთ წელიწადს მასწავლებლად არის ერწოში, სოფ ამტანელეთში, შემდეგ ორ წელიწადს თავის უფროს ძმასთან, გორ-

გისთან ერთად, როგორც თავისუფალი მსმენელი, ლექციებს ისმენს პეტერბურგის უნივერსიტეტში; ხელმოკლეობის გამო საკმაოდ ბრუნდება და შინამასწავლებლად მსახურობს ოთარშენში დიდი ფეოდალის კოტე ამილახვრის ოჯახში: ბოლოს ორ წელიწადს დიდ თონეთში ატარებს ისევ სოფლის მასწავლებლად. ამ ხეტიალის წლებში აშკარავდება ვაჟას ხასიათის ძირითადი თვისებები, მისი უპრაქტიკობა და შეგუების ნიჭის უქონლობა, მისი სიფიცხე და კეთილშობილი სიამაყე, მის შიერ ქედის მოუხრელობა ამა ქვეყნის ძლიერთა წინაშე.

ამტნისხევიდან ვაჟა ადგილობრივი მღვდლის დაბეზღების გამო დაითხოვეს, მოწაფეებს მთავრობის საწინააღმდეგო აზრებს უქადაგებსო. იმ დაბეზღებას მოჰყვა მოულოდნელი რევიზია, მაგრამ ვაჟამ რევიზორი სკოლაში არ შეუშვა. ამილახვრის ოჯახში მან სილა გააწნა თავის ჯიუტ და გაუგონარ მოწაფეს, შემდეგში ცნობილ გულზვიად და ქედმაღალ ფეოდალს გიორგის, რომელსაც შემდეგ არასოდეს აღარ შერიგებია; ადგილის დაკარგვა იმით აინაზღაურა, რომ თან წაიყვანა და ცოლად შეირთო ამილახვრიანთ უკანონო ქალი, რომელიც ოთარშენის ცხოვრებაში უფრო პირისფარეშის როლს ასრულებდა ვიდრე ქალბატონისას. რომანტიკული ხასიათი ჰქონდა ვაჟას მაურიონის მოგზაურობას მცხეთიდან ჩარგლამდე. დამსწრეები მოგვითხრობენ, ვაჟა ცხენზე ისე ამაყად იჯდა, თითქო მთელი ქვეყნის მფლობელიაო. გზად მაღაროსკარის დუქანში მოქეიფე ფშავლები შეხვდნენ, ერთმა მათგანმა ვაჟას შაირი უთხრა, რომელშიც ცოტა არ იყოს უდიერად მოიხსენია პატარძალი, ვაჟამ ხელი რევოლვერს იტაცა, მოშაირემ ხანჯალი დაახვედრა, მაშინ ვაჟამ რევოლვერის ხმარება აღარ იკადრა, ხანჯალი იშიშვლა და ფშაველს ყური ჩამოათალა.

ასეთივე გულფიცხობას და ქედმაღლობას იჩენს ვაჟა დიდ თონეთში მასწავლებლობის დროს, სადაც იგი მთავრობის მიერ დიდად პატივცემულ და ჯვარ-მენდლებით დაჯილდოებულ მამასახლისს სცემს. ასეთივე გულფიცხობას და ქედმაღლობას იჩენს იგი სულ ბოლო დროს, როცა უკვე ხანში შესული და დაწვრილშვილებული გამოცდას აბარებს მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე, მაგრამ როდესაც თიანეთში, სადაც მისთვის უფრო მოსახერხებელი იყო სამსახური, მთავრობა მის

მაგივრად ერთს თავადიშვილს ნიშნავს, ის სრულიად უარს ამბობს რაიმე ოფიციალურ თანამდებობაზე.

ვაჟას ბარიდან გაქცევას და საბოლოოდ ჩარგალში დასახლებას, რაიცა 1888 წელს მოხდა, რთული სოციალური და ფსიქოლოგიური მიზეზები აქვს. თავისთავად ადვილი გასაგებია, რომ თავის გენიის შემცნობ პოეტს, აღზრდილს რესპუბლიკური ტრადიციებით გაჟღენთილი მთის ატმოსფეროში, სადაც ყოველთვის სუსტად აღწევდა რუსეთის ბიუროკრატიისა და კანონმდებლობის გავლენა, და სადაც თითქო ჟან-ჟაკ რუსოს იდეალი იყო განხორციელებული, გაუჭირდა შეგუებოდა ბარს და მის საზოგადოებას, სადაც ალექსანდრე III ტახტზე ასვლის შემდეგ სულისშემხუთავი რეაქცია გამეფდა. ერთ თავის პატარა მოთხრობაში, რომელიც შეუდარებელი ჰუმორითაა დაწერილი, ვაჟა ამჟღავნებს, როგორ ეზიზღებოდა მას ყველა ეს ბაგრატ ზახარიჩები, რომელნიც თბილი ადგილის დაკარგვის შიშმა სიცილსაც კი გადაჩვია და რომელთა სიკვდილის შემდეგ მის მეგობართ და ჭირისუფალთ არაფერი რჩებათ, გარდა „ღრამატიკის“ ღრმა ცოდნით და მშვენიერი „ბოჩერკით“ დაწერილი შემჭვარტლული ქაღალდებისა.

როგორ შეხვდა ვაჟას მთაში გაქცევას მაშინდელი მოწინავე ქართველი საზოგადოება? ვაჟამ თარგმნა და წერა ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაიწყო. მისი პირველი მოთხრობები და ნარკვევები „დროებაში“ დაიბეჭდა 1877-78 წ: მისი პირველი ლექსები გამოქვეყნდა ჟურნალ „იმედში“ 1881 წელს. ამ დროს ის უკვე ცნობილი მწერალია და ლირიკულ ლექსებს გარდა გამოქვეყნებული აქვს ისეთი შედევრები, როგორიცაა „გიგლია“, „მონადირე“, „გოგოთური და აფშინა“, „ალუდა ქეთელაური“, „წვლის ნუკრის ნაამბობი“, „მოგონება“ და სხვ. ყოველი მისი ახალი თხზულება აღტაცებას იწვევს ტფილისის გემოგახსნილი და მოწინავე ლიტერატორების ვიწრო წრეში; მაგრამ ამავე დროს გაზეთ „ივერიას“, სადაც მისი ნაწერები იბეჭდება უმთავრესად, განსაკუთრებით დასავლეთი საქართველოდან მოსდის ერთპიროვნული ან კოლექტიური მუქარის წერილები: შესწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას ნაწერების ბეჭდვა, თორემ გაზეთის გამოწერაზე უარს ვიტყვითო. ეს არალოიალური და მტრული განწყობილება ვაჟასა-

დმი შემდეგაც კარგახანს არ შეცვლილა: მან ჯერ თავი იჩინა თვით „ივერიის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელის მეველის ყოვლად უდიერ გალაშქრებაში ვაჟას წინააღმდეგ 1894 წელს, ხოლო უკანასკნელ დროს აკაკის ცნობილ ლექსში, რომელშიც ვაჟას ენა იყო დაწუნებული და რომელმაც ვაჟას მხრივ რაინდული და თავდაჭერილი პასუხი გამოიწვია. რაც შეეხება ვაჟას ბარიდან მთაში გადასახლების ხანას, იმდროინდელი ოფიციალური და არაოფიციალური საზოგადოების დამოკიდებულება პოეტისადმი კარგად გამოჰხატა თვით გაზეთმა „ივერიამ“, რომელმაც თავის 1889 წლის პირველ ნომერში საახალწლო მილოცვა მიუძღვნა მას:

მთაში არ გედგომილება,
ჰავაც არ გწყალობს ბარისა,
ყოველგან სამსახურშია
ზღრუბლი გიჩვენეს კარისა,
დაგითმეს გასართობადა
სხივი მზისა და მთვარისა,
ჰაერი, წყალი და ზეცა
ყველა შენს ნებას არისა,

მაგრამ ვაჟას განდეგილობა არ აიხსნება მარტოოდენ სოციალური და პოლიტიკური მიზეზებით: იგი გამოწვეულია აგრეთვე იმ ღრმა სულიერი კრიზისით, იმ შინაგანი კონფლიქტით, რომელსაც ბოლოს თავი უნდა ეჩინა ლაღი ბუნების წიაღში აღზრდილი ადამიანის საღ ინსტინქტებსა და მის მიერ რუსულ სკოლაში შეძენილ მწიგნობრულ კულტურას შორის. ამ კრიზისის შედეგია, რომ ვაჟა-ფშაველამ უარჰყო, რაც ავადმყოფური და უკუღმართი იყო რევოლუციის წინადროინდელ საქართველოში: მთლიანი ძალოვანი კულტურული სტილის უქონლობა („ბაბილონს ენათ არევა ჩვენი დროება მგონია“), წვრილმანი ბურჟუაზიული სული („გამრავლდა ჩვენს ქვეყანაში მიკიტანი და ჭონია“), რაინდული იდეალების გაცვლა კაბინეტისა და კანცელარიის იდეალებზე („სისხლის დაღვრასთან სწორად გვაჩნს ქაღალდს ნათითხნი მელანი“). ასევე უარყოფს ვაჟა ბურჟუაზიული ევროპის დეკადენტურ კულტურასაც, ათვალისწუნებით ლაპარაკობს მის უკანასკნელ სიტყვასა — ნიცშეს ზეკაცობაზე და ევროპიდან ახლად დაბრუნებულ სანდ-

რო შანშიაშვილს ეუბნება: „ხერხემალი გამოფიტული ევროპელი ფილოსოფოსია შენი ნიცშე. ჩვეულებრივი ხალხარქეტია; აზვიადებს ყველაფერს, რაც თვითონ არ ძალეოვება“ (ბალ. მღვიმელის მოგონებანი).

უკანასკნელი ოცდაშვიდი წელი ვაჟამ ჩარგალში გაატარა, ამ ხნის განმავლობაში მის გახუყრელ მეგობრებს მისი საყდომი ცხენი, მისი შავქარქაშიანი ხანჯალი და გრძელბეწვიანი გაცვეთილი ნაბადი წარმოადგენდნენ. ცხოვრობდა სოფელში, რომლის ორმოციოდე კომლი რამდენიმე კილომეტრის მანძილზეა გაფანტული, ისე რომ ხანგრძლივი და სუსხიანი ზამთრის დღეებში მეზობელთან მისვლაც კი ძნელია. მისი ოროთახიანი ქვის სახლი მოკლებული იყო არა თუ რაიმე ელემენტარულ კომფორტს. არამედ ხის იატაკს და ფართოჩარჩოიან ფანჯრებსაც; ის ბაღჩაში, ყანაში და სათიბში მუშაობდა, როგორც უბრალო გლეხიკაცი, ხშირად ზდებოდა, რომ მკისა ან ბალვის დროს ორი-სამი კილომეტრის მანძილიდან შინ გაქცეოდა, რათა ქაღალდზე გადაეტანა სახეები და იდეები, რომელნიც მოულოდნელად ეწვეოდნენ. მაგრამ ჩვეულებრივ ზამთრის გრძელ ღამეებში სწერდა კვარის ან ბუსრის ცეცხლის შუქზე, იმიტომ რომ ნავთის მარაგი ყოველთვის არ ჰყოფნიდა. თავისი პოეტური გენიისა და თავისი ადამიანური ღირსების შეგნება მას ხელს არ უშლიდა ძალდაუტანებლად უბრალო და თავმდაბალი ყოფილიყო ფშაველების საზოგადოებაში: მათ დღეობებში ის ერთი დაწაფებით ორ-სამ ლიტრ საკარგყმო ლუდს სვამდა ფშაველი გმირის ღაჭაურას მუზარადიდან, ხოლო მათ მიცვალებულთა სულის შესანდობრად გამართულ თოფის სროლაში ხშირად ყაბახს ღებულობდა, როგორც საუკეთესო მსროლელი. როგორც ნაღდ ფშაველს შეეფერება მას წაწლები ჰყავდა ახალგაზრდობაში; მის უძლიერეს ვნებას, რომელიც სიკვდილამდე არ განელებია, ნადირობა შეადგენდა. თავდაჭერილი და ზომიერი იყო სმაჭამაში, მაგრამ თავდავიწყებით და უზომოდ იცოდა სიყვარულიც და სიძულვილიც. მის ვნებიან სიძულვილს მისი ცხოვრების ფაქტები მოწმობენ, მისი დაუსრულებელი შეტაკებანი მეფის ხელისუფლების უდიერ წარმომადგენლებთან და ქართული პრესის უმადურ მესვეურებთან; მისი ვნებიანი სიყვარული ჩანს მის ლექსებ-

ში, რომლებიც მეგობრებისადმი, განსაკუთრებით, ალექსანდრე ყაზბეგისადმია მიძღვნილი და მისი ლირიკის შედევრში „სიყვარული“, რომელიც ს. რაზიკაშვილის მოწმობით პირველი ცოლის სიკვდილის წინადღეებშია დაწერილი და სამუდამო განშორების წინაგრძნობითაა გამსჭვალული. რაინდულად ექცეოდა მეგობრებსა და ქალებს, თვით მაშინაც კი, როცა ეს უკანასკნელნი სიყვარულით ვაჭრობდნენ. მაგრამ ადამიანთა საზოგადოებაზე მეტად მაინც ბუნება უყვარდა, საიდუმლოებით მოცული ტყე, პირიმზით და ალპური ყვავილებით მოქარგული ველი, საღამოს გრილით დაჩრდილული ხეები და აყვირებული წყლები, ხოლო განსაკუთრებით რაღაცის მომლოდინე მაღალი მთები, რომელთაც გაოცებული ეკითხებოდა, რად არ მღერით მთებოვო. ვაჟკაცობის ასაკში მოკლებული არ იყო ძლიერ საზოგადოებრივ ინსტინქტს, მაგრამ სრულებით უმწეო იყო თავისი პირადი და ოჯახური კეთილდღეობის მოწყობაში. მისი თაოსნობისა და ენერგიის წყალობით დასახლდა ფშაველების ორი სოფელი შირაქში, რომელნიც დღეს აყვავებულ მდგომარეობაში არიან, მაგრამ არც ამ ახალშენებს, არც თვით მას არ გახსენებიათ მისთვის ერთი ნაჭერი მიწა მიეზომათ.

ბარში უფრო ხშირად ზამთრის პირას ჩამოდიოდა, რათა რედაქციისათვის ახალი ხელნაწერები გადაეცა და ის მცირე ჰონორარი მიეღო, ათი-თხუთმეტი მანეთიდან 20-25 მანეთამდე, რაიცა მისი ღარიბული არსებობის ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა. უყვარდა დროსტარება და დარბაისლური საუბარი თავის უახლოეს მეგობრებსა — შიო მღვიმელსა, ივანე ბუქურაულსა, ილიკო აღლაძესა, იროდიონ ევდოშვილსა, ნიკო კურდღელაშვილსა და სხვებთან; თბილისის ზოგიერთ ბოჰემურ სარდაფს, მაგ. ქოსებისას, მან სამუდამოდ გაუთქვა სახელი. უკანასკნელ წლებში დასძლია ქართველი საზოგადოების გულგრილობა და გაუგებრობა და დიდი პოეტის სახელი მოიხვეჭა, თუმცა უკიდურეს სიღარიბეს თავი მაინც ვერ დააღწია. 1913 წ. ქუთაისში საღამო გაუმართეს, ხოლო 1915 წლის გაზაფხულზე თბილისში იუბილე გადაუხადეს. მაგრამ ამ დროს გაცივების ნიადაგზე ის უკვე მომაკვდინებელი სნეულით იყო დაავადებული და ამავე წლის 27 ივლისს გარდა-

იცვალა ახლანდელი უნივერსიტეტის შენობაში, სადაც მაშინ სამხედრო ლაზარეთი იყო მოწყობილი. მოკვდა ისევე სტოიკურად, როგორც თავისი სიცოცხლის 53 წელი გაატარა, მხოლოდ სიკვდილის წინ მოითხოვა, რომ მის ოთახში იატაკზე ახლადმოკრილი ხის ტოტები, ბალახი და ყვავილები დაეყარათ, რათა ზედ დაწოლილიყო და ერთხელ კიდევ ეყნოსა ახლად მოცელილი თივის სურნელება და საპძლის ბურდოში გატარებული ბავშვობის ღამეები მოეგონებია.

* * *

ვაჟა-ფშაველა როგორღაც განმარტოებული დგას ქართული ლიტერატურის ისტორიაში. უცილობელია, რომ მასზე ერთგვარი გავლენა მოახდინეს ილია ჭავჭავაძემ თავისი „მგზავრის წერილებით“ და რაფაელ ერისთავმა თავისი „სამშობლო ხევსურისათი“. შემდეგ ვაჟას ლირიკაში, განსაკუთრებით მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, გაისმის ღრმა ტრაგიკული მოტივები, რომელიც დ. გურამიშვილის ლირიკას მოგვაგონებს. ბოლოს ის ალექსანდრე ყაზბეგს ენათესავება თავისი სენსუალიზმით და თავისი ტენდენციებით გმირობისა და რომანტიკისადმი. მაგრამ მეორე მხრივ ის ძალიან დაშორებულია ი. ჭავჭავაძის ოდნავ ბმრალ ინტელექტუალიზმს, პატრიარქალური და იდილიური რაფაელ ერისთავის გულკეთილობას, დ. გურამიშვილის მძაფრ ქრისტიანულ შეგნებას, ა. ყაზბეგის ოდნავ დეკადენტურ გრძნობიაობას.

ვაჟას გრძნობიაობაში არაფერია ავადმყოფური ან დეკადენტური, მის რომანტიზმში არაფერია ნაძიები ან ძალდატანებული. მისი გმირები მტრებს ეჯრძვიან, სისხლიდან იცლებიან და იხოცებიან ისევე უბრალოდ, როგორც ამას მისი დაპრილი მგლები, ვეფხვები ან ფრთამოტეხილი არწივები ‘ბვრებიან:

ხევის პირზედა, ლოდებზედ
გიგლია კვდება ხარია,
არ უნდა გულს ხელ დაკრეფა,
კლდეს მიუბჯინავ მხარია.

კვდება გულს უწადინოდა,
მტრისა მიჰყვება ჯავრია.

ასევე გმირულია მისი პეიზაჟიც, ის წარმოადგენს არა ეკზოტიკურ სათეატრო დეკორაციას, არამედ მღელვარე შინაგანი ცხოვრებით გაჟღენთილ არსებას, ორგანულად დაკავშირებულს მისი გმირების ცხოვრებასთან:

როცა გიგლა კვდებოდა,
მთებ სატირელზე სხდებოდა,
ერთი ბებერი არწივი
ზეით ჰიუხში წყრებოდა...
მაღლით მომფრენი მთის წყარო
სიბრალულისგან შრებოდა...
სამყარომ შავი ჩაიცვა,
მყვირალი რაღას შვრებოდა.

მსოფლიო ლიტერატურაში ძნელია მეორე პოეტის აღმოჩენა, რომელსაც ვაჟა-ფშაველაზე უფრო გამახვილებული გრძნობა ჰქონდეს ბუნების საიდუმლოების ასახსნელად და მისი მშვენიერების ასათვისებლად. ის დაჯილდოვებულია არაჩვეულებრივი მდიდარი ქვეშეცნობილი ცხოვრებით, მისი სული თითქოს სრულიად ბუნებრივ დიალოგს მართავს არა მარტო ცხოველებსა და მცენარეებსა, არამედ კლდეებსა და ქვის ლოდებთანაც. ამიტომ მისი პოეტური პეიზაჟები რაღაც სასწაულის შთაბეჭდილებას ახდენენ თანამედროვე ადამიანზე, განსაკუთრებით როცა ეს უკანასკნელი მოწყვეტილია ბუნებას და თავისი ცხოვრების უდიდეს ნაწილს ასფალტიანი ქუჩებისა და აგურის შენობების გარემოცვაში ატარებს.

ამ თავისებურ გრძნობიაერობას თავისებური მსოფლგაგება უდევს საფუძვლად: ვაჟა-ფშაველა სამყაროს უცქერის როგორც ნამდვილი წარმართი, მის შეგნებაში ქრისტიანულ სპირიტუალიზმს ჯერ კიდევ ორმო არ გაუთხრია ბუნებასა და ადამიანს შორის, მისთვის მთელი ბუნება ერთნაირად სულჩადგმულია, ერთი და იმავე ღვთაებრივი გონებითაა გამსჭვალული: ამიტომ ის ვერავითარ არსებითს განსხვავებას ვერ ჰხედავს არა თუ ადამიანსა და ცხოველსა, არამედ ადამიანსა და ე. წ. არაორგანულ სამყაროს შორისაც. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია თავის თავის შედარება ნაიალაღარ ხართან

ან მთის არწივთან; ერთს თავის სიმღერაში ის ნანობს, რომ ადამიანად გაჩნდა:

> რამ შემქმნა ადამიანად,
> რატომ არ მოვედ წვიმაღა,
> რომ ვყოფილიყავ მუდამ
> ლრუბელთ გულმკერდის მძივადა;
> მიწაზე გადმოსაგდებად
> ცვარად ან თოვლად ცივადა, —
> არ გამწირავდა პატრონი
> ასე ოხრად და ტივლადა...
> თოვლად ქცეულსა გელშია
> ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
> რომ ისევ ჩემი სიკვდილი
> სიცოცხლედ გადიქცეოდა
> და განახლებულ ბუნებას
> ყელყურზე მოეხვეოდა.

ამ ლექსში, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი და თითქო სიკვდილის წინათგრძნობითაა ნაკარნახევი, ნათლად ვხედავთ, რას სთვლიდა ვაჟა ადამიანის შეჩვეხებად, მისი ტრაგიზმის წყაროდ: ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ ხდება მისი ინდივიდუალიზაცია, მისი გამოთიშვა უპიროვნო ბუნებისაგან; თუ ეს არ ყოფილიყო, მას არ ეცოდინებოდა რა არის სიკვდილი, ვინაიდან ბუნებაში არაფერი არ კვდება, იქ მხოლოდ მეტამორფოზი ხდება.

გავიხსენოთ ვაჟას პოემების მთავარი გმირები. თუ მათ ან წარმართების სახელები აქვთ (მაგ. თორლეაი, ზეზვაი, ზვიადაური, ლუხუმი, ალუდა, გოგოთური, მინდია, სულა და სხვ.), ან ცხოველების (მაგ. დათვია, მგელიკა, ძაღლიკა, ფოცხვერა, ჯიხვაი, კურდღელა და სხვ.) ეს იმიტომ, რომ მათი შემქმნელი პოეტის მსგავსად ახლო სდგანან წარმართულად გაგებულ ბუნებასთან. თავიანთ მხრივ ვაჟას ლომები, არწივები, შვლის ნუკრები, ხმელი წიფლები, იები, მთის წყაროები, თვით მთები თითქო ადამიანურად გრძნობენ და აზროვნებენ, მხოლოდ მათი სულიერი ცხოვრება რაღაც სიზმრისებურ ბურუსშია გახვეული და ინდივიდუალური შეგნების სინათლით არაა განათებული. გავიხსენოთ რა წარმართული სენსუალიზმით აქვს გადმოცემული ვაჟას სცენები ნადი-

რობიდან, როცა ადამიანი განსაკუთრებით უშუალოდ გრძნობს თავის სიახლოვეს ბუნებასთან. თორღვაი ხარირემზე ნადირობს ყვირილობის დროს. ნადირის მოსატყუებლად იგი ბუჩქნარში ხმელ ტოტს სტეხს და სამჯერ დაიბუხუნებს ფურირემიეით:

ფური ვეგონე, მოარდა,
უნდოდა გული ეჯერა,
კინაღამ გამანადგურა,
კინაღამ პირდაპირ შეძგერა.
ვაჟკაცის ილეთი ჰქონდა.
სქელი კისერი ეღერა. („მონადირე").

თვარელი მთელი დღე უშედეგოდ ნადირობს. საღამო ჟამს კლდის პირზე დაჭრილ ვეფხვს წააწყდება მოულოდნელად:

— რას უცდი, მონადირეო,
დაჭკარ, ხომ ვეფხვიც მხეცია!
— არ დაეკრავ, ძმაო, რომ მომკლა,
როდი გახლავარ ბეცია!
ეგეც ჩემსავით ნადირობს,
კალთები აუკეცია,
ნადირობაში მაგასაც
მთაბარი დაუკეცია.

. . . . . .

თვარელი ჩირქს ამოუფხეკს და ჭრილობას შეუხვევს, ვეფხვს, მადლობის ნიშნად ეს უკანასკნელი მარეკის როლს ასრულებს და მას ხარირემსა და ხარჯიხვს მოაკვლეეინებს („დაჭრილი ვეფხვი").

ვაჟას გმირების უბედურება იწყება იმ წუთიდან, როცა ისინი ცდილობენ გადალახონ ბუნებრივი ან ათასწლოვანი ტრადიციებით განმტკიცებული საზოგადოებრივი საზღვრები. ტრაგიკულია მინდიას ბედი „გველის მჭამელში" იმიტომ, რომ მან გადალახა ადამიანისთვის მიჩენილი საზღვრები და ქაჯური ნიჟი შეითვისა; ტრაგიკულია ალუდა ქეთელაურის ბედი: მან თემის ჩვეულება დაარღვია და მარჯვენა ხელი არ მოსჭრა მოკლულ მტერს; ბოლოს ტრაგიკულია ჯოყოლას და აღაზას ბედი „სტუმარ-მასპინძლიდან". მათ უღალატეს თავიანთ თემს და ქისტების მოსისხლე მტერს მასპინძლობა და ჭირისუფლობა გაუწიეს. თემი შეუბრალებლად ებრძვის თა-

ვის განმდგარ წევრს, ძეველს ან ჰკლავს მას. თემის ნებისყოფა უმაღლესი კანონია, მის დასაცავად ხშირად მიცვალებული წინაპრებიც კი გამოდიან. მაგრამ თუმცა ვაჟას ესმის რა ტრაგიკულია თემიდან გამოთიშული და გამდგარი პიროვნების ბედი, მისი სიმპატია ბოლოს უკანასკნელის მხარეზეა. „ალუდა ქეთელაურში", „ხეტუმარ-მამაპინძელში" ვაჟა თავის ტრაგიკულ გმირებთან ერთად ლანძღავს ვიწრო ტომობრივ და ნაციონალურ განკერძოების გრძნობას და ზოგად ადამიანურ თვალსაზრისამდე მაღლდება. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვაჟა უარყოფდეს სულ პატრიოტიზმს, პირიქით, ვაჟას მთელი შემოქმედება სამშობლოს ღრმა სიყვარულითაა გაჟღენთილი, და ძნელია უფრო პატრიოტული ნაწარმოების წარმოდგენა, ვიდრე მაგ. ბისი „ხახტრიონი" ან „ხმლის ჩივილია", მხოლოდ ეს პატრიოტიზმი ყველაზე უკეთ შეიძლება გადმოიცეს პოეტის სიტყვებით:

სამშობლოს არვის წავართმევთ,
სურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

მაგრამ ვაჟა კრიტიკულად ეპყრობა არა მარტო ხალხურ მსოფლმხედველობას და ზნეჩვეულებებს, არამედ იმ მხატვრულ განძსაც, რომელსაც იგი ხალხური ლეგენდიდან და მითოსის სალაროდან სესხულობს. არცერთი ქართველი პოეტი ისე უშუალოდ არ დასწაფებია ნოყიერი ქართული ფოლკლორის პირველ წყაროებს, როგორც ვაჟა დაეწაფა. ამ გარემოებამ მისი ისედაც მდიდარი ლექსიკონი კიდევ უფრო გამდიდრა კონკრეტული, ძარღვიანი სიტყვებით და გამოთქმებით, მის სახეებს ბიბლიური უბრალოება და მონუმენტალობა მისცა. მაგრამ როგორც შემცდარია ის შეხედულება, თითქოს ვაჟა რაღაც გაუგებარ პროვინციულ ჟარგონზე სწერდეს, ისე შემცდარია ის შეხედულებაც, თითქოს მას თავის პოემებში უკრიტიკოდ, პასიურად გადაჰქონდეს ხალხური პოეზიის სიუჟეტი, ტიპები და მხატვრული სახეები; ეს მან ამომწურავად დაამტკიცა თავის პასუხში იპ. ვართაგავასადმი. ვაჟას ამაოდ არ გაუვლია კლასიკური ლიტერატურის სკოლა: მას აქვს კომპოზიციის დიდი გრძნობა, მისი შედარებები მოულოდნელი და

ორიგინალურია, მისი სტილი ენერგიული და ლაპიდარული. ამას ზედ ერთვის არაჩვეულებრივი ნიჭი მხატვრული სახეების შექმნაში, ამ მხრივ მას ბევრი პოეტი ვერ შეედრება, ვერც ქართულ, ვერც მსოფლიო ლიტერატურაში.

ვაჟას შემოქმედების ფორმალური ესთეტიკური ანალიზი, კერძოდ, მისი მხატვრული სახეების შესწავლა ცალკე გამოკვლევას მოითხოვს. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანთ იმის საილუსტრაციოდ თუ რამდენად ინტენსიურია პოეტის ნათელმხედველობა და გრძნობიარობა და რა ძლიერია მისი ნიჭი შინაგანი ხილვის პლასტიკურად გადმოცემისა.

ავიღოთ ერთი მომენტი, რომელსაც უდიდესი როლი უჭირავს ვაჟას შემოქმედებაში, სახელდობრ, სქესობრივი სიყვარული. ახალგაზრდა ვაჟას აზროვნებაში ქალვაჟის სიყვარული მძაფრი სენსუალიზმის ატმოსფეროშია გახვეული; მისი მწყემსები ერთმანეთს ხვდებიან არა როგორც სისხლნაკლები ეროტომანები, არამედ როგორც თხისჩლიქიანი სატირები:

> თუ მომკლავ, ისევ შენ მომკალ,
> ქალავ, თავდახრით მცინარო,
> დღეს ჩემის პირის მკოცნელო,
> ხვალ სხვისთვის ძუძუს მჩინარო... („სიმღერა").
> ტყეილად ჰფრთხები, ქალაო,
> კიდევ მოალის ზაფხული,
> მოგანდომებენ ჯალაფნი,
> ჩემთან იქონო სულ-გული...
> მეც იქ დაგხვდები ფოცხვერა,
> გაკრული გორის პირადა,
> მალე გაგიწყვეტ საკინძსა,
> ჩაგეტოლები ძნელადა. („მწყემსის მუქარა").

შემდეგ ვაჟას ასაკში შესვლასთან ერთად სიყვარულის კონცეფცია თანდათან იწმინდება და მაღლდება; სიყვარული მისი გაგებით იქცევა ძალად, რომელიც, ერთმანეთთან აკავშირებს არამარტო ცოცხალ არსებათ, არამედ ცოცხალსა და მიცვალებულსაც:

> ქალს თვალ შალ შავას უთხროდით,
> მალე მაიკრას თმანია,
> შავეთში კელაპტრად მინდან
> რო გავიკელიო გზანია. („მწყემსის ანდერძი").

ვინა სოქვა, ტრფობა ბერდება
და სატრფიალო საგანი,
ყინულის ეკალს დაიხამს
წამწმები ცრემლით ნაბანი?
ცოცხალი პირქვე დამმარხეთ,
დამხურეთ მიწის საბანი,
თუ ჩემს შენდამი სიყვარულს
დაეკლოს ერთი ცვარია...
საფლავშიც შენზე ვიფიქრებ,
შენგნით ვიცოცხლებ მკვდარია. („სიყვარული").

ბოლოს სიყვარული წმინდა იდეალური, ყოვლის დამძლევი ძალა ხდება:

გამოღმით ბე ვარ, გაღმა — შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა,
ფიქრი გვკლავს მოუთმინარე.
მიდა გაკოცო, მაკოცო,
შენს სახეს ვხედავ მღიმარეს,
მაგრამ ვერსაით გამოვედ
ამ სატიალო მდინარეს...
რა უნუგეშო ყოფნაა,
წელთა სელა მხოლოდ მზერაში;
რომ შოკვდე ბევრით სჯობია,
მაინც გარგივარ ვერრაში!..
არა ის მინდა, გხედავდე,
ნუგეშსა ჰპოვებ ცქერაში. („სიმღერა").

ქართველ კლასიკოსებს შორის ბევრი არაა ისეთი მწერალი, რომელიც ჩვენი თანამედროვე თაობის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას შეედრებოდეს. ის მრავალმხრივ წასაბაძ ნიმუშს წარმოადგენს, როგორც ხელოვნების დიდი ოსტატი. მან დაგვანახვა როგორ ნაყოფიერდება ინდივიდუალური შემოქმედება, როცა ის კოლექტიურ შემოქმედებას ეუღლება, მან გაგვიღვიძა გმირობისა და საღი რომანტიკის სული. მართალია, დღეს ჩვენთვის მიუღებელია შურისძიებისა და სისხლის აღების ადათი, რომელსაც ხშირად მისი გმირები იცავენ, მაგრამ ყველასათვის, ვინც გულგრილად არ უცქერის იმ დიდ სოციალურ ბრძოლებს, რომელსაც თანამედროვე თაობები აწარმოებენ, გასაგები უნდა იყოს ვაჟას გმირების სიმამაცე და მო-

უდრეკლობა, რასაც ისინი იჩენენ მაშინაც კი, როცა მათ „სტუმარ-მასპინძლის“ გმირ ზვიადაურივით ყელზე მტრის ხანჯალი აქვთ დაბჯენილი.

1935 წ.

ივანე მაჩაბელი*

ივანე მაჩაბელი ორმოცდაოთხი წლის ვაჟკაცი იყო, როდესაც საიდუმლო პირობებში დაიკარგა 1898 წლის ზაფხულში. ის ამ დროს მძიმედ დაავადებული იყო პლევრიტით და აბასთუმანში მიემგზავრებოდა სამკურნალოდ. დილით თავის საწოლში არ აღმოჩნდა. ყოველმა ძებნამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ასეთი გამოჩენილი მოღვაწის ასე უკვალოდ გაქრობამ დიდი მითქმა-მოთქმა და აღელვება გამოიწვია იმდროინდელ ქართველ საზოგადოებაში. პრესის ერთმა ნაწილმა ამ ამბავში ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების დაავადების სიმპტომი დაინახა. და, მართლაც, ივანე მაჩაბლის დაკარგვა მეცხრამეტე საუკუნის ქართველი საზოგადოებრივი ცხოვრების არანორმალობას მოწმობს ისევე, როგორც ამას მოწმობს ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, სერგეი მესხის, ალ. ყაზბეგის, ილია ჭავჭავაძის, ჭოლა ლომთათიძის და სხვა ქართველი მწერლების და მოღვაწეების ტრაგიკული ბედი. ამ ადამიანების ნაადრევ ან ნაძალადევ დაღუპვაში მთავარი წილი პოლიციურ რეჟიმს უძევს, მაგრამ არც იმდროინდელ ქართველ მაღალ საზოგადოებას შეუძლია განაცხადოს, მე უდანაშაულო ვარ ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის წამებასა და სიკვდილში.

ამ საზოგადოების ნაწილობრივ გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ოთხმოცდაინ და ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც სერგეი მესხი, ალექსანდრე ყაზბეგი, ივანე მაჩაბელი და სხვები მოღვაწეობდნენ, მას აწვა ყინულების მასივი, რომელ-

* სიტყვა წარმოთქმული მწერალთა სასახლეში.

მაც მთელი რუსეთის იმპერია დაჰფარა ალექსანდრე III მეფობის დროს. ამიტომ მით უფრო დასაფასებელია რუს და ქართველ მოღვაწეთა მცირეცხოვანი რახმების გმირობა და თავგანწირულება: მათ არ დაზოგეს თავიანთი ტვინის ოქროს მარაგი და თავიანთი ანთებული სულის ენერგიით ხელი შეეწყვეს უფრო ნათელი და ობილი დღეების მოახლოებას. მე მგონია, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში იშვიათია პერიოდი, როდესაც ესოდენ პატარა რაზმებს ასე თამამად გადაელახოს უბადრუკი ემპირიული სინამდვილე და ასეთი მაღალი იდეალები ეჩვენებინოს როგორც დაბეჩავებული, ჩამორჩენილი ხალხისა, ისე ზნეობრივად მერყეული მაღალი საზოგადოებისათვის.

ივანე მაჩაბელი, ეტყობა, კარგა ხანს ეძებდა თავის ნამდვილ დანიშნულებას. მან ზოგადი საშუალო და უმაღლესი განათლება მიიღო თბილისში და რუსეთში, ხოლო სპეციალური აგრონომიული — ინგლისში და საფრანგეთში. ილია ჭავჭავაძემ ის თავის ჟურნალის „ივერიის" თანარედაქტორად მიიწვია მისი უცხოეთიდან დაბრუნების შემდეგ. როცა სერგეი შეხი მძიმე დაავადების გამო იძულებული გახდა გაზეთ „დროების" რედაქტორობისათვის თავი დაენებებინა, გაზეთის რედაქტორობა ივანე მაჩაბელმა იკისრა. „დროების" დაკეტვის შემდეგ ის კარგა ხანს ქართულ ბანკში მუშაობდა; შემდეგ ქარელის სასოფლო-სამეურნეო სინდიკატს მეთაურობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ის დროგამოშვებით უბრუნდებოდა შექსპირის ტრაგედიების თარგმნას, რომელიც ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ყოფნის დროს დაიწყო. რადგან ის ფართო საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა და ამასთანავე თარგმნის საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, დაახლოებით ოცი წლის მანძილზე მხოლოდ შექსპირის რვა ტრაგედიის გადმოთარგმნა მოასწრო. ამისდა მიუხედავად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მაჩაბლის თარგმანების გამოქვეყნება მნიშვნელოვან მიჯნას წარმოადგენს ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

ჯერ კიდევ ფეოდალურ ეპოქაში ქართულად ბერძნულიდან, სირიულიდან, სომხურიდან, ფალაურიდან, ახალი სპარსულიდან, მრავალი ნაწარმოები გადმოითარგმნა; მაგრამ რა დარგს ეკუთვნიან ეს ნაწარმოებნი? ესაა, უწინარეს ყოვლისა, ბიბლიის და სახარების ტექსტები, წმინდანთა ბიოგრაფიები და

ლიტურგიკული ძეგლები, საერთოდ მშვენიერად გადმოთარგმნილი ეკათეველი საეკლესიო მოღვაწეების მიერ; შემდეგ ესაა თეოლოგიური და სქოლასტიკური ტრაქტატები, რომელთა გადმოსათარგმნელად ოველმა ქართველმა ფილოლოგიურმა სკოლამ შექმნა ხელოვნური ენა, ძნელად გასაგები თვით მისი თანამედროვეებისათვის; ბოლოს, ესაა ირანული სადევგმირო და რომანტიკული პოემები, რომელთაც უმთავრესად ქართველი მეფეები და მსხვილი ფეოდალები თარგმნიდნენ, მაგრამ სინამდვილეში ისინი იძლეოდნენ არა ორიგინალის ზუსტ თარგმანებს, არამედ ახალ ვარიანტებს.

შექსპირი, უწინარეს ყოვლისა, მოაზროვნე პოეტია, ჯორდანო ბრუნოს, ბეკონის და დეკარტის თანამედროვე. თავის ტრაგედიებში და სონეტებში მან მხატვრულ ფორმებში გადმოსცა რენესანსის ადამიანის ფილოსოფიური და მორალური ძიებანი. როგორც დანტე ამთავრებს შუა საუკუნეებს და ხსნის აღორძინების ეპოქის კარიბჭეს, ისე შექსპირი ამთავრებს აღორძინების ეპოქას და ხსნის თანამედროვე კულტურის კარიბჭეს: მან მონუმენტურ სახეებში გადმოსცა თანამედროვე კაცობრიობის ტიტანური მისწრაფებანი, მისი გონების უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა და მისი უღრმესი ვნებები. და აი, ივანე მაჩაბელმა დაამტკიცა, რომ ქართული ენა შეიცავს ჯერ კიდევ გამოუყენებელ მარაგს, რომ ის გამოდგება არა მარტო ისტორიული ქრონიკების შესადგენად, არა მარტო რელიგიური და ეროტიკული ვანცდების გამოსახატავად, არამედ უღრმესი ფილოსოფიური და ეთიკური იდეების გადმოსაცემადაც. ამით მან შეასრულა აქტი, რომლის მნიშვნელობა სცილდება მხატვრული ლიტერატურის, მით უმეტეს, თარგმნითი ლიტერატურის სფეროს. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული შეგნების განმტკიცებაში.

ზოგიერთი მთარგმნელი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეთექვსმეტე საუკუნეში საფრანგეთის მეფეების ეზოს მოძღვარმა ჟაკ ამიომ ბერძნულიდან ფრანგულად გადათარგმნა პლუტარქის „სახელოვანი ადამიანების ცხოვრებანი“ და ლონგუსის რომანი „დაფნისი და ქლოე“. ამ თარგმანების წყალობით ჟაკამიო ფრანსუა რაბლესა, მიშელ მონტენისა და ბლეზ

პასკალის გვერდით ფრანგული პროზის ფუძემდებლად ითვლება. ცნობილია, რა დიდი როლი შეასრულა ფახრედინ გურგანელის რომანის „ვისრამიანის“ თარგმანმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ცნობილია აგრეთვე, რომ გერმანული პროზის ისტორია, არსებითად, ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანული თარგმანიდან იწყება.

როგორც მაჩაბლის თარგმანების რედაქტორის გივი გაჩეჩილაძის კომენტარიებიდან ჩანს, მაჩაბელი ყოველთვის ზუსტად არ მისდევს ორიგინალის ტექსტს. მაგრამ ესაა ნამდვილი შემოქმედებითი თარგმანი. არსად მკითხველი არ გრძნობს, რომ თარგმანს კითხულობს და არა ორიგინალს; ის ფიქრობს, შექსპირი თავის ტრაგედიებს ალბათ სწორედ ასე დასწერდა, თუ ის ქართველი ყოფილიყოო. და ზოგიერთი ნაწყვეტი, მაგალითად, „ყოფნა-არყოფნა“ ჰამლეტიდან, „მშვიდობით, სპანო ჯიღოსანნო“ ოტელოდან ქართული პოეტური მეტყველების შედევრად შეიძლება ჩაითვალოს.

ენა დიდი სოციალური სტიქიონია, საკმაო არაა, რომ მწერალი უნაკლოდ იცნობდეს დედა ენის გრამატიკულ წყობას, ფლობდეს მის იდიომებს და მის ლექსიკას; ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ სინტაქსის და ლექსიკონის საზღვრებს სცილდება და უშუალო კონტაქტს ამყარებს ენის ბუნებასთან, გრძნობს იდუმალ ძალებს, რომლებიც ენაშია დაფარული. ამ შემთხვევაში მას შეუძლია დედა ენის მარაგი გაამდიდროს, როგორც მას ჩვენი სამოციანელები და ოთხმოციანელები ამდიდრებდნენ, და ამჟამად ჩვენი თანამედროვე მწერლები და მეცნიერები ამდიდრებენ. ივანე მაჩაბელი არათუ გრძნობდა ქართული ენის სტიქიონს, მან თავისი ლიტერატურული მოღვაწეობით ხელი შეუწყო მის ამოძრავებას. ჩვენი თაობების ვალდებულებაა ყოველივე იღონონ, რათა ეს მოძრაობა არ შეჩერდეს, რათა ჩვენი ენა, რომელიც ერთ დროს ქრისტიანული აზროვნების სიმაღლეზე იდგა, თანამედროვე ფილოსოფიურ და მეცნიერულ აზროვნებას არ ჩამორჩეს.

1954

ნიკო ნიკოლაძე

ნიკო ნიკოლაძე დიდად მნიშვნელოვანი და კოლორიტული ფიგურაა საბოლოოდ ნლების მოღვაწეთა შორის. ესაა სრულიად ახალი ტიპის ინტელიგენტი, გამდიდრებული გლეხის შვილი, ევროპული დემოკრატიული აზროვნების ერთ-ერთი პირველი მედროშე საქართველოში.

თავის ბავშვობისა და სიჭაბუკის წლები ნიკო ნიკოლაძემ მშვენივრად აგვიწერა თავის „მოგონებაში". რა განათლება შეეძლო მას მიეღო ქუთაისის გიმნაზიაში, ჩანს აგრეთვე მისი წერილიდან „ბავშვების მოვლა მადაგასკარზე", რომელიც გესლიან სატირას წარმოადგენს იმ „რეფორმატორების" მიმართ, რომელნიც მხოლოდ გარეგნობას ბაძავენ მაიმუნებივით და იმ პედაგოგების მიმართ, რომელნიც ბავშვებს ტვინს ულაყებენ სქოლასტიკური აღზრდის მეთოდებით (იხ. ნ. ნიკოლაძე, ნაწერი, თბილისი, 1878 წ.).

ყოველი მნიშვნელოვანი პიროვნება თავის ევოლუციაში განიცდის მწვავე და სახიფათო კრიზისის პერიოდს, როცა კრიტიკული აზროვნება მის სულში სწვავს გარდასული თაობებიდან მიღებულ იდეებს და მას შესაძლებლობას აძლევს წინ წავიდეს დამოუკიდებელი გზით. როგორც იმავე „მოგონებიდან" ჩანს, ასეთი კრიზისი განუცდია ნიკო ნიკოლაძეს 1861-62 აკადემიურ წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს, როცა ჩერნიშევსკის და „სოვრემენიკის" გავლენამ რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობაზე თავის ზენიტს მიაღწია. უფრო გვიან ნიკო ნიკოლაძე აღიარებდა, რომ ის თავის ზოგიერთ პეტერბურგელ მეგობართან ერთად ათიოდე წლის შემდეგ ხუმრობით იგონებდა იმ ჭაბუკურ გატაცებას, რომელმაც ის კრონდშტადტის ციხეში მიიყვანა. თვითირონიას და სკეპტიციზმს ის მთელი თავისი თაობის დამახასიათებელ თვისებად სთვლიდა: „ჩვენ სერიოზნობის, მართლმსახურების, მოღრუბლული ხასიათის ერთი ნამცეცი თვისებაც არ გვაქვს და ჩვენ თავზე ღიმილით და ოხუნჯობით ამოგვივა ჩვენი სული; რისგანაა ეს? რათ გვჩვევია ეს თვისება ჩვენ, ერთი თაობის კაცებს, ერთ გარემოებებში გამოზრდილს, რუსი ვიყოთ, გინდ ქართველი, და რათ არ ვგევართ ამ მხრით ბევრ ჩვენ თანამემამულეებს, რომელნიც

ფლავის ჭამა აც კ სერიოზნობით ახერხებენ, არა თუ სიკვდილის შეყრასა?" („სხვათა შორის", „კრებული", 1873, № 4).

ნიკო ნიკოლაძე უფროვმატო კაცი იყო, ყველაზე თავისუფლად მოაზროვნე საოციანი წლების ქართველ მოღვაწეებს შორის. უარჰყო რა მამა-პაპათა დრომოჭმული რელიგია, მას არც ნაციონალიზმი, არც სოციალიზმი, არც თვით რევოლუციის იდეა ახალ რელიგიად არ მიუღია, არც ჩერნიშევსკი, არც გერცენი, არც ლუი ბლანი და არც გამბეტა ახალ ალლაჰად არ უცნია და თავის თავი მათ წინასწარმეტყველად არ გამოუცხადებია. მაგრამ რადგან, გეორგ ბრანდესის თქმისა არ იყოს, ჩვენს მხრებს სამუდამოდ აჩნდება იმ დროშის ტარის კვალი, რომელიც ახალგაზრდობაში გვიტარებია. ნიკო ნიკოლაძეს შუა ასაკსა და სიბერეშიც ხშირად აგონდებოდა ის იდეები, რომელთაც მის მშფოთვარე და მაძიებელ სულზე ღრმა გავლენა მოახდინეს სიჭაბუკეში.

საოციანი წლების უდიდესი ნაწილი ნიკო ნიკოლაძემ საფრანგეთსა და შვეიცარიაში გაატარა, როგორც ემიგრანტმა სტუდენტმა, და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო ციურიხის უნივერსიტეტში წარდგენილი დისერტაციისთვის „განიარაღებასა და მის ეკონომიურ-სოციალურ შედეგებზე". თუ პირველად ნ. ნიკოლაძე ევროპაში იძულებით წავიდა, შემდეგ ის იქ ხშირად ნებაყოფლობით ან სხვადასხვა რეჟიმის მთავრობის დავალებით გამგზავრებულა. და თუ ამ დაუდგომელ ადამიანში იყო რაიმე მტკიცედ დადგენილი, ეს იყო მისი სიყვარული ევროპის კულტურული და ზნეობრივი ატმოსფეროსი. „ბედნიერია ის ახალგაზრდა, რომელიც საზღვარგარეთ იმ მიზნით გადის, რომ იქაური ცხოვრების, მეცნიერების და გონების ნაყოფი განიცადოს და იგემოს... როცა ის პირველად ევროპის კარებს შეაღებს და მის გონებით ცხოვრებაში ფეხს შესდგამს, იმას უცნობი ჰაერი ეცემა, საამო და თავბრუს დამსხმელი" („სხვათა შორის").

ნიკო ნიკოლაძის თანამშრომლობა გერცენთან ეპიზოდური ხასიათისა იყო, მან მხოლოდ რამდენიმე წერილი მოაბოლა ლონდონის „კოლოკოლში"; ერთი ამ წერილთაგანი თბილისში 1865 წელს მომხდარ აჯანყებას შეეხებოდა, ახალი გადასახადით გამოწვეულს. გერცენს და ნიკოლაძეს არ შეეძლოთ და-

დხანს ერთად სიარული. გერცენი ფიქრობდა, რომ მეშჩანობა დასავლეთური ცივილიზაციის სრულწლოვანების გამოხატულებაა: ერთი მხრით დგანან მესაკუთრე მეშჩანები, რომელნიც ჯიუტად უარს ამბობენ თავიანთი მონოპოლიის დათმობაზე, მეორე მხრით — გაპროლეტარებული მეშჩანები, რომელთაც მათთვის ქონების წართმევა სურთ, მაგრამ ძალა არ შესწევთ ამისთვისო (Былое и думы, III ტ. გვ. 224, მოსკ. 1938). ნეოსლავიანოფილიზმისკენ გადახრილ გერცენს რუსეთის გლეხური ობშჩინა მომავალი სოციალისტური წესწყობილების ჩანასახად მიაჩნდა. ნიკოლაძე კი კულტურის ხსნას იმ დაწესებულებების და იდეების თანმიმდევარ განვითარებაში ხედავდა, რომელნიც დასავლეთ ევროპის მოწინავე ქვეყნებმა და მოაზროვნეებმა შეიმუშავეს და შექმნეს. ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვ., ნიკოლაძეც განსაკუთრებით მოკრძალებით აფასებდა იმ ბრძოლას, რომელსაც ფრანგის ერი აწარმოებდა დემოკრატიული წესწყობილებისა და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად.

ნიკო ნიკოლაძე, როგორც ეტყობა, არ ეთანხმებოდა ლორენცო მედიჩისა და გოეთეს, რომ ვისაც სხვა ცხოვრების იმედი არა აქვს, ის მკვდარია საქაო ცხოვრებისათვისო; მას მოსწონდა „საფრანგეთის გონება, რომელსაც თითქოს მტკიცედ სწამს, რომ დაპირებული სამოთხე ქვეყანაზე გაიმართებაო და ის მართლაც სცდილობს ეს სამოთხე გამართოს". თუ დავით და იოანე ბატონიშვილებმა ბევრი რამ ისესხეს მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი დეისტებისა და სენსუალისტებისაგან, ვოლტერისა, კონდილიაკისა და სხვებისაგან, ნიკო ნიკოლაძემ ბევრი რამ აითვისა მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი პოზიტივისტებისა და სოციალისტებისაგან, სენ-სიმონისა, პრუდონისა, ლუი ბლანისა და ოგიუსტ კონტის აზროვნებიდან.

რადიკალურ და სოციალისტურ ჟურნალ „სოვრემენოსტში", რომელსაც ნიკო ნიკოლაძე გეოგრაფ და სოციოლოგ ლევ მეჩნიკოვთან ერთად 1868 წელს სცემდა ჟენევაში, ის პოზიტივიზმის იარაღით შეებრძოლა ბაკუნინის ანარქისტულ და მეტაფიზიკურ შეხედულებებს. „კარლ ფოგტი, მოლეშოტი, დარვინი და ბოკლი ეკუთვნიან იმ მეცნიერთა რიცხვს, რომელთაც

მეცნიერებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნეს ყოველგვარი მეტაფიზიკური საკითხი და რომელნიც შეუდგნენ ფიზიკური და ზნეობრივი ბუნების მოვლენათა გამოკვლევას და განზოგადებას, რათა ამ მოვლენათა თანმიმდევრობას მისწვდნენ... მთელი თანამედროვე მეცნიერება, ბეკონიდან დაწყებული, ამ მეთოდს ეყრდნობა და მიდის წინ მისი წყალობით. ამ მეთოდს უნდა ვუმადლოდეთ იმ წარმატებისათვის, რომელსაც ბუნებისმეტყველებამ მიაღწია" („ნაროდნოე დელო", რჩეული ნაწერები, თბილისი, 1931).

სამართლიანობა მოითხოვს ავღნიშნოთ, რომ პოზიტივისტური ფილოსოფიისა და სოციოლოგიისთვის ნიკო ნიკოლაძეს შემდეგაც არ უღალატნია. მართალია, მან გიორგი წერეთლის წინააღმდეგ და ილია ჭავჭავაძის მსგავსად ეეოლუცია განიცადა მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ თვით მისი მსოფლმხედველობის საფუძველი ისე არ შეცვლილა, როგორც შეიძლება მის მოწინააღმდეგეებს ეგონოთ. ოცდაათი წლის განმავლობაში, დაახლოებით სამოცდაათიანი წლების დასაწყისიდან წარსული საუკუნის დასასრულამდე, ნიკო ნიკოლაძემ, უმთავრესად თბილისში, მეტად ინტენსიური ლიტერატურული მუშაობა გასწია. ის ხელმძღვანელობდა ან უახლოეს თანამშრომლობას უწევდა რუსულ „ტიფლისკი ვესტნიკს", „ობზორს" და „ნოვოე ობოზრენიეს", ქართულ „კრებულს", „დროებას" და „მოამბეს". ამ ხნის განმავლობაში მან ხელი შეუწყო გონებათა ამოძრავებას, ახალი ქართველის ფსიქოლოგიის შემუშავებას. ამავე დროს ის პრაქტიკულად მუშაობდა როგორც აქციურ საზოგადოებათა დამაარსებელი, როგორც თბილისის თვითმართველობის წევრი, ბოლოს, როგორც ფოთის ქალაქის თავი. აქ მან თავისი დაუცხრომელი ენერგია პორტის ქვის ჯებირში შეანივთა და თამამი პროექტები შეადგინა, რომელნიც შემდგომმა თაობამ განახორციელა. მაგრამ თავის ცხოვრების სამხარზედაც ის სენ-სიმონის და კონტის სოციოლოგიურ კონცეფციას ემხრობოდა: „ეხლანდელი საზოგადოებრივი მეცნიერების წინამორბედი სენ-სიმონი და მისი მოწაფე ოგიუსტ კონტი მთელი კაცობრიობის განვითარების ისტორიას სამ ნაწილად ჰყოფენ. მათი სწავლით ყოველმა ერმა აუცილებლად შემდეგი სამი სტადია უნდა გაიაროს

ერთიმეორის შემდეგ: მხედრული, მრეწველი და საზოგადოებრივი, ვინც მათ ნაწერებს გადაიკითხავს და ჩვენს მდგომარეობას შეადარებს ის დარწმუნდება, რომ ჩვენი ქვეყანა დღეს თავიდან ბოლომდინ და კიდით-კიდემდე ჯერეც პირველ სტადიას, მხედრულ წესწყობილებას ვერ ასცილებია, ვერ გამოსთხოვებია. როცა ევროპა საფუძვლიანად იწუნებს თავის მრეწველ წყობილებას იმ აზრით, რომ მესამე სტადიაზე შესდგან ფეხი და საზოგადოებრივი წესი გაიწყოს, ჩვენ ისევ ისა გვაქვს სანატრელი და საძიებელი, რომ იქნება როდისმე მხედრული წყობის შემუსვრა და მრეწველობის დაარსება გვეღირსოსო!" (საპირო ძალა, „მოამბე", 1894 წ., № 8).

ამ მსოფლმხედველობასთან იყო დაკავშირებული ის დაფასება, რომელსაც ნ. ნიკოლაძე თავისდროინდელ საქართველოსა და რუსეთს აძლევდა: ის ეწინააღმდეგებოდა როგორც ჩვენს რომანტიკოს პატრიოტებს, ისე რუს სლავიანოფილებს. ამ მხრივ ნ. ნიკოლაძე პრინციპულად არ განსხვავდებოდა აკაკისა და ილიასაგან. მხოლოდ აკაკი ქართველი ერის გაჯანსაღებას ძველი ქართული გმირობის სიქველის აღდგენიდან ელოდა, ნიკო ნიკოლაძე კი, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, ხსნას ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ევროპულად მოწესრიგებაში და მეცნიერული იდეების პროპაგანდაში ხედავდა.

1873 წელს ნიკო ნიკოლაძე მეორედ გაემგზავრა საზღვარგარეთ. ფოთის დანახვამ გემის ერდოდან მასში პესიმისტური ფიქრები აღძრა... „ფოთი დაიმალა თავის შნოიანად გალესილი, შეფერილი ქუჩებით და დამპალი შიგნეულობით; მაგრამ ჩემ თვალწინ მაინც დიდხანს იდგა მისი სურათი, რომელიც მე ჩვენი ქვეყნის ნამდვილ და ჭეშმარიტ სურათად მიმაჩნდა. ლამაზია ის, აყვავებული, ნარნარ ვარდივით გადაშლილი, მაგრამ გარეგანი სილამაზის მეტი არაფერი ღვივის და აცხოველებს ამ საყვარელ ქმნილებას. იმას აკლია ძლიერი შემაერთებელი სული, აკლია ძალის მომცემი ერთობის სიცხოველე, ატყვია მომხიბვლელი გარსგანდგომის, განცალკევების ბეჭედი... მოიყვანეთ ვინც გინდათ აქ, ჩემს ალაგას, დააყენეთ ამ ხომალდზე და გადაახედეთ ჩვენი ქვეყნისკენ, დააფიქრეთ მის ბედზე. გააცანით მისი მდგომარეობა, და თუ მისი გული დაწურული ღრუბლებივით არ დაპატარავდეს, თუ

იმას სისხლი არ მოერიოს და ნაღველი ყელში არ ამოუვიდეს, მაშინ შემაბით ყელზე ამ ხომალდის ქვაბი და ჩაძირეთ ამ ზღვის უფსკრულში“.

ნიკო ნიკოლაძე სრულიად თავისუფალი იყო ისტორიული რომანტიზმისაგან. საქართველოს წარსულს ის, ცოტა არ იყოს, კრიტიკულად აფასებდა. ეს ნაწილობრივ მისი ფხიზელი რეალისტური და პოზიტივისტური მსოფლმხედველობით აიხსნებოდა, ხოლო ნაწილობრივ იმით, რომ ის, როგორც ეტყობა, ცალმხრივად იცნობდა საქართველოს ისტორიას.

ის ფიქრობდა, რომ ქართველები დიდხანს „მონგოლებსაც კი ვბაძავდით, სპარსელებსაც, თათრებსაც და ლეკებსაც. ზოგმა ქუდი დაგვიტოვა, ზოგმა სიზანტე, ზოგმა ორპირობა... ხეირიანი და მაგარი ბუნება რომ არ გვქონოდა, ჩვენს სისხლში რომ ის დაუნდობელი და დაუშრეტელი ძალა არ მდგარიყო, რომელიც ზოგიერთ რჩეულ ხალხს უკვდავებას აძლევს, დიდი ხანია რაც დედამიწის პირიდან ქართველების და საქართველოს ხსენებაც კი გაჰქრებოდა... ვინ, რომელი ბრძენი, ისტორიკოსი ან ეტნოგრაფი გვეტყვის, როგორი იყო ნამდვილი და პირველდროინდელი ქართველების ბუნება, ზნე, ხასიათი, თვისება“ (მამულის სიყვარული და მსახურება „საახალწლო ალმანახი“, თბილისი, 1880 წ.).

ერთ თავის წერილში ნ. ნიკოლაძემ საქართველო იმ ტურფა ქალს შეადარა, რომელიც ჭკნება და ლაზათს ჰკარგავს ხელიდან ხელში გადასვლის გამო. „სპარსეთის ვარჯიშობამ ჩვენს მინდვრებში და დარბაზებში, მათმა გამარჯვებამ ჩვენს ციხეებსა და ქალბატონებზე ასე დაამცირა ჩვენი ხალხის ხასიათი“ (კრებული, 1871, № 4). ეს იყო უკვე სკეპტიკური შეხედულება ქართველი ერის ისტორიულ წარსულზე, კიდეე უფრო ცალმხრივი, ვიდრე ჩვენი ისტორიის სანტიმენტალური იდეალიზაცია რომანტიკოსი პატრიოტების მიერ.

არა ნაკლებ პესიმისტურად აფასებდა ის მეფეთა რუსეთის აწმყოსა და წარსულს და ყოველი ჯურის სლავეანოფილებისა და ნაციონალისტების წინაღმდეგ ჩაადაევს ეთანხმებოდა; მაგრამ ჩაადაევისაგან განსხვავებით ის უკეთეს მომავალს უქადდა რუს ხალხს.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტიკის ერთი საუკეთესო ნიმუ-

შია მისი რუსული წერილი, „ოცნებათა სამეფოში“, რომელშიაც მან პოეტურად შთაგონებული სტრიქონები მიუძღვნა ელექტრონის როლს კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ის მოგვითხრობს, რომ 1886 წელს პარიზში დაესწრო ფერმკრთალი, ტანჯული მარსელ დეპრეს ცდებს ელექტროენერგიის შორს გადატანაზე, დინამომანქანებზე და სხვ. და მას სწამს, რომ დინამომანქანა დაამხობს ორთქლის მანქანის ბატონობას და შემუსრავს თვით კაპიტალიზმის ძალას. ასეთია ტექნიკის წინსვლის ძალა. რამდენ საუკუნეს ბატონობდა კაპიტალი მსოფლიოში! რამდენი ძალა დაიღუპა უნაყოფოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რამდენი ადამიანის სხეული შეეწირა ოქროს კერპს? მაგრამ აი მოვიდა ღატაკი, დამშეული ადამიანი და მოიგონა ელექტროენერგიის შორეულ მანძილზე გადატანის, მისი დანაწილების საშუალება. ამიერიდან ჩქარა საჭირო აღარ იქნება კაპიტალის დაგროვება რამდენიმე პრივილეგიური პირის ხელში, უზარმაზარი ქარხნები, უსიტყვო, მიკროსკოპულ ქონდრისკაცებად გადაქცეული მუშების მიბმა უსულო მანქანებზე, მათი გადაქცევა უპიროვნო კაპიტალის დამატებად: ისინი დამოუკიდებელ, ამაყ, სწორუფლებიან მოქალაქეებად იქცევიან. ყველას შეეძლება მავთულის შემწეობით ენერგია გაიყვანოს თავის ბინაზე, თავის ქოხში, ყველას შეეძლება დინამომანქანა შეიძინოს, როგორც დღეს საკერავ მანქანას იძენენ. „ასეთია ადამიანის აზრის, მეცნიერების ძალა, რომელიც აუქმებს ოქროს, ნუთუ ეს საოცარი არ არის? როგორ იცხოვრებენ ადამიანები უკაპიტალოდ? რა საინტერესო იქნება ყოველივე ამის დანახვა იმათთვის ჩვენს შორის, ვინც ამ მშვიდობიან გადატრიალებას მოესწრება!.. და მაშინ დღესასწაული დადგება ჩვენს მთებში. რამდენი მთის მდინარე გვაქვს, რამდენი ჩანჩქერი, რამდენი მამოძრავებელი ძალა! და ყოველივე ეს გამოყენებული იქნება, ყოველივე ეს აამოძრავებს მილიონ დაზგას, მილიონ პატარა და დიდ მანქანას მილიონ ოჯახში... ქუდი მოიხადეთ, ბატონებო, მის წინაშე: ეს მომავალი ძალაა!“ („ნოვ. ობოზრ.“, 1887 წ. № 1328).

ამ წინასწარმეტყველურ სიტყვებთანაა დაკავშირებული აღფრთოვანებული ჰიმნი მრეწველობისადმი, რომელსაც ნი-

კო ნიკოლაძე მთავარ ძალად სთვლიდა ჩვენი ჩამორჩენილი სამშობლოს გასათავისუფლებლად უცხო კაპიტალის ეკონომიური უღლისაგან; ამასთანავეა დაკავშირებული მისი მისწრაფება, რომ ეკონომიური აქტივობისათვის გამოყენებულ იქნას ყველა საზოგადოებრივი ფენა, თვით ქართველი მესამე წოდება, თვით მრავალრიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობა, რომლის უბრალოდ მოკვეთა მას შეუძლებლად მიაჩნდა, ვინაიდან ის ერის ერთ მეათედს შეადგენდა, ბოლოს, განსაკუთრებით გამოყენებულ უნდა იქნას დემოკრატია, რომელიც უნდა გადაეჩვიოს ბრმა მორჩილებას და შეეჩვიოს აზრიან დისციპლინას, ინიციატივის გამოჩენას, კერძო და საზოგადოებრივი ინტერესის შეთანხმებას. „თანდათან გვიახლოვდება ახალ-ახალი ქვეყნის მოძრაობა. ოცი წელიწადი არ გაივლის ისე, რომ ჩვენი ქვეყანა, ან ჩვენი მამულის ახლომახლო მდებარე ქვეყნები მსოფლიო ბრძოლის ასპარეზად არ გახდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის შუა... ბედნიერი ის ხალხი იქნება, ვინც მზამზარეული დახვდება ამ ბრძოლის პირველ კიჟინს, ვისაც მაშინ ნამდვილი ერთობაც ექნება და გონიერი დისციპლინაც“ („მამულის სიყვარული და მსახურება“).

* * *

ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკურ მოღვაწეობაში დიდად საინტერესო მომენტს წარმოადგენს ის მოლაპარაკება, რომელიც მან 1882 წლის დასასრულს აწარმოვა ალექსანდრე მესამის მთავრობასა და „ნაროდნაია ვოლიას“ შორის. ამ დროს ახალი მეფის პოლიტიკური კურსი არსებითად უკვე გამორკვეული იყო. ნაროდოვოლცების მიერ მოკლული ალექსანდრე მეორის მოლიბერალო მინისტრი გრაფ ლორის-მელიქოვი გადაყენებულ იქნა, კონსტიტუციური ილუზიები არქივს ჩაბარდა და მთავრობა მკაცრი რეაქციის გზას დაადგა. მაგრამ თვით მთავრობაში კიდევ მოიპოვებოდნენ მერყეევი ელემენტები, რომელთაც განსაკუთრებით ეშინოდათ, ნაროდოვოლცების გადარჩენილმა ბელადებმა ტერორისტული აქტები არ მოაწყონ ახლად ტახტზე ასული მეფის კურთხევის დროს და სირცხვილი არ გვაჭამონ დღესასწაულზე დამსწრე უცხოელი სტუმრების თვალშიო. ამიტომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში ნამ-

ყოფი ბოროზდინის რჩევით იმ დროს პეტერბურგში მყოფ ნ. ნიკოლაძეს წინადადება მისცა მოლაპარაკება გაემართა „ნაროდნაია ვოლიას“ მეთაურებთან. ნიკოლაძე შეხვდა, ერთი მხრით, მეფის კარის მინისტრს გრაფ. ი. ვორონცოვ-დაშკოვს, გრაფ შუვალოვს, პოლიციის დეპარტამენტის უფროსს პლეევს, ხოლო, მეორე მხრით, ცნობილ კრიტიკოსს ნ. მიხაილოვსკის, ნაროდნიკ პუბლიცისტს ს. კრივენკოს და სხვ. მთავრობის დასტურით ის დასავლეთ ევროპაშიაც გაემგზავრა და ინახულა ემიგრანტი რევოლუციონერების იმდროინდელი მეთაური ლევ ტიხომიროვი, რომელმაც ნაჩქარევი კონგრესიც კი მოაწყო მთავრობისათვის წარსადგენ მოთხოვნილებათა ჩამოსაყალიბებლად.

ნ. ნიკოლაძის შუამაელობას, რასაკვირველია, არავითარი, რეალური ნაყოფი არ მოუტანია. მართალია, რევოლუციონერების პარტიამ მთავრობას მეტისმეტად ზომიერი მოთხოვნილებანი წარუდგინა, სახელდობრ პროპაგანდის თავისუფლების, ამნისტიის და ზოგიერთი შეღავათის მინიჭება ნაროდნიკული ინტელიგენციისთვის, მაგრამ მთავრობა ჩქარა დარწმუნდა, რომ თეთრი ტერორით ილაჯგამოცლილი ნაროდოვოლცების პარტია სერიოზულ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა მისთვის და უარი თქვა რაიმე დათმობაზე. და პლეევმ ნიკო ნიკოლაძე უკანასკნელი შეხვედრიდან ცოტა არ იყოს, ირონიული სიტყვებითაც გაისტუმრა: „თქვენ უჩივით უხერხულობასა და საფრთხეს, მაგრამ არ გინდათ ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ უხერხულობა აუცილებელია თქვენს მდგომარეობაში. ის ჩვენ კი არ მოგვიხვევია თავზე თქვენთვის, თქვენ თვითონ ისურვეთ ორ სკამს შუა მჯდარიყავით“ („ბილოე“, 1906, № 9).

ნიკო ნიკოლაძე მოგვითხრობს, გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ყურადღებით მიმიღო და მომისმინა, მაგრამ მას დაღლილი კარისკაცის სახე ჰქონდა, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელსაც ყოველივე მოსწყინდა და არავითარი სურვილი და მისწრაფება არ აღელვებსო. მეზობელ ოთახში კარი გაღებული იყო, მაგრამ მძიმე ფარდა ეფარა, რომელიც დროგამოშვებით ირხეოდა; შემდეგ ბოროზდინი მარწმუნებდა, იქ თვით ხელმწიფე იჯდაო.

შემდეგ ნიკო ნიკოლაძე განაგრძობს, როდესაც ჩემსა და გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს შორის კამათი დაისვა, თუ რა ნიადაგზე შეიძლებოდა შეთანხმების მიღწევა მეფის მთავრობასა და რევოლუციურ და სოციალისტურ ელემენტებს შორისო, მე მას დავუწყე მტკიცება, რომ არავითარი „პრინციპიალური დაპრკოლება არ არსებობს იმის წინააღმდეგ, რომ მოხდეს სრული და გულწრფელი შედეგება სოციალურ მოძღვრებათა და თვით უმკაცრეს და უჯიუტეს თვითმპყრობელობას შორის-მეთქი... რაც შეეხება კონსტიტუციურ რეჟიმს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის მრავალი წლის მანძილზე უპირატესობას მიანიჭებს რუსეთის საზოგადოების ვიწრო ეგოისტურ ელემენტებს: ადვოკატებს, აფერისტებს, კულაკებს, საერთოდ ბურჟუაზიას. ინტელიგენცია კი ღობის გადაღმა დარჩება. ამიტომ ამჟამად მოსალოდნელი არ არის, რომ კონსტიტუცია არსებითად გააუმჯობესებს მთავრობის მდგომარეობას და ხალხის ყოფაცხოვრებას... ქვეყანაში, რომლის სახალხო ცხოვრება ობშჩინის და არტელის ნიადაგზე განმტკიცდა, და რომლის ინტელიგენცია ამ ეკონომიურ საფუძვლებს ფეტიშებად სთვლის, ძნელი არაა ერთსულოვნების დამყარება ხელისუფლების, ხალხის და ინტელიგენციის მისწრაფებათა შორის-მეთქი“.

ერთი სიტყვით, ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების დროს, ევროპაში გამგზავრების წინ, ნიკო ნიკოლაძე თავისებური ნაროდნიკულ-თვითმპყრობელური სოციალიზმის იდეას იცავდა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა ის პარიზიდან დაბრუნდა, უკვე გრაფ შუვალოვს შეხვდა, რომელმაც მას აცნობა, რომ ვორონცოვ-დაშკოვის მდგომარეობა შერყეულია, ხოლო მისი „საღმთო დრუჟინა“ დაშლილაო. „გრაფი შუვალოვი მარწმუნებდა, ტერორისტების მოთხოვნილებათა ვიწრო სოციალურმა პროგრამამ დიდად აწყენინა მასაც, ვორონცოვ-დაშკოვსაც და მისი წრის ყველა წევრებს... მისი შენიშვნის გამო, რომ მხოლოდ კონსტიტუცია უნდა მოგეთხოვათო, მე ვუპასუხე, სრულიად ვიზიარებთ თქვენს შეხედულებასმეთქი“. ამრიგად შუვალოვთან საუბრის დროს ნიკოლაძე უკვე ბიუროკრატიული სოციალიზმის მოწინააღმდეგედ და ლიბერალური კონსტიტუციის დამცველად გამოვიდა და ამას ის თა-

ვისი პირით მოგვითხრობს ერთი და იმავე წერილის ფურცლებზე.

რით აიხსნება ასეთი აშკარა წინააღმდეგობა? პოლიტიკური უპრინციპობით, გაუბედაობით თუ იმპრესიონისტული ბუნებით: უნდა ვიფიქროთ, არც ერთით. ვორონცოვ-დაშკოვთან მოლაპარაკების დროს ნიკო ნიკოლაძე, ალბათ, ტალეირანის პოლიტიკურ სიბრძნეს მისდევდა: ის ფიქრობდა, ენა იმისთვის მაქვს, რომ ჩემი განზრახვები დავმალოო. შუვალოვთან მოლაპარაკების დროს კი ის თავის ნამდვილ გულისნადებს ამჟღავნებდა. მართლაც, თავის პუბლიცისტურ ნაწერებში ის ხშირად ამტკიცებდა, რომ თვითმპყრობელობის აუცილებელი მემკვიდრე სახალხო თვითმართველობაა, რომ ასე იყო ყველგან და რუსეთიც არ შეადგენს გამონაკლისსო. ის ებრძოდა ბიუროკრატიულ მეურვეობას, მოუწოდებდა თვითმოქმედებისა და თვითმმართველობისადმი, რათა ამ გზით „ადამიანთა უდიდესი რიცხვის უდიდესი კეთილდღეობა განხორციელებულიყო". თავის წერილში ლუი ბლანსა და გამბეტაზე ის ამტკიცებდა, „ლუი ბლანის უმთავრესი დამსახურება იმ შეცდომის დარღვევაშია, ვითომ სოციალიზმს და უსაზღვრო მონარქიას ერთად არსებობა შეეძლოთო".

ნიკო ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ საქართველოში განსაკუთრებით საჭიროა ევროპული პარლამენტური ბრძოლის წესების შემოღება, ვინაიდან ფეოდალიზმმა ბრმა მონური დისციპლინის სიყვარულთან ერთად ინდივიდუალისტური ანარქია გვიანდერძა; „ხალხში კი ნამდვილი ერთობა მარტო მაშინ დამყარდება, როცა მისი ეკონომიური ცხოვრება გათანასწორდება, როცა ხალხი ეკონომიურად განთავისუფლდება და შეერთებულ შრომას შეეჩვევა... ვიბრძოლოთ ერთმანეთს შუა, ერთის აზრს მეორის შეხედულება შევატაკოთ, ვეცადოთ ხალხი მონაწილე გავხადოთ ამ ბრძოლისა და ჭკუის მოძრაობისა და მერე, თუ ნამდვილად მამული გვიყვარს, თუ მისი სიკეთე კერძო თავმოყვარეობაზედ უფრო დიდად მიგვაჩნია, ყველა იმ გადაწყვეტილებას დავადგეთ, რაც უმრავლესობამ მიიღო. ამ უმრავლესობისაგან მიღებული გადაწყვეტილების ერთგულება შეადგენს ნამდვილსა და გამოსადეგ დისციპლინას და არა

ფელდფებლური მონობა ერთის რომელსამე კერპისა“ („მამულის სიყვარული და მსახურება“).

რა საშუალებით ფიქრობდა ნიკოლაძე თავისი პოლიტიკური და სოციალური მიზნების მიღწევას? ახალგაზრდობაში, როცა ის ჩერნიშევსკისა და ნაროდოვოლცებს მეგობრობდა, ლუი ბლანსა და გერცენს ხვდებოდა, პირველი ინტერნაციონალის წრეებში ტრიალებდა და ჟენევაში „სოვრემენნოსტს“ რედაქტორობდა, ელპიდინთან ერთად რევოლუციურ პროკლამაციებს, ხოლო დ. მიქელაძესა და იზმაილოვთან ერთად ქართულ ჰეგტოგრაფიულ გაზეთ „დროშას“ ბეჭდავდა, ის გარკვეული რევოლუციური გზის მომხრე იყო. არსებითად მას მოხუცებულობაშიც არ შეუცვლია თავისი აზრი რევოლუციაზე, როგორც საზოგადოების გამაახლებელ ძალაზე, მხოლოდ ის, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო პერმანენტული რევოლუციის იდეისა. „ამბოხება, რევოლუცია ქვეყნიერების არსებობაში ისეთივე იშვიათი „ერთწუთი“ მოვლენაა, როგორც ელვა, მეხი. შესაძლებელია განა ადამიანი სულ იმას ნატრობდეს, რომ ქვეყანაზე სხვა ძალა არ მოქმედებდესო და მუდამ მეხის მზადებაში ლევდეს თავის ღონეს?“ („ჩემს პოლიტიკაზე“, ქუთაისი, 1913).

რაც შეეხება ნ. ნიკოლაძის მიდგომას მეორე სოციალური სტიქიონისა — ომისადმი, ის განსაკუთრებით ამქღავნებს მისი პოლიტიკური აზროვნების თავისებურებას. ერთი მხრით მას გულწრფელად აშფოთებს ომის ველის სურათი, რომლის წინა პლანზე თავმოწყვეტილ, შუაზე გაპობილ და გაჭყლეტილ ახალგაზრდა ადამიანების გვამები ყრია, ხოლო უკანა პლანზე საკარძლებში წამქეზებლები სხედან, ნებივრად გაზეთებს კითხულობენ და ვახშამს ელოდებიან. მაგრამ ამასთანავე მას ახსენდებოდა, რომ უდროოდ და ძალდატანებით მარტო ბრძოლის ველზე როდი იხოცება ხალხი: უგუნურება, უწესობა და სიღარიბე მას შასპოს და დრეიზეს თოფებზე უარესად ლეწავს. ომს კი ის უპირატესობა აქვს, რომ ახალისებს და აწრთობს ადამიანის სულს, პატიოსან გრძნობებს ნერგავს მასში და საზოგადოებრივ ცხოვრებას ობისა და ხავსისაგან ათავისუფლებს („ომის სადღეგრძელო“, ნაწერები, თბილისი 1878).

მაგრამ ომი სწარმოებს არა მარტო სახელმწიფოთა შორის,

არამედ თვით საზოგადოების შიგნითაც: ვინც გაიმარჯვა, ის ჭკვიანი და საქებია, თუნდა მარტო გარემოების შემწეობით გაემარჯვოს, და, ვინც წაიქცა, ვისაც ანგარიში შეეშალა ან ვისაც მიზნის მიღწევის ნება არ მისცა სრულიად წარმოუდგენელმა გარემოებამ, ის ყოველთვის სასაცილო და ტალახში გასათქერი ხდება“ („დროება“, 1873, № 74).

* * *

ნიკო ნიკოლაძეს რამდენჯერმე შევხვდი მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში. იმპერიალისტური ომის დროს ეს მხრებში ოდნავ მოხრილი მოხუცი ქარიშხალივით იჭრებოდა გაზეთ „საქართველოს“ რედაქციის ოთახში, რუკას მივარდებოდა და ხელის ფართო მოძრაობით საერთაშორისო პოლიტიკის პერსპექტივებზე იწყებდა მღელვარე და შთაგონებულ საუბარს. ეტყობოდა, რომ ის შეჩვეული იყო მსოფლიოს მასშტაბით აზროვნებას; მაგრამ მისი პოლიტიკური პროგნოზი ყოველთვის უცდომელი არ იყო. ის შეცდა 1873 წელს, როცა პარიზში, ლუი ბლანთან საუბრის დროს, ხანმოკლე არსებობა უწინასწარმეტყველა ახლად დაარსებულ მესამე რესპუბლიკას. ის შეცდა 1918 წლის შემოდგომაზე, როცა ევროპიდან ახლად დაბრუნებულმა განაცხადა, შეუძლებელია გერმანიის დამარცხება მოკავშირეების მიერო. ორიოდე კვირის შემდეგ გერმანიამ იარაღი დაჰყარა.

ის არ იყო მჭევრმეტყველი, მისი სტილი ნერვიულობას და აზრთა სიჭარბეს მოწმობდა. სტილის საკითხში ის მონტენს ეთანხმებოდა: ის უპირატესობას აძლევდა უბრალო, გაუშალაშინებელ ენას, ნოყიერსა და ცოცხალს, სხარტსა და შემჭიდროებულს, თავისუფალს ყოველივე პრანჭიობისა და კეკლუცობისაგან. მას ჰქონდა მხატვრული ინტერესი და გემოვნება. ამას მოწმობს მისი კრიტიკული წერილები ქართულ და ევროპულ ლიტერატურაზე. ესთეტიკურ საკითხებში ის წინააღმდეგი იყო როგორც ტლანქი უტილიტარიზმისა, ისე ცხოვრებიდან გამოთიშული ხელოვნების იდეისა.

• • •

1925 წლის ზამთარში „ქართული წიგნის“ გამგეობის კრებაზე შევხვდი. როცა სხდომის დასრულების შემდეგ ქუჩაში გამოვედით, შევჩივლე, ძალიან სუსხიანი ზამთარია-მეთქი, მან მიპასუხა: 1859 წელს, როცა ქუთაისის გიმნაზიას ვამთავრებდი, ბევრად უფრო ცივი ზამთარი იდგა, მოწაფეები ფეხით გავდიოდით გაყინულ რიონზეო. მე უნებურად გაოცებით შევხედე ამ ახლად მოვლენილ პატრიარქ მათუსალას, რომელსაც საშუალო სასწავლებელი ბატონყმობის გადავარდნამდე გეთავებინა, ახლა მხნედ მიაბიჯებდა რუსთაველის პროსპექტზე.

1940

დავით კლდიაშვილი

როცა ადამიანი დავით კლდიაშვილის მემუარებს კითხულობს, რწმუნდება, რომ ავტორს მეტად მძიმე და თავისებური ცხოვრება შეხვედრია. ჯერ ის ცხრა წლის ბავშვი იყო, როცა სამშობლოს მოაშორეს და ორმოცდაორ ქართველ ბავშვთან ერთად რუსეთში გაისტუმრეს, სადაც მათ სამხედრო განათლება უნდა მიეღოთ და გარუსებულიყვნენ. მეფის რუსეთი ცდილობდა ეს ახალგაზრდობა ტახტის ერთგული აღეზარდა.

უფრო უკეღმართი და მკაცრი იყო ცხოვრების სკოლა: უდიდეს სათნოებად მიჩნეული იყო შეგუება, მორჩილება, თავისი პიროვნების და ადამიანური ღირსების უარყოფა. მოხელეები ბაკენბარდს იკეთებდნენ ან გრძელ წვერს უშვებდნენ იმის მიხედვით, ბაკენბარდიანი თუ გრძელწვერიანი რომანოვი იჯდა სამეფო ტახტზე. კავკასიის მთავარმართებელი გოლიცინი თერთმეტი სახრჩობელის ამართვას მოითხოვდა დამნაშავეთა დასასჯელად და დიდად აღშფოთებული იყო, რომ მას მხოლოდ ოთხს სთავაზობდნენ. მეორე მთა-

ვარმართებელი, დონდუკოვ-კორსაკოვი, უფრო ღვინის კასრს ეტრფოდა, ვიდრე სახრჩობელას, ფოთიდან სიმთვრალისგან უგონოდ წამოსული, ის მხოლოდ სურამში იღვიძებდა, იქაურ დეპუტაციას ღებულობდა და ჰპირდებოდა, ნუ გენაღვლებათ, ნავსადგურს გაგიკეთებთო. პალმის მსგავსი ცირკის ჯამბაზები გაზეთებს რედაქტორობდნენ. გიჟები არმიას მეთაურობდნენ. ამ უკანასკნელთა შორის დიდად დამახასიათებელი ფიგურაა გარუსებული სერბიელი ვინმე პოლკოვნიკი შევიჩი, ერთი თავზეხელაღებული ავანტურისტი, რომელიც კუსტარული წესით ზარბაზანს ამზადებინებდა, რათა მისი სროლით თავი გაერთო, ხოლო ჯარისკაცებს გრძელ, ხელოვნურ ულვაშებს აწებებინებდა, რათა ისინი პარადის დროს გონებაჩლუნგ ალექსანდრე მესამეს ზღაპრულ ბუმბერაზებად მოჩვენებოდნენ. ჩუხონელი პოლკოვნიკი თავის ეზოში მამალ ინდაურს არ უშვებდა: დედალ ინდაურებს ეტრფის და ამას შეუძლია ცუდი გავლენა მოახდინოს ჩემი ახალგაზრდა ქალიშვილის ზნეობაზეო. ზნეობის თვალსაზრისით ის ინდაურების რომანს გარდა, უარყოფდა აგრეთვე ახალ რუსულ მწერლობას, განსაკუთრებით ჟუკოვსკის, გოგოლს და ტურგენევს. გადაგვარებული ჩუხონელები, პოლონელები, ოსტზეელები მეტად გულმოდგინედ იცავდნენ ველიკორუსულ იდეას, ისინი ჯარში გაყვანილ გორელ სომხებს, ჟიტომირელ ებრაელებს, ყირგიზელებს და ბაშკირებს ჩასჩიჩინებდნენ — თქვენ რუსები ხართ, თქვენი სამშობლო რუსეთიაო.

ერთი მეზღვაური კაპიტანი ბათუმის ადგილობრივ ხელისუფლებას „გონებამახვილ“ წინადადებას აძლევდა: რევოლუციონერებს თავი მოუყარეთ, მე მათ ბარკასში ჩავსვამ, შუაგულ ზღვაში შევაცურებ და წყალში გადავყრიო. მეორე ოფიცერი უფრო რადიკალურ ღონისძიებას ადგენდა — თვით ქალაქს წავუკიდოთ ცეცხლიო.

ამ გულახდილი შავრაზმელების გვერდით იდგნენ რუსის უხერხემლო ლიბერალები, რომელნიც უდანაშაულო ადამიანებს ჩამოხრჩობას უწყვეტდნენ იმის შიშით, რომ მეფის ნაცვალს თუ მთავარმართებელს არ ვაწყენინოთო, ჯარისკაცები, რომელნიც ლოთობაში ეძებდნენ თავდავიწყებას, მისტიციზმში გადავარდნილი ოფიცრები, რომელნიც ირწმუნებოდ-

ნენ: ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ააშრიალა ანგელოზმა ეკლესიის ბაირაღი ფსალმუნის კითხვის დროს, ეს იმის ნიშანია, რომ რუსები იაპონელებს ომში დავამარცხებთო.

როგორ შეეძლო ასეთ გარემოებაში დავით კლდიაშვილს შეენარჩუნებინა სიყვარულით გამთბარი გული, ადამიანის პატივისცემა და ნდობა, რომელიც მას ახასიათებს მთელი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე? დავით კლდიაშვილი დიდი ჰუმანისტია, არა მარტო იმ აზრით, რომ მას ადამიანი უყვარს მისი ნაკლისა და სიმახინჯის მიუხედავად, არამედ იმ აზრითაც, რომ მას ადამიანობის იდეა ყველაზე ამაღლებულ იდეად მიაჩნია. მისი ნაწარმოებიდან არა ჩანს, რომ მას რაიმე მეტაფიზიკური სამყაროს არსებობა სწამდეს, ან რელიგიური რწმენისა და ურწმუნოების საკითხი ქენჯნიდეს. ის პოზიტივისტურად აზროვნებს, ხოლო როგორც მხატვარი ემპირიულ მოვლენათა ქვეყანას არ შორდება. ამ მხრივ ის სრული ანტიპოდია თავის თანამედროვე მწერლის ვასილ ბარნოვისა.

დავით კლდიაშვილს აქვს ერთი პატარა მოთხრობა — „შერისხვა“, სადაც მოხუცი გლეხი, კაცია სუგუნაშვილი ცდილობს სოფლის სასამართლოს დადგენილება ზეცის სასამართლოში გაასაჩივროს და წმინდა გიორგი ჩარიოს მიწის საკითხის გადაწყვეტაში. მაგრამ გლეხი მარცხდება: ხატი მის შერისხვას არავითარ ყურადღებას არ აქცევს: პირიქით კაცია სუგუნაშვილი თვითონვე ხდება თავისი ცრუმორწმუნოების მსხვერპლი. როგორც დავით კლდიაშვილის მთელი მხატვრული შემოქმედება, ისე ეს მოთხრობაც თავისუფალია რაიმე აბეზარი მორალური ტენდენციისაგან. მაგრამ მკითხველს ენიშნება: უკეთესი იქნებოდა, კაცია სუგუნაშვილი თემს არ გამოსთიშოდა და მის სამართალს დამორჩილებოდაო.

დავით კლდიაშვილის მეორე შესანიშნავი მოთხრობიდან, — („მსხვერპლი“) ჩანს, რომ მას რელიგიური ცრუმორწმუნოება საშინელ ანტისოციალურ ძალად მიაჩნდა. შემზარავი ტრაგედიით მთავრდება უბრალო ოჯახური კონფლიქტი, რომელიც იქიდან წარმოსდგება, რომ დედამთილი ძველი კონსერვატული მორალის დედაკაცია, რძალი ახალგაზრდა, ლამაზი და ჯანსაღი ქალია და მას საზოგადოებაში თავის გამოჩენა ეხალისება, ხოლო ქმარი უნებისყოფო ქალაჩუნაა; ამ კონფლიქტში ერევა

წარსულის ბნელი უპიროვნო ძალა, კუდიანობისა და საიქიოს რწმენა და სრულიად უდანაშაულო რძალ-დედამთილი მას ეწირება.

როცა ადამიანს სხვა უფრო ჰარმონიული სამყაროს არსებობა არა სწამს, ხოლო ეს ემპირიული ქვეყანა სიმახინჯით და სიტლანქით აღსავსედ მიაჩნია, მას პესიმიზმი და ნიჰილიზმი მოიცავს, თუ თავისთავში ან საზოგადოებაში ისეთი ზნეობრივი ძალა არ აღმოაჩინა, რომელიც სიცოცხლეს ღირებულებას აძლევს. როგორც დავით კლდიაშვილის მემუარებიდან ჩანს, რომელსაც ავტორი იმათ მიუძღვნის, „ვინც მას გული სიყვარულით გაუთბო, ვინც ადამიანის პატივისცემა და ნდობა ასწავლა", მას თავისი ცხოვრების გზაზე მრავლად შეხვედრიან ასეთი მტკიცე მორალის ადამიანები; ის მათ თითქმის ისევე პლასტიკურად გვიხატავს, როგორც თავისი მოთხრობების გმირები დაგვიხატა. უწინარეს ყოვლისა, ესენი არიან იმ პატრიარქალური ოჯახის წევრები, სადაც მწერალმა თავისი ბავშვობის პირველი წლები გაატარა. არც გარეგნობით, არც სულიერი თვისებებით ეს ადამიანები ჯერ კიდევ შემოდგომის აზნაურებად არ არიან გადაქცეული: მათ აქვთ შრომის პატივისცემა და ზოგიერთმა მათგანმა არც წერა-კითხვა იცის და არც ქაღალდის ფულის დათვლა, მაგრამ ყველანი დიდი შინაგანი კულტურით არიან აღჭურვილნი. ზნეობრივად კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე დგანან ის გლეხები, რომელთა წრეში დავით კლდიაშვილმა ცხოვრების პირველი ძლიერი შთაბეჭდილებანი მიიღო შუა ცეცხლის პირას, იმ დიდ კლუბში რომელსაც მისი პაპის და მამის სამზარეულო სახლები წარმოადგენდნენ. იქ გაეცნო ის ქართულ ზღაპრებს, ანდაზებს, არაკებს, სიმღერებსა და ჯანსაღი ხალხის გონებამახვილ დიალოგს; იქვე შეისწავლა ის სადა, ძალდაუტანებელი ქართული ენა, რომელიც მას შემდეგ ვერ დაავიწყა ვერც კიევის სამხედრო გიმნაზიამ და ვერც ბათუმის ყაზარმებმა. და რომელსაც ორიოდე ადგილას მხოლოდ გრამატიკული უმართებლობა ბღალავს.

ფრანგები ამბობენ, როცა გინდა თქვა — წვიმსო, თქვი — წვიმსო. დავით კლდიაშვილის გმირების ენა იმდენად უბრალო და ბუნებრივია, რომ მკითხველს ჰგონია, ცოცხალი ადამიანების საუბარს ვისმენო. მის სტილში არაფერია ხელოვ-

ნური და ნაძიები. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ მისი აზროვნება თავისუფალია ხელოვნურობისა და მწიგნობრულობისაგან, რომ მას, როგორც მხატვარს, თანდაყოლილი აქვს რაღაც ბავშვური გულუბრყვილობა და ბავშვური სიბრძნე, რომელიც მხოლოდ რჩეულთა ხვედრს წარმოადგენს და რომლის წყალობით ის სხვების მიერ ათასჯერ დანახულსა და განცდილს სრულიად სხვა თვალით ხედავს და სხვა გულით განიცდის. დავით კლდიაშვილის მოთხრობებსა და პიესებს შორის არ მოიპოვება არც ერთი, გარდა მისი მოთხრობისა „წრფელი გული", რომელიც ლიტერატურული იდეებისა და ასოციაციების უშუალო ზეგავლენით იყოს დაწერილი, და ეს მოთხრობა ყველაზე სუსტად უნდა ჩაითვალოს მის მიერ დატოვებულ მემკვიდრეობაში. სხვაგან ის არასოდეს თავის საღ მხატვრულ ინსტინქტს არ ღალატობს, როგორც თავისი მოქალაქეობრივი სინდისისათვის არასოდეს არ უღალატნია, როცა სამხედრო სამსახურის დროს ათასნაირი სიდუხჭირის წინააღმდეგ უხდებოდა უსწორო ბრძოლის წარმოება.

გარდა ნადურისა და დროსტარების ოსტატის, სიმონეთელი გლეხის დათიკა გიორგაძისა, და გარდა ეასტანგ მეფის კანონების მცოდნის სიმონა აშოლტიასი, გარდა მჭევრმეტყველი ორატორის ლევანა სირბილაძისა, რომელთაც დავით კლდიაშვილს ადამიანობისა და ქართული ენის პირველი გაკვეთილები მისცეს, მას თავის მემუარებში გამოყვანილი ჰყავს მთელი რაზმი ქართველი იდეური ინტელიგენტებისა, რომელთაც თავიანთი უანგარო თავგამოდებული მუშაობით, თავიანთი მორალური იდეალიზმით ხელი შეუწყვეს ქართველი ერის თვითცნობიერების ზრდას იმ ეპოქაში, როცა ჩვენს სამშობლოს გადაგვარების საფრთხე ემუქრებოდა, როცა უიმედობა საერთო სენად იყო გადაქცეული და ზოგიერთი გადაგვარებული კეთილისმყოფელი ჩვენი ხალხის გადაშენების აუცილებლობას თეორიულადაც კი ასაბუთებდა. თუ ეს პროგნოზი არ გამართლდა, თუ ჩვენი წინა თაობების სკეპტიციზმი დღეს ქართველი ერის აღორძინების რწმენამ შესცვალა, ამაში წილი უდევთ იმ თავმდაბალ ქართველ ინტელიგენტ მოღვაწეებსაც — ნიკო ლომოურებს, ლუკა ასათიანებს, გრიგოლ ეოლსკებს, ნიკო ცხვედაძეებს და მრავალ სხვას, რომელთაც დავით

კლდიაშვილს წინსვლა გაუადვილეს ცხოვრების ძნელ გზაზე.

დავით კლდიაშვილის ნაწერებში მომავალი თაობები იპოვნიან არა მარტო შეუბღალავ ესთეტიკურ სიამოვნებას, არამედ უხვ წყაროსაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს გასაცნობად. ამ რეალისტი მხატვრის შემოქმედება საქართველოს ერთი უდიდესი პროვინციის საზოგადოებას ასახავს რევოლუციის წინა პერიოდში; მაგრამ ის პროვინციის მემატიანე არაა, რასაკვირველია. როგორც ყველა ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედება, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაც სცილდება ეპოქისა და ტერიტორიის ვიწრო ფარგლებს, იგი ღრმად ნაციონალურია და როგორც ყოველი ნაციონალური ხელოვნება, ზოგადად ადამიანურიც. განა ოტია ქამუშაძე, დარისპან ქარსიძე, სოლომონ მორბელაძე, ბეკინა და პლატონ სამანიშვილები, ქეიფისა და მხიარული დროსტარების არტისტი კირილე მიმინოშვილი ვიწრო პროვინციული ტიპები არიან? განა მათ, წმინდა იმერულ თვისებებს გარდა, ქართული ეროვნული და ზოგადი ადამიანური თვისებებიც არა აქვთ? განა „ირინეს ბედნიერება“ ზოგადი ადამიანური დრამა არ არის? ამაშია დავით კლდიაშვილის სიძლიერე, რომ მან კონკრეტულ ცხოვრების პირობებში დაინახა არა მარტო ის, რაც დროებითი და სწრაფ წარმავალია, არამედ ისიც, რაც ყოველი კულტურული ეპოქის ადამიანისათვის მახლობელი და გასაგებია; მან მოგვცა არა მარტო იმპრესიონისტული სურათები, არამედ ჭეშმარიტად რეალისტური პორტრეტები, რომელთა საღებავები დიდხანს არ გახუნდება „შემოდგომის აზნაურების“ უკანასკნელი წარმომადგენლების გაქრობის შემდეგაც.

თავისი აზროვნებისა და სტილის ორიგინალობის წყალობით დავით კლდიაშვილს უმტკიცესი პოზიცია უჭირავს ახალ ქართულ ლიტერატურაში. დიდი ქართველი რეალისტი მწერლების რაზმიდან ის ყველაზე უფრო მკვეთრად უპირისპირდება ფეოდალური ეპოქის მწერლებს. ბევრ დიდ ღირსებასთან ერთად, რომელიც ფეოდალური ეპოქის ქართველ მწერლობას ახასიათებს, მას აქვს ერთი თვისება, რომელიც დღეს ჩვენ, საბჭართლიანად თუ უსაბმართლოდ, მის მთავარ ნაკლად გვეჩვე-

ნება. ზოგიერთი კლასიკოსის გამოკლებით, ეს მწერლობა შედარებით ნაკლებ ინტერესს იჩენს რეალური ცხოვრების მოვლენებისადმი, შედარებით მკრთალად ასახავს კონკრეტულ საგნებს, ვერ იძლევა ინდივიდუალურად გამოკვეთილ პორტრეტებს. ის უფრო მონუმენტურობისკენ არის მიმართული, მას უფრო ზოგადი მოვლენების და ტიპიური ხასიათების ასახვა ეადვილება, უფრო გმირობის, მშვენიერების, რელიგიური აღფრთოვანების, სიყვარულის იდეების გამოხატვა აინტერესებს, ვიდრე მათი გამოვლინება ემპირიული საგნების ქვეყანაში. სინათლე და სიბნელე, ბოროტება და სიკეთე, სათნოება და სიდუხჭირე ერთიმეორისადმი მკვეთრადაა დაპირისპირებული; ადგილი აღარ რჩება ტონებისა და ნახევარ ტონებისათვის, გარდამავალი ფერებისა და ნახევარ ჩრდილებისათვის; ადგილი აღარ რჩება აგრეთვე სულიერი განცდის ნიუანსებისათვის. თუ ქალი ლამაზია, მას აღარაფერი აღარ აკლია, არც მარგალიტის კბილები, არც ბროლის მკერდი, არც მელნის ტბის მსგავსი თვალები, არც შავ ინდოთ რაზმის მსგავსი წამწამი; ყოველი მეფე შემმართებელი და ჰაეროვანია, ყოველი გმირი თუ რაინდი ვეფხვებს ხოცავს კატასავით, ყოველი სიყვარული ბნედაში გადადის, ყოველი რელიგიური განცდა — მარტვილობაში. შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი სოციალური წრე და ყოფა-ცხოვრების დეტალებიც.

ფეოდალური ეპოქის ლიტერატურის ეს თავისებურება, უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია, ქრისტიანული აზროვნების გავლენით აიხსნება; ამ აზროვნებისათვის ემპირიული ქვეყანა მხოლოდ შესავალია, მხოლოდ პრელუდიაა ნამდვილი არსებობისა, რომელიც სიკვდილის შემდეგ იწყება; ამიტომ ამქვეყნიურ საგნებს მისთვის მხოლოდ შედარებითი ღირებულება აქვს. მეორე ფაქტორი, რომელიც ძველ ქართულ ლიტერატურაზე იმავე მიმართულებით მოქმედებს, წმინდა სოციალური ხასიათისაა. ფეოდალური ქართველი საზოგადოება ნაკლებ დიფერენცირებულია, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ქართველი საზოგადოება, მასში ჯერ კიდევ ძლიერია გვაროვნული წესწყობილების ნაშთებიც. იქ ადამიანი ადამიანს უფრო ჰგავს ჩაცმულობითაც, ცხოვრების წესითაც, სულიერი განცდითაც; ის ნაკლებაა გამოთიშული დიდი სოციალური

ერთგულებიდან, გვარიდან, თემიდან, საამქროდან, წოდებიდან, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის ადამიანი. ამიტომ მისი ინდივიდუალობაც ნათლად არა ჩანს ხელოვნებაში. მესამე ფაქტორი ლიტერატურული ხასიათისაა: მეთორმეტე საუკუნის დასაწყისიდან ქართველმა ფეოდალურმა ხელოვნებამ მაჰმადიანური, კერძოდ სპარსული ხელოვნების ძლიერი ზეგავლენა განიცადა, მაჰმადიანურ მსოფლიოში კი დედაკაცი უცხო მამაკაცს მხოლოდ პირბადეჩამოფარებული ეჩვენებოდა, ამიტომ ეს ხელოვნება მოკლებული იყო ინდივიდუალური პოეტური შთაგონების ერთ მთავარ წყაროს, სახელდობრ ლამაზი ქალის სახეს.

მეცხრამეტე საუკუნის რომანტიკოსმა და რეალისტმა ქართველმა მწერლებმა ნაწილობრივ შეინარჩუნეს, ხოლო ნაწილობრივ დაარღვიეს ძველი ქართული ლიტერატურის ტრადიციები და შეიმუშავეს ახალი მხატვრული მეტყველება, უფრო ელასტიური, უფრო ნიუანსირებული, უფრო გამოსადეგი თანამედროვე ადამიანის გარეგნობისა და სულიერი ცხოვრების გადმოსაცემად. ამ დიდი რეფორმისტ მწერლების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, გიორგი ერისთავის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის და სხვათა გვერდით სინამდვილის ფანატიკოსს დავით კლდიაშვილს დიდად საპატიო ადგილი უჭირავს.

1940

ნიკო ფიროსმანი

ნიკო ფიროსმანი არ შეიძლება ქართული მხატვრობის რეფორმატორად ჩაითვალოს: მას კულტურა აკლდა, რეფორმატორს კი იმ კულტურის ნათელი შეგნება უნდა ჰქონდეს, რომლის წინააღმდეგ აჯანყებას იწყებს. მაგრამ ის დუქნებში მოხეტიალე მხატვარი საქართველოს მხატვრულ ატმოსფეროში სუნთქავდა, და მისი შემოქმედება დაუმუშავებელ, მაგრამ ნო-

ყიერ ნიადაგს წარმოადგენს მომავალი ფერ-მწერალი რეფორმატორისთვის.

მას არავითარი სკოლა რა გაუვლია, არც აკადემიის, არც მუზეუმის, არც ატელიესი; არ შეუსწავლია არც სანიმუშო მხატვრული ტილოები, არც მხატვრული კედლები; მან ქვეყანას უშუალოდ შეხედა, ამიტომ მის მხატვრულ ხილვას გასაოცარი გულუბრყვილობისა, მოულოდნელობისა და პირველყოფილობის ბეჭედი აზის. ის ხშირად არღვევს პერსპექტივის კანონებს, მისი სურათი პრიმიტიულია, მაგრამ მას ფერების მძაფრი შეგრძნება აქვს: მას უყვარს შავი ფერი, ჩალისფერი, ყვითელი, მუქი ლურჯი, ღვინის ფერი და თეთრი; სხვა ტონებს იშვიათად ხმარობს. ხატავს უბრალოდ, ძალდაუტანებლად, უძლიერეს მხატვრულ ეფექტს უმარტივესი საშუალებით აღწევს. ხატავს თუნუქზე, კარტონზე, უფრო ხშირად შავ მუშამბაზე და, როცა თალხი ფერი სჭირდება, მუშამბაზე თავისუფალ ადგილს სტოვებს. ორიოდე ხაზის მოსმით იძლევა ცხვრის ფარის შთაბეჭდილებას, მთის პეიზაჟს ან ადამიანის გამომეტყველებას. ერთ გრძელ ტილოზე მთელი ამბავი აქვს მოთხრობილი: თავადიშვილების ქეიფი გაშლილ მინდორში, საფქვავის მიტანა სოფლის წისქვილში, მლოცველების გამგზავრება ჩარდახიანი ურმებით, ყაჩაღების მიერ მგზავრის გაძარცვა, ჩაფრების განგაში, დღეობა ეკლესიის ეზოში. ამ მარტივი საშუალებებით ის იძლევა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ეთნოგრაფიულ სურათს.

ჩვენ ძლიერ ცოტა ვიცით მისი პიროვნების შესახებ; ფიროსმანი არ ეძებდა მყიდველებს, არ ეძებდა პოპულარობას; როცა საზოგადოებამ მისდამი ინტერესი გამოიჩინა, იგი უკვე გარდაცვლილი იყო. მაგრამ როგორც ჩანს, თავისებური ინტელექტი და მძლავრი ნებისყოფა ჰქონდა და უფრო ხელოვანი იყო, ვიდრე ოსტატი. თითქმის ყველა მისი სურათი გამოუთქმელი ლირიზმითაა გამსჭვალული, ის იშვიათად ეძებს დრამატულ სიუჟეტებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოსტატობის უქონლობა ხანდახან იმდენად აშკარად ჩანს, რომ შეურაცხყოფას აყენებს გაფაქიზებულ გემოვნებას.

ზოგიერთი მისი პორტრეტი, როგორც, მაგალითად, მეეზოვე, ეს სიმბოლური ფიგურა ძველი რუსული პოლიციური

რეჟიმის უაზრობისა, დიდი დაკვირვების ნიჭს მოწმობს, დიდ რეალისტურ ალღოს სინამდვილის ასახვაში. მაგრამ ამის გვერდით მას აქვს სურათები, რომელნიც იაფფასიანი პლაკატების შთაბეჭდილებას ახდენენ.

ფიროსმანი ყოველმხრივ მიუდგა საქართველოს. მას აქვს მშვენიერი პორტრეტები ადამიანებისა და ცხოველებისა, რომელნიც ისევე ინდივიდუალურად არიან დახასიათებულნი, როგორც ადამიანები. აქვს პეიზაჟები, განსაკუთრებით დამახასიათებელი აღმოსავლეთ საქართველოსთვის, დამტვრეული მთების სილუეტებითა და შეყვითლებული მოლით, რომელნიც შეუდარებელ ფონს წარმოადგენენ მისი ფიგურებისთვის. ორი ნატიურმორტი, რომელიც მის პირველ აღმომჩენლებსა და დამფასებლებს, ზდანევიჩსა და დიმიტრი შევარდნაძეს ეკუთვნის, შედევრად უნდა ჩაითვალოს ზოგიერთი შეცდომისა და შეუსაბამობის მიუხედავად. ერთი მათგანი, სადაც გულაღმა გადაბრუნებული დედალი, მწვადები, შოთის პური, ყანწი და ტიკია გადმოცემული, ქართული დამახასიათებელი ნატურმორტის საუკეთესო მიღწევაა. მეორე, რომელზედაც ტიკი, დოქი, ლალისფერღვინიანი ჭიქები, გაჭრილი საზამთრო, ყურძენი და თევზია დახატული, შეუდარებელია ფერების შეხამების მხრივ.

მაგრამ ყველაზე მეტად მას მოქეიფე ჯგუფების გადმოცემა უყვარდა, ნადიმი, ამ სიტყვების ქართული მნიშვნელობით. იგი იძლევა ასეთი ლხინის დაუსრულებელ ვარიანტებს, უმეტეს შემთხვევაში გაშლილ ჰაერზე, ვენახში, ყურძნის თაღის ქვეშ, მინდორში, მთებსა და მდინარის ფონზე ან ქალაქის განაპირა დუქანთან. ეს ადამიანები ყოველთვის ერთ რიგში სხედან ყანწებით და ჭიქებით ხელში, ხშირად მათ ჯგუფს მოკრძალებული მედუქნის, მზარეულის ან მოხეტიალე მუსიკოსის ფიგურა აცხოველებს. ყველგან ჩანს ტრადიციული ქართული ლხინის შინაგანი დისციპლინა, ის დარბაისლობა და თავდაჭერილობა, რომელიც ჯერ კიდევ მეჩვიდმეტე საუკუნეში აკვირვებდა ჩვენებური ნადიმის უცხოელ მნახველს და აღმწერელს კავალერ შარდენს. და როცა ამ სახეებს უცქერით, გრძნობთ, რომ ფიროსმანმა, მხატვრული ინტუიციის შემწეობით, ქართველი ადამიანი დაიჭირა იმ მომენტში, როცა იგი უფრო ქართ-

ველია და უფრო ადამიანი, როცა იგი არ ჰგავს არც თურქს, არც ირანელს, არც სხვა მეზობელს, რომელსაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მასთან ურთიერთობა ჰქონია, როცა იგი შეუგნებლად ბერძნებისა და რომაელების ბანკეტის ტრადიციებს განაგრძობს.

1935

ლადო მესხიშვილი

(დაბადებიდან ასი წლისთავის გამო)

ჩემთვის რომ ეკითხათ, როგორ შეიძლება ორიოდე სიტყვით გამოითქვას, რაში მდგომარეობდა ქუთაისის თეატრის თავისებურება, როდესაც მას ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდაო, მე ვიტყოდი: ეს იყო ჰეროიკული თეატრი, ეს იყო რეალისტური თეატრი ძლიერი რომანტიკული განხრითმეთქი. შემდეგ ეს იყო ნათლად გამოკვეთილი არტისტული ინდივიდუალობის თეატრი, ის ორ დედაბოძზე იყო დაყრდნობილი. ორი ძლიერი ტრაგიკული ნიჭის მსახიობზე: ერთი იყო თვით მესხიშვილი, მეორე — ნინო ჩხეიძე; უფრო გვიან მათ ალექსანდრე იმედაშვილი შეუერთდა. გარდა ამ კორიფეებისა, ქუთაისის თეატრს რამდენიმე საუცხოო მსახიობი ჰყავდა: ვასო ბალანჩივაძე, შ. დადიანი, დ. ჩარკვიანი, თ. თუთბერიძე, მარო მდივანი და სხვა.

ცნობილია, რომ თეატრის ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი მაყურებელია, და წარმოდგენის წარმატება თუ მარცხი დიდადაა დამოკიდებული სცენის და აუდიტორიის კონტაქტზე და ამ უკანასკნელის კულტურაზე. ვინ სხდებოდნენ ქუთაისის თეატრის პარტერში? იმდროინდელი საუკეთესო ინტელიგენტები, გიორგი ზდანევიჩი, დავით მიქელაძე (მეველე), იოსებ ბაქრაძე, გიორგი შერვაშიძე, იოსებ ოცხელი და სხვ. მათ რიგებს ქუთაისის ინტელიგენციის პატრიარქი, ილიას და

აკაკის მეგობარი, კირილე ლორთქიფანიძე ამშვენებდა თავისი ბიბლიური თეთრი წვერით. ხანდახან პარტერში აკაკი წერეთელი და გიორგი წერეთელიც გამოჩნდებოდნენ. არ მგონია, რომ იმ დროს რომელიმე თეატრს რუსეთში ან უცხოეთში უფრო მაღალკვალიფიციური აუდიტორია ჰყოლოდეს. რაც შეეხება ქუთაისის თეატრის ლოჟებს, ისინი ნამდვილ ყვავილწნულებს წარმოადგენდნენ, იქ უმშვენიერეს ქალებს უმშვენიერესი ვაჟკაცები ენაცვლებოდნენ.

დღევანდელ ქუთაისის თეატრის შენობასთან შედარებით იმდროინდელი თეატრის შენობა ერთ მოზრდილ ალაჩუხად გვეჩვენებოდა. დარბაზი ნავთის სანათურებით ნათდებოდა, ხოლო სცენა — ასაწევ-დასაწევი რამპით. ერთი და იგივე დეკორაცია ელსინორის ციხე-დარბაზსაც წარმოადგენდა და თბილისის მეტეხსაც; ერთსა და იმავე გრძელ ტოგებს რომაელი პატრიციებიც ატარებდნენ, ვენეციელი სენატორებიც და მეფე ლირის კარისკაცებიც; ტრადიციული ქართული ქულაჯა გამოსადეგად ითვლებოდა როგორც ანდუყაფარ დიდებულიძისა, ისე ლევან ხიმშიაშვილისა და ოტია ჯოლიასათვის. თუ სპექტაკლი რაიმე სამხედრო მარშის შესრულებას მოითხოვდა, ჩნდებოდა ადგილობრივი პოლკის ორკესტრი, უპირატესად ტრომბონებისა, კონტრაბასებისა და დაფდაფებისაგან შემდგარი: ვერავითარი ივრიქონის კედლები ვერ გაუძლებდა მათ მიერ ატეხილ ხმაურობას. მაგრამ ამ ალაჩუხს ყოველთვის ლადო მესხიშვილის გენია ანათებდა და ნინო ჩხეიძის მელოდიური ხმა აესებდა.

დღევანდელ მაყურებელს, რომელიც შეჩვეულია მსახიობთა კოლექტივის და რეჟისორის მიერ მკაცრად შეკრულ სპექტაკლს, მდიდარ დეკორაციას, სინათლის და სიბნელის კონტრასტებს, პიესის აზრთან და მსახიობის განცდებთან შეთანხმებულ მუსიკას, ქუთაისის თეატრის სცენა თითქმის სახალხო თეატრის ფიცარნაგად მოეჩვენებოდა. მაგრამ ამ ფიცარნაგზე ლადო მესხიშვილის, ნინო ჩხეიძისა და მათი პარტნიორების ფიგურები განსაკუთრებით რელიეფურად ჩანდნენ; მათი პლასტიკა კლასიკურად ზომიერი იყო, მათი მიმიკა — უაღრესად მეტყველი, ხოლო მათი დიქცია იმდენად სრულყოფილი, რომ შექსპირისა და შილერის, დიუმას და იბ-

სენის, აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის ტექსტის სიტყვები მკაფიოდ გაისმოდა დარბაზის ყოველ კუთხეში.

ჩვენ, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების და რეალური სასწავლებლის მოწაფეებს, შეგვეძლო მხოლოდ თეატრის ბალკონზე დავმსხდარიყავით, ან ქანდარაზე დავმდგარიყავით; მაგრამ სიამოვნება წამწარებული გვქონდა, იმიტომ რომ სკოლის ადმინისტრაცია გვიკრძალავდა ქართულ წარმოდგენებზე სიარულს და ჩვენ ხშირად იძულებული ვიყავით ქუჩაში ან კიბეზე რომელიმე ფრთხილი ამხანაგი დაგვეყენებია დარაჯად, რათა მას ულმობელი ზედამხედველის მოახლოება ეუწყებია.

ქუთაისი თეატრის და მუსიკის მოყვარულ ქალაქად ითვლებოდა და იქ ხშირად უკრაინის სიმღერის და ცეკვის ანსამბლი მოდიოდა საგასტროლოდ. მახსოვს აგრეთვე გამოჩენილი რუსი ტრაგიკოსი მამონტ დალსკი ჰამლეტის როლში და ძმები რაფაელ და რობერტ ადელგეიმები, რომელნიც განსაკუთრებით კარგად ასრულებდნენ ურიელ აკოსტას და ბენ აკიბას როლებს. სკოლის ადმინისტრაციამ ერთხელ გვირჩია ქუთაისში საგასტროლოდ ჩამოსული პიანისტის გოფმანის კონცერტს დავსწრებოდით; მისი კონცერტიდან ბევრი ვერაფერი გამოვიტანე; ყურადღება მივაქციე მხოლოდ, რომ როდესაც ტაშის დაკვრაზე გამოდიოდა, თავს ოდნავ ხრიდა, ამაყად, თითქოს საზოგადოებას ესოდენ დიდი გენიის მადლობის ღირსად არ თვლიდა. შემდეგ როდესაც რამდენიმე მოწაფე თბილისში წაგვიყვანეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლისთავის დღესასწაულზე დასასწრებლად, საჭიროდ სცნეს თითქმის უშუალოდ სადგურიდან ოპერის თეატრში წაგვესხით, სადაც დაღლილობისაგან ნახევრად თვალებდახუჭულებმა როსინის „სევილიელი დალაქი“ მოვისმინეთ; ამ სპექტაკლიდან მხოლოდ ერთი რამ მახსოვს: გაოცება, რომ მომღერალ ქალს შეუძლია მომღერალი ფრინველის ჭახჭახს წაბაძოს.

ქუთაისის თეატრი ჩემი დროის ახალგაზრდობისათვის, რასაკვირველია, არ იყო მარტოოდენ დასვენების და გართობის ადგილი: იქ ჩვენ ესთეტიკურ აღზრდასთან ერთად მორალურ და პატრიოტულ გაკვეთილებსაც ვღებულობდით. ლადო მესხიშვილი დიდი დიაპაზონის მსახიობი იყო, მას ჰქონდა გარდასახიერების არაჩვეულებრივი ნიჭი. მაყურებელს გასაოცრად

მიაჩნდა, რომ ეს მსახიობი, რომელმაც გუშინწინ ფილოსოფიურად მოაზროვნე ჰამლეტის როლი შეასრულა, გუშინ — გიჟმაჟი ედმონდ კინისა, ხოლო დღეს კეთილშობილი რომაელი რეფორმატორი კაიოს გრაქხის როლს ასრულებდა, ხვალ უბადლო იქნებოდა ფსიქიურად დაავადებული ოსეალდის, თავმოგიჟიანებული ედგარის, კომიკური და ბეჩავი რასპლუევის როლში. აღარას ვამბობ მის შეუდარებელ ფრანც მოორსა, მის ურიელ აკოსტასა, მის ოტელოზე. ჩვენ გვხიბლავდა მისი ინტელექტის ძალა, მისი ტემპერამენტი, ჩვენ ვამაყობდით აგრეთვე, რომ ჩვენი გამოჩენილი თანამემამულე თამამი და ქედმოუხრელი მოქალაქე იყო. სიამაყის გრძნობა კი, როგორც ცნობილია, პატრიოტული შეგნების პირველი გამოვლინებაა.

საკმაო იყო ლადო მესხიშვილი სცენაზე გამოჩენილიყო და თავისი გაბზარული ხმით პირველი სიტყვები წარმოეთქვა, რომ მთელი თეატრი ტაშის გრიალით შეზანზარებულიყო. შემდეგ სამარისებული დუმილი მყარდებოდა: ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ დიდმა ტრაგიკოსმა თავისი დიდი ნებისყოფით დაიპყრო აუდიტორია, ეს აუდიტორია თითქო ერთ მთლიან არსებას წარმოადგენდა. ეს მჭიდრო კონტაქტი მსახიობსა და მაყურებელს შორის აღარ ირღვეოდა არც მღელვარე დიალოგების, არც მონოლოგების, არც მშვერმეტყველი პაუზების დროს. ამ პაუზებს შორის განსაკუთრებით სახელგანთქმული იყო მისი ხანგრძლივი პაუზა ჰაუპტმანის „ავადმყოფ ადამიანებში“, როდესაც სულგანაბულ თეატრში მხოლოდ ლადო მესხიშვილის სუნთქვა ისმოდა.

ლადო მესხიშვილი ეკუთვნოდა იმ მოღვაწეების რიცხვს, რომელთაც თავიანთი მხრებით ქართული კულტურის მძიმე ტვირთი ზიდეს, როდესაც ჩვენი სამშობლო დაჩაგრული და აბუჩად აგდებული იყო, და ის ახალი ეპოქის მიჯნამდე მოიტანეს. და დღეს, მისი დაბადების ასი წლისთავზე, ქართველი საზოგადოება ვალდებულია იზრუნოს, რომ მისი ნეშტი გადატანილ იქნას მთაწმინდის პანთეონში, სადაც მის დიდ თანამებრძოლებს სძინავთ.

1957

თედო სახოკიას ხსოვნას

თედო სახოკიას და მის მეგობრებს, ეგნატე ნინოშვილს, შიო არაგვისპირელს, ვასილ ბარნოვს ძალიან მძიმე პირობებში მოუხდათ სამოქმედო ასპარეზზე გამოსვლა. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში რუსეთის მთელ იმპერიაში თითქოს დიდი ხნით პოლარული ღამე დამყარდა. თვით ყველაზე გულგაუტეხელ ადამიანებს შეიძლებოდა ჩვენებოდა, რომ ყოველი ბრძოლა ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად ამაო იყო და ერთ-ერთ კეთილგონიერ პოლიტიკას მორჩილების და შეგუების პოლიტიკა წარმოადგენდა.

თედო სახოკია არ ეკუთვნოდა ამ კეთილგონიერი პოლიტიკოსების რაზმს. როდესაც ის ფიზიკურად და სულიერად დავაჟკაცდა, დაინახა, რომ მისი სამშობლოს სახელი წაშლილი იყო პოლიტიკური გეოგრაფიის რუკაზე, ქართული ენა განდევნილი იყო ადმინისტრაციული დაწესებულებებიდან, სასამართლოდან, საშუალო სკოლიდან. მეფის მთავრობა ერთმანეთს უპირისპირებდა ქართულ-კახელებს, იმერლებს, მეგრელებს, აფხაზებს, შემუშავებულ იქნა პროექტი, რომლის მიხედვით ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ენა უნდა გაძევებულიყო სამეგრელოს ეკლესიებიდან, ხოლო დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ნაწერები ამოღებულიყო პირველდაწყებითი სკოლების პროგრამიდან. თედო სახოკია უშიშრად და შეუდრეკლად შეებრძოლა ამ უკუღმართ პოლიტიკას და მისი დამსახურება ქართველი ერის მთლიანობის და თვითშეგნების განმტკიცებაში დაუფასებელია. და ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავის უანგარო შვილის ამ ღვაწლს.

თედო სახოკია ღარიბ ქოხში დაიბადა, მაგრამ ამ ქოხში ძლიერი იყო ქართული კულტურის ტრადიციები. თავისი ბავშვობის და ჭაბუკობის ამბები მან მოგვითხრო მოგონებათა წიგნში, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა. თავისი გასაოცარი ენერგიის წყალობით მან ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შესძლო თითქმის მთელი დასავლეთ ევროპის შემოვლა და ფრანგული, ინგლისური და იტალიური ენების შესწავლა. ქართული

ლიტერატურა მან რამდენიმე შესანიშნავი თარგმანით გაამდიდ-
რა, მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბოკაჩიოს
„ნოველები“, ვოლტერის „უმანკო“, ვიქტორ ჰიუგოს „სიკვ-
დილმისჯილის უკანასკნელი დღე“, ვაზოვის „დამონებული“,
მოპასანის „რჩეული მოთხრობები“, ანრი ბარბიუსის „ცეცხ-
ლი“ და სხვა.

ქართული ენის და ლიტერატურის ღრმა ცოდნას მოწმობ-
და მისი ლექსიკოლოგიური მუშაობა, რომლის ნაყოფი იყო
„ხატოვან სიტყვა-თქმათა“ სამი ტომი. რაც შეეხება თედო სა-
ხოკიას მოგზაურობის დღიურს, სადაც წარსული საუკუნის მი-
წურულის გურიის, აჭარის, სამურზაყანოს და აფხაზეთის აღ-
წერაა მოცემული, შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტური
პროზის საუკეთესო ნიმუშია. ამ წიგნში ავტორმა გამოამჟღავ-
ნა დიდი ცოდნა ქართველი ერის ისტორიისა და ეთნოგრაფი-
ისა, დიდი სიყვარული ქართველი ხალხისადმი და ადამიანე-
ბის, საგნების უებრო ხატვის ნიჭი, რის წყალობითაც მრავალი
ფურცელი წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

თუ საქართველოში და დასავლეთ ევროპაში თედო სახო-
კია თავისი მეგობრების დახმარებით მოგზაურობდა, ციმბირ-
ში, როგორც თვითონ ხუმრობით ამბობდა, რუსეთის მეფის
ხარჯზე იმოგზაურა. მაგრამ ციმბირის ციხეებს მან თავი დაალ-
წია და რამდენიმე წელიწადი რუსეთის დიდ რევოლუციამდე
ემიგრაციაში გაატარა.

ძვირფას თედოს პირველად ნაციონალური და სოციალური
თავისუფლებისათვის ბრძოლებით სახელგანთქმული ბელგიის
დედაქალაქ ბრიუსელში შეეხვდი. ვერც ციმბირს, ვერც ემიგ-
რაციაში ყოფნას იგი ვერ მოედრიკა. მას ურყევი ნიადაგი ეპო-
ვა ამაღლებული იდეალების სიწმინდეში. რა დროსაც უნდა
შეესულიყავი მის სტუდენტურ ოთახში, თუნდ დილაადრია-
ნად, პატარა ტაბელ-კალენდარზე ის დღე უკვე წაშლილი ჰქონ-
და, თითქოს უკვე განელილი ყოფილიყოს. ხოლო, როდესაც
ერთხელ ვუთხარი, შე კაცო, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ
ესაა დაიწყო, შენ კი უკვე გადაგიხაზავს-მეთქი, მიპასუხა: ემი-
გრანტისთვის, რომელსაც სამშობლოში დაბრუნების ნატვრა
სტანჯავს, ყოველი ახალგათენებული დღე უკვე განელილი
დღეაო... იგი მზად იყო, სიცოცხლის დღეები შეემოკლებინა,

ოღონდ საქართველოში დაბრუნებას ღირსებოდა. და მაშინ ჩემთვის გასაგები გახდა ძველი ათენელების სამართალი, რომლის მიხედვით სამშობლოდან გაძევება და სიკვდილი თანაბარ სასჯელად ითვლებოდა.

1959

მოგონება მიხეილ ჯავახიშვილზე

პირველად მიხეილ ჯავახიშვილს 1910 წლის შემოდგომაზე შევხვდი მეტეხის ციხეში. რაღაც შინაურულად, მყუდროდ იყო მოწყობილი საკანის კუთხეში და ყოველთვის აუჩქარებლად საშინაო ფლოსტებით გამოდიოდა შუადღის სეირნობაზე. მკითხველ საზოგადოებაში ის უკვე ცნობილი იყო რამდენიმე მოთხრობით, სადაც მშვენიერი ქართული ენით პატარა ადამიანების ცხოვრება ჰქონდა აღწერილი. ის ძალიან საინტერესო მოსაუბრე იყო: განცდილ ამბებს გადმოსცემდა როგორც დაკვირვებული ადამიანი, რომელიც შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული. ჯავახიშვილი გამხდარი იყო, გამოცდელად იცქირებოდა სათვალედან; ნაყვავილარი სახე და მაღალი შუბლი ჰქონდა და მახვილ ჭკუასთან ერთად რაღაც ბავშვურ გულუბრყვილობას აერთებდა. მას გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა: რუსულ-ქართული ჟარგონი, დამახინჯებული ქართული წარწერა მაღაზიის აბრაზე ან დაწესებულების ფასადზე თითქოს პირად შეურაცხყოფას აყენებდა. შეიძლება მისი მტკივნეული პატრიოტიზმი იმითაც აიხსნებოდა, რომ საქართველოს განაპირა პროვინციიდან წარმოსდგებოდა, მარაბდის რაიონიდან, სადაც ქართველ ხალხს ყველაზე მეტი სისხლი დაუღვრია მტრის ურდოებთან ბრძოლაში.

მიხეილ ჯავახიშვილს არც იალტის სამეურნეო სასწავლებელი დაუსრულებია და არც სორბონის კურსი. ამისდამიუხედავად თანამედროვე რუს და ქართველ მწერლებს შორის არავის ჩამოუვარდებოდა განათლებით. სიუჟეტის განვითარება,

ტიპიური მოვლენების დანახვა და ასახვა ისე ეხერხებოდა, როგორც ყველაზე გამოჩენილ თანამედროვე ოსტატებს ეხერხებათ. მისი კვაჭი კვაჭანტირაძე, ჯაყო, დამპატიჟე ძალიან რელიეფურად არიან დახატული, ისინი საზოგადო სახელებად იქცნენ. ესეცაა, რომ ხშირად მკითხველი ძალაუნებურად იფიქრებს „ჯაყოს ხიზნებისა“ და „მუსუსის“ ავტორს პარიზში ალბათ, ბევრი უსეირნია ტამპლის და კაპუცინების ბულვარზე და ხშირად შეუხედავს მონმარტრის კაფეებშიო.

მიხეილ ჯავახიშვილი თითქოს ჩქარობდა გამოეთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა და რადგან მისი ოსტატობა მისი მდიდარი ცხოვრების გამოცდილების სიმაღლეზე იდგა, ათი-თორმეტი წლის განმავლობაში გამოაქვეყნა რამდენიმე რომანი და ნოველა, რომლებიც უდავოდ დიდხანს დარჩებიან ქართული მხატვრული ლიტერატურის სალაროში.

1960

პაოლო იაშვილი

პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შევხვდი. 1913 წლის ზამთრის და 1914 წლის გაზაფხულის თვეები პარიზის არტისტური ბოჰემისა და სტუდენტობის სამფლობელოში—ლათინურ უბანში გავატარე; პაოლო იაშვილიც ამავე უბანში ცხოვრობდა. მას ოთახი პანთეონის მახლობლად ეჭირა ესტრაპადის ქუჩაზე. ამ ქუჩის სახელწოდება, უეჭველია, იქიდან წარმოდგება, რომ აქ წინა საუკუნეებში წამების იარაღი ესტრაპადი იდგომებოდა. ეს იარაღი უცნობი იყო ძველ საქართველოში, ხოლო რუსები მას დიბას ეძახოდნენ. წარმოიდგინეთ ძალიან მაღალი სახრჩობელა; ზედა კადონზე რკინის რგოლი იყო მიმაგრებული, მასში გრძელი თოკი იყო გაყრილი. ამ თოკის ერთი თავი მობმული ჰქონდა ხელ-ფეხშეკრულ დამნაშავეს, ხოლო მეორე თავი ჯალათს ეჭირა ხელში: ის თავის მსხვერპლს რამდენჯერმე სულ მაღლა სწევდა, ხოლო შემდეგ თოკს ხელს

უშვებდა, რაიცა მის მიწაზე დანარცხებას და ტანჯვით სიკვდილს იწვევდა.

პაოლო იაშვილი და მე ჩვენს ქართველ მეგობრებთან ერთად ბევრი მხიარული საღამო გაგვიტარებია ამ მშმუნვარე სახელწოდების ქუჩაზე. პაოლო იაშვილი კარგი კულინარი იყო, მაგრამ საყასბოში ცხენის ხორცს ვერ არჩევდა ძროხის ხორცისაგან. რაც შეეხება ერთი ბოთლი იაფფასიანი ღვინის ან შამპანიურის ყიდვას, დიდი დეგუსტატორის ნიჭი არ სჭირდებოდა.

ამ შეხვედრების დროს, სხვათა შორის, ხშირად მოგვიგონია ფრანაუა ვიონის ლექსები, სადაც ეს ყველა მოხეტიალე და მოუსვენარი პოეტების წინაპარი გონებამახვილად დასცინის ჯალათებს და მათ მიერ აღმართულ სახრჩობელებს. პაოლო იაშვილს უყვარდა აგრეთვე პოლ ვერლენის ძეგლის გვერდით ჯდომა ლუქსემბურგის ბაღში და შადრევნის აუზში მობანავე ბეღურების ცქერა; რაღაცას ნათესაურს პოულობდა ამ ბავშვივით გულუბრყვილო მაგრამ ბიწიერ პოეტსა და უწყინარ ფრინველს შორის: „ბოროტი ქარი მატარებს აქეთ და იქით მკვდარ ფოთოლივით". პაოლო იაშვილი თავისი გულთბილობისა და თავისი ხელგაშლილობის წყალობით ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს, თვით ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა. მან პარიზში რამდენიმე ფრანგი მხატვარი და პოეტი გაიცნო, მათ შორის იმ დროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი იყო გიიომ აპოლინერი, რომელიც სიმბოლიზმიდან ფუტურიზმზე გადავიდა, ხოლო ბოლოს, მგონია, სიურრეალისტებს დაუახლოვდა.

მაგრამ იმდროინდელი პარიზელი დეკადენტი და სიმბოლისტი პოეტების ფიქრთა მფლობელად უფრო შარლ ბოდლერი ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა ვინმე. როგორც პეტრარკამ თავის ლაურასადმი მიძღვნილი სონეტებით ჰუმანიზმის და რენესანსის ეპოქა გახსნა პოეზიის დარგში, ისე უსირცხვილო მულატ ქალზე, „შავ ვენერაზე", კატორღელივით მიჯაჭვულმა ბოდლერმა თავისი „ბოროტების ყვავილებით" დეკადენსის ეპოქა ასახა ევროპული პოეზიის განვითარებაში. მის პატარა პროზაულ პოემებში, მის ლირიკულ ლექსებში, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ფორმის მხრივ კლასიკურად სრულყო-

ფილ სონეტებს უჭირავთ, ინდივიდუალიზმის ღრმა კრიზისი იგრძნობა. თუმცა შარლ ბოდლერი 1848 წლის თებერვალში და ივნისში ბარიკადებზე მეშათა კლასის მხარეზე იბრძოდა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ის ბოლომდე არტისტული ბოჰემის, დენდიზმის და სატანიზმის მოცქეული დარჩა. და შეიძლება ითქვას, რომ ის ყველაზე დამახასიათებელი ფიგურაა ჯოჯოხეთის ცეცხლით განათებულ პარნასზე. „ჩემი სული გაბზარულია და როდესაც დაჯავრიანების წუთებში მას სურს თავისი სიმღერებით ღამეების ცივი ჰაერი აავსოს, მისი ჩახლეჩილი ხმა ემსგავსება იმ დაჭრილი მეომრის ხრიალს, რომელიც სისხლის ტბის პირას დავიწყებიათ მიცვალებულთა დიდ გროვაში და კვდება საშინელ კრუნჩხვაში“. ეს სიტყვები ამთავრებს ბოდლერის სონეტს „გაბზარულ ზარს“, რომელიც საუცხოო იდილიური სურათით იწყება: ზამთრის ღამეში ანთებული ბუხრის წინ მჯდომარე, შორეულ მოგონებებში წასულ ადამიანს მწუხრის ზარების რეკა ესმის, ისინი ხალიასიანად მღერიან ნისლიან სივრცეებში. რა კონტრასტია ზემომოყვანილ ტრაგიკულ სტრიქონებთან და რა სულიერ გათიშვას მოწმობს ეს ლექსი!

პაოლო იაშვილის ბოდლერის სონეტებიდან ყველაზე მეტად მისი „დაწყევლილი პოეტის დასაფლავება“ უყვარდა. „იმ საათში, როდესაც უბიწო ვარსკვლავები თავიანთ დამძიმებულ თვალებს დახუჭავენ, ობობა თქვენს საფლავზე სუდარის ქსოვას დაიწყებს, ხოლო გველი თავის წიწილებს გამოჩეკს: მთელი წლის განმავლობაში თქვენს შეჩვენებულ თავზე მგლები და მშიერი კუდიანები იყმუვლებენ“.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულითო. ეს იყო ლამაზი, მაღალი, გრუზათმიანი, შავგვრემანი ჭაბუკი, მას ნარკოტიკები სჭირდებოდა, რათა რეალური სამყაროდან მაცდური მოჩვენებების სამყაროში გადასულიყო. პაოლო იაშვილი ნამდვილი ახლადმოვლენილი ავთანდილი იყო თავის მეგობრებისათვის.

მახსოვს, როგორ იდგა ერთხელ ქუჩაში, სახლის კედელს ზურგმიყრდნობილი, ხალათის ჯიბიდან მუჭა-მუჭა ახლად მიღე-

ბულ ქაღალდის ფულს იღებდა და თავის მეგობრებს აძლევ-
და დაუთელელად. თვითონ კი მუდამ უფულობას განიცდიდა.
მას ძალიან სუსტი წარმოდგენა ჰქონდა ორმაგ ბუღალტერიაზე
და მისი გასავალი ყოველთვის სჭარბობდა მის შემოსავალს. მას
ეადვილებოდა ფულის შოვნა, მაგრამ კიდევ უფრო ეადვილე-
ბოდა ფულის დახარჯვა; უფრო ის ახსოვდა, ვისგან ისესხა, ვიდ-
რე ის, ვის ასესხა; განებივრებული იყო შეძლებული მამის მიერ,
რომელსაც ის სუფრაზე ხშირად გულს უჩუყებდა: შენს ხუთ
ვაჟიშვილში მე იმით გამოვირჩევი, რომ მხვერპლად შესაწი-
რავ მოზვერს ვგავარო.

როდესაც პაოლო იაშვილი უცხოეთიდან სამშობლოში
დაბრუნდა და „ცისფერი ყანწების“ ორდენი დააარსა, მან,
უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალურ
ფიგურას აკაკი წერეთელს შეუტია. ეს გასაგები იყო ახალი
ორდენის ინტერესების თვალსაზრისით. მაგრამ ძნელი ასახსნე-
ლი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების
თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცვე-
ლად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვევად. პაოლო იაშვილის
საუკეთესო ლექსებს გამჭვირვალობა და სიმსუბუქე ახასია-
თებდა, ის საუცხოოდ ფლობდა ქართულ ენას. თვით მისი სამ-
შობლო სოფელი არგვეთი მხოლოდ რამდენიმე კილომეტრით
იყო დაშორებული აკაკი წერეთლის სხვიტორს. თავის სიცოც-
ხლის უკანასკნელ წლებში პაოლო იაშვილმა მშვენივრად გად-
მოთარგმნა პუშკინის რამდენიმე ლირიკული შედევრი, ერთაქ-
ტიანი ტრაგედები და მოთხრობა „ნასროლი“.

პაოლო იაშვილი ძველი დროის რაფსოდიებს და ტრუბადუ-
რებს ჰგავდა: მისი პოეტური ნიჭის დაფასება არ შეიძლება
მარტოოდენ მისი დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. ეს იყო
იმპროვიზაციის ჯადოქარი, რომელიც უწინარეს ყოვლისა აუ-
დიტორიის სმენას ხიბლავდა. მას ვერავინ შეედრებოდა დიდ
სადღესასწაულო სუფრაზე, მისი სიტყვები შინაარსიანი და
გონებამახვილი იყო ერთსა და იმავე დროს, აქ ის თითქო თა-
ვისთავს სჭარბობდა.

როდესაც 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში წითელი
არმიის ნაწილები შემოვიდნენ, პაოლო იაშვილმა მათ იმპრო-
ვიზებული სიტყვით მიმართა თვითმმართველობის ბალ-

კონიდან. დიდი ყურადღება დაიმსახურა ავრეთვე მისმა სიტყვებმა, წარმოთქმულმა კრემლის პოლიტიკურ ბანკეტზე.

პაოლო იაშვილმა შედარებით მცირე ლიტერატურული მემკვიდრეობა დასტოვა.

სიკვდილის წინ პაოლო იაშვილი აღიარებდა, ჩემი უბედურების ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ბავშვობიდანვე არ შემაჩვიეს სისტემატურ მუშაობასო. მართლაც, პაოლო იაშვილისთვის ძნელი აღმოჩნდა უშუალო გადასვლა ძველი საზოგადოებიდან, სადაც შრომა ზოგიერთ წრეში ათვალისწუნებული იყო, ახალ საზოგადოებაში, სადაც შრომა ყველასათვის საპატიო ვალდებულებადაა აღიარებული. ერთ ლექსში, რომელიც უფრო თვითშეგონებას წარმოადგენდა, ვიდრე მორალის ქადაგებას, ის ამბობდა:

ვინც გაიტაცა ახალ თაობამ,
გადაქცეულან რკინის კაცებად,
ნეთუ პოეტებს გვეპატიება
აზნაურული გაზარმაცება?

პაოლო იაშვილის გონებრივი ინტერესების არე შემოფარგლული არ იყო მარტოოდენ ლიტერატურით, ხოლო მისი მეგობრების წრე სცილდებოდა „ცისფერი ყანწელების“ ასოციაციას თუ ის მხატვრის გზას გაჰყოლოდა, შეიძლება გამოჩენილი ოსტატი გამხდარიყო. მან დაუდევარი კალმით ძალიან კარგად გადმოგვცა თავისი მეგობრების ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძის პროფილები; მაგრამ მათ გვერდით დახატული ავტოპორტრეტი მას ნაკლებ ჰგავს.

ერთხელ შემოდგომაზე პაოლო იაშვილი და მე ტყის ქათამზე ვნადირობდით წიწამურის ტყეში, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ამჟამად ილია ჭავჭავაძის ობელისკია ამართული. მშრალი დარი იდგა და ჩვენმა ინგლისურმა სეტერმა ვერც ერთი ტყის ქათამი ვერ წამოაფრინა. შუადღისას დაქანცულობა ვიგრძენით, ერთი ხის ძირში ჩამოვჯექით პატარა ველის პირას და თავის გასართობად ორ-სამჯერ თოფი ვესროლეთ ბუჩქზე მიმაგრებულ თამბაქოს კოლოფს. ორიოდე წუთის შემდეგ დავინახეთ, რომ ტყის სიღრმიდან ორი თოფმომარჯვებული კაცი გვიახლოვდებოდა ფეხაკრეფით. როდესაც ჩვენთან

მოვიდნენ, გვითხრეს, ველზე ბორბალმა ძაღლმა გადაგარჩინათ, თუ შოოიდანვე ის აო დაგვენახა, ეხათუოდ დაგხოცავდითო. საქმე იმაში ყოფილიყო, რომ წინა დღით ყაჩაღებს წიწამურის გზაზე მიმავალი მეუმეები გაუძარცვავთ და მცხეთის მილიციას ტყეში საგანგებო დარაჯები დაეყენებია. პაოლო იაშვილი შემდეგ ხშირად გულწრფელ სინანულს გამოთქვამდა, რომ ის როყიო ტყვიაა მსხვერპლი არ გახდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ადგილას.

ეს ადამიანი, რომელსაც ყველაზე მეტად ჭაღებით განათებული დარბაზები, ტაშებით ახმაურებული აუდიტორია, ბრწყინვალე ბანკეტები და არტისტული ყავახანები უყვარდა, თავისი სიკოცხლის უკანასკნელ წელს ძალიან განმარტოვდა. 1937 წლის ზაფხულში ის ხშირად თავის ბინის ლოჯიაში ჯდებოდა ჯაფარიძის ქუჩაზე და სევდიანად გასცქეროდა მახათის მთის გოლგოთას. ხანდახან ბოტანიკურ ბაღში ადიოდა და ცდილობდა აფორიაქებული სული დაეშოშმინებია თითქმის დამშრალი ჩანჩქერის პირას.

1957

ჩვენი მწიგნობართუხუცესი

თავის მოგონებათა წიგნში, თავის „მარაოში" შალვა დადიანს ერთი პატარა დამახასიათებელი სცენა აქვს აწერილი. ახალგაზრდა შალვა დადიანი თავმომწონედ მიაბიჯებს ქუთაისის ბულვარში. ჩოხა-ახალუხშია გამოწყობილი, წელზე ქამარხანჯალი არტყია, გვერდზე ლეკური ჰკიდია. წინ ხვდება აკაკი წერეთელი, ახედ-დახედავს და ირონიულად ჰკითხავს: — როგორ ცოტნე დადიანივით გამოწყობილხარ? სულ მიატოვე საზოგადოებრივი საქმიანობა, თეატრი, მწერლობა?

ვინც იცის, რა დიდი ავტორიტეტი ჰქონდა აკაკი წერეთელს თავისი დროის მოწინავე ქართველ საზოგადოებაში, ად-

ვილად გაიგებს 'ალვა დადიანის სიტყვებს, — გულმა რეჩხი მიყო და ამის შემდეგ მთელი დღე მოწამლული მქონდაო.

შალვა დადიანის ბედნიერება იმაში მდგომარეობდა, რომ ცხოვრებაში ბევრი საუცხოო მასწავლებელი და მეგობარი შეხვდა: მათ მიმართეს მისი აზროვნება პატრიოტიზმისა, ჰუმანიზმისა და დემოკრატიისაკენ: წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფეოდალური არისტოკრატიიდან წარმოშობილი ადამიანი, ძველი სამეგრელოს საღლების და მსაჯულთუხუცესების ჩამომავალი, ანტიკური არქეოპოლისის და ქუჯის ციხე-სიმაგრეების ჩრდილში აღზრდილი, დღეს ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რიგში არ იდგომებოდა, როგორც საზოგადოებრივი მოღვაწე და როგორც მსატვარი.

არასიდეს არ დამავიწყდება ერთი 'ეხვედრა შალვა დადიანთან. ეს იყო 1914 წლის ზაფხულში. მე გორის სადგურზე ვიდექი და თბილისისკენ მიმავალ მატარებელს ველოდი. როდესაც მატარებელი ჩამოდგა, ბოლოში მიბმული მესამე კლასის ეგზონი გაიღო და იქიდან შალვა დადიანი და მოგზაური დასის მსახიობები გამოვიდნენ. ეტყობოდათ, ძალიან დაღლილები იყვნენ პროვინციაში მოგზაურობით, რაიცა გასაკვირველი არ იყო, ვინაიდან იმ დროს თვით სამაზრო ქალაქებში ხეირიანი სასტუმროები არ არსებობდა და თუ ადამიანს შემთხვევით გულმოწყალე მასპინძელი არ აღმოუჩნდებოდა, მას ღამით უდრტვინველად უნდა აეტანა ყველა ჯურის მწერების შემოტევა.

ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულად აფასებს შალვა დადიანის პიესებს და ბელეტრისტულ ნაწარმოებებს, სადაც ბუერალმა ჩვენი ისტორიული წარსულის და ჩვენი თანამედროვე ცხოვრების დიდი ცოდნა გამოამჟღავნა. მაგრამ ყოველი გემოგახსნილი ადამიანი დიდი სიამოვნების წყაროს აღმოაჩენს მისი წერილების და მოგონებების წიგნებში, სადაც ის დიდი მოკრძალებით და ძალდაუტანებელი ოსტატობით თავისი მასწავლებლების და მეგობრების სილუეტებს ხატავს. ის მოგვითხრობს, რომ მასწავლებლად თავდაპირველად მამამისი ნიკო დადიანი ჰყოლია, შემდეგ აკაკი წერეთელი და ლადო მესხიშვილი, ხოლო მის მეგობართა და ნაცნობთა რიცხვში ისეთი შესანიშნავი ადამიანები ყოფილან, როგორიც ვასო აბა-

ში'ვ, ვალერიან გუნია, გიორგი შარვაშიძე, ვანო სარაჯიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ილიკო აგლაძე და სხვები იყვნენ.

შალვა დადიანი გადაურჩა იმ ძველი სახაზინო სკოლის მწვრთნელებს, რომელნიც ორმოცდაათი ათასი იეროგლიფის შემწეობით ხანდახან ცოცხალ ადამიანს ეგვიპტის მუმიად ან, საუკეთესო შემთხვევაში, ძველი დროის ჩინელ მანდარინად აქცევდნენ. მას საუცხოო გაკვეთილები მიუღია თავისი მამის ნიკო დადიანისაგან, ამ სპარტანული მორალის დარბაისელი ქართველისაგან, რომელიც საქართველოს ისტორიის ცოდნას აერთებდა ალექსანდრე ჰუმბოლდტის, ვიქტორ ჰიუგოს და ფლობერის ნაწერების ცოდნასთან, ხოლო ილია ჭავჭავაძის მეგობრობას — ივანე მაჩაბლის მეგობრობასთან. მაგრამ უნდა ითქვას, რომ თავისი აღზრდა შალვა დადიანმა ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით დაასრულა ქუთაისის თეატრში, რომლის „ბებერ კედლებს“ მან შთაგონებული სიტყვები მიუძღვნა.

ქუთაისის თეატრში შალვა დადიანი თავდაპირველად ქუჯის ფსევდონიმით გამოვიდა. მან აირჩია კოლხიდელების ლეგენდარული გმირის სახელი, დაკავშირებული იბერიელების პირველი ლეგენდარული მეფის ფარნაოზის სახელთან. როგორც ცნობილია, ფარნაოზი და ქუჯი ერთმანეთს დაუკავშირდნენ და დაუმოყვრდნენ და მათი შეთანხმებიდან ერთობლივი საქართველო წარმოიშვა. უფრო გვიან, მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნეში, თბილისის ტახტზე მსხდომარე ბაგრატიონები თავიანთ მწიგნობართუხუცესებად ანუ კანცლერებად ჰყონდიდელებს ნიშნავდნენ. ბაგრატიონები და მათი პირველი ეეზირები სამუდამოდ გაჰქრნენ, მაგრამ მუდამ ახალგაზრდა ძველმა კოლხეთმა თბილისში წარმოგზავნა თავისი საუკეთესო შვილი, რომელიც დღეს ახალი მწიგნობართუხუცესის პოსტზე დგას, როგორც ახალი საქართველოს ერთგული გუშაგი.

1955

დავით კაკაბაძე*

დავით კაკაბაძის სახით ჩვენ ვეთხოვებით გამოჩენილ ქართველ ადამიანს, რომელიც ახალი ქართული მხატვრული სკოლის ერთ-ერთ უბრწყინვალეს წარმომადგენლად შეიძლება ჩაითვალოს. ის ყოველმხრივად და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება იყო. ის იყო არა მარტო ნახაზის დიდი ოსტატი, არამედ დიდი კოლორისტიც, არა მარტო დიდი გემოვნების ხელოვანი, არამედ დიდი მორალური შეგნების მოქალაქეც. ის ღრმად ჩასწვდა საქართველოს ბუნებას და ქართველი ადამიანის სულს, ამას მოწმობენ მისი შესანიშნავი პეიზაჟები. დავით კაკაბაძის თეორიული მომზადება მისი შემოქმედებითი ნიჭის სიმაღლეზე იდგა და ის ძალიან კარგად იცნობდა როგორც ქართული, ისე საერთაშორისო ხელოვნების ისტორიას. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ დავით კაკაბაძემ დიდად ნაყოფიერი მუშაობა შეასრულა, როგორც თეატრის დეკორატორმა-მხატვარმა და როგორც პედაგოგმა. ის მრავალი წლის განმავლობაში მეთაურობდა აკადემიის ფერწერის კათედრას და მრავალი ახალგაზრდა მხატვარი გამოიყვანა ხელოვნების ასპარეზზე.

დავით კაკაბაძე საუცხოო პორტრეტისტი იყო: ამას, სხვათა შორის, მოწმობს მისი დედის პორტრეტი. მისი „ფოთის ელევატორი" ამტკიცებს, რომ მას ისევე კარგად ეხერხებოდა ინდუსტრიული პეიზაჟის დახატვა, როგორც იმერეთის კორდებისა და დობიროებისა. საერთოდ ეს იყო თანამედროვე ოსტატი, როგორც ბუნების და ადამიანების შეგრძნობის, ისე ფერწერის ტექნიკის დაუფლების თვალსაზრისით.

დავით კაკაბაძე იმ მომხიბლავ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც საზოგადოების სამკაულს წარმოადგენენ ყოველ ეპოქაში. ის დაიბადა ღარიბ, მაგრამ კულტურულ ოჯახში, აღიზარდა კერის ცეცხლის პირას და ცეცხლის ალი არასოდეს არ დაშრეტილა მის გულში. მისი გული ისე ჩაი-

---

* სიტყვა, წარმოთქმული ხელოვნების სასახლეში, მხატვრის დაკრძალვის დღეს.

ფერფლა, რომ ამ ფერფლში სამშობლოს და ხელოვნების სიყვარულის ნაპერწკალი არ ჩამქრალა.

ათიოდე წელიწადი დავით კაკაბაძემ უცხოეთში გაატარა. მას იქ მრავალი ცთუნება ელოდა, როგორც მხატვარს და როგორც გამომგონებელს კინემატოგრაფიის დარგში. მაგრამ პარიზის სამხატვრო სალონებს, ჰოლივუდის კინოსტუდიებს მან სამშობლოს მიწა ამჯობინა და საქართველოში დაბრუნდა, რათა თავისი გონებრივი და ზნეობრივი ენერგია ქართველი ერისათვის შეეწირა;

ძვირფასო დათიკო! ვინც შენ თუნდ ერთხელ შეგხვედრია, ვისაც შენი სურათები უნახავს, ვისაც შენი ჭკვიანი საუბარი მოუსმენია, ის არასოდეს არ დაგივიწყებს. შენი სახელი კი საპატიო ადგილს დაიკავებს საბჭოთა ეპოქის ქართველი მოღვაწეების მდიდარ გალერეაში.

დაე, მსუბუქი იყოს შენთვის სამშობლოს მიწა, რომელიც შენ ასე გულწრფელად გიყვარდა.

1952

ლეო ქიაჩელი

ნახევარ საუკუნეზე მეტმა განვლო მას შემდეგ, რაც ლეო ქიაჩელს შევხვდი პირველად. ქუთაისის საშუალო სასწავლებლის მოწაფეები 1903 წლის გაზაფხულზე რომელიღაც კონსპირაციულ ბინაზე შევიკრიბენით, აღარ მახსოვს მესხეთის თუ გეგუთის ქუჩაზე. ჩვენ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ჭაბუკები ვიყავით, ახლად აყვავებული ნუშის და ალუბლის ხეების სურნელება პოეტურ ატმოსფეროს ჰქმნიდა ჩვენი დისკუსიების გარშემო. ბევრი აღარაფერი მახსოვს ჩვენი კამათიდან. მახსოვს მხოლოდ, რომ ყველანი მზად ვიყავით — საუკუნო ერთგულება შეგვეფიცა ყველა დროის რევოლუციების ანდერძებისა და მარქსისა და ენგელსის აჩრდილებისათვის.

ლეო ქიაჩელი ამ კრებაზე ცოტათი დაგვიანებით მოვიდა.

მას მოჰყვა მშკენიერი გიმნაზიელი ქალი, რომლის შაეგვრემანი სახე და ანთებული თვალები ლეო ქიაჩელის თეთრ კანსა და ია ფლისფერ თვალების წყნარ გამოხედვასთან საუცხოო კონტრასტს ჰქმნიდა. ლეო ქიაჩელი მონაწილეობას არ ღებულობდა კამათში, მხოლოდ სათვალიდან დიდი ყურადღებით აკვირდებოდა დამსწრეებს.

შემდეგ ლეო ქიაჩელს კარგა ხანს აღარ შეეხვედრიეარ. 1905 წლის მოძრაობის დროს მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამეგრელოში, დატუსაღებულ იქნა და ერთ წელიწადზე მეტი ქუთაისის ციხეში იჯდა კატორღის მოლოდინში. თავისი სასწაულებრივი გადარჩენის ამბავი მან მკითხველებს მოუთხრო თავის რომან „სისხლში", სადაც საკმაოდ დეტალურად აწერა ციხის ქვეშ გვირაბის გათხრის და იქიდან გაპარვის ისტორია.

ლეო ქიაჩელს თითქოს არაფერი ხელს არ უწყობდა, რომ გამოჩენილი ქართველი ბელეტრისტი გამხდარიყო. ბავშვობის წლებში მას ოჯახში ესმოდა არა წმინდა ქართული ენა, არამედ მისი მეგობრული კილოკავი. გიმნაზიაში იმჟამად არათუ ქართულ ენას არ ასწავლიდნენ, ქართულად ლაპარაკი მოწაფეებს ოფიციალურად აკრძალული ჰქონდათ. მოსკოვში, სადაც ლეო ქიაჩელი ერთხანს არალეგალურად ცხოვრობდა, ჟენევაში, სადაც რამდენიმე წელიწადი გაატარა ემიგრანტად, მას ლექციების მოსმენა უცხო ენაზე უხდებოდა. ლეო ქიაჩელს ჩემთვის უამბნია, ლიტერატურული ქართული ენა ჟენევაში შეეისწავლე, სადაც მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა არსებობდა ერთი მეცენატის მიერ დაარსებულიო. რა ხელმოკლეობას განიცდიდა ის სტუდენტობის დროს, ეს მას მშვენივრად აქვს მოთხრობილი თავის პატარა ნოველებში: „ორი სტრიქონის ამბავი" და „ტყუილი და მართალი". თუ ლეო ქიაჩელმა ყველა ეს დაბრკოლება დასძლია და ქართული საზოგადოების მხატვრული მატიანე მოგვცა თითქმის მთელი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე, ეს იმით აიხსნება, რომ ის შემთხვევითი ადამიანი არ არის ლიტერატურის ასპარეზზე და რომ მისი შინაგანი სამყარო მრავალ პუნქტში ემთხვევა ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ობიექტურ განვითარებას.

როგორც ყოველი რეალისტი მწერალი, ლეო ქიაჩელი, რა-

საკვირველია, უპირატესად იმ ადამიანებსა და საგნებს ასახავს, რომელთაც ის უფრო დაახლოებით იცნობს: სამეგრელოს, იმერეთს, საერთოდ დასავლეთ საქართველოს; ამასთანავე ის განსაკუთრებით ქართველი ინტელიგენტების პორტრეტებს იძლევა. ბოლოს, ზოგიერთ მის ნოველას და რომან „სისხლს“ ავტობიოგრაფიის, თითქმის პირადი აღსარების ხასიათი აქვს. მაგრამ ის თავისუფალია ყოველივე აბეზარი ეგოცენტრიზმისა, ყოველივე ეთნოგრაფიული შეზღუდულობისა, ყოველივე ადგილობრივი კოლორიტის გადაჭარბებული ძიებისაგან; თუმც ის თავის გმირებს არ ძარცვავს დამახასიათებელი ინდივიდუალური და პროვინციული ნაკვთებისაგან, მაგრამ მათში ზოგადქართულ, ზოგადადამიანურ ტიპებს ეძებს. ამიტომ მის მიერ დახატული მეგრელები და სვანები, მისი ტარიელ გოლუა, მთის კაცი, ბათაყვა, აღშაზგირ ქიბულანი და თვით მისი გვადი ბიგვა უფრო ქართველები არიან, ვიდრე, მაგალითად, ქართლელი მწერლის ანტონ ფურცელაძის მიერ დახატული მაცი ხვიტია. თვით ლეო ქიაჩელის ოჩოკოჩებსა და ტყის დედოფლებს დაუკარგავთ მეგრული ფოლკლორული ხასიათი.

ამ ზოგადადამიანური და ზოგადქართული ტიპებიდან, რომელთაც უფრო ჩაცმულობა, შეიარაღება ან მოძრაობის მანერა აქვს პროვინციული, ვიდრე სული, განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩევა მხოლოდ „ჰაკი აძბა“, სადაც მწერალმა დიდი ოსტატობით და მასალის ცოდნით დაგვანახვა საუკუნეების მიერ განმტკიცებული ადათების და ზნეჩვეულების ტრაგიკული შეტაკება რევოლუციურ შეგნებასთან. მაგრამ თუ თვით ჰაკი აძბა ნამდვილი ძველი დროის აფხაზია თავის შეგნებაში მთვლემარე სტიქიონური, თითქმის მითოლოგიური წარმოდგენებით, იგივე არ ითქმის ნოველის სხვა მოქმედ პირებზე, უჯუშ ემხასა, ბეჭირ ჩაჩბასა, ნარიქ ეშბასა და სხვებზე. ხოლო რაც შეეხება ამ ნოველის მეორე მთავარ გმირს კრეისერ შმიდტის მეთაურს, მრისხანედ წოდებულ კუზმა კილგას, ეს ერთ-ერთი ყველაზე განზოგადებული ტიპია ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში.

ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში რამდენჯერმე ითქვა, რომ ლეო ქიაჩელი დიდი კლასიკური პროზის ტრადიციებს

იცავს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში. ეს დებულება დღეს უდაო ჭეშმარიტებადაა აღიარებული. მართლაც, ლეო ქიაჩელს დიდ ქართველ, რუს და ევროპელ პროზაიკოსებთან აახლოებს ფორმის და შინაარსის შეთანხმება, მსოფლმხედველობის მთლიანობა, მასალის კეთილსინდისიერი შესწავლა, ადამიანების და საგნების რელიეფურად დახატვა. მაგრამ როდესაც მკითხველი ლეო ქიაჩელის მთელ შემოქმედებას გადაავლებს თვალს, შეუძლებელია ის გაოცებამ არ მოიცვას იმის გამო, რომ ეს მწერალი, რომელიც ასე დიდად აფასებს ქალის გულის მესაიდუმლე სტენდალს, ბალზაკს, მოპასანს, ტოლსტოის, ყაზბეგს, ნინოშვილს, თავის რომანებსა და ნოველებში ასე მცირე ადგილს უთმობს ქალ-ვაჟის ტრფიალების გრძნობას.

ლეო ქიაჩელი უპირატესად ვაჟკაცობის აპოლოგეტია. მან ღრმად დრამატული და ღრმად ლირიკული სტრიქონები მიუძღვნა რევოლუციურ თავდადებას, პატრიოტულ იდეას, მეგობრობას, მამისა და შვილის სიყვარულს, ძმადნაფიცობას, რომელსაც იარაღი ან ქალის ძუძუები შობს, მაგრამ მას თითქმის არაფერი უთქვამს ქალის მომხიბლავობაზე. მისი მონუმენტალურად დახატული მამაკაცების გვერდით, მისი ქალები, ცოტა არ იყოს, ფერმკრთალად გამოიყურებიან. შეიძლება თუ არა მათ გვერდით თუნდ თავადის ქალი მაია დავუყენოთ? მგონია რომ არა, აქ ჩვენს თვალწინაა მკერდდამშკნარი და სახედანაოჭებული არისტოკრატი ქალი, რომელიც ისეთივე შეშფოთების გრძნობას იწვევს, როგორსაც მივიწყებული მონუმენტის ნანგრევები გამოიწვევდა ულრან ტყეში, სადაც ვარდები და კესანეები კი არ ხარობენ, არამედ ხვიარა მცენარეები და შხამიანი სოკოები.

თავის „სისხლში" ლეო ქიაჩელი მოგვითხრობს არჩილ დადაშიანისა და ცაცა რამაზის ასულის რომანის ისტორიას, მაგრამ რა უცნაურია ეს რომანი! ერთი ნაჩქარევი კოცნა თბილ მთვარიან ღამეში რიონის პირას, შემდეგ ნახევრად იძულებითი, ნახევრად ნებაყოფლობითი განშორება, შემდეგ უსაფუძვლო მეშურნეობა ვაჟის მხრივ და ასეთივე უსაფუძვლო გაბუტვა ქალის მხრივ. ბოლოს ხელახლა განშორება და დიდი კითხვის ნიშანი, რომლის წინაშე მკითხველი აღმოჩნდება. ეს

უფრო ვნებათაღელვის აჩრდილია, ვიდრე ნამდვილი ვნებათაღელვა. უფრო ძლიერია ვარდოს და ანდროს სიყვარული, მაგრამ ავტორი მხოლოდ მის დრამატულ დასაწყისსა და დასასრულზე ჩერდება და თავის თავს ითავისუფლებს თვითგრძნობის ანალიზისაგან.

რით აიხსნება ეს გასაოცარი მოვლენა? ნუთუ ლეო ქიაჩელი ადამიანის სულიერი ცხოვრების ამ სფეროს ნაკლებ იცნობს? მე მგონია, სწორედ პირიქით. უნდა ვიფიქროთ, რომ თავისი გამსუბუქებული თვალის შემწეობით ლეო ქიაჩელს შეყვარებული ქალ-ვაჟი ხშირად უნახავს ყოველივე რომანტიკული ნიღბისა და საბურველისაგან გაძარცული და ამიტომ მის თვალში ტრფიალების გრძნობას დაუკარგავს სიდუხჭლოებისა და პოეზიის შარავანდედი. შეიძლება ის დიდ რომაელ მატერიალისტ პოეტ ლუკრეციუსივით ფიქრობდეს, რომ ვაჟკაციც და ქალიც ამ დარგში უნდა გაერბოდეს ყოველ ქიმერებს და ილუზიებს, ერიდებოდეს ყოველივე მტკივნეულ განცდებს და იმით კმაყოფილდებოდეს, რაც ყველაზე ბუნებრივი და პირველყოფილია სქესობრივ ურთიერთობაში.

მაგრამ ამ მოვლენას, შეიძლება, სხვა ახსნაც ჰქონდეს. შეიძლება ლეო ქიაჩელი, როგორც განათლებული და გემოვანვითარებული მწერალი, ფიქრობს, რომ ეს დარგი ისე ღრმადაა გამოკვლეული და ასახული დიდი კლასიკოსი რომანისტების მიერ, რომ ყოველ მათ ეპიგონს შაბლონში და ტრივიალობაში გადავარდნის საფრთხე ელის. და ის ამჯობინებს უფრო ყამირი და დასვენებული ნიადაგი დაამუშაოს.

ლეო ქიაჩელი ნოველის დიდი ოსტატია და მან ეს ჟანრი კლასიკურ სიმაღლეზე აიყვანა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მის სახელგანთქმულ ნოველებსა, „ჰაკი აძბასა“, „თავადის ქალ მაიას“, „ალმაზგირ ქიბულანსა“ და „მამა და შვილნე“ ნაკლებად არ მომწონს მისი ადრინდელი მოთხრობები, „ცოდვის შვილები“, „წუთისოფელი“, „ერთი თავგადასავალი“, „შეურაცხყოფილი“ და სხვები, სადაც ავტორი უფრო პოეტია, ვიდრე ოსტატი და სადაც ხელოვნების ორნამენტები არ ჩრდილავს უბრალო და ღრმა ადამიანურ განცდებს.

იშვიათია ადამიანი, რომელიც ასე ღირსეულად ატარებდეს მწერლის წოდებას: იმ გარემოებამ, რომ ის ერთ-ერთი ყვე-

ლაზე პოპულარული თანამედროვე მწერალია სამშობლოში და მის გარეთ, რომ მის ნაწერებს თბილისშიც კითხულობენ და ერევანშიც, მოსკოვშიც და კიევშიც, სიდნეისშიც და ბუენოს-აირესშიც, მისთვის არასდროს წონასწორობის გრძნობა არ დაუკარგვინებია. მისი დევიზია ჰორაციუსის სიტყვები: Nil admirari — ნურაფერი ნუ გაგაკვირვებს. ის მხოლოდ ხშირად სინანულს გამოთქვამს, რომ იმდენი ვერ გააკეთა, რამდენის გაკეთებაც შეეძლო.

1954

გიორგი ლეონიძე

გიორგი ლეონიძესთან ორმოცი წლის მეგობრობა მაკავშირებს. იმ დროიდან, როცა მას, ოცი წლის ჭაბუკს, პირველად გაზეთის რედაქციაში დავუახლოვდი, დღემდე ჩვენი მეგობრული გრძნობა არასოდეს არ შემღვრეულა. მე ყოველთვის მხიბლავდა მისი პატრიოტიზმი, დიდი და ორიგინალური პოეტური ნიჭი, გონებამახვილი და შინაარსიანი საუბარი და თაოსნობა ეროვნული საქმეების მოწყობაში. ის ერთნაირად მიმზიდველად მეჩვენებოდა თავისი მრავალრიცხოვანი ღირსებით და ნაკლით. მას თამამად შეუძლია ცნობილი ლათინური ანდაზა გაიმეოროს: „ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის“.

მკითხველზე ყოველთვის უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს ლეონიძის სტიქიური ტემპერამენტით დაწერილი პატრიოტული ლექსები, საიდანაც მხედრების ყიჟინი და იარაღის ჩხარუნი ისმის; არანაკლებ ძლიერია მისი სატრფიალო ლირიკა, სადაც ის ვნებიანად ეალერსება ქალის გულ-მკერდს, იმდენად სათუთს, რომ მისთვის ვარდის კონის სიმძიმეც კი ძნელი ასატანი იქნებოდა. ყველაზე ძლიერი კი ის მაშინ არის, როცა თავისი შემოქმედების ფესვებით ღრმად იჭრება ხალხური შემოქმედების ყამირ ნიადაგში, რათა იქიდან მასაზრდოებელი წვე-

ნი ამოიღოს შტოების ფოთლების გვირგვინის გასაშლელ ლ. საქართველოს ისტორიას ის არ უცქერის, როგორც გენეალოგიური ტაბულების და მშრალი თარიღების კრებულს: მის თვალში ჩვენი ისტორიული ქრონიკების ხელნაწერები ცოცხლდებიან, ასოები ქარქაშიდან ამოღებულ სატევრებსა და შუბებს ემსგავსებიან, ხოლო ახალი სტრიქონების აღმნიშვნელი სანგვინა, — ადამიანის სისხლს. და მას თითქოს მონგოლების დაუჭედელი ცხენების თქარა-თქარსა და ყივჩაღების ველურ ყიჟინასთან ერთად ვახტანგ გორგასალის და ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანის, იოსებ თბილელის და ანთიმოზ იბერიელის გულისცემა ესმის. ისტორიული ტრადიციის შეგნებასთან ერთად, მას გამძაფრებული აქვს თანამედროვე ეპოქის შეგრძნებაც და თავისი შემოქმედებით მან ხელი შეუწყო ქართული პოეტური მეტყველების განახლებას.

გიორგი ლეონიძეს მე ვუსურვებდი, რომ მისი შემოქმედებითი გზა არ შეწყვეტილიყოს მისი სიცოცხლის დასასრულამდე, ხოლო მომავალ თაობებს ისევე დიდი ეჩვენოს, როგორც მის თანამედროვეებს გვეჩვენება.

1900

უილიამ შექსპირი

(მისი დაბადებიდან 350 წლის შესრულების გამო)

„დღეს იძულებული ვარ ჰამლეტის შესახებ ვილაპარაკო; ეს საშინელებაა. დარწმუნებული ვარ, ახალს ვერაფერს ვიტყვი შექსპირის თხზულების და მისი გმირის შესახებ... იმიტომ, რომ უკვე ყველაფერი ითქვა ამ საგანზე, ყველაფერი და კიდევ მეტი. მაგრამ ამ ურიცხვ კომენტარიებსაც ვერ გავიმეორებ ხეირიანად... ყველაფერი არეულია ჩემს მახსოვრობაში, არაფერი მესმის, არც რაიმეს ვხედავ.“

ეს სიტყვები ცნობილ ფრანგ კრიტიკოსს ჟიულ ლემეტრს

ეკუთვნის და ჰამლეტის წარმოდგენის გამო არის დაწერილი. მაგრამ ის კარგად შეესაბამება იმათ მდგომარეობასაც, ვინც დღეს, შექსპირის დაბადების 350 წლისთავზე, იძულებულია დიდი ინგლისელი მწერლის შესახებ რაიმე დასწეროს. და მართლაც რა უნდა თქვას კაცმა ახალი შექსპირზე. ბიბლიასა და „ღვთაებრივ კომედიას“ გარდა დედამიწის ზურგზე არ არსებობს თხზულება, რომლის შესახებ იმდენი დაწერილიყოს, რამდენიც დაიწერა შექსპირის დრამების შესახებ. მარტო ლონდონის „ბრიტანული მუზეუმის“ შექსპირის განყოფილება ოთხი ათას წიგნზე მეტს შეიცავს. 1868 წელს ბირმინგემში გაიხსნა სპეციალური შექსპირის წიგნთსაცავი, რომელშიც თერთმეტ ათას ნომერზე მეტი შედის.

ამას გარდა, ინგლისში და გერმანიაში არსებობს შექსპირის სახელობის საზოგადოებები, რომელნიც ყოველწლივ სპეციალურ გამოცემებსა და ბიულეტენებს ბეჭდავენ.

ამ აუარებელ ლიტერატურაში ბევრი საყურადღებო და მნიშვნელოვანი იდეებია გაბნეული, მაგრამ მათი შესწავლა და თავმოყრა მთელი ადამიანის სიცოცხლეს ითხოვს. მათი მოთავსება საგაზეთო წერილის ჩარჩოებში კი ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ შექსპირის ლიტერატურა მდიდარია კრიტიკული, ესთეტიკური და ფილოსოფიური იდეებით და არა ბიოგრაფიული ფაქტებით. შექსპირის ცხოვრების შესახებ ძლიერ ცოტაა ცნობილი და რაცაა, ისიც სანახევროდ საეჭვო და პრობლემატური.

ეს იმით აიხსნება, რომ თანამედროვეები შექსპირს ნაკლებ აფასებდნენ: საუკეთესო შემთხვევაში ისინი მას საშუალო ნიჭის მსახიობად და დრამატურგად თვლიდნენ, მსახიობი და დრამატურგი კი იმ დროს ინგლისში დაახლოებით იმდენად ფასობდა, რამდენადაც დღეს კარგი დალაქი ან კარგი მეჩექმე ფასობს. იმიტომ კი არა, რომ ხალხს სასცენო ხელოვნება არ უყვარდა, პირიქით, წარმოდგენა მისი უსაყვარლესი გასართობი იყო, მაგრამ სცენის მოღვაწეებს ის ისე უცქეროდა, როგორც დღეს ჯამბაზებს ან ქუჩის მასხარებს უცქერიან.

ინგლისი განიცდიდა ეროვნული აყვავების და განმტკიცების ხანას. პურიტანული მოძრაობა კიდევ იმდენად ძლიერი

არ იყო, რომ ძველი ინგლისური მხიარულება დაეხშო. თუმცა მუდმივი თეატრი ცოტა იყო, მაგრამ მათ მაგიერობას მოსრავი, ბალაგანისებური სცენა ასრულებდა. ამ სასცენო ხელოვნებას ბევრად უფრო ფართო ჩარჩოები ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს: ის წარმოადგენდა ბალადას, ეპოსს, ოპერას, გაზეთს, ცირკს, სამკითხველოს ერთად შეზავებულს.

თეატრი მოკლებული იყო დეკორაციას, კოსტიუმს, ქალ მსახიობებს. დეკორაციის მაგივრად კედელზე დაფას აკრავენ სათანადო წარწერით, ქალების როლს კი გადაცმული მამაკაცები ასრულებდნენ.

ასეთ პირობებში მოუხდა მოღვაწეობა უდიდეს დრამატულ გენიოსს. ის არ იდგა განმარტოებით. ელისაბედ ტიუდორის დროის ინგლისმა ბევრი გამოჩენილი დრამატურგი წარმოშვა, მათ შორის კიდი, მარლოუ, გრინი, ჯონსონი, ბომონტი, ფლეტჩერი და სხვ. მაგრამ შექსპირის სახელის ბრწყინვალებამ მათი სახელი დაჩრდილა შთამომავლობის ხსოვნაში.

შექსპირის დიდებამ უმწვერვალეს სიმაღლეს მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია, გამოჩენილმა გერმანელმა კრიტიკოსმა ლესინგმა მას აღტაცებული ჰიმნი უძღვნა. შლეგელმა და ტიკმა მისი თხზულებები გერმანულად გადათარგმნეს. შემდეგ რომანტიკული სკოლის მიმდევრებმა მისი სახელი და იდეები მთელი განათლებული კაცობრიობის საკუთრებად გახადეს. რომანტიკოსების სიყვარული შექსპირისადმი აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ უკანასკნელის თეატრი სრული წინააღმდეგობაა იმ კლასიკური წესრიგისა, ზომიერებისა და თავდაჭერილობისა, რომელიც კორნელის და რასინის თეატრში გამოიხატა და რომელიც ასე გულწრფელად სძულდათ რომანტიკოსებს. მათ ხიბლავდა შექსპირის მრავალფეროვნობა, უსაზღვრო ვნება, ძლიერი ფანტაზია და ესთეტიკური უწესრიგობა.

ემერსონმა სამართლიანად თქვა, რომ შექსპირს უფრო სულის სიღრმე და სიფართოვე ახასიათებს, ვიდრე თავისებურება, რომ ის როგორც უდიდესი გენიოსი — ყველაზე მეტად დავალიანებული ადამიანია. მართლაც ცნობილია, რომ შექსპირს თავისი ტრაგედიების და კომედიების არაკები თითქმის გამოუკლებლივ პლუტარქის ბიოგრაფიებიდან, იტალიური ნოველე-

ბიდან, ინგლისური მატიანეებიდან და ესპანურ მოგზაურობათა აღწერებიდან აქვს აღებული. კიდევ მეტი: მალონის გამოანგარიშებით ჰენრიხ VI-ის უდიდესი ნაწილი სხვის მიერ არის დაწერილი, უმცირესი ნაწილის ერთი ნახევარი ამოქარგულია სხვის მიერ შექმნილ კანვაზე, ხოლო მეორე ნახევარი თვით შექსპირს ეკუთვნის სავსებით. მიუხედავად ამისა, შექსპირი უდიდეს შემოქმედად არის მიჩნეული.

როგორც აღორძინების ხანის დიდი ნოველისტი — ბოკაჩიო, ისე შექსპირიც იმ ლეგენდებით და თქმულებებით სარგებლობდა, რომლებიც ხალხში იყო გავრცელებული: მაგრამ ერს ისინი გადახალისებული და გადადუღებული ჰქონდა. შექსპირი ეროვნულ ნიადაგზე იდგა თავის შემოქმედებაში, მის ძარღვებში ინგლისელის სისხლი ჩქეფდა. ამის გამო მის დრამებს მეტი ესთეტიკურ-სოციალური ძალა ეძლეოდა, ვიდრე მაშინ ექმნებოდა პირადს გამოგონებაზე რომ ყოფილიყო დაფუძნებული.

მაგრამ ამ მასალით შექსპირმა ისარგებლა ისე, როგორც მოქანდაკე სარგებლობს მარმარილოს ზოდით. მან მისი შემწეობით შექმნა დამოუკიდებელი, მშვენიერი და მდიდარი ქვეყანა, რომელიც მისი პოეტური და ფილოსოფიური სულის ბეჭედს ატარებს. მან შექმნა უთვალავი მხატვრული ტიპები და სახეები, რომლებიც კაცობრიობის მუდმივ თანამგზავრებად დარჩებიან, ის შეეხო ყველა დიდ პრობლემას, რომელნიც აღელვებენ კაცობრიობას. მისი აზრები სიცოცხლის, სიკვდილის, სიყვარულის ბედისწერის და სხვ. შესახებ მუდმივ დარჩება კაცობრიობის ხსოვნაში, როგორც დაუშრეტელი წყარო სიბრძნისა და ღრმა უკვდავებისა.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მისი მხატვრული საბუთები: ამ მხრივ მისი ტრაგედიები, კომედიები, პოემები და სონეტები ისეთი ნაყოფიერნი არიან, როგორც შავი დედამიწა და ისევე „გაუგებარნი" როგორც რაიმე დიადი ბუნებრივი ელემენტარული ძალა. რა დიდი სივრცეა რომეოსა და ჯულიეტას ნაზ სიყვარულსა და რიჩარდ III ეერაგულ სისასტიკეს შორის და რა სხვადასხვაობაა მოთავსებული ამ სივრცეზე.

ამ თავისი მრავალფერადი და მრავალსახიანი ქვეყნის წინაშე შექსპირი გულგრილად და აუშფოთებლად დგას, როგორც

შეჰფერის ბრძენს, რომელმაც ბუნების საიდუმლოება განსჭვრიტა, ადამიანის სულის სიღრმეში ჩაიხედა და დაინახა, რომ მარადისობის თვალსაზრისით ბოროტება და სათნოება ერთნაირად აუცილებელი და გასამართლებელია. ის ერთნაირი ობიექტივობით, ერთნაირი ინტერესით, ერთნაირი მიუდგომლობით ხატავს იაგოსა და დეზდემონას, ფალსტაფსა და ჰამლეტს, რიჩარდსა და იულიოს კეისარს. ის არ განიცდის არც გულისწყრომას ვერაგობის წინაშე, არც მოწიწებას სიდიადისა და სიფაქიზის წინაშე. მისი თვალები ბუნების მოვლენათა გადამღები აპარატია, მაგრამ ისევე შეუფერებელი და ობიექტური, როგორც კამკამა ტბა, რომლის ტალღებში მთის მწვერვალები და ბუჩქის ძირები ერთნაირად გამოსჭვივიან.

შექსპირის სული არა მარტო მდიდარი და მრავალკუთხედი, არამედ არაჩვეულებრივად ელასტიკური და მოქნილია. ამით აიხსნება რომ ის ერთნაირი სისწორით ხატავს როგორც უმცირეს ბუნებრივ მოვლენას, ისე უძლიერეს სტიქიონს, როგორც უნაზეს ემოციას, ისე უსაშინლეს გულისთქმას, როგორც ინგლისის წარსულს, ისე რომს, ვენეციას, ფლორენციას და დანიას.

შექსპირი კარგად იცნობს არა მარტო ისტორიას, არამედ თავის დროის ხალხსაც და ბუნებასაც. ის თავის ნაწარმოებებში იმდენ ხალხურ ზნეჩვეულებას ხატავს, იმდენ მცენარეებსა და ცხოველებს ასახელებს, რომ განცვიფრებაში მოყავს თანამედროვე მეცნიერები. ამას ზედ ერთვის არაჩვეულებრივად მდიდარი ლექსიკონი, რომლის მსგავსი დღემდე არც ერთ მწერალს არ ჰქონია.

მაგრამ ყველაზე დამახასიათებელი შექსპირისათვის მისი მხატვრული ინტუიციაა. ამ ინტუიციის წყალობით მან აღმოაჩინა უიდუმალესი კუთხეები ადამიანის სულისა, გააცხოველა წარსული და აღადგინა ეპოქების ისტორიულ გმირთა სახეები.

* * *

შექსპირი დაიბადა 1564 წ. აპრილში, პაწია ქალაქ სტრადფორდში. მისი მამა ვაჭარი იყო, დედა კათოლიკე აზნაურის ქალი. განათლება პაწია უილიამმა სტრადფორდის გრამატი-

ულ სკოლაში მიიღო, საიდანაც ცოტა ლათინურის, ცოტა ბერძნულის და ცოტა ლიტერატურის ცოდნა გამოიტანა. თვრამეტი წლისამ ცოლი შეირთო. მამის გაღარიბებამ იძულებული გახადა ლონდონში წასულიყო ლუკმაპურის საძებნელად. აქ მან მსახიობობისა და პრაქტიკული ნიჭის წყალობით მოზრდილი თანხა შეიძინა, რომლითაც თავის სამშობლო ქალაქში მამული და სახლი იყიდა. გარდაიცვალა სტრადფორდში 1616 წელს.

თანამედროვეები მასში ხედავდნენ გულკეთილ ადამიანს, სამაგალითო ოჯახის მამას, პატიოსან მოქალაქეს და გამოცდილ გეშეფტმახერს. შთამომავლობამ აღმოაჩინა, რომ იგი უბადლო მგოსანი და მოაზროვნეც ყოფილა.

1914

სტენდალი

სტენდალი ორი იდეური სამყაროს მიჯნაზე დგას: როგორც მოაზროვნე, ის მეთვრამეტე საუკუნის გამანათლებლების და ენციკლოპედისტების მემკვიდრედ ჩაითვლება, ხოლო როგორც მხატვარი, ის გზას უკაფავს მეცხრამეტე საუკუნის ფრანგ მემარცხენე რომანტიკოსებს და კრიტიკულ რეალისტებს.

სტენდალის ნამდვილი სახელი და გვარი ანრი ბეილია. იგი ქალაქ გრენობლში დაიბადა 1783 წელს. წარმოშობით სტენდალი შეძლებული და განათლებული ბურჟუაზიის წრეს ეკუთვნოდა; მამამისი პროფესიით ადვოკატი იყო, ხოლო რწმენით — კონსერვატორი; როდესაც 1789 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუცია დაიწყო, სტენდალის მამა კონტრრევოლუციურ პარტიას მიემხრო, მაგრამ საფრანგეთიდან უცხოეთში არ გაქცეულა, როგორც ეს არისტოკრატიის და ბურჟუაზიის ერთმა დიდმა ნაწილმა ჩაიდინა. პატარა ანრი კი სულით და გულით პატრიოტების, ე. ი. რევოლუციონერების თანამგრძობი გახდა. მა-

მამ მას აღმზრდელებად თავდაპირველად მღვდლები მიუჩინა, ისინი ბავშვს ხშირად სჯიდნენ თავისუფალი აზრების გამოთქმისათვის.

შემდეგ ანრიმ ბრწყინვალედ დაასრულა გრენობლის საშუალო სასწავლებელი და პარიზში გაემგზავრა. აქ ის ერთ ხანს ლიტერატორების წრეში ტრიალებდა, ხატვას სწავლობდა და კლასიკურ ფრანგულ და იტალიურ მწერლობას ეცნობოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ნაპოლეონი ხელისუფლებას ჩაუდგა სათავეში; სამხედრო სარბიელი მიმზიდველი გასდა ყოველი ენერგიული და პატივმოყვარე ფრანგი ახალგაზრდისათვის. ჩვიდმეტი წლის ანრი ბეილი დრაგუნთა რეგიმენტში დაინიშნა უმცროს ლეიტენანტად და მონაწილეობა მიიღო იტალიის ლაშქრობაში. სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალ დროს ის იტალიური ხელოვნების შესწავლას ანდომებდა.

იტალიიდან დაბრუნების შემდეგ ანრი ბეილმა რამდენიმე წელიწადი საფრანგეთში გაატარა. სწავლობდა ძველ და ახალ ენებს, კითხულობდა გამოჩენილი ფილოსოფოსებისა და მწერლების ნაწერებს, ხშირად დადიოდა თეატრში. შემდეგ ხელახლა ნაპოლეონის მოქმედ ჯარში დაინიშნა, დაესწრო იენის ბრძოლას (1806 წ.) და გამარჯვებული საფრანგეთის არმიასთან ერთად ბერლინში შევიდა. მან სამიოდე წელიწადი დაჰყო პრუსიაში და ავსტრიაში და, როგორც სამხედრო კომისარმა, დიდი ადმინისტრაციული ნიჭი გამოიჩინა.

სტენდალმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე რუსეთის კამპანიაში და 1812 წლის სექტემბერში ნაპოლეონის ჯართან ერთად მოსკოვში შევიდა. აქ დიდი წარმატებით მუშაობდა ჯარის მომარაგების დარგში, მაგრამ ამასთანავე დროს პოულობდა ლიტერატურული ხასიათის შრომებისათვისაც. დიდი თავდაჭერილობა და სიმტკიცე გამოიჩინა ფრანგების უკან დახევის დროს და ხელი შეუწყო ნაპოლეონის არმიის დაქსაქსული ნაწილების გადასვლას მდინარე ბერეზინაზე.

ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომის და ბურბონების საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ სტენდალმა უარი თქვა დიდ თანამდებობაზე, რომელიც მას ახალმა კონტრრევოლუციურმა მთავრობამ შესთავაზა და ამჯობინა იტალიაში გადასახლებულიყო, ქალაქ მილანოში. ამ დროიდან იწყება მისი ინტენ-

სიური ლიტერატურული მოღვაწეობა და განუწყვეტელი ხეტიალი, მისი გადასვლა იტალიის ერთი ქალაქიდან მეორეში, მოგზაურობა საფრანგეთსა, ესპანეთსა, ინგლისსა, ირლანდიასა, შოტლანდიაში. „არავინ არ იცოდა სწორად ვის ხვდებოდა ბეილი, რა წიგნებს კითხულობდა, სად და როდის მოგზაურობდა“, სწერდა მის შესახებ მისი უმცროსი მეგობარი პროსპერ მერიმე. ეს დაუდგრომელობა, უმთავრესად, იმით აიხსნებოდა, რომ რესტავრაციის დროინდელი საერთაშორისო პოლიცია სტენდალს საეჭვო პიროვნებად თვლიდა და გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, ვინაიდან მან თავის რწმენას არ უღალატა და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეინარჩუნა ერთგულება რევოლუციის იდეებისადმი და მოკრძალება ნაპოლეონის სამხედრო და პოლიტიკური გენიის წინაშე.

თუმცა სტენდალს აქტიური მონაწილეობა არ მიუღია 1830 წლის ივლისის რევოლუციაში, მაგრამ გამარჯვებულთა შორის მისი მეგობრებიც იყვნენ. ზოგიერთი მათგანი ხელისუფლების სათავეში მოექცა და მათ ის კონსულად დანიშნეს პაპის სამფლობელოში ჩივიტა ვეკიაში. სტენდალი მოგვითხრობს: ამ პროვინციულ ქალაქში არც ოპერა იყო, არც ლამაზი ქალების საზოგადოება და მოწყენილობა მომკლავდა, თუ არქივებში და არქეოლოგიურ გათხრებში არ მეძებნა თავის გასართობიო. ამას გარდა ის ხანგრძლივ შვებულებას ღებულობდა, პარიზში ბრუნდებოდა და აქ ლიტერატურულ მუშაობას განაგრძობდა. ერთი ასეთი შვებულების დროსაა დაწერილი მისი „პარმის მონასტერი“ და „ტურისტის ჩანაწერები“, რომელიც საფრანგეთის პროვინციაში მოგზაურობის ნაყოფს წარმოადგენს და საუკეთესოდ ახასიათებს ავტორის დაკვირვების ნიჭსა და გონებამახვილობას.

სტენდალი 1842 წელს გარდაიცვალა დამბლისაგან, პარიზის ბულვარზე სეირნობის დროს. თუ მის ბრწყინვალე ლიტერატურულ ნაწარმოებებს მისთვის სიმდიდრე არ მოუტანია, მათ მისთვის არც სახელი გაუთქვამთ. დღეს ანეგდოტად გვეჩვენება, რომ რომელიღაც იმდროინდელ პარიზულ გაზეთს ქრონიკაში ცნობა დაებეჭდა, ბულვარზე წვეთის დაცემისაგან გარდაიცვალა იტალიელი მწერალი არიგო ბეილიო; და ჩვენ-

თვის ძნელი დასაჯერებელია, რომ „წითელი და შავის“, „პარმის მონასტრის“ და „იტალიური ქრონიკების“ ავტორი მხოლოდ სამმა მეგობარმა, მათ შორის პროსპერ მერიმემ, გააცილა სასაფლაომდე.

როგორც ეპიკურეელს, როგორც მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტების ნაწერებზე აღზრდილს, სტენდალს არ სწამდა საიქიო არსებობა, ხოლო ამქვეყნიური სიცოცხლე ენებიანად უყვარდა. სენტ-ბევს ერთი დამახასიათებელი ადგილი მოპყავს სტენდალის ავტობიოგრაფიული ნაწერებიდან: ერთს საღამოს რომში სან პიეტრო მონტორიოს ეკლესიის კარიბჭესთან ვიჯექი და საუცხოო მზის ჩასვლას ვუცქეროდიო; უცებ გამახსენდა, რომ სამი დღის შემდეგ ორმოცდაათი წლის გავხდებოდიო; გული მწუხარებისაგან შემეკუმშა, თითქოს თავს მოულოდნელი მწუხარება დამტეხოდესო; და ძველი ბერძენი პოეტივით გავიფიქრე, რა უგუნური არიან ადამიანები, რომელნიც სიკვდილის გამო სტირიან, მაგრამ არ სტირიან ახალგაზრდობის დაკარგვის გამო-მეთქი.

მაგრამ, მიუხედავად სიცოცხლის სიყვარულისა, სტენდალი ფიქრობდა, რომ ადამიანის ცხოვრებაში არის მომენტები, როდესაც მან თავი უნდა გასწიროს უმაღლესი იდეალისათვის. ასე იქცევა მისი ნოველის „ვანინა ვანინის“ გმირი იტალიელი პატრიოტი და რევოლუციონერი პიეტრო მისირილი, რომელიც აღშფოთებით უარს ამბობს საყვარელი ქალის მიერ შეთავაზებულ თავისუფლებაზე, ვინაიდან დარწმუნდა, რომ მან მისი შეწყალების აქტი მისი თანამებრძოლების გაცემით მოიპოვა. და უნდა ითქვას, რომ პირქუში სატუსალოს სცენა, სადაც ვანინა ვანინის და მისირილის უკანასკნელი შეხვედრაა აღწერილი, ერთი უძლიერესია სტენდალის მხატვრულ შემოქმედებაში.

თუ „ვანინა ვანინში“ სტენდალმა დემოკრატიის წრიდან გამოსული მისირილის ღრმა პრინციპულობა და უდრეკელი ზნეობრივი სიმტკიცე არისტოკრატი ქალის ზნეობრივ მერყეობას დაუპირისპირა, „ვიოლანტე პალიანოსა“ და „ჩენჩიში“ მან საერო და სასულიერო არისტოკრატიის დეგრადაციის შემზარავი სურათი დახატა. და საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ სტენდალის „იტალიური ქრონიკები“ ერთგვარი საბრალმდებ-

ლო ოქმია ფეოდალიზმის და კლერიკალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მეორე მხრივ ის სრულიადაც აღტაცებული არ იყო ბურჟუაზიული დემოკრატიით, რომელშიც ხელოვნებისადმი მტრულად განწყობილ ძალას ხედავდა: „ამერიკის რესპუბლიკაში ადამიანმა მთელი დღე მოწყენილად უნდა გაატაროს, სერიოზულად შეეგუოს მედუქნეების ტონს და მათსავით გამოყეყეჩდეს; და იქ ოპერა არ არის“, ამბობს სტენდალი „პარმის მონასტერში“.

თავისი „იტალიური ქრონიკები“ სტენდალმა მიუძღვნა ქვეყანას, რომელსაც თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. მას უყვარდა იტალიის ბუნება, მისი ნათელი, გამჭვირვალე ჰაერი, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, თვითონ წარმოადგენს უდიდეს ხელოვანს. შემდეგ მას უყვარდა იტალიის რენესანსი, ლორენცო ბრწყინვალის და ლეონ მეათის ეპოქა, როცა თითქოს ყველა რელიგია დაიჩრდილა, გარდა მშვენიერების კულტისა; ბოლოს ის ფიქრობდა, რომ იტალიელ ქალებს სიყვარულისა და ტანჯვისათვის თავიანთი არსების სიღრმეში აქვთ ფარული ენერგიის წყაროები, სრულიად უცნობი სხვა ერების შვილებისათვის. თავისი დროის იტალიელებში კი სტენდალი განსაკუთრებით აფასებდა იმას, რომ მათ, მისი აზრით, სხვა ერებზე უფრო ჰქონდათ გაგებული ცხოვრების გემო, იცოდნენ სასიამოვნო და უანგარო საუბრის ფასი და გამბედაობა შესწევდათ სიყვარულის ყვავილი საშინელ უბედურებათა ხრამის ნაპირზე ეძებნათ.

მილანოში ყოფნის დროს სტენდალი სხვადასხვა საზოგადოებრივ წრეში ტრიალებდა, არისტოკრატიულ სალონებში, ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის მოღვაწეების ოჯახებში; იგი დაკავშირებული იყო აგრეთვე ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის მეთაურებთან, კარბონარებთან. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „ვანინა ვანინაში“ მან პირადად გაცნობილი ადამიანები ასახა. სხვა ქრონიკებში სტენდალმა თითქოს მტვერი გადააცილა იტალიელი მემატიანეების მიერ დახატულ სურათებს და ისინი ახალი ფერადებით გააცხოველა. ის გვიამბობს, როდესაც პაპის სამფლობელოში ყოფნის დროს არქეოლოგიურ გათხრებს ვაწარმოებდი და მიწიდან ვღებულობდი შავ ჭურჭელს, რომელიც, თუ ადგილო-

ბრივ მცხოვრებლებს დავუჯერებთ, 2700 წლის წინათაა გაკეთებული. ჩემი პატარა ქონების ნაწილი იმისთვის გამოვიყენე, რომ უფლება შევიძინე გადმომეწერა ზოგიერთ საგვარეულო არქივში დაცული ქრონიკებიო. ამრიგად, მაქვს რვა ფოლიანტი, სრულიად მართალი, თანამედროვეების მიერ ნახევარ ჟარგონზე დაწერილიო, როდესაც ხელახლა ღარიბი გავხდები და მეოთხე სართულში დავსახლდები, ყოველივე ამას სწორად გადმოვთარგმნი, მათი ერთადერთი ღირსება მათი სისწორე იქნებაო.

ნამდვილად „იტალიური ქრონიკები", რასაკვირველია, არქივებში დაცული მოთხრობის თარგმნას არ წარმოადგენს. სტენდალმა აქ დამთავრებული მხატვრული ფორმა მისცა იმ ამბებს, რომელთაც მათი დამსწრე. იტალიელი მემატიანეები, უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ, ქარაგმებითა და ბარბაროსული სტილით ასწერდნენ ხოლმე.

* * *

სტენდალი ამბობს: „მე არასოდეს მხატვარი მოაზროვნისაგან არ გამომიყვია, მე არ შემიძლია მხატვრული ფორმა მხატვრულ აზრს გამოვთიშო". სტენდალი მოაზროვნე მხატვარია, მაგრამ იგი არაა განყენებული აზრის ადამიანი. მას, როგორც გოეთემ სწორად აღნიშნა მისი პირველი ნაწერების გაცნობის შემდეგ, ცხოვრების მძაფრი შეგრძნობა ახასიათებს. მას სძულს ყოველგვარი ბუნდოვანი მეტაფიზიკა, ყოველგვარი რელიგიური სისტემა და მორალური თეორია, რომელიც ადამიანს ხელს უშლის თავისი ფარული ძალები გაშალოს და ამ ცხოვრებით დასტკბეს. იგი თავისუფალია ყოველივე ასკეტური მორალის ზეგავლენისაგან, სულ ერთია ქრისტიანულია ეს ასკეტიზმი თუ იაკობინური.

სტენდალი ილაშქრებს ანტიჰუმანური მორალის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს, რომ ადამიანი ოცდაათი წელი დაყუდებული იდგეს სვიმონ მესვეტესავით, რათა საუკუნო ცხონებას მიაღწიოს; იგი ილაშქრებს შატობრიანის სექტის მელანქოლიკოსების წინააღმდეგ, რომელთაც ყოველი სიხარული განდევნეს ცხოვრებიდან. ცხოვრების დაფასება არ შეიძლება

რელიგიური მორალის კატეგორიებით: უდიდესი მორალური ღირებულება თვით ცხოვრების ენერგიაა. — მე აღტაცებული ვარ დიდი ტალანტებით არამზადებს შორის, — ეუბნება სტენდალი სათნოებით გამსჭვალული და ჭკუადამჯდარი ბურჟუების საზოგადოებას. —ყველა არაჩვეულებრივი ადამიანი თქვენ კატორღაში გაგზავნეთ; მხოლოდ კატორღელებს აქვთ ის თვისება, რომელსაც მოკლებული არიან თანამედროვე ფრანგები, ხასიათის ნამდვილი სიძლიერე.

სტენდალი ჩვენს თაობებთან ახლო დგას იმით, რომ მას თავის ეპოქის კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობაზე ისეთი ნათელი წარმოდგენა აქვს, როგორიც იშვიათად ჰქონია რომელიმე მხატვარს. ეს ყველაზე უკეთ მის რომანსა „წითელსა და შავში“ ჩანს. იმ დიდ სოციალურ ბრძოლას, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სწარმოებს, შეუძლია ძლიერი პიროვნებაც კი გასთიშოს, შავი და წითელი ზოლი გაატაროს მასში, თავისუფლად მოაზროვნე დეზებიანი მხედარი შავანაფორიან ბერს დაუპირდაპიროს ერთსა და იმავე ადამიანებში. თანამედროვე თაობისათვის ადვილი გასაგებია ეს შინაგანი ბრძოლა რეფორმაციულ და კონსერვატიულ შეგნებას შორის, რომელიც სოციალური ბრძოლის ანარეკლს წარმოადგენს. და თანამედროვე თაობისათვის განსაკუთრებით გასაგებია ის სიტყვებიც, რომელთაც ამ რომანის მთავარი გმირი ჟიულიენ სორელი თავის მოსამართლეებს ეუბნება: — მე პატივი არ მაქვს, ბატონებო, თქვენი წოდების წევრი ვიყო, თქვენს წინაშე დგას გლეხი, რომელიც თავის დაბალ მდგომარეობას აუჯანყდა საზოგადოებაში. აი რაშია ჩემი დანაშაული, ბატონებო. მე დასჯილი ვიქნები მით მეტი სისასტიკით, რომ, არსებითად, ჩემი თანასწორნი როდი მასამართლებენ; ნაფიც მსაჯულთა სკამებზე მე ვერ ვხედავ ვერც ერთს გლეხს, აქ მხოლოდ აღშფოთებული ბურჟუები სხედხართ.

ბოლოს სტენდალი თანამედროვეობასთან ახლო დგას თავისი სტილით: — მე მძულს დამრგვალებული სტილი, — სწერდა სტენდალი ბალზაკს, — როცა „პარმის მონასტერს“ ვწერდი, ყოველ დილას, სწორი ტონის საპოვნელად, ორ-სამ გვერდს ვკითხულობდი სამოქალაქო კოდექსიდან. — ახლა მოდაში შემოსული სტილი გამოგონილია მწერლების მიერ, რო-

მულთაც ახრები აკლიათ, ამბობს იგი ზეორე ადგილას. ბოლოს იგი ახალგაზრდა მწერლებს აძლევს რჩევას, რომლის მნიშვნელობა სცილდება სტილის საკითხების ფარგლებს: „როცა ეპირობთ ქალი, მამაკაცი ან ესა და ის ადგილი ასწეროთ, ყოველთვის ვინმე რეალურად არსებულზე, რაიმე რეალურად არსებულზე იფიქრეთ“.

* * *

სტენდალი ჩაება იმ კამათში, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში საფრანგეთში კლასიკური ხელოვნების მიმდევრებსა და ახლადგამოსულ რომანტიკოსებს შორის ატყდა. ის ამ უკანასკნელთ მიემხრო და მისი წერილი „რომანტიზმი ხელოვნებაში“ და მისი „რასინი და შექსპირი“ რომანტიზმის ერთ-ერთ პირველ მანიფესტად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ თავისი შემოქმედებით სტენდალი, არავითარ შემთხვევაში, არც შატობრიანის, არც ტეოფილ გოტიეს და არც ჰიუგოს სკოლას არ შეიძლება მიეკუთვნოს. თუ რეალისტური ლიტერატურული სკოლის დიდი წარმომადგენელი ბალზაკი აღტაცებული იყო სტენდალის „პარმის მონასტერით“. ეს უმთავრესად იმით აიხსნებოდა, რომ ის სტენდალში თავის უფროს თანამებრძოლს ხედავდა; ხოლო თუ სტენდალი ფრანგი რომანტიკოსების მხარეზე გამოვიდა კლასიკოსების წინააღმდეგ, ეს იმით აიხსნებოდა, რომ კორნელის, რასინის, ბუალოს ესთეტიკური იდეალები მას დრომოჭმულად მიაჩნდა, შეუფერებლად თანამედროკე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის.

ცენტრალური ადგილი სტენდალის რომანებსა და ნოველებში ქალ-ვაჟის სიყვარულის ასახვას უჭირავს. სქესობრივი სიყვარულის ანალიზს მიუძღვნა მან აგრეთვე თავისი ტრაქტატი „სიყვარული“, რომლის გვერდით ყველა მეცნიერული ტრაქტატი თანამედროვე ფსიქოლოგების მიერ დაწერილი, უფერული და პედანტური ჩანს.

სტენდალის ანდერძის თანახმად მის საფლავს შემდეგი წარწერა გაუკეთეს: „აქ განისვენებს მილანოელი მოქალაქე არიგო ბეილი; ცხოვრობდა, წერდა, უყვარდა.“ ქალების სიყვარული სტენდალმა საფლავში ჩაიტანა სიცოცხლის, მწერლო-

ბის და იტალიის სიყვარულთან ერთად. თავის რომანებსა და ნოველებში მან მოგვცა ყველაზე მომხიბლავი, ყველაზე ქალური ქალების პორტრეტები: მადამ დე რენალისა და მატილდა დელამოლისა „წითელსა და შავში“, ჯინა სან სევერინასი და კლელიასი „პარმის მონასტერში“, ვანინა ვანინასა და ბალბინე კამპობასოსი „იტალიურ ქრონიკებში“ და სხვ. ყველა ეს ქალები ახოვანი სულის მფლობელები არიან, ყველა ისინი მოწმობენ სტენდალის სიმპათიებს ძლიერი ხასიათის ადამიანებისადმი. „მხოლოდ ძლიერი ხასიათის ქალებს შეუძლიათ ბედნიერება მომიტანონ“, სწერს ჯერ კიდევ ოცი წლის ჭაბუკი ანრი თავის დღიურში. ამ მიდრეკილებისათვის მას არასოდეს არ უღალატნია.

სტენდალი ამტკიცებს, ცეცხლის ტემპერამენტი მქონდა, მაგრამ ულამაზო და გაუბედავი ვიყავი და ამიტომ სიყვარულის ორთაბრძოლაში უფრო ხშირად ვმარცხდებოდი, ვიდრე ვიმარჯვებდიო. ნამდვილად ის რამდენიმე ქალს უყვარდა, ისინი საზოგადოების სხვადასხვა წრეებს ეკუთვნოდნენ, არისტოკრატიას, ბურჟუაზიას, თეატრს; მათ შორის იყვნენ ფრანგები, იტალიელები, გერმანელები. ზოგიერთი მათგანი გამოირჩეოდა სილამაზით და გონებრივი კულტურით. ერთხელ სტენდალი პარიზიდან მარსელში გაჰყვა ერთ მსახიობ ქალს და იქ ნოქრად დადგა რომელიღაც სოვდაგართან, რათა თავისი სატრფოს მახლობლად ყოფილიყო. მაგრამ საერთოდ ხანგრძლივად ერთგულებას არ იჩენდა თავისი საყვარლებისადმი. ვინაიდან მათში ვერ პოულობდა იმას, რასაც ეძებდა, „ქალს, რომელიც მას მარტოობისაგან გაათავისუფლებდა და მისი მოკავშირე იქნებოდა მთელი დანარჩენი ქვეყნიერების წინააღმდეგ.“

დიდად დამახასიათებელია, რომ ეს დაჯერებული ეპიკურელი, ნამდვილი რომანტიკოსი იყო სიყვარულის განცდაში. თავის ტრაქტატში, სადაც სტენდალი სიყვარულის გრძნობის წარმოშობასა და განვითარებაზე ლაპარაკობს, ის ამტკიცებს, პირველი საფეხური, როგორც შეყვარებული ქალის, ისე ვაჟკაცისათვის, აღტაცება, გაოცებაა, ხოლო გრძნობადი სურვილი, ვნება შემდეგ მოდისო.

არის მომენტები, როდესაც უკვე ხანში შესული სტენდა-

ლი ნანობს, რომ არ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, რომელიც ქალების დამაბურობად ეძლეოდა ცხოვრებაში, მაგრამ იქვე თავს ინუგეშებს: თუ ციხიკურად ოჯახში მიმეცა ყველა ქალზე, რომელიც საინტერესოდ ან ადვილად დამაბურობად მომაჩნდა, დღეს მათი დანახვა ჩემში გულის ირევას გამოწვევდა, ნამდვილად კი მათი გულისათვის ისეთივე სიტკბილეების ჩადენა შემიძლია, როგორსაც ოცდახუთი წლის ასაკში ვიდენდი, და ეს დიდი ბედნიერებაა. ამ სიტყვების დადასტურებას წარმოადგენს ის ცნობა, რომელსაც პროსპერ მერიმე იძლევა თავისი უფროსი მეგობრის შესახებ: ერთხელ საღამოთი სტენდალი და მე ერთი პროვინციული ქალაქის დაცარიელებულ ბულვარზე დავსეირნობდითო; მან ლაპარაკი ჩამოაგდო თავის სატრფოზე; მითხრა, მე ის წინანდებურად მიყვარს, მაგრამ მას გული გაუცივდაო. ამ სიტყვებზე ისე ღელავდა, რომ ცრემლები გადმოცვივნდაო. ამ დროს სტენდალი ორმოცდათორმეტი წლის იყო.

მაგრამ მას ყოველთვის გონების და ნებისყოფის ძალა ჰყოფნიდა, რათა თავისი გრძნობები დაემორჩილებია. ერთხელ, როდესაც ის უბედური სიყვარულის ზეგავლენით სასოწარკვეთილი იყო და თავის მოკვლას ლამობდა, მაგიდას მიუჯდა და თავის ტრაქტატის წერა დაიწყო სიყვარულზე. ესაა ლოგიკის და მუსიკის შედეგრიო, მოსწრებულად ამბობს ერთი მისი ბიოგრაფი.

„ყველაზე დიდი ბედნიერება, რომელიც სიყვარულს შეუძლია მოგვანიჭოს, ესაა საყვარელი ქალის პირველი ხელის მოჭერა“, ამბობს სტენდალი ერთ ადგილას... „ჩემი ცხოვრება ჩვეულებრივ იმაში მდგომარეობდა, რომ მე უბედური მიჯნური ვიყავი, მუსიკის და მხატვრობის მოყვარული“. ეს სიტყვები მათი პირდაპირი აზრით არ უნდა გავიგოთ. სტენდალს უყვარდა ირონიულად ლაპარაკი თავის თავზე, მას უყვარდა აგრეთვე სხვადასხვა ნიღბით გამოსვლა მკითხველი საზოგადოების წინაშე. არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ მას არაფერი არ ჰქონდა საერთო არც დონ ჟუანსა, არც ლოველასთან, რომ ის მხოლოდ შავი მელანქოლიის წამოსასხამში გახვეული ვერტერი იყო. ამ პროკანსის ბედნიერების ცისქვეშ დაბადებულ ვაჟკაცს, ნაპოლეონის ომების მეთვალყურეს და მონაწილეს,

კარგი სტრატეგიული ნიჭის გამოჩენა შეეძლო სიყვარულის ფარიკაობაში; მაგრამ მას უნდოდა არა მარტო თავისი სატრფოს სხეულის, არამედ მისი სულის დამორჩილებაც; ეს კი ისე ადვილი არაა, ვინაიდან ქალები უფრო ადვილად თავიანთ სხეულს სთმობენ, ვიდრე თავიანთ სულს.

* * *

სტენდალი ყოველმხივ განათლებული კაცი იყო და, გარდა ლიტერატურისა და ფილოსოფიისა, განსაკუთრებით კარგად იცნობდა მხატვრობასა და მუსიკას, რომელთაც რამდენიმე მნიშვნელოვანი შრომა მიუძღვნა. მაგრამ სტენდალის ლიტერატურული სახელი უმთავრესად დაფუძნებულია მის ნოველებზე და ორ დიდ რომანზე „წითელსა და შავსა“ და „პარმის მონასტერზე“.

იპოლიტ ტენი ფიქრობდა, ეს ორი რომანი დაახლოებით თანაბარი ღირსებისაა მხატვრული თვალსაზრისით, მხოლოდ შეიძლება ფრანგი მკითხველისათვის „წითელი და შავი“ უფრო საინტერესო იყო, ვინაიდან იქ, ასე ვთქვათ, ნაცნობების პორტრეტებია დახატული, ხოლო მისი სატირა მეზობლების წინააღმდეგაა მიმართულიო: ყოველივე ეს კი ადამიანს ხელს უშლის წიგნზე დაეძინოსო.

ბალზაკმა თავისი კრიტიკული ეტიუდი მიუძღვნა „პარმის მონასტერს“, რომელიც მან ახალი ევროპული ლიტერატურის უბადლო შედევრად გამოაცხადა. სტენდალმა დაწერა წიგნი, რომელსაც მაკიაველი დაწერდა, თუ მას მეცხრამეტე საუკუნეში ეცხოვრაო. მაგრამ აი გავიდა ათი თვე ამ გასაოცარი ნაწარმოების გამოქვეყნების დღიდან და არ აღმოჩნდა არც ერთი ჟურნალისტი, რომელსაც ის წაეკითხოს, გაეგოს და გაერჩიოს, ან თუნდ ერთი სიტყვით მოეხსენებინოსო. ეს აიხსნება იმით, რომ „პარმის მონასტრის“ ათვისება ყველას არ შეუძლია, მას მხოლოდ ევროპის გონებრივი არისტოკრატია თუ იგემებს, დაახლოებით ათასი, ათასხუთასი კაციო. მაგრამ სტენდალი იმ მხატვართა რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც თავიანთ თავს არ ღალატობენ თვით ეშაფოტის ფიცარნაგზე და რჩეულთათვის მუშაობენ, ამ უკანასკნელთა თანაგრძნობა მათ

ეხმარება სიღარიბე, მეტიჩარათა თავხედობა და ხელისუფალთა ათვალისწუნება აიტანონო.

„წითელსა და შავსა“ და „პარმის მონასტერში“ სტენდალმა თავისი შემოქმედებითი ნიჭის ორი სხვადასხვა მხარე გამოამჟღავნა. თავის „წითელსა და შავს“ ავტორმა ამაოდ არ უწოდა მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკა. ესაა ახალი ფრანგული და ევროპული საზოგადოების ისტორია, დანახული ღრმა მოაზროვნის და ფერმწერალის თვალით. ამ რომანის დასაწერად სტენდალს ბიძგი მიეცა გაზეთში წაკითხულმა ქრონიკამ, სადაც მოთხრობილი იყო, როგორ მოჰკლა რომელიღაც დიკონელმა სემინარელმა თავისი სატრფო, ქმარშვილიანი ქალი. ასეთი მკვლელობა ყოველ ეპოქაში შეიძლება მოხდეს; ყოველ ეპოქაში შეიძლება აგრეთვე შეყვარებული ქალ-ვაჟის ბედნიერებას რაიმე ოჯახური, საზოგადოებრივი, ზნეობრივი ან რელიგიური ხასიათის დაბრკოლება გადაეღობოს. მაგრამ ის ტიპები, რომელნიც სტენდალმა თავის „წითელსა და შავში“ დახატა და ის სოციალური და პოლიტიკური ტენდენციები, რომელნიც იქ აღნიშნა, დამახასიათებელი არიან მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრისათვის. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ჟულიენ სორელები, მადამ დე რენალები და მატილდა დელამოლები მეჩვიდმეტე ან მეთვრამეტე საუკუნის ფრანგულ საზოგადოებაში, ან მით უმეტეს სხვა უფრო დაშორებული ეპოქის, სხვა ერის საზოგადოებაში წარმოშობილიყვნენ. ისინი ორი რევოლუციის შუა აღმოცენებული საზოგადოების შვილები არიან. ამიტომ მათ აქვთ ყველა ის თვისება, რაც განვლებული ვულკანის ძირში ამოსულ მცენარეებს აქვთ.

თუმცა ჟულენ სორელს არც დანტონი და რობესპიერი უნახავს, არც ნაპოლეონი და მიურატი, მაგრამ მათი თანამედროვეების ნაამბობიდან და წიგნებიდან მან იცის, რომ თუ რევოლუციის ან ნაპოლეონის დროს დაბადებულიყო, შეიძლებოდა ბრწყინვალე სარბიელი გაევლო. ის შეიძლება მეორე დანტონი გახდეს, თუ ახალმა რევოლუციამ იფეთქა. მაგრამ რესტავრაციის ეპოქაში, რომელშიც სორელი თავისდა საუბედუროდ ცხოვრობს, მას თავის საკუთარ ოჯახში ფიზიკური შეურაცხყოფა, სხვის კარზე დაქვემდებარებული მდგომარეობა

ელის. ჭაბუკი ხედავს, რომ მისი დროის საზოგადოების ცხოვრება მგლის მორალზეა დაყრდნობილი, და გააფთრებული საყოველთაო ბრძოლის პირობებში ვერ დაწინაურდება, თუ ყველა იარაღი არ გამოიყენა, პირფერობა და ყალბი ღვთისმოსაობა, მორჩილება და თავხედობა, სიმამაცე და მორცხვობა, დაშნა და ანაფორა. მაგრამ ყველაზე აუცილებელ საშუალებად თავისი კარიერის უზრუნველსაყოფად სორელს მაღალი საზოგადოების ქალის დაპყრობა მიაჩნია.

თუ მადამ დე რენალი და მატილდა დელამოლი ჟიულიენ სორელის მსგავს ადამიანს უფრო მყარ საზოგადოებაში შეხვდებოდნენ, ისინი მას, ან სრულიად არ შეამჩნევდნენ, ან, თუ ავანტურისტული სულის კარნახით დანებდებოდნენ ამას, ალბათ, უმნიშვნელო ეპიზოდად ჩასთვლიდნენ და არავითარი სინდისის ქენჯნის განცდა არ მოუხდებოდათ. ჟიულიენ სორელი კი ნაკურთხია გრეკის მოედანზე დაღვრილი სისხლით, ხოლო გილიოტინის აჩრდილი მის ფიგურას მონუმენტურს ხდის. ამიტომ მადამ დე რენალის და მატილდა დელამოლის სიყვარულში მეტი სიტკბოება და მეტი ძირმწარაა, ვიდრე ყველა წარსული ეპოქის არისტოკრატი ქალების და მათი მსახურების მიჯნურობაში ყოფილა.

თუ „წითელსა და შავში“ სტენდალი ნამდვილი რეალისტია, შოდერლო დე ლაკლოს და ბომარშეს ტრადიციების განმგრძობი და ბალზაკის და მერიმეს წინამორბედი, „პარმის მონასტერში“ ის რომანტიკოსად გვევლინება, ეჟენ დელაკრიკვას, ჰექტორ ბერლიოზის და ვიქტორ ჰიუგოს თანამებრძოლად.

„პარმის მონასტერი“ სტენდალმა ერთი შეტევით დასწერა, 52 დღის განმავლობაში, მაგრამ ეს რომანი რამდენიმე წლის დაფიქრების და გონებრივი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს. რადგან მოკლედ წერა უფრო ძნელიცაა და ჩვეულებრივ მეტ დროსაც მოითხოვს, ვიდრე გრძლად წერა, „პარმის მონასტერი“, თავისი იდეური სიღრმისა და ბრწყინვალე ფორმის მიუხედავად, თანამედროვე მკითხველს ალაგ-ალაგ შეიძლება ოდნავ გაჭიანურებულად, არათანაბრად დამუშავებულად ეჩვენოს. ასე ჩვენებია ის მის პირველ გამომცემელსაც, რომლის მო-

თხოვნით სტენდალს თავისი შედეგრი არ დაუნდეია და შეუმოკლებია.

ბალზაკმა მართებულად შეხიშნა, რომ თუმცა რომანში მოთხრობილი სასახლის ამბები პატარა პარმის სამთავროში ხდება, შეორეხარისხოვანი მფლობელი პრინცის კარზე, მაგრამ ამის მსგავსი ამბები უფრო დიდი ტირანების სასახლეებში შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგალითად, იმპერატორი ტიბერიუსის, ფილიპე მეორის, რუსეთის მეფის, თვით ჩინეთის ბოგდიხანის სასახლეშიო. მართლაც, როგორც სტენდალის ბიოგრაფებმა უკანასკნელ წლებში გამოარკვიეს, მას თავისი რომანის სიუჟეტისათვის გამოუყენებია ის ამბები, რომლებიც პაპის სამფობელოში მომხდარა მეთხუთმეტე საუკუნის დასასრულს, ბორჯიების და ფარნეზეების გვარში, მხოლოდ მოქმედი პირების სახეები რადიკალურად შეუცვლია.

თუ „პარმის მონასტრის" მთავარი გმირები ასეთი სისხლსავსე ტიპიური იტალიელები არიან, ქარიშხლის ტემპერამენტიანნი, სიცოცხლის მოყვარულნი და ბედნიერებას დაწაფებულნი, თუ ისინი მზად არიან თავიანთი უფლება და უპირატესობა ორთაბრძოლით, მახვილის წვერით, საწამლავით დაიცვან, ეს იმით აიხსნება, რომ ავტორს ისინი შეუქმნია არა მარტო თანამედროვე იტალიელების გაცნობის, არამედ აგრეთვე მათი წინაპრების შესწავლის ნიადაგზე. და მას ჯინა სანსევერინასა, გრაფ მოსკასა, კლელია კონტისა, ფაბრიციო დელდონგოსა, ერნესტო რანუნციოსა და სხვებში იმ ბორჯიების, მედიჩების, ფარნეზების მემკვიდრეები დაუნახავს, რომელთაც რენესანსის ეპოქაში იტალია ერთსა და იმავე დროს ხელოვნების ტაძრად და სისხლიან დანაშაულთა არენად აქციეს.

ამით აიხსნება ისიც, რომ „პარმის მონასტრის" მთავარი მოქმედი პირები მკითხველს იდეალიზებული ეჩვენებიან. ამავე დროს ისინი ძალიან რელიეფური, ძალიან ხელშესახები არიან. ისინი ნამდვილად ცოცხლობენ, მხოლოდ მათი სიცოცხლე უფრო ინტენსიურია, მათი სხეულის და სულის წვა მეტს სიცხოველეს და ნაკლებ კვამლს იძლევა. ამიტომ მკითხველი თავის თავს ამაღლებულად გრძნობს მათს საზოგადოებაში და თითქოს უფრო სუფთა ჰაერს ისუნთქავს. მართალია, კლელია კონტის და ფაბრიციოს სიყვარულის ამბავი უფრო

მშვენიერ პოემას ჰგავს, ვიდრე თანამედროვე ადამიანების რომანს, მაგრამ თუ კაცობრიობას დროგამოშვებით ასეთი პოემები არ მოესმინა, მას ტლანქი სინამდვილე ძნელად ასატანი ეჩვენებოდა.

ამ მონუმენტური რეალისტური და რომანტიკული შენობის კარიბჭეს, არსებითად, ვატერლოოს ბრძოლის სურათი წარმოადგენს. ამ კარიბჭის ბარელიეფები უფრო ფხიზელი მოქანდაკის საჭრისითაა გამოკვეთილი. აქ ოსტატი თითქოს თავისუფალია ყოველი რომანტიკული გადაჭარბებისაგან. და ეს ადვილი ასახსნელია. თუ „იტალიურ ქრონიკებში“ და „პარმის მონასტერში“ სტენდალი ხატავდა საზოგადოებას, რომელსაც დროების და სივრცის დისტანცია, ისტორიული და ეროვნული კოლორიტი რომანტიკულ ელფერს აძლევდა, ვატერლოოს ბრძოლის აწერაში ის გამოდიოდა როგორც თანამედროვე მემატიანე, რომელსაც არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ნაპოლეონის ომებში. და აი მან მკითხველს დაანახა, რომ ახალი დროის ომი არაფრით არ ჰგავს არც ანტიკური, არც შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქების ომებს; მის რიგით მონაწილეს არ შეუძლია რაიმე ნათელი წარმოდგენა იქონიოს ანსამბლზე, ის მხოლოდ ერთ პატარა კუთხეს ხედავს. ამიტომ რომელიმე ფაბრიციო დელდონგომ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის შეტაკებაში, მოწინააღმდეგე ჯარისკაცები დახოცოს, ცხენი და საჭურველი დაჰკარგოს და თვითონაც დაიჭრას, მაგრამ ბოლოს გულუბრყვილოდ იკითხოს, მართლა მონაწილეობა მივიღე თუ არა ომშიო.

როგორც დიდი თანამედროვე სოციალური ბრძოლების, ისე თანამედროვე ომების ბედის გადაწყვეტაშიც მთავარი როლი დიდ უსახელო კოლექტივებს ენიჭებათ, ეს ნათლად დაინახა დიდმა მხატვარმა და მოაზროვნემ.

1955

ოგიუსტ როდენი

კრიტიკული ნარკვევი

ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება განსაზღვრული ეპოქის გამოხატულებაა, თუმცა მისი ნაყოფი საუკუნეებს ეკუთვნის. თანამედროვე ეპოქა კი შეიძლება არავის არ გამოუხატავს მეტის სიძლიერით და მრავალმხრივობით, ვიდრე როდენის ქანდაკებას. როცა ჩვენ აღარ ვიქნებით, როცა ჩვენს ადგილს ამ სოფელში ჩვენი შორეული მემკვიდრენი დაიპერენ, ეს სევდიანი და ვნებით აღელვებული ხელოვნება ეტყვის მათს მაძიებელ გონებას, თუ რანი ვიყავით ჩვენ, არა ნაკლებ მკეცრმეტყველურად, ვიდრე მთელი ჩვენი რწმენა და ფილოსოფია, ჩვენი ტექნიკა და ნივთიერი კულტურა, იმიტომ რომ ამ ხელოვნებამ სისხლი და ხორცი შეასხა ჩვენი არსების უღრმეს საფუძველს, იმ ძირითად ინსტინქტებს, რომელნიც მთლიანობის ელფერს აძლევენ ჩვენს დაქსაქსულსა და ინდივიდუალისტურ ხანას.

და, დახეთ, რა ღარიბია ეს ცხოვრება თავისი ზღაპრული სიმდიდრის მიუხედავად, ღარიბი სულიერ შინაგნობაში, გულწრფელ განცდაში. ათასი პოზა და ათასი ფრაზა ხშირად უსაბრალოესს უნიჭობას ჰფარავს... მაგრამ არა! არის ისეთი მომენტიც, როცა ჩვენც ძალგვიძს ღვთაებრივად ძლიერნი ვიყოთ და ბუნებრივად უშუამავლო, ყოველ შემთხვევაში უფრო მდიდარნი, ვიდრე ყველა ჩვენი წინაპარნი ერთად აღებულნი: ეს მაშინ, როცა სქესობრივი ინსტიქტი გვიპყრობს, როცა ვშრომობთ, ბატონობისთვის ვიბრძვით და როცა ნაღვლიანად ჩვენს უცნაურ ბედისწერაზე ვფიქრობთ. მაშინ ჩვენ შეგვიძლია მუხლი მოვიდრიკოთ ისევე უბრალოდ, როგორც ჩვენი მამა-პაპანი ამას ლოცვის დროს შვრებოდნენ.

და, აი, ამ უსაზღვროდ მარტივსა და მრავალმეტყველ მდგომარეობაში დაგვიჭირა როდენის გენიოსურმა თვალებმა, რომელნიც თითქოს მხოლოდ იმიტომ არიან გაჩენილნი ამ ქვეყნად, რომ ყოველი მოძრაობა აღნუსხონ, რაგინდ უმნიშვნელო და ხანმოკლე იყოს ის გარეგნულად. თვალებმა-მეთქი და ხარ გონებამ: იმიტომ, რომ ეჭვი არ არის, ნამდვილი ესთეტიკური შემოქმედება ბუნებაში დანახულზეა აგებული და

არა მშრალ აზროვნების მიერ შეთხზულზე. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეს უბრალო, შინაგნობიაკენ მიმართული ხელოვნება, ურომლისოდაც ქვეყანა ბევრად უფრო ღარიბი იქნებოდა, ვიდრე ის ახლა არის.

როდენი ახლა სამოცდაათი წლის მოხუცია. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ბიოგრაფიის დაწერა თითქმის შეუძლებელია. მთელი ცხოვრება შრომაში და შემოქმედებაშია განვლილი და მას არც რომანტიკული თავგადასავალი ამკობს, არც გმირული მოქმედებანი, არც ანეგდოტური წვრილმანები, მაგრამ რაღაც წყნარი, უსიტყვო სიდიადის ბეჭედი აზის ამ თავმდაბალ ადამიანის ცხოვრების მსვლელობას, მის შეუდრეკელ რწმენას თავის დანიშნულებისადმი, მის განსაცვიფრებელ ენერგიას, რომლითაც მან გადალახა ადამიანური გაუგებრობის და სიდუხჭირის მიერ მომზადებული დაბრკოლებანი.

ამ დაბრკოლებებთან ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იქნებოდა, ის რომ დამოუკიდებელი ყოფილიყო და შეძლებული; მაგრამ ის ღარიბი იყო და უცნობი, პარიზელი უბრალო მოხელის შვილი და ეს გარემოება ხელს უშლიდა ნიჭის თავის დროზე გაშლას, საპატიო ადგილის მოპოვებას. საუკეთესო დღენი ყმაწვილობისა და ვაჟკაცობისა მან ლუკმაპურისათვის ბრძოლას შესწირა. შემდეგ ცხოვრების სამხარზე დიდება მოვიდა, მაგრამ მას თან მოჰყვა მტრობა, უშეცრობა, გაუგებრობა, რომელიც საკმაოა უწმინდესი სიხარულის მოსაშხამავად, და თუ მოხუცი როდენი დღესაც შავ დედამიწასავით ნაყოფიერი და შეუშფოთებელია — ეს ალბათ იმიტომ, რომ ის ასეთი ახლო ნათესავია ბუნებრივი ელემენტებისა.

* * *

როდენმა დიდხანს უცადა გულდამშვიდებით თავისთავს, თავის მომწიფებას. ეს კი დაუფასებელი ღირსებაა ყოველი შემოქმედისა, რომელიც ღირსია ამ სახელისა. მოუმწიფებელი ახალგაზრდობა ხშირად სანტიმენტალურია, გამსჭვალული გამოურკვეველი, ანგარიშმიუცემელ ლტოლვით. მას აჩუყებული და მგრძნობიარე გული აქვს, მაგრამ მის ნებისყოფას ვაჟკა-

ცური სიმტკიცე აკლია. ის ხშირად ცრემლებს ღვრის იქ, სადაც თავისთავის დადასტურებაა საჭირო და პირველ ნიავის მიმოქროლვისას უმწეოდ იზნიქება ნაზი ლერწამივით. ის გადაჭარბებით ორიგინალობს, მაგრამ ხშირად ვერ ამჩნევს, რომ ამ ორიგინალობას სარჩულად ძლიერი ინდივიდუალობა კი არ უძევს, არამედ საცოდავი წაბაძულობა. ის ხშირად შეუგნებელი ქურდია იმიტომ, რომ თვით არ იცის, სად მოიპარა თავისი უკანასკნელი შეხედულება. მასში ათასი სული ცხოვრობს: დღეს შექსპირის, ხვალ მეტერლინკის; დღეს „კლასიცისტის", ხვალ რომანტიკოსის; დღეს რეალისტის, ხვალ სიმბოლისტის; დღეს რენესანსის, ხვალ დეკადანსის,—შემოქმედის კი არასოდეს. იმიტომ რომ შემოქმედებითი სული ყოველთვის ერთია, ძლიერ იშვიანი და მიუკარებელი და თავის სამფლობელოში ის უცხოელემენტს ვერ ითმენს. ასეთი „ნორჩი გენიოსები" და „ნორჩი ტალანტები" განსაკუთრებით ბევრი ჩნდება ისეთ ხალხში, რომელიც ახლად იღვიძებს ხანგრძლივი კულტურული თვლემის შემდეგ და დამოუკიდებელი ეროვნული შემოქმედებისთვის ჯერ კიდევ ენერგია აკლია...

როდენი კი გამოვიდა გვიან, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით, შეუპოვარი სტიქიონის მსგავსად და მოიტანა ამ ქვეყნად ახალი რამ, უცხო, მასთან ერთად თითქო ნაცნობი და მახლობელი, რომელიც ღირსია გვერდში ამოუდგეს ბერძნულ და გოთურ ხელოვნებას, დონატელოს და მიქელ-ანჯელოს: არა როგორც განმეორება ანტიკური და ქრისტიანული ხელოვნებისა, არა როგორც მათი წაბაძვა, არამედ როგორც მშვენრმეტყველი ესთეტიკური განსახიერება თანამედროვე სულის ძიებისა, მისი ბუნებრივი ინსტიქტებისა და მშვენიერების გრძნობისა და ამაშია უდიდესი ღვაწლი და უაღრესი გამართლება როდენისა, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანისა: ის არაკის იმეორებს თავის თავის გარდა, თუმცა ყველა წინაპართა გამოცდილებით სარგებლობს.

და მართლაც, ყოვლად შეუძლებელია ამ გავლენის უარყოფა, რომელიც როდენზე ბერძენთა და ეგვიპტელთა წარმართმა ხელოვნებამ დააჩნია თავის მუშაობის მეთოდით და ფორმალურ პრინციპებით, ხოლო ქრისტიანულმა პლასტიკამ თავის მოძრაობით და სულიერი შინაარსით. მაგრამ მიუხედავად ამი-

სა, რარიგ განსხვავდება ეს ჭეშმარიტად თანამედროვე ქანდაკება ყველა მის წინამორბედთაგან!.. ჩვენს შფოთიან, ნერვებაშლილ და სისხლნაკლულ ხანაში ეს ხელოვნება უცხო მცენარესა ჰგავს ჩვენთვისვე ფარულს, ჯანსაღ დედაარსზე აღმოცენებულს.

ბერძნების კლასიკური სული წყნარი სიდიადის და კეთილშობილი უბრალოების ბეჭედს ატარებს ოლიმპის ღმერთებივით, რომელნიც ფიდიასის, ლიზიპოსის და პრაქსიტელესის პლასტიკაში ცხოვრობენ. ელინი თავისუფალია ყოველ გადაჭარბებულ სიცხარისა, წვრილმანობისა და მოუსვენრობისაგან. ამაყად თავაღებული, თავის ძალღონეზე დაყრდნობილი ის აუჩქარებლად მიაბიჯებს ამ ქვეყნად და მისი ფართოდ დაღებული თვალები ხარბად ტკბებიან ფერადების თამაშით და ფორმების მშვენიერებით. მისი მოძრაობა უფრო ნაკვთების მოძრაობაა, ვიდრე ნერვების და ძარღვების: ის ჰარმონიულია და თავისსავე საზღვრებში დამთავრებული. მისი შინაგანი ხასიათი უფრო ეპიკურია, ვიდრე ლირიკული. მან არ იცის სიტკბოება ნაღვლით შეზავებული სიხარულისა, მან არ იცის ციებ-ცხელების ერეოლა მუდმივ დაუკმაყოფილებელი სიყვარულისა. ამ ცხოვრებიდან ის იღებს, რის აღებაც შეიძლება, და უარს ამბობს დაუსრულებლობის და არარაობისაკენ ლტოლვაზე. ის ხშირად განიცდის ტრაგიზმს, მაგრამ ეს ტრაგიზმი უფრო გარეშე ძალებთან შებრძოლებისაგან გამომდინარეობს, ვიდრე სულიერი დისჰარმონიისა და წინააღმდეგობისაგან. მისი იდეალი ფიზიკურად დასრულებულს ზეკაცობაში მდგომარეობს.

თანამედროვე თვალსაზრისით ამ იდეალს აკლია სულიერება, ფსიქიური განცდის სიბასრე. ეს გასაკვირველი არაა; ჩვენსა და ანტიკური ქვეყნის შორის ქრისტიანობა ძევს და მისი უდიდესი გამოხატულება — გოთური ხელოვნებაა. განსაცვიფრებელი ხუროთმოძღვრება და ქანდაკება, რომელმაც თავისი უმშვენიერესი ძეგლები საფრანგეთის საკათედრო ტაძრებში დაიდგა, თავჩაქინდრული დგას აქ მომაკვდავი, ქედმოხრილი, საშინელი, საუკუნეების მიერ ნაანდერძევ ცოდვის ქვეშ. მაგრამ ამ თავმდაბლობასთან დემონიური თავმოყვარეობაა შეერთებული. ხორცმა დაჰკარგა ღვთაებრივი გრძნობა უმანკოებისა და უცოდველობისა და მისი თვალები ქვესკნელს დასცქერიან, მა-

გრამ სამაგიეროდ სულმა თავისი აბსოლუტური დამოუკიდებლობა და უპირატესობა აღიარა და მისი მხედველობა ზეცისკენაა მიპყრობილი. სხეულს რცხვენია თავისი სიტიტვლისა: ის ამ ხელოვნებაში სამოსელითაა დაფარული. ის უტყვია, ამ სიტყვის ზოგადი, ღრმა მნიშვნელობით. მეტყველია მხოლოდ სახე, ინდივიდუალობის სარკე, რომელზედაც მთელი მისი შინაგანი ბედია აღბეჭდილი: მისი შიში და ძრწოლა, მისი იმედი და ხსნის სასოება. გადაჭარბებით მოძრავნი არიან გოთური ხელოვნების ქმნილებები. მოუსვენარნი, სარწმუნოებრივი გულისთქმით მღელვარენი. სულიერი მოძრაობა ცდილობს მატერიის მიერ დადებულ საზღვრების გადალახვას. ის ძიერტვის მარადისობისაკენ: ამიტომ აქ დაკარგულია ის ფორმალური სისრულე, რომელიც ოლიმპის უფრო ტიპიურად დახასიათებულ ზეკაცებს გამოუთქმელ ჰარმონიას ანიჭებდა.

ჩვენ კი, ჩვენ უფრო ძლიერად გვიყვარს და უფრო მძაფრად ვიტანჯებით, ვიდრე ბერძნები, მაგრამ საშუალო საუკუნეების წინააღმდეგ, ჩვენი სიყვარული და სიძულვილი ამქვეყნიურ საგნებს ეკუთვნიან. ბედისწერას ჩვენ ჩვენივე სულის სიღრმეში ვატარებთ და ამიტომ ლტოლვა თავისი თავის საზღვრებიდან განთავისუფლებისა, ბუნებაში ნათესაობის ძიებისა ჩვენში ბევრად უფრო საგრძნობელია, ვიდრე სხვაში. არა მარტო სახე, არამედ მთელი სხეულია სულჩადგმული თავიდან ფეხებამდე და ხელახლად გატიტვლებული ტანი ჩვენ ხშირად ბევრად მეტს გვეუბნება, ვიდრე მთელი ნაკადული სიტყვებისა და ფრაზებისა.

ახალმა ხელოვნებამ და განსაკუთრებით კი როდენმა მჭეკრმეტყველი სხეულის ქანდაკება მოგვცა. ეს მჭეკრმეტყველება ნაკვთების, ნერვების, ზედაკანის ნაზ და მრავალმხრივ თამაშზეა დაფუძნებული და ის ხშირად გვიამბობს ადამიანის ნათესაობაზე მცენარესა და ცხოველთან, მთელ მშვენიერ ბუნებასა და მის მოძრაობებთან. ამით ბერძნების ზებუნებრივ და ქრისტიანობის არაბუნებრივ იდეალებს თანამედროვე სულის ბუნებრივი ლტოლვანი უპირდაპირდებიან. ერთი გამოჩენილი ფრანგი მხატვრის დახასიათებით, როდენის ხელოვნება დედამიწიდან ამოდის და დედამიწასვე უბრუნდება იმ უზარმაზარი ძეგლების, საფლავების და გამოკვეთილი ნაპრალების მსგავსად,

რომელნიც განმარტოებით აღმართულან უდაბნოში და თავისი სიდიადით გმირულ დროის ადამიანს ჰხატავენ. ის ამჟღავნებს ხეების და მცენარეების იდუმალ ნათესაობას მშვენიერ, ახალგაზრდა ქალებთან, რომელთა ნაზ, სვეტივით მოქნილ ტანს სავსე თეძოები ატარებენ. მთრთოლვარე მკერდზე მძიმედ ირხევა ლამაზი თავი, რბილს კისერზე დაყრდნობილი. ასე ჰკიდია მწიფე ნაყოფი უცხო, მშვენიერ ხის ტოტზე. როდენს არ შეეძლო თანამშრომლობა გაეწია ტაძრებში, რომელნიც ჩვენ აღარ გვაქვს: მისი ღრმა ადამიანობა მას ბუნების უკვდავ ფორმებს უკავშირებს (ე. კარიერი).

* * *

ბუნების წიაღში დაბრუნება სრულიადაც არ გულისხმობს მონობას ბუნების წინაშე. ხელოვნებაში ჩვენ ვეძებთ არა სინამდვილის წაბაძულობას, არა მის განმეორებას ან უფერულს აჩრდილს, არამედ ისევე ორიგინალურ რაიმეს, როგორიც თვით ბუნებაა. ბუნების ასლს მჭევრმეტყველება აკლიაო, თქვა როდენმა ეჭვი არ არის, ყოველი ასლი ორიგინალზე დაბლა დგას და ხელოვნების სულიერი ღირებულება ძლიერ საეჭვო იქნებოდა, ის რომ მართლაც სინამდვილის პირდაპირსა და უცვლელს გადაწერაში მდგომარეობდეს, როგორც ზოგიერთ უკიდურესს ნატურალისტს ჰგონია.

ყოველი ჭეშმარიტი ხელოვნება ბუნების შინაგან ლოგიკას ეყრდნობა, მაგრამ ის აჭარბებს მის ზოგიერთ მხარეს. ამით ის ესთეტიკურ სინამდვილეს ჰქმნის, უფრო ძლიერსა და გავლენიანს, ვიდრე ყოველდღიური სინამდვილეა.

რას ბაძავს ხუროთმოძღვრება? რისი ასლია მუსიკა ანუ თუ გინდ ყველაზე რეალისტური ხელოვნება — მხატვრობა?

მართალია, ემილ ზოლამ ის აზრი გამოთქვა, რომ ყოველი მხატვრობის საბოლოო იდეალი კარგად დახატული ბოლოკიაო, მაგრამ ჩვენ ამაზე შეგვიძლია სამართლიანად ვუპასუხოთ, რომ ტილოზე ფერადებით დახატული ბოლოკი ვერასოდეს ვერ იქნება იმის განმეორება, რომელიც ჩვეულებრივად ბაღჩაში იზრდება. დახატული ბოლოკის ღირებულება შეიძლება ფასდაუდებელი იყოს მისი ფერადების და ფორმების და იმ იდეალუ-

რი სივრცისა და სინათლის გამო, რომელიც მას არტყია. ფერადების ასეთი თამაში, სინათლის და ჰაერის ასეთი კონცენტრაცია ყოველთვის გადაჭარბებაზეა დაფუძნებული და უბრალო ბალჩაში ჯერ არავის უნახავს.

მაგრამ ზოლას პარადოქსალურ ფრაზაში ერთი ღრმა ჭეშმარიტება იმალება, ჭეშმარიტება, რომელიც კიდევ უფრო ნათლად გამოსჭვივის მის ცნობილ სიტყვებში: ხელოვნური ნაწარმოები ბუნების ერთი კუთხეა, შემოქმედებითი ტემპერამენტის თვალით დანახულიო. მართლაც ის, რასაც ხელოვნება იძლევა, არის უწინარეს ყოვლისა არა ფილოსოფიური იდეები და ამაღლებული, აბსტრაქციის სიცივეში გაყინული ცნებები, არამედ ცოცხალი ცხოვრება, მისი ხორცშესხმული და სულჩადგმული ფორმები, ხშირად ძლიერ უბრალონი და უმნიშვნელონი გარეგნულად. ხელოვნება ამ ქვეყნად იმისთვის არის, რომ ადამიანის ბნედველობას და სმენას ესაუბროს და არა იმისათვის, რომ მისი შემეცნების წყურვილი მოკლას. „ფილოსოფიურად დაფუძნებული“ ხელოვნება ფრიად მქლე არის, გულმკერდჩავარდნილი, თვალებჩაცვივნული, ჭლექიანი: ის უნიჭო პუბლიცისტიკაა, რომელიც ვერც ჩვენს თეორიულ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ვერც ესთეტიკურს. მას აკლია ფერების ელვარება, სხეულის სისრულე, მოძრაობის სიცხადე. ის ფერმკრთალია და მოდუნებული უდროოდ დამჭკნარ დედაკაცივით.

ამ უბრალო ჭეშმარიტებას ვერ ხედავს მეტაფიზიკური ესთეტიკა. ერთგვარი თეორიული მანიით გახელებული, ის „იდეების გამოხატულებას“ ეძებს ყველგან ამ მრავალფერად და მრავალხმოვან სოფელში: მეცნიერებაში და ფილოსოფიაში ისევე, როგორც სარწმუნოებაში, ხელოვნებაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს მეტაფიზიკური სიგიჟე ყოველ სიგიჟეზე აუტანელია. ცხოვრება ძაფზე აცმულ ცნებათა კრიალოსანი არ არის, რომ მის ხელში დაჭერა შეეძლოს თუნდ ისეთს ბრძენს, როგორიც კანტია, ან ჰეგელი.

მეტაფიზიკური ესთეტიკა ხშირად გვეუბნება: ეს ხელოვნური ნაწარმოები სასოწარკვეთილების იდეას ხატავს, ის სიყვარულისას და სხვ. ეს ძირითადი უკუღმართობაა; არავითარი ადამიანური ხელოვნება არ ისახავს მიზნად ესთეტიკურად გამოხატოს ის აზროვნების აბსტრაქცია, რომელსაც სასოწარკვეთი-

ლეპის თუ სიყვარულის იდეა ეწოდება. ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი ხატავს ცოცხალ ფორმებს, მის სულიერ შინაარსს და მოძრაობას. ის იჭერს იმ მომენტს ადამიანის ცხოვრებაში, როცა ეს, მაგალითად, სასოწარკვეთილების გრძნობას განიცდის; ის გვისურათებს მის დაწიწულს ნაკვეთებს და ძარღვებს, მისი სახის გამომეტყველებას, მისი ტანის მოძრაობას, ანდა ის გვაჩვენებს ადამიანს, რომელიც სქესობრივი სიყვარულითაა შეპყრობილი: მის ნერვებს კნებით მთრთოლვარეს, მის თვალებს სურვილით ელვარეს, ხელებს ჩასახვევად გაწდომილს და სხეულს აღელვებულს წინადგრძნობით და მტანჯველი სიტკბოებით. ასეთია ჭეშმარიტი ხელოვნება — ბუნების ერთი კუთხე შემოქმედების თვალებით დანახული. იდეები აქედან შემდეგ ჩვენს კრიტიკულს და შემეცნებითს აზროვნებას გამოჰყავს, მით უფრო მეტი, რაც უფრო მდიდარი და მრავალმსრივია ესთეტიკური ნაწარმოები. ამიტომ ცნებათა ეს სისტემა შეიძლება მის ზედნაშენად ჩაითვალოს, საძირკვლად კი არასოდეს.

ჯანსაღ ხელოვნების შესაგნებად თვალების ფართოდ დაღებაა საჭირო და ყურთა სმენის გამახვილება! ამასთანავე ნაკლები რეზონიორობა...

* * *

როდენს არასოდეს არ სდომებია იდეებით დატვირთული ხელოვნების ქურუმი გამხდარიყო. მას სურდა მხოლოდ, რაც შეიძლება, უკეთ დაენახა ის, რაც მშვენიერია, დამახასიათებელი და ადამიანურად მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. დაენახა არა ანტიკური ან აღორძინების ხანის, არამედ თანამედროვე ადამიანის თვალებით, ამისთვის კი საჭირო იყო რადიკალურად შერყევა იმ წინასწარმოსაზრებათა და ცრუმორწმუნეობათა, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ტრადიციულ პლასტიკას და ხელს უშლიდა მართლაც თანამედროვე ხელოვნება გამხდარიყო.

არსებობს ერთნაირი საერთაშორისო აკადმყოფობა, რომელიც უშლის ადამიანებს — შეიგნონ: ესთეტიკური მშვენიერება ერთხელ და სამუდამოდ სხვის მიერ განმტკიცებულ ლამაზ პოზებსა და ფრაზებში კი არ მდგომარეობს, არამედ განუმეორებელ განცდის ხელოვნურად გამოხატვაში; რომ შეიძლება

ხელოვნურ შემოქმედებას ულამაზო, საზიზღარი საგანიც ჰქონდეს, როგორც ეს სხვათაშორის პოეზიაში შარლ ბოდლერმა დაგვანახვა. ჩვენს თანამედროვე მგოსნებს, მაგალითად, ესთეტიკური მშვენიერება დაახლოებით ასე აქვთ წარმოდგენილი: ღამეა... მთვარე ვარცხლაპურად ანათებს არე-მარეს... ისმის მხოლოდ სიოს იდუმალი ჩურჩული და ბულბულის შორეული სტვენა, მგოსანი დგას მიყრდნობილი ხეზე და ტირის (სატრფომ უღალატა ვერაგულად), ძირს აგდია ჩანგი, რომელსაც სიმები აქვს დაწყვეტილი („უდიდესი" ტრაგედია!) და სხვა და სხვა... ბევრ გულჩვილს მანდილოსანს დააფრქვევინა ალბათ სანტიმენტალური ცრემლები ასეთმა სცენებმა, ჩვენ კი ამ დაუსრულებელმა ვარიაციებმა ერთსადაიმავე თემაზე კბილები მოგვკვეთა მჟავე ტყემალივით, იმიტომ რომ ბულბულის ჭახჭახი, სიმთა ჟღერა, ია-ვარდი, ყვავ-ყორანი, მიუწვდომელი სატრფო, შავი წამოსასხამი და დემონისებური სახის გამომეტყველება შეიძლება თავის ადგილზე იყო რომანტიკული ძიების დროს, ჩვენს პრაქტიკულს და ფსიზელს ხანაში კი ყველაფერი ეს მხოლოდ ლამაზი ფრაზაა, პოზა და მსახიობობა, რომელსაც სხვა სიკეთესთან პირადი განცდის გულწრფელობაც აკლია.

გარეგნული სილამაზე და ესთეტიკური მშვენიერება ერთი და იგივე არ არის. შეიძლება საგანი გარეგნულად მახინჯი იყოს და საძაგელი ილია ჭავჭავაძის გლახასავით იმის მოთხრობის დასაწყისში, ხშირად ამასთან ერთად ესთეტიკურად მშვენიერიც — ხელოვნური სისრულის გამო, და შეიძლება საგანი ლამაზი იყოს საპარიკმახეროში პირწმინდად გაკრეჭილი ფრანტივით, მაგრამ ესთეტიკურად უმნიშვნელო, ან აუტანელი. სამწუხაროდ, ჩვენ ძლიერ ხშირად ვეშორდებით ბეშმარიტი მშვენიერების იდეალს და, რომანტიკული ფრაზეოლოგიის მიუხედავად, სადალაქო შემოქმედებას ვუახლოვდებით. ეს კი დიდი უბედურებაა; ხელოვნების დედააზრს არაფერი არ ეწინააღმდეგება ისე აშკარად, როგორც ნიმუშების მიხედვით გაკრეჭილი სული.

ამგვარივე ხასიათის იყო ის ცრუმორწმუნეობაც, რომელსაც შებოჭილი ჰყავდა აკადემიური, ტრადიციული პლასტიკა როდენამდე. თაკის ლტოლვათა და ძიებათა მუდმივ იდეალს ის ბერძნების მიერ შექმნილ ტიპებში ხედავდა. და ამ იდეალის

მიღწევას ის იმით ლამობდა, რომ სხვის მიერ ნაშობი არსების მსგავს ტყუპის შესაქმნელად იტანჯებოდა.

ანტიკური ღმერთები ერთგვარ, ძლიერ დამახასიათებელ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი სხეულის და ასოების ურთიერთობა ძლიერ ცვალებადი და მრავალმხრივია, მაგრამ ის ყოველთვის განსაზღვრულ სტილს ექვემდებარება. ეს სტილი და ეს მდგომარეობა ბერძნებისთვის ძლიერ ბუნებრივი და ძალდაუტანებელი იყო, იმიტომ რომ თავისუფლად მათივე ეროვნულ ხასიათიდან გამომდინარეობდა. და ის უმეტეს შემთხვევაში ლამაზი იყო, იმიტომ რომ თვით ჩვეულებრივ ცხოვრებაშიც ყველაზე მაღლა ტიტველი ტანის სილამაზე და ჯანსაღობა ფასობდა. აპოლონ ბელვედერელი და მილოსის ვენერა აქ ცხოვრების ჭეშმარიტებას ხატავდნენ და არა კონვენციურ იდეალს. პირიქით, როცა თანამედროვე ქანდაკებაში რომელიმე ბრინჯაოში ჩამოსხმული პოლიტიკოსი, მხედართმთავარი ან უბრალო ბურჟუა ხელებს იუპიტერივით შლის, ან იულიოს კეისარივით იშვერს, არ შეიძლება ძალაუნებურად ის აზრი არ დაგვებადოს, რომ ეს ტყუილია, „თხზულებაა“ და არა დანახული ჭეშმარიტება. ასეთ შემთხვევაში გამოკვეთილი სხეული დუნდება, მოძრაობა იყინება და ცოცხალ სინამდვილის ადგილს მისი უფერული აჩრდილი იჭერს.

როდენმა ეს გარემოება იმთავითვე შეითვისა. მისი პირველი ბრინჯაოს ბიუსტი — „ცხვირგატეხილი მამაკაცი“ ცხადყოფილი ჭეშმარიტებაა, ტლანქი, მიუფერებელი. ოცდაოთხი წლის იყო როდენი, როცა მან ეს საუცხოო ნაწარმოები პარიზის სალონში გაგზავნა გამოსაფენად. ტრადიციული ხელოვნების მსაჯულებმა ის არ მიიღეს. ძლიერ აშკარა იყო მისი წინააღმდეგობა ყველა იმისადმი, რასაც ეს უკანასკნელნი წმინდად სთვლიდნენ ესთეტიკურ სფეროში. ახლა ის საყოველთაოდ უდიდეს განძადაა მიჩნეული.

მშვენიერია ეს თავის ფიზიკური სიმახინჯის მიუხედავად, მისი ტანჯული სახის საცოდაობას გატეხილი ცხვირი კიდევ უფრო აძლიერებს. ჩავარდნილი ყბებისა და ნაოჭებით დასერილ შუბლიდან ნათლად ჩანს, რომ აქ ბედისწერას, ჩვეულებრივ, მეტი ულმობელობით უნავარდნია. შეიძლება ამ უსახელო, შეუმჩნეველი ადამიანის ტანჯვა არავის უგრძვნია და აღუ-

ნუსხავს გარდა ამ ერთს დროს ნორჩის, ეხლა კი ქარიშხალისა და სუსხის მიერ გამაგრებულის ზედაკანისა. აქ კი ის მთელი სიძლიერით გამოსჭვივის; ყოველი ნაკვთი, ყოველი ხაზი სულ-ჩადგმული, თვით სახის სიმეტრიაც კი დარღვეულია სულიერი სიმდიდრის გულისთვის. და როცა ამ თავს უცქერი, გგონია თითქო ის სადღაც გინახავს, თითქო ასე, მხოლოდ ასე უნდა იხატებოდეს ცხოვრების უკუღმართობა დაღლილ, ძლიერ დაღლილ სახეზე. მაგრამ მეორე მხრივ რარიგ ინდიკიდუალურია ეს სახე, რარიგ განუმეორებელი თავის მშვენიერი სიმახინჯით? ის ღვიძლი, კანონიერი შვილია თანამედროვე ხელოვნებისა, რომელიც ცდილობს მომენტალურში მუდმივი და წარუვალი გეაგრძნობინოს, ხოლო პიროვნულში ზეპიროვნული და უნივერსალური.

ადამიანის ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როცა მისი სახის გამომეტყველება ან ერთი მისი სიტყვა უფრო მეტ ნათელს ჰფენს მთელ მის არსებას და შინაგან ბედს, ვიდრე მთელი წლები ჩვეულებრივ ცხოვრებისა. მხატვარი, რომელიც ამ მომენტს ამჩნევს და საუკუნეებს უნახავს, ღირსია შემომქმედის წოდებისა. როდენი ასეთ მხატვრების რიცხვს ეკუთვნის: მისმა ბიუსტებმა, რომლითაც მან უკვდავჰყო რამოდენიმე თანამედამულე (მხატვარი ლორანსი, მოქანდაკე დალუ, პუბლიცისტი ჰანრი როშფორი, ბელეტრისტი ოქტავ მირბო, კრიტიკოსი ჟეფრუა და სხვ.), კიდევ უფრო ცხადჰყვეს ეს, ვიდრე მისმა „ცხვირგატეხილმა მამაკაცმა“.

* * *

თავისი პირველი ბიუსტის შემდეგ როდენს ფართო საზოგადოებისათვის ცამეტი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი შეუქმნია. ის იძულებული იყო, ლუკმაპურის მოსაპოვებლად, სამუშაო სამშობლოს გარეთ ეძებნა როგორც უბრალო ტექნიკოსს, უბრალო ხელოსანს. მაგრამ ამ დროს მისთვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია: ბელგიაში მან შეისწავლა ადამიანის სულის დიდი მხატვარი — რემბრანდტი და გოთური ხუროთმოძღვრება, იტალიაში აღორძინების ხელოვნება, პარიზში ანტიკური ნაშთები. ამას ზედ დაერთო შინაგანი კონცენტრაცია,

სულიერი მომწიფება, თავისი თავის და თავის მიზნების მეტი შეგნება. ყველა ამ მომენტებს მისი „პირველი დროის ადამიანი“ მოწმობს (ბრინჯაო, ლუქსემბურგის მუზეუმი).

ეს ნაწარმოები იმდენად დამთავრებულია ტექნიკურად, ყოველი მისი ნაკვთი და სახსარი ისეთი სიყვარულით და ყურადღებითაა გამოკვეთილი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა როდენს სიყალბეც კი დასწამეს, ბრალდების უაზრობის მიუხედავად: ეს ფიგურა ცოცხალი ადამიანის ტანზეა ჩამოსხმულიო. მხოლოდ შემთხვევით, რამდენიმე ცნობილი მხატვრის შემოწმებით, რომელნიც თვითონ დარწმუნდნენ როდენის კეთილსინდისიერებაში, შესძლო ახალგაზრდა, უცნობმა მოქანდაკემ თავისი სიმართლის დამტკიცება.

„პირველყოფილი ადამიანი“ ახლად იღვიძებს ღრმა, ხანგრძლივი ძილისგან. თვალები ნახევრად დახუჭულია. მშვენიერი სიზმრის მსუბუქი სურათები ჰქრება და მის ადგილს ფხიზელი, სასტიკი სინამდვილე იკავებს. ნათელი დღე მოდის, მოჩვენებათ ფანტავს და მძიმე შრომისათვის მოუწოდებს. მწვავეა და ტკბილი ამასთან ერთად ეს გამოღვიძება.

მთელი ახალგაზრდა, ჯანსაღი ტანი, ყოველი მისი კუნჭული გაცხოველებულია ფარულ ენერგიით, პოტენციურ ძალღონით, მარჯვენა ფეხი თითებზე დგას: ის მზადაა ნაბიჯის გადასადგმელად: მარჯვენა ხელი მოკუმშულია და მძიმედ თავის კეფაზე ისვენებს. ეჭვი არ არის, ეს ხელი ერთ დროს დიად საქმეებს დაიწყებს, დიად ტაძრებს ააგებს.

მტანჯველი სიხარული მზის სხივების ქვეშ თვალგახსნილი შეგნებისა მეტი მშვენიერებით არავის გამოუხატავს ხელოვნებაში. ეს სხივები სწვავენ და მასთან ეროად ანებივრებენ კიდეც ნორჩ სხეულს.

ის ენერგია, რომელიც ამ საუცხოო ახალგაზრდაში ჯერ კიდევ ფარული იყო, „იოანე წინამორბედში“ (ბრინჯაო, პარიზი, ლუქსემბურგის მუზეუმი) დუღს და გადმოდის. ეს აღარაა პირველი დროის ადამიანი: მის უკან გრძელი წლებია, წლები შიმშილისა და გაჭირვებისა. უდაბნოის მქადაგებლის სხეული გაკაჟებულია. თვალები რწმენის ალით განათებული, ხელების მოძრაობა მკვეთრი და ენერგიული. ის მიაბიჯებს. მთელი მისი ტანი მსვლელობაა და მსვლელობად დარჩებო-

და, მისთვის ფეხებიც რომ წაეკრა: იმდენადაა ის გამსჭვალული ერთი მთლიანი რიტმით. ის მართლაც წინამორბედია, მახარობელი: უყურებ და გრძნობ, რომ მის უკან ვიღაც ძლიერი და მნიშვნელოვანი უნდა მოდიოდეს, კიდევ უფრო დიადი, ვიდრე ეს ცეცხლისმფრქვეველი წინასწარმეტყველია.

მოძრაობის ეს სიცხადე როდენმა თავის შემდეგს ნაწარმოებებში უმაღლეს წერტილამდე აიყვანა. სხეულის მრავალმხრივი მოძრაობის გადმოცემა მისი თავმოყვარეობის უაღრეს საგნად გარდაიქცა. ამით მან გაწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც მის ხელოვნებას აკადემიურ, ოფიციალურ პლასტიკასთან აკავშირებდა. ამ უკანასკნელს ძლიერ ეშინოდა მოძრაობათა სიმდიდრისა: მას ეგონა, რომ გადაჭარბებულ მოძრაობას შეუძლია სხეულის ჰარმონიის დარღვევა, მისი წყნარი მშვენიერების წარყვნა. როდენმა დაამტკიცა, რომ, პირიქით, მოძრაობა ცხოვრების ძირითად პრინციპს შეადგენს როგორც გარეშე სინამდვილეში, ისე ხელოვნებაში. „ყოველ ბუნებრივ მოძრაობაში, — თქვა მან, — გმირობაა დამარხული". საჭიროა ამ გმირობის გრძნობა, მისი გამოაშკარავება ჭეშმარიტ ესთეტიკურ შემოქმედებისთვის. საშიშია არა მოძრაობა თავისთავად, არამედ მხოლოდ ისეთი მოძრაობა, რომელიც ხელოვნურ ნაწარმოების საზღვრებს სცილდება და მას არახელოვნურ ნივთებს უკავშირებს, იმიტომ რომ ქანდაკება ძველ ქალაქს ჰგავს, როგორც ერთმა მგოსანმა თქვა. ის გალავანშემორტყმულია და არცერთი მისი მოთხოვნილება, არცერთი მისი იმედი ამ გალავანს არ უნდა სცილდებოდეს. გარეთ სხვა ქვეყანა ძევს, სრულიად გაუგებარ ენაზე მოლაპარაკე. ქანდაკება თავისივე თავის საზღვრებში უნდა იყოს დამთავრებული: სასაცილო იქნებოდა ძეგლი, რომელიც მოედანზე დგას და თავის მიხვრა-მოხვრით გამვლელ-გამომვლელთ ეარშიყება. ბრინჯაოს ადამიანსა და ხორცშესხმულ ადამიანს შორის არ შეიძლება ასეთი ურთიერთობა არსებობდეს.

* * *

სამშობლოს სიყვარულს და მამულისშვილურ თავგანწირულებას როდენმა ორი დიდი ძეგლი დაუდგა. პირველს ჰქვია „მოწოდება შეიარაღებისადმი".

წინ ბრინჯაოს ზოდზე მძიმედ ეშვება დაჭრილი მეომარი, სიმბოლო გერმანელების მიერ დამარცხებულ საფრანგეთისა. ზედატანი უმწეოდ არის გადახრილი, მაგრამ ფეხების დაწიწული ნაკვთები ნათლად ამტკიცებენ, რომ ის ჯერ კიდევ ცოცხალია. მის უკან ომის გენიაა ამართული. მისი ცალი ფრთა გატეხილია, ტანსაცმელი დაფლეთილი. მაგრამ მისი სახისა, მკერდისა და მოკუმულ ხელებიდან გამოსჭვივის უძლიერესი, შეუდრეკელი ენერგია, უსაშინელესი სასოწარკვეთილების მიერ გამოწვეული. ესეც საფრანგეთის უკვდავი სულია, რომელმაც მოზღვავებულ მტერს რვა თვის განმავლობაში გასაშტერებელი წინააღმდეგობა გაუწია. ის მოუწოდებს შეიარაღებისადმი და მთელი მისი არსება ძახილია, მუდმივ უკვდავი ძახილი ეროვნების დაცვისადმი... გმირული პატრიოტიზმისთვის უკეთილშობილესი ძეგლი ჯერ არავის დაუდგამს.

კიდევ უფრო შესანიშნავია „კალეს მოქალაქენი". არა ისტორიულ გმირებს და ზეკაცებს, არამედ უბრალო მომაკვდავთ დაუდგა ეს მონუმენტი როდენმა და ეს გარემოება კიდევ უფრო აძლიერებს მის მიერ გამოწვეულ შთაბეჭდილებას, კიდევ უფრო ცხადჰყოფს მამულისთვის თავდადების სიდიადეს.

ფრანგი მემატიანე ფრუასსარი ერთ საინტერესო ეპიზოდს გვიამბობს საფრანგეთის და ინგლისის ომის ისტორიიდან, რომელიც მეცამეტე საუკუნეში სწარმოებდა. ინგლისის მეფემ ედუარდ III ალყა შემოარტყა ზღვის განაპირა მდებარე ქალაქ კალეს. არსაიდან ხსნა არ იყო, მოქალაქენი შიმშილის და წყურვილის მთელ საშინელებას განიცდიდნენ, მაგრამ წინააღმდეგობით გაბრაზებული მტერი უარს ამბობდა შებრალებაზე. ბოლოს მეფე მაინც დათანხმდა ქალაქისთვის ალყა აეხსნა, თუ ექვსი შეძლებული და გავლენიანი პირი პერანგის ამარა ზამთრის სიცივეში ყელზე თოკმობმული მივიდოდა მის ბანაკში და მიუტანდა გალავნის ბჭეების კლიტეს მორჩილების ნიშნად. მძევალთა სიცოცხლე მეფის ნებაყოფლობაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. როცა მტრის ეს მოთხოვნილება ქალაქის თავმა მოედანზე შეკრებილ ხალხს გამოუცხადა, სასოწარკვეთილებისა და მწუხარების სმა გაისმა. ვინ იქნება ისეთი თავგანწირული, რომ უარს იტყვის ამქვეყნიერ ცხოვრების სიხარულზე და თავს საერთო

კეთილდღეობას შესწირავს?.. მაგრამ აი, ბრბოს შუაგულიდან გამოდის ერთი, უმდიდრესი და უხუცესი და თანხმობას აცხადებს მტრის ბანაკში წასვლაზე. მას მოჰყვება მეორე, ისევე შეძლებული და გავლენიანი, რომელსაც ამის გარდა, შინ ორი მშვენიერი გასათხოვარი ქალიშვილი რჩება. მათ მოსდევს ორი ძმა და ბოლოს კიდევ ორი ვინმე, რომელთა სახელი ისტორიას არ შერჩენია. მძევლები გატიტვლდნენ იქვე, ხალხის წინაშე მოიბეს თოკი და გაუდგნენ გზას. მათ უკან გაჰყვა ტირილი და მოთქმა უკან დარჩენილთა. ინგლისის მეფემ მოქალაქენი ჯერ მრისხანედ მიიღო და ჯალათს გადასცა, მაგრამ ბოლოს მაინც სიცოცხლე აჩუქა მათ. თავისი მეუღლის თხოვნით, რომელიც მემატიანეს სიტყვით „ძლიერ ფეხმძიმე იყო“. როდენმა თავისი ძეგლისათვის ის მომენტი აირჩია, როცა თავდადებულნი მოედნიდან თავის საბედისწერო მსვლელობას იწყებენ და განსაცვიფრებელი სიმარტოვით გადმოსცა ეს ურუანტელის მომგვრელი დრამა ექვსი ადამიანისა. მან ძლიერ კარგად იცოდა, რომ სწორედ სიკვდილის წინ აშკარავდება ის შინაგანი ხასიათი, ის სულიერი ავლა-დიდება, რომელსაც ადამიანი ხშირად ფარულად ატარებს და რომელიც მას განუმეორებლობის ბეჭედს ამჩნევს. ამიტომ მან ეს მოქალაქენი მხოლოდ გარეგნულად შეაკავშირა. ისინი არ წარმოადგენენ ერთ მთლიან ჯგუფს, მათ მხოლოდ ერთი გადაწყვეტილება აერთებს. რადგან მათი წარსული ცხოვრება და მათი შინაგანი ბედი სხვადასხვანაირი იყო, ამიტომ ეს გადაწყვეტილებაც სხვადასხვანაირად უნდა გამოხატულიყო თვითეულს მათგანში. ყოვლად შეუძლებელი იყო რამდენიმე ადამიანი სავსებით ერთ ჯგუფში შედუღებულიყო იქ, სადაც მთელი მათი განვლილი გზა, მათი ფარული კეთილშობილება და სულმდაბლობა, ვაჟკაცობა და სიმხდალე გარკვეული ენით ლაპარაკობდა.

და აი, როდენმა შექმნა ექვსი ადამიანი: ექვსი ადამიანი, რომელნიც სრულიადაც გმირობას არ იჩემებდნენ და სხვა დროს წყნარად დალევდნენ თავის სიცოცხლის დღეებს მშვიდობიანი კერის გარშემო, მაგრამ მოვიდა დიდი მომენტი და გამოააშკარავა ის უსახელო გმირობა, რომელიც ხშირად უუჩვეულებრივეს ადამიანში იმალება და ურომლისოდ

ჩვენს ქვეყანას ბევრად ნაკლები ფასი ექნებოდა, ვიდრე ახლა აქვს.

პირველ რიგში დგას მოხუცი. მისი სახსრები მოწყვეტილია, მისი სახე დაღლილია და უზომოდ გულგრილი. „ცხოვრება უკვე განვლილია და ის იმდენად ძვირფასი არ არის, რომ მისი ხელმეორედ განცდა ღირდესო“, ამბობს მისი თვალები, წვერი, ხელები, თვით პერანგში გახვეული მოდუნებული ტანი.

მის მარცხნივ პირტიტველა მოქალაქეა, რომელსაც ხელში გასაღები უჭირავს. მთელი იმ ცხოვრების ძალა, რომელიც მას წინ ედგა და რომლის განვლა ბედმა აღარ არგუნა, ამ უკანასკნელს წუთებშია დაგროვილი. მისი შორსმჭვრეტელი, აღგზნებული თვალები, მოკუმული ტუჩები, მიწაში ჩასობილი ფეხები განუსაზღვრელ ენერგიას ჰხატავენ. განსაკუთრებით კი ხელები, რომელნიც თითქო ცდილობენ, ტკიცილი აგრძნობინონ ამ გასაღებს, ერთ დროს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების თავმდებს, ეხლა კი გარდაქცეულს დამცირებისა და შეურაცხოფის საწინდრად.

მოხუცის მარჯვნივ ის საუცხოო ყმაწვილია, რომელსაც კრიტიკოსებმა „მიმავალი“ უწოდეს, ნაზი სიმბოლო ყველაფერი იმისა, რაც ასე მიმზიდველი და ხანმოკლეა ამ ქვეყანაზე. ის უკვე მიაბიჯებს. ის მიაბიჯებს, მაგრამ მისი თავი ძალაუნებურად უკან იხედება, თითქო მას სურს რაღაცას ერთხელ და უკანასკნელად გამოეთხოვოსო, არა უკანდარჩენილ ნათესავებს და ნაცნობებს, არამედ იმ ტკბილ ახალგაზრდულ ოცნებებს, რომელნიც ხელახლა იშლებიან მისი მხედველობის წინ, იმ ხანმოკლე წარსულს, რომელიც ასე ბედნიერი იყო და იმედებით სავსე. მისი მარჯვენა ჰაერშია ამართული, ის რაღაც გამოურკვეველად მიმოიხვრება და ეს მიმოხვრა ბევრს, ძლიერ ბევრს ამბობს: გაჰქრა ყველაფერი მსუბუქი სიზმარივით, სიყვარული გაფრინდა და სიკვდილი, რომელიც გუშინ ასე შორეული იყო და გაუგებარი, დღეს შავს ორმოს სთხრის ნორჩი სხეულის ჩასანთქავად.

უკანა რაზმში ორივე ძმაა მოთავსებული, უფროსი მათგანი მტკიცედ და შეურყევლად მიდის როგორც ადამიანი, რო-

მელიც თავის გადაწყვეტილებას არასოლეს არ გადაეხვევა: უმცროსი კი ნახევრად უკანაა მობრუნებული: მის მეტყველ ხელებს და სახეს ღრმა ტანჯვის ბეჭედი აჩნია. დაბოლოს, მათ გვერდით თავჩაქინდრული ადამიანი დგას. მისი ფეხები უარს ამბობენ ტარებაზე. ის ანრეებს იკრეფს. რას ფიქრობს ის? ერთმა მწერალმა თქვა, მომაკვდავ ადამიანის შეგნებაში მთელი მისი წარსული ცხოვრების სურათები იშლება და ვინ იცის, ეგებ ამ ადამიანსაც მიტომ წაუჭერია ხელები თავზე, რომ ეშინიან, მოზღვავებულმა ფიქრებმა ქალა არ გახეთქოსო...

ძნელია უფრო უბრალოდ და უფრო დრამატულად სიკვდილის წინათგრძნობის გამოხატვა, ვიდრე ეს „ქალეს მოქალაქეებში“ ხდება.

* * *

მთელი სისავსით როდენის ხელოვნების სიტყვებით გადმოცემა ჩვენ შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია. ეს არც შეადგენს ჩვენს პრობლემას. ჩვენი თავმოყვარეობა სავსებით დაკმაყოფილებული იქნება, თუ ამ სტრიქონების შემწეობით ვაგრძნობინებთ მკითხველს როდენის ესთეტიკური შემოქმედების ძირითად ხასიათს.

არც ესაა ადვილი საქმე. შეიძლება ერთი უდიდესი ტრაგედია იმაში მდგომარეობდეს, რომ მას არ ძალუძს სიტყვებით ამოსწუროს და სხვას გაუზიაროს ის, რაც ყველაზე უფრო ღრმად ნაგრძნობი და შეუთავსებელია. ჩვენი უსაიდუმლესი და უკეთილშობილესი განცდის წინაშე ჩვენ ხშირად სრულიად უმწეოდ ვდგევართ და ვოცნებობთ სხვა, არა ამქვეყნიურ ენის შესახებ, რომელიც შესძლებდა ჩვენი შინაგანი მოძრაობის გადმოცემას. ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ღრმა გრძნობა არსებითად უსიტყვოა, რომ ჩვეულებრივი ფრაზები ხშირად ძლიერ ტლანქი და შეურაცხმყოფელნი არიან და აჭკნობენ უმშვენიერეს ყვავილს, რომელსაც ჩვენი გულის სიწრფელე ასაზრდოებს.

როდენის ქმნილებათა წინაშე ყველაფერი ეს ჩვენ ხშირად ძლიერ მწვავედ გვიგრძვნია. მისი „ბალზაკი“, მისი „ევა“,

მისი „წარუვალი კერპი“, მისი „ტვირთმძიმე“ და სხვ. ძლიერ მჭევრმეტყველური არსებანია, მაგრამ მათი სიტყვებით გადაცემა არავითარ ადამიანურ მჭევრმეტყველებას არ ძალუძს. „მე მთელი წელიწადი დამჭირდებოდა ლაპარაკი, რომ ერთი რომელისამე ჩემი ნაწარმოების სიტყვებით გადმოცემა მსურვებოდაო“, თქვა თვით როდენმა.

ამ ნაწარმოებთა შორის ყველაზე ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის „კოცნაა“ (მარმარილო) — ეს მშვენიერი ჰიმნი კეთილშობილი სქესობრივი სიყვარულისა. მარმარილოს ბოლოს ყმაწვილი ზის. მის მარცხენა მუხლზე ჩამომჯდარია ახალგაზრდა ქალი და ჰკოცნის მას ისეთი ელემენტარული გულისთქმით, რომ ამ კოცნის ნეტარება ტალღებივით მთელ ნაზსა და მგრძნობიარე სხეულზე გადადის და მას უძლეველი ნდომით, შიშით და სიხარულით აკრჭოლებს. ნაკვთები მოდუნებულია წინათგრძნობის გავლენის ქვეშ და ამ წინათგრძნობაში სიტკბოება და გრძნეულების გამოუთქმელი ტანჯვაა შედუღებული, შარავანდედი ანათებს ამ „კოცნას“ და კიდევ უფრო „მუდმივს გაზაფხულს“ (მარმარილო), სადაც ქალის სქესობრივი პასივობა, მისი სურვილი სიყვარულში თავისი თავის ამოშრეტისა, უფრო მეტი სინამდვილითაა გამოთქმული. ამ კოცნაში და ამ გაზაფხულში დედაკაცი არაა შხამიანი, ტიტველი ცხოველი, როგორც ამას ხშირად ფელისიენ როპრი გვეუბნება, ან ბოდლერი, ან სტრილდბერგი, მაგრამ ის არც ცივ ეთერში მფრინავი ანგელოზია, ის მგრძნობიარე არსებაა და უმოკლესი გზა, რომელსაც მისი უიდუმალესი კუნძულებისკენ მიჰყავს, სქესობრივი სიყვარულია. ამ სიყვარულს ის ბევრს აძლევს, ძლიერ ბევრს, თითქმის მთელ თავის განძს.

სულ სხვაა მამაკაცი. ის ნაკლებ ინსტიქტურია და უფრ[illegible] წინდახედული უგულწრფელეს გრძნობაშიც კი. ის [illegible]-რულში მხოლოდ თავისი ინდივიდუალობის ნაწილს იძლევა და რასაც იტოვებს, ის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და დამახასიათებელია მისთვის. ეს წინდახედულობა და რეფლექსიის სიძლიერე განსაკუთრებით ნათლად ჩანს „კოცნაში“, სადაც მისი სხეულის დაჭერა, მისი ენერგიული მარჯვენა ხელი მთელ მის მამაკაცობას ააშკარავებს. რკინისებური ნე-

ბისყოფა გამოსჭვივის ამ „სხვა დროს შემოქმედ“ მარჯვენისაგან, მაშინ როდესაც ქალის მთელი სხეული თითქოს გამდნარია ვნების ცეცხლისაგან.

სხვა გვარისაა ის დედაკაცი, რომელიც „წარუეალ კერპში“ გვევლინება, აქ ის ზის მარმარილოს ზოდზე, როგორც სამსხვერპლოზე. მისი ტანი უკანაა გადახრილი მიუწვდომლობის ნიშნად. მარჯვენა ხელი, რომელსაც თითქოს მოხვევნის ნიჭი დაუკარგავსო, ფეხის თითებს ეხება და ამით მთელ სხეულს თავისთავით კმაყოფილების, თავისივე საზღვრებში დამთავრების ხასიათს აძლევს. აქ მას სწყურია არა სიყვარული მამაკაცისა, არამედ მისი უსიტყვო თაყვანისცემა. და აი მამაკაცსაც დაუჩოქნია მის წინაშე რელიგიური მოკრძალებით. მას ხელები უკან უჭირავს, თითქოს სურს დასძლიოს აზვირთებული გულისთქმა, რომელიც ამ საკურთხეველს შეურაცხყოფს. ის ჰკოცნის, ან უკეთ ვთქვათ, ემთხვევა თავის კერპს მარცხენა ძუძუს ქვეშ, იქ სადაც გული უნდა სცემდეს, მაგრამ ეს გული ცივია ყინულივით.

აქ ქალი ის ცისფერთვალებიანი ამოცანაა, რომლის ერთი შეხედვაც კი ხშირად ასე უზომოდ გვაშინებს, იმიტომ რომ ის ლითონის მახვილივით ცივია და მჭრელი.

არც ეს ზემოთ დასახელებული ქმნილებანი, არც სხვა რომელიმე არაა ეროტიკულად განზრახული და შესრულებული. არც ერთს მათგანში არ იხატება გრძნეული მომენტი ისე, რომ შეეძლოს ადამიანის სქესობრივი გრძნობა გააღიზიანოს, ან მისი მორალური შეგნება შეურაცხყოს. პირიქით, რაღაც კოსმოსურ ამაღლებულ ბედისწერის სუნთქვაში არიან გახვეულნი როდენის ქალ-ვაჟნი, რომელნიც ერთმანეთისკენ ილტვიან, იხლართებიან ურთიერთშორის და თავდავიწყებულ კოცნაში შეწებებულნი ერთად კვნესიან მძიმე, საუკუნეთა მიერ ნაანდერძევ ცოდვის ქვეშ და ეს მუდმივი სრბოლა შეუჩერებელია თვით მაშინაც კი, როცა ხორციელი წყურვილი დაკმაყოფილებულია, როცა სხეული უზომოდ მოქანცულია, თითქმის ფერფლად ქცეული ვნების ალისაგან.

სიყვარული ცხოვრების უდიდესი დრამაა. ის ცოცხალ არსებათა ერთობისა და უძლეველ წინააღმდეგობისაგან გამომდინარეობს. აქ ცხოვრების მოძრაობა უმაღლეს მწვერვა-

ლზეა ასული და თავისივე თავის გაცვეთით და განადგურებით ახალი, უფრო სრული ფორმების წარმოშობას ლამობს. სიკვდილი არსებითად ბევრად ნაკლებ დრამატულია: ის დასასრულია ყოველი მოძრაობისა და მხოლოდ სიყვარულის თვალსაზრისით ეძლევა მას საშინელი აზრი და მნიშვნელობა: იმიტომ რომ აუტანელია არა სიკვდილი თავისთავად, არამედ სიყვარულის სიკვდილი.

მაგრამ, რამდენადაც ჭეშმარიტი სქესობრივი სიყვარული სულიერ და ხორციელ მოძრაობათა სიმდიდრე და მრავალმხრივობაა, იმდენად სქესობრივი მეძავობა ამ მოძრაობათა ცალმხრივობა და სიღატაკეა. ამიტომ ის სრული წინააღმდეგობაა ყოველი დრამატიზმისა: ის აღტკინებული მაიმუნების და სანტიმენტალური ქონდრისკაცების ხელობაა.

როდენმა თავის შემოქმედებაში გადმოგვცა ის ღრმად დრამატიული და არა ეს ზერელი ეროტიული მხარე სქესობრივი სიყვარულისა. მან დაგვანახა ნაყოფიერება ქალ-ვაჟის საბედისწერო გადახვევაში, მან დაგვანახა, როგორ მისტიურად იბადება ახალი ცხოვრება ამ მტანჯველს შედეგებში: არა ერთი და ორი, არამედ ათასი ახალი ფორმა ცხოვრებისა, არა ერთს განსაზღვრულ ადგილს, არამედ ყოველგან, სადაც კი ორი ტიტველა სხეული ერთმანეთს ეხება.

„ღვთაების ხელი“ ატარებს ადამიანს ამ ნაყოფიერების დროს. ეს უზარმაზარი ხელი ამოყოფილია მარმარილოს ზოდიდან. სასწაულმოქმედება ხდება: მის თითებს შუა თანდათან იბადება ორი ადამიანი, რომელნიც უკვე ეხვევიან ერთმანეთს, არსებობის დაუმთავრებლობის მიუხედავად: თითქო კოცნა მათი უპირველესი და უდიდესი დანიშნულება იყოს...

ძნელია ყველა იმ შთაბეჭდილების სიტყვებით გადმოცემა, რომელსაც როდენის სხვადასხვა ქმნილებები იწვევენ ადამიანში. მათი ენა ზოგადი და მიუწვდომელია, როგორც მუსიკა და ხშირად გგონია, რომ ის ისედაც ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, როგორც გულის სიღრმეში დაბადებული უსიტყვო ლოცვა... როცა, მაგალითად, მის „წყლის ქალს“ უცქერი („დანაიდა“), ამ მშვენიერს სხეულს, რომელიც თმებიდან დაწყებული თეძოებამდე ნაზს მიმდინარეობათაა გადაქცეული, შენი შორეული, ბედნიერი ბავშვობა გაგონდება,

როცა ოცნებაში წასული ანკარა ჩანჩქერის პირას იდექი და მის ხმათა ჩქრიალში უცხო, მშვენიერი ქვეყნის არსებობას გრძნობდი. მაგრამ ეს ხომ ძლიერ სუბიექტური ესთეტიკური განცდაა და სხვებს ალბათ თითქმის არაფერს ეუბნება. ეს სხვები ყველა ამას ათას სხვადასხვაგვარად გაიგებენ, იმიტომ რომ ამ ხელოვნების ენის ზოგადობა თვითეულ პიროვნებას ნებას აძლევს — ის თავის სულიერ შინაგნობიდან ახსნას, მასში თავისი განსაკუთრებული ბედი შეიტანოს.

ან რას გვეუბნება განსაზღვრულს „ტვირთმძიმე" (კარიატიდა), რომლის ყოველივე მგრძნობიარე ნაკვთი, ყოველი ძარღვი მძიმე ტვირთის ქვეშაა მოზნექილი, თითქო დედაკაცობის მთელი შეჩვენება მის მხრებზე იყოს დაწოლილიო;

ან „ნიობეა" — ეს ტრაგედია დედობრივი სიყვარულისა, ლეგენდარული არსება, რომელსაც დედაკაცური ნაყოფიერება წყევლა-კრულვად გარდაექცა, მიტომ რომ შურიანმა, უნაყოფო ქალღმერთმა მისი მშვენიერი, ჯანსაღი შვილები მისივე თვალების წინ დაახოცვინა.

ან „სფინქსი" — ეს სასოწარკვეთილება ფიზიკურად ღონემიხდილი, მოქანცული სიყვარულისა.

ან „ევა" — ეს ერთი უმშვენიერესი ქმნილება, რომელიც ოდესმე გამოსულა ადამიანის ხელიდან. ის დგას თავჩაქინდრული გამოუთქმელად უბრალო პოზაში, რომელსაც შეუძლია გულისტკივილამდე გაგრძნობინოს მთელი უსამართლობა ადამიანური ტანჯვისა. მას ხელები მკერდზე დაუკრეფია, თითქო სურსო დაფაროს ის, რაც მას დედაკაცობის წაუშლელს ბეჭედს ამჩნევს. რა სტანჯავს მას? სინდისის ქენჯნა, თუ ის გარემოება, რომ თავის მკერდს ქვეშ უცნობი არსების ჩასახვას გრძნობს, თავისი შეცოდების ნაყოფის პირველ მოძრაობას?..

ან „ჯვარცმული", რომლის ღვთაებრივ თავს ვერ გაუძლია კაცობრიობის ცოდვის სიმძიმისთვის, ის უმწეოდ მოხრილა მის ქვეშ და რომლის თეძოებს თანამგრძნობი დედაკაცი მოხვეია, თითქო ლამობსო თავის ნაზი ალერსით ტანჯულის ღრმა იარები განკურნოს;

ან „მშვიდობით" — მარტივი, მაგრამ მწვავედ ნაგრძნობი

გამოთხოვება ყველაფერ იმასთან, რაც ასე საყვარელია და მიმზიდველი ამ ქვეყანაზე.

იქაც კი, სადაც როდენი განსაზღვრულ პიროვნებას გვიხატავს, როგორც, მაგალითად, „მადამ სიმპსენის“ ბიუსტში, მისი ენა მრავალმხრივია და ზოგადი. აქ ხედავ არა მარტო ამა თუ იმ პიროვნებას, არამედ ტიპურ თანამედროვე ქალის სულსაც ამ ინდივიდუალობაში განხორციელებულს; დედაკაცს, რომლის თვალები გრძნეულებითაა მიბნედილი, რომლის სავსე მკერდი და მთელი ტანი მგრძნობიარეა სქესობრივად, რომლის ტუჩები მწველია, თითქო კოცნის ალი მასზე არასოდეს გაცივებულიყოს. ანალოგიურ შთაბეჭდილებას ახდენს კრიტიკოს „გუსტავ ეფრუას“ ბიუსტიც, სადაც შემოქმედი მამაკაცობის გონიერება და ნებისყოფა შეუდარებელი სიძლიერითაა გადმოცემული.

* * *

უმაღლეს მწვერვალს როდენის შემოქმედებაში მისი ოთხი დიდი ნაწარმოები შეადგენს: „ბალზაკი“, „ვიქტორ ჰიუგო“, ჯერ კიდევ დაუმთავრებელნი „ჯოჯოხეთის ბჭე“, და „შრომის ძეგლი“. ამ უკანასკნელზე ჯერჯერობით თითქმის არაფრის თქმა არ შეგვიძლია. გარდა იმისა, რომ ის ერთს უზარმაზარ კოშკად არის განზრახული, რომლის კედელზე, კიბეზე და ბაქანზე სხვადასხვგვარი ადამიანური შრომის დარგია სიმბოლურად გამოსახული. რადგან მისი დამთავრება არაჩვეულებრივ ხარჯს ითხოვს, ამიტომ შედგა საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც ცდილობს საჭირო თანხის შეგროვებას ამ ძეგლის ასამართავად ევროპის რომელსამე ცენტრში. ჩვენი ეპოქის ნაყოფიერების და შემოქმედების მოწმე იქნება ის მომავალ თაობათა თვალში.

„ჯოჯოხეთის ბჭეს“ უფრო ზოგადი, უნივერსალური ხასიათი აქვს. ეს თვალაუწვდენელი, ოცდახუთი მეტრის სიმაღლე ბჭე მთელი კაცობრიობის გრძნეული და ციური ცხოვრების ეპოსად უნდა გარდაიქცეს. ოცდახუთი წლის განმავლობაში მუშაობს დროგამოშვებით როდენი ამ ვეებერთელა ნაწარმოების დასამთავრებლად და მთელი თვისი პესიმის-

ტური მსოფლმხედველობა მან მის ჩარჩოებში შეიტანა. ორი დიდი მგოსანი ხელმძღვანელობს მას ამ მუშაობაში: დანტე — „ღვთაებრივი კომედიის“ შემქმნელი და ბოდლერი — „ბოროტების ყვავილების“ მგოსანი.

ამ ბჭის ზევითა გიდელზე დგას სამი ერთიმეორეზე დაყრდნობილი, დაფიქრებული, დაღონებული „ჩრდილი“, სამი მიცვალებული. განხორციელება დანტეს ჯოჯოხეთის წარწერისა: „დასტოვეთ იმედი თქვენ, რომელნიც აქ შემოდიხართ“. გამოუთქმელი სასოწარკვეთილებით დაჰყურებენ ისინი იმ ტიტველ სხეულთა ზღვას, რომელიც მათ თვალწინ იშლება. აღვირახსნილ ვნებათა ღელვა აქ თავის შეუზღუდავ ბატონობას დღესასწაულობს. მთელი ადამიანობა იხატება ამ თავბრუდამხვევ ტრიალში, ამ გიჟურ მოძრაობაში, ამ სრბოლაში სიცალიერისაკენ, ამ ზეცისკენ ლტოლვაში და დედამიწაზე ღოღვაში. აქ ვხედავთ ერთმანეთში გადახლართულ სხეულთ, რომელნიც ჯიუტად მიიწევიან მეტის აიტკბოებისა და ტანჯვისაკენ, ხელებს იწვდიან ბედნიერებისკენ, რომელიც მუდმივ გაურბის მათ: და მათ გვერდით ბედნიერ, ნაზ ოცნებაში ჩასულ შეყვარებულთ, რომელნიც უცხო ქვეყნიდან გადმორგულს გვანან. აქ ვხედავთ გრძნეულ არსებათ, რომელნიც ყვირიან ენით გამოუთქმელი ტკივილების გამო, და ნეტარ არსებათ, რომელნიც თავის სიხარულს უგალობენ, და ბოლოს, აქ ვხედავთ „შეჩვენებულ ქალებს“, როგორც ის ბოდლერს ფანტაზიამ დაგვიხატა, მათ წარმტაც სხეულს და დაავადებულ სულს, მათ მთვრალ ქანაობას იმ ცრემლთა მორევში, რომელსაც ტანჯვა და სიამოვნება აფრქვევს.

ყველა ამას ზევიდან დაჰყურებს დიდი „მოაზროვნე“, რომელიც სამ „ჩრდილთა“ ქვევით ზის. ის აზროვნებს, მაგრამ ეს არაა აზროვნება განყენებული საგნების შესახებ, თავისუფალი ყოველ აფექტისაგან: მის საგანს ამ საიდუმლო ცხოვრების ამოცანანი შეადგენენ. ამიტომ მას მღელვარება ეტყობა, მთელ სხეულს, ფეხის თითებიდან დაწყებული, მარჯვენა ხელზე დაყრდნობილ თავამდე მოუსვენრობის ბეჭედი აზის, თითქო ამ ადამიანს სურს თავისი ფიქრები მოქმედებად აქციოსო. ეს ფიგურა როდენმა გამოჰყო „ჯოჯოხეთის ბჭიდან“ და დამოუკიდებლად შეიმუშავა. ის ამშვენებს

მოედანს „პანთეონის“ წინ, სადაც საფრანგეთის დიდი შეილები მარხია.

მაგრამ აზროვნება ყოველთვის ენერგიასა და ნებისყოფის სიძლიერესთან არ არის შეერთებული, ის ხშირად მოქმედების მოდუნებას, რეზიგნაციას იწვევს. ასეთია „აზრი“, ეს მუდმივი სიმბოლო ყოველი განყენებული, მიწიერებაზე ამაღლებული აზროვნებისა. ვინ იცის: შეიძლება ბედნიერებასთან ეს გულგრილი ძიება კიდევ უფრო შორსაა, ვიდრე ის მღელვარე და გრძნობიერი. ყოველს შემთხვევაში ამ ქალის ნაზ სახეს ბედნიერების ბეჭედი კიდევ უფრო ნაკლებ ეტყობა, ვიდრე ფიზიკური მშვენიერებისა და მართლაც არის აზროვნებაში ისეთი მომენტი, რომელიც ბედნიერებას ეწინააღმდეგება და ისეთიც, რომელიც ფიზიკურ მშვენიერებას ჰკლავს. თუ დღეს ჩვენ ნაკლებ მშვენიერნი ვართ, ვიდრე ბერძნები, შეიძლება ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ჩვენ მეტს ვაზროვნებთ და ნაკლებ ვმოქმედებთ, ვიდრე ისინი. ჩვენი თანამედროვე იდეალი ხშირად უფრო მშვენიერ სულში მდგომარეობს, ვიდრე მშვენიერ სხეულში.

ეს თანამედროვე იდეალი შემომქმედი სულისა კიდევ უფრო ნათლად გამოიხატა როდენის „ბალზაკში“.

ბალზაკი — საფრანგეთის დიდი რომანისტი — მთელი თანამედროვე კულტურის ერთი უმნიშვნელოვანესი ბურჯთაგანია. მისი „ადამიანური კომედია“, რომელშიც მან მეცხრამეტე საუკუნის სული და ენებანი გაატიტვლა, არა ნაკლებ დამახასიათებელია ახალი დროებისთვის, ვიდრე დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ საშუალო საუკუნესთვის; როგორც შემომქმედი პიროვნება, ის შეუდრეკელია, ნაყოფიერი და თავის თავში მტკიცედ დაიმედებული. მან დაწერა ორმოცი დიდი ტომი, სანამ ცნობილი გახდებოდა, გულგრილად, აუჩქარებლად. შემდეგ კიდევ ორმოცი, რომლებმაც მას ბოლოს დიდება მოუტანეს და კეთილდღეობა. სიკვდილმა მას სწორედ მაშინ მოუსწრო, როდესაც ის თავისი ახალი, დიდი შრომისთვის ემზადებოდა, რომელსაც, მისი აზრით, მთელი მისი შემოქმედებითი ძლიერება უნდა გამოეაშკარავებინა, თითქო ეს ორმოცი ტომი მისი დაწერილი არ ყოფილიყოს.

ლამარტინმა რამდენიმე სიტყვით მშვენიერად დაახასია-

თა ამ უცნაური ადამიანის გარეგნობა. „მას ჰქონდა სახე ელემენტისა, დიდი თავი და, ფაფარივით გაშლილი თმა, რომელიც მის ყბებსა და საყელოს ფარავდა, ალის მსგავსი თვალები და უზარმაზარი ტანი; ის მსხვილი იყო, ნსუქანი, ოთხკუთხედი თეძოებში და მხრებში, მაგრამ სიმძიმე მას მაინც არ ეტყობოდა: მას იმდენი სულიერი ძალა ჰქონდა, რომ ყველა ამას ადვილად ატარებდა; ეს ტვირთი მას თითქო უფრო აძლიერებდა, ვიდრე ასუსტებდა... ის ხშირად იჯდა თავჩაქინდრული, მაგრამ უცებ გადიხრებოდა გმირული სიამაყით და დაიწყებდა ლაპარაკს, რომელიც მას იტაცებდა, ათრობდა“.

როდენმაც თავის ძეგლში ეს ელემენტარული, თავისივე შემოქმედებით დამთვრალი გენიოსი მოგვცა. ბალზაკი მიაბიჯებს თავაწეული, როგორც მბრძანებელი, როგორც მედგარი სტიქიონი. მისი ტანი ფრანცისკანულს ანაფორაშია გახვეული, რომელსაც ის წერის დროს იცვამდა. სახელოები თავისუფლად ჰკიდია, ხელები სამოსელის კალთებს აკავებენ, ის თითქო ეხლა ამდგარა ლოგინიდან უძილო ღამეში, რათა გამოსავალი მისცეს იმ მოზღვავებულ სურათებს და ფიქრებს, რომელნიც მას მოსვენებას არ აძლევენ. ტანისამოსის ნაოჭებს თვალი ძალაუნებურად მიჰყავს თავისკენ, სადაც მთელი ამ არსების ცენტრია. სახე აქაფებულია გადაჭარბებულ ნაყოფიერებისაგან, თვალები — შორსმჭვრეტელნი და შიგნით მიპყრობილნი ერთსა და იმავე დროს — ხატავენ ძლიერს რწმენას თავის თავისადმი, მწარე ირონიას „ადამიანური კომედიისადმი“. ყოველი წვრილმანი, რაც დამახასიათებელი არაა ამ კლდის ნაპრალივით გამოკვეთილ ადამიანისთვის, უარყოფილია საერთო შთაბეჭდილებისა, სილუეტის გულისთვის და ეს შთაბეჭდილება საშინელია, პირდაპირ გამანადგურებელი თავისი მიუწვდომელი მშვენიერებით.

სულ სხვაგვარ გენიოსობას აუგო ძეგლი როდენმა თავის „ვიქტორ ჰიუგოში“. ეს დიდი მგოსანი ლირიკოსია. მას ესმის არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის მაჯისცემა, არამედ წარსულის და მომავლის შორეული ხმაც და მისი „საუკუნეთა ლეგენდები“ მთელი კაცობრიობისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე რომელიმე ისტორიულად განსაზღვრული ეპოქი-

სთვის. ამიტომ როდენმა მგოსანი ტიტველად გამოაქანდაკა. ამით მან მიუთითა ამ ზოგადს, ზეისტორიულ ელემენტს მის ბუნებაში: ტანსაცმელი ყოველთვის ვიწროდ შემოფარგლული დროების ბეჭედს ატარებს, სხეული კი ნაკლებ ცვალებადია, მუდმივი.

ჰიუგო ზის კლდეზე ზღვის პირად, როგორც ზევსი, როგორც ხორცშესხმული ღვთაება. მისი მარცხენა ხელი გაწვდილია ისე, თითქო მას სურს დააცხროს ვნებათა აბობოქრებული ზვირთები, რათა ყური ათხოვოს იმ „შინაგან ხმას", რომელიც მას უკანიდან ჩასჩურჩულებს. მძიმე თავი დაყრდნობილია მარჯვენაზე. ეს არაა ის საშუალო რომის თავი, რომელიც ელინთა მშვენიერ სხეულს ამთავრებდა, როგორც ისეთი რამ, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას არ იპყრობს, რაც თავისთავად იგულისხმება: არა, ეს არსებობის დიდი და ძვირფასი გვირგვინია, დიდ აზრთა და გრძნობათა ნაყოფიერი წალკოტი, სულითაა ის გაჟღენთილი, მშვენიერი უკვდავი სულით.

მგოსანს ზევიდან პოეტური აღფრთოვანების გენია დაჰყურებს, კეთილშობილი „მრისხანების ღვთაება". მგოსანი ვერ ხედავს ამ გენიას, მაგრამ მას მაინც სწამს მისი არსებობა: ის უსმენს მის შთაგონებას. უკან კი გამოჭრილია, „შინაგანი ხმა" ელინი-ქალი, რომელიც შემოქმედს მშვენიერს ზომიერებას უკარნახებს. ის ერთიანად ნაზი შინაგანობაა, ერთიანად ესთეტიკური უბრალოება და ზომიერება.

მთელი ეს ქმნილება გამოუთქმელი სიდიადის ბურუსშია გახვეული. როცა მას უცქერი ძალაუნებურად გებადება აზრი, რომ მხოლოდ იდუმალ ღვთაებრივ ძალას შეეძლო მშვენიერება ესაზრდოებინა, წარმოეშვა.

* * *

ტექნიკური მხარე როდენის ხელოვნებისა ნაკლებ საინტერესოა ფართო საზოგადოებისთვის, ვიდრე საზოგადო ესთეტიკური, თუმცა ქანდაკების გასაგებად, სწორედ მისი ტექნიკაა უწინარეს ყოვლისა საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ჩვენ აქ, ამ მხრივ მხოლოდ რამდენიმე მომენტს მივუთითებთ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდენის პოლიტიკა დინამიკუ-

რია და არა სტატიური: მას იმდენად ძალთა შეწონილება არ აინტერესებს, რამდენადაც მოძრაობის სიცხადე და სიმდიდრე, არაჩვეულებრივ მდგომარეობათა შინაგანი ღირებულება. მკვდარი მასალა, უსიცოცხლო ციცი მარმარილო და ბრინჯაო ჯერ არავის არ აუღელვებია ისე ძლიერად, არავის არ შეუტანია მასში მეტი მოუსვენრობა, გრძნობა და გულისთქმა, ვიდრე ამ მოქანდაკეს. მაგრამ ეს ქვეყანა მშვენიერია, იმიტომ რომ ბუნებრივი და უბრალოა; ბუნებრივი და უბრალო მაშინაც კი, როცა ის არაჩვეულებრივი და გადაჭარბებულია. როდენის პლასტიკურ ქმნილებებს არა აქვთ ერთი მთავარი, პირველმნიშვნელოვანი მხარე, როგორც, მაგალითად, ძველ აკადემიურს და თანამედროვე გერმანულ ქანდაკებას: ის ყოველმხრივ ერთნაირად საინტერესოა, ის ყოველმხრივ ერთნაირად მნიშვნელოვანია. მისი „კოცნა“, „დანაიდა“, „ვიქტორ ჰიუგო“, „სფინქსი“, „რომეო და ჯულიეტა“ და სხვ. ყოველი მხრიდან ახალ და მოულოდნელ ღირებულებათ ააშკარავებენ. ეს ღრმა რეალიზმია: ცხოვრებასაც არა აქვს ფასადი, მთავარი შენობა და ფლიგელი, აქაც მარჯვენა და მარცხენა, ზურგი და პირისახე ერთნაირად მეტყველია.

ეს „მრავალმხრივობა“ როდენის პლასტიკური ფიგურებისა, გამომდინარეობს მისი სტილისაგან, რომელსაც ჩვენ შეგვიძლია მხატვრული სტილი ვუწოდოთ.

თანამედროვე მხატვრობის ძირითად მისწრაფებას შეადგენს არა საგნების დახატვა თავისთვად, არამედ მათი ცხოვრების გადმოცემა ჰაერის და სინათლის სფეროში. უსინათლო და უჰაერო სივრცეში მოთავსებულ ნივთებს აკლიათ ცხოველმყოფელი სითბო, აკლიათ დამარწმუნებელი გავლენა რეალობისა; ისინი თითქო სუნთქვას ვერ სძლებენ და ღრჩობიან უჩვეულ გარემოში. ეს ჭეშმარიტება კარგად შეიგნო ახალმა მხატვრობამ: ამიტომ თანამედროვე იმპრესიონიზმი უწინარეს ყოვლისა სინათლის და ჰაერის პოეზიაა.

ხელოვნებაში ჩვენ გვჭირია სინათლე, მეტი სინათლე — თქვა ზოლამ. თანამედროვე სულის ამ ძახილმა გამოხმაურება ჰპოვა როდენის ქანდაკებაში. ეს ქანდაკება ცდილობს გადმოგვცეს სხეული, რომელიც სუნთქავს ჰაერით, რომელიც ნაზად ციმციმებს მზის სხივებზე. აქ სინათლე და ჩრდილი აღა-

რაა გარეშე, ინდიფერენტული, სხეულისაგან სავსებით დამოუკიდებელი ძალა: ის ორგანულად შეკავშირებულია საგანთან, ის ცხოვრობს მისი შინაგანი ცხოვრებით. ის ჰკრთის მის ზედაპირზე, ის ააშკარავებს მის ფარულ მაჯისცემას. ამ განსაცვიფრებელ შედეგს როდენმა მიაღწია იმ ტექნიკური საშუალების ძალით, რომელსაც მან „ზედაპირის მიზანშეცნობილი გაფართოება“ უწოდა. ის აფართოებს სხეულის ზოგიერთ ნაწილს, რომელიც ყველაზე უფრო დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია ინდივიდუალობისათვის; ის აღრმავებს ჩაღრმავებულ ადგილებს და კიდევ უფრო ამღლებს ამაღლებულთ. ამგვარად, სწორი, გაშალაშინებული, უსიცოცხლო ზედაპირის მაგივრად, ის ჰქმნის ენერგიულს, ნაკვთებდაწიწულს, მჭევრმეტყველ სხეულს და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ამ ხელოვნებისთვის — სინათლე და ჰაერი ხარბად ახვევს ამ უსწორმასწორო მოძრავ ფიგურებს თავის ტრიალა თამაშობის სფეროში.

ეს ფიგურები არასოდეს არ იძლევიან ცხოვრების წვრილმანებს, დეტალებს: ისინი ყოველთვის მისი საერთო შთაბეჭდილებით, მისი ზოგადი, დიადი ფორმებით კმაყოფილდებიან. ზოგიერთი მათგანი პირდაპირ დაუმთავრებელია გარეგნულად, თუმცა სრული ესთეტიკურად. როდენი, როგორც ყოველი დიდი თანამედროვე ხელოვანი, ხშირად არ ამბობს ყველაფერს, რისი თქმაც შეიძლება: ის მხოლოდ ორი ძლიერი ხაზის მოსმით ახასიათებს განუმეორებელი ცხოვრების ფორმას. უნიჭო შემოქმედი კი, პირიქით, ცდილობს ყველაფერი თქვას, აგვიწეროს ინდივიდუალობის მთელი გარეგნობა, ყოველი წვრილმანი, რომელსაც ის ხედავს ან შეიძლება სრულიადაც ვერ ხედავს, იმიტომ რომ ის წვრილმანი ხშირად ჩექმებშია დამალული ფეხის ფრჩხილებივით, — ხასიათის სინამდვილეს კი მაინც ვერ გვაძლევს.

დიდი მხატვრის მიერ ნახევრად, მაგრამ ღრმად თქმული კი აღიზიანებს ადამიანის ფანტაზიას, ამოძრავებს მას, ამთავრებინებს ოცნებაში მის მიერ დაწყებულ ქმნილებას და ამით უბრალო მომაკვდავს ესთეტიკური შემოქმედების თანამოზიარედ ჰხდის.

ესაა უმაღლესი მწვერვალი, რომელზედაც შეიძლება ხე-

ლოვნება ავიდეს, იმიტომ რომ შემოქმედება ადამიანობის უკეთილშობილესი დანიშნულებაა.

1912

სამოთხის კარიბჭესთან

მაგონდება ერთი ჰინდური ლეგენდა, რომელიც ლამარტინს აქვს მოთხრობილი. გმირი აღმართს შეუდგა. რათა სათნოების ჰიმალაიზე ასულიყო. რაც უფრო მაღლა მიიწევდა ის ციცაბო კლდეებზე, მით უფრო სამძიმო ხდებოდა მოგზაურობა. სახეში ცივი ქარი ურტყამდა, ტანს წვიმა და ნამქერი უსველებდა. მას თანდათან ჩამოშორდნენ ყველანი, ვისაც ის ამქვეყნად უყვარდა: ისინი ან დაიღუპნენ ან უკან დაბრუნდნენ გზის სიძნელეებით დაშინებულნი. შერჩა მხოლოდ ერთგული ძაღლი, რომელიც მუდამ გვერდით მისდევდა აქოშინებული. როგორც კი გმირმა ზეცის კარიბჭეზე დააკაკუნა, ის დაუყონებლივ გაიღო მისთვის, მაგრამ მცველმა ძაღლს ნება არ მისცა შიგნით შესულიყო. ახალმოსულმა ღმერთებს აუხსნა, რომ ეს ცხოველი ერთადერთი არსება იყო, რომელმაც ყველა გაჭირვება გადაიტანა მის გვერდით და ის უმისოდ უარს ამბობდა საუკუნო ნეტარებაზე. მაშინ კარიბჭე ხელახლა გაიღო.

არაგესკენი

ხ ე ლ ე ბ ი

დღეს საღამოს, როცა შინ ვბრუნდებოდი, ვიგრძენ თუ რარიგ უზომოდ დამქანცა ამ არაჩვეულებრივმა თავგადასავალ-

მა. ბუხრის წინ ჩამოვჯექ და სველი ფეხები ცეცხლს მიეუშვირე. მაგრამ ის ვეღარ მათბობს, თითქოს ჯადოსნურ ხელს ისიც განუძარცვავს. უმოძრაო ალი ცივი ლითონივით ლაპლაპებს და მხოლოდ უცნაური ზოლები მოწმობენ, რომ მას ჯერ კიდევ შერჩენია ძალა განათებისა.

ირგვლივ სიჩუმეა, როგორც მიტოვებულ ტაძარში. ვგრძნობ მხოლოდ, რომ ჩემს უკან ფანჯრების ფარდა წყნარად ირხევა.

კარგად ვიცი, რომ ავდგე და გახურებული შუბლით ფანჯრის შუშას მივეყრდნო, მაინც ვერავის დავინახავ. დავინახავ მხოლოდ, რომ გარეთ დღესაც თოვს, ისევე, როგორც გუშინ, როგორც გუშინწინ, ისევე, როგორც იმ საღამოს თოვდა, ის ამბავი რომ შემემთხვა.

რამდენმა წელმა განვლო მას შემდეგ? ერთმა, ორმა, თუ ხუთმა? აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ გარეთ ქარბუქი იყო, ოთახში ციოდა, დარაბები ჩამოშვებული იყო, ხოლო ორმაგი კარები — ჩაკეტილი. ჩვენ ორივენი მოწყვეტილნი ვიყავით ქვეყნიერებას.

მე ერთ კუთხეში ვიჯექი. ფართო, გახუნებულ სავარძელში, ის კი მეორეში, პაწია, მრგვალ სკამზე, ძველი როიალის წინ. სანთლის მკრთალი სინათლე ოდნავ ანათებდა დიდ, ცარიელ ოთახს.

— სადღაც, შორს, ახლა გაზაფხულია, — ვთქვი მე, — ბედნიერი ჭაბუკები, ამაყად თავაღერილნი უზრუნველად მიაბიჯებენ ცოცხალი ყვავილების მრავალფერად ხალიჩაზე. დაუკარ ცოცხალი ყვავილების ჰიმნი.

ის უმოძრაოდ იჯდა ჩემკენ ზურგშექცეული. მისი ჩავარდნილი მკერდი, გამხდარი თეძოები და გაშეშებული სახე სიცოცხლის მოდუნებაზე მეტყველებდნენ. მხოლოდ ხელებშიღა დარჩენილიყო უშრეტი წყურვილი შემოქმედებისა, იმ უცხო ხელებში მუხლებზე რომ ეწყვნენ მოწყვეტილნი.

და, აი, ხელები უცებ გაცოცხლდნენ და მძაფრად დაჰკრეს როიალის კლავიშებს. მუდმივ შორეულს, მუდმივ ცარიელ სივრცეს მოსწყდნენ გაუგებარი ხმები, მკვეთრი, სასტიკი და ცივი, როგორც ძახილი გამარჯვებული შურისძიებისა.

— მითხარ, ეგ ხმები ვის ეკუთვნიან? ვერც ღვთაებრივად უბრალო პალესტრინა, ვერც ღრმად მორწმუნე ბახი, ვერც გულისთქმით აბობოქრებული ბეთჰოვენი, ვერც შუმანი ნაზი და სევდიანი მას ვერ შეჰქმნიდა. გრძნეულხო არსებანო! სხვა, უცნობი სავანიდან რომ ჩვენი დედამიწისაკენ მოჰქროდით ბნელ. უსინათლო სფეროებში, ხომ არსად გაიგონეთ ეს გულისშემკუმშავი ოხვრა ტანჯვისა და სიტკბოებისა?

სულჩადგმული საკრავის ბგერა ჩემთვის აუტანელი გახდა. მე გავიწიე მის დასადუმებლად, მაგრამ ხელები არ წეჩერდნენ: ულმობელი, ძლიერი, ენებით დამთვრალი ხელები.

მაშინ მივხვდი, თუ რარიგ სუსტნი ვიყავით იმათ წინაშე ჩვენ ორივენი: ის, როიალის წინ რომ თვალებდახუჭული იჯდა, და მე, ყურებდაცობილი რომ პირქვე დავემხე ღონემიხდილი.

...წყნარმა, ჟრუანტელის მომგვრელმა შეხებამ გამომარკვია, შემოდგომის ყვავილის სუნთქვასავით ნაზმა და ალერსიანმა. უკან მივიხედე: ჩემს მხრებს ხელები ეხებოდნენ, მოდუნებული, ტანჯული, მოსიყვარულე ხელები. ფერმიხდილი, გამქვირვალე კანი გავარჩიე და სიმებივით ჩამოქნილი მოლურჯო ძარღვები. მათ დასაჭერად გავიწიე, ისინი ტანისამოსის ნაოჭებში დაიმალნენ.

* * *

დრო მიდის და თან მიაქვს ყველაფერი, რაც წერილმანი და უმნიშვნელოა: სახენი, სიტყვანი და შეხედვანი. მხოლოდ ხელები, უცხო ხელები დაძრწიან უგზო-უკლოდ და ჩემსავით ამაოდ ნათესავებს ეძებენ.

საღამოობით ოთახში შევდივარ უკმაყოფილო და დაღლილი. ქუჩის ფარანი სუსტად ანათებს ფანჯარას და სარკეს, კუთხეში რომ ჰკიდია. ჩემდა უნებურად შიგ ვიცქირები და ჩემს დაღვრემილ, გაკვირვებულ ორეულს ვხედავ. ხოლო მის უკან ხელები მოსჩანან: ბედშავი, უსახლკარო, მწირი ხელები. ირგვლივ ვიხედები: ოთახში სხვაგან სრულიად ბნელა. მხოლოდ გასწვრივ კედელზე, საწერი მაგიდის ზევით მიცეცხლე-

ბული ბეთჰოვენის თეთრი ნიღაბი მოსჩანს: პირმოკუმული, დადუმებული საშინელება...

ვიცი, დღესაც, როგორც ყოველთვის, ძილს შუაღამისას უცნაური შრიალი დამიფრთხობს. თავს წამოვყოფ და იდაყვს დავეყრდნობი. სიბნელეში ჩემს წიგნებს თეთრი ხელები ფურცლავენ.

გთხოვ მაკმარე! ღმერთმანი საშინლად დავიქანცე. ნუ ფურცლავ ჩემს რვეულებს. ხომ კარგად იცი, შიგადაშიგ გამხმარი სისხლის წვეთებია.

მ ზ ე

ჩემო პაწია მეგობარო, შენ შეიძლება აღარც გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა. მე დაგიმეზობლდი სრულიად შემთხვევით. დიდი ქალაქის ერთ მოუსვენარ და მოძრავ ქუჩაზე რომ ცხოვრობდი.

როცა პირველად შენთან შემოველ, შენ მკითხე: როგორ მოგწონთ ახალი ოთახი?

— არა უშავს რა. მაგრამ ჩვენი ფანჯრები ხომ სამხრეთისაკენ იცქირებიან. ჩქარა ცხელი ზაფხული დაგვიდგება და მწვავე მზის სხივები თავს მოგვაბეზრებენ.

შენ ამაზე უბრალოდ და ხმადაბლა მიპასუხე: — ოჰ, რას ამბობთ, მე ხომ ასე მოუთმენლად ველი მზეს.

ფიქრებში წასული კუთხეში დავჯექი და თვალებზე ხელები ავიფარე. კარგად გიცან ვინცა ხარ, მეგობარო! შენ მზეს ელი. ეჭვი არ არის, შენ ჩრდილოეთის ერთი დიდი და ბურუსიანი ქალაქის შვილი ხარ, ანდერსენის თანამემამულე. შენც ხომ ისეთივე უბრალო და უძირო ხარ, როგორც მისი ზღაპრები. დიდი ყაზარმის მსგავსი სახლის ნესტიან სარდაფში დაიბადე, ნახევრად მიწაში რომ არის ჩაფლული. მამაშენი სამუშაოდან შინ გვიან ბრუნდებოდა. ძარღვიანი ხელებით აგიყვანდა, მკერდზე მიგიკრავდა და ფანჯარაში გადაგახედებდა, რკინის მავთულებიან ფანჯარაში. მაგრამ მზეს ვეღარ დაინახავდი: უკვე ჩასული იყო.

მერე როცა წამოიზარდე, თვით შენ აცოცდებოდი ხოლმე სარკმლის ბრტყელ ფიცარზე. მზე საკმაოდ მაღლა იდგა, რომ

ოდნავ ფანჯრის გარეშე კუთხეები გაენათებინა. მაგრამ ნორჩ ხელებს ამაოდ იწვდიდი მისი სხივების დასაჭერად: ისინი ნელ-ნელა ზევით მიიწევდნენ, რათა ზემოთა სართულები გაენათებინათ.

და ახლა შენ უცხოეთში მზეს ელი. მეგობარო, მე გამოგყევ. სამხრეთის შვილი ვარ, ჩვენში ცხრათვალა მნათობი უხვად გაგვინათებს. მაგრამ ჩემო კარგო, ჩემი სამშობლოს მზე არავის ეალერსება, ის მეტისმეტად მწვავეა.

სიკვდილი

უგუნური და უნიჭო მხატვრები მოარულ ჩონჩხად გხატავენ. ხელში ცელს გაძლევენ მკრელს, მოელვარეს და ყინულივით ცივს. ეს სახე ბავშვობიდანვე შეეთვისე. ვძრწოდი მის წინაშე.

გვიან დავრწმუნდი, რარიგ საშინლად ვცდებოდი. ვხედავ, შენ ნაზი, კეთილი მეგობარი ხარ, ჩვენს შორის უხმოდ დადიხარ, რათა მოსვენება და ბედნიერება მოგვიტანო.

ხშირად ვგრძნობ შენს სუნთქვას; ის ძილის რულზე უფრო მსუბუქია, ის უფრო ნაზია, ვიდრე სიყვარულის ალერსი უცოდველი დედაკაცისა. ამაზე ნაზი, აბა მითხარ, რაღა იქნება?

მინდა მუხლებზე დაგიჯდე, მთრთოლვარე მკერდს თავი მოგაყრდნო და მოსიყვარულე გულისცემას ყური დაუგდო. ჩემი გულისცემა შენსას შეეთვისება, თანდათან მის რიტმში გადავა და ბოლოს წყნარად შეჩერდება. მასთან ერთად სრულიად შეჩერდება, რაც ყველაფერზე მტანჯველია და დაუნდობელი: აზროვნება.

და აი, მე ვხედავ, სიზმარს, პირველ სიზმარს სიკვდილისას. კარები იღება და ფეხაკრეფით ჩემი ღრმად მოხუცი მეგობარი შემოდის, ჩუმად მუხლს იდრეკს და ჩემთვის ლოცულობს. შემდეგ უსიტყვოდ გადის, რათა მყუდროება არ დამირღვიოს. იწყება მუდმივი დუმილი. მას ვეღარ დაარღვევს ხმამაღალი გოდება თმაგაშლილი მოკეთეებისა. სასწაული დამთავრებულია. მიცვალებულის თვალისჩინი უკვე ციური მთიების სინათლესთან არი შეერთებული, მისი სუნთქვა კი შაკი დედამიწის სუნთქვასთან.

კანტის სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი რამ იწვევს განსაკუთრებულ გაოცებას და მოკრძალებას მოაზროკნე ადამიანში: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მის ზემოთ და მორალური კანონი მის შიგნით. ფიზიკური სამყარო იმდენად ჰარმონიულია, რომ ადამიანი ძალაუნებურად მიდის უნივერსალური გონების აღიარებამდე. ცნობილია, როდესაკ, მაგალითად, ფრანგმა ასტრონომმა ლევერიემ 1846 წელს პარიზში მათემატიკურად გამოიანგარიშა, რომ ჩვენი მზის სისტემაში ურანის შემდეგ უცნობი პლანეტა უნდა ყოფილიყო, ხოლო გერმანელმა ასტრონომმა გალლემ თავისი ტელესკოპით ბერლინში სწორედ ნაჩვენებ ადგილას ნეპტუნი აღმოაჩინა, ამით დამტკიცდა, რომ სამყაროს საფუძვლად, მათემატიკური ანგარიში და, მაშასადამე, გონება უძევს.

რატომ ასეთივე გონება არ უძევს საფუძვლად მორალურ სამყაროს და რატომაა ის ასეთი დისჰარმონიული? ადამიანის საღი ზნეობრივი შეგნება ვერასოდეს ვერ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ ვიგინდარები და ბოროტმოქმედნი ძალიან ხშირად იმარჯვებენ სათნო და ღირსეულ ადამიანებზე; ძალიან ხშირად რომელიმე მახინჯი არაკაცი ოჯახის და საზოგადოების გარემოცვაში ბედნიერად ასრულებს თავის დღეებს, იმის მაგივრად, რომ ისინი საკატორღო ციხეში დაასრულოს.

სამოთხის და ჯოჯოხეთის წარმოდგენას, ქრისტიანული ნაცვალვების იდეას შესწორება შეჰქონდა საქაო ცხოვრების დისჰარმონიაში და ის აკმაყოფილებდა მორწმუნე ადამიანს, მაგრამ თანამედროვე კულტურული კაცობრიობის უდიდეს ნაწილს არ სწამს არც საიქიო ცხოვრება, არც ნაცვალგება. იტყვიან, ზნეობრივმა შემეცნებამ დაიპირა სამოთხის და ჯოჯოხეთის ადგილი და ჩვენი სინდისი ასრულებს იმ სასწორის როლს, რომელსაც ძველი რელიგიები საიქიოს შესავალში ათავსებდნენო. მაგრამ სწორედ ბოროტი ადამიანები უმეტეს შემთხვევაში, არავითარ სინდისის ქენჯნას არ განიცდიან, იმიტომ, რომ მათ სინდისი არ აქვთ.

მე მგონია, რომ ყველაზე სასტიკად ამქვეყნად ის ადამია-

ნები ისჯებიან, რომელთაც არც საუკუნო ჯოჯოხეთი დაუმსახურებიათ და არც საეკუნო სამოთხე, არამედ, ასე ვთქვათ, დანტეს მიერ აღწერილ განსაწმენდელში თუ სალხინობელში იმყოფებიან. თუმცა მათ არასოდეს არც არავინ მოუკლავთ, არც არავინ გაუციათ, მაგრამ შეუძლიათ თუ არა თქვან, რომ ყოველთვის სამართლიანნი იყვნენ თავიანთი თანამოქალაქეების მიმართ და არასოდეს მეშურნეობას, პატივმოყვარეობას, სისასტიკეს, შურისძიების გრძნობას არ შეუმღერევია მათი გონება?

ზნეობრივი მანკიერების შეგნება საშინელი საწამლავია სიბერეში, როდესაც არც ამ მანკიერების უგულებელყოფა შეიძლება და არც მისი გამართლება ახალგაზრდობის წლებში წინდასახული მიზნებით; ხედავ, რომ ყველაფერი, რაც გაგიკეთებია, ისევე ნაკლებ გავლენას ახდენს კაცობრიობის ცხოვრებაზე, როგორც ფერადი კენჭის გადაგდება მოახდენდა ოკეანის მიმოქცევაზე. ყველა მახვილამოწვდილ მიქელგაბრიელებს და არიელებს დაემალები, მაგრამ სად გაექცევი საკუთარ სინდისს?

საბრალო სულო, რას შფოთავ? ჩქარა დადგება წუთი, როდესაც შენს ტანჯვას და სიხარულს ბოლო მოეღება, და ვერც დისონანსებს გაიგონებ და ვერც ჰარმონიულ ხმებს. ნუთუ არ გესმის, რომ შენ შემდეგაც დღეს ღამე მოჰყვება, როგორც შენამდე მოჰყვებოდა? დაიბადებიან ახალი რემბრანდტები, რომელნიც თავიანთ ტილოებზე ოსტატურად გაანაწილებენ შუქსა და ჩრდილს, ხოლო დაყრუებული ბეთჰოვენები სიმფონიებს მიუძღვნიან მილიონების სიხარულს. ნუთუ არ გესმის, ბნელი ღამეები რომ არ ყოფილიყო, არც შემომქმედი ტვინის წვა იქნებოდა და არ დაიწერებოდა ჰიმნები, რომელნიც ყველა ერის ნოვალისებმა უმთვარო და მთვარიან ზეცას მიუძღვნეს?!

1960

სიკვდილის შიში

რომაელი პოეტი და ფილოსოფოსი ლუკრეციუსი ამტკიცებდა: სიკვდილი საშიში არაა, ვინაიდან სანამ ჩვენ ვართ, ის არ არი, ხოლო როცა ისაა, ჩვენ აღარ ვართო. მაგრამ ასეთი სოფიზმებით ძნელია სიკვდილის შიშის დაძლევა. რა კულტურულ დონეზეც უნდა იდგეს ადამიანი, ის ყოველთვის მისტიკურ შიშს განიცდის სიკვდილისადმი. ამით სარგებლობენ მტარვალები: ისინი ცდილობენ თავიანთი ტირანია ტერორით განამტკიცონ.

ცნობილია, რომ სიკვდილის შიშისაგან ცხოველებიც არ არიან დაზღვეულნი. ვისაც სოფელში უცხოვრია, ალბათ არაერთხელ უნახავს, როგორ აბღაველდებიან ხოლმე ხარები და ძროხები, როცა მიწაზე ახლად დაკლული შინაური ცხოველის სისხლს დაინახავენ. მაგრამ თვით ცხოველები და ფრინველები ხშირად მზად არიან თავი გასწირონ, როცა მათ პატარებს მომაკვდინებელი საფრთხე ემუქრება.

მხოლოდ ადამიანი ამაღლდა იმ დონემდე, რომ თავისი როლი ღირსეულად შეასრულოს ცხოვრების ფარდის დახურვის წინ.

„სოკრატის აპოლოგია“ ყველაზე უფრო ამაღელვებელი და ზნეობრივად გამამტკიცებელი წიგნია. მრავალ თაობათა წარმომადგენლებს ორიათასხუთასი წლის მანძილზე გამხნევება და ნუგეში უპოვიათ სოკრატის სიტყვებში, სამსჯავროსაღმი მიმართულში: ათენელებო, თქვენ შეგიძლიათ ჩემს ბრალმდებელს ან ტს დაუჯეროთ ან არ დაუჯეროთ, შეგიძლიათ გამამართლოთ ან სიცოცხლე მომისპოთ, მაგრამ არ შეგიძლიათ მაიძულოთ — ჩემი რწმენის წინააღმდეგ ვიმოქმედო, თუნდაც ათასი სიკვდილით დამემუქროთო.

რა გავლენას ახდენდნენ პლატონის დიალოგები ამაღლებული სულის ადამიანებზე, შემდეგი ფაქტებიდან ჩანს: როდესაც იულიუს კეისარმა რესპუბლიკური წესწყობილების მომხრეები საბოლოოდ დაამარცხა, მათი მეთაური კატონი ქალაქ უტიკისაკენ გაიქცა. სამხედრო კარავში მან ორჯერ წაიკითხა პლატონის „ფედონი“. შემდეგ თავისი მახვილი ყველაზე ერთგულ მონას მისცა და უთხრა, გამგმირეო. მონამ

ვერ გაბედა ამ ბრძანების შესრულება. მაშინ კატონმა მახვილი მიწაში ტარით ჩაარჭო და ზედ წამოეგო. იულიუს კეისარმა დიდად ინანა კატონ უტიკელის თვითმკვლელობა; ის მზად იყო, მას შერიგებოდა, მაგრამ დიდმა რესპუბლიკელმა ამჯობინა თავისი სტოიკური ცხოვრება სტოიკური სიკვდილით დაესრულებინა.

მეორე ფაქტი იტალიური რენესანსის ეპოქას ეკუთვნის. როდესაც ფლორენციის მმართველმა, ახალი პლატონური აკადემიის დამაარსებელმა კოზიმო მედიჩიმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მან თავისი თავი ვილაში გადაიყვანინა, სადაც ის კარგა ხანს ლოგინში იწვა დაფიქრებული და თვალდახუჭული. — რად ჩაფიქრებულხარ და თვალები რად დაგიხუჭავს? — ჰკითხა მას ცოლმა. — უცნაური ქალი ხარ, — უპასუხა კოზიმომ, — შენ ორი კვირით ადრე იწყებ ფუსფუსს, როდესაც ზაფხულში ქალაქიდან აგარაკზე აპირებ გადასვლას, ნუთუ მე არ უნდა დავფიქრდე, როდესაც სხვა ქვეყანაში გადასასვლელად ვემზადები. თვალებს კი იმისთვის ვხუჭავ, რომ სიბნელეს შევაჩვიო. შემდეგ მან მოახმობინა გამოჩენილი ფლორენციელი ჰუმანისტი მარსილიო ფიჩინო და სთხოვა, პლატონის დიალოგები წამიკითხე ხმადაბლაო. ამ კითვის დროს მან სამუდამოდ დაიძინა.

ძლიერი სულის ადამიანს სიმტკიცეს ანიჭებს არა მარტო ფილოსოფიური ფიქრები, არამედ სუსხიანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ატმოსფეროც, რომელიც გამანადგურებელია სუსტი და ნებიერი ადამიანისთვის. თვით ავხორცმა და ელეგანტურმა პეტრონიუსმა სტოიკურად დაასრულა თავისი სიცოცხლე; როდესაც ნერონმა მას უბრძანა თავი მოეკლა, პეტრონიუსმა ბანკეტზე მეგობრები მიიწვია და მაჯა გადაიჭრა, მაგრამ რომ უცებ არ მომკვდარიყო, ის დროდადრო იხვევდა ჭრილობას, თავისი საყვარელი ლექსების დეკლამაციას ისმენდა და მეგობრებს ესაუბრებოდა.

სიკვდილის შიშს, როგორც ეტყობა, კავშირი არ აქვს მატერიალურ კეთილდღეობასთან. სახელოვანმა ფრანგმა მათემატიკოსმა და მწერალმა ბლეზ პასკალმა თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ისე გაატარა, რომ მუდამ ეჩვენებოდა უფსკრულის პირას ვიმყოფებიო. ის მორწმუნე ადამიანი იყო, მაგრამ ჩანს სკეპტი-

ციზმის მძლავრ შეტევებს განიცდიდა. ის ლაპარაკობს დაუსრულებელი სივრცეების მუდმივ დუმილზე, რომელიც ადამიანს სიკვდილის შემდეგ ელის. პასკალი მუდამ სიკვდილის შიშით იყო შეპყრობილი. იგი ამტკიცებს, ადამიანები ხელფეხ შეკრულ ადამიანებს ჰგვანან, ისინი ჯერში დგანან და ხედავენ, როგორ აჰყავთ რიგრიგობით წინმავალნი სახრჩობელაზეო.

თანამედროვე ინგლისელი მწერალი სომერსეტ მოემი მოგვითხრობს, ჩემმა პიესებმა, რომანებმა და ნოველებმა სახელი მომიხვეჭეს და შეძლებული კაცი გამხადესო. საუცხოო სახლი მაქვს ზღვის პირას, რამდენიმე მოსამსახურე მყავს, თითქმის მთელი მსოფლიო შემოვიარეო, მაგრამ სიკვდილისკენ ისე მივისწრაფვი, როგორც შეყვარებული მამაკაცი თავისი სატრფოს გულმკერდისკენო, სიკვდილის მოახლოების გრძნობა პირდაპირ მათრობსო. იგივე მოემი იხსენიებს ერთ ახალგაზრდა მწერალს, რომელიც თავისი მოტოციკლეტით ქალაქის ყველაზე სახიფათო ადგილზე დაჰქროდა თურმე, რათა ავარიაში მოხვედრილიყო და ამრიგად თავიდან აეცილებინა სამარცხვინო სიბერე. სიბერის ტრაგედიის შესახებ კარგად ამბობს ერნესტ რენანი: მე მიცნობდნენ ახალგაზრდას, გონებამახვილ ადამიანს, აღარ მინდა გონებადაჩლუნგებული და დახავსებული მიხილონო.

ბევრი დიდსულოვანი ადამიანი შეიწირა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ. როდესაც ანთებული სულის რესპუბლიკელი ქალი, ჟირონდელების მეგობარი მანონ როლანი იაკობინელების დიქტატურის დროს გილიოტინაზე აიყვანეს, მან თამამად გაიხსნა საყელოს საკინძი და წარმოთქვა უკვდავი სიტყვები: „— ოჰ, თავისუფლებავ, რამდენ ბოროტმოქმედებას სჩადიან შენი სახელით!“ როდესაც დანტონის მეგობრებმა დაინახეს, რომ მას გილიოტინის ნაჯახი ელოდა, ურჩიეს ინგლისში გაქცეულიყო. დანტონმა უპასუხა: „განა ადამიანს შეუძლია თავისი სამშობლო თავისი ფეხსაცმელების ქუსლებით წაიღოს თან?“ ეშაფოტზე დანტონმა განზე გადაისროლა თოკი, რომლითაც ხელების შეკვრას უპირებდნენ, რობესპიერისათვის გამოგადგებათო; ხოლო როდესაც მას კითხეს, რა არი შენი უკანასკნელი სურვილიო, მან თქვა:

ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ხალხს უჩვენოთ, ხოლო გვამი — რობესპიერსო.

ყოველი ჭეშმარიტი ვაჟკაცი ინატრებდა მარშალ მიშელ ნეის სიკვდილს. როგორც ცნობილია, ის ნაპოლეონს მიემხრო მისი კუნძულ ელბიდან დაბრუნების შემდეგ. როდესაც ნაპოლეონი ასი დღის მეფობის შემდეგ ვატერლოოსთან დამარცხდა, ლუი მე-18 მთავრობამ ნეის დახვრეტა გადაუწყვიტა; მაგრამ ჯარისკაცებს დაენანათ თავისი სახელოვანი მხედართმთავარი, უმამაცესი მამაცთა შორის, როგორც მარშალ ნეს ნაპოლეონი უწოდებდა, და დიდხანს უმოძრაოდ იდგნენ. მაშინ ნეიმ დამსჯელ რაზმს თავისი დაშნით თვით უბრძანა მისთვის ტყვიები ესროლათ. ალბათ, მოქანდაკეს თვალწინ, სხვათა შორის, ეს ეპიზოდიც ედგა, როდესაც მარშალ მიშელ ნეის ძეგლს დგამდა პარიზში.

რადგან ქრისტიან მოწამეებს, მათ შორის ქართველებსაც სწამდათ, რომ ამქვეყნიურ სიამეთა განწირვით შეეძლოთ საუკუნო ნეტარება მოეპოვებინათ, მათ უფრო ეადვილებოდათ სიკვდილი, ვიდრე სკეპტიკურად განწყობილ ან ურწმუნო ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ადამიანური ღირსების შეგნებაში სამშობლოს სიყვარულში ან მორალურ იდეებში უნდა ეპოვათ რელიგიურ რწმენათა სანაზღაურო; მაგრამ ძველ საქართველოში იშვიათად თუ მოიძებნებოდა სკეპტიკოსი ან მით უმეტეს ათეისტი, და ქრისტიანული რელიგია ეროვნული თავდაცვის ძლიერ ფაქტორად იქცა ჩვენს სამშობლოში.

ორიოდე ეპიზოდი ჩვენი ისტორიიდან ცხადჰყოფს, რა ძლიერ სულიერ ძალას ამჟღავნებდნენ ჩვენი წინაპრები და თანამედროვეები:

არჩილ მეფეს, რომელმაც დიდი შეუდრეკელობა გამოიჩინა, როდესაც ის არაბებმა აწამეს, ორი ვაჟი და ოთხი ქალი დარჩა; იმათგან ერთმა ვაჟმა და ორმა ქალმა თავი შეაფარეს ეგრისს, ხოლო მეორე ვაჟი ჯუანშერი თავისი ორი დით კახეთში დარჩა. ყველაზე უმცროსი და შუშანი უმშვენიერესი ქალი იყო. მისი სილამაზის ამბავმა ხაზარების ხაკანის ყურამდე მიაღწია და მან მისი შერთვა განიზრახა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ ხაკანმა თავისი ჯარი გამოგზავნა ლეკეთის გზით; ამ ჯარმა გარემოიცვა ჯუანშერის და შუშანის სამყოფელი

ციხე, აიღო იგი, და-ძმა დაატყვევა და დარიალის გზით ხაზარეთისკენ წავიდა. შუშანს ბეჭდის თვალის ქვეშ საწამლავი ჰქონდა. მან თვალი ამოიღო, საწამლავი ამოსწოვა და მაშინვე მოკვდა. ხაკანმა სიკვდილით დასაჯა თავისი სპასალარი, რადგან მან ქალის გვამიც არ მოიტანა, რათა მისი მშვენიერება ეხილა. ხაკანი ჯუანშერს პირდებოდა, არაბების წინააღმდეგ დაგეხმარები, თუ შენ დას მომათხოვებო. მაგრამ ვფიქრობ, ახალგაზრდა ქალმა თავისი სიკვდილით უფრო მეტად შეუწყო ხელი ქართველი ერის თვითმყოფობის შენარჩუნებას, ვიდრე ხაზარეთიდან გადმოსული ჯარები შეუწყობდნენ.

თეიმურაზ პირველის დედის ქეთევან დედოფლის გმირული სიკდილის ამბავი იმდენად ცნობილია, რომ საჭირო არ უნდა იყოს მისი გამეორება. ამ სახელოვანი მუხრან-ბატონის გვარის ქალმა შირაზის საპყრობილეში გმირულად აიტანა შაჰ-აბასის ჯალათების ყველა გახურებული შანთი და მარწუხი, რითაც ევროპელი მისიონერების გაოცება და უღრმესი მოკრძალება გამოიწვია. მან თავისი დაფლეთილი ძუძუებით მეტი გმირი აღუზარდა თითქმის სავსებით დაცარიელებულ და გავერანებულ ქართლ-კახეთს, ვიდრე ასიათასი ქალი თავისი რძით აღზრდიდა.

იმ ჭეშმარიტების შეგნება, რომ ყველაზე შერცხვენილი მკვდარი ის არი, ვინც სამარცხვინოდ განაგრძობს ცხოვრებას, დღემდე არ მოსპობილა ქართველ ერში. განა ჩვენს დროში კი არ იყვნენ გმირები, რომელთაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ადამიანური როლი? როგორ არა, ძალიან ბევრი!

საერთოდ, სიკვდილი უფრო ადვილია ადამიანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს მხოლოდ იმ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის თავს სწირავს.

1960

მარტოობის წლები

რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან ვამარტოებული ვიყავი: თითქმის სრულიად დავშორდი იმ საზოგადოებას, სადაც მანამდე ვტრიალებდი. შორეულ ქვეყნებში და შორეულ ეპოქებში წავედი სამოგზაუროდ, მაგრამ არა ფიზიკურად, არამედ სულიერად. გაზაფხულის და შემოდგომის თბილ დღეებში მთელი საათობით ვმჯდარვარ სოლოლაკის კლდეებზე და წავკისის ღელის ჩივილი მომისმენია, ან მთაწმინდის მაღლობიდან საღამოს ბინდბუნდში გახვეული თბილისასთვის და მტკვრის ფოლადის ზოლისათვის მიცქერია. ზნეობრივი მსნეობის წყარო მიძებნია „ქართლის ცხოვრებასა“, დავით გურამიშვილის ნაწერებსა, ერაზმ როტერდამელის „სისულელის შექებასა“, „სოკრატის აპოლოგიასა“, აბელარის და ელიოზის მიწერ-მოწერაში.

არ ვიცი, კეთილისმყოფელია თუ საზიანო ასეთი განმარტოება. ადამიანი ემსგავსება ჩრდილო ამერიკელ ინოკეზს, რომელიც ადვილად იტანს სუსხიან ჰავას, მაგრამ ყოველი ფეხის გადადგმაზე ბორძიკობს პარკეტის იატაკზე და ქვაფენილზეც. მას უძლიერდება ბუნებით თანდაყოლილი ეგოცენტრიზმი და, თუ იშვიათად სასიამოვნო და გამართობელი საუბრის უნარს ინარჩუნებს, ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა მის თანამოსაუბრეთა წრე რამდენიმე შთამაგონებელ ქალვაჟისაგან შედგება.

ერთხელ ნარიყალის ციხის ნახევრად დანგრეულ გალავანზე ვიჯექი და ძველი სეიდაბადისაკენ ვიცქირებოდი. მე გამახსენდა კრწანისის ბრძოლის ამბავი და იმდენად ცხადად წარმოვიდგინე იგი, რომ მეგონა საკუთარი თვალით ვხედავ წითელქუდიანი ერანელი ჯარების შემოტევას და ერეკლე მეფის ლტოლვას მეთქი. განსაკუთრებით ძლიერი იყო სმენის ილუზია. შაითან ბაზრიდან მეცმოდა გამარჯვებული ყიზილბაშების ყიჟინა და ქართველ-სომეხი ქალების ტირილი, მათ დაჰფარეს თანამედროვე თბილისის ქუჩების გუგუნი და ავტომანქანების სირენები. და მე შევიგრძენი იმ ადამიანის ტრაგიკული გაორების მიზეზი, რომლის სამშობლოს ასე ხშირად აზიელი ურდოები ჯიჯგნიდნენ წარსულში, თვითონ მას კი

თავისი გონებრივი მომწიფების საუკეთესო დღეები ლაიპ-ციგის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში და პარიზის ლათინური უბანში გაუტარებია.

1960

სიზმრის სილუეტები

ერთ ჩემს ნაცნობ ქალს გადაჭარბებულად ცხოველი ფან-ტაზია ჰქონდა და ამიტომ ყოველი წალენჯიხელი და ორსან-ტიელი დიხაკოჩი მეფისტოფელად ეჩვენებოდა. თუმცა ის ახალგაზრდა იყო, მაგრამ მოესწრო თავისი ყოფილი კარისკა-ცებისაგან საკმაოდ მდიდარი მანეკენების მუზეუმი შეედგინა. ‘ქრონოლოგიის მიხედვით უკანასკნელ ადგილს დავიჭერდი ამ მუზეუმში, თუ ამისთვის ჩემს ასაკსა და გარეგნობას ხელი არ შეეშალა და ჩემი მეგობრისადმი რაიმე სხვა ინტერესი გამომეჩინა, გარდა ფსიქოლოგიურისა და ლიტერატურულისა. მან მე გამაცნო თავისი უკანასკნელად სამსახურიდან დათხოვ-ნილი კარისკაცი, რომელსაც ყოველი იმედი არ წარკვეთოდა, ხანდახან მასთან შემოდიოდა და აშკარად მეშურნეობის ვნე-ბით იხერხებოდა. ის უფრო კარგი სპორტსმენი იყო, ვიდრე ინჟინერი, მაგრამ როგორც ეტყობოდა, თავისი გირებით და ორძელებით ვერ მოეხერხებია ესოდენ ნატიფი და ძლიერი გულის საბოლოოდ დაპყრობა.

ერთხელ საღამოთი უკაცრიელ ქუჩაში მივდიოდი და კუთ-ხეში ჩემი ნაცნობი ქალი დავინახე: განმარტოებით იდგა და ჩაფიქრებული იყო. როდესაც მივუახლოვდი, მან ოდნავ შეჰ-ყივლა. — რა მოგდით? — შეეკითხე მე. — მომეჩვენა, თითქოს ქვაფენილიდან ამოძვერით, — მითხრა შეშფოთებუ-ლი ღიმილით. ჩემდა საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი წუთით დაკემორჩილე ამ დემონოლოგიის ზეგავლენას და შემდეგ არა-სოდეს არ მიფიქრია, რომ მიწისქვეშ ძრომა შემეძლო ჰამ-ლეტის მამის აჩრდილივით.

არსებითად ჩემი მეგობარი ქალი მაინც უფრო თანამედროვე ეპოქას ეკუთვნოდა, ვიდრე წარსულ საუკუნეებს. არ ვიტყვი, რომ ის ქალთა სამეფოს ნაპოლეონი ან ედისონი ყოფილიყოს, მაგრამ საკმაოდ ნიჭიერი გამომგონებელი და სტრატეგი იყო ტრფიალების ასპარეზზე. მის ყველაზე სახიფათო იარაღს მისი ხმა წარმოადგენდა, მკერდის სიღრმიდან მომდინარე ბგერები. მგონია, კარგი მეცოსოპრანო ექნებოდა, მეტი რომ ეზრუნა თავის მუსიკალურ აღზრდაზე, მაგრამ კარმენის როლისთვის მაინც არ გამოდგებოდა. ის განებივრებული იყო არა მარტო მამაკაცების მიერ, რომელთაც მეტ-ნაკლები წარმატებით იერიში მიჰქონდათ მისი სათნოების წინააღმდეგ, არამედ, რაც უფრო იშვიათია, მეგობარი ქალების მიერაც, რომელთაც ის გულწრფელად უყვარდათ.

თუ კერამიკის ოსტატი ვყოფილიყავი, ჩემს მეგობარ ქალს მოდელად გამოვიყენდი რაიმე შედევრების შესაქმნელად და ამისათვის არც ისე დიდი შემოქმედებითი ნიჭი დამჭირდებოდა: ის თვითონ ჰგავდა ფაიფურის ჭურჭელს, ერთი შეხედვით ადვილად გასატეხს, გამჭვირვალეს, მაგრამ მტკიცეს და შიგნიდან განათებულს მოციმციმე ცვილის სანთლის მიერ. არ ვიცი, შეეძლო თუ არა მას თავისი ფართო მწვანე თვალებით გაენათებინა თავისი დიდი საწოლი ოთახი, ორმაგად დაბნელებული მისი შავი თმის გაშლილი კულულებით. მხოლოდ ვგრძნობდი, რომ სულის სიღრმეში უბნელესი კუნჭულები ჰქონდა, ძნელად მისაწვდომი თვით ჩემზე უფრო ღრმა ფსიქოლოგის და ნათელმხილველის საკრეთელისათვის. ერთსა და იმავე დროს სუსტიც იყო და ძლიერიც და მუდამ თითქოს რაღაც ბეწვის ხიდზე იდგა სიკვდილისა და სიცოცხლის შუა. — მე ერთხელ უკვე მოვკვდი, — მითხრა მან სრულიად გულწრფელად. უნდა ვაღიარო, რომ ვერ დავიჯერე, თითქოს მკვდრეთით აღდგომა შესაძლებელი იყოს ათასცხრაასი წლის შემდეგ ქრისტეს აღდგომის დღიდან.

რომანებში მას ყველაზე მეტად ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი“ მოსწონდა, დიდი სიყვარულით გადმოთარგმნილი განსვენებული ქეთო ირემაძის მიერ. მაგრამ უნდა ითქვას, ჩემს მეგობარ ქალს იმდენად ორიგინალური სული ჰქონდა, რომ ლიტერატურული პროტოტიპები არ დასჭირდებოდა ვნება-

თაღელვის განსაცდელად. მგონია, მის სატრფოებს ხშირად მოეჩვენებოდათ, რომ სისხლის გემოს გრძნობდნენ მის ტუჩებზე; მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ფილტვების დაავადების გამო ახველებდა. მათ აგრეთვე სურვილი დაებადებოდათ ხელი შეეყოთ მის ბალიშის ქვეშ, რათა იქიდან პატარა სატევარი ამოეღოთ, არც ისეთი ბლაგვი, რომ მარტო სათამაშოდ გამომდგარიყო, ხოლო მისი ბინიდან გამოსვლისას მათ სახეზე წამოსასხამის საყელოს აფარება მოუხდებოდათ, რათა ბნელ კუთხეში ჩასაფრებული ბოქსიორის ნოკაუტი შეენელებინათ.

ყოველივე ზემონათქვამიდან ჩანს, რომ ჩემი მეგობარი ქალი ბოლოს და ბოლოს არც სავსებით თანამადროვე ფსიქოლოგიის ადამიანი იყო. მას არ შეეძლო სიყვარულის განცხადება მოესმინა ტრაქტორის ჩრდილში, მით უმეტეს მამაკაცს დანებდებოდა საკონცენტრაციო ბანაკის თხრილში. მართალია, ის ყოველთვის სიამოვნებით იწყებდა ორთაბძოლას, მაგრამ ერჩია თავისი სატრფო დალიანდაგებულ საბანზე ენახა, ვიდრე ხნულზე ან გავარვარებულ ქურასთან.

არ ვიცი, როგორ ეპყრობოდა თავის თაყვანისმცემლების ჯიბეებს, მხოლოდ მგონია, დიდ კაცთმოყვარეობას გამოიჩენდა, თუ მათ დააცარიელებდა. საქმე ისაა, რომ ფულმა თავისი ძველი ფუნქციები დაკარგა მას შემდეგ, რაც ლენინმა განაცხადა, ოქრო ჩვენ მხოლოდ დროებით გვჭირდება, სანამ მტრულად განწყობილი კაპიტალისტური ქვეყნების მიერ ვართ გარემოცულნი; ხოლო, როდესაც საერთაშორისო მასშტაბით გავიმარჯვებთ, ოქროს მთელ მარაგს საზოგადოებრივი საპირფარეშოების ასგებად გამოვიყენებთო. მართლაც და რისთვის გამოადგება დღეს ფული რომელიმე კოლმეურნეს ან რომელიმე ხანდაზმულ მეცნიერს, რომელიც თვეში თხუთმეტ, ოც ან ოცდაათ ათას მანეთს ღებულობს. რასაკვირველია, უმჯობესია; თუ ის თავის მარაგს მუთაქაში კი არ ჩატენის, არამედ შემნახველ სალაროში შეიტანს, იქ წლის ბოლოს ცოტაოდენ პროცენტს მაინც მიიღებს. მას შეუძლია ავტომანქანა იყიდოს, მაგრამ შოფერი ორიოდე წელიწადში მოინელებს. მას შეუძლია თავისი ჭამა-სმა გააუმჯობესოს და ყოველდღე ხიზილალა, ზუთხი და შემწვარი ინდაურის ხორ-

ცი ჭამოს კომშით, მაგრამ ასეთი უხვი საჭმელი მას საფრთხეს უქადის, რომ ან გულის სიმსუქნით დაავადდება, ან სისხლს წნევით. ის სისხლის ჩაქცევისაგან დაზღვეული არაა არც იმ შემთხვევაში, თუ თავის ფულს იმას მოახმარს, რომ ძვირფასი სამაჯური ან შავზანგელა მელიის ბეწვი უყიდოს თავის სატრფოს: იმიტომ რომ, თუ ეს უკანასკნელი ლამაზი და ახალგაზრდაა, ის თავის მცხოვან თაყვანისმცემელს მხოლოდ ძუნწად მოზომილი ალერსით დააკმაყოფილებს, მთელი თავისი გულის სინაზესა და მხურვალებას კი უფრო ბედნიერ კონკურენტს შესწირავს. მაგრამ ესეცაა, ვინ იტყვის, რომ ნაყროვანებისაგან სიკვდილი უფრო სახარბიელო იყოს ვიდრე თუნდ ნაყიდი სიყვარულის სარეცელზე განსვენება? დარწმუნებული ვარ, ჩემი მეგობარი ქალის უკანასკნელი მიჯნური კმაყოფილი იყო, რომ არაფერი დაიშურა, რათა მ.სა სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა, მაგრამ ოქროს ფული და ოქროს გული ერთნაირად უძლურნი აღმოჩნდნენ საშინელ სენთან ბრძოლაში.

ზაფხულის ერთ საღამოს რუსთაველის პროსპექტზე შემხვდა და მთხოვა, ერთხანს გაეყოლოდი. ჩაფიქრებული მივდიოდით. უცებ მოვიხედე და დავინახე, რომ ქალი ჩემს გვერდით აღარ იყო. უნდა გამოვტყდე, ცოტა არ იყოს, უსაფუძვლო შიშმა ამიტანა, გულგრილ ბრბოში ხომ არ დაიკარგა, ან ხეივნის ჩრდილებს ან მთვარის შუქს ხომ არ შეუერთებია-მეთქი. აღმოჩნდა რომ ნაცნობებს შეეჩერებინათ. ამის შემდეგ მხოლოდ მძიმედ დაავადებული ვნახე. საწოლიდან აღარ ამდგარა.

შემდეგ ის მხოლოდ სიზმარში მეჩვენა. რამდენ მე მეგობართან ერთად სადღაც მივემგზავრებოდით. ჩემმა მეგობარმა ქალმა გვთხოვა მისი აგარაკისაკენ შეგვეხვია. შინ მისვლისთანავე რაღაც წერილი მიიღო, ცხენზე შეჯდა და ვიღაც ვაჟის შესახვედრად გაემგზავრა. რა მომხიბლავი იყო ეს ფერმკრთალი ამორძალი, რა სევდა გამოიწვია ჩემში მისმა განშორებამ? და ამ ქალისადმი პირველად სიზმარში განვიცადე მეშურნეობის გრძნობა, რომელიც ცხადში არასოდეს არ განმიცდია.

როდესაც გამომეღვიძა, დავინახე, რომ აპრილის მზით განათებულ ოთახში ვიწექი, ჩემს ფანჯარაში თეთრად აყვავე-

ბული ალუბლის ხის ტოტები იცქირებოდნენ, ხოლო ეზოში ფრინველების მხიარული ჭიკჭიკი გაისმოდა. ყოველივე ამაში ჩემი გარდაცვლილი მეგობრის გულისფეთქვა ვიგრძენი. ინდივიდუალური უკვდავება არც მას სწამდა და არც მე მწამდა.

* * *

„ცხოვრება სიზმარია", ამტკიცებენ ძველი და ახალი დროის ავტორიტეტები. სხვათა შორის, „ვისრამიანის" ავტორი ფახროედინ გურგანელი, „ბალავარიანის" სხვადასხვა ვარიანტის რედაქტორები, კალდერონი, შექსპირი, ბლეზ პასკალი ამბობს, ცხოვრება იგივე სიზმარია, მხოლოდ უწყვეტელიო; მეწაღე, რომელსაც ყოველ ღამით დაესიზმრებოდა, რომ ის მეფეა, ისევე ბედნიერი იქნებოდა როგორც მეფე, რომელსაც ყოველ ღამით დაესიზმრებოდა, რომ ის მეწაღეაო. ეს აზრი ნამდვილი ხსნა იქნებოდა სკეპტიკოსებისა და ურწმუნოთათვის: თუ ცხოვრება მართლაც სიზმარია, ერთხელ ხომ გამოვიღვიძებთ და დავინახავთ, რანი ვიყავით დაძინებამდე და რა მოგველის მომავალში. ჩვენ შეგვიძლია მოკლევადიან ძილს შევურიგდეთ, თუნდ ის კოშმარი იყოს, ხოლო ბედნიერი სიზმრები უფრო ამაღლებული ცხოვრების წინათგრძნობად მივიღოთ.

1960

განთიადიდან ზუადღემდე

1

როდესაც ადამიანი ხანში შედის, მას ბავშვობასა და სიჭაბუკეში განცდილი ამბები უკეთ აგონდება, ვიდრე გუშინდელი, ჩემი ცხოვრების პირველი შთაბეჭდილებები განსაკუთრებით ცხოველია, შეიძლება იმიტომაც, რომ ბავშვობის დღეები თერთმეტ-თორმეტ წლამდე ბედნიერად გავატარე.

გუშინდელ დღესავით მახსოვს, როგორ დავბრუნდით ახალ წელიწადს დილით სოფლის ეკლესიიდან, და ბიძაჩემმა ახლად დადებულ თოვლზე ჯოხით დაწერა: 1893 წელი.

ქვეყნიერება მშვენიერი მეჩვენებოდა ზამთარშიც, როდესაც თოვლის საბურველი და ყინულის ლოლუები ჩვენს დიდსა და განმარტოებულ ეზოში ვენახიან ხეებსა, ხეხილსა და შენობებს იდუმალებით აღსავსე გარეგნობას აძლევდნენ. ცხოვრებაში დიდი პოეზია შეჰქონდა ზამთრის დღესასწაულებს; შობას აუცილებლად ღვეძლებით უნდა შევხვედროდით; ეს იყო ნამგალა მთვარის მსგავსი ხაჭაპური, რომელსაც ყველს გარდა მაგრად მოხარშული, ბოლში გამოყვანილი, ორად გაჭრილი კვერცხები ჰქონდა ჩატანებული, ასე რომ, მისი ზედაპირი ალაგ-ალაგ ამობურცული იყო კალანდას აგუნათი და ჩიჩილაკებით ვეგებებოდით. ეს ჩიჩილაკები ახალი წლის წინა დღით ირთვებოდა სუროთი, კურკანტელით, ვაშლით და კამფეტებით და თითქო წმინდა ბასილის თეთრ წვერს წარმოადგენდა. თავისებური დღესასწაული იყო ლამპობა, ორი თებერვალი. ამ დღეს ბავშვები სამზარეულო სახლის სხვენიდან ერთ ძელს ჩამოვიღებდით, წვრილად დავჭრიდით, გრძელ ჯოხს მივამაგრებდით და ჩირაღდანს ვმართავდით. ამ მიზნით კვარსაც ვიყენებდით... მაგრამ დღეს მგონია, რომ ის რაღაც უძველესი წარმართული დღესასწაულების ნაშთს წარმოადგენდა.

ბავშვებს ძალიან გვიყვარდა აგრეთვე აღდგომა, როდესაც გვეჩვენებოდა, რომ მზეც კი სიხარულით ხტოდა ცაზე. ეს თითქო საყოველთაო შერიგების დღეობა იყო, წირვის გამოსვლის შემდეგ ყველანი ერთმანეთს ულოცავდნენ პირზე და მხრებზე ამბორით. მეც მზად ვიყავი ყველა ჩემი მოყვასისა და მტრისთვის მათი შეცოდება მეპატიებინა. მაგრამ ეს საკალდებულო კოცნა არ მიყვარდა, ამიტომ განზე გავდგებოდი და სააღდგომო კვერცხის ჭამას შევუდგებოდი, რათა კოცნა თავიდან ამეშორებინა.

ამ დღესასწაულებს სადღაც სხვა სამყაროში გადავყავდით, შორეულ წარსულში, რომელიც თითქო იკარგებოდა ბურუსიან ბინდბუნდში. და ოჯახური ლეგენდები, რომელნიც მოგვითხრობდნენ, რომ ჩვენი გვარის წინაპრები გურიის

მკვიდრნი კი არ იყვნენ, არამედ რომელიღაც სხვა პროვინციიდან გადმოხვეწილიყვნენ, ხელს გვიწყობდა, რომ ფანტასტიკურ სამყაროში გადავსულიყავით. მე მეჩვენებოდა რომ ჩემი მამა-პაპები ისეთივე კვერთხებიანი და გრძელწვერებიანი პატრიარქები იყვნენ, როგორც მამაჩემის მიერ ნაჩუქარი ძველი აღთქმის წიგნში იყვნენ დახატული. და თითქო ნათლად ვხედავდი, როგორ ეშვებოდნენ აპარის მთებიდან გურიის დაბლობებში ეს ბიბლიური პატრიარქები კვერთხებით, აბღავლებული ხარებით, მწყემსების მხრებზე დასვენებული კრავებით და ბანჯგვლიანი ქოფაკებით.

ჩვენი ეზო დაშორებული იყო სოფლის მთავარ შარაგზას, მაგრამ, როგორც ეტყობა, ჩვენი კერა სხვა დიდი ხნის წინათ გაციებული კერის ადგილას იყო გაჩაღებული. მახსოვს, ერთხელ ჩვენი მოჯამაგირე მიწის ბარვის დროს სრულიად მოულოდნელად უზარმაზარ ჩაკირულ ქვევრს წააწყდა, ის დიდხანს მოუნდა მის ამოწმენდას და ამორეცხვას. მეორე ადგილას სახნისში შებმულ ხარს, რომელსაც წინ მე მივუძღოდი, ცალი ფეხი უფრო მცირე ზომის ქვევრში ჩაუვარდა. ჩემი უკან მოხედვა და მისი ზეზე წამოდგომა ერთი იყო; მისი რქა წინა ზედა კბილზე მომხვდა და ოდნავ ჩამოტეხა. დღემდე ვერ ამიხსნია, როგორ გადავრჩი, რომ ცხვირ-პირი არ ამაგლიჯა.

სოფლად ბუნების სტიქიონური ძალაც და რიტმიც განსაკუთრებით გაზაფხულზე იგრძნობა, როდესაც ნუშის, ტყემლის და ქლიავის თეთრად აყვავებას ატმის, ვაშლის და კომშის ვარდისფრად აყვავება მოსდევს, ხოლო ბოლოს ბროწეულის ხეები ინთება ალისფერი ყვავილებით; აორთქლებული მიწის სუნი იის სურნელებას უერთდება; შემდეგ ზაფხულში და შემოდგომაზე კი ჰაერი ახლად მოცელილი ან ხმელი თივის, ნესვის, ატმის, მწიფე ყურძნის სურნელებით იყღინთება.

ჩვენი უზარმაზარი ეზო თავისი ყოველგვარი ხეხილით და ვაზიანი ხეებით, ბაღჩებით და ყვავილნარით, ბოსლითა და საქათმით, ხელს გვიწყობდა, რომ ცხოველთა და მცენარეთა სამეფო ახლო გაგვეცნო და შეგვყვარებოდა. რა საინტერესო საცქერალი იყო, მაგალითად, კრუხი, რომელსაც ხანდახან

იხვის კვერცხებს აჩეკინებდნენ, იმიტომ რომ ის წიწილებს დედალ იხვზე უკეთ იცავდა ქორის თავდასხმისაგან. როგორც კი პაწია ყვითელბუმბულიანი იხვის ჭუჭულები კვერცხების ნაჭუჭებიდან თავს გამოჰყოფდნენ და ჩვენი ეზოს ტოპოგრაფიაში ოდნავ გაერკვეოდნენ, ისინი დაუყონებლივ რუსკენ წაბაჯბაჯდებოდნენ, რათა შიგ შეეცურნათ თამამად; საბრალო კრუხი კი მათ ნაპირზე მისდევდა, თან შეშინებული და თან გაოცებული მათი ასეთი უსაქციელობით.

ჩვენი ვეებერთელა, თითქმის მოზრდილი ხბოსოდენა ძაღლი, რომელიც დღისით, ჩვეულებრივ, ჯაჭვით იყო დაბმული, ხოლო თუ აშვებული იყო, ეზოში არც ქვეითს და არც ცხენოსან მამაკაცს არ შემოუშვებდა, ჭეშმარიტად, რაინდულად ეპყრობოდა ქალებს და ბავშვებს და მათ არასოდეს არ დაჰყეფდა; მხოლოდ კაშკაშა ფერის დანახვას ვერავის ტანზე ვერ იტანდა. ერთ ჩვენს მეზობელ ქალს ძვირად დაუჯდებოდა კაშკაშა ქვედატანი, თუ მას ზემოდან თალხად ჩაცმული ბებიაჩემი არ გადაფარებოდა. გასაოცარი იყო, როგორ გრძნობდა ეს ჩვენი ძაღლი ოჯახის წევრის სიკვდილის მოახლოებას, როგორ გულშემზარავ ყმუილს ატეხავდა ხოლმე. თვითონ კი, როცა დაბერდა, ძალიან სტოიკურად მოკვდა ბაღჩაში, მზის გულზე დაწოლილი, თავისი ამქვეყნიური ვალდებულების პირნათლად შესრულების შემდეგ.

მეორე ჩვენ ძაღლს ადამიანივით ჭკვიანი თვალები ჰქონდა და ისე არაფერი უყვარდა, როგორც ადამიანთა საზოგადოებაში ყოფნა. ერთხელ, როდესაც ჩვენ აგარაკზე ვიყავით, ერთი დღის სავალზე ჩვენი სოფლიდან, ბახმაროზე, სადაც ჩვენი მურია წინა ზაფხულში იყო ნამყოფი, ის მოულოდნელად ავადგამხდარ დედაჩემთან მისულიყო და თავი დაედო მის ლოგინზე. მოხუცს შეეჩივლა, ავად ვარ და ჩემიანები ახლო არ მყვანანო. ჩვენი მურია მაშინვე გამქრალიყო. ის ბახმაროზე ამოვიდა უჭმელ-უსმელი. ტალახში ამოგანგლული და მამაჩემის ტანისამოსს კბილებით ჩაეჭიდა, თითქოს საღლაც ეწეოდა. ჩქარა უკან გაბრუნდა. მხოლოდ სოფელში ჩასვლის შემდეგ გავიგეთ მისი ყოფაქცევის აზრი.

სტუმრებს, ნათესავებს, კარდაკარ მოსიარულე ხელოსნებს დიდი ხალისი შეჰქონდათ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენს ეზოში ერთი დიდი სამთვალიანი, მიწის იატაკიანი წაბლის ხის სახლი იდგა; ერთ თვალში ჩალა და თივა ინახებოდა, მეორე ცხენისა და ჯორის თავლას წარმოადგენდა. ამ სახლის ფართო შუა დარბაზში ხან მოარული მჭედლები მართავდნენ მარტივ ქურას, ხან დურგლები ბინავდებოდნენ, ხან საფეიქრო დგამი იმართებოდა საუცხოო დარაიას მოსაქსოვად. მე განსაკუთრებით მიყვარდა დურგლების ცქერა, შალაშინის შრიალი და ფიჭვის ხის ბურბუშელას სურნელება.

მახსოვს, ერთხელ ჩვენსას ახალგაზრდა, ევროპულად ჩაცმული ხელოსანი მოვიდა და ჩვენი დიდი ოდის უფრო განმარტოებულ ოთახში დაბინავდა; მას მამაჩემის და სოფლის ეკლესიის წიგნები უნდა შეეკინძა და ყდაში ჩაესვა. ოთახიდან ოთახში დავრბოდი და მისი ოთახის კარიც შევაღე. ხელოსანი შინ არ აღმოჩნდა, მხოლოდ ტახტზე, საამქინძაო ხელსაწყოსა, წიგნებსა და კარტონებს შორის, საშინლად დაღმანჭული, გაშეშებული ადამიანის თავს მოეკარი თვალი. შიშისაგან ატირებული უკან გამოვიქეცი. აღმოჩნდა, რომ სრულიად უბრალო ნიღაბს შევეშინებინე, ამ ბავშვობის დროინდელმა შთაბეჭდილებამ ჩემზე ისეთი ძლიერი ზეგავლენა იქონია, რომ შემდეგ საესებით ვერასოდეს ვერ გავთავისუფლდი ამ უსაფუძვლო შიშისაგან და ნიღაბიანი ადამიანი ჩემში დღესაც უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

ბავშვებს განსაკუთრებით რაჭველი მესტვირეების მოსმენა გვიყვარდა. ისინი კარიკარ დადიოდნენ თავიანთი პრიმიტიული მუსიკალური ინსტრუმენტით რომელიც გუდისა, სტვირისა და ვერცხლის ძეწკვებით შემკული ქარასხისაგან შედგებოდა. საკმაო იყო ამ ქარასხაში ორიოდე წვრილი ვერცხლის ფული ჩაგვეგდო და ჩვენი სახელი გვეთქვა, რომ მათ ჩვენი შექება დაეღიღინებიათ დაუყოვნებლივ. კიდევ უფრო მოგვწონდა ხალხური ბალადები, რომელთაც ისინი ამღერებდნენ.

სოფლის ცხოვრებაში დიდი ხალისი შეჰქონდა აგრეთვე

ბურთაობას, რომელიც რამდენჯერმე იმართებოდა აღდგომის და ამაღლების დღესასწაულებს შუა და დიდს ვნებათა ღელვას იწვევდა მოპირდაპირე ბანაკების წარმომადგენლებსა, ზემოსოფლელებსა და ქვემოსოფლელებს შორის. ეწერის დიდი მინდორი, სადაც ჩემს ბავშვობაში ლელოს თამაში იმართებოდა, ამჟამად მჭიდროდ დასახლებულა და ჩაის ბუჩქებითაა დაფარული. ლელო ბავშვებისათვისაც საყვარელი გასართობი იყო; მახსოვს, ბევრჯერ დაჩეჩქვილი და ტანისამოს ჩამოფლეთილი დავბრუნებულვარ თამაშობის შემდეგ, იმდენად დაქანცული, რომ შიმშილის მიუხედავად თავი აღარ მქონდა ვასშმისთვის დამეცადა.

გურიის ერთ ცენტრალურ სოფელში, ნაგომარზე, ბაზრობა იმართებოდა ივლისის მეორე ნახევარში. იქ სოფლელებს ყოველგვარი შინაური ნაწარმი გამოჰქონდათ, ქოთნები, ქვევრები, ქვის კეცები, კოთხოები, შალის და აბრეშუმის ქსოვილები; ქალაქიდან ჩამოსული ვაჭრები, უმეტეს წილად ქუთათელი ებრაელები კი ფაბრიკული საქონლით ვაჭრობდნენ. ჩვენი მშობლები აქ ჩვენთვის სხვადასხვა სათამაშოებს ყიდულობდნენ. ჩვენში ეს ფაბრიკული სათამაშოები მაინცდამაინც დიდ მოკრძალებას არ იწვევდა: მათ ჩქარა ვამტვრევდით, რათა მათი შინაგანი მექანიზმი დაგვენახა; როცა ვრწმუნდებოდით, რომ ის საკმაოდ მარტივი იყო, ისევ ჩვენი საკუთარი ხელებით გაკეთებულ სათამაშოებს ვუბრუნდებოდით, პატარა წისქვილებს, ხელთოფელებს, მშვილდისრებს, სასირე ბადეებსა და რაგვებს.

ქვეყნიერება კეთილი და ბოროტი გენიებით დასახლებულად მეჩვენებოდა. კეთილი სულის განხორციელებად მიმაჩნდა, მაგალითად, ჩვენი მეზობელი ქალი, ჩემი დედობილი, რომელიც თავის თერთმეტ თუ თორმეტ შვილში არ მარჩევდა, იმიტომ რომ ერთხელ, დედაჩემის ავადმყოფობის დროს, ძუძუ მოეწოვებინა ჩემთვის; ხოლო ბოროტი სული გამოსკრთოდა ზოგიერთი ავთვალიანი კაცის ან ქალის გამსკვალავ გამოხედვაში.

და განა თვით ბუნება სიკეთისა და ბოროტების გამუდმებულ ბრძოლას არ წარმოადგენდა? განა ერთი იყო ძლევამოსილი გაზაფხულის პირველი დღეები. როდესაც დილის ცვა-

რი ათასფერად აციმციმდებოდა მწვანე მოლზე, და ის პირქუში შემოდგომის ღამე, როდესაც შავი ზღვიდან მოვარდნილმა ქარიშხალმა ძირიან-ფესვიანად მოგლიჯა ჩვენი უზარმაზარი კაკლის ხე, რომლის ჩრდილქვეშ ხშირად ვსადილობდით, ხოლო ჩვენს საყვარელ ცაცხვის ხეს ეკლესიის ეზოში ტოტები დაულეწა?

ალქაჯები, ჭინკები და სხვა მავნე სულები შეშფოთებას იწვევდნენ ჩვენს შორის. ბავშვები საღამოობით გავურბოდით საიდუმლოდ დაჩრდილულ მდინარეების ნაპირებს, სასაფლაოებს, ეკალბარდიან ტევრებს. საღამოობით, როდესაც მზე ჩადიოდა მისი სხივები ცოტა ხნით კიდევ მიწას ეალერსებოდა, რათა ყვითლად გაენათებინა მაღალი ხეების კენწეროები. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დროს საფლავებიდან მიცვალებულნი ამოვიდოდნენ, რათა მკვდრის მზეზე ორიოდე წუთით მაინც გაეთბოთ თავიანთი გაცივებული ჩონჩხები. ღამით წისქვილის ღრიალი და ღომის საცეხველი ჩამურის ძახილი უფრო გარკვევით გაისმოდა; თბილი ზაფხულის ღამეებში მათ ემატებოდათ ჭრიჭინების და ბაყაყების კონცერტი და რაღაც გაურკვეველი ფუსფუსი და ოხვრა. და როდესაც მე და ჩემი მომდევნო ძმა, თივით ან სიმინდის ტაროებით დატვირთულ ურემზე პირაღმა დაწოლილნი, სათიბიდან ან ყანიდან შინ ვბრუნდებოდით, ჩვენი სული თითქო ამ საიდუმლოებით აღსავსე დედამიწას და ვარსკვლავებით აჟიკჟიკებულ ცის გუმბათს უერთდებოდა.

გარდა შელოცვისა და პირჯვრის გამოსახვისა კიდევ სხვა უებარი საშუალებაც არსებობდა ბოროტი სულების დასათრგუნავად. პირველ ენკენისთვეს კუდიანების დღესასწაული დგებოდა. ღამით ისინი მთავარ როკაპთან მოფრინავდნენ სხვადასხვა საჩუქრებით, მათ შორის საუკეთესოდ ბავშვის გული ითვლებოდა. ამიტომ თმას ცვილით გვიწებავდნენ, რათა დაცული ვყოფილიყავით ყოველი ხიფათისაგან. მგონია, იმავე მიზანს ემსახურებოდა ცეცხლით განწმენდა ვნების ოთხშაბათს, ჭიაკოკონა და სხვა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მე პირადად ძალიან ადრე გავთავისუფლდი ჭინკების არსებობის რწმენისაგან და გულში მეცინებოდა, როდესაც ერთი განსაკუთრებით დაფეთებული ამხანაგი მარწმუნებდა, ჩემი

საკუთარი თვალით დავინახე, რომ მინდორში დიდი ცეცხლი ვნთო და შიგ ჭინკები ხტოდნენო.

რამდენი სიმღერა, რამდენი ზღაპარი და ლეგენდა მომისმენია სოფლის გოგო-ბიჭებისგან მარანში, სადაც უზარმაზარი საწნეხელებიდან სურნელოვანი მაჭარი ქვევრებისაკენ მიჩუხჩუხებდა, ან შემოდგომის მთვარით განათებულ ეზოში, სადაც სიმინდი ირჩეოდა და ნედლი ტაროები იწვოდა, ბოლოს სამზარეულო სახლში, შუა ცეცხლის პირას, სადაც დიდ კარდალში ფელამუში დუღდებოდა და თხილის ან ვაშლის ჯანჯუხები ივლებოდა.

ეს იყო სამყარო, აღსავსე იდუმალებით, სიხარულით და მომხიბლავი მშვენიერებით.

3

შვიდი წლის ვიყავი, როდესაც სოფლის სკოლაში შემიყვანეს. ქართული წერა-კითხვა უკვე ვიცოდი და უკვე ნაგემები მქონდა „მელიას და მწყერჩიტას“ პოეზია. ჩემთვის უბედნიერესი წუთები დგებოდა, როდესაც თბილისიდან ორ თვეში ერთხელ ანასტასია თუმანიშვილის ჟურნალს — „ჯეჯილს“ მივილებდი, შიგ ვაჟა-ფშაველას და თედო რაზიკაშვილის მოთხრობებს ან შიო მღვიმელის ლექსებს წავიკითხავდი, სურათებს დავათვალიერებდი და რებუსებს ავხსნიდი. გულის ფანცქალით ველოდი აგრეთვე მამაჩემის დაბრუნებას ოხურგეთიდან, საიდანაც მას ჩემთვის ხშირად კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული სურათებიანი საყმაწვილო წიგნები მოჰქონდა.

ჩემი მახსოვრობიდან არასოდეს აღარ წარხოცილა ის ღრმა შთაბეჭდილება, რომელიც ჩემზე ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობამ — „სიკდილით დასასჯელის უკანასკნელმა დღემ“ მოახდინა. მახსოვს, ზაფხულის ცხელი დღე იდგა; ჩვენი ეზოს მიეარდნილ კუთხეში გავმარტოვდი, ჩრდილოვანი ხის ძირში დავჯექი და მთელი მოთხრობა ისე წავიკითხე, რომ არ ავმდგარვარ. ეს იყო ჰუმანიზმის პირველი გაკვეთილი, მოცემული ორი კაცთმოყვარე მწერლისა, ვიქტორ ჰიუგოსა და მისი მთარგმნელის თედო სახოკიას მიერ. თერთმეტ-თორმეტი

წლის ბავშვისათვის ეს გაკვეთილი განსაკუთრებით ეფექტური იყო: მან შეიძულა სიკვდილით დასჯა და ყოველივე ძალმომრეობა.

ჩვენი სამაზრო ქალაქი პირველად შვიდი-რვა წლის ასაკში ვნახე. რადგან იქიდან დროდადრო სხვადასხვა საქონელი მოჰქონდათ, ქსოვილები, ფეხსაცმელი, წიგნები, ტკბილეულობა, მე ის წარმოვიდგინე როგორც ერთი უზარმაზარი გუმბათი, სადაც ყოველივე სავაჭრო საგნები უხვად ეწყო. ეს ალბათ იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენი ეკლესიის გუმბათი ჩემზე უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენდა: მე მეჩვენებოდა, რომ იქიდან ღმერთის თვალი მიცქეროდა. ვინაიდან საქონელის წარმოებაზე არავითარი წარმოდგენა არ მქონდა, ძალიან მაკვირვებდა რომ ეს ქალაქის გუმბათი არ ცარიელდებოდა. როდესაც პირველად ოზურგეთში ჩავედი, დავინახე, რომ ის არსებითად არ განსხვავდებოდა ჩვენი სოფლისაგან, მხოლოდ უფრო დიდი და მჭიდროდ დასახლებული იყო და მეტი დუქანი და მაღაზია ჰქონდა. ქალაქელი ბავშვები ნაკლებ სიმპათიური მეჩვენენ. ეტლობანას თამაში უყვარდათ, მაგრამ არც მე და არც ჩემს ძმას მეეტლის როლს არ გვითმობდნენ და ჩვენ იძულებული ვიყავით ცხენების როლით დავკმაყოფილებულიყავით და ისიც საკმაოდ გაუხედნელი ცხენების, ამიტომ მათრახი ხშირად გვხვდებოდა ფერდებში.

სოფლის სკოლაში ქართულ და რუსულ ენას იაკობ გოგებაშვილის და უშინსკის საუცხოო სახელმძღვანელოებით გვასწავლიდნენ. მე ჯერ კიდევ არ მენახა ქართული, მაგრამ როდესაც „დედა-ენაში“ რაფიელ ერისთავის ლექსებს ვკითხულობდი, ნათლად ვხედავდი ქართლის სოფელს ბაბანაქეება სიცხეში და ცივი ქრისტეშობისთვის დღეებში და ის კიდევ უფრო მშვენიერი მეჩვენებოდა, ვიდრე შემდეგ აღმოჩნდა სინამდვილეში. ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა აგრეთვე ხალხური პოეზიის ნიმუშები. მე დღესაც ვერ წარმომიდგენია, რომ რომელიმე ენაზე შეიძლება არსებობდეს წიგნი, რომელიც უფრო მეტად უწყობდეს ხელს პატარა ადამიანის ზნეობრივი და პატრიოტული შეგნების განვითარებას, ვიდრე გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“.

რაც შეეხება ჩვენი სკოლის მასწავლებლებს, მე მათ ღრე-

საც იდეალურ პედაგოგებად ეთვლი. ბევრი რამ დამავიწყდა, რასაკვირველია, მათ მიერ მოცემული გაკვეთილებიდან, არითმეტიკიდანაც, რომელსაც მაინცდამაინც ვერ ვეწყობოდი, და გეოგრაფიიდან და ისტორიიდანაც, რომელიც ძალიან მიყვარდა, მაგრამ ადამიანობის პირველი გაკვეთილები, რომელნიც მათ მომცეს, არასოდეს არ დამავიწყდება.

სკოლას ერთი მხრივ ბაღი ეკრა, საიდანაც კარგად მოჩანდა გურიის მთიანი ნაწილი ნიგოითის ქედამდე; სამხრეთით ჰორიზონტს ხშირი ტყით დაფარული აჭარა-გურიის მთა საზღვრავდა. გაკვეთილების დასრულების შემდეგ მოწაფეებს ამ ბაღში გვამუშავებდნენ: გვასწავლიდნენ ხეხილის დამყნას, ყვავილების და ფუტკრის მოვლას, მევენახეობას, დურგლობას. ზოგიერთი ჩემი ამხანაგი კარგი მომღერალი იყო, მათი ნადური, ხელხვავი და ხასანბეგურა ახლაც მიდგას ყურში. დასვენების დროს ხშირად ორ დასად ვიყოფოდით, რათა ფირალობა და ომიანობა გვეთამაშნა. ბევრჯერ მოულოდნელად თავს წავწყდომივართ მდინარე დურღლანაის ხრამში ჩასაფრებულ მტრის რაზმს და მას ჩვენთვის ცხვირიდან სისხლი უდენია; ბევრჯერ ფერდობზე დავგორებულვართ ჩვენი ფანტაზიის მიერ აშენებული ციხის აღების დროს; მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელებისაგან შეგონებული გვქონდა, რომ ამხანაგის ღალატი და დასმენა ყველაზე დიდი დანაშაული იყო.

ახლაც თვალწინ მიდგას ჩვენი სოფლის სასწავლებლების გამგის გიგო შარაშიძის მონუმენტური ფიგურა, მისი თმის და წვერის თეთრი აბრეშუმი, მისი შავგვრემანი სახე და ოდნავ ირონიული ტუჩების მოძრაობა. რა შრომისმოყვარე, მომკითხველი და სამართლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნობა ჰქონდა! და ის მართლაც ნამდვილი აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას მისი პირვანდელი მნიშვნელობით გავიგებთ: იგი იყო ბაღში გამართული სკოლის ხელმძღვანელი, პრაქტიკული ზნეობის და ყოფაქცევის მასწავლებელი, ცხოვრების სიბრძნის ოსტატი.

ახალგაზრდობაში ცხოვრების სხვა ოსტატებიც შემხვედრია როგორც თავადაზნაურობის და ინტელიგენციის, ისე გლეხკაცობის წრეში. მათ ჩამაგონეს რწმენა ადამიანობისადმი, რომელიც საბოლოოდ მაინც შემრჩა, მიუხედავად შემდგო-

მი ცხოვრების მიერ მოცემული ფხიზელი და მკაცრი გაკვეთილებისა. ჩვენი ოჯახის ერთი მეგობარი — აპოლონ წულაძე ძალიან ორიგინალურ ფიგურას წარმოადგენდა თავისი მწითური სახით, ოდნავ დაჭყლეტილი ცხვირით, უზრუნველობით და ცხოვრების წესით; მისი ცოლი ხშირად უჩიოდა მის დაუდგრომლობას. და ის მართლაც, ალბათ, ცუდი მეოჯახე იყო. მაგრამ მას თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა მოვლილი, კარგად იცნობდა ქართულ მწერლობას და ხალხის ზნეჩვეულებას, და არაფერი შეედრებოდა მის საუბარს, რომელიც ბუნებრივ ჭკუას და გონებამახვილობას მოწმობდა. პაპაჩემი. დედის მხრით, ყოველ წელიწადს მიმინოს ჰგეშავდა და მას ათიოდე ვარიას მაინც შეაჭმევდა, სანამ შემოდგომაზე ნადირობის სეზონი დაიწყებოდა და ათიოდე მწყერს დაიჭერდა. ზამთრის გრძელ ღამეებში კი ის ბუხრის პირას იჯდა და „ყარამანიანსა“ და გუგუნავას „თამარიანს“ კითხულობდა. პაპაჩემის ძმა მამის მხრით ანაფორიანი დონ-ჟუანი ყოფილიყო ახალგაზრდობაში. მის გრძელ სატრფიალო სიას არავინ აკლდა გლეხის გოგოებიდან დაწყებული ახალგაზრდა მონაზნებამდე. სიბერეში ის თავის შვილებს გამოეყო და თავის ცოლთან ერთად ეკლესიის მახლობლად დასახლდა. თავლა უშუალოდ ზედ ეკრა მის დასაძინებელ ოთახს; თავისი საყვარელი ცხენი ამ თავლაში ება. როგორც ეტყობოდა. მღელვარე ახალგაზრდობის მოგონებანი მოსვენებას არ აძლევდნენ და მას ძილი უფრთხებოდა, თუ თავისი ცხენის ფრუტუნი და ხრამუნი არ ესმოდა. პატარა ბავშვებს დიდი მორიდება გვქონდა მისი. მახსოვრობაში დღემდე აღბეჭდილი მაქვს მისი ვაჟკაცური სახე, ამაყი და პირქუში გამოხედვა, მისი გამხდარი, ძარღვიანი ფიგურა, მისი გიშრის კრიალოსანი, და რატომღაც ყოველივე ეს საღამოს ბინდბუნდსა მწუხრის ზარსა და ჩვენი მწვანე ქვის ეკლესიის კედლებთან არის დაკავშირებული.

ჩვენს ოჯახს რამდენიმე მეგობარი ჰყავდა მეზობელ გლეხებში, და მამაჩემი მათ ხშირად მიმართავდა რჩევისათვის. ერთი მათგანი სოფლის „მართალი პირი“ იყო და მისი განაჩენი, სოფლის სასამართლოში გამოტანილი, უაპელაციოდ სრულდებოდა. მე ძალიან მიყვარდა საუბარი ჩვენს კოჭლ

მოხუც მეზობელთან, რომელიც ბატონყმობის ამბებს ჩვეულებრივ ამოოხვრით დაასრულებდა, რა სამართლიანია რუსის ხელმწიფე, რომ ბატონყმობა და ტყვეების გაყიდვა მოსპო.

როდესაც პაპაჩემი და მისი უფროსი ძმა გაყრილიყვნენ, ის ამ უკანასკნელის წილში მოხვედრილიყო. ჩემი ბატონი ჩემზე ბევრად ხნიერი არ იყო, მაგრამ მისი ძალიან მეშინოდა სიმკაცრის გამოო. თორმეტ-თხუთმეტი წლის ჭაბუკი ვიქნებოდი, როდესაც ერთხელ დილით დობიროში გამგზავნა მაღლარი ყურძნის მოსაკრებადო; ამავე დროს თვალყური უნდა მედევნებია ხარისათვის, რომელიც იქვე შორიახლოს ბალახს სძოვდაო. ნაშუადღევს მოვიდა და დაინახა, რომ ხარი აღარსად ჩანდაო. მაგრამ გამლახა გიდელის თოკით და მიბრძანა ხარი მომეძებნაო. რადგან ის ახლომახლო ვერსად აღმოვაჩინე, შიშით შინ ვერ დავბრუნდი, მეზობელი სოფლისაკენ გავიქეცი და ღამე შარაგზის პირას გავათიე ბუჩქებშიო. მეორე დილით დავინახე, რომ ვიღაც უცნობ გლეხს ურმით უზარმაზარი ქვევრი მიჰქონდა ქუთაისისკენ, თავის ქვევრში ჩამაძვრინა და ორი-სამი დღის შემდეგ ქუთაისში ამოვყავი თავიო. იქ შინამოსამსახურედ დავდექი ერთი გაქართველებული სომეხი ვაჭრის ოჯახში. ოთახები უნდა დამეგავა და კოკით წყალი მომეზიდაო. კარგად მეპყრობოდნენ, თავს ბედნიერად ვგრძნობდი, მაგრამ ერთხელ, როდესაც კოკით შინ ვბრუნდებოდი, მოედანზე თვალი მოვკარი ჩემს ყოფილ ბატონს, რომელიც ცხენს მოათოხარიკებდაო. გაქცევა დავაპირე, მაგრამ კოკას ვერ შეველიე, დამეწია, კოკა დამიმტვრია, წელზე თოკი მომაბა და მესამე დღეს სოფელში ჩამომიყვანაო.

ამ ჩემს მეგობარს ყველაფერი მაიც არ მოსწონდა ახალ დროში: გლეხებისათვის ზედმეტად სთელიდა სკოლას, ხოლო ტყვეების გაჩეხა დიდ უბედურებად მიაჩნდა. ჩვენი ოჯახის დიდი ერთგული იყო და საკალანდო ღორი უმისოდ ვერ დაიკვლებოდა. ერთხელ ყელში დანაგარჭობილი ღორი გაექცა. ამ ამბავმა ძლიერ შეაწუხა, ასე, ალბათ, სარდალს ალყაშემორტყმული მტრის გაქცევა შეაწუხებს, ეჰ, ძალიან დავბერებულვარ, — თქვა მან და თავი ჩაქინდრა.

სიჭაბუკეში მას რაღაც ავადმყოფობა გასჩენოდა, მგონ-ა

ძვლის ტუბერკულოზი, და ვიღაც უმეცარ ექიმბაშს ბარძაყში გახურებული შანთი გაეყარა. ძალიან უჭირდა ყანაში მუშაობა. არ შემხვედრია ადამიანი, რომელსაც სიკვდილი ისე მონატრებოდეს, როგორც მას ენატრებოდა. ავადმყოფობამ, სიღარიბემ ძალიან დაღალა და სიკვდილს ისე ელოდა, როგორც ადამიანი, ჩვეულებრივ, ძილს ელის დამქანცველი მუშაობის შემდეგ. და მართლაც, მან ერთ გაზაფხულის დღეს, მუშაობის დროს, თოხზე დაყრდნობილმა დაიძინა საუკუნოდ.

ჩემთვის ყოველთვის უცხო იყო ყოველივე წოდებრივი განკერძოების გრძნობა, ხოლო ერთმა ინციდენტმა განსაკუთრებით შემაძულა ყალბი არისტოკრატიული ქედმაღლობა. ერთხელ სკოლიდან რომ ვბრუნდებოდი, სოფლის კანცელარიის წინ დავინახე ეტლი. რომელშიც ერთი ევროპულად ქარგად ჩაცმული მამაკაცი იჯდა. მას მიუახლოვდა შუა ხნის გლეხი, ყაბალახი მოიხადა, მოწიწებით თავი დაუკრა და მიმართა: — ბატონო, მითხრეს თითქო შინამოსამსახურის დასაქირავებლად იყოთ მობრძანებული, მე მყავს ქალიშვილი, მგონია გამოგადგებათო. უცნობი არ განძრეულა, თითქო არაფერი გაეგონოს. გლეხს სახეზე გაკვირვება და შეწუხება აღებეჭდა, მან უკან დაიწია. უცნობი რომელმაც ასე სრულყოფილად შეასრულა ეგვიპტური კერპის როლი, აღმოჩნდა ჩოხატაურელი თავადიშვილი, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრი.

ბავშვობაში არც სოფლად, არც ქალაქში არ დამინახავს, რომ ქართველ კაცს ხელი გაეწოდოს მოწყალების სათხოვნელად. სამაგიეროდ, გურიაში მოდიოდნენ რაღაც გაურკვეველი ეროვნების მათხოვრები, რომელნიც პირჯვარს იწერდნენ და თავიანთ თავს, ჩვეულებრივ, ბერძნებს უწოდებდნენ. მიყვარდა მათთან საუბარი, მათი სადაურობის და თავგადასავლის გამოკითხვა. ერთმა დამტვრეული ქართულით მითხრა, ართვინელი ვარო. მე გავიფიქრე, ალბათ, გამაჰმადიანებული ქართველი არის-მეთქი და განვიზრახე. მისი თვითგაცნობიერება, მისი დაბრუნება სამშობლოს წიაღში. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარიდან“ ლივანის და შავშეთ-ერუშეთის აღწერა წავუკითხე. საშინლად გაეხარდა, როდესაც ნაცნობი ადგილების სახელები გაიგონა; შემდეგ ქართული ანბა-

ნის სწავლა დავაწყებინე. ნიჭიერი აღმოჩნდა და სულ ცოტა ხანში ისწავლა ქართული კითხვა. რამდენიმე წლის შემდეგ ხელახლა მოსულიყო და მე ვეკითხე. ძალიან შეწუხებულიყო, როდესაც ეთქვათ, ქალაქში წავიდა სწავლის გასაგრძელებლადო.

მახსოვრობაში განსაკუთრებით ჩამრჩა კიდევ ერთი მათხოვარი ან, უკეთ ვთქვათ, მაწანწალა. ერთხელ, როდესაც შინ არც ერთი მამაკაცი არ იყო, კარზე მოგვადგა გაურკვეველი ეროვნების კაცი, მაღალი, მსუქანი, სახეგაჟინჟღილებული, და თავხედურად განაცხადა, ღვთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზი ვარ და ვალდებული ხართ გამიმასპინძლდეთ და ღამე გამათევიოთო. ქალები საშინლად დაფრთხნენ და მეზობლების მოსაყვანად გამგზავნეს. როდესაც უკან დავბრუნდი მთელი რაზმის თანხლებით, დავინახე, რომ ეს ახირებული ანგელოზი ხის ჩრდილში იჯდა და ხარბად შეექცეოდა ლობიოს და იზაბელას ღვინოს. მას არაფრად ესიამოვნა ჩემი მხედრობის დანახვა, მაგრამ მაინც ჩვენი ეზო არ დასტოვა, სანამ თავისი ქოთანი და დოქი არ დასცალა.

ბავშვობაში ძალიან ბევრი მესმოდა სახელგანთქმული გურული ფირალების შესახებ. ერთიორჯერ ისინი ჩვენს სოფელსაც ეწვივნენ. სისონა დარჩიას, მეხუზლას, დათუნაიშვილის, მიქელაიშვილის სახელები რაღაც რომანტიკული შარავანდედით იყო შემკული: სახალხო პოეტები მათ ლექსებს უძღვნიდნენ, ამ ლექსებს გადამწერლები ავრცელებდნენ, ქალები ჩონგურზე დაჰღიღინებდნენ. ყოველი გასათხოვარი ქალიშვილის იდეალში ფირალის სახე შედიოდა შემადგენელ ნაწილად; ყველა ვაჟკაცს გულს უძგერებდა მათი გმირობის ამბავი. უთანასწორო ორთა ბრძოლაში, რომელსაც გურული ფირალები ადმინისტრაციის და პოლიციის წინააღმდეგ აწარმოებდნენ, გლეხკაცობის თანაგრძნობა ამ თავგანწირული პროტესტანტების მხარეზე იყო, სოფელი არ უფრთხოდა თვით საშინელ ეგზეკუციებს და მათ თავშესაფარსა და საჭმელ-სასმელს აძლევდა. თავიანთ მხრივ გურული ფირალები მხოლოდ უკიდურესი თავდაცვის მდგომარეობაში ჩადიოდნენ მკვლელობას, ხოლო ღარიბებს არასოდეს არ ძარცვავდნენ.

სქესის საიდუმლოების გრძნობა სოფლელ ბავშვში, ჩვეულებივ, უფრო ადრე იღვიძებს, ვიდრე ქალაქელში, ვინაიდან ის უფრო ახლო დგას ცხოველთა და მცენარეთა სამყაროებთან, რომელნიც მუდმივ განაყოფიერების პროცესში იმყოფებიან. სოფლელ ბავშვებს შორის უფრო ხშირია აგრეთვე რაინდული მეგობრობის გრძნობაც.

ხშირად შემოქმედისათვის მადლობა შემიწირავს, რომ ისეთს ყოველმხრივად მშვენიერ ქვეყანაში გამაჩინა, როგორადაც საქართველო მეჩვენებოდა, და არა სადმე ირანში ან თურქეთში, რომელნიც, როგორც ჩემი სამშობლოს მტრები, განსაკუთრებით შემძულდნენ იაკობ გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობების წაკითხვის შემდეგ. გურია დედამიწის ცენტრად მიმაჩნდა, გურული ხალხი კაცობრიობის ყველაზე უფრო კეთილშობილ წარმომადგენლად.

სოფლის სკოლაში გოგონები და ბიჭები ერთად ვსწავლობდით, მხოლოდ ისინი რიცხვით ჩვენზე ნაკლები იყვნენ და წინა მერხზე ისხდნენ, განცალკევებით. ცხრა-ათი წლის ვიქნებოდი, როდესაც წარმოვიდგინე, უიმედოდ შეყვარებული ვარ-მეთქი და ჩემს მეგობარს დათიკო შარაშიძეს ვუთხარი აღსარება. აღმოჩნდა, რომ იმასაც იგივე წაბლისფერთმიანი გოგონა შეყვარებოდა, რომელიც ჩვენივე სოფლის სკოლაში სწავლობდა, მხოლოდ ორი განყოფილებით ჩვენზე უკან იყო. მაგრამ ჩვენი მეგობრობის გრძნობამ გაუძლო ამ განსაცდელს, მხოლოდ ჩვენმა მეშურნეობამ მშვიდობიანი შეჯიბრის ხასიათი მიიღო. მე შემოდგომაზე ჩემი პატარა ამხანაგების ნადი მოვიწვიე და სიმინდი მოვატეხინე ჩემი რომანტიკული ტრფიალის ყანაში. მუშაობის დროს ცალი თვალი ოდისკენ მეჭირა. საშინლად გულმოკლული დავრჩი, რომ მან იმ დღეს რატომღაც თავი ცხრაკლიტურში დამწყვდეულ მზეთუნახავად წარმოიდგინა და ერთხელაც არათუ ყანაში არ ჩამოვიდა, აივანზეც კი არ გამოჩნდა. ჩემმა მეგობარმა უფრო პოეტურ გზას მიმართა: მან რომანსი დაწერა, კონვერტში ჩასდო და ბახვისწყალში ჩააგდო იმ იმედით, რომ ის პირდაპირ დანიშნულებით მივიდოდა დილით პირის დაბანის დროს. მაგრამ ადვილი

წარმოსადგენია, რა მოუვიდოდა მის სატრფიალო წერილს. საკამ ბახმაროდან ბახვში ჩავიდოდა, ე. ი. დაახლოებით 30 კილომეტრს გაივლიდა.

ამ ასაკში ქალი რაღაც საიდუმლეობით აღსავსე არსებად მეჩვენებოდა, უსაზღვროდ მომხიბვლელად და სახიფათოდ ერთსა და იმავე დროს.

ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო, როდესაც სკოლის ბაღში ან ეკლესიის ეზოში შორიდან ჩემი ნანდაურის კოხტად შეკრეჭილ თავს, ყავისფერ ან ლურჯ კაბას და შავ წინსაფარს მოვკრავდი თვალს. მასთან პირისპირ შეხვედრას და დალაპარაკებას გავურბოდი, თუმცა სხვა გოგონებთან უბრალო ამხანაგური ურთიერთობა მქონდა. ვოცნებობდი, როდესაც დავვაჟკაცდებოდი, რაიმე არაჩვეულებრივ გმირობას ჩავიდენ მისი გულის მოსანადირებლად-მეთქი. ამ გრძნობასთან დაკავშირებით ბევრი ბედნიერი სიზმარი მინახავს ძილში თუ ცხადში. მძიმედ შეჯავშნული, რახტიან და ცეცხლის მქშინავ ცხენზე ამხედრებული მტრის რაზმებში ვიჭრებოდი და პირდაპირ მათი მთავარსარდლის კარვამდე ვაღწევდი, რათა ის გადამწყვეტ ორთა ბრძოლაში გამომეწვია; ან მთელ მოწინააღმდეგე არმიას ვიწრო ხეობაში ვუსწრებდი, გასავალ გზას ვუკეტავდი, ფერდობებიდან ვუტევდი და ისე ულმობლად ვჟლეტდი, რომ ერთი მოწმეც კი არ რჩებოდა. უცნობ მატერიკებს ვპოულობდი შორეულ ოკეანეებში. რაც შეეხება ჩრდილოეთ პოლუსს, მაშინ არ მეგონა, თუ მისი აღმოჩენა ოდესმე საჭირო და შესაძლებელი გახდებოდა; ისე კი სიზმარში ხშირად გავფრენილვარ, მხოლოდ არა თვითმფრინავით, არამედ საკუთარი ფრთებით. და ყველა ამ გმირული წარმოდგენის ჩამაგონებელი, სამშობლოს სიყვარულს გარდა, ჩემი პატარა ბახვისწყლისპირელი ფერია იყო.

როდესაც თხუთმეტი წლის შემდეგ მას ხელახლა შევხვდი, ის უკვე დაქალებული იყო, მე კი ვერავითარ საგრობას ვერ დავიკვეხნიდი, თუ ორიოდე საგაზეთო წერილს არ ჩავთვლიდი, — ეს წერილები უფრო ახალგაზრდულ ყოყლოჩინობას მოწმობდა, ვიდრე ნამდვილს გონებამახვილობას. ის უდავოდ მომხიბლავი იყო, მაგრამ მის სახეს სრულიად აღარ შერჩენოდა ტაძრის კიბეზე ამავალი ქალწულის უმანკო გამომეტყველე-

ბა. ეტყობოდა, მრავალი ორთა ბრძოლა ჰქონდა გადახდილი სამეჯნურო ასპარეზზე. ძალაუნებურად გავიფიქრე, მ ს დასაპყრობად არც ჰანიბალის და არც ერეკლე მეფის სტრატეგიული გენია არ უნდა იყოს საჭირო-მეთქი. ეს იყო ერთი იმ ალმოჩენათაგანი, რომელიც ახალგაზრდობის პოეტურ ბურუსს ჰფანტავს და ცხოვრებას ნაკლებ მიმზიდველს ხდის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მას მეტი კეთილშობილება, უანგარობა და თვით უბიწოებაც კი შეენარჩუნებია, ვიდრე ახლად მოვლენილ რომაელ მატრონებს, რომელნიც სათნოებით აღსავსენი გვეჩვენებიან, იმიტომ რომ მათი წინააღმდეგ არავის მიაქვს იერიში.

5

შუა გზაფხულში, ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში, ჩვენი ოჯახი აიბარგებოდა და ბახმაროზე მიდიოდა საგარაკოდ. ეს მგზავრობა მთელი დღე გრძელდებოდა, ალიონიდან საღამოს ბინდამდე. რამდენიმე საჯდომი და საბარგო ცხენის დაქირავება გვჭირდებოდა, ვინაიდან ქვეითად სიარული მეტად დამღალავი იყო და თან მთელი საოჯახო ბარგი უნდა წაგვეღო, ლოგინი, ჭურჭელი, ნაწილობრივი საკვებიც. მაგრამ ყოველი უხერხულობა უხვად ნაზღაურდებოდა ამ სიამოვნებით, რასაც ჯერ გზის ველური სილამაზე, ხოლო შემდეგ თვით ბახმაროზე ყოფნა გვანიჭებდა.

ალაგ-ალაგ ბახმაროს გზა ღრმა ნაღვარევს წარმოადგენდა, იმდენად ვიწროს, რომ საწინააღმდეგო მიმართულებით მომავალი საპალნიანი ცხენისთვის გვერდის შექცევა თითქმის შეუძლებელი იყო; ამიტომ ასეთ ადგილებში ჩალვადრები ერთმანეთს აფრთხილებდნენ ყვირილით. ალაგ-ალაგ ეს გზა ტყით დაფარულ ღრმა უფსკრულს მისდევდა, საიდანაც მთის მდინარის ღრიალი ისმოდა, ალაგ-ალაგ ის ციცაბო, თითქმის ვერტიკალურად დაშვებულ სიპ კლდეებში იყო გაჭრილი. ტყე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქო ის სხვა გეოლოგიური ეპოქიდან იყო დარჩენილი, როდესაც ჩვენი დედამიწის ზურგზე უფრო მსხვილი ტანის ცხოველები ღა მცენარენი ცხოვრობდნენ.

მგზავრს, თავდაპირველად თხმელის შემდეგ წიფლის, ბოლოს ნაძვის და ფიჭვის ხშირი ტყე უნდა გაევლო. უზარმაზარ, მდუმარედ მდგომარე ხეებს სიბერისაგან ხავსი მოსდებოდა და ბუწუწის წვერები ჩამოჰკიდებოდათ. ზოგი მათგანი წაქცეულიყო და წლების განმავლობაში ლპებოდა. ზოგს კიდევ თავისი ღონიერი ფესვებით კლდე გაეხეთქა ან უზარმაზარ ლოდს შემოხვეოდა. კაცი გაოცებული ეკითხებოდა თავის თავს, საიდან ღებულობენ ისინი მასაზრდოებელ წვენსაო. ქვის ლოდები გადალესილნი იყვნენ, თითქო ზღვის ტალღების მიერ გალოკილნი იმ შორეულ ეპოქაში. როდესაც შავი ზღვა კასპიის ზღვასთან უნდა ყოფილიყო შეერთებული და კავკასიის მთის მწვერვალები კუნძულებს წარმოადგენდნენ. ტყის ნიადაგი დაფარული იყო შქერით, ანუ დეკით, გვიმრით, შავნაყოფიანი წყავით და მოცვით.

დაახლოებით ორი კილომეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან ეს უღრანი ხელუხლებელი ტყე თავდებოდა და ჯერ შქერიანი და არყიანი დაბალი ტყე, ხოლო შემდეგ ალპური საძოვრების ზონა იწყებოდა. აქ ბალახი ალაგ-ალაგ ისეთი მაღალი იყო, რომ შიგ მოზრდილი ბავშვი დაიმალებოდა; მწვანე მოლი ალპური ყვავილებით იყო აკაშკაშებული: თეთრყვავილ შქერით, ყვითელი ბაიათი, ცისფერი ხასიათათი (კესანეთი), ვარდისფერი ეგირით (ვარსკვლავათი). ხშირად გზას თოვლიანი ნაპრალებიდან მომდინარე აქაფებული ნაკადულები სჭრიდა; ალაგ-ალაგ მსიარული ფერდობები ჩანდა ზედ შეფენილი მაძღარი შინაური პირუტყვით, რომელიც ზანტად თავს იბრუნებდა და გულგრილად ვეცქეროდა. მოშორებით უფრო მაღალი მწვერვალები ამართულიყვნენ, ზოგი განდეგილი ბერივით განმარტოებული, ზოგი — ცხენის ფაფარის მსგავსი, ზოგი ღრმა ხრამებით დანაოჭებული; ხოლო ზემოდან მათ მოვერცხლილი უნაგირის მსგავსი საყორნია დაჰყურებდა.

ზოგიერთი ბექობიდან თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მოჩანდა; როდესაც წყნარი ღრუბლიანი დღე იდგა, გეგონებოდათ, ზემოდან თეთრ ზღვას დავცქერი, რომლის ტალღები შეჩერებულან რაღაც უსილავი ძალის ბრძანებითო. მოწმენდილ დღეში ნათლად ჩანდა შავი ზღვა, აქო-

ჩრეხული გურია, რიონის მოლაპლაპე ზოლი, ფოთის ნავსადგური და კავკასიონის მთავარი ქედი იალბუზითა და სვანეთის მწვერვალებით.

ამ ალპური საზღვრების ზონიდან მგზავრი ნელ-ნელა ქვევით ეშვებოდა. კიდევ რამდენიმე მთის ზურგის გადალახვა იყო საჭირო და ბახვისწყლის ხეობაში ნაძვის და ფიჭვის ტყით გარშემორტყმული ბახმარო ჩნდებოდა თავისი ბორცვებითა და ფერდობებით და თავისი მხატვრულად მიმოფანტული საგარაკო სახლებით. რადგან წელიწადში ცხრა თვის განმავლობაში აქ არავინ არ ცხოვრობდა და მოაგარაკეთა მოძრაობა მხოლოდ ზაფხულში იწყებოდა. ბახმაროს ბუნება ყოველ ზაფხულში ქალწულებრივად ხელუხლებელი ჩანდა. ჰაერი კვარის და ფიჭვის ფისის სუნით იყო გაჟღენთილი, წყაროს წყალი არაჩვეულებრივად ცივი და გამჭვირვალე იყო, რძე, კარაქი, მაწონი თითქოს ყვავილების წვენით შეეზავებიათ, ჰაერს ძარღვებში თითქოს მეტი საწვავი მასალა შეჰქონდა; სიცოცხლე უფრო ბედნიერი ჩანდა, შემთხვევით თავმოყრილი მოაგარაკეთა საზოგადოება — უფრო ჰარმონიული.

წყნარ ღამეებში, როცა ციდან დედამიწაზე ფოსფორისებური სინათლე იღვრებოდა, მთის ქედები და მწვერვალები ისე მოსჩანდნენ, თითქო მათ ღრმა ძილით დასძინებოდათ გრანდიოზული გეოლოგიური რევოლუციების შემდეგ. შორიდან მდინარის ხმაური მოისმოდა. და ადამიანს სამყაროს უსასრულობის შეგრძნობა ეუფლებოდა.

ხანდახან აგარაკზე მეგრელი მეჯოგე უზა კვარაცხელია გვესტუმრებოდა; მას ბინა და საზაფხულო საძოვრები აჭარა-გურიის მთებში ჰქონდა, ოთხი-ხუთი კილომეტრის მანძილზე ბახმაროდან. მისი ფართო ფარეხი ფიჭვის ძელებით იყო შემოზღუდული და მის ჯოგს შემზარავი ქოფაკები დარაჯობდნენ. ამიტომ, როცა მასთან გავემგზავრებოდით, წინდაწინ შიკრიკს გავგზავნ(დით: ის ხეზე უნდა ამძვრალიყო და ყვირილით ეცნობებია ჩვენი მისვლა. ახოვანი, ბრგე უზა წინ გვეგებებოდა აუჩქარებელი ნაბიჯით და დარბაისლური ხელის მოძრაობით ყავრის სახურავიან, მიწის იატაკიან ბინაში გვეპატიჟებოდა. რა გემრიელი იყო მის მიერ მორთმე-

ული ელარჯი, ანუ ღომში მოხარშული ჩვილი სულგუნი, რა სასიამოვნო სუნი უდიოდა რძის და ყველით სავსე კასრებსა და კოთხოებს! როგორც ეტყობა, უზა კვარაცხელია ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული თვითგანსწავლილი ზოოტექნიკოსი იყო: მის მიერ შექმნილი საქონლის ჯიში ცნობილი იყო გურიასა და სამეგრელოში. ძალიან კარგ სანახავს წარმოადგენდნენ მისი ლაღად მოფუნდრუკე მოზვრები და ციკნები, რომელთაც ჯერ კიდევ რქები არ ამოსელოდათ, მაგრამ ერთმანეთს ეჯახებოდნენ წარმოდგენილი რქებით. უზა კვარაცხელიას მხატვრული ნიჭიც ჰქონდა: ის ბავშვებს საუცხოო საჩუქრებს გვიძღვნიდა, სულგუნიდან გაკეთებულ ირმებს, დათვებს, დაწნულ ჯაჭვებს.

ბახმაროს სააგარაკო სეზონი ხანმოკლე იყო: მოდიოდა ფერისცვალების დღესასწაული, ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ ბუნებას თითქო მართლაც ფერი ეცვლებოდა: მზე მცხუნვარეებას ჰკარგავდა, მთის მდინარეში, როგორც ჩვენი უფროსები ამბობდნენ, თითქო მართლაც ყინული ვარდებოდა; ფერდობებზე ჩამოწოლილ ნისლში ადამიანები და საგნები ფანტასტიკურ სილუეტებს ემსგავსებოდნენ: და ჩვენ ხელახლა ავიყრებოდით, რათა ბარში დავბრუნებულიყავით, სადაც ბავშვებს ახალი სიამოვნება გველოდა დამწიფებული ხილისა და აჟრიამულებული სკოლის სახით.

თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც მე ბახმაროზე უკანასკნელი ზაფხული გავატარე, მაგრამ ბავშვობის და სიყრმის შთაბეჭდილებები იმდენად ძლიერია, რომ სიზმარში ძალიან ხშირად ვხედავ მას: მე ვცდილობ ბახვისწყლის პირას ჩავიდე და ზევით გავყვე იმ ადგილებისაკენ, რომელნიც ბავშვობაში განსაკუთრებით რომანტიკული მეჩვენებოდნენ, მაგრამ ამას ვერ ვახერხებ და ვიღვიძებ გულდაწყვეტილი.

6

თორმეტ წლამდე ბახვის ორკლასიან სასწავლებელში, ანუ როგორც ახლა იტყვიან, ხუთწლედში ვსწავლობდი.

სხვა საგნებს შორის საღმრთო სჯულსაც გვასწავლიდნენ. ამ საგნით მაინცდამაინც გატაცებული არ ვიყავი, მაგრამ თავისებურ პოეზიას ვპოულობდი ძველი და ახალი აღთქმის მოთხრობებში. გულუბრყვილოდ მორწმუნე ვიყავი, იმ ბუნებრივი რელიგიის აღმსარებელი, რომელიც ბევრ ადამიანს აქვს თანდაყოლილი და ისტორიულად შემუშავებულ დოგმებზე კი არ არი დაფუძნებული, არამედ მოკრძალებაზე შეუცნობელი ძალების წინაშე.

ქრისტიანობა თავდაპირველად წარმომიდგა მხიარული საეკლესიო დღეობებისა, ჩვენი სოფლის ქართულ სტილზე აშენებული დიდი ეკლესიისა, საზეიმო მღვდელთმსახურებით და საგალობელით და აგუგუნებული თაღებისა, ბოლოს კაცთმოყვარე მორალის სახით. მამა ღმერთი დაახლოებით ისეთ სამოსელაფრიალებულ და გრძელწვერიან მოხუცად მყავდა წარმოდგენილი, როგორც ის ჩვენი ეკლესიის კანკელზე თუ საკუროხევლის კონქში იყო დახატული; ღრმად მწამდა, რომ ის სამართლიანი და გულკეთილი იყო და საიქიოში ყოველივე ამქვეყნიურ უსამართლობას გამოასწორებდა, ბოროტ ადამიანებს დასჯიდა, ხოლო მართალთ უხვად დააჯილდოებდა.

სამოთხე ძალიან კონკრეტულად მქონდა წარმოდგენილი, როგორც ადგილი ნათელისა, როგორც ადგილი მწვანილოვანი, სადაც არ არი არცა სალმობა, არც მწუხარება და სულთქმა როგორც ამას მღვდელი ამბობდა მიცვალებულის ანდერძის აგების დროს. დარწმუნებული ვიყავი, რომ საიქიოში ხელახლა ძვირფას მიცვალებულთ შევხვდებოდი: ეს დიდი ნუგეში იყო, განსაკუთრებით ჩემი უმცროსი ძმისა და დედაჩემის ნაადრევი სიკვდილის შემდეგ.

როგორც მახსოვს, უშინსკის „დეტსკი მირში“ რამდენიმე მშვენიერად დაწერილი სტატია იყო მოთავსებული მეცნიერების განვითარების და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ისტორიიდან, მაგალითად, პიოაგორსა, კოპერნიკსა, კოლუმბსა, მაგელანსა, გალილეისა და ნიუტონზე. იაკობ გოგებაშვილსაც თავის „ბუნების კარში“ საბუნებისმეტყველო ცნობები ჰქონდა შეტანილი. დიდად დამაინტერესა მამაჩემის მიერ ნაყიდმა გეოგრაფიის რუსულმა სახელმძღვა-

ნელომ, რომელსაც ელემენტარული კოსმოგრაფიული ცნობებიც ჰქონდა დართული. პირველად ამ წიგნების ზეგავლენით ვიგრძენი ბუნდოვნად, რომ ბიბლიურ და ქრისტიანულ აზროვნებაში ყოველივე წესრიგზე არ იყო.

ბავშვებისათვის წიგნზე არანაკლები ავტორიტეტი უფროს ამხანაგებს აქვთ. აღდგომის დღესასწაულზე ქალაქიდან ჩამოსულმა მოწაფემ, რომელსაც დიდი პატივისცემით და სიყვარულით ვეპყრობოდი, სასაცილოდ აივდო ჩემი რწმენა გულკეთილი მამა ღმერთისა და უბიწო ღვთისმშობლისა. წითელ პარასკევს ფარულად პასკის ნაჭერით გამიმასპინძლდა; შევამჩნიე, რომ ეს ნაჭერი სრულიად ისეთი გემრიელი არ იყო, როგორც წინათ მეჩვენებოდა საღდგომო სუფრაზე, ეხების კვირის მარხულობის და ზიარების შემდეგ. ჩემმა მეგობარმა მითხრა, გამოკეთილი მატერიალისტი ვარ, დარვინის მიმდევარი, არც ღმერთის არსებობა მწამს და არც ეშმაკის, იმქვეყნიური სამოთხე ხუცების მიერაა მოგონილი ხალხის გასაბრიყვებლადო.

დაახლოებით ამავე დროს ჩვეს ოჯახს ერთი ხანში შესული ქართველი კომერსანტი ეწვია. სუფთა ევროპულ ტანსამოსში იყო გამოწყობილი, დარბაისლური გარეგნობა და მიხრა-მოხრა და გაჭაღარავებული, გრძელი, ბოლოში ოდნავ გაყოფილი წვერი ჰქონდა. ბევრი ემოგზაურა და მრავალი უცხო ქვეყანა ენახა. მგონია, ინდოეთშიც კი იყო ნამყოფი. ჩვენი ოჯახის უფროს წევრებსა და მას შორის ნასადილევს მღელვარე დიალოგი გაიმართა. არავის ყურადღება არ მიუქცევია, რომ მათ საუბარს გულდასმით ვუსმენდი. ჩვენმა სტუმარმა ქრისტიანობას შეუტია არა ათეისტის, არამედ ხატთმებრძოლის თვალსაზრისით. ღმერთი მწამს, მაგრამ სასაცილოდ მიმაჩნია ვიღაც ბრიყვი ხელოსნების მიერ დახატული ხატების თაყვანის ცემაო. ჩემი თვალით მინახავს, რამდენ უხამსობას სჩადიან ხელოსნები ხატებზე მუშაობის დროს, როგორ შეიძლება მათი უწმინდური ხელებით შექმნილი სურათები წმინდა იყოსო. მე კი ისე არაფერი არ მომწონდა, როგორც ზოგიერთი ხატი. მაგალითად, ძალიან მომწონდა ახალგაზრდა ღვთისმშობელი, რომელიც ეკლესიის კანკელზე ძალიან ცოცხლად იყო გამოხატული და თითქოს

პირდაპირ თვალებში გიცქეროდა, სადაც უნდა მდგარიყავი; ძალიან მიყვარდა აგრეთვე უწვერულვაშო გაბრიელ მთავარანგელოზის ცქერა; მას მთავარდიაკვნის სამოსი ეცვა და ხელში საცეცხლური ეჭირა, მაგრამ უფრო ლამაზ ქალიშვილს ჰგავდა, ვიდრე ჩვენს გაბურძგნილ მთავარდიაკონს.

თუ ჩემზე უფრო გამოცდილი და განვითარებული ადამიანები ასე ფიქრობენ, მე გონებამოუმწიფებელი ბალღი ვყოფილვარ, ვამბობდი ჩემს გულში. მაშ ყოველივე ამ ქვეყანაზე თავდება, ადამიანებისათვის საიქიო ცხოვრება არ არსებობს, როგორც ის არ შეიძლება არსებობდეს მაიმუნებისა, ცხენებისა და თავკომბალებისათვის. სიკვდილი სამუდამოდ გვაშორებს საყვარელ ადამიანებს და მათ შემთხვევით და მოკლე ხნით შევხვედრივართ დედამიწაზე. ეს სამუდამო განშორების იდეა ჩემთვის განსაკუთრებით აუტანელი იყო.

სული აფორიაქებული მქონდა ღამით არ მეძინებოდა და მშფოთვარე სიზმრებს ვხედავდი, დღისით ძილღვიძილში ვიმყოფებოდი. გაშტერებული დავდიოდი: მეგონა, ფეხქვეშ მყარი ნიადაგი გამომეცალა, მზეს ბინდი გადაეფარა-მეთქი.

ძალიან გამეხარდა, რომ იმ დღეებში ერთი ნაცნობი მედიკოსი სტუდენტი გვესტუმრა მახლობელი სოფლიდან. წინათ მასთან საუბარი მიყვარდა: თავს ვაბეზრებდი კითხვებით, რა განსხვავებაა ესპანელებსა და პორტუგალიელებსა, სერბიელებსა და ჩერნოგორიელებს შორის-მეთქი; ახლაც მინდოდა ღმერთის და წმინდანების ამბავი მეკითხა, მაგრამ, თუმცა მთელი საღამო ერთად ვისხედით, მაინც კრინტი ვერ დავძარი. ის გაოცებული იყო ჩემი დუმილით ძალიან გაამაყებულაო, უთხრა მამაჩემს, როდესაც ვახშამზე დაგვიძახეს. მარტოდმარტო ვარ, ჩემი ტანჯვა არავის გაეგება-მეთქი, ვფიქრობდი სასოწარკვეთილი.

აღარ მახსოვს, იმ დროს იყო თუ შეიძლება უფრო ადრე, ერთი პირქუში სიზმარი ვნახე, დამესიზმრა თითქო ურემზე ვიჯექი ხელფეხშეკრული. ურემს ხარისთავიანი მამაკაცი მიუძღვებოდა, მას სადღაც მივყავდი დასაკლავად. შემდეგ, როდესაც ძველი ბერძნების მითოლოგიას გავეცანი, ჩემი ურმის წინამძღოლის მსგავსი არსება აღმოვაჩინე: ეს იყო მინოტავრი.

7.

ბავშვობაში სიკვდილი ბევრად უფრო შემსარაცად მეჩვენებოდა, ვიდრე დღეს მეჩვენება. ჩემი უმცროსი ძმა ორი-სამი წლისა იქნებოდა, როცა ყელჭირვება დაემართა. ზამთრის უკანასკნელი თუ გაზაფხულის პირველი დღეები იდგა და ციოდა. მომჯობინდა, წამოდგა და ოთახში დაიწყო სირბილი. ფანჯარასთან მივიდა და სკამზე შედგა, რათა თითოთ ხაზები გამოეყვანა ორთქლით დანისლულ მინაზე. ავადმყოფობამ ხელახლა შეუბრუნა და ლოგინში ჩააწვინა. ახლად მოლოგინებული დედაჩემი მეზობელ ოთახში იწვა, მასა და ჩემს ავადმყოფ პატარა ძმას მხოლოდ ხის კედელი ჰყოფდა. დილით დედაჩემის ოთახში ვიყავი, რომ მასთან მამაჩემი შემოვიდა. დედამ მაშინვე ავადმყოფი ბავშვის-ამბავი იკითხა. იმ ღამით უკვე გარდაცვლილიყო, მაგრამ მამაჩემმა უთხრა, არა უშავს, უკეთ არისო. მაშ კედელში მისი სუნთქვა რატომ არ მესმისო, — ჰკითხა დედაჩემმა. მამაჩემს მწუხარებისგან სახე დაეღმანჭა და ცრემლები წამოსცვივდა ღაპაღუპით. მე გარეთ გავვარდი. ცვალებადი დარი იდგა, ხან მზე გამოაშუქებდა, ხან მას ღრუბლები გადაეფარებოდა. ოდის სახურავზე თოვლი დნებოდა და, რადგან კედელთან ვიდექი, თავზე ცივი წვეთები მეცემოდა. ეზოში ნაგაზი ყმუოდა, — ნეტავი ყოველივე ეს სიზმარი იქნებოდეს-მეთქი, ვფიქრობდი მე, მაგრამ ეს ცხადი იყო.

ამის შემდეგ დედაჩემს დიდხანს აღარ უცოცხლია. ორი შვილის ნაადრევმა დაკარგვამ დააავადმყოფა და ის გულის დამბლით გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა. მოკრძალებული ხასიათის ქალი იყო, სხვის შეწუხებას ერიდებოდა, და, როდესაც ტირილით გულის მოჯერება მოუნდებოდა, უკანა ეზოში განმარტოვდებოდა, ღელის პირად, ღომის ჩამურის გვერდით, და მისი უხმო ქვითინი უერთდებოდა ჩამურის ძახილს, რომელიც ხმამაღლა მოტირალი ქალის ხმას მაგონებდა.

ერთხელ ახლად დაქვრივებულ მამაჩემთან ჩვენი სკოლის გამგე და მისი მეუღლე მოვიდნენ. მამაჩემმა შესჩივლა, ვერც დღისით და ვერც ღამით მოსვვენება ვერ მიპოვნიაო. მათ ურჩიეს, ყაზბეგის მოთხრობები იკითხე, გულს გადააყოლებო.

სტუმრებს თან გავყევი და მამაჩემს ყაზბეგის ოთხტომეული მოვუტანე; მაგრამ მის კითხვას მაინცდამაინც გული ვერ დაუდო. მხოლოდ ხშირად, როდესაც ღამით ლოგინში ვიწექი და დიდხანს ვერ დავიძინებდი, ვხედავდი, რომ მამაჩემი კუთხეში იდგა თაფლის სანთლით ხელში და თავის შავტყავიან წიგნებს კითხულობდა: ეტყობოდა სახარებასა და დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში მეტ ნუგეშს პოულობდა, ვიდრე ყაზბეგის „მოძღვარსა“ და „მამის მკვლელში“.

მამაჩემი უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ის ფოთში ერთ თავის ნაცნობთან ერთად ახლად გამოსული ბრაუნინგის სისტემის რევოლვერს ათვალიერებდა თურმე. მათ არ სცოდნოდათ, რომ ამ სისტემის იარაღში ერთი ტყვია ავტომატურად ვაზნების მკიდედან ლულაში გადადის, რევოლვერი გავარღნოდათ და მამაჩემი მუცლის აპკთან დაჭრილიყო. მე ეს ამბავი დეპეშით მაცნობეს, მაშინ ქუთაისში ვსწავლობდი. მეორე დილით უკვე უბედურების ადგილას ვიყავი. სანამ ავადმყოფის ოთახში შევიდოდი, მახლობლებმა გამამხნევეს, ნურაფრის გეშინია, ჭრილობა მსუბუქია და ადრე მოშუშდებაო. მაგრამ ოთახში შესვლისთანავე გამაოცა მამაჩემის შემკრთალმა, ალმაცერმა გამოხედვამ; მაშინვე გავიფიქრე, აღარ გადარჩება-მეთქი. ეტყობა, ისიც გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას: მითხრა, უმცროს შვილებს შენი იმედით ვტოვებო. ცუდი იმედი იყო, მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, სრულიად მოუმზადებელი ცხოვრების მკაცრ პირობებთან საბრძოლველად.

როდესაც მამაჩემის სიკვდილის შემდეგ სოფელში ჩავდიოდი, ჩვეულებრივ, მის ყოფილ ოთახში ვწვებოდი დასაძინებლად, მისსავე საწოლში. ხანგრძლივი წლების განმავლობაში ყოველივე შეიცვალა ამ ოთახში; უცვლელად ვგრძნობდი მხოლოდ თავისებურ სურნელებას, რომელიც საზამთრო ვაშლების, თაფლის სანთლის და ადამიანის დამახასიათებელი სუნისგან შედგებოდა. ეს გარემოება მით უფრო გასაოცრად მეჩვენებოდა, რომ წიგნების კარადაში აღარავინ აწყობდა ვაშლებს, რომელთა შენახვა იქ მამაჩემს უყვარდა. აღარავინ ლოცულობდა თაფლის სანთლის შუქზე, და თვით ამ ოთახის ბინადარიც დიდი ხნის მიცვალებული იყო.

დიდედაჩემმა ღრმა მოხუცებულობის ასაკს მიაღწია. თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ბავშვი ყოფილიყო, როცა გაეთხოვებინათ. — ჩემს დასანიშნავად რომ წვერიანი მამაკაცები მოვიდნენ, შემეშინდა, უკანა კარში გავიპარე და ეზოში ხეზე შევცოცდიო; ძლივს მიპოვეს და ძირს ჩამომიყვანესო. ინტერესტურად თუ გრძნობდა, რომ ბედნიერი ოჯახური ცხოვრება არ ექნებოდა: მამამისი ჯერ კიდევ მის გათხოვებამდე მოეცალათ თოფით; თოფისვე მსხვერპლი გახდნენ მისი ქმარი, უფროსი ვაჟი, სიძე და ძძისწული.

დიდედაჩემი იყო ჩემი პირველი ზნეობრივი აღმზრდელი, მან მომცა მორალის პირველი პრაქტიკული გაკვეთილები — არა მარტო იმისა, რომელიც ათი მცნებიდან გამომდინარეობს, და მკვლელობას, ქურდობას, ყალბი ჩვენების მიცემას, სხვისი სახლის, ცოლის და კარაულის დახარბებას გეკრძალავს, მისგან ხშირად მიმიღია აგრეთვე ზომიერების, თავმდაბლობის, სულგრძელობის გაკვეთილებიც, თუმცა, უნდა გამოეტყდე, ყოველთვის ვერ გამომიყენებია ისინი. ერთხელ შინ უბერანგოდ დაბრუნდა. გაეხადა და გაჭირვებული მეზობლის დედაკაცისათვის მიეცა. არ ვიცი, გაგონილი ჰქონდა თუ არა სულხან-საბა-ორბელიანის ანეკდოტი მაგისტროსსა და შიშველ მკვდარზე, მხოლოდ კაცთმოყვარე მაგისტროსავით კი იქცეოდა. ეს მით უფრო გასაკვირველი იყო, რომ მამაჩემის სიკვდილის შემდეგ თვითონ ღარიბად ცხოვრობდა და, ყოველ შენთხვევაში, ვერ დაიკვეხნიდა გარდერობის სიმდიდრეს. სიკვდილამდე მხნეობა არ დაუკარგავს და მის მიერ დამუშავებული ბოსტანი, მის მიერ მოძზადებული საკმელი, მისი ხელსაქმე განთქმული იყო მთელ კუთხეში.

როცა შემატყობინეს, რომ დიდედაჩემი ლოგინად ჩავარდა და მისი დღეები დათვლილი იყო, მის სანახავად გავეშურე თბილისიდან. პირქუში შემოდგომის დღე იდგა, ნოემბრის ცივი ქარი მძიმე ღრუბლებს მიერეკებოდა. ჩვენს ეზოში შესვლისთანავე თვალში მეცა საფლავის ორი დიდი ლოდი. გაკვირვებულმა ვიკითხე, აქ ვინ დაგისაფლავებიათ-მეთქი. შინაურებმა მიპასუხეს, აქ არავინ არ ასაფლავია, მხოლოდ ჩვენი ეკლესია დაშალეს, ძველი სასაფლაო გაუქმეს და ვეღარ ვეღირეს, ვისაც გსურთ, თქვენი მიცვალებულების ლოდები წაიღეთ.

დიდედაჩემს რამდენიმე მღვდელმა აუგო წესი. მათი მღვდელმსახურება დრამატულ დიალოგს ჰგავდა. ამ დიალოგშა, სადაც პლატონიზმის იდეები ქრისტიანობის ენაზეა გადატანილი, ჩემზე უღრმესი შთაბეჭდილება მოახდინა. და მე გავიგე, რატომ ურიგდებოდა ასე ადვილად სიკვდილს მოხუცი ქალი, რომელსაც სააქაო საგოდებლად გადაექცა, საიქიოში კი მისი რწმენა აყვავებულ ბაღნარს უმზადებდა.

8

ქუთაისის რეალური სასწავლებელი, სადაც სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ შეეედი, უფრო მტრულად შემხვდა, ვიდრე მეგობრულად. აღმოჩნდა, რომ კარგად ვიყავი მომზადებული და გამოცდებიც კარგად ჩავაბარე, რეალური სასწავლებლის დიდ ეზოს იმ დროს მთელი ის ფართობი ეჭირა, რომელიც ამჟამად ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ეზოს უჭირავს; მას ქუჩის მხრიდან დიდი რკინის ჭიშკარი ჰქონდა. საგამოცდო ოთახიდან გამოსვლისთანავე ამ ჭიშკრის საფეხურზე შევდექი და ქანაობა დავიწყე. მაშინვე ჩემს გვერდით გაჩნდა უფროსი კლასის მოწაფე, რომელმაც ბრძანების კილოთი მომთხოვა ძირს ჩამოვსულიყავი. იმდროინდელი ფირალების კლასიკური ქვეყნიდან — გურიიდან ვიყავი, უკვე წაკითხული მქონდა ეგნატე ნინოშვილის „სიმონა“ და ხალხური ლექსები არსენასა, მეხუზლასა, დათუნაიშვილსა და სხვებზე და ჩემი ღირსების დამცირებად მივიჩნიე მეგრელი მოწაფის ბრძანებას დავმორჩილებოდი. ის ცოტათი განზე გადგა და გაბრაზებულად დამიწყო თვალიერება. მე უზრუნველად განვაგრძე ქანაობა. უცებ მან ქორივით გვერდზე ჩამომიქროლა, მიწაზე დამანარცხა და ცემა დამიწყო. ამ მარცხმა ჩემი ავტორიტეტი დიდად შეარყია ჩემს ახალ ქუთაისელ ამხანაგებში, რომლებზედაც თავდაპირველად უფრო ხელსაყრელი შთაბეჭდილება მოვახდინე სოფლიდან ჩამოტანილი მესტეებითა და მხრებზე გადაკიდებული ყაბალახით.

მეორე ეპიზოდმა, რომელიც იმავე ზამთარში შემემთხვა, უფრო ღრმა ჭრილობა დატოვა ჩემს სულზე და გააძლიერა ჩემი უნდობლობა ადამიანებისადმი. ზამთრისთვის მე შემიკერეს

მუქი ლურჯი მაუდის პალტო. როგორიც საერთოდ მიღებული იყო რეალურ სასწავლებელში. მანამდე მე პალტო არ მცმია: სოფელში ზაფხულის ტილოს ან ჩითის ბლუზით, ზამთარში ფლანელის ბლუზით დავდიოდი. ამიტომ, შესაძლებელია, ჩემი ფორმის ტანისამოსით, ცოტა არ იყოს, სოფელი კომბალას შთაბეჭდილებას ვახდენდი, ხოლო ბალთიანი ფართო სარტყელი და კოკარდიანი ქუდი ისე მიხდებოდა, როგორც გაუხედნელ მოზვერს საბარო ურმის უღელი უხდება.

ერთხელ, დეკემბრის თვეში, ნაშუადღევს, როდესაც ორი კვირით შობის არდადეგებისათვის დაგვითხოვეს, აღმოვაჩინე, რომ ჩემი პალტო თავის ადგილას არ ეკიდა სკოლის ტალანში, სადაც მას, ჩვეულებრივ, ეკიდებდი ჩემი ამხანაგების პალტოების გვერდით. იძულებული გავხდი სოფელში მაუდის ბლუზისამარა გავმგზავრებულიყავი. სასწავლებელში დაბრუნებისთანავე შევუდექი ჩემი პალტოს ძებნას. დიდი დახმარება გამიწია ერთმა ჩემმა თანასოფლელმა მოწაფემ, რომელიც ორისამი კლასით ჩემზე წინ იყო და ბევრად მჯობნიდა დაკვირვების ნიჭით და მოხერხებით. მან შეამჩნია, რომ ერთი მოწაფე, ერთგვარი ჯორცხენა, რომელიც რუსულს ქართული აქცენტით ლაპარაკობდა, ხოლო ქართულს — რუსულით, პალტოს არ იხდიდა არც გაკვეთილზე, არც დასვენების დროს, ვითომდა შეუძლოთ ვარ და გაცივების მეშინიაო. ჩემმა მეგობარმა დიდი დასვენების დროს მას თამამად კალთები გადაუწია და მკითხა, ეს შენი პალტო ხომ არ არისო. აღმოჩნდა, რომ ამ პალტოსაც ნაცრისფერი სარჩული ჰქონდა, ისევე როგორც ჩემს მიერ დაკარგულს, მაგრამ ეს საკმაო არ იყო ქურდობის გამოსამეღავნებლად, იმიტომ რომ ნაცრისფერი სარჩული შეიძლებოდა ბევრს სხვასაც ჰქონოდა; ქურდმა თვითონვე გასცა თავისი თავი: მან მაშინვე შემომიტია, აკი ეს პალტო თვითონ შენ მომყიდეო. ამ უტიფრობამ მას ვერაფერი უშველა, ჩვენ მას დაუყოვნებლივ პალტო გავხადეთ. მეგონა, ეს ინციდენტი ამით ამოიწურა-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს ჩვენი სასწავლებლის დირექტორმა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერც პესტალოცის და ვერც უშინსკის მოწაფედ ვერ ჩაითვლებოდა, თავის კაბინეტში გამიწვია. ვერც კი მოვასწარი მასთან შესვლა, რომ ფეხების ბაკუნი და ყვირილი დამიწყო: როგორ, შ-ნ

პალტოს ჰყიდი და მერე ამხანაგს აბრალებ, თითქო მოგპარაო. ჩემს გაოცებას, ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. პასუხის გაცემა ვერ შევძელი, მხოლოდ რაღაც წავილუღლუღე გაურკვევლად. ტყუილის მთქმელს ყველაფრის ჩადენა შეუძლიაო, მითხრა დირექტორმა, დიდად კმაყოფილმა თავისი ფსიქოლოგიური განჭვრეტის ნიჭით, და გამისტუმრა.

ჩქარა ამის შემდეგ ქუთაისში მამაჩემი ჩამოვიდა. ის შეხვედროდა ჩვენი „კლასის დამრიგებელს", რუსული ენის მასწავლებელს, რომელსაც მისთვის ეამბა, რომ მე დირექტორის მიერ დატუქსული ვიყავი უღირსი საქციელისათვის. მამაჩემმა ცალკე გამიხმო და მკითხა, ნუთუ მართალია, რომ შენ თვითონვე პალტო გაგიყიდია და შემდეგ ამხანაგისათვის ცილი დაგიწამებიაო. მე არაფერი მიპასუხნია, მხოლოდ უსიტყვოდ შევხედე უღრმესი საყვედურის გამომეტყველებით. ამის შემდეგ ხშირად მიფიქრია, რა ძნლია ადამიანის სულში ჩახედვა, თუნდაც ეს გულუბრყვილო, მარტივი ბავშვის სული იყოს, და რა რთული მეცნიერებაა პედაგოგიკა.

ქუთაისის რეალური სასწავლებელი ტიპიური სახაზინო რუსული სკოლა იყო. ის მიზნად უფრო ადამიანის დაგეშვას ისახავდა, ვიდრე ინტერესის გაღვიძებას ბუნების და მეცნიერებისადმი. მასწავლებლები, უმეტეს წილად, რუსები იყვნენ, მათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ არც საქართველოს კულტურაზე, არც ქართველი ბავშვის ფსიქოლოგიაზე. ქუთაისის მახლობლად რამდენიმე საუცხოო ქართული ისტორიული ძეგლი იყო; არ მახსოვს, რომ ჩვენს აღმზრდელებს ან გელათში და გეგუთში წავეყვანეთ, ან თუნდ უქიმერიონის გორაზე ავეყვანეთ ბაგრატის ტაძრის დასათვალიერებლად.

ხოფლიდან ჩამოსულ ბავშვებზე ჩვენი მასწავლებლები ახირებულ შთაბეჭდილებას ახდენენ თავიანთი კალთაამოჭრილი და გრძელკუდიანი ფრაკებით ან ბრჭყვიალაღილებიანი სერთუკებით. მათ საპარადო დღეებში გვერდით ჩამოკიდებული დაშნები კიდევ უფრო სასაცილოს ხდიდნენ. მათ არაფერი გაეგებოდათ ქართველი ბავშვის ხასიათისა. ზოგიერთი მათგანი ჩვენ ნახევრად ბარბაროსებად გვთვლიდა, რომელთა გასაწრთობად საუკეთესო საშუალებას ალგებრის ფორმულები და დერჟავინის ოდები წარმოადგენენ. სპორტი არ შედიოდა იმ-

დროინდელი საშუალო სასწავლებლის პროგრამაში და ჩვენს ფიზიკურ განვითარებაზე არავინ ზრუნავდა. მშვიდობით ჭიდაობავ, ლელოს გატანავ, სირბილსა და ცხენის ჭენებაში გაჯიბრებავ, უდარდელო ხეტიალო გაზაფხულის და შემოდგომის მზიან დღეებში! სამაგიეროდ გვასწავლიდნენ სამხედრო წყობას და ევროპულ ცეკვას. ყველა ამ საგანში ყოვლად უნიჭო აღმოვჩნდი და ერთხელაც ვერც უნტეროფიცრის ბრჭყვიალა სარტყელი დავიმსახურე და ვერც იმ საცეკვაო საღამოზე მოვხვდი, რომელიც ყოველწლიურად წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში იმართებოდა 14 იანვარს.

მასწავლებელთა შორის რამდენიმე კარგი პედაგოგიც ერია. ასეთი იყო, მაგალითად, რუსული ენის მასწავლებელი ნიკო მაჭავარიანი; მას მოწაფეები, განსაკუთრებით ქართველები, დიდი მორიდებით და სიყვარულით ეპყრობოდნენ და მისი სახელწოდების დღეს ის ეზოდან ხელში აყვანილი შემოჰყავდათ სკოლის შენობაში. მაგრამ არ მახსოვს, რომ მას ჩვენთან ოდესმე ქართულად დაელაპარაკოს. ნიკო მაჭავარიანი არასოდეს არ კმაყოფილდებოდა გაკვეთილების გამოკითხვით და მოითხოვდა ტოლსტოის, ტურგენევის, გონჩაროვის, დოსტოევსკის რომანები და მოთხრობებიც და ბელინსკის კრიტიკული წერილებიც გვეკითხა. რაც შეეხება პუშკინს, ლერმონტოვს და გოგოლს, მათი ნაწერები სავალდებულო პროგრამაში შედიოდა ლომონოსოვის, კარამზინის, დერჟავინის, კრილოვის გვერდით. რუსი კლასიკოსების წყალობით, რომელთა შორის ჩემზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება გოგოლმა მოახდინა თავისი „რევიზორით“, „შინელითა“ და „მკვდარი სულებით“, ვიდრე ტოლსტოიმ, დოსტოევსკიმ და ტურგენევმა თავიანთი რომანებით და მოთხრობებით, ჩემს წინაშე სრულიად უცნობი სამყარო გაიხსნა. უნდა ვაღიარო რომ მე სრულიადაც მოხიბლული არ ვიყავი ამ სამყაროთი, მხოლოდ ვხედავდი, რომ ის მეტისმეტად განსხვავდებოდა ჩემი სამშობლოსაგან, როგორც მას ჩემი პატარა გამოცდილებით ვიცნობდი.

რეალურ სასწავლებელში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ახალი ევროპული ენების, მათემატიკის, საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებას, მაგრამ სწორედ ამ საგნებში, უმეტეს ნაწილად, ყოვლად უვარგისი ხელმძღვანე-

ლები გეყავდა. გერმანულ ენაში რამდენიმე ერთი-მეორეზე უარესი მასწავლებელი გამოვიცვალეთ. ზოგიერთმა მოწაფემ ისე გაათავა სასწავლებელი, რომ ერთმანეთში ვერ არჩევდა გრამატიკულ სქესს და გოთურ და ლათინურ დამწერლობას. ფრანგული ენის სწავლება რატომღაც ქალების პრივილეგიად ითვლებოდა. ჩვენს თვალწინ რამდენიმე მადამმა და მადმაზელმა გაიელვა, მათ მნიშვნელოვანი კვალი არ დაუჩნევიათ ჩვენს ცოდნაზე. ბოტანიკასა, ზოოლოგიას და მინერალოგიას გვასწავლიდა მონანიების გზაზე დამდგარი ყოფილი რუსი ნაროდნიკი, რომელიც უფრო იმაზე ზრუნავდა, რომ სუფთად მოეელო თავისი გრძელი პატრიარქალური ჩალისფერი წვერისთვის. მთელი კურსის განმავლობაში მან მხოლოდ ერთხელ იპოვა დრო, რომ მოწაფეები წყალწითელაზე წაეყვანა მინერალური ნიმუშების და გეოლოგიური ნამარხების შესაკრებად. ფიზიკური კაბინეტი და ქიმიური ლაბორატორია ისე ღარიბად იყვნენ მოწყობილი, რომ მხოლოდ უმარტივესი ცდების ჩატარება შეგვეძლო. ამ ცდებიდან მიღებულ ცოდნას ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი იმისთვის იყენებდა, რომ ქიმიური იერიში ეწარმოებია გაკვეთილის დროს, ან ხანძარი გაეჩინა სასწავლებლის შენობაში.

სასწავლებელს პატარა ბიბლიოთეკა ჰქონდა, მაგრამ იქ არც ერთი ქართული წიგნი არ მოიპოვებოდა. არ შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენა ოფიციალურად აკრძალული ყოფილიყოს, ის უფრო აბუჩად იყო აგდებული. ქართულისათვის კვირაში ერთი ნახევარსაათიანი გაკვეთილი გვქონდა დანიშნული, ის არავისთვის სავალდებულო არ იყო, ამიტომ ზოგიერთი ქართველი მოწაფეც კი არ ესწრებოდა მას. ქართული ენის მასწავლებელი დიდად პატივსაცემი მოხუცი იყო, მაგრამ მისი აზროვნება ანტონ კათალიკოსის „მზამეტყველებასა“ და „წყობილსიტყვაობაზე“ შეჩერებულიყო. საშუალო სასწავლებლისთვის ქართულ ენაზე არავითარი სახელმძღვანელო არ არსებობდა; რეალური სასწავლებელი ისე გავათავეთ, რომ ვერ გავშორდით „ვეფხის-ტყაოსნის“ პირველ ტაეპს, დავით გურამიშვილის ერთ დიდაქტიკურ ლექსს („სწავლა მოსწავლეთა“) და რაფიელ ერისთავის „ქოროღლს“. მოწაფეების დიდ უმ-

რავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მეცხრამეტე საუკუნის დიდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე.

ერთხელ დირექტორის გაკვეთილზე მერის ყუთის თავი ავწიე, რათა რაღაც წიგნი თუ საწერ-კალამი ამომეღო. დირექტორი ჩემსკენ გამოქანდა მუქარით. მე სახტად დავრჩი. მას თურმე ჰგონებოდა, რომ მის გაკვეთილზე ქართულ წიგნებს ვკითხულობდი ფარულად. მას ქართული ენის მასწავლებლისათვის დაევალებინა სათანადო ჩაგონება მოეცა ჩემთვის. მასწავლებელმა ასე თუ ისე პირნათლად შეასრულა ეს დავალება, რომლისთვისაც ის ყველაზე ნაკლებად გამოდგებოდა.

არ შეიძლება ითქვას, რომ რუსი მასწავლებლები, რამდენიმე გულდაჯერებული შოვინისტის გამოკლებით, მტრულად ყოფილიყვნენ განწყობილი ქართველი ახალგაზრდობისადმი; მაგრამ მათ ძალიან უკვირდათ, როდესაც ხედავდნენ, რომ ზოგიერთი ჩვენგანი სასკოლო მეცნიერებას უფრო ადვილად ითვისებდა. კიდევ უფრო აკვირვებდათ მეგრელი და გურული გლეხები, რომელთაც თავიანთი შვილები შემოჰყავდათ საშუალო სასწავლებელში. მათ უძნელდებოდათ ჩვენი მოდრეკა, ჩვენი მოთვინიერება, საერთო სახაზინო ყალიბში მოთავსება, იმ დამოუკიდებლობის სულის აღმოფხვრა, რომელიც ქართველ ერში ხანგრძლივმა ისტორიულმა ბრძოლებმა განამტკიცა.

ერთხელ ერთმა ჩვენმა ამხანაგმა ღამით ქუჩაში პოლიციელი გალახა. გალახულმა იჩივლა. დირექტორმა სასწავლებლიდან გამორიცხა დამნაშავეცა და მისი ორი-სამი თანამოლაშქრეც. ამის შემდეგ მათ თვით დირექტორი გალახეს.

სასწავლებლის რეჟიმი რამდენიმედ მაინც ყოველთვის იცვლებოდა დირექციის შეცვლის მიხედვით. გარდა სამხედრო ფრონტის სიყვარულისა, რაიცა ერთ ჩვენს დირექტორს, როგორც ეტყობა, იმდენად ბუნებით თანდაყოლილი არ ჰქონდა, როგორც ზემოდან ნაკარნახევი, მას ძველი ბერძნულ-რომაული კულტურის პატივისცემა ახასიათებდა: თავისი გაკვეთილების დროს ის აღტაცებით ლაპარაკობდა ათენის დემოკრატიასა და პერიკლეზე, ან კიდევ ძველი კოლხეთის ურთიერთობაზე კლასიკურ მსოფლიოსთან. გასაოცარი იყო, როგორ აერთებდა ის თავის ბუნებაში ჰუმანისტურ ინტერესებს ვიწრო ყაზარმულ სულთან.

მისი მომდევნო დირექტორი გაკვეთილებზე თავს ისე გრძნობდა, თითქო უნივერსიტეტის აუდიტორიაში ყოფილიყო: შემოვიდოდა, მშვევრმეტყველურ ლექციას წაიკითხავდა ფიზიკიდან ან ქიმიიდან და გავიდოდა. ის უფრო თავის ბომბალ აკადემიურ სარბიელზე ზრუნავდა, ვიდრე თავის მოწაფეებზე. ჩვენთან დიდხანს არ დარჩენილა: სადღაც უნივერსიტეტში დანიშნეს დოცენტად თუ პროფესორად.

ერთმა ჩვენმა ინსპექტორმა, რომანოვსკიმ, საკმაოდ ვრცელი წიგნი დაწერა საქართველოს ისტორიაზე, სადაც განსაკუთრებით დაწვრილებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხი განიხილა. მას არ სძულდა ქართველობა. მაგრამ ოფიციალური მდგომარეობის გამო იძულებული იყო ჩვენთვის ქართული წიგნების კითხვა და ქართული თეატრში სიარული აეკრძალა. პატრიოტულად განწყობილი ქართველი მოწაფეებისათვის კი ეს დიდი სასჯელი იყო, ვინაიდან ქუთაისში იმ დროს თითქმის სხვა არავითარი გონებრივი გასართობი არ არსებობდა, ლადო მესხიშვილის დასი კი საუცხოოდ შერჩეულ პიესებს დგამდა. მისი წარმოდგენები ჩვენთვის ქართული ენის და მხატვრული აღზრდის საუკეთესო სკოლა იყო, ამიტომ ყოველი ღონისძიებით ვცდილობდით თეატრში შევპარულიყავით. მაგრამ სიამოვნება მოწამლული გვქონდა, ვინაიდან ცალი თვალი მუდამ კიბისაკენ უნდა გვჭეროდა და თუ იქ ჩვენი ულმობელი ზედამხედველი გამოჩნდებოდა, სადმე მივმალულიყავით, ან იმ ტიხარზე გადავმხტარიყავით, რომელიც ქანდარას ბალკონიდან ჰყოფდა.

ქუთაისის თეატრთან დაკავშირებულია ერთი ეწვავე მოგონება ჩემი ბავშვობის დროიდან. ერთხელ ზამთრის პირს ქუთაისში სოფლიდან მამაჩემი მოვიდა, ნატის პატარა საფულე მიყიდა და ცოტაოდენი ვერცხლის ფული დამიტოვა. ამ ფულს ძალიან ვუფრთხილდებოდი, თეატრის ბილეთის შესაძენად მინდოდა; მაგრამ მისი არსებობა გულუბრყვილოდ გავანდე ერთს ჩემს უფროს ამხანაგს, რომელიც უბრწყინვალესი თავადიშვილების გვარს ატარებდა. მეორე თუ მესამე დღეს, როდესაც გაკვეთილების შემდეგ ერთად სკოლიდან შინ ვბრუნდებოდით, მან მთხოვა ჩემი საფულე მეჩვენებინა. მაშინვე ჯიბეში იკრა და გაიქცა. სირაქლემას ფეხები ჰქონდა და ვერ

დავეწიე. უბედურება ის იყო, რომ რომელიღაც საინტერესო წარმოდგენის დღე ახლოვდებოდა, მე კი ექვსი-შვიდი შაურიც არ მქონდა, რომ ბალკონის ან ქანდარის ბილეთი მეყიდა.

გადავწყვიტე ახლად შეძენილი ალგებრის სახელმძღვანელო გამეყიდა და დაუყოვნებლივ თეთრი ხიდისკენ გავსწიე, წიგნების შემსყიდველ ანტიკვართან. მან წიგნი გადაფურცლა და მკითხა, რამდენი მოგცეო. შვიდ შაურად დავუფასე. ვაჭარს, როგორც ეტყობოდა, გაუკვირდა, რომ თითქმის უსმარ წიგნში მისი ნომინალური ფასის მეოთხედსაც არ ვთხოვდი, და ურცხვად მკითხა, მოპარული ხომ არ გაქვსო, თავში სისხლი ამივარდა, სული შემეხუთა, მინდოდა ყელში ვცემოდი, დამერტყა; იმოდენა ვაჟკაცს აბა რას დავაკლებდი! შეიძლება უფრო იმ აზრმა შემაჩერა, რომ თუ თავს არ შევიკავებდი, თეატრში წასვლის შესაძლებლობას დავკარგავდი. არაფერი მიპასუხნია, მხოლოდ უსიტყვოდ შევხედე. ამ ჩემს განმგმირავ, საყვედურით აღსავსე შეხედვას თითქოს ამ წუთშიც ვგრძნობ; მანაც დახლიდან უსიტყვოდ ფული ამოიღო და გადმომცა. ამრიგად, თეატრში წასვლა მოვახერხე, მაგრამ ალგებრის სახელმძღვანელოს უქონლობამ ხელი შემიშალა და ძალიან ჩამოვჩი მათემატიკურ საგნებში.

მეორე მწვავე მოგონება სასამართლოსთანაა დაკავშირებული. იმ დროს იმერეთში ერთი ყაჩაღი დაიჭირეს, გვარად, მგონია, ლორთქიფანიძე იყო. ერთხელ კვირა დღეს სკოლის ამხანაგებმა მითხრეს, დღეს სატუსაღოს ეზოში ამ ყაჩაღს ჩამოახრჩობენ და მისი დასჯის აქტს გუბერნატორი, პოლიცმეისტერი და ბრალმდებელი დაესწრებიანო. მე უკვე წაკითხული მქონდა ვიქტორ ჰიუგოს მოთხრობა „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“. ან რისიმე წაკითხვა რად მინდოდა? ხშირად სოფელში მინახავს, როგორ აბღაველდებოდნენ ხარები და ძროხები, როდესაც მინდორში დაკლული პირუტყვის სისხლს დაინახავდნენ. და მე არა მარტო გონებით, არამედ მთელი სხეულით შევიგრძენი სიკვდილით დასჯის საშინელება: მთელი დღე გაოგნებული დავდიოდი. უჭმელ-უსმელი დავრჩი.

ქუთაისში იმ დროს დროგამოშვებით გამოჩენილი რუსი მსახიობებიც ჩამოდიოდნენ საგასტროლოდ: დალსკი, ძმები ადელგეიმები და სხვ. მაგრამ ქართველ მოწაფეებს მათ ყველას ჩვენი ლადო მესხიშვილი გვერჩია. ჩვენ გვხიბლავდა მისი ბუნებრივი და კეთილშობილი პლასტიკა, მისი მჭევრმეტყველი მიმიკა, მისი საუცხოო დიქცია, რომლის წყალობით ყოველი სიტყვა გარკვეულად ისმოდა, ხოლო განსაკუთრიბით მისი უანგარო წვა ხელოვნებისათვის. ეს დიდი შინაგანი განცდის მსახიობი იყო. ზოგიერთი მოწაფე მის ხმასაც კი ბაძავდა; ხმა დაზიანებოდა, როდესაც ერთხელ თავი მართლაც კინაღამ ჩამოეხრჩო ფრანც მოორის როლის შესრულების დროს. ვიცოდით, რომ ოჯახში ხშირად ძალიან უჭირდა, მაგრამ ქუჩაში ამაყად თავაწეული დადიოდა, თითქო ვერცხლის შარავანდედს ატარებდა კლასიკური საჭრისით გამოკვეთილ შუბლის ზემოთ. წელიწადში ერთხელ თეატრში მისი ბენეფისი იმართებოდა. ეს ჩვენი დღესასწაული იყო: ერთმანეთში ცოტაოდენ ფულს ვაგროვებდით, რათა მისთვის მცირედი საჩუქარი მიგვერთმია, რაიმე წიგნი, ალბომი ან ვერცხლის ლანგარი. ზოგიერთი განსაკუთრებით აღტაცებული ახალგაზრდა მზად იყო იმ საღამოს მის ეტლს შებმოდა ცხენის მაგივრად.

ალექსანდრე დიუმას „ედმონდ კინში“ ლადო მესხიშვილი თითქო თავის თავს ან თავის ორეულს თამაშობდა, რადგან თვითონ ის არტისტი — ბოჰემა იყო კინივით. შილერის „ავაზაკებში“ ერთხელ ორივე ძმის — კარლ და ფრანც მოორების როლი შეასრულა, უკანასკნელი — უფრო სრულყოფილად, ვიდრე პირველი, უნაკლოდ გვეჩვენებოდა აგრეთვე გუცკოვის „ურიელ აკოსტაში“. ახლა მგონია, რომ ნაკლები სიძლიერით ასახიერებდა ჰამლეტს, ხოლო ოტელოს შესრულებაში მას ვალერიან გუნია და ალექსანდრე იმედაშვილი არ ჩამორჩებოდნენ.

ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხში“ ლადო მესხიშვილი ნევრასტენიკოსის როლს ასრულებდა. მას მეორე მოქმედებაში ხანგრძლივი, თითქმის ხუთწუთიანი პაუზა ჰქონდა. მარტოდმარტო იყო სცენაზე და ამაოდ ცდილობდა ასანთით ჩიბუხი აენთო.

ხელი უთრთოდა, ხანთი უქრებოდა და მთელი დარბაზი ისე დამორჩილებული ჰყავდა, რომ მისი სუნთქვა ისმოდა, დარბაზისა კი — არა.

მესხიშვილმა რამდენიმე ქართველი მსახიობი აღხარდა, რომელთა შორის ყველაზე გამოჩენილი ალექსანდრე იმედაშვილი და ნინო ჩხეიძე იყვნენ. ის რამდენიმედ იმდროინდელი ქართველი მოწაფეების აღმზრდელადაც შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ხელოვანი და როგორც მოქალაქე. ჩვენ ხშირად მოწმენი ვიყავით, როგორ ფრთხებოდნენ ჩვენი მასწავლებლები, როდესაც თბილისიდან კავკასიის ოლქის მზრუნველი ან მისი თანაშემწე გვეწვეოდა. ერთ მასწავლებელს გიმნაზიაში მზრუნველის წინ გულიც კი წაუვიდა. აღმზრდელის ავტორიტეტს მოწაფის თვალში კი ისე არავითარი ნაკლი არ ანადგურებს, როგორც სიმხდალის გამოჩენა. ამავე დროს ჩვენ ვხედავდით, როგორ თამამად წარმოთქვამდა ხოლმე სცენიდან ლადო მესხიშვილი რომაელი ტრიბუნის კაი გრაქხის და იბსენის ექიმ შტოკმანის მღელვარე სიტყვებს, რომელნიც რევოლუციურ ზეგავლენას ახდენდნენ ძველი რეჟიმის დროს, როგორ ქედმოუხრელად, ღირსეულად ხვდებოდა მთავრობის და პოლიციის წარმომადგენლებს, ბოლოს როგორ ნამდვილ დემოკრატ ტრიბუნივით გამოვიდა 1905 წელს ქუთაისის ამბოხებულ ქუჩაში.

თბილისიდან ხანდახან იქაური ქართული დასის მსახიობები გვესტუმრებოდნენ ხოლმე საგასტროლოდ. კოტე ყიფიანი მონუმენტური მეფე ლირი იყო, კოტე მესხი — საუცხოო ნერონი და ნაპოლეონი: როგორც ფრანგული სკოლის მსახიობს, მას ბათეტიკური ტონი და კარგად შემუშავებული დიქცია ჰქონდა. ვალერიან გუნია თავისი ახოვანი ტანით, დარბაისლური სიტყვა-პასუხით და ვაჟკაცური სახის იერით ნამდვილი რომაელი პატრიციელი იყო, თითქოს იმისთვის გაჩენილი, რომ პეტრონიუსის როლი შეესრულებინა. მაგრამ თუ ის სცენაზე საუცხოოდ ასახიერებდა დარდიმანდი ეპიკურელის როლს, ცხოვრებაში უანგარო პატრიოტი იყო. მისმა „ქართულმა კალენდარმა“, მისმა „და-ძმამ“ გავლენა იქონია ჩვენი ახალგაზრდობის პატრიოტულ აღზრდაზე. ვფიქრობ, რომ ვასო აბაშიძემ ყოველთვის კარგად იცოდა თავისი როლი, მაგრამ

თავისი იმპროვიზაციებით ხშირად გონებამახვილად ასწორებდა უხეირო ტექსტს. არ მგონია, რომ იმდროინდელი კომედიის მსახიობებს შორის მას ბევრი ბადალი ჰყოლოდეს მსოფლიოში. ქუთაისში ვასო აბაშიძე ორჯერ ჩამოვიდა საგასტროლოდ. ერთხელ დონ-ჟუანის როლი შეასრულა, ხოლო მეორეჯერ ორგონისა „ტარტიუფში". ის ისეთივე დიდი იყო მაღალი სტილის კომედიებში, როგორც საყოფაცხოვრებო პიესებში და მსუბუქ ვოდევილებში. ვასო აბაშიძე თითქო იტალიურ ხალხურ ნიღაბთა თეატრს ჩამორჩენოდა, რათა ორი-სამი საუკუნის შემდეგ თბილისში ხელახლა დაბადებულიყო. მის ცოლს, — მაკო საფაროვის ასულს სცენიური გარდახორციელების დიდი ნიჭი ჰქონდა. თითქმის ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც ის ჰამლეტის დედის ჰერტრუდას როლში ვნახე, მაგრამ ახლაც ვგრძნობ ენებიანი დედაკაცის ავხორცობის გამოსხივოსნობას, რაიც მისი ღია გულ-მკერდიდან მომდინარეობდა. ამავე დროს გაოცებას და აღტაცებას იწვევდა პარიზელი ბიჭის როლის შესრულებით. ჩვენ, ქუთაისის ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ჩვენი თეატრის ახალგაზრდა პრემიერი ქალი ნინო ჩხეიძის ასული გვიყვარდა. ვერც კი წარმოგვედგინა, რომ მასზე უკეთ შეიძლებოდა ოფელიას, დეზდემონას, ივდოთის, ნორას როლის შესრულება. მას რამდენიმე უპირატესობა ჰქონდა: დიდი ტემპერამენტი, მბატვრული ინტუიცია, მშვენიერი გარეგნობა და სულის სიღრმემდე ჩამწვდომი მელოდიური ხმა. ამბობენ, უფრო სუსტი იყო მედეას როლშიო: დედმონური ენებების ასასვა ნაკლებ შეეფერებოდა მის ნაზ ბუნებას.

უფრო გვიან, როდესაც უკვე ლაიფციგის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, გამოჩენილი ავსტრიელი ტრაგიკოსის იოზეფ კაინცის გასტროლს დავესწარი: ფრანც მოორის როლს ასრულებდა. ჩემს გვერდით მჯდომარე უცხოელ სტუდენტებს ვუთხარი, ქუთაისში გვყავს მსახიობი, რომლის ფრანც მოორი ბევრად უფრო მომწონს-მეთქი. მათ გაოცებული თვალებით შემომხედეს: რა არი ქუთაისი და ვინ უნდა იყოს ვიღაც უცნობი ქართველი მსახიობი, რომ ვენის ბურგთეატრის პრემიერს შეედაროსო!

მესხიშვილი ყოველთვის დიდი მზრუნველობით ეპყრობოდა ახალგაზრდა მსახიობებს. ამისდამიუხედავად მისი დასის

ერთმა ნაწილმა ერთი ნიჭიერი, მაგრამ ინტრიგანი მსახიობის მეთაურობით, 1905 წელს მას საჯაროდ გააბრალებდა მოუწყო ქუთაისის თეატრის დარბაზში. ორი ბრალდება მახსოვს მის წინააღმდეგ წარდგენილი: ერთხელ წარმოდგენის დროს სცენარიუსს სილა გაარტყეო; მეორეჯერ მთელი დასი სამხეცის ცხოველებს შეგვადარაო.

მესხიშვილმა თავი საუცხოოდ გაიმართლა და მთელი ბრავალრიცხოვანი დამსწრე საზოგადოების ტაშისცემა გამოიწვია. ერთხელ ჰამლეტის როლს ვასრულებდი და მახსოვს ფარდის უკან დამალული პოლონიუსი მოკვალეო. როდესაც შემდეგ ფარდა გადავწიე, რათა მისი გვამი ავანსცენაზე გამომეთრია, აღმოჩნდა, რომ მიცვალებული გაცოცხლებულიყო და სადღაც არხეინად წასულიყოო. თავი ვეღარ შევიკავე, კულისებში გავვარდი და სცენარიუსს გავარტყიო. მეორეჯერ მთელი დასი თბილისში მყავდა საგასტროლოდ, წარმოდგენებს ხალხი ნაკლებად დაესწრო და ზარალი ვნახეთ. როდესაც დაღონებულნი სადგურში ვისხედით, რათა ქუთაისში დავბრუნებულიყავით, მოვიდა მსახური და დიდი ლანგარით ჩაი, მურაბა, კარაქი და ნამცხვარი მოგვართვაო. დიდად გაოცებულმა მსახიობებს ვკითხე, რომელმა თქვენთაგანმა დაუკვეთა ეს საუზმე-მეთქი. აღმოჩნდა, რომ არავის არ ჰქონდა დაკვეთილი. მსახურმა თქვა, ბატონებო, კნიაზებმა გამოგიგზავნეს, აი დარბაზის კუთხეში რომ ქეიფობენო. საუზმე უკან გავაბრუნეთ, სამხეცის ცხოველები ხომ არა ვართ, რომ მოუთხოვნელად საკვებს გვაწვდით-მეთქი.

ამის შემდეგ მესხიშვილმა საბედისწერო შეცდომა ჩაიდინა. მართებულად თუ უმართებულოდ მან წარმოიდგინა, რომ სამშობლოში ვერ დააფასეს და რუსეთში წავიდა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თბილისში დაბრუნდა საბოლოოდ. მას რუსთაველის პროსპექტზე შევხვდი: ოპერის თეატრის გასოსთან იდგა, ნაცნობებით გარემოცული. მეჩვენება, რომ ყოველი ქართველის დანახვა ახარებდა, და თუმცა არ მიცნობდა, მიახლოვებისთანავე გულთბილად ხელი ჩამომართვა ძველი მეგობარივით. ძალიან მოტეხილი იყო: ვერცხლისფერი თმა განაცრისფერებოდა, სახე დაპატარავებოდა; გვერდით ცოლი ედგა, ახალგაზრდა რუსის ქალი, რომლის კანის ფერი და ქერა

თმა კიდევ უფრო საგრძნობელს ხდიდა დიდი ქართველი მსახიობის ნაადრევ დაბერებას. სიმშობლოში დაბრუნების შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

10

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფები სულიერად მღვიძარე ქართველი მოწაფეებისა, დაკავშირებულნი ურთიერთ სიმპათიით, გონებრივი ინტერესებით და მეგობრობით. მათ არ აკმაყოფილებდა სასწავლებლის ოფიციალური პროგრამა, გადატვირთული საბუნებისმეტყველო და მათემატიკური საგნებით, მათ სურდათ უფრო ნათელი წარმოდგენა შეეძინათ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაზე, ამ მიზნით უფროსი კლასების მოწაფეებმა თვითგანვითარების წრეები დავაარსეთ და ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა დავიწყეთ ქართულ ენაზე.

ჯერ კიდევ პირველ თუ მეორე კლასში ვიმყოფებოდი, როდესაც ამხანაგების საუბრიდან გავიგე, რომ რუსეთში რაღაც ყოვლის უარმყოფელი მიმართულება არსებობდა ნიჰილიზმის სახელწოდებით. თავდაპირველად ჩვენ რუსულ ნიჰილიზმზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა, როგორც ერთგვარი უნივერსალური ამბოხების რელიგიაზე. პირველი ცოცხალი არსების გაცნობამ, რომელსაც ქუთაისში ნახევრად ირონიულად ნიჰილისტს უწოდებენ, სრულიადაც ხელი ვერ შეგვიწყო ამ ცნებაში გავრკვეულიყავით. ეს იყო წელშეხსნილი, ბზის ჯოხით შეიარაღებული ყოფილი სემინარიელი, ახლად მოვლენილი ქართველი დიოგენი, უცნაური გაერთიანება ზნეობრივი სიმტკიცისა და ფიზიკური უსუფთაობისა, ბაკუნინის სექტის ბუნტარისა და ლევ ტოლსტოის სექტის ვეგეტარიანელისა.

უფრო გვიან ტურგენევის რომანის „მამების და შვილების“ გმირის ბაზაროვის გაცნობამ და პისარევის და დობროლუბოვის კრიტიკული წერილების წაკითხვამ მეტი სინათლე შეიტანა ჩვენს წარმოდგენაში რუსულ ნიჰილიზმსა და რადიკალურ-დემოკრატიულ აზროვნებაზე. ბოლოს ჩვენი პოლიტიკური იდეოლოგიის გამორკვევაზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა

ქართულმა ჟურნალ-გაზეთობამ, რომელმაც განახლება განიცადა მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის მიჯნაზე. „კვალი“, „ივერია“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“ გაცხოველებულ პოლემიკას აწარმოებდნენ ურთიერთ შორის. ვერ ვიტყვი, ჩვენ გულმოდგინედ ვადევნებდით თვალყურს ქართულ პრესაში ატეხილ კამათს-მეთქი; ამ მხრივ რეალისტებს ქუთაისელი გიმნაზიელები, ხოლო განსაკუთრებით ქუთაისელი სემინარიელები გვჯობდნენ. მაგრამ მთელი ქართველი მოწინავე საზოგადოება ირაზმებოდა იმ ლიტერატურული და სოციალური საკითხების გარშემო, რომელნიც ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლებმა დასვეს, და ჩვენც ჰაერთან ერთად ვისუნთქავდით ახალ იდეებს.

არც იმის თქმა შემიძლია, ჩვენ უყოყმანოდ მივიღეთ მესამე დასის სარწმუნოების სიმბოლო-მეთქი. ჩვენს წინააღმდეგობას განსაკუთრებით ზოგიერთი მესამე დასელის გადაჭარბება იწვევდა, ზოგიერთი გულმოდგინე „მსოფლიო მოქალაქის“ გალამქრება სამშობლოს იდეის წინააღმდეგ. ჩვენ გვეუბნებოდნენ, მომავალ სრულყოფილ საზოგადოებაში ყოველი ეროვნული ზღუდე მოიშლება, ყველანი ერთ საერთაშორისო ენაზე ილაპარაკებენო. რასაკვირველია, ასეთი არ იყო მესამე დასის მეთაურების აზრი, ასეთ დასკვნას მათი გულფიცხი მიმდევრები აკეთებდნენ. განსაკუთრებით პროტესტი ჩვენს შორის ირაკლი წერეთელმა (ყვირილელმა) გამოიწვია, როდესაც მან 1903 წლის „კვალის“ შინაურ მიმოხილვაში განაცხადა, ჩვენ არც გაცვეთილი პატრიოტიზმი გვაკმაყოფილებს და არც სამშობლოსა და ქართულ ენაზე ყვირილი, ჩვენი იდეალი საკაცობრიო იდეალიაო; აწმყო გველივით გვეზიზღება, წარსული ჭირივით გვეჯავრება, ჩვენ ბრწყინვალე მომავლისკენ ვიცქირებითო.

როდესაც რეალურ სასწავლებელში ხელნაწერი ჟურნალი დავაარსეთ, მას „თანამედროვე“ ვუწოდეთ ცნობილი რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალის წაბაძულობით. თავდაპირველად ჩვენი პროტესტანტული სული არ სცილდებოდა ჩვენი სასწავლებლის გალავანს; ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, პედაგოგიურ შემადგენლობას და სასწავლო პროგრამას შევუტიეთ. მაგრამ ჩვენი ჟურნალის პირველ ნომერს ფრიდრიხ ში-

ლერის სურათი ამკობდა, დიმიტრი შევარდნაძის მიერ შესრულებული. ეს თითქო იმას მოწმობდა, რომ მზად ვიყავით კარლ მოორივით და ვილჰელმ ტელივით იარაღით გამოვსულიყავით მტარვალების წინააღმდეგ.

ჩვენმა ლიტერატურულმა დებიუტმა მტრული იერიშები გამოიწვია ქუთაისის ახალგაზრდობის პრესაში: გიმნაზიის ხელნაწერი ჟურნალის „სხივის" რეცენზეტმა პავლე საყვარელიძემ ჩვენს სტატიებს ძნელად მოსანელებელი აბდაუბდა უწოდა, ხოლო სამეურნეო სკოლის მოწაფემ „სატევარმა" (სილიბისტრო ინწკირველმა) მარქსიზმის პოზიციებიდან შემოგვიტია და კლასობრივი თვალსაზრისის უგულებელყოფა გვისაყვედურა. სხვათა შორის, ამ ვაკიჯვრელ „სატევართან" პირადი საუბრის დროს გავიგონე პირველად პლეხანოვის გვარი და შევიტყვე, რომ საზღვარგარეთ, ჟენევაში მთელი გამომცემლობა არსებობდა არალეგალური წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამოსაცემად. ცოტათი უფრო გვიან, აღარ მახსოვს ვისგან, წასაკითხად მივიღე გაზეთ „ისკრას" და ჟურნალ „ზარიას" ნომრები და ფერდინანდ ლასალის სიტყვები.

ნაწილობრივ, ცოტა არ იყოს ამ გახმაურებული კამათის, ხოლო ნაწილობრივ ვიღაც დამბეზღებელი მოწაფის წყალობით ჩვენი სკოლის ადმინისტრაციამ გაიგო, რომ მის ნებადაურთველად ჟურნალს ვცემდით და ერთი ნომერიც ჩაიგდო ხელში; ინსპექტორს ის ნიკო მაჭავარიანისათვის გადაეცა მისი შინაარსის გასაცნობად. თანამშრომლები ცოტა არ იყოს შევშფოთდით და ერთ ახალგაზრდა ნაცნობ იურისტს ვკითხეთ, რა სასჯელი გველოდა, თუ ჩვენი ფსევდონიმები და ინიციალები გამოაშკარავდებოდა. მან საქმეს დრამატული მიმართება მისცა და გვითხრა, არალეგალური ლიტერატურის შედგენისა და გავრცელებისათვის რამდენიმე წლის ციხეა დაწესებული, შეიძლება კატორღაც მოგისაჯონო. ცხადია, ჩვენი დაშინება უნდოდა. ჩვენ შეშფოთებასთან ერთად ერთგვარი სიამაყეც ვიგრძენით, რომ ჩვენს გამოსვლას შეიძლებოდა ასეთი საშინელი შედეგი მოჰყოლოდა. მაგრამ ადმინისტრაციამ უფრო სწორად შეაფასა ჩვენი უწყინარი ლიტერატურული ვარჯიშობა და დატყვევებული ჟურნალი დაგვიბრუნა. ამრიგად, ჩვენ ვაღავრჩით რუსი დეკაბრისტების და ნაროდოვოლცების ბედს,

რომელიც, ჩვენი წარმოდგენით, ორი-სამი გონება-ჩლუნგი მასწავლებლის დაცინვისათვის გველოდა.

თვითგანვითარების წრეებში თავდაპირველად ლეგალურ წიგნებს ვკითხულობდით სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის, ისტორიის დარგიდან, არალეგალურ ლიტერატურაზე უფრო გვიან გადავედით, როდესაც გლეხთა მოძრაობამ დასავლეთ საქართველოში საკმაოდ ფართო გაქანება მიიღო, ხოლო თბილისსა და ბათუმში მუშათა გაფიცვები და დემონსტრაციები დაიწყო.

ორ წრეს მე ვხელმძღვანელობდი. იმ დროს კერძო გაკვეთილებსაც ვაძლევდი, რათა ცხოვრების სახსარი გამეჩინა მამაჩემის სიკვდილის შემდეგ. ჩემთვის ადვილი არ იყო დამღლელი სავალდებულო მუშაობის შემდეგ ზამთრის ბნელ ღამეებში ტალახიანი ქუჩები გამევლო, რათა ქალაქის გარეუბნის ცივ ოთახში ლამპის შუქზე ამხანაგებთან ერთად სამი თავი წამეკითხა პოლიტიკური ეკონომიის კურსიდან ან საფრანგეთის რევოლუციების ისტორიიდან და შემდეგ მათთან ერთად შუაღამემდე წაკითხულის გამო მემსჯელა. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ეს არ იყო მარტოოდენ უანგარო წვა მეცნიერებისათვის. რასაკვირველია, მე ვგრძნობდი იმ კმაყოფილებას, რომელსაც გონებრივი მუშაობა ჩვეულებრივ ნაყოფიანი ცხოვრებით გაუცვეთელ ადამიანს ანიჭებს. მაგრამ დღეს ვფიქრობ, რომ მართალია პროფესორ მერიმე, რომელიც სადღაც ამბობს, მამაკაცი თავის მოქმედებაში შეგნებულად ან შეუგნებლად ყოველთვის იმით ხელმძღვანელობს, რომ ქალს მოაწონოს თავიო. ამას ზედ ერთვის პატივმოყვარეობის გრძნობა, განსაკუთრებით ძლიერი სიჭაბუკის ასაკში. ჩვენს წრეებთან უშუალოდ ან მეშვეობით ჩვენი ასაკის ქალიშვილები იყვნენ დაკავშირებული წმინდა ნინოს სასწავლებლიდან. ჩვენ ურთიერთობა გვქონდა აგრეთვე ვაჟთა გიმნაზიის და სამეურნეო სკოლის მოწაფეებთან; და მართებულად თუ უმართებულოდ ვფიქრობდი, რომ მათს საზოგადოებაში სახელის მოსახვეჭად სენ-სიმონის და ფურიეს უტოპიური სოციალური პროექტების ან დავით რიკარდოს და კარლ მარქსის ღირებულების თეორიის ცოდნა ისეთივე უტყუარ საშუალებას წარმოადგენდა, როგორც შუა საუკუნეების რაინდისთვის ასპარეზობა და ბრძოლის ველ-

ზე მშვილდისრის ხმარება იყო. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ჩემი მეგობრების გონების და გულის დაპყრობის საქმეში, ვერც ჰუმანიტარული მეცნიერების დარგში საგრძნობელ წარმატებას ვერ მივაღწიე, მხოლოდ უზომოდ დავიღალე და შემდეგ ხანგრძლიეი დასვენება დამჭირდა, რათა ჩემი ფიზიკური და სულიერი ძალები აღმედგინა.

ქუთაისის სასწავლებლის მოწაფეები ორჯერ შევიკრიბეთ უფრო ფართო კონფერენციაზე; პირველი 1902 წელს შედგა, ბას ბათუმელი გიმნაზიელების დელეგაციაც დაესწრო ცნობილი მესამე დასელის ისიდორე რამიშვილის ძმისწულის ვანო რამიშვილის მეთაურობით. ბათუმელებმა ჩამოიტანეს თავიანთი ხელნაწერი რუსული ჟურნალი, რომელშიც ისინი თავისებურად გაგებული მარქსიზმის და ინტერნაციონალიზმის იდეებს იცავდნენ. მე მინდოდა მათ შევდარებოდი ქართული ეროვნული კულტურის პოზიციებიდან, მაგრამ დავმარცხდი, ვინაიდან მათ ძლიერი მოკავშირე აღმოაჩნდათ, სახელდობრ — ეპოქის სული.

მეორეჯერ ქუთაისის მოწაფეები 1903 წელს შევიკრიბენით რომელიღაც კონსპირაციულ ბინაზე, რომელიც, მგონია, მესხეთის ქუჩაზე მდებარეობდა. გაზაფხული იდგა: ახლად აყვავებული ნუშის და ალუბლის ხეების სურნელება პოეტურ ატმოსფეროს ჰქმნიდა ჩვენი დისკუსიების გარშემო. ბევრი აღარაფერი მახსოვს ჩვენი კამათის შინაარსიდან. მახსოვს, რომ ყველანი მზად ვიყავით საუკუნო ერთგულება შეგვფიცა ყველა დროის რევოლუციების ანდერძისა და მარქსის და ენგელსის აჩრდილებისთვის. ამ კრებაზე პირველად შევხვდი ლეო ქიაჩელს, რომელიც იმ დროს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა. კრებაზე ცოტა დაგვიანებით მოვიდა. მას მოჰყვა მშვენიერი გიმნაზიელი ქალი ვარო ხოჯაშვილი, რომლის შავგვრემენი სახე და ანთებული თვალები მის თეთრ კანსა და თაფლისფერი თვალების წყნარ გამოხედვასთან საუცხოო კონტრასტს ჰქმნიდა. ლეო ქიაჩელი კამათში მონაწილეობას არ ღებულობდა, მხოლოდ სათველიდან დიდი ყურადღებით აკვირდებოდა დამსწრეებს.

როდესაც 1903 წელს რეალური სასწავლებლის ექვსი კლასის დასრულების შემდეგ სოფელში დავბრუნდი, ნათლად და-

ვინახე რა ღრმა ცვლილება მომხდარიყო სულ მცირე ხნის განმავლობაში გურიის გლეხკაცობის სულიერ განწყობილებაში. მესამე დასის პროპაგანდისტები მთელ გურიას მოსდებოდნენ „გამოსულიყო მთესვარი თესვად და თესლი დავარდნილიყო ქვეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა რომელიმე ასსა, რომელიმე სამოცსა, რომელიმე ოცდაათსა“.

მეზობელი სოფლიდან ერთი გლეხი მესტუმრა; აღტაცებით მელაპარაკა ღამის მიტინგზე, რომელსაც ის დასწრებოდა. ჩვენს მქადაგებელს ანგელოზივით წკრიალა ხმა ჰქონდა, ღამის სიბნელეში ვერც კი გავარჩიე, რა სქესისა იყო, მიტინგის შემდეგ მივუახლოვდი, მოკრძალებით მის ნაზ ხელებს შევეხე და ვკითხე, ქალი ხარ თუ ვაჟი-მეთქი, პასუხი არ გამცაო.

მეც დავესწარი ორ ფარულ კრებას: ერთს — დღისით ბახმაროზე, ნაძვნარით გარემოცულ ველზე, სადაც ორატორმა, ყოფილმა სემინარიელმა ჩემზე უფერული შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მან დიდი აღფრთოვანება გამოიწვია ერთ ახალგაზრდა მასწავლებელში, რომელმაც ღონივრად ფეხი ჰკრა დამპალ, თითქმის სრულიად გამოფიტულ ჯირკვს და წამოიძახა, ასე უნდა დაინგრას ძველი ქვეყანაო.

მეორე მიტინგი ღამით შედგა ჩვენი მახლობელი სოფლის განაპირას. საუცხოო სამიტინგო ორატორი გამოვიდა. ყოველი მისი სიტყვა გასაგები იყო გლეხებისაგან შემდგარი აუდიტორიისათვის. უბრალო, კონკრეტული საგნებიდან დაიწყო, კაპიკიანი ასანთის კოლოფიდან, სარეცხი საპნიდან, საპერანგე ნარმიდან. გამოარკვია, როგორ გაიაფდებოდა ეს მასობრივი მოსახმარი საქონელი თვითმპყრობელობის დამხობისთანავე, როდესაც ბაჟი და არაპირდაპირი გადასახადი მოისპობოდა. შემდეგ განსაკუთრებულად მჭევრმეტყველად და შთაგონებულად მიწის საკითხზე ილაპარაკა. საქმის ვითარება ისე დასახა, თითქო არათუ გლეხკაცობა, თვით თავადაზნაურობაც კი კმაყოფილი დარჩებოდა, თუ მემამულეს ზედმეტი მიწა ჩამოეჭრებოდა. ბოლოს, ზოგად ხაზებში, იმ ბედნიერი ცხოვრების სურათი დახატა, რომელიც კაცობრიობას მომავალ სოციალისტურ წესწყობილებაში მოელოდა, საკმაოდ შორეულში. მისი

სიტყვებით. გლეხები მას დიდი სასოებით შესცქეროდნენ, ღამის უღელში შებმულ ხარების ანთებული თვალებით.

ამის შემდეგ დიდხანს აღარ დავრჩენილვარ გურიაში. თავის თავს საკმაოდ მომზადებულად ვთვლიდი უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ის მირჩევდა პოლიტექნიკუმში შევსულიყავი, რათა ინჟინერი გავმხდარიყავი. მე ეს პროფესია არ მომწონდა. მათემატიკურ საგნებში სუსტი ვიყავი, ჩემთვის ცხადი იყო, რომ გამიჭირდებოდა პოლიტექნიკუმში მისაღები გამოცდების დაჭერა. თავი და თავი კი ის იყო, რომ ვოცნებობდი პუბლიცისტი და საზოგადოებრივი მოღვაწე გავმხდარიყავი. მამაჩემი ცოცხალი აღარ იყო და ხელს არავინ მიშლიდა მომავალი სარბიელი ჩემი მიდრეკილების მიხედვით ამერჩია. გადავწყვიტე გერმანიაში წავსულიყავი უმაღლესი განათლების მისაღებად. ახლა მაოცებს, როგორ ადვილად მივიღე ეს გადაწყვეტილება. ფული არ მქონდა: დიდი გაჭირვებით რაღაც ოთხასიოდე მანეთს მოვუყარე თავი; ამ თანხით უნდა შემეძინა ტანისამოსი და დამეფარა საგზაო ხარჯები, სწავლის ფული შემეტანა უნივერსიტეტში. დამრჩებოდა თუ არა კიდევ იმდენი, რომ ერთი წელიწადი მაინც მეცხოვრა უცხო ქვეყანაში, უცნობ ხალხში, რომლის ენას ძალიან სუსტად ვიცნობდი? ამაზე არ ვფიქრობდი.

როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა დათიკო შარაშიძემ, რომელთანაც ერთად მივემგზავრებოდი უცხოეთში, ევროპული ტანისამოსი ჩავიცვათ, გადავწყვიტეთ, რომ უკვე დაწინაურებული ქვეყნის მოქალაქეები ვიყავით და, ცოტა არ იყოს, სიბრალულით დავუწყეთ ცქერა ჩვენს ყოფილ ამხანაგებს, რომელნიც ახლა პროვინციელებად გვეჩვენებოდნენ თავიანთი ბლუზებით და წინაფრიანი ქუდებით.

ჩემი მეზობელი კოპელი გლეხი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მან ჩვენი ეზოს ჭიშკრამდე გამაცილა. იქ დაღლილობა იგრძნო და ქვაზე ჩამოჯდა. სევდიანი თვალებით შემომხედა და მითხრა, მე ნუღარ მიცდი, უნდა დავისვენო, დილიჟანსზე არ დაგაგვიანდესო; შენს უკან დაბრუნებამდე, ალბათ, ვეღარ ვიცოცხლებ, და თუ ჩემი ჯარგვალი ცარიელი დაგხვდეს, ჩემი საფლავი ინახულე და აწირვინეო.

მივდიოდი და ჩვენი სოფელი თითქო დაცარიელებული

მეჩვენებოდა. და ის ბარბარეც ძალიან შეცვლილი იყო ჩემი ხნიერი მეგობრებიდან ზოგიერთი უკვე გარდაცვლილიყო, ახალგაზრდობას კი ქალაქებისათვის ნიეშტრა სამუშაოს ძებნაში. ეზოებსა და ყანებში იშვიათად გაისმოდა სიმღერა და კოხტად ტანთჩაცმული და თავწაკრული ქალების კისკისი, ჰაერი თითქო შეხუთული იყო ქარიშხლის მოლოდინში.

11

ჩემი დროის ქართველ ახალგაზრდობაში გერმანიის კულტურის პრესტიჟი ისევე ძლიერი იყო, როგორც ნიკო ნიკოლაძის და სერგეი მესხის თაობის ახალგაზრდობაში საფრანგეთის პრესტიჟი იყო. ჩვენი წინა თაობის ქართველ ინტელიგენტებს განსაკუთრებით სოციალური საკითხები აინტერესებდათ. „ამ ქვეყნად სამოთხის გაწყობის საკითხი“, ნ. ნიკოლაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, გასაკვირველი არ იყო, რომ ისინი ევროპული დემოკრატიის მექისაკენ — პარიზისკენ მიისწრაფოდნენ. ისინი მუშათა გარეუბნებში ივლისის და თებერვლის ბარიკადების რელიკვიებს ეძებდნენ, პერ ლაშეზის სასაფლაოს კედლებზე კომუნარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ. ხოლო პანთეონში ვოლტერის და რუსოს სარკოფაგების წინ იჩოქებდნენ.

ჩემი თაობის ახალგაზრდობას ფრანგი გამანათლებლები და ენციკლოპედისტები, რომლებზედაც მას ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, ძველი ღმერთების პატრიარქებად მიაჩნდა. ხოლო საფრანგეთის რევოლუციები და პარიზის კომუნა უბრალო შესავალად დიდი ბრძოლისა სოციალური გადატრიალებისა, რომლის წინასწარმეტყველები გერმანელები — მარქსი და ენგელსი იყვნენ. „კაპიტალმა“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ ჩვენს შეგნებაში ყველა სახარება შასცვალა ოთხთავიდან დაწყებული „მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციამდე“.

ჩვენი წინამორბედები უფრო პოზიტივისტურად აზროვნებდნენ და უფრო მეტად ზუსტ მეცნიერებას იყვნენ დაწაფებული. ჩვენ ნელ-ნელა უფრო ფილოსოფიისაკენ გადავიხარეთ და ეთიკური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური, თვით მე-

ტაფიზიკური პრობლემები გვქონჯნიდა. თუმცა ფილოსოფიი-
სა ბევრი არაფერი გაგვეგებოდა, მაგრამ მართებულად თუ
უმართებულოდ გვეგონა, რომ კანტი, ჰეგელი და შოპენჰაუე-
ი უფრო ღრმა და ორიგინალური მოაზროვნეები იყვნენ,
ვიდრე რუსო, დიდრო და ვოლტერი. ბოლოს ჩვენს მიდრეკი-
ლებას აძლიერებდა ის პოეტური წარმოდგენა ბურუსიან გერ-
მანიაზე, რომელიც „ნიბელუნგების სიმღერისა", გოეთეს, ში-
ლერის, ჰაინეს ლექსებისა, ჰოფმანის მოთხრობების მიხედვით
გექონდა შედგენილი. მე პირადად მოწაფეობის დროს ბახმა-
როზე, „გურიელის საციეს" ზემოთ, ტყეში შპილჰაგენის რო-
მანი წავიკითხე, სადაც ლასალის სიჭაბუკე იყო აწერილი, და
მთელი გერმანელი ახალგაზრდობა ლეოსა და სილვიას სახით
მქონდა წარმოდგენილი.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას: რაღაც გონებრივი აბერა-
ციის ზეგავლენით ადამიანს ფიზიკურად გამარჯვებული ზნეო-
ბრივად და სულიერადაც უფრო ძლიერი ჰგონია. 1870 წელს
გერმანიამ პრუსიის მეთაურობით საფრანგეთი სასტიკად დაა-
მარცხა: პუბლიცისტები, ისტორიკოსები, პოლიტიკური მოაზ-
როვნეები ამას ხსნიდნენ არა მარტო იმით, რომ გერმანიამ ამ
ომში უკეთესად გაწვრთნილი ჯარი, უფრო ნიჭიერი სარდლე-
ბი გამოიყენა, არამედ იმითაც, რომ მას უკეთესი სოფლის
მასწავლებლები ჰყავდაო; ჩვენ ეს შეურყვნელად გვჯე-
როდა.

როდესაც რეალურ სასწავლებელში მივედი ატესტატის და
პირადი საბუთების მისაღებად, დირექტორმა მირჩია, გერ-
მანიაში ნუ მიდიხარ, იქ უმაღლეს სასწავლებელში ვიწრო
სპეციალურ განათლებას იძლევიან, ეს შენს სამშობლოში არ
გამოგადგებაო; მის რჩევას უნდობლად შევხედე.

მანამდე მე ქუთაისს არ გავცილებოდი; ჩემი თანამგზავრი
ამხანაგი, რომელიც ოდესაში იყო ნამყოფი, თითქმის ვასკო დე
გამად მეჩვენებოდა. მაგრამ აღმოსავლეთი საქართველო არც
მას ჰქონდა ნახული. ქართლის პეიზაჟმა ჩვენზე უღრმესი შთა-
ბეჭდილება მოახდინა. ეს შემოდგომის შეყვითლებული ბალა-
ხით დაფარული ტერასები, ეს ღრმად დანაოჭებული ფერდო-
ბები სრულიად არ ჰგავდნენ გურიის და იმერეთის რბილად
მოხაზულ იისფერ მთებს. ლიახვის, არაგვის, ქსნის სახელები

მშობლიურად გვეჩვენებოდნენ, ისევე ნაცნობად, როგორც ბახვის-წყლის და გუბაზოულის სახელები.

გორის სადგურზე ჩამოვედით და ლურჯი მახობლის პური ვიყიდეთ: მე გავიფიქრე ოლიმპის ღმერთები, ალბათ, ასეთი ‘ოთებით იკვებებოდნენ-მეთქი. ლიანდაგზე მზით გარუჯული, პირგაპარსული ქართველი გლეხები მუშაობდნენ. მე ერთ მათგანს შევეკითხე, შორს არი თუ არა თბილისი-მეთქი. ზანტად შემომხედა, მაგრამ პასუხის ღირსად არ გამხადა. მის თვალში, ალბათ, მე ვგავდი უიმედოდ ჩამორჩენილ პროვინციელს.

თბილისს გარკვეული ეროვნული სახე არ ჰქონდა და ნაკლებ მიმზიდველ სანახაობას წარმოადგენდა ახალგაზრდა ქართველი პატრიოტისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბნებში ქართველობა უფრო დროებით შემოხიზნულს ჰგავდა, ვიდრე თბილისის მკვიდრ მოსახლეობას; მას უფრო მოუწყობელი ღარიბი გარეუბნები ეჭირა — მთაწმინდა, ვერა, დიდუბე, ნაძალადევი. ქალაქის მთავარ ქუჩებს არ ახალისებდა ის მწვანე ხეივნები და გაზონები, რომელნიც დღეს მათ საუკეთესო სამკაულს წარმოადგენენ. ეს იყო მტვრიანი, წყურვილისაგან სულთმობრძავი ქალაქი. ვერც ერთ თვალსაჩინო მაღაზიაზე ან რესტორანზე ქართულ აბრას ვერ დაინახავდით, ვერც ერთ ქუჩაზე ან მოედანზე ქართულ წარწერას ვერ წაიკითხავდით. არც ერთ დიდ წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნები არ მოიპოვებოდა; ზაქარია ჭიჭინაძის და ქართველთა ამხანაგობის გამოცემები ბუკისტების კარადებში და თაროებზე უნდა გეძებნათ.

სომხის ბურჟუაზია შეუზღუდველად ბატონობდა ბანკებში და თვითმმართველობაში. აქ მის დიქტატურას მხოლოდ რუსების ბიუროკრატია, პოლიცია და მხედრობა ზღუდავდა. ორიოდე ქართველ სოვდაგარს და მრეწველს თავისი გვარი რუსულად გადაეკეთებინა სოლომონ მეჯღანუაშვილივით, და სარაჯევის, ზუმბალოვის და ძეგველოვის გვარებიც ისევე უცხოდ გაისმოდა, როგორც მანთაშევისა, მილოვისა, აფრიკიანისა და არამიანცისა.

ქართველ ინტელიგენციას თავი შეეფარებინა ქართულ გიმნაზიასა, ქართულ თეატრსა და გაზეთების რედაქციებში. უნდა ითქვას, რომ ამ ინტელიგენციის გავლენა უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მის რიცხვს შეეფერებოდა. ეს აიხსნებოდა,

ერთი მხრით, მისი ნიჭით, მისი აქტივობით, ხოლო, მეორე მხრით, ქართული კულტურის ტრადიციებით და მიმზიდველი ძალით. თვით რუსულ გაზეთებს, რომელთაც სომეხი კაპიტალისტები სცემდნენ, უმთავრესად ქართველი ჟურნალისტები ხელმძღვანელობდნენ. ქართული კულტურის პრესტიჟი ძლიერი იყო ქალაქის ინტერნაციონალურ-დემოკრატიულ მოსახლეობაში, რომელიც, უმეტეს ნაწილად, ქართულად ლაპარაკობდა.

რკინიგზის სახელოსნოში, უმთავრესად, ქართველი მუშები მუშაობდნენ, მათ ძალით დაეპყროთ ნაძალადევის მიწები და იქ თავიანთი ქოხები აეშენებინათ. ძველი რომის სენატორებს, უმძაფრესი კლასობრივი ბრძოლების დროს, პლებსი ისე არ აშინებდა, როგორც სოლოლაკის ბანკირებს და სოვდაგრებს იმერეთიდან და ქართლ-კახეთიდან შემოჭრილი, გაპროლეტარებული გლეხები აშინებდნენ.

ილია ჭავჭავაძეს სომხის პლუტოკრატიის ციხე-სიმაგრე შეენგრია და ქართული ბანკი და თეატრი დაეარსებინა სოლოლაკებში: ეს ბანკი ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე იყო მოთავსებული, ხოლო თეატრი — იქ, სადაც ამჟამად რუსული დრამატული თეატრია. ქართული თეატრის შენობაში მე დავესწარი ერთ დიდ კრებას, სადაც ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, აღარ მახსოვს რა საკითხში, ძალიან კარგი ორატორი კიტა აბაშიძე გამოვიდა. ილია ჭავჭავაძემ პასუხი გასცა დაუყოვნებლივ. მისმა ჯმუხმა ფიგურამ, მისმა ჭკვიანმა ფართო შუბლმა, მისმა ყოველივე რიტორიკულ სამკაულს მოკლებულმა სიტყვამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

თბილისი ძალიან კოლორიტიანი ქალაქი იყო, მაგრამ მას აკლდა მთლიანობა; როდესაც ერთი უბნიდან მეორეში გადადიოდით, გეგონებოდათ სხვა ეპოქაში, სხვა მსოფლიოში გადავედიო. მთავარ პროსპექტზე შუადღისას შეხვდებოდით ეტლით მოსეირნე მანდილოსნებს, რომელთაც გულმკერდი და თითები ოქროს და თვალმარგალიტის სამკაულით ჰქონდათ დაფარული. მათ გვერდით უსხდნენ მოკლეფეხებიანი და კოტიტათითებიანი მამაკაცები, რომელნიც აქეთ-იქით თავიანთ მრგვალ ონავრულ თვალებს აცეცებდნენ. აქლემების ქარავნე-

ბი, მაწვნის ქილებით დატვირთული ვირები, თევზისა და ხილის გამყიდველები, რომელთაც თავზე თაბახები ედგათ, გასაოცარ კონტრასტს ჰქმნიდნენ ევროპული სახლებისა და მაღაზიების გვერდით.

თბილისიდან გასვლისთანავე, ორიოდე სადგურის შემდეგ უკვე იგრძნობოდა ის ღრმა კონტრასტი, რომელიც საქართველოს სთიშავდა იმჟამად მეტისმეტად ჩამორჩენილი აზერბაიჯანისაგან. ვაგონებში შემოდიოდნენ ცხვრის ტყაპუჭებიანი და ყალმუხის ქუდებიანი მწყემსები. ისინი მეტისმეტად მქისე სუნს აყენებდნენ გარშემო. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიელებს, ჩაჩნებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს და სხვებს, ისინი ნაკლებად მოგზაურობდნენ რკინიგზით. მაგრამ გარეგნობით, სახის იერით, ჩაცმულობით ძნელად გასარჩევი იყვნენ ქართველებისაგან.

სამხრეთ რუსეთის ტრამალები, შორიშორ მდებარე ღარიბი სოფლები ტალახიანი ქუჩებით და მინგრეულ-მონგრეული ქოხებით. ერთფეროვანი დაბები, სლობოდკები და ქალაქები მეტისმეტად მოსაწყენ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. არაყის სმას რუსეთში თვით მეფის მთავრობა უწყობდა ხელს, ვინაიდან სპირტის გამოხდა მის მონოპოლიას წარმოადგენდა; ეს მონოპოლია დიდ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს.

უკრაინის ბუნებამ და ხალხმა ისევ ჩვენი სამშობლო მოგვაგონა. პოლტავაში რამდენიმე საათით გაჩერება მოგვიხდა, ეს დრო ქალაქის დასათვალიერებლად გამოვიყენეთ. ქალაქის ბულვარში ერთ უკრაინელ ინტელიგენტს შევხვდით. ჩემმა მეგობარმა მას საუბარი დაუწყო უკრაინის წარსულზე, ბოგდან ხმელნიცკიზე. ჩვენი მოსაუბრე გულმხურვალე პატრიოტი აღმოჩნდა. უკრაინის ავტონომიის მომხრე. მანამდე მე არ მეგონა, თუ უკრაინული ნაციონალიზმი არსებობდა და თუ საზოგადოდ „მალოროსი“ არსებითად განსხვავდებოდა „ველიკოროსისაგან“.

თუ რუსეთიდან უკრაინაში მოგზაური ისე გადავიდოდა, რომ შესამჩნევი კულტურული ზღუდის არსებობას ვერ იგრძნობდა, პოლონეთი იმდროინდელი რუსეთის იმპერიიდან მკვეთრად იყო გამოთიშული.

პირველ იმპერიალისტურ ომამდე მე რამდენჯერმე გადა-

მისერავს რუსეთის პოლონეთი, პოზნანი, რომელიც გერმანიის იმპერიაში შედიოდა, აგრეთვე ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალი გალიცია, და ყოველთვის მიგრძნია, რა ძლიერი იყო ამ სამად გაყოფილ პოლონელ ერში, განსაკუთრებით მის ინტელიგენციაში, ანტირუსული და ანტიგერმანული სულიერი განწყობილება. თუ უცხოელი მოგზაური პოლონურად ან ფრანგულად არ ლაპარაკობდა, მას ვარშავაში გაუჭირდებოდა უექსტიკულაციოდ გზის გაგნება ან საკონდიტროში ერთი ჭიქა ყავის დალევა. ფრანგული სიმპათიები ჩანდა არა მარტო პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ ყოფა-ცხოვრებაშიაც და, მაგალითად, ქალის კულტი ისევე ძლიერი იყო ვარშავის მარშალკოვსკაზე, როგორც პარიზის ელისეს მინდვრებზე. რაღაც განსაკუთრებული მოკრძალება, თვით პირფერობა მეღავნდებოდა პოლონელი მამაკაცის მიმართვაში პოლონელი პანასადმი, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მხრივ ცდილობდა უნაკლულოდ განეხორციელებინა იდეალი, რომლის მიხედვით ქალი ერთნაირად მომხიბლავი უნდა ყოფილიყო როგორც დარბაზში, პოლკის და მაზურკის ცეკვის დროს, ისე ეკლესიაში, ლოცვანის კითხვისა და მეტანიის დროს. ამავე დროს ჩანდა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე პატრიოტულად მოაზროვნე ქალი იყო დედამიწის ზურგზე და მას შეეძლო საღათას ძილიდან გამოეყვანა სისხლდაცლილი ერი, რომელმაც სამოციოდი წლის განმავლობაში სამი აჯანყება მოახდინა და სამივეჯერ საშინლად დამარცხდა. ამ ძველი ტიპის ქალის გვერდით, პოლონეთის სამთამადნო და საფეიქრო მრეწველობის სწრაფი განვითარების წყალობით, გამოსულიყო ახალი ტიპის ქალი, რომელიც უფრო ფაბრიკაში, სახელოსნოში და ბარიკადებზე გამოდგებოდა, ვიდრე სამლოცველოში და სალონში.

1863 წლის აჯანყების შემდეგ რუსეთის იმპერიის მთავრობამ თვით პოლონეთის გეოგრაფიული სახელწოდების მოსპობა გადაწყვიტა და მას ვისლის სანაპიროების მხარე დაარქვა. ეს მხარე სავსე იყო ებრაელებით, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ იმპერიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ გუბერნიებში ეცხოვრათ, ეგრეთწოდებული ბინადრობის მიჯნის გარეთ. პოლონეთის ძველმა სამეფომ სტუმართმოყვარედ მიიღო ესპანეთიდან, ჰოლანდიიდან და გერმანიიდან ლტოლვილი ებ-

რაელები, აქ მათ მეორე საბშობლო იპოვეს. და ზოგიერთ პოლონურ ქალაქში ებრაელობა მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენდა. ვარშავაში ერთ სტუდენტს გაეცანი, ისიც გერმანიაში მიემგზავრებოდა. რუსულად პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა. მან განაცხადა, პოლონელი ვარ, გვარად ლეიტესიო. მის გვერდით მჯდომ რუს მოხელეს გაეცინა, ეს ხომ ებრაული გვარია, თქვენ ტიპზეც აშკარად გეტყობათ, რომ პირწავარდნილი სემიტი ხართო. — არა, უპასუხა სტუდენტმა ღირსეულად, მე პოლონელი ვარ, მხოლოდ მოსეს რჯულის აღმსარებელი.

რუსეთის რკინიგზა უფრო ფართოლიანდაგიანი იყო, ვიდრე დასავლეთი ევროპის რკინიგზა. ჩვენ რუსეთის მოსაზღვრე სადგურ ალექსანდროვოში იძულებული გავხდით ცხენებშებმულ ფორანში ჩავმსხდარიყავით, რათა ორი-სამი კილომეტრი გაგვეველო გერმანიის სადგურ ტორნამდე. ტორნი გერმანულად კარიბჭეს ნიშნავს. ამ კარიბჭეში ჰოჰენცოლერნების იმპერიას გოლიათი შუცმანები დაეყენებია, თითქო საგანგებოდ შერჩეულნი, რომ მსურველები დაეშინებიათ და მათთვის სათანადო მოკრძალება ჩაეგონებიათ. ამ ზეგუშაგების უმოძრაო ნიღბებზე არავითარი ადამიანური გრძნობა არ იხატებოდა, გარდა უსაზღვრო ქედმაღლობისა. ადვილი წარმოსადგენია, რა შთაბეჭდილებას ვახდენდით მათზე მე და ჩემი ამხანაგი. ოქტომბრის ბოლო რიცხვები იდგა და საშინლად ციოდა. მე პალტო არ მეცვა და თხელი საზაფხულო პიჯაკის საყელო აწეული მქონდა; ჩემს ამხანაგს ალექსანდრე ჭყონიას მიერ ნაჩუქარი ჩალისფერი პალტო კოჭებამდე სწვდებოდა. ჩვენი ხის ყუთები დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდნენ კარგად ჩაცმული გერმანელი მგზავრისათვის და სასოწარკვეთილებას იწვევდნენ ბარგის მზიდავებსა და კონდუქტორებში.

ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე იმდროინდელ საქართველოსა და გერმანიას შორის არსებობდა. პირველი, რაც თვალში მეცა, იყო ამ ქვეყნის ინდუსტრიის ჩქარი ტემპი და გაქანება.

როდესაც მგზავრი ჩქარი მატარებლით შემოდგომის საღამოს ბერლინს უახლოვდებოდა და შორიდან მის ნისლიან ცას ხედავდა, გავარვარებული ლითონის ფერს, როდესაც ის მარჯვნივ და მარცხნივ დაუსრულებელი ლიანდაგების ქსელს უც-

ქეროდა, გაოცებული ეკითხებოდა თავის თავს, რა გონებამ მოაწესრიგა ამ ურიცხვი მატარებლის მოძრაობა ასე რაციონალურად, რომ არც მათი დაჯახება ხდება და არც მათი დაგვიანებაო.

ბერლინი თითქო ცურავდა ელექტრონის ტალღებში. ფერადი აბრების ლივლივი, რომელიც მუშტრის ყურადღების მოსაზიდად იყო განზრახული, თვალს ღლიდა და ადამინებსა და საგნებს რაღაც ფანტასტიკურ მოჩვენებებს ამსგავსებდა, ადამიანი თავისთავს დაპატარავებულად გრძნობდა, ფასდაკლებულად, გზადაკარგულად ათასი ხილული და უხილავი მანქანით ახმაურებულ ამ უზარმაზარ ქვის ლაბირინტებში. სიამოვნებას დახარბებული ქალ-ვაჟი ყავახანებსა და რესტორნებს ავსებდნენ, სადაც დიდძალი ყავა, ლუდი და ძეხვი ინთქებოდა. ყოველი წესიერი ბიურგერი თავის თავს ვალდებულად სთვლიდა საღამოს ორიოდე საათი თავისი უბნის ლუდხანაში გაეტარებინა მეზობლების ან მეგობრების წრეში, მაგრამ აქ მოწყენილობა ისევე მძიმედ იყო ჩამოწოლილი, როგორც სიგარების ბოლი. მაღაზიები სავსე იყო საქონლით, მაგრამ ყველგან იგრძნობოდა, რომ ბაზარი ვიწრო იყო და სამრეწველო პროდუქტების გასაღება ძნელდებოდა.

ბერლინს რამდენიმე უზარმაზარი მრავალსართულიანი უნივერსალური მაღაზია ჰქონდა, მათში გამოფენილი საქონელი მთელი მოზრდილი ქალაქის მოსახლეობას დააკმაყოფილებდა. აქ ყველაფერს იპოვნიდით უკანასკნელ მოდაზე შეკერილი ტანისამოსიდან დაწყებული რაიმე ანტიკვარულ ნივთამდე, ავტომობილიდან დაწყებული რენესანსის სტილის ავეჯამდე. კარებთან ქუჩებში კი გამხდარი, ფერმკრთალი გოგონები იდგნენ და სიცივისაგან აკანკალებული ხელებით ათფენინგიან სანთლის ასანთებს ჰყიდდნენ. ისინი ბედნიერი იქნებოდნენ, თუ თავიანთ ასანთებში გულმოწყალე მუშტრისგან ორმაგ ფასს მიიღებდნენ; ხელის გაწვდა მოწყალების მისაღებად სამარცხვინოდ ითვლებოდა და მე გერმანიაში არსად არ შემხვედრია მათხოვარი: ყოველი თემი ვალდებული იყო თავის ღარიბებზე ეზრუნა.

დასავლეთ ევროპული ერები თავიანთ თავს ძველი ბერძნების და რომაელების მემკვიდრეებად სთვლიან და ეს პრე-

ტენზია არაა უსაფუძვლო. კლასიკური ტრადიციის სიძლიერე ყველგან იგრძნობა დასავლეთ ევროპაში: იურიდიულ შემეცნებაშიც და მორალშიც, ფილოსოფიურ აზროვნებაშიც, მხატვრულ ლიტერატურაშიც და პლასტიკურ ხელოვნებაშიც, მაგრამ რაც უფრო ჩრდილოეთით ცხოვრობს ევროპელი ერი და რაც უფრო დაშორებულია ის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროების ბედნიერ ცას, მით უფრო ძნელია მისთვის იმ ჰეშმარიტი მონუმენტურობის, უბრალოების და ჰარმონიულობის მიღწევა, რომელნიც ანტიკური ერების კულტურას ახასიათებდნენ. როგორც პრუსიის სატახტო ქალაქში, ისე სხვაგან ნათლად იგრძნობოდა, რომ გოთური სტილის ტაძრები და სასახლეები უფრო შეეფერებოდა ამ ნისლიანი და წვიმიანი ქვეყნის მცხოვრებთა ხასიათს, ვიდრე ლათინური წარწერებით შემკული პროპილეები, ღია არკადები, ცირკები, კარიბჭეები, გიმნაზიების და აკადემიების შენობები. რაც შეეხება გამარჯვების ხეივნის ქანდაკებათ იმდროინდელი ბერლინის ტირგარტენში, ისინიც ისევე ჰგავდნენ რომის ფორუმის ძეგლებს, როგორც ჰოჰენცოლერნები — რომის კეისრებს.

ისევე, როგორც რომის რესპუბლიკა, ახალი გერმანიის იმპერიაც ღრმა კლასობრივი წინააღმდეგობებით იყო გათიშული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გერმანიის მმართველი კლასები, ხოლო განსაკუთრებით იმპერიის მთავრობა, რომელიც თავის თავს ზეკლასობრივ ორგანოდ სთვლიდა, მეტს კეთილგონიერებას იჩენდა, ვიდრე რომის რესპუბლიკის და იმპერიის პატრიციატი, და გერმანიაში შეუძლებელი იყო ისეთი სამოქალაქო ომები, როგორიც რომში გრაქხების, სულასა და მარიუსის, კატილინას ან სპარტაკის დროს მოხდა. ფართო სოციალური კანონმდებლობა, რომელსაც ჯერ კიდევ ბისმარკის დროს ჩაეყარა საფუძველი, რვა საათის სამუშაო დღე, დაზღვევა უმუშევრობისა, ავადმყოფობასა და ინვალიდობისაგან, ქალების და ბავშვების შრომის შეზღუდვა, უმუშევართა არმიის სიმცირე, კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა მუშებისათვის, ხელსაყრელ ატმოსფეროს ჰქმნიან კლასთა შორის დროებითი „ზავის“ დასამყარებლად. ისევე, როგორც ყველგან ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში, გერმანიაშიც ზომიერი პოლიტიკოსები პარლამენტს კლასთა შეთანხმების ორგანოდ სთვლიდ-

ნენ. სოციალ-დემოკრატიის დიდ უმრავლესობას ღრმად სწამდა, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლა მშვიდობიანი გზით უნდა მომხდარიყო, პარლამენტის მიერ მიღებული ღონისძიებებით. შეიარაღებული აჯანყების და რევოლუციური დიქტატორის იდეა ძნელი ასატანი იყო გერმანელი სოციალ-დემოკრატების უმრავლესობისთვის. თავისთავად ცხადია, რომ ეს გარემოება აიხსნებოდა არა გერმანელი ერის თანდაყოლილი ზომიერების გრძნობით, არამედ პოლიტიკური და კულტურული პირობების შეცვლით. როგორც ცნობილია, რეფორმაციის და გლახთა ომების ეპოქაში გერმანელებმა ძალიან ბევრი სისხლი დაღვარეს; ისტორიკოსები ამტკიცებენ, ოცდაათწლიანი ომების დროს გერმანიამ თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგაო.

ერთხელ უზარმაზარ დახურულ შენობაში სოციალ-დემოკრატების მიტინგს დავესწარი. ტრიბუნაზე რეიხსტაგის დეპუტატი გეორგ ლედებური გამოვიდა. მის მახლობლად მაგიდასთან პოლიციის მოხელე დაჯდა. ის თვალყურს ადევნებდა, რომ ორატორს არაფერი ეთქვა ნებადაურთველი. ლედებურის სიტყვის დასაწყისი მე ძალიან ზომიერი მეჩვენა. მაგრამ პოლიციის მოხელემ, როგორც ეტყობოდა, ის სხვანაირად დააფასა, მოულოდნელად ზეზე წამოდგა და პათეტიკურად წამოიძახა, მე ვხურავ კრებასო .მე, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა მისმა კადნიერებამ: სრულიად მარტოდმარტო იყო და თან არავითარი იარაღი არ ჰქონდა, გარდა პორტფელისა და ფანქრისა. სამშობლოში მიღებული გამოცდილებისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიის, აგრეთვე მარქსის ენებიანი პუბლიცისტური ნაწერების მიხედვით მე გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, ეს წვერ-ულვაშგაპარსული ლედებური თანამედროვე რობესპიერია, მისი აუდიტორია კი თანამედროვე იაკობინელების კლუბი-მეთქი. სწორედ იმ ზაფხულში ბახმაროზე პატარა კლუბში მე დავესწარი კრებას, რომლის დახურვა მოინდომა ოზურგეთის ბოქაულმა კვაშალმა. ის სასაცილოდ აიგდეს. მეგონა, ამ საბრალო გერმანელ პოლიციელსაც, ალბათ, ისეთივე ბედი ელის-მეთქი. მაგრამ ლედებური დაკმაყოფილდა იმით, რომ ცოტა არ იყოს ნაძიები არტისტული ტონით შეუტია პოლიციის მოხელეს. ეს უკანასკნელი შეუშფოთებლად წამოდგა,

პორტფელი დაკეცა და დინჯი ნაბიჯით დარბაზიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მას უკან გაჰყვნენ სოციალ-დემოკრატიის ტრიბუნიც და მისი მსმენელებიც.

მაშინ წარმოდგენილი მქონდა, რომ გერმანიაში, სადაც მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი ქალაქებში ცხოვრობდა, ხოლო ქალაქის მოსახლეობის დიდ ნაწილს პროლეტარიატი წარმოადგენდა, მარქსისტულ იდეოლოგიას ბევრად უფრო ძლიერი გავლენა ექნებოდა, ვიდრე ეკონომიურად ჩამორჩენილ აგრარულ რუსეთში. ნამდვილად ეს ასე არ აღმოჩნდა. რუსეთის პროგრესული ინტელიგენციის დიდი ნაწილი მარქსისტულ ან ნაროდნიკულ სოციალიზმს აღიარებდა, გერმანიაში კი ბურჟუაზიულ იდეოლოგიას გაბატონებული პოზიციები ეჭირა სულიერი კულტურის ყოველ დარგში და თვით მუშათა კლასიც მის ტყვეობაში იმყოფებოდა. ერთადერთი დარგი, სადაც მარქსიზმის იდეოლოგიის ზეგავლენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, პრესა იყო, მაგრამ ყოველდღიური სოციალ-დემოკრატიული გაზეთები მხოლოდ ოდნავ უფრო რადიკალური ფრაზეოლოგიით განსხვავდებოდნენ ბურჟუაზიული გაზეთებისაგან. სოციალ-დემოკრატები სცემდნენ ორ თეორიულ ჟურნალს „ნოიე ცაიტს“ და „სოციალისტიშე მონატსჰეფტეს“. პირველში მარქს-ენგელსის პედანტი ეპიგონები ათავსებდნენ თავიანთ წერილებს, ხოლო მეორეში ეგრეთწოდებული რევიზიონისტები მარქსიზმის დასაჭურისებას ახდენენ.

მაშინ, რასაკვირველია, არც ანალიზის ძალა შემწევდა და არც იმდენი ცოდნა მქონდა, რომ ამ ემპირიული, ამ ბურჟუაზიული და პროლეტარული გერმანიის უკან სხვა გერმანია დამენახა, ნაკლებ ხელშესახები, მაგრამ არა ნაკლებ რეალური. ეს იყო რეფორმაციის და გლეხთა ომების, ლანცკნეხტების, მინეზინგერების და რაინდული ორდენების, ბოლოს ტაციტუსის მიერ აღწერილი ბნელი ტყეების და ვალჰალას გმირ-ღმერთების გერმანია, ერთი სიტყვით, ისტორიული და პრეისტორიული გერმანია. მისი დანახვა ძნელი იყო უნტერ-დენლინდენიდან და ბრანდერბურგის კარიბჭიდან: საჭირო იყო პროვინციაში გამგზავრება, მაგალითად, საქსონიის მთიან ნაწილში, სადაც რომელიმე ძველ გოთურ სახლზე ოცდაათწლიანი ომებიდან დარჩენილ წარწერას წაიკითხავდით: ღმერთო, გვიხსენი

შვეიცელების რისხვისგანო; სწვევოდით ჰარცის გრანიტის კლდეებს და ბროკენის მწვერვალებს, სადაც პირველი მაისის ღამეს დემონები და კუდიანები ერთმანეთს პაემანს უმართავდნენ; შეგეხვიათ ვარტბურგში, სადაც ძველად მაისტერზინგერების შეჯიბრება იმართებოდა და სადაც ლუტერმა ცხადად დაინახა, როგორ ამტვრევდა ეშმაკი კაკალს, ხოლო ნაჭუჭს მის საწოლს ესროდა; ბოლოს საჭირო იყო ჰაიდელბერგს ან ნიურენბერგს სტუმრებოდით, თითქო საღათას ძილით დაძინებულთ შუა საუკუნეებისა და რენესანსის შემდეგ.

ამ წარსულ ისტორიულ ეპოქებს წარუშლელი კვალი დაეტოვებიათ თანამედროვე გერმანელის სულში, და საკმაო იყო ზოგიერთი უწყინარი ბიურგერისათვის ქვაბურა ქუდი მოგეხადათ ან გახამებული პერანგი გადაგეწიათ, რათა ფრიდრიხ ბარბაროსას დროინდელი მუზარადი ან ზიგფრიდის ტყავის ქურთუკი დაგენახათ.

12

ლაიფციგის უნივერსიტეტი, სადაც ფილოსოფიურ ფაკულტეტზე ჩავეწერე, უძველესი უნივერსიტეტი იყო და მისი სახელი მთელ მსოფლიოში იყო განთქმული. ბევრ დიდ გერმანელს გაეტარებია აქ სტუდენტობის წლები, ლეიბნიცს, გოეთეს, ფიხტეს, შელინგს და სხვებს. მაგრამ მას ბევრად არც სწვა დიდი და პატარა ქალაქების უნივერსიტეტები ჩამორჩებოდნენ. ყოველ უნივერსიტეტში რამდენიმე გამოჩენილი პროფესორი მოღვაწეობდა, ისინი პედაგოგები და მკვლევარები იყვნენ ერთსა და იმავე დროს. საუნივერსიტეტო ლაბორატორიები, ინსტიტუტები, სემინარიები სანიმუშოდ იყვნენ მოწყობილი. გარდა ამისა, ყოველ უნივერსიტეტს საუცხოოდ მოწყობილი მდიდარი წიგნთსაცავი ჰქონდა.

უნივერსიტეტი ერთგვარ პატარა რესპუბლიკას წარმოადგენდა. ის ავტონომიურად განაგებდა თავის საქმეებს: მას ჰყავდა თავისი სენატი, თავისი რექტორი, რომელსაც ჩვეულებრივ ერთი წლით ირჩევდნენ, თავისი მსაჯული, რომელიც სტუდენტებს ასამართლებდა და სჯიდა მცირე დანაშაულისათვის. გარდა სამი-ოთხი დიდი უნივერსიტეტისა, სტუდენტთა

რიცხვი მცირე იყო, მათსა და პროფესორებს შორის ხშირად ინტიმური, თითქმის ამხანაგური ურთიერთობა არსებობდა. ფილოსოფიურ ფაკულტეტზე, რომელიც ყველა საგანს მოიცავდა, წმინდა ფილოსოფიას, ისტორიას, ლიტერატურის და ხელოვნების მცოდნეობას, ბიოლოგიას, ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას და სხვ. სტუდენტი ლექციებს დღეში სამ-ოთხ საათს სწირავდა, დანარჩენ დროს სემინარში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიაში ატარებდა. საკურსო გამოცდები არ არსებობდა; სამი წლის შემდეგ სტუდენტს უფლება ჰქონდა სახელმწიფო ან სადოქტორო გამოცდა ჩაებარებია ერთ მთავარ და ორ-სამ დამხმარე საგანში.

სტუდენტობა გამოუკლებლივ თავადაზნაურობის, ვაჭრობრეწველობის და თავისუფალი პროფესიების წრეებიდან იყო გამოსული. სწავლის გადასახადი საკმაოდ დიდი იყო. გარდა სახელმწიფო ჯამაგირისა, პროფესორები ჰონორარს ღებულობდნენ სტუდენტებისაგან მათ მიერ მოსმენილი ლექციების რაოდენობის მიხედვით; ამიტომ ღარიბი ახალგაზრდისათვის ძნელი იყო უნივერსიტეტის კურსის დამთავრება. როდესაც ერთმა ქართველმა სტუდენტმა, გვარად მენაბდემ, მატრიკულში ჩააწერინა, რომ წარმოშობით გლეხი იყო, ამით დიდი გაოცება გამოიწვია მთელ უნივერსიტეტში.

ჩემს დროს ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა აგრეთვე გერმანელი სტუდენტი ქალი. იმ დროს იქ საქალებო გიმნაზიებიც კი არ არსებობდა, ვერსად შეხვდებოდით ექიმ, ვექილ ან პროფესორ ქალს: ქალები მხოლოდ მაღაზიებსა, რესტორნებსა და ყავახანებში მსახურობდნენ.

გერმანიის უნივერსიტეტში კონსერვატული აზროვნება და ტრადიციული ზნე-ჩვეულებები იყო გამეფებული. სტუდენტთა დიდი უმრავლესობა აკადემიური შრომით იყო გატაცებული, ის თავისუფალი იყო ყოველივე რეფორმისტული და რევოლუციური სულიერი განწყობილებისაგან, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო რუსეთის სტუდენტებისათვის. გერმანელი სტუდენტობის ერთი ნაწილი კორპორაციებად იყო დაყოფილი: მათი ქუდების ფერადი ზოლები მოწმობდნენ, რომელ კორპორაციას ეკუთვნოდნენ ისინი. კორპორანტები ხშირად ერთმანეთს დუელში იწვევდნენ სრულიად უმნიშვნე-

ლო საბაბით. დუელი დაშნებით იმართებოდა და კორპორანტს სტუდენტს სასახელოდ მიაჩნდა, თუ სახეზე დაშნის ღრმა ჭრილობა აჩნდა.

ლაიფციგი წიგნების გაყიდვის და ვაჭრობის ცენტრი იყო გერმანიაში; ქალაქი სავსე იყო წიგნის მაღაზიებით; გაზაფხულის და შემოდგომის ბაზრობაზე ანტიკვარულ წიგნს საპატიო ადგილი ეჭირა სხვა საქონლის გვერდით. ერთხელ როგორღაც ათიოდე მარკას თავი მოვუყარე და საუკეთესო მაღაზიაში შევედი, რათა გოეთეს „ფაუსტი" და მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი შემეძინა. ფრანგულად მოლაპარაკე ნოქარმა დაუყოვნებლივ მომცა ახლად გამოცემული „ფაუსტი", რომლის ტექსტის რედაქცია ლიტერატურის ერთ მოყვარულ პრინცს გაეკეთებია, და მითხრა: რაც შეეხება მარქსის ნაწერებს, ჩვენ ისინი არ მოგვეპოვება, თუ გნებავთ თქვენთვის საგანგებოდ დაუკვეთავთ, თუ არა და, უმჯობესია, სოციალ-დემოკრატიულ მაღაზიას მიმართოთ გარეუბანში, იქ მათ ფასდაკლებით მიიღებთო. და მე იძულებული გავხდი „წითელი საქსონიის" გონებრივ ცენტრში — ლაფციგში, სადაც ლასალმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო, ორი კილომეტრი გამევლო, რათა მარქსის მთავარი თხზულება შემეძინა. ეს მგზავრობა საკმაოდ დამღლელი აღმოჩნდა კანტის მიერ აღიარებული სივრცის იდეალობის მიუხედევად.

დღესაც რაღაც ტკივილშერეული სიამოვნებით ვიგონებ ლაიფციგის ცენტრალურ მოედანს — ავგუსტუს-პლაცს, რომელსაც შუაში ბრინჯაოს ფიგურებიანი შადრევანი ამკობდა და ერთი მხრიდან უნივერსიტეტის ფასადი უცქეროდა, მეორე მხრიდან — სამხატვრო გალერეა, ხოლო მესამედან — საოპერო თეატრი. კიდევ უფრო მეტი შეუმღვრეველი სიამოვნებით ვიგონებ უნივერსიტეტის მშვენივრად მოწყობილ ბიბლიოთეკას. იქ წიგნებზე თავდახრილს მრავალი საათი გამიტარებია მრგვალ სამკითხველო დარბაზში; მის მყუდროებას არაფერი არღვევდა, გარდა წიგნების ფურცლების შრიალისა და მსახურების ფრთხილი ნაბიჯებისა. ხშირად ვესტიბიულში გავდიოდი დასასვენებლად; იქ კედლებსა და ჭერს, შემკულთ ილიადის და ოდისეის სიუჟეტზე დახატული სურათებით, ანტიკურ მსოფლიოში გადავყავდი. ხოლო განსაკუთრებულ სიამოვნებას

ხელნაწერი კატალოგების განყოფილებაში განვიცდიდი: რამდენი თაობის ადამიანებს ემუშავნათ, რათა უზარმაზარ ფოლიანტებში ყოველი დარგის ნაწარმოების სახელწოდება ჩაეწერათ მეტაფიზიკიდან დაწყებული თანამედროვე ფიზიკურ ქიმიამდე. საუკუნეების მანძილზე მელანი ალაგ-ალაგ თითქმის გადასულიყო, მაგრამ დამწერლის ხელი თითქო უკეთ იგრძნობოდა მჭრქალ მოხაზულობაში.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის გვერდით „ხელოვნების სახლი" იდგა; იქ ჩემს დროს კვირაში ერთხელ სიმფონიური კონცერტი იმართებოდა არტურ ნიკიშის დირიჟორობით: ეს სიმფონიები განსაკუთრებით საინტერესოს ხდიდა ლაიფციგის მუსიკალურ ცხოვრებას. ლაიფციგს უმდიდრესი ტრადიცია ჰქონდა მუსიკის დარგში: აქ მოღვაწეობდნენ თავის დროზე რობერტ შუმანი, მენდელსონ-ბარტოლდი და სახელოვანი იოჰანსებასტიან ბახი; ლუდვიგსკირხეში, სადაც ბახი თავის დროზე ორგანისტად მსახურობდა, ყოველ წელიწადს ვნების ხუთშაბათს მისი გრანდიოზული ორატორია „მათეს ვნება" სრულდებოდა. ჩემს დროს ლაიფციგში კონცერტების გასამართავად საუკეთესო ვირტუოზები მოდიოდნენ და აქაური მუსიკალური რეცენზენტები დიდ ავტორიტეტებად ითვლებოდნენ; ამიტომ ზამთრის სეზონში ლაიფციგში, რომელიც თავისი კონსერვატორიითაც იყო ცნობილი, დედამიწის ყოველი კუთხიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან თავს იყრიდნენ მუსიკის მოყვარულები, უმეტეს ნაწილად, შეძლებული ადამიანები, და ჩემისთანა ხელმოკლე სტუდენტისთვის ადვილი არ იყო სიმფონიური კონცერტის ბილეთის შეძენა. მაგრამ კონცერტის წინა დღით იაფფასიანი ბილეთები იყიდებოდა მთავარ რეპეტიციაზე დასასწრებად, შესრულების თვალსაზრისით კი ეს რეპეტიცია თითქმის არაფრით განსხვავდებოდა თვით კონცერტისაგან. უნივერსიტეტის, კონსერვატორიის სტუდენტების და ღარიბი ლიტერატორების და მუსიკის მცოდნეების აუდიტორია უფრო მჭიდრო კონტაქტს ამყარებდა ნიკიშთან, რომელიც თავისი თეთრი ხელების ძუნწი და ჰარმონიული მოძრაობით ისე მართავდა მორჩილ ორკესტრს, რომ მსმენელს ეგონებოდა დამკვრელები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქამანჩები და თვით დირიჟორი ერთი მრა-

ვალთავიანი არსებაა, უხილავი ფსიქიური მოტორით ამოძრავებულიო. თუმცა მე არავითარი მუსიკალური განათლება არ მიმიღია და განვითარებული სმენის ქონასაც ვერ დავიკვეხნიდი, ამ გარემოებამ ხელი ვერ შემიშალა ბეთჰოვენის ტრაგიკული სული მეგრძნო, მისი გმირული ბრძოლა კაცობრიობის ბედნიერებისათვის, მისი მოწოდება ძმობისა და სიხარულისაკენ, როგორც ეს, სხვათა შორის, შილერის პათეტიკური სიტყვებით გაისმის მეცხრე სიმფონიის ფინალში.

ლაიფციგში არ არსებობდა მუდმივი დრამატული დასი, მისი სამხატვრო გალერეა ღარიბი იყო და, რასაკვირველია, ვერ შეედრებოდა საქსონიის სატახტო ქალაქის — დრეზდენის სახელგანთქმულ მუზეუმს. მაგრამ ლაიფციგში ცხოვრობდა ყველაზე გამოჩენილი გერმანელი სკულპტორი მაქს კლინგერი, რომელმაც ბეთჰოვენის ორიგინალური ქანდაკება შექმნა თეთრი და ფერადი მარმარილოსაგან.

ყველაზე სახელგანთქმული ადამიანი ჩემდროინდელ ლაიფციგში მაინც პროფესორი ვილჰელმ ვუნდტი იყო. ეს იყო გერმანული კლასიკური იდეალიზმის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი, დიდი ენციკლოპედისტი, მხოლოდ, რასაკვირველია, არა დიდროსა და დალამბერის ეპოქის გაგებით: საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის პროექტები მას ოდნავაც არ აინტერესებდა და ის სრულიად მოკლებული იყო პუბლიცისტურ ვნებიანობას. მაგრამ ეს იყო დიდი მეცნიერი და დიდი მოაზროვნე, მხოლოდ ნაკლებ ორიგინალური. ვიდრე მისი დიდი წინამორბედები ლეიბნიცი, კანტი, ფიხტე, ჰეგელი და შოპენჰაუერი იყვნენ.

როდესაც ადამიანი ვილჰელმ ვუნდტის გამხდარ ძაბუნ სხეულს, მის სათვალიდან მაცქერალ ოდნავ ელამ თვალებს შეხედავდა, ის ძალაუნებურად გაკვირვებით იკითხავდა, როგორ შესძლო მან ესოდენ განშტოებულ თანამედროვეთა საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლა და ამდენი დიდტანიანი თხზულების დაწერაო. თავისი მეცნიერული სარბიელი ვუნდტმა ფიზიოლოგიით დაიწყო და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიით დაასრულა. გარდა სახელმძღვანელოებისა, მან საფუძვლიანი შრომები მიუძღვნა ლოგიკას, შემეცნების თეორიას, ეთიკას, მეტაფიზიკას, ბო-

ლოს ხალხთა ფსიქოლოგიას. მისი ნაწერებიდან ერთი მოზრდილი ბიბლიოთეკა შეიქმნებოდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ვილჰელმ ვუნდტს, როგორც მოაზროვნეს, წარმატებით ეჯიბრებოდნენ უფრო ახალი ფილოსოფიური თაობის წარმომადგენლები. სხვადასხვა ელფერის ნეოკანტიანელები. შემდეგ განსაკუთრებული გავლენა მოიპოვა გეტინგენელმა პროფესორმა ედმუნდ ჰუსერლმა, რომელიც ობიექტური იდეალიზმის ტრადიციებს იცავდა, და ვენელმა პროფესორმა ერნესტ მახმა, რომელიც ფიზიკიდან ფილოსოფიაზე გადავიდა და პოზიტივიზმის თავისებური სისტემა, ეგრეთწოდებული ემპირიოკრიტიციზმი შექმნა. როგორც ცნობილია, მახის ფილოსოფიურმა შრომებმა გავლენა მოახდინეს რუსი სოციალ-დემოკრატიის საკმაოდ მრავალრიცხოვან წრეზე, რომელიც თავს იყრიდა ბოგდანოვის და ლუნაჩარსკის გარშემო; ამ გავლენას მატერიალიზმის თვალსაზრისით მკაცრათ შეებრძოლნენ ლენინი და პლეხანოვი. მატერიალისტების და ემპირიოკრიტიცისტების კამათმა საზღვარგარეთის, კერძოდ, ლაიფციგის სტუდენტების კოლონიაშიც ჰპოვა გამოხმაურება.

გარდა ვილჰელმ ვუნდტისა, ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე რამდენიმე გამოჩენილი პროფესორი კითხულობდა ლექციებს; მათ შორის იყვნენ იოჰანეს ფოლკელტი, რომლის ნაწერებს ლევ ტოლსტოი იმოწმებს თავის შრომაში „რა არის ხელოვნება“, და კარლ ბიუხერი, რომელსაც მისმა მოწაფემ ფილიპე გოგიჩაიშვილმა ქართული ფოლკლორიდან საინტერესო მასალა მიაწოდა მისი ნაწარმოებისათვის „შრომა და რიტმი“.

დღეს, როდესაც სტუდენტობის დროის შორეულ წლებზე ვფიქრობ, საეჭვოდ მიმაჩნია, რომ თუნდ ყველაზე სახელოვანი მეცნიერის ლექციებს და ექსპერიმენტებს შეეძლოს ადამიანი ფილოსოფოსად და ფსიქოლოგად აქციოს, თუ მას თანდაყოლილი არ აქვს მოაზროვნის და სულთა მესაიდუმლის ნიჭი. მაგრამ კარგად დაყენებული უნივერსიტეტის კურსი ახალგაზრდას აჩვევს სისტემატურ შრომას და მეთოდურ აზროვნებას, ამ მიზანს კი ლაიფციგის უნივერსიტეტი უსათუოდ აღწევდა თავისი ფილოსოფიური კათედრების და ინსტიტუტებისა თუ ლაბორატორიების შემწეობით.

ორიგინალური შემოქმედებითი სულის შესუსტება იგრძნობოდა არა მარტო ფილოსოფიური აზროვნების და მეცნიერების, არამედ კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. ყველგან ეკლექტიკოსები, კომპილატორები, ეპიგონები ჩანდნენ პირველ რიგში. პრესაში ებრაელები განსაკუთრებულად აქტიურ როლს თამაშობდნენ როგორც გამომცემლები და როგორც თანამშრომლები. ბევრი ებრაელი ჟურნალისტი მოკლებული არ იყო გონებამახვილობას და ენებიანობას, მაგრამ მათ შორის ვერ აღმოაჩენდით ლუდვიგ ბერნესა და ჰაინრიხ ჰაინეს რანგის პუბლიცისტს. მხატვრულ ლიტერატურულ აზროვნებას გოეთეს აჩრდილი დასწოლოდა, ხოლო პოლიტიკურ აზროვნებას — ბისმარკისა. გოეთეს და ბისმარკის ციტატის დამოწმება ისევე სავალდებულო იყო ჩემი დროის გერმანელი ჟურნალისტისა და პუბლიცისტისთვის, როგორც ბიზანტიელი თეოლოგისთვის შუა საუკუნეებში ბასილი დიდის და გრიგოლ ღვთის-მეტყველის ციტატის დამოწმება.

შეუძლებელი იყო გარედან მოსულ, ოდნავ დაკვირვებულ ადამიანს თვალში არ სცემოდა ის წინააღმდეგობა, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში გამეფებულ უტილიტარიზმისა და აკადემიურ აზროვნებაში თითქმის შეუზღუდველად აღიარებულ იდეალიზმს შორის არსებობდა. ცხოვრებაში ადამიანის ღირებულება ფულით იზომებოდა. პატარა რენტის შემენა ყოველი გერმანელი ბიურგერის ოცნებას შეადგენდა, ხოლო სიღარიბე ბიურგერულ წრეებში დიდ უბედურებად, თვით ბიწიერებად ითვლებოდა.

მგონია, პირველად გეორგ ბრანდესმა შენიშნა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ გერმანიაში ყველაზე პოპულარული ლითონი რკინა გახდა. ჩემს დროსაც ყველაზე საპატიო ორდენად რკინის ჯვარი ითვლებოდა, საუკეთესო თავსაბურავად — რკინის მუზარადი, უდიდეს ადამიანად — „რკინის კანცლერი"; ბისმარკის სურათს ყოველ ბინაში აღმოაჩენდით. მის ბრინჯაოს ძეგლს ყოველი ქალაქის მოედანზე. პირტიტველი ლეიტენანტები ქუჩებში რკინის ხმლებს მიაჩხარუნებდ-

ნენ რკინის გორგოლაჭებით და ცდილობდნენ რკინის ქანდაკების გამომეტყველება მიეღოთ. საერთოდ ჩანდა, რომ გერმანელი ერის ფსიქოლოგიაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დ. დ. გარდატეხა მომხდარიყო და, ეს მოაზროვნეების და მეოცნებეების ხალხი სალდათების და მეფოლადეების ხალხად გადაქცეულიყო.

დოქტორის ხარისხის მქონე მეცნიერი, მაღალი თანამდებობის მოხელე ბანკირი, ქარხნის პატრონი,მით უმეტეს ბარონის, გრაფის, პრინცის წოდების მატარებელი ადამიანი თავის თავს რაღაც შარავანდედით მოსილ არსებად სთვლიდა და ცდილობდა ეს რწმენა სხვებისთვისაც ჩაეგონებინა. ყოველი გერმანელი, თვით დარბაისელი და გონებაგახსნილი, თავის თავს დიდად შეურაცხყოფილად ჩასთვლიდა, თუ მიმართვაში მისი ტიტული ან წოდება დაგავიწყდებოდათ. თვით ცოლები თავიანთ ქმრებს ინტიმურ საუბარში ან მიწერ-მოწერაში ტიტულებით მიმართავდნენ, როგორც გოეთეს ცოლი, გათქვირებული ქრისტიანა თავის ქმარს „საყვარელ, გულკეთილ გეჰაიმრატს“, ე. ი. საიდუმლო მრჩეველს უწოდებდა.

თუ წმინდა მოქალაქეობრივი რიგიანობა და ფიზიკური სისუფთავე ზნეობრივი ჯანსაღობის ერთ-ერთი გამოვლინებაა, შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის ზნეობრივი ატმოსფერო იმპერიალისტური ომის წინ ამ მხრივ ჯანსაღი იყო. უცხოელს თვალში ეცემოდა ამ ერის სიყვარული წესიერებისადმი, მისი პატიოსნება და შრომისმოყვარეობა, ხოლო განსაკუთრებით მისი გასაოცარი ორგანიზაციული ნიჭი. სისხლის დამნაშავეთა რიცხვი მეტად მცირე იყო. სასამართლო დამოუკიდებელი, ადმინისტრაცია წესიერი. წარმოუდგენელი იყო, რომ სახელმწიფოს მოხელეს ვინმესგან ქრთამი მიეღო; სასამართლოს გამოძიებისაგან სრულიად განდევნილი იყო ინკვიზიციის სული, რომელმაც შემდეგში ასეთი საშიში ფორმა მიიღო ნაცისტების ბატონობის დროს.

გერმანელ ერს დიდად განვითარებული ჰქონდა სოციალური ინსტინქტი, ეს აუცილებელი საფუძველი ყოველი სალი ეროვნული მორალისა, მაგრამ კულტურის დარგში მის წინააღმდეგ ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმი მძლავრ და სახიფათო შეტევას აწარმოებდა. როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვე-

ყნებში, ისე გერმანიაშიც შესუსტებული იყო ის შეგნება, რომ კულტურის განვითარების მიზანს ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალების ყოველმხრივი გაშლა წარმოადგენს და რომ მანქანის და ოქროს კულტი ყოველ ფეტიშიზმზე უარესია.

ქალ-ვაჟნი ქალაქებში ხშირად განცხადებების მიხედვით ქორწინდებოდნენ; ასეთი განცხადებები თითქმის ყველა ბურჟუაზიულ გაზეთში იბეჭდებოდა, გარდა სერიოზული პოლიტიკური და ლიტერატურული ორგანოებისა. დაქორწინების მსურველი ყველა თავის ღირსებას და სათნოებას აღნიშნავდა, სიმაღლეს და ტანის მოყვანილობას, კანის და თმის ფერს, ჯანმრთელობას და ტემპერამენტს, ოჯახური კერის სიყვარულს, ხოლო, განსაკუთრებით, შემოსავლის თუ მზითევის რაოდენობას. ასეთი ცოლქმრობა ერთგვარ კომერციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რისკზე დამყარებულს, მომგებიანს ან წამგებიანს გარემოების მიხედვით. რაც შეეხება სტუდენტების სამიჯნურო კავშირებს მაღაზიების და ყავახანების მსახურ ქალებთან, მათ, ჩვეულებრივ, ხანმოკლე შეთანხმების ხასიათი ჰქონდათ. გერმანიაში უფრო იშვიათი იყვნენ ისეთი კატეგორიის ქალიშვილები, როგორნიც ალფრედ დე მიუსემ თავის „მიმი პენსონში“ ხოლო ალექსანდრე დიუმამ თავის „მარგარიტა გოტიეში“ ასახა; აქ იშვიათად იყვნენ ფრანგი გრიზეტების მსგავსი ქალებიც, რომელნიც თავიანთი თავისებური კულტურით სიტლანქეს აცლიდნენ სქესობრივ ურთიერთობას და მას რომანტიკულ ელფერს აძლევდნენ.

როგორც ბიურგერულ წრეებში, ისე თავისუფალ პროფესიებში საკმაოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენდა „ასფალტის ადამიანი“, რომელსაც შეიძლება ცოცხალი ბატი არასოდეს არ ენახა და თავი ენციკლოპედიური ლექსიკონიდან ამოღებული ცნობებით ჰქონდა გატენილი. გერმანია სამართლიანად ამაყობდა თავისი გამოჩენილი სპეციალისტებით მეცნიერების და ტექნიკის ყოველი დარგიდან; მაგრამ ამ სპეციალისტებში ხშირი იყვნენ გონებაშეზღუდული ადამიანები, რომელნიც ყრუ-მუნჯნი ხდებოდნენ, თუ მათს საზოგადოებაში საუბარი მათი სპეციალობის ზღუდეს გადასცდებოდა. მხოლოდ მუსიკალური განათლება იყო ფართოდ გავრცელებული

და უბრალო დიასახლისები ულკეთ ერკვეოდნენ ბახის ფუგებში და ბეთჰოვენის სონატებში, ვიდრე გოეთეს ელეგიებში.

დიდად დამახასიათებელია, რომ სიტყვა ინტელიგენცია არ იხმარებოდა გერმანულ ენაში; მის მაგივრად ხმარობდნენ გამოთქმას „თავისუფალი პროფესიები". ყველაზე სიმპათიურ შთაბეჭდილებას გერმანულ საზოგადოებაში ფართო გონებრივი ინტერესების მქონე ადამიანები ახდენდნენ, ნამდვილი ინტელიგენტები, ამ ცნების საუკეთესო გაგებით, ფილოსოფიურად, ლიტერატურულად, მუსიკალურად განათლებული ადამიანები, თავისუფალნი გონებაშეზღუდული შოვინიზმისაგან. ხოლო ყველაზე ანტიპათიური იყო ქედმაღალი ტეტონი, გაბოროტებული მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ სხვა უფრო ბედნიერმა ერებმა საუკეთესო მიწაწყალი დაიჭირეს მზის ქვეშ. მას სწამდა, რომ ყოველი გერმანელი ზეკაცი იყო პოტენციაში, რომ „მსოფლიო გონებამ" პრუსიის სახელმწიფოში ჰპოვა საბოლოო განხორციელება, რომ გერმანელი ერი მოწოდებული იყო დაეპყრო და განეახლებინა თანამედროვე გადაგვარებული კაცობრიობა, როგორც ანტიკური ეპოქის დასასრულს რომის იმპერია დაიპყრო და განაახლა.

ანტისემიტიზმს გერმანიაში რაღაც მისტიკური ელფერი ჰქონდა; ბევრ გერმანელს შეურყეველად სწამდა, რომ ევროპაში ყოველი სოციალური ბოროტება აღმოიფხვრებოდა, თუ იქიდან ებრაელებს განდევნიდნენ. ზოგიერთ გერმანელ სოციოლოგსა და პუბლიცისტს კაპიტალიზმის სული ბოროტი სემიტური გენიის ნაყოფად მიაჩნდა. გერმანელები ყველგან მწვავედ გრძნობდნენ ებრაელების კონკურენციას: ეს გერმანელზე ერთი ებრაელი არ მოდიოდა, მაგრამ ებრაელებს ყველგან ძლიერი პოზიციები ეჭირათ ვაჭრობაშიც, ბანკშიც, ბირჟაზეც, პრესაშიც.

ანგლოსაქსონები გერმანელ ნაციონალისტებს უმადურ ბიძაშვილებად მიაჩნდათ, მათ მიმართ სიძულვილთან ერთად ისინი რაღაც გაურკვეველ შიშსაც გრძნობდნენ. რუსების სიძულვილს კი მასობრივი ხასიათი ჰქონდა და სასტუმროების, კერძო პანსიონების, გასაქირავებელი ავეჯიანი ბინების შე-

საკალში ხშირად შემსვედრია წარწერა, რომელიც რუსებს შესვლას უკრძალავდა. ამავე დროს წიგნის მაღაზიები სავსე იყო რუსული რომანების და ნოველების თარგმანებით და მკითხველ საზოგადოებაში დიდი მოწონება ჰქონდა დოსტოევსკის და ტოლსტოის, ხოლო განსაკუთრებით ჩეხოვის და გორკის ნაწერებს.

14

რუსეთიდან გამოსული ახალგაზრდობა გერმანიის უნივერსიტეტებში პოლიტიკურ ჯგუფებად იყო დანაწილებული. არსებობდა სოციალისტ-რევოლუციონერების, ბოლშევიკების, მენშევიკების, პოლონელი სოციალისტების, ებრაელი ბუნდისტების და სიონისტების და სხვა პარტიების ჯგუფები. მათ შორის ბრძოლა სწარმოებდა პირველი საუკუნეების ქრისტიანული სექტების გააფთრებით. ლაიფციგელი ქართველი სტუდენტების უფრო აქტიური ნაწილი, შვიდი-რვა კაცი ბოლშევიკების ჯგუფში შევდიოდით.

ჩვენს ჯგუფს ხელმძღვანელობდა მიხეილ დავითაშვილი. ეს იყო გამხდარი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი, ცოტა ნაადრევად მოტეხილი გაჟირვებული ცხოვრებით; ის ქვეშ-ქვეშ გამოიყურებოდა თავისი დამცინავი თვალებით, მაგრამ პირდაპირი და პატიოსანი სულის პატრონი იყო. მისი ფილტვები ტუბერკულოზით იყო დაავადებული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ მის ატომს მეშჩანობის სენი არ შეხებია. მის აზროვნებას ერთგვარი ცალმხრივობა ახასიათებდა. ის წარმოსდგებოდა ქართლიდან, სოფელ წრომიდან, სადაც ათას ხუთასი წლის წინათ სპარსელმა ცეცხლისთაყვანისმცემლებმა წმინდა რაჟდენი დაისრეს. თავისი ირონიული, მეფისტოფელური ჭკუის მიუხედავად, მიხეილ დავითაშვილი მზად იყო, ჭრილობები მიეღო მარქსის და ლენინის მოძღვრების დაცვაში.

ხშირად, ჩვენი მოწვევით ჟენევიდან და პარიზიდან ლაიპციგში ვინმე გამოჩენილი ემიგრანტი მოდიოდა მოხსენების წასაკითხავად. ზოგიერთი რევოლუციონერი — ვეტერანი, რუსეთის კატორღაში გაჭაღარავებული და იქიდან გაქცეული

ლევ დეიჩივით, ჩვენში მოკრძალებას იწვევდა, თუნდაც მისი მსოფლმხედველობა ჩვენთვის მიუღებელი ყოფილიყო. ფართო გონებრივი ჰორიზონტის და მხატვრული გემოვნების მქონე ლუნაჩარსკიმ რამდენიმე მოხსენება წაიკითხა ახალ ევროპულ ლიტერატურაზე, კერძოდ, ჰენრიკ იბსენზე.

ხშირად სხვადასხვა ფრაქციებს შორის ცხარე კამათი იმართებოდა ისეთი საკითხის გარშემო, რომელიც დღეს შეიძლება უმნიშვნელოდ გვეჩვენოს: ბოლშევიკები და მენშევიკები მზად იყვნენ ერთმანეთს პაპისტების და ანტიპაპისტების გააფთრებით დაჯახებოდნენ პარტიული წესდების პირველი მუხლის მეორე პარაგრაფის გამო. მიწის სოციალიზაციის მომხრეები შეჩვენებას უგზავნიდნენ იმათ, ვინც მიწის მუნიციპალიზაციას მოითხოვდა, ტერიტორიული ავტონომიის მიმდევრების ჯოჯოხეთის მოციქულებად სთვლიდნენ ცენტრალისტებს. ერთი უკრაინელი სტუდენტი ყოველი მოხსენების შემდეგ ზეზე წამოვარდებოდა სახეშეწითლებული და მომხსენებელს შეეკითხებოდა, რა აზრის ხართ უკრაინის ავტონომიის შესახებო. მომხსენებელი, უმეტეს შემთხვევაში, სახტად რჩებოდა, ვინაიდან მის მოხსენების თემას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ეროვნული ავტონომიის საკითხთან. ეს უკრაინელი ხშირად მოდიოდა ქართველ სტუდენტებთან და რაღაც ლიგის დაარსებას გვთავაზობდა.

რუსეთ-იაპონიის ომმა განსაკუთრებით დიდი მღელვარება შეიტანა ჩვენს პოლიტიკურ წრეებში. დღითიდღე მოუთმენლად ველოდით, რომ მანჯურიაში დამარცხება საფუძვლიანად შეარყევდა რომანოვების მონარქიას და ის დაემხობოდა. რუსეთში დაიწყო მასობრივი გაფიცვები, დემონსტრაციები; განსაკუთრებით ძლიერი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია 1905 წლის 9 იანვრის ამბებმა, მშვიდობიანი მუშების დემონსტრაციის დახვრეტამ პეტერბურგში. უცხოეთში ყოველივე გაზვიადებულად გვეჩვენებოდა, ნაწილობრივ საზღვარგარეთის პრესის ახმაურების, ნაწილობრივ ჩვენი გამძაფრებული გრძნობიარობის წყალობით. გვეგონა, რომ დადგა მეფის ხელისუფლების განკითხვის დღე, რომ რევოლუცია მოგვიხმობდა საგუშაგო პოსტზე გამოცხადებულიყავით. ქართველი ბოლშევიკი სტუდენტები გამოვეთხოვეთ პავლოვსკის და მა-

კაროვის ლექსიკონებს. ვუნდტის და ბიუხერის ლექციებს და სამწობლოსკენ გამოვეშურეთ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ვიგრძენი, რომ რუსეთის მონარქია უფრო მაგრად იდგა ფეხებზე, ვიდრე სასურველად მიმაჩნდა. მე პოლიტიკური მებრძოლის ტემპერამენტი და პატივმოყვარეობა არ მქონდა და ყოველთვის მოვლენათა მეთვალყურის როლი მერჩია, ვიდრე აქტიური მონაწილისა. არასოდეს დიდ ტრიბუნაზე ასვლა არ მყვარებია; თავს დაკმაყოფილებულად ვგრძნობდი, თუ შესაძლებლობა მომეცემოდა გაზეთის ან ჟურნალის მეშვეობით ქართველ ინტელიგენტურ საზოგადოებას გამოვლაპარაკებოდი და უცნობი მეგობრების წრის მოწონებას დავიმსახურებდი. 1905 წლის მოძრაობაში მაინც გატაცებით ჩავები. თავდაპირველად სამიოდე წერილი მოვათავსე ფილიპე მახარაძის „მოგზაურში“, შემდეგ რუსულ „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკსა“ და „ახალ ცხოვრებაში“ რამდენიმე წერილი დავბეჭდე ეროვნულ საკითხზე და რუსეთის რევოლუციის პერსპექტივებზე. ეს წერილები, რასაკვირველია, მოუმწიფებელი პოლიტიკური გონების ნაყოფს წარმოადგენდა; მაგრამ, მგონია, მათში იგრძნობოდა იმ დიდი სოციალური ქარტეხილების მოახლოება, რომელთაც შემდეგ მთელი კაცობრიობა შეაზანზარეს. „ახალ ცხოვრებაში“ მიხეილ დავითაშვილიც თანამშრომლობდა. იქ ორიოდე შენიშვნა მოათავსა აგრეთვე შალვა შარაშიძემ. შემდეგ თაგუნას ფსეუდონიმით ცნობილმა ჰუმორისტმა.

„კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის“ ხელმძღვანელი, ლურჯთვალებიანი, წაბლისფერთმიანი სტეფანე შაუმიანი თავმდაბალი, თავაზიანი, დარბაისელი ადამიანი იყო. ამასთანავე კარგი მოსაუბრე და კარგი ორატორი; თუ მისი ტემპერამენტი მისი ცოდნის და პრინციპულობის სიმაღლეზე მდგარიყო, ის გამოჩენილი პუბლიცისტიც იქნებოდა. ერთხელ რედაქციაში ასოთამწყობს სრულიად უაქცენტოდ ქართულად დაელაპარაკა. როცა მე ამის გამო გაკვირვება გამოვთქვი, მან მითხრა, ჩემი მშობლები თელაველები არიან, ჩემი სალაპარაკო ენა ბავშვობაში ქართული იყოო; სომხური ენა ჩემს ოჯახში პირველად მე შევიტანე, როდესაც თბილისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი და გულმხურვალე ნაციონალისტი გავ-

ხდიო; მაგრამ სომხის ბურჟუაზიის ახლო გაცნობამ ჩქარა გამათავისუფლა ნაციონალისტური ბურუსისგანო. ხელმოკლეობის გამო სტეფანე შაუმიანი იძულებული გამხდარიყო ცნობილი სომეხი მილიონერის მანთაშევის ვაჟის რეპეტიტორობა ეკისრა ჯერ თბილისის რეალურ სასწავლებელში, ხოლო შემდეგ რიგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ყოფნის დროს. ახალგაზრდა მანთაშევი, როგორც ეტყობა, გონებრივ სიჩლუნგეს აერთებდა სქესობრივ ანომალიასთან. შაუმიანს აკვირვებდა, რატომ ხდება, რომ რუსეთში და ჩვენში ბურჟუაზიული ოჯახების მეორე და მესამე თაობა უკვე ფიზიკური და ზნეობრივი გადაგვარების გზას ადგება, ევროპაში კი ეს კლასი შედარებით უფრო ჯანსაღად გამოიყურება, თუმცა მას დიდი ხნის ისტორია აქვსო.

„რაბოჩი ლისტოკის“ მეორე თანამშრომელი ისიდორ კორა მაღალი, მსხვილღაწვებიანი მამაკაცი იყო. თავის თავს საბარიკადო ბრძოლების სპეციალისტად სთვლიდა და ძალიან ხშირად გამოდიოდა პოლიტიკურ მიტინგებზე; მისი ხმა იესო ნავინის ყველა მებუკის ხმას დაჰფარავდა. როდესაც რეაქცია დაიწყო, ისიდორ კორა თბილისიდან რუსეთში დაბრუნდა. როგორც გადმომცეს, ის რელიგიურ მისტიციზმში გადავარდნილიყო და შემდეგ თავი მოეწამლა.

პოლიტიკურ მიტინგზე მხოლოდ ერთხელ გამოვედი. ეს იყო გურიაში, სოფელ შემოქმედში, სადაც მახლობელი სოფლებიდან დიდძალმა გლეხკაცობამ და ინტელიგენციამ მოიყარა თავი. მიტინგზე სოციალ-ფედერალისტებმა საუკეთესო ორატორები გამოიყვანეს, მათ მხარს უჭერდნენ ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერებიც. სოციალ-დემოკრატების მხრივ ფილიპე მახარაძე და ჭოლა ლომთათიძე გამოვიდნენ; მეც წარმოვთქვი მოკლე სიტყვა. გლეხკაცობას უფრო ჩვენი სიტყვები მოეწონა, ინტელიგენციას — ჩვენი მოწინააღმდეგეებისა. ფედერალისტების ერთ ორატორს, აღარ მახსოვს სამსონ ფირცხალავას თუ სიმონ მდივანს, საჯაროდ შეეკითხე, როგორ წარმოგიდგენიათ სოციალიზმის დამყარების დრო, შორეული ამბავია თუ ახლობელი-მეთქი. — ასი წელიწადი მაინც უნდა ვიცადოთო, მიპასუხა მან. დამსწრეთა უმრავლესობას ეს პასუხი ძალიან არ მოეწონა: შორეული ბედნიერების ლოდინი ცუდი მალამოა ტანჯული კაცობრიობისათვის.

რეაქციის პირველ წლებში რამდენჯერმე ჩავედი გურიაში. აქ სამხედრო წესები იყო გამოცხადებული; გენერალ-გუბერნატორად დანიშნული ცნობილი ტოლმაჩოვი ისევე მკაცრად უსწორდებოდა გურულ რევოლუციონერებს, როგორც მანამდე ოდესელ რევოლუციონერებს გაუსწორდა. ერთხელ მოღუშული შემოდგომის დღეს ჩემს ოთახში ვიჯექი ბუხართან და ფიქრებში ვიყავი წასული. უცებ მომესმა, რომ აივანზე რამდენიმე კაცი ამოვიდა ჩქარი ნაბიჯით. კარის გაღება ძლივს მოვასწარი, რომ ოთახში შემოიჭრა მეფის მთავრობის ერთი უერთგულესი აგენტი პრაპორშჩიკი თუ ურიადნიკი კოწია ბერიძე. მას თან ახლდა მთელი რაზმი ცხენოსანი ჩაფრებისა.

— თქვენი სახელი და გვარი? — შემეკითხა ის სალამის მოუცემლად.

მე ვუპასუხე:

— განა თქვენ ვიქტორი არ გქვიათ?

— არა! არ მახსოვს, რომ ჩვენს გვარში ვინმეს ეს სახელი რქმეოდეს.

— როგორ არა. თქვენმა მეზობელმა გლეხმა, რომელსაც ვიქტორის ბინის ჩვენება მოვთხოვეთ, პირდაპირ თქვენს ჭიშკართან მოგვიყვანა.

— ჩემი მეზობელი შემცდარა.

ჩემი პროტესტის მიუხედავად, ბერიძემ თავის ჩაფრებს უბრძანა ჩემი სახლი გაეჩხრიკათ. მათ დიდი გულმოდგინება გამოიჩინეს და გაჩხრიკეს არა მარტო საწერი მაგიდის ყუთები და ოდის ოთახები, არამედ ჭერიც, საკუჭნაოც და მარანიც. თუმცა ვერაფერი აღმოაჩინეს, ბერიძემ მაინც წინადადება მომცა ცხენი დამექირავებინა და ოზურგეთში წავყოლოდი საქმის გამოსარკვევად. ოზურგეთში გენერალ ტოლმაჩოვის კანცელარიაში შემიყვანეს. მე ტოლმაჩოვს ავუხსენი. ლაიპციგის უნივერსიტეტის სტუდენტი ვარ, გურიაში დროებით ჩამოვედი, ჩქარა ისევ უცხოეთში მივემგზავრები-მეთქი.

— რას სწავლობთ, — შემეკითხა გენერალი.

— ფილოსოფიას.

— რატომ ლაიპციგში და არა ვენაში? ფილოსოფიური საგნები ვენაში უკეთაა დაყენებული.

მე, ცოტა არ იყოს, დაუფარავი გაოცებით შევხედე. მას

იმდენად სალდაფონური გარეგნობა ჰქონდა, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვენელი პროფესორის, ემპირიოკრიტიკოს ფილოსოფოსის ერნესტ მახის მიმდევრად ვერ ჩაითვლებოდა. უეჭველი იყო, მას უნდოდა ჩემთვის ეჩვენებინა, რომ მარტოოდენ რევოლუციონერი გურული გლეხების და ოდესელი მუშების დახვრეტასა და გაციმბირებაში არ იყო დახელოვნებული.

რადგან არავითარი მამხილებელი საბუთი არ აღმოჩნდა, ტოლმაჩოვმა გამათავისუფლა, და იმ საღამოსვე შინ დავბრუნდი. ჩემს ოთახში შესვლისთანავე ვიგრძენი, რა ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადავრჩი დატუსაღებას და ციმბირში გადასახლებას. საქმე ის იყო, რომ მანამდე არც გამხსენებია, რა საშინელ მამხილებელ საბუთს იპოვნიდნენ ჩემს საწინააღმდეგოდ, თუ ბერიძეს და მის მეძებრებს წიგნების კარადაში შეეხედნათ. იქ, მამაჩემის შავყდიანი წიგნების გვერდით, ისინი აღმოაჩენდნენ ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრების სიას, წიგნებს და სხვადასხვა ქაღალდებს, გულმოდგინედ დანომრილთ და ბეჭედდარტყმულთ. ყოველი ეს ადგილობრივ ორგანიზაციას მიებარებია ჩემი უმცროსი ძმისათვის, რომელიც ყირიმში სწავლობდა და სოფელში მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა. რადგან ჩემი ძმა პოლიტიკით არ იყო დაინტერესებული და მთავრობის თვალში საეჭვო პიროვნებად არ ითვლებოდა, ორგანიზაციას სწორად ევარაუდნა, რომ ჩვენი სახლი, სადაც მხოლოდ ორი დედაბერი ცხოვრობდა, საიმედო თავშესაფარი იყო მათი წიგნებისა, სიებისა და ოქმებისათვის. მაგრამ მე კარგი დღე არ დამადგებოდა, თუ ჩემი სტუმრები უფრო წიგნის კარადით დაინტერესებულიყვნენ, ვიდრე მარანით და საწნეხლებით.

15

როდესაც საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოდან ისევ ევროპაში დავბრუნდი, მე მოვახდინე ჩემი პოლიტიკური და ზნეობრივი იდეალების გადაფასება და განვიცადე სულიერი კრიზისი, ნაკლებ მძაფრი. მაგრამ უფრო ხანგრძლივი, ვიდრე ჩემი ბავშვობის დროის რელიგიური კრი-

ზისი იყო. მე დავრწმუნდი, რომ ინტერნაციონალიზმის პრინციპები, ცოტა არ იყოს, ცალმხრივად და აბსტრაქტულად მქონდა ათვისებული. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს ერთგვარი სულთა სალხინებელის კიბის საფეხურები ავიარე.

ევროპულ მეცნიერებაში ამაოდ ვეძებდი იმ კითხვების პასუხს, რომლებიც მქეჯნიდნენ, ფლობერის რომანებით და შოპენის პრელუდიებით კი არ შეიძლებოდა სულიერი სიცარიელის ამოვსება. ქართული კულტურის ისტორიას ცუდად ვიცნობდი, მაგრამ სწორი ინტუიციით ვგრძნობდი, რომ მხოლოდ ჩემი სამშობლოს კულტურულ წარსულში შემეძლო მეპოვნა სანათური, რომელიც ბნელ გზებს გამინათებდა სკეპტიციზმის ლაბირინტში.

ერთი ზამთრის სემესტრი ლაიპციგში მოცარტის ქუჩაზე უფრო ნაღვლიანად გავატარე, ვიდრე დიდი ავსტრიელი კომპოზიტორის ნათელ გენიას შეეფერებოდა. ქვედა სართულში ვცხოვრობდი და მზეს ვერ ვხედავდი. გურიიდან გამოყოლილმა ციებამ დამასუსტა. მდორედ მიმდინარე პლაისეს ნესტის სუნი მაღიზიანებდა ფსიქოლოგიურ ინსტიტუტში, სადაც ყოველდღე ვმუშაობდი დიმიტრი უზნაძესთან ერთად, უამრავი ფიზიკური ხელსაწყო იდგა ადამიანის გრძნობათა და შეგრძნებათა გასაზომად და გამოსაკვლევად; ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პროფესორმა თავის შესავალ სიტყვაში განაცხადა: იცოდეთ, საუკეთესო ფსიქოლოგი ის არი, ვინც საუკეთესო ფიზიკოსიაო. ეს განცხადება მით უფრო მეუცხოვა, რომ შემეცნების თეორიაში ის თავის თავს იდეალიზმის მიმდევრად სთვლიდა. ერთხელ, როდესაც ხელში ჰამსუნის „მისტერიები“ დამინახა, მირჩია, ეს წიგნი განზე გადასდე და ვუნდტის „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესწავლას შეუდექიო. ეს „საფუძვლები“ სამი უზარმაზარი, თითქმის ათასათას გვერდიანი ტომისაგან შესდგებოდა და სასოწარკვეთილების გამომწვევი ბიბლიოგრაფიით მთავრდებოდა. მე ვფიქრობდი, რომ თუ მის რჩევას დავუჯერებდი, შეიძლება იგივე მომხვლოდა, რაც რაბლეს პანტაგრუელს მოუვიდა, ე. ი. რაც მეტს ვისწავლიდი, მით უფრო უგუნური გავხდებოდი და საუკეთესო შემთხვევაში ჩემი ვილჰელმ ვუნდტი მეცოდინებოდა, მაგრამ არ მეცოდინებოდა ადამიანის სული.

ამ დროს ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ჩემს პატარა ბიბლიოთეკაში რამდენიმე ქართული წიგნი აღმოჩნდა, „ქართლის ცხოვრების“ იაფფასიანი გამოცემა, „ვეფხის-ტყაოსანი“, ბარათაშვილის ლექსების კრებული, ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“. დიდი ყურადღებით წავიკითხე აგრეთვე იპოლიტ ტენის „ხელოვნების ფილოსოფია“; მან მე დამარწმუნა, რომ ეროვნული შემოქმედებითი სულის თავისებურება უფრო თვალსაჩინოდ ხელოვნებაში ვლინდება, ვიდრე სულიერი და მატერიალური კულტურის რომელიმე სხვა დარგში

ერთხელ, დილით ჩემი ოთახის კარი გაიღო და მიხეილ დავითაშვილი შემოვიდა. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, იმიტომ რომ ძალიან შორს მეგულებოდა, სადღაც ტაშკენტსა თუ სამარყანდში, სადაც ის თავის ცოლთან, ბოლშევიკ რუსის ქალთან ერთად გაემგზავრა, რათა თბილისის პოლიციას დამალვოდა. ლაიპციგში თითქმის უფულოდ, სხვისი პასპორტით წამოსულიყო შუა აზიიდან და ეზაზე დიდი გაჭირვება გადაეტანა. „თეთრი ირემის“ სასადილოში, სადაც ჩვენ ერთად წავედით, მან სუფთად წვერგაპარსული და თმაგადალესილი ლაქიების შეშფოთება გამოიწვია თავისი გაბურძგნილი შავი თავითა და ჭუჭყიანი ქურქით, რომლის სარჩულიდან ბამბის ფთილებს გამოეყო თავი. ძალიან მშიერი იყო და თავდაპირველად გაანადგურა პატარა ფუნთუშები, განკუთვნილი ხუთი თუ ექვსი დაგვიანებული თანამეინახისათვის. შემდეგ დიდი ნაჭერი ჩამოათალა შუა სუფრაზე დადებულ საერთო პურს. მე შევამჩნიე, რომ ის იმდენად დანაყრებაზე არ ზრუნავდა, რამდენად იმაზე, რომ აბუჩად აეგდო გერმანელი ბიურბერების მართებულების გრძნობა.

მეორე თუ მესამე დღეს ლაიპციგის როზენტალში გავისეირნეთ. ამ მშვენიერ პარკში, სადაც სტუდენტობის დროს ლეიბნიცს უყვარდა თურმე სიარული და სადაც ის 16 წლის ასაკში არისტოტელის კატეგორიებზე ფიქრობდა, მიხეილ დავითაშვილმა თავისი სიჭაბუკის რომანტიკული ისტორია მიამბო. მისი იდილიურად დაწყებული და ტრაგიკულად დასრულებული სიყვარულის ამბავი მოწმობდა, რომ ამ რევოლუციონერი ასკეტის სული დახშული არ იყო უნაზესი ტრფია-

ლის განცდებისათვის; ამიტომ მან მეც ადვილად გამიგო, როდესაც ჩემი ეჭვების და ძიებების აღსარება ვუთხარი.

16

ტიურინგიის პატარა ქალაქი იენა, სადაც 1909 წლის შემოდგომა და ზამთარი გავატარე, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გერმანელი რომანტიკოსების თავშესაყარ ცენტრს წარმოადგენდა. იენის უნივერსიტეტში თავის დროზე შილერი, ფიხტე, შელინგი, შლეგელი კითხულობდნენ ლექციებს. შელინგის შემდეგ აქ ერთ წელიწადს ჰეგელსაც ეჭირა ფილოსოფიის კათედრა. მისი ბიოგრაფები ამბობენ, რომ თავისი „სულის ფენომენოლოგია“ მან იმ ღამეს დაასრულა, როდესაც ნაპოლეონმა პრუსიის ჯარი გაანადგურაო; ფრანგების არტილერია ქალაქის გალავანს ყუმბარებს უშენდა, მაგრამ ფილოსოფოსი ისე ღრმად იყო ჩაფლული თავის თხზულებაში, რომ ეს ვერც კი შეამჩნიაო.

ჩემს დროსაც იენის შეუშფოთებელი ატმოსფერო ადამიანს ხელს უწყობდა, რომ განყენებულ ფილოსოფიურ პრობლემებში ჩაღრმავებულიყო. ქალაქში მხოლოდ ერთი დიდი წარმოება იყო, მთელ მსოფლიოში ცნობილი ცეისის ოპტიკური ფაბრიკა და ერთი წიგნების გამომცემლობა დიდერიხისა, რომელიც უპირატესად გერმანელი რომანტიკოსების ნაწერებს აქვეყნებდა. უნივერსიტეტის შენობიდან, რომლის შესავლის კედელი შემკული იყო შვეიცარიელი მხატვრის ჰოდლერის სურათით, სადაც წარმოდგენილი იყო იენელი სტუდენტების ამხედრება 1813 წლის გამათავისუფლებელ ომში. ლუთერის ქუჩით ავდიოდით ტყით დაფარულ სერზე, ნაპოლეონის ქვასთან, საიდანაც ნაპოლეონს 1805 წელს თვალი ედევნებია იენის ბრძოლისათვის. იქიდან, წყნარ შემოდგომის დღეებში, კარგად ჩანდა მდინარე ზაალეს ტირიფიანი და თხმელიანი ნაპირები, რომელთაც გოეთესთვის მისი ცნობილი ბალადა „ტყის მეფე“ ჩაეგონებინა.

იენაში სომეხ სტუდენტთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლონია არსებობდა. ერთი მათგანი დაშნაკელი იყო. მისი მადა არ შეეფერებოდა მის პატარა ტანს. მისი წარმოდგენით მომა-

ვალ სომხეთს ძალიან ფართო ტერიტორია უნდა მოეცვა ევფრატის და ტიგროსის სათავეებიდან დაწყებული მტკვრის ხეობამდე. ის ამტკიცებდა, თბილისი ერთ დროს სომხეთის საზღვრებში შედიოდაო. სხვა სომეხი სტუდენტები ნაკლებ ნაციონალისტურად იყვნენ განწყობილი და ქართველ ერს მეგობრულად უცქეროდნენ. განსაკუთრებით სიმპათიურ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ანატოლიელი სოფლის მასწავლებლები, რომელნიც იენაში მოსულიყვნენ პედაგოგიკის შესასწავლად.

უფულობის გამო ლუთერის ქუჩაზე უფრო ხშირად და ხანგრძლივად მიხდებოდა მარხულობა, ვიდრე ეს საჭიროდ მიაჩნდა გერმანული პროტესტანტიზმის მამამთავარს. ამას ზედ დაერთო ინტენსიური გონებრივი მუშაობა, რამაც ძლიერ დამღალა. ამიტომ 1910 წლის გაზაფხულზე სამშობლოში დაბრუნდი დასასვენებლად. შემჩნეული მქონდა, რომ რა დაღლილიც უნდა ვყოფილიყავი, საკმაო იყო ორიოდე კვირა ჩემს სოფელში გამეტარებია და ჭრიჭინების და ბაყაყების კონცერტი მომესმინა, რათა სულიერი და ფიზიკური ძალები საკვებით აღმედგინა.

ჩქარა საქართველოში ჩემი დაბრუნების შემდეგ ჟანდარმერიამ ფედერალისტების პარტია დაარბია და მისი ბელადები დაატუსაღა; გადარჩა მხოლოდ ავადმყოფი არჩილ ჯორჯაძე. „სახალხო გაზეთის“ რედაქცია თითქმის სრულიად დაცარიელდა. მას მხოლოდ ორი-სამი მეორეხარისხოვანი თანამშრომელი შერჩა. ეს გაზეთი, ისედაც შევიწროებული რეაქციის წლებში, დიდ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი. ამიტომ მე უყოყმანოდ მივიღე მისი თანამშრომლების თხოვნა—მათთვის დახმარება გამეწია ყოველდღიურ სარედაქციო მუშაობაში, თუმცა რწმენით სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას არ ვეკუთნოდი.

ჩვენ ძალიან მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ოთხი-ხუთი კაცი, იროდიონ სონღულაშვილი, სიმონ მაჭავარიანი, სანდრო გრძელიშვილი, სიკო ფაშალიშვილი და მე ძლივს ავდიოდით წვრილმან სარედაქციო სამუშაოს, დეპეშების თარგმნას, წერილების და კორესპოდენციების სწორებას, ქრონიკის შედგენას, მოლაპარაკებას და მიწერ-მოწერას სტატიების და მოთხრობების ავტორებთან. გაზეთის ტირაჟი, რომელიც

რუსეთ-იაპონიის ომის დროს და 1905 წელს თხუთმეტ ათასამდე ადიოდა, სამი ათასზე იყო ჩამოსული. ხელის მოწერის და განცხადებების შემოსავალი ვერ ასდიოდა სტამბის და ქაღალდის ხარჯებს, დეფიციტის დასაფარავად სესხის და დახმარების ძებნა გვიხდებოდა. თანამშრომლები არავითარ გასამჯელოს არ ვღებულობდით. დიდი საქმე იყო, თუ ჩვენი მკაცრი მოლარე ესტატე ავალიშვილი კვირაში ერთი-ორჯერ ათ შაურს მოგვცემდა იაფფასიანი სადილის საჭმელად.

ცენზურა თანდათან უფრო მკაცრი და შარიანი ხდებოდა და პოლიტიკურ თემებზე წერა თითქმის შეუძლებელი იყო. ჩვენ ძალიან გვაწუხებდა, რომ გაზეთი სრულიად უფერული გახდა და არსებითად ახალი ამბების, დეპეშების და განცხადებების ფურცლად იქცა, ოდნავ გაცხოველებულად, სანდრო შანშიაშვილის და იოსებ გრიშაშვილის სატრფიალო ლექსებით.

ერთი ჩვენი თანამშრომელი არალეგარული პასპორტით ცხოვრობდა. ეს იყო სიმონ მაჭავარიანი, ჩვენი ცნობილი კომპოზიტორის ალ. მაჭავარიანის ბიძა. მე იშვიათად შემხვედრია მასზე უფრო უანგარო პატრიოტი. თუმცა უკვე 25 წლის ვაჟკაცი იყო, მაგრამ მის სახეს რაღაც ბავშვური გულუბრყვილობის იერი ჰქონდა.

ერთხელ სიმონ მაჭავარიანმა სარედაქციო მუშაობის დასრულების შემდეგ შემომთავაზა, სადმე ერთად ვისადილოთო. პუშკინის ქუჩის ბოლოში სარდაფში ჩავედით და იაფფასიანი კერძი და ერთი ბოთლი ღვინო მოვითხოვეთ. ვერც კი მოვასწარით ერთმანეთის სადღეგრძელო დაგველია და უფრო ბედნიერი დღეები გვესურვებია ჩვენი მეტეხისციხელი მეგობრებისთვის, რომ სარდაფში შემოვიდა ულიამოვნო სახის მამაკაცი, ცივი, გამჭვალავი თვალებით აგვათვალიერა. დახლთან მივიდა და ერთი ჭიქა ლუდი მოითხოვა. მაჭავარიანმა მაშინვე ეჭვი აიღო, ჟანდარმერიის მზვერავიაო. მე დავამშვიდე, ჩვეულებრივი რუსი ხელოსანია-მეთქი. როდესაც ცოტა ხნის შემდეგ სარდაფიდან ამოვედით, დავინახეთ, რომ მთელი მიდამო პოლიციელების რაზმით იყო გარემოცული, ორი უიარაღო ჟურნალისტის დასაჭერად. ცოტა მოშორებით თვალი მოვკარი ჩვენს ლუდისმოყვარულ მამაკაცს, ისე ხტოდა და როკავდა,

თითქო ომში მიმავალი ეროკეზების ბელადი ყოფილიყოს. პოლიციელებმა შუაში ჩაგვიყენეს და ჟანდარმთა სამმართველოში წამიყვანეს. ეს სამმართველო ახლანდელი ძერჟინსკის ქუჩისა და ლაბორატორიის შესახვევის კუთხეში იყო მოთავსებული. დიდ შენობაში, სადაც ამჟამად გეოლოგიური სამმართველოა. იქ ჩვენი გაზეთის მესამე თანამშრომელი სანდრო გრძელიშვილი დაგვხვდა დატყვევებული. ჩვენი დაკითხვა დაიწყო ახალგაზრდა ქერათმიანმა პოლკოვნიკმა. მან პირველად ყალბპასპორტიან სიმონ მაჭავარიანს მიმართა: — რა ჰქვია მამათქვენს და დედათქვენს, ბიძათქვენსა და ძალუათქვენს? რამდენი და-ძმა და რამდენი ბიძაშვილი გყავს? მას დამაკმაყოფილებლად არ ეჩვენა ჩემი ამხანაგის პასუხი, რაიცა გასაკვირველი არ იყო, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ის გორელი მოქალაქე იყო, პასპორტი კი კახელი თავადი ვახვახიშვილისა ჰქონდა.

მე ვფიქრობდი, რომ არაფერი მქონდა დასამალი. ჟანდარმს ვუთხარი, ჩემი კავშირი „სახალხო გაზეთთან" იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპიდან წერილებს ვაწვდიდი ქართული ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე, ხოლო უკანასკნელ თვეებში წინანდელი ხელმძღვანელობის დატუსაღების შემდეგ, სარედაქციო სამუშაოს ვასრულებდი-მეთქი. როგორც ეტყობოდა, ეს განცხადება მან ჩემი დანაშაულის უცილობელ საბუთად მიიჩნია.

ჩვენ ცალ-ცალკე დაგვამწყვდიეს ბნელ საკნებში. იქ გატარებული ერთი დღე და ღამე მთელ საუკუნედ მეჩვენა. როგორც კი ტახტზე წამოვწექი ტანთგაუხდელი, ჩემზე იერიში მოიტანეს სხვადასხვა ჯურის მწერებმა. მწყუროდა, სარკმელის საფარი გავწიე და შემთხვევით მახლობლად გამვლელ მსახურს წყალი ვთხოვე. პასუხი არ გამცა, თითქო ყრუ-მუნჯი იყო.

მეორე დღეს, საღამოთი მეტეხის ციხეში რომ მიმიყვანეს, მეჩვენა, აგარაკზე მოვხვდი-მეთქი. თავდაპირველად საერთო საკანში დამამწყვდიეს. ახალგაზრდა ფედერალისტმა ტიტე გელიაძემ თავისი ღარიბი ვახშამი გამინაწილა, გარედან შემოგზავნილი ყველი და ლავაში. როდესაც დაწოლის დრო მოვიდა, ჩემმა მასპინძელმა თავისი ლოგინი დამითმო და თვითონ ია-

ტაკზე დაწვა ჩემი პროტესტის მიუხედავად. კიდევ კარგი, რომ მეორე თუ მესამე დღეს საბანი და ბალიში შემომიგზავნეს გარედან. მეტეხის ციხეში საუკეთესო ქართველი ინტელიგენტების და მუშების საზოგადოება დამხვდა. ზოგი მათგანი ჩემი ძველი ნაცნობი და მეგობარი იყო. რადგან ტუსაღთა დიდ უმრავლესობას ქართველი რევოლუციონერები წარმოადგენდნენ, მათ წრეში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ იგრძნობოდა იმ ზნეობრივი კავშირის არსებობა, რომლის შემწეობით დევნილი ადამიანი ყოველ გაჭირვებას შედარებით ადვილად იტანს.

ჩემი საკანი მტკვრის მხარეზე გადიოდა, ის იმ საკნის გვერდით იყო მოთავსებული, სადაც გუშაგმა სარკმელში მაცქერალი ლადო კეცხოველი მოკლა. მეც მიყვარდა სარკმელში ცქერა, თუმცა იქიდან არაფერი ჩანდა, გარდა ქოხმახებისა და ტყავების მთელავი დაბაღებისა. ერთხელ, საღამოს ჩემი ნაცნობი ქალიშვილი დავინახე: ის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე იდგა ბექობზე და ჩემი სარკმელისაკენ იცქირებოდა. ქარი არხევდა მისი კაბის კალთებს და თხელ თავსაბურავს. ეს იყო პირველი და უკანასკნელი პაემანი. რომელიც ჩვენ ერთმანეთს გავუმართეთ, მაგრამ ის ბევრს სხვა პაემანზე უფრო ცხოველად ჩამებეჭდა მახსოვრობაში.

ტიტე გელიაძე და მე ჩქარა ერთმანეთს დაგვაშორეს. მე პატარა ორსაწოლიან საკანში გადამიყვანეს, ის ციმბირში გადაასახლეს სამუდამოდ. შემდეგ ბევრი გამოვიკითხე, მაგრამ ველარ გავიგე, რა ბედი ეწვია. მიამბეს, თითქო ციმბირიდან იაპონიაში გაქცეულიყოს, ხოლო იქიდან ავსტრალიაში თუ ამერიკაში გადასულიყოს. მაგრამ შეიძლება ეს ასე არ იყოს და ჩემს მეგობარს სადმე ტუნდრებში ეძინოს, უფრო ცივში, ვიდრე მეტეხის ციხის ასფალტის იატაკი იყო.

მეტეხის ციხის დარაჯები, უმეტეს ნაწილად, ყოფილი რუსი ჯარისკაცები იყვნენ. მეფის რუსეთის მთავრობა გულმოდგინედ მისდევდა გრიბოედოვის სკალოზუბის შეგონებას, რომ უკმაყოფილო ელემენტებს სათავეში ფელდფებელი უნდა ჩაუდგეს ვილტერის მაგივრად, ციხის უფროსი რომკევიჩი წარმოშობით პოლონელი იყო. ის საუკეთესო ლექსიკოგრაფი იქნებოდა, თუ ლანძღვაგინების სიტყვარის შედგენა საჭირო

ყოფილიყო. მთელი დღე ციხის ეზოში გაისმოდა მისი ღრიალი, უხვად შეზავებული მრავალსართულიანი გინებით და ცინიკური გამოთქმებით, რომელნიც მოკლებული არ იყვნენ ერთგვარ ვულგარულ გონებამახვილობას. როგორც ეტყობოდა, მას ერთგვარი წარმატებით ჰქონდა დასრულებული მეფის ყაზარმის და საროსკიპოს აკადემიები. მისი თანაშემწე რბილი ხასიათის რუსი პოლკოვნიკი იყო, მაგრამ მოითხოვდა, რომ თუ ტუსაღების სეირნობის დროს, რომელიც დღეში ნახევარი საათი გრძელდებოდა, ის ეზოში გაივლიდა, მწკრივის მეთაურს მისთვის სამხედრო სალამი მიეცა. ერთხელ მან ჩამოგვიარა, როდესაც ჩვენს მწკრივს გიორგი ლასხიშვილი მეთაურობდა. ლასხიშვილმა თავისი ბეცი თვალებით ვერ დაინახა ჩვენი პოლკოვნიკი, მაგრამ თუნდაც დაენახა, სამხედრო სალამს მაინც არ მისცემდა. ასეთი ურჩობისათვის ის კარცერში ჩასვეს.

თეთრი ტერორი მძვინვარებდა და სამხედრო სასამართლოს უმკაცრესი განაჩენები გამოჰქონდა: ერთხელ საღამოთი რკინისბადიანი ფანჯრიდან დავინახეთ, რომ შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა ახალგაზრდა ქართველი ტუსაღი შემოიყვანეს სამხედრო სასამართლოდან. ხელების მოძრაობით შევეკითხეთ, რა მოგისაჯესო, ყელზე მარჯვენა ხელი მოისვა იმის ნიშნად, რომ სახრჩობელა ჰქონდა მისჯილი. შემდეგ მტკიცე ნაბიჯით სიკვდილ-მისჯილთა კამერისკენ გასწია ბორკილების ჟღრიჟინით.

„სახალხო გაზეთის“ თანამშრომლები შედარებით ადვილად გადავრჩით: რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ ადმინისტრაციული წესით შიდა რუსეთის ქალაქებში გადასახლება მოგვისაჯეს, — ზოგს ხუთი, ზოგს სამი წლით. ჩემთვის მთავრობის წინაშე გენერალმა მაყაშვილმა იშუამდგომლა, და მე ნება დამრთეს ისევ გერმანიაში დავბრუნებულიყავი.

17

ბავარიის სატახტო ქალაქ მიუნხენს, სადაც პირდაპირ გამემგზავრე მეტეხის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, რათა იქ რამდენიმე თვე დამეყო, გერმანიის ათენს უწოდებდ-

ნენ. ეს სახელი მას დამსახურებული ექნებოდა, თუ ამისთვის საკმაო ყოფილიყო ქალაქის მოედანზე ამართული კარიბჭეები და საუცხოოდ მოწყობილი მუზეუმები, რომელთაც ძველი ბერძნების წაბაძულობით ბავარიელები პროპილეებს, პინაკოთეკს და გლიპთოტეკს უწოდებდნენ. მაგრამ მიუნხენი, რასაკვირველია, ვერ დაიკვეხნიდა, რომ თანამედროვე კულტურული კაცობრიობის გონებრივ მოძრაობას ვმეთაურობ, ისე როგორც კლასიკურ ეპოქაში მას ათენი მეთაურობდაო; თვით გერმანიაშიც, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დეცენტრალიზაციის წყალობით, რამდენიმე ქალაქი არსებობდა, რომელიც მიუნხენს არ ჩამორჩებოდა.

ბავარიაში უცხოელი უფრო გულღია საზოგადოებას ხვდებოდა, უფრო გემოგახსნილს გერმანული რენესანსის ტრადიციებისა და რომანული ქვეყნების ზეგავლენის წყალობით; რომის, ფლორენციის, პარიზის სიახლოვე აქ უფრო იგრძნობოდა, ვიდრე ჩრდილოეთ გერმანიაში. სამხატვრო გალერეებში, გამოფენებზე, მხატვართა და მოქანდაკეთა ატელიეებში. კონცერტებზე ხშირად შეეხვდებოდით გაურკვეველი ეროვნების ქალ-ვაჟთ ფერმკრთალი სახეებით და თითქოს ცხოვრების გადაღმა მაცქერალი სევდიანი თვალებით. საღამოობით, როდესაც ელნათურები ინთებოდა და არტისტული კაფეები იღებოდა, ქალაქს თითქოს რაღაც გაურკვეველი ვნების თრთოლვა იცავდა, ცხარე სიამოვნების წყურვილი. დამახასიათებელი კატასტროფების წინაშე მდგომარე საზოგადოებისათვის. ქალაქის ერთ მთავარ მოედანზე ობელისკი იყო ამართული. მიუნხენელები ირწმუნებოდნენ, ეს ობელისკი წაიქცევა, თუ მის გვერდით ოდესმე უბინაო ქალიშვილმა გაიარაო. ჩემს დროს მიუნხენის ობელისკი მტკიცედ იდგა და, მგონია, შემდეგაც არ წაქცეულა ბავარიის რევოლუციებისა და პუტჩების პერიოდში.

როდესაც უცხოელი გერმანიიდან ბოდენის ტბის გზით შვეიცარიაში გადადის, ის ხელშესახებად ხედავს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის სულიერი ფორმაციისათვის საერთო ისტორიულ მოგონებებს. როგორც ცნობილია, შვეიცარიაში სამი ტომი ცხოვრობს — გერმანელები, ფრანგები და იტალიელები. ზოგიერთ კანტონში გერმანელები და ფრანგები შე-

რეულნი არიან. გერმანია, საფრანგეთი და იტალია უშუალოდ ესაზღვრება შვეიცარიას. ამიტომ მიეხედავად, აქ არავითარი გაუგებრობა არ ხდება ეროვნულ ნიადაგზე და შვეიცარიელი ჩვეულებრივ არ იტყვის, მე გერმანელი, ფრანგი ან იტალიელი ვარო; მას შვეიცარიელობა, „ფიშის კავშირის" წევრობა საამაყოდ მიაჩნია.

შვეიცარიის ფედერაციას საძირკველი პირველად ფირვალდშტეტის ტბის ნაპირას ჩაეყარა მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. როდესაც ს

როგორც ჩვენი დედაქალაქი თბილისი, ჩვენი ნაციონალური ლეგენდის მიხედვით, დაარსებულია იმ ადგილას, სადაც ვახტანგ გორგასალს ხოხობი თუ ირემი მოუკლავს, ისე, შვეიცარიელების ისტორიული გადმოცემით, მათი ბერნი აშენებულია იმ ადგილას, სადაც შუა საუკუნეებში უღრანი ტყეები ყოფილა, დათვების სამფლობელო, მშვენიერი სანადირო გრაფ ცერინგერებისა და ერლახებისთვის. მე მგონია, არი რაღაც ღრმა აზრი იმ თქმულებაში, რომელთაც ხალხი ჰქმნის თავისი ისტორიის და პრეისტორიის ბნელ საუკუნეებზე. როგორც ყოველი რომაელი ლეგიონერი, პრეტორიანელი და იმპერატორი ამქღავნებდა, რომ მის ძარღვებში მგლის რძით გამოზრდილი რომულუსის სისხლი დიოდა, როგორც ყოველი ქართველი ქალი საუკეთესო შექებად მიიღებს, თუ მას ირემს ან ხოხობს შეადარებენ, ისე ბერნელი მოქალაქეები, მგონია, თავიანთ თავს სრულიადაც შეურაცხყოფილად არ ჩასთვლიან, თუ მათ ეტყვიან, რომ მათი მშობელი ქალაქი ტყუილუბრალოდ არ ატარებს დათვის სახელწოდებას. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ბერნის სენატმა ქალებს აუკრძალა კრინოლინების ჩაცმა და ძვირფასი მაქმანებისა და სამკაულების ტარება. ეს რიგორისტული სული ჩემს დროსაც ძლიერი იყო შვეიცარიის სატახტო ქალაქში.

არ ვიცი, მომხდარა თუ არა ოდესმე ბერნის ტყეებში იმის მსგავსი ეპიზოდი, როგორიც პროსპერ მერიმეს აღწერილი აქვს თავის „ლოკისში"; მაგრამ დიდად ნიშანდობლივია, რომ ბერნის ბაირაღზე დათვია გამოხატული, ქალაქის საუკეთესო შადრევანზე დათვის ქანდაკებაა ამართული, ხოლო ბერნელების საყვარელ გასართობს დათვების ცქერა წარმოადგენს. ისინი მოთავსებული არიან ქალაქის განაპირას, ერთ ღრმა რკინის მოჯირიან ქვის ხაროში. სადაც თითქო რაღაც ხალხური ბალაგანის მსახიობები გამხდარან და სასაცილოდ ჯამბაზობენ სტაფილოს, ტკბლეულის და ხორცეულის ჰონორარის მოლოდინში.

ამ ქალაქში მე თითქმის ორი წელიწადი გავატარე. როგორც ნოვგოროდში მოხვედრილ გრიგოლ ორბელიანს, მეც

ხშირად ქართული მწვადი მომნატრებია, იმიტომ რომ უმარილოდ და უმწვანილოდ მოხარშული ძროხის ხორცი უგემურად მეჩვენებოდა, ხოლო იაფფასიანი შოკოლადის ნამუსრევი ძნელი ასატანი იყო ხანგრძლივად. ფილოსოფიური ლექციები და ხელოვნების ისტორიის სემინარი აქ უფრო მოსაწყენი იყო, ვიდრე ლაიპციგში. ერთადერთ გონებრივ გასართობს წარმოადგენდა ოპერის თეატრი. სადაც რუსეთიდან გამოსული ებრაელი მომღერლები ვოტანის და ზიგფრიდის როლებს ასრულებდნენ, ხოლო უზომოდ გათქვირებული გერმანელი ქალები კრიმჰილდას და იზოლდას ასახიერებდნენ. სამშობლოს მოწყვეტილი, მის გონებრივ მოძრაობასთან და მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან სუსტად დაკავშირებული, მე ერთგვარ სანაზღაუროს ვპოულობდი ჩემს მეგობრებთან და უცხოელ სტუდენტებთან ურთიერთობაში. ჩემთვის ერთგვარ სანაზღაუროს წარმოადგენდა აგრეთვე ალპებში მოგზაურობა და ალპური ტბის პირას თვლემა თბილი ზაფხულის საღამოს საათებში, როცა ჩამავალი მზის სხივები ღებავდა ლურჯ-მწვანე ტალღების ზედაპირს და ღვინისფერი ნარინჯისფერს ეჯიბრებოდა, რათა მზის ჩასვლის შემდეგ ფოლადის და ტყვიის ფერში ჩანთქმულიყო.

ერთხელ ბერნში დილით ჩემი ბინის კიბეზე ჩავდიოდი. გვერდით ამიარა ორმა ახალგაზრდა ქალმა; როგორც ეტყობოდა, სტუდენტები იყვნენ. რაღაც გაურკვეველი შიშით ვარ შეპყრობილი, — უთხრა გერმანულად ერთმა მეორეს. — არ მესმის, რის გეშინია, — უპასუხა მას რუსულად მისმა მეგობარმა, ჩვენ მშვიდობიანი რესპუბლიკის ცენტრში ვიმყოფებით.

ბინდბუნდში კარგად ვერ გავარჩიე მათი სახეები, მხოლოდ შევამჩნიე, რომ პირველი მათგანი გამხდარი და ფერმკრთალი იყო, რის გამო მისი დიდი თვალები და ხშირი თმა კიდევ უფრო შავად ჩანდნენ. რატომღაც გავიფიქრე, ამ ქალმა პირველად და უკანასკნელად არ ამიარა გვერდით, ის ჩემს ცხოვრებაში რაღაც როლს შეასრულებს-მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ის მართლაც უნივერსიტეტში სწავლობდა და ჩემს მეზობლად დასახლებულიყო. ჩვენ თავდაპირველად უფრო გონებრივმა ინტერესებმა დაგვაახლოვა. მეტერლინკი-

დან, როდენბახიდან და ვერლენიდან ფლობერზე გადავედით, ფლობერიდან — მერიმეზე და სტენდალზე. მეორე ჩვენი საერთო გატაცება მთებში და ტყეებში ხეტიალი იყო. ბერნის ალპებში მოგზაურობის დროს ის მსუბუქად დახტოდა თოვლით დაფარულ ნაპრალებზე, უშიშრად გადადიოდა აქაფებული მდინარის აარეს ბეწვის ხიდებზე და სახიფათო უფსკრულების პირას ალპურ ვარდებს და ედელვაისებს ჰკრეფდა. ჩვენ გვიყვარდა როგორც მზის ნათელი ზოლებით განათებული ტყე, ისე მისი შავი კედლის წინ ჯდომა უმთვარო ღამეებში.

ორი წლის შემდეგ გარემოებამ ერთმანეთს დაგვაშორა. ვიღაცამ თქვა, ყოველ განშორებაში სიკვდილის შეგრძნობა შედისო. მაგრამ არ გვეგონა, რომ ეს დაშორება სამუდამო იყო. რამდენიმე წლის განმავლობაში მიწერ-მოწერა არ შეგვიწყვეტია; ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერთმანეთის კვალი დავკარგეთ.

1947 წ. ზაფხულში მოსკოვში გავემგზავრე, რათა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელ ყრილობას დავსწრებოდი. საზეიმო კრება მოსკოვის დიდ თეატრში შედგა. კრების დასრულების შემდეგ მომიახლოვდა ერთი სქელი ტანის მოხუცი ქალი და წითელი ვარდი მომაწოდა. მე ის ვერ ვიცანი. აღმოჩნდა, რომ ჩემი ოცდათხუთმეტი წლის წინათ განშორებული მეგობარი იყო. — როგორ მიცანით, ვკითხე დიდად გაოცებულმა. — თქვენი მხრების მოძრაობით, მითხრა მან ღიმილით.

და აი ახლა, როცა ამ ქალზე ვფიქრობ, რომელმაც ჩემს თვალწინ ორჯერ გაიელვა. მაგრამ უფრო თვალსაჩინო კვალი დასტოვა. ვიდრე ელვა სტოვებს გაზაფხულის ან შემოდგომის ღრუბლებზე, მე მას ვხედავ არა ისეთს, როგორც მოსკოვში წარმომიდგა დიდი თეატრის ფოიეში, ელექტრონის შუქით განათებული, არამედ ისეთს, როგორც ბერნში მეჩვენა ნახევრად ბნელ კიბეზე.

19

ჩქარა ბერნში ჩასვლის შემდეგ ჩემი წყნარი ცხოვრება ერთმა დრამატულმა ეპიზოდმა შეაშფოთა.

ბერლინის სამედიცინო ფაკულტეტზე, რომელიც იმ დროს ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლებოდა ევროპაში, ერთი ბერძენ-ველი ქალიშვილი სწავლობდა, ჩემი შორეული ნათესავი. ის უფრო შრომისმოყვარე იყო, ვიდრე მისი ნაზი, გამქვირვალე სახის კანის მიხედვით იყო მოსალოდნელი; როდესაც ადამიანი მის პოეტურ თავს უცქეროდა, მშვენიერი წაბლისფერი თმით შემკულს, ვერ წარმოიდგენდა, რომ მისი გონება საკმაოდ ფხიზელი იდეალებისაკენ იყო მიმართული. მას მხოლოდ ერთხელ, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს, გამოეჩინა მისთვის სრულიად შეუფერებელი რომანტიზმი და ცოლად მითხოვების პირობა მიეცა ერთი ახალგაზრდა კაცისათვის, რომელსაც მასზე 1905 წელს შთაბეჭდილება მოეხდინა მიტინგზე წარმოთქმული სიტყვებით. თუმცა იმ ახალგაზრდა კაცს თურქული გვარი ჰქონდა, მაგრამ დედით რუსი იყო, ხოლო მამით სომეხი: ისიც ბერლინის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე იყო ჩაწერილი. ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში მას თავისი სატრფოს ჯიბის ექსპლოატაცია ეწარმოებია, რათა უზრუნველად დრო ეტარებია ყავახანებში და ბანქოს სათამაშო ბუნაგებში. რაც შეეხება მეცნიერებას, არ მგონია მასზე რაიმე წარმოდგენა ჰქონოდეს, გარდა პათოლოგიური ფსიქოლოგიისა, რაც მას ლექციების და წიგნების გარეშეც შეეძლო შეესწავლა თვითდაკვირვების გზით.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ბერლინში ჩემს ჩასვლას დიდად შეუშფოთებია ჩემი ნათესავი ქალის მიჯნური. მე, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა იმ გარემოებამ, რომ მან თითქმის გაცნობისთანავე წინადადება მომცა — სადმე ტყეში ან მინდორზე წავსულიყავით სროლაში გასაჯიბრებლად. მე ვერაფერი სნაიპერი ვიყავი, მაგრამ დავთანხმდებოდი, რომ ჩემს ნათესავ ქალს არ დაეშალა. მეორეჯერ მთხოვა თოფ-იარაღის მაღაზიაში შევყოლოდი. ტყვიები მოითხოვა, რევოლვერი ამოიღო და დახლთან მისი გატენა დაიწყო, ისე რომ, ლულის პირი ჩემი წელისკენ ჰქონდა მომართული. არ ვიცი, რას უფრო ამოწმებდა, თავის გამბედაობას თუ ჩემსას. შემდეგ თავის მეგობრებთან გამოტეხილიყო, ძალიან ვნანობ, რომ მაშინ არ მოვკალი.

ჩემთვის საქმის ვითარება გვიან გამოირკვა. ჩემს ნათესავ

ქალს ბერნში ჩასვლამდე არასოდეს არ შევხვედრივარ. გაცნობის შემდეგაც მას ჩემთვის არ გაუმხელია თავისი ინტიმური ცხოვრების ამბები. მაგრამ მას, ჩემი დახმარების იმედით, მხოლოდ ჩემთან წინასწარ შეუთახმებლად, უარი ეთქვა თავისი საქმროსათვის. ამ უარმა, როგორც ეტყობა სრულიად ააფორიაქა უქმი და ნაყროვანი ცხოვრებით მოდუნებული მამაკაცის სული. მას ბუნებრივად ეჭვი დაებადა, რომ მე ვიყავი მისი ყოფილი საცოლის ჩამგონებელი. ეს ამბავი გახმაურდა სტუდენტების წრეში.

ერთხელ დილით ადრე ჩემთან შემოვიდა ერთი ჩემი ნაცნობი სომეხი სტუდენტი, დიდად აღელვებული, და მითხრა, რომ მისი შეურაცხყოფილი მეგობარი, განმზადებული, რათა იარაღით დაეცვა თავისი თავმოყვარეობა, ძირს მელოდა მოსალაპარაკებლად. მირჩია, მეც რევოლვერი ჩამედო ჯიბეში. რევოლვერი არ მქონდა, მაგრამ თუნდაც მქონოდა, მაინც თან არ წავიღებდი, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთს შემთხვევებში ადამიანი მოწინააღმდეგეზე თავდაჭერილობით უფრო მოქმედებს, ვიდრე თოფ-იარაღით.

ძირს ჩამოსვლისთანავე ჩემს ახირებულ სტუმარს მონღოლური იერის ნაყვავილარ, ბრტყელ სახეზე, სათვალედან მაცქერალ ამღვრეულ თვალებზე და ათრთოლებულ ხმასა და ხელებზე შევატყვე, რომ უძილო ღამე ჰქოდა გატარებული, თავგზადაკარგული იყო და ყოველგვარი ძალმომრეობის ჩადენა შეეძლო. მე მტკიცე ტონით დავუწყე საუბარი. ვუთხარი, თქვენი საცოლისაგან უარი ჩემი კარნახით არ მიგიღიათ, ისევე როგორც ჩემი კარნახით არ მომხდარა თქვენი პირობის დადება, როგორც ინტელიგენტ ადამიანს, უნდა გესმოდეს, რომ მუქარით ვერას მიაღწევთ, მხოლოდ მკაცრ წინააღმდეგობას წააწყდებით როგორც ჩემი, ისე ჩემი მეგობრების მხრით-მეთქი.

მან თავისი არ დაიშალა და სცადა რევოლვერით აღედგინა ყოფილი საცოლის ერთგულება. ქალმა პოლიციაში განცხადება შეიტანა, რომ მოკვლას ემუქრებოდნენ და ყოფილი საქმრო დაატუსაღეს. სატუსაღოდან ქალს წერილების გზავნა დაუწყო. ეევდრებოდა, ნუ დამღუპავ, ოღონდ აქედან ჩემი თავი გაათავისუფლებინე და პირობას დავდებ, ბერნიდან

სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში წავალ სწავლის დასასრულებლადო.

ჩემმა ნათესავმა ქალმა პირველად მხოლოდ ამის შემდეგ მომმართა, რათა რჩევა მიმეცა. მე ერთი უდიდესი შეცდომა ჩავიდინე, როგორიც საზოგადოდ ჩემს ცხოვრებაში ჩამიდენია: ქალს ვურჩიე პატიმრის გასათავისუფლებლად განცხადება შეეტანა იმ პირობით, რომ ბერნიდან სხვა უნივერსიტეტში გადავიდოდა. პატიმარმა ეს პირობა დასდო, მხოლოდ ერთი თვის ვადა მოითხოვა შინიდან ფულის მისაღებად და გაგზავრებისათვის მოსამზადებლად. მიღებული ფული ღვინის სმაში და ბანქოს თამაშში დახარჯა. ბოლოს, როდესაც დანიშნული ვადა მოვიდა, ღამით ლექციებიდან მარტოდ-მარტო შინ მიმავალ ქალს გზაში დახვდა, შეძახილით დააფრთხო და გაქცეულს უკანიდან რევოლვერის ტყვია მოარტყა თავში.

ძნელად დასაჯერებელი ამბავი მოხდა. ხუთიოდე ნაბიჯიდან გასროლილმა ნაგანის ტყვიამ ადვილად ვერ დასძლია ხშირი ხუჭუჭი თმის წინააღმდეგობა და თუმცა კეფის ძვალი გახვრიტა და ტვინში სალაპარაკო ცენტრი დააზიანა, მაინც იმდენი ძალა ვერ გამოიჩინა, რომ შუბლის ძვალიც გაეღვია: ის წარბს ზემოთ გაჩერდა თავის ქალაში.

როცა მეორე დილით ქირურგიულ საავადმყოფოში შევედი, დავინახე, რომ დაჭრილი ქალი საწოლზე იწვა: გაპარსულ თავზე თეთრი მარმაში ეხვია. სახეზე რაღაც ბავშვური უმწეობა ეტყობოდა სრულიად განსხვავებული მისი წინანდელი ენერგიული გამომეტყველებისაგან. — ნიანია, მომმართა მე. გამოირკვა, რომ სხვების ლაპარაკის აზრი ესმოდა, თვითონ კი ვერ ლაპარაკობდა: ყველას და ყველაფერს ნიანიას უწოდებდა; ეს ალბათ პირველი სიტყვა იყო, რომლითაც ის თავის გადიას მიმართავდა ენის ადგმის დროს. ქირურგს საჭიროდ არ ეცნო ქირურგიული იარაღებით მოქმედება. მას ეთქვა, ოპერაციის გაკეთება სახიფათო იქნებოდა. უმჯობესია, ტყვია თავის ადგილზე დარჩეს. ის თავის გარშემო ერთგვარ გარსს გაიკეთებსო.

ერთი წლის განმავლობაში ახალგაზრდა ქალი გამომთელდა, ნელ-ნელა მეტყველების უნარი აღიდგინა და გასათავებელი გამოცდებიც ჩააბარა სამედიცინო ფაკულტეტზე, მაგ-

რამ მას თავის ტკივილები დასჩემდა და მის ნათელ, მახვილ გონებას რაღაც უხილავი ჩრდილი გადაეფარა.

ბერნის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, რომელზედაც განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზრდა ქალის ჩვენებამ, დიდი გულწრფელობით დაწერილმა, დამნაშავეს ათი წლის საკატორღო ციხე მიუსაჯა. მას ვერაფერი უშველა ყველაზე სახელგანთქმული შვეიცარიელი კრიმინალისტის ცგრ›ვ›ინის სიტყვამ, ვინაიდან სასამართლოში გამოირკვა, რომ დამნაშავეს ქალის მოკვლა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით გადაეწყვიტა და თავისი დამცველის შეკითხვაზე, ეჭვი ხომ არ გქონდა, რომ შენს ყოფილ საცოლეს ვინმე შეუყვარდაო, მან უარყოფით უპასუხა.

განცდილმა ამბებმა ჩემში გააძლიერეს ის მოუსვენრობა და შეშფოთება, რომელიც საზოგადოდ დამახასიათებელი იყო იმ ეპოქის ადამიანისათვის. ამ სულიერი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად საუკეთესო საშუალებად ითვლება მოგზაურობა გონებრივ ან ფიზიკურ სამყაროში. მაგრამ ჩვენ ისეთი ბედნიერები აღარ ვიყავით, როგორც შუა საუკუნეების პილიგრიმები იყვნენ, რომელნიც საღარიბო ჯამით აღჭურვილნი მიდიოდნენ წმინდა ადგილების დასათვალიერებლად და რა შორეული გზაც უნდა გაევლოთ, ყველგან გულმოწყალე მასპინძლებს პოულობდნენ და რა უცხო ქვეყანაშიც უნდა მოხვედრილიყვნენ, მყუდრო თავშესაფარი ელოდათ მონასტრის და ქარვასლის თაღების ჩრდილში.

არსად არ მიგრძვნია ეს თავშეუსაფრობა ისე მწვავედ, როგორც ზამთრის თვეებში ბრიუსელში ვიგრძენი. ეს არი ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილი ქალაქი ევროპაში, შესანიშნავი თავისი არქიტექტურული ანსამბლებით, მდიდარი მუზეუმებით და წიგნთსაცავებით, თავისი თავაზიანი მოსახლეობით, ხოლო განსაკუთრებით — სანიმუშო სისუფთავით. მთელი ქალაქი განუწყვეტელი რეცხვის პროცესში იმყოფება: საპნით შეიარაღებული დიასახლისები ფანჯრების ჩარჩოებს და დარაბებს რეცხავენ, უზარმაზარი საგველებით შეიარაღებული მუშები—ასფალტიან ქუჩებსა და მოედნებს, ბოლოს შეუჩერებელი წვიმა — შენობების სახურავებს და კედლებს. მაგრამ აქ ბევრი სისხლიც დაღვრილა თავისუფლებისათვის,

და ერთ მშვენიერ ოთხკუთხედ ბოედანს მემორიალური დაფა აქვს: „აქ დუკა ალბას ბრძანებით ინკვიზიციას წინააღმდეგ გამოსვლისათვის 1568 წ. თავი მოჰკვეთეს გრაფ ლამორალ ეგმონტს“.

ბრიუსელში პირველად შევხვდი თედო სახოკიას, მსურვალე ქართველ პატრიოტს, რომელმაც შესამჩნევი როლი ითამაშა ჩვენი ეროვნული შეგნების განმტკიცებაში. თუმცა ციმბირს გარდა, სადაც თედო სახოკიამ, როგორც პოლიტიკურმა დამნაშავემ, რუსეთის მეფის ხარჯზე იმოგზაურა, მას რამდენიმე ევროპული ქვეყანა ჰქონდა შენოვლილი და ფრანგულს გარდა იტალიური და ინგლისური ენაც იცოდა, თავისი ფესვებით იგი ღრმად დაკავშირებული იყო ქართულ კულტურასთან და მოუთმენლად ელოდა, რომ მთავრობისაგან სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიეღო. მისი ოთახის კედელზე ერთი ტაბელ-კალენდარი ეკიდა: რა დროსაც უნდა შესულიყავით, თუნდ გათენებისას, იმ დღის რიცხვი უკვე წაშლილი ჰქონდა. როცა მე ვეუბნებოდი, დღევანდელი დღე ხომ მხოლოდ დაიწყო-მეთქი, ის მიპასუხებდა, დაწყებული დღე ემიგრანტისათვის უკვე განვლილი დღეაო. ის მზად იყო თავისი სიცოცხლის დღეები შეემოკლებინა, ოღონდ თავისი სამშობლო და თავისი ოჯახი კიდევ ენახა.

იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელსაც იმდენი მეგობარი ჰყოლოდეს, რამდენიც თედო სახოკიას ჰყავდა. მას პირადი ურთიერთობა ან მიწერ-მოწერა ჰქონდა თავისი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან და მისი კერძო წერილები და მოგონებანი საინტერესო მასალას შეიცავენ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გასაცნობად.

მეორე ქართველი, რომელსაც ბრიუსელში გავეცანი, იყო „მამელუკის“ ავტორი კ. თათარიშვილი (უიარაღო). მას მღვდლის ანაფორა გაეხადა, რათა ბელგიის სატახტო ქალაქში მოსულიყო ბუნებისმეტყველების შესასწავლად. თავისი ოპტიმიზმით და სიცოცხლის სიყვარულით ის საუკეთესო წარმოდგენას იძლეოდა ქართველი ხალხის ენერგიაზე. ბრიუსელის ქუჩებში ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა, გეგონებოდათ ენგურის ნაპირას დგას და ცდილობს ხმა მიაწვდინოს მეორე

მხარეზე მდგომ ადამიანსაო. თავდაპირველად თითქმის არაკითარი სახსარი არ ჰქონდა საარსებოდ, მაინც გულს არ იტეხდა. რომელიღაც ევროპული თუ ამერიკული საქველმოქმედო საზოგადოების შემწეობით შესძლო უნივერსიტეტის კურსის დასრულება; საქართველოში დაბრუნდა და თბილისის უნივერსიტეტის ლექტორი გახდა; თავისი ხელით პატარა ბინაც აიშენა მთაწმინდის უბანში; მაგრამ ზედმეტად დაენდო თავის ჯანმრთელობას. არ მოიშალა სუსხიან დღეებში უპალტოოდ და უქუდოდ სიარული, გაცივდა და ფილტვების ანთებას გადაჰყვა.

თათარიშვილს და მე ფრანგული ენის გაკვეთილებს ერთი მოხუცი ქალი გვაძლევდა. ერთხელ ამ ქალმა შემომთავაზა სპირიტისტთა წრის სეანსს დავსწრებოდი. დარბაზში საკმაოდ მრავალრიცხოვან საზოგადოებას ნოეყარა თავი, უმრავლესობას ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ. მე ვერ შევძელი საიქიოს ბინადართ დავკავშირებოდი და ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ ეს ვერც სხვებმა შესძლეს. საერთოდ სპირიტიზმი, ოკულტიზმი და სხვადასხვა მისტიკური მიმდინარეობანი მოწმობდნენ, რომ ევროპის საზოგადოება შეშფოთებული იყო იმ გარეგნოებით, რომ ძველი რელიგიური რწმენა დაკარგული ჰქონდა, ხოლო პოზიტიურ მეცნიერებაში დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ პოულობდა სიცოცხლის და სიკვდილის მარადიულ საკითხებზე.

ამით აიხსნებოდა ინტერესის გაძლიერება შუა საუკუნეების რელიგიური ხელოვნებისადმი. ერთი ახალგაზრდა ბელგიელი დამიმეგობრდა, ხელოვნების კარგი მცოდნე. მასთან ერთად ხშირად დავდიოდი ბრიუსელის მუზეუმებში. უკვირდა, რომ რენესანსის მხატვრობასა და ქანდაკებას უპირატესობას ვაძლევდი შუა საუკუნეების ხელოვნების წინაშე. განსაკუთრებით არ უყვარდა რუბენსი, რომელსაც, მისი აზრით, აკლდა ბიზანტიელი მხატვრების, იტალიელი პრიმიტივისტების, ელ გრეკოს, რემბრანდტის ღრმა სულიერობა.

ევროპული კაცობრიობის სულიერი გათიშვა არსად არ იგრძნობოდა ისე აშკარად, როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბელგიის მოსახლეობის ერთი ნახევარი კათოლიკურ პარტიას აძლევდა უპირატესობას, მეორე — სოციალისტურს. ამ

უკანასკნელს მეთაურობდა ცნობილი ემილ ვანდერველდე, რომელიც გარდა წმინდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა და საინტერესო ლექციებს კითხულობდა ბრიუსელის მშვენიერად მოწყობილ „თავისუფალ უნივერსიტეტში". ბრიუსელში ის გამხდარ, ნერვიულ ადამიანად მეჩვენა. შვიდი წლის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა მეორე ინტერნაციონალის ბელადების დელეგაციაში. მინისტრის სავარძელში, ცოტა არ იყოს, დასრულებულიყო და გულკეთილ ბურჟუას დამსგავსებოდა. საჯარო ლექციაში, რომელიც ქართული კლუბის შენობაში წაიკითხა, აღნიშნა, რომ მასზე უღრმესი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის თავისებურებამ და იმ გარემოებამ, რომ სოციალისტური იდეოლოგიის გავლენა ასეთი ძლიერია ესოდენ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. პატარა, ჩაგრული ერებისთვის სოციალიზმი ერთგვარ რელიგიად იქცა, ისინი მასში თავისი ხსნის იმედს ხედავენო.

20

ჩემი სამშობლოდან განდევნის უკანასკნელი დღეები ევროპაში განსაკუთრებით გავარვარებულ ატმოსფეროში გავატარე. ორი მოპირდაპირე კოალიცია — სამთა კავშირი და სამთა შეთანხმება ემზადებოდა გადამწყვეტი შეჭიდებისათვის, რომელსაც კარგა ხნით უნდა გადაეწყვიტა კულტუროსანი კაცობრიობის ბედი. გაცხარებით სწარმოებდა ომის დიპლომატიური მომზადება, ორივე მხრის მეთაურები დიდ აქტიურობას იჩენდნენ.

ერთხელ ჯერ კიდევ ბერნში ყოფნის დროს, როდესაც ნაშუადღევს ჩემი ოთახიდან გამოვედი, ქუჩაში აუჩქარებლად მიმავალი ეტლი დავინახე: შიგ შვეიცარიის პრეზიდენტის გვერდით ვილჰელმ მეორე იჯდა; თუმცა უბრალო სამოქალაქო ტანისამოსი ეცვა, მისი არცნობა შეუძლებელი იყო, იმდენად დამახასიათებელი სახე და აწკეპილი ულვაშები ჰქონდა, ეტლს არავითარი ამალა არ ახლდა და მას არც არავინ ყურადღებას არ აქცევდა. გერმანიის იმპერატორი შვეიცარიაში პოლიტიკური მიზნით იყო ჩამოსული; ალბათ სურდა გა-

მოერკვია, დაიცავდა თუ არა გერმანიისადმი კეთილგანწყობილ ნეიტრალიტეტს შვეიცარიის რესპუბლიკა. არ ვიცი, რა პასუხი მიიღო მან რესპუბლიკის პრეზიდენტისაგან, მხოლოდ ჩემთვის, ყოველ შემთხვევაში, აშკარა გახდა, რომ მოახლოებულ გრანდიოზულ ორთა ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა შედარებით მცირე ოდენობის პოლიტიკურ ფაქტორებსაც.

ეს ჩემთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა 1913 წლის ზაფხულის თვეებში, როდესაც ბადენის ტბის ნაპირას ვცხოვრობდი, ერთ შვეიცარულ სოფელში გერმენულ ქალაქ კონსტანცის მახლობლად. ამ მშვენიერ ქალაქში მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში შედგა ცნობილი მსოფლიო საეკლესიო კრება, რათა ბოლო მოეღო დასავლეთის ქრისტიანობის გათიშვისთვის. მან კოცონზე დაწვა მიუსაჯა ჩეხელ რეფორმატორს იან ჰუსს. ჩემს დროს კონსტანცის საეკლესიო კრების შენობა ძალიან არქაულ და უწყინარ შთაბეჭდილებას ახდენდა. კონსტანცის ხიდს არქიეპისკოპოსების ქვის ქანდაკებანი ამკობდნენ, ინკვიზიციის ყველა კოცონი ჩაფერფლილი იყო, პაპის მომხრე და მოწინააღმდეგე თეოლოგების კამათი — დადუმებული. მაგრამ საკმაო იყო, კაცი შვეიცარიიდან კონსტანცში გადასულიყო, რათა მაშინვე ეგრძნო, რა ახლო იყო ქარტეხილი, რომელსაც ერთხელ კიდევ უნდა შეეზანზარებია ბებერი ევროპა. ქალაქი სავსე იყო ოფიცრებით, რომელთაც იმისდა მიუხედავად, რომ ბადენის საჰერცოგოში იმყოფებოდნენ, განსაკუთრებით პრუსიული იერი ჰქონდათ, და პოლიტიკური აგენტებით, რომელთაც დაკვირვებული ადამიანი ყოველთვის გამოარჩევს მათი უმოძრაო ნიღბებისა და მოუსვენარი გამოხედვის წყალობით.

მსოფლიო ომის მოლოდინმა ყველგან გამოაცოცხლა პოლიტიკური აზროვნება. არას ვამბობ სოციალურ საკითხებზე, ის ევროპაში ყველგან მწვავედ იდგა მეცხრამეტე საუკუნეში. მას მრავალერიან და კოლონიურ იმპერიებში, განსაკუთრებით რუსეთსა, ავსტრია-უნგრეთსა, ბრიტანეთის იმპერიაში ზედ დაერთო ნაციონალური საკითხი.

საქართველოში სეპარატისტული პოლიტიკის გავლენა ძალიან სუსტი იყო: პატრიოტულად მოაზროვნე ქართველი სა-

ზოგადოების იდეალი არ სცილდებოდა ფედერალისტების პროექტს, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიული ავტონომია უნდა მიეღო მომავალი დემოკრატიული რუსეთის ფედერაციაში. ქართველი მენშევიკების პარტია მკაცრად ილაშქრებდა ამ არსებითად ზომიერი პროექტის წინააღმდეგ.

ხანგრძლივი ყოყმანის და ძიების შემდეგ ქართველი მენშევიკები მიემხრნენ ნაციონალურ პროგრამას, შემუშავებულს ავსტრიული სოციალ-დემოკრატიის თეორეტიკოსების მიერ. ამ პროგრამის მიხედვით ჩაგრულ ერებს ეგრეთწოდებული კულტურული ავტონომია უნდა მინიჭებოდა: უნდა მომხდარიყო სკოლის, თეატრის, ეკლესიის, კლუბების ნაციონალიზაცია, ხოლო მათ გასაძღომად ექსტერიტორიული ეროვნული საბჭოები დაარსებულიყო.

1913 წელს ქართველი მენშევიკების მეთაურმა ნოე ჟორდანიამ, ნარიძის ფსევდონიმით, ქუთაისში გამოაქვეყნა ბროშურა „ნაციონალური საკითხი ჩვენში". ის ამტკიცებდა ტერიტორიის პრინციპი ამჟამად სოფელში გაბატონებული წვრილი და მსხვილი მემამულეების პრინციპიაო; ტერიტორიული ავტონომია განსაკუთრებით მიუღებელია ქართველი ერისათვის, ვინაიდან მის ტერიტორიაზე მოსახლეობის ერთ მესამედს უცხო ელემენტები წარმოადგენენ, სომხები, რუსები, ოსები და სხვებიო. ეს გარემოება ხელახლა ეროვნულ შუღლსა და ჩაგვრას გამოიწვევს, თუ ქართველმა ერმა სრული პოლიტიკური ხელისუფლება მოიპოვა და მას იძულების ორგანოები ეყოლა ჯარის და მილიციის სახითო.

როდესაც ეს ბროშურა გამოვიდა, უკვე პარიზში ვიმყოფებოდი, ის იქ წავიკითხე. შემოდგომის და ზამთრის ნისლიან დღეებში ბევრს ვფიქრობდი ჩვენი სამშობლოს ტერიტორიაზე, რომელმაც ასეთი დიდი გავლენა იქონია მის პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიაზე, მისი თავდაცვის სისტემაზე, მის ხელოვნებასა და მწერლობაზე, საერთოდ, მის სულიერ ფორმაციაზე. ამიტომ ეროვნული კულტურის და ტერიტორიის ერთიანობის პრობლემაზე დაფიქრებამ, ცოტა არ იყოს, ხელი შემიშალა სათანადოდ დამეფასებინა პარიზის მშვენიერება.

მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევრიდან, როდესაც სახელოვანმა ფილოსოფოსმა და პოეტმა პიერ აბელარმა წმინდა ჟენევიევის გორაკზე, იქ, სადაც ამჟამად პანთეონის შენობაა აღმართული, ღია ცის ქვეშ ლექციების კითხვა დაიწყო და ამით საძირკველი ჩაუყარა უნივერსიტეტს, შემდეგ სორბონად წოდებულს, პარიზი დასავლეთ ევროპის კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. ამ ქალაქმა ხელმძღვანელი როლი შეინარჩუნა მთელი რვა საუკუნის განმავლობაში, როდესაც დასავლეთის კაცობრიობამ ფეოდალიზმიდან რენესანსის გზით ბურჟუაზიული კულტურის აყვავებას და მომწიფებას მიაღწია. ამ ქალაქში მისცეს ზეადმავალი ბურჟუაზიის ბელადებმა რელიგიური ფანატიზმის დამცველებს გადამწყვეტი ბრძოლები, ამ ქალაქიდანვე სორბონის თეოლოგები თავიანთი ლექციებით, ნაწერებით და გადაწყვეტილებებით ბოჭავდნენ თავისუფალ აზროვნებას. ბოლოს, ყველაზე გრანდიოზული ბრძოლები მეცხრამეტე საუკუნეში ბურჟუაზიას პარიზის პროლეტარიატმა გაუმართა. ამიტომ დასავლეთ ევროპის გამთიშველი კონფლიქტები და კულტურული ძიებანი ჩვენს დროს ისე კარგად არსაღ არ იგრძნობოდა, როგორც პარიზში.

პარიზი ახალმისულს, უწინარეს ყოვლისა, თავისი კონტრასტებით აოცებდა. მე ერთ იაფფასიან სუფთა სასტუმროში ვცხოვრობდი ლათინურ კვარტალში. ხშირად გვერდით ჩამივლია პანთეონისათვის, სადაც ვოლტერი, რუსო და ჰიუგო განისვენებდნენ, და წმინდა იაკობის ქუჩა გადამისერავს, ესოდენ სახელგანთქმული საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ეპოქიდან. მაგრამ იქიდან შორს არ იყო სენ-მიშელის ბულვარი, სადაც ის დიდი კოშკის საათი ეკიდა, რომლის დარეკვა ბართლომეს ღამეში ფანატიკოსმა კათოლიკებმა ნიშნად მიიღეს, რათა ჰუგენოტების ჟლეტა დაეწყოთ. ხშირად, როდესაც წმინდა ჟენევიევის ბიბლიოთეკაში შევდიოდი, ოცნებით ამ შორეულ საუკუნეებში გადავსულვარ, როდესაც საფრანგეთის დედაქალაქს პარიზი კი არა, ლუტეცია ერქვა და როდესაც ნორჩი ჟენევიევა მოქალაქეებს ეროვნული თავისუფლების სახელით ატილას ურდოების წინააღმდეგ ამხედრებდა. მაგრამ

შემდეგ, როდესაც იქიდან საღამოთი ჩემს მეგობარ ქართველ პოეტთან პაოლო იაშვილთან გამივლია ესტრაპადის ქუჩაზე, ძალაუნებურად იმ საშინელ იარაღზე მიფიქრია, რომლითაც ინკვიზიტორები ერეთიკოსებს, კუდიანებს და მძიმე დამნაშავეებს აწამებდნენ. რამდენი ისტორიული მოგონება იყო დაკავშირებული გოთური ხუროთმოძღვრების შედევრთან, პარიზის ნოტრდამთან, რომლის ქვის ქიმერებს ადამიანი შუა საუკუნეებში გადაჰყავდა! მაგრამ საკმაო იყო მის კოშკზე ასულიყავით, რომ მთელი პარიზი დაგენახათ თანამედროვე საინჟინრო ხელოვნების შედევრსა, რკინით აგებულ ეიფელის კოშკამდე.

ჩემს დროს საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში დიდი ჰუმანისტი და ინტერნაციონალისტი ჟორესიც მოღვაწეობდა და „გერმანელთა შთანთქმელი“ კლემანსოც; წიგნის მაღაზიების ვიტრინებში ანატოლ ფრანსის რომანების გვერდით ბულვარული რომანები იყო გამოფენილი. ქალაქს ჰქონდა ვოლტერის სახელობის ყავახანა, სადაც ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყრიდნენ თავს და „მულენ რუჟის“ და „ფოლი ბერჟერის“ კაფეშანტანები, სადაც ათასგვარ საშუალებებს იგონებდნენ გამაძღარი და ხანში შესული ბურჟუების დაჩლუნგებული სქესობრივი გრძნობების გასაღიზიანებლად. „ხელოვნების ხიდიდან“ კი უიმედოდ შეყვარებულნი ან უსახლკარონი სენაში ვარდებოდნენ თავის დასახრჩობად.

არსად დედამიწის ზურგზე ამდენი უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანი ერთად თავს არ იყრიდა, როგორც იტალიელების და კაპუცინების ბულვარზე, არსად იმდენი ლამაზი ქალი თავის სხეულს არ აფენდა, როგორც გრანდოპერაში; ამავე დროს პარიზის მანსარდები დასახლებული იყო ყველაზე შრომისმოყვარე ახალგაზრდებით, ხოლო პარიზელი ხელოსნები — დურგლები და კალატოზები, მეავეჯეები და წიგნის მკინძავები, თერძები ფეხსაცმელების მკერავები — ნამდვილი მხატვრები იყვნენ, შუა საუკუნეების და რენესანსის ოსტატების ჩამომავლები. არსად ბურჟუაზიულ მსოფლიოში ადამიანის ტვინი აზროვნებით ისე არ ინთებოდა, არსად მისი ნერვები სიამოვნების ციებ-ცხელებით ისე არ ითენთებოდა, როგორც პარიზში. მაგრამ ამავე დროს ყოველ საზოგადოებრივ ფენაში ისტორიუ-

ლი ტრადიცია ბევრად უფრო ძლიერი იყო, ხოლო ოჯახის მორალი უფრო მტკიცე, ვიდრე, ფრანგული ლიტერატურის მიხედვით შეიძლებოდა წარმოგვედგინა.

კლიუნის მუზეუმი ერთ-ერთი მეტად დამახასიათებელი ძეგლი იყო პარიზში. მის ეზოში ქვის ლომები იდგნენ, ისინი, მგონია, რომაული ტერზების ნანგრევებიდან იყვნენ დარჩენილი. ამ ქვის ლომებს თავზე მწვანე მოლი ამოსვლოდათ სიბერის გამო. მუზეუმის დარბაზები სავსე იყო შუა საუკუნეების და რენესანსის ეპოქის ავეჯეულობით, იარაღით, ბრინჯაოთი, ჭურჭლით, სამკაულებით. როდესაც ადამიანი ფერადი ფანჯრებით განათებულ ოთახებში სანთლიდან გაკეთებულ შეჯავშნულ რაინდებს უცქეროდა, გოთურ სავარძლებში მჯდომარეთ ან ძველებურ ფართო ბუხრებზე მიყრდნობილთ, მას ეგონებოდა, ჯვაროსანი მეომრების ან ფრანსუა პირველის ჯარისკაცების საზოგადოებაში ვიმყოფებიო. მაგრამ საკმაო იყო ქუჩაში გასულიყავით და მაშინვე დიდი თანამედროვე ქალაქი დაგეუფლებოდათ თავისი ელნათურებით და გაზის რქებით, ავტომანქანებით და ყავახანებით, იღლიაში წიგნებამოჩრილი სტუდენტებით და მომხიბლავი გრიზეტებით.

პერ ლაშეზის სასაფლაო თითქო პარიზის გმირულ მატიანეს წარმოადგენს. არსად ისე არ იგრნობა მჭიდრო კავშირი ცოცხალ და გარდასულ თაობებს შორის, როგორც ამ მშვენიერ ნეკროპოლში. ჭირისუფლები მარტო ახლადგარდაცვლილი ადამიანებისთვის როდი ზრუნავდნენ. როდესაც აბელარის და ელიოზას ქვის სარკოფაგთან მივედი, დავინახე, რომ მას ცოცხალი ყვავილების თაიგულები ეყარა, ეს უბედური მიჯნურები კი აქ თითქმის რვაასი წელიწადი წვანან. ნახევარი საუკუნის წინათ ჩემამდე მათი საფლავი ჩვენმა დრამატურგმა გიორგი ერისთავმა ინახულა და მაინც ცოცხალი ყვავილების გვირგვინები აღმოაჩინა, ახალგაზრდა ქალების მიერ მიძღვნილი. ყვავილების გვირგვინებითაა შემკული ფედერატების კედელიც, სადაც 1871 წლის მაისში გააფთრებული ტიერის და გალიფეს ჯარისკაცებმა კომუნარები დახვრიტეს.

ერთხელ პარიზის ბირჟის ეზოში შევიხედე. სახეგაწითლებული, გაოფლიანებული სპეკულიანტების ღრიანცელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მეგონა საგიჟეთში მოვხვ-

დი-მეთქი. ამის შემდეგ სორბონაში ერთი ცნობილი პროფესორის ლექციას დავესწარი. ის აუდიტორიაში შემოვიდა, საკურძელში ჩაჯდა ისე, როგორც ჩემი წარმოდგენით ლუი მეთოთხმეტის დროინდელი კარისკაცები სხდებოდნენ, და იტალიური რენესანსის ლიტერატურაზე ორსაათიანი ლექცია წაიკითხა, უნაკლო როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

შინაგან წინააღმდეგობათა მიუხედავად პარიზი მაინც ერთ დიდ მხატვრულ ანსამბლს წარმოადგენს და მისი ორგანული განვითარება თითქმის არ შეფერხებულა რომის ეპოქიდან დღევანდელ დღემდე. საფრანგეთის დედაქალაქი მტერს იშვიათად აუღია, ხოლო როდესაც აუღია, მოკრძალებით შეჩერებულა მისი ისტორიული ძეგლების წინაშე. ლუვრის აშენება მეცამეტე საუკუნის პირველ წლებში დაიწყო, როდესაც საფრანგეთში ფილიპ ავგუსტი, ხოლო საქართველოში თამარი მეფობდა; ის მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დასრულდა ნაპოლეონ მესამის დროს. ამისდა მიუხედავად, ლუვრი მთლიანობის და ჰარმონიულობის შთაბეჭდილებას იწვევს. ამ ხნის განმავლობაში თბილისის სასახლეები მტრებმა ათასჯერ დაანგრიეს და დაწვეს. მაშინ, როდესაც ისნის პალატებიდან საძირკვლებიც აღარ დარჩენილა, პარიზს ყველა ისტორიული ეპოქის ძეგლები შეუნარჩუნებია და სენტშაპელის ტაძრის ქვის არშიებიდან ეიფელის კოშკის რკინის არშიებამდე, ვოგეზების მოედნიდან ელისეს მინდვრებამდე შეუწყვეტელი ტრადიციის ჯაჭვია გაბმული.

ჩემს დროს კოლეჟ დე ფრანსში, რომელიც ერთგვარ უმაღლესი საფეხურის უნივერსიტეტს წარმოაგენდა. ჰანრი ბერგსონი კითხულობდა ფილოსოფიურ ლექციებს. როგორც ეტყობოდა, ის პოპულარული იყო არა მარტო მოსწავლე ახალგაზრდობაში, არამედ შეძლებული საზოგადოების მანდილოსნებშიც, რომელთაც ასაკი ნებას აღარ აძლევდათ ტრფიალების გართობებში ჩაბმულიყვნენ. ისინი აუდიტორიაში ორი საათით ადრე მოდიოდნენ ბერგსონის ლექციების დაწყებამდე და ნაწილობრივ ლექსების და რომანების წიგნებით, ნაწილობრივ წინდის ჩხირებით იყვნენ შეიარაღებულნი. დაგვიანებულად მოსულ სტუდენტებისათვის აუდიტორიაში თავისუფალი ადგილები აღარ იყო, ისინი მეზობელ ოთახებში იდგნენ შეჯგუფულნი;

ძნელი საფიქრებელია, რომ მათ აქ რამე ესმოდათ. ამრიგად, გამხდარი, წვერულვაშმოპარსული, შავ სერთუკიანი ბერგსონის სიტყვები, ცოტა არ იყოს, მანერული ტონით წარმოთქმული, უნაყოფოდ იკარგებოდა კოლეჟ დე ფრანსის კედლებში; მაგრამ მათ გავლენა მოახდინეს ამ კედლების იქით — იტალიელ ფაშისტებზე და გერმანელ ნაცისტებზე.

პარიზის ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ სამკაულს უცილობლად მისი სენის სანაპიროები წარმოადგენს. აქ, სხვათა შორის, ბუკინისტებს ძველი წიგნებით სავსე ყუთები უწყვიათ. აქ შეხვდებოდით შედევრებს, რომელთა შექმნაში წიგნის ავტორი, მხატვარი, სტამბის მუშა, ამკინძავი ერთმანეოს შეჯიბრებოდნენ, რა მძაფრ სიამოვნებას განიცდიდით, როდესაც რომელიმე ძველ ქრონიკას აღმოაჩენდით, გულუბრყვილო სურათებით შემკობილთ ან ლაფონტენის იგავ-არაკებს და პეროს ზღაპრებს დორეს ილუსტრაციებით, ან კიდევ რუსოს „აღსარებას“ და ვოლტერის ფილოსოფიურ მოთხრობებს, რომელთაც არავითარი მხატვრული სამკაული არ სჭირდებათ, იმდენად პლასტიკურია მათი სახეები. მაგრამ საკმაო იყო რომელიმე წიგნის კიოსკთან შეჩერებულიყავით, იქ ცხრამეტ სულ თანამედროვე რომანის გამოცემას მოგაწვდიდნენ, მისი შინაარსი ქმრის, ცოლის და საყვარლის დაუსრულებელ კომბინაციას წარმოადგენდა, ხოლო მის გარეკანს ჩვეულებრივ ამკობდა სადგისის ულვაშებიანი მამაკაცის და მაღალგულმკერდიანი დედაკაცის სურათი, რომელიც შეურაცხოფას მიაყენებდა ყოველი ლექსის მთხზველი პარიკმახერის გემოვნებას.

შემოდგომის და გაზაფხულის სალონებში, სადაც აკადემიური ფერწერის და ქანდაკების გამოფენები იმართებოდა, უპირატესი ადგილი ტიტველი ქალის და ვაჟის თემას ეჭირა, მაგრამ ტიტველი სხეულების დიდი პოეტების — ბუშეს, ენგრის-რენუარის ადგილი მათ უძლურ ეპიგონებს დაეკავებინათ. ისინი იძლეოდნენ არა სხეულის შეგრძნობას, არამედ მისი გარეკანის ნერვიულ თრთოლვას. პეიზაჟისტებს დაკარგული ჰქონდათ ბუნების საიდუმლოების გრძნობა, რომელიც დიდ ფრანგულ მხატვრულ სკოლას ახასიათებდა მთელი მისი გმირული პერიოდის მანძილზე, კლოდ ლორენიდან და პუსენიდან დაწყებული ჟან-ბატისტ კორომდე. დავიდის, დელა-

კრუას, კურბეს რევოლუციური ტრადიციები გაძევებული იყო ფერწერიდან და ქანდაკებიდან, აკადემიური მიმართულების მხატვრები თითქო მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ნაშუადღევს შეუშფოთებელი სიამოვნების წუთები მიენიჭებიათ კარგად დანაყრებული ბურჟუებისათვის.

უფრო მემარცხენე მხატვრები თავიანთ ტილოებს და მარმარილოებს ცალკე აფენდნენ დამოუკიდებელთა გალერიაში. ერთი-ორჯერ დამოუკიდებელთა გამოფენაზე წავედი ერთი ახალგაზრდა ფრანგი კრიტიკოსის თანხლებით. კუბისტები, ფუტურისტები, ორფეისტები ჭკუადამჯდარი ბურჟუაზიული საზოგადოების შეშფოთებას და გარეტიანებას ცდილობდნენ. გეომეტრიული ფიგურებით, „ამღვრეული ფერებით", კარტონზე დაწებებული ფერადი ჩვრებით და შუშის ნატეხებით.მახსოვს, ერთ სურათზე რაღაც არაბუნებრივი ბორბლები და მავთულები იყო დახატული; ერთი კუთხიდან ფართოდ დაღებული, გაშტერებული ცალი თვალი იცქირებოდა. ჩემს თანამგზავრს თავი ახალი ხელოვნების მცოდნედ და მეგობრად მოჰქონდა; მე შევეკითხე, რას ნიშნავს ეს სურათი-მეთქი. — ახალგაზრდა შეყვარებული ქალ-ვაჟი მთვარიან ღამეში ზღვის პირას სეირნობსო, მითხრა მან მეტად სერიოზული სახის გამომეტყველებით. სხვაგან თავგაპობილი მამაკაცები აცაბაცა მაცქერალი თვალებით „აზროვნებას" გამოხატავდნენ, ძეხვის ფეხებიანი და თეძოებმონგრეული დედაკაცები — „მშვენიერებას". და ამ ტილოების და ქვების წინ მნახველები იდგნენ, ზოგიერთი — აღშფოთებული ან გაოცებული, ზოგი — ირონიულად მოღიმარი, ზოგი — ნაძალადევად აღტაცებული იმის შიშით, რომ ხელოვნების უცოდინრობა ან ჩამორჩენილობა არ დამბრალდესო.

დასავლეთ ევროპის კრიზისი, რასაკვირველია, მარტოოდენ ესთეტიკური ხასიათისა არ იყო; ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, მსოფლმხედველობის და ზნეობრივი იდეალების კრიზისი. რევოლუციური იდეოლოგიის გავლენა ყველგან სუსტი იყო. მაგრამ ყველგან იგრძნობოდა მისწრაფება საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების განახლებისადმი; მხოლოდ არავინ იცოდა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს განახლება. დასავლეთ ევროპის ინტელიგენციას აღარ ჰქონდა ცენტრალური

იდეები, როგორც შუა საუკუნეებში კათოლიკურმა ეკლესიამ, რენესანსის ეპოქაში — ჰუმანიზმმა, მეთვრამეტე საუკუნეში გონების კულტმა შექმნეს. ეგრეთწოდებული ხსნის არმიის პროცესები პროტესტანულ ქვეყნებში ირონიულ ღიმილს იწვევდნენ სკეპტიკურად და ინდიფერენტულად განწყობილ ბრბოში. უფრო სერიოზული იყო ნეოკათოლიკური მოძრაობა, მაგრამ ის უფრო პოლიტიკურ აზროვნებას მიმართავდა, ვიდრე მორწმუნე ადამიანის გულს. ინტელიგენტურ წრეებში თავი იჩინა ევროპის ერთა სოლიდარობის, ეგრეთწოდებული პანევროპის იდეამ. მაგრამ მას საფრანგეთში რევანშისტები, გერმანიაში პანგერმანისტები, ინგლისში ჯინგოისტები ებრძოდნენ. შერყეული იყო თვით პროგრესის ძლევამოსილების, მეცნიერების კეთილისმყოფელობის რწმენა. პუბლიცისტები ხშირად პოზიტიური მეცნიერების კრიზისზე და გაკოტრებაზე ლაპარაკობდნენ, ამავე დროს მათ ევოლუციური თეორიის ზეგავლენით წარმოდგენილი ჰქონდათ, რომ მათი თანამედროვე საზოგადოების თავკომბალები ყოველთვის უფრო განვითარებული არსებანი იყვნენ, ვიდრე წარსული ეპოქების იხტიოზავრები.

მართებულად თუ უმართებულოდ, მე ვფიქრობდი, რომ დაკარგული დოგმატების სანაზღაურო აღმოვაჩინე ჩემი სამშობლოს აღორძინების იდეაში. მე არ ვახდენდი ქართველი ერის იდეალიზაციას: უკვე გამოსული ვიყავი იმ ასაკიდან, როდესაც შეყვარებულნი ნეტარი აღტაცებით შესცქერიან თავიანთი ტრფიალის საგანს. იმ ლაქებს, იმ მანკს, რომელნიც ქართველ ერს ჩაგვრისა და მონობის საუკუნეებმა დაუტოვეს, მეც ვხედავდი ჩემში. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ძველი იბერული და კოლხური ტომების ჩამომავლებს ჯანსაღი ფესვები ჰქონდათ და ბებერი მუხის ტოტებს, მრავალჯერ გასხეპილთ მტრების მიერ, ახალი ნორჩი ყლორტების გამოღება შეეძლოთ.

ერთხელ, საღამოს პაოლო იაშვილმა და მე ჩვენს ნაცნობ ქართველ ემიგრანტთან შევიარეთ სასტუმროში. იქ მიხეილ დავითაშვილი დაგვხვდა, ის პარიზში რომელიღაც ქარხანაში მუშაობდა უბრალო მუშად. მან გვითხრა, ხვალ რუსი სტუდენტების მოწვევით ლენინი მოხსენებას კითხულობს ეროვნულ საკითხზე და ერთად დავესწროთო.

მანამდე ლენინი არ მენახა. ის რატომღაც მაღალ, გამხდარ,

ლამაზ გრუზათმიან მამაკაცად ბეჭედ ჭარმოდგენილი: სალტად დავრჩი როდესაც დარბაზში დაბალი, ჯმუხი, მელოტი კაცი შემოვიდა. მას ტუჩებზე ხანდახან ძალიან დამახასიათებელი ღიმილი უკრთოდა, თითქო ისეთი რაღაც იცოდა, რაც სხვებისათვის მუდამ საიდუმლოებად დარჩებოდა. ლენინმა თავის მოხსენებაში ენერგიულად გააკრიტიკა კულტურული ავტონომიის იდეა და განაცხადა. ჩვენთვის პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი ერები არ არსებობენ, ყოველ ჩაგრულ ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა ეიცეს. ეს უფლება მის სრულს დამოუკიდებლობასაც გულისმობს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რუსეთის ნამდვილი რევოლუცია იმდენს მისცემს ჩაგრულ ერებს, რომ ისინი არ ისურვებენ რუსეთიდან გამოთიშვას.

ქართველი დამსწრეების ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ლენინი დიდხანს შეჩერდა გურიის გლეხკაცობის როლზე 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში. მან თქვა, გურულებმა დიდი შეგნება და ორგანიზაციული ნიჭი გამოამჟღავნეს 1905 წელს, თავის რესპუბლიკაში ბოსპეს ყოველი ძალმომრეობა და დანაშაული და თვალნათლივ დაამტკიცეს, რომ რუსეთის მეფის პოლიციას მხოლოდ დეზორგანიზაცია შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიო.

1914 წლის აპრილის ერთ თბილ მზიან დღეს ბევრი ვესეირნე ბულონის ტყეში, სადაც პარიზელი ამორძალები თავიანთ ბედაურებს მიაგელვებდნენ. შემდეგ ორიოდე დღე ჩემს ქართველ მეგობრებთან საუბარში გავატარე: უკანასკნელად ჩამოვუარე ჩემს ნაცნობ ბუკინისტებს სენის ნაპირას და საბშობლოსაკენ გამოვსწიე.

ორიოდე თვის შემდეგ პირველი მსოფლიო ომი დაიწყო.

1956

ს ა რ ჩ ე ვ ი

გერონტი ქიქოძე გ. გვერდწითელი 5
ეროვნება, ენა და ესთეტიკური ლიტერატურა 9
ტრაგიკულის გრძნობა ქართულ ლიტერატურაში . . . 36
ცხოვრება და ზნეობრივი იდეალი 89
მეთოდები თანამედროვე კრიტიკისა 144
ლიტერატურა და ეროვნული ენერგია 153
ენა და ეროვნული ენერგია 156
პოეზია და სინამდვილე 160
ხელოვნების ფსიქოლოგიიდან 172
ხელოვნების აღორძინებისათვის 178
ვაჟა-ფშაველას ფშავ-ხევსურეთი 181
ჩაქუჩიანი მამაკაცი 191
მესხეთი 195
ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან 199
ლეგენდა და სინამდვილე 212
აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან 220
თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის . . 227
შოთა რუსთაველი 240
სიბრძნე ბალავარისა 259
სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ . . 271
დავით გურამიშვილი 279
იოანე ბატონიშვილი 290
რომანტიკოსების თაობა 303
ნიკოლოზ ბარათაშვილი 325
ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე . . 330
აკაკი წერეთელი 345
ვაჟა-ფშაველა 358
ივანე მაჩაბელი 382
ნიკო ნიკოლაძე 386
დავით კლდიაშვილი 399
ნიკო ფიროსმანი 406
ლადო მესხიშვილი 409
თედო სახოკიას ხსოვნას 413
მოგონება მიხეილ ჯავახიშვილზე 415
პაოლო იაშვილი 416
ჩვენი მწიგნობართუხუცესი 421

დავით კაკაბაძე 424
ლეო ქიაჩელი 425
გიორგი ლეონიძე 430
უილიამ შექსპირი 431
სტენდალი 436
ოგიუსტ როდენი 451
სამოთხის კარიბჭესთან 479
არაბესკები 479
დიალოგი თავის თავთან 484
სიკვდილის შიში 486
მარტოობის წლები 491
სიზმრის სილუეტები 492
განთიადიდან შუადღემდე 496

КИКОДЗЕ ГЕРОНТИЙ ДМИТРИЕВИЧ
Письма, эссе, очерки

(На грузинском языке)

Издательство «Мерани», пр. Руставели, 42.
Тбилиси, 1985

რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე
პორტრეტი უჩა ჯაფარიძისა
მხატვარი რ. კონდახსაზოვი
მხატვ. რედაქტორი სპ. ცინცაძე
ტექრედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები ი. დეკანოიძე, ე. ჩიკაშუა, ნ. ლომაძე
გამომშვები ნ. ხავთასი

ს. ბ. — 3136

ჩაბარდა წარმოებას 18.04.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 3.10.85 წ. ფორმატი 84×108 1/32. საბეჭდი ქაღალდი № 2. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 31,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 27,43. პირობითი საღებავ-გატარება 31,5. ტირაჟი 40 000 ეგზ. შეკვ. № 1150.
ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42
თბილისი, 1985

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.